ელდარ მამისთვალიშვილი

გორის ისტორია

I

(მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა)

თბილისი
2018

In the first book of the monograph the history of Gori of feudal epoch is described till 1801, that is before the occupation of Kartli – Kakheti Kingdom by the Russian Empire, when the active role of Gori in the country`s economic, political and cultural life got weakened, because of the loss of our country`s independence.

The study of the past of this important town of Shida Kartli gives us certain idea about the current processes in the eastern Georgia of the mentioned period.

I believe that the book will be interesting to the researchers of the History of Georgia and to the readers, interested by the history of our country.

В первой книге монографии история Гори феодальной эпохи описана до 1801 года, то есть до оккупации Картли-Кахетинского царства Российской Империей, Из-за потери независимости нашей страны активная роль Гори в экономической, политической и культурной жизни ослабела.

Изучение прошлого этого важного города Шида Картли дает нам определенное представление о текущих процессах в восточной Грузии указанного периода.

Считаю, что книга будет полезно исследователям истории Грузии и читателям, интересующимся историей нашей страны.

წიგნზე მუშაობის დროს თანადგომისა და მისი გამოცემის დაფინანსებისათვის დიდი მადლობას მოვახსენებ გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორს, ქალბატონ ***თინა სოსანიძეს***.

მადლობას მოვახსენებ არქიტექტორ, ქალბატონ ***მანანა ყორანაშვილს*** I წიგნში მოთავსებული ნახატების შესრულებისათვის; მუზეუმის ფონდების მთავარ მცველს ქალბატონ ***იამზე ხომასურიძეს***, ძირითადი ფონდის ხელნაწერების განყოფილების ხელმძღვანელს ***ეკატერინე ილარიშვილს***; აგრეთვე მას და საექსპოზიციო განყოფილების ხელმძღვანელს, ეთნოლოგიის დოქტორ **ქალბატონ *თამილა კოშორიძეს*** წიგნის კორექტურისათვის; გორის უნივერსიტეტის ინგლისური ენის მასწავლებელს ქალბატონ ***ელიზა ისაკაძეს*** ორივე ტომის რეზიუმეების ინგლისურ ენაზე თარგმნისათვის.

სახელთა საძიებელი შეადგინეს გორის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის მაგისტრანტებმა:
სოფიო დოლიაშვილმა და თეონა შავლოხაშვილმა

ორივე ტომის ყდების დიზაინი არქიტექტორ **გიორგი სოსანიძისა**

კომპიუტერული მომსახურება: ***შალვა მურადაშვილი***

სარჩევი

წინასიტყვაობა 6
შესავალი 8
გორის მდებარეობა და კლიმატური პირობები 8
გორი გვიანშუასაუკუნეების რუკებსა და ატლასებზე 9
გზები 11
არქეოლოგია გორის შესახებ 20
სახელისათვის 28
გორის დაარსების ლეგენდა 37
გორის გაქალაქება 39
გორის თავგადასავალი
გორი მონღოლთა ბატონობის დროს 42
გორი, თემურლენგის შემოსევების დროს 52
გორი XV ს. მეორე ნახევარში 54
გორი XVI საუკუნის პირველ ნახევარში 63
სვიმონ I-ის ბრძოლა გორის გათავისუფლებისათვის 67
გორი XVII საუკუნეში 91
გორი XVIII ს. პირველ მეოთხედში 115
გორი „ოსმალობის“ პერიოდში 120
ოსმალობის შედეგები 128
გორი – ლივის ცენტრი 131
გორი „ყიზილბაშობის“ პერიოდში 133
გორი თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის დროს 141
გორის გარეგანი სახე
გალავანი 177
უბნები და დასახლებები 182
ქუჩა, გზა, შარა 187
მოედანი 189
მოედანი – ბაზარი 190
დუქანი – ქულბაქი 192
სახლები 195
აბანო 201
წისქვილები 202
ბაღ-ბოსტნები 204

ბორის ციხე 208
ბორი ჯვარი 235
მოსახლეობა, სოციალური სტრუქტურა, კლასობრივი ბრძოლა
1. მოსახლეობა 249
2. მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა 259
დამოკიდებული ხალხი 259
ფეოდალური არისტოკრატია 274
ვალდებულებანი 275
3. კლასობრივი ბრძოლა 288
ეკონომიკური განვითარება
ხელოსნობა 302
ვაჭრობა 313
მევახშეობა 328
მართვა-გამგეობა 335
მოურავი 335
ციხისთავი 348
მამასახლისი 353
მელიქი 362
ნაცვალი 362
ქედხუდა 364
მებაჟე 367
ქალაქის მწერალი 369
მდივანბეგი 371
ბორი – ზემო ქართლის სადროშოს ცენტრი 373
ბორში არსებული კონფესიები და მათი ეკლესიები 385
ბორის მართლმადიდებლური ქართული ეკლესია 388
მართლმადიდებლური ტაძრები 395
სომხური ეკლესიები 398
კათოლიკობა და კათოლიკური ეკლესია ბორში 404
ბორის კათოლიკური ეკლესიის ისტორიის ქრონოლოგია 444
ოქონის ხატები და ბარსევანიშვილების გვარი ბორის სულიერ და კულტურულ ცხოვრებაში 447
ბარსევანიშვილების საგვარეულო ნუსხის „სხოლიონი“ როგორც ისტორიული წყარო 449
ოქონის ხატების საქართველოში გადმოსვენების წინა პირობები 452

გორის ოქონის ხატები *458*
ოქონის ეკლესიის ლოკალიზაციისათვის *484*
ოქონის ეკლესია ფასადი და ინტერიერი (მიახლოებითი აღწერა) *487*
ოქონის ეკლესიის ქონება და მისი დეკანოზის უფლება-მოვალეობები *495*
საამაყო გარსევანიშვილები და მათთან დაკავშირებული მოვლენები *510*
იესე გარსევანის ძე *510*
დიმიტრი გიორგის ძე *511*
მთავარეპისკოპოსი პაისიოსი *511*
იესე იაკობის ძე *512*
ალექსანდრე სვიმონის ძე *434*
ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრება და საქართველო სქოლიონის მიხედვით *538*
მეტოქენი – გარსევანიშვილები და ანანიაშვილები *540*
დანართი
გარსევანიშვილების საგვარეულო ნუსხა და „სხოლიონი“ *545*
დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა *568*
THE HISTORY OF GORI (up to 1801) Summary *593*
ИСТОРИЯ ГОРИ (ДО 1801 г.) Резюме *597*
საძებელი *602*

წინასიტყვაობა

გორის ისტორიის I-II ტომის პირველი გამოცემიდან დიდი დრო გავიდა და იგი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად გადაიქცა. ეს განსაკუთრებით ითქმის ნაშრომის მეორე ტომზე, რომელიც თავიდანვე მცირე ტირაჟით გამოქვეყნდა.

ბუნებრივია, საქართველოს მოსახლეობის, განსაკუთრებით კი, შიდა ქართლელებისა და გორელების დიდი ინტერესი გორის ისტორიისადმი, რომელშიც საკუთრივ გორის ისტორიასთან ერთად მეტნაკლებად აისახა შუა და ახალი საუკუნეების საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტები.

პირველი წიგნის მიზანია გორის ისტორიის შესწავლა 1801 წლამდე, ე.ი. ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთებამდე, იმ დრომდე, როცა შესუსტდა ის აქტიური ძალა, რომელსაც ეს ქალაქი წარმოადგენდა დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. გორმა დაკარგა თავისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია – ქვეყნის დაცვა. ამგვარად, XIX ს. დასაწყისიდან დაიწყო ახალი ეტაპი როგორც მთელი საქართველოს, ისე გორის ისტორიაში.

მკვლევარნი დიდი ხანია დაინტერესდნენ გორის წარსულით და ზოგიერთმა მათგანმა მისი წარსულის ამა თუ იმ მხარეს სპეციალური ნაშრომიც კი მიუძღვნა. მათ შორის უნდა დავასახელოთ დიმ. ბაქრაძე, ალ. ჯავახიშვილი, მ. ჯანაშვილი, გ. ბუხნიკაშვილი, ლ. ზუმბაძე, ი. ბერძნიშვილი. გორის ისტორიის მეცნიერულ შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვის დ. გვრიტიშვილს, მაგრამ ის ძირითადად XIX - XX ს. პირველი ნახევრით შემოიფარგლა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შ. მესხიას დამსახურება გორის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესწავლაში, რის შესახებაც სათანადოდაა მითითებული წინამდებარე ნაშრომში.

მონოგრაფიაზე მუშაობისას მიზნად დავისახე, მეჩვენებინა ძველი გორის არა მხოლოდ პოლიტიკური ისტორია, არამედ მისი ცხოვრების სხვა მხარეებიც: ვეცადე აღმედგინა ძველი ქალაქისა და მისი ციხის იერსახე, მისი ამაღლებისა და დაცემის პერიოდები, მტრებთან ბრძოლის ეპიზოდები, მეჩვენებინა მისი მოსახლეობის ეკონომიკური, სოციალური, ეთნიკური და დემოგრაფიული მდგომარეობა, კლასობრივი ბრძოლა, სამოხელეო აპარატი, ეკლესია და სხვ.

პირველ წიგნში შეგნებულად არ გავამახვილე ყურადღება გორელების წვლილზე ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. ეს საკითხი უწყვეტლივ იქნება წარმოდგენილი მეორე წიგნში, რომელიც მთავრდება 1921 წელით.

ვცდილობდი გადმომეცა გორის წარსული ცხოვრების ძირითადი დამახასიათებელი მომენტები, მაგრამ, წყაროების სიმცირის გამო, ყოველთვის ვერ შევძელი ამ განზრახვის სრულფასოვნად შესრულება. ამდენად, დამატებითი წყაროების მიგნების შემთხვევაში, საინტერესო პერიოდის ცალკეული საკითხების შესწავლა შემდეგაც გაგრძელდება. ის კი უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე გამოცემაში შეივსო და გადამუშავდა მთელი რიგი საკითხებისა.

ნაშრომში გამოყენებულია ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის აქამდე უცნობი მრავალი დოკუმენტური და ნარატიული წყარო, ფართოდ ვისარგებლე სერგი მაკალათიას სახელობის გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის, გორის რაიონული არქივის, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, საქართველოს ეროვნული არქივისა და მოსკოვის სამხედრო ისტორიული არქივის ფონდებით.

წიგნის მეორე გამოცემა განხორციელდა ქალბატონ თინა სოსანიძის ინიციატივითა და მუზეუმის ფინანსური მხარდაჭერით, რისთვისაც კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას.

მინდა ხაზგასმით გავიმეორო პირველ გამოცემაში უკვე ნათქვამი: წინამდებარე მონოგრაფია ჩემი ქალაქისადმი დიდმა სიყვარულმა დამაწერინა. სიყვარულით დაწერილი მეცნიერული ნაშრომი არ შეიძლება დაზღვეული იყოს ხარვეზებისაგან, უნებლიე შეცდომებისაგან. მკითხველთა მიერ გამოთქმულ ყოველ საქმიან შენიშვნას და სურვილებს სიამოვნებით მივიღებ და შეძლებისდაგვარად გავითვალისწინებ შემდგომი მუშაობის დროს.

შესავალი

გორის მდებარეობა და კლიმატური პირობები

გორი მდებარეობს შიდა ქართლის ცენტრალურ ნაწილში ლიახვის, მტკვრის და მეჯუდის შესაყართან, ზღვის დონიდან 588 მეტრზე. ძველი გორი გაშენებული იყო მხოლოდ დღევანდელი ქალაქის შუაში ამართული კლდოვანი ბორცვის სამხრეთ ფერდობზე (შემორჩენილია მისი ცალკეული ფრაგმენტები). ვარაუდობენ, რომ ის ბორცვი, რომელზეც ციხეა დაშენებული, კვერნაქების ნაწილია. ერთ დროს ეს ბორცვი აღმოსავლეთით და დასავლეთით კვერნაქებს უერთდებოდა. ბორცვი წარმოიშვა მდინარეების – მტკვრის, ლიახვისა და მეჯუდის მოქმედების შედეგად. სავარაუდოა, მეჯუდა ბორცვს უვლიდა აღმოსავლეთიდან და მტკვარს უერთდებოდა. მდინარეებს შორის მოქცეული ბორცვი კუნძულად იდგა.

გორში ზომიერად თბილი, სტეპურიდან ზომიერად ნოტიოზე გარდამავალი ჰავაა. იცის თბილი ზაფხული და ზომიერად ცივი ზამთარი. ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, *„არამედ არს ადგილი ჰავითა შუენიერი, წყალი კარგი, ზაფხული კეთილი, ზამთარი ცივი, ქარიანი“*[1]. XV საუკუნის 70-იან წლებში იტალიელი დიპლომატი ამბროჯო კონტარინი გორს, ჰავის მხრივ, საკმაოდ კარგ ადგილად თვლიდა[2]. ამასვე აღნიშნავდა XVII საუკუნის პირველი ნახევრის იტალიელი მისიონერი დონ პიეტრო ავიტაბილე[3] და სხვები.

კარგი კლიმატური პირობების გამო, გორი სააგარაკო ადგილად ითვლებოდა. ხშირად მეფეები თუ მათი ოჯახის წევრები ზაფხულს გორში ატარებდნენ. ალბათ, ასეთი კარგი კლიმატის გამო იყო, რომ გორში იშვიათად ჩნდებოდა ეპიდემიური დაავადებები. გორი იმითაც

---

[1] *ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა / ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 367.*

[2] *Ramusio G. M., Seconda volume delle Navigationi et Viaggi, v. II, Venetia, 1559, p. 115 v.*

[3] *დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.) / შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბ. გიორგაძისა, თბ., 1977, გვ. 26.*

იზიდავდა მეფეებსა და დიდებულებს, რომ მის მიდამოებში მრავალი სანადირო ადგილი იყო.

გორს ხანგრძლივი ისტორია აქვს. მართალია, ჩვენამდე მოღწეული ქართული წერილობითი წყაროები XII საუკუნიდან მას მოიხსენიებს, როგორც ქალაქს, მაგრამ დღეისათვის საყოველთაოდაა აღიარებული, რომ დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, გორის ტერიტორიაზე დასახლება არსებობდა.

გორი გვიანშუასაუკუნეების რუკებსა და ატლასებზე

გვიანშუასაუკუნეების რუკებსა და ატლასებზე გორის აღნიშვნა, მიგვანიშნებს მის საერთაშორისო მნიშვნელობაზე გვანშუასაუკუნეებში. კარტოგრაფები გორს ისე აღნიშნავდნენ, როგორც მათ ხელთ არსებულ წყაროებში იყო წარმოდგენილი (ასევე ითქმის სხვა გეოგრაფიულ სახელებზეც). ამ მხრივ საინტერესოა ფრა მაუროს მსოფლიო რუკა (1459 წ.), რომელზეც შავ და კასპიის ზღვებს შორის მოთავსებულია ქვეყანა სორსანია (çorçania)[1]. ამ ერთი შეხედვით საქართველოს აღმნიშვნელ სახელწოდებას, რომელიც ანდალუზიური დიალექტისათვის დამახასიათებელი დამწერლობით არის შესრულებული, ფრა მაუროს ლიტერატურული წყარო უნდა ყოფილიყო იმავე საუკუნის დასაწყისის ცნობილი კასტილიელი დიპლომატის და მოგზაურის რუი გონსალეს დე კლავიხოს „ელჩობა თემურლენგთან“, რომელშიც დასახელებულია საქართველოს მეფე სორსო (Rey sorso[2]. იგივე ავტორი სხვაგან იმავე მეფეს მოიხსენიებს როგორც გურგანიის მეფეს – Rey de gurgania, ხოლო საქართველოს სამეფოს – senorio de gurgania). მოსალოდნელი იყო, რომ შუა საუკუნეების ავტორებს კლავიხოსეული მეფის სახელი „სორსო“ მთელი ქვეყნისათვის ეწოდებინათ. ასეთი მაგალითი გვაქვს იმავე საუკუნიდან, როდესაც იტალიელი მოგზაურები სამცხის ათაბაგ ყვარყვარე II დიდს მოიხსენიებდნენ, როგორც გურგურა-გორგორას და მის სამთავროსაც ასე-

---

[1] *თვარაძე ალ., საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალების საფუძველზე, თბ., 2004, გვ. 319-320.*

[2] *რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ / ესპანურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდარ მამისთვალიშვილმა, თბ., 1992, გვ. 34, 36.*

თი სახელით იცნობდნენ[1]. რაც შეეხება გორს, იგი ფრა მაუროს მსოფლიო რუკაზე აღნიშნულია, როგორც გარი (gari).

ზემოაღნიშნულის გარდა, შეცდომის მიზეზი სხვაც შეიძლებოდა ყოფილიყო. იმდრონდელი გეოგრაფიის ცოდნისა და კარტოგრაფიის დონეზე მიუთითებს ის უხეში შეცდომები, რომლებსაც რუკებზე ვხედავთ სხვადასხვა გეოგრაფიული პუნქტის ლოკალიზების დროს. საილუსტრაციოდ აღვნიშნავ, რომ იმავე რუკაზე შავი ზღვა კასპიის ზღვის ადგილზეა, კასპიის ზღვა კი შავი ზღვისაზე; საქართველო, თანამედროვეთა გაგებისდა მიხედვით, კავკასიონის ჩრდილოეთით, კასპიის ზღვის სანაპიროზე არის დატანილი, შირვანი კი შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე.

ასევე ხშირია გორის ლოკალიზება სხვადასხვა გეოგრაფიულ გარემოში, ზოგჯერ გორი ერთსა და იმავე რუკაზე აღნიშნულია ორჯერ სხვადასხვა ადგილას. ამ მხრივ საინტერესოა იტალიელი ჯაკომო გასტალდის მიერ 1548 წელს შედგენილი რუკა. მასზე ლიხის მთის აღმოსავლეთით ერთმანეთის მიყოლებით აღნიშნულია ztfilis (თბილისი), cotachis (ქუთაისი), skander (სკანდა) და gorides (გორი), როგორც მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე. იმავე რუკაზე გორი კიდევ აღნიშნულია თბილისისა და ქუთაისის აღმოსავლეთით, დერბენტის ჩრდილო აღმოსავლეთით[2].

გამოჩენილი ფრანგი კარტოგრაფის ნიკოლა სანსონის რუკაზე (1652 წ.) გორი (Cori) აღნიშნულია, სავარაუდოდ, გოგჩას ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით, როგორც მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე[3].

შემდეგი ფრანგი კარტოგრაფის პიერ დიუ ვალის რუკაზე (1682 წ.) აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებიდან დატანილია მხოლოდ თბილისი (tiflis), ზაგემი (zagan) და გორი (Cori). გორი წარმოდგენილია, როგორც საბარათიანოს ქალაქი, ხოლო ინგლისელი რობერტ მორდენის რუკაზე კი (1680 წ.), ქართლის სამეფო წარმოდგენილია მხოლოდ ორი ქალაქით – თბილისითა (Teflis) და გორით (Kori), კახეთი მხოლოდ ძეგამით (zagan), იმერეთი კი – ქუთაისით (Cotachis)[4].

---

[1] *XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ / იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდარ მამისთვალიშვილმა, თბ., 1981, გვ. 62.*

[2] *ლობჟანიძე გ., ევროპული რუკები და საისტორიო წყაროები საქართველოს შესახებ (XVI-XVIII სს.), თბ., 2010, გვ. 32-33.*

[3] *იქვე, გვ. 45-47.*

[4] *იქვე, გვ. 49, 51, 54.*

გორის იდენტიფიცირება იოლად ხერხდება ნიკოლა სანსონის შთამომავალ ჟილ რობერტ დე ვოგონდის რუკაზე „აზიური თურქეთი“, რომელიც მოთავსებულია „ყოვლისმომცველ პორტატულ ატლასში“ (1748 წ.), სადაც გორი აღნიშნულია მდ. ლიახვის მტკვართან შესართავთან, თბილისის ჩრდილო-დასავლეთით[1].

ფრანგი რობერტ ბონის რუკაზე „სპარსეთის სამეფო და საქართველო“ (1787 წ.), მდ. ლიახვის მდ. მტკვართან შესართავთან დატანილია ქალაქი გორი (Gori). იმავე სიზუსტითაა აღნიშნული გორი ვენეციელი კარტოგრაფის ანტონიო ძატას რუკაზე[2].

შემდგომი პერიოდის რუკებზე გორის აღნიშვნასთან დაკავშირებით სერიოზული გადაცდომები აღარ შეინიშნება.

გზები

იბერიის სხვა ციხე-ქალაქების (მცხეთა, სარკინე, კასპი) მსგავსად, რომლებიც ცენტრალური კავკასიონის კალთებიდან გამომდინარე ხეობების მტკვართან შეერთების ადგილებში წარმოიშვა, გორიც ანტიკური და შუა საუკუნეების სხვა ქალაქების მსგავსად სტრატეგიული და ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვან ადგილას აღმოცენდა. იგი დაარსდა აღმოსავლეთ საქართველოს ორი უმნიშვმელოვანესი მდინარის – ლიახვის და მტკვრის შესართავთან[3]. გორის დანიშნულება ლიახვის ხეობის დაცვა იყო[4]. იბერიის სხვა ანტიკური ქალაქების მსგავსად, გორიც მდინარეთა ნაპირას გაშენდა. როგორც მდ. მტკვარს, ისე მდ. ლიახვს უხსოვარი დროიდან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ ამიერკავკასიის, არამედ სხვა მეზობელი თუ შორეული ხალხებისთვისაც. ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე მოღვაწე უდიდესი მეცნიერი სტრაბონი მიუთითებდა იბერიაში შემავალი ოთხი გზის შესახებ, რომლებიც გორთან კვეთდა ერთმანეთს ან მის მახლობლად გაივლიდა. პირველი და

---

[1] *იქვე, გვ. 81-82.*

[2] *იქვე, გვ. 87-88, 92-93.*

[3] მდ. ლიახვის აღმა მიკვლეულია უძველესი ხანის მრავალი სამოსახლო გორა. იხ. *მუსხელიშვილი დ., ცქიტიშვილი გ., შიდა ქართლის 1955 წ. დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები // საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, თბ., 1960, გვ. 185-196*

[4] *ჭილაშვილი ლ., ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, თბ., 1968, გვ. 120, 122*

ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დასავლეთიდან, ე.ი. ფაზისიდან მდ. რიონით შორაპნამდე მიმავალი სამდინარო გზა. შორაპნიდან *„ფეხით, საურმე გზით 4 დღეში მიისვლება მტკვრამდე“*[1]. საინტერესოა, რომ XV ს. 70-იან წლებში ვენეციელი ჯოსაფატ ბარბაროს თქმით, სკანდადან გორამდე 4 დღის სავალი იყო[2]. მტკვრამდე მისული გზა გორთან ჩაივლიდა კასპიის ზღვის მიმართულებით. ეს გზა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ ანტიკურ ეპოქაში, არამედ მთელი შუა საუკუნეების განმავლობაშიც და მეტ-ნაკლები ინტენსიურობით მოქმედებდა.

VI საუკუნის დასასრულიდან გორი, მსგავსად სხვა ქართული ქალაქებისა, რომლებიც ანტიკურ პერიოდში დიდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ როლს ასრულებდა, ფეოდალური ფორმაციის გამარჯვების, დამპყრობთა შემოსევების შედეგად დაკნინდა და დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა მცირე დასახლებული პუნქტს. გორის გამოცოცხლება და მისი თანდათან დაწინაურება იწყება IX-X საუკუნეებიდან. ეს პროცესი ნელა, მაგრამ განუხრელად მიმდინარეობდა.

შუა საუკუნეების გორის დაწინაურებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ გზებს, რომლებიც შიდა ქართლში გადიოდა. შიდა ქართლი სურამის უღელტეხილით უკავშირდებოდა დასავლეთ საქართველოს, სამხრეთ საქართველოს – მტკვრის ხეობით, კახეთს – გომბორის უღელტეხილით, ჩრდილო კავკასიას – დარიალის ხეობით. დასახელებული გზები არა მარტო საქართველოს უმნიშვნელოვანეს ოლქებს აკავშირებდა ერთმანეთთან, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობისაც იყო. არცთუ იშვიათად, მტერი ამ გზების ხელში ჩაგდების და მათი ექსპლოატაციის მიზნით იჭრებოდა ქართლში.

საერთაშორისო ურთიერთობებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „ფაზისის გზას“, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გადაკვეთდა მთელ საქართველოს და გორთან გაივლიდა. ცნობილ იტალიელ მკვლევარს ჯუზეპე კანალეს ეს უძველესი გზა ჰქონდა მხედველობაში, როდესაც აღნიშნავდა, რომ იტალიელებს *„საქართველოზე გამავალი გზა ხელს უწყობდა სპარსეთთან დიდი ვაჭრობის*

---

[1] *ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 123.*

[2] *XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 37.*

ადვილად და თავისუფლად წარმოებაში“[1]. სხვაგან იგი ამბობდა, რომ ამ გზამ დიდი როლი ითამაშა ჩრდილო იტალიის ქალაქ-რეს-პუბლიკების – ვენეციის, გენუისა და პიზას გამდიდრებასა და გაძ-ლიერებაში და მან თავისი მნიშვნელობა კეთილი იმედის კონცხისა და ამერიკის აღმოჩენამდე შეინარჩუნა[2].

XV ს. მეორე ნახევარში საქართველოს ეს უმთავრესი და უძ-ველესი გზა, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარე-ბისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, იტალიელების – ბარბაროს და კონტარინის – გადმოცემით, უკვე იმდენად იყო დაკნი-ნებული, რომ მშვიდობიანი მგზავრებისათვის მისი გამოყენება არც-თუ უხიფათო იყო. ქვეყნის ფეოდალურ სამეფო-სამთავროებად დანაწილების შედეგად, აღნიშნული გზის გამოყენება განსაკუთრე-ბით არახელსაყრელი გახდა. თითოეული ფეოდალი, რომლის სამ-ფლობელოზეც გზა გადიოდა, მგზავრისაგან მოითხოვდა ბაჟს და საბაჟოებიც მომრავლებული იყო. ამის შესახებ ლაპარაკია მრავალ ქართულ წყაროში, ვენეციელი დიპლომატი ამბროჯო კონტარინი თავის „მოგზაურობაში“ მრავალგან აღნიშნავდა ქართველ მოხე-ლეთაგან შევიწროებაზე. მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა ოსმა-ლების მიერ საქართველოსკენ მომავალი სახმელეთო და საზღვაო გზების გადაკეტვამ, რამაც XV საუკუნის მეორე ნახევარში ზემო-აღნიშნული გზის დასუსტება-დაცარიელება გამოიწვია. მაგრამ, რო-გორც ჩანს, საქართველოს გზები, რომლებმაც ოდინდელი მნიშ-ვნელობა დაკარგეს, გართულებული მდგომარეობის მიუხედავად, ევროპელთათვის აღმოსავლეთთან კავშირის დასამყარებლად მაინც მოხერხებული იყო.

გორზე გადიოდა სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალი, რომელიც მას ირანთან და ოსმალეთთან ეკონომიკურ ურთიერთობაში აბამდა. ეს გზა გაივლიდა აზერბაიჯანს, სომხეთს, შემდეგ თბილისი – გორი

---

[1] *Della Crimea, del suo commercio e dei suoi dominatori dalla origini fino al di nostri. Commentari storici, dell avvocato Michele Giusaeppe Canale, v. I, Genova, 1855, p. 352, 374.*

[2] *Della Crimea, del suo commercio e dei suoi dominatori dalla origini fi no al di nostri. Commentari storici, dell avvocato Michele Giusaeppe Canale, v. II, Genova, 1856, p. 247.*

– სურამი – ახალციხე – არტანუჯი – არზრუმი[1]. იგი მთავარი არტერია იყო ამიერკავკასიაში. ის მტკვრისა და არაგვის შეერთებასთან ორად იყოფოდა. ერთი დასავლეთით, გორზე, სურამზე და ახალციხეზე გავლით არზრუმისაკენ მიდიოდა. მეორე გაივლიდა დუშეთსა და ყაზბეგს და ჩრდილო კავკასიაში გადავიდოდა. გურიიდან და აჭარიდან მომავალი გზა ახალციხესთან უერთდებოდა მთავარ მაგისტრალს.

იმ გზებმა, რომლებიც საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს კასპიის ზღვის ქვეყნებთან აკავშირებდა XIII-XV სს. საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა. ორი მათგანი ფოთსა და სოხუმში იწყებოდა, ქუთაისის მახლობლად ერთდებოდა, გორამდე მოდიოდა, სადაც უერთდებოდა, ასევე უაღრესად მნიშვნელოვან გოდერძის უღელტეხილის გზას. იგი ახალციხის გავლით თბილისისაკენ მიემართებოდა[2].

აღნიშნული გზის თბილისი-გორის მონაკვეთი დაწვრილებით გამოიკვლია ნ. ბერძენიშვილმა. გზა მტკვრის მარჯვენა ნაპირს მიუყვებოდა და შემდეგ პუნქტებს გაივლიდა: თბილისი – დიღმის კარი – დიღმის ველი – ნაქულბაქევი – მუხათგვერდი – არმაზი – კავთისხევი – ახალქალაქი – დოესის მინდორი – ხიდისთავი[3]. არმაზთან გზას განშტოება ჰქონდა, გადადიოდა მტკვრის მარცხენა ნაპირზე მცხეთაში, შემდეგ მტკვრის ციხე, მუხრანი, ნაჭარმაგევი[4] და დვალეთისაკენ მიემართებოდა[5], როგორც ჩანს, ეს გზა ადრე გორს აუქცევდა. მოგვიანებით, გორის მნიშვნელობის გაზრდის გამო, მუხრანის გზა ქალაქზე გადიოდა. ამაზე მიგვითითებს ფარსადან გორგიჯანიძის მიერ აღწერილი 1690 წლის ამბავი. *„ერეკლე მეფე (თბილისიდან – ე. მ.)... საქართველოს ჯარით, მუხრანის გზით გორს წაბრძანდა მეფის ალექსანდრეს სანახავად“*[6].

---

[1] *Malkolm I., The History of Persia From the Most Early Period to the present Time, v. II, London, 1815.*

[2] *Берадзе Т., Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии. Автореферат, Тбилиси, 1986, с. 29.*

[3] *ბერძენიშვილი ნ., გზები რუსთაველის ეპოქაში, თბ., 1966, გვ. 18.*

[4] *იქვე, გვ. 19.*

[5] *იქვე, გვ. 26.*

[6] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია / ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, ნაკვ. II, 1925, გვ. 281*

გორი – გზების შესაყარი

გორიდან მიდიოდა გზა დვალეთს, რომელზეც მიუთითებს ლეონტი მროველი II საუკუნის ამბებთან დაკავშირებით. ამ გზის მიმართულების ზოგიერთ დეტალს გვამცნობს ვახუშტი ბატონიშვილი, როცა ვახტანგVI-ის ოსეთზე ლაშქრობას გადმოგვცემს: *„კულად აღიმჭედრა სპითა შესვლად ოსეთს და შევიდა და შემუსრნა ᲘᲒ (80 – ე. მ.) კოშკნი, მოწვა და მოსტყუევნნა ურჩნი, ჩავლო ზრამაგა და შემოვლო ჟღელის ჭევი და გარდმოვლო კედელსა ზედა და მოვიდა კუდაროს და კუდაროდამ ქართლს გამარჯვებული... დაიპყრა დუალეთი და დასდვა ხარკნი და გორს მდგომი იშუებდა სხჳსა განზრახი“*[1].

[1] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 491.*

საინტერესოდ აქვს აღწერილი ქუთაისი-გორის გზა ამბროჯო კონტარინის. მან 1474 წლის 12-17 ივლისს ქუთაისიდან გორში იმოგზაურა, და ამ გზაზე სამი ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქი დაასახელა: ქუთაისი, სკანდა, გორი[1]. იმავე ქალაქებს ასახელებს ასევე ვენეციელი ბარბარო 1477 წ.[2]. ფრანგმა მოგზაურმა ჟან შარდენმა ამ გზის გავლას, უამინდობის გამო, თითქმის ორი კვირა (1672 წ. 16-31 დეკემბერი) მოანდომა. ქუთაისისკენ მიმავალმა შარდენმა გაიარა გორი – ალი – კოლბოური – საზანო – სკანდა – ჩხარი – ქუთაისი[3].

საინტერესოა შარდენის მიერ აღწერილი თბილისიდან სამცხეს მიმავალი გზა, რომელიც ქართლის სამეფოს სატახტოდან გორამდე მტკვრის მარჯვენა ნაპირს მისდევდა, შემდეგ მარცხენა ნაპირზე გადადიოდა. შარდენმა თბილისიდან გორამდე იარა 20-22 დეკემბერს. ეს გზა, ახალციხიდან გორამდე, შარდენის მიხედვით, ასე წარმომიდგენია: ახალციხე (შარდენი ახალციხიდან გავიდა 13 დეკემბერს დღის 2 საათზე) – აწყური – სურამი – ურბნისი – გორი (15 დეკემბერი)[4].

გორი – აწყურის გზა XIII საუკუნეში ნ. ბერძენიშვილს შემდეგნაირად აქვს ნავარაუდევი: „*გორი, ვიწრო, ე.ი. ტაშისკარი, ახალდაბის ხიდი, ხევნი, აწ-ყური*“[5]. გვიან პერიოდში იგივე გზა გორიდან ორ შტოდ გადიოდა და ტაშისკართან კვლავ ერთიანდებოდა. პირველი: გორი – ტინისხიდი – ურბნისი – რუისი – არადეთი – მოხისი – ტაშისკარი; მეორე: გორი – სკრა – ქარელი – სამწევრისი – წრომი – ხცისი – ბრბონა – სატივე – ტაშისკარი, ტაშისკართან გაერთიანებული გზა პეტრეს ციხეზე გავლით აწყურში მიდიოდა[6].

ტანას ხეობით გორი თრიალეთსა და ჯავახეთს უკავშირდებოდა. ამ გზამ გარკვეული როლი ითამაშა გორის გამოცოცხლებასა და დაწინაურებაში. იქ, სადაც მდ. ტანა მტკვარს ერთვის, ატენის ხეობის გორთან დამაკავშირებელი ხიდიც კი ყოფილა. ამ გზით 1474 წ. (20-22

---

[1] *Ramusio G. M., Seconda volume delle Navigationi et Viaggi, v. II, p. 115r-115v.*

[2] *XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 61.*

[3] *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ) / ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 278-282.*

[4] *იქვე, გვ. 272-274*

[5] *ბერძენიშვილი ნ., გზები რუსთაველის ეპოქაში, გვ. 39.*

[6] *იქვე, გვ 40, 42.*

ივლისი) კონტარინი გორიდან ლორეში გადავიდა[1]. იმავე გზით 1477 წ. საქართველოს დამარბეველი უზუნ ჰასანი ლორეზე გავლით ერევანში მივიდა. მან გორიდან ლორემდე მგზავრობას სამი დღე მოანდომა[2]. ამავე გზით იმოგზაურა ისპაჰანს მიმავალმა ქართლის მეფე გიორგი XI-მ 1696 წ. „*მცნობი მეფეცა მივიდა ალს, წარუძღვა მეჰმანდარი დიდითა პატივითა, ჩავლო ქართლი, შევლო ატენი, განვლო თრიალეთი, აბოცი და მივიდა ერევანს... შემდგომად მივიდა ისპაანს წინაშე ყეენისა*“[3]. როგორც კაპიტან-პორუჩიკი ლვოვი 1773 წ. ოქტომბერში გრაფ ნ. ი. პანინს წერდა, იმერეთის მეფე სოლომონ I ამ გზით ჯავახეთში გადავიდაო[4].

აღმოსავლეთ საქართველოს ანექსიის შემდეგ რუსეთის მთავრობამ ახალ სამფლობელოებზე სრული კონტროლის დამყარების მიზნით, მათი აღწერა და შესაბამისი გეგმებისა და რუკების შედგენა განიზრახა. გენერალ-ლეიტენტ კნორინგის მითითების შესაბამისად 1802 წლის 10 ივნისს პოლკოვნიკ დრენიაკინს მიამაგრეს 1 კაზაკი და დაევალა თბილისის, თელავის, გორისა და დუშეთის გეგმების შედგენა. გეგმებში აღნიშნული უნდა ყოფილიყო ეკლესიები, სახლები, სავაჭრო დუქნები, სახელოსნოები და სხვ. მათ რაოდენობასთან ერთად აღნიშნული უნდა ყოფილიყო, აგრეთვე, დუქნებში ვაჭრობის დრო, სავაჭრო საქონლის სადაურობა, საიდან და რომელი გზებით (სახმელეთო, სამდინარო) შემოჰქონდათ საქონელი; აღნიშნული უნდა ყოფილიყო მიწისა და წყლის სიმდიდრე; რუკაზე დატანილი უნდა ყოფილიყო ყველა დასახლება, გზები, ამა თუ იმ დასახლებული პუნქტიდან თბილისამდე მანძილი, გამაგრებული ადგილების, ტაძრებისა და შენობების აღნიშვნით.

1802 წლის 17 ნოემბერს დრენიაკინი კნორინგს მოახსენებდა, რომ თბილისისა და გორის გეგმები შედგენილია. რაც შეეხება კამერალურ აღწერას, მრავალი ცნობების უქონლობის გამო, რაც გამოწვე-

---

[1] *Ramusio G. M., Seconda volume delle Navigationi et Viaggi... v. II, p. 115v.*

[2] *XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 62.*

[3] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 476.*

[4] *Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. 1, с 1768 по 1774 год. Под ред. А. А. Цагарели, СПб., 1891, с. 386.*

ული იყო კომენდანტების მოუქნელი მუშაობის შედეგად, დაუსრულებელი დარჩა[1].

გორის 1802 წლის გეგმა საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ ის გზები, რომლითაც ეს ქალაქი არა მხოლოდ მნიშვნელოვან ცენტრებს, არამედ თავის ირგვლივ მდებარე სოფლებსაც უკავშირდებოდა. გორის „თურქეთის“ კარიდან გადიოდა გზა, რომელიც მცირე მანძილის შემდეგ იყოფოდა: ერთი მიდიოდა ჯერ სამხრეთით, შემდეგ მტკვრის სანაპიროს გაუყვებოდა აღმოსავლეთის მიმართულებით და გორის ახლანდელი თამარ მეფის ქუჩის ბოლოს, კვერნაქების ძირას (ე. წ. წითელ კლდეებთან) მიდიოდა, საიდანაც მგზავრებს მდინარის მეორე ნაპირზე ფონით გადასვლა შეეძლოთ. აქ უკავშირდებოდა გორი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გამავალ თბილისის გზას და ატენის ხეობას.

„თურქეთის“ კარიდან გასული გზის განაყარი გაივლიდა გორის სომხების სასაფლაოს სამხრეთით და უფლისციხისკენ წავიდოდა.

უფლისციხისკენ გადიოდა გზა, აგრეთვე, „მუხრანის“ კარიდან, იმავე კარიდან გადიოდა „Дорога в поле“, რომელიც ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდა.

„იმერეთის“ კარიდან გადიოდა ორი უმნიშვნელოვანესი გზა: ერთი, რომელიც ჩრდილოეთით მიდიოდა, გეგმის მიხედვით იწოდებოდა ქალაქ დუშეთისა და თბილისი გზად („Дорога в городе Душете и Тифлисе“), მეორე კი – იმერეთისაკენ. ეს უკანასკნელი მდ. მეჯუდაზე, მის მრავალრიცხოვან შენაკადებზე და მდ. ლიახვზე გადაივლიდა. იმავე კარიდან გადიოდა გზა თედოწმინდისა და ვარიანისკენ.

როგორც დავინახეთ, გორი სავაჭრო-საქარავნო გზების შესაყარზე მდებარეობდა, რამაც განაპირობა მისი დიდი მნიშვნელობა მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. გორის მოხერხებულ მდებარეობას რუსეთის მთავრობამ საქართველოს რუსეთთან შეერთებისთანავე მიაქცია ყურადღება. 1833 წ. ვინმე „ხერსონეცმა“ (გორში განლაგებული ხერსონის გრენადერთა პოლკის ოფიცრის ფსევდონი-

---

[1] *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, т. I, Тифлис, 1866, с. 764.* კნორინგი დრენიაკინს აფრთხილებდა, რომ საქართველოში მოსახლეობის აღწერა წესად არ ჰქონდათ. თუ ასეთ რამეს მაინც აკეთებდა ძველი მთავრობა, მოსახლეობაში ეჭვსა და უკმაყოფილებას იწვევდა. ამიტომ საჭირო იყო აღწერის დროს დიდი სიფრთხილე და მოქნილობა, საიდუმლო გამოკითხვების ჩატარება და სხვ. *Тамже, с. 487-489.*

მი უნდა იყოს) გამოაქვეყნა წერილი[1], რომელშიც ნათქვამია: „*სამხედრო თვალსაზრისით საქართველოში გორი რუსთა ძლიერების ერთ-ერთი სტრატეგიული პუნქტთაგანია. ჩრდილოეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან ეს არის თბილისის გასაღები; ამავე დროს გორი არის თურქეთის საზღვრებიდან და შავი ზღვიდან მომავალი გზების სიმაგრეთა დასაცავი კვანძი... გორი მდებარეობს საქართველოსა და რუსეთს შორის მიმავალ ორ გზას შუა. ერთ გზად მე ვთვლი ჯერ არ არსებულს, მაგრამ შესაძლებელს – შავი ზღვის სანაპიროდან მომავალს, ხოლო მეორე გზად – საქართველოს სამხედრო გზას, თაგაურთ ხეობაზე რომ გაივლის*“[2].

წერილში შემდეგ ნათქვამია, რომ საქართველოში რუსეთის ჯარების მთავარსარდალს ა. პ. ერმოლოვს (წერილის ავტორი გვარს არ ასახელებს, იძლევა მხოლოდ ინიციალს – „ე“) გაუთვალისწინებია გორის ხელსაყრელი მდებარეობა და მისი თბილისისათვის დაპირისპირება განუზრახავს. ერმოლოვს, მეფის კოლონიური პოლიტიკის გამტარებელს, კარგად ესმოდა, რომ დამოუკიდებლობა დაკარგული ქართველი ხალხისათვის თბილისი მისი ისტორიის, კულტურის, ეროვნული თვითშეგნებისა და კონსოლიდაციის კერად რჩებოდა. ახალ ვითარებაში, თბილისიდან მმართველობის აპარატის გორში გადატანით, საქართველოს ისტორიული დედაქალაქი თანდათანობით დაკნინდებოდა და იგი ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრის მნიშვნელობას დაკარგავდა.

ერმოლოვმა განიზრახა გორიდან გაეყვანა გზები რუსეთისაკენ თაგაურის ხეობით ოსეთსა და იმერეთზე გავლით. მან 1825 წ. ერთ-ერთი ინჟინერი, ხერსონის გრენადერთა პოლკის როტის თანხლებით, ჯავის, კასარისა და ალაგირის ხეობებით ყაბარდოში გაგზავნა. რაზმმა მამისონის ხეობაში სოფელ ტიბიმდე მიაღწია. მისი შემდგომი წინსვლა ადგილობრივმა შეიარაღებულმა მოსახლეობამ შეაჩერა და რაზმი გორში დაბრუნდა. მეორედ გაგზავნილი ექსპედიცია ჯავიდან აჰყვა დიდ ლიახვს და ჯამაგისა და ზიხის ხეობების გავლით ნარამდე მივიდა. ამას იქით ოსებმა აღარ გაუშვეს. შემდგომშიც რამდენჯერმა სცადეს აღნიშნული გზის შესწავლა, მაგრამ წარუმატებლად. მაშასადამე, შიდა ქართლის ჩრდილო კავკასიასთან დამაკავ-

---

[1] *Гори древная столица Карталании // «Московский телеграф», 1833, №16, август, с. 493-512.*

[2] *Гори древная столица Карталании, с. 496-497; გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, თბ., 1954, გვ. 9.*

შირებელი ისტორიული დვალეთის გზის გამოცოცხლების ცდამ და თბილისიდან *„გორში ყველაფრის გადატანის, ყველაფრის თავმოყრის“* განზრახვამ მარცხი განიცადა.

არქეოლოგია გორის შესახებ

გორში საფუძვლიანი არქეოლოგიური კვლევა არ ჩატარებულა, მაგრამ შემთხვევით მიგნებულმა სხვადასხვა ნივთმა, სამარხმა და ნაგებობამ საკმაო მასალა მოგვცა მისი უძველესი წარსულის შესასწავლად.

1850 წ. გორში აღმოჩნდა პართიული დრაქმების განძი, რომელიც ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. მეოცე საუკუნის დასაწყისში აღმოჩნდა ე. წ. კოლხური სტრატერი (თრაკიის მეფის ლისიმაქეს სტრატერის[1] მინაბაძი), რომელიც III-I სს. განეკუთვნება. აღმოჩნდა, აგრეთვე ეგვიპტის დედოფალ კლეოპატრას და ანტონიუსის მოჭრილი მონეტა. *„ასეთი ნუმიზმატიკური მონაცემები, ასეთი თავმოყრა სამონეტო ერთეულებისა, ეჭვს გარეშეა, დაკავშირებული იყო მძლავრ და მნიშვნელოვან ბაზართან, რომელიც, თავის მხრივ, მძლავრ სახელოსნო-სავაჭრო ცენტრთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული“*[2].

1939 წლის ივლისში საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილებამ საკონტროლო გათხრები ჩაატარა გორის ციხეზე. აღმოჩნდა ძვ. წელთაღრიცხვის I საუკუნის ქალის ქანდაკების ფრაგმენტი (რომელიც შენობის კარნიზის ფრაგმენტი უნდა იყოს). იგი დამზადებულია ქვიშაქვისაგან (ინახება გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში). მიკვლეულია სხვა მასალებიც[3].

1940 წ. მარტში გორის პედინსტიტუტის წინ, ჭავჭავაძის ქუჩაზე, მიწის სამუშაოების წარმოებისას 2,10 მ სიღრმეში აღმოჩნდა სამარხი.

---

[1] ლისიმაქეს (ძვ. წ. ა. 306-381) სახელით მოჭრილი ოქროს მონეტა, რომელიც საერთაშორისო ფულადი ერთეულის როლს ასრულებდა და ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოშიც. იხ. *დონდუა გ., საქართველოში გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი მონეტები. „მაცნე“, ისტორიის სერია, თბ., 1973, №1.*

[2] *ჭილაშვილი ლ., ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, გვ. 53. Гори, древная столица Карталинии. Московский телеграф, 1833, №16, август, с. 493-512.*

[3] *ბერძნიშვილი ი., გორის ციხე, თბ., 1960, gv. 11. Гори, древная столица Карталинии, с. 496-497; გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, თბ., 1954, gv. 9.*

ადამიანი პირდაპირ მიწაში იყო ჩამარხული. მასში მოიძებნა მძივები, თიხის ჯამი[1].

იმავე წლის აპრილში, იმავე ქუჩაზე (ახლანდელი გორის უნივერსიტეტის მეორე კორპუსის პირდაპირ) აღმოჩნდა კიდევ სხვა სამარხი, რომლის სიღრმე იყო 2 მ. სამარხში ადამიანის დაშლილ ჩონჩხთან ერთად აღმოჩნდა პართიის მეფის გოტარზესის (ჩვენი წ. ა. I საუკუნე) ვერცხლის დრაქმა, მძივები (ეგვიპტური პასტის, სარდიონის, ბროლის ნატეხები), ლითონის სამკაულები (ვეცხლის ბეჭედი ლალის თვლით, ბრინჯაოს კუშტული), თიხის ჯამი[2].

ი. ჭავჭავაძის ქუჩაზე, კვლავ მიწის სამუშაოებისას, აღმოჩნდა მესამე სამარხი 2 მ სიღრმეში. მასში იყო მინისა და თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს ზანზალაკი[3].

ს. მაკალათიას აზრით, გორში აღმოჩენილი სამკაულები იდენტური იყო მცხეთის იმავე საუკუნის სამკაულებისა. აღმოჩენილი სამარხები მან დაათარიღა I-II საუკუნით, როცა იბერიის სამეფო რომის იმპერიის გავლენის ქვეშ იყო, მაგრამ იგი მაინც ინარჩუნებდა მჭიდრო კულტურულ კავშირს აღმოსავლეთის ქვეყნებთან, კერძოდ პართიასთან[4].

გორის წარსულის შესწავლის თვალსაზრისით უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1946 წ. 5 აპრილს გორის ციხის ჩრდილოეთის ფერდობის მოზვავებისას გამოჩენილი ძველი ციხის კედლის ნაშთს და კერამიკულ ნატეხებს. კედელი ნაშენები იყო თლილი ქვით. ძველი ნაგებობა და ნივთები (კერამიკული ნაწარმი, ქვიშაქვის გათლილი კვადრები, აგური, კრამიტი) ადგილზე ინახულეს მკვლევარებმა (გ. ნიორაძე, გ. გობეჯიშვილი, ი. ციციშვილი და დ. გვრიტიშვილი). აღმოჩენილი ნივთები მათ ბაგინეთის სინქრონულად მიიჩნიეს[5].

---

[1] *მაკალათია ს., გორში აღმოჩენილი ნეკრიპოლის დათარიღებისათვის //ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, II, გორი, 1947, გვ. 99.*

[2] *იქვე, გვ. 99-100*

[3] *მაკალათია ს., გორში აღმოჩენილი ნეკროპოლის დათარიღებისათვის, გვ. 104.*

[4] *ჭილაშვილი ლ., ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, გვ. 53.*

[5] *აფაქიძე ა., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბილისი. 1963, გვ. 22, 74, 76.*

გასათხრელი დამეწყრილი უბანი,
ხედი ჩრდილოეთიდან (2015წ.)

მკვლევართა აზრით, გორი, მისთვის დამახასიათებელი მშენებლობის ყველა ნიშნის მიხედვით, განეკუთვნება ანტიკურ ქალაქთა რიგს. გორში არსებობდა საფორტიფიკაციო-თავდაცვითი ნაგებობანი, რომელიც გამოირჩეოდა გრანდიოზულობით და მშენებლობის ხელოვნებით. კლდეში ამოკვეთილ ფოსოებში ჩასმულ ქვათლილთა საძირკველზე ამოყვანილი იყო ალიზის დიდი კედლები. კლდეში ჩამაგრებული ქვათლილები ერთიმეორესთან გადაბმული იყო უწყვეტით. ალიზის წყობა გარდიგარდმო დატანებული მუხის ძელებით შეუმაგრებიათ და შეულესიათ. ზღუდეს მონოლითური სახე ჰქონდა. კოშკები და კონტრფორსები ოთხკუთხა კრამიტით იყო გადახურული[1].

გორის ციხის ტერიტორიაზე მიკვლეული სიძველის მრავალი ნაშთი შეიძლება ადრეანტიკური და ელინისტური ხანით დათარიღდეს[2]. აღმოჩნდა, რომ უძველეს დროში, ბორცვის ჩრდილო ფერდობზე, მოწყობილი ყოფილა თიხის ჭურჭლის, აგურის, კრამიტის, წყალსადინარი მილების საწვავი ქურა, რომელსაც აღნიშნული ქვის კედელი ამაგრებდა. ქურის ადგილას აღმოჩნდა, აგრეთვე, ალიზის კედელი. თითოეული ალიზის სიგრძე 60-65 სმ-ია, სიგანე – 10 სმ. იქვე იყო დიდი მოცულობის მრგვალი ფორმის ზედაპირმოსწორებული კლდე, რომელსაც ზევიდან ედო ბრტყელი სიპი ქვა, გარშემო კი ეყარა ნახშირი და თიხის ჭურჭლის ნამტვრევები. მისგან სამი მეტრის მოშორებით ეყარა მოყვითალო-მოწითალო ფერის ქვები. ვარაუდობენ, რომ ხელოსნები მას იყენებდნენ დამხმარე მასალად[3].

---

[1] გორის ციხის ნაგებობანი გადახურული ყოფილა მცხეთური კრამიტით. *აფაქიძე ა., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, გვ. 22, 74, 76. გამოიყენებოდა ორგვარი კრამიტი: ბრტყელი, გვერდებაკეცილი (სოლენის ტიპის) და ღარისებური (კალიპტერის ტიპისა).*

[2] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბილისი 1970, გვ. 716.*

[3] *ჭილაშვილი ლ., ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, გვ. 53.*

უაღრესად საინტერესოა გორში მეწყერის შედეგად გამოჩენილი ანტიკური კედელის ფრაგმენტისა და სხვა არტეფაქტების ბერძენიშვილისეული შეფასება საქართველოს ისტორიისათვის. მეწყერის ჩამოწოლიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ (1946 წლის 11 მარტი), ნ. ბერძენიშვილი წერდა აკად. სიმონ ჯანაშიას, რომელიც

მძიმე სენით შეპყრობილი აფხაზეთში მკურნალობდა. სხვადასხვა მნიშვნელოვან ამბებთან ერთად ნ. ბერძენიშვილი ადრესატს აცნობებდა: „გორის ამბავს ალექსი[1] გეტყვის. როგორც დაინახავ, დიდი საქმე გაჩნდა. გააზრება და მოვლა სჭირია: ჩვენი ღირსების საკითხია... ჩნდება და როგორი მედიდურობით, ანტიკური საქართველო...“[2]. როგორც ჩანს, გორში მომხდარმა ფაქტმა ნ. ბერძენიშვილი აალაპარაკა ზოგადად საქართველოში არქეოლოგიის, როგორც მეცნიერების სავალალო მდგომარეობაზე. „ძველი ქართული ქალაქების თუ ციხეების შესწავლა („გათხრა“) უნდა თავს იდონ საქართველოს ისტორიის სპეციალისტებმა... სავარჯიშო შრომა არქეოლოგიურ ძეგლზე ყოვლად დაუშვებელია. არმაზ-ბაგინეთი, ოსეთი, დას. საქართველო... ეხლა უეჭველია გორი. არა კმარა ერთი ჯერობისათვის? რაღაც რიგი, თანდათანობა, დასპეციალება უნდა განხორციელდეს...“[3]



1946 წლის მეწყერით გამოჩენილი ციტადელის კედლის ჩანახატი (გ. ლომთათიძის მიხედვით)

1950 წ., ქ. გორის ადმინისტრაციული სახლის საძირკვლის მშენებლობისას, აღმოჩნდა სამარხები. სამარხებში ადამიანების ნაშთებთან ერთად იყო მონეტები, მინისა და სარდიონის მძივები, ზანზალაკი, თიხის ჭურჭელი და სხვ. აღმოჩნდა, აგრეთვე, ქვევრ-სამარხი. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული ეს ნივთები თარიღდება ძვ. წ. ა. II-I საუკუნით[4].

---

[1] ალექსი რობაქიძე, ცნობილი ეთნოგრაფი.

[2] *ჯანაშია რ., ნიკო ბერძენიშვილის უცნობი წერილები // თბილისის უნივერსიტეტის შრომები 328. ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, თბილისი, 1999, გვ, 263.*

[3] *იქვე, გვ, 263-264.*

[4] *ბერძნიშვილი ი., გორის ციხე, გვ. 12.*

სხვადასხვა დროს გორში აღმოჩენელი ზოგიერთი ნივთი,
რომლებიც დაცულია გორის ისტორიულ ეთნოგრაფიულ მუზეუმში

ამგვარად, გორის, როგორც ციხე-ქალაქის ისტორია ისევე შორეულ ხანაში იწყება, როგორც მცხეთისა, ე.ი. ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის მეორე ნახევარში[1].

ზემოჩამოთვლილი აღმოჩენების მშენებლობის ტექნიკის, ნუმიზმატიკური მონაცემების გათვალისწინებით, უფლება გვაქვს, გორი ძლიერ ანტიკურ დასახლებად, ქალაქად[2] ან ქალაქის ტიპის პუნქტად ვაღიაროთ[3].

გორის ხელსაყრელი მდებარეობა მშვენიერ პირობებს ქმნიდა მასში ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებისათვის. ამაზე მიგვითითებს ქ. გორის და მისი ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ადგილობრივ დამზადებული თუ იმპორტული საგნები, ნუმიზმატიკური მასალა. კრამიტის დამზადებაზე მიუთითებს აღმოჩენილი ნიმუშები, რომლებიც ძვ. წ. ა. IV-III სს. თარიღდება. კრამიტი უნდა გამოეყენებინათ საერო, საკულტო და სასიმაგრო ნაგებობების გადასახურად[4]. სამშენებლო საქმის მაღალ დონეზე მიგვანიშნებს ანტიკური ხანის გორის ციხის ნაშთები. შეიძლება გავიხსენოთ სტრაბონის სიტყვები: „*იბერია მეტწილად კარგად არის დასახლებული ქალაქებითაცა და დაბებითაც, ისე რომ იქ არის კრამიტიანი სახურავები, სახლები არქიტექტურულად მოწყობილი, ბაზრები და სხვა საზოგადო (დაწესებულებანი)*“[5]. სტრაბონი, მართალია, კონკრეტულად, გორს არ ასახელებს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი იბერიის „ქალაქებსა და დაბებში“ გორსაც გულისხმობდა.

1990 წლის გათხრებისას[6] ციტადელის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელთან (სურ. 1). გამოვლინდა გვიანი შუა საუკუნეების დროინდელი მარანი წყლის ან ღვინის შესანახი ქვევრებით, რომლებიც ჩადგმულია (სურ. 1-5). ქვევრების ნაწილს პირები სხვადასხვა დონეზე აქვს, რაც შესაძლოა ამ ადგილას რელიეფის დახრილობითაც იყოს

---

[1] *ლომთათიძე გ., წინაპართა ნაკვალევი. საქართველოს არქეოლოგიის ნარკვევები, თბ., 1952, გვ. 138.*

[2] *ჭილაშვილი ლ., ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, გვ. 54.*

[3] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 62.*

[4] *იქვე, გვ. 716.*

[5] *ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 127.*

[6] გათხრების საერთო ხელმძღვანელი – იულონ გაგოშიძე, ციტადელის უბნის ხელმძღვანელი – გიორგი მინდიაშვილი. ფოტოები და ნახატები გადმომცა არქეოლოგმა გიორგი მინდიაშვილმა რისთვისაც მადლობას ვუხდი.

განაპირობებული და დანგრეული მარნის განახლებითაც (სურ. 5). ქვევრების ორმოებს ჩაჭრილი აქვს წინამორბედი, ასევე გვიანი შუასაუკუნეების, პერიოდის კულტურული ფენა და თავადაც დაზიანებული და გადაფარულია მომდევნო დროის შენობათა კედლის ფრაგმენტებით (სურ. 2- 4).

გორის ციხის არქეოლოგიური შესწავლის მიზნით 2017 წლის ივლისში შეიქმნა არქეო-გეოფიზიკური ექსპედიცია შემდეგი შემადგენლობით: პროფ. ჯემალ ქირია – ექსპედიციის ხელმძღვანელი; აკადემიური დოქტორი გოგი მინდიაშვილი – ეროვნული მუზეუმის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, გოროსა სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი, არქეოლოგი; მეცნიერებათა დოქტორი დავით ოდილავაძე – გეორადიოლოკაციური ჯგუფის ხელმძღვანელი; მეცნიერებათა დოქტორი ნოდარ ვარამაშვილი – ელექტროსაძიებო ჯგუფის ხელმძღვანელი; მეცნიერებათა დოქტორი ავთანდილ თარხნიშვილი – ექსპედიციის წევრი.

გორის ციხის შიგა და მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული კომპლექსური გეოფიზიკური გამოკვლევების მიზანს შეადგენდა:

გორის ციხის შიგა ტერიტორიაზე ნიადაგის ფენის სიმძლავრის დადგენა და მასში არქეოლოგიური ობიექტების (კედლები, გვირაბები, კულტურული ფენები) გამოვლინება და დადგენა.

ექსპედიციის მიზანი იყო გორის ციხის მიმდებარე არქეოლოგიური ობიექტების (კედლები, გვირაბები, კულტურული ფენები) გამოვლინება და შემოკონტურება.

2017 წლის 2 ნოემბერს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრში შექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალის განხილვა.

ექსპედიციის წევრების დასკვნა იყო შემდეგი: 1. გორის ციხის ტერიტორიის გარე პერიმეტრის 500 მჰც და 300 მჰც გეორადიოლოკაციური ეკრანირებული ანტენებით მიღებული გეორადარული პროფილების ინტერპრეტაციის შედეგად მოინიშნა რიგი ობიექტებისა რომელთა რადიოსახე დიდი ალბათობით მიუთითებს შემოსაზღვრული ღრუ სივრცის არსებობას.

2. გორის ციხესიმაგრის შიდა ტერიტორიის გეორადიოლოკაციური (300 მჰც და 500 მჰც სიხშირის ეკრანირებული ანტენებით) პირველადი გამოკვლევის (გატარებულ პროფილებზე) შედეგად დაფიქსირდა ფუნდამენტის ნარჩენები, ანტროპოგენული წარმოშობის ობიექტები.

3. გორის ციხის ტერიტორიის გარე პერიმეტრის ვერტიკალური ელექტრული ზონდირების მეთოდით შესწავლის საფუძველზე მოინიშნა გარკვეული არე, რომელიც შეიძლება შეესაბამებოდეს შემოსაზღვრული ღრუ სივრცის ან არქეოლოგიური ნაშთების არსებობას.

ამის შემდეგ საქმეში უნდა ჩაერთონ არქეოლოგები.

დავუბრუნდეთ იმ მატერიალურ და წერილობით ცნობებს რომლებიც დღეისათვის გაგვაჩნია. მათზე დაყრდნობით, გამოთქმულია მოსაზრება, რომ შესაძლებელია „დიდი მცხეთის“ მსგავსად არსებულიყო „დიდი კასპი“ – დასახლებათა კომპლექსი, რომელშიც შედიოდა გორის ციხე, უფლისციხე, კასპი და მიმდებარე რაიონები. წმ. ნინოს ცხოვრებაში ნათქვამია, რომ მირიან მეფის დროს არსებობდა სამი დიდი ციხე: ასპი, კასპი და უფლისციხე. შეიძლება ასპში გორის ციხე ვიგულისხმოთ. ამგვარი დაშვების საფუძველს იძლევა გორსა და კასპში აღმოჩენილი ნივთიერი კულტურის ძეგლები და, შეიძლება ვთქვათ, რომ იმ შორეულ წარსულში გორი ქალაქური ტიპის დასახლება იყო. იგი, მტკვრის გაყოლებით მდებარე უფლისციხესა და კასპთან ერთად, ქმნიდა ქალაქური დასხლების ერთიან კომპლექსს, მსგავსად „დიდი მცხეთისა“[1]. მაგრამ ამ კომპლექსში წამყვანი ადგილი ეკავა უფლისციხეს, რომელიც ძვ. წ. ა. V-IV საუკუნეებში გადაიქცა *„ზენა სოფლის“ (შიდა ქართლის) პოლიტიკურ (და რელიგიურ?) ცენტრად“*.

„ამ დროის გორისა და კასპის რაიონები იქ მოსახლე თემებით უფლისციხის გავლენის სფეროში შედიან“[2]. *„უფლისციხე – კასპი – გორის „ქვეყანა“ აღმოსავლეთით „დიდი მცხეთის“ „ქვეყანას“ ემიჯნებოდა, ხოლო დასავლეთით – „ურბნისის ქვეყანას“*[3].

გორის ციხისა და კასპის წარმოქმნის შემდეგ, ის რაიონი, რომლის მოსახლეობასაც უფლისციხე ემსახურებოდა და ექსპლუატაციას უწევდა, უნდა შემცირებულიყო. ლიახვის ხეობა, თანდათანობით გორს დაუკავშირდა, ხოლო ლეხურის კასპს. უფლისციხის დასუსტების პროცესი ნელა მიმდინარეობდა. იგი თავის მნიშვნე-

---

[1] *Меликишвили Г., К истории древней Грузии, Тбилиси, 1960, с. 239-240.*

[2] *ხახუტაიშვილი დ., იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, თბ., 1960, გვ. 95.*

[3] *ხახუტაიშვილი დ., იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, გვ. 103.*

ლობას ინარჩუნებდა ანტიკურ ეპოქაში, ხოლო შუა საუკუნეებში, XII საუკუნემდე, უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტი იყო[1].

უფლისციხის მნიშვნელობის შესუსტებისდა მიხედვით იზრდებოდა გორის მნიშვნელობა. ეს პროცესი მით უფრო შეუქცევადი ხდებოდა, რაც უფრო ძლიერდებოდა საქართველოს სახელმწიფო. საქართველოს გაერთიანებისა და მტრის თარეშის ალაგმვის შემდეგ უფლისციხემ საბოლოოდ დაკარგა თავისი მნიშვნელობა და „მან პირველობა გორს დაუთმო“[2]. საბოლოოდ, გორის გაქალაქება დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირდება. დავითის დროს „*გორის ციხე და მისი მიმდგომი დაბა ქალაქად იქცა*“[3].

სახელისათვის

ყოველივე ზემონათქვამიდან გამომდინარე, საფუძველი გვაქვს ვილაპარაკოთ ანტიკური გორის შესახებ. მაგრამ, სამწუხაროდ, არ ვიცით რა ერქვა მას იმ ეპოქაში. ძველი თუ ახალი დროის მკვლევარებს აინტერესებდათ და აინტერესებთ გორის წარსული და, ბუნებრივია, მისი სახელიც.

ქართულ ისტორიოგრაფიაში თითქმის უცილობელ ფაქტად იყო მიჩნეული, რომ გორი პირველად მოხსენიებულია XI საუკუნის ისტორიკოსის ჯუანშერის თხზულებაში („ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“), როცა ის მოგვითხრობს VII საუკუნეში მეფე სტეფანოზის მიერ თავისი ვაჟებისათვის – არჩილისა და მიჰრისათვის საგანძურის განაწილების ამბავს. „*ხოლო არჩილ დაჰფლა საგანძური უფროსი ჴევსა კახეთისასა; ხოლო სამსახურებელნი ოქროსა და ვერცხლისანი ჴევსა უჯარმისასა, და საგანძური ქართლისა და ჯავახეთისანი დასხნა გორს. რომელი მანვე ერეკლე განაჩინა სამალავად განძთა მათთჳს, რომელნი თანა ვერ წანაქონდეს. სახელი გორისა მის არს*

---

[1] *იქვე.* დ. გვრიტიშვილს მიაჩნდა, რომ X-XI საუკუნეებში, უფლისციხე კვლავ ქართლის პოლიტიკური ცენტრი იყო. *იხ. მისი გორის ისტორია, გვ. 13.*

[2] *იქვე, გვ. 14.*

[3] *ბერძენიშვილი ნ., დონდუა ვ., მელიქიშვილი გ., მესხია შ., რატიანი პ., საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 175-176.*

ტონთიო, რომელ არს თარგმანებით „მთა ოქრო-სა“[1]. და დასუა მას ზედა ტილისმი, რათა ვერ ვინ შეუძლოს გამოდებად. ხოლო საგანძურნი ყოველთა ქართლისა ეკლესიათანი დაფლნა აჩრდილსა დიდისა სიონისასა მცხეთას. და შემდგომად მცირედთა ჟამთა შევიდა არჩილცა ეგრადვე“[2].

ჯუანშერი, ერთი შეხედვით, ახსენებს გორს, რომელიც ბიზანტიის კეისარს ჰერაკლეს პირველად გამოუყენებია განძის სამალავად და თანაც სახელი – ტონთიო („მთა ოქროსა“) უწოდებია. ვახუშტი ბატონიშვილმა არასწორად გაიგო ჯუანშერის ნათქვამი და მისი შემდეგნაირი ინტერპრეტაცია მოგვცა: „*ხოლო არჩილ საგანძური დაფლა უჯარმის ჭევსა და საგანძურნი ქართლისა გორს, რომელი კეისარს ერეკლესავე განეჩინა*“[3]. ვახუშტი „გორის ქალაქის“ აღწერისას, მართალია, არ ახსენებს ჯუანშერს, მაგრამ ნათლად ჩანს, რომ მას გულისხმობს, როცა ამბობს: „*გარნა ცხოვრებასა წერილ არს: „ერეკლე კეისარმან უწოდა ტონთიო (რომელ არს ოქროს მთა) და ჰყო საფლველად საგანძურთა*“[3].

დიდად საყურადღებოა გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული მეფე ვახტანგ VI-ის სიგელი, საიდანაც ირკვევა, რომ იმ კლდეს, რომელზეც აგებულია ციხე, თამარ მეფის დროს კვლავ ტონთიო რქმევია, მისი მიდამოები კი დაუსახლებელი ყოფილა. „*ამისდა სახილველად მოვიდა თვით მეფაჲ ესე თამარ დიდებულ და მას ჟამსა იხილა ბორცვი ერთი, რომელ არს გორაკა კლდე ტონთიოდ სახელდებული და შუა ლიახვს და მეჯუდას შინა მაღნაროვანი, ტყისაგან შეფარული, მოეწონა და განაკაფინა და აღაშენა ეკლესია სახელსა ზ~ა ოქონის ღვთისმშობლისა*“[4]. დაახლოებით იგივეა განმეორებული 1725 წლის ერთ-ერთ სიგელში[5].

ვახუშტი, შეიძლება ითქვას, გამოხატავს თავისი დროისათვის გავრცელებულ აზრს. მართალია, სიგელს ბოლოში აქვს მინაწერი:

---

[1] თ. მესხის განმარტებით, გორაკის სახელწოდება – „ტონთიო“ ბერძნულიდან მომდინარეობს და ანგელოზთა მთას ნიშნავს. *მესხი თ., ოქონის ხატის რაობისა და ისტორიისათვის თბ., 2015, გვ. 25.*

[2] *ქართლის ცხოვრება / ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959, გვ. 233.*

[3] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 124.*

[4] *იქვე, გვ. 367.*

[5] *გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი №7601/57 (შემდეგში – გსიემ)*

„გამომძიებელი ამისი და დამამტკიცებელი თვით მპყრობელი და ერანის სპასლარი ვახტანგი“, მაგრამ არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ ვახუშტი ბატონიშვილი იყოს ამ მოსაზრების ავტორი.

შემდგომი პერიოდის თითქმის ყველა მკვლევარი ჯუანშერის ცნობას იგებდა ისე, როგორც ვახუშტიმ გაიგო. დ. გვრიტიშვილმა, მატიანედან მოყვანილი ციტატის საფუძველზე, დაასკვნა: ჯუანშერისათვის გორი VII საუკუნეში საკმაოდ გამაგრებულ ციხესიმაგრედ ითვლებოდა, სადაც სახელმწიფო ქონების დაცვა შეიძლებოდა. მტერსაც კი სცოდნია, რომ გორი მიუვალ ციხე-სიმაგრე ყოფილა. ასევე აქვს გაგებული ზემომოყვანილი წყარო შ. მესხიას[1].

პირველი, ვინც ჯუანშერის „გორი“ საკუთარ სახელად არ მიიჩნია, იყო ს. ყაუხჩიშვილი. მან „ქართლის ცხოვრების“ I ტომის (აქვეა შეტანილი ჯუანშერის თხზულება) სახელთა საძიებელში არ მიუთითა „გორი“, როგორც საკუთარი სახელი. აქ ჩვენ ვნახულობთ მხოლოდ „ტონთიოს“, რომელიც მკვლევარმა ისევ ტექსტის მიხედვით განმარტა („მთა ოქროსა“) და აღნიშნა, რომ „მატიანე ქართლისაში“ დასახელებულია იმავე სახელწოდების სოფელი, ჯავახეთში[2].

მატიანის ტექსტს თუ ჩავუკვირდებით, გარკვევით ჩანს, რომ „გორი“ სახელი კი არ არის, არამედ გორი/ბორცვია. ჯუანშერი ხომ პირდაპირ ამბობს: „სახელი გორისა არის ტონთიო“, ე.ი. ტონთიო იმ გორის/გორას/ბორცვის სახელია.

მემატიანე ამბობს, რომ არჩილმა ქართლისა და ჯავახეთის საგანძური დაფლა, ადრე, ჰერაკლეს მიერ საგანძურის შესანახად გამოყენებულ ბორცვში (გორაში). შემდეგ ხაზგასმით მიუთითებს, რომ იმავე არჩილმა ქართლის ეკლესიის განძი მცხეთაში *„დაფლნა აჩრდილსა დიდისა სიონისასა“*. მაშასადამე, არჩილს განძის ერთი ნაწილი, კერძოდ საერო, შეუნახავს ჯავახეთში – ტონთიოში, ხოლო მეორე, ეკლესიისა კი – მცხეთაში.

ჯუანშერი რომ ჯავახეთის ტონთიოს გულისხმობდა და არა გორს, ყურადღება მიაქციეს მკვლევრებმა ჯ. გვასალიამ და დ. ბერძენიშვილმა[3].

მტკვრისა და ლიახვის შესართავთან არსებული ქალაქის სახელი გორი ქართულ საისტორიო მწერლობაში XII საუკუნიდან ჩნდება,

---

[1] *გსიემ, №169.*

[2] *გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 6; მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, თბ., 1983, გვ. 98.*

[3] *ქართლის ცხოვრება, I, გვ. 422, ტონთიო.*

როცა დავით IV აღმაშენებელმა იგი ქალაქად გადააქცია. მანამადე რა ერქვა იმ ადგილს, რომელიც ანტიკური დროიდან იყო დასახლებული? ალბათ სიმართლესთან ახლოს ის ვერსია უნდა იყოს, რომელსაც გვთავაზობს ვახუშტი ბატონიშვილი, როდესაც იგი გორის შესახებ აღნიშნავს: *„ამან სახელი მოიგო გორისაგან, რომელი აღმოსრულ არს მუნ დიდი“*[1]. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ნ. ბერძენიშვილის ჰიპოთეზი „გორაებთან“, ანუ ბორცვებთან დაკავშირებით: *„გარკვეულ დროს ჩვენი წინაპრები, საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ საფეხურზე, ისევე როგორც სხვა ხალხის წინაპრებიც, „გორაებად“* სახლობდნენ... რომ ეს *„გორაები ჩვენი წინაპრების სოციალური განვითარების გარკვეული საფეხურის მანიშნებელია, რომ ეს „გორაები“ იყო საფუძველი, საიდანაც განვითარდნენ უძველესი „დაბები“, „ქალაქები“, „ციხეები“, „სალოცავები“*[2]. ნ. ბერძენიშვილი იქვე მიუთითებს, რომ ქართლის ყველა ძველი ქალაქი, მათ შორის გორი, თავდაპირველად „გორა“ იყო. აქ, რა თქმა უნდა იგულისხმება ის პერიოდი, როცა ქალაქი, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, ჯერ არ არსებობდა, თუნდაც მცირე გამაგრებული ადგილის სახით გაჩნდა. კლდოვანი გორა (ბორცვი) იმდენად გამოკვეთილი იყო მის ირგვლივ არსებული რელიეფისაგან, რომ მის სამხრეთ ფერდობზე გაშენებული დასახლებისათვისაც ასეთი სახელის (გორა/გორი) შერქმევა სავსებით მოსალოდნელი იყო.

---

[1] გორი, იშვიათად, მაგრამ მაინც, იწოდებოდა სხვადასხვა სახელით. XVII ს. რამდენიმე სპარსულ წყაროში გორს „სეფიაბადი“ – რჩეული ქალაქი, საამო ქალაქი ჰქვია. *ქართულ-სპარსული საბუთები / ტექსტი დაადგინა და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, თბ., 1955, №№143, 150, 156.* იოანე ბაგრატიონი ერთგან ამბობს: „გორი ყასამჩა (ყარამჩა) ქალაქი“, ე.ი. პატარა დასახლებული პუნქტი. *ბაგრატიონი ი., ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 39; ქართულ-სპარსული საბუთები. ტექსტი დაადგინა და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, თბ., 1955, №№ 143, 150, 156.* XVII ს. ცნობილი ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის თქმით, სახელწოდება გორი წარმოდგება სიტყვისაგან, რომელიც „ღორს“ ნიშნავს, რადგანაც ღორები აქ დიდი რაოდენობითაა და თანაც საუკეთესო ჯიშისაა. *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 296.* მოგზაურის ამ გულუბრიყვილო განმარტების კომენტირებაზე თავს შევიკავებ.

[2] *ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 363.*

აქვე უნდა გავიხსენოთ ჯ. გვასალიას მიერ ვარაუდის სახით წამოყენებული მოსაზრება: *„ხომ, არაა შესაძლებელი, რომ გორის ძველი სახელი ყოფილიყო რეხი ან რეხის გორი, რომლისაგანაც გვიან შემოგვრჩა მხოლოდ გორი, ხოლო სახელი რეხი შერჩა მის მახლობლად მდებარე სოფელს (იქნებ გარეუბანს ან აგარას?)*“[1].

მკვლევარს ასეთი ვარაუდის დაშვების საფუძვლად მიაჩნია ის, რომ ამ სახელწოდების გეოგრაფიული პუნქტი დღესაც არის გორის ჩრდილოეთით 2 კმ-ის დაშორებით. არსებობს ზემო და ქვემო რეხი. რეხი მოხსენიებულია ლეონტი მროველის თხზულებაში II საუკუნის ამბებთან დაკავშირებით, კერძოდ, როცა მიმდინარეობდა ომი სპარსელებისა და ქართლელებისა სომეხთა, ბერძენთა და მეგრელთა წინააღმდეგ[2].

„აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ მიხედვით, აბიბოსი რეხაში გაასამართლეს და იქვე დასაჯეს სიკვდილით[3].

რეხთან მოხდა ბრძოლა ხალიფატიდან გამდგარი თბილისის ამირა საჰაკსა და მის მოწინააღმდეგებს შორის 842 წლის შემდგომ პერიოდში[4].

„მარტვილობაში“ თითქოს ჩანს, რომ რეხა არა ერთი რომელიმე კონკრეტული პუნქტის, არამედ მხარის, ქვეყნის აღმნიშვნელი სახელია. ის აღნიშნავს ზენა სოფელს (ან მის გარკვეულ ნაწილს). გამოთქმა *„გარემოს ქალაქებსა მას რეჴისასა“* კიდევ უფრო აძლიერებს ამ ეჭვს. *„რეხაში (მხარეში) რამდენიმე ქალაქი იგულისხმება. არაა გამორიცხული, რომ რეხის მხარის რომელიმე ცალკეულ პუნქტს (და იქნებ არა ერთს) ერქვა რეხი (რეხა)*“[5].

რა თქმა უნდა, არაფერი მაქვს იმის საწინააღმდეგო, რომ ძველად გორს თუნდაც რეხა რქმეოდა, მაგრამ არსებული მასალებით

---

[1] *გვასალია ჯ., ლიახვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები // საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, თბ., 1982, გვ. 54; ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი-თორი, ჯავახეთი, თბ., 1985, გვ. 94.*

[2] *გვასალია ჯ., ლიახვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, გვ. 52-53.*

[3] *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1946, გვ. 244-246.*

[4] *ქართლის ცხოვრება, I, გვ. 256.*

[5] *გვასალია ჯ., ლიახვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, გვ. 53.*

ამის არგუმენტირება შეუძლებელია. ჯერ ერთი, ზემოთ დასახელებული წყაროებით რეხის ლოკალიზება არ მოხერხდება. არ ჩანს რომ ნამდვილად დღეისათვის ცნობილ რეხაზეა ლაპარაკი, თუნდაც იმიტომ, რომ ლეონტი მროველის თქმით, ძველი რეხა მდებარეობდა მდ. ლიახვზე, თანამედროვე კი – მდ. მეჯუდაზე, გორიდან 5 კმ-ზე.

მეორე: ძნელია იმის დაჯერება, რომ „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობაში“ დასახელებულ რეხაში იგულისხმებოდეს არა ერთი რომელიმე პუნქტი, არამედ მხარე, ქვეყანა. თავის დროზე ივ. ჯავახიშვილმა ეჭვი გამოთქვა, რომ „მარტვილობაში“ შეცდომაა და რეხის, განსაზღვრული „სოფელის“ მაგიერ უნდა იყოს „ქალაქი“[1]. ერთ ფრაზაზე („გარემოს ქალაქებსა მას რეჯისასა“) დაყრდნობით ვერც იმას დავამტკიცებთ, რომ რეხაში ისეთი მხარე იგულისხმებოდა, რომელიც რამდენიმე ქალაქს მოიცავდა.

ვფიქრობ, „მარტვილობაში“ გასაგებად არის გაცხადებული: მოვიდნენ მამანი რეხის გარშემო, ირგვლივ (ტექსტში – „გარემო“, რაც ძველადაც ნიშნავდა: ირგვლივ, გარეშემო. ნიშნავდა მეზობელსაც) არსებული ქალაქებიდან.

მესამე: ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოებაც. ლეონტი მროველის მიერ აღწერილი ამბავი თარიღდება II საუკუნით, ხოლო „მატიანე ქართლისასი“ კი IX ს. 40-იანი წლებით. თუ გავიზიარებთ ჯ. გვასალიას მოსაზრებას, რომ ძველ გორს რეხა ერქვა და თვით რეხა (სოფელი თუ ქალაქი) გორის სიახლოვეს მდებარეობდა და იგი ისეთი მნიშვნელოვანი იყო, რომ იქ მარზპანმა აბიბოსი გაასამართლა, არ შეიძლება მაშინ ბორცვზე ციხე არ ყოფილიყო და ბრძოლები ამ ციხესთან არ მომხდარიყო. ეს კი მემატიანეს მხედველობიდან არ გამორჩებოდა. ლეონტი მროველი რატომ უნდა ამბობდეს, რომ ბრძოლა მოხდა მდ. ლიახვის პირას, რეხში, ხოლო „მატიანე ქართლისას“ ავტორი კი – „გამოვიდა საჰაკ ლაშქრითა და დადგა რეჯს“. ეს კი მაფიქრებინებს, რომ ძველად რეხის მახლობლად არავითარი სიმაგრე არ არსებობდა. არქეოლოგიური მონაცემებით კი ვიცით, რომ მაშინ გორის ბორცვი ციხესიმაგრით იყო დამშვენებული.

დასასრულ, რატომ მაინცდამაინც გორის სიახლოვეს რეხში უნდა მომხდარიყო აბიბოსის დასჯა? ხომ არსებობდა და დღესაც

---

[1] *ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 359.*

არსებობს სხვა რეხი წალკის რაიონში, სადაც შემორჩენილია ნანგრევები ეკლესიისა, რომელსაც „აბიბოს მონასტერი“ ერქვა[1].

სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს სომეხი ანონიმი ისტორიკოსის ფსევდო-შაპუჰ ბაგრატუნის „ისტორიაში“ დაცული ერთი ცნობა, რომელიც ვფიქრობ, X საუკუნის გორს შეეხება. იგი იმდენად მნიშვნელოვანი მგონია, რომ ვრცელი ამონაწერი უნდა მოვიყვანო. ფსევდო-შაპუჰი წერს: *„იმ დროს სუმბატმა მოისურვა ლაზთა ანუ აფხაზთა მეფესთან დამოყვრება. მან აფხაზთა მეფის თეოდოსის ქალიშვილი ცოლად შერთო თავის ვაჟს მუშელს და მეგობრები გახდნენ ისინი, მაგრამ სუმბატ მეფემ განიზრახა დაეპყრო აფხაზთა გავარი, რომელიც მდებარეობდა შირაკის გავართან ახლოს... როდესაც სუმბატმა ეს შეიტყო, შეკრიბა ჯარი და ბევრი ხალხი. იგი წავიდა აფხაზთა ქვეყნისაკენ და მიადწია ნოჰანთა ქვეყნამდე, სოფელ გორამდე, იქ იმყოფებოდა აფხაზთა მეფე და მასთან ერთად მუშელი. აფხაზთა მეფემ დააგუბა მდინარის წყალი, ციხე-სიმაგრეს წყალი შემოავლო და აღარ იყო შესაძლებლობა ქალაქში შესვლისა და იმ ყინულის გამო, რომლითაც დაფარული იყო მთელი ველი...*

დაბინავდნენ ისინი გაყინული მინდვრის ირგვლივ. სუმბატ მეფე ყოყმანობდა, რადგან არ ჰქონდა შესაძლებლობა სოფელ გორის დაპყრობისა. მაშინ ვასპურაკანის მთავარმა გურგენმა უთხრა თავის აზატებს... გამოვიდა გურგენი, წავიდა აზატებთან და შეატყობინა მათ მეფის ბრძანება. შემოასხდნენ და გაჰქუსლეს გაყინულ მინდორზე, როდესაც ისინი მიუახლოვდნენ სოფელს, გამოვიდნენ აფხაზთა მეფის ჯარები, გარშემოერტყნენ გაყინულ ნაპირებს, ჩა-თვალეს რა იგი საკუთარ ნადავლად. ისინი უახლოვდებოდნენ ჩუმად, ვინაიდან გურგენ მთავარმა დაარიგა თავისი აზატები... მიახლოვდნენ ისინი ხმელეთს, უეცრად რაღაც წამოიძახეს და შეძახილებისაგან აფხაზთა ჯარები უკუიქცნენ, გარსშემოერტყნენ და დაიწყეს მათი მახვილებით მოსრვა... მან (გურგენმა – ე.ი.) შეიპყრო აფხაზთა მეფე და მუშელი, სუმბატის შვილი და მოიყვანა ისინი სუმბატ მეფესთან. განცვიფრდა ყველა ტომი, რომლებიც მეფესთან იყვნენ. დათანხმდა აფხაზთა მეფე, გადასცა კანგარქი, გოგშენი და კოლი. მათ შორის მშვიდობა ჩამოვარდა“[2].

---

[1] *ქართლის ცხოვრება, I, გვ. 256.*

[2] *ცაგარეიშვილი ე., ანონიმი ისტორიკოსი (ფსევდო-შაპუჰი) და მისი „ისტორია“ // „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, V, თბ., 1975, გვ. 162-163.*

ფსევდო-შაპუჰი გორს სამჯერ „სოფელს“, ხოლო ერთხელ „ქალაქს“ უწოდებს. X საუკუნეში გორის ქალაქად მოხსენიება „ისტორიის“ ავტორის ან გადამწერის უნებლიე შეცდომა უნდა იყოს[1].

ანონიმის მიერ გადმოცემულ ბრძოლას თითქოსდა უნდა ეხმაურებოდეს „მატიანე ქართლისას“ ის ადგილი, სადაც ნათქვამია: *„მას ჟამსა გამოვიდა კონსტანტი, აფხაზთა მეფე, დაიპყრა ქართლი, და უმტერა სომეხთა მეფე სუმბატ ტიეზერაკალი, გამოილაშქრა სპითა დიდითა, და მოადგა უფლისციხესა, და მოიღეს პალან-კურდანი, აღმოაგეს ზემო-კერძო და წარიღეს ციხე ჭრიკითა ხოლო კეთილად იმზახსნეს სუმბატ და კონსტანტი, და უკუმოსცა უფლისციხე და ყოველი ქართლი“*[2].

ანონიმური „ისტორიის“ მკვლევარნი ვერ თანხმდებიან მისი დაწერის თარიღზე. ნ. ანიკიანს და ი. მარკვარტს XI საუკუნის ძეგლად მიაჩნდათ. მ. აბელიანი უფრო აკონკრეტებს თარიღს – უპირატესობას ანიჭებს XI ს. პირველ. ათწლეულს. ჰ. აჭარიანი კი XIII საუკუნისად მიიჩნევს. მ. ტერ-მოვსესიანი XII-XIV საუკუნეებით ათარიღებს. ჯერ მ. დარბინიან-მელიქიანმა, შემდეგ ე. ცაგარეიშვილმა იმ ფაქტს მიაქციეს ყურადღება, რომ ანონიმი გორს ასახელებს. მათ უცილობელ ფაქტად მიაჩნიათ XII ს. სომეხი ისტორიკოსის მათეოს ურჰაეცის ცნობა დავით აღმაშენებლის მიერ გორის დაარსების შესახებ. აქედან დასკვნა: გორი თუ დავით აღმაშენებელმა დაარსა, მაშასადამე ფსევდო-შაპუჰი, რადგან გორს ასახელებს, XII საუკუნეზე ადრინდელ ისტორიკოსად არ ჩაითვლება.

მართალია, ა. აბდალაძეს სავსებით დასაშვებად მიაჩნია დავით აღმაშენებლის მეფობამდე, კერძოდ X საუკუნეში, გორის სოფლის არსებობა, მაგრამ თვლის, რომ ფსევდო-შაპუჰის მიერ აღწერილი ბრძოლა უფლისციხესთან უნდა მომხდარიყო, მაგრამ, რადგან სომხებისათვის გორის დამახსოვრება უფრო ადვილი იქნებო-და, ამიტომ ისტორიკოსი გორს მოიხსენიებს. ამგვარად ა. აბდალაძე ე. ცაგარეიშვილის მოსაზრების განმტკიცებას იმავე „მატიანე ქართლისას“ ზემომოყვანილი ციტატის მეშვეობით ცდილობს[3]. მასში გადმოცემუ-

---

[1] *აბდალაძე ალ., ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX--XI საუკუნეებში, თბ., 1988, გვ. 34.*

[2] *ქართლის ცხოვრება, I, გვ. 262.*

[3] *ცაგარეიშვილი ე., ანონიმი ისტორიკოსი (ფსევდო-შაპუჰი) და მისი „ისტორია“, 156-157; აბდალაძე ალ., ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში, გვ. 33, 34, 225.*

ლია სომხეთის მეფე სუმბატ I-ის მიერ უფლისციხის აღება, რასაც მკვლევრები 904 წლით ათარიღებენ. ამ ბრძოლაში ეგრისის მეფე კონსტანტინე დამარცხდა. ე. ცაგარეიშვილის ვარაუდით, ფსევდო-შაპუჰს „მატიანე ქართლისაში“ მოცემული ბრძოლის აღწერა სურდა, მაგრამ მან ერთმანეთში აურია სხვადასხვა დროს მომხდარი ამბები[1].

ფსევდო-შაპუჰის თხზულების კრიტიკოსებს ძირითად დასაყრდენად კვლავ ის რჩებათ, რომ იგი ბრძოლის ადგილად გორს ასახელებს და არა უფლისციხეს.

ვფიქრობ, „მატიანე ქართლისაში“ და სომეხი ისტორიკოსის თხზულებაში სხვადასხვა ბრძოლებია აღწერილი. პირველი ბრძოლა მოხდა 904 წ. სუმბატ I-სა და ეგრისის მეფე კონსტანტინეს (კონსტანტი) შორის უფლისციხესთან, ხოლო მეორე კი შვიდი ათეული წლის შემდეგ სუმბატ II-სა (977-990) და აფხაზთა მეფე თეოდოს III (დაახლოებით 975-978) შორის გორთან.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ანონიმის ის ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ აფხაზთა მეფემ გორს „წყალი შემოავლო და აღარ იყო ქალაქში შესვლის შესაძლებლობა“.

ისტორიკოსის მიერ აღწერილი ბრძოლის ადგილი ყველაზე მეტად დღევანდელი გორის მდებარეობას, მის გეოგრაფიულ გარემოს მიესადაგება. აღმოსავლეთ საქართველოში არ მეგულება ისეთი ციხესიმაგრე, რომლის დაცვისათვის აღნიშნული ღონისძიების (მდინარის დაგუბება და დასახელებული პუნქტისა და ციხესიმაგრის მიმდებარე ტერიტორიის წყლით დაფარვა) ჩატარება ასე მოხერხებულად შეიძლებოდა. როგორც დღეს, ისე წარსულში გორის მიდამოები წყლის სიუხვით გამოირჩეოდა. იმ ბორცვს, რომელზეც თავდაპირველი დასახლება შეიქმნა და ციხე აშენდა, სამი საკმაოდ წყალუხვი მდინარე ჩაუდის: მტკვარი, ლიახვი და მეჯუდა. ორი უკანასკნელი მდინარე ბორცვის ძირას მიედინებოდა. ბორცვის ირგვლივ ტერიტორიის დატბორვა მდ. მეჯუდის წყლით შეიძლებოდა.

მდ. მეჯუდა ბორცვის ჩრდილოეთით მიედინება. დღევანდელი გორის მეორე საჯარო სკოლის მახლობლად მდინარეს თუ დააგუბებდნენ, მაშინ წყალი არხის საშუალებით ბორცვს აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან შემოუვლიდა და მდ. ლიახვს შეუერთდებოდა. იმავე არხის საშუალებით აღნიშნული ტერიტორიის დატბორვაც შეიძლებოდა. ამგვარად, გორის დასახლება და ციხე, წყლით გარემოცული

---

[1] *ცაგარეიშვილი ე., ანონიმი ისტორიკოსი (ფსევდო-შაპუჰი) და მისი „ისტორია“, გვ. 157.*

იქნებოდა. უფლისციხეში ასეთი სამუშაოს წარმოება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო და არც საჭიროება მოითხოვდა. უფრო მეტიც, გორის ქალაქის წყლით სავსე არხით დაცვის გარკვეული ტრადიციაც არსებობდა და მას, როგორც ჩანს, შემდგომშიც პერიოდულად იყენებდნენ. ამ მხრივ საინტერესოა ოსმალეთის სულთან აჰმედ III-ის 1727 წ. ფირმანი, საიდანაც ვიგებთ, რომ გივი ამილახვარმა გორის *„ციხის რაბათის გარშემო... განიერი ორმო გათხარა და მდინარიდან შიგ წყალი გაიყვანა და გამაგრებული ადგილები სიმტკიცით სრულყო“*[1]. გორის გარშემო 5 ადლის სიგანის და 4 ადლის სიღრმის ხანდაკის (თხრილი) გათხრა ბრძანა ერ-ეკლე II-მ 1772 წ.[2] იოანე ბაგრატიონის პროექტითაც *„გორს გარშემო შემოევლოს დიდი ღრმა თხრილი და ესე ავავსოთ ფშნების წყლით“*[3]. მაშასადამე ანონიმი ისტორიკოსის ცნობის სიზუსტეს ქართული და თუქრული წყაროებიც ადასტურებს.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ, თუ ანონიმი XII ს. ან მისი შემდგომი პერიოდის მოღვაწეა და იგი გორს მაინც სოფელს და არა ქალაქს უწოდებს, მაშინ მას კარგად სცოდნია, რომ წინათ (ყოველ შემთხვევაში X საუკუნეში) გორი სოფელი იყო, ე.ი. იცავს ისტორიულ სინამდვილეს, იგივე ფაქტი შეიძლება იმის დასამტკიცებლადაც გამოდგეს, რომ ანონიმმა XII საუკუნეზე ადრე, ე.ი. გორის ქალაქად გადაქცევამდე (როცა გორი სოფელი იყო) დაწერა თხზულება.

ამგვარად, ფსევდო-შაპუჰი უნდა ჩავთვალოთ დღემდე ცნობილ პირველ ისტორიკოსად, რომელმაც დაგვიტოვა ყველაზე ადრეული ცნობა გორზე.

გორის დაარსების ლეგენდა

მოღწეულია ლეგენდა გორის დაარსებაზე. ლეგენდის მიხედვით, თამარის დროს გორის ბორცვი წარმოადგენდა კუნძულს მტკვრის, ლიახვის და მეჯუდის წყლებს შორის. აქ იყო საშინელი მორევი, გარემო მხარე უღრან ტყეებით იყო შემოსილი. ჯერ ისევ გასათხოვარი თამარ მეფე მობრძანდა. ბინად ამოირჩია მთა გორისა. მონადი-

---

[1] *აბულაძე ც., ოსმალობის ხანის სამი თურქული ფირმანი // ადმოსავლური ფილოლოგია, III, თბ., 1973, გვ. 296.*

[2] *იოანე ბაგრატიონი, სჯულდება, თბ., 1957, გვ. 54.*

[3] *გაბიჩვაძე ა., გორის ციხე ერეკლე II დროს // საისტორიო მოამბე, I, თბ., 1945, გვ. 9, №1.*

რეები მიიფანტ-მოიფანტნენ ტყეებში სანადიროდ და პასტა ხნის შემდეგ დაბრუნდნენ დიდძალი ნანადირევით. მრავალი იყო მოკლული ღორი, ირემი, ხოხობი და სხვ. მხოლოდ მონადირეებთან არ სჩანდა დედოფლის საყვარელი მიმინო, აათვალ-ჩაათვალიერეს და დაინახეს, რომ მიმინო იჯდა გორის ბორცვის კლდის გამოშვერილ ჭიუხზე. თამარმა ბრძანა: *„ვინც მომიყვანს მიმინოს, ავუსრულებ რასაც მთხოვსო“.*

„ტბა-მორევი-კი ღელავდა, ქშინავდა.

დედოფლის დავალების აღმსრულებელი არ ჩანდა. მაგრამ უცბად გუნდიდამ გამოვიდა ვიღაც შვენიერი ჭაბუკი. ფიცხლავ დაუკრა თავი თამარ მეფეს, დაეშვა გორისიდამ და გადახტა მორევში. მძლავრი მკლავები და ფეხები შეათამაშა და მარდად გასცურა. მიუახლოვდა ბორცვის ნაპირს, მიმინო ხელთ იგდო და მღელვარებასვე თავი მისცა. აგერ გმირულად მოხოპავს, მოდის. აგერ კიდეც მოაწია აქეთ ნაპირამდე. ცოტაღა უკლია, ხმელს დაადგას ფეხი, თამარმა გაიფიქრა: „პირობა დავუდე, რასაც მთხოვ, აგისრულებო. ხელი რომ მთხოვოს!“ შეაკრთოლა. გულში შეევედრა ღმერთს: „თუ აგრეთი განზრახვით მოჰყავს მიმინო, ღმერთო დაღუპეო და მორევს მიეციო“ – ბრძანა და წყალმა ჩასძირა გმირი ჭაბუკი. Iნანა თამარმა და ცოდვის მოსახდელად ეს კეთილი საქმე ჰქმნა: ტბა-მორევი, რომელიც ყოველწლივ რამდენიმე კაცს ახრჩობდა, ჩაუშო მტკვარის კალაპოტში და გასწრიტა, თვით ბორცვზედა ააგო მაგარი გორის ციხე“[1].

გორელმა ა. ს. გარსევანიშვილმა იმ საგვარეულო სიგელ-გუჯრებზე დაყრდნობით, რომლებიც დღეს დაცულია გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, 1868 წ. ჟურნალ „ცისკარში“ გამოაქვეყნა წერილი და ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ გორი დაარსა თამარ მეფემ 1187 წელს და გორი უწოდა[2]. ალ. გარსევანიშვილის ამ წერილის საფუძველზე გამოითქვა ეჭვი, რომ შეიძლება თამარ მეფემ გიორგი რუსის მომხრეების მიერ დანგრეული გორი აღადგინაო[3]. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, გიორგი რუსის მომხრებს გორი არ აუღიათ და ასეც რომ ყოფილიყო, 1191 წ. დანგრეული გორი 1187 წ. როგორ აღსდგებოდა.

---

[1] ჯანაშვილი მ., თამარ მეფე, ტფ., 1917, გვ. 102-103; ლეგენდა გორზე / შეადგინეს მარინე ჯალიაშვილმა და ელდარ მამისთვალიშვილმა, გორი, 1998, გვ. 3-15.

[2] „ცისკარი“, 1867, №2, გვ. 8

[3] ბერძნიშვილი ი., გორის ციხე, გვ. 14.

გორის გაქალაქება

დავით აღმაშენებლის მიერ თურქ-სელჯუკთა ბატონობისაგან თბილისის გათავისუფლებამ (1122 წ.) და მისი საქართველოს დედაქალაქად გადაქცევამ, ციხე-ქალაქ უფლისციხეს მნიშვნელობა დაუკარგა. ამის შემდეგ იწყება გორის თანდათანობით აღზევება, როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით. მან უფლისციხის ადგილი დაიკავა ქართლში.

გორის აღდგენა-განახლებისა და მისი ქალაქად გადაქცევის საქმეში უდიდესი როლი ითამაშა დავით აღმაშენებელმა. ქვეყნის გაერთიანების შემდეგ, 1124 წ., მან თურქთა ბატონობისაგან გათავისუფლებული სომხეთის ერთი ნაწილი ქალაქ ანისთან ერთად საქართველოს შეუერთა. გაძლიერებული საქართველო მყუდრო თავშესაფარი გახდა თურქებისგან აწიოკებული სომეხი ვაჭარ-ხელოსნებისათვის. თავიანთი სურვილითა და დავით IV-ის ბრძანებით საქართველოში წამოყვანილი სომხების ერთი ნაწილი გორშიც და-ასახლეს.

მათე ურჰაელის თქმით: *„დავით მეფე იყო კაცი წმინდა და სათნო, შემკული ყოველგვარი ღვთისმსახურებითა და კეთილი სიმართლითა. და იგი აღმოჩნდა მიმღებელადა და მოყვარედ სომხური ერისა. მასთან შეიკრიბა სომეხთა ჯარის დანარჩომი. და მან ააგო ქალაქი სომეხთათვის ქვეყანასა საქართველოისა და დაარსა მუნ ეკლესიები და სავანენი მრავალნი და უწოდა სახელი ქალაქისა მის გავარა (გორა). და მიღებულ იქნა (დავით) დიდითა სიხარულითა და აღტაცებითა ყოვლისა მიერ ერისა სომხითისასა“*[1].

მოყვანილ ციტატაში, იმ ადგილის სახელი, სადაც დავითმა ანისელი სომხები ჩაასახლა, იყო გავრა-გორა. ეს სახელი კი არ გვაძლევს იმის უფლებას ვამტკიცოთ, რომ გორა იგივე გორია. ს. მაკალათიას არასწორად მიაჩნდა, რომ ქართულ ისტორიაგრაფიაში გაიგივდა გორა და გორი. ის შესაძლებლად თვლიდა, რომ დავით

---

[1] ციტირებას ვახდენ ლეონ მელიქსეთ-ბეგის წერილიდან „გორის დაარსება“. ლ. ჭილაშვილის მიხედვით მელიქსეთ-ბეგის ეს წერილი დაიბეჭდა 1920 წელს „სახალხო საქმის“ №41-ში. აღნიშნულ გაზეთში წერილს ვერ მივაკვლიე. ლ. მელქისეთ-ბეგის შვილმა ლეონიდემ გადმომცა ამ წერილის ამონაბეჭდი, რისთვისაც მადლობას ვუხდი. მაგრამ არ არის მითითებული პერიოდიკის სახელწოდება. მხოლოდ აღნიშნულია: №41, 24 თებერვალი, 1920 წ.

აღმაშენებელმა ანისიდან წამოყვანილი სომხები გორში კი არ დაასახლა, არამედ ქსნის ხეობის მაღალ მთიან გორაზე, რომელსაც ახალგორი ეწოდა, რადგან ამ დროს უკვე არსებობდა ძველი ქალაქი გორი. ლენინგორელ (ახლანდელი ახლგორი) სომხებს ჩვენს დროშიც ხსომებიათ, რომ ისინი დავით აღმაშენებელს XII საუკუნეში ანისიდან გადმოუსახლებია. მკვლევარს დასაშვებად მიაჩნდა, რომ ანისელ სომეხ ხელოსანთა და ვაჭართა ერთი ნაწილი გორშიც დაესახლებინა[1].

თითქმის ასევე ფიქრობდა ნ. ბერძენიშვილი, როცა აღნიშნავდა: „ბრძენმა მეფემ საგანგებო ზომები მიიღო გორის განსადიდებლად. მან აქ მრავლად დაასახლა ვაჭრები და ერთბაშად გააძლიერა გორის მნიშვნელობა ქართლისათვის. დავითის დროიდან გორმა ქართლში უფლისციხის ადგილი დაიჭირა“[2].

ქალაქის აღორძინებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ნაჭარმაგევში (დღევანდელი სოფ. კარალეთი) იყო დავით მეფის რეზიდენცია. რეზიდენციის მახლობლად ვაჭარ-ხელოსანთა ყოლა სამეფო კარისათვის ყოველმხრივ ხელსაყრელი იყო. მეფის მიერ გორის ხელახლა გაშენება იმითაც უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი, რომ ქვეყნის გაერთიანების შედეგად დიდი მნიშვნელობა მოიპოვა გორთან გამავალმა გზებმა.

გაძლიერებული გორი იმ უმთავრესი ქალაქების (თბილისი, რუსთავი, სამშვილდე, დმანისი, ატენი და სხვ.) რიგში ჩადგა, რომლებიც მხარს უჭერდნენ სამეფო ხელისუფლებას ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლაში. სწორედ ქალაქების მხარდაჭერა იყო ის უმთავრესი პირობა, რომლითაც დავით აღმაშენებელმა და შემდეგ გიორგი III-მ შეძლეს მსხვილი ფეოდალების ალაგმვა.

საისტორიო წყაროებში გორი ჩანს თამარ მეფის ცხოვრების ერთ ეპიზოდთან დაკავშირებით.

საქართველოდან განდევნილმა გიორგი რუსმა კონსტანტინოპოლს შეაფარა თავი (1187-88 წ.წ.), მაგრამ თამარის მოწინააღმდეგე დიდებულების შემწეობით, 1191 წელს მან სცადა თავისი „უფლებების“ აღდგენა. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ გვაცნობებს, რომ მეფის წინააღმდეგ ამბოხებულთა ერთი ნაწილი „გარდმოვიდეს

---

[1] *მაკალათია ს., ლიახვის ხეობა, თბ., 1971, გვ. 96.*

[2] *ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 289.*

მთითა ლიხისათა: ამწყუედელნი და ამაოხრებელნი ქართლისანი მოვიდეს ნაჭარმაგევამდის და გორამდის“[1].

ამონარიდიდან არ ჩანს აოხრდა თუ არა ნაჭარმაგევი და გორი. ამავე ამბავს მცირეოდენი განსხვავებით გადმოგვცემს ვახუშტი ბატონიშვილი: *„გარდმოვიდნენ, მოსტყუევნნეს ნაჭარმაგევი გორამდე“*[84]. ვახუშტის ნათქვამის მიხედვით, ამბოხებულებს ნაჭარმაგევი აუკლიათ, მაგრამ გორი გადარჩენილა. ჩვენ არ ვიცით ერთსა და იმავე თუ სხვადასხვა წყაროს ემყარებოდნენ ზემომოყვანილი ციტატების ავტორები. მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამბოხებულებმა ვერ შეძლეს დავით აღმაშენებლის მიერ გამაგრებული ციხე-ქალაქის, გორის დაუფლება.

თამარ მეფემ საბოლოოდ დაამარცხა ამბოხებულნი, გიორგი რუსი ისევ გაასახლეს საქართველოდან. მან მეორედაც სცადა საქართველოში დაბრუნება, მაგრამ კვლავ დამარცხდა და სამუდამოდ გადაიხვეწა.

---

[1] *ქართლის ცხოვრება, II, გვ. 51.*

ბორის თავბადასავალი

გორი მონღოლთა ბატონობის დროს

დავით IV-ს და თამარ მეფის ძლიერ საქართველოს დღეგრძელობა არ ეწერა. თამარის გარდაცვალებიდან დიდ დროს არ გაუვლია, რომ ჩვენს ქვეყანას შემოესია მრისხანე მტერი მონღოლ-თათართა სახით. მონღოლებმა მცირე დროში დაიპყრეს საქართველო და მძიმე ხარკი დააკისრეს (50000 პერპერა წლიურად და ჯარის მიცემა მონღოლთა დაპყრობით ომებში მონაწილეობისათვის). ქართველი ხალხი ვერ ეგუებოდა მონღოლთა ბატონობას და თავის დახსნას ცდილობდა. ერთ ასეთ ცდას ადგილი ჰქონდა 1260-1261 წლებში: „ჟამთააღმწერლის“ გვეუბნება, რომ აჯანყების მიზეზი ყოფილა ის, რომ *„შევიწროებული იყო მეფე და საბრძანებელი მისი არღუნის აღთუალვისაგან და რომელი იგი განეწესა, რაც განისყიდებოდეს ტფილისს ასსა თეთრსა ზედა სამი თეთრი საყაენოდ დაიდებოდეს. ამას ზედა ხოჯა-აზიზ ვინმე, ნათესავით და სჯულითა სპარსი, განეჩინა, და დაეტოვა ტფილისს, რომელი ესოდენ უწესოებად მიიწია, რომელ თუ სამზარეულოსა მეფისასა ცხვარი, გინა კრავი ისყიდებოდის, მას ზედა ხარაჯა წაუღიან, რომელსა-იგი ტამღად უწოდდეს*“[1].

აჯანყებას სათავეში ჩაუდგა აღმოსავლეთ საქართველოს მეფე, გიორგი IV ლაშას ძე, დავით VII ულუ (1247-1270). აჯანყებულთა მთავარი დასაყრდენი სამცხე იყო. აჯანყების ჩასაქრობად მონღოლთა ჯარი (20000 კაცი) მოვიდა არღუნის მეთაურობით. მათ შეუერთდა მეფისაგან განმდგარი ქართველ დიდებულთა რაზმები. არღუნი თავისი მთავარი ძალით (ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, არღუნს უნდა ჰყოლოდა 36000 მხედარი) „გორის შინდარას დაბანაკდა“. მონღოლები უბრძოლველად დაეპატრონენ მთელ შიდა ქართლს. აჯანყებულებმა თავი მოუყარეს მხოლოდ 8000 მებრძოლს, გამოიარეს ბორჯომის ხეობა, დაამარცხეს არღუნის მიერ წინ გაგზავნილი მხედართა რაზმი (6000 კაცი), რომელთაგან გადარჩენილნი მობრუნდნენ არღუნთან „შინდარასა გორისასა“. *„იყო ყინული და ზამთარი, ვითარ წესი არს თუესა დეკემბრისასა, – ამბობს ჟამთაალმწერელი, – და განვიდეს სივიწროისაგან (ქართველები – ე. მ.), წინმავალნი იხილნეს რაზმი თათართა, და წინა განეწყუეს*

[1] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 117.*

ქართველნიცა, და მყის ზედა მიეტევნეს მესხნი და პირველსა შეკრებასა აოტნეს თათარნი და მოსწყჳდნეს მრავალნი სახელოვანნი, და ესრეთ ძლიერად ბრძოდეს თათართა მათ მესხნი, რომელ მცირედნიღა განერნეს და შეიხუეწნეს რაზმსა შინა არღუნისასა შინდარას გორისასა“[1].

აჯანყებული მეფის სპასალარმა სარგის ჯაყელმა, გალაღებულმა პირველი წარმატებით, ხეობიდან გამოიყვანა ჯარი და გაშლილ ადგილას „შინდარას გორისას“ გაუმართა ბრძოლა არღუნს. მონღოლებმა ძველ ნაცად ფანდს მიმართეს: ჯერ ზურგი უჩვენეს მომხვდურთ, შემდეგ შემობრუნდნენ და სასტიკად დაამარცხეს. გადარჩა თვით სარგის ჯაყელი და მებრძოლთა მცირე ნაწილი.

საინტერესოა რომელი გეოგრაფიული პუნქტი იგულისხმება „შინდარას გორისასა“-ში.

„ჟამთაღმწერელთან“ ვკითხულობთ, რომ არღუნი მთელი ქართლის აკლების შემდეგ, ჯერ სურამში დაბანაკებულა, საიდანაც გაუგზავნია ზემოხსენებული 600 მხედარი ტაშისკარში. *„წინამებრძოლნი მივიდეს ტაშის-კარს და დადგეს სამდინაროსა მას ზედა, რომელი არს შოლა“.* თვით არღუნი კი ძირითადი ძალებით დაბანაკდა „შინდარას გორისასა“. ალბათ, მას სურამი საიმედოდ არ მიაჩნდა.

თავის მხრივ სარგის ჯაყელსაც გაუგზავნია 1500 მხედარი „გამოცდილი წყობათა შინა“, რომელთაც არ სცოდნიათ არღუნის ჯარის მოახლოების შესახებ და ისე გაუვლიათ ახალდაბის ხიდი. ასე აღმოჩნდნენ ქართველები მონღოლთა პირისპირ, მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, ქართველებმა გაიმარჯვეს. გაქცეული მონღოლები შინდარაში მივიდნენ და არღუნის მთავარ ჯარს შეუერთდნენ.

ზემოდასახელებული ახალდაბა გაგებულია, როგორც გორის მახლობლად მდებარე ახალდაბა („ქართველი ჯარი ტაშისკარის ვიწროებიდან გამოვიდა და ახალდაბასთან შეებრძოლა“)[2]. „ჟამთააღმწერელი“ კი სავსებით გასაგებად მიგვითითებს ბორჯომის ახალდაბაზე. არც შინდარი იყო გორის მახლობლად[3]. ვახუშტი ბატონი-

---

[1] *იქვე, გვ. 240.*

[2] *იქვე. შდრ. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, II, თბ., გვ. 163-165.* მასში ნათქვამია, რომ „არღუნი დადგა სამდინაროსა მას ზედა, რომელი არს შოლა“.

[3] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979, გვ. 571.*

შვილის მიხედვით შინდარი იყო სურამის აღმოსავლეთით. *„ოსიაურის ზეით ხაშურს, ერთვის სურამის-წყალს ქემერტის-წყალი, აღმოსავლეთიდან. გამოდის ლიხის მთას. ამ ჭევის შესართავის დასავლით, შინდარას დასავლით, არს სურამი, მცირე ქალაქი*“[1]. ვახუშტი არც იქ ასახელებს ქ. გორს, სადაც ზემოაღნიშნულ ბრძოლაზე ლაპარაკობს. *„აოტეს მესხთა თათარნი, მოსრნეს და ნეშტნი შეიხუეწნენ შინდარას არღუნის სპათა შინა*“[2]. მაგრამ არც „ჟამთააღმწერელთან“ და არც ვახუშტისთან არ ჩანს გარკვევით თუ რა იყო შინდარი: დასახელებული პუნქტი, ციხესიმაგრე, მთა, ხეობა... უფრო სავარაუდოა, რომ შინდარი სურამის მახლობლად რომელიმე პატარა მთის (გორის) სახელი იყო და ამიტომ უწოდებს „ჟამთააღმწერელი“ „შინდარას გორისასა“ (შინდარის გორა).

ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე საბუთი, საიდანაც ირკვევა, რომ XVI-XVII საუკუნეებში ნამდვილად არსებობდა დასახელებული პუნქტი შინდარა – შინდარი. შინდარა, როგორც „ფცის წყალზედ“ მდებარე სოფელი, მოხსენიებულია იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერაში“[3].

ამგვარად, 1260 წლის დეკემბერში ულუ დავითის ჯარსა და მონღოლებს შორის ბრძოლა გორთან არ მომხდარა.

მონღოლთა დროიდან მნიშვნელოვანია ***„გორის მსხდომ ოსთა“*** ბატონობის პერიოდი. იგი დაემთხვა საქართველოში მონღოლების ბატონობას, რამაც კიდევ უფრო გაამძაფრა ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

„ჟამთააღმწერელთან“ ვკითხულობთ: *„ამათ ჟამთა გარდმოვიდეს ბერქას ყაენისაგან ლტოლვილნი დედაკაცი საკვრველი, სახელით ლიმაჩავ. და მან მოიტანა შვილნი მცირენი, ნათესავით ახასარფაკაიანნი[4], პირმშო ფარეჯან და უმრწამესი ბაყათარ, და სხვანი თავადნი*

---

[1] *„გორის შინდარა“. იხ. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 163, 165.*

[2] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 377.*

[3] *იქვე, გვ. 218.*

[4] ვ. გამრეკელის მიხედვით, „ახასარფაკაიანნი“ კომპოზიტია და ოსურად – განიმარტება. „ახსარ“ (ხცარ) ოსურად ნიშნავს გულადობას, ქველობას, გმირობას და მამაკაცის საკუთარ სახელადაც იხმარება... ხოლო „ფაკა“, თუ მივიჩნევთ იგივე „ფაქა“-ად, ოსურად ნიშნავს ფართს, გაშლილს. შესაძლოა, „ახსარაფა“ მამაკაცის ოსური სახელის „ახსარბეგის“ ფონეტიკური სახესხვაობაც იყოს, ხოლო „იანნი“ საგვარეულო სახელის

მრავალნი, გამოვლეს კარი დარუბანდისა და მოვიდეს მეფეს წინაშე, და ყაენმან შეიწყნარნა ფრიად, და უბოძა ხარაჯა, და მოლაშქრედ და თანამებრძოლად განაჩინნა. და ესრეთ მეფესთანავე წარმოავლინნა, ხოლო მეფემან დასხნა რომელნიმე დმანისსა, და სხუნი ჟინვანს"[1].

ფ. გორგიჯანიძე ამბობს: *„მეფემან ზოგნი ქალაქს დაასახლა და ზოგნი დმანისს დააყენა და ზოგნი ჟინოანს გაგზავნა"*. რ. კიკნაძის აზრით, „ქალაქში" გორი უნდა იგულისხმებოდეს[2].

იგივე ცნობა ვახუშტი ბატონიშვილს დათარიღებული აქვს 1263 წლით. როგორც მოვლენათა შემდგომი მსვლელობიდან ირკვევა, ჩრდილო კავკასიიდან გადმოსული ლტოლვილნი საკმაოდ მრავალრიცხოვანნი ყოფილან. ისინი ჯერ მეფე დავითთან მივიდნენ და, ალბათ, შეწევნა სთხოვეს. მართალია, ჟამთააღმწერელი ძალიან ლაკონურად გადმოსცემს ამბავს, მაგრამ სავსებით გასაგებია, რომ დავით მეფემ ოსებს უშუამდგომლა ყაენის წინაშე, რომელმაც მათ არსებობის საშუალება გაუჩინა („ხარაჯა მისცა") და თავის მოლაშქრეებად განაწესა. ამის შემდეგ ისინი, ან მათი წარმომადგენელნი, რომლებიც ყაენს ეახლნენ, კვლავ ქართლში მობრუნდნენ და დავითს მოუტანეს უზენაესი განკარგულება. ჩვენ არ ვიცით ყაენის მითითებით თუ საკუთარი ინიციატივით, მან ოსები დმანისსა და ჟინვანს ჩაასახლა.

დიდ ყურადღებას იმსახურებს ფ. გორგიჯანიძის ერთი ცნობა, რომელიც ულუ დავითის მიერ იმერეთის სამეფოდან ქართლზე თავდასხმის შესაჩერებლად ოსთა რაზმების გორში გაგზავნას შეეხება. *„ქართლის მეფე, გიორგი მეფის ლაშის შვილი დაბერებული იყო. და თათართ ლაშქრობისაგან შეზარალებული იყო. ნამეტნავათ სიბაზე[3] წასვლისას აღარ ჰქონდა ღონე. მისწერა ზემორე ხსენებულ (დმანისსა და ჟინვანს მდგომ – ე. მ.) ოსთა, შეგროვდნენ ყველანი,*

მაწარმოებელი ქართული ფორმანტია". *გამრეკელი ვ., XIII-XIV სს. მიჯნის საქართველოს ისტორიიდან. ჟამთააღმწერელის ზოგიერთი ცნობის გაგებისათვის // „მრავალთავი", V, თბ., 1975, გვ. 183.*

[1] *ქართლის ცხოვრება, IV, 251.*

[2] *კიკნაძე რ., ჟამთააღმწერლის თხზულების ერთი ადგილის შევსებისათვის // „მაცნე", ისტორიის სერია, 1971, №4, 122.*

[3] სიბა ამ შემთხვევაში გულისხმობდა შირვანში, მდ. ჩაღანუსუნის ნაპირზე აგებულ თავდაცვით ნაგებობაში მონღოლებთან ერთად ქართველთა ჯარის მორიგეობას შემოდგომიდან გაზაფხულამდე.

სურამელის გრიგოლის საქმით და მისი შვილის ბეგას რჩევით, მისცა გორის ციხე და ქალაქი, დაუყენა წინ საომრათ იელლურსა და იმერელებსა, დაიცონ ქართლი". მოთხრობილი ამბავი მოხდა 1268-1269 წლებში[1].

საგულისხმოა, რომ ახალმოსახლენი, რომლებიც იმავე დროს მონღოლთა მოლაშქრენიც იყვნენ, ზედმეტ ტვირთად დააწვნენ მკვიდრ მოსახლეობას, მათ ხომ ქართლში აკრეფილი გადასახადებით უნდა ერჩინათ თავი. აქედან გამომდინარე, დაიწყო წინააღმდეგობა, ქართველი დიდებულების დაპირისპირება არა მხოლოდ ოსებთან, არამედ მონღოლებთანაც. მაგრამ ამ დაპირისპირების გამომჟღავნებას გარკვეული დრო დასჭირდა. *„ვიდრე ქართულ და მონღოლურ ხელისუფლებათა უმაღლეს ინსტანციებს შორის თანხმობა დაცული იყო, საქართველოს შიდაპოლიტიკური იერარქიის უფრო დაბალ საფეხურზე მდგომთ და მათ შორის ოს ფეოდალებსაც თვითნებური მოქმედებისათვის არ რჩებოდათ ასპარეზი და მათ რაიმე პრაქტიკული როლის შესრულება საქართველოს შინაპოლიტიკურ ცხოვრებაში არ შეეძლოთ*"[2]. მაგრამ, როდესაც 1289 წ. მონღოლებმა სიკვდილით დასაჯეს მეფე დიმიტრი II, ამის შემდეგ ქართლში იწყება პოლიტიკური დესტაბილიზაცია, რამაც ოსების გააქტიურება გამოიწვია. ამ დროს მოხდა ერთი მნიშვნელოვანი ამბავიც. როცა მონღოლებს აუჯანყდა ბერძნული ქალაქი ტუნღუზალო, ახალმა ყაენმა ქეღათუმ აჯანყების ჩასაქრობად დიმიტრი თავდადებულის ვაჟი დავითი (ის ტახტის კანდიდატად ითვლებოდა) და ქართლის დიდებულები იხმო. ქეღათუ აჯანყების ჩასაქრობად წავიდა 1291 წ. 1 სექტემბერს[3]. აჯანყებული ქალაქის დამორჩილებას (მემატიანის თქმით, მისი აღება ქართველებს მოუხერხებიათ) ხუთი თვე დაჭირდა. როგორც ვარაუდობენ, ამ დროს მეფე ვახტანგ II გარდაცვლილი იყო. დავით დიმიტრის ძე რომ საქართველოში დაბრუნდა და გამეფდა, უკვე 1293 წელი უნდა ყოფილიყო[4].

---

[1] *კიკნაძე რ., ჟამთააღმწერლის თხზულების ერთი ადგილის შევსებისათვის, გვ. 118-119.*

[2] *გამრეკელი ვ., XIII-XIV სს. მიჯნის საქართველოს ისტორიიდან. ჟამთააღმწერელის ზოგიერთი ცნობის გაგებისათვის, გვ. 189*

[3] *ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 170.*

[4] *გამრეკელი ვ., XIII-XIV სს. მიჯნის საქართველოს ისტორიიდან. ჟამთააღმწერელის ზოგიერთი ცნობის გაგებისათვის, გვ. 190*

მაშასადამე, ოსებმა ისარგებლეს ქართლში შეიარაღებული ძალის და სამეფო ხელისუფლების არარსებობით (ვახტანგ II გარდაიცვალა, დავით დიმიტრის ძე ჯერ არ გამეფებულა და თანაც მონღოლთა ლაშქარში იმყოფებოდა) და „იწყეს ოვსთა ოჴრებად, ჴოცად, და რბევად, და ტყუენვად ქართლისა, და ქალაქი გორი წარტყუენნეს და თჳსად დაიჭირეს ოვსთა“[1]. გამოდის რომ ოსებმა გორი ხელთ იგდეს 1292 წ. პირველ თვეებში ან გაზაფხულზე[2].

ზემოთ ვთქვით, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ ოსები გორში ჩაასახლა 1263 წ. მაშ რატომ იპყრობენ ოსები გორს 1292 წ.? უნდა ვიფიქროთ, რომ გორში ჩასახლებული ოსები თავდაპირველად დაუმორჩილეს ქართლის ერისთავ გრიგოლ სურამელსა და მის ვაჟს ბეგას (ვახუშტისთან – ბექა). სწორედ გრიგოლის რჩევით ჩაასახლეს ისინი გორში. ოსები გარკვეულ დრომდე მორჩილებდნენ ხელისუფლებას, მაგრამ, როცა ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა აჯანყდნენ და გორს დაეპატრონენ. საეჭვოდ გვეჩვენება, რომ 1270-იან და 1292 წლებს შუა სამხედრო საქმიანობასთან დაკავშირებით ისინი სხვა ადგილას გადაიყვანეს[3].

სავარაუდოა, რომ ოსები როგორც პოლიტიკურად, ისევე ეკონომიურად ერისთავზე იყვნენ დამოკიდებულნი. ერისთავი აძლევდა მათ ქართლიდან, კონკრეტულად, გორის ირგვლივ მდებარე სოფლებიდან მიღებული შემოსავლის ნაწილს მონღოლთა ჯარში სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ოსები „მონღოლთა წაქეზებით თუ მხარდაჭერით“ აჯანყდნენ[4]. მონღოლები, როცა ოსები გორს დაეპატრონებოდნენ, მათი საშუალებით ქართლს აკონტროლებდნენ. მონღოლების ხელში ოსები რომ საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ იარაღად გადაიქცეოდნენ, კარგად ესმოდათ ქართლის მესვეურებს.

1292 წლის ზაფხულში „შეკრბეს“ ქართლის ერისთავისა ბეგას ძესა ამადას წინაშე ყოველნი ქართველნი და მოადგეს გორსა. და მრავალგზის შეებნეს, და ქალაქსა შინა მრავალი კაცი მოკუდა,

---

[1] *ქართლის ცხოვრება, II, გვ. 296.*

[2] *გამრეკელი ვ., XIII-XIV სს. მიჯნის საქართველოს ისტორიიდან. ჟამთააღმწერელის ზოგიერთი ცნობის გაგებისათვის, გვ. 190*

[3] *შდრ. იქვე, გვ. 195.*

[4] *იქვე, გვ. 190.*

ოვსიცა და ქართველიცა, და დაწუეს გორი სრულიად“[1]. ქალაქი დაიწვა, მაგრამ არ ჩანს ვინ (ქართველებმა თუ ოსებმა) დაწვა. ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც, როგორც ჩანს, იმავე ჟამთააღმწერელს ეყრდნობა, პირდაპირ აცხადებს: „დაწვეს ქართველთა გორი“[2]. დ. გვრიტიშვილის თქმით კი, ოსებმა გორი დაარბიეს, ქალაქი გადაწვეს და ციხე დაანგრიეს. ამასვე იმეორებენ ი. ბერძნიშვილი და გ. თოგოშვილი[3]. ჩემი მოსაზრების გამოთქმამდე კვლავ ჟამთააღმწერელს მოვუსმინოთ: „ვითარ მისჭირდა ოვსთა, ციხიდაღმან გარდმოუშვეს საბლით კაცი, და წარავლინეს მუხრანს მდგომთა თათართა თანა, რათა შეეწივნენ“[4]. ჩანს, რომ ქართველთაგან შევიწროებულ ოსებს უკან დაუხევიათ და გორის ციხეში გამაგრებულან. მაშასადამე, გორის ციხე რომ დანგრეულიყო, ოსები იქ თავს ვეღარ შეაფარებდნენ. რაც შეეხება ქალაქს, იგი ქართველებს კი არა უკანდახეულ ოსებს უნდა გადაეწვათ, რათა გამარჯვებულებს არა დარჩენოდათ.

გორის გათავისუფლებისათვის ბრძოლამ ნათელი გახადა პოზიცია მონღოლებისა, რომლებიც „ჩამოდგა შუა, შუელა ქმნეს და ზავი“[5]. ჟამთააღმწერლის სიტყვები ისე უნდა გავიგოთ, რომ მონღოლები გორში მოვიდნენ და მათი მოქმედება ოსებისათვის დახმარება უფრო იყო, ვიდრე მეომარ მხარეს შორის შუამავლობა. როგორც ჩანს, მათ აიძულეს ერისთავი ოსები კვლავ გორში დაეტოვებინა. ამასთან ერთად უაღრესად საყურადღებოა ჟამთააღმწერელის ერთი ფრაზა – „ამიერითგან შეიქმნა მტერობა შორის ქართველთა და ოვსთა“[6]. მონღოლების ჩარევამ წინააღმდეგობა კი არ აღმოფხვრა, არამედ კიდევ უფრო გაამწვავა.

ოსების მიერ ქართლში გორისა და სხვა ადგილების დაკავება სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ქართულ მიწისმფლობელობას. ოსთა ინტერესები ქართველ აზნაურ-დიდებულთა ინტერესებს დაუპირის-

---

[1] *ქართლის ცხოვრება, II, გვ. 296.*

[2] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 239.*

[3] *ბერძნიშვილი ი., გორის ციხე, გვ. 19; თოგოშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი ოსეთისა და ოსების შესახებ, თბ., 1977, გვ. 86.*

[4] *ქართლის ცხოვრება, II, გვ. 296.*

[5] *იქვე, გვ. 296.*

[6] *იქვე, გვ. 296.*

პირდა[1]. ქართველი მიწისმფლობელი აზნაურების შეშფოთება და მათი განზრახვა – განედევნათ ოსები ქართლიდან, გასაგები იყო მონღოლებისათვის. მონღოლებმა ოსებს დაუჭირეს მხარი, როგორც ქართველი აზნაურობის საპირისპირო ძალას. ამიტომ შეუნარჩუნეს მონღოლებმა გორი ოსებს. *„ოსნი რომელ სხდეს გორს“*[2] მონღოლთა მოკავშირენი გახდნენ და მათ საომარ ოპერაციებში მონაწილეობდნენ, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ[3].

XIII საუკუნის დამლევს იმდენად გამწვავდა ურთიერთობა დავით მერვესა და მონღოლებს შორის, რომ დავითი მთიულეთში შეიხიზნა და ილხანთა წინააღმდეგ ოქროს ურდოსთან სამხედრო კავშირის დამყარებას ცდილობდა[4]. ყაზან ყაენმა რამდენჯერმე (1298, 1300 წწ.), მოაოხრა ქართლი. ჟამთააღმწერელის მიხედვით, მონღოლთა იმ ჯარში, რომელიც დავით მეფის შესაპყრობად მთიულეთში გაიგზავნა, მესხთა და ქსნის ერისთავი შანშეს რაზმებთან ერთად იყვნენ *„ოსნი რომელ სხდეს გორს“*[5]. „ოსნი გორს მსხდომი“ უკანასკნელად მოიხსენებიან ოლჯაითუ ყაენის გილანში ლაშქრობისას 1307 წ.[6].

სრულიად ნათელია, რომ მონღოლებისაგან ხელის შეწყობა იყო მთავარი პირობა ოსთა იმ წარმატებისა, რასაც მათ თავიანთი ბელადის, ბაყითარის მეთაურობით XIII ს. დასასრულსა და XIV ს. დასაწყისში მიაღწიეს. ჟამთააღმწერლის თქმით, *„უმძვინვარესად აოჴრებდა ბაყათარ ქართლსა, და მეფე დავით წინ ვერ აღუდგებოდა“*[7].

---

[1] *თოგოშვილი გ., ვახუშტი ბატონიშვილი ოსეთისა და ოსების შესახებ, გვ. 88-89.*

[2] *ქართლის ცხოვრება, II, 306*

[3] *იქვე, გვ. 306, 318.*

[4] *იქვე, გვ. 302.*

[5] *იქვე, გვ. 306.*

[6] *იქვე, გვ. 318*

[7] *ქართლის ცხოვრება, II, გვ. 317.* ვ. გამრეკელის გამოკვლევით, ბაყათარი უნდა გარდაცვლილიყო 1304-1306 წლებში, რადგან გილანის ლაშქრობაში ის აღარ მოიხსენიება. *გამრეკელი ვ., XIII-XIV სს. მიჯნის საქართველოს ისტორიიდან. ჟამთააღმწერელის ზოგიერთი ცნობის გაგებისათვის, გვ. 174.* სურამელი ქართლის ერისთავი იყო და ქ. გორი ადმინისტრაციულად ქართლის საერისთაოში შედიოდა. ამიტომ იბრძოდნენ სურამელები ოსების წინააღმდეგ XIII-XIV საუკუნეებში. ვრცლად იხ. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 612.*

ოსთა მოძალებას ებრძოდნენ „სურამელი აჰმადა და რატი“, მაგრამ ეს იმდენად სერიოზული წინააღმდეგობა არ იყო, რომ გორში მდგომი ოსების მოქმედება აელაგმა. ბაყათარმა „წარუღო გამრეკელსა, კახას ძესა, ციხე ძამისა“. ბაყათარის მიერ ძამის ციხის აღება უნდა მომხდარიყო 1304 წ. ან ცოტა ადრე, რადგან, როგორც ზემოთ ვთქვი, მისი გარდაცვალება ნავარაუდევია 1304-1306 წლებში. ძამის ციხეს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა: აქედან იხსნებოდა გზა სამცხისაკენ. სამცხის მთავარი ბექა ვერ დაუშვებდა ოსების ყოფნას ძამის ციხეში. ის დიდი ლაშქრით წამოვიდა. ბაყათარი ციხის გარეთ შეხვდა ბექას და მოხდა „ომი ფიცხელი“. ძლეულმა ბაყათარმა ძამის ციხეს შეაფარა თავი. ბექამ ალყა შემოარტყა. ოსებმა შეწყალება ითხოვეს. ჟამთააღმწერელი აღარაფერს ამბობს იმის შესახებ, დატოვეს თუ არა ოსებმა ძამის ციხე, მაგრამ იგულისხმება, რომ ეს ასე მოხდა. ამ ამბების შემდეგ ბაყათარს დიდხანს აღარ უცოცხლია.

ძამის ციხესთან განცდილი მარცხის შემდეგაც „მძალვრდებოდნენ ოვსნი ქართლს და დაეპყრათ ადგილ ადგილთა დაბნები და ციხენი“[1].

ოსთა ხელიდან გორის დახსნა მეფე გიორგი V ბრწყინვალის დროს (1318-1346) მოხდა.

გიორგი V-მ მემკვიდრეობით ეკონომიკურად დასუსტებული და პოლიტიკურად დაშლილი ქვეყანა მიიღო. სამეფო ხელისუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ოსების წინააღმდეგ იყო მიმართული. მეფემ ჯერ ოსების მიერ დაკავებული „ციხენი და დაბები“ დაიბრუნა, ხოლო შემდეგ გორის გათავისუფლებისათვის იბრძოდა. ბრძოლა ხანგრძლივი იყო. „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით მეფემ გორის გათავისუფლებას სამი წელი მოანდომა. *„მაშინ მოადგა (გიორგი V – ე. მ.) ოვსთა, გორს მყოფთა, და ჰბრძოლა სამ წელ“*[2]. ჟამთააღმწერელის ცნობებზე დაკვირვებით, გორის გათავისუფლებისათვის ბრძოლა შეიძლება 1317-1320 წლებში ვივარაუდოთ, ხოლო ვახუშტის მიხედვით, მისი გათავისუფლება უნდა მომხდარიყო 1320-1326 წლებში[3].

---

[1] *ქართლის ცხოვრება, II, გვ. 256.* იხ აგრეთვე, *თოგოშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი ოსეთისა და ოსების შესახებ, გვ. 89.*

[2] *ძეგლი ერისთავთა. ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე / ტექსტი გამოსცა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო შ. მესხიამ // მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, თბ., 1954, ნაკვ. 30, გვ. 350.*

[3] *იხ. გამრეკელი ვ., XIII-XIV სს. მიჯნის საქართველოს ისტორიიდან. ჟამთაღმწერელის ზოგიერთი ცნობის გაგებისათვის, გვ. 175-176.*

ის ფაქტი, რომ გორის ალყა 3 წელი გაგრძელდა, თავისთავად მიგვანიშნებს იმაზე, თუ როგორ შეუპოვრად ცდილობდნენ ოსები გორის შენარჩუნებას[1]. გორის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში გიორგი მეფეს სხვებთან ერთად ეხმარებოდნენ ქსნის საერისთავოს ლაშქარი ვირშელის მეთაურობით და არაგვის მთიულნი. მემატიანეს თქმით, ვირშელსა და მის ჯარს ისეთი სიმამაცე გამოუჩენიათ, რომ საყოველთაო ქება დაუმსახურებიათ, რის გამო არაგველები შურით აღვსილნი, მათ ბრძოლაშიც კი გამოუწვევიათ ქსნის ხეობელნი. ვირშელსა და მის ჯარს გამოწვევა მიუღიათ. გორის აღების შემდეგ მოქიშპენი შეთანხმდნენ, რომ ერთმანეთს ლომისის მთასთან შებმოდნენ, მაგრამ საქმეში ჩაერია უფლისწული დავითი და მოქიშპენი *„განყარა ყოველნი თავის-თავ“*. ვირშელი გამობრუნდა უკან. მაგრამ არაგველნი დაედევნენ და ხელახლა შესთავაზეს ბრძოლა. მიუხედავად იმისა, რომ ვირშელს ჯარის დიდი ნაწილი გაშვებული ჰყავდა მაინც შეება არაგველებს და გაიმარჯვა კიდეც. ასე უაზროდ დაიღვარა ძმათა სისხლი[2].

გიორგი ბრწყინვალის მიერ გორის გათავისუფლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მთიელთა ჩამოსახლების შეჩერებისა და საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს აღდგენის საქმეში.

ოსთა ბატონობამ სერიოზული დაღი დაასვა გორის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ზემოთ უკვე ითქვა, რომ 1292 წ. ქალაქი ძლიერ დაზარალდა, დაიწვა. ამას ემატებოდა თითქმის გამუდმებული ბრძოლა გორში მყოფი ოსების წინააღმდეგ და, ბოლოს, ოსები უფრო ძარცვა-რბევით იყვნენ დაინტერესებული, ვიდრე ქალაქის ეკონომიკური გაძლიერებით. ამ მიზეზებს უნდა გამოეწვია გორის იმდენად დაკნინება, რომ იგი XIII-XIV საუკუნეებში „გედაქალაქს“, ე.ი. „სოფელ-ქალაქს“, „დაბა-ქალაქს“ წარმოადგენდა[3].

---

[1] *ვრცლად, თოგოშვილი გ., ვახუშტი ბატონიშვილი ოსეთისა და ოსების შესახებ, გვ. 90.*

[2] *ვრცლად, ძეგლი ერისთავთა. ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე, გვ. 350-351; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 254-256, 261.*

[3] *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ / ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, თბ., 1978, გვ. 30, 153.*

გორი, თემურლენგის შემოსევების დროს

ისევე, როგორც საქართველოს სხვა ქალაქები, ქ. გორი, თემურლენგის შემოსევების შედეგად განადგურდა. მაგრამ გორის ციხე კვლავ ინარჩუნებდა თავის სტრატეგიულ მნიშვნელობას. თემურლენგის საქართველოში მეექვსედ ლაშქრობის დროინდელი გორის შესახებ მოდწეულია რამდენიმე საინტერესო ცნობა.

თემურლენგი საქართველოში მეექვსედ შემოიჭრა 1400 წელს. მან საომარი მოქმედება ქვემო ქართლიდან დაიწყო და მთელი ქართლი მოარბია. მეფე გიორგი VII (1393-1407) დასავლეთ საქართველოში გადავიდა. თემურლენგმა ვერ გაბედა მისი დადევნება, სამცხეში შეიჭრა და აიკლო, შემდეგ ისევ ქართლში გადმოვიდა და არაგვის ხეობა დაარბია. რა თქმა უნდა, მტერს ვერც გორი გადაურჩა. თუ როგორ მოქმედებდა თემურლენგის ლაშქარი დაპყრობილ ადგილებში, კარგად ჩანს თემურის კარის ისტორიკოსის მოინ ადდინ ნათანზის მონათხრობიდან. თემურმა „ყარაყანლუყ (არაგვის ხეობის) ციხემდე, ხამშას ხეობამდე, გორამდე და ლორემდე მორბევა რომ ინება... მთელ გორჯესთანსა და არმენიაში (ქვემო ქართლი ანუ სომხითი – ე. მ.) ერთი დასახლებული ადგილი და მოსხმული ყანა რომ არ დასტოვა, ყველაფერი ისე გაანადგურა“[1].

საინტერესოა თემურის შიდა ქართლში ლაშქრობის დროინდელი ერთი ეპიზოდი, რომელიც გორს ეხება:

მუხრანში დაბანაკებულმა თემურლენგმა გაილაშქრა *„ჯანიბეგ ქართველის ხეობაშიც“.* სპარსულ წყაროში დასახელებული ჯანიბეგი მკვლევრებს ამილახვარ ჯანიბეგ ზევდგინიძედ მიაჩნიათ, ხოლო ჯანიბეგ ქართველის ხეობაში – საამილახვრო[2]. მტერი მოულოდნელად შეიჭრა ჯანიბეგის სამფლობელოში თვით თემურის მეთაურობით. სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, ჯანიბეგი დაატყვევეს, მისი სამფლობელოები აიკლეს, სახლები დაანგრიეს, ხოლო მოსახლეობა ამოწყვიტეს. იგივე ამბავი „ახალი ქართლის ცხოვრების მეორე ტექსტში“ გადმოცემულია შემდეგნაირად: *„ხოლო იყო ვინმე მთავარი და დიდად წარჩინებული ქართლსა შინა სახელათ ჯანიბეგ. ამა ჯანიბეგისა მამულსა ჩაუდგა ლანგ-თემურ და აღაოჯრა, დაწვა*

---

[1] ტაბატაძე კ., ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974, გვ. 124.

[2] იქვე, გვ. 132; კაციტაძე დ., საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, თბ., 1975, გვ. 145.

და დააქცია. მაშინ მოუვიდა იგიცა და შეურიგდა, და იყო ხანსა რაოდენსამე შინა მუნ. და მოვლეს სრულიად ქართლი და მოაოჴრეს და დაწვეს, და დიდად ღონე ჰყოფდა და წადიერ იყო შეპყრობად მეფისა გიორგისა და ვერ შეძლო"[1].

ვახუშტი ბატონიშვილი, როდესაც ზემოაღწერილი ამბების შესახებ გვამცნობებს, ჯანიბეგის მაგიერ ასახელებს ჯანდიერს („ჯანდიერ წარჩინებული"), რომელიც ბრძოლის გარეშე, სხვებთან ერთად ეახლა თემურს. *„არამედ მუნ მიერთოდნენ თემურს რომელნიმე ქართველნი და ჯანდიერ წარჩინებული"*[2].

ბერი ეგნატაშვილის თქმით, თემურის მიერ თბილისის აღების შემდეგ, ზოგიერთი ქართველი დიდებული ეახლა მას და მორჩილება აღიარა[3]. ჯანიბეგი კი, როგორც ზემოთ დავინახეთ, ასე არ მოიქცა. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მეფისადმი ერთგული დარჩა.

საამილახვროს აკლების მიზეზი სწორედ ეს იყო[4].

სპარსული წყაროები, ქართულისაგან განსხვავებით, რამდენიმე საინტერესო ცნობას გვაწვდიან საამილახვროში შემავალი გორის შესახებ. ისინი დამატებით გვაცნობებენ, რომ ჯანიბეგის სამფლობელოს აკლების შემდეგ თემური გორისაკენ გაეშურა. მისმა მარბიელმა ჯარმა დიდი ნადავლი იშოვა. ისტორიკოს ნეზამ ად-დინ შამის თქმით, ვიდრე გორს მიაღწევდა თემურის *„ლაშქარმა ურიცხვი ქონება იშოვა დავლად, ურწმუნოთა შენობები დაწვეს, ყანები გაანადგურეს და ეკლესიები კი დააქციესო"*[5]. იგივე ისტორიკოსი გორის ციხეს ახასიათებს, როგორც „უაღრესად მკვიდრსა და საგულდაგულოდ გამაგრებულ ციხე-სიმაგრეს". ხოლო მეორე, ასევე თემურის კარის ისტორიკოსი, შარაფ ად-დინ ალი იეზდი, გორის ციხეს შეყვარებულთა ფიცხე უფრო მტკიცედ მიიჩნევს, ამ უკანასკნელი ისტორიკოსის თქმით, გორის ციხე პირველი იერიშისთანავე აუღიათ და მიწასთან გაუსწორებიათ[6].

ჩვენამდე მოღწეული ზემოაღნიშნული და სხვა წყაროებიდანაც ირკვევა, რომ თემურლენგის ქართლში შემოჭრის მიზანი შეუპოვარი

---

[1] *ქართლის ცხოვრება, II, გვ. 453.*

[2] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 270.*

[3] *ქართლის ცხოვრება, II, გვ. 332.*

[4] *შდრ. ტაბატაძე კ., ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, გვ. 133*

[5] *იქვე, გვ. 133-134.*

[6] *იქვე, გვ. 134.*

მეფე გიორგი VII-ის შეპყრობა იყო. გორის აღების შემდეგ თემური გორის ველზე დაბანაკდა და გიორგი მეფეს მდევარი დაადევნა[1]. თემურმა თავის სარდლებს უბრძანა: „რომელნიცა შეიპყრობთ მეფესა გიორგისა და მოიყვანს ჩემ თანა, მივანიჭებ წყალობასა და საბოძვარსა ურიცხუსა“[2]. მაგრამ ისე მოკვდა დამპყრობელი, რომ საწადელს ვერ მიაღწია.

გორი XV ს. მეორე ნახევარში

XV საუკუნის შუახანებში დაწყებულ ფეოდალურ შინაბრძოლებში გარკვეული „წვლილი“ შეჰქონდა ***ზევდგინიძეების გვარს***, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელი გორის მოურავი იყო ხოლმე. გორის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული XV საუკუნის 80-იან წლებში შედგენილ ზევდგინ ზევდგინიძის შვილის ავთანდილის (თუ გურამ) „საჩივრის წიგნში“.

ავთანდილი უჩივის თავის ძმისწულს, ამირინდო ამილახორის შვილს ზაალს (ზაალის მამა, ამირინდო ამილახორი ნაშვილები ჰყავდა თაყა ამილახორს, ავთანდილის ბიძას), რადგან ეს უკანასკნელი მამულის უდიდეს ნაწილს ეცილება[3].

ვახტანგ IV (1442-1446), ალექსანდრე I-ის ძემ, ჩვენთვის უცნობი დანაშაულისათვის დაატყვევა მეფე ალექსანდრე I-ის ქვისლი, თავისი დეიდის ქმარი ამილახორი. ავთანდილის მამა ზევდგინი კი მეფის ერთგული ყოფილა და გორის ციხე მისთვის შეუნარჩუნებია. ავთანდილი ამბობს: *„ბიძაჩემი ლეხთიმერით ტყუედ ჰყავდა (ვახტანგ მეფეს – ე. მ.) და მამაჩემი გორს ციხეს უდგა და არა დააკლო (ვახტანგ მეფემ – ე. მ.) რა მისის მკუიდრის მამულისაგან*“[4].

რას გულისხმობს ავთანილი ზევდგინიძე, როცა ამბობს ვახტანგ მეფეს „მამაჩემი გორს ციხეს უდგა?“

---

[1] *კაციტაძე დ., საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, გვ. 146, 179; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 697.*

[2] *ქართლის ცხოვრება, II, გვ. 333.*

[3] *ვრცლად იხ. ბერძენიშვილი ნ., ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში. დოკუმენტები კრიტიკული წერილით, მსკი, ნაკვ. I, თბ., 1937, გვ. 3-68.*

[4] *იქვე, გვ. 41.*

ვახტანგ IV-ის მეფობის შესახებ ჩვენამდე ცოტა რამ არის მოღწეული, ვიცით, რომ 1444 წ. საქართველოს, კერძოდ სამცხეს, შემოესია შავბატკნიან (ყარაყოიუნლუ) თურქმანთა ლაშქარი ჯეჰან შაჰის მეთაურობით. ვახტანგ მეფემ შეკრიბა დიდი ჯარი და სამცხეს გაეშურა. ქართველებმა გაიმარჯვეს[1]. ალბათ, ამ დროს უერთგულა ზევდგინიძემ ვახტანგს: სამცხიდან შემოჭრილი მტრისაგან გორი დაიცვა. მამის ასეთი მოქმედება უფლებას აძლევდა ავთანდილ ზევდგინიძეს „დარბაისერისთვის“ განეცხადებინა: *„ასრე ძუელთაგან ნამსახურნი ვართ მეფეთანი“*[2].

გარეშე მტრების სისტემატური თავდასხმები დიდ გავლენას ახდენდა ქვეყნის შემდგომ განვითარებაზე, განსაკუთრებით კი საქალაქო ცხოვრებაზე, რა თქმა უნდა, მთელ ქვეყანასთან ერთად ზარალდებოდა გორიც. ქართულ წყაროებში არ აისახა, მაგრამ ცნობილია, რომ შავბატკნიანებზე გამარჯვების შემდეგ თეთრბატკნიანთა (აყ-ყოიუნლუს) სახელმწიფოს მბრძანებელმა უზუნ ჰასანმა, რამდენჯერმე, 1458, 1463, 1466, 1472 წლებში დალაშქრა საქართველო, რაც შეეხება მის უკანასკნელ ლაშქრობას 1477 წელს, მასზე დაწვრილებით ვიტყვი ქვემოთ.

გარეშე მტრების თავდასხმებს თან ახლდა საშინაო გართულებებიც. 1462 წელს სამცხის ათაბაგმა ყვარყვარე II-მ უზუნ ჰასანის დახმარებით მეფე გიორგი VIII დაამარცხა, ხოლო მოგვიანებით (1465 წ.), ღალატის საშუალებით მეფე და ბატონიშვილი კონსტანტინე დაატყვევა. კონსტანტინემ გაქცევა მოახერხა. მან ჯერ გორის ციხეს შეაფარა თავი, შემდეგ ქუთაისის ციხეში გამაგრდა. როგორც 1466 წლის წყალობის სიგელიდან ჩანს, დევნილ კონსტანტინეს დიდი დახმარება აღმოუჩინეს ზაქარია, კახა და ზაზა ჯავახიშვილებმა. *„მას ჟამს ოდის ღმრთისა გარეგანმან ყუარყუარე პატრონსა ბიძასა ჩუენსა მეფესა გიორგის უღალატა და ჩუენსაცა ღალატსა და ავსა აპირებდა, ღმერთმან მოგუარჩინა, წამოუველთ და თქუენ დიდი ვალი და ნამსახური დაგუდევით: გორის ციხეს შემოგუყევით და დაგუამაგრეთ და ისრე დაჭირებულს ქუთათის ციხეს შეგუიდეგით და იქიცა დიდი გუმსახურეთ“*[3].

---

[1] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 282.*

[2] *ბერძენიშვილი ნ., ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში. დოკუმენტები კრიტიკული წერილით, გვ. 41.*

[3] *საქართველოს სიძველენი, II / ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1909, გვ. 204; ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 134.*

ბატონიშვილი კონსტანტინე დიმიტრის ძე გამეფებას ცდილობდა და დროებით წარმატებაც მოიპოვა. მან ხელთ იგდო გორი და ქუთაისი. მაგრამ მას უთანხმოება ჩამოუვარდა თავის ძმა დავითთან. ეს უკანასკნელი განუდგა და ტახტის მეორე პრეტენდენტს იმერეთის ერისთავს, ბაგრატს მიემხრო. როდესაც ბაგრატი ქართლში გადმოვიდა, დავით ბატონიშვილი მის მიემხრო თავის „ყმა“ ზევდინიძესთან ერთად. დავითისაგან ასეთი ნაბიჯის გადადგმაში, როგორც ირკვევა, ავთანდილ ზევდგინიძეს მიუძღვოდა „ღვაწლი“. ავთანდილს დავითისათვის უთქვამს: *„თუ შენ ბაგრატ მეფის ყმა არ შეიქმნები, მე ჩემსა მამულსა არავინ მომცემსო“*[1]. რა თქმა უნდა, ავთანდილ ზევდგინიძე თავის როლს დავითის ბაგრატისადმი მიმხრობაში აზვიადებს. საფიქრებელია, რომ დავითს კონსტანტინესაგან განდგომის პირადი მიზეზი ექნებოდა. ბაგრატმა გამეფების შემდგომ დაუფასა ზევდგინიძეს სახელო და დიდი ხნის წინათ ჩამორთმეული გორის მოურავობა დაუბრუნა.

ზევდგინიძემ გორის მოურავობა დაკარგა 1453-1454 წელს, როცა გიორგი VIII ებრძოდა ბაგრატს. 1454 წელს გორის მოურავია გაბრიელ ჯავახიშვილი[2]. ზევდგინიძე ბაგრატს მიემხრო. ავთანდილ ზევდგინიძემ, როგორც ჩანს, სწორად შეაფასა ვითარება. ბაგრატმა გაიმარჯვა. ასე გადაურჩა ავთანდილ ზევდგინიძის მამულები აკლებას, რაც როგორც მისი სიტყვებიდან გამოსჭვივის, მეფე გიორგის მომხრეების მამულებმა განიცადა. ავთანდილმა კი მამულები უფრო გაიფართოვა და გორის მოურავობაც დაიბრუნა ქრთამის მიცემით. ავთანდილი აცხადებს: *„თუ იმას იტყუიან, თუ: ბარატ მეფემან მოგუცა მამულიო, სადამდისი იმავე ჩემგან ნაშოების მამულიდაღმა – წიწამურიდაღმა ასი კოკა ღუინო არ მივეცით, მანამდის გორის მოურაობა არ გუიბოძა“*[3].

ზემოთ უკვე ითქვა, რომ 1465 წ. ყვარყვარე II ათაბეგმა დატაყვევა მეფე გიორგი VIII. ამით ისარგებლა იმერეთის ერისთავმა ბაგრატმა (იგი თავის თავს ლიხთიმერეთის მეფეს უწოდებდა), გორი და თბილისი დაიკავა და თავი გამოაცხადა „სრულიად საქართველოს მეფედ“, ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ გიორგი მეფემ ბაგრატის

---

[1] *ბერძენიშვილი ნ., ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში. დოკუმენტები კრიტიკული წერილით, გვ. 43.*

[2] *ნ. ბერძენიშვილის მიხედვით, გაბრიელი ნაცვლად უნდა იყოს გამრეკელი. იქვე, გვ. 67.*

[3] *იქვე, გვ. 43.*

განდევნა ვერ შეძლო. ამიტომ ის კახეთში გადავიდა და ცალკე სამეფოდ გამოაცხადა (1466 წ.).

საგარეო და საშინაო უარყოფითი ფაქტორები გავლენას ახდენდა გორზე. ალბათ ამიტომ იყო, რომ 1469 წლის ერთ-ერთ ცნობაში გორი დაბა-ქალაქად იწოდება[1].

1477 წ. აყ-ყოიუნლუს მბრძანებელმა ***უზუნ ჰასანმა საქართველოზე გამოილაშქრა*** და იმჟამად ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დასუსტებულ თავის ყოფილ მოკავშირე საქართველოს დიდი ზიანი მიაყენა. უზუნ ჰასანის ასეთი მოქმედების მოტივი დღესაც საბოლოოდ არ არის გარკვეული[2].

უზუნ ჰასანის ლაშქრის საქართველოში შემოსევის შესახებ ქართული წერილობითი წყაროები უაღრესად ძუნწია და არც ზუსტად არის დათარიღებული. „ძილისპირი იკორთისა“ გვაცნობს: „ქორონიკონსა რიდ. აქა უზუნ-ჰასან საქართველო ამოსწყვდა“[3]. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, 1478 წელს „მოვიდა უზუნ-ასან ყეენი, ამისმან მცნობმან ბაგრატ მეფემან არღარა ინება ბრძოლა უზუნ-ასან ყეენისა, ვინაითგან კონსტანტინე მეფეცა მოვიდა მის თანა და მისცა ციხე ტფილისი, უკუმოიქცა და მოვიდა რაჭას“[4]. დამპყრობლებმა ხელთ იგდეს ხერკი, საგურამო, მარტყოფი და თიანეთი[5].

„ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტი მოგვითხრობს უზუნ ჰასანის საქართველოში შემოსევაზე, მაგრამ თარიღის გარეშე: „შეიყარა ყაენი უზუნ ასან, მოვიდა სომხეთს, და მეფე ლიხთ იქით იყო, ქართველნი თან იახლნენ. მოადგეს ბარათიანთა და ორბელიანთა ძირსა. დიდად კარგად დახუდეს ბარათიანნი. დამაგრდნენ და ვერა უყვეს რა. მოვიდეს ტფილისსა და აღიღეს. და თვით ყაენი მუხრანს დადგა. აღივსო ქართლი ლაშქრითა, მოაოჯრეს სრულიად ქართლისა ადგილი. იჴმნა ყაენმან ბარათიანნი, მიინდვნა, ნახნა და შეიწყალნა, მოსცნა მრავალნი და აღავსნა პირთამდინ. ამას ზედან

---

[1] *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ, 83. შდრ. იქვე, გვ. 57.*

[2] *ვრცლად: მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I (XV-XVI სს.), თბ., 2009, გვ. 89-94.*

[3] *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, 1213 წლიდან 1700 წლამდე, II, ტფ., 1897, გვ. 365.*

[4] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 807.*

[5] *იქვე, გვ. 568.*

ღმერთმან იპრიანა, იწყინა ამოწყუეტა საქრისტიანოსა, შეედვა ყაენსა სენი სასიკუდენე, აიყარა და წარვიდა“[1]. შემდეგ მოთხრობილია კონსტანტინეს წასვლა უზუნ ჰასანის კარზე, ბარათაშვილების თან ხლება და უზუნ ჰასანის სიკვდილის ამბავი. „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტში თურქმანთა შემოსევა 1456 წლით არის დათარიღებული, მაგრამ მასში 1477 წლის ამბებია გადმოცემული.

ზემოთ მოყვანილ ცნობებში გორი საერთოდ არ არის ნახსენები, მაგრამ უზუნ ჰასანმა რომ გორიც აიკლო, ამაში ქვემოთ დავრწმუნდით.

უზუნ ჰასანის 1477 წ. საქართველოში ლაშქრობაზე მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვეს ვენეციელმა დიპლომატ-მოგზაურებმა ჯოსაფატ ბარბარომ და ჯოვანი მარია ანჯოლელომ, რომლებიც ამ საინტერესო ამბის თანამედროვენი იყვნენ. ჯოსაფატ ბარბარო უზუნ ჰასანს ამ ლაშქრობაში თან ახლდა. თუმცა არც ისინი იძლევიან საშუალებას დაწვრილებით მივყვეთ ლაშქრობის გავრცელების არეალს. იმ შემთხვევაში, თუ მათ მონათხრობს ქართული მასალების მონაცემებს მივაშველებთ, მაშინ სურათი თითქმის ნათელი გახდება.

ლაშქრობის დაწყების წინ, როგორც ბარბარო გადმოგვცემს, უზუნ ჰასანმა ბრძანა ხმა გაევრცელებინათ, თითქოს ის ოსმალეთის წინააღმდეგ საომრად წასვლას აპირებდა. როცა ბარბარო ლაშქრის სამზადისს დააკვირდაა, გავრცელებული ხმა საეჭვოდ მიიჩნია. მისივე თქმით, უზუნ ჰასანის ლაშქარი 20-24 ათასამდე ცხენოსნისა და 4-5 ათასამდე ქვეითისაგან შედგებოდა[2]. ანჯოლელოს მიხედვით, უზუნ ჰასანს თერთმეტი ათასი ქვეითი ჰყავდა[3]. სხვა ცნობით თურქმანთა ლაშქარი 100 ათასი მებრძოლისაგან შედგებოდა[4], რაც გადაჭარბებული უნდა იყოს.

ბარბარო ამბობს: „საქართველოს შიგნით ორი დღის სიარულის შემდეგ მივედით თბილისში. არა მხოლოდ (თბილისი), არამედ იქიდან მოყოლებული, მთელი ეს მხარე მიტოვებული იყო და წინააღმდეგობის გარეშე დავეუფლეთ. შემდეგ წავედით უფრო ზევით გორისაკენ და სხვა ირგვლივ მდებარე ადგილებისაკენ. ყველა ისინი

---

[1] *ქართლის ცხოვრება, II, გვ. 342.*

[2] *XV საუკუნის იტალიელები საქართველოს შესახებ, გვ. 61.*

[3] *იქვე, გვ. 78.*

[4] *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 86.*

გაძარცული იქნა. ასევე მოეპყრო (უზუნ ჰასანი) ქვეყნის უდიდეს ნაწილს“[1].

უზუნ ჰასანის განზრახვა საქართველოში მოულოდნელად შემოჭრა იყო, რათა ქართველებს მომზადება ვერ მოესწროთ. უზუნ ჰასანმა მიზანს მიაღწია, იგი წინააღმდეგობის გარეშე დაეუფლა ქართლის უმნიშვნელოვანეს ქალაქებს – თბილისსა და გორს.

ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, თურქმანები ჯერ სომხეთს შეესივნენ, ხოლო შემდეგ „ქართლის სომხითში“ გადავვიდნენ. ორბეთთან მათ მეფე კონსტანტინე II[2] დახვდა და დიდი წინააღმდეგობა გაუწია. უზუნ ჰასანმა, როცა კონსტანტინეს სწრაფად დამარცხება ვერ შეძლო, მას თავი მიანება და თბილისისაკენ წავიდა.

კონსტანტინე მოსვენებას არ აძლევდა „მარბიელთა ყეენისათა“, ამიტომ უზუნ ჰასანმა მასთან მორიგება არჩია. იმავე დროს მან კონსტანტინეს ქართლის მეფე ბაგრატთან დაპირისპირება განიზრახა. „მაშინ ყეენი ეზრახა კონსტანტინე მეფესა, – წერს ვახუშტი, – რათა მივიდეს მასთან და მიანიჭოს ყოველი ქვეყანა მისი და დაიცვას უვნებლად“[3]. კონსტანტინე დათანხმდა და მასთან გამოცხადდა. უზუნ ჰასანმა დიდი პატივით მიიღო და თბილისიც მას ჩააბარა. ამ ღონისძიებით უზუნ ჰასანმა ბაგრატ მეფეს თბილისში დაბრუნების საშუალება მოუსპო. როგორც მოსალოდნელი იყო, უზუნ ჰასანი ბოლომდე არც კონსტანტინეს ენდო და თბილისის ციხეში თავისი გარნიზონი ჩააყენა, თვითონ მუხრანში დაბანაკდა და იქიდან აგზავნიდა თავის რაზმებს ქართლისა და კახეთის სხვადასხვა კუთხების დასარბევად[4].

ბაგრატ მეფეს გორის დაცვა ამირინდო ამილახორისათვის უბრძანებია – „გორს შემიდეგო“, მაგრამ მის მოწინააღმდეგე მისსავე ძმებს ავთანდილსა და სულმამას მოუხერხებიათ, რომ ციხეში სულმამა „შეეყენებინათ“. უზუნ ჰასანმა გორის ციხე აიღო და სულ-

---

[1] *XV საუკუნის იტალიელები საქართველოს შესახებ, გვ. 61.*

[2] ივ. ჯავახიშვილი დიდად ეჭვობდა, რომ 1477 წელს კონსტანტინე მჯდარიყო ქართლის სამეფო ტახტზე. იხ. მისი *ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1967, გვ. 125.*

[3] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 385.*

[4] *იქვე, გვ. 385.*

მამა დაატყვევა. სულმამა შემდეგში მისმა ძმებმა გაათავისუფლეს დიდი გამოსასყიდით[1].

გორსა და მის მიდამოებში დატრიალებული უბედურება გადმოცემულია ანონიმი თანამედროვის სომხურ „საგალობელში“.

„...აიღეს ტფილისი, დაბანაკდნენ იქ,
დაიმორჩილეს, ქალაქს ვინც დარჩა,
შექმნეს მხედართა ერთი რაზმი
და გაგზავნეს საომრად გორში.
მოვიდნენ იქ და ციხე აიღეს
ხმლით ამოწყვიტეს მამაკაცები,
ტყვედ წაიყვანეს იქაურები,
სამასი ბავშვი და დედაკაცი.
შემდეგ მიადგნენ ტყეს,
თხუთმეტ დღეს ეძებდნენ ხალხს,
შეიპყრეს ყველა მათგანი,
ბორკილგაყრილი წამოიყვანეს.
მამაკაცები ხმლით ამოწყვიტეს,
მოხუცი ქალებიც მიაყოლეს მათ,
ხუცესნი დაკლეს, აიღეს
სისხლი და შესვეს იგი.
ვის შეუძლია ამის მოთხრობა –
ანდა აღნუსხვა მკვდრების,
მოსმენა მათი გმინვის
სისხლით რომ იყვნენ მოსვრილნი...“[2].

მეფე ბაგრატმა ვერ შეძლო თურქმანებისადმი წინააღმდეგობის ორგანიზება და რაჭას შეაფარა თავი[3].

მტრის მიერ ქართლის დაკავების შემდეგ მეფე ბაგრატმა, სამცხის ათაბაგმა ყვარყვარემ[4] და სხვა შვიდმა დიდებულმა[5] მოლაპარაკება გამართეს უზუნ ჰასანთან ზავის დადების შესახებ. უზუნ ჰასანმა 16 ათასი დუკატი მოითხოვა, სამაგიეროდ, თბილისის

---

[1] *ბერძენიშვილი ნ., ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში. დოკუმენტები კრიტიკული წერილით, გვ. 44.*

[2] *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 87.*

[3] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 385.*

[4] *XV საუკუნის იტალიელები საქართველოს შესახებ, გვ. 61.*

[5] *იქვე, გვ. 78.*

გამოკლებით, ქართლზე უარი განაცხადა[1]. ბარბაროს თქმით: „ბატონი უზუნ ჰასანი შეუთანხმდა საქართველოს მეფე ბაგრატს და ყვარყვარეს, რომელიც ამ მეფეს ემეზობლება, რომ მისთვის მიეცათ 16 ათასი დუკატი და, თბილისის გარდა, მთელ ქვეყანას დაუტოვებდა მათ. მეფე ბაგრატმა და ყვარყვარემ, უნდოდათ რა ამ ფულის გადახდა, გამოგზავნეს ოთხი ბალასი[2], რომლებიც რიგიანები იყო, (მართალია) არც ისე დიდები და ისე ლამაზები, მაგრამ ისეთივე ხარისხიანი, როგორც ისინი, რომლებსაც ვენეციაში, სან მარკოს საკურთხეველზე უჩვენებენ, როცა ბატონ უზუს ჰასანს მიუტანეს ის ოთხი ბალასი, მან გამომიგზავნა (კაცი), რათა მათ სანახავად (წავსულიყავი) და შემეფასებინა. ვიდრე ხსენებულ მბრძანებელთან წავიდოდი, მეფე ბაგრატის და ყვარყვარეს ელჩებმა, რომლებმაც ბალასები ჩამოიტანეს, შემომითვალეს, რომ მე კარგად შემეფასებინა ბალასები, რადგან (ქართველები ჩემსავით) ქრისტიანები იყვნენ. მივედი თუ არა მბრძანებელთან (მან მაშინვე) მომცა ის ბალასები. მე გულდასმით დავათვალიერე ერთი (ბალასი). ბატონმა უზუნ ჰასანმა მკითხა, რამდენი ეღირება? მე ვუპასუხე: „ბატონო, ეს ღირს 4000 დუკატი“. მან გაიცინა და თქვა: *„შენს ქვეყანაში ძალიან ძვირი ღირებულა. არ მინდა ბალასები, ფული მინდა“*[3].

მეფე ბაგრატი იძულებული გახდა ფულით გადაეხადა ხარკი. მას გადასახადი თანხა ფეოდალებისათვის შეუწერია. ბაგრატ მეფე ისე გარდაიცვალა, რომ ხარკის გადახდა ვერ მოასწრო. ბაგრატის შემდეგ გამეფდა კონსტანტინე II (1478-1505). უზუნ ჰასანმა ზემოაღნიშნული თანხის გადახდა ახლა მას მოსთხოვა. გორის მოურავს ავთანდილ ზევდგენიძეს, კონსტანტინეს მოთხოვნით, 2100 თანგა[4] გაუღია ხარკის დაფარვის ანგარიშზე. „ჩემთა ჴრმლითა ნაშოვნი, – ამბობს ავთანდილი, – მე გამოვიღე ხუთასი თანგა ერთხელ, რვაასი

---

[1] *იქვე, გვ. 61. იხ. აგრეთვე, ჯავახისვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 118-122; კიკნაძე რ., საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV ს. მეორე ნახევარში // ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, თბ., 1964, გვ. 119-122.*

[2] *ბალასი,* ბადახში ანუ ძვირფასი ლალის ქვა. იხ. *კიკნაძე რ., საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV ს. მეორე ნახევარში, გვ. 119-122.*

[3] *XV საუკუნის იტალიელები საქართველოს შესახებ, გვ. 62.*

[4] *XV საუკუნის დასაწყისში თემურლენგის მიერ შემოღებული ვერცხლის მონეტა იწონიდა 6,2 გრ.*

ერთხელ და ცხრაასი ერთხელ. ამის მოწმე თუით ბატონი მეფე (კონსტანტინე – ე.მ.) არის“[1].

ბარბაროს შემდეგი ცნობებიდან ირკვევა, რომ როცა ქართველ მეფე-მთავრებმა 16 ათასი დუკატი გადაიუხადეს და თურქმანებმა 4-5 ათასი ტყვეც ხელთ იგდეს, უზუნ ჰასანმა ამის შემდეგ იმერეთი დაარბია[2]. ბარბარო, როგორც მოწმე, გადმოგვცემს, რომ თურქმანებმა ქუთაისი აიკლეს. შემდეგ გამობრუნდნე უკან, მოვიდნენსკანდაში, საიდანაც გორში გადმოვიდნენ. გორიდან მოკლე გზით მთებზე იარეს და სამი დღის შემდეგ ლორეში, ე.ი. უზუნ ჰასანის სამფლობელოში მივიდნენ[3].

ითქვა, რომ უზუნ ჰასანმა ბაგრატ მეფესთან მოლაპარაკების შემდეგ პირობა დასდო, ხარკის აღების შემდეგ გაიყვანდა ჯარს და მხოლოდ თბილისს შეინარჩუნებდა. როგორც ჩანს, ბაგრატ მეფის გარდაცვალების შემდეგ, უზუნ ჰასანმა კორექტივი შეიტანა ამ საკითხში. ისიც ითქვა, რომ კონსტანტინემ გადაუხადა უზუნ ჰასანს 16 ათასი დუკატი. ალბათ ამიტომ მან კონსტანტინეს „მიათუალა ტფილის მცველითურთ“[4]. ხოლო როცა მეფემ გაიგო უზუნ ჰასანის სიკვდილი, თბილისში დატოვილი თურქმანი მცველებიც გაუშვა და თვითონ დაეპატრონა ქალაქს. საინტერესოა, რომ ქართლის ციხეებში და გორშიც, კვლავ თურქმანები იდგნენ. 1479 წელს *„შემოიკრიბნა სპანი კონსტანტინე მეფემან და დაიპყრა ქართლი... აღიღო გორი და ყოველნი სხუანი ციხენი“*[5]. ვახუშტი თავის *„ქრონოლოგიურ ცხრილში“* კონსტანტინეს მიერ თბილისის, გორის და ქართლის გათავისუფლებას ერთი და იმავე წლით (1479) ათარიღებს[6]. ალბათ, ამ დროს კონსტანტინემ დააყენა გორის მეციხოვნეებად ვალადემურიშვილები, კერძოდ, ვალადემურიშვილი ფეროზი, რაზეც მიუთითებს მეფის ერთ-ერთი უთარიღო სიგელი[7]. ვალადემური მოხსენიებულია გიორგი VIII-ის 1451 წლის სიგელშიც[8].

---

[1] *XV საუკუნის იტალიელები საქართველოს შესახებ, გვ. 62.*

[2] *განსხვავებული მოსაზრება იხ. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 110.*

[3] *XV საუკუნის იტალიელები საქართველოს შესახებ, გვ. 62.*

[4] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 385.*

[5] *იქვე, გვ. 385.*

[6] *იქვე, გვ. 897.*

[7] *საქართველოს ხელნაწრთა ეროვნული მუზეუმი, Sd, №480.*

[8] *ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 130-131, № 45.*

XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო დაიშალა. საქართველოს საერთო მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა მაშინ, როცა იგი ორი ძლიერი სახელმწიფოს – ოსმალეთისა და ყიზილბაშური ირანის მეზობლობაში აღმოჩნდა.

გარეშე მტრის საქართველოში შემოჭრას და მის აოხრებას ხშირად თვით საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება უწყობდა ხელს. მეფე-მთავრები თითქმის გამუდმებით ებრძოდნენ ერთმანეთს და, ზოგჯერ, როცა ერთ-ერთ მათგანს გაუჭირდებოდა, ძლიერი მუსლიმანი მეზობლის გამოყენებას არ ერიდებოდა.

გორი XVI საუკუნის პირველ ნახევარში

1505 წ. გარდაიცვალა ქართლის მეფე კონსტანტინე და ტახტზე ავიდა მისი უფროსი ვაჟი დავით X (1505-1525), რომელიც ვახუშტი ბატონიშვილის დახასიათებით *„იყო ლმობიერი, ბრძოლა-შლილობათა და შფოთთა მოძულე და მოყუარე მშვიდობისა“*[1]. ამით ისარგებლა იმერეთის მეფე ალექსანდრე II-მ (1478-1510), გადმოვიდა ქართლში და გორს მოადგა. დავით მეფემ ბრძოლას თავი აარიდა[2] და (1508 წ.) *„აქა ალექსანდრე მეფემან გორი დაიჭირა“*[3]. ვახუშტის მიხედვით ალექსანდნრე II-მ 1509 წ. *„აღიღო გორი და დაიპყრა თჳთ“*[4]. ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტი კი გვებნება: *„ქორონიკონს რ˜ეზ: აიღო გორი ალექსანდრე, ძემან ბაგრატისამან, თუესა აგვისტოსა ჳ*[5], ე.ი. 6 აგვისტო. *„1509 ქა ქკს რჟზ ალექსანდრემ ძემან ბაგრატისამან აიღო გორი“*[6].

ამგვარად, ალექსანდრე II-ის მიერ გორის აღების ორი თარიღი (1508, 1509) გვაქვს. აქედან რომელია ზუსტი? ჩვენამდე მოღწეულ რამდენიმე წყაროში გორის აღებასთან ერთად ნათქვამია, რომ იმავე

---

[1] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 392.*

[2] *იქვე, გვ. 392.*

[3] *ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები) / ტექსტი გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯ. ოდიშელმა, თბ., 1968, გვ. 37.*

[4] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 392, 809.*

[5] *ქართლის ცხოვრება II, გვ. 487.*

[6] *საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVI-XIX სს. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ავთ. იოსელიანმა, თბ., 1980, გვ. 340.*

დროს დასავლეთ საქართველოს შეესიენ თურქები და გელათი და ქუთაისი გადაწვეს. მაგრამ არის წყაროები, რომლებშიც მხოლოდ თურქთაგან დასავლეთ საქართველოს აკლებაზეა ლაპარაკი და გორი არაა ნახსენები. ისინი დათარიღებულია 1510 ან 1512 წლებით[1]. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ უპირატესობა თურქთაგან გელათისა და ქუთაისის აღების საკითხის შესწავლისას უნდა მიენიჭოს იმ წყაროებს, რომლებიც 1509 ან 1510 წელს განეკუთვნება. მეცნიერმა შემდეგ დაზუსტა თარიღი და აღნიშნა, რომ სწორი უნდა იყოს 1510 წელიო[2]. ივ. ჯავახიშვილის ეს უკანასკნელი ვარაუდი (თურქეთის მიერ გელათისა და ქუთაისის აკლება 1510 წელს) შემდეგში დადასტურდა[3].

გორში ყოფნისას ალექსანდრე მეფისათვის უცნობებიათ თურქების მიერ იმერეთის დარბევა და ის იძულებული გახდა თავის სამეფოსთვის მიეხედა. ამით ისარგებლად ქართლის მეფე დავითმა გორი დაიბრუნა *„და განამტკიცა უმაგრესად“*[4].

ზემომოყვანილ წყაროებზე და გამოკვლევებზე დაყრდნობით, შეიძება ვთქვათ, რომ ალექსანდრე იმერთა მეფემ გორი დაიპყრო 1510 წელს. დავით მეფემ იგი დაიბრუნა იმავე წელს. მაგრამ სამეფოსამთავროებში მიმდინარე ფეოდალური ბრძოლები ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ირანსა და ოსმალეთს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარეულიყვნენ. ამ მოვლენების მიღმა არ რჩებოდა ქართლის სამეფო და, რა თქმა უნდა, გორიც.

XVI საუკუნის 10-იანი წლების მეორე ნახევარში სამცხეში ერთმანეთს ებრძოდნენ ახლად გაათაბაგებული ყვარყვარე III და ყვარყვარე II-ის მემკვიდრე მანუჩარი. თავდაპირველად მეტოქეებმა სხვების ჩარევის გარეშე სცადეს ურთიერთ ანგარიშის გასწორება. პირველივე ბრძოლაში ყვარყვარე III დამარცხდა, ირანში გაიქცა, შაჰ ისმაილ I-ს თავრიზში ეახლა და მანუჩარის წინააღმდეგ დამხარება სთხოვა. შაჰმა ათაბაგობის მაძიებელი ყვარყვარეს დახმარება ხელსაყრელად ჩათვალა სამცხე-საათაბაგოში ყიზილბაშთა პოზიციების განსამტკიცებლად. ყიზილბაშთა ჯარი სამცხეში შევიდა და მანუჩარი განდევნა. მანუჩარმა 1516 წ. ოსმალეთს შეაფარა თავი და

---

[1] ვრცლად იხ. *ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 209-212.*

[2] *იქვე; მცირე ქრონიკები, გვ. 103, შენ. 18.*

[3] *სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, XVI-XVII სს., თბ., 1971, გვ. 44.*

[4] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 396.*

სულთან სელიმ I-ს სრული მორჩილება აღუთქვა იმ პირობით, თუ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობაში დაეხმარებოდა. 1518 წელს მანუჩარი ოსმალთა ჯარით შევიდა სამცხეში, მაგრამ ყვარყვარე III-მ შაჰის დახმარებით იგი დაამარცხა[1].

ჰასან რუმლუს მიხედვით, იმავე 1518 წ. ყვარყვარე კვლავ შაჰს ეახლა და დახმარება სთხოვა. შაჰმა მას საქართველოს საქმეებში ჩახედული დივსულთანი გამოაყოლა, რომელმაც ქართლის უმთავრესი სტრატეგიული პუნქტები – გორი და სურამი – დაიპყრო[2]. ძნელია ამ ცნობიდან რაიმე კონკრეტულის გარკვევა, კერძოდ, რით იყო გამოწვეული ყვარყვარეს შაჰთან მისვლა და ყიზილბაშებზე დაყრდნობით ქართლის აკლება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართლ-კახეთის მეფე დავით X ცდილობდა სამცხე-საათაბაგოზე თავის გავლენის გავრცელებას და იქ მიმდინარე დინასტიურ ბრძოლაში ჩაერია. ის, ალბათ, მანუჩარს უჭერდა მხარს და, ერთი პირობა, როგორც ჰასან რუმლუს სიტყვებიდან ჩანს, ყვარყვარე კიდეც გაუდევნიათ. ყვარყვარე შაჰს ეახლა, რომლის ჯარით კვლავ აღიდგინა ხელისუფლება.

ყვარყვარე III-ის ღალატსა და ყიზილბაშების ქართლში შე ჭრას ის განსაკუთრებული შედეგი მოჰყვა, რომ გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფო კვლავ გაითიშა.

კახეთის შემოერთების უკანასკნელი ცდისას (1520) განცდილი მარცხის შემდეგ დავით მეფე გორში იმყოფებოდა, როცა *„მოართუეს ამბავი სპათა მოსვლისა ფერსათიდამ, რამეთუ გამოვლო გურიელმან მამიამ მწეობითა ათაბაგისათა მთა ღადო, რათა შემწე ეყოს ლევანს დავით მეფესა ზედა ზავითა, ან ბრძოლითა“*[3]. დავითმა მოხისთან ბრძოლაში მარცხი განიცადა და საბოლოოდ სცნო ლევანი კახეთის მეფედ.

დავით X-ის მეფობის ბოლო პერიოდში სამეფო სახლიც კი შინაურმა ბრძოლამ მოიცვა. 1524 წ. დავით მეფე ტახტიდან გადადგა თავის ძმის გიორგის (გიორგი IX, 1525-1527) სასარგებლოდ და ბერად შედგა დამიანეს სახელით. ამ ფაქტთან დაკავშირებით დავითმა

---

[1] *ვრცლად, მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I (XV-XVI სს.), გვ. 128-130.*

[2] *ჰასან-რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვ. ფუთურიძემ. შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1966, გვ. 21.*

[3] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 396.*

(დამიანე) სვეტიცხოველს შეწირა სოფ. მოხისი და გორს ჯამბე-გაშვილი. *„ასრე რომ წელიწადშიგან გორულით ლიტრითა ოთხასით მუტყულითა, ოცდაოთხსა ლიტრასა ზეთსა და ცხრასა ლიტრასა ცვილსა მოიტანდეს. მცხეთასა ჩვენსა (დავითის – ე.ი.) სამარხსა ეკუდარსა მიიტანდეს კიდევ გორს მოლარე და ნამსახური ჩუენი და მკუიდრი ვეფხუაშვილი ხეჩატურა, ასრე, რომე მივეცით დიდმელაური მამული და ვენაჯი და დავდევდით გორულით ლიტრით: ხუთი ლიტრა ზეთი*“[1].

არც გიორგი IX-მ იმეფა დიდხანს. ისიც ბევრად აღიკვეცა. მის შემდეგ ტახტი დაიკავა მისმა ძმისშვილმა ლუარსაბ I-მა (1527-1556), რომელმაც თავის ძირითად რეზიდენციად გორი გადააქცია. თბილისი ამ დროს ყიზილბაშებს ეკავათ[2].

1524 წ. გარდაიცვალა შაჰი ისმაილ I და გამეფდა მისი 11 წლის ვაჟი შაჰ თამაზ I (1524-1576). შაჰის მცირეწლოვნებით ისარგებლეს ყიზილბაშთა ამირებმა და შინაფეოდალური ომი გააჩაღეს. ყიზილბა-შების თავდასხმები შეწყდა XVI საუკუნის 40-იანი წლების დასაწ-ყისამდე. აქედან მოყოლებული კი ირანი და ოსმალეთი ერთმანეთს ეჯიბრებოდა, ვინ უფრო მეტს წაგლეჯდა საქართველოს. ხანგრ-ძლივმა ომმა მოქანცა ორივე მტაცებელი. შაჰ თამაზმა ზავი შეს-თავაზა სულთანს, მაგრამ, ვიდრე საზავო მოლაპარაკება დაიწყე-ბოდა, მანამდე შაჰმა თავისი პოზიციების განმტკიცების მიზნით, 1554 წლის ზაფხულში მეოთხედ დალაშქრა საქართველო. *„ელჩები რომ გავისტუმრეთ (ოსმალეთში – ე. მ.) – ამბობს შაჰ თამაზი, – თვითონ ლუარსაბის (ლუარსაბ I – ე. მ.) საქართველოზე გავილაშ-ქრეთ, იქაურ ციხეთა უმეტესობა ავიღეთ, ოცდაათი ათასი ტყვე წავასხით*“[3].

შაჰ თამაზის მიერ დაპყრობილ „ციხეთა უმეტესობაში“ გორიც იგულისხმებოდა. ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით შაჰ თამაზმა საბარათიანო დაიკავა, იქიდან ქართლში გადავიდა და „გორს დადგა“[4]. ბერი ეგნატაშვილის თხზულებაში ეს ამბები 1556 წლით

---

[1] *კაკაბაძე ს., ისტორიული საბუთები II, ტფ., 1913, გვ. 33.*

[2] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 116.*

[3] *შაჰ თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან / სპარსული ტექსტი გამო-საცემად მოამზადა, თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტაბატაძემ, თბ., 1976, გვ. 53*

[4] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, ნაკვ. II, 1925, გვ. 215-216.*

არის დათარიღებული. ყიზილბაშებმა დაიპყრეს გორი და მისი ციხე, წედისის ვერის ციხე (სოფ. გარდატენში) და მის ირგვლივ არსებული სხვა მცირე ციხენი, შემდეგ კი ატენის ციხეს მიადგნენ. ამ უკანასკნელში იყვნენ *„დედა ლუარსაბისა და მრავალნი თავადთა ჯალაბნი და თავადნი იყვნენ და ამისთჳს უწყო ბრძოლა ძლიერად. და ხანსა რაოდენსამე შინა აღიღო და ტყუე-ყო დედა ლუარსაბისა და მრავალნი თავადთა ჯალაბნი და მრავალი სხვა ყოველნივე ტყუე ყვნა და წარვიდა“*[1].

ყიზილბაშების მიერ ატენის ხეობის აკლების შემდეგ შაჰი გორიდან ყარაბაღში წავიდა[2]. ლუარსაბმა სცადა ტყვეები დაეხსნა, მაგრამ ამაოდ. შაჰ თამაზმა ერევანს მიიყვანა ტყვე დედოფალი, სადაც მან საწამლავი შესვა და თავი მოიკლა[3].

სვიმონ I-ის ბრძოლა გორის გათავისუფლებისათვის

ლუარსაბ მეფე გორში დაბრუნდა და ძალების მოკრებას შეუდგა. გორში იყრიდნენ თავს მისი თანამებრძოლები და მცირე ხნის შემდეგ მან კვლავ შეუტია ყიზილბაშებს[4], მაგრამ 1556 წ. გარისთან ბრძოლაში დაიღუპა. ქართლის ტახტი დაიკავა მისმა ვაჟმა სვიმონ I-მა (1556-1569, 1578-1600). მან მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. ამიტომ მეფის რეზიდენცია, ისევე როგორც ლუარსაბ I-ის დროს, გორში იყო. „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტის მიხედვით *„მაშინ წარიყვანეს სვიმონ და აკურთხეს მეფედ მცხეთას, და მცხეთით გორს მოვიდა“*[5]. გორი რომ სამეფო რეზიდენცია იყო, ამას ამბობს ფ. გორგიჯანიძე: *„გორს მივიდნენ და ყველგნით იქ მოვიდეს, ხელმწიფების წესით იგლოვეს“* (ლუარსაბ მეფის გარდაცვალება – ე. მ.)[6].

---

[1] *ქართლის ცხოვრება II, გვ. 365; ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 404-405; ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 215.*

[2] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 216.*

[3] *ქართლის ცხოვრება II, გვ. 507; ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 405.*

[4] *ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ / სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვ. ფუთურიძემ, თფ., 1969, გვ. 66.*

[5] *ქართლის ცხოვრება, II, გვ. 510; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 116.*

[6] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 217*

ისქანდერ მუნშის და ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით, სვიმონ მეფე 4-5 წლის განმავლობაში გორში იმყოფებოდა და ყიზილბაშების წინააღმდეგ საბრძოლველად ძალებს იკრებდა. ჰასან რუმლუს ერთი ცნობიდან კი ირკვევა, რომ სვიმონს გამეფებისთანავე განმათავისუფლებელი ომი დაუწყია. ჰასან რუმლუს თქმით, 1557 წ. ყიზილბაშთა ლაშქარი შემოიჭრა ქართლში და სხვადასხვა პუნქტებთან ერთად გორიც დაარბია. მტრის სიმრავლისა თუ მოულოდნელი თავდასხმის გამო, სვიმონ მეფემ მთებს შეაფარა თავი. *„ღაზიებმა გორის, სურამისა და საბარათიანოს ველაიეთი დაარბიეს, სოფლები და მხარეები ააოხრეს, ყანები და ხეები მწიფე ხილით ძირიანად ამოგლიჯეს (მიწიდან) და გამარჯვებულნი უამრავი ნადავლით განჯაში დაბრუნდნენ“*[1].

სვიმონ I-ს გამეფებისთანავე დაუწყია ყიზილბაშების წინააღმდეგ მოქმედება. ამის გამო რომ უნდა შემოჭრილიყვნენ ისინი ქართლში, დასტურდება 1557 წლის დეკემბრის დასაწყისით დათარიღებული ერთ-ერთი იტალიური წყაროთი[2].

ყიზილბაშების თარეში ქართლში იმით იყო გაადვილებული, რომ მათ ეპყრათ თბილისი. ამითიც იყო განპირობებული სვიმონ მეფის მცდელობა, გაეთავსუფლებინა სატახტო ქალაქი. რამდენიმე წარუმატებელი ცდის შემდეგ გასაგები გახდა, რომ სერიოზული მომზადების გარეშე ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელი იყო. მართლაც ისქანდერ მუნშისა და ჰასან რუმლუს მონაცემებით, სვიმონ მეფეს მრავალი დამხმარე მიუვიდა[3]. კახეთის მეფე ლევანმა, სვიმონის სიმამრმა, კახთა რაზმი გაგზავნა თავისი უფროსი ვაჟის გიორგის მეთაურობით. სპარსი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში, როგორც ჩანს, ცდილობდა გაერკვია გიორგი უფლისწული *„მამის ნებართვით თუ თვითნებურად“* წავიდა სვიმონ მეფის დასახმარებლად, მაგრამ ვერ შეძლო.

ისქანდერ მუნში სვიმონ მეფეს ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყების გამო კიცხავდა და მისი მამის, ლუარსაბ I-ის შეუპოვარი პოლიტიკის გამაგრძელებდად მიაჩნდა. სპარსელი ისტორიკისი

---

[1] *ჰასან-რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ / სპარსული ტექსტი თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვ. ფუთურიძემ. შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1966, გვ. 35.*

[2] *Tardy L. Rapports diplomatiques sur la Gèorgie entres les annèe 1550 et 1570 // Bedi Kartlisa, v. 24, Paris, 1976, p. 104.*

[3] *ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 23; ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 36*

წერს: სვიმონი *„მამის წესისამებრ, ურჩობისა და წინააღმდეგობის გზას დაადგა და ცხრაას სამოცდა რვა (1560/1561) წელს თბილისის დასაპყრობად თავისი სამყოფელი ადგილიდან (გორი) დაიძრა“*[1].

როგორც ცნობილია, ქართველთა ბრძოლა თბილისის გათავისუფლებისათვის მარცხით დამთავრდა. 1561 წლის 6 აპრილს მუხათგვერდთან ბრძოლაში მრავალ ქართველთან ერთად დაიღუპა კახეთის უფლისწული გიორგი. დამარცხებული სვიმონ მეფე *„გორის გზით წავიდა“* და *„თავისი ლაშქრით გორს მივიდა... ასრევე გორს ნესტანდარეჯან დედოფალს საყუარელის ძის გიორგი ბატონიშვილის მოკვლა გაუმჟღავნეს. და საქართველოს ჯარი მოვიდა, იტირეს, იგლოვეს...“*[2].

ყიზილბაშებთან განცდილი მარცხის შემდეგ სვიმონს განუდგა მისი ძმა დავითი (შემდეგში დაუთ-ხანი), გამაჰმადიანდა და ტახტის დაპატრონება ისურვა. შაჰმა დავითს გადასცა თბილისი და ყიზილბაშების ხელში არსებული საქართველოს ზოგიერთი სხვა ადგილები[3]. ამგვარად, ქართლში ორმეფობა დამყარდა: სვიმონი გორში იჯდა, დავითი – თბილისში. სვიმონი არ ურიგდებოდა შექმნილ მდგომარეობას და ებრძოდა დაუთ-ხანსა და ყიზილბაშებს. 1569 წელს სვიმონ მეფე ყიზილბაშთა ტყვეობაში აღმოჩნდა მთელი ათი წლით (1569-1578). ყიზილბაშთა შეწევნით დაუთ-ხანი ქართლის გამგებელი გახდა.

1578 წ. დაიწყო ირან-ოსმალეთის მეორე ომი (1578-1590). ოსმალებს მთელი ამიერკავკასიის დაპყრობა სურდათ. ქართლი გადაიქცა ომის მთავარ ასპარეზად. ოსმალებმა დაიპყრეს ქართლი და თბილისი საფაშოდ, ხოლო გორი სანჯაყად, ე.ი. სადროშოდ, ანუ სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულად გადააქციეს[4].

ომის დასაწყისიდანვე შაჰის კარზე გასაგები გახდა, რომ დაუთხანს არ შესწევდა უნარი ოსმალებისათვის წინააღმდეგობა გაეწია. ამიტომ შაჰმა მუჰამედ ხუდაბანდამ ქართლის ტახტზე სვიმონ I დააბრუნა. მან პარტიზანული ბრძოლა გააჩაღა და მოსვენებას არ აძლევდა მტერს.

---

[1] *იქვე, გვ. 23.*

[2] *ქართლის ცხოვრება, II, 511; ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 218*

[3] *ქართლის ცხოვრება II, გვ. 367, 512.*

[4] *სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.) / ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევა და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961, გვ. 49; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 522; ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 411.*

შირვან-აზერბაიჯანის დაპყრობის შემდეგ, 1578 წლის 26 ნოემბერს ლალა ფაშა თბილისში დაბრუნდა[1].

ოსმალთა გარნიზონი შიმშილისაგან იმდენად უკიდურესობამდე იყო მისული, რომ ძაღლისა და კატის ხორცით იკვებებოდა. ავადმყოფობას ბევრისათვის მუსრი გაევლო. როგორც მინადოის შეუტყვია, ოსმალთა გარნიზონი ასეთ მდგომარეობაში იმიტომ აღმოჩნდა, რომ ჯარისკაცები ქართველების შიშით ვერ ბედავდნენ ქალაქიდან გასვლას და სურსათ-სანოვაგის მოპოვებას[2].

ლალა ფაშა თბილისში ოთხი დღე დარჩა. მან ჯარი გაუსია თბილისის ახლომდებარე სოფლებს და საშინლად აიკლო, გარნიზონი სურსათით და ფულით მოამარაგა[3]. 24 ოქტომბერს დაიწყო ძლიერი გრიგალი, რომელმაც ოსმალების მგზავრობა შეაფერხა. დიდი თოვლის მოსვლის მიუხედავად, ჯარმა გზა გააგრძელა. შიმშილისა და სიცივის გამო თბილისიდან გორამდე მრავალი ჯარისკაცი დაიღუპა[4].

1578 წლის დეკემბრის დასაწყისში ოსმალეთის ჯარების მთავარსარდალმა ლალა მუსტაფა ფაშამ, ჯარი გაუსია თბილისის ახლომდებარე სოფლებს და საშინლად აიკლო. შემდეგ თბილისის გარნიზონი სურსათითა და ფულით მოამარაგა და გორისაკენ გაეშურა, ერთ-ერთი ანონიმი ავტორის გადმოცემით, გორის სანჯაყბეგმა (სადროშოს, ანუ ადმინისტრაციული ერთეულის მეთაურმა) *„შესჩივლა, რომ თბილისის ყოფილი პატრონის (დაუთ-ხანი – ე. მ.) ნათესავი სვიმონი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში დატყვევებული იყო სპარსეთში, გაათავისუფლეს, ეხლა იმყოფება ირგვლივ მდებარე მთებში და უსიამოვნებას აყენებს თურქებსა და*

---

[1] *Minadoi T., Historia della guerra fra Turchi et Persiani. Descritto in qvatro libro da Gio. Tomaso Minadoi: Caminciando dall'anno MDLXXVII, nel qvale furo li primi muomenti di lei, freqvendo per tutto l'anno MDLXXXV. Alla Santita di N. S. Sisto V. Pon tifi ce Ottimo Massimo. Con privilegio. In Roma. Nella Stamperia di Jacomo Tornerio, et Bernardino Donangeli. MDLXXXVIII, p. 99-100.*

[2] *Ibidem, p. 100.*

[3] *Фарзалиев А. М. оглы, Труды Мустафи Али-Эфенди как источник по истории Азербайджана конца XVI века / Диссертация на сойскание ученной степени кандидата ист. наук, Тбилиси, 1985, с. 93; Minadoi T., Historia della guerra fra Turchi et Persiani, p. 100.*

[4] *თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები. 1577-1581 / იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბ., 1987, გვ. 33.*

მათ მოკავშირეს და საჭიროა გენერალმა (ლალა მუსტაფა ფაშა – ე.მ.) მიიღოს ზომები. ამის გამო (გენერალი – ე. მ.) იქ დარჩა სამი დღე, რათა (სვიმონი – ე. მ.) დაეტყვევებინა. მან მაშინვე გაგზავნა მრავალი მხედარი მის მოსაძებნად, მაგრამ, მიუხედავად დიდი მონდომებისა, ვერავინ ვერ იპოვეს. გენერალი მიხვდა, რომ ამაოდ ეძებდა მას და ჯართან ერთად გაეშურა არზრუმისაკენ“[1].

ლალა ფაშა ჯერ ისევ გორში იმყოფებოდა, როცა, თურქი ისტორიკოსის ალი-ეფენდის გადმოცემით, აქ ეახლა იმერთა მეფე გიორგი II-ს ძმა მამია და მორჩილება გამოაცხადა[2]. აქვე მოვიდა კახეთის მეფის კაცი სახელად ემინ-აღა[3], მაგრამ ალი-ეფენდი არაფერს ამბობს ამ უკანასკნელის ლალა ფაშასთან ვიზიტის მიზანზე. სავარაუდოა, ალექსანდრე მეფეს რაღაც პრეტენზიები ჰქონდა ოსმალების მიმართ და ამიტომ უნდა გაეგზავნა სარდალს მისთვის „საამური“ წერილი. ლალა მუსტაფა ფაშამ კახეთის მეფეს მისწერა, თბილისის ბეგლარბეგის აჰმედ-ფაშის რაზმების და სიფახიების, ზიამების და თბილისის დასაცავად დატოვებული სხვა ჯარის-კაცების რაზმების გაერთიანების აუცილებლობაზე. მან ალექსანდრეს სთხოვა, აგრეთვე, ყოველი ღონე ეხმარა დაუდხანის ოსმალებისადმი მორჩილებაზე დასაყოლიებლად. სარდალმა გორის სანჯაყბეგად დანიშნა ჰუსეინ-ბეგი და არზრუმისკენ განაგრძო გზა[4].

მინადოის გადმოცემითაც, თბილისიდან გასული ოსმალთა ლაშქარი ქართველთა რაზმების მუდმივ თავდასხმებს განიცდიდა. მინადოის ნათქვამის საილუსტრაციოდ ორიოდე მაგალითიც მოჰყავს. მისი მონათხრობიდანაც ჩანს, რომ ყველა ამ რაზმების მოქმედების კოორდინაციას სვიმონ მეფე ახდენდა. მეფის მიერ ოსმალებისათვის მიყენებულ დიდ ზარალზე გადმოგვცემს ალი-ეფენდიც. მისი თქმით, ოსმალების არზრუმში დაბრუნება, სინამდვილეში უწესრიგო უკანდახევაში გადაიზარდა. ოსმალეთის ჯარის სარდალი აწყურში გაჩერდა. აქ მუსტაფა ფაშასთან შესახვედრად მოვიდა ყვარყვარე ათაბაგისა და მანუჩარის დედა-დედისიმედი[5]. სარდალმა აქვე მიიღო სვიმონ

---

[1] *იქვე, გვ. 33.*

[2] მ. სვანიძის გამოკვლევით მამია გიორგი მეფის შვილი იყო და არა ძმა. *სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 142.*

[3] *Фарзалиев А. М. оглы, Труды Мустафи Али-Эфенди как источник по истории Азербайджана конца XVI века, с. 93.*

[4] *Тамже.*

[5] *მამისთვალიშვილი ე., პატრონობდა სამცხეს დედისიმედი // ისტორიისა*

მეფის წერილი, რომელიც აცნობებდა, რომ თუ გორის (ე.ი. შიდა ქართლის) მმართველად დანიშნავდა, მაშინ ოსმალების მხარეს გადავიდოდა. სარდალმა უარით უპასუხა, იმ მოტივით, რომ გორის გამგებელი უკვე დანიშნული იყო[1].

არზრუმისაკენ მიმავალი ოსმალთა ჯარის არიერგარდი თითქმის მუდმივად განიცდიდა სვიმონ მეფის რაზმების თავდასხმებს. ოსმალებმა ქართლში დიდი ზარალი განიცადეს. სვიმონმა ლალა ფაშას ხუთი ათასზე მეტი მებრძოლი მოუკლა, მოსტაცა არკებუზებით დატვირთული მრავალი აქლემი, ფული, სურსათ-სანოვაგე და სხვ.[2]

1579 წლის დასაწყისში, ანონიმი ვენეციელის რელაციის მიხედვით, არზრუმში ოსმალეთის ჯარის მთავარსარდალმა შემაშფოთებელი წერილი მიიღო. თბილისის ბეგლარბეგი მეჰმედ ფაშა აცნობებდა, რომ ყიზილბაშთა 15 ათასიანმა ჯარმა ყარახანის მეთაურობით, ალყა შემოარტყა ქალაქს და თუ დროზე არ დაეხმარებოდნენ გარნიზონს შიმშილით დაღუპვა ემუქრებოდა[3]. წერილში აღნიშნული იყო, აგრეთვე, რომ ასეთივე მდგომარეობაში იყო გორი, რომელიც ალყაში ჰყავდა მოქცეული სვიმონ მეფეს[4].

ფარსადან გორგიჯანიძის თქმით, თბილისსა და გორს სვიმონ მეფემ შემოარტყა ალყა. თურქი ავტორების მიხედვით კი, სვიმონს მხოლოდ თბილისისათვის ჰქონდა ალყა შემორტყმული და ისიც ყიზილბაშებთან ერთად[5]. ვფიქრობ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს

და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, IX, თბ., 2009, გვ. 105-111.

[1] *Фарзалиев А. М. оглы, Труды Мустафи Али-Эфенди как источник по истории Азербайджана конца XVI века, с 94.*

[2] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 130.*

[3] *თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, 36;* იბრაჰიმ ფეჩევის გადმცმით, ყიზილბაშთა ჯარი 10 ათასი კაცისაგან შესდგებოდა და ალყა 4 თვე გაგრძელდა. *იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ / ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ., 1964, გვ. 54.*

[4] ფარსადან გორგიჯანიძით, თბილისსა და გორს სვიმონ მეფემ შემოარტყა ალყა. *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 223.* თურქი ავტორების მიხედვით, სვიმონმა ყიზილბაშებთან ერთად შემოარტყა ალყა თბილისს 1579 წლის 30 მარტს. *სვანიძე მ.. სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, XVI-XVII სს., გვ. 137.*

[5] *თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 37.*

ანონიმი ვენეციელის მონათხრობს, რადგან მისი რელაციის ცნობები ძირითადად დასტურდება სხვა ავტორების თხზულებებში.

ლალა ფაშამ თბილისისა და გორის დასახმარებლად სასწრაფოდ გაგზავნა ორი ათასი მხედარი, მაგრამ დიდი თოვლის გამო მათ ვერ შესძლეს დანიშნულების ადგილამდე მისვლა და უკან გაბრუნდნენ. ლალა ფაშამ მხოლოდ წერილის გაგზავნა შეძლო, რომლითაც განსაცდელში მყოფთ ამხნევებდა და სიმტკიცისაკენ მოუწოდებდა. ამასთან ერთად ის მათ ჰპირდებოდა, რომ პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში დაეხმარებოდა[1].

ბოლოს და ბოლოს შიმშილმა და ქართველთა სისტემატურმა თავდასხმებმა შედეგი გამოიღო და გორის ოსმალთა გარნიზონი დანებდა. ანონიმი ვენეციელის თქმით: *„ზემოხსენებულმა სვიმონმა ყველა ამოწყვიტა გარდა ციხისთავისა, რომელიც ჩაუშივით (შიკრიკი – ე.მ.) მორთო, შესვა უყურო და უკუდო ჯორზე და გაუშვა გენერალთან, რათა ეცნობებინა მომხდარის შესახებ. (სვიმონმა) მიწასთან გაასწორა (ციხე) და წავიდა ყარახანის დასახმარებლად“*[2], რომელსაც თბილისი მოქცეული ჰყავდა ალყაში.

ანონიმი ვენეციელის ეს ცნობა (სვიმონის მიერ გორის აღება) დასტურდება ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტით და ვახუშტი ბატონიშვილთან. ვახუშტის მიხედვით, სვიმონს, თბილისის გარდა, 1578 წელს აუღია ლორე, გორი და *„ყოველნი ციხენი ქართლისანი“*[3]. ანონიმი ვენეციელი კი სვიმონის მიერ გორის აღებას ათარიღებს 1579 წლის დასაწყისით, რაც ჩემი აზრით, უფრო ზუსტი უნდა იყოს. ცნობილია, რომ შირვანიდან დაბრუნებულმა ლალა ფაშას საქართველოში (კახეთი, ქართლი) გაიარა და 21 დეკემბერს მივიდა არზრუმში. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ლალა ფაშას არზრუმში ყოფნისას შეატყობინეს თბილისისა და გორის მდგომარეობის შესახებ, მან დამხმარე ჯარი გაგზავნა, მაგრამ წარუმატებლად და ა.შ., რა თქმა უნდა, საკმაო დრო უნდა გასულიყო. ასე რომ ანონიმი ვენეციელის მიერ მოცემული თარიღი ახლოს უნდა იყოს სინამდვილესთან.

დაუთ-ხანის უბადრუკი მმართველობით უკმაყოფილო ქართლის სამეფოს მოსახლეობამ სვიმონ მეფეს დაუჭირა მხარი, *„რამეთუ*

---

[1] *იქვე.*

[2] *იქვე.*

[3] *ქართლის ცხოვრება, II, 524; ქართლის ცხოვრება, IV, 411.*

მსურველ იყვნენ მისთჳს ქართველნი“[4]. დაუთ-ხანის მომხრენი, კერძოდ, ამილახორი და ქსნის ერისთავი კახეთში გადაიხვეწნენ. მათი მამულები სვიმონმა დედოფალსა და თავის ძმას – ბატონიშვილ ვახტანგს გადასცა[2], ხოლო ბარძიმ ამილახორის გორის მოურავობა სულხან თურმანიძის ძეს ჩააბარა[3].

სვიმონ მეფემ გორი დიდხანს ვერ შეინარჩუნა. 1580 წელს[4] გორი ოსმალებმა იგდეს ხელთ მეჰმედ ფაშას მეთაურობით: *„ამის შემდგომად გამოვიდა დიდი ამირსპასალარი ხვანთქრისა, მაჰმად ფაშა, ჩამოვლო ზემო ქართლი და აღიღო გორის ციხე და შეაყენა მცველნი თჳსნი“*[5]. მართალია, სვიმონმა მუხრანთან დაამარცხა ოსმალები, მაგრამ გორის ციხე მაინც მტრის ხელში დარჩა[6].

ქართლის მოსახლეობა სვიმონ მეფის მეთაურობით იბრძოდა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ. მეფემ გორი დაკარგა, მაგრამ მის დაბრუნებას იგი ჩვეული შეუპოვრობით ცდილობდა. როგორც მაშინდელი ისტორიული წყაროებიდან ჩანს, მართალია, გორის ციხეში ოსმალები იდგნენ, მაგრამ მის მიდამოებში სვიმონ მეფის რაზმები თავისუფლად მოქმედებდნენ და მტერს დიდ ზიანს აყენებდნენ. ოსმალები იძულებულნი იყვნენ პერიოდულად სამხედრო ექსპედიციები გაეგზავნათ ქართლის ციხეებში გამოკეტილი და შევიწროვებული გარნიზონების დასახმარებლად.

1581 წლის აგვისტოს ბოლოს ოსმალეთის ჯარი მეჰმედ ფაშას წინამძღოლობით არზრუმიდან გავიდა, გაიარა ყარსი და ახალქალაქს მივიდა, სადაც ათაბაგ ყვარყვარე IV-ის ძმა, გამაჰმადიანებული მანუჩარ (მუსტაფა) ფაშა მთელი თავისი ჯარით შეეგება. მეჰმედ ფაშამ მანუჩარი სიხარულით მიიღო, ხალათი, ხმალი და ფარი უბოძა. მთავარსარდალმა სთხოვა მანუჩარს ოსმალთა ლაშქარი

---

[1] *იქვე.*

[2] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 219-220.* იხ. აგრეთვე, *ქართლის ცხოვრება, II, 524; ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 412.*

[3] *ქართლის ცხოვრება, II, 413.* გაუგებარია რის საფუძველზე ფიქრობდა დ. გვრიტიშვილი, რომ თურმანიძის დანიშვნა გორის მოურავად მოხდა 1599 წელს. *გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 400.*

[4] ბერი ეგნატაშვილისა და ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტის მიხედვით – 1582 წ.

[5] *ქართლის ცხოვრება, II, 527; ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 413.*

[6] *ქართლის ცხოვრება, II, გვ. 528.*

წაეყვანა ისეთი გზით, რომელიც ყველაზე უხიფათო და მოკლე იქნებოდა. მანუჩარმა მეჰმედ ფაშას თავის სამფლობელოებზე გავლა ურჩია. მართლაც, ოსმალებმა გაიარეს ალთუნყალა და ყარაყალა ისე, რომ არავითარი შევიწროება ან სურსათის ნაკლებობა არ განუცდიათ. შემდეგ გორისკენ გაეშურნენ. ოსმალთა ლაშქარს სვიმონ მეფე გორთან ელოდებოდა თავის ჯარით, რომლის შემადგენლობაში მრავლად იყვნენ ქართულად ჩაცმული ყიზილბაშები. ყიზილბაშები იმიტომ ინიღბებოდნენ, რომ ამ დროს ირანსა და ოსმალეთს შორის საზავო მოლაპარაკება მიმდინარეობდა და ირანელები ვითარების გამწვავებას ერიდებოდნენ[1].

მეჰმედ ფაშას არ უნდოდა ქართველებთან ომი. მან მოსათათბირებლად თავისთან მიიწვია მანუჩარ ფაშა. მთავარსარდალს აინტერესებდა მანუჩარის აზრი: გადასულიყო გორის მახლობლად მდინარეზე თუ დილამდე დაეცადა. მდინარის მეორე ნაპირზე მთელი ჯარის გადაყვანა სწრაფად ვერ მოხერხდებოდა და ორ ნაწილად გაყოფილ ჯარს სვიმონ მეფე ადვილად დაძლევდა[2]. მეჰმედ ფაშას გადაწყვეტილი ჰქონდა მანუჩარის რჩევის საწინააღმდეგოდ ემოქმედა, რადგან ის დარწმუნებული იყო, რომ მანუჩარსა და სვიმონს შორის კავშირი არსებობდა და *„რომ მუსტაფამ (მანუჩარმა – ე.მ.) მზაკვრული განზრახვით დააყენა ჯარი ამ გზაზე“*[3].

მეჰმედ ფაშამ ბრძანა სასწრაფოდ დაეწყოთ მდინარეზე გადასვლა. ჯარის ერთი ნაწილი გადავიდა თუ არა მდინარეზე, ქართველებმა მაშინვე შეუტიეს. ოსმალებმა მარცხი განიცადეს, დაკარგეს ჯარის დიდი ნაწილი, სვიმონ მეფის ხელში აღმოჩნდა მთელი აღალი და ხაზინა. ოსმალების გადარჩენილი ჯარის მცირე ნაწილმა თბილისამდე მიაღწია[4].

სამცხეში მანუჩარის აჯანყება დაიწყო. მან უარყო მაჰმადიანობა და თავი გამოაცხადა მანუჩარ II ათაბაგად. მართალია, მოგვიანებით იგი ოსმალებს შეურიგდა, მაგრამ მაინც შემდგომი ბრძოლისათვის ემზადებოდა. მან იცოდა, რომ მხოლოდ თავის ძალებით წარმატებას ვერ მიაღწევდა. ამიტომ მანუჩარმა კავშირი დაამყარა სვიმონ მეფესთან. კავშირის სიმტკიცის საწინდრად მან ცოლად შეირთო

---

[1] *Minadoi T., Historia della guerra fra Turchi et Persiani, p. 184-185.*

[2] *Ibidem, p. 186-187*

[3] *Ibidem, p. 187.*

[4] *Ibidem, p. 193.*

სვიმონ მეფის ასული ელენე[1]. მანუჩარმა და სვიმონმა სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა გააჩაღეს ოსმალთა წინააღმდეგ.

ოსმალები პატრიოტთა წინააღმდეგ საერთო შეტევისათვის ემზადებოდნენ და დაიწყეს უმთავრესი სტრატეგიული პუნქტების გამაგრება. ისინი გორის ციხის გამაგრებას განსაკუთრებით ცდილობდნენ.

1584 წლის ადრეულ გაზაფხულზე საქართველოში, განსაკუთრებით გორში, შექმნილი გამწვავებული მდგომარეობის გამო, ფერჰად ფაშამ ციხის აღდგენისათვის სპეციალურად გაგზავნა თავდაპირველად 884 ჯარისკაცი. როგორც ალი-ეფენდი წერს, ადრე, ლალა მუსტაფა ფაშას დროს დატოვებულმა დამცველებმა, ქართველთა და სეფევიდებისაგან შეწუხებულებმა, დახმარება სთხოვეს სარდალს. გაითვალისწინა რა გორის დამცველთა გაჭირვება, სარდალმა იქ დამატებით კიდევ 200 ჯარისკაცი გაგზავნა. ამგვარი გადაწყვეტილების მიღება ის აიძულა მანუჩარის ყიზილბაშების მხარეს გადასვლამ. ოსმალებმა ციხე 27 დღეში აღადგინეს. ჩანს ამბოხებულ მანუჩარს ოსმალთა მიერ დაპყრობილი რამდენიმე ციხე გაუთავისუფლებია კიდეც, რომლებსაც ოსმალები კვლავ იარაღით დაეუფლნენ[2]. ოსმალებმა ლორეს აღდგენის შემდეგ აღადგინეს დმანისი და ამის შემდეგ ფერჰად ფაშა გორთან მივიდა. მან ამ ვილაიეთის დაცვა ჩააბარა ჰეიდარ ფაშას[3]. გორის ციხეში მოიყარა თავი ოსმალეთის კავკასიის ჯარის ძირითადმა ძალებმა. აქედან ღამით თავს ესხმოდნენ და იკლებდნენ შიდა ქართლის მოსახლეობას. ოსმალები *„შემოესივნენ საქართველოს გორიდან სამი-ოთხი მანძილის სიშორეზე. უამრავი და უსაზღვრო ნადავლი იშოვეს და ტყვეები წამოასხეს, ისე, რომ ხუთი ათასი კომლი, – მთელი ტომის მოსახლეობა, გამოირეკეს და თან წამოიყვანეს, სხვა ძვირფას ნივთებს კი დასასრული არ უჩანდა“*[4].

ოსმალეთის ჯარის გორის მიდამოებში სასტიკ მოქმედებაზე გადმოგვცემს აგრეთვე ალი-ეფენდი. ვიდრე სარდალი გორში იმყოფებოდა, მისმა ჯარმა 5 ათასი ადამიანის სახლი გაძარცვა, მრა-

---

[1] *სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, 54; ქართლის ცხოვრება IV, გვ. 413.*

[2] *Фарзалиев А. М. оглы, Труды Мустафи Али-Эфенди как источник по истории Азербайджана конца XVI века, с. 133.*

[3] *Тамже., с. 134.*

[4] *იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 77.*

ვალი დაატყვევა, მრავალს თავი მოჰკვეთა, დაუნგრია საცხოვრებელი და ძალიან ბევრი ნაძარცვი წაიღო[1].

იბრაჰიმ ფეჩევის მონათხრობიდან ჩანს, რომ ოსმალებს ქართლში მტკიცედ მოუკიდებიათ ფეხი, გორის ციხე გახდა მათი დასაყრდენი, საიდანაც მარბიელ რაზმებს გზავნიდნენ ქართლის სხვადასხვა, მხარეს. ოსმალები გორისა და მახლობელი სოფლების დაპყრობით არ დაკმაყოფილდა. ისინი თბილისისაკენ წავიდნენ, სადაც შესაფერისად მომარაგდნენ ყოველგვარი სურსათითა და საომარი იარაღით. აქვე ოსმალთა სარდლობას მიუღია ალექსანდრე კახთა მეფეზე დაკისრებული ხარაჯა, რომელშიც შედიოდა *„ოცდაათი იუქი აბრეშუმი და რამდენიმე ყმაწვილი და უბადლო (სილამაზის) მხევალი, (აიღეს და) წაიტანეს. კიდევ რამდენიმე ისპირის მიმინო და რამდენიმე კიდევ ბალაბანი წაიყვანეს“*[2].

ოსმალთა ჯარის ყოფნა გორში გავლენას ახდენდა მთელი საქართველოს საშინაო მდგომარეობაზე, რადგან მტერს ყოველთვის შეეძლო ამ უაღრესად მნიშვნელოვანი სტრატეგიული ციხე-ქალაქიდან ქვეყნის საქმეებში ჩარეულიყო. ასეთი მდგომარეობა ხელ-ფეხს უბორკავდა ქართლის მეფეს სხვა სამეფო-სამთავროებთან ურთიერთობაში, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ XVI საუკუნის 80-იან წლებში შექმნილი ხელსაყრელი ვითარების დროს, როცა შესაძლებელი ჩანდა იმერეთის სამეფოს ქართლის სამეფოსთან შეერთება.

1585 წლის აპრილის დასასრულს ოსმან ფაშამ არზრუმიდან შიკრიკი გაგზავნა სულთანთან და დამატებითი შეიარაღებული ძალა ითხოვა[3]. როგორც ჩანს, მას ქართველთა მოსალოდნელი თავდასხმა ძლიერ აფიქრებდა. ოსმან ფაშა ირანის საზღვარს უახლოვდებოდა და საომარი ოპერაციებისათვის ემზადებოდა, როდესაც მას აცნობეს,

---

[1] *Фарзалиев А. М. оглы, Труды Мустафи Али-Эфенди как источник по истории Азербайджана конца XVI века, с. 135*

[2] *Тамже, с. 135.* იბრაჰიმ ფეჩევის გადმოცემით: „ლევან ხანის შვილის – ალექსანდრე ხანის შვილზე დადებული იყო [ხარაჯა] ოცდაათი ეუქი აბრეშუმი და რამდენიმე ყმაწვილი და უბადლო [სილამაზის] მხევალი; აიღეს და წაიტანეს. კიდევ რამდენიმე ისპირის მიმინო და რამდენიმე ბალაბანი წაიყვანეს“. *იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 77-78.*

[3] *Tardy L., Le Roi Svimon Ier á la lumére des sources d' Europe Centrale contemporaines de son époque, I partie // Bedi Kartlisa. Revue de Kartvélologie~, vol. XXXI, Paris, 1973, p. 190.*

რომ ალეპოს ბეგლარბეგმა ჰასან ფაშამ და კლისას სანჯაყბეგმა ალი ბეგმა გასულ ზამთარს ბრძოლა გაუმართეს ქართველებს ლორესა და დმანისის მახლობლად. ამ ბრძოლაში დაიღუპა ოსმალთა ჯარის დიდი ნაწილი, მათ შორის ლორეს ბეგრლარბეგი ალი ფაშა, ხოლო ალეპოს ბეგლარბეგმა ჰასან ფაშამ ბრძოლის ველიდან გაქცევა შეძლო ერთი მუჭა ჯარისკაცებით. ამ ბრძოლაში დიდი დანაკლისი განიცადეს ქართველებმაც[1].

ქათიბ ჩელების მიერ შედგენილ ისტორიულ მოვლენათა კალენდარში არის 1584 წლის ერთი საინტერესო ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ ფერჰად ფაშა თავს დაესხა ლორისა და გორის ციხეებს[2]. თუ ამ ცნობას დავუჯერებთ, გამოდის რომ გორის და ლორის ციხეები სვიმონ მეფის ხელში ყოფილა აღნიშნულ წელს.

მართალია, ჩვენ არ გვაქვს სხვა პირდაპირი საბუთი 1584 წ. გორის განთავისუფლების შესახებ, მაგრამ ის კი ვიცით, რომ აღნიშნულ წელს ოსმალებმა რამდენიმე მარცხი განიცადეს საქართველოში.

ოსმალეთის ჯარების მთავარსარდალი ოსმან ფაშა 1585 წლის აპრილში ირანის საზღვრებს უახლოვდებოდა, როცა მას აცნობეს, რომ ალეპოს ბეგლარბეგმა ჰასან ფაშამ და კლისას სანჯაყ-ბეგმა ალი ბეგმა გასულ (1584 წ.) ზამთარს ბრძოლა გაუმართეს ქართველებს ლორესა და დმანისის მახლობლად. ამ ბრძოლაში დაიღუპა ოსმალთა ჯარის დიდი ნაწილი, მათ შორის ლორეს ბეგლარბეგი ალი ფაშა, ხოლო ალეპოს ბეგლარბეგმა ჰასან ფაშამ მცირეოდენი მებრძოლებით შეძლო ბრძოლის ველიდან გაქცევა. დიდი დანაკლისი განუცდიათ ქართველებსაც.

იმავე 1584 წლის ზამთარში ასევე მარცხი განიცადეს ოსმალებმა ქართველებთან ბრძოლაში სხვაგანაც. ვენეციის კონსულის პიეტრო მიქელეს მიერ სირიიდან გაგზავნილი რელიაციიდან (იგი 1584 წლის 8 დეკემბერს წაიკითხეს ვენეციის სენატში) ვიგებთ, რომ ჰასან ფაშას თან ახლდა შვიდი სანჯაყ-ბეგი თავ-თავისი ჯარით. ხუთი სანჯაყ-ბეგი ქართველებმა მოკლეს, ხოლო ორი დაატყვევეს, თვითონ ჰასან ფაშა კი მხოლოდ რვა კაცით გაიქცა[3].

---

[1] *Ibidem, p. 190.*

[2] *ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ // თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1978, გვ. 252.*

[3] *Berchet G., Relationi dei consoli veneti nella Asiria, Torino, 1866, p. 77.*

ზემოთ აღწერილი ქართველთა წარმატებების ჩვენებით იმის თქმა მინდა, რომ 1584 წელს ოსმალებს უჭირდათ საქართველოში და სავსებით მოსალოდნელი იყო სვიმონ მეფის მიერ გორის ციხის განთავისუფლება. უფრო მეტიც, არსებობს ქართული წყარო, რომ მან ლორე დაიპყრო[1].

ამგვარად, ქართული და თურქული წყარო ერთმანეთს ემთხვევა ლორეს საკითხში, თუმცა, თარიღი თურქულში 1584 წელია, ხოლო ქართულში – 1585 წელი. გვაქვს კიდევ ერთი უფრო გვიანდელი ცნობა ავსტრიაში გამოცემული ფუგერის გაზეთიდან 1586 წლის 14 მარტს რომ გამოქვეყნდა. მასში ნათქვამია: ფერჰად ფაშამ მარცხი განიცადა არზრუმსა და ვანს შორის. ამავე დროს ქართველები თავს დაესხნენ თბილისს, გორს, ყარსს და ოსმალების ხელში არსებულ სხვა მნიშვნელოვან ციხე-ქალაქებს და ისე შეავიწროვეს ისინი, რომ ოსმალო ჯარისკაცებმა დეზერტირობა დაიწყეს და ვინც ახერხებდა არზრუმში გარბოდა[2].

სავსებით დასაშვებად მიმაჩნია, რომ ფუგერის გაზეთში გამოქვეყნებული 1586 წ. 14 მარტის ინფორმაცია 1585 და 1584 წლის ამბებსაც ეხმაურებოდეს.

1585 წლის საინტერესო ცნობა შემოგვინახა იბრაჰიმ ფეჩევიმ. ოსმალებმა ლორისა და გორის ციხეები დაიპყრეს და შეაკეთეს (ეს ცნობა ადასტურებს ჩემ ვარაუდს, რომ სვიმონმა 1584 წელს გორი გაანთავისუფლა). ოსმალები განსაკუთრებული გულმოდგინებით გორის ციხის აღდგენას ცდილობდნენ. აქ მოიყარა თავი ოსმალეთის კავკასიის ჯარების ძირითადმა ძალებმა, აქედან იკლებდნენ ისინი შუა ქართლის მოსახლეობას. ოსამალები *„შეესივნენ საქართველოს გორიდან სამი-ოთხი მანძილის სიშორეზე, უამრავი და უსაზღვრო ნადავლი იშოვეს და ტყვეებიც წამოასხეს. ასე, რომ ხუთი ათასი კომლი, – (მთელი) ტომის მოსახლეობა გამოირეკეს და თან წამოიყვანეს. სხვა ძვირფას ნივთებს კი დასასრული არ უჩანდა“*[3].

იბრაჰიმ ფეჩევის მონათხრობიდან ჩანს, რომ ოსმალებს ქართლში მტკიცედ მოუკიდებიათ ფეხი. გორის ციხე გახდა მათი დასაყრდენი, საიდანაც მარბიელ რაზმებს გზავნიდნენ ქართლის სხვადასხვა

---

[1] *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, II, გვ. 423.*

[2] *Tardy L., Le Roi Svimon Ier á la lumére des sources d' Europe Centrale contemporaines de son époque, p. 192.*

[3] *იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 77.*

კუთხეში. ოსმალები გორისა და მახლობელი სოფლების დაპყრობით არ კმაყოფილდებოდნენ. მათი ლაშქარი თბილისისაკენ წავიდა, სადაც მომარაგდა ყოველგვარი სურსათითა და საომარი იარაღით. აქვე ოსმალთა სარდლობას მიუღია კახთა მეფეზე დაკისრებული ხარაჯა, რომელშიც შედიოდა *„ოცდაათი იუქი აბრეშუმი და რამდენიმე ყმაწვილი და უბადლო (სილამაზის) მხევალი, (აიღეს და) წაიტანეს. კიდევ რამდენიმე ისპირის მიმინო და რამდენიმე კიდევ ბალაბანი წაიყვანეს“*[1].

ოსმალთა ჯარის ყოფნა გორში გავლენას ახდენდა მთელი საქართველოს საშინაო მდგომარეობაზე, რადგან მტერს ყოველთვის შეეძლო ამ უაღრესად მნიშვნელოვანი სტრატეგიული ციხე-ქალაქიდან ჩარეულიყო ქვეყნის საქმეებში. ასეთი მდგომარეობა ხელფეხს უბორკავდა ქართლის მეფეს სხვა სამეფო-სამთვროებთან ურთიერთობაში, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, XVI საუკუნის 80-იან წლებში შექმნილი ხელსაყრელი ვითარების დროს, როცა შესაძლებელი ჩანდა იმერეთის სამეფოს ქართლის სამეფოსთან შეერთება. მაგრამ, ვიდრე სვიმონ მეფე ამ განზრახვის განხორციელებას შეუდგებოდა, მანამდე ჯერ თავის სამეფოში უნდა ჰქონებოდა მტკიცე პოზიცია. ამის მიღწევა კი მანამდე ვიდრე ოსმალები გორში იმყოფებოდნენ, შეუძლებელი იყო. როგორც შემდგომი პერიოდის მოვლენებიდან ჩანს, სვიმონ მეფის გორისათვის ოსმალებთან ბრძოლის დროს გორის ციხე მთლად განადგურებული იყო, რაც ოსმალებს იქ გამაგრების საშუალებას უსპობდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ როგორც ცნობილი ოსმალო ისტორიკოსი და პოეტი, აღწერილი ამბების თვითმხილველი, იბრაჰიმ რაჰიმიზადე ჩავუში თავისი ტრილოგიის *„განჯის დაპყრობის წიგნში“ მოგვითხრობს, „მან (სვიმონ მეფე – ე. მ.) შირვანის ლაშქრობიდან მოყოლებული დღემდე (ოსმალების – ე. მ.) სარწმუნოების ლაშქარს სული გაუმწარა“*[2].

სულთნის კარს ოსმალური კალენდრის 995 (1586/1587) წელს ჯარის სარდალ ფერჰად ფაშასთვის დაუვალებია აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში წესრიგის დასამყარებლად გორის ციხე აღედგინა და სვიმონის წინააღმდეგაც გადამწყვეტი ღონისძიებები გაეტარებინა.

---

[1] *იქვე, გვ. 77-79.*

[2] *რაჰიმიზადე იბრაჰიმ ჩავუში, განჯის დაპყრობის წიგნი / ქართული თარგმანი, შესავალი და შენიშვნები გამოსაცემად მოამზადა მარინა ილურიძემ, თბ., 2012, გვ. 44.*

ოსმალთა ჯარი, მას შემდეგ, რაც თბილისში *„სიმონის ქონება, ავლადიდება [ხელთ იგდეს], ხალხი, ნათესავები და რამდენიმე მამაცი ადამიანი კი აიყვანეს, რის გამოც მისი მცდარი აზრი განიწმინდა. შევალის თვის მერვე, პარასკევ დღეს*[1] *ხსენებული გზააბნეულის, უბედური წყეულის საცხოვრებელთან, რომელიც თაობიდან თაობას [გადაეცემოდა], გორის ციხესთან დაბანაკდნენ. მეცხრე დღე შაბათი იყო... იმისათვის, რომ ციხის ნაგებობა უტყუარი ცნობის შესაბამისად განესაზღვრათ, [იქ] მივიდნენ, მეათე დღე კი კვირა დღე იყო. ხსენებულ უმაღლესობას იმედი მიეცა, რომ ღმერთს ეზიარებოდა. შენება დაიწყეს. ბეგლარბეგებს კოშკები, კედლები, გალავანი, ციტადელები და თხრილები ისე გაუნაწილეს, როგორც ზუსტ მიწათმოქმედებას შეეფერება. მზის ამოსვლიდან, მზის ჩასვლამდე... შრომობდნენ. ალეპოს ბეგლარბეგმა ჰასან ფაშამ, რომელიც წარსულში მეორე მირახორი*[2] *იყო, დაკისრებული მოვალეობა ყველაზე უწინ დაასრულა. ერთი დიდებული კარი [შეაბა], რამდენიმე ასეული წყრთა*[3] *კედელი, კოშკი, ციტადელი და თხრილი გააკეთა. ქვემეხები გაისროლეს*“[4]. ჰასან ფაშას გორის ციხისათვის ისეთი ლამაზი კარი შეუბამს, რომ იბრაჰიმ ჩავუშიმ მას ერთი შესაფერისი ყიათა[5] მიუძღვნია. ლექსი სრულდებოდა შემდეგი სიტყვებით: *„ეს კარი მტკიცე და ლამაზი გამოვიდა. სახელად ჰასანაბადი*“[6], ჰასან ფაშას საპატივსაცემოდ.

აღდგენილი გორის ციხე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე. *„მისი მნახველი პატიოსანი ხალხი ამბობდა: ეს ციხე ცის სიმაგრის მსგავსია, [თითქოს] არც შეკეთებულა და არც გარემონტებულაო. რამდენმა ნიჭიერმა ეს შეუდარებელი ისტორიები სასურველი ბეითებით ზეპირად აღწერა*“[7]. როგორც იბრაჰიმ ჩავუში აღნიშნავს, ვიღაცებს, მისი ლექსი დაუწუნიათ, რის გამო იგი იძულებული გამხდარა მელექსეთუფროსისათვის მიემართა და უმაღლესი შეფასება მოეთხოვა. მართლაც მელექსეთუფროსმა იბრაჰიმის თხზულებას მაღალი შეფასება მისცა. ამის შემდეგ ავტორმა

---

[1] *1586 წლის 11 სექტემბერი.*

[2] მირახორი – მეჯინიბე.

[3] წყრთა – ზომა იდაყვიდან შუა თითის წვერამდე.

[4] *რაჰიმიზადე იბრაჰიმ ჩავუში, განჯის დაპყრობის წიგნი, გვ. 47.*

[5] ყიათა – ოთხტაეპიანი ლექსი.

[6] *რაჰიმიზადე იბრაჰიმ ჩავუში, განჯის დაპყრობის წიგნი, გვ. 47.*

[7] *იქვე, გვ. 48*

თავისი ლექსი *„ტახტის საფეხურს უძღვნა, რაც უამრავი საჩუქრისა და უთვალავი და უსასრულო წყალობის მიზეზი გახდა“*[1]. ლექსი სრულდებოდა შემდეგი სიტყვებით: *„გაკეთდა გორის ციხე, გატყდა სიმონის გული“*[2]

ციხის მოწყობის დასრულების შემდეგ ფადიშაჰის განზრახვის თანახმად, გორის ერთი დიდი ეკლესიის მეჩეთად გადაკეთება დაიწყეს. შეკეთება-შერემონტებას თვალს ადევნებდა დევთერდარი ჰასან ეფენდი. ეკლესიის მეჩეთად გადაკეთება დიდი ზეიმით დასრულდა[3].

გორის ბეგლარბეგობა ფერჰად ფაშამ ვარაზას ძე მაჰმუდ-ხანს[4] უბოძა, დაცვა კი, ტრაპიზონის ბეგლარბეგ ჩერქეზ ჰეიდარ ფაშას ეიალეთის ლაშქართან ერთად ებრძანა[5]. ხაზინა შევსებული იქნა 80 იუქი[6] ნაღდი ფულით, ამბრები კი 90 ათასი ქილა[7] ქერით გაავსეს[8]. ყოველივე ამის შემდეგ ოსმალების ჯარის უმეტესობამ გორი დატოვა და არზრუმისკენ გაეშურა. როდესაც სვიმონ მეფეს, რიმელიც გამუდმებით ოსმალთა ჯარს თავს ესხმოდა, და ამჟამად თავისი სიძის მანუჩარ ათაბაგის დასახმარებლად სამცხეში იმყოფებოდა, აცნობეს, რომ ოსმალთა *„ვარსკვლავთრაოდენობის ლაშქარმა გორის ციხეს მიაღწია და შენი მულქი, ქონება, ხალხი და ნათესავები გაფანტა“*-ო, იძულებული გახდა შიდა ქართლში დაბრუნებულიყო[9]. არ გაუვლია

---

[1] *იქვე.*

[2] *იქვე, გვ. 49.*

[3] *იქვე.*

[4] მაჰმუდ-ხანი, იგივე კოკოლა შალიკაშვილი, შაჰ თამაზ I-ის ცოლის ძმა, მანუჩარ II ჯაყელის ქვრივის, დედისიმედის მიერ მოკლული ვარაზას ძე. ცნობილი იყო, როგორც მაჰმუდ-ხან დირაზის ძე, თურქული წყაროს მიხედვით – ვარაზა ოღლუ კაიკუდ-ხანი. *მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I, გვ. 189-191, 399, 409, 423, 436, 537.*

[5] *რაჰიმიზადე იბრაჰიმ ჩავუში, განჯის დაპყრობის წიგნი, 49-50.*

[6] 1 იუქი = 100 ათას ახჩა = 200 ქისა. მაშასადამე გორში ხაზინა შეივსო 8 მილიონი ახჩით.

[7] ქილა – წონის ერთეული, გამოიყენებოდა ძირითადად მარცვლეულის ასაწონად, მისი ზომა ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა ოლქში მერყეობდა. ყველაზე მეტად ხმარებაში იყო სტამბოლური ქილა, რომელიც 18-20 ოყას, დაახლოებით 25 კგ-ს უდრიდა. *რაჰიმიზადე იბრაჰიმ ჩავუში, განჯის დაპყრობის წიგნი, გვ. 99.* მთარგმნელის შენიშვნა.

[8] *იქვე, გვ. 50.*

[9] *იქვე, გვ. 51*

დიდ დროს, რომ კვლავი თავი იჩინა გორის გარნიზონის ულუფითა და ხელფასით უზრუნველყოფისათვის ღონისძიების გატარების აუცილებლობამ[1].

80-იანი წლების დასაწყისში შინაფეოდალური ომი გაჩაღდა დასავლეთ საქართველოში. იმერეთის მეფე ებრძოდა დადიანსა და გურიელს. შექმნილი მდგომარეობა ხელსაყრელი იყო სვიმონ მეფისათვის. მართლაც, ქართლის ცხოვრების მიხედვით 1587 წ., ხოლო ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით 1588 წ., სვიმონი თავისი ჯარით გადავიდა იმერეთში და გოფანოსთან დაამარცხა იმერეთის მეფე ლევანი (1583-1590). ლევანი ლეჩხუმში გაიქცა. მაგრამ სვიმონმა ვერ განახორციელა იმერეთის დაპყრობა, რადგან *„მას ჟამად გორის ციხე ეპყრა ოსმალთა, ამისთჳს ვერ დაადგრა იმერეთს“*[2], *„რამეთუ ფიქრი აქუნდა გორის მეციხოვნეთა ოსმალთაგან ქართლისა“*[3]. სვიმონ მეფემ წამოიყვანა მძევალი და ქართლში დაბრუნდა. ლევან მეფემ ხელახლა დაიპყრო იმერეთი[4]. ამგვარად, გორის დაცვის აუცილებლობამ სვიმონი აიძულა შეეწყვიტა ქვეყნის გაერთიანებისათვის მოქმედება და შიდა ქართლში დაბრუნდა.

სვიმონ მეფისა და სხვა ანტიოსმალური ძალების მოქმედებამ აიძულა ოსმალეთი 1588 წ. ზავი დაედო ქართლის სამეფოსთან, რომელიც მთელი ათი წლის განმავლობაში ომის ასპარეზად იყო გადაქცეული. სვიმონ მეფის ბრძოლას უშედეგოდ არ ჩაუვლია. შეიძლება ითქვას, მან აიძულა ოსმალეთი ხელი აეღო ქართლის გაოსმალებასა და მის სრულ ინკორპორაციაზე. ოსმალეთი ქრისტიანობით სცნობდა სვიმონს ქართლის მეფედ, აღიარებდა მის მემკვიდრეობით უფლებას. იგი დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო შინაგან მმართველობაში.

ქართლსა და ოსმალეთს შორის საზავო ხელშეკრულება დაიდო არსებული მდგომარეობის მიხედვით. ქართლის სამეფო გაიყო ორად. ის ციხე-ქალაქები, რომლებიც ოსმალებს ჰქონდათ დაპყრობილი, მათ ხელში დარჩა. დანარჩენ ტერიტორიაზე სვიმონის ხელისუფლება ვრცელდებოდა. ხელშეკრულებაში მტკიცედ არ იყო დადგენილი ტერიტორიული ზონები. ძნელი იყო გარკვევა, თუ ვის ეკუთვნოდა ოსმალთა გარნიზონების მიერ დაკავებული ციხესიმაგრეების ირგლივ

---

[1] *იქვე, გვ. 54*

[2] *ქართლის ცხოვრება, II, გვ. 532.*

[3] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 415.*

[4] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 141.*

მდებარე სოფლები და სახნავ-სათესი მიწები. სვიმონს ეს უკანასკნელი თავის საკუთრებად მიაჩნდა და იქიდან გარკვეულ გადასახადს – „უშურს“[1] იღებდა, რითაც ოსმალებს ადგილობრივი სურსათით გამოკვების საშუალებას უსპობდა და მძიმე მდგომარეობაში აყენებდა. სულთანი მურად მესამე შეშფოთებას გამოთქვამდა *„ქართლის მბრძანებლისადმი გაცემულ უავგუსტუს ხელშეკრულებაში“* იმის გამოც, რომ ქართველები არ აძლევდნენ თავისუფალი გადაადგილების საშუალებას ციხეებში მიმავალ-მომავალ მის ჯარისკაცებს, სურსათისა და ხაზინის დამტარებლებსა და გამვლელ-გამომვლელებს[2]. ქართველების გაგებით, თუ ციხეები ოსმალებს ეკუთვნოდათ, გზები ქართველებისა იყო. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, დიდი ხნით ვერ დამყარდებოდა მშვიდობა. ამიტომ მურად III დაბეჯითებით სთხოვდა სვიმონ მეფეს, რომ, თუ რაიმე გაუგებრობა წარმოიშობოდა ოსმალეთის ადმინისტრაციასთან ან მის მოხელეებთან, დაუყონებლივ ეცნობებინა ამის თაობაზე სულთანისათვის და იგი პირობას დებდა, რომ დამნაშავეებს დასჯიდა. სინამდვილეში კი ფარული და ზოგჯერ დაუფარავი ომი მაინც მიმდინარეობდა. ოსმალები სვიმონის დამორჩილებისათვის ქართველების გამოყენებასაც ცდილობდნენ. ხელთ მაქვს ერთი უაღრესად საინტერეო ოსმალური დოკუმენტი, რომლიდანაც ვიგებთ, რომ კახეთის მეფე ალექსანდრე II როგორ აქეზებს ოსმალეთის ხელისუფლებას დაუმორჩილებელი სვიმონის წინააღმდეგ. სულთანს წაქეზება კი არ უნდა, არამედ კახთა მეფის სვიმონ მეფის წინააღმდეგ შეიარაღებული ძალით უშუალო მონაწილეობით იყო დაინტერესებული. იგი ალექსანდრეს უბრძანებდა თვითონ დაეპყრო ქართლის ის ადგილები, რომლებიც სვიმონ მეფეს ემორჩილებოდა. მას დაეხმარებოდნენ გორისა და დმანისის ბეგლარბეგები[3].

---

[1] გაიღებოდა ბაღებზე, ვენახებზე, ბოსტნებზე, მარცვლეულის კულტურებზე, თაფლზე, თევზის ჭერაზე და სხვ. *შენგელია ნ., ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით // თსუ შრომები, №91, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, II, თბ., 1960, გვ. 235.*

[2] *იქვე.*

[3] *საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში, სტანბული, 2012, გვ. 105.* ეს საინტერესო დოკუმენტები ქართულად თარგმნა ბატონმა გელა გუნიავამ, რომელსაც მადლობას მოვახსენებ ამ ძვირფასი კრებულის საჩუქრად გადმოცემისათვის.

ქართლის სამეფოსა და ოსმალეთს შორის დამყარებული „მშვიდობა“ არამყარი იყო. ოსმალებსა და ქართველებს შორის წინააღმდეგობის მთავარი საგანი კვლავ გორი იყო, ამაზე გვამცნობს 1593 წლის 12 დეკემბრის *„გაფრთხილება ჩილდირის ბეგლარბეგს, რათა იზრუნოს გორის ციხის დასაცავად ალექსანდრეს*[1] *და სიმონის თავდასხმისაგან.*

ბრძანება ჩილდირის ბეგლარბეგს.

შირვანის ვილაიეთის მბრძანებლის, ვეზირ საფერ ფაშას მიერ ასტანეი-საადეთში (სტამბოლი) გამოგზავნილ წერილთან ერთად მისდამი მიწერილი შენი წერილიც მივიღეთ. მასში თქვენ იტყობინებით, რომ თბილისიდან ერთი დღის სავალზე გურჯანეს ყელის (ტაშისკარის) მახლობლად გაერთიანდნენ ალექსანდრეს და სიმონის ძალები, რის გამოც თქვენ გორის ციხის დასაცავად გამწესებულ მოხელეებთან ერთად ვერ გაბედეთ ციხეში შესვლა და უკან დაბრუნდით. გორის ციხის დაცვა საკმაოდ საყურადღებო საკითხია. თუ კი სათანადო ძალისხმევას არ გამოიჩენ და გორის ციხეს რაიმე ზარალი მიადგება, საკითხი მხოლოდ შენი დაქვეითებით არ ამოიწურება და სათანადოდ დაისჯები. გორის ბეგლარბეგმა მუსტაფამ ჯაფერ ფაშასთვის გაგზავნილ წერილში მოიწერა, რომ მიიღო გადაწყვეტილება 700-800 მებრძოლთან ერთად საიდუმლო გზით სცადოს გორის ციხემდე მიღწევა.

ვბრძანებ: ამ განკარგულების მიღებისთანავე არ დაიშურო ძალისხმევა და ჩილდირის ვილაიეთის რჩეული მებრძოლებიდან აარჩიე 150 რიგითი, ჩაუყენე სათავეში ერთი აღა და ერთი ქეთხუდა და ახალდაბის ან მაქსუზის ან სხვა საიდუმლო გზით გააგზავნე გორის ციხეში, რათა უზრუნველყონ მისი საფუძვლიანი თავდაცვა. როდესაც ალაჰის დახმარებით ეს გულადი მებრძოლები გორის ციხეს მიაღწევენ, გამოაგზავნე დაწვრილებითი და განმარტებითი წერილი სუდეი საადეთში“[2].

1598 წ. სვიმონ მეფემ, შაჰ აბას I-თან შეთანხმებით, ოსმალეთთან ომი განაახლა და მოკლე ხანში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. მან ჯერ თბილისის განთავისუფლება განიზრახა და 45 დღე დაჰყო

---

[1] თუ ეს ალექსანდრე კახთა მეფე ალექსანდრე მეორეა, შეიძლება ითქვას, რომ ეს პირველი დოკუმენტია, რომალშიც ერთმანეთთან დაპირისპირებული ქართლისა და კახეთის მეფეების ოსმალების წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებაზეა ლაპარაკი.

[2] *საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში, გვ. 121.*

მის მისადგომებთან, მაგრამ უშედეგოდ[1] (ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით კი სვიმონს ამ დროს დაპყრობილი ჰქონდა თბილისი, რაც სხვა წყაროებით არ დასტურდება). ამის შემდეგ სვიმონმა ალყა შემოარტყა ოსმალების მიერ ძლიერ გამაგრებულ გორს. ციხეში ოსმალებთან ერთად იყვნენ მესხებიც. ალყა ცხრა თვე გაგრძელდა[2]. მეციხოვნენი სურსათის გასაჭირს განიცდიდნენ, მაგრამ ციხიდან გამოსვლას ვერ ბედავდნენ. გაჭირვებამ მაინც თავისი გაიტანა და 500 ოსმალო გამოვიდა ციხიდან, ახლომახლო სოფლები მოარბია და დიდძალი სურსათი და პირუტყვი იშოვა. მაგრამ მათ ციხეში შესვლა ვეღარ მოასწრეს. ბატონიშვილმა გოჩამ ხუთასი დარჩეული მეომრით გადაუჭრა გზა და მრავალი ამოწყვიტა. ამ წარმატების შემდეგ სვიმონ მეფემ კიდევ უფრო გაამკაცრა ალყა, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. მაშინ მან ცბიერებას მიმართა: 1599 წლის დიდმარხვის დღეებში მეფემ ალყა მოხსნა გორის ციხეს და გაეცალა. ოსმალებმა იცოდნენ, რომ ქრისტიანები დიდმარხვის დღეებში *„ომსა და შუღლს არ იქმნენ“* და სიფხიზლე მოადუნეს. მეფემ ფარსადან ციციშვილსა და სულხან თურმანიძეს დაავალა, რომ თავიანთ მამულებში საიდუმლოდ დაემზადებინათ კიბეები და ლაშქარიც მზადყოფნაში ყოლოდათ. მან ბრძანა: მტკვრისა და ლიახვის შესართავთან ჭალაში *„მზათ დამხვდითო მთვარის დალევის ჟამსა ბნელ ღამესო“*. ციციშვილმა და თურმანიძემ მეფის ბრძანება შეასრულეს. დათქმულ დროს ფრთხილად მიეპარნენ ციხეს, ოსმალებმა ჯარის მოახლოება მაშინ გაიგეს, როცა ქართველები ჩახრუხაძის საყდარს ასცილდნენ. ოსმალებმა განგაში ასტეხეს, მაგრამ ქართველთა ერთი ნაწილი კიბეებით კედლებზე გადასულიყო და ციხის შიგნით იბრძოდა. *„ზოგნი ჯერ ვერ გარდასულიყვნენ, კიბეებსზედ იყო ბრძოლა და ცემა და გარედამაც მიატანეს და ციხე აიღეს“*. ოსმალები და მესხები დილამდე განაგრძობდნენ წინააღმდეგობას. როცა დაინახეს, რომ შემდგომ ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა სვიმონ მეფეს *„უვნებლობას შემოეხვეწნეს და ზოგნი მესხნი იგივე ციხეში ოქონის ხატს შეე-*

---

[1] *Tardy L., Le Roi Svimon Ier á la lumére des sources d' Europe Centrale contemporaines de son époque, p. 200.*

[2] არაქელ დავრიჟეცის მიხედვით, გორი ალყაში იყო რვა თვის განმავლობაში. *არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქართველოს შესახებ / თარგმანი, შესავალი და კომენტარები, კ. კუციასი, თბ., 1974, გვ. 52.*

ხვწნეს[1] *და მეფეს საფიცარი სთხოვეს“*. მეფემ მათ თავისი ძმის ვახტანგის ხელით შეწყალების სიგელი გაუგზავნა. მან პირობა შეასრულა და უვნებელი დატოვა დატყვევებულნი. უფრო მეტიც, *„ყველას ცხენი და სახარჯო მისცეს და საგზალი და ჯარი თან გააცანეს რომ გზაზე არავინ არ აწყინოს რამე“*. გორის ციხეში ნაშოვნი ნადავლის ერთი ნაწილი მეფემ თავის მებრძოლებს დაურიგა, ხოლო ის რაც სულთნის ქონებად ითვლებოდა თავის ძმას ვახტანგს უბრძანა სამეფო საკუთრებად გადაექცია[2]. სვიმონ მეფემ ეს დიდი წარმატება, ე.ი. გორის განთავისუფლება, შაჰ აბასს აცნობა. შაჰთან მაცნედ მან ჯავახიშვილი გაგზავნა და მისივე ხელით მიართვა გორის ციხის კლიტენი[3].

არაქელ დავრიჟეცის თქმით, *„მტირალ უცხო ტომელებს (სიმონმა) უბრძანა დანგრეული ციხის ქვები წაელოთ და მდინარე მტკვარში ჩაეყარათ. ამის შემდეგ მამაკაცები მახვილით დახოცა, მათი ქალები და შვილები კი დავლად მისცა ქართველთა ჯარს. აგარის მთელი მოდგმა გულში ღრმად დამწუხრდა, საშინლად განრისხებულმა და გააკვებულმა ხონთქარმა მაჰმედმა ბრძანა და ფაჰრატის სახელო და ხელისუფლება თავრიზში მყოფ საჭურის ჯაფარს უბოძა და გაგზავნა სიმონის წინააღმდეგ, რომ მას შური ეძია მისი შეურაცხოფისათვის და ოსმალთა და ისმაილთა ლაშქრის სისხლისათვის“*[4].

გორის გათავისუფლებისათვის ბრძოლის შესახებ ცნობას გვაძლევს ვახუშტიც, მაგრამ მოკლედ და შედარებით სქემატურად. იგი გვარწმუნებს, რომ, როცა სვიმონმა გორის ციხე აიღო *„განუტევა ოსმალნი უვნოდ“*.

---

[1] ერთი გუჯრის მიხედვით, რომელიც ნაყალბევად არის მიჩნეული, ამ დროს ოქონის ხატი გორში კი არა იმერეთში უნდა ყოფილიყო. *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. III (1700 წლიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე), გვ. 26-27.*

[2] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 220-221; გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 36; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 147-148.*

[3] *მასალები საქართველოს ისტორიული გეოგაფიისა და ტოპონიმიკისათვის / გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ, ნაწ. I, თბ., 1964, გვ. 59.*

[4] *არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 52.*

ბერი ეგნატაშვილიც ასევე მოკლედ აგვიწერს გორის გათავისუფლებისათვის ჩატარებულ სამხედრო ოპერაციას, მაგრამ ვახუშტისაგან განსხვავებით, იგი ამბობს, რომ სვიმონმა *„აიღო ციხე და მოსრა ყოველი ოსმალო, რომელი იყო ციხესა გორისასა“.* ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტში ვკითხულობთ: სვიმონმა *„ბრძოლა უყო ციხესა გორისასა და აღიღო იგი და ამოსწყვდნა ყოველივე ოსმალნი მყოფნი ციხესა შინა“*[1].

ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტი ბატონიშვილის მონათხრობით, სვიმონ მეფის მიერ გორის გათავისუფლებას წინ უძღოდა ერთი ამბავი. სვიმონი გორიჯვარში იყო და ქეიფობდა – თრიაქს ჭამდა. ბერი ეგნატაშვილის თქმით, სვიმონი თრიაქის ჭამას და ღვინის სმას ალამუტის ციხეში პატიმრობისას დაეჩვია[2]. სვიმონ მეფის შესახებ პატიმრობის დროინდელი საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ჯ. ტ. მინადოიმ. მინადოი წერს: *„...განსაკუთრებით ეს ეხება სვიმონს, რომელმაც სამხედრო საქმის, პოეზიის ცოდნითა და ფილოსოფიური განათლებით თამაზის ვაჟის ისმაილის წყალობა და მასთან სიახლოვე დაიმსახურა სპარსეთში ტყვედ ყოფნის დროს... მაგრამ როგორი გმირი უნდა იყოს ადამიანი, რომ შეინარჩუნოს ადრინდელი ბრწყინვალება და არ ჩაქრეს ცოდვებით დაცემის შემდეგ... საბრალო სვიმონი წაიყვანეს თამაზთან (შაჰთამაზ I - ე.მ.), რომელიც დიდხანს უჩიჩინებდა მას მიეღო სპარსული წესები. ამან არ უარყო მშობლიური სარწმუნოება და გაგზავნეს კაჰკაჰეს ციხეში, სადაც გადასახლებაში ცხოვრობდა თამაზის შვილი ისმაილი... კაჰკაჰეში ტუსაღად ყოფნის დროს სვიმონს ახლო ურთიერთობა ჰქონდა თამაზის შვილ ისმაილთან, რომელიც მისმა ხსენებულმა მამამ იქ გადაასახლა და მათი ურთიერთმეგობრობა ნელ-ნელა მტკიცე, სავალდებულო სიყვარულში განმტკიცდა. ასე რომ რამდენადაც ისმაილს უყვარდა სვიმონის მოქმედების წესები, იმდენად სვიმონი ისმაილის სულის სიდიადის აღტაცებული პატივისმცემელი ხდებოდა და ამ არაჩვეულებრივმა ურთიერთსიყვარულმა მიიყვანა ბოლოს იქამდე, რომ სვიმონი (არ ვიცი რომელიღაც სოფიზმით მოტყუებული თუ რაღაც ალერსით მოხიბლული) თავის სარწმუნოებაში ვერ გამაგრდა თავისი მეგობრის ბარბა-*

---

[1] *ქართლის ცხოვრება, II, გვ. 418.*

[2] *იქვე, გვ. 379.*

როსულ ცრურწმენაში გადავიდა[1]*. ძნელი ასახსნელია რამ გამოიწვია სვიმონის სულის გარდატეხა, რელიგიურად დიდად განათლებულის და უმტკიცესის, რომელმაც იმისათვის რათა შეენარჩუნებინა ბერძნული (მართლმადიდებლური – ე. მ.) რელიგია, შეწირა ქონება და თავისუფლება“*[2].

დავუბრუნდეთ სვიმონ მეფის გორიჯვარში ქეიფის ამბავს.

სვიმონი გორიჯვრიდან გორის ბოსტნებს გაჰყურებდა. მას მწვანილი მოუნდა და თავის მებრძოლებს მიმართა: *„არა არს თუ სირცხვილი თქუენდა, რამეთუ მნებავს მწუანილი, ვხედავ თუალითა და ვერ მიეგემებიეს“.* ამის გამგონე მეომრები მეფის სურვილის დასაკმაყოფილებლად გორის ბოსტნებში ჩავიდნენ. ოსმალებმა ისინი ციხიდან შენიშნეს, ჯერ თოფ-ზარბაზანი დაუშინეს, შემდეგ გამოვიდნენ და მრავალი ქართველი გაწყვიტეს. დაიღუპა მეფის პაპის ძმისწული მეწინავე სადროშოს სპასპეტი გოჩა. გადარჩენილმა მეომრებმა მეფეს მწვანილი მიართვეს, მაგრამ საყვედური გამოთქვეს თანამებრძოლების დაღუპვის გამო. როგორც ვახუშტი ამბობს, რადგან მეფემ ასეთ უბრალო რამეს მრავალი მებრძოლი შეაკლა, ქართველებმა მას „ხელი“, ხოლო მაჰმადიანებმა „დელი“ (ე.ი. „გიჟი“, გადარეული) შეარქვესო[3].

გორის განთავისუფლების შემდეგ განთავისუფლდა მთელი ქართლი. ქართლსა და სამცხე-საათაბაგოში ანტიოსმალური აჯანყება დაიწყო. სვიმონ მეფემ *„რა გორის ციხე აიღო, იმერეთის დაჭირვაც მოინდომა“.* მაგრამ იმერეთის თავადებმა მას მხარი არ დაუჭირეს და მარცხი განიცადა. იგი გორში დაბრუნდა და თავის სიძეს, მანუჩარ ჯაყელს იმერეთის დაპყრობაში დახმარება სთხოვა[4]. მაგრამ ამ გეგმის განხორციელება ვერ მოხერხდა, რადგან ცნობილი გახდა ოსმალთა ჯარის ქართლზე და საათაბაგოზე წამოსვლა.

სვიმონის მიერ გორისა და ქართლის გათავისუფლება სულთნის კარზე სათანადოდ შეაფასეს და საგანგებო ზომები მიიღეს. სასწრაფოდ ჩატარდა მობილიზაცია და საქართველოში გამოგზავნეს

---

[1] ვახუშტის მიხედვითაც, სვიმონი თრიაქს დაეჩვია *„პატიმრობასა შინა“. ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 417.* ამაში გარკვეული როლი, ალბათ ისმაილმაც ითამაშა. ცნობილია, რომ ისმაილი თრიაქს ხმარობდა და მისი სიკვდილის მიზეზი, ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, ეს გამხდარა.

[2] *Minadoi T., Historia della guerra fra Turchi et Persiani, p. 43-45.*

[3] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 417-418; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 378-379.*

[4] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 222.*

დიდი ჯარი ჯაფარ-ფაშის მეთაურობით. სვიმონმა თავისი ოჯახი გორიდან მეჯვრისხევში გადაიყვანა, ხოლო უფლისწული გიორგი დიდი ლაშქრით გორში დატოვა და მისი დაცვა დაავალა. თვით მეფე საბარათიანოში წავიდა ჯარის შესაგროვებლად. მაგრამ მან ვერ მოასწრო ჯარის შეკრება, ფარცხისთან დამარცხდა და ოსმალებმა დაატყვევეს. იმის გამო, რომ ჯაფარ-ფაშას მოახსენეს გორში დიდი ჯარით მდგომი უფლისწული გიორგი მამის გამოხსნას შეეცდებაო, ოსმალები სწრაფად აიყარნენ და სვიმონიც თან წაიყვანეს. ჯაფარ ფაშამ მაშინვე კაცი აფრინა სტამბოლში და სულთანს სვიმონ მეფის დატყვევების ამბავი აცნობა. მეორე დღეს, ნაშუადღევს, როცა სვიმონ მეფის დატყვევების შესახებ გორში გაიგეს, ბატონიშვილი გიორგი ცხენოსანი რაზმით ოსმალებს დაედევნა, მაგრამ ვეღარ მისწვდა.

დატყვევება იმ პატარა ქართული სამეფოს მეფისა, რომელიც 12 წლის განმავლობაში მოსვენებას არ აძლევდა თითქმის მთელი ახლო აღმოსავლეთის და კავკასიის დამპყრობელ ოსმალებს, ოსმალეთის იარაღის უდიდეს წარმატებად მიიჩნიეს და სულთნის ბრძანებით მთელი იმპერიის ქალაქებში ქუჩები მორთეს და სამი დღის განმავლობაში საერთო ზეიმი გამოცხადდა. სულთანმა მეჰმედ III-მ (1595-1603) ბრძანა დატყვევებული სვიმონ I მასთან მიეყვანათ.

1600 წლის 21 ივნისს სვიმონ მეფე სტამბოლში ჩაიყვანეს და იედი კულეს ციხეში მოათავსეს[1].

---

1 იედი კულე (თურქ. ყედი – შვიდი და კულე – ციხე, ე.ი. შვიდკოშკა, შვიდბურჯიანი ციხე) – მდებარეობს სტამბოლის იმავე სახელწოდების უბანში მარმარილოს ზღვის ნაპირზე. ელჩებს, ვეზირებს და მაღალი თანამდებობის იმ დამნაშავეებს, რომლებსაც სიკვდილი ჰქონდათ მისჯილი, ამ ციხეში ათავსებდნენ. სიკვდილით დასჯის ადგილად შერჩეული იყო იმპერატორ თეოდოსის მიერ აშენებული თაღის მარცხენა მხარეს მდებარე მარმარილოს კოშკი. სიკვდილმისჯილებს აგდებდნენ ბნელ დილეგში. მოკვეთილ თავებს ჰყრიდნენ ქვისსახურავიან ჭაში. რომელსაც სისხლის ჭას ეძახდნენ. *ჯიქია ს., XVI საუკუნის ერთი ცნობის განმარტება (ნა'იმა-ს ერთი ცნობის განმარტება) // მასალები საქართველოსა და კავკასიის ის ტორიისათვის, ნაკვ. 31, თბ., 1954, გვ. 56.*

გიორგი X-ის (1601-1606) და შაჰ აბას I-ის ცდამ, ტყვეობიდან დაეხსნათ[1] დატყვევებული სვიმონი, შედეგი არ გამოიღო. სვიმონ მეფე ტყვეობაში გარდაიცვალა[2].

ვფიქრობ სიმართლეს ასახავს ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტი: *„ხოლო იყო მუნ სტამბოლს ერთი გორელი ვაჭარი, რომელსაც ეწოდა დიაკუნისშვილი და ამან იშოვნა ძუალნი სვიმონ მეფისანი, და წარმოიღო იგი და მოართუა გიორგის და დედოფალსა ნესტან-დარეჯანს, და ყვეს გლოვა დიდი, და დამარხეს სამარხსა თჳსს მცხეთას. ხოლო რომელმანცა მიიღო ძუალნი მისინი იგი დიაკუნისშ-ვილი ყოვლითურთ სახლეულით მისით გააზატეს, და შესწირეს პატიოსანსა და ცხოველმყოფელსა (იერუსალიმის – ე. მ.) ჯუარის მონასტერსა სალხინებლად და საოხად მეფისა სვიმონისა. და არიან აწცა გორს დიაკუნისშვილები ყმანი ჯუარისა მონასტრისანი“*[3].

---

[1] ბერი ეგნატაშვილის თანახმად, სვიმონ მეფე თურქებმა დაატყვევეს ფარცხისთან ბრძოლაში და *„წარვიდეს მსწრაფლ, რამეთუ ეშინოდათ ქართველთაგან და ძისა მისისა გიორგისაგან, რომ ამას არ გაგუ-ატანებენო უსიკვდილოდ“. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 379.* ბერი ეგნატაშვილის თქმით, გიორგი X-მ სცადა მამის ტყვეობიდან გამოხსნა, მაგრამ ვიდრე გამოსასყიდი საქონელი სტამბოლში ჩაიტანეს *„მანამადე მეფე სვიმონ მომკვდარიყო პატიმრობაში და საქონელიც იქ დარჩა“. იქვე, გვ. 380, 536.*

[2] სვიმონ მეფის სიცოცხლის ბოლო პერიოდის შესახებ საინტერესო ცნობები დაგვიტოვა XVII საუკუნის სომეხმა ისტორიკოსმა გრიგორ დარანაღციმ ანუ კამახეციმ. მისი მონათხრობით, ჯაფარ ფაშამ სვიმონ მეფე შეიპყრო მაშინ, როდესაც ღვინოს სვამდა ეკლესიაში და არა ბრძოლის ველზე. ჯაფარ ფაშამ ტყვე კონსტანტინოპოლში გაგზავნა სულთან მეჰმედ III-სთან (1595-1603), რომელმაც ჩასვა იედი ყულეს საპყრობილეში. სიმონ მეფემ ჯერ მაჰმადიანობის მიღებით სცადა ტყვეობიდან თავის დახსნა და, პირველ ხანებში სულთანი მზად იყო ამ პირობით იგი გაეთავისუფლებინა, მაგრამ კარისკაცებმა მოახსენეს: *„მაგან უკვე ერთხელ ასევე იწამა მაჰმადის რჯული, როდესაც ხელში ჩაუვარდა სპარსეთის ხელმწიფეს, ამ ხერხით გაიქცა და დაბრუნდა თავის ქვეყანაში“.* სვიმონი საპყრობილეში იმყოფებოდა სულთან აჰმედის (1603-1617) დროსაც, მაგრამ არც მან გაანთავისუფლა და იქვე გარდაიცვალა. სომეხი ისტორიკოსის მიხედვით სვიმონის ნეშტი და კრძალეს მუსლიმანთა სასაფლაოზე. *კუცია კ., გრიგორ დარანაღცის ცნობა სიმონ I-ის სტამბოლში ტყვეობის შესახებ // საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წიგნი I, თბ., 1976, გვ. 120-123.*

[3] *ქართლის ცხოვრება, II, გვ. 537.* სვიმონ მეფის ნეშტის საქართველოში ჩამოსვენების და მისი შემდგომი ბედის სრულიად განსხვავებული ვერსია იხ. *არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქართველოს შესახებ / თარგმანი, შესავალი და კომენტარები კ. კუციასი, თბ., 1974, გვ. 33.*

გორი XVII საუკუნეში

სვიმონის დატყვევების შემდეგ, როგორც ჩანს, გორი, საკმაო დროის განმავლობაში, კვლავ ქართლის მეფის ხელში იყო. ყოველ შემთხვევაში, 1609 წელს ოსმალები გორში არ ჩანან. XVII ს. ცნობილი სასულიერო მოღვაწე და პოეტი იოსებ სააკაძე (თბილელი) თავის პოემა „დიდმოურავიანში“, ეხება რა 1609 წ. ქართლში ყირიმელი თათრების შემოსევას, გადმოგვცემს შემდეგს: მტერი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მოდიოდა დოესის მხრიდან, როცა მათ წინ შეეჩეხა გორელი სომეხი („ტერტერა“). ის მაშინვე უკან გაიქცა და გორთან მტკვარზე გადებული *„ხიდის ფიცრები მან გარდაყარა წყალზედა“*[1]. ასე გადაურჩა გორი აკლებას. გორელი ტერტერას მოხერხებულობა თუ არა, თათართა ხანი ადვილად დაეუფლებოდა ქალაქს, რადგან მისი ციხე ამ დროს ისევ დანგრეული იყო და მოქალაქეებს თავდაცვა გაუძნელდებოდათ.

შაჰ აბასმა 1614 წ. ზაფხულში გორის ციხე კვლავ აღადგინა და შიგ ყიზილბაშთა გარნიზონი ჩააყენა[2].

იმავე წელს შაჰისგან დევნილი კახეთის მეფე თეიმურაზ I და ქართლის მეფე ლუარსაბ II მცირე ხანს გორში აფარებდნენ თავს, შემდეგ კი იმერეთში გადავიდნენ. გორი, ისევე, როგორც მთელი ქართლი, ყიზლბაშებმა დაიპყრეს და *„გორის ზემოთ გამავალი გზა“* გადაკეტეს, რათა ანტიირანულად განწყობილი სხვა ქართველებიც იმერეთში არ გახიზნულიყვნენ[3]. ვახუშტი ბატონიშვილი შაჰის გორში მოსვლას 1615 წლით ათარიღებს. შაჰ აბასი გორში დაბანაკდა, ოსეთდვალეთს ჯარი გაუსია და ააკლებინა, მან გიორგი სააკაძეს დაკარგული ქონება დაუბრუნა და ხმას ავრცელებდა, რომ თუ ლუარსაბი ქართლში არ დაბრუნდებოდა, გიორგი სააკაძეს გაამეფებდა. შაჰმა იმერეთის მეფე გიორგი III-ს თეიმურაზი და ლუარსაბი მოსთხოვა. არჩილი თავის პოემაში *„გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“*, იმერეთის მეფესთან შაჰის შენათვალს ასე გადმოგვცემს:

„მაშინ შააბაზც თან მოგვყვა, მოვიდა, დადგა ში-გორსა.
მეფეს დაუწყო ელჩს გზავნა: „ნუ შეიხიზნავ შენს გორსა,

---

[1] *ჩვენი საუნჯე, IV, 1960, გვ. 328, სტრ. 48.*
[2] *ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 90*
[3] *არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 31.*

რაც გინდა, ფიცით აღგითქვამ, თუ ხელთა მამცემ მაგ ორსა,
თვალ-მარგალიტსაც ესეთსა, მოედანს ბურთებრ იგორსა“[4].

შაჰმა გორიდანვე გამართა მიმოწერა ქართლისა და კახეთის დევნილ მეფეებთან და ჰპირდებოდა რომ, თუ ისინი თავის ნებით დაბრუნდებოდნენ, შეიწყალებდა. მაგრამ შაჰმა საწადელს ვერ მიაღწია[2].

არაქელ დავრიჟეცის გადმოცემით, გორში *„იმ დღეებში ერთი ვიღაც თბილისელი კაცი, ბოროტების მსახური, წყეულის შვილი, ეშმაკისაგან აღძრული, სატანის წაქეზებით მოვიდა თბილისიდან“,* მივიდა შაჰთან და ლუარსაბის იმერეთიდან გადმოყვანა აღუთქვა[3]. *„ერთი ვიღაც თბილისელი კაცი“* ქართული წყაროების შადიმან ბარათაშვილი იყო[4]. მან, ის შეძლო, რასაც შაჰმა ვერ მიაღწია: 1614 წ. 17 ოქტომბერს გორში შაჰს ლუარსაბი აახლა[5]. როცა იმერეთიდან გადმოსული ლუარსაბი გორისაკენ წავიდა, მას შაჰი ყველა თავისი დიდებულითა და ჯარით გაეგება. შაჰი დიდად იყო გახარებული ლუარსაბის მისვლით. *„შაჰი უფრო ბედნიერი იყო, ვიდრე მისი ცხოვრების ყველა სხვა დღე, რადგან აღსრულდა ბოროტი სურვილი რომელზეც დიდი ხანია, ოცნებობდა... დიდი სიყვარულითა და პატივით მიიღო იგი (ლუარსაბი)“*[6].

ლუარსაბის გორთან მიახლოება როდესაც შაჰს აცნობეს, ის საგონებელში ჩავარდა. არჩილი თავის პოემაში შაჰის ფიქრებს შემდეგნაირად გადმოგვცემს:

„არ მივეგებო ცხენითა, ვით შევქმნათ ცივთა თბილება?
მივეგებო და არ ხამდეს, მით საქმე დაიჩრდილება“[7].

ე.ი. შაჰს ლუარსაბის წინაშე თვალთმაქცობა ისეთნაირად სურდა, რომ ყიზილბაშების თვალში არ დამცირებულიყო. ბოლოს მან ისე მოაწყო, ვითომ სანადიროდ გავიდა გორიდან და შემთხვევით წააწყდა ლუარსაბს. ლუარსაბი ამას ისე გაიგებდა, რომ შაჰი გორიდან

---

[1] *ქართული მწერლობა, 6, სტრ. 479, გვ. 422.*

[2] *არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 31; ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 230; ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 426.*

[3] *იქვე, გვ. 31-32.*

[4] *გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, II, თბ., 1965, გვ. 309.*

[5] *ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 91; იხ. აგრეთვე, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 394; ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 426.*

[6] *არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 33*

[7] *ქართული მწერლობა, 6, სტრ. 521, გვ. 430.*

მის შესახვედრად გამოვიდა[1]. შაჰ აბასი ლუარსაბს შეხვდა როგორც სწორი სწორს. მათ

„დაყვეს ხანი გორს მცირედი ლხინითა და დიდის შვებით
მგოსნებით და მუშაითით, მწუხრი ქმნიან გათენებით
ალერსით და თბილი სიტყვით, ფერობით და მისი თნებით.
და რაც იამის, აამებდის, ხელს უწყობდის მოსვენებით“[2].

ამის შემდეგ შაჰმა დატოვა გორი, ლუარსაბი თან წაიყვანა, თბილისი გაიარა და ირანში დაბრუნდა. ლუარსაბმა ირანში პოვა აღსასრული.

შაჰ აბასმა თეიმურაზ I-ის დამორჩილება ვერ შეძლო. თეიმურაზი ყიზილბაშებს იარაღითაც ებრძოდა და მოკავშირეებსაც ეძებდა ხან ოსმალეთში და ხან რუსეთში. შაჰმა თავის რისხვა მძევლად წაყვანილ უფლისწულებს – ლევანსა და ალექსანდრეს დაატეხა, ორივენი დაასაჭურისებინა (1620 წ.), რის შედეგად ლევანი ჭკუიდან შეიშალა, ალექსანდრე კი გარდაიცვალა. მოგვიანებით (1624 წ.), შაჰ აბასის ბრძანებით შირაზში წამებით მოკლეს თეიმურაზის დედა ქეთევან დედოფალი.

მარაბდის ბრძოლის შემდეგ ქართლში სიმონ-ხანი გამეფდა, მაგრამ ქართლ-კახეთს ფაქტიურად, გიორგი სააკაძე და თეიმურაზ I განაგებდნენ. შაჰ აბასი არაფერს ზოგავდა, რათა ისინი ერთმანეთთან წაეკიდებინა. ქვეყანაში ფეოდალურ აშლილობას შაჰის აგენტებიც აღვივებდნენ. თავადები, ყიზილბაშებზე დაყრდნობით, თავიანთი ვიწრო ფეოდალური ინტერესების განხორციელებას ცდილობდნენ. ქაიხოსრო ბარათაშვილმა ბირთვისის ციხეში ხუთასი ყიზილბაში ჩააყენა. გიორგი სააკაძემ გორიდან შეუთვალა: *„ნუ გვიზამ, ქართლს ნუ მოსტეხე ზურგია“.* მან აქვე მიიღო ქაიხოსროს პასუხი: *„მათ მეტს სხვას ჩემთვის ნეტარ თუ ვის რა ურგია“.* გიორგიმ აღარ დააყოვნა და ტბისში ქაიხოსროსთან მივიდა, აიძულა ყიზილბაშები ციხიდან გამოეტყუებინა და ხუთასივე ყიზილბაშს თავი გააგდებინა[3].

გიორგი სააკაძისა და თეიმურაზის ერთობლივი მოქმედება დიდხანს არ გაგრძელდა. მათ შორის შეტაკება მოხდა 1626 წ. ბაზალეთის ტბასთან. გიორგი დამარცხდა და ოსმალეთში გადაიხვეწა.

თეიმურაზი შაჰ აბასს 1627 წ. შეურიგდა და ავგუსტინელთა მონასტერში დაცული ქეთევან დედოფლის ნეშტი სთხოვა. შაჰის

---

[1] *იქვე, გვ. 203, სტრ. 522.*
[2] *იქვე, გვ. 203, სტრ. 523-534.*
[3] *გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, II, გვ. 352.*

ნებართვით, ავგუსტინელთა წესის პორტუგალიელმა ბერებმა ამბროზიო დუშ ანჟუსმა და პედრო დუშ სანტუშმა 1628 წ. 1 ივნსს ქეთევან დედოფლის ნეშტის ნაწილი გორში მოიტანეს და თეიმურაზსა და ქართველ სამღვდელოებას გადასცეს[1].

როცა შაჰ აბასი გარდაიცვალა და სიმონ ხანიც ზურაბ არაგვის ერისთავმა მოკლა, თეიმურაზი ქართლს დაეპატრონა. თეიმურაზმა სცადა თავის მხარეს გადაეყვანა მერყევი ფეოდალი, გორის მოურავი ოთია (იოთამი) ამილახვარი (1632-1648)[2]. მან ამილახვრის გულის მოგება იმით შეძლო, რომ მას, როგორც ზემო ქართლის სადროშოს სარდალს, დაუქვემდებარა *„რაც გორს ზედათ ან სადედოფლო... ან სუეტისცხოვლისა და იელუსარემის“* მამულები იყო[3]. თეიმურაზმა 1631 წ. იოთამს გადასცა, აგრეთვე, სულხან თურმანიძის კერძო მამული, მოღალატე ანდუყაფარ ამილახვრისათვის წინათ ჩამორთმეული არადეთის სანაცვლოდ[4]. იმავე წელს თეიმურაზი გორში გადმოვიდა, სადაც თავისი ასული დარეჯანი ძველ მოწინააღმდეგე არაგვის ერისთავზე დააქორწინა[5]. დონ ჯაკომო და სტეფანო გორიდან გაგზავნილი წერილით რომში აცნობებდა, რომ ზურაბ ერისთავმა ქართლის გამგებელ სიმონ-ხანთან შეთანხმებით ამბოხება მოაწყო და მაშინ, როცა თეიმურაზი კახეთში იმყოფებოდა, გორი გაძარცვა. მან მხოლოდ თეატინელები დაინდო. სიმონ-ხანი თეიმურაზის ერთგული ამილახვრის სამფლობელოში შეიჭრა და დაიპყრო. თეიმურაზისაგან წაქეზებულმა ზურაბმა არც სიმონ-ხანს უერთგულა და მოკლა[6]. თეიმურაზმა დარეჯანი კვლავ გორში მოიყვანა და იმერეთის უფლისწულ ალექსანდრეზე გაათხოვა[7].

1632 წ. თეიმურაზ I-მა ისარგებლა ირანის გაჭირვებული მდგომარეობით (ოსმალები უტევდნენ ირანს) და ქართლ-კახეთის გაერთიანებული ლაშქრით, ლევან დადიანისა და იმერეთის მეფის ალექსა-

---

[1] ვრცლად იხ. *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 103; ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, თბ., 1987, გვ. 75, 77, 87.*

[2] *საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დ, №2128.*

[3] *იქვე, Hd, №2124.*

[4] *იქვე, Hd, №2122*

[5] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 236.*

[6] *ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. 136, 172; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 292.*

[7] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 237.*

ნდრეს შეწევნით ირანის სამფლობელოები აიკლო აღმ. ამიერკავკასიაში. თეიმურაზს მიემხრო ყარაბაღის ბეგლარბეგი დაუდ-ხანი, წარმოშობით ქართველი უნდილაძე. ბარდაში თეიმურაზს სომხების კათოლიკოსი[1] დიდი ჯარით და საჩუქრებით ეახლა და ირანის დამორჩილების გეგმა შესთავაზა. მან ეს გეგმა არ გაიზიარა, დაუდ-ხანი და სომეხი კათალიკოსი მთელი თავიანთი ავლადიდებით წამოიყვანა და გორში მოვიდა. გორში თეიმურაზმა *„დადიანი და მეფე ალექსანდრე და მესხთ თავადნი ალხინა და ვარიანის ჭალა და გორის ნეფის წყარო ანადირა და კარგად შეაქცია. და ყველას მრავალი საჩუქარი მიართვა და გაისტუმრა“*[2].

ავიტაბილეს მიხედვით, თეიმურაზი და დაუდ-ხანი ჯოგებითა და სხვა უამრავი საქონლით დაბრუნდნენ საქართველოში. მისი ჩანაწერებიდან არ ჩანს სად წავიდა თეიმურაზი, დაუდ-ხანი კი გორში მოვიდა და დიდი ყურადღება გამოამჟღავნა კათოლიკე პატრების მიმართ. რამდენიმე ხნის შემდეგ მეფე თეიმურაზს კვლავ შეკრიბა ჯარი, დაუდ-ხანიც მას შეუერთდა და განმეორებით აიკლეს შაჰის სამფლობელოები. მეორე ლაშქრობიდან მობრუნებული თეიმურაზი, დაუდ-ხანი და მათთან ერთად ავიტაბილეც გორში მოვიდნენ[3]. საფიქრებელია, რომ ფარსადან გორგიჯანიძის მიერ აღწერილი თეიმურაზის გორში მოსვლა და დიდი ზეიმი, ავიტაბილეს მიერ აღნიშნული მეორე ექსპედიციის შემდეგ უნდა მომხდარიყო.

დაუდ-ხანს გორში ეწვია ოსმალეთის სულთნის ელჩი. დაუდხანსა და მის სტუმარს კათოლიკე პატრებმა უმასპინძლეს[4]. უნდა ვივარაუდოთ, რომ დაუდ-ხანი ოსმალებთან ირანის საწინააღმდეგო მოლაპარაკებას აწარმოებდა, მაგრამ, როსტომ მეფის (1633-1658) ქართლში შემოსვლის გამო, იძულებული გახდა ოსმალეთში გაქცეულიყო[5].

---

[1] თ. ნატროშვილის გამოკვლევით, ეს უნდა იყოს ეჩმიაძინის კათალიკოსი მოვსეს ტათავეცი (1629-1632). იხ. *ნატროშვილი თ., თეიმურაზ პირველის აჯანყება და იმამ-ყული-ხან უნდილაძე // ახლოაღმოსავლური კრებული, თბ., 1983, გვ. 172.*

[2] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 239.*

[3] *დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 44.*

[4] დაუდ-ხანსა და გორის კათოლიკე მისიონერებს ურთიერთობა ადრეც ჰქონდათ. თეატინელთა მისიონის დაარსების მიზნით, ავიტაბილე სხვა ორ მისიონერთან ერთად დაუდ-ხანს განჯაში ეწვია. *ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. 183-84.*

[5] *დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 46, 50.*

თეიმურაზის მოქმედებით განრისხებულმა შაჰ სეფიმ ქართლის სამეფო როსტომს (ხოსრო-მირზა, ანუ ქიახოსრო ბატონიშვილი) გადასცა.

XVII ს. გორის ისტორიის მთელი რიგი მნიშვნელოვანი მომენტები დაკავშირებულია როსტომ მეფის სახელთან. ამიტომ მოკლედ მაინც უნდა ითქვას მისი პიროვნების შესახებ.

როსტომი სვიმონ I-ის ძმის დავითის (დაუდ-ხანი) უკანონო ვაჟი იყო. იგი დაიბადა 1565 წ. ისპაანში, აღზრდა-განათლება ირანში მიიღო, მაგრამ ქართული ენა კარგად იცოდა. როსტომის დაწინაურებაში დიდი როლი ითამაშა გიორგი სააკაძემ ირანში მოღვაწეობის დროს.

როსტომი მალე შაჰის კარზე დაწინაურდა. იგი ჯერ შაჰის გვარდიის – ყულის ჯარის – სარდალი გახდა, შემდეგ ისპაანის მოურაობაც მას ჩააბარეს. შაჰ აბას I-ის გარდაცვალების შემდეგ ის კიდევ უფრო აღზევდა. მისი *„ცდით შაჰ სეფი ყაენი გახემწიფ-და... ერანის საქმე როსტომ მეფეს ეკითხებოდა“* – ამბობს ფარსადან გორგიჯანიძე[1]. ვახუშტი ბატონიშვილის დახასიათებით როსტომი *„იყო საქმით ხუანჯიანი სოფლის, ფრიად ჭკუიანი, მორჭმულ-მდიდარი; რამეთუ აქუანდა ყულარაღასობა ყენისა, მოურაობა ისპაანისა და ნიჭვიდა ყენი ურიცხუსა, დაუხმობდა მამად“*[2].

როსტომს შაჰის კარზე მრავალი მომხრე და მოწინააღმდეგე ჰყავდა გამაჰმადიანებული ქართველების სახით. მის მოწინააღმდეგეებს ზემოხსენებული დაუდ-ხან უნდილაძე მეთაურობდა. დაუდ-ხანს ზურგს უმაგრებდა ირანში აღზევებული უნდილაძეთა გვარი, თეიმურაზ I-ის და ელენე მისი ცოლი იყო. როსტომმა დაუდ-ხანის ჩამოშორება შეძლო, შაჰს იგი მეჯლისიდან გააგდებინა[3]. როცა დაუდ-ხანი, შაჰს განუდგა და თეიმურაზ I-ს მიემხრო, შაჰის ბრძანებით უნდილაძეები ამოწყვიტეს. ამის შემდეგ როსტომს ქართლის ტახტის დაკავება აღარ გაუძნელდა. როცა ის საქართველოში მოვიდა უკვე 67 წლისა იყო[4].

ავიტაბილემ ასე დაახასიათა როსტომი: შაჰს სურდა, *„რომ თეიმურაზისათვის საქართველო ჩამოერთმია და მის მაგიერ დაე-*

---

[1] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 239.*

[2] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 312-313.*

[3] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 238.*

[4] *ცნობები როსტომ მეფის ბიოგრაფიის შესახებ იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 312-313.*

ნიშნა თავისი მაჰმადიანი უერთგულესი ქართველი მეგობარი, ან კიდევ, როგორც სხვები ამბობენ, მაჰმადიანის შვილი, რომლის სახელია როსტომ-ხანი, მეორე სახელით ხოსრო-მირზა, რომლისაგანაც სპარსეთის ხელმწიფე ძალიან დავალიანებული იყო. იგი მოხუცი შაჰ-აბასის გარდაცვალების შემდეგ ქართული გვარდიის მეთაური გახდა და მთელ სპარსეთში უძლიერესი შეიქმნა. ეს შაჰი (სეფი – ე. მ.) მან დასვა სპარსეთის სამეფო ტახტზე, თუმცა ზოგიერთი წინააღმდეგობა შეხვდა სპარსელებისაგან, რომელთაც სხვა შაჰის დასმა უნდოდათ... როსტომი იმ მეუფეთა შტოს ეკუთვნოდა, რომლებიც ქართლის მბრძანებლები იყვნენ, როსტომ-ხანს სამართლიანობა უძღვის წინ. მას სამართლის საქმეში თხუთმეტი წელი უმსახურია სამეფო ქალაქ ისპაანში. იგი მაჰმადიანია, მაგრამ დიდად ხელს უწყობს ქრისტიანებს“[4]. აღსანისნავია, რომ როსტომის ეს დახასიათება დაწერილია გორში და აქედანვეა გაგზავნილი რომში.

თეიმურაზი, გაიგო რა როსტომის დიდი ჯარით საქართველოში წამოსვლა, სამზადისს შეუდგა, მაგრამ თავადებმა მხარი არ დაუჭირეს. მხოლოდ იოთამ ამილახვარი აღმოჩნდა მისი ერთგული[2]. ავიტაბილეს თქმით, ქართველ დიდებულებს თეიმურაზის შეპყრობა და მისი როსტომისათვის გადაცემა სურდათ[3]. მას ვერც იმერეთის მეფე დაეხმარა, რადგან ამ დროს იგი დადიანს ებრძოდა.

1633 წ. დასაწყისში როსტომი ჯარით შემოვიდა საქართველოში. ჩვენს ისტორიოგრაფიაში როსტომის ქართლში შემოსვლისა და გამეფების სხვადასხვა თარიღია ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ როსტომი ქართლში უნდა გამეფებულიყო 1632 ან 1633 წელს[4]. შემდგომი დროის გამოკვლევებში კი უპირატესობა მიენიჭა 1632 წ. სანდო უნდა იყოს ავიტაბილეს ცნობა, რომლის მიხედვით როსტომი ყიზილბაშთა ჯარით საქართველოში შემოვიდა 1633 წ. დასაწყისში[5]. ავიტაბილე ხომ გორში დახვდა როსტომს. კიდევ უფრო დაზუსტებულია ეს თარიღი მ. თამარაშვილის გამოკვლევაში, სადაც

---

[1] *დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 46, 57.*

[2] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 240; ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 438*

[3] *დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 26; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 368.*

[4] *ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 270.*

[5] *დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 26.*

ნათქვამია, რომ 1633 წ. 18 თებერვალს თეიმურაზმა *„დაუტევა საქართველო და იმერთა მეფეს შეეხიზნა“*[1].

1633 წ. 1 იანვრისათვის გორში უკვე ცნობილი გახდა, რომ ყიზილბაშთა ჯარი საქართველოზე სალაშქროდ მოდიოდა. მაგრამ ამ ცნობას შიში და პანიკა არ გამოუწვევია, რადგან ყველას ეგონა, რომ შაჰის ჯარი 20-30 ათასზე მეტი არ იქნებოდა. თეიმურაზმა ომისათვის სამზადისი მხოლოდ იანვრის ბოლოს დაიწყო. როცა ცნობილი გახდა, რომ როსტომის მეთაურობით დიდი ჯარი მოდიოდა, თავადებმა თეიმურაზ მეფეს მხარი აღარ დაუჭირეს[2]. თეიმურაზი ჯერ გორში მოვიდა, შემდეგ ქვიშხეთში დაბანაკდა.

ჯუსტო პრატო წერს: *„ეს მოხდა 18 თებერვალს, ოთხშაბათს. მეორე დღეს გათენებისას, დილის 5 საათზე. ჩვენთან გორში მოვიდა მაცნე, რომელმაც მორთო ყვირილი: „თავს უშველეთ, ვისაც შეუძლია, ვინაიდან მეფე გაიქცა, ხოლო სპარსელთა არმია უკვე შემოვიდა ქართლის სამეფოში და ყველგან შიში და საშინელება მოაქვსო.*

მთელი ქალაქი სწრაფად ფეხზე დადგა. ეშინოდათ რა სპარსელთა ჯარისკაცების მოულოდნელი თავდასხმისა, სპარსეთის ჯარის წინამძღოლთან შესახვედრად გორიდან გაიგზავნა რამდენიმე კაცი... მეფემ მაშინვე დააჯილდოვა ეს პირველი მაცნეები, ბრძანა რა თითოეული მათგანისათვის მიეცათ ფარჩის ხალათი, ხოლო მაცნეების მეთაურს უბოძა მამასახლისის თანამდებობა, ე.ი. კაპიტნის, ანუ ქალაქის მერის თანამდებობა, რომელიც დაემორჩილებოდა მეფის ყველა ბრძანებას“[3].

როსტომ მეფის ყიზილბაშთა ჯარის უმრავლესობა, ავიტაბილეს გადმოცემით, გამაჰმადიანებული ქართველები იყვნენ. მათ ქართლში *„გადაუწვავი, გაუძარცვავი, მოუკვლელი თუ დაუტყვევებელი არავინ დატოვეს. მხოლოდ გორი, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, გადარჩა“*. მისი თქმით, ადგილობრივი მოსახლეობა გორის გადარჩენას იმას მიაწერდა, რომ *„უფალმა უსაზღვრო სიკეთის კალთა გორში მყოფ მის მორწმუნე ფრანკებს დააბერტყაო“*[4]. სინამდვილეში, როგორც იმავე მისიონერის სიტყვებიდან ირკვევა, გორის მოსახლეობა უკვე გახიზ-

---

[1] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 125.*

[2] *ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. 243.*

[3] *იქვე, გვ. 243.*

[4] *ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. 244-245.*

ნული იყო და ავლადიდებაც გადამალული ჰქონდათ. როსტომმა *„თავის ცხენოსან გვარდიას უბრძანა, პატრი ფრანკებისათვის შეეტ-ყობინებინათ, რომ ტყეებში გაქცეულ ხალხთან არ წასულიყვნენ; შემთხვევით წასულები კი მოეძებნათ და თავიანთ სახლებში დაებრუ-ნებინათ“*[1].

როსტომი და მისი ჯარი გორიდან ოთხი მილის დაშორებით შეჩერდა. მაგრამ ჯარი იმდენად მრავალრიცხოვანი იყო, რომ ბოლოს და ბოლოს კარვები ქალაქის კარიბჭესთან გაშალეს. როსტომმა თეი-მურაზს ორი ათასი მხედარი დაადევნა. მაგრამ მისი შეპყრობა ვერ შეძლეს, მხოლოდ თეიმურაზის ამალიდან რამდენიმე კაცი მოჰგვარეს და მისი ბარგის ერთი ნაწილი მოართვეს[2].

31 მაისს გორთან მოვიდა ყიზილბაშთა მთელი ჯარი და ქალაქს ალყა შემოარტყა. გორის გარშემო 15 ათასი კარავი გაშალეს. *„ეს არჩვეულებრივი სანახაობა იყო; უამრავი ხალხი, სიმდიდრის სხვადა-სხვაობა, სილამაზე. ქალაქის რომელი მხრიდანაც არ უნდა გასუ-ლიყავი, საჭირო იყო გაგეკლო მინიმუმი ოთხი მილი, რათა გასუ-ლიყავი ჯარისკაცების წრიდან“*[3] – წერს თვითმხილველი ჯუსტო პრატო.

როსტომ მეფე 12 ივლისამდე გორში დარჩა. მის მიერ გატარე-ბულ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა შორის, ერთ-ერთი გორის ციხის აღდგენა იყო. მშენებლობას როსტომ-ხან სააკაძე ხელმძღვა-ნელობდა. მშენებლობა ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო, რომ როსტომ-ხანმა პატრი ჯაკომო და ცნობილი დონ ქრისტოფორო კასტელი გამოიძახა და ციხის სურათის დახატვა მოსთხოვა. დაკვეთა კასტელმა შეასრულა. როსტომ-ხანს ძლიერ მოეწონა ნახატი და მეორე დღესვე ირანის შაჰს გაუგზავნა[4].

საკმაოდ განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს თვით კასტელი მის მიერ დახატულ გორის ციხესთან დაკავშირებით. კასტელს მოვუსმინოთ: „8-ში როსტომ ხანთან მიმიყვანეს. მან მკითხა: შემეძლო თუ არა მისთვის ციხესიმაგრის სურათი გაკეთებინა, რადგან სურდა, რომ იგი შემდეგში თავის ბატონთან შაჰთან, გაეგზავნა. ბოლოს დასძინა, რომ ჩემი დიდი მადლობელი იქნებოდა და დამაჯილდო-

---

[1] *დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 26.*

[2] *იქვე, გვ. 26-27, 50.*

[3] *ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. 247.*

[4] *დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 56.*

ვებდა...“ კასტელმა გორის ციხე დახატა „სპარსეთის ქაღალდის ფურცელზე“, რომელიც იტალიურ 10 ფურცელს უდრიდა. ფრიად მნიშვნელოვანია მისიონერის ერთი ფრაზა: „როსტომ ხანს ქაღალდზე დავუხატე ციხესიმაგრე, რომელიც შემდეგ უნდა აეგო“. ისე გამოდის, რომ ***გორის ციხე***, რომელიც ნახატითაა ცნობილი, ***კასტელის გეგმით აიგო***. როგორც იგი შემდეგ აღნიშნავდა, ნახატის გამო სპარსელები დიდი ყურადღებით ეპყრობოდნენ მისიონერების სამუშაოს[1].

კასტელმა ქალაქის გეგმაც შეადგინა და რომში გაგზავნა[2].

1642 წლის 12 ნოემბრის წერილში, რომელიც სამეგრელოდანაა გაგაზავნილი კასტელი წერდა, რომ როსტომ ხანმა ბრძანება გასცა კასტელის დაჯილდოვების შესახებ, მაგრამ მხატვარი უარს ამბობდა ჯილდოს მიღებაზე და ითხოვდა, რომ გაეთავისუფლებინათ ქრისტიანი ქალი, რომელიც ყიზილბაშებს ჰყავდათ შეპყრობილი

ციხის მშენებლობა იმავე წლის აგვისტოში დამთავრდა[3] და როსტომ მეფემ ციხისთავიც დანიშნა[4]. ციხესიმაგრეზე 15 ზარბაზანი დადგეს და 500 ყიზილბაში ჩააყენეს[5].

ფარსადან გორგიჯანიძე გვაცნობებს, რომ გორის ციხის აღდგენის შემდეგ *„ქართველთა თავადნი და აზნაურნი სრულ მოუვიდნეს და როსტომ მეფეს ფეხს აკოცეს ციცისშვილის ფარსადანის მეტი“*[6]. სხვა თავადაზნაურების მსგავსად რომ არ მოიქცა ფარსადან

---

[1] *ლიჩინი ა. პ., კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში / თარგმანი და სენიშვნები მურმან პაპაშვილისა, თბ. 2009, გვ. 49.*

[2] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 125.* როგორც კასტელი გადმოგვცემს, ის ქართველი მესვეურებისაგან ხშირად ღებულობდა დავალებას, დაეხატა საფორტიფიკაციო ნაგებობები. *ლიჩინი ა. პ., კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში, გვ. 127.*

[3] *დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 27.*

[4] ჯუსტო პრატოს თანახმად, ციხისთავად დაინიშნა ემირ ბატრი, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია გამაჰმადიანებულ მესხს მუსლიმბეგს ასახელებს, ხოლო ისქანდერ მუნში კი, ხორასნის მეთოფეთა მინბაშის ძმისწულს მირზა მუჰამედს. *ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 240; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 37.*

[5] *ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. 247.*

[6] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 240.*

ციციშვილი და როსტომს მაშინვე არ გამოუცხადა ერთგულება, ამას ადასტურებს ჯუსტო პრატო[1].

გორის ციხის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, როსტომ მეფემ თავისთან მხოლოდ 3000 ყიზილბაში დაიტოვა, დანარჩენი ჯარი ირანში გაუშვა. ზემოდასახელებული იტალიელი ავტორის მიხედვით, როსტომი ჯარის ძირითადი ნაწილის გაშვების შემდეგ, გორში მუდმივად განიცდიდა თეიმურაზ პირველისაგან თავდასხმის შიშს. *„ერთხელ, მან უბრძანა თავის ხალხს დღე და ღამე ფხიზლად ყოფილიყვნენ, ყოველ ღამეს იგი აწყობდა სადღესასწაულო ნადიმს მუსიკით, ფანფარით, ბარაბანითა და დიდი ბაქაბუქით. ისინი იძინებდნენ მზის ამოსვლისას და ეძინათ სადამომდე. ის ორი თვე, რომელიც მან აქ (გორში – ე. მ.) დაჰყო, ე.ი. მთელი ივლისი და აგვისტო, გაატარა ასეთ ვითარებაში“*[2].

საქართველოში მოსვლისას როსტომს არც ცოლი და არც მემკვიდრე არ ჰყავდა[3]. ამიტომ მან მაშინვე გორჯასპი აბაშისშვილის ასულ ქეთევანზე *„იქორწინა ქრისტიანულ-მაჰმადიანურ“*[4]. მაგრამ ქეთევანი მალე გარდაიცვალა. როსტომმა თავის კარისკაცების რჩევით, რომელთაც პოლიტიკური მოსაზრებანი ამოძრავებდათ, გადაწყვიტა ეთხოვა ლევან დადიანის და მარიამი, სიმონ გურიელის ნაცოლარი. მან დადიანთან მოციქულად თბილელი გაგზავნა. დადიანმა, რომელიც იმერეთის მეფეს ებრძოდა, სიხარულით მიიღო ეს წინადადება, მიუხედავად იმისა, რომ მარიამი ამ ქორწინების წინააღმდეგი იყო. დადიანმა, თავის მხრივაც გამოგზავნა მოციქულები, რომელთა შორის იყო ცნობილი საეკლესიო მოღვაწე და დიპლომატი ნიკიფორე ირბახი (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი)[5]. საქორწინო გარიგების

---

[1] *ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. 248.*
[2] *იქვე.*
[3] *იქვე.*
[4] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 439.*
[5] 1994 წელს გამოქვეყნებულ „გორის ისტორიაში“ ვწერდი: *„დადიანმა, თავის მხრივაც გამოგზავნა მოციქულები, რომელთა შორის იყო ნიკიფორე ირბახი (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი), რომელიც თეიმურაზთან ერთად ჯერ იმერეთში გაიქცა, ხოლო შემდეგ სამეგრელოში გადავიდა, გვ. 298.* თეიმურაზ I-სა და ნიკიფორე ირბახის ურთიერთობის შემდგომმა კვლევამ დამარწმუნა, რომ როსტომ ხანის ყიზილბაშთა ჯარით საქართველოში შემოსვლამდე მეფესა და მის დიპლომატს შორის მოხდა განხეთქილება. ნიკიფორემ თეიმურაზი მიატოვა, ოდიშის სამთავროში გადავიდა და ლევან II დადიანის სამსახურში ჩადგა. *მამისთვალიშვილი ე., განხეთქილება თეიმურაზსა და ნიკიფორეს შორის//საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, გვ. 281-312.*

მიზნით მოციქულთა *„წინ და უკან“* სიარულზე მიუთითებს ავიტაბილეც[1].

როსტომის არჩევანი შაჰსაც მოსწონებია. *„შირვანის ბეგლარბეგი ფარუხან გორს მოვიდა, ყაენის ნაბოძები საქორწინო ლევან დადიანს გაუგზავნეს და დრო და პაემანი სთხოვეს, რომ ქორწილი როდის უნდა იქნას“.* საბოლოოდ შეთანხმდნენ კიდეც. როსტომი პატარძალს სურამში შეხვდა, გორში მობრუნდა, პატარძალთან ერთად თან მოიყვანა სამეგრელოდან მოსული მრავალრიცხოვანი მაყრიონი, *„ექვსს თვეს ილხინეს და ნადირობას შეექცნენ“*[2]. დედოფალი მარიამი 1634 წელს, უფლის ამაღლების დღესასწაულის შემდეგ, მოიყვანეს გორში და *„პირველი დიდებულები და პრელატები როგორც ოდიშიდან, ისე გურიიდან მას თან ახლდნენ“. დედოფალს ავგუსტინელების ეკლესიის და თეატინელების სამლოცველოს ნახვის სურვილი გამოუთქვამს*[3]. და დიდი ამალით ეწვია კიდეც დასახელებულ კათოლიკურ ეკლესიებს. საინტერესოა, რომ გორში თეატინელთა და ავგუსტინელთა ეკლესიების გარდა, აქ არსებული *„სხვა მრავალი საყდრიდან არც ერთი არ იყო ღია. ქართველების ეკლესიები, რომელიც სიმაგრეში იყო მოთავსებული, მაჰმადიანების მეჩეთებად იყო გადაკეთებული, უფრო უარესი – სომხების ეკლესია ცხენების თავლად იყო გამოყენებული“*[4].

როსტომმა მშვენივრად შეაფასა ამ ქალაქისა და ციხის მნიშვნელობა თავისი არამყარი ხელისუფლების განსამტკიცებლად. შემდგომი მოვლენებიდან დავინახავთ, რომ გორი იყო როსტომ მეფის მთავარი დასაყრდენი ქართლის ფეოდალთა დამორჩილებისა და თეიმურაზ I-ის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ზემოთ ვთქვი, რომ ქართლის ფეოდალთა უმრავლესობამ თავდაპირველად როსტომის ხელისუფლება სცნო. მაგრამ, შემდგომ მათ მეფის მიერ გატარებული ცენტრალისტური ღონისძიებები არ მოსწონდათ. გამოსვლები დაიწყო არაგვის ერისთავის დათუნას აჯანყებით. როსტომმა ეს აჯანყება შედარებით იოლად ჩაახშო, მაგრამ *„საერისთაოს უფროსი კაცნი შეკრიფეს და ზაალ (დათუნას ძმა – ე.მ.) გააერისთავეს“.* ზაალი მაშინვე დაუკავშირდა თეიმურაზს, რომელთანაც იმყოფებოდა ქსნის ერისთავი იასე. როსტომს თბილის-

---

[1] *დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 29.*

[2] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 241*

[3] *დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 29.*

[4] *იქვე, გვ. 57.*

ში აცნობეს, რომ *„თეიმურაზ ქართლში ჩაიარა და კახეთს ჩავიდაო“*. თეიმურაზს კახეთის თავადებმაც დაუჭირეს მხარი და ქართლზე თავდასხმები დაიწყო. როსტომს შიკრიკები მოახსენებდნენ: *„წუხელის ბატონი თეიმურაზ მუხრანში გასულიყო, დღეს ქსნის ერისთავის მამულში მივაო“*. თეიმურაზმა გორის დაპყრობაც სცადა, აი როგორ მოახსენეს როსტომს გორზე თეიმურაზის თავდასხმა: *„კიდევ გორიდან ანბავი მოვიდა – წუხელის ბატონი თეიმურაზ გორს დაესხა და ნაპირის სახლები ციხის ძირს მოვასხითო და ბაზარს ზეითი გზები შეუკარითო და უბანსა და უბანსა თავისივე კაცები უჩინეთო და თავთავის უფროსმან კაცებმან ცოლშვილნი ციხეში შემოასხესო. გორელებს ვერ შემოუვიდნესო. რომელისაც გზით მოვიდნენო, დაუშინეთ და დავაბრუნეთო. ვერა დაგვაკლეს რაო და ვერცარა იშოვნესო და ჩვენ ხუთი კაცი მოუკალითო და ოცდა შვიდი ცოცხალი დავირჩინეთო, გათენებამდისინ გვებრძოლესო და გიორგი გორგიჯანაშვილი თავის სახლში დაიჭირესო და წაიყვანესო*[1]. *ზედამენ თოფით იცემებოდესო, იქ ვეღარ დადგნენო. იკორთას მივიდნესო და გზაზე რაც ძროხა და ცხვარი ნახეს, წაასხესო. რა ეს ანბავები მინბაშსა და გორელებს მოეწერა, ჩაფრის ხელით ყაენს გაუგზავნეს და მეფემ (როსტომი – ე. მ.) სომხითისა და საბარათიანოს ლაშქარი შემოიყარა და გორს მივიდა და ქართლის ლაშქარი იხმო და იმათაც შეიტყვეს მეფის მოსვლა“*[2].

---

[1] ეს ის გორგიჯანიშვილი უნდა იყოს, რომელმაც 1625 წელს ყიზილბაშთა წინააღმდეგ აჯანყების დროს თეიმურაზსა და გიორგი სააკაძეს უღალატა. მან განსაკუთრებით „გამოიჩინა“ თავი აჯანყებულების მიერ თბილისის აღების მცდელობის დროს. მან, როგორც თბილისის მინბაშის (ციხისთავის) მეგობარმა, ქართველების მიერ აყრილი წყლის ღარები კვლავ გამართა, ყიზილბაშებმა წყალი მოიმარაგეს და თეიმურაზმა თბილისის ციხე ვეღარ აიღო. გიორგი სააკაძემ გამოიძია დანაშაული. მეორე დამნაშავეს, თბილისის მოქალაქე გარსუას, თავი მოკვეთეს, გორგიჯანაშვილს ჩამოჰკიდეს კისერზე და ქალაქი და ლაშქარი ჩამოატარეს. ამ დროს თბილისში იმყოფებოდნენ იმერეთის მეფის ელჩები, რომლებიც გიორგი გორგიჯანაშვილს იცნობდნენ და მათ გაათავისუფლეს იგი. *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორა, გვ. 233-234.* როგორც ირკვევა, გიორგი გორგიჯანაშვილი ისტორიკოს ფარსადანის მამა იყო. *ნაკაშიძე რ., ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. ბიოგრაფიისათვის // ლი-ტერატურული ძიებანი, თბ., 1983, გვ. 195.*

[2] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 243*

ფარსადან გორგიჯანიძის მონათხრობი თეიმურაზ I-ის გორზე თავდასხმის შესახებ ძირითადად დასტურდება და ზოგიერთი დეტალით მდიდრდება კიდეც, პატრი ჯუსტო პრატოს მიერ ალეპოში რეზიდენტთან გაგზავნილი ერთი იტალიური წერილით. იქიდან ვიგებთ, რომ 1635 წ. ოქტომბრის პირველ ნახევარში როსტომ მეფე გორში იმყოფებოდა, როცა მას დედოფლის ავადმყოფობა აცნობეს და თბილისში წავიდა. თეიმურაზმა ისარგებლა ამ შემთხვევით და 17 ოქტომბერს, დილის 5 საათზე იერიში მიიტანა გორზე. მას თან ახლდა საფარ ფაშას გამოგზავნილი 300 თურქი და ქართველ მხედართა და ქვეითთა რაზმები. როგორც ვთქვი, ხუთ საათზე იერიში მიიტანეს ქალაქზე, მაგრამ, იმის გამო, რომ გორელებს უკვე წინა დღეს სცოდნიათ მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ, *„ყველა კაცი და ქალი ციხეში შევიდა“*[1]. ციხე ძლიერ იყო გამაგრებული არტილერიითა და მეთოფეებით. ციხისთავმა 200 თოფოსანი გამოუშვა მტრის მოსაგერიებლად და საკმაო ზარალიც მიაყენეს. საბოლოოდ, თეიმურაზის ჯარმა ხელთ იგდო 50 ცხენი, კამეჩები, ძროხები, რამდენიმე ტყვე, დაკარგა კი მეტი მოკლული და დაჭრილი ჯარისკაცების სახით[2].

22 ოქტომბერს როსტომ მეფე გორში მობრუნდა შაჰის მიერ გამოგზავნილი საკმაოდ დიდი ჯარით[3]. როსტომი გორში დარჩა, ლაშქარი კი არცევს გაგზავნა თეიმურაზის წინააღმდეგ. სისხლისმღვრელ ბრძოლაში გაიმარჯვა როსტომის ჯარმა. თეიმურაზი კახეთში დაბრუნდა. იმის გამო, რომ მუხრანის ბატონი და იოთამ ამილახვარი არცევის ბრძოლაში თეიმურაზს მიემხრნენ *„მეფემ ლაშქრით საამილახვრო ჩაიარა, მუხრანი დაარბია“*[4]. როსტომი თბილისში დაბრუნდა.

1635 წ. როსტომისა და თეიმურაზის დროებით შერიგება მოხდა. როსტომმა შაჰთანაც კი უშუამდგომლა თეიმურაზს. მაგრამ თეიმურაზი ხელს არ იღებდა ქართლ-კახეთის გაერთიანების გან-ზრახვაზე. 1636 წ. როსტომი გორში იმყოფებოდა, როცა ქართლის თავადთა ერთი ჯგუფი აჯაყნდა. მათ თეიმურაზის ქართლში გამეფება სურდათ. აჯანყება ნოდარ ციციშვილმა და იასე ქსნის ერისთავმა დაიწყეს. მათ მიემხრნენ არაგვის ერისთავი ზაალი და იოთამ

---

[1] ხეც, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №1962, ფ. 28-31.

[2] იქვე, ფ. 28-30

[3] იქვე, ფ. 31.

[4] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 244.

ამილახვარი. ქსნის ერისთავმა და ამილახვარმა *„გორს ზევით ჭალა“* დაიკავეს, ხოლო ნოდარ ციციშვილმა *„გორს ქვევით მტკვრის პირი“*. როსტომმა იასე ერისთავისა და იოთამ ამილახვარის ცოლშვილი დაატყვევა და გორის ციხეში ჩაამწყვდია. ერისთავი და ამილახვარი გაიქცნენ და ახალგორში გადავიდნენ. როსტომმა ამილახვრობა ბეჟანს მისცა, ქსნის ერისთავობა კი ელიზბარს. აჯანყებულებმა კახეთს შეაფარეს თავის. როსტომი გორიდან გაუძღვა ჯარს, ამილახვართა ციხესიმაგრე ცხვილო დაანგრია და კვლავ გორში მობრუნდა.

რაც შეეხება გორის ციხეში დატყვევებულ ერისთავისა და ამილახვრის ოჯახებს, ისინი როსტომ მეფემ მარიამ დედოფლის შუამდგომლობით, გაანთავისუფლა და კახეთს გაუშვა[1].

ქართლის თავადებს შორის, როსტომის წინააღმდეგ განსაკუთრებით აქტიურობდა ნოდარ ციციშვილი, რომელიც იმერეთის თავადების, ჩხეიძეების მხარდაჭერით აჯანყდა. მეფემ თბილისში გაიგო ამის შესახებ და დიდი ჯარით წავიდა ნოდარ ციციშვილის წინააღმდეგ. ბრძოლის დაწყების წინ ნოდარმა ჩხეიძეები მიატოვა და ვერის (ატენის) ციხეში ჩაიკეტა. მეფის ჯარმა ადვილად დაამარცხა აჯანყებულები. ჩხეიძეები შეიპყრეს და როსტომს მიჰგვარეს. მეფემ *„ბრძანა ჩხეიძეებს მკლავნი გაუხსნეს და გორს გაგზავნეს, რომ ტანისამოსი გამოუცვალონ და ქვეშსაგები და ზედსაფენი გაუკეთონ და კარგის პატივით ჭელი შეუწყონ“* (შემდეგში როსტომმა ჩხეიძეები შაჰთან გაგზავნა). მეორე დღეს თვითონაც გორს მოვიდა. აქედან, მეფის ბრძანებით ჩაფარი გაგზავნეს, შეთქმულებაში მხილებული დედოფლის სახლთუხუცესი ქაიხოსრო შეიპყრეს და გორის ციხის კოშკიდან გადააგდეს, ქაიხოსროს შვილები კი დაატყვევეს. მისი სიძე ჰუსეინ ბეგისშვილი ბაგრატიონი, რომელიც ტახტის დაპყრობას ფიქრობდა, კახეთს გადაიხვეწა[2].

ამის შემდეგ როსტომმა გორიდან ჯარი გაგზავნა და *„სკრას ზეითი საციციანო დაარბევინა“*. მან გორიდანვე გაუგზავნა შაჰს წერილი, რომელშიც თავის მემკვიდრედ ბიძაშვილისშვილის ლუარსაბის დანიშვნას სთხოვდა. ლუარსაბმა გორის ციხიდან ზარბაზნები ჩამოატანინა და ზოვრეთის ციხეს ალყა შემოარტყა, სადაც ნოდარ ციციშვილი იყო გამაგრებული. ნოდარი დანებდა. მან როსტომს

---

[1] *იქვე, გვ. 245.*

[2] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 248; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 422.*

თავის დედა მიუგზავნა და *„გაცლის გზა სთხოვა“.* მეფემ სამცხეში წასვლის ნება დართო. როსტომმა შეთქმულების სხვა წევრებზეც იძია შური. არაგვისა და ქსნის ერისთავები და იოთამ ამილახვარი ახალგორში გაანადგურა, გორში მობრუნდა და მთელი ზამთარი აქ გაატარა[1].

როსტომმა გორში მიიღო შაჰისგან გამოგზავნილი ხალათი და პასუხი თავის თხოვნაზე: *„შენის ბიძაშვილის თეიმურაზ მირზის შვილი ლუარსაბ შენთვის შვილად გეთხოვნაო, გამოგვიგზავნიაო და ქართველთათვის გვიბრძანებიაო, რომ უფლისწულათ და თქვენად შვილად მიაჩნდესო და თქვენს უკან ქართლის მეფობა მაგისთვის მიგვიცემიაო“*[2].

1642 წ. უფრო სერიოზული შეთქმულება მოეწყო, რაც ფარსადან გორგიჯანიძის თქმით, შაჰის მიერ როსტომის მემკვიდრედ ლუარსაბის დანიშვნამ გამოიწვია. თავადებს კვლავ თეიმურაზის დაბრუნება სურდათ ქართლის ტახტზე. შეთქმულებაში მონაწილეობდნენ: თეიმურაზ I, ზაალ ერისთავი, სომხეთის მელიქი ყორხმაზბეგი და სხვ. შეთქმულები გიორგი გოჩაშვილს აგულიანებდნენ, რომ როგორც სამეფო გვარის შთამომავალს, ტახტი მას ეკუთვნოდა. სინამდვილეში, როგორც ფარსადან გორგიჯანიძე ამბობს, ტახტი თეიმურაზ I-სათვის უნდოდათო.

შეთქმულთა გეგმით, თეიმურაზი მცირე ჯარით მივიდოდა მეტეხს, ცხირეთში მყოფი როსტომი ციხიდან გამოვიდოდა და თეიმურაზს შეებმებოდა. ამ უკანასკნელს ახლომახლოს დაბანაკებული მომხრენი წამოეშველებოდნენ და როსტომს ბრძოლაში მოკლავდნენ, *„რომ სამარტოთ არავის დაებრალოსო“*[3].

სომხეთის მელიქმა იცოდა, რომ შაჰი როსტომის დაღუპვას არავის აპატიებდა და შეთქმულება გასცა. ბერი ეგნატაშვილის თანახმად, მუხრანის ბატონმა ვახტანგმა აცნობა როსტომს შეთქმულების შესახებ. ვახტანგ მუხრანბატონი, როგორც ჩანს, ქართლის ფეოდალებისა და თეიმურაზის ურთიერთობას თვალყურს ადევნებდა და მოპოვებულ ინფორმაციას როსტომ მეფეს აწვდიდა. როსტომი გორში იყო. ქართლის თავადებმა მისი საწინააღმდეგო შეთქმულება მოაწყვეს და თეიმურაზი მოიწვიეს. *„ამისი მსმენელი თეიმურაზ რა წარმოემართა, ესე აუწყა როსტომ მეფესა ვახტანგ მუხრანის ბატონმა და*

---

[1] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 248-250.*

[2] *იქვე, 250.*

[3] *ქართლის ცხოვრება, II, გვ. 442.*

მსწრაფლ შევიდა როსტომ გორის ციხესა შინა“. ამგვარად ვახტანგმა როსტომ მეფე გადაარჩინა. უფრო მეტიც, კახეთისაკენ მიმავალ თეიმურაზს მუხრანის ბატონი დაეწია და *„ავნო დიდი“.*

ფარსადან გორგიჯანიძე წერს: მუხრანის ბატონმა შეთქმულთა მეთაურების მიერ მისთვის გაგზავნილი წერილები როსტომს გადასცა. იმავე ღამეს, როცა თეიმურაზი მეტეხს მივიდა, როსტომი გორში გამაგრდა. *„მაშინ დედოფალი წარავლინა გორის ციხეშია და თუთცა უკან ჩამოუდგა და მივიდნენ გორის ციხეშია და მუნ გამაგრდენ“*[1]. თეიმურაზი მეტეხიდან გორს მივიდა, მაგრამ მიხვდა, რომ შეთქმულება გაცემული იყო და კახეთს გაბრუნდა. როსტომი სასტიკად გაუსწორდა შეთქმულებს. გორში დასაჯეს გიორგი გოჩასშვილი და ზურაბ სააკაძე – ორივეს თვალები დათხარეს. ამის შემდეგ მეფე თბილისში წავიდა[2]. შეთქმულების ზოგმა მონაწილემ გაქცევით უშველა თავს, ზოგი კი სიკვდილით დასაჯეს.

გორში გარდაიცვალა მარიამ დედოფლის ვაჟი პირველი ქმრისაგან (გურიელისაგან) ოტია. ოტია ზაალ ერისთავის სიძე იყო, როსტომ მეფეს იგი უყვარდა და საკუთარი შვილივით ზრდიდა. *„შეიქმნა დიდი გლოვა, ტირილი თორმეტს დღეს. იქვე გორს იყო ზარით ტირილი“. ფარსადან გორგიჯანიძე საკმაოდ დეტალურად და ხატოვნად გადმოგვცემს ოტიას დატირებას და გლოვას. თორმეტი დღის შემდეგ ოტია გორიდან მცხეთას წაასვენეს და იქ დაკრძალეს*[3].

როსტომი ღრმად მოხუცებული განაგებდა ქართლს. ერთხელ ისპაანში ხმა გავრცელდა; *„როსტომ მეფე გორს მიიცვალაო“.* სინამდვილის დასადგენად შაჰმა ფარსადან გორგიჯანიძე გამოგზავნა საქართველოში. ფარსადანმა ავადმყოფი მეფე თბილისში ნახა. როსტომმა ფარსადანს გარკვეული დავალება მისცა. ამის შემდეგ ფარსადანი თავის მშობლიურ ქალაქ გორში მივიდა, სადაც იმ დროს ოდიშის საქმეებთან დაკავშირებით მარიამ დედოფალი იმყოფებოდა[4].

როსტომ მეფე გარდაიცვალა 1658 წ. მისი მეფობის პერიოდზე საუბრის დასასრულს, ისიც უნდა ითქვას, რომ მან გორი არა მხო-

---

[1] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ, 250; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 422-423; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 321-322.*

[2] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 251-252*

[3] *იქვე, 267-268.*

[4] *ფეშანგი, შაჰნავაზიანი / გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1936.*

ლოდ ქართლის ერთ-ერთ უძლიერეს ციხესიმაგრედ გადააქცია, ქალაქი გაამშვენიერა კიდეც.

როსტომის გარდაცვალების შემდეგ გამეფდა ბაგრატიონის გვერდითი შტოს, მუხრანბატონების წარმომადგენელი ვახტნაგ V, შაჰნავაზად წოდებული.

ვახტანგ V-ის მეფობის პერიოდიდან (1658-1675) გორზე უაღრესად მცირე ცნობები გაგვაჩნია. მხოლოდ ის ვიცით რომ, როდესაც მან 1661 წ. თავისი ვაჟი არჩილი იმერეთში გაამეფა, ქართლში დაბრუნების შემდეგ გორში მოვიდა. ცნობილი გორელი პოეტი ფეშანგი ხითარიშვილი, ვახტანგ V-ის თანამედროვე, თავის ისტორიულ პოემაში „შაჰნავაზიანი“, გვამცნობს, რომ მეფეს გორში მიეგება დედოფალი მარიამი. ვახტანგმა გორში მოიყვანა მის მიერვე დამარცხებული და განდევნილი ვამიყ დადიანის ცოლშვილი. მარიამ დედოფალს წარუდგინეს ვამიყის ცოლი ელენე და მისი ქალი. ფეშანგის თქმით, ვახტანგ მეფის ოჯახი გორში ისეთი საუკეთესო პირობებში ცხოვრობდა, რომ ამის მნახველ ვამიყის მეუღლეს, ელენეს, ტირილი აუვარდა. მარიამმა გაამხნევა ელენე, ტანისამოსით დაასაჩუქრა, ცალკე სახლში დააბინავა და მოახლენიც მიუჩინა[1].

1690 წ. რუსეთიდან დაბრუნებულმა არჩილ II-მ, რომელიც ადრეც ცდილობდა იმერეთის ტახტზე განტკიცებას, ოსმალთა ჯარზე დაყრდნობითა და იმერეთის თავადების მხარდაჭერით მეფე ალექსანდრე IV განდევნა. იმავე წლის აგვისტოში ალექსანდრე ქართლში გადმოვიდა და წედისს გაჩერდა. ქართლიდან გაძევებულმა გიორგი XI-მ, რომელიც იმერეთში აფარებდა თავს და ალექსანდრეს მტერი იყო, წედისზე თავდასხმა სცადა, მაგრამ ბეჟან სააკაძემ ალექსანდრეს აცნობა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და ის *„მსწრაფლ შეივლტო ციხესა შინა გორს“*[2].

ალექსანდრეს ქართლში გადმოსვლისა და იმერეთში არჩილის გამეფების შესახებ ერეკლე I-მა შაჰს აცნობა. შაჰმა შეაფასა რა იმერეთში შექმნილი ვითარება (არჩილი ოსმალების დახმარებით იკავებს იმერეთის ტახტს, იმავე იმერეთში თავშეფარებულია ქართლიდან გაძევებული გიორგი XI, რომელსაც კავშირი აქვს ოსმალეთთან), ერეკლეს უბრძანა *„ალექსანდრე მეფეს კარგად ჰელი შეუწყეო და კარგად დახვდიო“*[3], ალექსანდრეს კი გამოუგზავნა

---

[1] *ქართლის ცხოვრება, IV, 466, გვ. 854.*

[2] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 281.*

[3] *იქვე, 281.*

ძვირფასი საჩუქრები: სამეფო გვირგვინი, ოქროს ქამარი, ოქროთი შეკაზმული ცხენი და ძვირფასი ქსოვილები. ამის შემდეგ ერეკლე *„დიდის დიდებითა და მორთვითა და საქართველოს ჯარით მუხრანის გზით გორს წაბრძანდა მეფის ალექსანდრეს სანახავათ“*. ალექსანდრე ერეკლეს გამოეგება და ერთად შევიდნენ გორში, *„ერეკლე მეფის სადგომს ჩამოხტნეს და იმ დღეს დიდი ლხინი გადაიხადეს“*[1]. მეორე დღეს ერეკლემ სტუმარს ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი, ოქროს და ვერცხლის ლაგამ-უნაგირით დაკაზმული ბედაურები, სიასამურითა და ძვირფასი ქსოვილებით შეკაზმული ტანსაცმელი, *„ფლური*[2] *და თეთრი“*[3] მიართვა. შემდეგ დღესაც ილხინეს, ხოლო მეოთხე დღეს ერეკლე I ნაზარალიხანი თბილისში დაბრუნდა, ალექსანდრე IV გორში დარჩა[4].

არჩილის მოწინააღმდეგებმა დაინახეს რა შაჰი და ერეკლე ალექსანდრეს მფარველობდნენ, ალექსანდრეს მოციქული და *„გულის შესაჯერელი საფიცრები გაუგზავნეს“* და იმერეთში დაბრუნება ურჩიეს. მან სასწრაფოდ დატოვა გორი[5] და 1690 წლის ზამთარში[6] ქუთაისის მახლობლად შეებრძოლა არჩილს, *„მაგრამ ამაყობით და ყმათა მუხანათობით მეფე ალექსანდრეს დაუმარცხდა და იქივ გორს დაბრუნდა“*[7], საიდანაც შემდეგში შაჰის ბრძანებით, თბილისში გადავიდა. შაჰისავე შუამდგომლობით, ოსმალეთის სულთანმა, რომელიც მანამდე არჩილს მფარველობდა, იმერეთის ტახტი ალექსანდრეს დაუბრუნა. არჩილის მომხრე გიორგი XI ახალციხეში ოსმალებმა შეიპყრეს, მაგრამ გაიქცა და ქართლში გადმოვიდა. ერეკლე I-ის

---

[1] *იქვე.*

[2] ფლური – ვენეციური ოქროს დუკატის აღმნიშვნელი ტერმინი. წარმოიშვა ფლორენციის ოქროს მონეტის ფლორინის სახელოწოდებისაგან. ამ ტერმინმა შემდეგ დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა და დუკატის წონის ოქროს მონეტას აღნიშნავდა. *იხ. ქებულაძე რ., ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში, თბ., 1971, გვ. 13, 17.*

[3] თეთრი – ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის ქართული ფული.

[4] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 281-282; გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, II, გვ. 469-470.*

[5] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 282.*

[6] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 853.*

[7] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 285;* იხ. აგრეთვე, *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 853; გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ის ტორიიდან, II, გვ. 470.*

პოლიტიკით უკმაყოფილო ქართლის თავადებმა – ერისთავმა, ციცი ციციშვილმა, თამაზ ბარათაშვილმა და ბეჟან სააკაძემ (ციცი ციციშვილი და ბეჟან სააკაძე შემდეგში ღალატში ამხილეს და გიორგის ბრძანებით ციცი დაახრჩვეს, ბეჟანს თვალები დათხარეს)[1] გიორგის დაუჭირეს მხარი.

ანდუყაფარ ამილახვრის შვილებმა, იოთამმა და ავთანდილმა, როდესაც გიორგი XI-ის ქართლში გადმოსვლის ამბავი გაიგეს, შაჰისა და ერეკლეს მიმართ ერთგულება შეინარჩუნეს. იოთამი *„დედითა, ჯალაბობრივ და მსახურ-აზნაურიშვილით“* გორის ციხეში ჩაიკეტა და იქიდან იბრძოდა. მისი ძმა ავთანდილი, ერეკლეს ეშიკა-ღასბაში (სასახლის მთავარი გამრიგე, ადმინისტრაციული აპარატის ხელმძღვანელი) თბილისის ციხეში თავის *„ჯალაბობრივ“* მხარში ედგა ერეკლეს[2]. ანდუყაფარ ამილახვრის ძმა გივი *„და მისი ძმები და ძმისწულები მათის შვილებით ბედნიერს ყაენს უკუუდგნენ და გიორგი მეფეს მიუვიდნენ და ბედნიერს ყაენზედან და ჩვენზედან დიდად ორგულად და დამნაშავედ დარჩნენ“* – წერს ერეკლე I[3]. ამილახვართა სახლის გათიშვა ქართლში ორმეფობის დროს იმის საინტერესო მაგალითია, თუ როგორ გაიყო ქართული ფეოდალური საზოგადოება ორად[4]. ზოგი გიორგი XI-ს უჭერდა მხარს, ზოგი ერეკლე I-ს.

გიორგი მეფე, მართალია, ქართლის დიდ ნაწილს სწრაფად დაეპატრონა, მაგრამ მისი მდგომარეობა მყარი ვერ იქნებოდა ვიდრე გორი ერეკლეს მომხრეთა ხელში იყო. მან სამჯერ სცადა გორის ციხის აღება, მაგრამ უშედეგოდ[5].

ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით, ერეკლეს გორის მინბაშის (ციხისთავი) ძმის მიერ თბილისში მიტანილი ამბავი შაჰისათვის მიუწერია: *„გიორგი მეფემანო, გორის ციხეს ყველგნით გზები შეუკრაო და საჭმელს ვეღარგნით შემოიტანებენო“*[6]. ალყა 2 წელიწადნახევარს გაგრძელდა[7], ალბათ, დროის გარკვეული ინტერვალებით. ამას მაფიქრებინებს ვახუშტი ბატონიშვილის ერთი ცნობა,

---

[1] *გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, II, გვ. 477.*
[2] *ქართულ-სპარსული საბუთები, გვ. 356.*
[3] *იქვე, გვ. 356.*
[4] *გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, II, გვ. 476.*
[5] *ქართულ-სპარსული საბუთები, გვ. 369.*
[6] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 286*
[7] *ქართულ-სპარსული საბუთები, გვ. 369.*

საიდანაც ჩანს, რომ იოთამ ამილახვარი ციხიდან გამოხდომებს ახდენდა და გიორგი XI-ის მომხრეთ მამულებს იკლებდა. იოთამის ასეთი მოქმედება რომ აღეკვეთა, გიორგი XI-მ ერთხელ თავისი ძმისწული ქაიხოსრო გამოგზავნა, რომელმაც ალყა შემოარტყა გორს[1]. *„ქართლ-კახეთის XVII-XVIII სს. ქრონიკების“* მიხედვით, *„1694 წ. გორის გარშემო სოფლებს აოხრებდა იოთამ ამილახორი; გიორგი მეფემ მიუსია ძმისწული ვახტანგ ლევანის ძე ჯარით“*[2]. ეს თარიღი სწორი არ უნდა იყოს. როგორც ქვემოთ დავინახავთ ერეკლე I-ის მიერ 1692 წ. დეკემბერში იოთამ ამილახვრის სახელზე გაცემული სიგელიდან, ამ დოკუმენტის დაწერის დროს იოთამი გორის ციხიდან უკვე გამოსული იყო.

ერეკლე I 1695 წლის თებერვალ-მარტში იოთამ ამილახვარის სახელზე გაცემულ სიგელში გადმოგვცემს ალყაში მოქცეული გორის ციხის დამცველთა მდგომარეობას. ვფიქრობ, სიგელში აღწერილი უნდა იყოს გიორგი მეფის მიერ გორის ციხისთავის მესამედ შემორტყმული ალყა. რადგან გაგვიჭირდება ამბის ისე ხატოვნად გადმოცემა, როგორც სიგელშია, ამიტომ მთლიანად მოვიყვან მას. *„ქ. ჩვენ, მეფეთ-მეფემან პატრონმან ნაზარალიხან, ესე წიგნი გიბოძეთ თქვენ, ამილახორს იოთამს ასე, რომ ბედნიერის ყაენის ორგულნი ქართველნი რომ ჩვენ უკუგვიდგნენ და გიორგი მეფე ქართლში საბატონოდ გადმოიყვანეს, ჩვენ ბედნიერის ყაენის ერდგულობისათვის ქალაქის (თბილისი – ე. მ.) ციხეში შემოვედით და თქვენი ძმა ავთანდილ ჯალაბობრივ თან შემოგვყვა და თქვენ ბედნიერის ყაენისა და ჩვენი ერდგულობისათვის ჯალაბობრივ დედით და მსახურთ-აზნაურიშვილით გორის ციხეში შეხვედით*[3] *და სამჯერ გიორგი მეფე და ქართველნი შეყრილნი მოგიხდნენ და ციხიდამე ებრძოლეთ და თქვენ გაიმარჯვეთ და გამოაბრუნვეთ. მერმე გარშემოგადგნენ და ციხეს წყლები მოუჭრეს და აღარც აზუდა (სურსათ-სანოვაგე – ე. მ.) შემოუშვეს და ციხისგარშემო რაღაც წყლის გუბი და ყარასუ (დამპალი წყალი – ე. მ.) შეგრჩომოდათ, ისიც მძორითა და ძაღლის სისხლით წაგიბილწეს. ორი წელიწადი და ნახევარი ამისთანის განსაცდელის საქმითა და სარჯლითა ციხის სიმაგრეს და*

---

[1] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 468-469.*

[2] *საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 44.*

[3] იოთამ ამილახვრის მომხრე იყო ფარსადან სუმბატაშვილი, რომელიც ასევე ცოლშვილითურთ შეიხიზნა გორის ციხეში. *მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, გვ. 63.*

ჩვენს ერთგულებას ეცადენით და დედათქვენი და ზოგნი მსახურაზნაურიშვილნი და მხლებელნი ციხეში დაგეხოცნენ, იმათი მიწათ მიღება არ მოხდებოდა და გარეთ ხომ არ გამოგესვლებოდათ. ციხესაც აზუღა მწვედ შემოაკლდა და მიბაში (ციხისთავი – ე. მ.) და თათრებიც დიდად შეღონდნენ. თქვენ და მიბაშმა ჩვენ და ბეგლარბეგს აბუზყულიხანს ბევრჯელ ჯარი და ქომაგი (დახმარება, მეშველი ჯარი – ე. მ.) გვთხოეთ. ჩვენ ხომ ჯარი არ გვყავდა და ბეგლარბეგს მეც ბევრჯელ ვეუბენ და არ იქნა, თქვენთვის ჯარი ვერ გამოვაგზავნინე. ის მუხანათი ბეგლარბეგი თურმე ყაენის ორგული იყო და ყაენის ორგულობისაკენ იყო და არას თავს შეიდვა და არც ჯარი მოგაშველა. ამასობაში შენ დიდად შეგაღონეს და თუ კიდევ ციხეში ხანი დაგეყო, ციხის აზუღაც დაილეოდა და ციხის აღება შიმშილით მოხდებოდა. მიბაშსაც თქვენთვის წიგნი მოეცა, რომე შენი წასვლა სჯობსო, ციხის სიმაგრეც უფრო მოხდებაო. ჩვენც ასე დასტური დაგეცით, რომე რადგან ყაენის ერდგულობას და ჩვენს სამსახურს გარედამაც უკეთ ეცდები და კიდევ ბედნიერისა... ყაენისა და ჩვენი ერდგული... და თქვენი გამოსვლა ციხესაც უჯობს, ჩვენც... და ბედნიერის ყაენის თავის მზემან... თქვენს ძმას ეშიკაღასბაშს[1] *არას გისაყვედურებთ.*

ქ. თუ ამას უკანაც ბედნიერის ყაენის სამსახურს მოუდგებით და ეცდებით, ეს ასე დაგვიმტკიცებია“[2].

გიორგი XI-მ ვერ შეძლო გორის ციხის აღება. როდესაც ციხის დამცველებმა შაჰისა და ერეკლესაგან დახმარების იმედი დაკარგეს, გორის *„თავნი და უფროსნი კაცნი ძღვნით გიორგი მეფესთან მივიდნესო და ასრე მოახსენესო: ციხის აღება არ შეგიძლიათო და ისრევ ყაენი გაჯობებსო და თქვენ ორგულად დარჩებითო, ქართლი ჭელთ გიჭირავსო, ციხის ბრძოლას დაეხსენო*“[3]. გიორგი იძულებული გახდა მდგომარეობას შეგუებოდა და გორს გაეცალა.

ერეკლე მეფემ ჯეროვნად დაუფასა ერთგულება იოთამ და ავთანდილ ამილახვრებს. 1692 წ. დეკემბრის *„დამდეგს“* გაცემულ სიგელში ერეკლე ამბობს: *„...ესე ამიერთაგან უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი, საბოლოოდ გამოსადეგი ფიცი, პირი და წყალობის წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ*

---

[1] *სასახლის მთავარი გამრიგე, ადმინისტრაციული აპარატის ხელმძღვანელი, ადრინდელი მანდუტურთუხუცესი.*

[2] *ქართულ-სპარსული საბუთები, გვ. 368-369.*

[3] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 292-293.*

თქვენ, ჩვენსა ერთგულთა და წესისამებრ თავდადებით მრავალფეროვნად ნამსახურთა და ჩვენის მორჭმა-დიდების თავგადადებით მდგომთა და მოწადინეთა ანდუყაფარ ამილახორის შვილს იოთამს და ძმას თქვენსა ჩვენს ეშიკაღასბაშს ავთანდილს და შვილთა თქვენსა დავითს, ზურაბს და ვახტანგს, შვილთა და მომავალთა თქუენსა ყოველთათვის".

სიგელიდან ირკვევა, რომ *„იმ გივს ამილახორს და მის ძმებს და ძმისწულებს გიორგი მეფისაგან და ქართველთაგან ასეთი საფიცარი აეღოთ, რომ თუ იმათ შესძლებოდათ რამე და ქართლი დაეჭირათ, თქვენ საამილახვროში აღარ შეეშვით და აღარც თქვენის მამულის წილი მოეცათ"*[1]. ერეკლემ ახლა, მოწინააღმდეგეთა განზრახვის საპირისპიროდ, იოთამი აღაზევა და ამილახვრობა, ზემო ქართლის სარდლობა და გორის მოურავობა მას უბოძა. მასვე უბოძა შერისხული გივი ამილახვრის მამულები *„მთით ბარამდე"*[2]. ერეკლე იოთამს დაპირდა, აგრეთვე, რომ შაჰის წინაშე უშუამდგომლებდა, რათა მისთვის დაემტკიცებინა მის *„მამა-პაპათ რომ ბედნიერის ყაენისაგან ასი თუმანი ჯამაგირი ჰქონებიათ"*. ერეკლემ დაპირება შეასრულა. 1698 წ. იანვარში შაჰ ჰუსეინის ფირმანით იოთამ ამილახვარს მართლაც დაენიშნა 100 თავრიზული თუმანი, ერეკლემ იოთამს უბოძა, აგრეთვე, მამულები ფხვენისში[3].

ერეკლე I-მა, ყიზილბაშთა სამხედრო ძალაზე დაყრდნობით, ჩააქრო ქართლში ანტიირანული აჯანყება და მოწინააღმდეგეთა ანგარიშსწორებას შეუდგა. ერეკლე და ყიზილბაშთა ჯარის სარდალი ქალბალი-ხანი გორში მივიდნენ, *„წარავლინეს და მოარბიევეს რომელნიმე ზენა დაბნები"*[4]. მათ გორშივე დაიბარეს *„ქართლელები"* და ერთგულების ფიცი დაადებინეს[5].

გიორგი XI-ს ქართლში აღარ ედგომებოდა და იმერეთში გადავიდა, სადაც კვლავ გამეფდა. გიორგიმ თავის ძმისწული შაჰთან გაგზავნა. ერეკლემ და ქალბალი-ხანმა ქაიხოსროს მისიის შესახებ

---

[1] *ქართულ-სპარსული საბუთები, გვ. 356.*

[2] გორის ციხე ჯერ კიდევ ალყაში იყო, როცა მისი დამცველები თეიმურაზს იოთამის გაამილახვრებას სთხოვდნენ. *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 293.*

[3] *ქართულ-სპარსული საბუთები, გვ. 356*

[4] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 476.*

[5] *საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩხეიძისა. ქართლის ცხოვრება, II, ჩუბინაშვილის გამოცემა, სანკტ-პეტერბურგი, 1854, გვ. 312.*

გორში გაიგეს და ქაიხოსროს ციციშვილი მიუგზავნეს, რომელმაც ხელშეუხებლობის გარანტია მისცა და მოსალაპარაკებლად გორში მიიწვია. ქაიხოსრო გორში მივიდა, მაგრამ ცნობილი არაა, თუ რაზე მოილაპარაკეს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ერეკლემ და ქალბალიხანმა მოიწონეს გიორგის განზრახვა ირანში გამგზავრების შესახებ, რადგან თავიდან მოიშორებდნენ შეუპოვარ მეტოქეს. ალბათ, მათ ეს აცნობეს შაჰს გორიდან გაგზავნილი შიკრიკის საშუალებით[1].

ამგვარად, ქართლის ბრძოლა დამოუკიდებობისათვის, რომელსაც გიორგი XI მეთაურობდა, მარცხით დამთავრდა. ერეკლე, ყიზილბაშებზე დაყრდნობით, ყიზილბაშურ წესრიგს და ძალადობას ნერგავდა. იგი ქართლის ფეოდალური საზოგადოების ზიზღს გრძნობდა და ქართლიდან წასვლა უნდოდა. შაჰმა ერთდროულად ორი ტახტის მაძიებლის გული მოიგო – ქართლი გიორგი XI-ს მისცა, კახეთი კი ერეკლე I-ს, მაგრამ ვერც ერთი ეღირსა დანაპირებს. ორივე საქართველოდან შორს გარდაიცვალა.

გორი XVIII ს. პირველ მეოთხედში

გიორგი XI-ის სიცოცხლეშივე, 1703 წლიდან, ქართლის მეფის მოადგილედ (ჯანიშინად) დაინიშნა მისი ძმისწული ვახტანგ ლევანის ძე (1703-1714), რომელიც შემდეგში ქართლის მეფე გახდა ვახტანგ VI-ის სახელით (1713-1724).

ვახტანგ VI-მ მთელი რიგი ადმინისტრაციული და სამხედრო ღონისძიებებით განამტკიცა სამეფო ხელისუფლება.

ვახტანგის დროსაც გორი რჩებოდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ციხე-ქალაქად, სადაც იგი *„შემოდგომა-გაზაფხულს“* ნადიმობასა და ნადირობაში ატარებდა[2]. საერთოდ, როგორც XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის წყაროებიდან ჩანს, გორი ვახტანგის და მისი ოჯახის სამეფოფელი იყო. ეს, ალბათ, იმანაც განაპირობა, რომ თბილისში ჯერ კიდევ ყიზილბაშთა გარნიზონი იდგა. მათთან სიახლოვე არც სასიამოვნო და არც უხიფათო უნდა ყოფილიყო.

ჯანიშინმა გორი ურჩი ოსებისა და დვალების წინააღმდეგ ბრძოლისათვის დასაყრდენად გადააქცია. მან 1711 წ. გაილაშქრა ოსეთზე, სადაც 80 კოშკი დაანგრია, ურჩნი დაატყვევა. დვალეთი დაიპყრო და ხარკი დააკისრა. ვახტანგი გორში ამუშავებდა სამეფოს

---

[1] *იქვე.*

[2] *ქართლის ცხოვრება, II, გვ. 488.*

შემომტკიცების გეგმებს. *„გორს მდგომი იშუებდა სხვასა განმ-ზრახი“*[1].

დასავლეთ საქართველოში ფეოდალური შინაბრძოლა მიმდინარეობდა. სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის მთავრები მეფეს არ ემორჩილებოდნენ და დამოუკიდებელ საშინაო და საგარეო პოლიტიკას ატარებდნენ. არეულობა სუფევდა იმერეთის მეფის სამფლობელოებშიც. მეფის ხელისუფლებას ეურჩებოდნენ იმერელი თავადები, განსაკუთრებით რაჭის ერისთავი და აბაშიძე თვითნებობდნენ. იმერეთის სამეფოში შექმნილი ვითარება ვახტანგს იქაურ საქმეებში ჩარევის საშუალებას აძლევდა. 1711 წ. თავადთა ერთმა ჯგუფმა ტახტიდან ჩამოაგდო არაპოპულარული მეფე გიორგი VI და გურიის მთავარი მამია III გაამეფა. ვახტანგ VI მხარს უჭერდა გიორგის. *„ხოლო გიორგი ვერ წინააღმდგომი წარვიდა ქართლს. ისტუმრა ვახტანგ გორს და პატივ-სცა“*[2].

როგორც ჩანს, ქართლის მეფეს უნდოდა მეფე გიორგი და ზურაბ აბაშიძე შეერიგებინა, მაგრამ გიორგი თავის ძველ მტერს არ ენდობოდა. *„გიორგი მეფემან გორს მოითხოვა ვახტანგისაგან აბაშიძე, რათა მისცეს მესისხლე თჳსი“*. ვახტანგის ზეგავლენით ზურაბ აბაშიძემ თავის ძე და ასული მისცა გიორგი VI-ს და *„ვახტანგ ზავ-ჰყო მათ შორის“*[3].

1711 წ. ავღანელებთან ბრძოლაში დაიღუპა ქართლის მეფე ქაიხოსრო. ამის შესახებ გორში გაიგეს იმავე წლის 24 დეკემბერს[4]. ვახტანგმა დედოფალი რუსუდანი და უფლისწული გორში დატოვა, ქართლის გამგებლობა თავის უმცროს ძმას სვიმონს ჩააბარა[5], მდივანბეგ ბარძიმ ერისთავის ასულ გუქაზე დააქორწინა[6] და თბილისში წავიდა[7]. მან შაჰთან კაცი გაგზავნა და შეუთვალა: მთელი ჩემი მოდგმა შენ სამსახურში ამოწყდა და მეც მინდა შენთვის თავი

---

[1] *იქვე, გვ. 491.*

[2] *იქვე, გვ. 870.*

[3] *იქვე, გვ. 868.*

[4] *დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962, გვ. 171.*

[5] *საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩხეიძისა, გვ. 326.*

[6] *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, III, გვ. 43; საქართველოს ისტორიის ქრონიკები, 48; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 496.*

[7] *საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩხეიძისა, გვ. 326; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, III, გვ. 43.*

დავდო. კმაყოფილმა შაჰმა წყალობის სიგელი და მეჰმანდარი (მესტუმრეთუხუცესი) გამოუგზავნა[1].

1712 წლის 28 თებერვალს ვახტნაგ VI 300 კაციანი ამალით ისპაანს წავიდა. იმავე წლის 2 აგვისტოს გორში დაიბადა ვახტანგის ძე, ბატონიშვილი გიორგი[2].

იმის გამო, რომ ვახტანგმა, თავდაპირველად, რჯულის შეცვლაზე უარი განაცხადა, შაჰმა ის ქირმანში დაატყვევა, ქართლი მის ძმას იესე ალი ყულიხანს გადასცა (1712-1716). იესემ თავისი ანტიქართული პოლიტიკით საყოველთაო ზიზღი დაიმსახურა. იესეს საწინააღმდეგო მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ვახტანგის უფროსი ვაჟი ბაქარი. ბაქარისა და იესეს ბრძოლის დროს, ბაქარმა, როგორც მაშინდელი ზოგიერთი წყაროს მიხედვით შეიძლება ვივარადუოთ, თავის ძირითად სამყოფელად გორი გადააქცია.

1712 წ. მამია გურიელმა მარცხი განიცადა გიორგი VI-თან ბრძოლაში. იმერეთიდან განდევნილმა მამიამ ბაქარს სთხოვა *„რათა მისცეს გზა“.* ბაქარი მას მიეგება ქ. ცხინვალს და *„დიდითა პატივითა წარიყვანა გორს“*. არ ვიცით რამდენ ხანს დარჩა მამია გურიელი გორში, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ მამია მაშინვე არ წასულა. ამაზე მიგვანიშნებს ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც ამბობს, რომ გორში ყოფნის დროს მამიას ყველაზე მეტად კათალიკოსი დომენტი IV უმასპინძლებდაო: *„გარნა უფროსად უმასპინძლებდა კათალიკოზი დომენტი“.* კათალიკოსი მამიას მოსვლასთან დაკავშირებით კი არ იმყოფებოდა გორში, არამედ დროებით აქ ცხოვრობდა. გორიდან მამია გურიელი ჯავახეთში წავიდა თავის სიძე ასან ფაშასთან, იქიდან კი გურიაში გადავიდა[3]. როგორც ჩანს, დომენტი, ვახტან VI-ის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობის გამო, მცხეთიდან გამოაძევეს. ჯანიშინმა შეიპყრო დომენტი და გორში გაუგზავნა ბაქარს *„რათა აღმოჴადოს თუალნი“.* მაგრამ რუსუდან დედოფალმა შეიწყალა იგი *„და იყოფდა მას თანა პატივითა“*[4].

---

[1] *საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩხეიძისა, გვ. 326.*

[2] *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, III, გვ. 605; საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 48; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 492.*

[3] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 872.*

[4] *ქართლის ცხოვრება, II, გვ. 493; ტაბაღუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბ., 1972, გვ. 303-304.*

დედოფალი რუსუდანი და ბატონიშვილი ბაქარი რომ დიდი ხანი ცხოვრობდნენ გორში, ამაზე მიუთითებს 1714 წლის 15 აგვისტოს შედგენილი *„განჩინება კოდის-ლილოელთ საზღვრების საქმეზე“*. საბუთის შინაარსიდან ჩანს, რომ დედოფალთან და ბატონიშვილთან გორში მოდიოდნენ სხვადასხვა სადავო საკითხის გადასაწყვეტად[1]. საბუთში ის პერიოდი იგულისხმება, როდესაც ვახტანგი ირანში წავიდა, მაგრამ იესე ალიყული-ხანი ქართლში ჯერ არ მოსულა. იესე მოვიდა 1712 წ. 20 ოქტომბერს. ასე რომ ზემოდასახელებულ საბუთში 1712 წ. 28 თებერ-ვლიდან 20 ოქტომბრამდე მომხდარი ამბავი უნდა იყოს გადმოცემული, ცნობილია, რომ იესეს გორში მისვლის შემდეგ დედოფალმა რუსუდანმა ქართლში დარჩენა აღარ ინება, ბატონიშვილები ბაქარი და გიორგი წაიყვანა და რაჭაში გადავიდა[2], დომენტი კი იესესთან გაუშვეს. იესემ იგი კათალიკოსად აღადგინა[3].

გორთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ ქალაქიდან დაიწყო სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობა ევროპაში, რაც ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს გორის დიდ მნიშვნელობაზე XVIII ს. პირველი მეოთხედის ქართლის სამეფოში.

როგორც ცნობილია, ვახტანგ VI 1712 წ. 23 აპრილს ირანს გაემგზავრა. მის ამალაში იყო სულხან-საბაც. იმავე წლის დასასრულს ვახტანგმა თავისი ბიძა და აღმზრდელი უკან დააბრუნა. იგი ვახტანგის ოჯახთან დასახლდა გორში, რადგან ირანში გამგზავრების წინ ვახტანგმა *„დედოფალი და ძენი თჳსნი დაადგინა გორს“*[4]. მას, სავარაუდოა, ვახტანგის მითითებით მფარველობა უნდა გაეწია ამ ქალაქში დასახლებული მეფის ოჯახისათვის.

სულხან-საბას გორში ყოფნის დროს ირანიდან მოვიდა ფრანგი აბატი ჟან რიშარი. ის 1710 წლიდან ირანში მოღვაწეობდა ისე დაუახლოვდა ვახტანგს, რომ გახდა მისი *„მესაიდუმლე, როგორც საფრანგეთის ელჩის მოციქული“*[5].

---

[1] *ქართული სამართლის ძეგლები, IV, გვ. 258, № 178.*

[2] *საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩხეიძისა, გვ. 326; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 494.*

[3] *ქართლის ცხოვრება, II, გვ. 494.*

[4] *ქართლის ცხოვრება IV, გვ. 491.*

[5] *დონდუა ვ., ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან. 1712-1745 // "მიმომხილველი", III, თბ., 1953, გვ. 40.*

1713 წ. შაჰმა საფრანგეთის მეფესთან წერილის წაღება რიშარს დაავალა. ვახტანგმა ამ შემთხვევით ისარგებლა და რიშარს საპასუხო წერილი გაატანა იმავე მეფესთან.

საეჭვოდ მიმაჩნია, რომ ჟან რიშარის საფრანგეთში გამგზავრება საქართველოს გზით იმითი იყო განპირობებული, რომ მას განზრახული ჰქონდა თან წაეყვანა სულხან-საბა[1]. რიშარი ამ მიზნით არ უნდა მისულიყო გორში. უბრალოდ, მაშინ შედარებით უხიფათო იყო საქართველოს გზა.

რიშარი თბილისიდან გორს მოვიდა და აქ შეხვდა სულხან-საბას. როგორც მისივე წერილიდან ირკვევა[2], ის გორში მცირე ხანს გაჩერდა. ისიც ირკვევა, რომ სულხან-საბა და რიშარი პირველად გორში შეხვდნენ ერთმანეთს[3]. რიშარი ასე გადმოგვცემს სულხან-საბასთან შეხვედრას: *„რა გავიარე გორში, იქ დამხვდა სულხან-საბა, ბიძა საქართველოს მეფის, რამდენიმე წელიწადია რაც მონაზონების სამოსელი შეიმოსა; მონაზონად შედგომამდე თავის ძმებს დაუტოვა ერთი დიდი პროვინცია, რომელიც მისი საკუთრება იყო. ამიტომ ჰყო, რათა უფრო ადვილად აღეარებინა კათოლიკე სარწმუნოება“*[4].

1713 წ. 17 აგვისტოს სულხან-საბა ჟან რიშართან ერთად გორიდან გაემგზავრა ევროპაში, მაგრამ რაიმე რეალურ წარმატებას ვერ მიაღწია და 1716 წლის ზაფხულში სამშობლოში დაბრუნდა.

1719 წ. შაჰმა ვახტანგს ქართლის მეფობა უბოძა და საქართველოში გამოუშვა. ვახტანგ მეფე გორში იმყოფებოდა როდესაც სულთნის მოციქული მოვიდა და აცნობა, რომ ოსმალეთი წინააღმდეგი არ იქნებოდა ალექსანდრეს იმერეთში გამეფებისა, თუ ვახტანგი აქტიურად დაეხმარებოდა მას. ვახტანგმა ბატონიშვილი ვახუშტი იმერეთში გაგზავნა[5]. საბოლოოდ, იმერეთში ალექსანდრე გამეფდა.

---

[1] *ტაბაღუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 147.*

[2] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობის ქართველთა შორის, გვ. 312, 722; ტაბაღუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 146.*

[3] ი. ტაბაღუას აზრით, სულხან-საბამ და რიშარმა ირანში გაიცნეს ერთმანეთი. *ტაბაღუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 148.*

[4] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობის ქართველთა შორის, გვ. 312;* მცირედი განსხვავებით *იხ. ტაბაღუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 146.*

[5] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 498.*

ვახტანგ VI-ის დამოუკიდებელმა პოლიტიკამ და რუსეთთან კონტაქტებმა ირანთან ურთიერთობა გაამწვავა. შაჰ თამაზ II-ემ ვახტანგის დასჯა განიზრახა. ამას დაემატა ოსმალეთის სამზადისი ქართლში სალაშქროდ. გამწვავდა ურთიერთობა ვახტანგსა და კახეთის მეფე კონსტანტინეს შორისაც. ეს უკანასკნელი ირანისა და დაღესტნელების მხარდაჭერით ქართლში გამეფებას ცდილობდა. ქართლი ომის არენად გადაიქცა. განსაკუთრებით კახთბატონი აქტიურობდა.

1723 წლის დასაწყისში კონსტანტინე (მამად ყული-ხანი) ქართლში შემოიჭრა და თბილისს მიადგა. ვახტანგმა *„აჰყარა დედოფალი და ბარგი მძიმე და გაგზავნა გორსა“*[1]. თავდაპირველად კონსტანტინე თბილისს ვერ დაეუფლა, მაგრამ, როცა მას ლეკის ჯარი მოუვიდა, ვახტანგმა თავდაცვა ვეღარ შეძლო და *„წაბრძანდა გორს, ძე მისი ბაქარ წავიდა დუშეთს“*[2]. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ბაქარიც გორში მისულა[3]. ვახტანგი მცირე ხანს გაჩერდა გორში და ცხინვალში წავიდა და იქ ელოდა თავისი სიმამრისაგან, არაგვის ერისთავ გიორგისაგან დახმარებას[4]. მაგრამ გიორგი ერისთავმა კონსტანტინეს დაუჭირა მხარი.

ვახტანგის თხოვნით, ოსმალთა 20 ათასიანი ჯარი შემოვიდა ქართლში და თბილისს მიადგა. 1723 წ. 10 ივნისს კონსტანტინე თავისი ნებით გამოვიდა თბილისიდან, ოსმალებს მიეგება და ქალაქის კლიტენი მიართვა, 11 ივნისს ოსმალებმა თბილისი დაიკავეს, კონსტანტინე შეიპყრეს და ბაქარს გადასცეს. ბაქარმა კონსტანტინეს პატიოსანი სიტყვა ჩამოართვა, რომ ის ქართლის წინააღმდეგ აღარასოდეს აღარ ამხედრდებოდა და გაათავისუფლა.

გორი „ოსმალობის“ პერიოდში

ოსმალო ისტორიკოსი ჩელები-ზადე საკმაოდ დაწვრილებით აგვიწერს ოსმალთა მოქმედებას თბილისის დაკავების შემდეგ. ისინი ისე იქცეოდნენ, როგორც დაპყრობილ ქვეყანაში. *„ვახტანგი იძულებული გახდა თავისი მხედრებისათვის ეუწყებინა, რომ მოთმინებით*

---

[1] *საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩხეიძისა, გვ. 331; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, III, გვ. 88.*

[2] *საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩხეიძისა, გვ. 331.*

[3] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 504.*

[4] *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, III, გვ. 89.*

გაქცეულიყვნენ გორის ციხისაკენ, რომელიც მისი სამფლობელო იყო... ზემოხსენებული ვახტანგის აჯანყება იყო უბედურების ალამის ტრიალი... ზემოხსენებული ვახტანგის ძმა იასე ხანი დამორჩილების მიზნით მოვიდა და საგანგებოდ მოწყობილ სამეფო კარავში მიიღეს... მისი (ვახტანგის) შვილი შაჰნავაზიც (ბაქარი – ე.მ.) მოვიდა და მორჩილების უღელი დაიდგა. მამამისის – ვახტანგის სამფლობელოში იყო. გორის ციხის დასაპყრობად და ჩასაბარებლად, რომლის ჭეშმარიტების გზაზე დაყენება გადაწყვეტილი ჰქონდა ოსმალეთის სახელმწიფოს, აუცილებელი იყო გარკვეული რაოდენობის კაცის გაგზავნა. განაპირა მხარეების ხსენებული სერასქერის ადათაგან ალი აღა თავზე ხელაღებულთა რაზმით ხსენებული ციხისაკენ გაიგზავნა, მგზავრობის დროს ვახტანგმა განაცხადა: მეჰმედ ყულიხანმა იცოდეს, რომ მე ოსმალეთის სახელმწიფოს დავემორჩილები და დავექვემდებარები და გორის ციხეს ჩავაბარებ. ვიდრე ისლამის მიმდევრები არ შესულან და არ დაუფლებიან ციხის კედლებს, ეჭვი არ არის, რომ უმჯობესია მისი წინასწარ დაპყრობა და დაკავება“[1].

ვახტანგის რჩევით ოსმალებმა გორის ციხის დასაკავებლად საკმაოდ დიდი ჯარი გაგზავნეს. ჯარი შუადამისას მივიდა გორის მიდამოებში. როგორც ირკვევა, გორის ციხის დამცველებს უკვე მიღებული ჰქონდათ ვახტანგის ბრძანება ოსმალებისათვის ციხის ჩაბარების შესახებ. მართლაც *„ციხის მცველებმა კარი გააღეს და მათი დიდებული დახმარებით ხსენებული ციხე ამრიგად შეუერთდა სულთნის სამფლობელოს“*[2].

ოსმალები ქართლს იკლებდნენ. ვახტანგს ქართლში აღარ დაედგომებოდა და იმერეთში წავიდა. მცირე ხნის შემდეგ იმერეთში წავიდა ბაქარიც. უპატრონოდ დარჩენილ ქართლს ოსმალები აპარტახებდნენ. ოსმალებს ეკავათ ქართლის ყველა ციხე, მათ შორის, გორის ციხეც. განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩეოდა ქართლის გამგებელი რაჯაბ ფაშა.

კახთბატონმა კონსტანტინემ, როდესაც ვახტანგისა და ბაქარის იმერეთში წასვლა შეიტყო, 1724 წ. ჯარი შეჰყარა და ქართლის დასაპყრობად წამოვიდა. ოსმალებმა თავი შეაფარეს გორის ციხეს

---

[1] *შენგელია ნ., ოსმალო ისტორიკოსი ჩალებ-ზადე თბილისისა და გორის ციხეების დაპყრობის შესახებ // აღმოსავლური ფილოლოგია, III, თბ., 1973, გვ. 324-326.*

[2] *იქვე, გვ. 326.*

და ომისათვის მზადებას შეუდგნენ. ოსმალთა ჯარს მეთაურობდნენ ვახტანგ VI-ის ძმა იასე და ახალციხის ფაშა[1].

კონსტანტინე გორის მახლობლად ხელთუბანში დაბანაკდა და ქართლელებს დასახმარებლად მოუხმო. იესე ტლაშაძე ასე გადმოგვცემს ქართლელების განწყობილებას:

„გული არ გვითქვამს ომისა: მე ვიცი გამოგვაქცევენ,
ამოგვიწყვეტენ ლაშქარსა, სისხლსა ღვარულად აქცევენ,
ააოხრებენ ქვეყანას, არ აშენებენ აქცევენ,
ჩვენ თუშთ აყოლა რას გვარგებს, წავლენ, ზურგ შემოგვაქცევ ენ“[2].

ი. ჰამერის მიხედვით, კონსტანტინეს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯარი ჰყავდა: 10 ათას ქართველთან ერთად იყვნენ განჯის, შამშადილუს და ლეკთა რაზმები[3]. ვარაუდობენ, რომ აქვე უნდა ყოფილიყვნენ აზერბაიჯანელები და სომხები, რადგან კონსტანტინე ერევნის ბატონიც იყო[4].

კონსტანტინე თავისი ჯარით 3 კმ-ით დაშორებულ *„გორს ზეით, კარალეთის პირისპირ, ლიახვს დასავლით, რუისის მთის ძირს“*[5] მდებარე თედოწმინდაში გადავიდა და იქიდან სცადა გორზე შეტევა.

დავით გურამიშვილის თქმით, რომელიც მკვლევართა აზრით, ამ ამბების მოწმე და მონაწილე იყო, კახელებმა და ქართლელებმა „ერთმანეთს მისცეს პირები, არჩივეს: *„გორის ციხესა გამოუთხაროთ ძირები“*[6].

ოსმალთა წინააღმდეგ ამხედრებულმა ქართველებმა გორზე შეტევა დაიწყეს ორი მხრიდან – ჩრდილო აღმოსავლეთიდან და სამხრეთ აღმოსავლეთიდან სახელდობრ, ზედაველას მხრიდან[7]. შეტევა დაიწყო მაშინ, როცა *„დილა და ბინდია“*. ისინი, როგორც ირკვევა, ქალაქს დაეუფლნენ, მაგრამ ციხე კი ვერ დაიპყრეს, რადგან იგი ოსმალებს ძლიერ გამაგრებული ჰქონდათ. ოსმალებმა მოიერიშეებს არტილერიის ცეცხლი შეაგებეს[8]. კონსტანტინეს ჯარი რომ გორის

---

[1] *იესე ტლაშაძე, ბაქარიანი / გამოსაცემად მოამზადა სოლ. ყუბანეიშვილმა, თბ., 1962, გვ. 31, სტრ. 112-113.*

[2] *იესე ტლაშაძე, ბაქარიანი, გვ, 34, სტრ. 139.*

[3] *Hammer I., Geschichte des osmanisches Reichs, IV, 1836, S. 223.*

[4] *დონდუა ვ., საისტორიო ძიებანი, III, გვ. 122.*

[5] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 369.*

[6] *დავით გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1964, გვ. 69-70.*

[7] *დონდუა, ვ., საისტორიო ძიებანი, III, გვ. 121-122.*

[8] *იესე ტლაშაძე, ბაქარიანი, გვ 34.*

ქალაქში ნამდვილად შევიდა, ამაზე მიგვითითებს ი. ჰამერის ერთი ცნობა: კონსტანტინეს გორელი სომხები გაუშოლტია, რათა *„მათ სიმშვიდე დაეცვათ და იარაღი აეღოთ ოსმალების წინააღმდეგ“*[1].

ციხეში გამაგრებული ოსმალები სასტიკ წინააღმდეგობას სწევდნენ. ამას დაემატა ისიც, რომ გორის ციხეში მყოფი ოსმალების დასახმარებლად მოვიდა შაჰ თამაზ II-ის წინააღმდეგ ამხედრებული მეფე იესე ოსმალთა ჯარით. კონსტანტინეს ჯარმა უკან დაიხია და ზედაველაზე გაჩერდა. თავდაპირველად წარმატება ქართველების მხარეს იყო. *„მათ ჩვენმა ჯარმა აჯობა პირველ მისვლაზე შეტევით“* – ამბობს დ. გურამიშვილი[2]. მაგრამ ამის შემდეგ განხეთქილებამ იჩინა თავი. გაურკვეველი მიზეზით, ჯარის ერთმა ნაწილმა, ოთარ არაგვის ერისთავის წინამძღოლობით, ატენის ხეობაში დაიხია და ატენის ბოლოს, საარწივეს ქედთან, ბრძოლა გაუმართა ოსმალებს. ოსმალთა ჯარს მეთაურობდნენ *„თბილისის ნაცვალი რეჯებ-ფაშა, გორის ციხისთავი იუსუფ-ფაშა და ჩილდირის ბეგლარბეგი ისაყ-ფაშა“*[3]. თავდაპირველად აქაც ქართველებმა იმარჯვეს და ოსმალები გააქციეს. მაგრამ იესემ შეძლო ოსმალთა უკან მობრუნება და ახალი შეტევა დაიწყო. ახლა უკვე ქართველები შედრკნენ. ქართველთა დამარცხებაში გარკვეული როლი ოთარ არაგვის ერისთავის სიმხდალემ ითამაშა[4]. გორის ციხეში მყოფმა ოსმალებმა დაინახეს რა გაქცეული ქართველთა ჯარი, ციხის კარი გააღეს და ცხენოსანი ჯარი გამოუსიეს. დატრიალდა საშინელი ტრაგედია. კონსტანტინე გაიქცა. უმეთაუროდ დარჩენილი ქართველთა ჯარის დიდი ნაწილი ოსმალებმა ამოწყვიტეს.

„თავები დასჭრეს, გავიდნენ, დაყარეს მოედანზედა,
მას გორელებმა დახედეს, ხელსა იცემენ თავზედა,
„ამდენის კაცის დახოცა არ ქმნილა ქვეყანაზედა,
ამისი ქმნელიც მინახავს ვერ დაჯდომილი ტახტზედა!“[5]

ოსმალებმა დაღუპული ქართველების თავებით ჯინდადგმული ხუთი ურემი გაავსეს და ერასტი ფალავანდიშვილმა რაჯაბ ფაშას თბილისში მიართვა, *„რომელმან მოსცა ოცდაათი დრაჰკანი ჯილ-*

---

[1] *Hammer I., Geschichte des osmanisches Reichs, IV, S. 323;*

[2] *დავით გურამიშვილი, დავითიანი, გვ. 70.*

[3] *Hammer I., Geschichte des osmanisches Reichs, IV, S. 323; დონდუა, ვ., საისტორიო ძიებანი, III, გვ. 123.*

[4] *იესე ტლაშაძე, ბაქარიანი, გვ. 35.*

[5] *იქვე, გვ. 37.*

დოთ“[1]. კონსტანტინემ კვლავ კახეთს შეაფარა თავი. მისი უგუნური მოქმედების შედეგად კი ქართლი გავერანდა.

აჯანყების ჩაქრობისა და აჯანყებულთა დიდი ნაწილის ამოწყვეტის შემდეგ სულთანმა *„შეიწყალა“* გორისა და არდაშენის მოსახლეობა და *„აპატია“* დანაშაული. სულთნის ეს განწყობილება ჩანს რეჯებ ფაშას 1724 წ. ბრძანებაში, რომელშიც ნათქვამია, რომ სულთნის ბრძანების თანახმად, მუსტაფა-ფაშამ და ისმაილ-ფაშამ აღარ უნდა დასაჯონ გორისა და არდაშენის აჯანყებულნი[2].

გივი ამილახვარმა, რომელიც კონსტანტინეს მხარეს იბრძოდა, ალყა გაარღვია და გაიქცა, მას კონსტანტინე მიჰყვა. უმეთაუროდ დარჩენილი ქართული ჯარის ნაწილი, რომლის უმრავლესობას ქვეითი გლეხობა შეადგენდა, ოსმალებმა ამოწყვიტეს. გივი ამილახვარი თავიდან მყარად იდგა ქართველობაზე და კონსტანტინეს ოსმალთაგან განდგომამდე მეთაურობდა კიდეც თურქეთის წინააღმდეგ აჯანყებას[3], მაგრამ მის მიერ ბრძოლის მიტოვება ერთი შეხედვით, თითქოს გაუგებარია, მაგრამ ოსმალო მემატიანის მონათხრობის გაცნობის და სულთნის მიერ გივი ამილახვრის მიმართ აჯანყების დამარცხების დამთავრების შემდეგ გაღებული მოწყალებით ყველაფერი ნათელი ხდება.

თურქი მემატიანის ცნობით, გივი ამილახვამა თურქებს ქართველთაგან გორის ციხეზე შესაძლო შეტევის შესახებ შეატყობინა: *„ამილახვრის შვილი ბეგის აზრით, თხოვნითა და წერილობით მაცნეები მოვიდნენ და... დახმარება ითხოვეს ...ხვალ თუ არა ზეგ ციხეს (გორის ციხეს ამბოხებულებმა – ე. მ.) ალყა უნდა შემოარტყანო*“[4]. ვახუშტი ბატონიშვილიც მიანიშნებს, რომ *„ივლტოდა გივი ამილახვარი და წარმოიყვანა ამან მაჰმად-ყულიხანიო*“[5]. თუ გურჯი

---

[1] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 508; იესე ტლაშაძე, ბაქარიანი, გვ. 37.* 1721 წ. ოსმალებმა ქართლში მეფობა გააუქმეს და იგი ექვს ადმინისტრაციულ ერთეულად დაყვეს, სომხით-საბარათიანო ერასტი ყაფლანიშვილს გადასცეს. *ქართთლის ცხოვრება, II, გვ. 510.*

[2] *შენგელია ნ., XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, გვ. 223.*

[3] *ნატროშვილი გ. ისტორიულ-ლიტერატურული ძიებანი, // ჟურნ. „მნათობი“ 1976 წ. № 1, გვ. 146-147.*

[4] *გურჯი ზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი / თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ. თბ., 1975, გვ. 36.*

[5] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 508.*

ზადეს მონათხრობს გავიზიარებთ, მაშინ გასაგებია, რატომ უბოძა სულთანმა გივის 1724 წელს საგანგებო ფირმანით *„სახელო მამისა, ყმა და მამული“*[1].

კონსტანტინეს მიერ ბრძოლის ველის მიტოვებამ და კახეთში დაბრუნებამ ოსმალების წინააღმდეგ მებრძოლი ქართველები საბოლოოდ წელში გატეხა.

დაპყრობილ ქართლში ოსმალებმა თბილისის ვილაიეთი და გორის სანჯაყი დაარსეს. სულთანმა თბილისის ვილაიეთი საბეგლარ-ბეგოდ უბოძა ბაქარ ვახტანგის ძეს და იბრაჰიმი უწოდეს. მას ქართლის დაპყრობილი ტერიტორიები მუდმივ და სამემკვიდრეო მფლობელობაში ეძლეოდა. იმავე დროს ოსმალებმა ქართლში დაარსეს შარიათის სამი სასამართლო საყადო: თბილისის, გორისა და თრიალეთის.

სულთან აჰმედ III-ის მიერ გივი ამილახვრისათვის მიცემულ 1727 წლის ფირმანში ნათქვამია, რომ ის *„იბრძოდა და დახმარებას უწევდა მუსლიმებს. გარდა ამისა, ხსენებული ციხის რაბათის გარშემო საკუთარი სახსრებით ღრმა და განიერი ორმო გათხარა, დიდ მდინარედან შიგ წყალი გაიყვანა და გამაგრებული ადგილები სიმტკიცით სრულყო. იგია ყველა სხვა თავადთა შორის უმამაცესი და ამ ქვეყნის დამორჩილებისა და დაქვემდებარების მიზეზი და ღირსება“*[2].

სულთანმა, ზემოაღნიშნული დამსახურებისათვის, გივი ამილახვარს გამოუყო ოთხი სოფელი: ტბეთი, ფხვენისი, ქორდი და ბიჯნისი 52 060 ახჩა შემოსავლით[3].

ოსმალთა და ყიზილბაშთა თარეშზე არანაკლებ გამანადგურებელი იყო ლეკიანობა. დაღესტნელები მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მოედნენ და იკლებდნენ. ისინი ოსმალებსაც არ ეპუებოდნენ. 1728 წ. ოსმალები გორის ციხეში იდგნენ, მაგრამ მათ ლეკები ავიწროებდნენ. ასეთი ორიოდე შემთხვევა შეიძლება გავიხსენოთ. აღნიშნულ წელს გორიდან თბილისს მიმავალ ოსმალებს ნიჩბისის ბოლოს ლეკები დახვდნენ და მათი დიდი უმრავლესობა ამოწყვიტეს. ლეკები სამცხე-ჯავახეთსაც კი იკლებდნენ[4].

---

[1] *იოსელიანი ავთ., საქართველოს ისტორიის ქრონიკები. XVI-XIX სს. თბ., 1980, გვ. 57.*

[2] *აბულაძე ც., ოსმალობის ხანის სამი თურქული ფირმანი // აღმოსავლური ფილოლოგია, III, თბ., 1973, გვ. 296.*

[3] *იქვე, გვ. 297.*

[4] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 512; საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 60.*

1732 წელს გორის ფაშამ ლეკთა ალაგმვა განიზრახა, მაგრამ ლეკებმა ის წრომთან დაამარცხეს და თვითონაც მოკლეს. მხოლოდ გივი ამილახვარმა მეჯვრისხევთან *„ამოწყვიტა ლეკნი და დააყრევინა ტყვე და ნაშოვარი“*[1]. იმავე წლის ივლისში ლეკებმა აიკლეს ქვიშხეთი, ასპინძა. ახალქალაქში მისულმა ქართლის გამგებელმა ოსმან ფაშამ ჯარი გაგზავნა ლეკების წინააღმდეგ. ამ ჯარს შეუერთდა ავალიშვილის რაზმებიც და ლეკები დაამარცხეს. დამარცხებულმა ლეკებმა საციციანოში გაიარეს, მაგრამ იკორთასთან დაუხვდათ გორის ოსმალთა ჯარი, რომელსაც მიეშველნენ გივი ამილახვარი და თბილისიდან მოსული ოსმან-ფაშა. ძალების ამგვარი მობილიზების შედეგად ლეკები გაანადგურეს[2].

ლეკთა შემოსევების მხოლოდ ის ეპიზოდები დავასახელე, რომლებიც მეტ-ნაკლებად გორს შეეხო, თორემ XVIII ს. 20-30-იან წლებში ქართლმა მრავალი შემოსევა განიცადა.

გორის კომენდანტის, მეჰმედის 1732 წ. ერთ-ერთ წერილში ნათქვამია, რომ უკვე რამდენიმე წელია, რაც ლეკების ბრბოები შემოდიან და ღარიბი რეაიას შვილები ტყვედ მიჰყავთ, იტაცებენ გლეხთა ქონებას, ანადგურებენ სოფლებს. ლეკთა თარეშით შეწუხებულ ადგილობრივ მოსახლეობას თხოვნით მიუმართავს ოსმალო მოხელეებისათვის. ასეთი თხოვნის საფუძველზე გორის ყადმა გორის კომენდანტს დაავალა შეედგინა რაზმი 30 მხედრისაგან, გორისა და მისი მიდამოების დასაცავად. თითოეულ მხედარს თვიურად დაენიშნა ხუთი ყურუში[3].

გორის ციხის მცველის მირმირან ომერისადმი 1732 წ. გაცემული ფირმანიდან ვიგებთ, რომ რაბათის ქეთხუდას – ფარსადანს გორის გარშემო საყარაულო სამსახურისათვის დაენიშნა დღიურად 30 ახჩა, ხოლო მის ამალაში მყოფ 40 კაცს დღეში ხუთ-ხუთი ახჩა[4].

ქართლის პატრიოტები ხედავდნენ, რომ ქვეყანა იღუპებოდა. საჭირო იყო გადამწყვეტი ღონისძიების გატარება. ოსმალეთის დასუსტების გამო ქართლის გათავისუფლება რეალურად შესაძლებელი იყო და რუსეთში გადახვეწილი ვახტანგ VI-ის მოწვევა განიზრახეს.

---

[1] *საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 62; საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩხეიძისა, გვ. 336.*

[2] *საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩხეიძისა, გვ. 336.*

[3] *შენგელია ნ., XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, გვ. 234.*

[4] *იქვე, გვ. 234.*

ოსმალთა საქართველოდან გარეკვის იმედს ისიც იძლეოდა, რომ ამ დროს კვლავ გაძლიერდა ირანი და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ოსმალთა გარნიზონებს შეუტია.

1734 წ. ქართლში ანტიოსმალური აჯანყება დაიწყო, თბილისის მიდამოებში მყოფი ოსმალები ამოწყვიტეს, გივი ამილახვარი *„შეეტყუა გორის ციხეს ოსმალთა და მოსრნა იგინი და დაიპყრა ციხე“*[1].

როგორ *„შეეტყუა“* გივი ამილახვარი გორის ციხეს, ამაზე დაწვრილებით მოგვითხრობს სეხნია ჩხეიძე: *„ამავე ქორონიკონსა ღვინობის თვეს (1735 წ. ოქტომბერი – ე. მ.) შემოადგა თამაზ ხან ციხესა განჯისასა, მოუვიდა ქართველთ ბრძანება და აშლა ურუმთა, დაიწყეს ბრძოლა, შეყარა ჯარი ამილახორმა გივმა, მოვიდა ბერბუკს ღამით, დაიქვეითა თვითონ და მუხრანის ბატონმა მამუკამ, გორელთ მისცეს პირობა, შევიდნენ ღამით და დაიმალა ჯარი სასახლეშია, ვერა იგრძნეს ურუმთ, ციხეში მიუჩინეს ოთხი გამოჩენილი ვაჟკაცი, მისცეს საბოძვარი, ვითარცა ურუმნი ხეებსა ზიდავენ, ვიცა აუტანდათ არას უკითხევდნენ. გათენდა, ამ ოთხმა კაცმა შეიდვეს ძელები მხარეთა, იყო ნიშანი ამათი, რომ ციხის კარზე ერთი იქით დაუდვან, ერთი აქათ, რომ ციხის კარი ვეღარ მოუგდონ. გააღეს კარი ციხისა და გამოვიდნენ ციხიდან ურუმნი, ჩამოვიდნენ ქალაქსა გორისასა, აიტანეს ძელები და დააგდეს კართა ზედა: იდროეს, გამოვიდა დამალული ჯარი, თურმე ყარაულმა იგრძნა, მოასწრეს კარი ქვეითა გალავნისა, შეიქმნა ცემა გორში. ამ ოთხმა კაცმა გაიკრა სატევარს ხელი, თურმე დამალული ჰქონდათ. შეუხდენ ციხეში, მოკლეს ერთი ურუმი, მოუხდენ ენგიჩარ აღას, დასჭრეს: გამოვიდნენ მშვიდობით. ჩამოვიდნენ კარსა გალავანისასა, მოკლეს მცველი კარისა, დალეწეს კლიტენი, გამოვიდნენ უზიანოდ და ვინცა ციხიდამ ურუმნი გამოვიდნენ ამოსწყვიტეს, დაიჭირეს“*[2].

გივი ამილახვარმა გორის ციხეში ჯარი ჩააყენა. გამარჯვების მაცნედ მან შაჰის სარდალთან კაცი გაგზავნა და ოსმალთა მოკვეთილი თავები გაატანა. მცირე ხნის შემდეგ გივიმ და ყიზილბაშებმა თბილისის გათავისუფლება სცადეს, მაგრამ დამარცხდნენ. გივი

---

[1] სხვა წყაროში გორის გათავისუფლება 1735 წლით არის დათარიღებული და ნათქვამია შემდეგი: *„გივმა ამილახორმა შემოიყარა რჩეულნი ვაჟკაცნი და მოვიდა ღამე ბერბუქს, აქედან ეზრახა გორელებსა, შეუხდა გორის ციხეში და ურუმთა ჯარი ამოწყვიტა“. საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩხეიძისა, გვ. 438.*

[2] *საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩხეიძისა, გვ. 438.*

გორში დაბრუნდა და აქედან თავს ესხმოდა ბორჯომის ხეობასა და ახალციხეში მოკალათებულ ოსმალებს[1].

ირანის მთავრობამ ქართლში შექმნილი ვითარება ხელსაყრელად ჩათვალა და ხანჯალხანი გამოგზავნა ჯარით. მას მხარში ამოუდგნენ ქართველები და ერთობლივი ბრძოლა გააჩაღეს ოსმალების წინააღმდეგ. როცა ოსმალებმა მარცხი განიცადეს ერევნის მახლობლად, ეს იმდენად სერიოზული დარტყმა იყო, რომ მათ თბილისი, ლორე, განჯა და ერევანი უბრძოლველად დათმეს.

ოსმალობის შედეგები

ვახტანგ VI-ის დამოუკიდებელმა საშინაო და საგარეო პოლიტიკამ გაამწვავა ქართლის სამეფოს ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან. ირანი და ოსმალეთი ქართლის სამეფოზე თავდასხმისათვის ემზადებოდნენ. გამწვავდა ურთიერთობა კახეთის სამეფოსთანაც. კახეთის მეფე კონსტანტინე ირანისა და, როგორც აღინიშნა, დაღესტნელების მხარდაჭერით ქართლის დაჭერას ცდილობდა და 1723 წლის დასაწყისში თბილისსაც კი დაეუფლა[2].

ვახტანგ მეფის თხოვნით, ოსმალთა 20 ათასიანი ჯარი ქართლში შემოვიდა და თბილისს მიადგა. 10 ივნისს კონსტანტინე თბილისიდან გამოვიდა და ჯარის მეთაურს ქალაქის კლიტენი მიართვა. მეორე დღეს ოსმალები ქალაქში შევიდნენ, კონსტანტინე შეიპყრეს და ქართლის გამგებლობა ვახტანგ VI-ის ძეს ბაქარს გადასცეს. ამ უკანასკნელმა კონსტანტინეს პატიოსანი სიტყვა ჩამოართვა, რომ ის ქართლის წინააღმდეგ აღარ ამხედრდებოდა და ამის შემდეგ გაათავისუფლა.

ვახტანგის დახმარებით ოსმალებმა გორი უბრძოლველად აიღეს. ამის შემდეგ ისინი ქართლის გაპარტახებას შეუდგნენ. ვახტანგ მეფეს ქართლში აღარ ედგომობოდა. იგი ჯერ იმერეთში გადავიდა, შემდეგ რუსეთს მიაშურა.

ოსმალებმა ქართლში შარიათის სამი სასამართლო საყადო დაარსეს: თბილისის, გორისა და თრიალეთის.

---

[1] *იქვე.*

[2] *ვრცლად იხ. მამისთვალიშვილი ე., კათალიკოს დომენტი IV-ის პორტრეტისათვის // მაცნე, იაეხის, №2, 2017.*

1728 წელს ოსმალო ხელისუფლებამ შეადგინა *„თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“*[1]. საიდანაც ჩანს, რომ ოსმალებმა მოკლე დროში შეძლეს ქართლში თავიანთი საგადასახადო სისტემის დამკვიდრება. დოკუმენტი XVIII საუკუნის *„ოსმალობის“* პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიის უაღრესად საინტერესო წყაროა. მასში მოცემულია სრულიად ახალი მასალა აღნიშნული პერიოდის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, ონომასტიკური, ისტორიული გეოგრაფიის რიგი საკითხების ახლებურად გააზრებისა და დაზუსტებისათვის. არის საინტერესო ცნობები აღმოსავლეთ საქართველოს ეთნიკური და დემოგრაფიული ვითარების შესასწავლად. ქართლის დემოგრაფიული მდგომარეობის გასარკვევად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ოსმალო მოხელეებმა აღრიცხეს ის სოფლებიც, რომლებშიც მოსახლეობა აღარ იყო, მაგრამ გადასახადები მაინც იკრიბებოდა იმათგან, ვინც გაუკაცრიელებული სოფლების მიწებს იყენებდნენ და შესაბამისად იქიდან გადასახადები იკრიბებოდა.

უძრავი და მოძრავი ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი ვაკუფის საკუთრებაში იყო. როგორც გიორგი ფუთურიძეს აქვს განმარტებული, ვაკუფი იყო *„ქონება, რომელიც საქველმოქმედო მიზნით შეიწირებოდა. ვაკუფებს შეადგენდა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი, ან სულთნის, დიდი ფეოდალების, დიდვაჭრებისა და საერთოდ, კერძო პირების მიერ შეწირული უძრავი და მოძრა-ვი ქონება (საბაჟოს, ქარვასლის, მაღაროების, წისქვილის და სხვ. შემოსავალი, სახნავ-სათესი მიწები), რომელიც ხმარდებოდა მეჩეთების, დერვიშთა სავანეების, მედრესეების, საქველმოქმედო დაწესებულებების (უფასო სასადილოები, საავადმყოფოები) მშენებლობასა და შენახვას. ვაკუფების შემოსავლის დიდი ნაწილი მუსლიმურ სასულიერო წოდებას ხმარდებოდა. ვაკუფების ჩამორთმევა, მიტაცება, გაყიდვა აკრძალული იყო და მისი შემოსავალი არ იბეგრებოდა“*[2].

---

[1] *1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I. / ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევით და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად, ს. ჯიქიამ და პროფ. ნ. შენგელიამ, თბ., 2009.*

[2] *ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“ / თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ., II, გამოკვლევა, კომენტარები, თბ., 1973, გვ. გვ. 138.*

დავთრიდან ჩანს, რომ თბილისის ვილაიეთში[1], ოსმალებს ქვეყნის დაპყრობისთანავე ენერგიულად მოუკიდიათ ხელი ვაკუფების შექმნისათვის. მათი გაგებით, ეს იყო უმნიშვნელოვანესი პირობა მართლმადიდებელი ქართველების გამუსლიმანება-გაოსმალებისათვის. ვაკუფების სიმრავლე, ნათლად ჩანს თბილისის ვაკუფ-ნამეში, რაც სერიოზულ ხიფათს უქმნიდა ქრისტიანი ქართველების თვითმყოფადობას თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველოში. დოკუმენტში გამოკვეთილია მუსლიმი მოხელეების პრივილეგირებული მდგომარეობა.

ვაკუფების მფლობელნი იყვნენ მეჩეთების გამგებელნი და სხვა მუსლიმები, რომლებიც მუსლიმურ ადათ წესებს იცავდნენ და შეძლებისდა გვარად ცდილობდნენ მათს გავრცელებას. საქართველოში ფუძნდებოდა ოსმალური ფეოდალური ინსტიტუტები და მათთან ერთად ჩნდებოდა შესაბამისი ტერმინოლოგია. დავთარში დამოწმებულია ოცამდე ოსმალური გადასახადი და ვალდებულება, რომლებითაც დაბეგრეს მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა. ნ. შენგელიას აზრით, ოსმალებისაგან *„იდევნება ყოველგვარი ქართული, ადგილობრივი მწარმოებელი საზოგადოება დაბეგრილია მხოლოდ ოსმალური გადასახადებითა და ვალდებულებებით. მწარმოებელ საზოგადოებას არ ევალება ქართული გადასახადების გადახდა, იგი მხოლოდ ოსმალურ გადასახადებსა და ვალდებულებებზეა პასუხისმგებებლი. ხდება ადგილობრივი მოსახლეობის ოსმალურ ყაიდაზე რეორგანიზაცია... სრულიად შეცვლილია საქალაქო ცხოვრება XVIII საუკუნის 30-იანი წლებისათვის“*[2].

1728 წლის *„თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“* გვიჩვენებს, როგორ მუშაობდა ოსმალეთის სახელმწიფო ბიუროკრატიული სისტემა, როგორი იყო ამგვარი დოკუმენტის შედგენის პრინციპი.

დავთარის დასაწყისში მოცემულია გორის საყადიოში ანუ ყაზაში[3] შემავალი ნაჰიების[4] – სოფლების სახელები და მათი გადასახადები თანხაში – ახჩაში[5] გადაყვანილი[6].

---

[1] ვილაიეთი – ქვეყანა, ოლქი. ყველაზე მსხვილი ადმინისტრაციული ერთეული ოსმალეთის იმპერიაში. მის სამხედრო და ადმინისტრაციულ საქმეებს განაგებდა ბეგლარ-ბეგი, რომელსაც ფაშის ტიტული ჰქონდა.

[2] *1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, გვ. 44.*

[3] ყაზა – 1. ყადის თანამდებობა. 2. ის ტერიტორია, რომელზეც ვრცელდებოდა ყადის უფლებები. სანჯაყში შემავალი ადმინისტრაციული ერთეული.

[4] ნაჰიე – ქვეყანა, მხარე, ოლქი. XVI საუკუნიდან – სასამართლო-ადმინისტრაციული ერთეული

გორი – ლივის ცენტრი[1]

1728 წლის *„თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“* პირველ წიგნსა და 1730-1732 წლების სამ ოსმალურ დოკუმენტში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი გორის ლივაში შემავალ ნაჰიებს, თვით ქალაქ გორს და შეიცავს ძვირფას ინფორმაციას.

გორის შესახებ შემონახული ოსმალური ცნობები, მათი ქართული წერილობითი წყაროების მონაცემებთან შეჯერება და ანალიზი აუცილებელია *„ოსმალობის“* პერიოდის გორის მდგომარეობის ნათლად წარმოდგენისათვის. ოსმალური დავთრები მნიშვნელოვნად ავსებს ან აზუსტებს ჩვენს წარმოდგენას შუა საუკუნეების ქალაქის – გორის იერ-სახეზე, საქალაქო ცხოვრების ცალკეულ მხარეებზე: ეკონომიკურ, სოციალურ და დემოგრაფიულ მდგომარეობაზე.

„თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარის“ I ტომი განსაკუთრებით საყურადღებო ცნობებს შეიცავს გორზე, როგორც ოსმალური პერიოდის ადმინისტრაციულ და *„გორის ყადის“* სარეზიდენციო ქალაქზე.

---

5 ახჩა – თეთრი. თურქული ვერცხლის ფული... იხ. ევლია ჩელები, II, გვ. 132

6 ვრცლად იხ. *მამისთვალიშვილი ე., გორის გარეგნული სახე „ოსმალობის“ პერიოდის ოსმალურ წყაროებში // გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, №4, თბ., 2013, გვ. 185-196;* მისივე, გორის მოსახლეობა „ოსმალობის“ პერიოდში (ოსმალური წყროების მიხედვით) // გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი – შავი ზღვის საერთაშრისო უნივერსიტეტი. სამეცნიერო კონფერენცია „ქართულ-თურქული ურთიერთობები“. 30 მარტი, თბ., 2012, გვ. 43-47.

1 **საციციანოს ნაჰიე**: სოფელი – 134, ახჩა – 1.449.462 *(გვ. 60-62);* **პეტრეს ნაჰიე**: სოფელი – 41, ახჩა – 317.514 ახჩა. *(გვ. 62);* **საამილახვროს ნაჰიე გორის საყადიოში:** სოფელი – 163, ახჩა – 3.132.171 *(გვ. 62-64);* **შავი არაგვისა და ქსნის ერისთავის ნაჰიე**: სოფელი – 52, ახჩა – 496.410 (*გვ. 64-65);* **მუხრანის ლივა**: სოფელი – 45, ახჩა – 451.200 *(გვ. 65);* **თრიალეთის ნაჰიე**: სოფელი – 83, ახჩა – 585.827 *(გვ. 66-67);* **გომარეთის ნაჰიე** – სოფელი 17, ახჩა – 108.031 *(გვ. 67);* **გუჯარეთის ნაჰიე** ექვემდებარება თრიალეთს: სოფელი – 16, ახჩა – 21.100 *(გვ. 67);* ყაიყულის ნაჰიე: სოფელი – 51, ახჩა – 620.822 *(გვ. 67-68);* **ავლაბრის ნაჰიე:** სოფელი –12, ახჩა – 96.600 *(გვ. 68).*

ამიტომაც არის, რომ დასახელებული დოკუმენტის I ტომი თითქმის მთლიანად ეთმობა *„გორის ლივას (სადროშო)“*[1]. გორის ლივა იყოფოდა რამდენიმე ნაჰიედ, ნაჰიები კი სოფლებად. დავთარში მოცემულია თითოეული სოფლის გადასახადის გადამხდელთა სახელები, მათი რაოდენობა და მოვალეობები[2].

გორის საყადიოს წინაშე ვალდებული იყო ავლაბრის ნაჰიეს სოფლებთან ერთად 614 სოფელი. თითოეული სოფელს მიწერილი ჰქონდა მისი მოსახლეობის გადასახდელი თანხა, რომლის საერთო რაოდენობა შეადგენს 7.279.137 ახჩას.

ოსმალო მოხელეებმა გორის ლივაში სულ აღრიცხეს 15.534 მამაკაცი – გადასახადის გადამხდელი.

დავთარმა შემოგვინახა გორის ლივაში შემავალი მრავალრიცხოვანი სოფლების ისტორიისათვის ძვირფასი ცნობები. მთლიანობაში მათი შესწავლა დიდ შრომასა და დროს მოითხოვს. ამიტომ, ამჯერად, აუცილებლად ჩავთვალე, მხოლოდ გორის ლივაში შემავალი ნაჰიების სოფლების ნუსხა, თითოეული მათგანის გადასახადი მეჩვენებინა და აქცენტი გადამეტანა საკუთრივ ქ. გორზე.

დავთრის მიხედვით, გორის ლივაში დაცარიელებული იყო 79 სოფელი, აქედან თითქმის ნახევარი, მუჰრანის ნაჰიეზე მოდიოდა.

ოსმალების გორისადმი ინტერესი და ისიც, რას ანიჭებდნენ ისინი მნიშვნელობას დაპყრობილ ქვეყანაში, კარგათ გამოჩნდა 1728 წლის დავთრის იმ მონაკვეთის სახელწოდებაში, რომელიც გორს ეხება. მას ჰქვია *„გორის ციხე“.*

დამპყრობლები გორის ციხეს მიიჩნევდნენ არა მხოლოდ როგორც თავდაცვით ნაგებობას და შიდა ქართლში ბატონობის პლაცდარმს, არამედ იგი იმავდროულად იყო რეგიონის მმართველობის ცენტრიც – იქ იყო განთავსებული საოკუპაციო მმართველობა. იქვე იყო ქალაქისა და რეგიონის მუსლიმანური სასულიერო ხელმძღვანელობაც.

---

[1] *იქვე, გვ. 132-518.*

[2] საციციანოს ნაჰიე – 3.443 კაცი *(გვ. 132-224),* პეტრეს (ბორჯომის ხეობა) ნაჰიე – 1.035 კაცი *(გვ. 225-252),* ამილახვრის ნაჰიე – 6.540 *(გვ. 253-410),* შავი არაგვისა და შანშეს ნაჰიე – 675 კაცი *(გვ. 411-438),* ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად არის გორის რაბათი – 448 კაცი, მუხრანის ნაჰიე – 33 *(გვ. 450-456),* თრიალეთის ყაზა – 1479 *(გვ. 457-506),* გომარეთის ნაჰიე – *414 (გვ. 507-517),* გუჯარეთის ნაჰიე – 122 კაცი *(გვ. 518-523),* ყაიყულ ყაზა-თბილისის ლივა – *1467 (გვ. 524-563).*

ციხეში ჰქონდა თავისი სათადარიგო რეზიდენცია თბილისის ვილაიეთის მეთაურს ისჰაკ (ისაე) ფაშას – *„თბილისში წარჩინებულთა შორის უდიდებულესს“.* იგი, იმავე დროს ვეზირადაც მოიხსენიება. ისჰაკ ფაშა იყო სამცხის ათაბაგების გამუსლიმებული შთამომავალი, ახალციხის ფაშა (1723-1735), რომელიც განაგებდა თბილისის ვილაიეთსაც. როგორც ცნობილია, XVI საუკუნის ბოლოდან თითქმის ყველა ვილაიეთის გამგებელი ვეზირის ტიტულს ატარებდა[1].

გორი „ყიზილბაშობის“ პერიოდში

შაჰის კარმა ქართლში შექმნილი ვითარება ხელსაყრელად ჩათვალა და ხანჯალხანი ჯარით გამოგზავნა. მას მხარში ამოუდგნენ ქართველები და ერთობლივი ბრძოლა გააჩაღეს ოსმალების წინააღმდეგ. როცა ოსმალებმა მარცხი განიცადეს ერევნის მახლობლად, ეს იმდენად სერიოზული დარტყმა იყო, რომ მათ თბილისი, ლორე, განჯა და ერევანი უბრძოლველად დათმეს.

ოსმალთა ბატონობა ყიზილბაშთა ბატონობით შეიცვალა. ყიზილბაშთა სარდალი ხანჯალხანი როცა გორში მივიდა (ვფიქრობ, 1736 წ. იყო) მას საჩივრით მიმართეს გივი ბებურიშვილმა და ლუარსაბ გლურჯიძემ. საქმე მდგომარეობდა შემდეგში: ოსმალების ბატონის დროს ასანფაშა და დავრიშ ბეგი გორში იყვნენ და *„ბირთველა თუმანიშვილი ყარაულათ დაეყენებინა“.* ბირთველამ გზად მიმავალი გივი ბებურიშვილი და ლუარსაბ გლურჯიძე შეიპყრო და ასან ფაშას და დავრიშ ბეგს მიჰგვარა. ოსმალებმა და მათმა დამქაშმა მგზავრებს *„თუ რამ ჰქონდათ ყველა წაერთმევინათ“.* ხანჯალხანმა საქმის გარჩევა დაავალა ბარძიმ არაგვის ერისთავს. ერისთავმა საქმე მშვიდობიანად მოაგვარა: მომჩივანნი და ბრალდებული ერთმანეთთან შეარიგა[2].

1737 წ. სეფი-ხანმა ნადირ შაჰის მითითებით, გორში დაიბარა და დააპატიმრა ქართლის თავისუფლებისათვის ბრძოლის მეთაურები.

---

[1] *ჯიქია ს., XVIII საუკუნის ორი თურქული დოკუმენტ // თსუ შრომები, ტ. 99. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, III, თბ., 1962, გვ. 153-172: სამი ოსმალური წყარო თბილისის ისტორიისათვის (1730-1732). თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ, თბ., 2008, გვ. 100, შენ. 1.*

[2] *ქართული სამართლის ძეგლები, IV, გვ. 359-360, №273.*

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით დაპატიმრებული იყო კახეთის გამგებელი თეიმურაზი (შემდეგში კახეთის მეფე თეიმურაზ II), გივი ამილახვარი და არაგვის ერისთავი ბარძიმი[1]. სხვა წყაროს მიხედვით დააპატიმრეს აგრეთვე თარხანი ლუარსაბი, გივი ჩოლოყაშვილი, თამაზ ანდრონიკაშვილი და ქაიხოსრო ჩერქეზიშვილი[2]. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობის სისწორეს ადასტურებს თვით თეიმურაზ მეფე 1740 წელს თავად გურგენიძისა და ეშიკაღაბაშ ბეჟანბეგის შვილი სოლომონის და სხვებისათვის მიცემულ სიგელში, რომელშიც აღნიშნულია ამ თავადების მიერ სხვადასხვა დროს თეიმურაზ მეფისათვის გაწეულ სამსახურზე. ის განსაკუთრებით იხსენებს იმ დროს, როდესაც ლეკებისა და ოსმალების გაერთიანებული ჯარით ახალციხის უსუფ ფაშა, რომელსაც ქართლი ჰქონდა დაკავებული, თავს დაესხა კახეთს: *„ღუთის მოწყალებით დედოფლის წყალზე დავესხენით, ქალაქამდე (თბილისი – ე.მ.) ვდიოვეთ, ბევრი ამგვარი სამსახურები გავსწივეთ, მაგრამ (ნადირ შაჰმა – ე.მ.) არ დაგვინდო: გორს დაგვიჭირეს ჩუენ და ქართველნი (ქართლელნი – ე.მ.) ბარძიმ ერისთავი, ამილახვარი გივი და თარხანი. ყაენი ისპაჰანს ბრძანდებოდა, წაგვასხეს ტუსაღათ, შენ თავდადებით დაუპატიჟათ გვიახელ, გზებზედ კარგათ გვმსახურე“*[3]. ყიზილბაშებმა ვერ შეიპყრეს ქსნის ერისთავი შანშე. ამიტომ იკორთას ასაკლებად ჯარი გაგზავნეს, მაგრამ დამარცხდნენ და გორში მობრუნდნენ. სეფი-ხანმა გორის ნაიბად (ნაცვალი) აბდულა ბეგი, იესე მეფის ვაჟი, დატოვა, თვითონ კი თბილისში წავიდა[4]. ნადირ შაჰმა ქართლის ხანობა ხანჯალხანს უბოძა[5].

ანტიირანულ აჯანყებას შანშე ერისთავი მეთაურობდა. მან უპირველესად თავის სამფლობელოებში არსებული ციხესიმაგრეები გაამაგრა, შემდეგ კი პარტიზანული ომი გააჩაღა. იგი თავს დაესხა

---

[1] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 515.*

[2] *საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 68*

[3] *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, т. I, Тифлис, 1866, №32, 39*

[4] *საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩხეიძისა, გვ. 34. შდრ. ბერძენიშვილი ნ., XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან. საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 167; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 447.*

[5] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 515.*

გორის ციხეს, მეციხოვნენი ამოჟლიტა, გაიტაცა ხაზინა – 70 000 მანეთი[1].

ირანის შაჰი შანშე ერისთავის დამარცხებას ქართველების ხელით ცდილობდა. შანშეს წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი *„საქართველოს ბეგლარბეგმა“* ასლამაზ-ხანმა, ორბელიანების გვარიდან. მაგრამ იგი 1741 წ. ისე გარდაიცვალა გორში, რომ შანშეს დამორჩილება ვერ შეძლო[2]. ირანში მისულ ქართველ დიდებულებს შაჰი პირდებოდა: *„თუ დამიჭიროთ შანშე, ყოველი თქვენი საწადელი აღვასრულო და მოგცე წყალობა უშურველიო“.* მან იქვე მისცა გივი ამილახვარს შანშეს კუთვნილი ქსნის საერისთავო, ხოლო ქართლის ბეგლარბეგობა – იმამ-ყული-ხანს და აღმოსავლეთის ხალხებისაგან შემდგარი ჯარით გაისტუმრა.

იმავე წლის აგვისტოში გივი ამილახვრის მეთაურობით დიდი ჯარი შეიჭრა ქსნის საერისთაოში. საერისთაო საშინლად განადგურდა. შანშე ახალციხეში გადაიხვეწა. გამარჯვებული გივი ჯერ გორში მივიდა, სადაც მისი ჯარი იდგა, შემდეგ კი თბილისს წავიდა, შაჰს კაცი გაუგზავნა და ქსნის საერისთაოს აკლებით გაახარა[3].

ნადირ შაჰს აღმოსავლეთ საქართველოს სრული დამორჩილება სურდა. 1735 წ. ოქტომბერში საქართველოში წამოვიდა და თან წამოიყვანა ზემოდასახელებული ქართველი დიდებულები. მათ სომხეთში შეძლეს გაქცევა და სხვადასხვა მხარეს შეეფარნენ. განრისხებულმა ნადირმა გორის ციხე და თბილისში თაბორი დაანგრია[4]. ყიზილბაშებმა მრავალი ათასი ტყვე წაასხეს ირანში.

1736 წ. ოქტომბერში ზემო ქართლში ლეკები შემოიჭრნენ, სურამამდე აიკლეს და დირბში დაბანაკდნენ. გორის ნაცვალმა აბდულა ბეგმა გორიდან ჯარი წაიყვანა, ყელქცეულთან შეება ლეკებს და დაამარცხა. ლეკები ხვედურეთისაკენ გაიქცნენ. თბილისიდან სეფიხანი დიდი ჯარით წამოვიდა გორისკენ, მცირე ხანს გაჩერდა და ღულევს მივიდა. ლეკებმა შებმა ვერ გაბედეს, დირბი, ხვედურეთი, ღულევი, ბებნისი *„გადაიარეს და დუშეთი წაახდინეს“*[5].

---

[1] *გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 52.*

[2] *პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981, გვ. 44.*

[3] *პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, გვ. 48.*

[4] *საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩხეიძისა, გვ. 339.*

[5] *იქვე, გვ. 341.*

რაც დრო გადიოდა, ქართლში მდგომარეობა რთულდებოდა. ლეკთა თარეშმა სისტემატური და სასტიკი სახე მიიღო. არც ქართლის თავადებს შორის იყო მშვიდობა და თანხმობა. ამას თან ერთვოდა ყიზილბაშთა პარპაში. მათ მიერ შემოღებული უზომო გადასახადები ანადგურებდა ქართლის ეკონომიკას და მწარმოებელ მოსახლეობას.

პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს: 1741 წ. ქართლში *„მოვიდა მუმეიზი, რომელ არს მწერალი ქვეყნისა, აღწერად ქართლისა. ესრეთ იყო აღწერა: რაც ძველი ნასოფლარი სადმე იყო, ყველგან ზომეს მიწები საბლით, ხრეკი დასდვეს, ეგრევე ამ სახით შენობა სადმე იყო, დიდი ხრეკი დასდვეს. ვითარცა ერანის ქვეყანაში მომცემი მიწა არის და ბევრი გამოსავალი აქვს, ეგრევ ამ ქვეყანას განუწესეს, თვალეს ვაზები, ეგრე ვაზის სათვალავს, რასაც მიხვდნენ, ვაზს ერთი ბისტი დასდვეს, სოფელსა და ბაღსა შინა, რაც ხე ნახეს, თითო შაური დასდვეს, კაცსა – ორი მინალთუნი, ყმაწვილსა ასაკოვანსა – ხუთი აბაზი და შემდგომი ამისი ათ წლამდის ხარჯი დასწერეს ყმაწვილზე, პირუტყვზე, ყოველსა ზედა განაწესეს, ბოსტანსა, წისქვილსა, ყოველსფერს შენობას ანუ ოხერს ადგილს ასეთი ხარჯი დასდვეს, რომ ყოვლის კაცისაგან დიდად შეუძლებელი იყო... ამა ამბავთა შინა მრავალი სული აიყარა, ბევრი ადგილი უმეტესად აოჯრდა, მრავალი კაცი ვენახსა და ბაღებსა თავისის ჭელით კაფდის და აოჭრებდის. ვინც დარჩა კიდევ ამისი იმედი ჰქონდათ, რომ ერთი მემკვიდრე ბატონი გამოგვიჩნდა და ამ ჭირისაგან გამოგვიხსნისო“*[1].

მაშინდელი ქართლის მდგომარეობა, რომ უფრო ნათელი გახდეს, მოვიხმობ კიდევ ერთ ადგილს პაპუნა ორბელიანის *„ამბავნი ქართლისანიდან“. „ქართლში პური ისე ძვირი იყო, რომ, თქვენმა მზემა, ბევრჯერ ვნახეთ ბალახის კურკას გაახმობიდან, დაფქვიდენ და იმას სჭამდენ. დაუწყეს თხოვნა პურისა, ეკიდა კაცი და დედაკაცი, მრავალი სული ჯოხით მოკუდა. თუ პურს სადმე გასასყიდს იშოვიდენ, თავისის ჭელითა შვილებს აძლევდნენ. მრავალი სული აიყარა ამ ქვეყნით და უცხოთა ალაგთა გარდაიხვეწა. ურუმის ქვეყანა ქართლის კაცით აივსო“*[2].

არც ქართლის თავადაზნაურობა იყო კმაყოფილი. ყიზილბაშთა ბატონობა და მათდამი სამსახური მათთვისაც აუტანელი შეიქმნა.

---

[1] *პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, გვ. 45-46.*

[2] *იქვე, გვ. 49.*

უკმაყოფილება, ამჯერად, პირველმა გივი ამილახვარმა გამოამჟღავნა და 1742 წ. შაჰს განუდგა. მას მხარი დაუჭირეს ზემო ქართლის თავადებმა. იგი დუშეთში გამაგრდა. ქართლის ხანმა, რათა გორს გივი არ დაპატრონებოდა, მისი დაცვა რევაზ ამილახვარს დაავალა. რევაზი თავდაპირველად გორში მოვიდა, მაგრამ სულ მალე გივის მიემხრო და მასთან წავიდა. შაჰის მრავალი დაპირების მიუხედავად, გივი ხელს არ იღებდა თავის გადაწყვეტილებაზე[1].

ქართლის ხანი, შაჰის ბრძანებით, შიდა ქართლზე იძიებდა შურს. *„რა მიეხალა ხანი გორს, დაუწყო რბევა ქართლსა და წვა მოსავალისა“.* ვიდრე ყიზილბაშები მოვიდოდნენ, გივი გორიდან წავიდა და ზემო ქართლის ციხეები გაამაგრა. ამიტომ *„დაუწყო ლაპარაკი ხანმა ქართლისმან თავადთა უკუმდგართა, დაპირება წყალობასა უშურველსა, მისცა ფიცი უშიშროებისათვის, მოვიდნენ ზოგნი ვინმე თავადთაგანი, დამოსა ხალათით და არა ავნო რა“*[2].

ამგვარად, ირანის მოხელემ აჯანყებულთა რიგებში განხეთქილების შეტანა სცადა. მაგრამ გივი ამილახვრის ძლევა ჯერჯერობით იოლი არ იყო. ქართლის ხანი სხვილოს ციხესთან გივის შეებრძოლა, ვერ სძლია და გორში დაბრუნდა. მან აქ დაიბარა *„ვექილ-ვეზირი და მუსტაფი“* (საფინანსო უწყების მოხელე) და *„დაუწყეს ზემო ქართლის რიგება და მალუჯათისიც თხოვნა დაუპირეს“.* მაშასადამე ირანის მთავრობას განზრახული ჰქონდა ქართლში ყიზილბაშური მიწისმფლობელობის წესები დაენერგა. ამ ღონისძიებამ ის შედეგი გამოიღო, რომ ცოტა ხნის წინათ შემორიგებული თავადები კვლავ განაწყენდნენ. გაცოფებული ხანი გორიდან იკლებდა ქართლის სხვადასხვა მხარეს[3].

შაჰმა გივის შემორიგება კახთბატონს, თეიმურაზს დაავალა: *„შენ თავდებად დაუდექ ამილახორსაო – სწერდა ნადირ შაჰი თეიმურაზს, – რომ ჩემგან არა დაუშავდეს რაო“.* თეიმურაზი ჯერ ავჭალაში მივიდა. შემდეგ მცხეთაში გადავიდა, ქართლის ხანი კი გორში დადგა. მათ მოლაპარაკება გამართეს გივისთან, რომლის მიერ დაღესტნიდან გადმოყვანილი 7 ათასი ლეკი[4] ქართლს იკლებდა.

თეიმურაზ II-მ გივის ამილახვრობა ჩამოართვა და ამირინდო ამილახვარს გადასცა, რომელიც შაჰისა და თეიმურაზის ერთგული იყო.

---

[1] *იქვე, გვ. 54.*
[2] *იქვე, გვ. 56.*
[3] *იქვე, გვ. 57.*
[4] *იქვე, გვ. 59.*

1742 წლის 18 ივლისს თეიმურაზმა საამილახვროს და, რა თქმა უნდა, გორის მოსახლეობასაც უბრძანა დამორჩილებოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში დასჯით დაემუქრა. რაც შეეხება გივის *„თუ თავის ნებით მოვა, ჭელმწიფის კარზედ უნდა გავისტუმროთ, თუ არა, ამ ქვეყნიდამ უნდა დავკარგოთ, იმისი თქვენი ბატონობა აღარ იქნება“*[1].

ქართლში ყიზილბაშთა ახალი ჯარი შემოვიდა ფათალი-ხანის მეთაურობით. სარდალი თბილისში გაჩერდა, ჯარი კი გორში გაგზავნა. ამანაც სცადა გივისთან მოლაპარაკება. გივიმ თავი ისე მოაჩვენა თითქოს თანახმა იყო ყიზილბაშებთან შერიგებისა. სინამდვილეში საქმე ისე მოაწყო, რომ ლეკებსა და ყიზილბაშებს ერთმანეთი ამოაწყვეტინა. შემდეგ თვითონაც სხვილოს ციხესთან ყიზილბაშები დაამარცხა. მაგრამ ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა. შაჰმა ქართლის ხანი იმამ-ყული-ხანი ირანში გაიწვია და მის ადგილზე წარმოშობით ქურთი ყოჯა-ხანი დანიშნა.

როგორც ჩანს, იმამ-ყული ხანმა შაჰის ბრძანება მისი ირანში გაწვევის შესახებ გორში მიიღო. გორი ცოტა ხნის წინათ ყიზილბაშთა დიდი ჯარით ქართლში მოსულმა ქერიმ-ხანმა დაიკავა[2]. გივი ამილახვრის წარმომადგენლებსა და ქერიმ ხანს შორის მოლაპარაკება გორში მიმდინარეობდა. გივი შერიგებას პირდებოდა. გახარებულმა ქერიმ-ხანმა *„მისცა ხალათები, მისწერა წიგნი ამილახორს: „თუ ჩამოხვიდე (გორში – ე.მ.), ყოველი შენი საქმე მე თავს მიდვიაო“*[3].

ამასობაში ყოჯა-ხანიც მოვიდა ქართლში. გივიმ შეუთვალა, რომ ის იმ შემთხვევაში დაემორჩილებოდა შაჰს, თუ მისი მოთხოვნები ზომიერი იქნებოდა. მართალია, ცნობები არ გვაქვს, მაგრამ საგულისხმოა, რომ გივიმ შუაკაცების ყურადღება ქართლში შაჰის პოლიტიკის უარყოფით გავლენაზე გაამახვილა. ის მოითხოვდა შემსუბუქებულიყო გადასახადები, აღმოეფხვრათ შაჰის მოხელეთა თვითნებობა და ა. შ. სწორედ ეს იგულისხმებოდა გივის სიტყვებში: *„შაჰმა „ჩემი შეძლებით მიმსახუროსო“*[4]. შაჰმა, მართალია, გივის უსიტყვო კაპიტულაცია მოსთხოვა, მაგრამ მაინც საჭიროდ სცნო ქართლის ეკონომიკური მდგომარეობა შეესწავლა და ქართლის აღწერა ბრძანა. აღმოჩნდა, რომ *„ქართლი გათავებულიყო თავად*

---

[1] *იქვე, გვ. 60-61.*
[2] *იქვე, გვ. 61-62*
[3] *იქვე, გვ. 62.*
[4] *იქვე, გვ. 63.*

ლეკისაგან, მერე ბევრის სათხოვარისაგან, რომ არას ჭელმწიფის დროს ეს არ გადახედოდა“[1]. შაჰი იძულებული გახდა ქართველთა გულის მოსაგებად თავისივე ზოგიერთი მოხელისათვის ბრალი დაედო, დაესაჯა და გადასახადებიც შეემსუბუქებინა[2].

აჯანყება კვლავ გრძელდებოდა. გივის მიერ გადმოყვანილი ლეკები მთელ ქართლს იყვნენ მოდებულნი და აწიოკებდნენ.

ქართლში ყიზილბაშთა დიდი ჯარი შემოვიდა აჯა-ხანის მეთაურობით. ამ დროს ქართლის ხანი და აბდულა-ბეგ იესეს ძე გორში იდგნენ დიდი ჯარით და გივი ამილახვრის ერთგულ სურამის მიდამოების მოსახლეობას იკლებდნენ. აჯა-ხანიც გორში მოვიდა. მან ლეკებთან ბრძოლის საბაბით ზემო ქართლი მთლიანად ააოხრა.

ქართლის ხანმა და აბდულა-ბეგმა გორში გაიგეს, რომ არაგვის ერისთავი ბეჟანი და მისი ბიძაშვილი ოტია არაგველებს მოეკლათ. შეთქმულებმა კახეთის მეფე თეიმურაზი მიიწვიეს და ერთგულება გამოუცხადეს. შაჰმა თეიმურაზს დაუმტკიცა არაგვის საერისთაო და ქსნის საერისთაოს დაპყრობაც შესთავაზა[3]. ამრიგად, შაჰმა თეიმურაზი დაუპირისპირა გივი ამილახვარს, რომლის დასაყრდენი ქსნის საერისთაო იყო. თეიმურაზმა დაიპყრო ქსნის საერისთაო. ახლა გივიმ ოსმალეთს სთხოვა დახმარება.

1744 წ. ზამთარში ოსმალეთის ჯარი ქართლში შემოვიდა, მაგრამ ბატონიშვილმა ერეკლემ გივი და მისი მოკავშირე თურქები აჩაბეთის ციხესთან დაამარცხა. გივიმ ცხინვალი აიკლო, დაწვა და სურამში გადავიდა. თეიმურაზი გორში ქართლის ხანთან მივიდა, მცირე ხანს დარჩა და ქსნის ხეობაში წავიდა, სადაც წიქორის ციხეში გამაგრებული გივის მომხრე რევაზ ამილახვარი შემოირიგა[4].

კახეთის მეფე თეიმურაზ I-ის ავტორიტეტი ქართლში იზრდებოდა. *„განაწამებ ქართლის მოსახლეობას თვალწინ ედგა კახეთი, სადაც არც ბოლომოუღებელი ურთიერთის რბევა იყო, აღარც ყიზილბაშების თარეში და არც საყაენო ხარკი*“[5]. ქართლის თავადებმა თეიმურაზის მითითებით შაჰს მისწერეს: *„ქვეყანას დიაღ, ძალი დამართებია და გათავებული არისო, წყალობას ვითხოვ ჭელმწიფისაგან,*

---

[1] *იქვე, გვ. 65.*
[2] *იქვე, გვ. 67-68.*
[3] *იქვე, გვ. 68-69.*
[4] *იქვე, გვ. 72-74.*
[5] *ბერძენიშვილი ნ., XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან, გვ. 149.*

რომ ქართლს შეღავათი უყოსო“[1]. სავარაუდოა, რომ იმავე წერილში თავადები ქართლში თეიმურაზის გამეფებას ითხოვდნენ, ამ მოსაზრებას შემდგომი მოვლენები ამართლებს.

თეიმურაზმა წერილის პასუხი გორში მიიღო. შაჰი მას *„დაპირებოდა მიცემასა ქართლისასა“*. აქვე მოუტანეს *„ხალათი, ჩაიცვა მეფემან კეთილმან და საფუძველმან სათნოებისამან, დაჯდა მეჯლისად და გასცა საბოძვარი, მხიარულ ყვნა ყოველნი*“. შაჰმა ქართლის თავადებს უბრძანა თეიმურაზს დამორჩილებოდნენ[2].

ქართლში კვლავ ოსმალთა ჯარი შემოვიდა ახალციხის ფაშა უსუფის სარდლობით და სურამს დადგა. აქვე მოვიდა გივი ამილახვარი[3]. თეიმურაზმა ქართველთა და ყიზილბაშთა ჯარი ორად გაყო. ერთი მცხეთას დააყენა, ხოლო მეორეს თბილისის დაცვა დაავალა. თვითონ გორში მივიდა და ბატონიშვილი ერეკლე კახეთის ჯარით თავისთან დაიბარა.

უსუფ ფაშა სურამიდან გავიდა, რუისი და ურბნისი აიკლო და გორს მიადგა. *„გორის გარშემო, საცა რამ ყანა იდგა, სულ გათიბეს, ადარსად გაუშვეს წაუხდენელი, თვინიერ გორისა. დღესა ერთსა გავიდა ამათი ყარაული (გორიდან – ე.მ.) და შეეყარნენ ურუმის ყარაულთა, გაემარჯვათ და გააქციეს ურუმნი. შეიტყო ფაშამ, შესხა მთლივ ჯარი და მოუხდუნა ლიახვის კერძო, შეჯდა ქართლის ხანი ალი-ხან, კახ ბატონი თეიმურაზ, მაგრამ ბატონს (თეუმურაზს – ე.მ.) ჯარი ცოტა ახლდა, ჯერ თავისი (კახეთის ჯარი – ე.მ.) არ შემოყროდა, გავიდნენ, შემოუტიეს ურუმთა, რომ შიგ დაერივნენ, გამოვიდნენ ურუმნი ლიახვსა და ამ ბაღებთან წისქვილებთან შეიყარნენ ერთად. იყო ომი ფიცხელი, რომ ადარ ეგებოდა, ურუმისა ჯარი, დიად, დიდი იყო და ესენი ცოტანი. დაიხოცა ორივე ფრიადი. მაგრამ გამარჯვება ურუმთ დარჩათ. კახ ბატონს საჩინო კაცი ზურაბ მდივანი მოუკლეს და აზნაურიშვილნი და გლეხნი დაუხოცნეს. ესენი შემოვიდნენ ისევ გორს, ურუმნი მივიდნენ რუისსა*“[4].

იგივე ბრძოლა განსხვავებულად გადმოგვცა ომან ხერხელიძემ. მისი მიხედვით, ბრძოლა მოხდა თედოწმინდასთან. დამარცხებული

---

[1] *პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, გვ. 76.*

[2] *იქვე, გვ. 77.*

[3] *იქვე, გვ. 77. შდრ. ბერძენიშვილი ნ., XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან, გვ. 181; ბერძნიშვილი ი., გორის ციხე, გვ. 37.*

[4] *პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, გვ. 78-79;* იხ. აგრეთვე, *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა,, III, გვ. 175.*

ქართველთა და ყიზილბაშთა ჯარი ოსმალებმა *„გამოაქციეს და მოჰ-ყვნენ გორის გალავნის კარებამდე“*[1].

ერეკლე ბატონიშვილმა გორთან ბრძოლას ვერ მიუსწრო. 1744 წლის 10 ივნისს მან დაღესტნისაკენ მიმავალი ოსმალთა ჯარი არა-გვის ჭალაში დაამარცხა და გაქცეულებს სხვილოს ციხემდე სდია[2]. ერეკლემ სხვილოს ციხესთან საკუთარი ხელით მოკლა ლეკთა ბელადი მალაჩი. ლეკები და ოსმალები კვლავ გორისაკენ გაიქცნენ, მაგრამ თეიმურაზი გორიდან გამოვიდა და მტრის დიდი ნაწილი ამოწყვიტა[3].

გორი თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის დროს

1744 წ. ივლისში შაჰმა თეიმურაზს ქართლის მეფობა მისცა, ხოლო ერეკლეს კახეთისა. იმავე დროს ქართლს, კახეთის მსგავსად, ხარკი საგრძნობლად შეუმსუბუქდა. ამან გივი ამილახვრის მდგო-მარეობა კიდევ უფრო გააუარესა. მისი მომხრეები თეიმურაზის მხა-რეს გადავიდნენ.

მდგომარეობა ქართლში შედარებით სტაბილური გახდა, მაგრამ საბოლოო მშვიდობის დასამყარებლად ხანგრძლივი ბრძოლა მოე-ლოდა. 1746 წ. თეიმურაზს არაგვის ხეობაში მცხოვრები ოსები აუმ-ხედრდნენ და ზემო ქართლს არბევდნენ. ერეკლემ თავისი მორჩილი ლეკთა ჯარი გადმოიყვანა, რომლებმაც ოსეთი ააოხრეს. მაგრამ ლე-კებს ნადავლი ეცოტავათ, იმერეთში გადავიდნენ და *„საწერეთლოც წაახდინეს და მრავალი ტყვე მოასხეს... ჩამოვიდნენ ნაშოვრით გორს ლეკნი“*[4].

ირანში რთული ვითარება იყო. ნადირ შაჰს ქვეშევრდომები აუჯანყდნენ. 1746 წ. მან ქართლიდან ყიზილბაშები გაიწვია და მათ ნაცვლად 1000 ავღანელი გამოგზავნა. ავღანთა ჯარის საქართველოში ჩაყენება ნადირ შაჰის პოლიტიკაში ჩვეულებრივ მოვლენად გადა-იქცა. წინათ შაჰები ურჩი ავღანელების დასამონებლად ქართველებს

---

[1] *ქართლის ცხოვრება, ჩუბინაშვილის გამოცემა, გვ. 480.*

[2] *პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, გვ. 80; ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 521; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, III, გვ. 175.*

[3] *ქართლის ცხოვრება, ჩუბინაშვილის გამოცემა, გვ. 64-68. Бутков П., Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 гг., ч. I, СПб., 1869, с. 228, 230.*

[4] *პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, გვ. 110-111.*

გზავნიდნენ, ახლა კი ავღანელებს მიანდო ქართლ-კახეთის დამორ-ჩილება. პაპუნა ორბელიანი რამდენჯერმა აღნიშნავს ავღანელთა ჯარის საქართველოში შემოსვლას. ყველაზე დიდი რაოდენობა – 4 ათასი ჯარისკაცი შემოვიდა 1745 წ. მათი ერთი ნაწილი გორში და ქრცხინვალში ჩააყენეს. ოთხი ათასი ჯარისკაცი, ერთი შეხედვით, ბევრი არ უნდა ყოფილიყო, მათ ჩაყენებას ქვეყნისათვის რაიმე სერიოზული ზიანი არ უნდა მოეტანა. მაგრამ, თუ გავითვალისწი-ნებთ, რომ თითოეულ მათგანს ხუთი და მეტი მჭამელი ახლდა, მაშინ გასაგები იქნება ის გართულებანი, რაც ამა თუ იმ ადგილას მათ ჩაყენებას თან სდევდა. გორში ავღანთა ყოფნით გამოწვეული სიძ-ნელეების ამსახველი ფრიად საინტერესო საბუთია მელიქის (მამასა-ხლისი) მიერ 1746 წ. ნოემბერში თეიმურაზ მეორისადმი მირთმეული მოხსენება. გორის მელიქი ფარსადანა წერს: *„ჩვენს მოწყალეს ხელ-მწიფესა ამას მოვახსენებთ: ავღნის ჯარი გებოძებინა ორი უზბაში (ასისთავი) თავის თაბუნებითა, თითოს ოროლი ცოლი, სამ-სამ ტყვე, სამ-სამი, ოთხ-ოთხი ცხენი და იაბუ ყავთ. მოგეხსენებათ, ამათი საყოფი სახლი გორს არ არის, ზამთარი არის, ოთხი-ხუთი კომლია რიიათი ქეთხუდები თითო სახლში დამიყენებია, სხვა ამათ მივეცი. კიდევ არ ეყოფათ, ქალანთარმა (ქალაქის უფროსი, ქალაქის პოლი-ციის უფროსი – ე.მ.) ნახა, ახლა კიდევ ყასუმა-ბეგი უზბაში მოვიდა თავის თაბუნითა, ხიზნითა, ტყვითა; ალაგი აღარ არის, რომ ამასაც ალაგი მივსცეთ, დიაღ ფერიმანი შეიქნა რიიათი, თუ ამათ ერთს წყალობას არ გვიზამთ, ერთსა და ერთს უზბაშს სხვაგან არ უბრძანებთ დადგომასა, გორი დიაღ წახდება. ჩვენ მოგვიხსენებია და საბაეხტიარი თქვენ ბრძანდებით. ბზის წყალობაც გვიყავით, ქალანთარს უბრძანოთ რომა სოფლებში ავლა უყოს, დღეში ოთხას ორმოცდა ათი ლიტრას ბზეს თხოულობენ. რასაც სახლის პატრო-ნებისას დახარჯავენ იმას გარდა, ამდენი უნდებათ, ერთი რაყამიც მიბოძეთ, ციხე ყულაები კარები გაამაგრონ და ქეშიკი გასწიონ“*[1].

ამონარიდიდან ჩანს, რომ ავღანთა შენახვა გორის მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვა. გორის მელიქს განუზრახავს ეს მუქთა მჭამე-ლები აეძულებინათ ციხის დაზიანებული კარი გაემაგრებინათ და ყარაულობა გაეწიათ.

---

[1] *საქართველოს სიძველენი, III, გვ. №499. შდრ. საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 81; ბერძნიშვილი ი., გორის ციხე, გვ. 38.*

1747 წ. თებერვალში ნადირ შაჰმა ქართლისა და კახეთის სამეფოებს უზარმაზარი ხარკი – 200 000 თუმანი დააკისრა. ამის გადახდა შეუძლებელი იყო. თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ კარგად იცოდნენ, რომ შაჰი ხარკის გადაუხდელობას არ აპატიებდა და ქვეყანას აიკლებდა. ამიტომ მათ დაიწყეს ხალხის დახიზვნა მთებსა და ციხესიმაგრეებში. ქართლ-კახეთი საომრად ემზადებოდა. თეიმურაზი და ერეკლე ანანურიდან ხელმძღვანელობდნენ თავდაცვის სამზადისს. გორში მყოფმა ავღანელებმა მოსალოდნელი ხიფათის შესახებ რომ გაიგეს, მაშინვე გორის ციხეში ავიდნენ და გაამაგრეს. გორის მოქალაქეებიც მთებში გაიხიზნენ.

თეიმურაზმა შეკრიბა მთიელები, ქართლის ჯარს შეუერთა და გორში მივიდა. მან თავდაპირველად გორის ციხიდან ავღანელების მშვიდობიანად გამოყვანა სცადა და მათთან მოლაპარაკება გამართა. მაგრამ ავღანელები ციხეში თავს უშიშრად გრძნობდნენ. გორის ციხე იმ დროისათვის კარგად აღჭურვილი იყო. ამას ადასტურებს შემდეგიც: 1748 წ. ერეკლე თბილისის ციხეებში გამაგრებულ ყიზილბაშებს ებრძოდა. ყიზილბაშები თავიანთი არტილერიით შიშის ზარს სცემდნენ მთელ თბილისს. ერეკლემ, როცა მათთან ვერაფერი გააწყო, ამირინდო ამილახვარი გაგზავნა და *„გორიდამ დიდი ზარბაზანი დაიბარა. ეს ზარბაზანი შაჰ-ნადირ ყაენმა მოიტანა ქართლში ერევნიდამ, იტყოდენ: „ორი ათასი ლიტრა არისო“*[1]. „მოიტანეს პირველ და მეტეხის ციხეს მოუმზადეს, აგრეთვე, თაბორის ციხეს სროლა დაუწყეს. რა ეს ზარბაზანი ნახეს ციხელებმა (ყიზილბაშებმა – ე.მ.), მაშინვე შეშინდნენ, დიდად აქცევდა, საცა მოხვდის და მისა ჴმისაგან ქალაქი ირყეოდა, ათი ლიტრა ტყვია მოუნდის და წამალიც მისი შესაფერი“[2]. ამ ზარბაზანს ჰქონდა საკუთარი სახელი – *„დიდი ბოჭორმისა“.*

რადგან გორის ციხის აღების პერსპექტივა არ ჩანდა, *„ქსნის ხევის ჯარი მიესივა გორის ქალაქსა და აიკლეს. ვინც მთის ჯარი იყო, ყველას დაუწყეს გლეჯა და ოჴრება. ეცადა ბატონი (თეიმურაზ II – ე.მ.), მაგრამ ჯარი დიდი იყო და მერე დიდი ხანი გასულიყო, რომ ქართველის ბატონობის მორჩილება აღარ ექნათ, ვერ დააშლევინეს, აიკლეს, რაც დაახელეს. საყდრები ააოჴრეს, მრავალი ხატი დაამტვრიეს. აღარ დადგა ბატონი (თეიმურაზი – ე.მ.) და წაბრძანდა*

---

[1] *XVIII ს. პირველ ნახევარში 1 ლიტრა 3 კგ. უდრიდა. მაშასადამე ზარბაზანი 6 ტ. იწონიდა.*

[2] *პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, გვ. 142.*

ისევ ანანურს“[1]. როგორც ჩანს, ავღანების გამოდენა გორის ციხიდან მაშინ ვერ მოხერხდა. მაგრამ არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია იმის დასადგენად როდემდე დარჩნენ გორში და რა ბედი ეწიათ.

ქართლ-კახეთმა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ჯერ ოსმალები, ხოლო შემდეგ ყიზილბაშები მოიშორა, მაგრამ ქვეყნის უკურნებელ სენად ლეკიანობა გადაიქცა. იმავე საუკუნის მეორე ნახევრიდან, ადრინდელთან განსხვავებით, როცა კავკასიის მთიელები *„თავს ესხ*მოდნენ *მხარეებს, სოფლებს და თან მიჰყავდათ და მიჰქონდათ ყველაფერი, რასაც მოიხელებდნენ: ადამიანი, ოთხფეხი საქონელი, პური, იარაღი, ავეჯი და სხვ.“*[2]. ახლა ტერიტორიების დაპყრობას ლამობენ და მათი თავდასხმები ორგანიზებული გახდა.

1752 წ. ჰაჯი-ჩალების ლეკები შიდა ქართლსა და გორის მიდამოებს არბევდნენ. მართალია თეიმურაზმა და ერეკლემ ლეკები განდევნეს, მაგრამ მათ კავკასიონზე გადმოსული მტრის შესაკავებლად გორის განსაკუთრებული მნიშვნელობა გაითვალისწინეს და მომავლისათვის მისი გამაგრება განიზრახეს. ქართლ-კახეთის მეფეების ასეთი საქმიანობით აღშფოთებულმა ლეკებმა კახეთი დაარბიეს[3].

1754 წ. ქართლში ლეკთა დიდი ჯარი შემოიჭრა. თეიმურაზი და ერეკლე ქართლისა და კახეთის ჯარით *„მიეშველნენ ზემო ქართლს წამოვიდნენ და მოვიდნენ გორს“*. გორიდან ქრცხინვალში გადავიდნენ და იქ აპირებდნენ ლეკებთან შებმას. ლეკები კვლავ გორის მახლობლად ტრიალებდნენ, მაგრამ მასზე თავდასხმას ვერ ბედავდნენ, რადგან დიმიტრი ეშიკაღაბაში იცავდა. ლეკებმა ჯერ ტინისხიდი აიკლეს, შემდეგ დირბის ციხეს შემოადგნენ. მდივანბეგი და ზაალ ორბელიანი ჯარით მივიდნენ გორში. მათ შეუერთდა დიმიტრი თავისი რაზმით, გორიდან ერთად გავიდნენ და ქრცხინვალში მეფეთა ლაშქარს შეურთდნენ. გორში, ცოტა ხნის წინათ ერეკლეს მიერ დამარცხებული სამხრეთ აზერბაიჯანის მბრძანებლის აზატ-ხანის (წარმოშობით ავღანელი) მიერ გამოგზავნილი დამხმარე რაზმი დატოვეს. ამის შემდეგ თეიმურაზი და ერეკლე დირბს მიეშველნენ,

---

[1] *თეიმურაზ ბაგრაატიონი, ახალი ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილმა, თბ., 1983, გვ. 47.*

[2] *ბერძენიშვილი ნ., XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან, გვ. 154.*

[3] *პეისონელი, მოთხრობა ახლანდელ არეულობაზე სპარსეთსა და საქართველოში (ფრანგულიდან ნათარგმნი). მთარგმნელი ს. ღოღობერიძე // „მოამბე“, №10, II განყოფილება, 1905, X, გვ. 6, 9-10.*

„ვითა შავარდენთა გუნდნი ტრედთანი, ეგრე დაფანტეს ჯარი ლეკთანი, წამობრძანდნენ გამარჯვებულნი, ჩამობრძანდნენ გორს, დასხდენ მეჯლისად, ნახეს ლხინი უზომო“. მაგრამ გამარჯვებულებს ზეიმი ჩამწარდათ. ამბავი მოვიდა: ხუნძახის ბატონი კახეთს თავს დაესხაო. ერეკლე თავისი ჯარით მაშინვე კახეთს წავიდა, თეიმურაზი ქართლში დარჩა. მამაშვილი შეთანხმდნენ: *„თუ კახეთს გაუჭირდებოდა, ქართველი ბატონი მიეშველებოდა და თუ ქართლს გაუჭირდებოდა, კახი ბატონი მიეშველებოდა“*[1]. მართალია, ერეკლემ და თეიმურაზმა ჭადისჯვრის ბრძოლაში ხუნძახის ბატონი დაამარცხეს, მაგრამ იგი ამას ვერ შეეგუა და განმეორებით სცადა მიზნის მიღწევა. საშიშროება ამჯერადაც პირველად კახეთს დაემუქრა. ქართლის მეფე მაშინვე ზემო ქართლში წავიდა, *„მიბრძანდა გორს, შემოიყარა ჯარი ქართველთა, რომ იარაღის ამღები აღარავინ დააგდო შინა, გლეხი თორე თავადი და აზნაურთაგანი ვინ დააკლდებოდა“*. თეიმურაზი ახალგორს მივიდა. აქ შეუერთდნენ მას ქსნის ერისთავი და საბარათაშვილოს სარდალი რევაზი თავიანთი ჯარებით და ანანურში დაბანაკდნენ. აქ ელოდნენ ცნობას კახეთიდან[2]. ერეკლეს თხოვნისთანავე თეიმურაზი თელავში მივიდა. ამით ისარგებლა ლეკთა 500 კაციანმა რაზმმა, ქართლში გადმოვიდა, ააწიოკა ავჭალა, კავთისხევი, ხანდაკი *„საცა რომ ციხეებს გარეთ დაახელეს, წაახდინეს, წაიღეს ნაშოვარი და ავიდნენ ატენის მთაში, იქიდამ დაუწყეს რბევა გორის გარეშემოთა“*[3].

1756 წ. აპრილში გორში იმყოფებოდა რუსეთს მიმავალი ანტონ I კათალიკოსი. როგორც ცნობილია, 1755 წ. 16 დეკემბერს მცხეთის საეკლესიო კრებამ ანტონი კათალიკოსობიდან გადააყენა. მას ბრალად ედებოდა მწვალებლობა, რაც მის მიერ კათოლიკობის აღიარებაში გამოიხატებოდა. ანტონმა ეს ნაბიჯი პოლიტიკური მოსაზრებით გადადგა. დასავლეთევროპული ორიენტაციის გამო, ის დაახლოებული იყო თბილისში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებთან. ეს გარემოება გამოიყენეს მისმა მოწინააღდეგეებმა და თეიმურაზის მხარდაჭერით იმას მიაღწიეს, რომ საეკლესიო კრებამ კათოლიკოსობიდან და მღვდელმსახურებიდან გადააყენა. 1756 წ. 4 აპრილს ამავე კრებაზე, *„ანტონ კათალიკოსმა აღიარა თავისი ცთომა წინაშე კრებისა, მეფე თეიმურაზმა შეუმსუბუქა სასჯელი და ნება მისცა გორში წირვისა*

---

[1] *პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, გვ. 213-214*

[2] *იქვე, გვ. 227.*

[3] *იქვე, გვ. 229.*

აღდგომა დღეს – კგ აპრილს (23 აპრილი – ე. მ.)“[1]. იმის სანაცვლოდ, რომ ანტონმა უარყო კათოლიკობა, იგი აღადგინეს ღვთისმსახურების უფლებაში და რუსეთში გაუშვეს[2]. 23 აპრილს, ხუთშაბათს, წირვის დამთავრებისთანავე, ანტონი რუსეთს გაემგზავრა, ზ. ჭიჭინაძის მიხედვით ანტონი სამი დღე გორში გაჩერდა[3]. პაპუნა ორბელიანი მხოლოდ ამბობს, რომ *„წაბრძანდა კათალიკოზი ანტონი ბატონიშვილი გორიდამ რუსეთს, თვესა აპრილისა*“[4].

ანტონის რუსეთში გამგზავრების შემდეგ ქართლის დედოფალი *„ანა-ხანუმ წაბრძანდა გორს, თან იახლნენ დარბაისელთა ჯალაბნი, რომელნი იყოფებოდნენ ქალაქსა (თბილისი – ე. მ.) შინა, აღაშენა სახლნი გორის ციხესა შინა და დადგა მას შინა ერთი ზაფხული*“[5]. ერეკლე II-ის მიერ ანტონთან გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ დედოფალი 1756 წ. ნოემბერში კვლავ გორში იმყოფებოდა[6].

ზაფხულში ქართლში ლეკები შემოვიდნენ. თეიმურაზი თბილისში იდგა. აქვე მოვიდა ერეკლე კახთა ჯარით. ივლისში მეფეებმა ნიჩბისთან ლეკები დაამარცხეს და *„მობრძანდნენ გორისა ქალაქსა შინა“*. ჩანს მათ მცირე ჯარი ჰყავდათ და მისი შევსება სურდათ. ამიტომ ამბობს პაპუნა ორბელიანი: *„უმეტეს შემოიყარეს ჯარები ქართლისანი“*. თეიმურაზი და ერეკლე გავიდნენ გორიდან და მის მახლობლად ახალდაბაში დადგნენ. იმავე ღამეს ლეკები კარალეთს დაესხნენ და *„წაიღეს ნაშოვარი ურიცხვი, ტყვე ანუ საქონელი“*. მათ სკრის ნასოფლართან მარცხი განიცადეს. იმავე დროს ლეკები ქართლის სხვა ადგილებსაც დაეცნენ. საბოლოოდ, მეფეების ოპერატიული მოქმედების შედეგად, ლეკებმა ქართლი დატოვეს. ერეკლე და თეიმურაზი გორში დაბრუნდნენ[7]. სხვა წყაროს მიხედვით, ნიჩბისთან გამარჯვების შემდეგ, თეიმურაზსა და ერეკლეს მთელი ზაფხუ-

---

[1] *თ. ჟორდანია აზუსტებს თარიღს და აღნიშნავს, რომ აღდგომა 1756 წლის 14 აპრილს იყო. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, III, გვ. 235.*

[2] *კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 374.*

[3] *ჭიჭინაძე ზ., პატრი ნიკოლა როგორც ექიმი და მისი დროის ქართველი კათოლიკენი საქართველოში, ტფ., 1896, გვ. 24.*

[4] *პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, გვ. 239.*

[5] *იქვე, გვ. 240.*

[6] *იხ. ქავთარია მ., XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან (ანტონ ბაგრატიონის ეპისტოლარული მემკვიდრეობა), თბ., 1977, გვ. 27.*

[7] *პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, გვ. 240-241.*

ლი გორში გაუტარებიათ[1]. მაგრამ უფრო მოსალოდნელი იყო თეიმურაზის გორში დარჩენა, რადგან მისი ოჯახი ამ დროს აქ ატარებდა ზაფხულს. ერეკლე კახეთში წავიდა, მაგრამ მალე გორში დაბრუნდა და თან მოიყვანა ხუნძახის ბატონის მოციქულები, რომლებიც ერეკლესთან შერიგებას და მშვიდობას ითხოვდნენ. კახთა ბატონმა ეს საკითხი მამასთან შეუთანხმებლად არ გადაწყვიტა. თეიმურაზმა მათ *„უბოძა საბოძვარი, დამოსეს ხალათით და გაისტუმრეს გორიდამ და ეს პირი შეუთვალეს: „თუ შენ ჩვენზე არა იმტყუვნო-რაო, ჩვენც შენზე არა ვიმტყუნოთ-რაო“*[2]. მაგრამ ხუნძახის ბატონმა პირობა არ შეასრულა და ქართლსა და კახეთს შეესია.

ზემო ქართლში შექმნილმა ვითარებამ, განსაკუთრებით ლეკების სისტემატურმა თავდასხმებმა, სამეფო ხელისუფლება აიძულა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად ეფექტური ღონისძიებანი გაეტარებინა. ერთ-ერთი ასეთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იყო მორიგე ჯარის დაწესება. მართალია, მორიგე ჯარის რეგულარული გაწვევა XVIII ს. 70-იან წლებში ხდებოდა, მაგრამ მისი შექმნის ცდას ადგილი ჰქონდა 50-იან წლებში. თეიმურაზ II-ის 1756 წლის ბრძანებიდან ჩანს, რომ წინა (1755) წელს შედგენილი ყოფილა *„მონაცვლე ლაშქრის“* დავთარი, რომლითაც განისაზღვრა ქართლის რომელ თავადს, ან დიდსა თუ მცირე ქალაქს, რამდენი მეომარი უნდა გამოეყვანა ერთი თვის სამყოფი სურსათით. საბუთიდან ჩანს, რომ ზემო ქართლს ყოველთვიურად უნდა გამოეყვანა 166 მებრძოლი, საკუთრივ გორს კი მხოლოდ 6, აქედან 4 ცხენოსანი, და 2 ქვეითი[3]. მაგრამ მეფის ეს ღონისძიება, როგორც შემდგომი პერიოდის საბუთებიდან ჩანს, ყოველთვის არ ხორციელდებოდა[4].

თეიმურაზი ჯერ ისევ გორში იმყოფებოდა, როცა საქართველოს მორჩილი ელების აჯანყება შეიტყო და მათ დასამორჩილებლად ერეკლე გაგზავნა. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ *„მოხსენდა ესე ყოველი ქართველ ბატონს, წამობრძანდა გორიდან, ჩამობრძანდა სოღანლუღსა და შეეყარა ძესა თვისსა მეფეს ერეკლეს“*[5].

1756 წ. ნოემბრის ბოლომდე დედოფალი ანა-ხანუმი გორში იყო. ის გორიდან წაიყვანეს მცხეთას, სადაც მაშინ საეკლესიო კრება

---

[1] *საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 110.*

[2] *პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, გვ. 240.*

[3] *ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 404-406.*

[4] *იქვე, გვ. 416, 419.*

[5] *იქვე, გვ. 241.*

მიმდინარეობდა. ანტონ I-ის ნაცვლად კათალიკოსად ირჩევდნენ იოსებ რუსთველს, კახელ ჯანდიერისშვილს[1].

1758 წ. მოხდა უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი. ხუნძახის ბატონმა პირობა დაარღვია და ქართლში დიდი ჯარით შეიჭრა. ორივე მეფე თავთავის ჯარით გორში მოვიდა. მაგრამ მეფეებს ჯარი ემცირათ და იმერეთის მეფე სოლომონ I-ს დახმარება სთხოვეს. იმერეთის სამეფოს ოსმალეთთან გართულებული ურთიერთობა ჰქონდა და ქართლისა და კახეთის მეფეებთან კავშირი სოლომონისათვის მნიშვნელოვანი იყო. სოლომონი მცირე ჯარით მოვიდა გორში, სადაც თეიმურაზი და ერეკლე *„დახვდნენ საყვარლად“.* გორში გაფორმდა ხელშეკრულება მეგობრობისა და ურთიერთდახმარების შესახებ: *„რომელსაც ქვეყანაში მტერი შემოვიდესო, ერთმანეთს მივეშველნეთო“*[2] – გადაწყვიტეს ერთხმად და ცხოვრებაშიც განახორციელეს. თავდაპირველად მათ ერთობლივად შეუტიეს კოხტას და ჩონჩოლმუსას მეთაურობით ქართლში შემოსულ ლეკთა 8 ათასიან ჯარს და დაამარცხეს[3]. სოლომონ I-მა 1759-1760 წლებში დახმარება გაუწია ქართლისა და კახეთის მეფეებს ლეკებისა და განჯის სახანოს წინააღმდეგ ბრძოლაში[4]. ერეკლესა და სოლომონს შორის გორში საფუძველჩაყრილი თანამშრომლობა თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგაც გრძელდებოდა.

1761 წ. გორს კვლავ ლეკები დაესხნენ. მათ ქალაქს ვერაფერი დააკლეს, მაგრამ *„ააოხრეს გარემონი“*. გორის მიდამოების ამკლებ ლეკებს ერეკლემ სასტიკი მარცხი აგემა. იგი ყარაიაზე დაუხვდა მათ და *„დააყრევინა მუნ ყოველი ნატყვენავი“*[5].

1765 წ. 4 აგვისტოს ანტონ I კათალიკოსის მიერ ზაალ ორბელიანისადმი გაგზავნილი *„პირობის წიგნიდან“* ვიგებთ, რომ ერეკლე მეფე საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში გორში იმყოფებოდა[6], მაგრამ არ ჩანს რასთან დაკავშირებით.

XVIII ს. 60-იანი წლების დასარული იმითაც არის მნიშვნელოვანი, რუსეთის ჯარი შემოდის ჩვენს ქვეყანაში. ეს საკითხი ამჯერად

---

[1] *იქვე, გვ. 244.*

[2] *იქვე, გვ. 246.*

[3] *საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 112.*

[4] *ბურჯანაძე შ., სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი, გვ. 94-95.*

[5] *თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, გვ. 52; საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 115.*

[6] *ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 862.*

იმდენადაა ჩვენთვის საინტერესო, რამდენადაც ამან გარკვეული კვალი დაამჩნია გორის ისტორიას.

ქართლ-კახეთის პოლიტიკოსებმა ყურადღება მიაქციეს იმერეთის მეფე სოლომონ I-ის რუსეთთან კონტაქტების განახლებას. სოლომონმა XVIII საუკუნის 60-იან წლებში თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო გააერთიანა და ოსმალეთის რამდენიმე შემოსევაც მოიგერია, მაგრამ 1766 წ. მაინც დამარცხდა. სულთანმა იმერეთში გაამეფა ოსმალეთში გადახვეწილი თეიმურაზ ბაგრატიონი. სოლომონმა რუსეთში თავისი ელჩი მაქსიმე ქუთათელი გაგზავნა და მფარველობა ან, უკიდურეს შემთხვევაში, ფულით დახმარება ითხოვა.

მოცემულ სიტუაციაში იმერეთის მოკავშირეობას რუსეთისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. 1768 წ. დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი. რუსეთს სურდა ოსმალეთის წინააღმდეგ ომში არა მხოლოდ იმერეთი, არამედ ქართლ-კახეთის სამეფოც გამოეყენებინა. როდესაც რუსეთის წარმომადგენელი ხვაბულოვი (ქობულაშვილი) იმერეთიდან ქართლში გადმოვიდა და ერეკლეს მოელაპარაკა, მან მიზანშეწონილად ჩათვალა რუსეთთან სამხედრო კავშირის შეკვრა. ერეკლეს სურდა რუსეთის დახმარებით ოსმალეთის მიერ მიტაცებული სამცხე-ჯავახეთი დაებრუნებინა, ჭარ-ბელქანი დაემორჩილებინა და ლეკთა თარეში აღეკვეთა[1].

სოლომონ I და ერეკლე II 1769 წლის მაისში ერთობლივ მოქმედებაზე შეთანხმდნენ. გადაწყვიტეს მოსკოვში ელჩი გაეგზავნათ. ამავე დროს ცნობილი გახდა, რომ რუსეთიდან ჯარი იგზავნებოდა საქართველოში[2]. მართლაც, 1769 წ. აგვისტოს დამლევს გენერალი ტოტლებენი მცირე რაზმით, დარიალის ხეობით ქართლში შემოვიდა, საიდანაც იმერეთში უნდა გადასულიყო. ერეკლე შეხვდა ტოტლებენს და პირობა მისცა, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაებმებოდა და სოლომონსაც დაეხმარებოდა. სამაგიეროდ რუსეთის მთავრობა 5 ათასიანი ჯარით უნდა დახმარებოდა ერეკლეს[3].

სექტემბრის ბოლოს ტოტლებენი იმერეთში გადავიდა, ვითომდა სოლომონს უნდა დახმარებოდა შორაპნის ციხის დაპყრობაში, მაგრამ 13 ოქტომბერს ქართლში მობრუნდა. მან რუსთა რაზმი ჯერ ცხინვალში დააბანაკა[4], ხოლო შემდეგ მათი ერთი ნაწილი გორში

---

[1] ბერძენიშვილი ნ., XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან, გვ. 217.

[2] იქვე.

[3] მაჭარაძე ვ., ასპინძის ბრძოლა, 1957, გვ. 28.

[4] იქვე, გვ. 42.

გადმოიყვანა[1]. ჩვენს ხელთ არსებული მასალებით ძნელია გავარკვიოთ გრაფმა ტოტლებენმა რუსთა რაზმი გორში ერეკლესთან შეთანხმებით, თუ მისთვის ჩვეული თვითნებობით ჩააყენა. საქართველოში ტოტლებენის მოქმედებას თუ გავითვალისწინებთ, მაშინ უფრო მეორე მომენტი უნდა ვიგულისხმოთ. მართლაც, იმავე წლის 21 დეკემბერს იგი ერეკლესათვის გაგზავნილ წერილში ცდილობდა აეხსნა მეფისათვის თუ რატომ ჩააყენა იმერეთიდან გადმოსულმა ტოტლებენმა მის სამფლობელოებში, კერძოდ, გორსა და ცხინვალში მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ჯარი[2].

1770 წ. მარტში ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ჯარი სურამიდან ახალციხის დასაპყრობად გაემართა. როგორც ცნობილია, ასპინძის ბრძოლის წინ ტოტლებენმა აწყურთან მოულოდნელად მიატოვა ერეკლე, რუსთა ჯარით ქართლში დაბრუნდა და საბოლოოდ გამოამჟღავნა თავი, როგორც მოღალატემ. მან ჯერ ერეკლეს მიერ შემორიგებული ლეკთა ცამეტი ბელადი დახოცა[3], რაც მეფის ლეკებთან ურთიერთობაში მხოლოდ ზიანს მოიტანდა. ამის შემდეგ ტოტლებენი გორს მიადგა, მაგრამ, როგორც ჩანს, ძალით ვერ დაეუფლა და დუშეთში გადავიდა. ტოტლებენმა იქიდან გამორეკა ერეკლეს მეციხოვნენი და რუსი სალდათები ჩააყენა. რუსი გენერლის სხვა საქმიანობაზე რომ სიტყვა არ გავაგრძელოთ, იმის თქმაც საკმარისია, რომ მან ძალით დაიწყო ქართლის მოსახლეობის დაფიცება რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე. 1770 წ. 1 ივლისს ერეკლე ა. რ. მოურავოვს სწერდა, რომ ტოტლებენმა ქართლში 3-4 ციხე მიიტაცა, სამღვდელოებას, თავადებსა და აზნაურებს აფიცებდა, ჩანდა, რომ მას ქართლის დაპყრობა სურდა. გორის ციხეზეც სამჯერ გაგზავნა რაზმი, რათა ძალით დაეპყრო, მაგრამ ერეკლეს მიერ დაყენებულმა დაცვამ არ შეუშვა[4]. დაახლოებით იგივეა გადმოცემული ერეკლეს წერილში (1770 წ. 7 აგვისტო) გრაფ ნ. ი. პანინისადმი: *„ტოტლებენმა წაგვართვა ოთხი ციხე-სიმაგრე. ჩვენ ამაში წინააღმდეგობა არ გაგვიწევია, მაგრამ როცა ის შეეცადა წაერთმია ჩვენთვის გორის*

---

[1] *Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. I, с. 444.*

[2] *Тамже, с. 447.*

[3] *Тамже, с. 253.*

[4] *Тамже, с. 466.*

ციხე, ჩვენ ამის ნება აღარ მივეცით, ვიცოდით, რომ მას ასეთი ბრძანება არ ჰქონდა მისი იმპერატორების უმაღლესობისაგან"[1].

არასწორია ცნობა, რომლის მიხედვით, აწყურიდან დაბრუნებულმა ტოტლებენმა ჯარი განალაგა ცხინვალში, სურამში და გორში[2]. როგორც ვნახეთ, ტოტლებენმა, დიდი სურვილის მიუხედავად, გორი ვერ დაიპყრო. ერეკლე გორის დათმობით, ფაქტიურად კონტროლს კარგავდა მთელ შიდა ქართლზე. ამას კი იგი, რა თქმა უნდა, ვერ დაუშვებდა.

თბილისში ჭირიანობის გამო, (ჭირი მოდებული იყო მთელ საქართველოში), 1770 წ. ნოემბრიდან 1771 წ. აპრილამდე ერეკლე ქართლში (ბელოთი, მეჯვრისხევი, გორი) იმყოფებოდა. სავარაუდოა, რომ სწორედ იმ დროს, როცა ტოტლებენი გორის აღებას ცდილობდა, ერეკლე გორში იმყოფებოდა და მის თავდაცვას ხელმძღვანელობდა. ამ დროს გორში მეფის სტუმარი იყო ა. რ. მოურავოვი[3].

ტოტლებენთან კონფლიქტის ჩაქრობა ერეკლემ მოლაპარაკებით სცადა. ქართლ-კახეთის მეფე გრაფ ნ. ი. პანინს სწერდა (1770 წ. 12 მაისი), რომ მან ორ-სამჯერ შუამავლები მიგზავნა ტოტლებენთან და შეხვედრა სთხოვა. ერეკლემ შეხვედრის ადგილებად სამი პუნქტი დაასახელა: მუხრანი, თბილისი და გორი, მაგრამ შეხვედრა ვერ შედგა[4]. ტოტლებენის განწყობილება ერეკლე მეფის მიმართ კარგად ჩანს იმავე გრაფ ნ. ი. პანინისადმი გაგზავნილი წერილიდან (1770 წ. 11 ოქტომბერი), საიდანაც ვიგებთ, რომ 11 აგვისტოს ტოტლებენს ქუთაისიდან გორში პოლკოვნიკ ტიუტჩევისათვის *„ორდერი"* გამოუგზავნია. ტოტლებენი ტიუტჩევს უბრძანებდა, თუ ერეკლე ახალციხეზე სალაშქროდ არ წავიდოდა, მაშინ ქართლ-კახეთის მეფე მტრად გამოეცხადებინა და ისე მოპყრობოდა, როგორც სახელმწიფო მოღალატეს[5].

---

[1] *Вейденбаум Е. Г., Кавказские этюды, с. 177; ცოტნიაშვილი მ., ცხინვალის ისტორია (ცხინვალი ფეოდალიზმის ხანაში), ცხინვალი, 1966, გვ. 360.*

[2] *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, III, გვ. 317.*

[3] *ვახტანგ VI-ის დროს რუსეთში გადასახლებული თარხანმოურავების შთამომავალი.*

[4] *Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. I, с. 452.*

[5] *Тамже, с. 168.*

ასეთივე პოზიცია ეკავა ტოტლებენს სოლომონ I-ის მიმართ. კაპიტანი ნიკოლაი იაზიკოვი გორიდან წერდა, რომ ტოტლებენი სოლომონს თათარს უწოდებდა, ხოლო ერეკლეს – მოღალატეს[1].

1770 წლის დეკემბერში კაპიტანი ნიკოლაი იაზიკოვი გრაფ ნ. ი. პანინს მოახსენებდა, რომ 23 ოქტომბერს ლვოვთან ერთად მეფე ერეკლესთან ბორჩალოში ჩავიდა და პანინის წერილი გადასცა. როგორც შეიძლება ვივარაუდოთ გარფის წერილში მეფის და ტოტლებენის შერიგებაზე იყო თხოვნა. ამაზე მიგვანიშნებს მეორე დღეს ერეკლეს მიერ იაზიკოვისათვის ნათქვამი, რომ მთელი ზაფხულის განმავლობაში ელოდებოდა ჯარით ტოტლებენს, რათა მას შეერთებოდა, მაგრამ ამაოდ, რაც გრაფის ბრალია. მიუხედავად ამისა მეფემ იაზიკოვს სთხოვა გაეგზვნა კურიერი ტოტლებენთან, რათა გაეგო როდის და სად შეხვედროდა მას შესარიგებლად, თავის მხრივ კი უთქვამს, რომ ურჩევნია შეხვედრის ადგილი იყოს ქალაქი გორი, დრო კი 25 ნოემბერი. იაზიკოვმა მეორე დღესვე გაგზავნა კაცი თვითონ კი მეფესთან დარჩა გრაფ ტოტლებენის პასუხის მიღებამდე. როგორც ირკვევა, ერეკლე მეფე და იაზიკოვი ბორჩალოდან გორში გადმოვიდნენ და აქ ელოდებოდნან გრაფისგან პასუხს. ამიტომ დაგიგვიანეთ ინფორმაციის გამოგზავნაო, ებოდიშება იაზიკოვი გრაფ პანინს გორიდან გაგზავნილ წერილში[2].

კაპიტან-პორუჩიკი ლვოვი, როგორც 1770 წლის 2 დეკემბრით დათარიღებულ წერილში აღნიშნავს, ის გორში ერეკლე მეფესთან ცხოვრობდა, მაგრამ არ ჩანს მეფე როდიდან იმყოფებოდა ამ ქალაქში[3]. უნდა ვივარაუდოთ, რომ ერეკლე არ დაელოდა ტოტლებენის წერილს და მასთან შესახვედრად თადარიგის დასაჭერად ბორჩალოდან გორში გადმოვიდა.

1770 წ. დეკემბერში რუსეთის მთავრობამ ტოტლებენი კორპუსის მეთაურის თანამდებობიდან გაათავისუფლა და მის ადგილზე დანიშნა გენერალი სუხოტინი. ისიც დარიალის გზით მოვიდა საქართველოში. 1771 წ. 13 მაისს სუხოტინი ქუთაისში მივიდა, სადაც საშინელ მდგომარეობაში იხილა რუსეთის შეთხელებული ჯარი. ამიტომ იძულებული იყო ერეკლე მეფისათვის დახმარება ხშირად ეთხოვა.

---

[1] *Тамже, с. 180.*

[2] *Тамже, с. 174-179*

[3] *Тамже, с. 250.*

1771 წ. ივნისში სოლომონ I და სუხოტინი ერეკლესთან მოსალაპარაკებლად ქართლში გადმოვიდნენ. მათ უნდოდათ, რომ ერეკლე ფოთის ციხის დაპყრობაში დახმარებოდა. მოლაპარაკება შედგა 15 ივნისს გორის მახლობლად სოფ. ხელთუბანში. მიღებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილება: სუხოტინი ალყას შემოარტყამდა ფოთის ციხეს, ხოლო ქართველთა ჯარს მტრის მოულოდნელი თავდასხმისაგან უნდა დაეცვა რუსეთის კორპუსი. ამ მიზნით ერეკლეს უნდა გამოეყვანა 14 300 კაცი, რომელიც შემდეგნაირად განაწილდებოდა: 2 ათასი ბორჩალოში, 2 ათასი კახეთში და 300 გორში. ამ 4 300 კაცს ქვეყანა უნდა დაეცვა ლეკთა თარეშისაგან, ხოლო დანარჩენი 10 ათასიანი ჯარით ერეკლე ოსმალეთის მიერ საქართველოს მეზობლად დაპყრობილ ტერიტორიებს შეუტევდა. ასევე ჰქონდათ განაწილებული ფუნქციები სოლომონ მეფეს, გურიელს და დადიანს[1]. სუხოტინმა ფოთის აღება ვერ შესძლო, მის ჯარში მალარია გავრცელდა. ზაფხულში რომ ასეთი კომპანიის წამოწყება არ შეიძლებოდა ამის თაობაზე თავის დროზე სუხოტინს ჯერ ერეკლე II, მოგვიანებით კი, სოლომონ I აფრთხილებდა[2].

ამგვარად, ვერც გენერალმა სუხოტინმა გაამართლა თავისი მთავრობის იმედები და 1772 წ. რუსთა ჯარი საქართველოდან წავიდა.

1771 წ. რუსთა ჯარი ჯერ ისევ საქართველოში იმყოფებოდა, როცა ერეკლე II და სოლომონ I, კაპიტან-პორუჩიკის ლვოვის რჩევით, გაერთიანებული ძალებით სურამიდან ჯავახეთში გადავიდნენ, მოარბიეს და მრავალი ტყვე და საქონელი წამოიყვანეს[3]. ერეკლეზე განრისხებულმა სულთანმა (სოლომონი ავად გახდა ჯავახეთზე ლაშქრობის დროს) ახალციხის ფაშას უბრძანა ქართლზე ლეკთა ჯარი გაესია. საინტერესოა, რომ ლეკთა მთელი რისხვა გორს დაატყდა. 1772 წ. 16 მაისს ლეკები გორს დაესხნენ. *„გორელები დამარცხენენ. ლეკისაგან სულ ქეთხუდები წახდნენ, ახალციხეს*

---

[1] ვრცლად იხ. *ცინცაძე ი., ორი საბუთი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან 1768-1774 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში // ენიმკის მოამბე, 1940, №5-6, გვ. 355-356; მაჭარაძე ვ., ასპინძის ბრძოლა, გვ. 118-119.*

[2] *Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. I, с. 486.*

[3] *საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 130.*

წაასხეს“[1]. ლეკების თავდასხმას *„მესხურ-იმერული“ „დღიური წერილები“* ანუ XVIII-XIX სს. ქრონიკები“, 22 მაისით ათარიღებს. ქრონიკის ავტორმა, ალბათ, 22 მაისს შეიტყო გორზე მტრის თავდასხმის ამბავი და მხოლოდ აღნიშნა, რომ *„გორელი ქოსა მანუჩარა და მისი შვილი მოუკლიან“.* საფიქრებელია, რომ დაღუპულნი ავტორის ახლობელი ადამიანები იყვნენ და ამიტომ ყურადღებას მათზე ამახვილებს[2]. ლეკთა იმავე შემოსევას უნდა ეხმაურებოდეს თეიმურაზ ბაგრატიონი, როცა ამბობს: *„მოვიდნენ კვლავად შეყრილობანი ლეკთა ქართლში. მაშინ ქართლისა და კახეთის მჭედრობანი იყვნენ შეყრილ, გარნა იკუეთნენ უფლისციხეს, იძლივნენ ქართველნი და მოსწყდნენ მრავალნი. განვიდნენ ლეკნი გორის ბოლოს ლიახვსა და წარვიდნენ ახალციხეს*“[3].

ზემოთ მოყვანილი წყაროების მონაცემებმზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ლეკებმა გორზეც მიიტანეს იერიში, მართალია, გორის დამცველები დაამარცხეს, მაგრამ მტერი ქალაქს ვერ დაეუფლა.

იმავე წლის ნოემბერში, სულთნის წაქეზებით, ლეკებმა ქართლი კვლავ მოაოხრეს[4].

გარეშე მტრისაგან განაწამებ საქართველოში ჭირის ეპიდემიაც გახშირდა. 1770 წ. მაისში *„დიდი ჭირიანობა“* გაჩნდა თბილისში. მეფე ერეკლე *„გორში ჩამოიბარგა დედაწულით“.* ჭირი გაჩნდა შემდეგი წლის აპრილში ქართლში, კახეთში, იმერეთში, ეპიდემია სამი თვის განმავლობაში თბილისს ავლებდა მუსრს და 4 ათასი კაცი იმსხვერპლა. ერეკლემ ამჯერადაც გორს შეაფარა თავი[5].

რუსეთის ჯარის საქართველოდან წასვლის შემდეგ ერეკლემ და სოლომონმა განიზრახეს ერთობლივად ებრძოლათ ოსმალეთის წინააღმდეგ, ამას წინ უძღოდა ოსმალების ცდა გორის დაპყრობისა. როგორ ცდილობდა მტერი გორის დაუფლებას, ამას ვიგებთ ერეკლე II-ის წერილიდან რევაზ ამილახვრისადმი. გორზე მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ ერეკლეს მისმა კაცმა აცნობა ახალციხიდან.

---

[1] *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, III, გვ. 325.*

[2] *ლომსაძე შ., გვიან შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხური ქრონიკები, თბ., 1979, გვ. 137.*

[3] *თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, გვ. 54.*

[4] *საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 126.*

[5] *იქვე, გვ. 126.*

„გორის გალავნის აღებას თურმე აპირებენ ღალატით, წერს ერეკლე, ასე დაუდვიათ ბინა, რომ ვენაჯებში დავიმალნეთ და ისე შევერივნეთო“. ერეკლე მითითებას აძლევს ამილახვარს გორის დაცვაზე: *„რაც მოვლა გაეწყობოდეს, კაცის დაყენება უნდოდეს, თუ გალავნის გამაგრება, ყველა აღასრულეთ, ბურჯები გაამაგრეთ, ქუშიკი გაუჩინეთ, ღამის ყარაული დააყენეთ, უზბაშ-დაჰბაში გააჩინეთ, თუ მართლა ვენახებში ჯარი ჩამოვიდეს და რაც ღმერთმან შეგაძლებინოსთ, პასუხის მიცემა თქვენ იცით. ციხე გაამაგროს, ივანეს უთხარით, და გალვანიც თქვენ გაამგარეთ, რასაც ეცდებით, თქვენ იცით“*[1].

ერეკლემ ოთხასი კაცი 12-13 დღით გორის დამცველთა დასახმარებლად გაგზავნა და რევაზ ამილახვარს დაპირდა, რომ თუ საჭირო იქნებოდა ბატონიშვილი ან თვით მეფე ჯარით მივიდოდა გორში. ჩვენამდე მოღწეული სხვა წყაროები არაფერს ამბობს, სცადეს თუ არა ოსმალებმა ხელთ ეგდოთ გორი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მეფის და გორის მოურავის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა მტერს განზრახვაზე ხელი ააღებინა. ნიშანდობლივია, რომ ამის შემდეგ მეფე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა გორის ქალაქისა და ციხის გამაგრებას. 1773 წ. ივნისიდან დაიწყო ჯერ ქალაქის გალავნის გამაგრება, ხოლო შემდეგ ციხისა, რაც საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა.

1773 წ. 15 ივნისს, ერეკლე II-მ, რადგან ქართლში ლეკთა შემოსევას ელოდნენ, ჯარის მობილიზაცია დაიწყო. მან რევაზ ამილახვარს და დავით მოურავს ადგილობრივი ჯარის შეკრება უბრძანა. ისიც ირკვევა, რომ ლეკთა თავდასხმის მუქარის გამო, სურამის მოურავმა გორის თავკაცებს სურამის ციხეში ჩასაყენებლად 15-20 კაცი სთხოვა. ამილახვარმა სურამელების თხოვნა უგულებელყო, ერეკლე ამის გამო განაწყენდა და ბრძანა: *„ახლავ ორმოცი კაცი იყოს, სამოცი კაცი მიაშველეთ სურამს, გორიდამ ტყვია-წამალი გამოიტანეთ, თვითო ლიტრა წამალი თვითომ, ჩარექი იყოს – მეტი თუ ნაკლები – ტყვია აიკიდონ და ერთ ღამეს შევიდნენ სურამს...“*[2].

იმავე წლის 24 ივლისს ერეკლემ და სოლომონ I-მა გადაწყვიტეს ერთობლივად გაელაშქრათ ჯავახეთზე. სოლომონი 4 ოქტომბერს გორში მივიდა 5 ათასი მებრძოლით. ამდენივე ჰყავდა ერეკლესაც.

---

[1] *ხეც, Hd, №13726; გაბიჩვაძე ა., გორის ციხე ერეკლე II-ის დროს, გვ. 10.*

[2] *გაბიჩვაძე ა., გორის ციხე ერეკლე II დროს, გვ. 11-12.*

ამგვარად, ქართველ მეფეთა 10 ათასიანმა ჯარმა[1] ატენის ხეობა გაიარა და 16 ოქტომბერს ჯავახეთში შევიდა. მათ არტაანამდე მიაღწიეს. სოლომონი, ავადმყოფობის გამო, იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო, 26 ოქტომბერს ერეკლეც გამობრუნდა და გორში გაჩერდა[2].

ერეკლე II-ის და სოლომონ I-ის თანამშრომლობა ოსმალების და ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში კვლავ გრძელდებოდა, ერეკლე ყოველნაირად უწყობდა ხელს სოლომონის პოზიციების განმტკიცებას დასავლეთ საქართველოში. 1774 წლის თებერვალში იმერეთში ოსმალთა და ლეკთა ჯარი შეიჭრა. სოლომონმა მაშინვე ქართლ-კახეთის მეფეს დახმარება სთხოვა. როცა მტერმა გაიგო, რომ ერეკლემ დიდი ჯარი შეჰყარა, გორში მივიდა და ახალციხისაკენ მიმავალი გზის გადაკეტვის საშიშროება შექმნა, იძულებული გახდა უკან დაეხია. სოლომონმა ისარგებლა მტრის რიგებში არეულობით, 5-6 თებერვლის ღამეს ჩხართან ჩაუსაფრდა მტერს და განთიადისას გაანადგურა[3]. სოლომონმა 7 ფაშა და 600 ლეკი და ოსმალო დაატყვევა. მან ლეკთა ერთ-ერთი ბელადი რაჯაბა ერეკლეს გაუგზავნა. ერეკლეს ლეკი მოეწონა, პირობა დაადებინა, რომ საქართველოზე მტრობას მიატოვებდა, გაათავისუფლა და მისი ჯარის ნაშთებთან ერთად ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე გავლით სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცა. ამასთან დაკავშირებით, ერეკლეს ბრძანებით, გიორგი ბატონიშვილმა იმავე წლის 9 ივნისს გორში რევაზ ამილახვარს მისწერა, რომ სურსათით დახმარებოდა რაჯაბასა და მის ჯარს: *„სამ კაცს დღეში ერთი ლიტრა კარგი ფქვილი უნდა მისცეთ და კვირაში ორჯერ ხორცი უნდა აჭამოთ, ოთხ კაცს ერთი ლიტრა ხორცი უნდა მისცეთ და თითონ რაჯაბას სასმელი უნდა უშოვოთ და მისცეთ“*[4].

ზემომოყვანილი წერილით ისეთი ვარაუდის გამოთქმა შეიძლება, რომ ერეკლემ რაჯაბა თავის ვასსალ-მოკავშირედ გაიხადა და მისი ჯარი ქართლში, ალბათ გორში ან მის მახლობლად დააყენა. სხვა რას უნდა ნიშნავდეს წერილის ის ადგილი, სადაც ნათქვამია: *„თქვენ (რევაზ ამილახვარი – ე.მ.) და ერისთავი და ერისთავის ძმა ერთად*

---

[1] *Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. I, с. 385.*

[2] *Тамже, с. 387.*

[3] *Тамже, с. 402.*

[4] *საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 137.*

უნდა შეიყაროთ და ისე უნდა გაარიგოთ. ქაიხოსრო მურვანიშვილის ძმა ლუარსაბ და ქიტესა ჩამოვლენ. ამათ უნდა მისცეთ და ესენი გაუყოფენ ჯარსა, ეს სურსათი თქვენ უნდა მოაგროვოთ და ამათ მიაბარებდეთ ხოლმე და საცა ჯარს დააყენებენ, იქ უნდა მიუტანოთ და ესენი მისცემენ"[1].

1774 წ. ივლისში რუსეთ-თურქეთის ომი ოფიციალურად დასრულდა. მეფე ერეკლესათვის ცნობილი იყო საზავო მოლაპარაკების დროს რუსეთის პოზიცია საქართველოს საკითხის მიმართ. რუსეთი ჯერჯერობით თავს იკავდებდა საქართველოს მფარველობაზე. ასეთ ვითარებაში ქართლ-კახეთის სამეფოს თავისი პოზიცია უნდა შეემუშავებინა ოსმალეთთან შემდგომ ურთიერთობაში. ომის მსვლელობის დროს ერეკლე ოსმალეთის სამფლობელოებზე თავდასხმას თუ არ ერიდებოდა და ამით გარკვეულად ეხმარებოდა რუსეთს, ახლა უკვე საჭირო იყო თავის შეკავება. ერეკლე 1774 წ. 31 აგვისტოს რევაზ ამილახვარს აფრთხილებდა, რომ მისი საგამგებლოდან აღარვინ წავიდეს *„ოსმალოს მხარისაკენ დავლაზე“.* საინტერესოა ისიც, რომ, როგორც წერილიდან ჩანს, იმავე მიზნით მიმავალ ლეკებს ზოგჯერ საამილახვროდან ქართველებიც უერთდებოდნენ ხოლმე. მეფე ახლა კატეგორიულად კრძალავს ამგვარ მოქმედებას[2].

XVIII ს. 70-იანი წლების შუა ხანებში გორში კვლავ თავი იჩინა რელიგიურმა დავამ გრიგორიანებსა და კათოლიკებს შორის. მაგრამ მოგვიანებით (1781 წ.) ერეკლე II-ემ, ალბათ პოლიტიკური და ეკონომიკური მოსაზრებით (მან ხომ იმავე წელს რომის პაპს და იმპერატორ იოსებ II-ს ფინანსურის დახმარება სთხოვა[3]), არა მხოლოდ შეწყვიტა კათოლიკეთა დევნა, არამედ მთელი რიგი პრივილეგიებიც მიანიჭა[4].

გორსა და მის მიდამოებს გარკვეულ ვნებას ოსებიც აყენებდნენ. იშვიათი არ იყო შემთხვევები, როცა ოსთა მოთარეშე რაზმები ძარცვავდნენ და იტაცებდნენ ხალხს[5]. ერეკლე II-ემ ქართლში ლეკების თარეშის ასალაგმავად ოსების გამოყენება განიზრახა. ფარსადან

---

[1] *იქვე.*

[2] *გაბიჩვაძე ა., გორის ციხე ერეკლე II დროს, გვ. 13, №8.*

[3] *Бутков П., Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 гг., ч. II, с. 160.*

[4] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობა ქართველთა შორის, გვ. 397-398.*

[5] *Грузинские крксетьянские грамоты, крепостные и судебние акты, грамоты и письма грузинских и персидских царственных особ (Материалы для истории древней Грузии). Составитель Д. П. Пурцеладзе, Тифлис, 1882, с. 41.*

მაჩაბლისადმი გაგზავნილი წერილიდან ვიგებთ, როგორ უნდა ემოქმედათ ოსებს. როცა ლეკები ლიახვის ხეობით წამოვიდნენ, ოსთა რაზმები თამარაშენში (ცხინვალის მახლობლად) შეიკრიბებოდნენ ორი კვირით და მტერს შიდა ქართლისაკენ არ გაუშვებდნენ. თუ ლეკები ახალციხიდან წამოვიდოდნენ და ცხინვალისაკენ გაემართებოდნენ, გზას ერეკლე გადაუკეტავდა. ხოლო თუ ლეკები გორისაკენ წამოვიდოდნენ, მაშინ ოსები ერეკლეს ჯარს შეუერთდებოდნენ და ერთობლივად დაიცავდნენ შიდა ქართლის ამ უმნიშვნელოვანეს ქალაქს. ერეკლე ფარსადან მაჩაბელს უბრძანებდა დაერწმუნებინა ოსები, რომ ერეკლესთან თანამშრომლობის შემთხვევაში კარგ ჯილდოს მიიღებდნენ[1].

1785 წ. აგვისტოში მეფე ერეკლე ათი დღე გორში იყო[2], მაგრამ რა მიზნით, წყაროები არაფერს გვეუბნევა. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი გორის დაცვის ორგანიზაციით იყო დაკავებული.

1785 წ. 12 სექტემბერს ომარ-ხანმა 11 ათასი რჩეული ჯარით მდ. ალაზანი გადმოლახა. ერეკლემ გადაწყვიტა ქართლ-კახეთის უმთავრესი ქალაქები – თბილისი, გორი, თელავი და სიღნაღი გაემაგრებინა. ამ ქალაქებში 8 ათასი კაცი ჩააყენა. მან იმავე დროს ბრძანებები დაგზავნა, რომ მცირე ციხესიმაგრეებში ჩაყენებული რაზმები ზემოაღნიშნულ ქალაქებში შეყრილიყვნენ, მაგრამ მრავალი არ მიუვიდა[3]. მიუხედავად ამისა, ერეკლე მტერს მზად დახვდა და უკან დაახევინა.

ყურადღებას იქცევს 1786 წ. 16 დეკემბრის ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ იმერეთის მეფე დავით II (1784-1789) გორში იმყოფებოდა. ალექსანდრე ბატონიშვილი გორის მამასახლის ზურაბს უბრძანებს: *„გორის მამასახლისო ზურაბ, მეფე დავითს ვახშმათ ოთხი კოკა ღვინო მიართვით... ერთი კოკაც კვირისთვინ ულუფის გარდა მეფეს მიართვით მომატებული“*[4]. ისმება კითხვა: რატომ უნდა ყოფილიყო დავით II გორში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად სხვა წყაროები

---

[1] *Грузинские крксетьянские грамоты, (Материалы для пятого Археологического съузда). Составитель Д. П. Пурцеладзе, Тифлис, 1881, с. 26*

[2] *საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 158.*

[3] *Бутков П., Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 гг., ч. II, с. 179-181.*

[4] *მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, III, (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება) / მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1955, გვ. 547, №340.*

არ მეგულება. ვიდრე ვარაუდს გამოვთქვამდე, ჯერ მოკლედ უნდა გაშუქდეს ერეკლე II-ის და დავით II-ის ურთიერთობა.

იმერეთში სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტის ორი პრეტენდენტი დარჩა: დავით გიორგის ძე (შემდეგში დავით II) და დავით არჩილის ძე (შემდეგში სოლომონ II). დავით გიორგის ძე სოლომონ I-ის ბიძაშვილი იყო და ქართლში ცხოვრობდა, ხოლო დავით არჩილის ძე ერეკლეს ასულის ელენეს ვაჟი, მცირეწლოვანი (12 წლის) იყო და ერეკლეს კარზე იზრდებოდა. 1784 წ. დავით გიორგის ძე და ერეკლე II შეთანხმდნენ: ტახტს დაიკავებდა დავით გიორგის ძე დავით არჩილის ძის სრულწლოვანებამდე. მაგრამ, შემდეგში იმერეთის სამეფოში მოვლენები ისე განვითარდა, რომ ერეკლე უკმაყოფილო დარჩა. ერეკლე მეფე უკმაყოფილო დარჩა იმითიც, რომ დავით II-მ დაიახლოვა სოლომონ I-ის სიძე, ქსნის ერისთავის ვაჟი, ელიზბარი. როგორც ჩანს, დავითს კავშირი ჰქონდა ქართლის ზოგიერთ მსხვილ ფეოდალთანაც. კერძოდ, მუხრან-ბატონთან. კაცია ფავლენიშვილი ერეკლეს წერდა: *„მერე თქვენი უმაღლესობაც გორს მობრძანდა. და დავით მეფის კაცი მოდიოდა და მუხრან ბატონიშვილთან წიგნი მიჰქონდა; ის კაციც დავიჭირე, ჭელშეკრული მოგართვით და იმასთან მოწერილი წიგნიც მოგართვით“*[1]. ამ საბუთიდან ჩანს როგორი დაძაბული ურთიერთობა იყო ერეკლე მეფესა და დავით II-ს შორის. უნდა ვივარაუდოთ, რომ დავით II გორში მოვიდა ერეკლესთან არსებული დაძაბულობის განმუხტვისათვის მოსალაპარაკებლად.

1789 წ. ლეკთა საკმაოდ დიდი ჯარი ყარაღაჯს (სოფ. დღევანდელ კასპის რაიონში) დაეცა. ამ დროს ბატონიშვილი იულონი და გიორგი ბატონიშვილის ვაჟი იოანე გორიდან გავიდნენ, მტერს ზედაველაზე შეებნენ, *„იძლივნენ ლეკნი და წარვიდნენ სირცხვილეულნი“*. არ ჩანს, ბატონიშვილები ჯარით იდგნენ გორში თუ სახელდახელოდ გორელებისაგან შეკრებილი ლაშქრით დაამარცხეს ლეკები.

ქართლ-კახეთის სამეფოს მდგომარეობა საგრძნობლად გაუარეს-და XVIII სა. 90-იანი წლების დასაწყისში ირანში ყაჯართა დი-ნასტიის გამეფებისთანავე. მოსალოდნელი იყო აღა-მაჰმად-ხანის სა-ქართველოზე თავდასხმა. 1791 წ. 22 იანვარს ერეკლე მეფე და ბა-ტონიშვილი იულონი გორში აპირებდნენ მისვლას და იმავე დროს

[1] *ქართული სამართლის ძეგლები, VIII, გვ. 195, №180.*

არაგვის საერისთაოს ჯარები დაიბარეს მუხრანში[1]. მეფისა და ბატონიშვილის გორს სტუმრობა ყაჯართა მოსალოდნელი აგრესიის წინააღმდეგ სამზადისთან იყო დაკავშირებული. 1791 წ. დამდეგს აღა-მაჰმად-ხანმა აზერბაიჯანი დაიპყრო და ამიერკავკასიის ყველა სახანოს მორჩილება მოსთხოვა. შაჰი ერეკლესაც ემუქრებოდა და მისგან რუსეთთან კავშირის გაწყვეტას მოითხოვდა. საბოლოოდ, ქართლ-კახეთსა და ირანს შორის დაძაბული ურთიერთობა დასრულდა 1795 წლის 11 სექტემბერს თბილისის საშინელი აკლებით. შაჰმა ნახ-ჩევანის ხანს ქალბალს ერეკლეს შეპყრობა უბრძანა და დიდი ჯარით ჟინვალის მიმართულებით გაგზავნა. 14 სექტემბერს ქალბალმა მცხეთის მახლობლად ფონთხელაზედ ჯარი ორად გაყო, ერთი გორისაკენ გაისტუმრა, ხოლო მეორეს თვითონ გაუძღვა ჟინვალი-საკენ.

გორისაკენ წასულმა ჯარმა, მართალია გორამდე ვერ მიაღწია, მაგრამ მუხრანი, სამთავისი, ჭალა, შავშვები და ნაწრეტი აიკლო, ჭალაზე გავლით ლამისყანაში გადავიდა. ლამისყანაში იოანე ბატო-ნიშვილი დაუხვდა, მტერი დაამარცხა და გაფანტა. ქალბალი-ხანიც ჟინვალიდან დამარცხებული დაბრუნდა[2].

აღა-მაჰმად-ხანმა მხოლოდ რვა დღე გაძლო ქართლში, ერეკლეს თავდასხმის შიშით შეპყრობილმა 20 სექტემბერს დატოვა სა-ქართველო. მცირე ხნის შემდეგ (3 ოქტომბერი) *„მეფე ერეკლეს გა-მოჩენა და გორს მოსვლა თქვეს დიდი ჯარითა“*[3]. აი რატომ შიშობდა აღა-მაჰმად-ხანი *„ერეკლემ ხრიკი არა ამიტეხოსრაო“.*

გარეშე მტრებისაგან განაწამებ ქვეყანას ერეკლეს სიცოცხლის ბოლო ხანებში ხელისუფლების დაპყრობის მოსურნე ბატონიშვილთა თარეში დაემატა. მხოლოდ გორის შესახებ ვიტყვი, რომ როგორც იულონ ბატონიშვილი დარეჯან დედოფალს წერდა, 1797 წ. 22 დეკემბერს (სამიოდე კვირის წინ ერეკლეს გარდაცვალებამდე) ფარ-ნაოზ ბატონიშვილი ჯერ სურამს დაეპატრონა, შემდეგ გორი აიკლო[4].

1798 წ. 11 იანვარს ერეკლე II თელავში გარდაიცვალა. მანამდე მეფემ ქართლ-კახეთი ბატონიშვილებს საუფლისწულოდ დაუნაწილა,

---

[1] *დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II / ბატონყმური ურთიერობა (XV-XIX სს.) ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953, გვ. 158, №252.*

[2] *საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 194.*

[3] *ახალციხური ქრონიკები, გვ. 177.*

[4] *საქართველოს ეროვნული მუზეუმი, №317.*

რითაც გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა სამეფოს მშვიდობასა და ერთიანობას. ვიდრე ერეკლე მეფე ცოცხალი იყო, ბატონიშვილები, ასე თუ ისე, მას ემორჩილებოდნენ და სუბორდინაციას იცავდნენ. ერეკლეს ავადმყოფობის დროს, გარდაცვალებამდე ოთხი დღით ადრე, დედოფალ დარეჯანის დაჟინებით, მიიღეს მემკვიდრეების მიერ ტახტის დაკავების უცნაური წესი: ბატონიშვილებს, ასაკის მიხედვით, მიმდევრობით უნდა ემეფათ. ჯერ გიორგის, შემდეგ იულონს, მირიანს და ა. შ. როცა გიორგი XII გამეფდა, აუმხედრდნენ თავის ნახევარ ძმები – იულონი, ვახტანგი, მირიანი, ფარნაოზი და ალექსანდრე[1]. იულონი ქართლის მეფობას იჩემებდა. გორი მის ხელში იყო. ერთი საინტერესო დეტალია ომან ხერხეულიძის ქალის ბარბარეს მიერ პლატონ იოსელიანისადმი გაგზავნილ წერილში. ომან ხერხეულიძემ მთელი წელიწადი იულონთან იმსახურა, მაგრამ ბატონიშვილმა გასამრჯელო არ მისცა. ომანმა მეფე გიორგისთან იჩივლა. მეფემ ომანს უსაყვედურა, რომ მან იულონს ურჩია *„ქართლის გორის ციხე დავიჭიროთო: ქართლი ჩვენი შეიქმნებაო“*[2]. გამეფებისთანავე გიორგი გორში მივიდა და ქართლის თავადაზნაურობა *„შემოიფიცა“*[3]. მეფის მოწინააღმდეგე და შფოთის ჩამომგდები დარეჯან დედოფალი თვალთმაქცობდა და 1798 წლის 22 აპრილს გორელებს უბრძანა: *„სამღვეგროს იჯარიდან არავის არ მისცეთ რა მეფის გიორგის გარდაო“*[4].

ქართლ-კახეთის სამეფოს მდგომარეობას საგრძნობლად ართულებდა გიორგი მეფის რუსეთთან კავშირით უკმაყოფილო მეზობელი მაჰმადიანური ქვეყნების მოქმედება. განსაკუთრებით ირანის ბაბა-ხანი აქტიურობდა, საქართველოზე უზენაეს მფლობელობას იჩემებდა. მართალია, 1798 წ. პეტერბურგში ირანის ელჩი გააფრთხილეს რომ ბაბა-ხანს ხელი აეღო საქართველოსა და დაღესტანზე[5], მაგრამ მდგომარეობა კვლავ რთული რჩებოდა.

დასუსტებულ ქვეყანას და შემცირებულ მოსახლეობას მუსრს ავლებდა შავი ჭირი. იმავე წელს შავმა ჭირმა ისე იმძლავრა, რომ

---

[1] *იხ. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა აღწერილი პლატონ ეგნატის ძის იოსელიანისაგან, თბ., 1978, გვ. 57.*

[2] *იქვე, გვ. 64.*

[3] *საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 210; Бутков П., Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 гг., ч. II, с. 309.*

[4] *საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 210.*

[5] *იქვე, გვ. 211; Бутков П., Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 гг., ч. II, с. 309.*

თბილისი მთლად დაიცალა. ბატონიშვილი იულონი თავისი ოჯახით (მეუღლე სალომე, რევაზ ამილახვრის ასული, შვილები – ლეონი, ლუარსაბი და სოლომონი) გორში გადმოვიდა. როგორც შემდგომი მოვლენებიდან ჩანს, იულონს ახლო ურთიერთობა ჰქონდა გორელებთან, რაშიც გარკვეულ როლს, ალბათ, მისი სიმამრი რევაზ ამილახვარი თამაშობდა.

1799 წ. ნოემბერში, რუსეთთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოში შემოვიდა რუსეთის ლეგიონი გენერალ ი. პ. ლაზარევის მეთაურობით. საქმეების შესწავლის შემდეგ, რუსეთის მთავრობამ დააკმაყოფილა გიორგი XII-ის თხოვნა და საქართველოში გამოსაგზავნად საკმაოდ დიდი ჯარი გაამზადა. ამასთან დაკავშირებით კავკასიის ხაზის სარდალინ გენერალი კ. თ. კნორინგი გიორგი მეფეს თხოვდა მოზდოკიდან საქართველოსაკენ მომავალი გზა მოეწესრიგებინა კავკასიის ხაზიდან ჯარის გადმოსაყვანად. ის მოითხოვდა, აგრეთვე, დაემზადებინათ ოთხი თვის სამყოფი პროვიანტი და ფურაჟი.

სტატსკი სოვეტნიკი კოვალენსკი 1800 წლის 3 აგვისტოს გენერალ-ლეიტენანტ კნორინგს აცნობებდა, რომ რუსეთის ჯარის ხორბლით უზრუნველყოფისათვის აღმოსავლეთ საქართველოს უმთავრეს ციხე-ქალაქებში – თბილისში, გორსა და სიღნაღში შეექმნათ საწყობები სურსათისა და ფურაჟისათვის[1].

მეფე გიორგი XII-ის მიერ კნორინგისათვის გაგზავნილი უთარიღო წერილიდან (დაწერილი უნდა იყოს 1800 წლის 3-10 აგვისტოს შორის) ჩანს, რომ საბოლოოდ გადაუწყვეტიათ საწყობები მოეწყოთ: თბილისში – 2, გორში – 1 და სიღნაღში – 1[2].

მეფეს, თავდაპირველად თბილისის საწყობების მომარაგება განუზრახავს. როგორც კნორინგისა და ლაზარევის მაშინდელი მიმოწერიდან ჩანს, ეს ღონისძიება სასურველი სისწრაფით არ ხორციელდებოდა[3].

---

[1] *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, т. I, с. 111 №33.*

[2] იმავე საკითხზე იხ. კნორინგის 1800 წ. 10 აგვისტოს ბრძანება გენერალ-მაიორ ლაზარევისადმი (№44, გვ. 132), ლაზარევის 1800 წ. 20 აგვისტოს წერილი კნორინგისადმი. *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею,, I, с. 139, №54. იხ. აგრეთვე, გვ. 142, №59.*

[3] *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, I, с. 139, №54; с. 142, №59.*

1800 წ. 8 სექტემბერს ლაზარევი კნორინგს აცნობებდა, რომ ახალციხის ფაშას იმერეთის მეფესთან შეთანხმებით განზრახული აქვს თავს დაესხას საქართველოს (ქართლის სამეფო). სპარსელები ნახჭევანში ჩადიან და ალექსანდრე ბატონიშვილს გამეფებას ჰპირდებიან, ომარ-ხანი კი თავს დაესხა კახეთს. ლაზარევის აზრით, ეს გეგმა მხოლოდ ქაღალდზე დარჩება, მაგრამ მაინც კარგი იქნება თუ ქიზიყში, ლეკების საზღვარზე დააყენებდნენ ერთ ბატალიონს, ყაზახსა და თათრებში ორს, გორში ერთს, რომელსაც გააძლიერებდა საქართველოს ჯარი. თბილისში იქნებოდა 2 ბატალიონი[1].

განსაკუთრებული ვითარება შეიქმნა გორში და, შიდა ქართლში. იგი განდგომილი ბატონიშვილების დასაყრდენად გადაიქცა. ამიტომ მეფე გიორგი და რუსი სამხედრო და სამოქალაქო მოხელეები მდგომარეობის სასწრაფოდ მოგვარებას ცდილობდნენ. გიორგი მეფეს სურდა გორში 400 რუსი ჯარისკაცი ჩაეყენებინათ *„დასასუსტებლად მუნ მეფის ძისა იულონის გაძლიერებულისა“*[2]. შეიძლება მეფის ასეთი სურვილის გამო სთხოვდა ლაზარევი კნორინგს, რომ, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრებზე, ისე გორში აუცილებელი იყო ჯარის ჩაყენება[3]. ჩანს, რომ მეფის წადილი გორში რუსთა ჯარის ჩაყენების შესახებ ვერ განხორციელდა. როგორც პლ. იოსელიანი მოგვითხრობს: *„ურჩობამან ლაზარევისა ვერ მოიყვანა აღსრულებასა ესრეთი ჰაზრი მეფისა დასამშვიდებლად აღრეულობისა (გორში – ე.მ.)“.* საფიქრებელია, რომ ლაზარევი კნორინგის მითითებით მოქმედებდა. ზემოთ ვნახეთ ლაზარევი თვითონ თხოვდა კავკასიის ხაზის სარდალს გორში ჯარის ჩაყენებას. გენერალი ლაზარევი შემდეგშიც იმ აზრისა იყო, რომ გორის ციხეში უნდა იდგეს 1 ბატალიონი ქალაქისა და ციხის იმერეთის სამეფოდან თავდასხმისაგან და ქართლის სამეფოს შინაური მტრებისაგან დასაცავად[4]

როგორი მდგომარეობა იყო ქართლში და კონკრეტულად გორში 1800 წ. შემოდგომაზე, კარგად ჩანს მეფე გიორგის მიერ ოთარ ამილახვრისადმი გაგზავნილი წერილიდან, რომელიც დათარიღებულია იმავე წლის 21 სექტემბრით. *„ჩვენ მაგიერად მის ბრწყინვალებას ბატონ ამილახვარს ოთარს მრავალი მოკითხვა მოხსენდეს. მერე შენი*

---

[1] *Тамже, I, с. №69.*

[2] *იოსელიანი პლ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 117.*

[3] *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, I, с. 150, № 69.*

[4] *Тамже, с. 186, №129.*

წიგნი მოგვივიდა. (ბატონიშვილი) ფარნაოზისაგან სოფლების შეწუ-ხება და წართმევა მოგვწერა, და აგრეთვე გორში მოსვლა და გორელების მუქარის მოთხოვნა. იმ დღესაც მოგწერეთ და ახლაც ამას გწერთ, თუ ან ჩვენი ბატონ-ყმობა გინდა ან ჩვენი ერთგული ხარ, ახლა გამოგიჩნდება, რომ არც ფარნაოზი შეუშვა გორში და არც ფარნაოზის კაცნი და არცარა დაანებო გორიდამა; თუ ან ფარნაოზ და ან ფარნაოზის კაცნი გორში შეგიშვია, ჩვენს ბატონ-ყმობაზედ და ჩვენს ერთგულებაზედ ჭელ-აღებული იქნები. – ფარნა-ოზის კაცებს ნურაფრით ნუ დაზოგამ, დასტური გაქვს. ჯოხით, კეტით, ქვით და იარაღით, თოფით, ხმლით, დანბაჩით, ნურაფრით ნუ დაზოგამ და ნურც შეუშვებ და თუ რომ დაიჭერ და დაჭერილს გამოგვიგზავნი და ჭელში ჩაიგდებ ისა სჯობს, რომელიც უნდა იყოს მანდ გორში მოსული კაცი და ერთის ფულისა არა დაანებოთ-რა, – ასე უნდა იცოდე. და შენი სოფლისა ოსებისაგან აკლება და აგრეეე ქართლში ოსებისაგან აშკარათ ჯარით სიარული და აკლება მო-გვწერა; ღუთის მოწყალებით მშვიდობა არის, ოსებისათვის ასეთს საქმეს ვიფიქრებთ რასმე, რომ მაგათ ველარ ითარეშონ ქართლში და ველარცარა უმტრონ. გორის მამასახლისო და გორელებო! ამ საქმეზედ თუ რომ ამილახვარს არ ეთანხმებით და ფარნაოზის კაცის შემოუშვებლობასა და ავათ მოპყრობაზედ ამ საქმეზედ არ დაემორ-ჩილენით, ჩვენი მოსისხლენიც იქნებით და კიდეც გარდაგახდევინებთ; ნუ ცრუობთ და ნურც ალამ-ყალამობით, სწორეს პირით და სწორეს გულით მოიქეცით და ამილახვარს უქომაგეთ ამ საქმეზედა; და ამილახვარო, შენი დაბარება რომ მოგვეწერა, ნუღარ წამოხვალ, მაგ ქვეყანას მოუარე და მანდაური და შენი ამბავი მოგვწერე“[1].

წერილიდან ჩანს, რომ შიდა ქართლში არასახარბიელო მდგო-მარეობა იყო. ფარნაოზ ბატონიშვილი ძალით ცდილობდა მის დამორჩილებას. ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების გამო ოსთა რაზმებიც დათარეშობდნენ. მაგრამ მეფეს ოსთა საკითხი ნაკლებად აწუხებდა. მისი საზრუნავი გორში შექმნილი სიტუაცია იყო. მეფეს განსაკუთრებით აფიქრებდა გორელების განწყობილება. როგორც ჩანს, ისინიც არც მეფეს ერთგულობდნენ და არც ამი-ლახვარს ემორჩილებოდნენ. ისინი ბატონიშვილ ფარნაოზს უჭერდნენ მხარს. გორელების ასეთი განწყობილება ბატონიშვილებისა და მათი აგენტების ანტირუსული პროპაგანდით და იულონის გამეფების სურ-

[1] *Тамже, с. 154, №77;* იგივე წერილი შემოკლებით იხ. *Дубровин Н., История войны и владичества русских на кавказе, III, Санкт-Ретербург, 1886, с. 281.*

ვილით იყო განპირობებული, მაგრამ სნეულ მეფეს აქტიური მოქმედება არ შეეძლო.

გიორგი XII-ის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 1800 წ. 20 დეკემბერს, ამილახვრების სარეზიდენციო სოფელ ჭალაში შეიყარნენ ბატონიშვილები – იულონი, ვახტანგი და ფარნაოზი და იულონის ერთგულებაზე ხალხს აფიცებდნენ[1]. იმავე დღეს დავითი თავის ძმას, ბატონიშვილ თეიმურაზს წერდა, რომ სურამიდან ჭალამდე მცხოვრები ყველა თავადი და აზნაური შეეყარა და გორში მიეყვანა დავითისადმი ფიცის მისაცემად. ის თეიმურაზს უბრძანებდა: *„შენ (გორის – ე. მ.) ციხეში იყავიო. ბევრი პური მოამარაგე. თუ შენი ბიძები მოისურვებენ გორში მოსვლას – არ შეუშვა, დაამზადე ტყვია, დენთი. მე შენ გნიშნავ ქართლის ნაცვლად. შეიკრიბე ჯარი და მზად იყავ. გაიგე აგრეთვე შენი ბიძები რას საქმიანობენ“*[2].

20 დეკემბერს, ალბათ იმავე ჭალაში, შედგენილ იქნა მოწოდება, რომლითაც ბატონიშვილებმა – იულონმა, ვახტანგმა და მირიანმა ოთარ ამილახვარს და გორელებს მიმართეს:

„მის ბრწყინვალებას ამილახვარს ოთარს, ერთობით გორელებს, სამღვდელოთი, საეროთა, ქეთხუდათა და სხუათა. – მეფის ძეთა იულონისა, ვახტანგისა და მირიანის მიერ მრავალი პატივისცემით მოკითხვა ეუწყოსთ. მერე ეს განგეცხადოსთ თქვენ, რომ ჩვენს ძმან მეფე გიორგიზედ ჩვენ სიკეთები მიგვიძღვის, ხომ ყველა კარგად იცით; როდესაც სანატრელი ჩვენი ხელმწიფე მამა ჩვენი ბატონი მიიცვალა, მას უკან როგორ გავამეფეთ, ან როგორ ერთგულება და სიყვარული ვაჩვენეთ, და ან იმისი სამსახური და სიამოვნება როგორ მოვინდომეთ; მაგრამ რაც იმის მაგიერი ავი საქმეები მოგვადგა იმისგან, ან ბატონს დედოფალს დედას ჩვენს და ან ჩვენს ძმებს, ეს ყველამ ხომ კარგად იცით, რომ ჩვენგან არც ერთი არ დაითმობოდა, მაგრამ რადგანაც უფროსი ძმა იყო და მამის ჩვენის ანდერძითა ის იყო განწესებული პირველად, იმისთვის დავითმინეთ და ახლა ჩვენის ცოდვით და უბედურებით ჩვენი ძმა მეფე გიორგი მიიცვალა. ახლა თქვენ ხომ იცით, მამა ჩვენი მეფე ერეკლე როგორ მოჭირნახულე მეფე იყო ან ოჯახზე და ან ქვეყანაზე: იმისიც მამა იყო და ჩვენიცა. როგორც იმის (ერეკლე II – ე. მ.) დადებული ანდერძი არის, ხომ

---

[1] *„ცისკარი“, 1869, №1.*

[2] *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, I с. 296, №354.* ციტირებული მიმართვის განსხვავებული ინტერპრეტაცია იხ. *Дубровин Н., История войны и владичества русских на кавказе, III, с. 340-341,*

კარგად იცით, რომ ძმებზე უფროს-უმცროსობით ჩამორიგებით განაწესა მეფობა და ის განწესება ქვეყნისაგან დამტკიცებული არის. ახლა ის ჟამი მოვიდა. მეფის გიორგი შემდგომი ძმა ვინცა ვარ ამას წინათ იმის დიდებულებას რუსეთის იმპერატორსაც გამოუცხადეთ, აგრეთვე მესაზღვრე ვინც არის ისპეხტორი და აგრეთვე აქ მყოფ იარანელებსაცა. ღუთის სამართლით და მამის ჩვენი განწესებით ამას გწერთ, როგორც მამის ჩვენის განწესებულს დამტკიცებულზედ ისე მტკიცედ უნდა დავსდგეთ; თქვენგან მამის ჩვენის ერთგულებას გარდა, ეს იმედი გვაქვს, თუნდა ჩვენ არ შეგატყობინოთ, თითონ თქვენ განგვაღვიძებთ და თითონ თქვენ მოგვძებნით, ამიტომ რომ თქვენ სვინდისიანს კაცად გიცნობთ, რომ მეფის ირაკლის ანდერძის გატეხა ღმერთმან გაშოროსთ, და ახლა ის ჟამია, რომ ყოველი სრული ერთგულება და მორჩილება გვიჩვენოთ; თუ ჩვენი წინააღმდეგი გიჩვენოსთ ვინმე და ან დაგიბაროსთ, არ გაიგონოთ. ჩვენ გორს გარშემო ვიქნებით და იქ შემოგვეყარენით, ამაზე კიდეც გეველერებით, კიდეც გირჩევთ და კიდეც გიბრძანებთ, რომ ეს ჩვენი სიტყვა გაიგონოთ, და თუ თქვენ ამას იქით ამ ჩვენს სიტყვას მამიჩვენის განწესებისამებრ დაიჯერებთ, ჩვენ ამ სიკეთეს გიზამთ, – სხვას სიყვარულს და წყალობას გარდა. თქვენი ცოლ-შვილის გულისათვის ჩვენს სისხლს დავაქცევთ და თუ არ დაიჯერებთ ამოწყვეტა იქნება და ჩვენგან ამ საქმის დათმობა არ იქნება, ჩვენ უვალონი ვიქნებით და თქვენ წინაშე ღუთისა მოვალენი დარჩებით; როგორც თქვენ გწერთ, ასე მთლად ქართლსა და კახეთსა ვწერთ. დეკემბრის Ძ ქრონიკონს უპᲑ“[1]

დავით გიორგის ძეს მომხრეები ურჩევდნენ მეფედ გამოეცხადებინა თავი. ისინი ხმებს ავრცელებდნენ, იმპერატორს ვითომ დავითი დაედგინოს მეფედ. დავითმა მეფურად მოქმედება დაიწყო. მაგრამ ქართლელები და, მათ შორის გორელებიც ოთარ ამილახვართან ერთად, იულონს ემხრობოდნენ. მათ ერთგულების ხელწერილიც კი მისცეს იულონს[2]. ოთარ ამილახვარი 2 იანვარს ბატონიშვილებთან გაიქცა[3]. კნორინგი წერდა, რომ იულონმა ქართლში შეკრიბა თავისი ქვეშევრდომების ჯარი და იმათ სახლ-კარს იკლებდა, ვინც უარს

---

[1] *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, I, с. 229-230.* ბატონიშვილებმა დაახლოებით ასეთივე შინაარსის მოწოდება გაუგზავნეს თბილისელებს 1801 წ. 3 იანვარს.

[2] *„ცისკარი“, 1869, №1, გვ. 7.*

[3] *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, I, с. 315, №395.*

იტყოდა მისადმი მორჩილებაზე. იულონს დიდად ეხმარებოდნენ ბატონიშვილი ფარნაოზი და გორის მოურავი, იულონის ცოლისძმა, ოთარ ამილახვარი. გორის ციხეში იდგა გულიაკოვის მუშკეტერთა პოლკის როტა კაპიტან გარცევიჩის მეთაურობით, როცა ეს რაზმი გორში მოვიდა, მოსახლეობის ერთი ნაწილი სიხარულით შეხვდა. იულონთან გაქცეული 30 კაცი თავის ოჯახს დაუბრუნდა. გორელების მოქმედებით განრისხებული იულონი გორის მიდამოებს იკლებდა.

ლაზარევის ერთ-ერთი წერილის მიხედვით, ქართლის თავადთა დიდი ნაწილი მეფე გიორგის ანდერძიდან გამომდინარე, დავითის ერთგული იყო, მაგრამ ბატონიშვილების შიშით თბილისში წასვლას ვერ ბედავდნენ თავიანთი ნების გამოსახატავად. ისინი დავითსა და ლაზარევს სთხოვდნენ, რომ გორში მისულიყვნენ, სადაც მათ წინაშე წარდგომის შესაძლებლობა ექნებოდათ[1]. იმავე დროს რუსი გენერლისათვის ცნობილი გახდა, რომ ბატონიშვილები ჯარს აგროვებდნენ და იმერეთის მეფეს დახმარებას სთხოვდნენ. იულონი, ალექსანდრე და ფარნაოზი, რომლებმაც ფეხი ვერ მოიკიდეს ქართლში, თავიანთი ოჯახებით და შინაყმებით იმერეთში გადავიდნენ.

ხმა გავრცელდა: რუსეთის ჯარებმა საქართველო დატოვა, სოლომონ II-მ თავისი ჯარი ბატონიშვილების განკარგულებაში გადასცა და ქართლზე გამოისტუმრაო. მაგრამ როცა ცნობილი გახდა, რომ პოლკოვნიკ სიმონოვიჩის გრენადერთა პოლკმა სურამის, ცხინვალის და გორის ციხეები დაიკავა, სოლომონმა თავის ჯარი დაშალა და ბატონიშვილებმა ხელი აიღეს განზრახვაზე[2].

პავლე იმპერატორის ბრძანების მიხედვით, კნორინგმა საქართველოში გასაგზავნად გაამზადა პოტრიაგინის დარგუნთა პოლკი, ტუჩკოვის გრენადერთა პოლკი და თავისი მუშკეტერთა პოლკი, მათი კუთვნილი საპოლკო არტილერიით და მეხუთე საარტილერიო პოლკის ოთხი ქვემეხით. ამგვარად, საქართველოში მდგომ რუსეთის ჯარის საერთო რაოდენობა შეადგენდა ქვეითთა 8 ბატალიონს, კავალერიის 10 ესკადრონს, ბატარეის 4 ქვემეხს, საველე არტილერიის 15 ქვემეხს და კაზაკების ასეულს. ჯარი ჩააყენეს თბილისში, თელავში, სიღნაღში, ლორეში, დუშეთსა და გორში. გორში ჩააყენეს ტუჩკოვის

[1] *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, I, с. 239-240, №221.*

[2] *Тамже, с. 244, №231.*

გრენადერთა პოლკის ერთი ბატალიონი, ეგერთა ერთი როტა და დრაგუნთა ორი ესკადრონი[1].

ოთარ ამილახვარი გორში დაბრუნდა. დავით ბატონიშვილმა გენერალ ლაზარევს სთხოვა, რომ ოთარ ამილახვარი, როგორც შფოთის თავი, დაისაჯოს რუსული ან ქართული კანონების მიხედვით. დავითი მის ერთ-ერთ სერიოზულ დანაშაულად იმას თვლიდა, რომ გორიდან ამილახვარი რამდენჯერმე თავისთან დაიბარა, მაგრამ არ ეახლა[2].

ოთარი მართლაც დააპატიმრეს. იგი შემდეგნაირად აღწერდა თავის დაპატიმრებისა და სატუსაღოში მისადმი მოპყრობას: „... *მას უკან ჩემ მტრებმა ასე რიგად დამაბეზღეს ბატონიშვილის დავითთან, რომ არას გლეხს ისე არ მოეპყრობოდა, მე ისე მომეპყრო, ამისთვის, რომ იულონ ბატონიშვილი ჩემი სიძე იყო, ერთმანეთს რომ მტრობდნენ, იმისთვის. გამომისია სამოცი ყაზახი, გორს, ჩემს სახლში ვიყავი. ჩამომიხდნენ ღამე, მძინარე ამაყენეს და გარეთ გამათრიეს ტიტველა და იქ ერთის გლეხის ტყავი ჩამაცვეს, გამიკრეს მკლავები, ორი საბელიც წელზე მომაბეს და ისე წამომიყვანეს ქალაქისაკენ. წინ და უკან შუბებით მიმიყვანეს ქალაქში და თათრის მეიდანში სალდათებს მიმაბარეს. დამაგდეს ერთს სახლში. არც კაცი მამიყვანეს და არც საჭმელი შემოუშვეს თვინიერ სალდათის პურის მეტი. ღვინოს თხოვნაზე ერთმა სალდათმა თავიც გამიტეხა. ვიყავ ამ მწუხარებაში სამი თვე, ამასაც არ დამაჯერეს. სახლში თუ რამ მებადა, ბატონიშვილს თეიმურაზს ამიკლებინეს. დავით ბატონიშვილის ბრძანებით ზემოხსენებული სახელოებიც ჩამომართვეს, გიორგი ამილახვარს მისცეს*“[3].

საქართველოში ცარიზმის რეჟიმის დამყარების შემდეგ ოთარ ამილახვარი ხელმწიფის სამსახურში შევიდა და დიდი ერთგულება გამოიჩინა.

1801 წ. 16 თებერვალს თბილისში გამოქვეყნდა ქართლ-კახეთის რუსეთის გუბერნიად გამოცხადების მანიფესტი. კნორიგმა აღმოსავლეთ საქართველოს სამართვად შეადგინა დროებითი მთავრობა. უმაღლესი ხელისუფლება, რომელიც შედგებოდა რვა მდივანბეგის ანუ მრჩევლისაგან – ლაზარევის მეთაურობით თბილისში იყო. უზენაეს ხელისუფლებას ექვემდებარებოდა ცალ-ცალკე არსებული ქართლისა და კახეთის მთავრობები. ქართლის მთავრობის სამყოფელი გორი გახდა.

---

[1] *Дубровин Н., История войны и владичества русских на кавказе, III, с. 340.*

[2] *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, I, с. 327, №416.*

[3] *Тамже.*

გორის გარეგანი სახე

ფეოდალური ხანის გორზე მრავალი აღწერილობითი ხასიათის ცნობა მოგვეპოვება, მაგრამ ისინი ძირითადად XVIII ს. დასასრულს და XIX საუკუნეს განეკუთვნება. რაც შეეხება ადრეულ პერიოდს, მხოლოდ მიახლოებითი სურათის აღდგენა შეიძლება.

გორის ქალაქს, გაშენებულს ბორცვის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე, განუმეორებელ სილამაზეს და მრისხანე ელფერს აძლევდა ბორცვის თავზე აგებული ციხესიმაგრე. ალბათ ასე გამოიყურებოდა იგი შორეულ წარსულშიც. ერთი რამ ცხადია, რომ გორის განაშენიანება, მისი თავისებური ბუნებრივი პირობების გამო ყოველთვის ერთნაირი იქნებოდა.

XVII ს. პირველი ნახევრის გორის და მისი აღდგენილი ციხის სურათი დაგვიტოვა იტალიელმა მისიონერმა ქრისტოფორო დე კასტელიმ. მის ნახატზე მოცემულია პატარა ქალაქური ტიპის დასახლება და კლდოვან ბორცვზე აღმართული უზარმაზარი ციხე სამხრეთიდან, ე.ი. ქალაქის მხრიდან.

რადგან როსტომ მეფემ კასტელს ციხის დახატვა დაავალა, მან სურათზე მხოლოდ ქალაქის ის ნაწილი დაიტანა, რომელიც უშუალოდ ციხეს ეკვროდა და იქვე გვიჩვენა ქალაქის ზოგიერთი დირსშესანიშნაობა: *„ნახატზე ნათლად ჩანს სამი ძირითადი, ერთმანეთის პარალელური ხაზი, რომლებზეც განლაგებულია მწვანეში ჩაფლული სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი სახლები, ეკლესიები, საფიქრებელია, ქარვასლაც, რადგან მის გვერდით შორეული ქვეყნებიდან მოსული მგზავრები არიან დაბანაკებულნი. ნაგებობათა ერთ კომპლექსს გალავანიც კი აქვს შემოვლებული. ფერდობის ძირში, მარჯვენა წინა პლანზე, ამხედრებული შუბოსნებია გამოსახული, მათგან მარჯვნივ კი მოზრდილი შენობაა – ჯარის სადგომად განკუთვნილი. ფერდობზე სახედარი მიიზლაზნება, ალბათ წყალი მიაქვს მოსახლეობისათვის; მას მამაკაცი მისდევს ხელში სახრით. ციხიდან ცოტა მოშორებით, ჩრდილო-აღმოსავლეთით ორსართულიანი შენობა დგას, რომელსაც ქონგურებიანი გალავანი და თაღიანი შესასვლელი აქვს. ციხე-ქალაქს ორივე მხრიდან წყალი ჩამოუდის“*[1].

---

[1] *ხუციხვილი მ., გორის ქუჩები // „ლიახვი“, გორი, 1976, გვ. 83*

ქართველ ისტორიკოსთაგან ვახუშტი ბატონიშვილი იყო პირველი, რომელმაც გორის მოკლე, მაგრამ უაღრესად საინტერესო აღწერა მოგვცა. იგი მოგვითხრობს: *„ამან სახელი მოიგო გორისაგამ, რომელი აღმოსულ არს მუნ დიდი ლიახვის მდინარის კიდესა ზედა. და მოსდგამს ამ გორას აღმოსავლეთით კუერნაქი, ჩრდილოთ მთა რუისისა, ლიახვის დასავლეთად, რომელი იწოდების კუერნაქადვე, სამჴრით მთა ბურეთისა და გორიჯურისა. და ამ მთის ძირს, გორსა და მთის შუა, დის მდინარე მტკუარი. ხოლო ქალაქს გორს ჩაუდის დასავლით მდინარე ლიახვი, და მიერთვის ლიახვი მტკუარსა ჩრდილოდამ... არს გორასა ზედა ციხე დიდი... ამის გამოხვეული ლიახვიდამ ლიახვამდე ქალაქი*“[1].

სომეხი ანონიმი ისტორიკოსის მიხედვით, როგორც აღინიშნა, X საუკუნეში გორი უკვე მძლავრ ციხესიმაგრეს წარმოადგენდა. რადგან გორის ქალაქად გადაქცევა დავით აღმაშენებლის სახელთანაა დაკავშირებული, მის დროს უნდა ჩატარებულიყო მნიშვნელოვანი სამუშაოები გორის კეთილმოწყობისა და გაფართოებისათვის. სხვანაირად არც შეიძლებოდა, მან ხომ ანისიდან წამოყვანილი სომხების ერთი ნაწილი გორში დაასახლა. საგულისხმოა, რომ გადმოსახლებას და ამ ქალაქში წარმოებულ მშენებლობას ისეთი ფართო მასშტაბი ჰქონდა, რომ თანამედროვე ისტორიკოსმა მათეოს ურჰაეცმა ეს ღონისძიებანი ქალაქის ახლად აშენებას გაუთანაბრა. ალბათ, ძირითადად მაშინ მიიღო გორმა ის არქიტექტურული ფორმა, რომლის აღწერის ფრაგმენტები გაფანტულია ძველ ქართულ და უცხოურ დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროებში.

მრავალი ცნობა მოგვეპოვება იმის ამსახველი, ფეოდალური ანარქიისა და უცხოელი დამპყრობლების შემოსევათა შედეგად, როგორ იწვოდა, ინგრეოდა და იძარცვებოდა გორი.

პირველი ცნობა გორის ძლიერ დაზიანების შესახებ განეკუთვნება XIII ს. დასასრულს, ოსთა ხელიდან მისი დახსნისათვის ბრძოლის დროს. იგი დაიწვა[2].

გორი XIII-XIV საუკუნეებში იმდენად დაკნინდა, რომ მას ერთერთი წყარო *„დაბა-ქალაქად“* მოიხსენიებს[3]. მაგრამ იმავე საუკუნის 80-იან წლებში გორი კვლავ აღდგა. მაშინდელ საბუთებში ნათქვამია:

---

[1] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 366-367.*

[2] *ქართლს ცხოვრება, II, გვ. 296; ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 239.*

[3] *სომხური ხელნაწერთა ანდერძების ცნობები, გვ. 153.*

„შემოგვიწირავს ხატისა ოქონისათვის... აგერვე გორს ვაჭარნი ექვსნი მათითა სახლ-კარითა ჭურმანრნითა და ქულბაქითა“[1].

XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე საქართველომ, მართალია, გაუძლო თემურ-ლენგის ურდოების მრავალგზის შემოსევას, მაგრამ ეკონომიკურად და კულტურულად დაქვეითდა, მოსახლეობა შემცირდა. თემურ-ლენგის შემოსევების შემდგომ ქართულ ენაში გაჩნდა ისეთი სიტყვები, როგორიცაა: *„ნაქალაქარი“, „ნასოფლარი“, „ნაფუძვარი“, „ნავენახარი“, „ნასახლარი“...*

მართალია გორი ნაქალაქარად არ გადაიქცა, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი ისე დაკნინდა, რომ 1406 წ. გორელი გრიგოლ ტათევაცი გორს ქალაქად კი არა, დაბად მოიხსენიებს[2]. არ გასულა დიდი ხანი და მთელ საქართველოში გაიშალა აღდგენითი სამუშაოები, რომელსაც მეფე ალექსანდრე I (1412-1442) მეთაურობდა. მოაღწია ცნობებმა როგორი ყურადღება დაუთმო მეფემ გორს, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ალექსანდრე I-ის დროს, იგი აღსდგა და ადრინდელი მნიშვნელობა კვლავ დაიბრუნა. ალბათ ამიტომ ამბობდა გორელი გადამწერი ჰოჰანესი, რომ *„ეს წმინდა სახარება დაიწერა დედაქალაქში, რომელსაც ჰქვია გორი, საქართველოში ალექსანდრეს მეფობისას“*[3]. გორის გაძლიერების არაპირდაპირ მინიშნებად უნდა მივიჩნიოთ, აგრეთვე, ჩვენამდე მოღწეული რამდენიმე საბუთი ალექსანდრე I-ის დროიდან. მხედველობაში მაქვს ალექსანდრე მეფის სამი წყალობის სიგელი ავთანდილ ზევდგინიძისადმი. სიგელებიდან ჩანს, როგორ საპატიო და შემოსავლიანი თანამდებობა იყო გორის მოურავობა. გორის მოურავი ავთანდილი უფრო წინაა დაყენებული ვიდრე მისი ძმა მოლარეთუხუცესი თაყა[4].

მართალია ქვეყნის აღდგენა ხდებოდა, მაგრამ გადავლილი ქარიშხლისაგან მიყენებული ჭრილობები მაინც დიდხანს აჩნდა. ამ დროისათვის აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ქალაქები იმდენად შემცირებული იყო, რომ მათ ფონზე გორი მნიშვნელოვან ქალაქად გამოიყურებოდა. XV ს. 70-იან წლებში ვენეციელი ვაჭარ-დიპლომატი ჯოსაფატ ბარბარო მთელ აღმოსავლეთ საქართველოში ასახელებს ორ ქალაქს – თბილისსა და გორს. ყურადღებას იპყრობს ბარბაროს ნათქვამი უზუნ-ჰასანის მიერ გორის გაძარცვის შესახებ. უნდა

---

[1] *გსიემ, №7601/30.*

[2] *სომხური ხელნაწერი ანდერძების ცნობები, გვ. 30.*

[3] *იქვე, გვ. 55.*

[4] *ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 118-122.*

ვიფიქროთ მტერმა ხელთ იგდო იმდენი ნადავლი, რომ ბევრის მნახველმა ვენეციელმა ამის აღნიშვნა აუცილებლად ჩათვალა[1]. ამავე დროს ეწვია გორს მეორე ვენეციელი ამბროჯო კონტარინი. *„17-ში (1474 წ. ივლისი – ე. მ.) მივედით ხსენებული მეფის ქალაქში, – წერს კონტარინი, – რომელსაც გორიდეს ჰქვია. იგი მდებარეობს ველზე ბორცვთან, რომელზეც ხის ციხეა. ახლოს მოედინება დიდი მდინარე და საერთოდ კარგი ადგილია“*[2]. კონტარინის ნათქვამიდან, ამჯერად, ყურადღებას იპყრობს ის, რომ XV ს. მეორე ნახევარში ქართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტი ხის ციხით იყო დაცული, რაც თემურ-ლენგისა და მისი მემკვიდრეების შემოსევების შედეგი იყო. იგი იმდენად დაზიანდა, რომ მისი სრული აღდგენა, ე.ი. ციხის ქვითკირით ხელახლა აშენება ამდენი ხნის შემდეგაც ვერ მოხერხდა[3].

არაერთი აოხრება განიცადა გორმა XVI-XVII ს. ყიზილბაშთა და ოსმალთა თარეშის შედეგად, მაგრამ იგი ქართლში მაინც მნიშვნელოვან ქალაქად რჩებოდა.

საშინლად განადგურებული იხილეს გორი კათოლიკე პატრებმა 1628 წ. თამარაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, *„იქაურობას ჯერ ისევ ეტყობოდა მტრის ცეცხლისა და მახვილის კვალი: მცხოვრებნი აღარსად ჩანდნენ, ზოგი გაეწყვიტათ და ზოგიც შორს გადაესახლებინათ; მთელი შენობა აღარსად დარჩენილიყო, მტერს ყველგან ნაცრად ექცია თლილის ქვის სახლები“*[4].

გორის აღდგენა-გალამაზების საქმეში დიდი როლი ითამაშა ქართლის მეფე როსტომმა (1633-1658), რომელიც საერთოდ მზრუნველობდა ქალაქებისა და ვაჭრობის განვითარებაზე. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით: *„აქა... მეფემან როსტომ ქმნა სასახლე ყიზილბაშთა რიგისა, წალკოტ-სავარდითა, დიდი ავაზანი წყლიანნი დიდ-დიდნი, შუენიერნი“*[5].

1673 წ. იანვარში გორი ინახულა და მისი მოკლე აღწერა დაგვიტოვა ფრანგმა მოგზაურმა ჟან შარდენმა *„გორი პატარა ქალაქია,*

---

[1] *XV საუკუნის იტალიელი მოგზაურების ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 61.*

[2] *Ramuasio G.B. Seconda volume delle Navigationi et Viaggi, v. II, Venetia, 1559, p. 115 v.*

[3] *გვრიტიშვილი დ., გორის წარსულიდან, თბ., 1951, გვ. 7.*

[4] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 100.*

[5] *ქართლის ცხოვრება, II, გვ. 367.*

– წერდა შარდენი, – გაშენებული ორ მთას შორის გაშლილ ვაკეზე, მდინარე მტკვრის ნაპირზე, ბორცვის ძირში, რომელზედაც ციხე-სიმაგრე დგას და რომელსაც სპარსელები იცავენ. იგი ააშენა სპარსეთის ჯარის მხედართმთავარმა როსტომ-ხანმა გურჯისტანის უკანასკნელი ბრძოლების დროს, ორმოცი წლის წინათ... ციხე-სიმაგრე კარგად არ არის დაცული. მის მთავარ ძალას მისი ადგილმდებარეობა წარმოადგენს. გარნიზონი შედგება ასი კაცისაგან. მის ძირში გაშენებული ქალაქი პატარაა. სახლები, ისევე როგორც დახურული ბაზრები, ალიზისაგან არის ნაშენი. მცხოვრებლები ვაჭრობას მისდევენ და საკმაოდ შეძლებულნიც არიან. აქ ბლომად და იაფად შეიძლება იშოვო ყველაფერი, რაც არსებობისათვის არის აუცილებელი“[1]. საინტერესოა, რომ, შარდენის მიხედვით, მაშინდელ ქართლის „პროვინციაში“ სულ ოთხი ქალაქი იყო – გორი, სურამი, ალი, თბილისი (შარდე-ნი ასეთი თანმიმდევრობით ჩამოთვლის). მაგრამ შარდენი ქართლში მხოლოდ ორ პუნქტს თვლის ნამდვილ ქალაქად – თბილისსა და გორს[2].

ჰოლანდიელი მეცნიერი ნ. ვიტსენიც (ქართველებისაგან მირებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით) XVII ს. მეორე ნახევრის ქართლში მხოლოდ ორ ქალაქს – თბილისსა და გორს ასახელებს[3].

გორის შემდგომ განვითარებაზე უარყოფითი გავლენა ჰქონდა ქართლში მიმდინარე დინასტიურ ომს. მარტო იმ ფაქტის აღნიშვნა კმარა, რომ XVII საუკუნის 90-იან წლებში ქართლის ტახტის მოსურნე გიორგი XI-ს მთელი ორწელიწადნახევრის განმავლობაში ალყაში ჰქონდა გორი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ვახტანგ VI-ის ჯანიშინობის დროს გორი *„იყო ცარიელი“*[4]. მან გაითვალისწინა გორის შესანიშნავი სტრატეგიული მნიშვნელობა და ზოგი სხვა მომენტიც და *„განაახლა“*. ის გორში ატარებდა *„შემოდგომა-ზაფხულს“*[5].

---

[1] *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 295-296.*

[2] შარდენი ამბობს: *„შუა დღისას ჩავედით ერთ პატარა ქალაქში, რომელსაც ალი ეწოდება. იგი მთებშია გაშენებული, გორიდან ცხრა ლიეს დაშორებით“. იქვე, 279; „სურამი, კაცმა რომ თქვას, მხოლოდ და მხოლოდ დაბას წარმოადგენს. იგი უფრო პატარაა, ვიდრე ქალაქი გორი“. იქვე, გვ. 296.*

[3] *Witsen N., Noort Oster gedelte von Asia en Europa, Amsterdam, 1705, S. 516.*

[4] *ქართლის ცხოვრება, I, გვ. 367.*

[5] *ქართლის ცხოვრება, II, გვ. 188.*

ვახუშტი ბატონიშვილის დროს, ე.ი. XVIII ს. პირველ ნახევარში, გორი კვლავ მეორე ქალაქად რჩებოდა თბილისის შემდეგ.

გორი ძლიერ დაზარალდა *„ოსმალობა“-„ყიზილბაშობის“* შედეგად. იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ხელიდან ხელში გადადიოდა. 1737 წ. თეიმურაზ II-მ ყიზილბაშთა ხელიდან გორის დახსნა სცადა. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ *„ქსნის ხევის ჯარი მიესივა გორის ქალაქსა და აიკლეს. ვინც მთის ჯარი იყო, ყველას დაუწყეს გლეჯა და ოჴრება... აიკლეს რაც დაახელეს. საყდრები ააოჴრეს, მრავალი ხატი დაამტვრიეს“*[1].

1770 წელს კაპიტანი იაზიკოვი წერდა: *„ქალაქი გორი მდებარეობს მდინარე მტკვარზე ზემოთ, თბილისიდან 80 ვერსტზე, შემოზღუდულია ქვის დაბალი და სუსტი კედლით, ბორცვზე ძველებური ციხეა, ცარიელი, რომელშიც ერთი მცველი ცხოვრობს. ამჟამად ქალაქის მოსახლეობა მცირეა, მაგრამ ნანგრევებიდან ჩანს, რომ მეტი იყო; რამდენიმე წესიერი სახლია, უმეტესობა კი მიწურია“*[2].

გორს მცირე დასახლებულ პუნქტს-დაბას უწოდებს ანტონ მოურავოვი, რომელიც აქ იმყოფებოდა 1770 წ.[3] იმავე პერიოდში, გერმანელი ი. რაინეგსიც გორს მცირე ქალაქს უწოდებს[4], მაშინ, როცა მეორე გერმანელი მეცნიერი ი. ა. გიულდენშტედტი, ქართლის ერთადაერთ ქალაქად გორს თვლის[5], ხოლო ს. ბურნაშევი, რომელიც სამხედრო პირი იყო, გორის ქალაქს არც კი ახსენებს და მხოლოდ გორის ციხის ძალიან მოკლე დახასიათებით კმაყოფილდება[6].

გერმანელი ი. კლაპროთი გორის ციხეზე საკმაოდ ვრცელი საუბრის შემდეგ გვაცნობებს: *„ქვედა ქალაქი სრულიად უდაბურად გამოიყურება, რადგან ძველი შენობების აღდგენა არ ხდება. სახლების*

---

[1] *პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, გვ. 122-123*

[2] *Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, 1, с. 188.*

[3] *Тамже, с. 217.*

[4] *Reinegs J., Allgemeine historisch-topographisch Beschreibung des Kaukasu, II, St-Petersburg, 1979, S. 75*

[5] *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გერმანული ტექსტი ქართულ თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 1962, გვ. 279.*

[6] *Бурнашев С., Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского, Тифлис, 1896, с. 8.*

დიდი უმრავლესობა მიწურია. ისევე როგორც თბილისში“[1]. მართალია, ი. კლაპროთი გორში შედარებით გვიან, 1808 წლის მაისში, იმყოფებოდა, მაგრამ ამ დროს გორის გარეგნობაში ბევრი არაფერი შეიცვლებოდა ჩვენთვის საინტერესო პერიოდიდან. ამაში კიდევ უფრო დავრწმუნდებით თუ ერთმანეთს შევადარებთ იაზიკოვისა და კლაპროთის გორის აღწერას ზემოთ რომ გავეცანით.

ფეოდალური ხანის გორის გარეგნობაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ალ. თუმანიშვილი 1816 წ. გამოცემულ თავის ბროშურაში. მასში ცალკეა გამოყოფილი *„ქალაქის სახე“.* თავის მშობლიურ ქალაქზე შეყვარებულმა ავტორმა, გაზვიადებულად წარმოგვიდგინა იგი. მაგრამ ალ. თუმანიშვილის მიერ აღწერილი გორის *„ქალაქის სახე“* იმით არის მნიშვნელოვანი, რომ იგი ძირითადად ემთხვევა ჩემ მიერ ზემომოყვანილი წყაროების მონაცემებს. ალ. თუმანიშვილი წერს: *„ქალაქს აქვს მრგვალი ამფითეატრის სახე. რომლის წრიული ხაზი იწყება ციხის დასავლეთი წერტილიდან და სწორი წრის მსგავსად შემოუვლის რა მას, შეუერთდება თავის საწყის წერტილს. ციხეც, ასევე, იწყება თავისი დასავლეთის წერტილიდან, გრძელდება ცენტრამდე ქალაქისა, რომელიც შედგება თითქმის მხოლოდ ქვის ნაგებობებისაგან და შემოფარგულულია მაღალი ქვის კედლით. მასში ქუჩები სწორი და განიერია, სახლები მაგარი, ლამაზი და შედგება საჭირო რაოდენობის პალატებისაგან; მოედნები ფართე და სწორია, ეკლესიები უზარმაზარი და დიდებულად შემკული... სხვათა შორის ქალაქში შემორჩა რამდენიმე სახლი, რომლებმაც დღემდე შეინარჩუნეს თავისი წარსული სიდიადე. რაც ვთქვით (ქალაქის – ე. მ.) გარე ბაღების შესახებ, იგივე უნდა ვიგულისხმოთ შინა ბაღებზეც. ისინი ირწყვება ქალაქში განგებ გაყვანილი რუებით. ქალაქის გარშემოწერილობა შეიცავს 25 000 კვადრატულ საჟენს*“[2].

ახლა, როდესაც უკვე ზოგადი წარმოდგენა გვაქვს გორის გარეგნობაზე, ჩემ ხელთ არსებული წყაროების საშუალებით შევეცდები, შეძლებისდაგვარად, წარმოსახვით აღვადგინოთ მისი ცალკეული დეტალი.

ფეოდალური ხანის სხვა ქალაქების მსგავსად, გორიც იყოფოდა ორ ნაწილად – ქალაქად და ციხესიმაგრედ.

---

[1] *Klaproth J. von, Reise in den Kaukasus und nach Georgian unternommen in den Jahren 1808, II, Halle und Berlin, 1814, S. 327.*

[2] *Туманов А. Б., Описание грузинского города Гори, СПБ., 1816, с. 22-23.*

დავიწყოთ ქალაქით[1]



სურ. 2

[1] გეგმა დაცულია მოსკოვში: Центральный государственный военно-истортческий архив, фонд ВУА, №21898

გალავანი

მართალია ქალაქს მძლავრი ციხე იცავდა, რომელშიც მოსახლეობას თავის შეფარება შეეძლო, მაგრამ ქალაქის ირგვლივ რაიმე ზღუდე მაინც აუცილებელი იყო მტრის მანამდე შესაკავებლად, ვიდრე მოქალაქენი ციხეს შეეფარებოდნენ. გორის შემთხვევაში აუცილებელი არ იყო ქალაქი მაღალი, სქელი, კოშკებიანი კედლით დაეცვათ. საკმარისი იყო მიწაყრილი, ქვის, ალიზის ან ხის კედელი. ალბათ ესაა მიზეზი, რომ გორის ქალაქის დამცველი გალავანის არსებობა ადრეულ პერიოდში არქეოლოგიურად ჯერჯერობით არ დასტურდება, მაგრამ სერიოზული კვლევის შედეგად არ შეიძლება მისი კვალი არ აღმოჩდეს. ქალაქის ირგვლივ არსებული სუსტი დამცავი კედელი განაპირობებდა, რომ მტერი მას შედარებით იოლად ეუფლებოდა, მაშინ როცა ციხის აღება რთულ საალყო ღონისძიებებს მოითხოვდა.

გორის დამცველი კედლის შესახებ ცნობები მხოლოდ XVII ს. შუა ხანებიდან გვაქვს, მაგრამ წარმოუდგენელია, რომ მის გარეშე, ფეოდალური საზოგადოების პირობებში, საუკუნეების მანძილზე, საქალაქო ცხოვრებას მიეღწია თუნდაც იმ დონემდე, რაც გორში იყო.

სომეხი ანონიმი ისტორიკოსის (ფსევდო-შაპუჰი) მიხედვით, გორი მძლავრ ციხესიმაგრეს წარმოადგენდა ჯერ კიდევ X საუკუნეში. გორი საკმაოდ გამაგრებული ქალაქი უნდა ყოფილიყო XIII საუკუნეში. მას შემორტყმული უნდა ჰქონოდა ზღუდე. ჟამთააღმწერელი ასეთ ზღუდეს გულისხმობდა, როცა ის ოსებისაგან ქალაქის გათავისუფლებისათვის ბრძოლას აღწერდა: *„მაშინ შეკრბეს ქართლის ერისთავისა ბეგას ძესა ამადას წინაშე ყოველნი ქართველნი, და მოადგეს გორსა. და მრავალგზის შეებნეს, და ქალაქსა შინა მრავალი კაცი მოკუდა, ოვსიცა და ქართველიცა“.* ქართველნი უტევდნენ და ქალაქის ზღუდის დაუფლებას ცდილობდნენ. ამის გამო იყო, რომ მრავალი ოსი და გორელი დაიღუპა, როცა ქართველთა ჯარი ქალაქში შევიდა, ოსები ციხეში გამაგრდნენ. ქალაქი დიდად დაზიანდა. იგი ხანძარმა შთანთქა.

გიორგი V ბრწყინვალეს ოსების გორიდან განსადევნად 3 წელი დაჭირდა. ამ დროის განმავლობაში ქალაქს ალყა ჰქონდა შემორტყმული და, საბოლოოდ, იგი შტურმით აიღეს, რაც ქალაქს დიდად დააზიანებდა. ოსების ბატონობამ ქალაქი, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ დააზარალა, დააკნინა კიდეც.

პირველი წერილობითი ცნობა გორის გალავნის შესახებ როსტომ მეფის დროინდელია. მეფე როსტომმა, როცა გორში ფართო საამშენებლო საქმიანობა გაშალა სასახლისა და სხვათა ნაგებობათა ასაგებად საჭირო მიწის ნაკვეთების ნაკლებლობა იმით შეავსო, რომ *„რაც გალავნის შიგნით მამული ჰქონია გორგინაჯაშვილს და რაც ახლოს ალაგი სამოსახლოდ გამოურთმევია, სანაცვლოდ უბოძებია შორს, ახლოს ადგილი მიჯნებითურთ დანიშნული“*[1].

საინტერესოა, რომ შემდგომ პერიოდში, კერძოდ, 1672-1673 წლებში, ჟან შარდენი პირდაპირ მიუთითებდა, რომ საქართველოში სხვა გალავნიანი ქალაქი, გარდა თბილისისა, არ არისო[2].

გაგვიჭირდება რაიმეს თქმა შარდენის ამ ცნობის გამო. როგორც ზემოთ ვნახეთ, ქართული წყარო პირდაპირ ლაპარაკობს გალავნის შესახებ. გამორიცხულია მასში ციხის და არა ქალაქის გალავანი იგულისხმებოდეს. ციხის შიგნით განა რა მამული უნდა ჰქონდეს გორგიჯანაშვილს, რომ სასახლის ასაგებად ეკმარა. არც ისეთი რამ მომხდარა იმ დროს, რომელსაც შეიძლებოდა სერიოზული ნგრევა გამოეწვია. მხედველობაში უნდა გვქონდეს ისიც, რომ ქართული და ფრანგული წყაროები თითქმის ერთსა და იმავე პერიოდის გორზე ლაპარაკობენ.

გორის გალავანი უნდა იგულისხმებოდეს 1711 წლის ერთ საბუთში. მასში ვკითხულობთ: *„თაყინაშვილისაკენ აქათ მარნის კარამდი რასაც მარნის კედელი ჩაიტანს, გალავნის კედელში რომ ხათილი არის, იმაზე რომ დასტაკი აკრავს, ის შუას კედელში უნდა მოვიდეს“*[3]. გორის გალავანზე მიუთითებს ომან ხერხეულიძე 1774 წლის ამბებთან დაკავშირებით. ოსმალებმა თედოწმინდასთან ძლეული ქართველები და ყიზილბაშები *„გამოაქციეს და მოჰყვნენ გორის გალავნის კარებამდე“*[4].

XVIII საუკუნეში, კერძოდ 1770 წ., გორს შემოვლებული ჰქონდა ქვის კედელი. რუსი კაპიტნის, იაზიკოვის თქმით, ის *„დაბალი და სუსტი კედელი იყო“*[5]. იმავე წელს მოურავოვი გრაფ პანინისადმი

---

[1] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1451, №18.*

[2] *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 325.*

[3] *ქართული სამართლის ძეგლები, IV, გვ. 235, №160.*

[4] *ქართლის ცხოვრება, II, ჩუბინაშვილის გამოცემა, გვ. 480.*

[5] *Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, I, с. 89.*

გაგზავნილ წერილში გორს აღმოსავლეთ საქართველოს იმ დასახლებულ პუნქტებს შორის ასახელებს, რომლებსაც ქვის გალავანი ჰქონდა[1]. გორის გალავანი ნახსენებია, აგრეთვე, 1797 წლის ერთ საბუთში[2].

საოცარია, რომ გორის 1802 წლის გეგმის მიხედვით, ქალაქს გარს ევლებოდა ალიზის კედელი. თუ 1770 წ. როგორც ზემოთ ვნახეთ, კედელი ქვისა იყო, რატომ უნდა დაენგრიათ, თუნდაც იგი „დაბალი და სუსტი“ ყოფილიყო. 1793 წლის საბუთშიც „ქვიტკირის კედლებია“ მითითებული[3]. ი. კლაპროთი აღნიშნავდა, რომ გორს შემოვლებული აქვს წრისებური გალავანიო[4]. ისეთ დაკვირვებულ მოგზაურს, როგორიც კლაპროთი იყო, მხედველობიდან არ გამორჩებოდა ქალაქის ირგვლივ ალიზის კედლის არსებობა. ავთანდილ თუმანიშვილის დროსაც (XIX ს. დასაწყისი) გორს ქვის კედელი ჰქონდა[5].

ამგვარად, გეგმის შემდგენელი სცოდავს, როცა ქალაქის გალავანს ალიზით აშენებულად მიიჩნევს.

XVIII ს. 70-იანი წლების დასაწყისიდან გორის გამაგრებადაცვისადმი განსაკუთრებული ყურადღება ერეკლე II-ემ გამოიჩინა. გორის ქალაქის გამაგრებას, კერძოდ, გალავნის განახლებას, მოითხოვდნენ რევაზ ამილახვარი და გიორგი ყულარაღასი. მათი წერილის პასუხად 1772 წ. 29 თებერვალს ერეკლე აცნობებდა: *„ამას გარდა გორის გალავნისა რომ მოგეწერათ, ჩვენ შუა შევაწერეთ და ხანდაკი უნდა გააჭრევინოთ. ხანდაკს ხუთი განი უნდა ჰქონდეს და ოთხი ადლი სიღრმე, ასე უნდა გააკეთებინოთ*“[6] იმავე დროს მეფეს ციხის განახლება განუზრახავს. ყველა ეს სამუშაო, მისი ბრძანების თანახმად, იმათ უნდა შეესრულებინათ, *„ვინც გორში არიან ხიზანი და მეკომური“.*

---

[1] *Тамже, с. 217.*

[2] *გსიემ, №17636/5.*

[3] *იქვე, №149.*

[4] *Klaproth J. von, Reise in den Kaukasus und nach Georgian unternommen in den Jahren 1808, II, S. 325;* მისივე, *Beschreibung der Rossischen Provizen zwischen den Kaspischen und Schwarzen Meere, Berlin, 1814, S. 56.*

[5] *Туманов А. Б., Описание грузинского города Гори, с. 23.*

[6] *გაბიჩვაძე ა., გორის ციხე ერეკლე II დროს, გვ. 9.* ი. ბერძნიშვილს რატომღაც ეგონა, რომ ერეკლე II ციხის გალავნის გამაგრებას აპირებდა. *იხ. მისი, გორის ციხე, გვ. 46.*

1773 წ. 27 მარტს რევაზ ამილახვარისადმი გაცემული ოქმიდან ირკვევა, რომ გორის გალავანი ამ დროისათვის უკვე დასრულებული იყო[1]. მაგრამ მისი სრულყოფა შემდეგშიც გრძელდებოდა. იმავე წლის 3 ივნისის ბრძანებით რევაზ ამილახვარს და გორის მელიქს გალავნის ჯიხურების[2] დადგმა დაევალათ. გათვალისწინებული იყო სულ რვა ჯიხური. აქედან 4 უნდა დაედგათ იმათ, ვინც გორის გალავნის შიგნით სახლობდა, ე.ი. გორელებს, ხოლო დანარჩენი 4 *„ვინც გორის ციხეში სოფლები დაიხიზნება“*[3].

ერეკლე II-ის მიერ გორის ქალაქისათვის შემოვლებული გალავანი უნდა იყოს ასახული 1802 წლის გორის გეგმაზე. მაგრამ გეგმაზე ხანდაკი და ჩარდახი არ ჩანს[4].

გალავნის წარმოსახვითი რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა 1802 წ. გეგმა[5]. გალავანი იწყებოდა ბორცვის ჩრდილო ფერდობის ძირას, დაახლოებით იქ, სადაც დღეს რუსთაველის მემორიალია. კედელი ჯერ პირდაპირ მდ. მეჯუდისაკენ მიდიოდა, შემდეგ მდინარის ნაპირს აღმოსავლეთით გაუყვებოდა, შემოფარგლავდა მეორე საშუალო სკოლის ტერიტორიას, ი.ბ. სტალინის სახლ-მუზეუმს, ყოფილი ინტურისტის შენობას, მივიდოდა ი. ბ. სტალინის მოედნამდე. შებრუნდებოდა დასავლეთით, გაივლიდა ფოსტის, თეატრის მიდამოებს, ამილახვრების ყოფილ სასახლეს და მიდიოდა წერეთლის ქუჩაზე ამჟამინდელ რესტორან „ბერიკონთან“. კედელი აქ, ე. წ. *„თურქეთის კართან“* წყდებოდა. გეგმაზე დასმული წერტილები მიგვანიშნებს, რომ წინათ კედელი გრძელდებოდა დღევანდელი კასტელის ქუჩის გაყოლებით და უერთდებოდა „ცხრა კარის“ დასავლეთ წვერს. დაზუსტებას მოითხოვს შ. მესხიას მოსაზრება, რომ *„ლიახვის შედარებით ამაღლებული ნაპირიდან მოკიდებული ვიდრე ციხის ჩრდილო-დასავლეთ წვერამდე ქალაქს იმ ხაზის გარდა, სადაც ქალაქის კარი იყო, კედელი არ ჰქონია, აქედან ქალაქის დაცვა, როგორც ჩანს, ლიახვს ჰქონია მინდობილი“*. როგორც აღინიშნა, გეგმაზე კარგად ჩანს, რომ ადრე ლიახვის მხრიდანაც

---

[1] *საისტორიო მომაბე, I, გვ. 10.*

[2] ჯიხური – კონტექსტის მხედვით უნდა ნიშნავდეს ხის ნაგებობას გუშაგისათვის.

[3] *იქვე, გვ. 11.*

[4] *Центральный государственный военно-истортческий архив, фонд ВУА, №21898;* იხ. აგრეთვე, *მესხია შ., საისტორიო ძიებანი, III, გვ. 319, 397.*

[5] *Центральный государственный военно-истортческий архив, фонд ВУА, 20548.*

კედელი იყო, მაგრამ შემდეგში დაინგრა, რაც, ალბათ, იმავე ლიახვის „დამსახურება“ იყო.

XVIII ს. 80-იან წლებში რუსი სამხედრო ინჟინერი ს. ბურნაშევი გორს, მართალია, ძველებურ ყაიდაზე გამაგრებულ ქალაქად თვლიდა, მაგრამ იქვე შენიშნავდა: თავისი მდებარეობით არა მხოლოდ ადგილობრივი ხალხებისათვის, არამედ ევროპელებისთვისაც ძნელად ასაღები იქნებაო[1].

ზემოთ უკვე ითქვა, ერეკლე II-ემ სერიოზული სამუშაოები ჩაატარა გორის დაცვის, კერძოდ, მისი გალავნის გასამაგრებლად, მაგრამ, როგორც ირკვევა, გატარებული ღონისძიებანი საკმარისი არ იყო. გორი მაინც საიმედოდ არ იყო დაცული. ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-სადმი წარდგენილ სამეფოს გარდაქმნების პროექტში (1799 წ.), იოანე ბატონიშვილი გორის ქალაქის გალავნის შემდეგნაირად გადაკეთებას მოითხოვდა: *„თუ ჯერ ხანად ვერ შევიძლოთ ამის ხელხება, გორს გარშემო შემოევლოს დიდი და ღრმა თხრილი, შიგნიდამ ამოვიყვანოთ დიდი გალავანი, ორს-ორს ადგილზედ გაუკეთოთ დიდრონი ბურჯები სანგრად, გარედამაც ამოვიყვანოთ მიწის პირად კედელი და ესე ავავსოთ ფშნების წყლით. ამ გალავნის კედლების გვერდზე, გაუყოთ სახლების ადგილი თავადაზნაურთ, აგრეთვე გლეხთა სახიზნად, გაკეთდეს ზეითი ციხე, ვიდრე რაც აკლდეს და გაიწყოს ესეც ამ სახედ“*[2]. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ამ პროექტის განხორციელება დღის წესრიგიდან მოიხსნა.

გალავანში სამი ჭიშკარი იყო. თითოეულ მათგანს თავისი სახელი ჰქონდა: ***„იმერეთის ჭიშკარი“, „მუხრანის ჭიშკარი“*** და ***„თურქეთის ჭიშკარი“.*** ჭიშკრები განლაგებული იყო შემდეგნაირად: *„იმერეთის ჭიშკარი“* იყო დღევანდელ II საშუალო სკოლასთან, *„მუხრანის ჭიშკარი“* დღევანდელი გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან, ხოლო *„თურქეთის ჭიშკარი“* ამჟამად არის რესტორანი „ბერიკონი“.

იშვიათად შევხვედრივარ წერილობით წყაროებს, სადაც ქალაქის ჭიშკრის შესახებ იქნებოდა რაიმე ცნობა. მხოლოდ 1797 წლის ნასყიდობის წიგნში ნახსენებია *„გორის ჭიშკარი“,* რომელიც მდებარეობდა ციხის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. მეჯუდას მხარეს, აქედანვე

---

[1] *Бурнашев С., Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского, с. 8.*

[2] *იოანე ბაგრატიონი, სჯულდება, გვ. 54.*

გადიოდა ე. წ. *„თემის შარა“*[1]. წერილობითი ცნობის და გეგმის მონაცემების შეჯერებით დგინდება რომ *„გორის ჭიშკარი“* იგივე *„იმერეთის ჭიშკარია“.*

უბნები და დასახლებები

გორის უბნებისა და დასახლებების შესასწავლად უმნიშვნელოვანეს ცნობებს შეიცავს *„1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“*. უნდა აღინიშნოს, რომ დავთარში მოთავსებული ცნობები შეეხება არა მხოლოდ ქალაქის, არამედ მის მიმდებარე იმ ტერიტორიებსაც, სადაც განფენილი იყო გორელების სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, მაგრამ იქ დასახელებული ყველა ტოპონიმის განმარტება ვერ ხერხდება. სანიმუშოდ მოვიყვან ერთ ადგილს: *„საზღვარი ხსენებული კაზასი*[2] *მდინარე ელბაჯიდან ზემო სათავემდე და ახალდაბის გზით, იქიდან რინჯეს საზღვრამდე, იქიდან კი სოფელ ბერბუკის საზღვრამდე, იქიდან რინჯეს სელბის ზედა გორაკამდე. იქიდან ხუილისხევის საზღვრამდე, იქიდან კი მდინარე გოზას ქვედა სათავეებთან მთავრდება“*[3].

მცირე და განსხვავებული ცნობები გვაქვს გორის უბნების შესახებ. გორი, სხვა ქალაქების მსგავსად, უბნებად რომ იყოფოდა, ამაზე მიუთითებს ფარსადან გორგიჯანიძე, როცა იგი როსტომ მეფისა და თეიმურაზ I-ის ურთიერთ ბრძოლის ეპიზოდს გადმოგვცემს: *„კიდევ გორიდამ ანბავი მოვიდა – წუხელის ბატონი თეიმურაზ გორს დაესხა... უბანსა და უბანსა თავისივე კაცები უჩინეთო“*[4].

ყველაზე ადრინდელი ცნობა, რომელშიც გორის „უბანია“ დასახელებული, არის 1579 წლის სვეტიცხოვლის მამულების განახლების წიგნი. გორში იყო **„ხარების საყდრის უბანი“** და **„სუფრაჯიანთ უბანი“**[5]. 1711 წლის ერთ საბუთში არის გორის ადგილები – **„დამპალა“** და **„სულუხი“**[6]. პირველი ქალაქის გარეთ უნდა ყოფილიყო,

---

[1] *გსიემ, №7636/5.*

[2] კაზა – ოსმალური ადმინისტრაციული დაყოფით სანჯაყში შემავალი მცირე ადმინისტრაციული ერთეული.

[3] *1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, გვ. 449.*

[4] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. ს. კაკაბაძის გამოცემა // „საისტორიო მოამბე“, II, თბ., 1925, გვ. 243.*

[5] *მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება), გვ. 547, №180.*

[6] *ქართული სამართლის ძეგლები, IV, გვ. 324-325.*

რაც შეეხება მეორეს, იგი იწყებოდა ციხის ჩრდილოეთით ფერდობის ძირას, ამჟამინდელი რუსთაველის მემორიალიდან და ვრცელდებოდა დასავლეთით *„ცხრაკარის“* უკიდურეს დასავლეთ წერტილამდე. *„სულუხი“* გვხვდება ერეკლე II-ის დროინდელ ზოგიერთ საბუთში.

ერეკლეს დროინდელი საბუთებით თუ ვიმსჯელებთ, *„სულუხი“* გორის ციხის მახლობლად, რაღაც გამაგრებული ადგილის სახელი იყო. *„ზეით გორის ციხე და სულუხი რაც გასაკეთებელი არის, ის ჩვენსა და გორში მსახლობელთ, ვინც გორში არიან ხიზანი თუ მეკომური, – იმათ უნდა გავაკეთოთ“* – უბრძანებს ერეკლე რევაზ ამილახვარს. იმავე რევაზ ამილახვარს, გორის მელიქსა და გორელებს ერეკლე უბრძანებს *„ამ ზაფხულს სულუხის მხარეს და ზეით ციხეზედ იმუშავეთო“*[1]. *„სულუხი“* რომ *„ზეით ციხეზედ“* არ მდებარეობდა ამაზე ნათლად მიგვითითებს ზემოხსენებული 1771 წლის საბუთი: *„რაც ურმით მოიტანებოდეს სულუხიდამ იმის გზას გარდა და კაჭკაჭური ქუევრი არის“*[2]. სულუხი, როგორც დავინახეთ, რაღაც გამაგრებული ადგილის სახელი იყო. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, როდესაც ქალაქმა გალავანი გადალახა, ციხის ჩრდილოეთ ფერდობზე წარმოიშვა იმავე სახელწოდების უბანი. იგი იწყებოდა რუსთაველის მემორიალიდან და ვრცელდებოდა დასავლეთით *„ცხრაკარის“* უკიდურეს დასავლეთ წერტილამდე. რაც შეეხება ***„დამპალას“,*** იგი ქალაქის გალავნის გარეთ უნდა ყოფილიყო. საბუთში ვკითხულობთ: *„ერთ წილად დამპალაში ოსინანთ მიწისაკენ გზას იქით რიყიანზედ აძეს ჭაობისაკენ, ფარდად ერგო ჩემს ბიძაშვილს სვიმონს“*[3].

1660 წლის დოკუმენტში დასახელებულია ***„კლდის უბანი“***[4], რომელიც, სახელწოდების მიხედვით თუ ვიფიქრებთ, ციხის სამხრეთით დასახლებას მოიცავდა.

დავთარის მიხედვით შეიძლება ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ უბანი და დასახლება. უბანი ქალაქის გალავნის შიდა ერთ-ერთი დანაყოფი იყო, რომელშიც მოსახლეობა თავს იყრიდა სოციალური, ეთნიური ან კონფესიური ნიშნის მიხედვით. ხოლო დასახლებები იყო

---

[1] *გაბიჩვაძე ა., გორის ციხე ერეკლე II დროს, გვ. 9, 13.*

[2] *ქართული სამართლის ძეგლები, IV, გვ. 235, №160.*

[3] *იქვე, გვ. 234.*

[4] *იქვე, გვ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, III, თბ., 1970, გვ. 528.*

ქალაქის გალავნის გარეთ და ფეოდალური გორის თანამგზავრებს წარმოადგენდა.

ალბათ, ეს დასახლება შეადგენდა ***რაბათს,*** როგორც იგი თურქულ წყაროშია სახელდებული. რაბათი, გ. ფუთურიძის განმარტებით, არის *„ციხის გარეუბანი, რომელიც გალავნით იყო შემოზღუდული“*[1]. როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით ამ განმარტებაში ვერ ჯდება დავთარში მოცემული გორის დასახლებები. იგი გორის დაყოფის განსხვავებულ სახეს წარმოგვიდგენს: კლდოვანი ბორცვის ზედა ნაწილზე აღმართულია გორის ციხე. სამხრეთ ფერდობზე გაშენებულია ქალაქი, რომელიც შემოზღუდულია გალავნით და დაყოფილია უბნებად. ქალაქის გალავანი დასავლეთიდან და ჩრდილოაღმოსავლეთიდან უერთდება ციხის კედლებს. ქალქის მოსახლეობა გარე სამყაროს უკავშირდება სამი ჭიშკრით – იმერეთის, მუხრანის და თურქეთის ჭიშკრებით. ის, რაც გორის გალავნის ტერიტორიაზე დასახლებები იყო, შეადგენდა გორის რაბათს. მისი მოსახლეობა, ხიფათის დროს გალავანი თუ ვერ დაიცავდა, ციხეში აფარებდა თავს. როგორც ჩანს, ოსმალებმა აღწერის შემდეგ გორის ტერიტორია და მოსახლეობა თავიანთი შეხედულების მიხედვით, დასახლებებად დაჰყვეს და პირობითი სახელებიც მიანიჭეს.

დავთრის მიხედვით, გორის რაბათი შედგებოდა შემდეგი დასახლებებისაგან:

<u>გივის</u> დასახლება. ალბათ, იგულისხმება XVIII ს. პირველი ნახევრის საამილახვროს უფროსის, ზემო ქართლის სადროშოს სარდლის და გორის მოურავის, გივი ამილახვრის (1689-1754, 1757) სახელთან დაკავშირებული დასახლება. გივის სახელი ოსმალებს ამ დასახლებისათვის უნდა ეწოდებინათ ამ დიდი ფეოდალის მიერ დამპყრობლებისათვის გაწეული დიდი სამსახურისათვის.

XVIII ს. 20-იან წლებში, *„ოსმალობის“* დროს, გივიმ იმას მიაღწია, რომ გორში სასახლე და ე. წ. ამილახვრების ეკლესია ააშენა. მან იმასაც მიაღწია, რომ ქალაქის იმ ნაწილზე, სადაც მას სასახლე და საგვარეულო ეკლესია ააგო, ოსმალებმა განსაკუთრებული უფლებაც მიანიჭეს. ეს დასახლება უნდა ყოფილიყო იქ, სადაც 1802 წლის გორის გეგმაზე, ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში, ამჟამინდელი

---

[1] *ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, გვ. 158.* რაბათი არტანუჯისა და დ უჯარმის მაგალითზე შეისწავლა ვ. გაბაშვილმა. იხ. მისი, *საქართველოს ქალაქების ისტორიიდან (არტანუჯი და უჯარმა // საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, ნაწ. I, თბ., 1973, გვ. 3-18.*

ი.ბ. სტალინის მემორიალური კომპლექსის, IX საჯარო სკოლისა და სასტუმროს ტერიტორიაზეა აღნიშნული ამილახვრების ეკლესია. იქვე უნდა ყოფილიყო ამილახვრების სასახლე.

როსთომის დასახლება – იგულისხმება როსტომ მეფის მიერ გაშენებული უბანი. როგორც ცნობილია, როსტომ მეფემ (1633-1658) დიდი ყურადღება მიაქცია გორის აღდგენა-გალამაზებას. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით: *„აქა... მეფემან როსტომ ქმნა სასახლე ყიზ-ილბაშთა რიგისა, წალკოტ-სავარდითა, დიდი, ავაზანი დიდი-დიდნი, შუენიერნი“*[1]. ცნობილი წყაროებიდან არ ჩანს, მეფემ გორის რომელ მონაკვეთში აწარმოვა მშენებლობა. საეჭვოა, რომ მან მშვენიერი სასახლე ქალაქის გალავნის გარეთ ააგო, რადგან განუწყვეტელი ომიანობის პერიოდში მისი დაცვა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა. გალავნით შემოზღუდულ ქალაქის მცირე ტერიტორიაზე იმგვარი საამშენებლო სამუშაოების წარმოება, როგორზეც ვახუშტი გადმოგვცემს, გამოიწვევდა სერიოზულ ცვლილებებს მის ძველ დაგეგმარებაში და შეცვლიდა მის ისტორიულ იერ-სახეს. როსტომ მეფის მიერ შექმნილ-გალამაზებულ უბანს დაერქმეოდა *„როსთომის“* დასახლება.

შემდგომი პერიოდის ცნობილ წერილობით წყაროებში აღარა-ფერია *„როსთომის“* დასახლებაზე, რაც შედეგი უნდა იყოს საომარი მოქმედებებისა, რომელთა შედეგად გორი უაღრესად დაზიანდა. სავარაუდოა, ეს ის უბანი იყოს, რომელსაც 1710 წლის ერთ-ერთ საბუთში ***„ნაწალკოტარი“*** ჰქვია[2].

ვარდისუბნის დასახლება. უნდა იგულიხმებოდეს გალავნის შიგ-ნით, ციხის ბორცვის სამხრეთი ფერდობის მოსახლეობა. იგი ერთ-ერთი უძველესი იყო გორის უბნებს შორის[3]. მას პირველად შეეხვდი 1660 წლის 1 მაისის წყალობის წიგნში. იქიდან ვიგებთ, რომ *„ვარდის უბანში სახლ-ბაღი და ყმის სახლები“* ჰქონდა ხუდადა ხოჯაშვილს. ეს უბანი მდებარეობდა *„ლიახვისკენ ციხის ძირზე“*[4]. აზუსტებას მოითხოვს მსაზრება, რომლითაც ვარდის უბანი მდებარეობდა ქართველების სასაფლაოს მახლობლად[5]

---

[1] *ქართლის ცხოვრება. IV, თბ., 1973, გვ. 367.*

[2] *დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, გვ. 158, №251.*

[3] *„ცისკარი“, 1867, №2, გვ. 7.*

[4] *ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 528.*

[5] *ხუციშვილი მ., გორის ქუჩები // ჟურნ. ლიახვი, გორი, 1976.*

კირნაქის (კვერნაქის) დასახლება. იგი, სავარაუდოა, განფენილი იყო დღევანდელ კვერნაქის დასახლებაში. იგი ყველაზე პატარა და მცირემოსახლეობიანი იყო.

ყოვლადწმინდას დასახლება. სავარაუდოა, დასახლებამ სახელი მიიღო ამჟამინდელი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის ტაძრისა მოპირდაპირე სკვერში, ძველად სასწვრის მოედანი რომ ერქვა, იქ, სადაც აშენდა წმინდა მთავარანგელოზთა სახელობის ტაძარი. არსებული ცნობების მიხედვით, ამ ადგილას ქართლის დედოფალმა, როსტომ მეფის მეუღლე მარიამმა ააგო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, რომელიც 1802 წლის გორის გეგმაზე აღნიშნულია მეორე სახელითაც – მთავარანგელოზის ეკლესია. მარიამ დედოფალი ამ ტაძრის აშენების დროსა და მიზეზსაც გვამცნობს 1664 წლის სიგელში: *„...შეწირულობისა წიგნი და სიგელი დაგიდევი და მოგართვი შენ, გორს ჩუენგან აშენებულს თავარანგელოზის საყდარსა მას ჟამსა ოდეს მეფემ როსტომ ქართლის დედოფლად მოგვიყვანა (1634 წ. – ე. მ.) თან ძე გურიელსა ჩუენი თვალის სინათლე შვილი ოტია და იმიზგან მოვძულდით ღ"თსა და მიიცვალა ქვეყანასა ამასა ქართლისასა სანახებსა გორისასა და მისა საწოლსა ზედან ეკლესია აღვაშენეთ, დავახატვინეთ და შევამკევით...*"[1] საფიქრალია, დასახელებული ტაძრის დიდი მნიშვნელობის გამო, ციხესა და ქალაქის გალავანს შორის დასახლებას, მისი სახელი დაერქვა. დამოწმებული სიგელი იმითიც საყურადღებოა, რომ ამავე ადგილას დაკრძალული ყოფილა მარიამ დედოფლისა ვაჟი ოტია, რომელიც ჰყავდა პირველი ქორწინების შედეგად სვიმონ გურიელისაგან. ეკლესია, სავარაუდოა დროის განმავლობაში დაზიანდა. მის აღდგენაში (აგებაში) მონაწილეობა მიიღეს ერეკლე II-მ და ბატონიშვილმა ალექსანდრემ. პირველმა 15, მეორემ კი 5 თუმანი შესწირეს აღნიშნულ ეკლესიას[2].

ფარსადანის დასახლება. წერილობით ძეგლებში არსად შემხვედრია ამგვარი ტოპონიმი. ამიტომ მიჭირს დაბეჯითებით რაიმის თქმა მისი მდებარეობის შესახებ. შეიძლება ვარაუდის გამოთქმა, რომ ამ დასახლებამ სახელი მიიღო გორელებისათვის საპატივისცემო, როსტომ მეფის მიერ აღზრდილი და მისი რეკომენდაციით შაჰის კარზე დაწინაურებული, ცნობილი საისტორიო თხზულების – *„ისტორიის"*

---

[1] *გსიემ, №184.*

[2] *ხუციშვილი მ., გორის ქუჩები, გვ. 2.*

ავტორის, გამუსლიმანებული ფარსადან გორგიჯანიძის სახელი. ისიც შეიძლება დავუშვათ, რომ ამ დასახლებაში ცხოვრობდა გორგიჯანიძე-გორგიჯანაშვილების უახლოესი წინაპრები.

1710 წლის საბუთის მიხედვით ერთ-ერთ უბანს *„ნაწალკოტარი“* ერქვა.

ქუჩა, გზა, შარა

წერილობითი წყაროები უაღრესად მწირ ცნობებს შეიცავს გორის ქუჩებზე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დოკუმენტებსა და ნარატიულ წყაროებში სიტყვა *„ქუჩა“* იშვიათად გვხვდება. ხშირია *„შარა“* და *„გზა“*. ჩანს, ქუჩების კლასიფიკაცია მათი მნიშვნელობის მიხედვით ხდებოდა. *„გზა“* – ვიწროთი ფეხით მოსიარულენი სარგებლობდნენ, ხოლო *„შარა“* განიერი ქუჩა იყო, რომელიც ფეხით მოსიარულეთა გარდა, ურმებისა და ცხენოსნებისათვისაც იყო გათვალისწინებული.

გორში რამდენიმე ქუჩა იქნებოდა. ისინი ქალაქის ბაზარს უერთდებოდნენ. ფ. გორგიჯანიძის გადმოგვცემს: როცა თეიმურაზ I გორს დაესხა, *„ბაზარს ზეითი გზები შეუკარითო“*[1]. ავთ. თუმანიშვილის გადმოცემით, XIX ს. დასაწყისში გორში სწორი და განიერი ქუჩები იყო[2]. არ ვიცით ქალაქის ყველა გზა/ქუჩას ჰქონდა თუ არა სახელი.

1664 წ. საბუთში *(„განჩინება სუმბათაშვილისა და გოგინაშვილის მამულის საქმეზე“)* ნახსენებია *„გზა“*[3], 1669 წ. ერთ საბუთში *„სათემო გზა“*[4], 1672 წლისაში კი – *„სათემო შარა“*[5], ხოლო 1793 წლის სიგელში – *„სასაფლაოს და ეკლესიის გზა“*[6], *„შარა“, „საურმე შარა“, „მკვიდრი გზა“, „საყდრის გზა“*[7].

XVIII ს. დასასრულის ნასყიდობის ნუსხაში დასახელებულია *„ფრანგის ქუჩა“*. ეგნატე და პაპუნა თუმანიშვილები ამბობენ: *„ფრან-*

---

[1] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 243.*

[2] *Туманов А. Б., Описание грузинского города Гори, ც. 23.*

[3] *ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 121-122.*

[4] *გსიემ, №152.*

[5] *იქვე, №7601/19.*

[6] *იქვე, №149.*

[7] *მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, გვ. 633.*

გის ქუჩაში, რომ სასახლეა, დაფასდა ოთხმოც თუმნათ“[1]. ამ ქუჩის სახელის წარმოშობის საფუძველი სავსებით გასაგებია. ამ ქუჩაზე კათოლიკე პატრები, მისიონერები ცხოვრობდნენ. ქართული წყაროს ამ ცნობას ადასტურებს რუსეთის არმიის პოლკოვნიკი, წარმოშობით ბელგიელი, როტიე. მისი თქმით, იმ ქუჩას, რომელსაც XIX ს. დასაწყისში *„თბილისის ქუჩა“* ერქვა, წინათ *„ფრანგთა ქუჩა“* ეწოდებოდა[2]. სავარაუდოა, იგი ემთხვეოდა დღევანდელი გოგებაშვილის და წერეთლის ქუჩების ერთმანეთთან შეხების მიდამოებს. XIX-XX საუკუნის პირველ ოცეულში ეს ქუჩა, ალბათ, გოგებაშვილის ქუჩა და კათოლიკური ტაძრის მიმდებარე ტერიტორია ძირითადად კათოლიკებით იყო დასახლებული. 1923 წლის მონაცემებით ფრანგთა ქუჩაზე 31 კათოლიკური ოჯახი ცხოვრობდა[3].

გორის მოქალაქეთათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, თუ სად გადიოდა გზა ან შარა. ეს ხშირად მოქალაქეთა დაპირისპირებას იწვევდა. დავის მოგვარება მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელის ჩარევით ხდებოდა.

1669 წ. გორელმა მოქალაქეებმა ელიზბარმა და მისმა შვილმა გიორგიმ *„სათემო გზაში“* კედელი ჩადგეს, რის გამოც გზამ ოქონის ხატის მამულში გადაინაცვლა. რადგან საქმე ეხებოდა საეკლესიო ქონების ხელყოფას, საქმის გარჩევა მოხდა მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზისა და მამასახლისი გოდერძას მონაწილეობით. დავა კომპრომისით დასრულდა: ელიზბარსა და მის შვილს კედელი არ დაანგრევინეს. სამაგიეროდ, მათ ვალდებულება იკისრეს *„რომე მარხვა დადგეს წელიწადში თვითო ლიტრა ზეთი მოართვას ოქონის ხატსა ოცის სტილითა“*[4].

1793 წ. ვინმე ხუდადას შვილმა სასაფლაოს და ეკლესიის გზა მიიტაცა და ბაღი გააშენა. მღვდელი იაკობ გარსევანიშვილის თქმით,

---

[1] *მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, III, გვ. 324.*

[2] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 70.*

[3] *სია გორის კათოლიკე ეკლსიის მრევლისა 18 წლიდან ზეით შედგენილი თანახმათ მთავრობის 22 სექტემბრის 1923 წ. ცირკულიარისა, რელიგიურ საზოგადოებათა შესახებ // გორის რაიონული არქივი, ფონდი №3, არქ. №54, აღწერა 1, გვ. 69; საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იანი წლები). დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა, თბ., 2013, გვ. 489-495.*

[4] *გსიემ, №152.*

ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ *„ველარც კვდარი გაგვიტანიაო და ველარც ეკლესიაში გავსულვართო“.* მეფის ბრძანებით ერთად შეჰყარეს მამასახლისი და გორელები – სამღვდელონი და საერონი. დადგინდა, რომ ხუდადას შვილის მიერ მიტაცებული გზა *„მკვდარი გზა“* იყო და ხუდადას შვილს გზაზე გაშენებული ბაღი აუჩეხეს. მაგრამ კონფლიქტი ამით არ მოგვარდა. ხუდადას შვილებმა იგივე გაიმეორეს *„ამირინდო ამილახვარის დროს“.* მეფის განაჩენით ბაღი კვლავ გაჩეხეს. 1794 წ. პეტრე დავრეშაშვილი უჩივის ტეტია გარსევანიშვილს, რომ ამ უკანასკნელმა პეტრეს *„სამკვიდრო შარა შეიგდო“*[1], ე.ი. იმ შარას დაეპატრონა, რომლითაც დავრეშაშვილები სარგებლობდნენ.

მსგავსი შემთხვევები სხვაც მრავალი იქნებოდა. მოქალაქეთა ასეთი თვითნებობა, ძირითადად, ქალაქში მიწის ნაკლებობით იყო გამოწვეული.

მოედანი

გორის ქალაქს ჰქონდა მოედანი, რომლის შესახებ პირველი ცნობა XVII ს. 30-იან წლებს განეკუთვნება. გორის მოედანს რამდენჯერმე ახსენებს დონ პიეტრო ავიტაბილე. იგი თავის საქმიანობის აღწერისას სხვადასხვა ადგილას ამბობს: *„ეს სახლები... მოედანზე მდებარეობდა“*, ანდრეა *„თრევათრევით მიიყვანეს სახალხო მოედანზე“*, *„აჯანყებულთა მეთაურისათვის მოეხსენებინა მოედანზე“*[2]. გორის მოედანს ახსენებს იესე ტლაშაძე თავის *„ბაქარიანში“* 1723 წლის ამბებთან დაკავშირებით *(„თავები დასჭრეს, გავიდნენ, დაყარეს მოედანზედა“)*[3].

XVIII ს. 80-იან წლებში შედგენილ გორელთა საჩივარში დასახელებულია გორის მოედანი, რომელიც, როგორც ჩანს, სხვა დანიშნულებასთან ერთად, მოქალაქეთა პირუტყვის გასაჩერებელი და საძოვარი ადგილიც იყო. საჩივრის მე-15-ე მუხლში გორელები ოთარ ამილახვარს ბრალს სდებენ, რომ მან ქალაქის მოედანი მოხნა[4]. თუ რას წარმოადგენდა ეს მოედანი, უფრო გარკვევით ჩანს გორელების სხვა საჩივარში. მასში ვკითხულობთ: *„მეჩვიდმეტე – მეიდნის მოხვნა და ბოსტნათ გაკეთება, რომ ჩვენი საქონელი მეიდანზე ველარ*

---

[1] *ქართული სამართლის ძეგლები, VIII, გვ. 261-262.*

[2] *დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 30, 62, 63.*

[3] *იესე ტლაშაძე, გვ. 37, სტრ. 161.*

[4] *საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 174.*

გადის“. საჩივრის იგივე მუხლი შ. მესხიას გაგებული აქვს შემდეგნაირად: *„გორის მოურავის ამგვარმა საქციელმა ქალაქის ვაჭარ-ხელოსანთა სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია... როგორც გორელი ვაჭრების განცხადებიდან ჩანს, გორის მოედანი მათი საქონლის გასატანი ყოფილა“*[1].

ჩემი აზრით, აქ ლაპარაკია არა სავაჭრო მოედანზე, ანუ ბაზარზე, არამედ ქალაქის შიგნით პირუტყვის (საქონლის) საძოვარ პატარა მოედანზე – მეიდანზე[2]. რაც შეეხება სავაჭრო მოედანს ანუ ბაზარს, იგი *„საჩივარში“* მოხსენიებულია სხვა კონტექსტში.

ავთ. თუმანიშვილის თქმით, XIX ს. დასაწყისში, გორში რამდენიმე მოედანი იყო[3].

გორის მოედანს, შუა საუკუნეების სხვა (აღმოსავლური და ევროპული) ქალაქების მოედნების მსგავსად, რამდენიმე ფუქნცია ჰქონდა. როგორც ავიტაბილეს თხზულებიდან ჩანს, მოედანი შემოსაზღვრული იყო სახლებით. მართალია, ავიტაბილე არ ამბობს, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა გვერდით იყო დუქნებისა და სახელოსნოების ერთი ნაწილიც.

როგორც ჩანს, მოედანზე ცხადდებოდა სახელმწიფოებრივი თუ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძანება-განკარგულებანი. აქვე ხდებოდა დამნაშავის გასამართლება და დასჯა. ამიტომ უნდა უწოდებდეს ავიტაბილე, იტალიური ქალაქის მოედნის ანალოგიით, გორის მოედანს *„სახალხო მოედანს“.*

მოედანი – ბაზარი

ცოტა რამ ვიცით გორის ბაზრის შესახებ. მაგრამ იგი რომ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ქართლის მასშტაბით, ამას ის მაფიქრებინებს, რომ გორი უფრო სავაჭრო ქალაქი იყო, ვიდრე სახელოსნო.

შარდენის მიხედვით, გორში ალიზით ნაშენები რამდენიმე ბაზარი არსებობდა[4]. იმავე პერიოდში გორში ბაზრის არსებობაზე მიგ-

---

[1] *მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, გვ. 642.*

[2] სულხან-საბას განმარტებით, *„მეიდანი, მეიდან, სხვათა ენაა, ქართულად მერე და მინდორი და ფორე ჰქვიან“.*

[3] *Туманов А. Б., Описание грузинского города Гори, с. 23.*

[4] *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 295.*

ვანიშნებს ფ. გორგიჯანიძე *(„ბაზრის ზეით გზები შეუკარითო“)*[1]. ი. კლაპროთის აღწერით, გორის ბაზარი ასამდე საწვრილმანო დუქნისაგან შედგებოდა[2]. სხვა წყაროებშიც არის ნახსენები გორის ბაზარი, მაგრამ ისინი არაფერს მატებს ჩვენს სუსტ წარმოდგენას ამ საკითხზე[3].

ამგვარად, მოყვანილი ცნობებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჟან შარდენის ორიოდე სიტყვა გორის ბაზრის შესახებ. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ შარდენმა ერთ ადგილას თავმოყრილი რამდენიმე გადახურული მოედანი *„ბაზრებად“* მოიხსენია. ერთი შეხედვით, ჩვენ საქმე გვაქვს ირანული *„ჩარსუს“* ტიპის ბაზართან[4], როცა ბაზარში ეწყობოდა მრგვალი გუმბათით გადახურული მოედნები. მაგრამ შარდენის მიხედვით, ბაზარი მთლიანად ალიზით ყოფილა ნაშენები. რაც *„რასტაბაზარზე“ („მოედნის ბაზარი“)* მიგვანიშნებს. ასეთი ბაზრები აღმოსავლეთის ქალაქებში დაცული იყო სარკმლებიანი კედლებით[5].

ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ XVII საუკუნეში აღწერილი ბაზარი შემდეგი პერიოდის გორში აღარ არსებობდა. ყოველ შემთხვევაში, ი. კლაპროთის მიერ აღწერილი ბაზარი სავსებით შეესატყვისებოდა დუქანთა იმ მწკრივს, რომელიც 1802 წ. გეგმაზეა ასახული. გეგმის მიხედვით, ციხის სამხრეთით დავაკებულ ფერდობზე ნახევარწრედ მიდიოდა ქუჩა (იგი ემთხვევა ახალნდელი კასტელის და მარჯანიშვილის ქუჩებს), რომლის ორივე მხარეს განლაგებული იყო დუქნები. სავარაუდოა, რომ ეს ქუჩა ასრულებდა ბაზრის ფუნქციას, თორემ გეგმის შემდგენელს არ შეიძლებოდა გამორჩენოდა ქალაქის ისეთი მნიშვნელოვანი ატრიბუტი, როგორიც ბაზარია.

---

[1] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 243.*

[2] *Klaproth J. von, Reise in den Kaukasus und nach Georgian unternommen in den Jahren 1808, II, S. 328.*

[3] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1449, საბ. 226, 228, 238; მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, III, გვ. 19.*

[4] *Кузнецова Н. А., Из истории социально-экономических отношений в Иране, М., 1952, с. 98; გაბაშვილი ვ., ბაზარი შუა საუკუნეების საქართველოში // საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასა ლები, I ნწ., თბ. 1976, გვ. 29.*

[5] *Кузнецова Н. А., Из истории социально-экономических отношений в Иране, с. 98; გაბაშვილი ვ., ბაზარი შუა საუკუნეების საქართველოში, 29; მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, გვ. 639.*

ოსმალო ხელისუფალთ XVIII ს. 20-30-იან წლებში გორის ბაზარზე დაწესებული ჰქონდათ ბაჟი, რაც შეადგენდა 1000 ახჩას[1].

ამგვარად, დავთრის ცნობები აბათილებს ჩემს მიერ ადრე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ რადგან XVII საუკუნის შემდეგ XIX საუკუნის დასაწყისამდე, ე.ი. კლაპროთის საქართველოში ყოფნის პერიოდამდე, ცნობილ წყაროებში არაფერი იყო გორის ბაზრის შესახებ, თითქოს იგი აღარ არსებობდა.

დუქანი – ქულბაქი

გორში, როგორც საქართველოს ვაჭრობისა და ხელოსნობის ერთ-ერთ ცენტრში, მისი ქალაქად გადაქცევის დროიდან, მრავალი ქულბაქ-დუქანი უნდა ყოფილიყო. პირველ ცნობას გორის ქულბაქისშესახებ ვხვდებით დავით (?) მეფის 1382 წლის სიგელში[2]. დავითმა გორის ოქონის საყდარს შეწირა *„გორში ვაჭარნი ექვსნის მათითა სახლ-კარითა, ჭურმარნითა და ქულბაქითა“.* საინტერესოა სიგელის ის ადგილი, სადაც აღნიშნულია, რომ ყველაფერი რაც დავითმა ოქონის საყდარს შეწირა, *„ესე შეწირული პირველად მამათა*

---

[1] *1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, გვ. 449.*

[2] *გსიემ, №7601/30.* სიგელს, მართალია თარიღი – 1382 წ. აქვს, მაგრამ ვერ დგინდება რომელი მეფე დავითია. დასახელებულ წელს მეფობს ბაგრატ V (1360-1393), ასე, რომ ძნელია დადგენა რომელი დავითის მიერაა გაცემული სიგელი. ის თავს განიდიდებდა მრავლის მთქმელი ტიტულატურით: დავით–იესიან–დავითიან–სოლომონიან–პანკრატიანი, აფხაზთა, რანთა, კახთა, შაჰანშა და შირვანშა, საქართველოს მპყრობელი ხელმწიფე, მეფეთ-მეფე. მას ჰყავს: ბებიის ბებია – თამარ დედოფალი, შვილები: გიორგი, ალექსანდრე. მის მიერ გაცემული სიგელით თუ ვიმსჯელებთ, მისი მოქმედება ძირითადად დაკავშირებულია შიდა ქართლთან. ამაზე მეტყველებს მის მიერ გაცემული სიგელები. დავითმა განუახლა თამარ დედოფლის მიერ აშენებულ ოქონის საყდარს თამარისაგან ბოძებული შეწირულობა: სოფელი ხიდისთავი; ზემო რეხას – ათი საკომლო; გარეჯვარს – ლომსათუბანი; რუისს – უმეკასშვილი, ორი სათავე სახასო ვენახი, ატენს – ჩივჩივაძის მამული, რომელსაც ევალებოდა ოთხი ლიტრა ზეთი, ძღვენი და სამსახური; გორს – ვაჭარნი ექვსნი მათითა სახლ-კარითა, ჭურმარნითა და ქულბაქითა; დიღვამს თეთრაძენი: გიუნა, მამისიმედი, ზოსიმე და ხუცესი იოვანე მამულებით. *პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით / გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბ., 1991, გვ. 267; გსიემ, №7601/30.*

და პაპათა ჩვენთაგან შეწირული იყო ახლა ჩვენ განვაახლეთ და შევწირეთ ზემო წერილნი შესაწირავნი და მამულნი ესე“. მაშასადამე, ყველაფერი ის რაც ჩამოთვლილია სიგელში საყდრისათვის შეწირული ყოფილა დიდი ხნის წინათ. სიგელიდან არ ჩანს, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ გორში 6 ვაჭრისა და მათი ქულბაქების გარდა, კიდევ მრავალი იქნებოდა, როგორც ვაჭარი ისე მათი ქულბაქები.

შემდეგი საბუთი, რომელიც გორში ქულბაქების არსებობაზე მიგვითითებს, არის 1559 წლის *„ქართლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარი“.* აქედან ირკვევა, რომ *„გორს ძველთაგან მცხეთის შეწირულნი ვაჭარნი და გლეხნი არიან, მათითა სახლკარითა, ქულბაკითა და მამულითა“*[4]. ოთხი გორელი ვაჭრის შეწირვაზეა ლაპარაკი 1660 წლის წყალობის წიგნში. იმასაც ვიგებთ, რომ სვეტიცხოველის სხვა *„მექულბაკე“* ვაჭრებიც ყოფილან გორში[2].

1660 წ. ვახტანგ V შაჰნავაზმა გორელ ქამალაშვილ-სუმბათაშვილებს დაუბრუნა მათი საყდრის გარშემო არსებული ის დუქნები, რომლებიც მათ ობლობაში დაუკარგავთ. მეფე იქვე უბრძანებს გორის მოურავს სისრულეში მოიყვანოს განკარგულება[3]. საყურადღებოა, რომ მეფე იძულებულებულია ხელახლა გასცეს იგივე წყალობა. ეს ალბათ იმიტომ ხდება, რომ მოურავმა ვერ შეძლო ქამალაშვილებისათვის ბოძებული მოწყალების აღსრულება. მართლაც, ვახტან V-მ, 1661 წელს მირიან ქამალაშვილს კვლავ უბოძა *„საყდრის გარშემო დუქნები“*[4]. საყურადღებოა აგრეთვე, სვიმონ პირველის სიგელი ატენში ძველად გორელების და გორში მცხოვრები ვაჭრებისა და გლეხების სახლ-კარით, ქულბაქითა და მამულებითურთ სვეტიცხოვლისადმი შეწირულობის განახლების შესახებ[5].

გივი ამილახვრის 1664 წლის განჩინებიდან ჩანს, რომ ქულბაქი ყოფილა გორის *„ბოლო გზასთან“*[6].

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში აღნიშნულია გორში არსებული 126 დუქანი *(„დუქნების თვალი 126“)*[7]. ცალკეა აღ-

---

[1] *ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 264.*

[2] *იქვე, გვ. 527-528.*

[3] *ხეც, Hd, №13026.*

[4] *ქართულ-სპარსული საბუთები, გვ. 290.*

[5] *ხეც, დ, №1572.*

[6] *ქართული სამართლის ძეგლები, IV, გვ. 18-19.*

[7] *1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, გვ. 447.*

ნიშნული *„გორის რაბათის დუქნები, თვალი 3, იჯარით*[1]*, ჯამი წელიწადში სრულად 1440“*.

XVIII ს. დამლევს მარტო თუმანიანთ (თუმანიშვილების) ყოვლადწმინდის ეკლესიას 14 დუქანი ჰქონდა[2]. 1799 წლის ანდერძის წიგნში მოხსენიებულია ნამზითვი დუქანი[3].

ოსმალების მიერ 1728 წელს შედგენილი დავთარში აღნიშნულია გორის ***ბაზარზე*** დაწესებული ბაჟის შესახებ, რაც შეადგენდა 1000 ახჩას[4]. ძნელია დადგენა იმისა, დუქნები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე არსებობდა თუ ისინი ერთობლიობაში შეადგენდა გორის ბაზარს. ამგვარი ეჭვი ჩნდება XVII საუკუნიდან მოღწეული ცნობების განსხვავებულობის გამო. ჟან შარდენის მიხედვით, გორში ალიზით ნაშენები რამდენიმე ბაზარი არსებობდა[5]. ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით ისე გამოდის, რომ გორში ერთ ბაზარი იყო *(„ბაზრის ზეით გზები შეუკარითო“)*[6], ხოლო ი. კლაპროთის აღწერით, გორის ბაზარი ასამდე საწვრილმანო დუქნისაგან შედგებოდა[7].

1802 წლის აღწერით, გორში 140-მდე დუქანი იყო. ქედან 50 დუქანი ხელოსნებს ეჭირათ (ხელოსნის დუქანი სახელოსნოც იყო და დამზადებული ნაწარმის გასაყიდი ადგილი), ხოლო 90 ვაჭრებს. როგორც აღინიშნა დუქნების საკმაოდ დიდი იყო და მათი ერთობლიობა ქმნიდა ბაზარს. დუქნები განლაგებული იყო ციხის ბორცვის ძირას, ქალაქის შუაგულში და ციხეს უვლიდა სამხრეთ-დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ[8]. დღეს იქ ორი პატარა ქუჩაა – კასტელის და მარჯანიშვილის.

---

[1] *იქვე, გვ. 448.*

[2] *მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, III, 18-19.*

[3] *უჩანეიშვილი დ., დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის (XVII-XIX ს.ს.), თბ., 1967, გვ. 122.*

[4] *იქვე, გვ. 449.*

[5] *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 63.*

[6] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 243.*

[7] *Klaproth, Julius von, Reise in den Kaukasus und nach Georgian unter, nommen in den Jahren 1808, II, Halle und Berlin, 1814, S. II, 328.*

[8] *Центральный государственный военно-истортческий архив, фонд ВУА, №20548.*

სახლები

ფეოდალურ ქალაქში ქონებრივი დიფერენციაცია განსაკუთრებით ნათლად ჩანდა მოსახლეობის საცხოვრებელ ნაგებობათა სხვადასხვაობაში. გორი რადგან სამეფო ქალაქი და იმავე დროს შიდა ქართლის ადმინისტრაციული ცენტრიც იყო, ამიტომ ღარიბთა ქოხებისა და მიწურების გვერდით უნდა ყოფილიყო მეფის, კარისკაცების, სასულიერო იერარქების, თავადებისა და აზნაურების სასახლეები და სახლები.

გორში საცხოვრებელი ნაგებობის შესახებ პირველი ცნობა XVII ს. 20-იან წლებს განეკუთვნება, ე.ი. იმ დროს, როცა *„ავგუსტინელმა მისიონერებმა ააგეს ევროპული სტილის მშვენიერი ეკლესია და სახლი. საცხოვრებელი სახლი ისეთი ლამაზი გამოვიდა, რომ ამ სამეფოს ყველა ადგილიდან მოდიოდნენ მის სანახავად. მთელ სამეფოში მას ერთ-ერთ ულამაზეს სახლად მიიჩნევდნენ“*[1]. *საქართველოში მოსული ევროპელი მოგზაურები, თუ ისინი ქართლში გაივლიდნენ, აუცილებლად გორში ამ სახლში ისადგურებდნენ*[2].

კასტელის ნახატზე დაკვირვების შედეგად არქიტექტორი ლ. სუმბაძე იმ დაასკვნმდე მივიდა, რომ იმავე საუკუნის 30-იან წლებში, ისე როგორც საერთოდ ქართლში, გორშიც გავრცელებული იყო დარბაზული ტიპის საცხოვრებელ სახლები.

იგივე სახლში უნდა გაჩერებულიყო რუსეთს მიმავალი ანტონ კათალიკოსი 1755 წ. მისი ამ მოქმედებით უკმაყოფილო მართლმადიდებლების წინაშე ანტონმა თავი იმით იმართლა, რომ *„გორში სხვაგან ვერსად ვიპოვე კარგი სახლი, ნაავადმყოფარი ვიყავ და ამიტომ ჩამოვხტი პატრებთანო“*[3]. ანტონ კათალიკოსის ნათქვამიდანაც ჩანს, რომ აღნიშნული სახლი გორში საუკეთესო იყო.

XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე, როგორც 1802 წლის გეგმიდან ჩანს, გორში ცოტა იყო ქვით ნაშენები საცხოვრებელი სახლები. ასეთი ნაგებობები ძირითადად განლაგებული იყო შემდეგნაირად: ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, თანამედროვე ი.ბ. სტალინის სახლ-მუზეუმის და ყოფილი ინტურისტის მიდამოებში – 6, გ. ერისთავის სახელობის გორის დრამატული თეატრის მიდამოებში –

---

[1] *ტაბაღუა ი., კიდევ ერთი ცნობა ქეთევან დედოფლის შესახებ // გაზ. „კომუნისტი“, 20, X, 1985.*

[2] *ჭიჭინაძე ზ., კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში, თბ., 1903, გვ. 55.*

[3] *იქვე, გვ. 57.*

3, კასტელის ქუჩის დასაწყისში 1 და იმავე ქუჩის დასასრულს – 2, ე.ი. აღნიშნულ პერიოდში გორში იყო ქვისგან ნაგები 12 საცხოვრებელი სახლი. დანარჩენ ქვის ნაგებობებს ეკლესიები წარმოადგენდა. საცხოვრებელი სახლები ძირითადად მიწური იყო. ი. კლაპროთის დროს ყოფნის 300 სახლი იდგა გორში[1].

პირველი ცნობა გორში სამეფო სასახლის არსებობაზე XVII ს. შუა ხანებიდან გვაქვს. მაგრამ სასახლე რომ ადრეც უნდა ყოფილიყო საეჭვოდ არ მიმაჩნია. გორი ხომ სამეფო ქალაქი იყო. ვიცით, რომ 1628 წ. თეიმურაზ I-მა გორში თავის სასახლეში მიიღო ავგუსტინელი პატრები[2]. მოგვიანებით როსტომ მეფეს *„ყიზილბაშთა რიგის“* დიდი სასახლე აუგია, რომელსაც *„წალკოტ-სავარდიანი“* ბაღი და უზარმაზარი წყლიანი აუზები ამშვენებდა. ეს სასახლე უნდა იგულისხმებოდეს ფეშანგის *„შაჰნავაზიანში“*. ვამიყ დადიანის ცოლს ელენეს, რომელიც ვახტანგ V-ს გორში ჰყავდა დატყვევებული, როცა უნახავს როგორ კარგ პირობებში ცხოვრობდა მეფის ოჯახი, ტირილი დაუწყია[3].

თავისი რეზიდენცია ჰქონდა გორში ერეკლე I-საც, მაგრამ არ ვიცით იმავე სასახლეში იყო თუ სხვაგან. ფ. გორგიჯანიძის გადმოცემით, იმერეთიდან გამოძევებული ალექსანდრე IV და ერეკლე I გორში შევიდნენ და *„ერეკლე მეფის სადგომს ჩამოხტნეს“*[4]. სასახლე შემდეგში ვახტანგ VI-მ განაახლა, მცირე ხნის შემდგე კი ოსმალებმა *„შემუსრეს“*[5]. ვახუშტი ბატონიშვილის ნათქვამიდან ისე გამოდის, რომ სასახლე ოსმალებმა *„ოსმალობის“* დროს, 1724-1734 წლებში დაანგრიეს, ვახტანგ VI-ის რუსეთში გადასახლებიდან გივი ამილახვრის მიერ გორის გათავისუფლებამდე პერიოდში, ე.ი. მაშინ, როცა ოსმალები გორში იმყოფებოდნენ. სეხნია ჩხეიძე, როცა გივი ამილახვრის მიერ გორის აღებას აღწერს, ამბობს: *„დაიმალა (ქართველთა – ე.მ.) ჯარი სასახლეშია“*. ვფიქრობ, სეხნია როსტომისეულ სასახლეს გულისხმობს. განადგურდა თუ არა ამ დროს სასახლე არ ჩანს, მაგრამ ამის შემდეგ მისი ხსენება აღარ არის.

---

[1] *Klaproth J. von, Reise in den Kaukasus und nach Georgian unternommen in den Jahren 1808, S. II, 325.*

[2] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 102.*

[3] *ფეშანგი, სტრ. 552, 553, 560.*

[4] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 281*

[5] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 367.*

დიდი ხნის შემდეგ, 1801 წლის ერთ საბუთში ვკითხულობთ, რომ დავით ბატონიშვილმა, რომელიც 1800-1801 წლებში ქართლ-კახეთს განაგებდა, სამეფო სასახლე მდივან სულხან თუმანიშვილს გადასცა[1]. ეს, ალბათ, ერეკლე მეორის ის სასახლე იყო, რომელიც დ. ბაქრაძის თქმით, ციხის სამხრეთ ფერდობზე მდებარეობდა. ის იყო მაღალი, აივნიანი და არა მხოლოდ ერეკლეს დროს, არამედ XIX ს. შუა ხანებშიც საუკეთესო შენობად ითვლებოდა მაშინ, როდესაც იგი ვინმე ამირაღოვს ეკუთვნოდა[2]. გრაფინია უვაროვასაც[3] უნახავს სამეფო დარბაზის ნანგრევები ციხის სამხრეთ ფერდობზე[4].

მტერთა ხშირი თარეში აიძულებდა სამეფო კარის წარმომადგენლებს, თავიანთი საცხოვრებელნი გორის ციხის შიგნით აეშენებინათ. 1756 წ. ქართლის დედოფალი *„ანა-ხანუმ წაბრძანდა გორს... აღაშენა სახლნი გორის ციხესა შინა“*[5]. დედოფლის მიერ გორის ციხეში სახლების აშენება იმაზეც მიგვანიშნებს, რომ იმ დროს გორში სამეფო სასახლე აღარ იყო.

მოღწეული ცნობებში არ ჩანს, რომ XIX ს. დასაწყისამდე გორში თავიანთი საცხოვრებელი ნაგებობები ჰქონდათ თავად-აზნაურებს, რაც საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ გორელები (იგულისხმება ვაჭარ-ხელოსანთა ზედა ფენა) წინააღმდეგი იყვნენ მაღალი რანგის ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელთა გორში მუდმივად ყოფნის, რის პრაქტიკულ განხორციელებად მათ ამა თუ იმ ფეოდალის მიერ ქალაქის ტერიტორიაზე სასახლის აშენება მიაჩნდათ. მსხვილი ფეოდალის ქალაქში დასახლება მათთვის არახელსაყრელი იყო იმდენად, რამდენადაც მათგან მოსახლეობის შევიწროების

---

[1] *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, I, с. 302.*

[2] *«Кавказ», 1855, №48.*

[3] დიდია რუსი არქეოლოგის გრაფი ალექსანდრე უვაროვის მეუღლის პრასკოვია უვაროვას ღვაწლი საქართველოს სიძველეთა შესწავლაში. ეს დიდად განსწავლული ქალბატონი იყო რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის წევრი, მრავალი უნივერსიტეტისა და საკვლევო დაწესებულების პროფესორი. 1879 წლიდან ჯერ მონაწილეობდა, შემდეგ კი ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ გათხრებს ჩრდ. კავკასიის მთიანეთში. საქართველოს მთიანეთში რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთსა და ხევსურეთში შეკრიბა ქრისტიანული ხანის ძეგლები და მათი ნაწილი გამოაქვეყნა 1900 წელს.

[4] *Кавказ. Рача. Горийский уезд. Гори. Осетия. Пшавия, Хевсуретия и Сванетия. Путевые заметки графинии Уваровой, ч. III, М., 1904, с. 77.*

[5] *პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 240*

შესაძლებლობა იზრდებოდა. ამ მოსაზრების დასადასტურებლად გამოგვადგება გორელების მიერ 1789 წ. შედგენილი საჩივარი ოთარ ამილახვარზე. საჩივრის პირველსავე მუხლში ამილახვრის დანაშაულად დასახელებულია გორში *„სასახლის აშენება“*[1]. ოთარ ამილახვარი ამ დროს გორის მოურავი იყო. გორელები მოურავს, ამ უმსხვილეს ფეოდალს ასეთ წინააღმდეგობას რომ უწევდნენ, გასაგებია სხვა თავადაზნაურთა გორში დასახლების წინააღმდეგ უფრო შეუპოვარნი იქნებოდნენ. ერეკლე II-მ, როგორც ჩანს, გორელების საჩივარს მაშინ ყურადღება არ მიაქცია. ამილახვარმა სასახლე შეინარჩუნა. მაგრამ გორელები არ თმობდნენ. იმავე საუკუნის 90-იან წლებში ახალი საჩივარი დაწერეს და, ამჯერადაც საჩივრის პირველ მუხლში ამილახვრის გორში უკანონოდ ცხოვრება აღნიშნეს. ამილახვარმა გორში საცხოვრებელი შეინარჩუნა. მან 1801 წ. 20 თებერვალს დაკითხვისას გენ. ლაზარევს განუცხადა: *„ოთარ ამილახვარი მქვია, ვარ ქართველი თავადი, ვცხოვრობ გორის ციხეში“*[2].

ჩანს, რომ მეფე ერეკლე გორში ყოფნისას თავის სასახლის გარდა, ზოგიერთი გორელის სახლშიც ჩერდებოდა, მაგრამ რატომ, ამის თქმა ძნელია. ის სახლი, სადაც მეფე ჩერდებოდა ხოლმე ქალაქში საუკეთესო იქნებოდა. ერთ-ერთი ასეთი სახლთაგანი ეკუთვნოდა ვინმე კოტოშაშვილს[3].

გორში თავიანთი სასახლე ჰქონდათ ქსნის ერისთავებს[4].

ქალაქის ვაჭარ-ხელოსანთა ზედა ფენის წარმომადგენლებს საკმაოდ დიდი სახლები და დარბაზები ჰქონდათ. დარბაზს ფლობდნენ ჯულაბაშვილებიც[5].

გორის ღარიბი მოსახლეობა მიწურებში ცხოვრობდა. ამაზე მიუთითებდნენ შარდენი და კლაპროთი. შარდენის თქმით, *„გორში სახლები... ალიზისაგან არის ნაშენი“*[6]. უაღრესად საინტერესოა კლაპროთის მიერ დატოვებული გორის საცხოვრებელი სახლების

---

[1] *საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 174.*

[2] *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, I, с. 324, №412.*

[3] *ქართული სამართლის ძეგლები, VIII, გვ. 95, №84.*

[4] *გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, II, გვ. 79.*

[5] *მეგრელაძე დ., მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის (ჯულაბაშვილების დავთარი). მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 35, 1963, გვ. 14-215.*

[6] *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 295.*

აღწერა. იგი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მდიდარი და ღარიბი მოქალაქეების ცხოვრების პირობებზე. გორში *„სახლების დიდი უმრავლესობა, – ამბობს კლაპროთი, – მიწურია ისევე, როგორც თბილისში. მათ აქვთ ქვის ოთხი კედელი, რომელთა სიმაღლე ორიდან სამ საჟენამდეა, კედლის სიგანე კი საკვამლის პროპორ-ციულია. სამი ნაბიჯის დიამეტრის ნახვრეტში კვამლი გადის და სინათლე და წვიმა შემოდის იატაკზე, საკვამლე ხვრელის დაბლა ანთია ცეცხლი. ეს არის ჩვეულებრივი არქიტექტურული სტილი. ზოგიერთი სახლი აგებულია ევროპულ გემოვნებაზე, რომლებშიც სუფთად შეღებილი ოთახებია ღუმელით, ორფრთიანი კარებებითა და ფანჯრებით“*[1]. კლაპროთი, მართალია, მცრე ხანს იყო გორში, მაგრამ მან ბევრი რამის ნახვა მოასწრო. სხვათა შორის, მან 1808 წ. 5-6 მაისის ღამე, როგორც თვითონ ამბობს, გაატარა *„ერთ სრულიად სუფთა სახლში“*[2]. მაგრამ, როგორც ზემომოყვანილი აღწერიდან ჩანს, მან ღარიბული ქოხებიც საფუძვლიანად დაათვალიერა.

ღარიბთა მიწური ქოხები მეტწილად ქალაქის განაპირას იქნებოდა განლაგებული, მაშინ, როცა ფეოდალთა და მდიდარი მოქალაქეების სახლები ციხის სიახლოვეს შენდებოდა. რა თქმა უნდა, ქალაქის ღარიბ მოსახლეობას გულისხმობს ფ. გორგიჯანიძე, როცა ამბობს: *„წუხელის ბატონი თეიმურაზ გორს დაესხა და ნაპირის სახლები ციხის ძირს მოვასხითო“*[3].

XVIII ს. ზოგიერთი საბუთი უაღრესად საინტერესო ცნობას გვაწვდის სოფლებიდან გორში გადმოსახლებულთა შესახებ, რაც თავისთავად ქალაქის ზრდაზე მეტყველებს. *„ჯულაბაშვილების დავთრის“* მინაწერიდან ჩანს, რომ ამ ოჯახს საკმაოზე მეტი საცხოვრებელი ფართი ჰქონდა და მდგმურებს აყენებდა. იმავე წყაროდან ირკვევა ზოგიერთი გადმოსახლებულის წარმომავლობა და ქირის ოდენობაც: *„პოია მარქარა დადგა ჩვენს სახლჩი ნკ ქირით თვეჩი“* – წერს პაპუნა ჯულაბაშვილი. მისივე თქმით, *„ნასყიდას სახლჩი დადგა ნორგი (?) სახლის ქირა თვეჩი ნკ“*; დავით ჯულაბაშვილი კი გვაცნობებს, რომ 1754 წ. ორი მდგმური დააყენა: *„უფლისციხელი წიტიკას-შვილი თამაზა დავაყენე ჩვენს სახლშია გიორგობისთვის დამდეგს, რომ დღეში ერთი კოკა წყალი უნდა მამიტანოს ქირაში“*,

---

[1] *Klaproth J. von, Reise in den Kaukasus und nach Georgian unternommen in den Jahren 1808, II, S. 327.*

[2] *Ibidem, S. 328.*

[3] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 243.*

„ნასყიდას სახლჩი დადგა ქინძათელი ბერუა“. დავითის 1772 წლის მინაწერში ვკითხულობთ: *„ხურო სარქისა დადგა ჩვენს სახლში“*[4]. ამ სახის ცნობები, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის გორის მოსახლეობის დაბალი ფენების საცხოვრებელ პირობებზე, სამწუხაროდ ბევრი არ გაგვაჩნია, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ მრავალი ოჯახი ანალოგიურ ან უფრო უარეს პირობებში ცხოვრობდა. ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ ვინმე ანანისშვილი ნასყიდას მდგომარეობა, როცა მის შესახებ დავით ჯულაბაშვილი ამბობს: ჩვენს სათონეში სახლი ააშენაო[2].

ყურადღებას იპყრობს პაპუნა ჯულაბაშვილის ერთი ჩანაწერი, რომელიც 1728 წ. განეკუთვნება: *„ქ. ღმერთ წინაშე მე პაპუნა გორს არ ვიყავი, გილანს ვიყავი. თაყიანთ მელიქ ფარსადანა მოსულიყო, ჩემი დარბაზის კედელი გივიანთკენ დაექცია და ცხრა ურემი აგური წაეღო. თავის ოთახები გააკეთა უფასურათ. ღმერთმა ამისთანა უსამართლობა ყოველს ქრისტიანს აშოროს, რომ მეზობლის დამკვიდრებული სახლი დაუქციოს თავის ძალით...“.* ორი წლის შემდეგ (1730) ასევე მოეპყრა ჯულაბაშვილების დარბაზს ქალაქის სხვა დიდებული: *„ქ. კიდევ თავისი ძალით, მე პაპუნა შინ არ ვიყავი, კოჭლ ამირათ ბატონს რევაზას მოსულიყო, თავის ძალით ჩემი დარბაზი დაექცია და ცხრა ურემი აგური წაიღო. ქალებისათვინ, ჩემი სახლისთვის წიგნი მიეცა თუ: მე ხელახლა გავაკეთებო, აღარ გააკეთა. ჩემი ცოდვა აქს“*[3].

ზემომოყვანილი ორი ამონაწერი გვიჩვენებს, რომ ისეთი გავლენიანი ვაჭარი, როგორც პაპუნა ჯულაბაშვილი იყო, უსუსურია მოხელისა (მელიქი) და ქალაქის დიდებულის წინაშე. მელიქის და *„ამირათ ბატონის“* მოქმედება გვაფიქრიანებს, რომ იმ დროს საამშენებლო მასალები ძვირი და ძნელად საშოვარი იყო და ჯულაბაშვილების დარბაზის აგური ამიტომ დაიტაცეს.

გვაქვს ორიოდე ცნობა XVIII ს. დასასრულს გორში სახლების და სასახლკარე მიწის ნაკვეთების ღირებულებაზე. ეგნატე და პაპუნა თუმანიშვილების ნასყიდობათა ნუსხაში წერია: *„ფრანგთა ქუჩაში რომ სასახლეა, დაფასდა ოთხმოც თუმნათ“*[4]. 1799 წ. შედგენილ ანდერძის წიგნში ვკითხულობთ: *„ერთი სახლი, რომ შერმაზანას-*

---

[1] *ჯულაბაშვილების დავთარი, გვ. 219-220.*

[2] *იქვე, გვ. 219.*

[3] *იქვე, გვ. 214, 215;*

[4] *მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, III, გვ. 324.*

შვილს ავეტიქას მივყიდე და ამის ფასი სამოცდაათი თუმანი ისევ ავეტიქაზედ არის“[1]. როგორც ჩანს, მაშინდელ გორში სახლის ღირებულება საშუალოდ 70-80 თუმანი იყო, რაც საკმაოდ სოლიდურ თანხას შეადგენდა. ასე რომ იყო, ამაზე მიუთითებს ზემოხსენებული ეგნატე და პაპუნა თუმანიშვილების ნასყიდობათა ნუსხა, რომელშიც *„სასახლის ალაგი“, „ზეითვენახის ნახევარი“, „გარეჯვარს ლელუას-შვილის მოსყიდული მიწა“, „თეიმურაზას-შვილები“, „ფრანგი გიორგი“, „ფრანგი პეტრე“, „იმერელი მარიამას-შვილი“* ერთობლივად 65 თუმნად და 2 მინალთუნად შეფასდა[2].

აბანო

გორში აბანოს არსებობის პირველი ცნობა 1710 წ. განეკუთვნება. სამეფო ყმა-მამულისა და საქონებელის გარიგების წიგნში ნათქვამია: *„აბანოსთან აბანო, სააგურე, ალავერდა რომ სახლებულა ისი და აბანო საბატონოთ დაიდვა*“[3].

წინათი გამოვთქვი ვარაუდი, რომ გორში, რომელიც ქართლის მეფეთა რეზიდენცია იყო, ორი აბანო მაინც იქნებოდა, ერთი მეფისა, მისი ოჯახისა და დიდებულებისათვის და მეორეც, საერთო სარგებლობისათვის.

თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით, *„ოსმალობის“* დროს გორში, მართლაც, 2 აბანო იყო: ერთი *„აბანოს მფლობელი დიდებული იუსუფ ბეგის ძეა, იგი დიდებული ვეზირ ისჰაკ ფაშას ხელშია ერთი თვალი“.* ეს აბანო ციხეში მდებარეობდა[4]. მეორე *„აბანო გორის რაბათთან, ერთი თვალი, იჯარით, სრული წლით, რაბათთან*“[5]. დავთრის ეს ცნობები აბანოს შესახებ, შესაძლებელს ხდის დავაზუსტოთ გორში აბანოების რაოდენობა და მდებარეობა.

გვაქვს 1738 წლის ცნობაც. მასში დასახელებული აბანო გორის ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით უნდა ყოფილიყო. საბუთში ვკითხულობთ: *„მოგყიდე მიწის ნაკვეთი ავთანდილაანთ ნავენახავის*

---

[1] *უჩანეიშვილი დ., დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის (XVII-XIX ს.ს.), გვ. 122.*

[2] *მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, III, გვ. 324.*

[3] *იქვე, გვ. 211, №339;*

[4] *1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, გვ. 447-448.*

[5] *იქვე, გვ. 449*

მიდგომამდი ბოლო აბანოს მიწის მიდგამამდი, საზენაქარო, გვერდი ფშანამდი, საქვენაქარო გვერდი ჩემის წისქვილის რუმდი“[1].

დაუჯერებელია, რომ XVIII ს. პირველ ნახევრამდე გორში აბანო არ ყოფილიყო. ეს ქალაქი ხომ პერიოდულად ქართლის მეფეების რეზიდენცია იყო. როგორ მოხდებოდა როსტომ მეფეს *„ყიზილბაშთა რიგის“* სასახლე აეგო და აბანო კი არ აეშენებინა.

წისქვილები

გორი თავისი ხელსყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, უძველესი დროიდან გამოირჩეოდა წისქვილების სიმრავლით.

წისქვილები განლაგებული იყო ქალაქის გალავნის გარეთ, მდინეების ლიახვისა და ფშანის მახლობლად. 1802 წლის გეგმაზე აღნიშნულია 7 წისქვილი[2].

1710 წ. 27 სექტემბრის სამეფო ყმა-მამულისა და საქონებელის გარიგების წიგნის მიხედვით, წისქვილები იყო აგრეთვე *„მტკვრის პირას საკურდღლე ჭალასთან“*[3]. შემდგომ პერიოდში წისქვილები მტკვრის პირას აღარ ჩანს.

პირველი ცნობა გორის წისქვილების შესახებ განეკუთვნება XVII ს. პირველ ნახევარს, ერთ-ერთ საბუთში, სადაც ჩამოთვლილია მანუჩარ და ჯიმშიტა თუმანიშვილებს რა ერგოთ თაყასა და ბირთველთან გაყრის შედეგად, დასახელებულია ორი თვალი წისქვილი და ივანე მეწისქვილე[4].

გორის წისქვილები ნახსენებია 1717-1719 წ.წ. განჩინებაში გივი თუმანიშვილისა და მისი ბიძაშვილების გაყრის საქმეზე[5], განჩინებაში გარსევანიშვილების ყმა-მამულის გაყიდვაზე[6], გორელების 1789 წლის საჩივარში ამილახვრის მიერ *„წისქვილებიდამ ფქვილის წართმევა ქვრივისა და ობლისა“* გამო[7], ზაზა ხითარიშვილის მიერ გიორ-

---

[1] *გსიემ, №117.*

[2] *Центральный государственный военно-истортческий архив, фонд ВУА, №21898; ix. აგრეთვე, ქართლის ცხოვრება, II, ჩუბინიშვილის გამოცემა, გვ. 79.*

[3] *დოკუმენტები, II, გვ. 211, №339.*

[4] *ხეც, Hd, №14665.*

[5] *ქართული სამართლის ძეგლები, IV, გვ. 283, №198.*

[6] *იქვე, გვ. 636, №495.*

[7] *საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 174.*

გი მეთორმეტისადმი მირთმეულ არზაში, რომელითაც აბელა ყუზანაშვილს უჩივის წისქვილის გამო[1].

1728 წლის თბილისის ვილაიეთის აღწერის დავთარი საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ ზოგიერთი წისქვილის კუთვნილება, მათი თვალთა რაოდენობა და წისქვილების მდებარეობა: *„წისქვილი გორგიჩას ხელში ორი თვალი“; „წისქვილი ავთანდილას ხელში ორი თვალი“; „წისქვილი გენება ოჰანის ძის ხელში ორი თვალი“; „წისქვილი გივი რამაზის ძის ხელში, თვალი 2“; “ორი თვალი წისქვილი ამჯერად აბდალლაჰ იუზბაშის მფლობელობაშია“; „წისქვილი თვალი 2“; „წისქვილი თუმან მჭვდლის ხელში, თვალი 3“; „ფარსადანის ხელთ არსებული წისქვილის თვალი იყო 2“; „თარჯიმან ფარსადანის ხელთ არსებული წისქვილის თვალი იყო ორი“; „წისქვილი დოლმაზისა ორი თვალი“; „ავთანდილის ხელთ არსებული წისქვილის თვალი 2“; „სულხანის ძის ხელთ არსებული წისქვილის თვალი 3“; „უწინდელი ბაღი ავთანდილის ხელთ არსებული გაუქმებულია. მისი საზღვარია ერთის მხრივ მდინარე ხარუფი (?), მეორეს მხრივ მდინარე ფშანი და ერთის მხრივაც წისქვილი ავაქისა“; „წისქვილი თვალი 4“; „წისქვილი თვალი 26 სრული წლით, გადასახადი 2960“.* ამგვარად, გორში არსებობდა 15 წისქვილი, რომელთა თვლების საერთო რაოდენობა იყო 30. მათგან ამოღებული საგადასახადო თანხა შეადგენდა 2960 ახჩას.

დიდი იყო წისქვილის სამეურნეო მნიშვნელობა. ცნობილია, რომ ზოგიერთი წისქვილი *„სადედოფლო“* იყო, რომლებსაც ხშირად, მსგავსად სამღებროებისა და დუქნებისა, იჯარით გასცემდნენ. ერთერთ საბუთში ნათქვამია, რომ ერეკლე II-ის თანამეცხედრეს, დარეჯან დედოფალს, გორში ეკუთვნოდა წისქვილები, რომლებიც იჯარით იყო გაცემული და სამღებროს იჯარასთან ერთად დედოფალს ყოველწლიურად 160 თუმანს აძლევდა[2]. დედოფალი, ზოგჯერ, წისქვილს თავის ერთგულ მოხელეზე *„სამკვიდრო მამულად“* გასცემდა[3].

წერილობითი ცნობების მონაცემთა მიხედვით თვალში საცემია გორის წისქვილების სიმრავლე, იმ გაგებით, რომ ქალქის მოსახ-

---

[1] *ქართლის სამართლის ძეგლები, IV, გვ. 679.*

[2] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1448, №9128.*

[3] *დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIX სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953, გვ., 120, №189, გვ. 198, №321; Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, I, с. 209, №171.*

ლეობა მხოლოდ 2-2,5 ათას სულს შორის არის სავარაუდო. გამოდის, რომ წისქვილები ახლომდებარე სოფლების მოსახლეობასაც ემსახურებოდა და მათ მფლობელებს სერიოზულ შემოსავალს აძლევდა.

ბაღ-ბოსტნები

გორელებს, ისევე როგორც ფეოდალური ხანის სხვა ქალაქების მოსახლეობას, მჭიდრო კავშირი ჰქონდათ სოფლის მეურნეობასთან. ამაზე მეტყველებდა ქალაქის გარეგანი სახეც. როგორც ქალაქის შიგნით, ისე მის მიმდებარე ტერიტორიაზე გაფანტული იყო მოქალაქეთა ბაღ-ვენახები და ბოსტნები. გორის აღწერისას ვახუშტი ბატონიშვილი ამბობს: *„არამედ არს ადგილი ჰავითა შუენიერი, წყალი კარგი, გარემოს აქვან ვენახნი და წალკოტნი მრავალნი... ხილი და საზრდელნი მრავალნი, გემოიანნი“*[1].

ჩვენამდე მოღწეულ სხვადასხვა სახის წყაროებში ვხვდებით ცბობებს ბაღების, ვენახების და ბოსტნების შესახებ.

„დასტურლამალის“ 32-ე პარაგრაფში *(„ხილისა“)* ჩანს, რომ გორის ბაღებში მოწეულ ხილს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამეფო კარის მომარაგების საქმეში[2].

XVIII ს. პირველ ნახევარში კი ბაღები გაშენებული იყო გორის ციხის ჩრდილოეთით, მდ. ლიახვის აღმოსავლეთით[3], რასაც შემდგომ პერიოდში ვეღარ ვხედავთ[4]. ამილახვრის კაცების მიერ ვენახებისა

---

[1] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 367.*

[2] *ქართული სამართლის ძეგლები. 1. ჭელმწიფის კარის გარიგება; 2. დასტურლამალი / ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., 1970, გვ. 508 (შემდეგში: დასტურლამალი).* შემორჩენილია გორსა და გორის რაიონში ადრე გავრცელებული ვაშლისა და მსხლის ჯიშების სახელები. ვაშლი: თურაშაული, აბელაური, რევაზბეგი, კიტრა-ვაშლი, წერტილი-ვაშლი, სინანური-ვაშლი და ბორა-ვაშლი. მსხალი: ხეჭეჭური, თავრიზული, მილახური, შავიმსხალი, ბორბალა, სეფანაური მსხალი, ერეკლეს-მსხალა, გულაბი, თაფლა-მსხალი, მთის-ხეჭეჭური. *ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, V, 1986, გვ. 693, 695.*

[3] *დასტურლამალი, გვ. 528.*

[4] *ქართლის ცხოვრება, II, ჩუბინაშვილის გამოცემა, გვ. 79; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, III, გვ. 175.*

და ბაღების აკლებაზეა ლაპარაკი გორელების მიერ 1789 წ. დაწერილ საჩივარში.

1802 წ. გეგმის მიხედვით, ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე სამხრეთ-აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით გაშენებული იყო ვენახები[1] და ბოსტნები. მოცემულ ტერიტორიაზე აღნიშნულია სულ 18 ვენახი და 2 ბოსტანი. იმავე გეგმიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები უზრუნველყოფილი იყო საკმაოდ განვითარებული საირიგაციო სისტემით. თანამედროვე ქალაქის ტერიტორია დაქსელილი იყო მრავალი არხით, რომლებითაც ბაღები და მინდვრები ირწყვებოდა.

რაც დრო გადიოდა, ქალაქის შიგნით არსებული ბაღ-ვენახების ფართობი მცირდებოდა. ეს, პირველ რიგში, ქალაქის მოსახლეობის ზრდით და, შესაბამისად, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა მშენებლობით იყო გამოწვეული. ეს პროცესი განსაკუთრებით უნდა დაჩქარებულიყო XVIII ს. მეორე ნახევრიდან, როცა თეიმურაზ II-ის და ერეკლე II-ის დროს გორი, ისევე როგორც ქართლის სხვა ქალაქები, შედარებით მშვიდობიან პირობებში ცხოვრობდა. 1780 წლის ერთი სიგელიდან ჩანს, რომ ქალაქში თავისუფალი ტერიტორია იმდენად შემცირებულია, რომ ერთ-ერთი ეკლესიის მშენებლობა ამის გამო დიდი ხნით დაყოვნდა. მეფე ერეკლე სააკაშვილს უბრძანებს: *„მაგრამ სხვა ალაგი კი აღარ გქონდათ საეკლესიო რომ ნება და შემწეობა გვეწყალობებინა თქვენთვისა. და რადგან ისევ თქვენვე საღდრისათვის ალაგიც თქვენსავე სახლისა წინ აღმოსავლეთის მხარესა საკუთარ თქვენი პატარა ბაღი*

---

[1] *„დასტურლამალში“* ნახსენებია მეფის კუთვნილება *„გორის ზვარი“*, მაგრამ მითითებული არ არის სად ან რა ფართობზე იყო გაშენებული. გორის ზვრისათვის გორში მოჰქონდათ 60 *„საკომლო სარი“*. თითოეული „საკომლო სარი“ სამი კონისაგან შედგებოდა, ე.ი. ყოველწლიურად იკრიბებოდა 180 კონა. თუ თითოეულ კონაში, ტრადიციულად, 40 სარს ვიგულისხმებთ, გამოდის რომ წელიწადში იკრიბებოდა 7200 სარი. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ სარის შეცვლა სამ წელიწადში ერთხელ ხდებოდა, მაშინ გამოდის, რომ გორის სამეფო ზვარში გამოყენებული იყო 21600 სარი. ამდენივე იქნებოდა ვაზის ძირთა რაოდენობაც. ივ. ჯავახიშვილმა, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გამოანგარიშა, რომ გორის სამეფო ზვარი უნდა ყოფილიყო 4,32-5,4 დღიურამდე. შდრ. 1802 წლის გეგმა. თუ XVI-XIX სს. ერთი დღიური 0,29-0,5 ჰექტარს უდრიდა, მაშინ გორის სამეფო ზვარი გაშენებული ყოფილა დაახლოებით 10 ჰექტარზე.

გამოიმეტეთ და შესწირეთ, ამისათვის ჩვენც ვისმინეთ აჯა თქვენი და გიბოძეთ ნება ეკლესიის აღშენებისა თქვენსავე მამულში“[1].

XIX ს. დასაწყისისათვის ქალაქში იმდენად სივიწროვე იყო, რომ ზაფხულობით მოსახლეობას დასვენებისა და გართობის ადგილად გადაიქცა ქალაქის გარეთ ბაღები[2].

*

ძველი გორის გარეგანი სახე რომ უფრო სრულყოფილად წარმოვიდგინოთ, მცირეოდენი უნდა ითქვას მის შემოგარენზეც.

გორელებს ქალაქის გალავნის გარეთ ჰქონდათ ორი სასაფლაო – ქართველების და სომხების. სასაფლაოები ერთმანეთის გვერდიგვერდ იყო იქ, სადაც ამჟამად განლაგებულია გორის მთავრობის სახლი, საქართველოს ბანკი და სტალინის სახელობის მოედანი.

მდ. ლიახვი მიედინებოდა ციხის დასავლეთი კედლის ძირში. მისი მუდმივი კალაპოტი ერთობის ქუჩის აღმოსავლეთით გადიოდა და მტკვარს უერთდებოდა. ამ მდინარის ადიდებისას წყლით იფარებოდა საკმაოდ ვრცელი ტერიტორია, რომელზეც ამჟამად გაშენებულია მზეჭაბუკის ძეგლი და სკვერი, სტადიონი, კულტურისა და დასვენების პარკი, რობაქიძის ქუჩა, ყოფილი სასტუმრო „ქართლი“, და ა.შ.

ამჟამინდელი იუსტიციის სახლის, ავტოსადგურის, ყოფილი ბაზრის მოედნის მახლობლად, იქ, სადაც ავტომობილების სადგომი იყო, ლიახვი ქმნიდა მოზრდილ კუნძულს. ლიახვის თითოეულ ტოტზე, ცალ-ცალკე, ერთმანეთის მიყოლებით გადებული იყო ორი ხის ხიდი, მათზე გადიოდა გზა, რომელიც მდინარის მეორე ნაპირზე ორად იყოფოდა: ერთი მიდიოდა თედოწმინდაში, მეორე – ტინისხიდში.

1802 წლის გეგმის შედგენის დროს მტკვარზე ხიდი არ იყო[3]. ეს გარემოება საინტერესოა მით უფრო, რომ გორელები XVIII ს. 20-იან წლებში მტკვარზე გადებული ხიდით სარგებლობდნენ და გარკვეულ გადასახადსაც იხდიდნენ. ამგვარი ცნობა შემოგვინახა 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდმა დავთარმა. მტკვარზე გადებული ხიდის შესახებ დავთარში იმიტომ იყო აღნიშნული, რომ *„მტკვარზე გადე-*

---

[1] *გსიემ, №5803.*

[2] *Туманов А. Б., Описание грузинского города Гори, ‹. 36.*

[3] *Центральный государственный военно-истортческий архив, фонд, ВУА, №20548.*

ბულ გადასასვლელ ***ხიდზე***“, ოსმალებს დადგენილი ჰქონდათ გორელების გადასახადი 2.000 ახჩა[1]. ამ ცნობის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ აქამდე მტკვრის ხიდზე მხოლოდ ის ვიცოდით XVII ს. დასაწყისში ტერტერამ რომ ხიდი აყარა და გორს მტრის თავდასხმა ააცილა. შემდგომ პერიოდში გორთან მტკვარზე ხიდის არსებობაზე არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია. როგორც ითქვა, მტკვარზე ხიდი არ ჩანს გორის 1802 წლის გეგმაზე, სამაგიეროდ არის 5 (დროებითი) ხიდი მდ. ფშანსა და ლიახვზე, რომლებზეც ვრცლად ვილაპარაკებთ გორის ისტორიის მეორე წიგნში.

[1] *1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, გვ. 448.*

ᲒᲝᲠᲘᲡ ᲪᲘᲮᲔ

კასტელმა თავის მრავალრიცხოვან ჩანახატებს დაურთო ისტორიული შინაარსის მქონე საინტერესო განმარტებანი. ასეა გორის ციხესთან მიმართებაშიც. კასტელის ეს ნახატი, რომელიც ნაწილია

დონ კრისტოფორო დე კასტელს ნახატი. გორის ციხის დასავლეთი მონაკვეთი.

სრული სურათისა, პირველია ჩვენამდე მოღწეულ საქართველოს ციხეთა ამსახველ ნახატებს შორის. საინტერესოა კასტელის მიერ მასზე გაკეთებული ლათინურენოვანი მინაწერები. რამდენადაც ისინი გადმოგვცემს ჩვენი ქალაქის ისტორიულ წარსულს, როგორც იგი ესმოდა თვით მხატვარ-მისიონერს. აი რას სწერდა კრისტოფორო კასტელი:

„თეიმურაზი ერთ დროს ქართლ-კახეთის მეფე იყო და სხვ., ჩვენი დროის დიდი მეომარი ამ ქვეყანაში. მან [ბევრი იბრძოლა] შაჰის წინააღმდეგ, მაგრამ შემდეგ დაბერდა და თავისიანების მიერ მიტოვებულმა, დასთმო მთელი თავისი სამეფო და ახლა ცხოვრობს, როგორც კერძო პირი, თავის სიძე ალექსანდრესთან, ქალაქ ქუთაისში. ... ხშირად... მოსკოვის მთავარი მას უწოდებს ქრისტიანული სარწმუნოების დამცველს მაჰმადიანობის წინააღმდეგ. სომხების ეკლესია. სპარსეთის ხელმწიფის, შაჰსეფის, მეუღლე ელენე ათაბაგი იესე ქრისტეს სახარებაზე მოაქციეს დიდად პატივცემულმა რეგულარების პატრებმა გურიის მხარეში. იმ დროს, როცა მისიონი საქართველოს სამეფოში იმყოფებოდა. კეთილისმყოფელი, ღვთისმოსავი ქალი, დიდად ბედნიერი, საზეიმო სიკეთით სახელგანთქმული, სპარსეთის ჯარების მთავარსარდალი, როსტომის დროს. შედეგ, როცა თეიმურაზმა მიატოვა თავისი სამეფო, ამ რეზიდენციას საფუძველი ჩაუყარა და ერთგულების ნიშნად ეს გეგზავნებათ, ჩვენი რეგულარული პატრი მისიონერების საშუალებით, 1630 წელს.

ქართლის პროვინციაში პირველად ეს რეზიდენცია ავაშენეთ. აქვე იყო ჰერეტიკოს სომხებისა და წმინდა სარწმუნოების სხვა მტრების ეკლესიებიც“[1].

[1] დონ ქრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ / *ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1976,* თბ., 1977, გვ. 170.



გორის ციხე. დონ კრისტოფორო დე კასტელის ნახატი

მართალია, ამ ნახატს გორის ციხედ მოვიხსენიებთ, მაგრამ სინამდვილეში მასზე ასახულია XVII საუკუნის პირველი ნახევრის მთელი ქალაქი გორი. კასტელი ასე გადმოგვცემს თავისი ნახატის ცალკეულ სიუჟეტებს: „გორის ციხესთან მდებარე მისიონერთა სავანე... ჩვენს დროში, დიდი იბერიის გაუკაცრიელების შემდეგ. ჯარისკაცები [თურქების] სათვალთვალე ქონგურებიდან. ნეტარი ავგუსტინის ეკლესია. მირაგა. სომხების სავაჭროები. რეგულარული წესის პატრებისათვის მოცემული სახლი. პატრი ავგუსტინელები. წყალი მოაქვს სახედრით. პატრები მოდიან სოფლიდან. პატრები დიდ

გენერალთან, სპარსეთის ხელმწიფის სარდა... მას წარუდგინეს სპარსეთის ხელმწიფის მიერ შეკვეთილი ნაშრომი. ჩვენი რეზიდენცია საქართველოში, სადაც ყოველთვის კარგად გვიღებდნენ. ამიერიდან ქართველები გადასახლებულნი არიან სპარსეთში. უმთავრესად შაჰ-აბასმა ხალხისგან დაცალა საქართველოს ეს ქვეყანა, რომელიც სომხეთს ესაზღვრება.

1946 წ. 5 აპრილს გორის ციხის ჩრდილოეთის ფერდობის მოზვავებისას გამოჩნდა ძველი ციხის კედლის ნაშთი და კერამიკული ნატეხები. კედელი აშენებული იყო თლილი ქვით. ამგვარად, დადგინდა, რომ შუა საუკუნეების ციხე აშენებული იყო ძველ ნაციხარზე, რომელიც მკვლევართა აზრით, არმაზციხის ტიპის ნაგებობას წარმოადგენდა. ციხის მშენებლებმა ოპტიმალურად გამოიყენეს კლდოვანი ბორცვი. ჩემი დაკვირვებით, ამავე ბორცვის სამხრეთ ფერდობზე მოჭრილი კლდეს იყენებდნენ მშენებლობიდათვის, რაც დღესაც კარგად ჩანს.

შიდაციხის ზღუდეები ისეა ამოყვანილი, რომ ბორცვის თხემი შიგნით არის მოქცეული, რაც თავდამსხმელებს ზღუდის საძირკვლის გათხრას უძნელებდა. საძირკვლის გამთხრელი კედლის შიგნით კლდეს წააწყდებოდა და შიდაციხეში ვერ შეაღწევდა. ციხის კედლის სიმაღლე 6 მ, ხოლო სისქე 3 მ უნდა ყოფილიყო. ნაგებობა თარიღდება ძვ. წ. უკანასკნელი ათასეულის მეორე ნახევრიდან ახალი წ. ა. პირველი საუკუნეებით. *„თუ არმაზციხე წარმოადგენს თავისებურ აკროპოლს, – წერდა დ. გვრიტიშვილი, – ხოლო გორის ციხესა და არმაზციხეს შორის მსგავსებას ვცნობთ, მაშინ იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ გორის ციხის სახით ჩვენ მეორე აკროპოლისიც გვქონდა. ასეთი დასკვნა გადაჭარბებულად არ მოგვეჩვენება თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გორი შიდა ქართლის გული იყო, შიდა ქართლი კი მთელი ქართლის გული“*[1].

[1] *გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 8.*

გორის ციხის ორთოფოტო

გორის ციხის მშენებლობაზე გამოყენებული იყო ისეთივე ტიპის ალიზი (გამოუწვავი – *„უმი“* და გამომწვარი – *„შეცხობილი“*), როგორიც იყო მცხეთაში და უფლისციხეში. საინტერესოა, რომ მცხეთის, უფლისციხისა და გორის ციხის ალიზი ურარტუს ციხე-ქალაქის თეიშებაინის მშენებლობისას გამოყენებული ალიზის მსგავსია[1].

გორის ციხემ თავისი არსებობის მანძილზე მრავალ ქარტეხილს გაუძლო, მრავალჯერ დაინგრა, მაგრამ კვლავ აღსდგა. ჩვენამდე მოღწეული პირველი წერილობითი წყარო, ფსევდო-შაპუჰის ისტორია, გორის ციხეს საკმაოდ ძლიერ სიმაგრედ წარმოგვიდგენს. იგი ასევე ძლიერი ჩანს XII-XIV საუკუნეებში. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ გიორგი V ბრწყინვალემ გორის ოსთაგან გათავისუფლებას სამი წელი მოანდომა. თემურ-ლენგის ისტორიკოსები ნეზამ ად-დინი და შარაფ ად-დინი XV ს. დასაწყისში, თემურის მეექვსე შემოსევის დროს, გორის ციხეს *„უაღრესად მკვიდრსა და საგულდაგულოდ*

[1] *აფაქიძე ა., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, გვ. 77-78.*

გამაგრებულ ციხე-სიმაგრედ“ წარმოგვიდგენენ[1]. შარაფ ად-დინის თქმით, გორის ციხე შეყვარებულთა პირობაზე მტკიცე იყო. თემურის ისტორიკოსები იმისთვისაც აქებენ გორის ციხეს, რომ მკითხველი დაარწმუნონ დამპყრობლის სიძლიერეში.



ჩამოთვლილი ავტორების ცნობები გვაფიქრებინებს, რომ მათ დროს გორის ციხე ქვიტკირით ნაშენები იყო. ამაზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ XV ს. 70-იან წლებში ვენეციელმა ამბროჯო კონტარინიმ ხით ნაგები გორის ციხე იხილა[2]. შ. მესხიას აზრით,

---

[1] *ტაბატაძე კ., ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, გვ. 134.*

[2] *Ramusio G. M., Seconda volume delle Navigationi et Viaggi, v. II, p. 115; „მოამბე“, 1892, №11.*



რაც გორის ციხის მაგალითზეა დამყარებული, ხის სიმაგრეები დამახასიათებელი იყო საქართველოს სხვა ქალაქებისთვისაც. *„ხის ციხე-სიმაგრეთა არსებობა, – წერდა შ. მესხია, – რა თქმა უნდა, ქალაქის სიღარიბეზე როდი მიგვითითებს; იგი თავდაცვისა და საომარი ტექნიკის მაშინდელ დონეს სავსებით შეეფერებოდა“*[1]. მე კი ვფიქრობ, რომ მაშინდელ გორში ხის ციხის არსებობა არა მხოლოდ ქალაქის, არამედ მთელი ქვეყნის სიღარიბეზე მიუთითებდა. ქვეყანა ასეთ მდგომარეობამდე თემურისა და მისი მემკვიდრეების თარეშმა მიიყვანა. აქვე ისიც უნდა შევნიშნო, რომ შ. მესხია XVII ს. შუახანებამდე გორში ხის ციხეს ვარაუდობდა. მაგრამ დანამდვილებით ვიცით, რომ ჯერ კიდევ XVI ს. დასასრულს გორის ციხე ქვით იყო ნაგები.

1578 წ. ირან-ოსმალეთის ომის დასაწყისში, შირვანის ლაშქრობიდან უკან მობრუნებულმა ოსმალეთის ჯარის სარდალმა ლალა მუსტაფა ფაშამ გორი გაამაგრა[2]. ქართულ წყაროების *„ოსმალებმა გორი აღაშენესო“*, რომ გორის ციხის აშენება იგულისხმება, ადასტურებს არაქელ დავრიჟეცი: „თბილისში, დმანისში, გორში, ლორეში და სხვა ადგილებში ააგო ლალამ ციხეები და იქ ჯარი ჩააყენა“[3].

ოსმალებმა გორის ციხე რომ ქვით ააშენეს, ჩანს იმავე არაქელ დავრიჟეცის სხვა ცნობიდან: 1599 წ. სვიმონ I-მა გორი გაათავისუფლა. *„მტირალ უცხო ტომელებს (სვიმონმა) უბრძანა დანგრეული ციხის ქვები წაეღოთ და მდ. მტკვარში ჩაეყარათ“*[4]. შაჰ. აბასის

---

[1] *მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, გვ. 610-611.*

[2] *ქართლის ცხოვრება, II, გვ. 523; II, გვ. 411.*

[3] *არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 45.*

[4] *მეგრელიძე ი., დიდი ლიახვის სიძველენი და მათი წარწერები // სტალინირის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, III, სტალინირი, 1957, გვ. 234.*

როსტომ ხანი (ხოსრო მირზა)
ქრისტოფორო დე კასტელის ნახატი.

ბრძანებით, 1614 წ. ზაფხულში, გორის ციხე აღადგინეს და შიგ ყიზილბაშთა გარნიზონი ჩააყენეს[1].

გამეფებისთანავე, 1632 წ., როსტომ მეფემ გორის ციხე აღადგინა. როგორც ჩანს, ციხის აღდგენით დაინტერესებული იყო შაჰ სეფი, ვახუშტი ამბობს: *„როსტომის მეფობას აღაშენა შასეფიმ კუალად ციხე და მიერით ეპყრათ ყიზილაბშთა“*[2]. სამუშაოს ასრულებდა მთელი ჯარი, რომელიც გორში და მის ახლომახლო სოფლებში დააბინავეს[3]. მშენებლობას უშუალოდ ჯარის სარდალი როსტომ-ხან სააკაძე ხემძღვანელობდა[4]. ფ. გორგიჯანიძის მიხედვით, ციხის მშენებლობა 20 დღეს გაგრძელდა[5]. სხვა წყაროს მიხედვით *„ქ. როსტომ ნეფე როსტომხან სარდალი ქალაქში მოვიდნენ და ოც დღეზე დაქცეული გორი აღაშენეს“*[6]. *„წიგნი ქრონიკონი ძველისა და ახლისა“* ციხის აღდგენის ორ სხვადასხვა დროზე მიუთითებს: 20 და 30 დღე. *„1631 წ. ტით - როსტომ მეფე და როსტომ სარდალი საქართველოში მოვიდნენ და ოც დღეზე დაქცეული გორის ციხე აღაშენეს“. „1636 ქ. ქ კს ტკლ გორის ციხე ააშენა როსტომ მეფემ, ყეენის ლაშქარი ახლდა, ადლობით დაუყო და ოცდაათ დღეზე ააშენეს“*[7]. *„ბებურაანთ ძველი თარიღების“* მიხედვით ციხე ოც დღეში აუშენებიათ[8].

---

[1] *ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 90.*

[2] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 367.*

[3] *დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 53.*

[4] *იქვე, გვ. 56.*

[5] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 240.*

[6] *ბოჭორაძე გ., ფურცელაანთეული ქრონიკა // საისტორიო მოამბე, წ. I, წელიწადი II, ტფ., 1925, გვ. 177. ამ წყაროს თარიღი (1631 წ.) სწორი არაა. უნდა იყოს 1633 წ.*

[7] *საქართველოს საისტორიო ქრონიკები, გვ. 342;*

[8] *იქვე, გვ. 344*

დამოწმებულ წყაროებში გორის ციხის აღდგენის სხვადასხვა დროს (20 თუ 30 დღე) ყურადღება რომ არ მივაქციოთ, არც თარიღებია სწორი. როგორც ვნახეთ, გვაქვს 1631, 1636 წლები, გვაქვს, აგრეთვე 1632[1] და 1634[2] წლები.

ყველაზე სანდოდ უნდა მივიჩნიოთ დონ პიეტრო ავიტაბილეს ჩანაწერები, რადგან იგი გორის ციხის აღდგენის თვითმხილველია. ავიტაბილეს თქმით, *„ორმოც დღეში სიმაგრის შენება საბოლოოდ დასრულდა, რომელზედაც (ყიზილბაშთა – ე.მ.) მთელმა ჯარმა იმუშავა“*. მშენებლობა დასრულდა 1633 წლის აგვისტოში. ავიტაბილე იქვე იძლევა ერთ უაღრესად საინტერესო ცნობას: *„გენერალი, რომელსაც ქართველები სარდალს უწოდებენ, ხედავდა, რომ გორის სიმაგრის აშენება დიდი წარმატებით მიმდინარეობდა, მოისურვა ამ სიმაგრის ნახატი (გეგმა) სპარსეთის ხელმწიფისათვის გაეგზავნა. მან კარგად იცოდა, რომ ჩვენს სახლში შეეძლოთ დახატვა, ამიტომ გამოგვიძახა. წავიდნენ პატრი ჯაკომო და დონ კრისტოფორო (კასტელი – ე.მ.). (გენერალმა) ესენი დიდი სიყვარულით მიიღო და სთხოვა, რომ აღნიშნული ნახატი შეესრულებინათ... პატრმა დონ კრისტოფორომ (ციხის გეგმა) ძალიან კარგად დახატა და წაუღო გენერალს. მან ისეთი სიხარულით მიიღო, რომ ვერ აგიწერთ. გენერალმა მეორე დღეს იგი თავის ბატონს – სპარსეთის შაჰს – გაუგზავნა“*[3].

კრისტოფორო კასტელის მიერ 1642 წ. 20 მარტს სამეგრელოდან რომში გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ მას შაჰისათვის სხვა სურათებიც დაუხატია. ის არ ასახელებს, კერძოდ რა დახატა, გამოყოფს მხოლოდ ერთს, გორის გეგმას. როსტომ მეფეს, ჯარის სარდალს როსტომ სააკაძეს და სპარსელ დიდებულებს გეგმა ისე მოსწონებიათ, რომ მათ კრისტოფოროს ირანში წასვლა და შაჰის კარზე სამსახური შესთავაზეს. მაგრამ კრისტოფორომ ავადმყოფობის მიზეზით უარყო ეს წინადადება[4].

კასტელის კარგად ცნობილი გორის ციხის ნახატზე არის მისივე ხელით იტალიურად მინაწერი, საიდანაც ირკვევა, რომ ნახატის ერთ-ერთი სცენა იმ მომენტს ასახავს, პატრებმა ყიზილბაშთა სარდალს, ე.ი. როსტომ სააკაძეს გორის ციხის გეგმა რომ მიართვეს.

---

[1] *მცირე ქრონიკები, გვ. 60.*

[2] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 438.*

[3] *დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 27, 56.*

[4] *ხეც, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №1101, 16-17.*

ჟან შარდენის აზრით, გორის ციხე კარგად დაცული არ იყო. ამ ფრანგი მოგზაურის გორში ყოფნის დროს ციხეს ასი კაცი იცავდა[1]. ყველა ისინი ყიზილბაშები იყვნენ. ირანის გავლენის გაძლიერებას აღმოსავლეთ საქართველოში ისქანდერ მუნში გორის ციხის აღდგენასთან აკავშირებს"[2].

მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა გორის ციხე *„ოსმალობის"* პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოში. ოსმალების გორისადმი ინტერესი და ისიც, რას ანიჭებდნენ ისინი მნიშვნელობას დაპყრობილ ქვეყანაში, კარგათ გამოჩნდა 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის იმ მონაკვეთის სახელწოდებაში, რომელიც გორს ეხება. მას ჰქვია *„გორის ციხე"*.

დამპყრობლები გორის ციხეს მიიჩნევდნენ არა მხოლოდ როგორც თავდაცვით ნაგებობას და შიდა ქართლში ბატონობის პლაცდარმს, არამედ იგი ერთდროულად იყო რეგიონის მმართველობის ცენტრიც – აქ იყო განთავსებული საოკუპაციო მმართველობა. იქვე იყო ქალაქისა და რეგიონის მუსლიმანური სასულიერო ხელმძღვანელობაც.

ციხეში ჰქონდა თავისი სათადარიგო რეზიდენცია თბილისის ვილაიეთის მეთაურს ისჰაკ (ისაყ) ფაშას – *„თბილისში წარჩინებულთა შორის უდიდებულესს"*. იგი, იმავე დროს ოსმალეთის სულთნის ვეზირიც იყო. ისჰაკ ფაშა იყო სამცხის ათაბაგების გამუსლიმანებული შთამომავალი, ახალციხის ფაშა (1723-1735), რომელიც განაგებდა თბილისის ვილაიეთსაც. როგორც ცნობილია, XVI საუკუნის ბოლოდან თითქმის ყველა ვილაიეთის გამგებელი ვეზირის ტიტულს ატარებდა[3].

ჭირს იმისი თქმა, კონკრეტულად რაიმე ანტიმართლმადიდებლური ღონიძიება გატარდა თუ არა *„ოსმალობის"* პერიოდის გორში, მაგრამ რაღაც სერიოზული კი მოხდა ისეთი, რომლის გასწორებას

---

[1] *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 295.*

[2] *ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. გვ. 37.*

[3] *ჯიქია ს., XVIII საუკუნის ორი თურქული დოკუმენტი. თსუ შრომები, ტ. 99. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, III, თბ., 1962, გვ. 153-172; სამი ოსმალური წყარო თბილისის ისტორიისათვის (1730-1732). თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ, თბ., 2008, გვ. 100, შენ. 1.*

დიდი ხნის შემდეგ, 1757 წელს მეფე თავისი განჩინებით ცდილობდა: *„ესეც ასე გვიბრაძანებია, თუ ჩვენს სახასო კაცს გორში კათალიკოზის ყმის მიწა და ვენახი ეყიდნოს, რა ოსმალო ქართლში მოსულიყოს, მას აქეთ „ოსმალობას“ თუ „ყიზილბაშობას“, დღეს აქამდის იმისი მიწის ღალა და ვენახის კულუხი*[1] *კათალიკოზს უნდა მისცენ და თუ სახასო კაცისაგან კატალიკოზის კაცს და ყმას უყიდნია მიწა, თუ ვენახი, იმისი მიწის ღალა და ვენახის კულუხი საჩვენოთ უნდა გამოერთვას და მისცემოდნენ“*[2].

ამ ღონისძიებით, როგორც საფიქრებელია, მეფეს სურდა საბატონო და საეკლესიო ყმების ექსპლოატაციის ნორმის გათანაბრება, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ *„ოსმალობის“* დროს, ეკლესიის (საეკლესიო ყმების) ქონებრივ მდგომარეობაში ცვლილება მოხდა გაუარესების მიმართულებით. სავარაუდოა, საეკლესიო ყმებს მათ მფლობელობაში არსებული საეკლესიო მიწები ჩამოართვეს და ისინი დაუმორჩილეს ამილახვრის ნაჰიეს ანუ ოსმალურ საგადასახადო სისტემას. ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ *„ოსმალობის“* დროს დამპყრობლის სამსახურში შესულმა თავად-აზნაურებმა საეკლესიო (საკათალკოსო) მიწები მიითვისეს.

დავთარში არავითარი ცნობა არ არის გორის მართლმადიდებლური ეკლესიების მდგომარეობის შესახებ. სამაგიეროდ მასში აღნიშნულია, რომ გორის ციხეში *„ორი პატიოსანი ჯამეა“*. გასაგებია, რომ ***ჯამეების*** გარდა გორსა და მის რაბათში სხვა, მუდმივ მოქმედი მუსლიმური სალოცავებიც იყო. უნდა აღინიშნოს, რომ მუსლიმანთა საოკუპაციო სარდლებისა და მოხელეების მიერ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიების მეჩეთებად გადაკეთება, როგორც ჩანს ჩვეულებრივი იყო. გვაქვს ოსმალების ასეთი მოქმედების ამსახველი უფრო ადრინდელი რამდენიმე ცნობა. 1586/1587 წწ. ოსმალეთის ჯარის სარდალმა ფერჰად ფაშამ გორის ციხის მოწესრიგების შემდეგ ფადიშაჰის განზრახვის მიხედვით, გორის ერთი დიდი ეკლესიის მეჩეთად გადაკეთება დაიწყო. ეკლესიის მეჩეთად გადაკეთება დიდი ზეიმით დასრულდა[3]; როსტომ მეფემ გორის დაუფლების შემდეგ ქართველების ეკლესიები, რომელიც სიმაგრეში იყო მოთავსებული, მაჰმადიანების მეჩეთებად გადააკეთებინა[4].

---

[1] *კულუხი – ღვინის საბატონო გადასახადი.*

[2] *ხეც, ფ. 227, საქ. №904.*

[3] *რაჰიმიზადე იბრაჰიმ ჩავუში, განჯის დაპყრობის წიგნი, გვ. 49.*

[4] *დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე, გვ. 57.*

ასევე საყურადღებოა და გარკვევას მოითხოვს დავთრის შემდეგი ადგილი: *„ვაკუფი ჯამი შერიფისა გორის ციხეში, აშენებული წარჩინებულთა და უდიდებულესთა იუსუფ ბეგის დიდებული ვეზირის ისჰაკ ფაშას მიერ“*[1]. მოღწეულია ნახატი, რომელშიც აისახა ისჰაკ ფაშას მიერ გორის ციხეში აგებულ ჯამეს[2] ინტერიერი: გამოსახულია მორწმუნეთა მიერ ნამაზის შესრულების სცენა. გამომცემელმა ნახატს თავზე წააწერა: „ქურიდეს[3] ციხის მეჩეთში ჯუმა ნამაზი[4]“. უშუალოდ სურათზე ზედა წარწერა, გუმბათის თავზე: *„პარასკევი დღე, 28 შავალის[5] თვე“*. ქვედა დიდი ტექსტი: *„ჰაფიზმა[6] ჰაზრეთი[7] ზელულაჰმა კეთილხმოვნად წაიკითხა ხუტბა და ამონარიდები ყურანიდან. ხუტბის ბოლოს მოიხსენია მუჰამედ მოციქული“*[8] (იხ. სურათი).

---

[1] *1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, გვ. 449.*

[2] ჯამე – საკრებულო მეჩეთი, რომელშიც საპარასკევო და სადღესასწაულო ლოცვა იმართებოდა. უბნების მცირე მეჩეთების მრევლი პარასკევობით ჯამეში იყრიდა თავს და იქ ლოცულობდა. *ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, II, გვ. 174.*

[3] ქურიდეს ციხე - ოსმალური დამწერლობის და თურქული ენის თავისებურებებიდან გამომდინარე არის გორის ციხე, თანაც თურქ ავტორს ასე აქვს განმარტებული თანამედროვე თურქულით სურათის ქვემოთ.

[4] ჯუმა ნამაზი - პარასკევის ლოცვა.

[5] შავალის თვე - რამაზანის (მარხვის თვის) მომდევნო თვე.

[6] ჰაფიზი - პირი, რომელმაც ზეპირად იცის ყურანი.

[7] ჰაზრეთი - მიმართვის ფორმა უმაღლესი სასულიერო პირებისადმი, უწმინდესი. ნახატზე მოთავსებული არაბული წარწერები ჩემი თხოვნით, წიგნში მოთავსებული დოკუმენტების თურქულიდან მთარგმნელმა გელა გუნიავამ ათარგმნინა აკბარ მოყადასის (ზუპიტაშვილი), ფერეიდნელ ქართველს, რომელიც მუშაობს ქ. ყუმის (ირანი) ერთ-ერთ უნივერსიტეტში. იგი არის თეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. კითხულობს ლექციებს და არის ამავე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი. სარგებლობს ავტორიტეტით მეცნიერულ წრეებში, როგორც ირანში, ისე მის საზღვრებს გარეთ. ვსარგებლობ შემთხვევით და დიდ მადლობას მოვახსენებ ბატონებს: აკბარ მოყადასის და გელა გუნიავას.

[8] იხ. *საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში, გვ. 250.*



ჯუმა ნამაზის (პარასკევის) ლოცვა გორის ციხის მეჩეთში

გორის ციხეში განთავსებული იყო ოსმალური ჯარის განსხვავებული დანიშნულების მქონე სხვადასხვა კონტიგენტი. ჯარისკაცები სამსახურის სანაცვლოდ იღებდნენ ულუფას და ფულად ანაზღაურებას. პროვიანტი მათი უზრუნველყოფისათვის თბილისიდან გორში იგზვნებოდა. ის გადაჰქონდათ ჩალვადრებს, რისთვისაც გასამრჯელოს იღებდნენ. დოკუმენტში ვკიხულობთ: *„ჩალვადართა ხელფასის, პროვიანტით დატვირთვის და ტვირთის იანიჩართა უმაღლესი სამეუფეო კარის ბაირაღების*[1] *ჯარისკაცთა ნივთების გაგზავნის თაობაზე თბილისიდან გორის მიმართულებით არზუჰალისა*[2] *და ხსენებული ვეზირის, თბილისის მცველის ისჰაკ ფაშას მიერ“*[3]. ჩანს, რომ თბილისიდან გორამდე ოსმალების მოგზაურობა და ტვირთის გადატანა გარკვეულ ხიფათთან იყო დაკავშირებული და ეს განაპირობებდა მგზავრებისა და ტვირთისათვის შეიარარებული რაზმის გაყოლებას. დოკუმენტში ერთგან ვკითხულობთ, რომ ვეზირმა ისჰაკ ფაშამ 23 ზილ ჰიჯეს 1143 წლისა (29. 08. 1731) გასცა ბრძანება გორში მყოფ აზაბთა საქონლის პროვიანტით მომარაგების შესახებ. სერდენგეჩთიანთა იანიჩრების თავზეხელაღებულთა რაზმს დაევალა პროვიანტის გაყოლა და დაცვა[4]. ამგვარი ღონისძიებების გატარება ოსმალებს ხშირად უხდებოდათ[5].

ლაშქრის ერთ-ერთი შემადგენელი სახეობა იყო ჯებეჯიანები ანუ მეიარაღეები, მეაბჯრეები. ისინი ძირითადად სამეურნეო საქმიანობას ეწეოდნენ. მათ მოვალეობას შეადგენდა იარაღის დამზადება, დაცვა, გადაზიდვა და განაწილება. მათი მეთაური იყო ჯებეჯი ბაში[6]. *„ოსმალობის“* პერიოდის გორში ასეთი ორი პიროვნება ჩანს, ჯერ აჰმედ აღა, შემდეგ ილჰაჯ აჰმედი.

---

[1] ბაირაკი – ბაირაღი, დროშა. ეს იყო ზოგადი სახელი იანიჩართა ასეულების, ოდებისა. ყოველ ოდას თავისი ბაირაღი ჰქონდა. ბაირაქში 50-60 იანიჩარი იყო.

[2] არზუჰალი – განცხადება, არზა, თხოვნა, ოსმალური საფინანსო დოკუმენტის გარკვეული კატეგორია. *სამი ოსმალური წყარო თბილისის ისტორიისათვის, გვ. 306.*

[3] *სამი ოსმალური წყარო თბილისის ისტორიისათვის, გვ. 233.*

[4] *იქვე, გვ. 233, 304, 234, 238,*

[5] *იქვე, გვ. 234, 238.*

[6] *იქვე, გვ. 17, 101.*

გორში დაბანაკებული იყვნენ თოფჩიები – მეზარბაზნეები, რომლებსაც მეთაურობდა თოფჩუ-ბაში[1]. გორის თოფჩიების ხელფასი შეადგენდა 32696,5 ყურუში ესედს[2].

გორის ციხის მცველები, იანიჩრები – ულუფის სახით იღებდნენ ფქვილს[3], ხელფასის სახით გაიცემოდა წელიწადში 1510 ყურუში ესადი და 16 ფარა[4]. მათი მეთაური იყო აღა მუსტაფა.

გორის მცველი ჯარისკაცების რაოდენობა ცვალებადი იყო: 272, 254, 253, 261, 246. თითოეული მათგანი დღეში იღებდა წყვილ პურს, დაახლოებით 0,2 ოყა ხორცს და ერთ ქილა ქერს[5].

ჯებეჯიანების რაოდენობა იყო 66, 37, 34, 32, 73, 62 და თითოეულ მათგანზეც იგივე ოდენობის ულუფა გაიცემოდა[6].

თოფჩიანები – 73, 62, 57, 52, ულუფა იგივე[7]. ისინი ემორჩილებოდნენ ჯერ თოფჩი აღა მუსტაფას, შემდეგ აღა მეჰმედს.

გორის ციხეში დაბანაკებული იყო 46 მუსტაფაზი, რომლებსაც ევალებოდათ, ციხის, გამაგრებული ადგილის და დაბანაკებული ლაშქრის დაცვა. ესენიც იგივე ულუფას იღებდნენ[8].

გორის ციხეში იდგა, აგრეთვე, 23 ცხენოსანი აზაბანი[9], ილჰაჯ იბრაჰიმის მეთაურობით[10].

ამგვარად, *„ოსმალობის“* გორის ციხეში რეგულარულად იმყოფებოდა დაახლოებით 414 ოსმალო სამხედრო, რომელთა ხელფასით, პროვიანტითა და შეიარაღებით უზრუნველყოფა სერიოზულ ძალისხმევას მოითხოვდა.

*

სეხნია ჩხეიძის მიხედვით, გორის ციხე დიდად დაზიანდა 1735 წ. ოქტომბერში, როცა ქართველ დიდებულებზე განრისხებულმა ნადირ შაჰმა *„დააქცია ციხე გორისა“, ქალაქს თაბორი, გაუსივა ჯარი არაგვის ერისთავს ბარძიმს, ოთხი ათასი ზემო ქართლს, ოთხი ათასი*

---

[1] *ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, გვ. 142.*
[2] *სამი ოსმალური წყარო თბილისის ისტორიისათვის, გვ. 17.*
[3] *იქვე, გვ. 20-21.*
[4] *იქვე, გვ. 36.*
[5] *იქვე, გვ. 48, 52.*
[6] *იქვე, გვ. 53-57.*
[7] *იქვე, გვ. 57-63.*
[8] *იქვე, გვ. 68, 308.*
[9] *იქვე, გვ. 69, 303.*
[10] *იქვე, გვ. 69.*

არაგვის ერისთავს ბარძიმს, ოთხი ათასი ზემო ქართლს, ოთხი ათასი საციციანოს: არაგვის ერისთავის ანანური და იმას აქეთ ქსნის ერისთავისა, მონასტერს ქვევით, აწერის-ხევს ქვეით დაატყვევეს, დასწვეს ზემო ქართლისა, ფახანიდამ დაწყებული მუხრანამდი ააოხრეს, დაატყვევეს, დასწვეს, შეაბილწეს ეკლესია, ყოველგნით გააოხრეს მდვიმე ხატითა და მორთულობითა, წაიყვანეს ქართლიდამ კომლი რვა-ასი"[1]. ამ საერთო აწიოკებისა და ნგრევის ვითარებაში გორის ციხის დაქცევა სავსებით მოსალოდნელია, მაგრამ სხვა წყაროები ამას არ ადასტურებს.

გვაქვს მხოლოდ ერთი საბუთი, სადაც ლაპარაკია ნადირ შაჰის მიერ გორის ციხის აშენებაზე. ნადირშაჰს ვინმე იაჰიაბეგი გამოუგზავნია *„გორის ციხის... ასაშენებლად"*[2], მაგრამ არ ჩანს კონკრეტულად როდის დაზიანდა ციხე და არც ის ჩანს, როდის აღადგინეს იგი.

გორის ციხე თბილისის ციხის შემდეგ ერთ-ერთ უძლიერეს სიმაგრედ მიაჩნდა გიულდენშტედტს XVIII ს. 70-იანი წლების საქართველოში[3].

ს. ბურნაშევის აზრით, იმავე საუკუნის 80-იანი წლების გორის ციხის აღება, მისი კარგი მდებარეობის გამო, არა მარტო ადგილობრივ ხალხს, არამედ ევროპელებსაც გაუძნელდებოდათ[4].

გორის ციხე XVIII ს. 70-იანი წლებისათვის უკვე იმდენად დაზიანებული იყო, რომ ერეკლე II, ამ დროიდან სიცოცხლის ბოლომდე, მისი აღდგენის სამუშაოს ეწეოდა, მან გორის ციხის აღდგენაზე გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 1772 წ. მიიღო. ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელებას მეფე ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერით ვარაუდობდა[5]. მაგრამ მაშინდელ ქართლში შექმნილმა ვითარებამ მას მშენებლობის დაწყების საშუალება არ მისცა. ის შემდგომ წელს რევაზ ამილახვარს ციხის მხოლოდ სახელდახელო გამაგრებას ავალებდა[6].

---

[1] *საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩხეიძისა, გვ. 339;*

[2] *ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 349, №332.*

[3] *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 259.*

[4] *Бурнашев С., Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского, с. 8.*

[5] *გაბიჩვაძე ა., გორის ციხე ერეკლე II დროს, გვ. 9, №1.*

[6] *იქვე, გვ. 10, №3.*

ციხის აღდგენის სამუშაოები ინტენსიურად დაიწყო 1774 წლიდან. საინტერესოა ერეკლეს მიერ 18 მარტს გორის მოურავ რევაზ ამილახვრის, გორის მელიქის ზურაბისა და ყველა გორელისადმი მიცემული ოქმი. მეფე მათ სთხოვს, რომ ციხის მშენებლობისათვის ხაზინის სესხად გამოიღონ 50 თუმანი, რომელსაც ისინი 5 თვის შემდეგ გორის ბაჟის იჯარიდან უკან დაიბრუნებენ. *„ღვთის მოწყალებით, ამ ორმოცდაათის თუმნით რაც მუშაობა შეიძლება, გორის ციხეზე უნდა იმუშაოთ და გააკეთოთ“* – წერდა ერეკლე გორელებს. მეფე ამილახვარს უბრძანებს როგორი სამუშაოები უნდა ჩატარდეს მიმდინარე ზაფხულს, კერძოდ: *„საკირები დაწვით და ამ ზაფხულს სულუხის მხარეს და ზეით ციხეზედ იმუშავეთ, ორმოცდაათი თუმანი რასაც გააკეთებდეს დაასრულეთ“*[1].

ერეკლე II ითვალისწინებდა რა ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობას და იმასაც, რომ მშენებლობა მრავალ წელს გაგრძელდებოდა, რევაზ ამილახვარს დაავალა გაემართათ ორი საკირე, დანარჩენი თანხები შეენახათ[2]. ცოტა მოგვიანებით (1774 წ. 4 ივნისი) მეფე სავარაუდო მითითებებს აძლევს გორის მოურავს, რომელი სამუშაოები უნდა შესრულდეს და რაში რამდენი უნდა გადაიხადონ:

„ქ. გორის ციხისათვის და საკირეს რაც მოუნდება, როგორც გარიგდა ამას ქვეით სწერია...

ქ. ბატონო ამილახვარო რევაზ! ეს ამ სით როგორ დაგვეწეროს გორის ციხის სარიშტა[3] *ეს ასე უნდა აღასრულო. რომელიც თეთრით სამუშაო არის, გორის იჯარიდამ ორმოცდაათი თუმანი რომ გადაგვიდვია, როგორც ამას წინათ მოგვეწეროს, იქიდამ დახარჯეთ და ასე გააკეთებინეთ...*

ქ. ქვიშის მოთხრის და გაცრის მუშა გორიდამ უნდა გამოვიყვანოთ, დღეში ორი შაური მისცეთ სამუშაო. ჩვენ ამ ხარჯის ვარაუდი ასე გვინახავს – თუ ნაკლები მოუნდეს ნაკლები დახარჯეთ და თუ მეტი მოუნდეს, თქვენს საქმესა და მუშაობას ნუ მოსცილდებით და ჩვენ გვაცოდინეთ და რომელიც ამ ოქმებში იასაულები განგვიწესე-

---

[1] *იქვე, გვ. 12-13, №7.*

[2] *იქვე, გვ. 14, №10.*

[3] თადარიგი, წესრიგი.

ბია, ამათ კაცის თავს ოთხ-ოთხი მინალთუნთ თავეიათი გასამრჯელოდ მიგვიცია ამ ორმოცდაათის თუმნიდან...“[1].

გორის მოურავს, რევაზ ამილახვარს ერეკლე უბრძანებს ბეჯითად მოეკიდოს სამუშაოს[2]. უფრო მეტიც, მას განზრახული ჰქონდა პირადად ეხელმძღვანელა მშენებლობისათვის. ის გორში მისვლას აგვისტოს შუა რიცხვებიდან, ანტონ I და ბატონიშვილ ლევანის რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ფიქრობდა. ერეკლემ რევაზ ამილახვარს დაავალა, ვიდრე თვითონ ეწვეოდა, მანამდე სამშენებლო მასალა მოემზადებინათ, ხოლო *„კათალიკოზს და ლევანს რომ ქალაქს მოსულს დავიგულებ, მანდეთ წამოვალთ, რომ მარიამობის (აგვისტო – ე. მ.) ნახევრიდან სულ ერთიანათ ბატონ-ყმა მივეხვივნეთ და გორის საქმე ვიმუშაოთ“.* მაგრამ ერეკლე გორში ვერ მივიდა. მართალია, ანტონ I და ბატონიშვილი დროზე დაბრუნდნენ, მაგრამ მეფე გადაუდებელი საქმეების გამო ახტალას წავიდა.

როგორც ჩანს, გორის ციხის აღდგენა სასურველად ვერ მიმდინარეობდა. 1774 წ. 31 აგვისტოს ერეკლე გორის მოურავს წერდა: *„ქ. გორის ციხის კეთებისა ველარა შევიტყვეთ რა, თუ დღეს მაგაზე გალატოზი არა დგას და არ მუშაობს, როდისღა უნდა გაკეთდეს? ათს ენკენისთვეს (სექტემბერი – ე. მ.) უკან მანდ კირი ხომ აღარც იმუშავება, გაჰყინავს, თუ ახლავ არ დააშურებთ რადა გაკეთდება? ერეკლე“*[3].

არსებული წყაროები არ გვაძლებს საშუალებას ვთქვათ, როგორ მიმდინარეობდა ან როდის დამთავრდა გორის ციხის აღდგენა[4]. ერთი რამ ცხადია, რომ 20 წლის შემდეგაც გრძელდებოდა აღდგენითი სამუშაოები. მაშასადამე, 1802 წ. შედგენილი გეგმა ერეკლეს მიერ რესტავირირებულ ციხეს ასახავს.

ციხე იწყებოდა მდინარეების ლიახვის და მეჯუდის შესართავთან და მოდიოდა ბორცვის აღმოსავლეთ ციცაბო ფერდობის უკიდურეს წვერამდე. შედარებით რთულ ნაგებობას წარმოადგენდა ციხის ის ნაწილი, რომელიც *„ცხრა კარის“* სახელითაა ცნობილი. მასში ჩასას-

---

[1] *იქვე, გვ. 15, №11.*

[2] *იქვე, გვ. 16, №12.*

[3] *იქვე, გვ. 13. №8, 17, №13.*

[4] ი. ბერძნიშვილი იმავე საბუთებზე დაყრდნობით, რომლებსაც ზემოთ გავეცანით, არასწორად დაასკვნის, რომ ერეკლემ *„1774 წელს საფუძვლიანად აღადგინა ციხე“. ბერძნიშვილი ი., გორს ციხე, გვ. 47.*

ვლელი იწყება ბორცვის თხემის დასავლეთით და ჩადის ქვემოთ *„ცხრაკარის“* პირველ განყოფილებამდე.

გორის ციხის საინტერესო აღწერა დაგვიტოვა ი. კლაპროთმა: *„ციხე მდებარეობს ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით*[1] *და მასზე მაღლა ლიახვის დონიდან 16 ფუტზე ქვაქვიშის კლდოვან მთაზე. ის წარმოადგენს გრძელ ოთხკუთხეს, რომლის სიგრძე 200 ნაბიჯია, ხოლო სიგანე 60. კედლების სისქე ერთი ფუტია, ხოლო სიმაღლე – სამი. ამათ პარალელურად ოცი ნაბიჯის დაშორებით და ორი ფუტით დაბლა მიემართება დაბალი კედლები“*[2]. დაბალ კედლებს ვერ ვხედავთ კასტელის ნახატზე. როგორც ჩანს, ისინი გვიან, ერეკლე II დროს მიაშენეს.

ციხის დაბლა გალავანი, 1802 წლის გეგმის მიხედვით, სამხრეთ ფერდობს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით მიუყვებოდა, ჩავიდოდა იქ, სადაც დღეს არხი გადის, გაუხვევდა ჩრდილოეთით და შეუერთდებოდა ცხრაკარის უკიდურეს დასავლეთ წვერს. ეს კედელი, დიმ. ბაქრაძის თქმით, აუშენებიათ დიასამიძის დროს[3]. მას, ალბათ, მხედველობაში ჰყავდა დიმიტრი დიასამიძე, რომელიც ციხისთავი იყო XVIII ს. 90-იან წლებში[4], ასეთი კედელი ციხეს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან არ ჰქონდა, რადგან ამ მხრიდან მას გორაკის ციცაბო კალთა და მდ. მეჯუდა იცავდა. მტერი თუ მაინც შეძლებდა ამ ბუნებრივი დაბრკოლებების გადალახვას, მაშინ გორაკის თხემზე აგებული ციხის მთავარი კედელი გადაეღობებოდა თავდამსხმელს. კედელსა და ციცაბო ფერდობს შორის იმდენად მცირე ადგილი რჩებოდა, რომ მტერი ფეხს ადვილად ვერ მოიკიდებდა.

კლაპროთის აღწერით, სამხრეთით კედლის შუაში, იქ სადაც ამჟამად ციხის გალავანში შესასვლელია, ჭიშკარი იყო. ავთ. თუმანიშვილი წერს: *„შიგ შესვლა სხვანაირად არ შეიძლება თუ არა ერთი ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული კიბით. კიბე იწყება კედლის გარეთ, მიემართება მაღლა და თავდება ციხის შესავალთან, სადაც*

---

[1] კლაპროთი სცოდავს, ციხე ყოველთვის ძველი ქალაქის ჩრდილო-დასავლეთით იყო.

[2] *Klaproth J. von, Reise in den Kaukasus und nach Georgian unternommen in den Jahren 1808, II, c. 326.*

[3] *«Кавказ», 1855, №49.*

[4] *გაბიჩვაძე ა., გორის ციხე ერეკლე II დროს, გვ. 20, №20; გვ. 21, №23.*

კიბისა და შესავლის დასაცავად აშენებულია კოშკები“[1]. ამ ერთდაერთი კარით უკავშირდებოდა ციხე ქალაქს.

ციხის კედლები, როგორც 1802 წ. გეგმიდან ჩანს, 23 კოშკითა და ბურჯით იყო გამაგრებული და დაცული. კოშკებით იყო გამაგრებული, აგრეთვე, ციხის გარე კედელი. ამგვარად, გეგმის მონაცემები დაახლოებით ემთხვევა ავთ. თუმანიშვილის ცნობას, რომ გორის ციხეში 35 დიდი კოშკი იყოო[2].

მივყვეთ კვლავ ი. კლაპროთის აღწერას: *„დასავლეთის მოკლე კედელში არის ლიახვისაკენ ჩასასვლელი ციხეში წყლის ამოსატანად. რათა დაცული იყოს ეს ჩასასვლელი და ციხეს წყალი არ მოაკლდეს, გატარებულია შემდეგნაირი ღონისძიებები: დასახელებული კედლების გასწვრივ აშენებულია შედარებით უფრო დაბალი ორი კედელი, ერთმანეთისაგან 20 ნაბიჯით დაშორებული. მათ შორის აშენებულია გადამღობი კედლები, რომლებიც 3 ფუტის სიმაღლისაა. ამის წყალობით ქვემოთ და ზემოთ მიმომსვლელი ადამიანები დაცულნი არიან. პარალელური კედლების ბოლოები მდინარე ლიახვითან ერთმანეთს უერთდება ოთხი ფუტის სიმაღლის ნახევარრკალის ფორმის კედლით. ამ კედლის ძირში მიედინება ლიახვი. აქედან იღებენ წყალს და ასხამენ აგურისაგან აშენებულ წყლის შესანახ აუზში, რომლის სიგანე 12 ფუტია, სიგრძე – 16 და სიმაღლე – 14. ის აშენებულია ზეგადამღობ კედელსა და დასავლეთის მოკლე კედელს შორის*“[3].

ი. კლაპროთი სწორად არ აღწერს აუზში წყლის დაგროვების საშუალებას, როცა ამბობს, რომ ხელით ასხამენ მასში ლიახვის წყალსო. გეგმაზე, ციხის გრძივი ჭრილიდან ისე ჩანს, რომ აუზის დონე და მდ. ლიახვის დონე ერთმანეთს შეეფარდებოდა, რაც აუზში წყლის თვითდინებით შესვლას უზრუნველყოფდა. გეგმის მონაცემები და ავთ. თუმანიშვილის ცნობა აუზთან დაკავშირებით, ერთმანეთს ეთანხმება. კლაპროთის მიხედვით, აუზი გამომწვარი აგურით იყო ნაშენები, ავთ. თუმანიშვილის გადმოცემით იგი კლდეში იყო ამოკვეთილი. *„უკანასკნელ ბატარეაში* (ასე უწოდებს ავთ. თუმანიშვილი

---

[1] *Туманов А. Б., Описание грузинского города Гори, с. 18.*

[2] *Тамже, с. 20.*

[3] *Klaproth J. von, Reise in den Kaukasus und nach Georgian unternommen in den Jahren 1808, II, p. 324.*

„ცხრაკარის“ თითოეულ განყოფილებას – ე.მ.) *არის წყალსაცავი, ერთ მთლიან ქვაში ნაკვეთი, იმ ადგილად და მოხერხებულად დაცული, სადაც კედლის გარედან შემოდის წყალი სიმაგრეში და ავსებს ჭურჭელს და კვლავ თავისი გზით მიდის*“[1]. ასე, რომ ამავე ავტორის თანახმად, ციხის დამცველებს ყოველთვის უხვად ჰქონდათ ცივი და გემრიელი წყალი. წყლით ამგვარი მომარაგება მისი მოწამვლის საშუალებას გამორიცხავდა.

რათა მტერი ახლოს არ მოსულიყო ციხესთან, კოშკების თითოეულ სართულზე დატანებული იყო 30 სათოფური. ყოველ გადამღობ კედელში ასევე დატანებული იყო ორ-ორი დიდი ნახვრეტი, საიდანაც მტერს ზარბაზანს უშენდნენ თუ ის წყლის პირას გამოჩნდებოდა[2].

ციხის ზედა მოედანზე, დღესაც არის 5-6 მეტრის სიღრმის თონის ფორმის ხარო. მიწის ზედაპირზე ამოსული ხაროს წრიული კედელი მიგვანიშნებს, რომ მას თაღოვანი გადახურვა უნდა ჰქონებოდა. თაღშივე უნდა ყოფილიყო ხაროში ჩასასვლელი კარი. კარიდან ხაროს ძირამდე ჩაშვებული იქნებოდა მსუბუქი კიბე, რომლის ზემოთ ამოწევა, საჭიროების მიხედვით, ადვილად შეიძლებოდა. გორის 1802 წლის გეგმის შემდგენელის, პოლკოვნიკ დრენიაკინის განმარტებით, ხარო დამნაშავეთა ჩასასმელი ორმო იყო. ორმოს დანიშნულება ასევე აქვს ახნილი დ. ბაქრაძეს[3]. ალ. გარსევანიშვილის გადმოცემით, ერეკლე II-ემ *„გააკეთებინა ქვითკირის ხაროდ დიდი, რომელსაც შინა ჰყავდათ დაჭერილნი ტუსაღები და სხვანი მძიმე, სახელმწიფო დამნაშავენი*“[4]. გორის ციხეს რომ დამნაშავეთა საპატიმროდაც იყენებდნენ, ამის შესახებ ცნობილია რამდენიმე მაგალითი. მაგრამ მისი სხვა მიზნით (მაგ. მარცვლეულის შესანახად) გამოყენებაც შეიძლებოდა.

---

[1] *Туманов А. Б., Описание грузинского города Гори, с. 19.*

[2] *Klaproth J. von, Reise in den Kaukasus und nach Georgian unternommen in den Jahren 1808, II, p. 324.*

[3] *«Кавказ», 1855, №48.*

[4] *„ცისკარი“, 1867, №2, გვ. 9.*

გორის ციხის გეგმა (შედგენილი ლ. სუმბაძის მიერ 1950 წ. შეტანილია მცირეოდენი ცვლილებები) **ა-ა**. ციხის მთავარი კედლები, აღდგენილი როსტომ მეფის მიერ 1633 წ., **ბ-ბ**. ციხის მეორე სარტყელის კედლები, აგებული ერეკლე II-ის მიერ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, **გ-გ**. საყრდენი კედელი, აგებული XX ს. დასაწყისში, 1. ციხის მთავარი შესასვლელი, 2 წმ. გიორგის ეკლესია გუმბათოვანი კარიბჭით, 3. ხარო, იყენებდნენ უპირატესად სატუსაღოდ, 4. თონეების ნაშთები, 5. ციხიდან გასასვლელი საიდუმლო გვირაბი, 6. აუზი, რომელიც ივსებოდა ლიახვის წყლით, 7. სამლოცველო, 8. მიწისქვეშა ჭა თაღოვანი გადახურვით, 9. შადრევნის აუზი, აგებული XX ს. დასაწყისში, 10. ჩამოქცევის ადგილი, სადაც გამოჩნდა ანტიკური პერიოდის ციხის კედლის ნაშთი.

მცირე ცნობები გვაქვს ციხის გვირაბზე. ვახუშტი ბატონიშვილი და მ. ჯანაშვილი ერთსა და იმავე გვირაბის შესახებ აღნიშნავენ, რომ ის მდებარეობდა ციხის დასავლეთ ნაწილში, ქვიტკირით იყო ნაშენები და ლიახვამდე ჩადიოდა.

ციხის დასავლეთ ნაწილში, *„ცხრაკარის“* მეორე განყოფილებაში, დაბლა, დღემდეა შემორჩენილი საკმაოდ დაზიანებული, მოკლე გვირაბი, რომლის ნაშთი. იგი ჩადის კლდოვანი ბორცვის ძირამდე,

სადაც გადმოცემის მიხედვით იყო ჭა და მდინარესთან მისვლაც იოლად შეიძლებოდა.

ქალაქის ტერიტორია რომ გვირაბებით იყო დაქსელილი, მრავალჯერ აღმოჩნდა მიწის სამუშაოების დროს, მაგრამ მათი შესწავლის საშუალება დღეისათვის პრაქტიკულად აღარ არის[1].

ციხე მხოლოდ გორის მოსახლეობას დაცვას არ ემსახურებოდა. ის თავშესაფარი იყო გორის ირგვლივ არსებული სოფლებისთვისაც. ამიტომ ისინი, ვინც ამ ციხით სარგებლობდნენ, ვალდებულნი იყვნენ საჭიროების დროს გარკვეულ სამუშაო შეესრულებინათ, ფული ან სხვა რამ გამოეღოთ ამ ნაგებობის აღდგენა-გამაგრებისა და მეციხოვნეთა შესანახად. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მოსაზრების პირდაპირი დამადასტურებელი ცნობა XVIII ს-ზე ადრეული არ გაგვაჩნია. მაგრამ აუცილებლად იარსებებდა გარკვეული ტრადიცია და რაიმე *„გორის ციხის დებულება“.*

ყურადღებას იქცევს ბოდორნის მონასტრის გუჯარი, რომლითაც არაგვის ერისთავმა ვამიყ შაბურისძემ 1474 წ. ამ თავის საგვარეულო ეკლესიას შესწირა სოფელი ხანდაკი. ერისთავი ხანდაკელებს მიმართავს: *„არა გეთხოებოდეს არა ლაშქრობაჲ, არა მალი, ულუფაჲ, არა მუდამი მუშაობა, არა საჯინიბო, არა საბაზიერო არა საწელისწდისთაო, არა სააღებოჲ, არა საყველიერო, არც გორისა და არცა ქალაქისა და ჟინვალისა მუშაობა“*[2]. რა თქმა უნდა, *„გორის მუშაობაში“* იგულისხმება გორის ქალაქისა და ციხის გამაგრების სამუშაო, მასში მონაწილეობა ხანდაკელებსაც ევალებოდათ. გორიდან საკმაო მანძილით დაშორებული ხანდაკელები თუ ვალდებულნი იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ ამგვარ სამუშაოში, მაშინ გორის ახლომახლო სოფლების მოსახლეობა, რომლებსაც პრაქტიკულად ყოველთვის შეეძლოთ თავდასაცავად ესარგებლათ გორის ციხით, ისინი მითუმეტეს მოვალენი იქნებოდნენ ეზრუნათ გორის გამაგრებაზე.

1773 წლის ერთ ოქმში, სადაც ლაპარაკია გორის გალავნის ჯიხურების მშენებლობაზე, ერეკლე II პირდაპირ მიუთითებს: *„ოთხი*

---

[1] პროფ. დავით გვირიტიშვილმა, 1969 წ., გარდაცვალებამდე ცოტა ხნის წინ მითხრა, რომ არსებობდა გორის გვირაბების გეგმა. სამწუხაროდ, განსვენებული მკლევრის ნათქვამით მაშინ არ დავინტერესდი. შემდეგში გეგმას ვერსად მივაკვლიე.

[2] *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, II, გვ. 293.*

ჯიხური (ხისგან ნაშენები საყარაულო კოშკი – ე. მ.), *ვინც გორის ციხეში სოფლები დაიხიზნება, იმათ დაადგმევინეთ*“[1]. ამ მხრივ კიდევ უფრო საინტერესოა გორის ციხის მინბაშის (ციხისთავი) დიმიტრი დიასამიძის არზა: *„მერე ამას მოვახსენებ* (ერეკლეს – ე. მ.) *გორის ციხის დებულება სალბაში*[2] *და თითო ოროლა ღერო შეშა არის ურემზედ, რომ მეციხოვნე ცეცხლს აინთებს და იცხოვრებს, აღარც გორელები მაძლევენ. ერთის ოქმის წყალობას გევედრები, რომ სალბაშიც მომცენ და გორელებმა შეშა, რომ ციხეში მყოფთ გაძლონ და იცხოვრონ, თუ არა და ნება თქვენი უმაღლესობისა არის*“[3].

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შ. მესხიას მიერ ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტეს ხელნაწერთა განყოფილებაში მიკვლეული ერეკლე II-ის დროინდელი ერთი საბუთი, რომელიც დათარიღებულია 1797 წლით, იგი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის თუ როგორ მონაწილეობდა გორის ციხის მშენებლობაში გორის, მიმდბარე ტერიტორიის და შორეული სათავადოების მოსახლეობა. ერეკლე ბრძანებს: *„ქ. ღ~თით გალავნის შენობის დაიდვა და როგორც ამ სიით დაგვიწერია ყველანი ამგვარად უნდა მოეხმარონ:*

ქ. თითონ ერთობით გორელებმა საკირის ქვა უნდა მოაჭრევინონ, მოატანინონ და სამყოფი საკირეები ჩადგან და თვითონვე დააწვევინონ.

ქ. კიდევ გორელებმა უნდა მოაჭრევინონ სამყოფი აგური და თვითონვე დააწვევინონ.

ქ. ამ საკირეებისათვის და აგურის დასაწვავად რაც ხე მოუნდესთ, ეს ერთობით საციციანომ, საჯავახომ სათარხნომ და სხვათ გაღმაჯრელთ უნდა მოუტანონ სამყოფად, ქარელიდან მოკიდებილი ძეგვამდინ.

ქ. რაც კირის სარევი ქვიშა და გალავნის საშენებლი ქვა მოუნდედ, ერთობით ვაკე-ქართლმა უნდა მოიტანოს და მუშაც თავის დროს რიგით ვაკე-ქართლიდამ უნდა მოვიდეს და იმუშაოს კალატოზებთან, მუხრანიდან მოკიდებული ჭალით საყარამდინ.

---

[1] *გაბიჩვაძე ა., გორის ციხე ერეკლე II დროს, გვ. 11, №4.*

[2] *„დასტურლამალის“ მიხედვით, „სალბაშს ეძახიან, რაც ტივი მოვა, ერთს უკეთეს ხეს საბატონოდ აიღებენ“.*

[3] *გაბიჩვაძე ა., გორის ციხე ერეკლე II დროს, გვ. 20-21, №22.*

ქ. ღ˜თით მოხდა რომ მომზადდეს და კალატოზები შენობას მოჰყვნენ, იმათი სასმელ-საჭმელი გორელებმა უნდა აძლიონ და ჭელ-ფასი, რაც გორში იჯარა მუშაობს, ყველადამ შეხვედრით უნდა მისცეთ“[1].

რადგან ციხე ხალხის დასახიზნი მნიშვნელოვანი ადგილი იყო, ამიტომ იქ საცხოვრებელი ბინებიც უნდა ყოფილიყო. ავთ. თუმანიშვილის გადმოცემით, ზედა ციხეში 410 სახლი იყო[2], რაც გაზვიადებულად უნდა ჩაითვალოს. საცხოვრებელთა ის რაოდენობა, რომელზეც ავთ. თუმანიშვილი მიუთითებს, ვერ მოთავსდებოდა ზედა ციხეზე, სადაც სხვა ნაგებობებიც (საჭურველისა და სურსათის საწყობები, ეკლესია) იყო. ციხეში საცხოვრებლების არსებობაზე რამდენიმე ცნობა გაგვაჩნია, რომელთაც შესაბამის ადგილს მოვიყვან. ახლა მხოლოდ გავიხსენებ დიმ. ბაქრაძის სიტყვებს: *„ციხის შიგნით მოედანი... მოფენილია ნანგრევებით ძველი საცხოვრებლე-ბისა, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ კედლების გაყოლებით და რომელთა კვალი დღესაც უაღრესად ნათლად შეიმჩნევა*“[3]. მისივე თქმით, იქ ძლივძლივობის თუ მოთავსდებოდა 150 ოჯახი[4], ისიც დაუჯერებელია, რომ ციხეში 50 000 ათასი მებრძოლი თავსდებოდა[5].

გორის ციხე მხოლოდ თავისი მდებარეობითა და კედლებით არ იყო ძლიერი. იგი გამოირჩეოდა თავისი აღჭურვილობითაც, განსაკუთ-რებით კი, არტილერიით. ჩვენამდე მოღწეული რამდენიმე ცნობა გვარწმუნებს, რომ სამეფო ხელისუფლება დიდად ზრუნავდა გორის ციხის ცეცხლმსროლელი იარაღით აღჭურვაზე. მის არტილერიას ხშირად იყენებდნენ სხვადასხვა სამხედრო ოპერაციებში.

გორის ციხის არტილერიაზე პირველი ცნობა XVII ს. 30-იანი წლებიდან გვაქვს. ფ. გორგიჯანიძე ამბობს: როსტომმა *„გორის ციხი-დამ ზარბაზნები ჩამოიტანა და ზოვრეთის ციხეს შემოადგა. ზარ-ბაზნებით დაუშინა*“[6]. აგრეთვე, ცნობილია, რომ 1748 წ. როცა ერე-კლე II თბილისში გამაგრებულ ყიზილბაშებს ებრძოდა *„გორიდამ*

---

[1] *მესხია შ., საისტორიო ძიებანი, III, გვ. 318.*

[2] *Туманов А. Б., Описание грузинского города Гори, с. 23.*

[3] *«Кавказ», 1855, №48.*

[4] *«Кавказ», 1855, №49.*

[5] *Туманов А. Б., Описание грузинского города Гори, с. 20.*

[6] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 249.*

დიდი ზარბაზანი დაიბარა“, რომელიც 6 ტ. იწონიდა[1]. იგი იწოდებოდა *„დიდი, ბოჭორმისად*“[2].

მ. ბროსეს გორში ციხის კართან უნახავს ნახევრად მიწაში ჩაფლული დიდი ზომის ზარბაზანი, რომელსაც ჰქონებია შემდეგი წარწერა: *„ქ. სახელითა მამისათა და ძისათა სულისათა წმინდისათა, ამინ: უფალო მიჰფინე რისხვა შენი თესლთა ზედა რომელთაცა არ გიციან შენ, დაეცემოდინ მათ ზედ ნაკვერცხალნი ცეცხლისანი, და ვერ დაუთმონ: მეფე ირაკლი, ვანბობ. ჩღო, მარტის პირველსა, ქკსა უნბ. 1770*“[3].

საყურადღებოა, აგრეთვე, ერეკლე II-ის 1773 წ. 15 ივნისის ოქმი, საიდანაც ჩანს, რომ გორის ციხე შიდა ქართლში მთავარი ციხისა და არსენალის ფუნქციას ასრულებდა. მეფე რევაზ ამილახვარს და ქალაქის მოურავ დავითს უბრძანებს: *„ქ. სურამის მოურავმა რომ ციხეში დასაყენებელი კაცნი გთხოვათ, ღვთის გულისათვის, როგორი საქმეა? რატომ არ გაუგზავნეთ? თხუთმეტი-ოცი კაცი რომ გაგეგზავნათ, რა იქნებოდა, როგორი ქვეყნის მოვლა არის? ახლავ ორმოცდაათი იყოს, სამოცი კაცი მიაშველეთ სურამს. გორიდამ ტყვია-წამალი გადმოიტანეთ, თვითო ლიტრა წამალი თვითომ, ჩარექი იყოს – მეტი თუ ნაკლები – ტყვია აიკიდონ და ერთ ღამეს შევიდნენ სურამს. არაგვის მოურავიც მანდ არის, ზოგი კაცი მაგანი, ზოგი თქვენ გამოარჩევეთ კარგი კაცი და ახლავ გაისტუმრეთ*“[4].

სამხედრო საჭურველის შესანახი საწყობები განლაგებული იყო ციხის აღმოსავლეთ ნაწილში წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მახლობლად[5].

საჭიროებისდა მიხედვით გორის ციხეს სატუსაღოთაც იყენებდნენ. ასეთი ცნობები მხოლოდ XVII ს. 30-იანი წლებიდან გვაქვს, ე.ი. იმ დროიდან როცა როსტომ მეფემ ციხე ხელახლა ააშენა. სავარაუდოა, რომ ციხესიმაგრე ამ ფუნქციას ადრეც ასრულებდა. 1635 წ. როსტომს გორის ციხეში ჰყავდა ჩამწყვდეული აჯანყებული იასე ერისთავის და იოთამ ამილახვრის ცოლშვილი[6]. როსტომის

---

[1] *პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 142.*

[2] *თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, გვ. 47.*

[3] *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, III, გვ. 317, 322.*

[4] *გაბიჩვაძე ა., გორის ციხე ერეკლე II დროს, გვ. 11-12, №5.*

[5] *Туманов А. Б., Описание грузинского города Гори, с. 18.*

[6] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 248.*

ბრძანებით გორში სიკვდილით დასაჯეს მარიამ დედოფლის სახლთუხუცესი ქაიხოსრო ბარათაშვილი, მისი შვილები კი ციხეში ჰყავდათ ტუსაღად[1]. იმავე როსტომ მეფის ბრძანებით გორის ციხეში დააბრამვეს შეთქმულებაში მხილებული გიორგი გოჩასშვილი და ზურაბ სააკაძე[2].

ვახტანგ V შაჰნავაზს გორის ციხეში ჰყავდა დატყვევებული იმერეთის დედოფლის დარეჯანის (თეიმურაზ I-ის ასული) ქმარი, დაბრამავებული ვახტანგ ჭუჭუნაშვილი. იგი შაჰნავაზმა იმერეთიდან წამოიყვანა 1661 წ., როცა იქ თავისი ვაჟი არჩილი გაამეფა. ტყვე გორის ეპისკოპოსის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ დარეჯანმა მოახერხა მისი მოტაცება და ახალციხეში გადაიყვანა[3].

---

[1] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 248; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 422.*

[2] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, 250; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 422-423.*

[3] ვრცლად იხ. *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 337-345.*

ᲒᲝᲠᲘᲯᲕᲐᲠᲘ

ᲒᲝᲠᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲝᲠᲒᲐᲜᲣᲚᲐᲓᲐᲐ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲝᲠᲘᲯᲕᲐᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲝᲠᲐᲙᲘᲡ ᲬᲕᲔᲠᲖᲔ, ᲒᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲗ, ᲛᲓ. ᲛᲢᲙᲕᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲜᲐᲞᲘᲠᲖᲔ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲒᲝᲠᲡᲒᲐᲓᲐᲡᲪᲥᲔᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲐᲠᲐᲐ ᲠᲝᲓᲘᲡ ᲐᲜ ᲕᲘᲜ ᲐᲐᲨᲔᲜᲐ ᲘᲒᲘ.

ᲒᲝᲠᲘᲯᲕᲐᲠᲘ 1920 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲐᲛᲓᲔ

ᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲐ ᲙᲘ ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲔᲤᲔᲡ ᲛᲘᲐᲬᲔᲠᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲮᲐᲜᲓᲐᲖᲛᲣᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ. ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲰᲔᲓᲕᲘᲗ, ᲒᲝᲠᲘᲯᲕᲠᲘᲡ ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲐᲘᲒᲝ, ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲣᲮᲡᲝᲕᲐᲠ ᲓᲠᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲔᲠᲞᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲓᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ[1].

ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲜᲐᲒᲔᲑᲝᲑᲐ ᲘᲧᲝ (ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ 5x4 Მ). ᲛᲐᲡ ᲕᲘᲬᲠᲝ ᲓᲐ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲙᲐᲠᲘᲑᲭᲔ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲒᲐᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲜᲐᲮᲔᲕᲠᲝᲓ ᲛᲠᲒᲕᲐᲚᲘ ᲗᲐᲓᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲪ ᲒᲐᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲗᲐᲓᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲣᲠᲐᲕᲘ. ᲘᲒᲘ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲛᲙᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲗ, ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲙᲘ ᲪᲮᲕᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲩᲠᲓᲘᲚᲝ-ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲙᲔᲓᲔᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲠᲒᲕᲐᲚᲘ ᲙᲔᲓᲚᲘᲗ – ᲙᲝᲨᲙᲘᲗ[2]. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲑᲔᲜ ᲘᲒᲘ VIII-IX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲡ ᲒᲐᲜᲔᲙᲣᲗᲕᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲢᲠᲐᲙᲝᲜᲥᲘᲡ (ᲝᲗᲮᲐᲑᲡᲘᲓᲘᲐᲜᲘ) ᲢᲘᲞᲘᲡ

---

[1] *„ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲝ“, 1885, №1, ᲒᲒ. 6.*

[2] *Кавказ. Рача. Горийский уезд. Гори. Осетия. Пшавия, Хевсуретия и Сванетия. Путевые заметки графини Уваровой, ч. III, М., 1904, с. 78-79.*

ნაგებობა იყო, რაც დადასტურდა 1988 წელს არქეოლოგიური შესწავლის შედეგად[1].

ფართობის სიმცირის მიუხედავად, ძველი ეკლესიის გვერდით აღმართული იყო ახალი ფართო და ნათელი ეკლესია ყოვლადწმინდის ღვთისმშობლის სახელობისა[2], რომელსაც თავისი სამრეკლო ჰქონდა[3].

ქვიტკირის გალავნის შიგნით, ორივე ეკლესია გარშემორტყმული იყო სახლებით, რომლებშიც მლოცველები ღამეს ათევდნენ[4].

ეკლესიის მსახურთ და მრავალრიცხოვან მლოცველებს კარგად მოწყობილი წყლის სისტემა სჭირდებოდათ. როგორ გადაწყვიტეს ეს პრობლემა ადრეულ საუკუნეებში, არ არის ცნობილი. ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, ვახტანგ VI-ის მეუღლემ დედოფალმა რუსუდანმა ბურეთის მთიდან წყაროს წყალი მოიყვანა წმ. გიორგის ეკლესიასთან[5].

ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება დედოფალმა რუსუდანმა უკვდავყო ქვაზე წარწერით, რომელიც XIX ს. დასასრულს გორიჯვრის წმ. გიორგის ეკლესიასთან უყურადღებოდ იდო[6]. შემდეგში ეს ქვა, უცნობი მიზეზით, ბურეთის მთაზე გადაუტანიათ, საიდანაც, საბოლოოდ, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში მოხვდა[7].

წარწერის ტექსტი ამოიკითხა და გამოაქვეყნა ი. მეგრელიძემ. *„ქ...ევს ვახტანგის მეუღლემან, ჩერქეზ ბატონის ასულმან დედოფალმან რუსუდან მოვიტანეთ წყარო ესე წმიდის გიორგის წინაშე პატრონისა ჩვენისა გამოსახსნელად, ცოდვათა ჩვენთა შესანდობლად და ძეთა ბაქარისა და გიორგი აღსაზრდელად კორონიკონს უ. წმიდაო გიორგი შემიწყალე...“*[8].

---

[1] *კოშორიძე თ., ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი შიდა ქართლში // სადისერტაციო ნაშრომი ეთნოლოგიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, 2015, გვ. 89.*

[2] *„ცნობის ფურცელი“, 1899, №843, გვ. 2.*

[3] *Кавказ. Рача. Горийский уезд. Гори. Осетия. Пшавия, Хевсуретия и Сванетия. Путевые заметки графини Уваровой, ч. III, с.79.*

[4] *„ცნობის ფურცელი“, 1899, №843, გვ. 2.*

[5] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 344.*

[6] *„მწყემსი“, 1885, №1.*

[7] *საინვენტარო №1964. მისი ზომებია 67X45X12.*

[8] *მეგრელიძე ი., დიდი ლიახვის სიძველენი და მათი წარწერები // სტალინირის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, III, თბ., – სტალინირი, 1957, გვ. 234; შდრ. „მწყემსი“, 1885, №1.*

მართალია, ქორონიკონი 400=1712 წელს, მაგრამ დროის დაზუსტება შეიძლება, რადგან რუსუდანი წმ. გიორგის შესთხოვს ირანიდან ვახტანგის კეთილად დაბრუნებას. ვახტანგი ირანს გაემგზავრა 1712 წ. 28 თებერვალს. მაშასადამე დეოფალს წარწერა მეფის ირანში გამგზავრების ახლო პერიოდში, იმავე წელს გაუკეთებინებია. წარწერის შექნის კიდევ უფრო დაზუსტება მასში მოხსენიებული ერთი საინტერესო ფაქტით შეიძლება. რუსუდან დედოფალი წმ. გიორგის შეავედრებს და იხსენიებს თავის ვაჟებს – ბაქარსა და გიორგის. ბაქარი უფროსი იყო. გიორგი გორში დაიბადა 1712 წლის 2 აგვისტოს[1], მაშასადამე წყალსადენი გაუმართავთ 1712 წლის მეორე ნახევარში, 2 აგვისტოს შემდგომ, სავარაუდოა შემოდგომაზე, ნოემბერში გორიჯვრობამდე.

1848 წ. მ. ბროსეს გორიჯვარში უნახავს მეორე წარწერა: *„ქ. მეფობასა ირაკლისა მეორისა, ჩვენ ქართლის სპასალარმან სარდალი ამილახვარმა ბატონმა ოთარ, მეორეთ, ჟამთა ვითარებისაგან წამჴდარი იყო წყალი სათავიდამ განვაახლე, მილით გამოვიყვანე წყალი, ხარჯითა ჩემითა. დიდო მოწამეო გიორგი, მიიღე მცირე სამუშაკო, და მეოხ მეყავ მე. მაის, ქკსა. უა“*[2].

ზემომოყვანილი წარწერის თარიღი (1713 წ.) მცდარია. ერეკლე II და ოთარ ამილახვარი XVIII ს. მეორე ნახევრის მოღვაწენი იყვნენ და ისიც საეჭვოა 1712 წ. გაყვანილი წყალსადენი 1713 წ. უკვე კაპიტალურად შესაკეთებელი გამხდარიყო[3]. უფრო სავარაუდოა ოთარ ამილახვარს აღნიშნული წყალსადენი გაეკეთებინა გორის მოურავად ყოფნის დროს (1787-1801 წწ.), მაგრამ, რადგან წარწერაში ნათქვამია მშენებლობა ერეკლე II-ის დროს ჩატარდაო, და ვიცით, რომ ოთარის გორის მოურავობა ერეკლეს მეფობის ბოლო პერიოდს, 1787-1798 წლებს დაემთხვა, ამიტომ უფრო სწორი იქნება წყალსადენის აღდგენაც ამ პერიოდში ვივარაუდოთ.

---

[1] *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, III, გვ. 605; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 492; საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 48.*

[2] *Brosset, Rapports sur un vouage archeologique dans la Georgie et dans I'Armenie, execute en 1847-1848, St.-Pb. 1850 p. 27-28.*

[3] *ვრცლად იხ. Brosset, Rapports sur un vouage archeologique dans la Georgie et dans I'Armenie, p. 28; მეგრელიძე ი., დიდი ლიახვის სიძველენი და მათი წარწერები, გვ. 235-240.*

არსებობს ერთი ცნობაც: ოთარ ამილახვარმა 1793 წ. მაისში, როცა გორიჯვარში წყალი დაშრა, ღვარებიდან მილით წყაროს წყალი გამოიყვანა[1]. ვიდრე დამატებითი მასალა აღმოჩნდება, ძნელია ვთქვათ, ქვაზე წარწერა ოთარ ამილახვრის მიერ წყალსადენის განახლების შესახებ და 1793 წ., ღვარებიდან წყლის გადმოყვანა იმავე ოთარის მიერ, ერთი და იგივე საქმიანობის აღმნიშვნელი ცნობებია თუ სხვადასხვა ღონისძიებას ასახავს[2].

XIX ს. დასასრულს გორიჯვრის ციხის გალავანს ჯერ კიდევ ჰქონდა რკინისა და ფოლადის ნაჭრებით მოჭედილი კარები. ძველი ეკლესიის შიგნით კედლებზე მხატვრობის კვალიც ჩანდა, მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე კირით იყო გადალესილი. კანკელი ქივთკირით ნაშენები და გაჯით შელესილი, ხოლო მისი კარების ზევით მხედრული წარწერაც გადაშლილი იყო[3].

კანკელის წინ დასმული იყო ვერცხლის ფირფიტებით შეჭედილი ძვირფასი ჯვარი, რომელიც კახეთის მეფე ალექსანდრე II-მ (1574-1605) შესწირა. ჯვრის სიმაღლე 1,88 მეტრი, სიგანე – 0,84 მეტრი. კახელ ოსტატს ფირფიტაზე რელიეფური ჭედვით გადოუხატავს წმ. გიორგის ცხოვრებისა და წამების სცენები და თითოეული სცენის ასახსნელად ასომთავრული წარწერა[4]. ჯვრის დიდი ავტორიტეტის გამო არა მხოლოდ წმ. გიორგის ეკლესიას ეწოდა გორის ჯვარი (გორიჯვარი), არამედ იმ ადგილსაც სადაც ეკლესია იდგა და მის მიმდებარე ტერიტორიასაც. იქვე, მახლობლად ორი სოფელია – დიდი და პატარა გორიჯვარი.

---

[1] *საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 185.*

[2] გორიჯვრის წმ. გიორგის ეკლესიისა და ციხის სამხრეთით საპირისპირო ფერდობზე შემორჩენილია ნაწილობრივ დანგრეული, ნახევარწრისებური ნაგებობა, რომლის მარცხენა ეკლესიისაკენ მიმართულ გვერდით ქვაზე ჩანს წარწერის ნაკვალევი, ი. მეგრელიძეს ამოუკითხავს წყაროს განახლების წელი (1870), იმავე წყაროს სათავიდან ლითონის მილით წამოყვანილი წყლით XIX საუკუნეში რესტავრატორები და მნახველები სარგებლობდნენ.

[3] *„მწყემსი“, 1885, №1.*

[4] *თაყაიშვილი ე., გორიჯვრის კანკელის წინ დასადგმელი ჯვარი // თსუ შრომები, 34, 1948, გვ. 383.* იხ. აგრეთვე *გორიჯვრის ჯვრისადმი მიძღვნილი სპეციალური ნაშრომი – აბრამიშვილი ვ., გორიჯვარი, გორი, 1994, გვ. 54-55;* მისივე, *გორიჯვრის ჯვარი, 2001, გვ. 7-22;* მისივე, *გორიჯვარი, გორი, 2009, გვ. 43-49.*



გორისჯვრის საკურთხევლის
წინ აღსამართავი ჯვარი

კომპოზიციებს ჰკრავს ჯვრის შუაში მოთავსებული ჯვარცმა.

კომპოზიციები და მათი განმსაზღვრელი ქართული ასომთავრული წარწერები:

ზედა მკლავი:

1. წ(მიდი)ს გ(იორ)გ(ი)ს ურ-მ(ი)ს თვლით დ(ა)ჭრა დ(ა) ანგელ(ო)ზ(ი)ს(ა)გ(ა)ნ აღდგ(ი)ნ(ე)ბა
2. წ(მიდი)ს გ(იორ)გ(ი)ს ურ-მ(ი)ს თვ(ა)ლზედ დ(ა)კ-რვა.
3. წ(მიდი)ს გიორგის-გ(ა)ნ კ(ე)რ(პ)თ შემოსრვა.

ჰორიზონტალურ მკლავზე მარცხნიდან მარჯვნივ:

1. წ(მიდი)ს გი(ორ)გ(ი)ს დ(ა)ხრვა.
2. წ(მიდი)ს გი(ორ)გ(ი)ს შოლტით ცემა.
3. წ(მიდი)ს გ(იორ)გ(ი)ს კ(ი)რშიდ ჩ(ა)სმა.

მომდევნო კომბინაციები თანმხლები წარწერების გარეშეა მოცემული:

4. წმიდა გიორგის მიერ ქურუმის აღდგინება;
5. წმ. გიორგის ლოდის დადება;
6. მეფე დიოკლეტიანესგან წმ.გიორგის განკითხვა;

ქვედა ვერტიკალურ მკლავზე:

1. საყდარზე მჯდომი წმ.გიორგი;
2. მაცხოვრის მიერ წმ. გიორგის კორონაცია;
3. წმ.გიორგის მიერ ღლიკერის ხარის აღდგინება. წმიდანის თავის ორივე მხარეს წარწერაა მოცემული: წ(მიდა)ჲ გ(იორგ)ი.
4. წმ. გიორგის თავის კვეთა თანმხლები წარწერით: წ(მიდი)ს გი(ორ)-გ(ის) წამება.
5. წმ. გიორგის მიერ გველეშაპისგან დედოფლის გათავისუფლება.

ქვედა ფეხის ბოლოს მოცემულია ქართული ასომთავრულით შესრულებული 16 სტრიქონიანი საქტიტორო წარწერა:



1. ქ: მოწ(ა)მეთა შ(ო)რის
2. დ(ა)ოვ(სებე)ლო ვ(ა)რსკ(ვ)ლ-
3. (ავ)ო
4. კერპთ შ(ე)მოსვრელო
5. და მ(ო)წ(ა)მ(ე)ო დიდო
6. ლმობაო ტ(ა)ნისა დ(ა)
7. ძვ(ა)ლთა ჩემთა ბრძ-ვილნი
8. გ(ა)ნმიკურნე მე მეფესა
9. ალექსანდრეს
10. რომელთა ვ(ი)ნებო ხ(ა)
11. ტთათქვ(ე)ნთა მოჭედა.
12. ქ. ჩ(ვე)ნ ღ(მრ)თივ გვირ-
13. გვინოს(ა)ნმ(ა)ნ მ(ე) ფ(ე)თ
14. მ(ე)ფ(ე)მ(ა)ნ პ(ა)ტ-რო
15. ნმ(ა)ნ ალექსანდრე ვი-
16. გოლ(ისმოდგინე)თ
17. თა შეწევნითა
18. შ(ე)ნ ძლიერ(ი)სა დ(ა)
19. ახოვნისა დ(ა) ღ(ვა)წლ მრ(ა)
20. ვლისა წ(მიდი)სა დიდისა მოწ(ა)მისა გი(ორგი)სათა დ(ა)
21. მოვაჭედინეთ ხ(ა)ტი მსგ(ა)ვსებისა თქ(ვე)ნისა
22. თ(ა)ყვ(ა)ნისა საცემლ(ა)დ შ(ე)ნდა დ(ა) ს(ა)დიდებ
23. ელ(ა)დ დ(ა) დ(ა)გისვ(ე)ნ(ე)თ გორიჯვ(ა)რს ტ(ა)ძ(ა)რსა შ(ინ)ა
24. შ(ე)ნსა რ(ა)თა გ(ა)ნმიკურნო ჩემ შორისისა ა
25. მისჴორცელისა სალმობისა დ(ა) მიო
26. ხო მოსლა(ა)სა მ(ა)ს მისსა დიდებით რომელი
27. სთვის წ(ა)მა ახოვ(ა)ნებამან შენმან.

ჯვრისაგან მოცილებულია 23X13X5 სმ ზომის ფეხი ხის, ვერცხლით შეჭედილი, რომლის წინა პირზე განაწილებულია 12 სტრიქონიანი მხედრული წარწერა:

1. ეჰა მეუფისა მის მაღლისა მხნეო მხედარო ძლი
2. ერო და უძლეველო სასწაულთა სიმრავლეთა ვითარ
3. ცა ზღვისა ქვიშითა აურაცხელო ღვაწლ მრავალო
4. ქვეყანასა ზედა გამოჩინებულო ვითარ ვდიდან
5. უ ვითარ შევამკო დიდო მოწამეთა მთავარ
6. ო გიორგი შეიწირე მცირე ესერა მოსართავი
7. ფერხთა ქვეშე თქვენთა და მოვაჭედინეთ
8. ფეხი და სადგმელი თქვენი იქით და აქათ
9. ჩვენ გივის ამილახვრის ძემ გიორგიმ
1. რთ და ვითარ საფარველით შენითა
11. ღეთ ცხოვრებისა ჩემისათა ამინ
12. ქკს ტჟე (1707წ) სეკტენბერს.

ჯვრის ქვედა ნაწილში გაკეთებული წარწერა გვამცნობს კახეთის მეფის (მას ცოლად ჰყავდა ბარძიმ ამილახვარის ასული) მოწიწებას და პატივისცემას შიდა ქართლის მოსახლეობის ამ სათაყვანებელი ეკლესიისადმი: *„წქ. მოწამეთა შორის დაუვსებელო ვარსკვლავო, კერპთ შემმუსვრელო და მოწამეო დიდო, ლმობა ტანისა და ძვალთა ჩემთა ბრძვილნი განმიკურნე, მე, მეფესა ალექსანდრეს, რომელთა ვინებთ ხატთა თქვენთა მოჭედა.*

წქ. ჩუენ ღმრთავ გვირგვინოსანმან მეფეთ მეფემან პატრონმან ალექსანდრე ვიგულეთ თანა შეწევნითა შენ ძლიერისა და ახოვანისა და ღვაწლ მრავლისა, წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისათა, და მოვაჭედინეთ ხატი მსგავსებისა თქუენისა თაყვანის საცემლად შენდა და სადიდებლად და დაგასვენეთ გორისა ჯვარს, ტაძარსა შინა შენსა, რათა განმიკურნოთ შორისასა, ამის ჴორციელისა სალმობისა და მიოხოს მოსლვასა მას დიდებით, რომლისთვის წამა ახოვანებამან შენმან“[1].

---

[1] *თაყაიშვილი ე., გორიჯვრის კანკელის წინ დასადგმელი ჯვარი გვ. 384-385.*

ძველ ეკლესიაში, დიდ ხნის განმავლობაში დაცული იყო თავის ქალა, რომელსაც წმ. გიორგისად მიიჩნევდნენ. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავდა: *„თავი წმიდისა გიორგისა მდებარეობს ჯუარსა შინა“*[1]. იგი ამილახვართა ოჯახმა, XIX საუკუნეში, გორის მახლობლად ორთაშენში, თავის ეკლესიაში გადაიტანა, იმის მიზეზით, რომ ოდესღაც ერთ-ერთმა ქართველმა მეფემ მათ აჩუქა ამილახვართა წინაპრის მიერ მეფის გადარჩენის გამო. ზემოხსენებულ ჯვარსაც ამილახვრები დაეპატრონენ. ისიც ორთაშენში გადაასვენეს[2]. უკანასკნელმა გორელმა ამილახვარმა გიორგიმ 1920 წ. ჯვარი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას მიყიდა[3]. იგი ამჟამად დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

წერილობითი წყაროებით არ დასტურდება ის მოსაზრება, რომ გორიჯვარი ქართლ-კახეთის დამოუკიდებელი სამეფოს არსებობის პერიოდში ამილახვრებს ეკუთვნოდათ[4]. 1766 წლის 10 თებერვლის განჩინებაში ნათქვამია: *„გორიჯვრის ციხე ბატონისა არის და საყდრის მერვედიც“*[5]. მაშასადამე მეფეს ეკუთვნოდა გორიჯვრის ციხე და ეკლესიის გარკვეული ნაწილიც. მეფეს ეკუთვნოდა გორიჯვრის ყმები[6]. ეკლესია და მისი მსახურნი, როგორც ვახტანგ VI-ის 1712 წლის გუჯარიდან ჩანს, ურბნელი ეპისკოპოსის იურისდიქციაში შედიოდა[7].

გორიჯვრის წმ. გიორგის ეკლესია მრავალ მორწმუნეს იზიდავდა. მლოცველები ქართლის ყველა კუთხიდან განუწყვეტლივ მოდიოდნენ. ხალხს სჯეროდა წმ. გიორგის სასწაულებრივი ძალისა. ძველად მთელი ეკლესია შემკული იყო შეწირული სხვადასხვა ნივთებით: პატარა ხარები, მავთულები, ძაფები, ფთილები და სხვ.

---

[1] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 344*

[2] *Кавказ. Рача. Горийский уезд. Гори. Осетия. Пшавия, Хевсуретия и Сванетия. Путевые заметки графини Уваровой, ч. III, с. 79.*

[3] *„ცნობის ფურცელი“, 1899, №843, გვ. 2.*

[4] *თაყაიშვილი ე., გორიჯვრის კანკელის წინ დასადგმელი ჯვარი, გვ. 383;*

[5] *შდრ. მეგრელიძე ი., დიდი ლიახვის სიძველენი და მათი წარწერები, გვ. 235.*

[6] *ქართული სამართლის ძეგლები, IV, გვ. 522, №416.*

[7] *იქვე, გვ. 523.*

გორიჯვარი დღეს

ხალხს სწამდა წმ. გიორგის განსაკუთრებული ძალისა და ყოველგვარი სნეულებისაგან განკურნების უნარისა. ეკლესიის შიგნით, სამხრეთით იდო დიდი ბრტყელი ქვა, რომლის სამი კუთხე ჩამაგრებული იყო ეკლესიის კედელში და კანკელში, მეოთხე კუთხე ბოძს ეყრდნობოდა. მლოცველები ქვის ქვეშ ძვრებოდნენ იმ რწმენით, რომ წელის ტკივილი აღარასოდეს შეაწუხებდათ. ქვის ქვეშ ყმაწვილებსაც გააძვრენდნენ, რათა ყვავილი და წითელა არ შეყროდათ[1].

გორიჯვრის გიორგობაზე 5-6 მაისს თავს იყრიდა დიდძალი ხალხი და მათი უმრავლესობა ღამეს იქვე ათევდა. მლოცველები სხვადასხვა წესს ასრულებდნენ: ეკლესიას მუხლმოყრით უვლიდნენ, კისერზე მძიმე ჯაჭვდადებულნი, ხოხვით უვლიდნენ ეკლესიას და სხვ. მორწმუნენი თან მოყვანილ მამლებს გააფრენდნენ, ყოჩებს და

[1] *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, III, გვ. 45.*

მოზვრებს იქვე კლავდნენ, დიდი პურობა და ცეკვა-თამაში იმართებოდა[1].

გორიჯვრის წმ. გიორგის განსაკუთრებულ გავლენაზე გორში მეტყველებს ისიც, რომ ამ ეკლესიას სხვა ეკლესიებთან შედარებით ყველაზე მეტი ყმა ჰყავდა – 22 კომლი.

წმ. გიორგის ეკლესია და მისი ციხე-გალავანი 1920 წ. მიწისძვრამ გაანადგურა. ამჟამად რესტავრირებულია.

გორიჯვრის დასავლეთით არის პატარა დანგრეული სამლოცველო, ნახევარგუმბათოვანი გადახურვით. გუმბათის დღემდე შემორჩენილი ნაწილიდან ჩანს, რომ იგი დახურული იყო ერთმანეთზე მიწყობილი გვერდებამოკეცილი კრამიტით, რომელთა შორის დარჩენილ ხანებს ფარავდა ღარისებური კრამიტი. სამლოცველო კლდითა და რიყის ქვით არის ნაშენები. ჩრდილოეთის კედლის გარე კუთხეში, მიწიდან ერთ მეტრზე ჩადგმულია კვადრატული ფორმის კლდე სომხური წარწერით, რომელიც თარგმნა და დაათარიღა ლეონ მელიქსეთბეგმა: *„წელსა 940(=1491 წ.) მე ჯალაბმა, აღვაშენე ეკლესია ესე სახსენებლად სულისა ჩემისა და მშობლეთა და ძმათა ჩემთა“*[2]. აღმოსავლეთ კედელზე (გარედან) კლდეში ამოკვეთილია მცენარის (შეიძლება ვაზის) ორნამენტი.

სამლოცველოს კარი დასავლეთ კედელში იყო. აღმოსავლეთ კედელში არის ვიწრო სარკმელი. სარკმელი უნდა ყოფილიყო ჩრდილო კედელშიც. შიგნით, სამხრეთის კედელზე ჩანს ოთხკუთხა, დაბალი ნიში. ორი ნიში ჩანს აღმოსავლეთი კედლის მომრგვალებულ კუთხეებში. ნიშები უნდა ყოფილიყო ჩრდილო კედელშიც.

სტიქიას გადაურჩა გორიჯვრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე – გორისაზე, პატარა ეკლესია ღვთისმშობლის სახელობისა, რომელიც ძალიან ძველი არ უნდა იყოს (ვერ მივაკვლიე ვერც ერთ ცნობას XIX საუკუნეზე ადრინდელს). ისიც ნახევარგუმბათოვანია, სამხრეთიდან აქვს დაბალი კარი, ხოლო აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან დაბალი, ვიწრო სარკმელები. ეკლესიასთან არის წყარო. ადრე ჭაც ყოფილა, რომლის არსებობა დღესაც ახსოვთ. ვარაუდობენ, რომ ოდესღაც, ყოველ შემთხვევაში XIX საუკუნემდე, აქ სოფელიც უნდა ყოფილიყო[3].

---

[1] *„მწყემსი“, 1885, №1.*

[2] *მაკალათია ს., ლიახვის ხეობა, გვ. 108.*

[3] *„მწყემსი“, 1885, №1.*

მოსახლეობა, სოციალური სტრუქტურა, კლასობრივი ბრძოლა

1. მოსახლეობა

წერილობითი ცნობები არა გაგვაჩნია, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ გორის ტერიტორია დასახლებული იყო ანტიკური პერიოდიდან. საქართველოს ფეოდალური მონარქიის შექმნის პერიოდიდან (XI-XIII სს.), სხვა ქალაქების მსგავსად, გორის მოსახლეობაც მრავალრიცხოვანი იყო. ფეოდალური ხანის გორის მოსახლეობის შესახებ ცნობები ფრაგმენტლია, რადგან საქართველოს ქალაქების ადრინდელ აღწერათა დავთრებს სრული სახით არ მოუღწევია.

საქართველოს მოსახლეობის აღწერილობათა ერთ-ერთი უძველესი დავთარი გორს განეკუთვნება, რომელიც ივ. ჯავახიშვილმა XVIII ს. დასაწყისით დაათარიღა[1].

შემდგომი დროის საქართველოს სხვა ქალაქების დავთრებთან შედარებით, გორის მოსახლეობის აღწერის დავთარი პრიმიტიულია. მასში აღნიშნული არ არის საკომლოების თავები, ადამიანების სახელები და მათი რაოდენობა. ამიტომ შეუძლებელია მაშინდელი გორის მოსახლეობის რაოდენობისა და სოციალური შემადგენლობის, მისი ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების ზუსტად დადგენა. საერთოდ, გვიანფეოდალური ხანის საქართველოს მოსახლეობის აღწერილობათა დავთრების და, მათ შორის, გორის დავთრის ერთი სერიოზული ნაკლი უნდა გავითვალისწინოთ. დავთარში არ შეჰყავდათ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ბეგარა-გადასახადებს არ იხდიდა და ლაშქარში არ მონაწილეობდა. ქვემო ქართლის მეწინავე სადროშოს მოსახლეობის 1721 წლის აღწერის დავთრის შესავალში მდივან-მწიგნობარი გივი თუმანიშვილი პირდაპირ ამბობს: *„აღვწერეთ ამა დავთართა შინა რომელთა ძალედვა აბჯართა და ცხენთა ხმარებანი, გინა სამეფოთა ხარჯთა და ბეგარათა გამოღებანი, ხოლო რომელთა არა ძალედვის ყოველსა რასმესა ქმნა და გამოღება, განუტევით და არა აღვწერით წიგნსა ამასა შინა“*[2]. იმ კომლს, რომელიც ქვრივი ქალისა და მცირეწლოვანი ბავშვებისაგან შედგებოდა, სრულიად გამოტოვებდნენ ხოლმე. დავთარში არ შეჰყავდათ მოსახლეობის ის

---

[1] *ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, ტფ., 1930, გვ. 37.*

[2] *მასალები საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, გამოცემული ექ. თაყაიშვლის რედაქტორობით. ტფ., 1907, გვ. 3.*

პრივილეგირებული ნაწილი, რომელიც გადასახადით არ იბეგრებოდა[1]. მაგრამ აღწერის დავთრები მაინც შესაძლებელს ხდის მიახლოებით დადგინდეს მისი შედგენის დროის დემოგრაფიული სიტუაცია, მოსახლეობის სოციალური და ქონებრივი მდგომარეობა.

გორის მოსახლეობის აღწერის ხანგრძლივი ტრადიცია არსებობდა. ქართულ დემოგრაფიულ დავთართა შორის, გადარჩენილთა და ჩვენამდე მოღწეულთა შორის *„ქ. გორის მცხოვრებთა აღწერის დავთარი უნდა მივიჩნიოთ“* – შენიშნავდა ი. ჯავახიშვილი თავის *„საქართველოს ეკონომიკური ისტორიის“* I ტომში, მას ათარიღებდა XVIII ს. პირველი ათეულებით და ფიქრობდა, რომ ის უნდა ყოფილიყო 1721 წლის აღწერის უწინარესი[2].

დავთრის მიხედვით, XVIII ს. დასაწყისში გორში დაახლოებით 380 კომლი ცხოვრობდა. სულთა რაოდენობას ტრადიციული მეთოდით თუ ვიანგარიშებთ და თითოეულ კომლში 5 სულს მაინც ვიგულისმებთ, მაშინ აღნიშნულ პერიოდში გორში დაახლოებით 1 900 სული იყო. ამ მიახლოებით რაოდენობას უნდა დაემატოს სასულიერო პირთა და ღარიბთა ოჯახები, რომლებიც დავთარში გათვალისწინებულნი არ არიან. გასათვალისწინებელია ფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი ერთი მნიშვნელოვანი მომენტიც: მებატონენი ყოველ ღონეს მიმართავდენენ თავიანთი ყმების შემცირებული რაოდენობით დაფიქსირებისათვის, რათა თავიდან აეცილებინათ სახელმწიფოს წინაშე თავიანთი მოვალეობების სრულად მოხდა. და მაინც შეიძლება ვთქვათ, რომ აღწერის დროისათვის გორი აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი იყო მოსახლეობის რაოდენობითაც.

გორში დემოგრაფიული და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს *„1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“* ცნობებს.

დავთრის მიხედვით გორში 262 კომლი იყო[3]. თუ ეს სიმართლეს შეეფერება, მაშინ სიაში შეყვანილი 449 ისფენჯი მამაკაცი აღნიშნული კომლების შრომისუნარიანი მამაკაცები არიან. ვფიქრობ, ესენი

---

[1] *ჯაოშვილი ვ., საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, თბ., 1984, გვ. 22.*

[2] *ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, თბ., 1996, გვ. 57.*

[3] *გორგაძე ნ., ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი ქსნისა და არაგვის ხეობაში „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ (1728 წ.) მიხედვით // ქართული დიპლომატია, წელიწდეული, №12, თბ., 2005, 262.*

პასუხისმგებელნი იყვნენ კომლის მიერ გადასახადების მოწესრიგებულად და დროულად გადახდისათვის. სია შედგენილია ზემოთ აღნიშნული ექვსი დასახლების მიხედვით: *„გივის“* დასახლება – 82 მამაკაცი, *„როსთომის“* დასახლება – 50 მამაკაცი, ვარდის უბანი – 60 მამაკაცი, კირნაქის (კვერნაქის) – 36 მამაკაცი, ყოვლადწმინდას დასახლება – 54 მამაკაცი, ფარსადანის დასახლება – 167 მამაკაცი. ამ უკანასკნელში აღრიცხული მამაკაცების რაოდენობიდან ჩანს, რომ იგი გორის ყველაზე დიდი და მჭიდრო დასახლება უნდა ყოფილიყო.

გორის რაბათის ყველა დასახლებიდან დავთარში შეყვანილი ისფენჯი მამაკაცების საერთო რაოდენობა იყო 449[1].

დავთარში დასახელებული მამაკაცები ძირითადად არიან ის ადამიანები, ვინც გორის რაბათში სოფლის მეურნეობას მისდევდნენ და ფლობდნენ მიწის ნაკვეთების გარკვეულ ფართობს. აქედან ბაღის მფლობელი იყო – 43, ვენახის – 7, ბოსტნის – 7, ველის კი – 32.

როგორც ითქვა, 1721 წლის აღწერის დროს გორში 380 კომლი, დაახლოებით 1900 სული ცხოვრობდა. განსხვავება 1728 წლის ოსმალების მიერ აღწერის მასალების მონაცემებთან საკმაოდ სერიოზულია. ოსმალებისგან დაპყრობილ გორში მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირებულია, დაახლოებით, 120 კომლით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობის ერთმა ნაწილმა დატოვა გორი და მახლობელ სოფლებში ან შეიძლება იმერეთში გადავიდა, სადაც ოსმალები მოსახლეობას სერიოზულ პრობლემებს ვერ უქმნიდნენ. იმის დაშვებაც შეიძლება, რომ ოსმალო მოხელეები შეგნებულად ამცირებდნენ ოფიციალურ აღწერის სიებში გადასახადების გადამხდელთა რაოდენობას. ასეთი პრაქტიკა ოსმალეთშიც[2] და საქართველოშიც, კერძოდ ქართლშიც არსებობდა. რამდენადაც ცნობილია ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სხვადასხვა მებატონეთა ყმები შეადგენდნენ. ბუნებრივია, მებატონეები ცდილობდნენ მათი ყმები არ მოხვედრილიყვნენ ნუსხებში, რათა სახელმწიფო ხაზინაში არ წასულიყო მათი შემოსავლის ნაწილი. ამ მხრივ ერთი საინტერესო, 1715 წლის საბუთი გამოქვეყნებული ჟურნალ *„მოამბეში“*, მოჰყავს ვ. ჯაოშვილს. რუისის ეპისკოპოსს ნიკოლოზ მროველს აუწერია

---

[1] *1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, 439-444.*

[2] თურქი მოხელეები სულთანს უმალავდნენ სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის მიერ ფოთის ციხის დანგრევას და ჯამაგირს უწინდებურად იღებდნენ, თითქოს ციხე არსებობდა. *მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, გვ. 587.*

თავისი სამწყმსოს საეკლესიო ყმები და აღწერის მასალისათვის დაურთავს გაფრთხილება გარკვეული პირებისათვის, რომ მათ აღ-წერის დავთარი მეფის მოხელეთათვის არ ეჩვენებინათ, რათა ყმათა რეალური რაოდენობა, მათი ქონებრივი შესაძლებობა ცნობილი არ გამხდარიყო და ეკლესიის შემოსავალი არ შემცირებულიყო. ნიკო-ლოზ მროველი მიმართავს რუისის ტაძარში მყოფ მღვდელ-მონა-ზონებს: *„ამასაც ვიხვეწები, ამ სამწყსოს დავთარს მეფის მოსაქმეს ნურავის აჩვენებთ კოდის პურსა და საურზე ქვეყანას გარჯიან და მე არ მიჯობს. მე დრამისათვის აღვწერე. საყდარს მოსავლის ანგარიში არ დაეკარგოს. ღ~თის სიყვარულისათვის ამ სამწყსოს მატიანეს ნურას მეფის მოსაქმეს ნუ აჩვენებთ, თუ ქრისტე გწამსთ“*[1]. ასე, რომ აღწერის დოკუმენტებს დიდი სიფრთხილით უნდა მიდგომა, მითუ-მეტეს თუ შესადარებელი სხვა მასალა არ მოგვეპოვება.

გორის რაბათში ცხოვრობდა 381 გადასახადის გადამხდელი მამაკაცი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ თითოეული მათგანი თითო ოჯახს წარმოადგენდა. თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ შეიძ-ლება მიახლოებით მაინც ვივარაუდოთ საინტერესო პერიოდის გორის მოსახლეობის რაოდენობა – დაახლოებით 2 ათასი სული და უფრო მეტიც. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის მეთოდი, რომლის მიხედვითაც ხდებოდა მოსახლეობის აღწერა ფეოდალურ საქართვე-ლოში.

1721 წლის აღწერის დავთრის შესავალში მდივან მწიგნობარი გივი თუმანიშვილი ამბობს, რომ აღწერის დავთარში შეიყვანეს მხო-ლოდ ის კომლები, რომლებსაც შეეძლოთ სამხედრო სამსახურის შესრულება (*„რომელთა ძალედვა აბჯართა და ცხენთა ხმარებანი“*) და შეეძლოთ ბეგარა-გადასახადების გადახდა (*„სამეფოთა ხარჯთა და ბეგარათა გამოღებანი“*), ხოლო უქონებელნი და უმწეონი სიიდან გამოტოვეს[2]. დავთარში არ შეჰყავდათ ის კომლებიც, რომლებიც ქვრივი ქალისა და ბავშვებისაგან შედგებოდა, არ შეჰყავდათ მოსახ-ლეობის ის პრივილეგირებული ნაწილი, რომელიც გადასახადით არ იბეგრებოდა[3]. ოსმალებმა კი გადამხდელთა სიებში შეიყვანეს

---

[1] თაყაიშვილი ე., არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, წიგნი პი-რველი, ტფ., 1907, გვ. 7.

[2] მასალები საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე სა-უკუნეში, გამოცემული ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით, თფ., 1907, გვ. 3.

[3] ჯაოშვილი ვ., საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, თბ., 1984, გვ. 22.

ქართველი ქრისტიანი მოსახლეობის პრივილეგირებული ნაწილიც – სამღვდელოება და თავადაზნაურები.

გორის მოსახლეობა, თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მონაცემების მიხედვით, შეიძლება დავყოთ გადასახადთა გადამხდელთა კატეგორიებისა და რელიგიური აღმსარებლობის მიხედვით. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავაყენოთ ე. წ. *„ისფენჯი კაცები“*. მკვლევართა შორის, ისფენჯის შესახებ, აზრთა სხვაობაა[1]. დავთრიდან გამომდინარე, მისაღებია ვ. გაბაშვილის განმარტება დამყარებული *„გურჯისტანის დიდი დავთარის“* მასალებზე და ამგვარად ქართულ სინამდვილეს ასახავს.

ვ. გაბაშვილი აღნიშნავს, რომ *„ისფენჯი“* ყველა სოფლის საგადასახადო ნუსხაში პირველადაა დასახელებული და მოსდევს სოფელში მცხოვრები ქართული სახელებისა და გვარების მატარებელი მამაკაცების სია.

ნ, შენგელია, როგორც ჩანს იზიარებს ვ. გაბაშვილის განმარტებას და აღნიშნავს, რომ ისფენჯის გადსახადი დაწესებული იყო მიწით სარგებლობისათვის და მას იხდიდა ქრისტიანი მოსახლეობა[2].

დავთარი უფლებას გვაძლევს დასახელებული მკვლევრების მიერ ნაგულისხმევი *„ისფენჯი კაცების“* წრე გავაფართოვოთ და მათ შორის შევიყვანოთ ყოველგვარი საკუთრების მფლობელი ქრისტიანი მამაკაცები.

საეჭვოა, რომ XVIII ს. პირველ ნახევარში გორში იმდენ მუსლიმანს ეცხოვროს, რამდენიც დავთრის მიხედვით შეიძლება ვიგულისხმოთ. პირველ რიგში ეს ეხება იმ გორელებს, რომლებიც ფლობდნენ ბაღებს, ვენახებს და ბოსტნებს და იხდიდნენ უშრის გადასახადს.

ვ. გაბაშვილის განმარტებით, ***უშრის/უშურის*** მიწა განიხილებოდა როგორც საკუთრება და ამ გადასახადს, მხოლოდ მუსლიმანი

---

[1] *გორგაძე ნ., ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი ქსნისა და არაგვის ხეობაში „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ (1728 წ.) მიხედვით, გვ. 421-423.*

[2] *გაბაშვილი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, თბ., 1958, გვ. 341; შენგელია ნ., ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით // თსუ შრომები, №91, თბ., 2000, გვ. 281.*

იხდიდა[1]. გამოდის, რომ ვენახის 8 მფლობელი, მათ შორის ქართული სახელების მატარებელი ადამიანებიც – თამაზა გორგიჩას ძე, ზურაბ ესტატეს ძე, ბარამის ძე, ფარსადან ბაბუნის ძე, რესან ხანი, ვესან ხანი, არსა ელ მუნიფ ხანი, ოდა ბაში, მუსლიმანები იყვნენ. ამიტომაც არ არიან ისინი ისფენჯი კაცების ნუსხაში. მათ ხელში იყო 150 დონუმი ვენახი. თითოეული ერთ დონუმზე იხდიდა 40 ახჩას, სულ კი – 6000 ახჩას.

იმავე განმარტების ნიხედვით, მუსლიმანები ყოფილან ხეხილის ბაღების მფლობელები: ქაიხოსრო მანუჩარის ძე, ბანო ბერას ძე, როსტომ გაბრიელის ძე, მანუჩარ ბანუს ძე, ბაღდად ზურაბის ძე, დავით ფარსადანის ძე, ბერო გორგიჩას ძე, ჰაზირ კუსურველის ძე, დავითი, გასპარ გაბრიელის ძე, გაბრიელ რუბენის ძე, ესტატე ბადოს ძე, პეტრე ბასოს ძე, აჰმუდ აბდალლაჰის ძე, გივი რამაზის ძე, გაბრიელ ისთაფანის ძე, დოლმაზ რამაზის ძე, ქეშიშ მინასი ნასყიდას ძე, არაქელ მინასის ძე, ამირან სადის ძე, ჩუბინა ნიკოს ძე, ბარამ დოლმაზის ძე, ბაღდასარი, ფარსადან ბეჟანის ძე, ალექსი, ავნია ბარას ძე, არაქელ ბაინდურას ძე, ოთარ დათუნას ძე, გოდერძი ჯურჯი, ნასყიდა მოქერის ძე, ნაზარ ბადას ძე, ფარსადან ზაალის ძე, თუთარა, ზურაბ ესტატეს ძე, გაბრიელ გიორგის ძე, საბა და ნასყიდა რომლებსაც ეკავათ 60,5 დონუმი ბაღი.

უშრის გადასახადს საბოსტნე მიწაზე იხდიდნენ: როსტევანი, გორგიჩა, ზაალი, ღუსტანი ფერიდუნი, ბერო და როსტომი, რომ-ლებიც ფლობდნენ 3 დონუმს და იხდიდნენ 5200 ახჩას. გამოდის, რომ ისინიც მუსლიმანები იყვნენ. ის რაც გორში მოსახლე „მუსლი-მებზე“ ითქვა, საეჭვოა და დამატებითი საბუთია საჭირო საბოლოოდ მის დასადგენად.

*

მართალია, გორმა დიდი ზიანი განიცადა *„ოსმალობა“-„ყიზილ-ბაშობის“* პერიოდში (XVIII ს. 20-40-იანი წლები), ქალაქი მნიშვნე-ლოვნად დაკნინდა, მოსახლეობა შემცირდა, მაგრამ მალე წელში გაიმართა. შემდგომი პერიოდისათვის გორის მოსახლეობის რაოდე-ნობის კვლევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს 1770 წ. 5 აპრილის დემოგრაფიულ ნუსხას. იგი მოიცავს რაოდენობრივ მონაცემებს ქართლ-კახეთის სამეფოს ყველა პროვინციის მცხოვრებლებზე. აღწე-

[1] *გაბაშვილი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, გვ. 162, 322, 341.*

რის შედეგები ერეკლე II-ემ რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის ოფიციალურ წარმომადგენელს საქართველოში ანტონ მოურავოვს წარუდგინა[1]. აღნიშნული ნუსხის შედგენის მიზანი, როგორც მისი დასკვნებიდან ჩანს, სამეფოს შემოსავლებისა და ჯარის რაოდენობის დადგენა იყო[2].

ირკვევა, რომ განვლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე გორის მოსახლეობამ საგრძნობლად იმატა, დაახლოებით 120 კომლით გაიზარდა, რაც ქვეყნად შედარებით მშვიდობის დამყარებისა და ეკონომიკურად მოღონიერების შედეგი იყო.

ამგვარად, ზემოხსენებული ნუსხის მიხედვით, 1770 წლისათვის გადასახადების გადამხდელთა და სამხედრო ვალდებულთა ოჯახების სულთა საერთო რაოდენობა 2500 შეადგენდა.

გორის მოსახლეობა კიდევ უფრო უნდა გაზრდილიყო 1780 წ. როცა ერეკლემ დაამარცხა განდგომილი ერევნის ხანი და ქართლ-კახეთის მოსახლეობის გადიდების მიზნით *„...მესამე დღეს აჰყარა ერევნიდან მრავალნი მეკომურნი სომეხნი და მოიყვანა საქართველოში, რომელიც დღესაც მდგომარეობენ, რაოდენსამე ადგილსა“*[3]. ისინი სიღნაღში, თბილისსა და გორში დაასახლეს[4].

გორის მოსახლეობის დინამიკა უაღრესად მერყევი იყო, რასაც ქვეყნად მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები განაპირობებდა. ამაზე მეტყველებს 1804 წლის აღწერის მონაცემებიც. ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების წინ და შემდეგ მომხდარმა პოლიტიკურმა ამბებმა ის გამოიწვია, რომ გორის მოსახლეობა 100 კომლით შემცირდა[5]. ამდენად, გაზვიადებულია ავთ. თუმანიშვილის ცნობა, რომ XIX ს. მეორე ათწლეულის შუა ხანებისათვის გორში 5000 სული ცხოვრობდა, მაშინ როცა იმავე საუკუნის 40-იან წლებში გორში მხოლოდ 3468 მცხოვრები იყო[6].

ცალკეული ცნობები გაგვაჩნია გორის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე.

---

[1] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, გვ. IV, 651-652.*

[2] *ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 420-422, №120.*

[3] *ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 420-422, №120.*

[4] *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა... III, გვ. 368.*

[5] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 552.*

[6] *Ведомость Горийского комендатна майора Рейха состоящих в веренном мне городе разного звания люди с показанием порознь какого они звания (за 1804 год). გსიემ, №7486.*

XII ს. დასაწყისიდან გორში ქართული მოსახლეობის გვერდით სომხურიც არსებობდა, თუმცა მათი რაოდენობა მაშინ უმნიშვნელო იქნებოდა. ს. მაკალათიას აზრით, დავით აღმაშენებელმა ანისიდან წამოყვანილი სომხები ძირითადად ქსნის ხეობის მაღალ მთიან გორაზე ახალგორში დაასახლა. იქაურ სომხებს ბოლო დრომდე ხსომებიათ, რომ ისინი დავით აღმაშენებელმა XII საუკუნეში ანისიდან გადმოასახლა. ს. მაკალათია დასაშვებად თვლიდა, რომ დავით მეფეს ანისელ სომეხ ხელოსანთა და ვაჭართა ერთი ნაწილი გორშიც დაესახლებინა[1].

სომხეთში სამეფო ხელისუფლების მოსპობის შემდეგ, დავით აღმაშენებლისა და მისი მემკვიდრეების მიერ დამპყრობთა უღლისაგან გათავისუფლებული სომხები, ქართველი მეფეების მოწვევით სიამოვნებით მოდიოდნენ საქართველოში. ისინი აქ ნახულობდნენ საიმედო თავშესაფარს და დაცვას ძლიერი სახელმწიფოს სახით. საქართველოში გადმოსახლებული სომხებისათვის არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ მათ ახალი ასპარეზი უჩნდებოდათ თავიანთი ხელოსნური ნაწარმის გასაღებისათვის. გარკვეული მნიშვნელობა იმასაც ჰქონდა, რომ მაშინდელი სომხების პოლიტიკური ორიენტაცია ემთხვეოდა საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ კურსს. საქართველო ამიერკავკასიის ხალხების განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაურად გამოდიოდა.

სავსებით სწორად შენიშნავს პ. მურადიანი, რომ დავით აღმაშენებლის მიერ გორში დასახლებული სომხები მცირერიცხოვანნი უნდა ყოფილიყვნენ და გაზვიადებულად მიაჩნია მათეოს ურჰაეცის ნათქვამი, რომ დავითმა გორში დასახლებული სომხებისათვის ეკლესიები და მონასტრები ააშენაო. მისი აზრით, გორში გადმოსახლებულთა უმრავლესობა ხელოსნები უნდა ყოფილიყვნენ. ქალაქის გასაძლიერებლად მწარმოებელ-ხელოსნები უფრო საჭირონი იყვნენ[2].

საქართველოში სომხების გადმოსახლება სისტემურ ხასიათს იღებს XIV საუკუნიდან. მიგრაცია გამოწვეული იყო სომხეთზე მტრის განუწყვეტელი თავდასხმებით და ცხოვრების არანორმალური პირობებით. საქართველოს სამეფო ხელისუფლების მიერ სომხებისადმი კეთილგანწყობილებას იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სომეხი მოღვაწეები, რომ, როგორც ზემოთ ითქვა, XII ს. ისტო-

---

[1] *მაკალათია ს., ლიახვის ხეობა, გვ. 96.*

[2] *Мурадян П.М., Армянская эпиграфика Грузии. Картли и Кахети, Ереван, 1985, с. 81.*

რიკოსმა მათეოს ურჰაეცმა დავით IV-ს გორის სომხებისათვის აშენება მიაწერა.

შუასაუკუნეებრივი გორი, საქართველოს სხვა ქალაქების მსგავსად, სამშობლოდან ლტოლვილი მრავალი სომხისათვის მყუდრო თავშესაფარად გადაიქცა. სომხებს პირობები ჰქონდათ შეუფერხებლად გაეგრძელებინათ თავიანთი ნაციონალურ-კულტურული საქმიანობა და მონაწილეობა მიეღოთ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ხანგრძლივი დროის განმავლობაში თავიანთ სამშობლოს მოწყვეტილი სომხების ერთი ნაწილი, ნაზიარები ადგილობრივ კულტურას, ენას, ზნე-ჩვეულებას, თანდათან კარგავდა თავის ნაციონალურ მახასიათებლებს და ზოგჯერ მხოლოდ სარწმუნოებით განსხვავდებოდა ქართველებისაგან. ადგილი ჰქონდა საპირისპირო პროცესსაც. როდესაც, გარკვეული პირობების გამო, ქართველები სომხდებოდნენ, მაგრამ მხოლოდ რელიგიური თვალსაზრისით. სხვა ყველაფერში ისინი ქართველებად რჩებოდნენ.

გორში ქართველები რაოდენობით ყოველთვის ჭარბობდნენ სომხებს. ავიტაბილეს მიხედვით, 1630-იანი წლების დასაწყისში გორში *„ქართველები და სომხები ცხოვრობდნენ“*[1]. ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, გორში *„მსახლობელნი არიან ქართველნი და სომეხნი, ჰაეროვანი, ტანოვანნი, შუენიერნი, ამაყნი და დიდის მთქმელნი“*[2]. საინტერესოა 1770 წ. ნუსხის ცნობა: *„არს ქალაქი გორი და ამასა შინა მკვიდრობენ მართლმადიდებელნი ქართველნი, ფრანგნი და სომეხნი, კუმლი ხუთასი“*[3]. რა თქმა უნდა, ფრანგებში ის ქართველები და სომხები უნდა ვიგულისხმოთ, რომლებიც კათოლიკობაზე გადავიდნენ. ამ მოსაზრების დაზუსტებას შევეცდები წიგნის ბოლო თავში. მაგრამ ყურადღებას იპყრობს ჩამოთვლა სარწმუნოების მიხედვით. როგოც ჩანს, 1770 წ. გორში ყველაზე მრავალრიცხოვანი მართლმადიდებელი ქართველები იყვნენ, შემდეგ მოდიოდნენ კათოლიკენი და ბოლოს გრიგორიანელი სომხები. კათოლიკების მეორე ადგილზე დაყენება, რა თქმა უნდა, მათდამი სიმპათიებით არ იყო გამოწვეული, როგორც თავის ადგილას ვნახავთ, XVIII ს. 50-იანი წლებიდან კათოლიკებისათვის ქართლ-კახეთის სამეფოში არასახარბიელო მდგომარეობა შეიქმნა. მიუხედავად ამისა, ისინი გორში გრი-

---

[1] *დონ პეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 52.*

[2] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 367.*

[3] *ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 420, №120.*

გორიანებზე მეტნი იყვნენ. მომდევნო პერიოდში კათოლიკეთა რიცხვი შემცირდა.

საქართველოს და კავკასიის სხვადასხვა ადგილებიდან გორში გადმოსახლება სისტემატურ ხასიათს ატარებს. გადმოსახლებულთა შორის უმეტესობა ქართველები იყვნენ. XVIII ს. პირველი ათეულების აღწერის დავთარში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გადმოსახლებულ რამდენიმე კომლს ვხედავთ: ალიდან – 4, ოღოზიდან (?) 1, იმერეთიდან – 1. იმერეთიდან გორში გადმოსახლების ყველაზე ადრინდელ ცნობას შეიცავს 1610-იან წლებში შედგენილი სიგელი, რომლითაც იმერეთის მეფე გიორგი III-მ ქართლის აზნაური დავით დავითაშვილი დაასაჩუქრა ორი გორელი ვაჭრით[1]. ეს ვაჭრები იმერეთიდან გადმოვიდნენ და იმერეთის მეფე აქამდე მათ ბატონად ითვლებოდა. XVII ს. ერთი საბუთის მიხედვით, თბილისში მოსახლე საბატონო ყმა გრიგოლაშვილს გორში დასახლება სურდა[2]. იმავე პერიოდში ახალციხიდან გადმოსახლდა ვინმე ნურალა[3]. 1725 წ. გორში უნდა დასახლებულიყო თავრიზელი დალაქი ავეტიკა, რომელმაც თავი მიყიდა ქიახსრო ჩოლოყაშვილს[4]. საინტერესოა 1788 წლის ერთი საბუთი რაჭიდან გადმოსახლების შესახებ[5]. არზრუმიდან იყო ვინმე ხეჩატურაშვილი ბაღდასარა, რომელიც თავდაპირველად თბილისში დასახლდა, მაგრამ აღა მაჰმად ხანის შემოსევის დროს ტყვედ ჩავარდა, ტყვეობაში ცოლშვილი დაეღუპა, თვითონ და მისმა ერთმა ვაჟმა ტყვეობიდან გაქცევა მოახერხეს, გორში დასახლდნენ და ოთარ ამილახვრის ყმები გახდნენ[6].

მრავალი გორელიც სხვადასხვა მიზეზით ტოვებდა მშობლიურ ქალაქს და სხვაგან გადადიოდა საცხოვრებლად. ცნობილია, გორიდან გადასახლებულნი უმეტესად ვაჭრები იყვნენ. გორიდან გადასახლებას, მტრების ხშირი თავდასხმების გარდა, ალბათ, არსებული საგადასახადო სისტემა და კონფესიური საფუძველი ჰქონდა. მაგრამ უმთავრესი მაინც ბატონყმური ჩაგვრა იყო.

---

[1] *ხეც, Hd, 14630.*

[2] *ხეც, Hd, №14990.*

[3] *იქვე.*

[4] *უჩანეიშვილი დ., დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის (XVII-XIX ს.ს.), გვ. 33, №17.*

[5] *საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 172.*

[6] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 215.*

საინტერესოა 1697 წ. 20 მარტის სასამართლო განჩინების ერთი ადგილი: *„მრავალი ბედოვლათ და წასული მოქალაქე და გორელი კაცი იყო დაკარგული“*[1]. ამ ფრაზის დღევანდელი გაგება შემდეგია: თბილისიდან და გორიდან წასული მრავალი უხეირო, მფლანგველი, ღატაკი და მომჭირნე, მქონებელი, პატივცემული ადამიანი გადაკარგულა, უკან აღარ დაბრუნებულა.

ზ. ჭიჭინაძის გამოკვლევით, XVIII საუკუნეში ქუთაისში და ოზურგეთში გადასახლდნენ გორელი კათოლიკე ვაჭრები. მათ შორის იყვნენ: ზუბალაშვილები, ანდრონიკაშვილები, თუმანიშვილები[2].

თბილისიდან და გორიდან საქართველოს სხვადასხვა ადგილებსა და უცხო ქვეყნებში გადასახლებამ იმდენად სერიოზული სახე მიიღო, რომ ერეკლე II-მ 1784 წ. გამოსცა ბრძანება ყოფილი გორის მოქალაქეების ქონების კონფისკაციისა და ხაზინის მიერ მათი კერძო პირებზე გაყიდვის შესახებ[3]. ასეთი მკაცრი ღონისძიებით ცდილობდა მეფე გორის ვაჭარ-ხელოსნების ადგილზე დამაგრებას.

2. მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა
დამოკიდებული ხალხი

ფეოდალური ხანის გორის მოსახლეობა ძირითადად ვაჭარ-ხელოსნებისაგან შედგებოდა და ყმურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. სოფლად გამწვავებული ბატონყმური ურთიერთობა სოფლის ყმა-ხელოსანს და ვაჭარს აიძულებდა თავშესაფარი ქალაქში ეძებნა. სოფლიდან ქალაქში სახლდებოდა, აგრეთვე, ყმა გლეხობაც. ქალაქს თავშეფარებული ადამიანები შედარებით „მსუბუქ“ ყმობაში აღმოჩნდებოდნენ ხოლმე.

ქალაქში დასახლებული გლეხი, რომელი სამეფოდანაც არ უნდა ყოფილიყო, მაინც ბატონის კუთვნილებად რჩებოდა და ხშირად მის ბედს ეს უკანასკნელი განაგებდა. XVI ს. 70-იან წლებში დარეჯან დედოფალმა გიორგი სააკაძეს უბოძა გორში მცხოვრები აბოვაი ნარიკას-შვილი[4]. XVII ს. მეორე ათწლედში შედგენილი სიგელის მიხედვით, იმერეთის მეფე გიორგი III (1605-1639) ქართლის ცნობილ აზნაურს, ბოქაულთ-უცუხეს დავით დავითაშვილს გორში ორი

---

[1] *დოკუმენტები, I, გვ. 101, №141.*

[2] *ჭიჭინაძე ზ., ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობა, ტფ., 1905, გვ. 40, 49, 89.*

[3] *Грузинские крестьянские грамоты, с. 42.*

[4] *საისტორიო კრებული, IV, ს. კაკაბაძის რედაქციით, თბ., 1929, გვ. 70-71.*

ვაჭრის მერაბას და უნანას მფლობელობა დაუმტკიცა[1]. ალბათ, დასახელებული ვაჭრები გადმოსახლებულნი იყვნენ იმერეთიდან. გორში მცხოვრები სამეფო ყმების გაჩუქების საინტერესო ძეგლს წარმოადგენს ქართლის მეფე ლუარსაბ II-ის 1610 წ. 13 მაისის წყალობის წიგნი, რომლითაც ზემოხსენებულ დავითაშვილს ორი გორელი – *„ერთიერაშვილი სოლადა და ავრანაშვილი მათის სამართლიანის მამულითა და სიმძლავრითა, რისაც მქონებელნი“* – უბოძა[2]. 1631 წ. თეიმურაზ I-მა გორელი სომეხი აკოფა და მისი სახლი სვეტიცხოველს შესწირა[3], ხოლო 1667 წ. შაჰნავაზმა ორი გორელი ვაჭარი ამირბარაშვილი ელიზბარა და მუნდაშაშვილი დავითა მზითევში მისცა თავის ასულს[4].

იყო შემთხვევები, როდესაც მებატონემ არ იცოდა მისგან წასული ყმის ადგილსამყოფელი და, ამდენად, მასზე ხელი აღარ მიუწვდებოდა. მაგრამ მაშინდელ ქალაქებში შექმნილი ვითარება ვაჭარსა და ხელოსანს აიძულებდა მოეძებნა ბატონი და მისი მფარველობით დაეცვა თავი სხვათა ხელყოფისაგან. ასე რომ ფეოდალურ ქალაქებში და, რა თქმა უნდა, გორშიც იურიდიულად ან რეალურად თავისუფალი მწარმოებელი აღარ არსებობდა. ყველას, ნებით თუ უნებლიეთ, ბატონი უნდა ჰყოლოდა. შ. მესხია აღნიშნავდა: *„საქართველოს ქალაქებში, სადაც მთელი მოსახლეობა განაწილებულია საერო და სასულიერო ფეოდალებს შორის, სადაც ყოველდღიური პირობები მას ყმობისაკენ ერეკება და დღეს თუ ხვალ ყმად აქცევს, იურიდიულად თავისუფალი მწარმოებლის გაძლება შეუძლებელია, იძულებულს ხდის ბატონთა შორის, სანამ ჯერ კიდევ შესაძლებლობა აქვს, შედარებით „უკეთესი“ შეარჩიოს და თავისივე სურვილით თავი შესწიროს თუ ეყმოს მას“*[5].

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიყვან რამდენიმე მაგალითს.

1788 წ. ორი ახალმოსული, რომლებსაც გორში სამუდამოდ დასახლება სურთ, მოურავს, ოთარ ამილახვარს მიმართავენ: *„ეს წიგნი მოგართვით ბატონს ამილახორს ოთარს მე რაჭველმა ლობჟანიძემ მამუკამ და ტყეშელაშვილმა გოგიამ ასე რომე, ჩვენი*

---

[1] *ხეც, Hd, №14633.*

[2] *საქართველოს სიძველენი, II, გვ. 158, №128.*

[3] *ისტორიული საბუთები, IV, გვ. 1517.*

[4] *ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, ეკონომიკური ისტორიის... II, გვ. 25.*

[5] *მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, გვ. 295.*

ნებაყოფლობით მოვედით შენი ბატონყმათ. არც შენ მეტი ბატონი მოვინდომეთ საქართველოში, შენ მწყალობელი ბატონი იყო, ჩვენც ერთგული ყმანი ვიყვნეთ არც არავინ მოცილე გყავს"[1].

თავისი ნებით ეყმო ჩილდირიდან გამოქცეული ჰაირაპეტა ავთანდილ ბაბალაშვილს, რომელმაც *„სარჩო და სულადი"* მისცა და გორში დაასახლა, მისი ორი შვილი დაზარდა, ხელოსანს მიაბარა და ხელობა ასწავლა[2].

წარმოშობით არზრუმელი ხეჩატურაშვილი ბაღდასარა თავის ბიოგრაფიაში ამბობს, რომ ჯერ თბილისში დასახლდა, მაგრამ აღა მაჰმად-ხანის საქართველოში ლაშქრობის დროს დაატყვევეს, ცოლ-შვილი ტყვეობაში ამოუწყდა, ბოლოს თავის ერთ შვილთან ერთად გამოიქცა და გორში დასახლდა. *„ჩემთან ღვთის მეტს საქმე არავის ჰქონდა და არც არავის ხელდებულათ და ყმად ვყოფილვარ – ამბობს ბაღდასარა, – მოველ და თქვენის ღვთის გულისათვის შევეხვეწე თქვენს ოჯახსა და თქვენც ინებეთ ჩემი გაძლებინება. თქვენი ყმის ქალი ცოლათ მიბოძეთ და სხვა ფერითაც თეთრის მიცემითაცა და ქორწილის ხარჯითაც ჩემი გული შეაჯერეთ, მეც ეს წიგნი მომირთმევია წინაშე ღვთისა, რომ დღეს და დღეის იქით საქმე არავისა აქვს არც საბატონყმოთა... მეცა ჩემი შვილიცა და შთამომავლობაც ღმერთმან ბედნიერებაში მოგახმაროთ. თქვენ მწყალობელი ბატონი ბრძანდებოდეთ ჩემი და მე ერთგული და კარგი მონა და მოსამსახურე გახლდე. ჩემთან თქვენს მეტს საბატონყმოთ საქმე არავისა აქვს..."*[3].

ნასყიდი ყმები. გორის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ნასყიდი ყმები შეადგენდნენ. ესენი ის ყმები იყვნენ, რომლებიც მებატონემ საკუთარი თანხით შეიძინა. ნასყიდი ყმები მებატონის სამემკვიდრეო საკუთრებას შეადგენდნენ. ბატონს მათი გაყიდვა, გასაჩუქრება და დაგირავება შეეძლო. ყმის შეძენა სხვადასხვა ფორმით შეიძლებოდა: მებატონისაგან ყიდვა, დავალიანებული პიროვნების ვალის დაფარვით, ტყვეობიდან გამოხსნით. გავრცელებული იყო, აგრეთვე, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანების მიერ საკუთარი თავის, შვილების ან მთელი ოჯახის გაყიდვა.

დომენტი III კათალიკოსის 1660 წ. 1 მაისის წყალობის წიგნიდან ვიგებთ, რომ ხუდადა ხოჯაშვილს გორში მინბაშისაგან ნაყიდი

---

[1] *საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 172.*

[2] *ქართული სამართლის ძეგლები, VIII, გვ. 29, №17.*

[3] *საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 215-216.*

ჰყავდა ბერაძე დათუნა, მახატელისაგან – კოტოშაძე თანდილა, აბაშიძე ბერისაგან – გოჩიძე ბერუკა მისი შვილებით[1].

1705 წ. გორელმა ოქრომჭედლის სუხინას ძმამ გაბუამ და მისმა შვილმა წინათ ნაყიდი ყმა შაშვაძე ცოლითა და ოთხი ვაჟიშვილით მიყიდეს ენდრონიკაშვილ მანუჩარასა და მის ძმას, გორის მამასახლის მერაბს[2].

საინტერესო შემთხვევაა აღწერილი 1783 წ. ერთ საბუთში: ნიკოლოზ ცალქალამანიძემ და მისმა ბიძებმა დავითმა და გიორგიმ გორელ ივანე ზუბალაშვილს მიმართეს, რათა მას ტყვეობიდან გამოესყიდა მათი ყმის, ოსებისაგან მოკლული ივანე კენთელაძის ცოლშვილი, რომელიც იმავე ოსებს ჰყავდათ დატყვევებული. ზუბალაშვილმა გამოისყიდა კენთელაძის ცოლშვილი და თავის ყმებად გაიხადა[3].

1737 წ. დავის გადასაწყვეტი წიგნებიდან ვიგებთ, რომ ზერტელმა მამულას-შვილმა ბეჟუამ თავისი ძმა ბერუა მიჰყიდა გორელ ვართანას-შვილს გიორგის შვილს ხუდავერდას და სხვებს. გარიგება, სხვადასხვა მიზეზით, სადავო გახდა, მაგრამ საბოლოოდ ძალაში დარჩა[4].

თეიმურაზ II-ის 1756 წ. განჩინებიდან ჩანს, რომ *„ვალისაგან გატეხილ“* საფარას-შვილ მერაბას თავისი შვილები ლუსიკაშვილისათვის მიუყიდია[5].

მრავალ საბუთში აისახა საკუთარი თავის გაყიდვის შემთხვევები. 1682 წ. ნასყიდობის წიგნში ქინძათელი არაქელას შვილი ზურა აცხადებს: *„ეს ჩემი თავი ჩემის ნებით მოგყიდე... ასრე რომე ღონე და ილაჯი თქვენს მეტი არა მქონდა, მოვალებმა ძალა მიყვეს, გადახდა არ შემეძლო, მოველ და შემოგეხვეწე, მოვალებს მამარჩინე, ვალი რაც მემართა გარდამიხადე და გეყმევ და მზითვის მუახლე შევირთევი თქვენი, მოგყიდე ჩემი შვილიც თქვენ გორელს იარალის შვილს პაპუნასა, შვილსა თქვენსა ბეჟანასა, გოდერძასა...“*[6].

---

[1] *ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 528-529.*

[2] *დოკუმენტები, I, გვ. 378, №531.*

[3] *Грузинские крестьянские грамоты, с. 42.*

[4] *დოკუმენტები, I, გვ. 269, №384.*

[5] *დოკუმენტები, II, გვ. 50-51, №73; ქართული სამართლის ძეგლები, IV, გვ. 454-455, №356.*

[6] *საქართველოს სიძველენი, II, გვ. 181, №150.*

თავრიზელმა ავეტიკა დალაქმა, თავისი შვილის და დალაქის მასმალაშვილის მურადხანის თათრის ვალისა და დატყვევებისაგან დახსნის სანაცვლოდ, 1725 წ. თავი მიყიდა ქაიხოსრო ჩოლოყაშვილს[1]. საბუთში არ ჩანს სად დასახლდა თავმიყიდული. რადგან საბუთს გორის მამასახლისი და სხვა გორელები ამოწმებენ, სავარაუდოა, ავეტიკა და მისი ოჯახი გორში დასახლდა.

1740 წ. გორელმა ნადირაანთ თამაზამ და მისმა შვილებმა ვალის გამო თავი მიყიდეს გორის მელიქს[2]. თორმეტ წელიწადს ტყვედ ნამყოფმა გორელმა დათუნაშვილმა დარეჯან დედოფალს თბილისში დუქნისა და სახლის ასაშენებლად 1782 წ. ადგილი სთხოვა და, სამაგიეროდ, თავის თავი მის ყმად გამოაცხადა[3].

დავალიანების შედეგად თავის გაყიდვის ნათელ სურათს გვიქმნის ბრმა სეხნიას და მისი შვილების მიერ 1778 წ. მიცემული ყმობის წიგნი კათალიკოსის სახლთუხუცეს ამილბარ ღალაძისადმი. საბუთიდან ირკვევა, რომ სეხნიას *„უფროს შვილს რაღაც დასწამეს და იმ დაწამებულის საქმის მიზეზით თეთრი დაატეხეს და სომეხს გირაოდ ჰყვანდა“*. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ბრმა სეხნიამ დახმარება სთხოვა ამილბარ მაღალაძეს. ამ უკანასკნელმა სეხნიას ვაჟი ფულით დაიხსნა, სამაგიეროდ სეხნია და დახნილი ვაჟიც მაღალაძის *„ნასყიდი ყმა შეიქმნა, ამ ორს, ჩემს შვილს თავის ძმას ხომ ვერ მოვაშორებდი და ეს ორი ჩემი შვილიც ვასილი და გეორგიც წყალობის ყმად მოგე იმ პირობით რომ საცა თქვენი ნება იყოს, იქ დაგვასახლო და ბატონყმობის გზით და რიგით გვიპატრონო და შეგვინახო...“* აცხადებს ბრმა სეხნია[4]. საბუთს ამოწმებენ გორის მამასახლისი და სხვა გამორჩეული გორელები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სეხნიას ოჯახი მაღალაძის ყმა გახდა და გორში დასახლდა.

საბუთებში აისახა ყმების ***გირაოთი*** მიცემის მრავალი შემთხვევა.

---

[1] *უჩანეიშვილი დ., დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის (XVII-XIX ს.ს.), გვ. 25, №17.*

[2] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1449, დავთ. 5, საბ. 117.*

[3] *იქვე, დავთ. 8, საბ. 123.*

[4] *უჩანეიშვილი დ., დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის (XVII-XIX ს.ს.), გვ. 25, №17.*

გორის მწარმოებლური მოსახლეობა, როგორც ზემომოყვანილი მასალებიდან ჩანს, ყმებისაგან შესდგებოდა და ფეოდალთა კლასის სხვადასხვა წარმომადგენელს ეკუთვნოდა.

მეფის ყმები შეადგენდნენ ქალქის მოსახლეობის დიდ ნაწილს, რადგან, საერთოდ, მეფე იყო ყმების ყველაზე დიდი მფლობელი. აღწერის დავთრებში მსხვილი და წვრილი ფეოდალების, ეკლესიის ყმებიც ჩანან. ვითვალისწინებ რა დავთრის სტრუქტურას, სადაც ცალ-ცალკეა წარმოდგენილი ყმათა კუთვნილება (დედოფლის, ბატონიშვილის, სხვადასხვა ფეოდალის, ეკლესიის, ყმა მოქალაქეთა ყმები), უნდა ვივარაუდოთ, რომ დავთრის დაკარგულ დასაწყისში მოცემული იყო სამეფო ყმათა სია. ისინიც, ვისი სოციალური მდგომარეობა აღნიშნული არ არის სამეფო ყმებად უნდა ვიგულისხმოთ. XVIII ს. პირველი ათეულის გორის მცხოვრებთა აღწერის დავთრის არასრული მონაცემებით გორში ცხოვრობდა სამეფო ყმათა 60 კომლზე მეტი[1].

იმავე დავთრის მიხედვით, გორში სახლობდა 16 კომლი ***სადედოფლო ყმა***[2]. საუკუნის დასასრულს დარეჯან დედოფალს 24 კომლი ყმა ჰყავდა, ხოლო მარიამ დედოფალს – 28[3]. გამოდის რომ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების დროისათვის გორში ცხოვრობდა სადედოფლო ყმათა 52 კომლი, მაშასადამე, ამ კატეგორიის ყმათა რაოდენობა სამჯერ და მეტად გაიზარდა თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე.

დავთარში დასახელებულია ***საბატონიშვილო*** ერთი ყმა-მღებარი მამულიშვილი[4]. დავთრის შედგენიდან მცირე ხნის შემდეგ, როგორც 1771 წლის განჩინებიდან ჩანს, გორში გადმოსახლდა მღებრიშვილი. მისი გადმოსახლება უნდა მომხდარიყო არაუგვიანეს 20-იანი წლებისა. ნახევარი საუკუნის შემდეგ გორში უკვე მღებრიშვილების რამდენიმე ოჯახი შექმნილა. ყველანი საბატონიშვილო ყმები იყვნენ. მეფის განჩინებით, *„ამ რუისელ ბაღდასარასთან, ამის ძმა სარქისასთან, როსტომასთან და ბაიდურასთან არა კაცს საქმე არა აქვს, გორს უნდა იდგნენ საბატონისშვილოდ“*[5].

---

[1] *ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, ეკონომიკური ისტორიის... I, გვ. 256-259.*

[2] *იქვე, გვ. 259-260.*

[3] *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею,, I с. 214, №179.*

[4] *ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, ეკონომიკური ისტორიის... I, გვ. 261.*

[5] *ქართული სამართლის ძეგლები, IV, გვ. 613, №480.*

გორში მრავლად იყვნენ საეკლესიო ყმები. განსაკუთრებით ბევრი ყმა ჰაყვდა მცხეთის საპატრიარქო ტაძარს. ყველაზე ადრინდელი საბუთი გორელი ***სვეტიცხოვლის ტაძრის ყმების*** შესახებ არის ალექსანდრე მეფის 1398 წლის სიგელი[1]. ამ სიგელით ალექსანდრემ სვეტიცხოველს განუახლა გორში არსებული მამულებისა და ვაჭრების შეწირულობა. სიგელის განახლება იმაზე მიუთითებს, რომ სვეტიცხოველი უკვე დიდი ხნის წინათ ფლობდა მამულებსა და ყმებს გორში.

სვეტიცხოვლის ყმები ნახსენებია კონსტანტინე II-ის სიგელში კათალიკოს დოროთეოსისადმი[2]. 1524 წ. ქართლის მეფე დავით X-მ ბერად შედგომის დროს სვეტიცხოველს შესწირა გორელები – ჯანიბეგაშვილი და მოლარე ვეფხუაშვილი ხეჩატურა[3]. XVI ს. 30-40-იან წლებში კახეთის მეფე ლევანმა სვეტიცხოველს შესწირა გორელი ვაჭარი[4]. 1559 წ. სვიმონ I-მა იმავე ტაძარს განუახლა გორში მცხოვრები ვაჭრების და მამულების მფლობელობა[5]. მოგვიანებით (1583 წ.) მან გორში მცხოვრები სვეტიცხვოლის ყმები გადასახადებიდან გაათავისუფლა[6]. 1631 წ. თეიმურაზ I-მა გორელი სომეხი იზა აკოფა და მისი სახლი შესწირა სვეტიცხოველს[7].

საინტერესოა დომენტი კათალიკოზის მიერ 1660 წ. ხუდადა ხოჯაშვილისადმი გაცემული წყალობის წიგნი, რომელშიც ნათქვამია, რომ ხოჯაშვილის წინაპარი საფრანგეთიდან მოვიდა, ქართლის მეფის კარზე აღზევდა და საკმაოდ დიდი მამულების პატრონი შეიქმნა. შემდეგში კათალიკოზს დაუახლოვდა და სვეტიცხოველს ცხრა კომ-

---

[1] *ხეც, დ, №8712.*

[2] *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, II, გვ. 320.* თ. ჟორდანია სიგელს ათარიღებს 1504-1516 წლებით. ვფიქრობ, თარიღის უფრო დაზუსტება შეიძლება. ვიცით, რომ კონსტანტინე II მეფობდა 1505 წლამდე, დოროთეოს II კი კათალიკოს–პატრიარქად იყო ჯერ 1502-1505 წლებში, შემდეგ 1511-1516 წლებში. სიგელი შედგენილი უნდა იყოს კონსტანტინეს მეფობის ბოლო პერიოდსა და დოროთეოსის კათალიკოსობის პირველ პერიოდში. მაშასადამე, სიგელი შეიძლება დათარიღდეს არაუგვიანეს 1503-1505 წლებით.

[3] *ისტორიული საბუთები, II, გვ. 33.*

[4] *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა... II, გვ. 376.*

[5] *ხეც, Hd, №1572.*

[6] *იქვე, Hd, №1374.*

[7] *ისტორიული საბუთები, IV, გვ. 17.*

ლი შესწირა. ამ ცხრა კომლიდან ხუთი თბილისში ცხოვრობდა, ოთხი გორში[1].

გორის მოსახლეობის აღწერის დავთარში ოთხ კომლ ხოჯაბეგიშვილებს ვხედავთ[2], მაგრამ ყველა ამილახვრების ყმათა სიაშია. სავსებით მოსალოდნელია, რომ ისინი ხოჯაშვილის ნაყმებევი იყვნენ და მათი გვარიც იქიდან მოდიოდეს. ზემოთ უკვე ვთქვი, ხოჯაშვილმა გორში თავისი ოთხი კომლი სვეტიცხოველს შესწირა. გაუგებარია, რატომ უნდა გადასულიყვნენ აღნიშნული ყმები ამილახვრის ხელში.

სვეტიცხოვლის ყმა იყო გრიგოლ გილაშვილი. როგორც 1766 წ. განჩინების წიგნიდან ჩანს, კათალიკოს-პატრიარქ დომენტის გრიგოლი და მისი მამა სეხნია ოსმალეთის ტყვეობიდან დაუხსნია და სვეტიცხოვლისათვის შეუწირავს[3].

საერთოდ, XVIII ს. დასაწყისში გორში კათალიკოსის 14 კომლი ცხოვრობდა[4]. იმავე საუკუნის 80-იან წლებში მათი რაოდენობა უკვე 20 კომლამდე გაიზარდა. შეიცვალა კათალიკოსის ყმათა შემადგენლობა. მათ შორის ვეღარ ვხედავთ ზოგიერთი გვარების წარმომადგენლებს. სამაგიეროდ ხითარიშვილთა ერთი კომლის მაგიერ კათალიკოსის ყმათა სიაში უკვე მათი ოთხი კომლია[5].

ყმების შედარებით მცირე რაოდენობა ჰყავდა ***მთავარეპისკოპოსს***. მოსახლეობის აღწერის დავთარში მთავარეპისკოპოსის მხოლოდ ხუთი კომლია დასახელებული[6].

გორში ყმები ჰყავდა სხვა ეკლესიებსაც. 1639 წ. როსტომ მეფემ ***იერუსალიმის*** ეკლესიას შესწირა *„ვაჭარი დონდორას შვილის ფაბუას შვილები დონდორა და ფეროზა“*[7]. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ყმები იყვნენ: დიაკვნიშვილები – ფარსადანა, შერმაზანა და ფირბუდახა, ფარსადანის ყმა ლელუკაშვილი ოთია, დონდორაშვილი ფარსადან და მისი ყმები – ბასილა, დონდორა და ჯაბურიშვილი, სულ 6 კომლი[8].

---

[1] *ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 527, №123.*

[2] *ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, ეკონომიკური ისტორიის..., I, გვ. 262.*

[3] *ქართული სამართლი ძეგლები, III, გვ. 535, №422.*

[4] *ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, ეკონომიკური... I, გვ. 261.*

[5] *ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 989, №429.*

[6] *ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, ეკონომიკური... I, გვ. 264.*

[7] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1449, დავთ. 51, საბ. 179.*

[8] *ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, გვ. 264.*

XIX ს. დასაწყისისათვის იერუსალიმის ეკლესიას გორში ჰყავდა 4 ყმა-ვაჭარი[1]. ***ეჩმიაძინის ეკლესიას*** – 10 (სულ ვაჭარი და ხელოსანი), ***მთაწმინდისას*** – 1, ***კავთისხევისას*** – 3, ***იკორთისას*** – 1[2].

ადრინდელი მასალებიდან არ ჩანს, მაგრამ ვიცით, რომ 1703 წ. ერეკლე I-მა ***ქვაბთახევის მონასტერს*** შესწირა გორელი ვაჭარი გოგიჯანაშვილი[3]. გოგიჯანაშვილთან ერთად აღნიშნული მონასტრის ყმები იყვნენ *„გორს ვაჭარი მამნიაშვილები და მამულაშვილები, ამირა თავისი მამულითა, სახლკარითა, ქულბაქითა, ნასყიდითა და უსყიდითა“*[4].

XIX ს. დასაწყისის საეკლესიო ყმების ნუსხით გორში ცხოვრობდა ***გორიჯვრის ყმა*** – 22 კომლი: დეკანოზი ადუასშვილი ბართლომე, მღვდელი გოგიბასშვილი სვიმონ, ფოცხვერაშვილი დთისია და ქიტუა, შოშიაშვილი ბერუა, მისი ბიძაშვილი გიორგი, მახარაშვილი გოგია და მისი შვილი ბერუა, მახარაშვილი ბერუა, ბოიაძეს-შვილი ივანე, მახარაშვილი თევდორე, ინდუას-შვილი შიო და გოგია, მოგვრეის-შვილი დემეტრე, სმედაშვილი (?) ივანე, შიოშას-შვილი ოქრუა, ბერინაშვილი ხიზანა, ხარაზი გლახა, ლომასშვილი გლახა და იმისი ძმა გოგია, ლაზარეს-შვილი ბარნაბე, ყაჭია შემაზა, ხუცისშვილი ოქრუა, ფოცხვერას-შვილი, ხარებას-შვილი[5].

გორში ყმა ხელოსნები და ვაჭრები ჰყავდათ გაბატონებული საზოგადოების სხვა წარმომადგენლებსაც, კერძოდ, თავადებსა და აზნაურებს.

XVII ს. მეორე ნახევრის გორში ამილახვრების დავთარში დაფიქსირებულია ***ამილახვრების*** ყმების 20 კომლი[6], ხოლო XVIII ს. დასაწყისში მათი ყმების რაოდენობა გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში მათ გორში 27 კომლი ყმა ჰყავდათ. 1766 წ. განჩინებით დემეტრე ამილახვრიშვილისა და მისი სახლიკაცების გაყრის საქმეზე, დემეტრეს ერგო *„გორს სააკაშვილი მანუჩარა თავისი ძმისწულებით, დღეს რისაც ყმისა და მამულის მქონებლი არის, იმით ბატონისა*

---

[1] *გსიემ, №7486.*

[2] *იქვე, №7486.*

[3] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1448, დავთ, I, ნაწ. 5, საბ.1.*

[4] *„მოამბე“, 1903, IX, გვ. 14.*

[5] *ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, ეკონომიკური ისტორიის... II, გვ. 185-186.*

[6] *კაკაბაძე ს., საამილახვროს დავთარი მე-17 ს-ნის მეორე ნახევრისა, ტფ., 1925, გვ. 24-25.*

არის"[1]. მასვე დარჩა გორში ქაცახაშვილი ავთანდილა, ნალბანდი ქაცახაშვილი გაბრიელა, ქაცახაშვილი ივანე, ამსარქისას შვილი, პეტროზას ობოლი, ფიზდურასშვილი ობოლი, დალაქი ზურაბა, თათრიშვილი ბერუა, ბიტაშვილი კაცია, ოტიაშვილი ივანე, აბულას ობლები, ნაჩხატაშვილი, ხიზანი შალუტა ჯავახი. იმავე საუკუნის დასასრულს ამილახვრებს ეკუთვნოდათ 30 კომლი[2].

დავთრის მიხედვით, ***ქსნის ერისთავებს*** 9 კომლი ეკუთვნოდათ. ესენი იყვნენ: კაჭკაჭიშვილი მანუჩარა, შიხინაშვილი სულხანა, გივინაშვილი გოდერძა, ხითარიშვილი პაპუა, ხითარიშვილი დანიელა, დათუნა კალატოზი, აბულაშვილი სულხანა, იმერელი პატაშვილი ნასყიდა და ზაქარაშვილი გიუა[3]. ვიცით, რომ გიორგი მეფემ 1683 წ. დავით ერისთავს, მის ძმას რევაზს და ბიძაშვილებს ლარგველსა და დათუნას უბოძა გორელი როსტომაშვილები, ალიხანასშვილები, გოგინაშვილები, შიხინასშვილი, გივინასშვილები, ზირაქაშვილები და ჭურიკასშვილები თავიანთი მამულებითურთ[4]. მაგრამ დავთარში ქსნის ერისთავთა ყმათა სიაში ჩამოთვლილი ვაჭრებიდან მხოლოდ ზოგიერთი (შიხინაშვილი, გივინაშვილი) ჩანს. ალიხანაშვილი გოდერძა დასახლებულია გორიჯვრის ყმებს შორის, სხვებს კი ვეღარ ვხედავთ. ქსნის ერისთავთა ყმებს შორის ვეღარ ვხედავთ მის შეძლებულ ყმას ქოქილასშვილს. ქოქილასშვილების ერთ-ერთმა წარმომადგე-ნელმა გოგინამ 1672 წ. იესე ერისთავისაგან იყიდა ბასი-ლა იორდანაშვილი[5].

არაგვის ერისთავებს გორში ეკუთვნოდათ 14 კომლი: ქურცი-კიშვილი, კრიჟანგიშვილები (2 კომლი), ჩარჩიშვილები (3 კომლი), ხუცესი ტერმინისა, დავითაშვილი, ტერგასპარაშვილი, ბაღდინაშვი-ლი, ხუცესი ტერგაბრიელა და მისი განაყოფი დავითა, ლუსინაშვი-ლი[6].

მუხრანთბატონს გორში ჰყავდა ყმათა 3 კომლი[7].

---

[1] *ქართული სამართლის ძეგლები, IV, 520, გვ. №411.*

[2] *მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, გვ. 279.*

[3] *ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, I, გვ. 264.*

[4] *ხეც, Hd, №2342.*

[5] *დოკუმენტები, I, №70.*

[6] *ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, I, გვ. 263-264.*

[7] *იქვე, გვ. 261.*

გარსევანიშვილ იესეს გორში ჰყავდა 10 ყმა: გოგნაძე, ხახუტაშვილი, ხასადრიშვილი, მაჭარაძე, ჯმუხაძე, მჭედელი ივანე, ბერუაშვილი ოთარა, ბუხუნაშვილი დათუნა, ორბელიძე დათუნა, ომარაძე თამაზა, ***გარსევანიშვილ სვიმონს*** – ლიკლიკაშვილი ჩერქეზა და მგელიაშვილი გიორგი[1].

დავთრის მიხედვით, სამეფო, სადედოფლო, საბატონიშვილო, საეკლესიო და თავადაზნაურთა ყმების (სულ 158 კომლი) ერთი ნაწილი ყმების პატრონი იყო. ისინი შეადგენდნენ გორის შეძლებულ მოქალაქეებს, თუმცა მათ ეს წოდება (მოქალაქე) მხოლოდ XIX ს. დასაწყისიდან მიიღეს.

ზემოაღნიშნული ***ყმები***დან 66 თვითონ იყო ***ყმათა მფლობელი***: აბელა, ზალიშვილი თაყა, ოსინაშვილი ქაიხოსრო, მირიანაშვილები – გიორგი, გივინა და თამაზა, ჯულაბაშვილები – ავთანდილა, გოდერძა და თამაზა, მდივნისშვილი დათა, ავთანდილაშვილი ზალია, ჯაშინაშვილი როსტომა, გულიშამბარაშვილი გაბრიელა, როსტევანიშვილები – ფრიდონა, ფირალა და ესტატე, ყორხმაზაშვილი გაბრიელა, მუჭაშვილი დავითა, დუსტირაშვილი ოსეფა, ტერდავითაშვილი ხუცესი კარაპეტა, მეწუღიშვილი გოდერძა, ამირადაშვილები – დოლმაზა, ოჰაჯანა და თამაზა, ღამბარაშვილი ამირანა, დავრეშაშვილი ფარსადანა, სულხანიშვილი ბარხუდარა, მამაჯანაშვილი გივი, ენგულაშვილი ღთისავარა, ბარამაშვილი გიორგი, ზუბიაშვილი გაბრიელა, ხუდადაშვილი ბაღდასარა, ხითარაშვილი ბაირამა, თაყინაშვილები – გაბრიელა, ფეშანგი და ფარსადან, სააკაშვილი ესტატე, ავთანდილაშვილი ფარსადანა, მირაქა, მერაბაშვილი ზურაბა, ოქრომჭედლიშვილი ალექსა, ხოჯაბეგაშვილი – ნაზარა, დათუნა და ზურაბა, სანასარაშვილი ქიტესა, კაჭკაჭიშვილი მანუჩარა, შიხინაშვილი სულხანა, გივინაშვილი გოდერძა, ხუცესი ტერმინასა, კრიჟანგიშვილი ყაზარა, ჩარჩიშვილი გოდერძა, ალადათაშვილები – ოთარა, მურადა და პაპა, დიაკვნიშვილი ფარსადანა, ბასტამაშვილი დათინა, წატურაშვილი პაპიჯანა, თემურაშვილი გაბრიელა.

ზემოჩამოთვლილ მოქალაქეებს ყმათა სხვადასხვა რაოდენობა ჰყავდათ გორში, რაც მოქალაქეთა ქონებრივ დიფერენციაციის მაჩვენებელია. ოსინაშვილ ქაიხოსროს და თაყინაშვილ ფარსადანას ჰყავდა – 12-12, ამირადაშვილ დოლმაზას – 11, შიხინაშვილ სულხანას – 9, ხუდადაშვილ ბაღდასარას – 7, მირიანაშვილ გიორგის, მდივნიშ-

---

[1] *იქვე, გვ. 260-261.*

ვილ გიორგის და მამაჯანაშვილ გივის – 6-6, გულიშამბარაშვილ გაბრიელას, დავრეშაშვილ ფარსადანას და კაჭკაჭიშვილ მანუჩარსა – 5-5, ხითარიშვილ ბაირამას და სააკაშვილ ესტატეს – 4-4, მირიანაშვილ გივინას, ავთანდილაშვილ ზალიას, ჯაშინაშვილ როსტომას, ღამბარაშვილ ამირანას და თაყინაშვილ ფეშანგს – 3-3, ჯულაბაშვილებს: ავთანდილსა და გოდერძის, ამირადაშვილ თამაზას, სულხანიშვილ ბარხუდარას, თაყინაშვილ გაბრიელას, ხუცეს ტერმინასას, ალადათაშვილ ოთარას და მურადას – 2-2, დანარჩენს კი თითო-თითო.

თუმანიშვილებს ბევრად მეტი ყმა ჰყავდათ ვიდრე აღწერის დავთარშია. ჯერ კიდევ XVII ს. 30-40-იანი წლების გაყრილობის წიგნიდან ვიცით, რომ როცა მანუჩარი და ჯიმშიტა თუმანიშვილები გაეყარნენ თაყასა და ბირთველს, პირველ ორს გორში ერგოთ: პაპინა ასატურაშვილი ყმა-მამულითურთ, არუთინა ძმით, ბარილუსა, ალიხანა, მურდსანგა, ჭარუა, ნაზვრევის მეოთხედი, ახალციხიდან მოყვანილი ნურ-ალა (შეიძლება ამ ნურ-ალას შთამომავალი იყო დავთარში დასახელებული მანუჩარ თუმანიშვილის ყმა მურალაშვილი თამაზა[1]). ორი თვალი წისქვილი ივანე მეწისქვილითურთ, როსტომა წატურაშვილი ყმა-მამულითურთ[2]. 1656 წ. ჯიმშიტა და მანუჩარი გაიყარნენ. ჯიმშიტას წილად ხვდა წატურაშვილი როსტომა[3] თავისი ყმითა და მამულით (ნახევარი საუკუნის შემდეგ წატურაშვილების ყმა იყო ჩაგვიაშვილი ივანე)[4], ჭარუა და ალიხანა თავთავიანთი მამულებით, არუთენა. მანუჩარას ერგო: ივანე მეწისქვილე, არუთენა, პაპია ასატურაშვილი და ბარილუსა თავთავიანთი მამულებით[5], თუმანიშვილების

---

[1] *ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, I, გვ. 264.*

[2] *დოკუმენტები, I, გვ. 101, №141;*

[3] ჯიმშიტას შთამომავალი უნდა იყოს გივი თუმანიშვილი, რომელსაც ამ წატურაშვილის შთამომავალმა საკმაო უსიამოვნება მიაყენა. ის ერთი ღერო კაცი დარჩა, *„ძმა და შვილი და სახლისკაცი არ ყვანდა“* და ბატონისაგან შევიწროებული 1697 წ. ინდოეთს გაიქცა. პირველი ცდით ეს განზრახვა ვერ განახორციელა, შეიპყრეს და უკან დააბრუნეს. მეო-რედ გაიქცა, განჯაში შეხვდა გორელ კაჭკაჭიშვილს, რომელსაც მოტყუებით თავისი ბატონის, გივი თუმანიშვილის, წისქვილი მიჰყიდა. ეს საკითხი შემდეგში სასამართლოს გასარჩევი გახდა.

[4] *ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, I, გვ. 264.*

[5] *ხეც, Hd, №12648.*

ყმები გორში, ალბათ, მხოლოდ ისინი არ იყვნენ საგამყრელო წიგნში რომ არიან დასახელებული. არ ვიცით რამდენი ყმა ერგოთ თაყა და ბირთველ თუმანიშვილებს.

თუმანიშვილების მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ დავთრის მონაცემები არასრულია. თუმანიშვილების ქონება, ადგილ-მამულები და ყმები დროის განმავლობაში მატულობდა და არ კლებულობდა. დავთარში კი სრულიად საწინააღმდეგო ტენდენციასთან გვაქვს საქმე.

XVIII ს. დასაწყისში გორში ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო ყმების ის კატეგორია, რომელიც დავთარში ***ბოგანოდ*** იწოდება.

არსებული წყაროების მიხედვით ძნელია ბოგანოს სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის ზუსტად დადგენა. სულხან-საბას განმარტებით, „ბოგანო – უაგარაკო გლეხი“ ან „აგარაკ-მცირე გლეხი“, ე.ი. უმამულო, ხელმოკლე გლეხი იყო. რა თქმა უნდა, ეს განმარტებანი სოფლის მოსახლეობის ერთ ნაწილს შეეხება. „ბოგანო თავდაპირველად ახლად მოსულ გლეხს უნდა რქმეოდა, რომელიც ღარიბი იყო *„მკვიდრ“* გლეხებთან შედარებით. შემდეგ კი *„მკვიდრ“* გლეხთა ნაწილსაც უნდა სწოდებოდა ბოგანო, როცა ქონებრივად გაბოგანოვდა ეს გლეხი – ე.ი. დაემსგავსა ამ ახლად მოსულ გლეხს, როგორც უფლებრივად ისე ეკონომიურადაც[1]. წყაროებში, რადგან ქალაქის მოსახლეობის ნაწილზე გადმოტანილია სოფლისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ტერმინი, გამოდის, რომ ქალაქის ბოგანო თავისი მდგომარეობით სოფლის ბოგანოს უახლოვდებოდა. ქალაქში ბოგანოს გაჩენა დაკავშირებული უნდა იყოს სოფლიდან თავის ნებით ან ძალით გადმოსახლებულ გლეხობასთან. ქალაქში ისინი ძირითადად კვლავ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი.

ხელისუფლება ბოგანოებს ამრეზით რომ უყურებდა, მეტყველებს მოსახლეობის აღწერის დავთრის ცნობები, სადაც ისინი, ხშირად, მხოლოდ სახელით მოიხსენიებიან: *„ბოგანო ბერუა, ბოგანო კიდევ ბერუა, ბოგანო ივანე, ბოგანო ოსეფა, ბოგანო პატა, ტატია“* და სხვ. ისიც საინტერესოა, რომ დავთარში დასახელებული ხელოსნები (ორის გარდა: მღებარი მამულიშვილი და დათუნა კალატოზი) ყველანი ბოგანოები იყვნენ: *„ბოგანო მეხლმე გიორგი, ბოგანო მჭედელი ნასყიდა, ბოგანო ხურო დათუნა, ბოგანო ხარაზი მურადაშვილი,*

---

[1] *ჯამბურია გ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სომხით-საბარათიანოს სათავადოები), თბ., 1955, გვ. 122-123.*

ბოგანო მაჭარაძე ხაბაზი გოგია, ბოგანო მჭედელი ივანე, ბოგანო კოჭლი ხურო, ბოგანო სარაჯი მდთისა, ბოგანო თურინა მჭედელი, ბოგანო მჭედელი ოთია“. ბოგანოები იყვნენ, აგრეთვე, მეჯორე ქუდირჯიაშვილი გიორგი და მენახირე პაპუნა.

დავთარში დასახელებულია 194 ბოგანო. მაგრამ გაურკვევლია მათი კომლობრივი და თუნდაც ოჯახური მდგომარეობა. არ ჩანს სად იყო მათი ოჯახები, გორში თუ სხვაგან. რამდენადაც ბოგანოები გათავისუფლებულნი იყვნენ მთელი რიგი გადასახადებისა და ვალდებულებებისაგან, მაშინ გასაგებია, თუ რატომ არ შეჰქონდათ დავთარში მათი კომლები. *„სამართალი ვახტანგ მეექვსისა“* პირდაპირ აცხადებს: *„რისაც ან აზნაურისა, ან გლეხისა პატრონნი იყვნენ, უმამულო, ბოგანოს გარდაისად ყველა მეფის მდივანს აანუსხვინონ, იანგარიშონ“*[1]. კომლი ხომ ისეთ ოჯახს აღნიშნავდა, რომელსაც გააჩნდა სახლ-კარი, მიწა, ვენახი. ვენახს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. *„ვენახის მქონეს გლეხს ბოგანო არა ჰქვიან, რაგინდ სხვა მამული ნაკლებად ჰქონდეს“,* აცხადებს იგივე *„სამართალი“.* იქიდანვე ვიგებთ თუ ვინ ითვლებოდა ბოგანოდ: *„ბოგანო ამას ჰქვიან, რომე ვენაჯი არა ჰქონდეს, თითო სახლი და რჩომის ალაგი ექნების, და მიწა ექნების ან არა“*[2]. როგორც ჩანს, თავისი ეკონომიური მდგომარეობით ბოგანო შეიძლება ყოფილიყო ღარიბი (ჰქონებოდა სახლი და მიწა) და ყოფილიყო ღაკატი (ჰქონებოდა მხოლოდ *„რჩომის ალაგი“,* მიწის გარეშე). რითი გაჰქონდათ მათ თავი, ამისი თქმა ძნელია. გორის ბოგანოთა ნაწილი, ალბათ, იყვნენ *„ცხენების მწმენდავები, მზარეულები, მაღაზიების ნოქრები, აქლემების მარეკნი და სხვა მსგავსი ხალხი“,* ზიზღით იხსენიებდა დონ პიეტრო ავიტაბილე[3].

ცნობილ მცირეოდენ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ბოგანო არ იყო გლეხი. ვახტანგ VI-ის სამართალი თუ არაპირდაპირ ამბობს ამის შესახებ, გორის ქეთხუდების საჩივარში კი ასეთი ფორმულირებაა: *„გლეხკაცის ჯარიმა რომ ბოგანოზედ არ არის“*[4].

---

[1] *სამართალი ვახტანგ მეექვსისა. ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1981, გვ. 212.*

[2] *სამართალი ვახტანგ მეექვსისა. გვ. 213.*

[3] *დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 53-54.*

[4] *ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, II, გვ. 143.*

როდის და რატომ მომრავლდნენ ბოგანოები გორში?

ვფიქრობ, ეს უნდა მომხდარიყო XVI ს. მიწურულსა და XVII საუკუნეში, როდესაც სამეფო ხელისუფლება ქართლში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა გორის აღდგენასა და ეკონომიკურ გაძლიერებას. წინამორბედ პერიოდში გორი მრავალჯერ დაინგრა და, ბუნებრივია, მისი მოსახლეობა უაღრესად შემცირდა. ასეთ ვითარებაში სამეფო ხელისუფლება ისეთ ღონისძიებას მიმართავდა, როგორიცაა სხვა ადგილებიდან ყმების აყრა და მათი გორში ჩასახლება. რა თქმა უნდა ისეთ ყმებს აყრიდნენ, რომლებმაც სხვადასხვა მიზნით დაკარგეს მეურნეობის გაძღოლის უნარი. ახალმოსახლენი, თავდაპირველად ეკონომიურად სუსტნი, თანდათანობით საქალაქო ცხოვრებაში ებმებოდნენ (ხელს ჰკიდებდნენ ვაჭრობას ან ხელოსნობას), ან ძველებურად სოფლის მეურნეობას უბრუნდებოდნენ. ასე რომ გორის ვაჭარ-ხელოსანთა უმრავლესობა ბოგანოთა შთამომავალნი იყვნენ. ამიტომ, XVIII ს. შუა ხანებიდან, ბოგანოს ნაკლებად ვხედავთ გორში. XIX ს. დასაწყისის სტატისტიკურ მონაცემებში აღარც ერთი ბოგანო არ ჩანს, მაგრამ ეს სრულებითაც არ გამორიცხავს მაშინდელ გორში მათ არსებობას. სამაგიეროდ, XVIII ს. მეორე ნახევრიდან გორში მრავლად არიან ხიზნები.

ხიზანი გლეხთა ისეთი კატეგორია იყო, რომელიც პირადი თავისუფლებით სარგებლობდა და იმდენად იყო დამოკიდებული ფეოდალზე, რამდენადაც მისი მამულით სარგებლობდა.

ქართულ წყაროებში ხიზანი IX საუკუნიდან გვხვდება, მაგრამ გორში მხოლოდ XVIII ს. დასასრულიდან ჩანს ვაჭარ-ხელოსანთა სახით. ხიზნები, სხვადასხვა მიზეზით, თავიანთი სამკვიდრო ადგილებიდან აიყარნენ და სამუდამოდ გორში დასახლდნენ.

აღწერის დავთარში დასახელებულია რამდენიმე კომლი: ალიდან – 4 (მანუჩარა, ხუცეთი, გაბრიელა, ბეჟანა), იმერეთიდან – 1 (პატაშვილი ნასყიდა), რეხელი – 1 (დავითა), ოღოზელი – 1 (ხოსიას შვილი), სვენელი – 1 (პაპა). ესენი სხვადასხვა დროს ხიზნებად უნდა მოსულიყვნენ გორში.

1766 წ. განჩინებაში დასახელებულნი არიან ახალსოფლელი თათრიშვილი ბერუა, ხიზანი შალუტა ჯავახი და ხიზანი ელია ჯავახი[1]. გორში გაიხიზნა და იქვე დასახლდა თბილისელი ყასაბი[1].

---

[1] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1449, საბ. 854; ქართული სამართლის ძეგლები, IV, გვ. 524.*

გორში ხიზნად იდგნენ ეჩმიაძინის ყმები თოროზას შვილები, მაგრამ გადასახადებისაგან შეწუხებულნი რუისს გადასახლდნენ[2].

წყაროების ნაკლებობის გამო, მხოლოდ რამდენიმე ხიზნის დასახელება შევძელით, მაშინ, როცა, როგორც XIX ს. დასაწყისის ერთ-ერთი სტატისტიკური ამონაკრებიდან ჩანს, ამ ქალაქში ხიზანთა 98 კომლი ცხოვრობდა[3].

ფეოდალური არისტოკრატია

გვიანფეოდალური გორის ცხოვრებაში გარკვეულ გავლენას ახდენდნენ გაბატონებული კლასის წარმომადგენლები. მართალია, ისინი მუდმივად ქალაქში არ ცხოვრობდნენ, მაგრამ იმდენად, რამდენადაც გორში ჰყავდათ თავიანთი ყმები, ვაჭარ-ხელოსნები, ჰქონდათ სასახლეები, დუქნები, ბაღები და ა.შ., გულგრილი მაყურებელი ვერ იქნებოდნენ ქალაქში მიმდინარე ამბებისა და, რასაკვირველია, მასში ჩარევას ცდილობდნენ. ფეოდალური არისტოკრატიის გავლენა გორის საქალაქო ცხოვრებაზე მაინც სუსტი იყო. ის სამეფო ქალაქი იყო და მოქალაქენი უშუალოდ უკავშირდებოდ-ნენ სამეფო ხელისუფლებას. მართალია, მეფე ფეოდალთა ზოგიერთი წარმომადგენლის მეშვეობით განაგებდა ქალაქს, მაგრამ ფეოდალი-მოხელე მაინც შეზღუდული იყო.

სამეფო კარს გორში ეკუთვნოდა სასახლე, მამულები, დუქნები, სახლები და სასახლე ადგილები, აბანო, სააგურე, *„საკურდღლე ჭალა“.* მეფე ეპატრონებოდა ნაოხარ სახლ-კარსა და კარ-მიდამოს[4]. მეფე და მისი ოჯახის წევრები წელიწადის გარკვეულ დროს გორში ატარებდნენ. უფრო მეტიც, ეს ქალაქი ზოგჯერ მეფეთა რეზიდენციაც იყო. ასეთ დროს ფეოდალური არისტოკრატიის ჩარევა ქალაქის მმართველობაში, ბატონის ძალადობა ყმებისადმი, უფრო ძლიერდებოდა.

მეფის უმაღლესი მოხელე ქალაქის მმართველობაში – მოურავი – მუდმივად გორში არ ცხოვრობდა, მიუხედავად იმისა, რომ მას

---

[1] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 449, დავთ. 16, საბ. 17;*

[2] *ქართული სამართლის ძეგლები, VIII, გვ. 427;*

[3] *ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, II, გვ. 143.*

[4] *დოკუმენტები, II, გვ. 211, №339.*

თავისი სასახლე ჰქონდა და ყმებიც ჰყავდა. ამილახვრების მუდმივი რეზიდენცია ჭალაში იყო.

XVIII ს. დამლევს, როცა მოურავმა გორში დაიდო ბინა, გორელების აზრით, აქედან დაიწყო მათი უბედურება. ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ მოურავს თავისი ფუნქცია კვლავ ჭალიდან შეესრულებინა.

გორში თავიანთი ყმები ჰყავდათ და სასახლეებიც ჰქონდათ ქსნისა და არაგვის ერისთავებს, მაგრამ ისინი ქალაქს იშვიათად სტუმრებდნენ. რაც შეეხება წვრილ ფეოდალებს – აზნაურებს, კერძოდ გარსევანიშვილებს და თუმანიშვილებს, თავიანთი ინტერესებით ქალაქის არისტოკრატიასთან ერთიანდებოდნენ. აზნაურთა ნაკლებობა შედარებით აიოლებდა გორის მოქალაქეთა მდგომარეობას.

ვალდებულებანი

გორის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, მისი მოვალეობანი და მოვალეობათა შესრულების ხარისხი ფიქსირებული იყო სპეციალურ წიგნში – *„გორის დავთარში“*, რომელსაც მამასახლისი და ქედხუდები ინახავდნენ. დავთარი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოქმედებდა. 1771 წლის განჩინებაში, რათა თავისი გორელობა დაემტკიცებინა, ერთმა მღებრიშვილმა განაცხადა: *„რუისიდამ მამაჩემი აყრილაო, გორს მოსულაო... დავთარშიც დაწერილაო... რა მამაჩემი აქ გორს მოსულაო სამოცი წელიწადი იქნებაო“*[1].

წყაროებში გვხვდება სპეციალური წიგნი – *„ხარჯის დავთრები“*, რომელშიც აღირიცხებოდა მოქალაქეთა არაორდინალური ხარჯები: საპატიო სტუმრის სამასპინძლო, მშენებლობათა თუ სხვათა გამო გამოღებული ნატურალური და ფულადი გადასახადები. 1668 წლის განჩინებაში გორის მამასახლისმა და ქედხუდებმა მოსამართლეებს განუცხადეს: *„მეფის ვახტანგის დროს ხარჯის დავთრებიცა გვაქვსო“*[2]. *„გორის დავთრებსა“* და *„ხარჯის დავთრებს“* რომ ჩვენამდე მოეღწია, განუზომლად ბევრი გვეცოდინებოდა ამ ქალაქის წარსული ყოველდღიური ცხოვრების შესახებ.

მწარმოებელი მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის სიმძიმის შესახებ საინტერსო ცნობებია დაცული 1728 წელს ოსმალების მიერ შედგენილ საგადასახადო დავთარში, რაც საგულისხმოს ხდის, რომ

---

[1] *ხეც, Hd, №14734.*

[2] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1449, საბ. 2144.*

მოსახლეობას არც სხვა მტერ-მოყვარე აძლევდა დალხინებით ცხოვრების საშულებას.

ოსმალებმა გორელებს მრავალი სახის გადასახადი დააკისრეს. იბეგრებოდა ქალაქში შემოტანილი ყველა სახის საქონელი, რაც მძიმე ტვირთად უნდა დასწოლოდა ისედაც ეკონომიურად შეჭირვებულ მოსახლეობას. თავდაპირველად გავეცნოთ გადასახადების ჩამონათვალს (სავარაუდოა, ზოგიერთი მათგანი ტრადიციული იყო და *„ოსმალობამდეც“* არსებობდა), შემდეგ კი შევეცდები, შეძლებისდა გვარად, გავარკვიო მათი რაობა.

„ისფენჯი კაცი 448 თითოეულს 120, ახჩა 53760; ხორბალი ქილა 300 ახჩა 4500; ქერი ქილა 300 ახჩა 4500; ფეტვი ქილა 200 ახჩა 3000; უშრის გადასახადი ვენახზე, დონუმი 150, თთოეულს 40 ახჩა 6000; გადასახადი ერბოზე 4500; გადასახადი თივაზე 560; არუსანეს[1] *გადასახადი 380; უშრის გადასახადი საბოსტნე მიწაზე 5200; დეშთიბანი*[2]*;*

მიწაზე თაფუს[3] *გადასახადი 500; გადასახადი ღორზე 3000; გადასახადი ცხვარზე 5500; უშრის გადასახადი ხილზე 900*

გადასახადი მურახხასიე გაბრანზე[4]*, თითოეულ სახლზე 2-2, 800*

---

[1] არუსანეს ახდევინებდნენ როგორც ქრისტიან, ისე მუსლიმან მოსახლეობას, მაგარამ განსხვავებული ოდენობით: ქრისტიანებს 60 ახჩას, მუსლიმანებს 30-ს. *ჩილდირის ვილაიეთის მოკლე (იჯმალ) დავთარი, გვ. 147*

[2] დეშთიბანი შედიოდა ველზე დაწესებული გადასახადი. *გორგაძე ნ., ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი ქსნისა და არაგვის ხეობაში, გვ. 425.* გორისათვის იგი შეადგენდა 500 ახჩას.

[3] თაფუ იყო მემკვიდრეობით მიღებული მიწის ფლობისათვის და სარგებლობის გადასახადი. *ჩილდირის ვილაიეთის მოკლე (იჯმალ) დავთარი, გვ. 217.*

[4] მურახხასიე გაბრანის გადასახადი არსებობდა ჩილდირის ვილაიეთშიც და იგი იგივე რაოდენობისა იყო, როგორც გორში – თითოეულ სახლზე 2-2 ახჩას. *ჩილდირის ვილაიეთის მოკლე (იჯმალ) დავთარი. თურქული ტექსტი, ქართული თარგმანით, შესავლით, შენიშვნებითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს მირიან მახარაძემ და ნ. შენგელიამ, თბ., 2008, გვ. 42.* გორში მურახასიეს ჯამი 800 ახჩას შეადგენდა. ს. ჯიქიას ვარაუდით, *„იგი უნდა იყოს არამუსლიმი სამღვდელო პირებისათვის შეწერილი გადასახადი. იგი მხოლოდ ქრისტიანი მამაკაცებისაგან გაიღებოდა სხვადასხვა ოდენობით. ყველაზე დიდი – 48 ყურუში იყო, საშუალო – 24, მცირე – 12 ყურუში. ეს გადასახადი იყო ყოველწლიური, რომელსაც იხდიდა თავისუფალი თიმარ (თიმარი – სამხედრო სამსახურისთვის გაცემული მიწის ნაკვეთი) ისფენჯის სანაცვლოდ“. ამ ვარაუდს იზიარებენ მ. მახარაძე და ნ. შენგელია.*

წისქვილი თვალი 26 სრული წლით, გადასახადი 2960

შემოსავალი მუსლიმთა არუსანესი და მუსტაფაზებისა[1] და აზაბებისა თვით გორში 1000

ბადიჰავა[2], ჯერუმ ჯიბაიეთ, იავა ვე კაჩკუნ[3], ბეითალმალი, ამე ვე ხასე, მალი გაიფ მალი მეფკუდ[4], დიმედიეთ 10 000

შემოსავალი ჩატვირთვაზე 1000

შემოსავალი სუბაშილიქზე 3000

გადასახადი სასწორის მწონავებზე, დიდი სასწორის სპეციალისტებთან, ცხვართან და ქილის საწყაოებთან 5000

იჰთისაბი იჰზარიე საქონლის შეფასებით ღირებულებაზე 2000

გადასახადი მტკვარზე გადებულ გადასასვლელ ხიდზე 2000

გადასახადი ცხვრის ყასაბებზე, როდესაც გადასახდელი იქნება, ყოველ ცხვარზე თითო-თითო ახჩა აიღება, ყოველი საქონლდან ორ-ორი ფარა აიღება.

ჯამი 1000

შემოსავალი სამღებროებიდან 600

წისქვილის მეანაბრე, თვალი 2, გადასახადი 1200.

ბაჟი გორის ბაზარზე 1000.

ფუძის გადასახადი იუქიდან ოთხი ფარა, სატვირთო სახიდის იუქიდან 16 ფარა ბაჟის გადასახადი აიღება. ახალციხიდან, თბილისიდან შემოსულთაგან და გარშემო ტერიტორიებიდან შემოსული ადგილებიდან: სასარჩულე მასალა, ბამბა, ბრინჯის იუქიდან, საკვების იუქიდან 10 ფარა და სახვადსახვა იუქიდან 20 ცალი აიღება. რკინის იუქიდან 10 ცალი ცხვრის ბაჟი, 1000 ცხვრიდან 10 ახჩა აიღება, ძროხისა და კამეჩის, მეჩალვადრეთაგან, სახედართაგან 2-2 ფარა აიღება.

---

[1] მუსტაფაზი – იყო თიმარის საფუძველზე არსებული ლაშქარი, რომელსაც ევალებოდა ციხისა და სხვა გამაგრებული ადგილის დაცვა.

[2] ბადი ჰავა – ჰაერზე გადასახადი, რომელშიც გაერთიანებული იყო მრავალი სახის გადასახადი. *ჩილდირის ვილაიეთის მოკლე (იჯმალ) დავთარი, გვ. 149.*

[3] იავა ვე კაჩკუნ – უპატრონოდ დარჩენილი გლეხი და საქონელი. *იქვე.*

[4] მალი გაიფ ეწოდებოდა სიკვდილის პირას მისული ადამიანის ქონების მდგომარეობას, თუ ვის უნდა გადასცემოდა იგი. იგი ხელუხლებელი იყო მისი პატრონის მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ამ ქონებას მეორენაირად მალი მეფკუდი ეწოდებოდა. *ჩილდირის ვილაიეთის მოკლე (იჯმალ) დავთარი, გვ. 149.*

მოსულთაგან ხელახლა აღწერა უწინდებულად არსებულის საფუძველზე ხდება.

ჯამი 10 000.

საერთო ჯამი 146 860‘[1].

გორელების ოსმალებისადმი ვალდებულებების უპირველესყოვლისა მოიხსენება 448 *„ისფენჯი კაცი“.* თითოეული მათგანი მტკიცედ დადგენილ გადასახადს – 120 ახჩას იხდიდა რაც, წლიურად შეადგენდა 53 760 ახჩას.

გორელებს შეწერილი ჰქონდათ გადასახადი ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, ფეტვზე, ერბოზე, თივაზე, ღორზე, ცხვარზე, ხილზე და სხვ.

დოკუმენტის მიხედვით, გორის ნაყოფიერი მიწებზე გაშენებული ვენახები, ბაღები და ბოსტნები მუსლიმანების ხელში იყო.

გორის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ველების სხვადასხვა ფართის მფლობელები არიან: 1 დღიურის მფლობელები – როსტომ გაბრიელის ძე და გურგიჩა; 2 დღიურის მფლობელები – გაბრიელი, გურგიჩა, ბაბუნა, ბარამი, ამირანი, ქაიხოსრო, ქიტესა, დავითი, გურგიჩა, მიმე ხანი, ფარსადანი, გორგიჩა, ბერო, თამაზი, სულხანი, ესტატე, გიორგი, ფარსადანი, კადრი, ავთანდილი, დოლმაზი, გოდერძი, ავთანდილი, ესტატე, დოლმაზი, გორგიჩა; 3 დღიურის მფლობელები – ავთანდილი, ბაბუნა, გურგიჩა, ფარსადანი, როსტევანი, ბარამი; 4 დღიური – თარჯიმან ფარსადანი; 5 დღიური – თუმანი; 6 დღიური – ავთანდილი; გიორგი დივანი – 8 დღიური.

ველების მფლობელები არ იხდიან უშრის, ისინი ქრისტიანები არიან, მათ მიერ დაკავებული მიწის ფართი აღინიშნება ქართული დღიურით და არა ოსმალური დონუმით. შაინტერესოა, ისინი რომელ სოციალურ ფენას განეკუთვნებიან.

უძრავ ქონებას წისქვილების სახით ფლობდნენ: 2 თვალს – გორგიჩა ავთანდილა, გენება ოჰანის ძე, გივი რამაზის ძე, აბდალლაჰ იუზბაში, თუმან მჭედელი, ფარსადანი, თარჯიმანი ფარსადანი, დოლმაზი, ავთანდილი; 3 თვალი – სულხანის ძე; 4 თვალი – ავაქის.

*„წისქვილი თვალი **26** სრული წლით, გადასახადი 2960*‘[2]. მაშასადამე ერთი წლის გადასახადს ერთ თვალ წიქვილზე შეადგენდა 113,8 ახჩა. ცალკეა აღნიშნული *„წისქვილის მეანაბრე, თვალი 2, გადასახადი 1200*‘[2].

---

[1] *1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, გვ. 448-4401*

[2] *იქვე, გვ. 444-448.*

[2] *იქვე, გვ. 449.*

გორელები ამ ყველაფრის ფლობისა და მოხმარებისავის, გადასახადის სახით იხდიდნენ 172.420 ახჩას.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, გორელების გადასახადებში გათვალისწინებული უნდა იქნას 1730-1732 წლებში შექმნილი სამი ოსმალური დოკუმენტის მონაცემებიც.

თბილისსა და გორში არსებობდა *„საიჯარო გადასახადი ტყვეებზე მეხუთედის სახით. გადასახდელია 1138. დაიწერა 1138 (1726 – ე.მ.) წელს. ყურუში ესედი*[1] *666,5 და ფარა 20“.* როგორც ჩანს, ეს გადასახადი იჯარით გაიცემოდა[2].

ქონებით გამორჩეულები დასახელებული 34 პიროვნება არ იმყოფება გორელ 449 ქრისტიანს შორის.

ასეთია *„1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარის“* ქართული თარგმანის მოკლე შინაარსი და ზოგიერთი ის სიახლე, რომელიც ქართულმა დოკუმენტებმა არ შემოგვინახა.

*

გორის მწარმოებელი მოსახლეობა – ვაჭარი, ხელოსანი, გლეხი, სხვადასხვა სახის ვალდებულებას იხდიდა. მაშინდელი კანონმდებლობა ვალდებულებებს ორ მთავარ ნაწილად ყოფდა: საერო (სახელმწიფო და საბატონო) და საეკლესიო. სახელმწიფო გადასახადები, როგორც წესი, ქალაქზე ბითუმად მიდიოდა და შემდეგ მამასახლისი მოქალაქეებზე ანაწილებდა, მათი სოციალური მდგომარეობისა და ქონების გათვალისწინებით.

საერო და საეკლესიო ყმების მოვალეობანი, როგორც ერეკლე II-ის განჩინებიდან ჩანს, მტკიცედ არ იყო დადგენილი, რაც ამ ორი კატეგორიის ყმებში დავას იწვევდა. ამიტომ 1757 წ. გამოცემულ იქნა სამეფო განჩინება: *„ქ. გორელი ჩვენი სახასო ყმანი და კათალიკოზის ყმანი თავეთის სათხოვარსა და გამოსაღებზედ ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. ამათი გამოსაღების საქმე ასე გვიბრძანებია: თუ საბატონო სათხოვარი რამ ეთხოვებოდათ და საბატონოდ გამოერთმეოდესთ, ჩვენმა სახასომ კაცმა, რომ მთელი ლი-ტრა გამოიღოს, ამისმა ყადრმა კაცმა კათალიკოზის ყმამან ნახევარი ლიტრა გამოიღოს. ამ საბატონოს სათხოვარში ასრე მოუდგებოდნენ თავთავის შეძლებით, ამიტომ რომ ნახევარი ამათი სამსახურიც რაც იქნება*

---

[1] ყურუში ესედი – მონეტის ერთ-ერთი სახეობა, რომლის ოდენობა ცვალებადი იყო.

[2] *სამი ოსმალური წყარო თბილისის ისტორიისათვის, გვ, 13-14.*

ბატონს კათალიკოზს უნდა მსახურონ და ამას გარდა თუ ერთი ასეთი რამ საქვეყნოთ მოსახმარებლათ შეეწერებოდესთ და ეთხოვებოდესთ, რომ ქვეყანას მოეხმარებოდეს, ეს ჯარი ამგვარი ამისი ხარჯი სახასომ თუ კათალიკოზის კაცმა თავთავის შეძლებით თუ შეუძლებელიც თავისასა შეძლებით, ასე სწორედ გამოიღონ, რაც რამ ფერი ამ რიგი ხარჯი შევარდებოდესთ და ეთხოვებოდესთ, თუ უცხოს ქვეყნის სტუმარი მოუვიდოდესთ, ან მოსაქმე, იმათი ხარჯიც ამავ რიგათ უნდა გამოიღონ. ესეც ასე გვიბრძანებია, თუ ჩვენს ყმა, სახასო კაცს გორში კათალიკოზის ყმის მიწა და ვენახი ეყიდნოს, რა ოსმალო ქართლში მოსულიყოს, მას აქეთ ოსმალობას თუ ყიზილბაშობას, დღეს აქამდის იმისი მიწის ღალა და ვენახის კულუხი კათალიკოზს უნდა მისცენ და თუ სახასოს კაცისაგან კათალიკოზის კაცს და ყმას უყიდნია მიწა, თუ ვენახი, იმისი მიწის ღალა და ვენახის კულუხი საჩვენოთ უნდა გამოერთვას და მისცემოდნენ“[1].

მეფის ამ ღონისძიების მიზანი, როგორც მოყვანილი ამონარიდიდან ჩანს, საბატონო და საეკლესიო (საკათალიკოსო) ყმების ექსპლოატაციის ნორმის გათანაბრება იყო. განჩინება გორისათვის იყო შედგენილი, რაც ამ ქალაქში შექმნილ განსაკუთრებულ ვითარებაზე მეტყველებს. ჩვენამდე მოღწეულ საეკლესიო ყმების მრავალ საჩივარში აღნიშნულია იმ შევიწროების შესახებ, რასაც ისინი გორის ხელისუფალთაგან განიცდიდნენ. მათ აიძულებდნენ საბატონო მოვალეობანიც მოეხადათ. საეკლესიო ყმათა მდგომარეობაზე ვრცლად შევჩერდები გორის ეკლესიაზე საუბრისას.

სახელმწიფო ვალდებულებებში პირველ ადგილზე საკომლი გამოსაღები – ***მახტა*** იდგა, რომელსაც ქალაქის მოსახლეობა ფულის სახით, ხოლო სოფელი პურით იხდიდა. მახტას არ იხდიდნენ ქვრივობლები, საეკლესიო და საბატონო ყმები, ქალაქში მოსახლე თავადები და აზნაურები. გორელების მიერ მახტის გადახდაზე სხვა არავითარი ცნობა არ გვაქვს გარდა დავით ბატონიშვილის ნათქვამისა, რომ გორიც იხდიდა მახტას. ამიტომ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ამ გადასახადის რაოდენობაზე ან მოქალაქეთა შორის მისი განაწილების პრინციპზე.

გორის მოსახლეობის ვალდებულებანი *„დასტურლამალაშია“* ჩამოთვლილი და მათზე შევაჩერებთ ყურადღებას.

---

[1] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 227, საბ. 904.*

„დასტურლამალში“ გორის მოსახლეობის მოვალეობანი იწყება იმით, რომ *„ლაშქრობა აძეს, როდესაც ბატონს ეჭირების და უბრძანებს, თორემ ისე მაგგვარს გადგომაზედ არ დაეძახებიან“*[1]. მართალია ***ლაშქრობა*** მუდმივი სამხედრო ბეგარა არ იყო, იგი საჭიროების და მიხედვით ეწყობოდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ გვიანდელი ფეოდალიზმის დროს საქართველოს საგარეო და საშინაო მდგომარეობას, მაშინ გასაგები იქნება, რომ გორის მოსახლეობის დაბალი ფენებისათვის *„ლაშქრობა“* სისტემატურ ხასიათს ატარებდა. *„ლაშქრობა“* დასტურლამალში თუ შედარებით მსუბუქი ჩანს, XVIII ს. მეორე ნახევრიდან, კერძოდ, ერეკლე II-ის მეფობის ხანაში, უაღრესად სამძიმო გახდა. ერეკლემ 1755 წ. თავისთვის *„მუდამ სახლებლად მონაცვლე ლაშქრის კაცი“* შეაწერა შიდა ქართლს. გორს ორ თვეში ერთხელ უნდა გაეყვანა 4 ცხენოსანი და 2 ქვეითი[2]. ქალაქი პასუხს აგებდა ლაშქარში დაკლებული თითოეული კაცისათვის. 1767 წ. ბრძანებაში ჯარში დაკლებული კაცების დარბევის თაობაზე ნათქვამია: *„როგორც ამაში გვებრძანებინოს ასე უნდა დაირბეს და ყველას უკლებლივ გამოერთვას ეს თეთრი... გორიდამ აკლია კაცი პ (80 – ე. მ.), ამის ნახევარი იქნება მ. იქნება თეთრი თექვსმეტი თუმანი“*[3]. მაშასადამე, მეფემ თითოეული დაკლებული კაცისთვის 2 მანეთი ჯარიმა შეაწერა ქალაქს, რაც იმ დროისათვის საკმაოდ დიდი თანხა იყო.

ერეკლე II-მ 1787 წ. 5 ნოემბერს ოთარ ამილახვარს თავის სასარდლოში ჯარის შეკრება და თბილისში ჩაყვანა უბრძანა. მეფის ბრძანებით, გორიდან 14 კაცი უნდა გასულიყო ლაშქარში[4]. მანვე 1789 წ. თებერვალში ყარაბაღში გასაგზავნ ჯარში გორიდან 12 კაცი დაიბარა[5].

ჯარში დაბარებულნი დანიშნულების ადგილზე, თავიანთი სურსათ-სანოვაგით უნდა გამოცხადებულიყვნენ. 1787 წ. ერეკლემ ოთარ ამილახვარს უბრძანა: *„ვისაც ამ სიით თქვენს სასარდლოს კაცი ეწეროს, კაი ყოჩაღი კაცი, ამ ხუთს დღეზედ უნდა გარიგებინო და*

---

[1] *დასტურლამალი, გვ. 550.*

[2] *ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, II, გვ. 101.*

[3] *იქვე, გვ. 104-105.*

[4] *იქვე, გვ. 149.*

[5] *იქვე, გვ. 156.*

ერთი კვირის ნუზლით აქ, ქალაქს (თბილისი – ე. მ.) შემოგვყრი და ერთს კვირის უკან ჩვენ კარგ სურსათს მივცემთ“[1].

რა თქმა უნდა, ასეთი შემთხვევები, როგორც მანამდე, ისე მის შემდეგაც მრავალი იყო. მებრძოლს თავისი სურსათით და შეიარაღებით სამხედრო სამსახურის მოხდა მძიმე ტვირთად აწვებოდა. თუ გავითვალისწინებთ მაშინდელ ვითარებას – ოსმალების, ყიზილბაშების, ლეკების შემოსევებს, არცთუ იშვიათად ფეოდალურ შუღლს, გორელებს ხშირად უხდებოდათ სხვადასხვა რაოდენობით (საჭიროებისდა მიხედვით) მებრძოლებზე, იარაღსა და სურსათზე ზრუნვა.

რადგან სამხედრო ვალდებულებაზე ვლაპარაკობთ, აქვე უნდა ითქვას ქალაქში ჯარის ჩაყენების სიმძიმის შესახებაც. არაფერი რომ არ ვთქვათ ხშირი ომების თუ ომის საშიშროების დროს ქართველთა ჯარის გორში ჩაყენებაზე, აუცილებლად უნდა შევეხოთ უცხოელთა ჯარის შენახვის ვალდებულებას, რასაც სამეფო ხელისუფლება გორის მოსახლეობას აკისრებდა.

დაქირავებული ჯარი ხშირად ისე მოქმედებდა ქალაქში, როგორც დამპყრობელი. ავიტაბილეს ცოცხლად აქვს აღწერილი 1630-იან წლებში ყიზილბაშთა თარეში გორში, აღნიშნავს დედაშვილის გაუპატიურების შემთხვევას და ა.შ.[2]

დოკუმენტებიდან ჩანს, რომ უცხოელნი ვალდებულნი იყვნენ ყველაფერი, რაც კი დაჭირდებოდათ, თავიანთი ფულით შეეძინათ, მაგრამ ისინი ხშირად ძალადობას და პირდაპირ ძარცვას მიმართავდნენ. 1771 წ. დანახარჯის ნუსხაში, რომელიც ცხინვალში უნდა იყოს შედგენილი, რუსი ჯარის ჩადგომის შედეგი ასეა შეჯამებული: *„ამას გარდა ჩვენს ქვეყანაში აღარც დარჩა ვენახის სარი, აღარც ღობე, აღარც ვენახის ჯალჯი და აღარც უბრალო სახლი დაუქცეველი, რომ არ დააქციეს და დაწვეს... რაც ქურდობითა მოიპარეს, იმის ესმას ვინ აიღებს*“[3].

ადრე უკვე აღინიშნა იმ სიძნელეებზე, რაც თან ახლდა ავღანელთა ჯარის გორში ჩაყენებას 1747 წ. გორის მელიქის ფარსადანის მიერ თეიმურაზ II-სადმი გაგზავნილი არზიდან ჩანს, რომ ქალაქი ვალდებული იყო უცხოელთა ჯარი უზრუნველეყო ყველაფერი აუცილებელით. მართალია, მელიქი მხოლოდ ბინებისა და ბზის ნაკლე-

---

[1] *იქვე, გვ. 418.*

[2] *დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 33.*

[3] *ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, II, გვ. 108.*

ბლობაზე ჩივის *(„ამათი საყოფი სახლი გორს არ არის... ბზის წყალობითაც გვიყავით... დღეში ოთხას ორმოცდა ათი ლიტრას ბზეს თხოულობენ“*[4]), მაგრამ მათ სხვაც ბევრი რამ ჭირდებოდათ.

გორის მოსახლეობას, მსგავსად ქართლის სხვა ქალაქების მოსახლეობისა, მძიმე ტვირთად დააწვა რუსეთის ჯარის შენახვა. ერეკლე II ნინია ფავლენიშვილს უბრძანებდა: *„ამ სიით ეს ჯარები ასე უნდა დააყენო: თივასა და ბზეს თეთრით იყიდიან, სურსათი თავიანთი ექნებათ, შეშა და სანათი სახლის პატრონებისა უნდა იყოს და სხვა რაც ხორაგი მოუნდეს, ისიც თავისის ფასით მიჰყიდონ... გორმა შეინახოს კაცი ქვეითი ორასი“*[2]. ბრძანებაში თითქოს გათვალისწინებულია ყველაფერი, მაგრამ სინამდვილეში, რას ნიშნავდა ჯარის ჩაყენება იმ დროს, საყოველთაოდ ცნობილია.

ხელისუფლება მოსახლეობას აიძულებდა დადგენილი ოდენობითა და განსაზღვრულ დროს *„რუსის ჯარის სურსათი ვისაც შესწერებოდეს ეს ასე უკლებლად უნდა გამოიღონ“*. ერეკლე II-ის ბრძანებით გორელებს 33 ხარვარი და 39 კოდი (დაახლოებით 730 ფუთი) მარცვალი თბილისში უნდა ჩაეტანათ[3].

ქართლ-კახეთის ქალაქები იხდიდნენ ე.წ. ***სალეკოს***. ეს გადასახადი მიზნად ისახავდა ლეკთა თავდასხმების მოსაგერიებლად ღონისძიებების გატარებას. სალეკო გადასახადი გორში თითოეული კომლიდან 30 შაურსა და 1,5 კოდ ხორბალს შეადგენდა[4]. მეფე იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ გადასახადს, რომ როცა 1781 წ. თბილისისა და გორის კათოლიკენი ხარჯისა და გამოსაღებისაგან გაათავისუფლა, მხოლოდ ორი – სალეკო და მორიგის გამოსაღები დაუტოვა[5].

სახელმწიფოს მიერ სამხედრო საქმესთან დაკავშირებით დადგენილი გადასახადებისა და მოვალეობის გარდა, მოქალაქეებს გაუთვალისწინებელი ხარჯებიც ჰქონდათ. სახლთუხუცესმა იოანე მუხრანბატონმა 1789 წ. 29 ნოემბერს გორის მამასახლის ზურაბს და ქედხუდებს მოსთხოვა: *„ჩვენ აქ ხიდისთავს მოვედით, ჯარი დიახ*

---

[1] *საქართველოს სიძველენი, III, გვ. 460, №499.*

[2] *ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, II, გვ. 162.*

[3] *იქვე, გვ. 144-145.*

[4] *იქვე, გვ. 144.*

[5] *საქართველოს ისტორიის ქრონიკები, 148; თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 397-398.*

დამაშვრალნი და თოვლისაგან დამძრალნი არიან და მშიერნიც. რასაკვირველია, ახლა თქვენ ერთობით ორასი თუნგი მაჭარი და ორი ათასი გამომცხვარი პური ამაღამვე თუ აქ ჯარს არ მოუვიდა, არას გზით არ იქნება“[1].

გორის მოსახლეობა იხდიდა ***სურსათის*** გადასახადსაც. ერეკლე II-ის მიერ ოთარ ამილახვარისადმი გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ გორსა და ცხინვალს უნდა დაემზადებინა 150 ხარვარი სურსათი[2]. XVIII ს. დასასრულის ერთი ნუსხის მიხედვით, გორის მოსახლეობა ვალდებული იყო გადაეხადა 200 კოდი პური[3], ხოლო 1787 წ. ბრძანებით კი 25 ხარვარი და 45 კოდი[4].

„დასტურლამალიდან“ ვიგებთ, რომ გორელები იხდიდნენ ***მალს***. *„გორის გამოსაღების რიგისაში“*. ნათქვამია: *„ამავე (გორელებს – ე. მ.) აძეს მალი თავზედ ახალ ნაქორწილევს სამი აბაზი, ერთ წელიწადს უკან თავზედ ექვსი აბაზი ეთხოების, სანამდის დაბერდე. რახან დაბერდების აღარ ეთხოვების“*[5]. როგორც ჩანს, მამაკაცი, ოჯახის შექმნამდე, მალს არ იხდიდა. დაქორწინების შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ 3 აბაზი იყო გადასახადი, ხოლო ამ დროიდან მოყოლებული დაბერებამდე 6 აბაზი[6].

მოდწეული მასალებით თუ ვიმსჯელებთ, ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის ბოლო პერიოდში, მალის გამოსაღები კვლავ 6 აბაზი იყო, მაგრამ იგი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახადს კი აღარ წარმოადგენდა, არამედ მეფის ოჯახის წევრების შემოსავლის წყაროდ გადაიქცა. როგორც დედოფალი დარეჯანი წერდა, იგი გორში მცხოვრები თავისი 24 კომლიდან მალის სახით წლიურად 24 მანეთს იღებდა[7].

---

[1] *დოკუმენტები, II, გვ. 154, №244*

[2] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1448, საბ. 378.*

[3] *ხეც, Hd, №8148.*

[4] *ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, II, გვ. 157.*

[5] *დასტურლამალი, გვ. 550.*

[6] *სურგულაძე ივ., სახელმწიფო გადასახადები ქართლის სამეფოში მე-18 ს. დასაწყისში // საქ. მეცნ. აკადემია, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, II, 1952, გვ. 337-377.*

[7] *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, I с. 214, №179.*

როგორც ადრე (XVIII ს. დასაწყ.), ახლაც მალის 6 აბაზიდან 5 აბაზი ბატონისა იყო, 2 შაური ამილახვარს ეკუთვნოდა, 2 შაური სახლთუხუცესს, მდივნებს და მამასახლისს უნაწილდებოდა[1].

სამეფო ხაზინაში მნიშვნელოვანი თანხა შედიოდა გორის ყასაბ-ხანიდან. ***ყასაბხანის*** გადასახადი წესდებოდა თითოეულ გაყიდულ პირუტყვზე: ცხენზე – 1 აბაზი, ძროხაზე – 2 შაური, ცხვარზე – 1 შაური. ამ გადასახადიდან მიღებული საერთო თანხა შეადგენდა 1-3 თუმანს, რომლის მეათედი ამილახვრისა იყო[2].

ქალაქის მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვა ე.წ. ***ხელმწიფის ფეშქაში***, რომელიც ირანის შაჰისათვის ქალ-ვაჟებისა და სხვა მისართმევების შესაძენი თანხის შეგროვებას გულისხმობდა[3]. *„დას-ტურლამალიდან“* ვიგებთ, რომ ფეშქაშის თანხა გორში 12 თუმანს შეადგენდა“[4].

გორის მოქალაქეთა ვალდებულებებისა და გამოსაღებთა მრა-ვალფეროვნებაზე საინტერესო ცნობებს შეიცავს „ჯულაბაშვილების დავთარი“, იგი, მართალია, ერთი ოჯახის მდგომარეობას გვაცნობს XVIII ს. პირველ ნახევარში, მაგრამ მსგავს მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო სხვა ოჯახებიც როგორც იმავე პერიოდში, ასევე წარ-სულში და შემდგომშიც.

რუსეთიდან დაბრუნებული პაპუნა ჯულაბაშვილი 1752 წ. 24 მაისს წერდა: *„ამ თარიხიდამ (1754 წ. 6 სექტემბრამდე – ე. მ.) რაც სახელმწიფო ხარჯი მიგვიცია სულ ამის ქვეით სწერია:*

(1 აბაზი)[5] *ს. ქ. საყარაულო მივეცით.*

(6 შაური) ტ. ქ. კიდევ თევზიას-შვილს მივეცით.

(1 მინალთუნი და 2 აბაზი) ჩ. ქ. ოსებისათვის გამომართვეს ლეინი ბ (2).

(3 აბაზი) ქ. ქ. კიდევ მივეცით სურსათი ლომინანთ ისიას კოდი ა (1).

(1 მინალთუნი) ჩ. ქ. კიდევ მივეცით თეთრის თევზიას-შვილსა.

---

[1] *დასტურლამალი, გვ. 550-551.*

[2] *იქვე, გვ. 551.*

[3] *გაბაშვილი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, გვ. 243, 245.*

[4] *დასტურლამალი, დავთარი, გვ. 216.*

[5] თანხის აღმნიშვნელი ასოები გავშიფრე და მნიშვნელობები ფრჩხილებში ჩავსვი.

(10 შაური) ჩფ. ქ. კიდევ ოთხმოცი თუმანი რომ მოაგროვეს მივეცი.

(მინალთნნახევარი) ჩფ. ქ. კიდევ ამ თეთრისთვინ დააკლდა – მივეცით.

(2 მინალთუნი და 3 აბაზი) ცქ. ქ. კიდევ ბოლნისის ნოქრისთვინ მივეცით.

(3 აბაზი) ქ. ქ. კიდევ თევზიას შვილს მივეცით.

(1 მინალთუნი და 18 შაური) ჩშ. ქ. კიდევ ბოლნისის ნოქრისთვინ მივეცით.

(1 მინალთუნი და 5 შაური) ჩსნ. ქ. კიდევ ქალაქს რომ თხუთმეტი ნოქარი ითხოეს იმისთვინ მივეცი.

(3 მინალთუნი და 4 ბისტი) ძპ. ქ. კიდევ მამასახლისმა თავისი თეთრი და ხელმწიფის სამასპინძლო რომ ოცდაათი თუმანი მოაგროა მე გამამართვეს.

(14 შაური) ღ. ქ. ბატონის სამასპინძლო მივე.

(1 მინალთუნი და 1 აბაზი) ჩს. ქ. კიდევ სალაშკრო მივე.

(6 მინალთუნი) ჩვ. ქ. კიდევ სომხითის სალაშკრო მივე.

(1 მინალთუნი) ჩ.ქ. კიდევ დავითა რომ ლაშკარში წავიდა, ნოქარი სალაშკრო დაეჭირა მე და მოსესათვინ მე მივე იმ (ჭ) (5 მინალთუნი) ნოქრის თეთრი.

ქ. სურსათი მივე პური კოდი (3) (6) ამის ქირა ურმისა და საიასაულო მივე ჩეა (1 მინალთუნი და 9 შაური) ამდენი.

(2 მინალთუნი და 1 აბაზი) ცს. ქ. გარსევანის-შვილი იასაულათ მოვიდა გორს ლ˜ვ (36) ამოდენის თუმნისა მე გამამართვეს ამდენი.

(14 შაური) ღ.ქ. კიდევ თევზიას-შვილს მივე.

(6 შაური) ტ. კიდევ მივე იოვანეს.

(1 მინალთუნი) ჩ. კიდევ იოვანეს მივე.

(2 მინალთუნი) ც. კიდევ ღართისკარის სალაშკრო წაიღო დავითამ"[1].

არარეგულარული, მაგრამ საკმაოდ მძიმე იყო ე. წ. ***სამასპინ-ძლო***, რომელსაც ზოგჯერ ფულადი გადაახადის სახეც ჰქონდა. როსტომ მეფის 1639 წ. სიგელიდან ჩანს, რომ „სამასპინძლო" გორის მოსახლეობასაც ევალებოდა[2]. ეს გადასახადი კომლობრივ იკრიბებოდა. „ჯულაბაშვილების დავთრიდან" ვიგებთ, რომ გორის მამასახლისმა 1752 წ. „ხელმწიფის სამასპინძლო რომ ოცდაათი თუ-

---

[1] *ჯულაბაშვილების დავთარი, გვ. 216.*

[2] *სეა, ფ. 11449, დავთ. 51, საბ. 225.*

მანი მოაგროვა“. იმავე წელს კიდევ აუკრეფიათ სამასპინძლო. მაშასადამე, ძნელია იმის დადგენა, წლის განმავლობაში რამდენჯერ და რა რაოდენობით იკრიბებოდა „სამასპინძლო“.

საინტერესო წყაროა სამასპინძლოზე 1791 წ. 16 მაისიდან 6 ივნისამდე გორელების დანახარჯის ნუსხა. საბუთში დაწვრილებითაა ჩამოთვლილი კათალიკოსისა და ბატონიშვილ ალექსანდრეს ზემო ქართლში მოგზაურობის დროს გორელებს რა სახის და რამდენი „სამასპინძლო“ შეაწერეს[1].

გორის მოსახლეობას უნდა შეესრულებინა, აგრეთვე, ***ბეგარა***, ე.ი. ფიზიკურად ემუშავა შაისევანის (ალბათ კარვის დადგმა), ხიდის და სასახლის მშენებლობაზე, ზვარში და ბაღში, კონზე[2], „თუ რაზედაც უბრძანონ, უარს ვერ იტყვიან“[3].

დასტურლამალში ჩამოთვლილ გორელთათვის აუცილებელ საბეგრო სამუშაოებზე, საბუთების უქონლობის გამო, ბევრს ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ უხვი ცნობები მოგვეპოვება გორის ციხის აღდგენით სამუშაოებზე გორელების მონაწილეობაზე XVIII ს. უკანასკნელ მეოთხედში. ამ საკითხს ახლა აღარ შევეხები, რადგან საკმაოდ დაწვრილებით განვიხილეთ „გორის ციხესთან“ დაკავშირებით.

გორის მოსახლეობის ბეგარის ერთ-ერთ სახეს ***ულაყი*** წარმოადგენდა. ულაყი, სავარაუდოა, მეფის საჭიროებისათვის საბრძოლო მასალის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების თუ სხვა ბარგის გადატანისათვის სატრანსპორტო საშუალებების მიწოდებას გულისხმობდა. ეს რომ მართლაც ასე უნდა იყოს, ამაზე მიგვითითებს გიორგი XI-ს მიერ დადებული ყაიყულის სამოურაოს გარიგება. მასში ვკითხულობთ: *„მამასახლისები ამ ერბოს სოფლის ულაყით ჩამოიტანდნენ“*[4]. მაშასადამე *„დასტურლამალის“* ცნობა *„გორს სძეს... ატენის ღვინის ულაყი“*[5] გულისხმობს გორელების მიერ ატენის ღვინის ჩაზიდვას თბილისში ან იქ, სადაც მეფის სურვილი იქნება.

გორელების მიერ *„ულაყის“* ბეგარის გადახდის პირველი ცნობა XVI ს. დასასრულიდან გვაქვს.

---

[1] *ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, II, გვ. 158-159.*

[2] *სულხან-საბას მიხედვით, კონი არის „თევზის საპყრობი“, ე.ი. ფაცერი.*

[3] *დასტურლამალი, გვ. 551.*

[4] *იქვე, გვ. 613.*

[5] *იქვე, გვ. 716.*

თავისებურ ბეგარას წარმოადგენდა ***„ტიკი და ტომარა“,*** რომელიც წყაროებში დასახელებულია *„ულაყთან“* ერთად, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ გორელებს ღვინისა და მარცვლეულის გადატანის დროს მეფის განკარგულებაში უნდა გადაეცათ როგორც ტვირთის მზიდი ცხოველები, ისე ტიკები და ტომრები.

მეფეს უხდიდნენ, აგრეთვე, სხვადასხვა წვრილ-წვრილ გადასახადებს: საბატონო მიწით სარგებლობისათვის – ***ღალას***, ღვინით გადასახადს – ***კულუხს***, პირუტყვის ძოვებისათვის – ***საბალახეს***, მეჯინიბისათვის – ***სამეჯინიბოს***, ბაზიერებისათვის – ***საბაზიეროს***, ***ფურის ერბოს***[1] . მეფის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს სხვადასხვა სახის ჯარიმები – ***ჯურუმი*** შეადგენდა[2].

როგორც დავინახეთ, ქალაქის მოსახლეობის სახელმწიფო ვალდებულებანი საკმაოდ მრავალგვარი იყო. მაგრამ გორელების სამსახური სამეფო ხელისუფლების წინაშე ამითი არ ამოიწურებოდა. გორის მოსახლეობას ევალებოდა, აგრეთვე, ქალაქის მმართველობის აპარატის, მეფის მოხელეების შენახვა.

3. კლასობრივი ბრძოლა

გვიანფეოდალური პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო თითქმის განუწყვეტელი კლასობრივი ბრძოლა, გამოწვეული ბატონყმური ურთიერთობის გამწვავებით და სასაქონლო წარმოების განვითარებით. კლასობრივი ბრძოლა ქალაქებში წარმოებდა ორი ძირითადი მიმართულებით: ა) ბრძოლა ფეოდალების წინააღმდეგ და ბ) ბრძოლა ქალაქის ყმა ვაჭარ-ხელოსნებსა და მოსახლეობის პრივილეგიურ ფენებს შორის[3].

გორში ანტიფეოდალურ ბრძოლაზე როდესაც ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ იგი, საერთოდ, ფეუდალური წყობილების წინააღმდეგ კი არ იყო მიმართული, არამედ ცალკეული

---

[1] დასტურლამალის მიხედვით, ადგილებზე სპეციალურად იგზავნებოდნენ კაცები ფურების დასათვლელად და მამასახლისს დააწერდნენ ფურთა რაოდენობას, რის მიხედვითაც გარკვეული რაოდენობის ერბო უნდა გადაეხადა სოფელს ან ქალაქს, იქვე ნათქვამია: *„ვინც ამ საქმეზედ ასამწერლოდ წავიდოდეს, ასმევდნენ, აჭმევდნენ, სხვა სარგო არა აქვს რა“. დასტურლამალი, გვ. 613.*

[2] *ქართულ-სპარსული საბუთები, გვ. 102, 284, 458.*

[3] *მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, გვ. 365.*

ფეოდალის ან ხელისუფლების რომელიე წარმომადგენლის თვითნებობის ალაგმვას ისახავდა მიზნად. მასში უმთავრესად ყმა ვაჭრები და ხელოსნები მონაწილეობდნენ. შედარებით ორგანიზებული იყო ქალაქის პრივილეგირებული მოსახლეობის ბრძოლა, რომელიც თავისი ეკონომიკური სიძლიერით აღარ კმაყოფილდებოდა და ზოგიერთი უფლების გაფართოებას მოითხოვდა.

ფეოდალის თუ ფეოდალ-მოხელის წინააღმდეგ ბრძოლის გავრცელებული ფორმა იყო მეფისათვის საჩივრით მიმართვა. გვხვდება მებატონისაგან გაქცევის და შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევებიც.

ადრეული ცნობა გორელების მიერ ფეოდალებისადმი ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევისა XVII ს. დასასრულს განეკუთვნება. ფარსადან ციციშვილის მიერ გორელებისადმი მიცემული ტყით სარგებლობის წიგნიდან ჩანს, რომ გორელები ტრადიციულად შეშას ჭრიდნენ ნარუალაზე[1], ზედაველის მთაში[2], სანიაჟოში[3] და ურიულში[4]. შემდეგში ციციშვილებმა გორელებს ტყით სარგებლობა აღარ დაანებეს, რის გამოც გორის წარჩინებულმა მოქალაქეებმა და *„სულერთობით გორელთა“* ნაზარალიხანს მიმართეს და ციციშვილებზეც *„ფეშქაშით გაისარჯენ“.* გორელებმა ამგვარად მიაღიწეს იმას, რომ ციციშვილები ხელს აღარ შეუშლიდნენ აღნიშნულ ადგილებში ხეტყის მოჭრასა და შეშის დამზადებაში[5].

დაძაბული იყო მოქალაქეთა ურთიერთობა მეფის მოხელეებთან, განსაკუთრებით მოურავთან.

გორელების მოურავთან კონფლიქტის ამსახველი პირველი ცნობა დაცულია ერეკლე II-ის მიერ შედგენილ *„სამოურაო დებულებაში“.* იქიდან ირკვევა, რომ დაახლოებით ერთი საუკუნის წინათ, ერეკლე I-ის მეფობის დროს, მოურავის ძალადობითა და თვითნებობით შევიწროებული გორელები თბილისში ჩასულან მეფესთან და თავიანთი გასაჭირი მოუხსენებიათ. მეფემ მიიღო გორელების საჩივარი და ყველა ძველი *„დებულებანი დააყენა“,* ე.ი. გაუქმებულად გამოაცხადა. საბუთის ეს ადგილი მაფიქრებინებს, რომ მოურავს

---

[1] ნარუალა, ე. ი. ის ადგილი სადაც რუ მიედინებოდა, გავრცელებული ტოპონიმია.

[2] ზედაველა – სოფ. ხიდისთავთან.

[3] სანიაჟორი – სოფ. ქვახვრელთან

[4] ურიული – ნასოფლარი ქვახვრელთან.

[5] *ქართული სამართლის ძეგლები, VIII, გვ. 864, №87.*

შეუზღუდველი უფლებები მისი სახელოს მოსახლეობისადმი თვით მეფეთაგან ჰქონდა მინიჭებული. მეფემ ამიტომ *„დააყენა“* ადრინდელი *„დებულებანი“* და *გორელებს „სხვა ახალი განჩინება“* მისცა.

„ახალი განჩინება“ რამდენადაც მისაღები იყო გორელებისათვის, იმდენად მიუღებელი იყო მოურავისათვის. ამიტომ გორელები *„ახალი განჩინების“* დაცვას ცდილობდნენ, ხოლო მოურავები მის გაუქმებას. საქმე იქამდის მივიდა რომ, როგორც 1795 წ. განჩინებიდან ჩანს, ამილახვრებმა ერეკლე I-ის მიერ ნაბოძები *„ახალი განჩინება“* გორის თავკაცებს წაართვეს. 1795 წ. 1 თებერვალს ერეკლე II ბრძანებდა: *„მაგრამ რომელიც პაპის ჩვენის მეფე ერეკლისაგან განწესების წიგნი არის, თუ ის წიგნი არ გამოჩნდა არას გზით არ იქნება, ის უნდა გამოაჩინონ (ამილახვრებმა – ე .მ.); თუ ის წიგნი არ გამოაჩინეს, ამ განწესებას აღარ მივსცემთ, კიდევ მოუშლით. ასე იცოდეს – ამილახვრის ოჯახში უნდა იპოვნოს ეს წიგნი, რათ უნდა დაიკარგოს ის. ძველი წიგნები, რომელიც ყოფილა, ჩვენ უნდა გვიჩვენონ. სამოთხი ოჯახი არის ამილახვრიანთი და იმათ ოჯახებში იქნება, უნდა რომ იპოვნონ და მოგვართვან, გავშინჯოთ და გავასწოროთ ის საქმე“.* მაგრამ მეფის ამ განკარგულებას შედეგი არ მოჰყვა. ამილახვრებმა ერეკლე I-ის მიერ შედგენილი, თავიანთი უფლების შემზღუდველი საბუთი აღარ გამოაჩინეს[1].

ამილახვრებმა როდის წაართვეს გორელებს *„ახალი განჩინება“*, ამის დადგენა ძნელია, მაგრამ ის კი გარკვევით ჩანს რომ ეს უნდა მომხდარიყო დიდი ხნის წინათ, ვიდრე ერეკლე II გორელებს ხელახლა მისცემდა *„სამოურაო დებულებას“*. 1789 წ. 27 ივნისს, ერეკლე მეორისადმი მირთმეულ საჩივარში მოურავის თვითნებობაზე, გორელები ამბობდნენ: *„ჩვენო ჭელმწიფევ, მრავალჯერ მოგვიხსენებია ჩვენი შეწუხება ამილახვრიანდგან, მაგრამ თქვენის მოუცლელობით ჩვენს საქმეს ბინა არ მიეცა“*[2].

გორელების ურთიერთობა მოურავთან განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც ეს თანამდებობა იასე ამილახვარმა დაიკავა.

გორის მოქალაქეთა მოქმედება იესე ამილახვრის წინააღმდეგ აისახა ორ საბუთში. პირველი საბუთის პირობითად დათარიღება შეიძლება XVIII ს. 80-იანი წლებით. შ. მესხია საბუთს ათარიღებდა იმავე საუკუნის 80-90-იანი წლებით, რადგან აღნიშნულ პერიოდში

---

[1] *მესხია შ., საისტორიო ძიებანი, III, გვ. 276.*

[2] *ქართული სამართლის ძეგლები, VII, გვ. 812, №848.*

იასე გორის მოურავად არ მიაჩნდა[1]. იასე მოურავი უნდა გამხდარიყო 1772 წლიდან, რევაზ ამილახვრის გარდაცვალებისთანავე და ამ თანამდებობაზე იყო 1787 წლამდე, შემდეგ მისი ადგილი ოთარ ამილახვარმა დაიკავა 1801 წლამდე. მაშასადამე, პირველი საჩივარი 1787 წლამდე ან ამ წელს უნდა იყოს შედგენილი. 1789 წ. 27 ივნისს დაწერილ საჩივარში გორელები იმიტომ ახსენებენ იასეს, რომ მეფეს მოაგონონ, საჩივარი წინათაც დაგვიწერიაო. *„ჩვენ და იესე ამილახვრის საჩივარში სამართალიც გვებოძა და განაჩენიც, – წერდნენ გორელები, – მაგრამ ამილახვრიანთ იქ დგომით ვერ გავიყვანენ“*[2].

ამგვარად, შ. მესხიას მიერ გამოქვეყნებული *„გორის ქეთხუდების საჩივარი ერეკლე II-ს“* უნდა ჩავთვალოთ პირველ საჩივრად, ხოლო მეორე საჩივარი (1789 წლისა) მიმართული იყო ოთარ ამილახვრის წინააღმდეგ, მაგრამ მასში აისახა იესეს წინააღმდეგ ბრძოლის ეპიზოდიც.

პირველი საჩივრიდან ჩანს, რომ მოურავი სხვადასხვა უკანონო გამოსაღებებით მოქალაქეებს ძარცვავდა. მოურავმა მოქალაქეები აიძულა მისთვის ეძლიათ: ახალწლის შაქარი, საჩექმე[3], კომლზე თითო ურემი შეშა. მოქალაქეების მიერ ჩადგმული ოჩხებიდან თევზი მიჰქონდა. მოურავის ბრძანებით მოქალაქენი თიბავდნენ და თივას თავიანთი ურმებით უზიდავდნენ, კალოზე თითო ურემი ბზე მოურავს მიჰქონდა. მოქალაქეებს აიძულებდა ჭირსა და ლხინზე ძღვენი მიერთმიათ. შეწუხებული მოქაალაქენი ჩიოდნენ: *„ვენახი არ არის ჩვენი, ბაღი და ბოსტანი და ჭირნახული მუდამ“*. განსაკუთრებით უკმაყოფილო იყვნენ ის მოქალაქენი, რომლებიც ვაჭრობას ეწეოდნენ. მოურავი თვითნებურად ბეგრავდა სხვადასხვა მხრიდან შემოტანილ ღვინოს, ხორცს, ვინც მოურავის დაუკითხავად ბაზარში ორაგულს გაიტანდა გასაყიდად თუმნით აჯარიმებდა. ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ვაჭრებს ბაზარში დადგომისა ეშინოდათ.

უკეთეს მდგომარეობაში არც ხელოსნები იყვნენ. ფეიქრებს მოურავისათვის მუქთად უნდა დაერთოთ ბამბა, მუქთად მოექსოვათ

---

[1] *მესხია შ., საისტორიო ძიებანი, III, გვ. 273.*

[2] *ქართული სამართლის ძეგლები, VII, გვ. 812-813.*

[3] გადასახდელი ყმა ქალის გათხოვებისათვის. საჩექმეს ქალის პატრონი უხიდდა ბატონს. *სურგულაძე ივ., ნარკვევები საქართველოს სახელმწიფო და სამართლის ისტორიიდან, თბ., 1963, გვ. 213-239.*

.

და ასევევ მუქთად შეეღებათ, მესანთლეს ლიტრობით სანთელს ართმევდა.

მოურავის კაცები დაუფარავ ყაჩაღობასაც კი არ ერიდებოდნენ. ჩვეულებრივ ამბად იქცა დუქნების ძარცვა, ხალხის მოტაცება გამოსასყიდის წასართმევად, იტაცებდნენ მაკე ცხენებს და მანამდე ჰყავდათ ვიდრე კვიცებს არ მოიგებდნენ, ამის შემდეგ პატრონს ცხენს დაუბრუნდებდნენ. ქალაქის საგადასახადო დავთარი, რომელიც წესით მოქალაქეთა ამორჩეულ თავკაცებს უნდა ჰქონოდათ, მოურავმა წაიღო ,თავის სახლში დადო და გადასახადებს როგორც უნდოდა ისე ახდევინებდა. ის იმ მოქალაქეებსაც კი არ ინდობდა, რომლებსაც მეფისაგან *„სახასო სიგელები და ოქმები“* ჰქონდათ და აიძულებდა იმის შესრულებას, რისგანაც მეფემ ისინი გაათავისუფლა. არსებული კანონით რომ ბოგანოზე გლეხკაცის ჯარიმა არ ვრცელდებოდა, მოურავს არც ეს აბრკოლებდა და ბოგანოსაც ისეთ მოთხოვნებს უყენებდა, როგორსაც შეძლებულ მოქალაქეს.

გორელების განცხადებით, მათი უბედურება მაშინ დაიწყო, როცა იესე ამილახვარი გორში დასახლდა. ვიდრე ამილახვრები ჭალაში ცხოვრობდნენ *„ამდენს მოსახსენებელში არც ერთი არ გვჭირვებია, ამათი აქ დგომით დაგვემართა“-ო.* მეფეს იქვე შეახსენებდნენ, რომ ერთხელ, ლეკების შემოსევის დროს, რევაზ ამილახვარმა მცირე ხნით გორს შეაფარა თავი, შემდეგ კი კვლავ ჭალაში დაბრუნდა. ალბათ, რაღაც შემთხვევის გამო, თავდაპირველად იესე ამილახვარიც მცირე ხნით დასახლდა გორში, შემდეგ კი სამუდამოდ დამკვიდრდა. გაოცებული მომჩივანნი ამის გამო ამბობდნენ: *„ახლა ღმერთმან განაძლიეროს თქვენი ჭელმწიფობა, თქვენის დოვლათით ორმოცის წლის ხარაბა სოფლები აშენდა და ყველა თავის ალაგას წავიდა და ამათგან (ამილახვრის ოჯახისაგან – ე. მ.) კი არა გვეშველა რა. წყალობას ვითხოვთ – ამის სამართალი გვეღირსოს“.*

ერეკლე II-ემ, როგორც არზიდან ჩანს, იესე ამილახვრის ასალაგმავად აღძრულ საჩივარზე სამართალიც და განაჩენიც“ უბოძა, მაგრამ ამან სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. გორის ძარცვაში ოთარ ამილახვარი იესეს საქმეს აგრეძელებდა. რაც მთავარი იყო გორიდან ამილახვრის გასახლება ვერ შეძლეს. უფრო მეტიც, წინა საჩივრიდან ახალ საჩივრამდე განვლილ პერიოდში ამილახვრებს გორში სასახლეც აუშენებიათ. გამწარებული გორელები მეფეს უმტკიცებენ, რომ *„არას დროს ამილახვრიანი გორში არ მდგარიყვნენ, და არც სასახლე ჰქონიყოთ“.*

არზაში, მცირეოდენი ცვლილებებით, გამეორებულია ის უკანონო გადასახადები, რაც ზემოდასახელებულ საჩივარში იყო ჩამოთვლილი, მაგრამ ამჯერად, გორელები უფრო კატეგორიულად მოითხოვდნენ მეფისაგან მათი ინტერესების დაცვას. *„ვალი არ გაძესთ ჩვენი სამართლისა, რომ სამართალი გვიბოძოთ?“* – წყრომით ეკითხებიან ისინი ერეკლეს.

მოურავის და სხვა მოხელეთა თვითნებობით განსაკუთრებით ვაჭარ-ხელოსნები ზარალდებოდნენ. ამიტომ მოურავის წინააღმდეგ მოქალაქეთა გამოსვლას მსხვილი ვაჭრები უბიძგებდნენ. 1789 წლის საჩივარი გორელებმა ერეკლეს მანუჩარ თუმანიშვილის ჩაგონებით მიართვეს[1].

არზაზე მინაწერი ბრძანებიდან ვიგებთ, რომ მეფემ ოთარ ამილახვარს ადრეც უბრძანა ჭალაში გადასახლებულიყო, მაგრამ არ დაემორჩილა. მეფე ახლაც ბრძანებს: *„ამილახვრის გორიდან აუყრელობა არ იქნება. ეს მკა და კალო რომ გათავდეს, უნდა აიყაროს და გორიდამ გამოვიდეს, ჭალას ჩავიდეს და იქ თავის სამკვიდროს სასახლეში დადგეს“.* მაშინ გორელები თავიანთ მოვალეობას პირნათლად შეასრულებენ, რაც ამილახვრების სამოურავო ადევთ, ყოველთვის უკლებლად მიართმევენ. მაგრამ ოთარ ამილახვრის გორიდან გაყვანა ვერც მეფე ერეკლემ და ვერც გორელებმა შეძლეს.

გორელების ამილახვრებისადმი მტრული დამოკიდებულება ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ უფრო გამწვავდა. მეფე გიორგის 1800 წ. 21 სექტემბრის წერილიდან ჩანს, რომ ოთარს მოქალაქენი აღარ ემორჩილებოდნენ და პირდაპირ ემუქრებოდნენ კიდეც. მეფე გორელებს აფრთხილებდა. *„გორის მამასახლისო და გორელებო ამ საქმეზედ თუ რომ ამილახვარს არ ეთანხმებით... არ დაემორჩილენით, ჩვენი მოსისხლენიც იქნებით და კიდეც გადაგახდევინებთ; ნუ ცრუობთ და ნურც ალამაყალაობთ, სწორეს პირით და სწორედ გულით მოიქეცით და ამილახვარ უქომაგეთ ამ საქმეზედ“*[2].

ქალაქში კლასობრივ და სოციალურ წინააღმდეგობებს ამძაფრებდა მეფის სხვა მოხელეთა მოქმედებაც. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი მოქალაქეთა რიგებიდან იყო გამოსული, თავიანთი შემოსავლის გადიდების მიზნით ყოველგვარ უკანონობას ჩადიოდნენ.

---

[1] *საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 174.*

[2] *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, I, с. 153, №77.*

პირველ არზაში, რომელზეც ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ, განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება, რომ *„მამასახლისი შეჰყრია მოურავს ამხანაკათა“* და ამ ორ მოხელეს ისე დაუბეგრავს მოსახლეობა, რომ ქალაქს სამეფო ვალდებულებების შესრულების წელი აღარ ჰქონია.

საბუთში დასახელებული მამასახლისი უნდა იყოს ზურაბ ამირაღაშვილი რომელსაც ცნობილი წყაროს მიხედვით, ეს თანამდებობა ეკავა 1787-1791 წლებში. იმავე მამასახლისის უსამართლო მოქმედებაზეა ლაპარაკი 1789 წ. 29 ივნისის არზაში, როცა ზაალ დავითიშვილი მამასახლისს უჩივის გორში შეხიზნული მისი ყმებისადმი უსამართლოდ მოპყრობის გამო. მამასახლისი მათ გორში დგომის ხარჯს ართმევდა. ერთ-ერთ მათგანს ჯარიდან გათავისუფლებისათვის ფული გამოართვა, მერე დაარბია ჯარში რატომ არ წახვედიო[1].

ვინმე აბელა, მეფისთვის გაგზავნილ საჩივარში (1792 წ.), მოხელეთა დაუნდობლობაზე წერს: *„მომიხდებიან შინა. კარებს მიმტვრევენ და ცოლშვილთან ავად მეპყრობიან... ჩემო ხელმწიფევ, მოხელეებს ბევრჯერ მოვახსენე და შევტირე, ყურს არავინ მიგდებს“*[2].

თავიანთ კლასობრივ თანამოძმეებს როგორ ჩაგრავდნენ მოხელეები, ამის საილუსტრაციოდ გამოგვადგება პაპუნა ჯულაბაშვილის ერთი საჩივარი მამასახლის თაყინაშვილ მელიქ ფარსადანის მოქმედებაზე: *„ღმერთ წინაშე მე პაპუნა გორს არ ვიყავი, გილანს ვიყავი. თაყიანთ მელიქ ფარსადანა მოსულიყო, ჩემი დარბაზის კედელი გივიანთკენ დაექცია და ცხრა ურემი აგური წაიღო. თავის ოთახები გააკეთა უფასურათ“*[3]. 1792 წ. საბუთიდან ირკვევა, რომ გორის მოსახლეობამ არაერთხელ იჩივლა მეფესთან მამასახლის ბაბუას უკანონო ქმედებაზე, მაგრამ მეფე მაინც ცდილობდა მის შენარჩუნებას, საბოლოოდ მეფე იძულებული გახდა ბაბუა გადაეყენებინა და მის მაგიერ ზურაბ ხითარიშვილი დანიშნა[4], რომელიც გორელებისათვის ასევე მიუღებელი იყო. როგორ ასრულებდა თავის მოვალეობას ზურაბ ხითარიშვილი, კარგად ჩანს ერთი წერილიდან. გორელები 1794 წ. 29 იანვარს მეფის კარზე მყოფ გორელ სულთანიშვილს წერდნენ იმ შეწუხებაზე რასაც ისინი განიცდიდნენ მას

---

[1] *ქართული სამართლის ძეგლები, VII, გვ. 815, №849.*

[2] *მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, II, გვ. 247, №342.*

[3] *ჯულაბაშვილების დავთარი, გვ. 214.*

[4] *საქართველოს ეროვნული მუზეუმი, Sd, №389.*

შემდეგ, რაც ხითარიშვილებმა *„მოხელეობა იშოვეს“.* გორელები სულთანიშვილს აცნობებდნენ თავიანთ გასაჭირს და სთხოვდნენ არზა მიართვი მეფესო, *„შენს მეტი გორელი კაცი არავინ არის (მეფის კარზე, ე. მ.) და ვალი გაქვს, რომ ამ ქვეყნისათვის შენც იღწვო“.* როგორც წერილიდან ირკვევა, მეფეს სცოდნია გორის მოქალაქეთა პოზიცია ხითარიშვილისადმი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან მაინც უბოძა მოხელედ დანიშვნის ოქმი. წერილში ვკითხულობთ: *„მანამდე ხითარანი მოხელეობას იშოვიდნენ ერთმანეთს ხოცავდნენ, მოხელეობა რომ იშოვეს, ამხანაკათ შეიყარნენ და ნახევარ ხარკს აღარ აძლევინებენ. თორემ შეიტყობენ ერთხელაც არის. შენ ხომ კარგად იცი ხითარიშვილმა რომ ოქმი მოიტანა მოხელეობისა მაშინვე თავებს ვიხოცდით, მაგრამ ასეთის აზრით შემოგვეტყუა მოხელეთ, რომ ის ოქმიც უცხადებდა, რომ არ მოგვეცადნა არ იქნებოდა, ხომ მოუცადეთ, რაც ქნა აღარ დავდიეთრა და რაც შემატა და მოუარა ამ ქვეყანას გლეჯის მეტი“*[1].

გორელებს მძიმე ტვირთად აწვათ, აგრეთვე, ციხის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ხარჯები. საქმე იქამდე მიდიდოდა, რომ ზოგჯერ მოქალაქენი უარს ამბობდნენ ციხისთავისადმი მორჩილებაზე და კანონით დადგენილ მოვალეობასაც აღარ ასრულებდნენ. მინბაშმა დიმიტრი დიასამიძემ 1794 წ. მეფეს შესჩივლა: *„გორის ციხის დებულების“* მიუხედავად გორელები შეშას აღარ მაძლევენ, რომ მეციხოვნემ ცეცხლი აანთოს და იცხოვროსო[2]. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ დიასამიძე გორიდან გააძევეს, რაც მოქალაქეთა აქტიური მოქმედების შედეგი უნდა ყოფილიყო. დოკუმენტი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გორელების უკმაყოფილებით ისარგებლა ოთარ ამილახვარმა და მინბაშის სახლ-კარს დაეპატრონა. 1795 წ. 29 იანვარს ერეკლემ ამილახვარს უბრძანა, მინბაში *„ციხეში შეუშვი და ციხე ამას დაანებე, რომ თავის მდგომარეობა და საქმე შეასრულოს“*-ო[3]. მაგრამ, როგორც შემდგომი პერიოდის საბუთებიდან ჩანს, მინბაში ციხეში მაინც არ შეუშვეს.

ქალაქში მოხელეების განუკითხავი მოქმედება იმდენად ჩვეულებრივი იყო, რომ ისინი ქალაქის ძარცვაში დაუფარავად ეცილებოდნენ ერთმანეთს. ამის გამო მათ შორის კონფლიქტიც კი ხდებოდა. როცა 1774 წ. ერეკლეს ბრძანებით მდივნებმა სამეფოს ზოგიერთი

---

[1] *გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 132.*

[2] *ქართული სამართლის ძეგლები, VIII, გვ. 254, №241.*

[3] *გაბიჩვაძე ა., გორის ციხე ერეკლე II დროს, გვ. 21, №23.*

მხარე აღწერეს, შარლამის სახით გორში აღებული 5 ხარვარი პურიდან იასე მდივანს არაფერი არგუნეს. ამ უკანასკნელმა მეფეს მიმართა საჩივრით. მეფემ დააკმაყოფილა იასეს პრეტენზია და მდივნებს უბრძანა მისთვისაც მიეცათ წილი[1].

რადგან მოხელეობა შემოსავალს და პრივილეგიებს იძლეოდა, ამიტომ თავადაზნაურობისა და მოქალაქეთა წარმომადგენლები ყოველი გზით ცდილობდნენ ამა თუ იმ თანამდებობის დაუფლებას. ხშირად თანამდებობის მოპოვება ქრთამის საშუალებით ხდებოდა. ქრთამს იღებდნენ როგორც მეფეები, ისე მისი მაღალი რანგის მოხელენი, თავის ადგილას უკვე ითქვა, რომ გორის მოურავობის მისაღებად ქრთამის გაღება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამ მხრივ საინტერესოა თუმანიშვილების მამულებისა და ყმების ნუსხა, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ქრთამის გავრცელებაზე XVIII ს. შუა ხანების ქართლ-კახეთის სამეფოში. თუმანიშვილები ჩამოთვლიან ვისთვის რაში მიუციათ ქრთამი: *„არჩილ მეფის მოჴმარებით, ბევრის ქრთამით, არც მამული წავირთვით, მდივნობაც სულხანს უშოვნა. მამის ჩემის ხანჯალი და ცხენი, შვიდის თუმნის სურა ქრთამად მდივნობისთვის გავიღეთ... ერისთავისა ბარძიმის მოჴმარებით, ბევრის ქრთამით, არა წავირთვით რა... მეფე გიორგი წაბრძანდა იმერეთს, დასტურ ლიპარიტთან ახლდა ჩემის საქმით, მაგრამ მრავალი გაუგზავნე... ერეკლე მეფესთან ბევრი გამივიდა... ახლა კიდევ ერეკლე მეფეს გაჰყევ, ბატონი გაგწყრომოდათ, შენი წილის წართმევა ებრძანა. ქრთამით, სამსახურით ისევ ვიშოვნე და არა წავირთვი რა“*[2].

იყო შემთხვევები, როდესაც მეფეს დაცარიელებული ხაზინა აიძულებდა ვაჭრისათვის ძალით წაერთმია ფული და ამ გზით დაეფარა ესა თუ ის გადაუდებელი ხარჯი. ერთი ასეთი შემთხვევა აღწერილი აქვს მანუჩარ თუმანიშვილს. მეფე გიორგის ბრძანებით, მუხრანის ბატონმა იოვანემ და ფალავანდისშვილმა ელიზბარმა გორში შეიპყრეს მანუჩარი და მისი ძმისწული გივი, მათი სახლები გაძარცვეს, ხოლო ტუსაღები თბილისს წაიყვანეს მეფესთან, რომელმაც 2 ათასი თუმანი მოითხოვა. თუმანიშვილებმა, როგორც იქნა 600 თუმანზე დაითანხმეს მეფე. მან ეს თანხა ლეკთა ჯარს მისცა ჯამაგირათ[3].

---

[1] *საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 137.*

[2] *მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, II, გვ. 171, №135.*

[3] *იქვე, გვ. 142, №197.*

ეკონომიკურად ძლიერ მოქალაქეებს საშუალება ჰქონდათ ეჩივლათ სამეფო კარზე და მხოლოდ ამიტომ ვიცით იმ ანტაგონიზმზე, რაც ფეოდალებს და ქალაქის არისტოკრატიას შორის არსებობდა. პაპუნა ჯულაბაშვილი აღნიშნავს (1730 წ.), რომ მისი გორში არყოფნის დროს *„კოჭლ ამირათ ბატონს რევაზას მოსულიყო, თავისი ძალით დარბაზი დაექცია და ცხრა ურემი აგური წაიღო... ღმერთმან ამისთანა უსამართლო ყოველს ადამიანს აშოროს, რომ ასე მეზობელმა დრო იშოვნოს...*“[1].

მოქალაქის უუფლებობას საინტერესო მაგალითს ვხვდებით იმავე ჯულაბაშვილის თავგადასავალში. პაპუნამ გარსევანიშვილი დავითას სახლში გაიცნო ცხინვალელი ბერი გრიგოლი, რომელსაც ყიზლარში უნდა წაეყვანა პაპუნა და მისი შვილი დავითა. ბერი თვითონ აღარ გაჰყვა და ოსი თარეშა გააყოლა, რომელმაც სხვა ოსებთან ერთად გველეთში დაძარცვა ისინი. მთელ ამ ამბავს ისეთი ელფერი დაკრავს, რომ ჯულაბაშვილების გაძარცვაში გარსევანიშვილი დავითა და გრიგოლ ბერი არაპირდაპირ მაინც მონაწილეობდნენ. გავიდა ხანი, გრიგოლ ბერი კვლავ გორში მოვიდა და მეფე თეიმურაზთან და ერეკლესთან იჩივლა: ჯულაბაშვილ დავითას ერთი გირვანქა ვერცხლი გავატანე თბილისში გასაყიდათ და ფული აღარ დამიბრუნაო. თეიმურაზი და ერეკლე არც კი დაინტერესდნენ მართალს ამბობდა თუ არა ბერი, მაშინვე ამირინდო ამილახვარს უბრძანეს დავითასათვის ფული წაერთმია. ამილახვარმა სისრულეში მოიყვანა ბრძანება.

საინტერესოა, რომ მეფე ზოგიერთი პოლიციური ღონისძიების განხორციელებას ქალაქში მცხოვრებ ფეოდალს ავალებდა. ასე მოხდა, მაგალითად, მაშინ, როცა გრიგოლ ბერის საჩივარი გარსევანიშვილმა გარსევანმა მოიყვანა სისრულეში. დავით ჯულაბაშვილის თქმით, ამილახვარმა *„გარსევანიშვილი გარსევან იასაულათ დამიყენა, და თეთრი გამამართვა, და ბერს მისცა*“[2].

პეტრე დავრეშაშვილმა 1794 წ. 20 მარტს უჩივლა თავის მეზობელს, ტეტია გარსევანიშვილს, რომელმაც სახლთან მისასვლელი გზა წაართვა, ბაღის მორწყვის საშუალებას აღარ აძლევდა, სახლში წყალი შეუგდო, კედელი დაუქცია, ერდოს მილები დაუგლიჯა, ცოლი გაულახა და სხვ.

---

[1] *ჯულაბაშვილების დავთარი, გვ. 215.*

[2] *იქვე, გვ. 216-217.*

მეზობლისაგან შეწუხებულმა პეტრემ მეფესთან იჩივლა. მეფემ იასე ამილახვარს დაავალა სამართლის ქმნა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ტეტიამ ხელი არ აიღო პეტრეს შევიწროვებაზე. პეტრე მწარედ მოთქვამდა: „ეს ზემოხსენებული რომ შერჩა, ახლა ორი პატარა ბიჭი ამისია, ხან ღამითა და ხან დღისითა ერდოს მიქცევენ“-ო. როდესაც სიმართლის დასადგენად გორელები დაკითხეს, ყველამ პეტრეს დაუჭირა მხარი[1].

ქალაქის მოსახლეობის კლასობრივი და შიდაკლასობრივი ბრძოლის სხვა ეპიზოდების გახსენებაც შეიძლება. მაგრამ ის, რაც ითქვა, სრულიად საკმარისია, რათა გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ გორელების დაძაბულ ცხოვრებაზე ბატონყმური ურთიერთობის პირობებში. ბატონყმობის, მეფის მოხელეთა წინააღმდეგ ბრძოლა, ხშირად, შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი რელიგიური, ზოგჯერ კი ეთნიკური ბრძოლის ნიღბით მიმდინარეობდა. სამწუხაროდ, ამგვარი ბრძოლის ამსახველი ქართული დოკუმენტური წყაროები არ გაგვაჩნია. მაგრამ მას რომ ადგილი ჰქონდა გორში და სხვა ქალაქებში, უცხოელებმა შემოგვინახეს საინტერესო ცნობები.

მეფე და ფეოდალური არისტოკრატიის ერთი ნაწილი თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ზოგჯერ კათოლიკებს უჭერდა მხარს და გარკვეულ პრივილეგიებსაც ანიჭებდა. ასეთი შეღავათებით სარგებლობდნენ გორში მოღვაწე მისიონერებიც. მისიონერები მხოლოდ კათოლიციზმის ქადაგებით არ კმაყოფილდებოდნენ, ისინი საჩუქრის, შესყიდვის და სხვა გზებით, ხელში იგდებდნენ მამულებს, ყმებს, საცხოვრებელ და სამლოცველო სახლებს. მისდევდნენ მევენახეობას. ყოველივე ეს იწვევდა მართლმადიდებელთა და გრიგორიანელთა უკმაყოფილებას, რაც ზოგჯერ გამოსვლებში გადაიზრდებოდა. მართალია, ამ საკითხზე დაწვრილებით შემდეგ ვიტყვი (იხ. კათოლიკობა გორში), მაგრამ არ შეიძლება არ გავიხსენოთ პატრების საცხოვრებლის დაწვის, მათი გორიდან განდევნის შემთხვევები, როცა მეფის მიერ პატრებს მათ დასაცავად გატარებული ღონისძიებებიც ვერ შველოდათ. ქალაქის მოსახლეობის გამოსვლა ხშირად მიმართული იყო არა მხოლოდ მისიონერების, არამედ მათი დამცველი მეფისა და ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგაც. ამიტომ მეფე და მისი კარისკაცები, ფეოდალები, იძულებულნი იყვნენ ანგარიში გაეწიათ ქალაქის ვაჭა-

[1] *ქართული სამართლის ძეგლები, VIII, გვ. 262-263, №249.*

რთა და ხელოსანთა მოთხოვნისათვის და ანტიკათოლიკური ღონისძიებებიც გაეტარებინათ.

იმის გამო, რომ ბეგარა-გადასახადების აკრეფა ხშირად აშკარა მძარცველურ ხასიათს ატარებდა, მოქალაქენი შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდნენ მოძალადეებს. ბაქარ მეფის ერთ წერილში, რომელიც შედგენილი უნდა იყოს 1716-1717 წლებში, ნათქვამია, რომ საპოლიციო სამსახურის მეთაურს (ეშიკაღასბაში) გორელებმა დიდი უსიამოვნება მიაყენეს. წერილში კონფლიქტის მიზეზი დასახელებული არ არის, მაგრამ ასეთი მოხელის და მისი ხალხის მისვლას გორში წინ რაღაც სერიოზული ამბავი უძღვოდა. სავარაუდოა, იგი გადასახადების აკრეფასთან იყო დაკავშირებული. ამას მაფიქრებინებს წერილის ის ადგილი, საიდანაც ჩანს, რომ მეფეს საქმის გამოძიება თავლიდარისათვის (საანგარიშო დარგის მოხელე) დაუვალებია: „ჩვენი ბრძანება არის თვალიდარო ფირან, მერმე გორს ეშიკაღასბაშის გივეს აზნაურიშვილები ყოფილან საქმეზე და გორელთ დაულახავთ, დაუჭრიათ, იარაღი აუყრიათ. მიდი მოკითხული ჰქენი. თუ უბრალოდ დაელახოსთ, ვისაც ამათი იარაღი ჰქონდეს, გამოართვი, მოეცი და ექვს-ექვსი თუმანი იმათ ჯარიმა წაართვი და თუ მართლის ჰყოს ეს ამათ ექნასთ, ის გორელი კაცები აქ მოიყვანე, ჩვენ გავიკითხავთ და სამართალს აქ ვუზამთ“[1].

ბატონისა და მოხელის „ურჩობა და უმორჩილობის“ გამო, მეფე ერეკლე II-ის ბრძანებით ამილახვარს გორის ხაროში ჩაუყრია გოგია და გოდერძა ბეჟუას-შვილები, რუისის ეკლესიის ყმები[2]. ცნობილი არ არის, კონკრეტულად რაში გამომჟღავნდა მათი ურჩობა. მაგრამ, ცხადია, მათ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დანაშაული ჩაიდინეს.

იმათ, ვისაც ბატონის წინააღმდეგ საჩივრის წერა ან ხელში იარაღის აღება არ შეეძლოთ და აღარც შექმნილი ვითარების შეგუება სურდათ, დარჩენოდათ ერთი გზა – გაქცევა. ბატონყმობის აუტანელ უღელს გორიდან რომ მრავალი ყმა გაექცა, ამაზე გვაუწყებს ზოგიერთი წყარო. 1697 წ. ბატონს გაექცა ინდოეთში წატურაშვილი[3]. აგრეთვე ჩანს, რომ XVII საუკუნეში და შემდგომ

---

[1] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1448, საბ. 2335.*

[2] *დოკუმენტები, II, გვ. 153, №243.*

[3] *ქართული სამართლის ძეგლები,V, გვ. 101, №141.*

პერიოდშიც მრავალი გორელი გადახვეწილი იყო საქართველოს საზღვრებს გარეთ[1].

სამეფო ხელისუფლება, ბუნებრივია, ცდილობდა კლასობრივი წინააღმდეგობის შესუსტებას და გაბატონებულ კლასს, მოხელეებს კანონიერების დაცვისაკენ მოუწოდებდა. ერეკლე II რევაზ ამილახვარს წერდა: „ხალხი არ შეაწუხოთ და ან არ აჩივლოთ“[2]. უფრო მეტიც, ცოტა მოგვიანებით, ერეკლე გორელების საჩივრით შეშფოთებული, კითხვას სვამს: „ძველთაგან არა ყოფილა და რომელიც უქნელი საქმე არის, ყველა ჩემს დროში როგორ უნდა შემოვიდეს?“[3].

ერეკლემ ქვეყანაში მშვიდობის დასამყარებლად და მტრის მოსაგერიებლად სალეკო 30 შაური და კოდნახევარი პურის გადასახადის შემოღება განიზრახა. გორელი ქეთხუდების თქმით, მეფე კარგა ხანს ქართლისა და კახეთის სასულიერო და საერო წარმომადგენლებთან თათბირობდა აღნიშნულ საკითხზე, რათა მოსახლეობის უკამყოფილება არ გამოეწვია[4].

ერეკლეს სიცოცხლის ბოლო პერიოდში სამეფო ხელისუფლების სისუსტემ იჩინა თავი. მუდმივად მზარდ სახელმწიფო და საბატონო ხარჯებს ბატონიშვილთა თვითნებობა დაემატა. ისინი სხვადასხვა ოდენობის თანხებს უკანონოდ ითხოვდნენ მოსახლეობისაგან.

განსაკუთრებით საინტერესოა ერეკლეს მიერ 1795 წ. გორელებისადმი გაგზავნილი წერილი. მეფე გორის მოსახლეობას მოუწოდებს ყოველი საშუალებით დაიცვან თავი მოძალადე ბატონიშვილისაგან: *„...მერე ომანისშვილი გოგია და ალექსიშვილი იაკობ, რომ იასაულად ბატონს ჩემს შვილს ფარნავაზს გამოეგზავნა, ერთი ექვს თუმანს გთხოვსთ და მეორე სამს თუმანსა გთხოვსთ, ეგენი ორნივ დაიჭირეთ, ან რაც კაცი ახლდეს, თავიანთი თუ ვისიც უნდა იყოს, ყველანი უნდა დაიჭიროთ და ცხენი თუ იარაღი თქვენთვის სულ სახალხოდ მამიცია და მაგათ ყველას თავი გაუტეხეთ, ოთხასოთხასი ჯოხი დაჰკარით. ამის იქითაც თუ ჩემმა შვილებმა და ან შვილიშვილებმა შეგაწერონ რამე, ერთის შაურიდამ ას თუმნამდინა, ნურაფერს ნუ მისცემთ, თუ ძალა მოინდომონ, კაცები კარგად დაუტყიფეთ ისე გაუყარეთ; თუ თქვენზე იარაღი მოინდომონ და იხმარონ იმათ კაცებმა თქვენ ერთისათვის ორი და სამი იარაღი*

---

[1] *იქვე, გვ. 101, №141.*

[2] *საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 136;*

[3] *ქართული სამართლის ძეგლები, VII, გვ. 814, №848;*

[4] *მესხია შ., საისტორიო ძიებანი, III, გვ. 280-281.*

იხმარეთ იმათზედა. გორელებო დიდნო და მცირენო სახასონო, ეკლესიისა და ან სხვისა ყმანო და ხიზანნო და დედაკაცებო! თქვენც ასე ჰქმენით"[1].

მეფის მიერ გატარებული ღონისძიებები სანახევრო ხასიათს ატარებდა. მას აღარც ფეოდალთა თვითნებობის ალაგმვა და არც უკმაყოფილო მოსახლეობის მოთხოვნათა უგულებელყოფა შეეძლო. მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ. გორი მეფე გიორგი XII-ის წინააღმდეგ ამხედრებულ ბატონიშვილებს მიემხრო.

[1] *საქართველოს ეროვნული მუზეუმი, შდ, №494; გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 133.*

ეკონომიკური განვითარება

ხელოსნობა

გორში ხელოსნური წარმოების ამსახველი მასალები მცირეა, მაგრამ ცხადია: მთელი მისი არსებობის მანძილზე ხელოსნობა საკმაოდ განვითარებული იყო. ანტიკურ პერიოდში, როგორც არქეოლოგიური მასალებიდან ჩანს, გორში უპირატესობა ჰქონდა მეთუნეობას, აგურის, კრამიტის, წყალსადინარი მილების და სხვ. დამზადებას. აღნიშნულ სპეციალობათა ხელოსნები გორში მრავლად უნდა ყოფილიყვნენ. გორი მინის, მოჭიქული თიხის ჭურჭლის ერთ-ერთ უძველეს განთქმულ ცენტრად არის მიჩნეული. ასეთი ჭურჭლის დასამზადებელი მასალა – კვარცის ქვიშები გორის მახლობლად, ატენსა და მეჯვრისხევში მოიპოვებოდა[1].

სამშენებლო საქმის საკმაოდ მაღალ კულტურაზე მიგვანიშნებენ გორის ციხეზე მიკვლეული ანტიკური ხანის ნაშთები, სადაც გამოყენებულია ქვა და ალიზ-აგური. ყველაფერი ეს აჩენს ვარაუდს, რომ გორში, ისევე როგორც იბერიის სხვა ქალაქებში, სხვადასხვა სპეციალობის ხელოსნები უნდა ყოფილიყვნენ, სახელდობრ: ქვის მჭდელნი, ქვის მკეთებელნი, კლდის მკაფავნი, ქვის მომჭრელნი[2], ალიზის მჭრელნი, მეთუნეები და სხვანი.

ხელოსნური წარმოება უნდა ამაღლებულიყო ფეოდალიზმის ეპოქის გორში, რადგან ახალმა ეკონომიკურმა ურთიერთობამ მეტი სტიმული მისცა. ამ საკითხის ისტორიის შესასწავლად უაღრესად მცირე წყაროები გაგვაჩნია. წყაროთა სიმცირე იმდენად ჟამთა სიავის ბრალი არ უნდა იყოს, რამდენადაც იმისი, რომ გორი თავისი ისტორიის მანძილზე, კერძოდ, საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, უფრო ვაჭრობის ცენტრი იყო, ვიდრე ხელოსნობისა.

შუა საუკუნეების გორის დაწინაურება ეკონომიკური თვალსაზრისით, მისი მნიშვნელოვან ქალაქად გადაქცევა დაკავშირებულია დავით აღმაშენებლის სახელთან. მან ჯეროვნად შეაფასა გორის კარგი გეოგრაფიული მდებარეობა. გორის, როგორც ეკონომიკური ცენტრის, სწრაფად დაწინაურებას ისახავდა მიზნად დავითის მიერ

---

[1] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1, გვ. 24.*

[2] *ჯავახიშვილი ივ., მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 138.*

სომხების გადმოსახლება, რის შედეგად *„გორის ციხე და მასთან მიმდებარე დაბა ქალაქად იქცა“*[1].

გორის ქალაქად გადაქცევა მოდის XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე, როდესაც სამეფო ხელისუფლებამ, ამ ქალაქში ჩატარებული მშენებლობითა და ვაჭართა ჩასახლებით, ეს სტრატეგიული პუნქტი ქალაქის სტატუსში გადაიყვანა[2].

არა გვაქვს მასალა გორში ხელოსნური წარმოების ცალკეული დარგების განვითარებაზე, რომელიც საშუალებას მოგვცემდა თვალი მიგვედევნებინა მისი ევოლუციის ან დაცემისათვის. ჩვენამდე მოღწეულ ცალკეულ საბუთებში მხოლოდ თითო-ოროლა ხელოსანია დასახელებული რაც, ვიმეორებ, ხელოსნური წარმოების განვითარებაზე სრულ წარმოდგენას ვერ მოგვცემს.

„გორის მცხოვრებთა XVIII ს. პირველი ათეულების აღწერის დავთარში“ დასახელებულია შემდეგი ხელობის ხელოსნები: ხურო –3, მჭედელი – 3, ხარაზი –1, მეხლმე – 1, ხაბაზი – 1, მღებარი –1, მეარაყე – 1, სარაჯი –1, კალატოზი – 1[3].

გორში ხელოსნების მდგომარეობაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის 1804 წ. აღწერის მასალები, მართალია, ისინი გვიანდელია, მაგრამ მათი მნიშვნელობა მაინც დიდია. ჩანს, რომ XIX ს. დასაწყისში გორში იყო 27 სპეციალობის 118 ხელოსანი[4].

1802 წ. აღწერიდან ირკვევა, რომ გორში 48 სახელოსნო იყო. დარგების მიხედვით სახელოსნოთა ეს რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდებოდა: ზეინკალთა სახელოსნო – 1, ოქრომჭედელთა – 2, მღებავთა – 9, მეფეხსაცმელეთა – 3, მექუდეთა – 3, თოქმაჩთა – 3, მჩითავთა –11, სხვადასხვა დარგისა – 14[5].

სპეციალობათა მიხედვით, 1804 წ. მონაცემებით, ხელოსნების შემდეგი რაოდენობა იყო: ფეიქარი – 23, მღებავი – 16, მჩითავი – 12, მესანთლე – 7, მჭედელი – 6, მექუდე – 5, მეწაღე – 4, კალატოზი – 3, დალაქი – 3, მებორბლე – 2, დურგალი – 2, მექურქე – 2, მეპურე – 2, მედანე – 1, მეკონდახე – 1, მენაბდე – 1, ქვისმჭრელი – 1,

---

[1] *მეტრეველი რ., დავით IV აღმაშენებლი, თბ., 1986, გვ. 238.*

[2] *აფრასიძე გ., საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქები, თბ., 1984, გვ. 41.*

[3] *ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, I, გვ. 256-265.*

[4] *გსიემ, №7486.*

[5] *სეა, ფ.19, საქ. 51, ფურც. 5.*

მეაღვირე – 1, ვერცხლისმჭრელი – 1, მექოთნე – 1, ყასაბი – 1, დაბაღი – 1, მებაგირე – 1[1]. სულ: 96.

ამ ორი მონაცემით თუ ვიმსჯელებთ, აღმოჩნდება შემდეგი: ხელოსნებს შორის იმდენად გაღრმავებულია ქონებრივი დიფერენციაცია, რომ ყველა ხელოსანს არ ჰქონდა თავისი სახელოსნო. ხელოსანთა რაოდენობა სახელოსნოებზე დაახლოებით ორჯერ მეტი იყო.

ხელოსნების სხვა დარგებთან შედარებით განვითარებული იყო ***სამღებრო*** საქმე. *„სამღებროებსა და ღებვის საქმეს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ფეოდალური საქართველოს მეურნეობაში“*[2]. *„გორის მცხოვრებთა XVIII ს. პირველი ათეულების დავთარში“*[3], რომელიც თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის თითქმის თანადროულია, გორში ასახელებს ერთ სამღებროს, მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელში ჩაწერილია *„შემოსავალი სამღებროებიდან 600 (ახ-ჩა)“*[4], რაც ერთზე მეტ სამღებროზე მიგვანიშნებს.

სამღებრო მოთავსებული იყო გადახურულ შენობაში, სადაც რამდენიმე დიდი სანახევროდ მიწაში ჩაფლული ქვევრი იდგა. ქვევრში წყალს ჩაასხავდნენ და წამალს ჩაყრიდნენ. ცეცხლი ქვევრისაგან მოშორებით იყო გაჩაღებული. ცეცხლიდან ქვევრისაკენ გაყვანილი მილი წყალს ათბობდა. წყალში ნართს ავლებდნენ და ღებავდნენ.

სამღებროში მუშაობდა მღებარი – საღებავის მცოდნე ოსტატი და მღებავი, ე.ი. ის ვინც უშუალოდ ღებავდა. სამღებროების ექსპლოატაცია ფეოდალთა მიერ, ჩვეულებრივ საიჯარო წესით წარმოებდა.

მოიჯარეებად გამოდიოდნენ, როგორც მღებრები, ისე არამღებრები. „მას შემდეგ რაც ჩვენ ვიცით, რომ მღებარი საღებავების მცოდნე ოსტატია, ბუნებრივია დავუშვათ, რომ სამღებროში მღებრებთან უნდა ემუშავნათ მღებავებსაც – ქარგალ-შეგირდებსაც“[5]. დიდ სამღებროში მრავალი თუ არა რამდენიმე მუშახელი მაინც საქმიანობდა. სამღებროს მოიჯარადრეს, რადგან ზოგჯერ თვითონ ოსტატი არ იყო, ოსტატი უნდა დაექირავებინა და შესაფერი ანაზღაურებაც მიეცა. ასეთი ტიპის სამღებრო, როგორც ნ. ბერძენიშვილი

---

[1] *გსიემ, №7486.*

[2] *ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, გვ. 309.*

[3] *ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური განვითარების ძეგლები, I, გვ. 256-265.*

[4] *1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, გვ. 448.*

[5] *ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, გვ. 319.*

ფრთხილად შენიშნავდა, *„უკვე მანუფაქტურაა და არა საშუალო საუკუნეების სახელოსნო“*[1].

სამღებროები, მართალია, იჯარით გაიცემოდა სხვადასხვა პირზე და გარკვეული ვადით, მაგრამ მათ ჰყავდათ ერთი საერთო ზედამხედველი, რომელიც სამღებრო ადმინისტრაციული გამგე იყო და მის მოწყობა-შემოსავლიანობაზე ზრუნავდა[2].

„დასტურლამალის“ მიხედვით, *„ზემო ქართლის მღებართუხუცესი ერთი იმათი უნდა იყოს რიგით“*[3]. ვახტანგ VI გულისხმობს, რომ ზემო ქართლის მღებართუხუცესი გორიდან უნდა იყოს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ „დასტურლამალიდან“ მოყვანილი ფრაზა ჩასმულია პარაგრაფში – „გორისათვის“. საინტერესოა ისიც, რომ სომხითსაბარათაშვილოს და ყაიყულის სამღებროები თბილისის მღებართუხუცესს ექვემდებარებოდა, მაშინ, როცა „ზემო ქართლისა ცალკეა“[4]. ეს მიგვანიშნებს ზემო ქართლის სამღებროთა დიდი მნიშვნელობაზე. მას ცალკე მართვა სჭირდებოდა.

გორის მღებართუხუცესს პირველად ვხვდებით მარიამ დედოფლის წყალობის სიგელზე (იგი შედგენილია 1664 წ. და ნათქვამია, რომ თავისი ვაჟის ოტიას სახელზე აშენებულ მთავარანგელოზის საყდრისათვის გორის სამღებროდან შეუწირავს სანთელი...) დარეჯან დედოფლის მიერ 1771 წ. გაკეთებულ წარწერაში: *„აზე გიბრძანებთ ვინაცავინ დღეის წაღმართ გორის მღებართუხუცესი იქნებოდე, ამ ბეგარას უკლებრად მოსცემდეთ“*[5].

„დასტურლამალიდან“ ვიგებთ, რომ ქართლის სამღებროები მთლიანად სადედოფლო იყო: სადაც სამღებრო არის – ქართლისა თუ საბარათასშვილო, თუ ყაიყულს, სულ სადედოფლო არის“[6]. ნ. ბერძენიშვილი ვარაუდობდა, რომ ეს წესი ძველი უნდა ყოფილიყო[7]. მთელი ქართლის თუ საქართველოს მასშტაბით მტკიცება გამიჭირდება, მაგრამ ეს ვარაუდი გორის სამღებროს მიმართ

---

[1] *იქვე, გვ. 320.*
[2] *იქვე, გვ. 316.*
[3] *იქვე, გვ. 716.*
[4] *იქვე, გვ. 717.*
[5] *გსიემ, №4640.*
[6] *დასტურლამალი, გვ. 717.*
[7] *ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, გვ. 316.*

სავსებით სწორია. ზემომოყვანილი ერთი საბუთიდან ჩანს, რომ გორის სამღებრო მარიამ დედოფლისა იყო[1].

სამღებროები მნიშვნელოვან შემოსავალს იძლეოდა. ამიტომ ფეოდალები მათს ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ, რასაც ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც. XVIII ს. ბოლოსათვის სამღებროთა უმრავლესობას ისინი დაეპატრონენ. დარეჯან დედოფალი 1801 წ. 24 იანვარს დავით ბატონიშვილს სწერდა: *„თქვენ რომ ჩემთვის მოგეწერათ და ჩემს სარჩოდ დაგედვათ: ცხინვალს სამღებრო, გორს სამღებრო, კახეთში სანავარდო და კუჭატანი და თათრებში ასანხოჯალი, გარეთ-უბანს ბაღი და ავლაბარში შამქორელნი და ქართველები, – ამაზე სხვა მოწამე აღარ მეჭირება. შენ კარგად იცი, რომ გორისა და ცხინვალის სამღებროს შემოსავალს პაპი-შენს დროშიაც თითონ შენ და შენი ძმები მტაცებდით და შარშან ხომ გორისა სულ შენ დახარჯე და ცხინვალსაც შენი კაცი დასვი და შენ მოიტაცე; ეს ხომ იცი ამას იქითაც მე იქიდამ არა მამივა-რა და ამისთანა ტყუილით როგორ გამართლდები“*[2].

საბუთიდან ირკვევა, რომ XIX ს. დასაწყისში გორისა და ცხინვალის სამღებროები, მართალია, ნომინალურად დარეჯან დედოფლის საკუთრებად ითვლებოდა, მაგრამ სინამდვილეში, მათზე მისი მონოპოლია აღარ ვრცელდებოდა, ბატონიშვილები დაეპატრონნენ.

გორის სამღებროს თავისი სიდიდითა და შემოსავლიანობით მეორე ადგილი ეკავა თბილისის სამღებროების შემდეგ. იგი დიდ სამღებროთა რიგს განეკუთვნებოდა. 1801 წ. 18 იანვარს დავით ბატონიშვილი გენ. კნორინგს, წერდა, რომ გორის სამღებრო დარეჯან დედოფალს ყოველწლიურად აძლევდა 2000 მანეთს[3]. თვით დარეჯანის თანახმად (1802 წ. 2 მაისი), გორისა და სათარხნოს სამღებროების იჯარა საშუალოდ 1600 მანეთს შეადგენდა[4]. იჯარის რაოდენობა სხვადასხვა გარემოებათა გამო ხან მეტი, ხან ნაკლები

---

[1] *გსიემ, №4640, ფ. 2.*

[2] *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, I с. 204 №171.*

[3] *Тамже, с. 197, №160.*

[4] *ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, გვ. 322, 328. ნ. ბერძენისვილის გამოკვლევით, სათარხნოს სამღებროს საიჯარო ფასი 12 თუმანი იყო. გორის სამღებროს იჯარა იძლეოდა 148 თუმანს. მისი გამოანგარიშებით გორის მოიჯარადრეს სამღებროდან უნდა მიეღო 300 თუმნის შემოსავალი.*

იყო[1]. ძნელია იმის გარკვევა, რომელი თანხაა ზუსტი, მაგრამ უფრო სანდო უნდა იყოს დარეჯანის ნათქვამი, რადგან მას ხელს არ აძლევდა თავისი წლიური შემოსავლის შემცირებული ოდენობით წარდგენა რუსეთის მთავრობისადმი. მისი შემდგომი შემოსავალი რუსეთის მთავრობას ამის მიხედვით უნდა დაედგინა.

როგორც დავინახეთ, გორის სამღებრო დედოფლისა თუ ბატონიშვილთა შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. ამ შემოსავლის დაუფლებისათვის ისინი ერთმანეთს ეცილებდნენ. გორის სამღებროს შემოსავალს იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ახლად გამეფებულმა გიორგი XII-მ თავისი ხაზინის შესავსებად გამოიყენა. დარეჯან დედოფალმა 1798 წ. 22 აპრილს გორელებს უბრძანა: „სამღებროს იჯარიდან არავის მისცეთრა მეფის გიორგის გარდაო“[2]. რა თქმა უნდა, ასეთ ბრძანებას დარეჯანი ხალისით არ გასცემდა.

გორში სამღებროს არსებობა და თანაც მისი დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა იმაზე მეტყველებს, რომ საფეიქრო წარმოება საკმაოდ მაღალ დონეზე უნდა ყოფილიყო. მხოლოდ XIX ს. დასაწყისის მასალებში ვხედავთ, რომ გორში საკმაოდ ბევრი მქსოველი იყო. ისინი, რა თქმა უნდა, საქართველოს რუსეთთან შეერთების 2-3 წლის განმავლობაში ვერ წარმოიშობოდნენ. ქსოვას უკვე დიდი ხნის ტრადიცია ჰქონდა. 1804 წ. გორში 23 ფეიქარი, 12 მჩითავი და 16 მღებავი იყო.

საფეიქრო წარმოების მაღალ დონეზე მეტყველებს 1799 წ. 9 ივნისისი ერთი საბუთი. ჩანს, რომ ეს დარგი სამეფო ხელისუფლების მფარველობას ითხოვდა, რათა სხვადასხვა მოხელეებსა და მოიჯარადრეებს არ შეევიწროებინა. მღვდელ-მონაზონი ბენედიქტე მეფე გიორგის სთხოვს: „თქვენის ბრძანებით დირბს მეჩითები გახლიან, იმათი საბეჭდავიც გორის იჯარადარს ეძლევა; და ცხინვალის იჯარადარიც ემუქრება – მეც წაგართმევო. ორის მიცემა ხომ არ იქნება. და გევედრებით ოქმი გვიბოძეთ, იმ ცხინვალის იჯარადარს საქმე არ ჰქონდეს“.

მეფემ გორის მჩითავთა ინტერესები დაიცვა. მის ბრძანებაში არ ჩანს, დირბის მჩითავთა მიმართ რა გადაწყვეტილება მიიღო. ვფიქრობ, დირებელები მათი სურვილის თანახმად, გორელ მჩითავებთან ერთად ადგილობრივი მოიჯარადრეებს დაუმორჩილა და

---

[1] *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, I, с. 209, №171.*

[2] *საქართველოს სიძველენი, III, გვ. 277.*

მათაც გორელებად მოიხსენიებს: *„ჩვენი ბრძანება არის, რომელიც გორში მეჩითები სხედხართ! მერე რასაც გააკეთებთ მანდ თქვენ, ის გორის ბეჭდის იჯარადარს უნდა დააბეჭდინოთ ხოლმე: და საბეჭდავსაც გორის ბეჭდის იჯარადარს მისცემთ ხოლმე. სხვას საქმე არავისა აქვს თქვენთანა“*[1].

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გორში საბეჭდავის სარგო დიდი ხნის წინათაც არსებობდა. საბუთებში იგი პირველად გვხვდება 1638 წ. სიგელში, რომლითაც როსტომ მეფემ მანუჩარ თუმანიშვილს მისცა საბეჭდავის სარგო[2].

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გორის სამღებრო, მსგავსად სხვა ქალაქების სამღებროებისა, ხაზინის კუთვნილებად გამოცხადდა[3].

ჩვენთვის ცნობილ ერთადაერთ წყაროში დასახელებულია ***მეკარვე*** ხელოსანი. 1636 წ. როსტომ მეფემ გორელ მეკარვე ფარღუზანთ გიორგიშვილი როსტომი გაათარხნა და სამეფო გადასახადებისაგან გაათავისუფლა[4].

ვახტანგ V შაჰნავაზის 1661 წ. წყალობის სიგელიდან ჩანს, რომ გორში ყოფილა ***ჩილინგარის***[5] სპეციალობის ხელოსნები ქამალაშვილები – ფასინა და ამირანი: *„ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ თქუენ, გორელს ქამალაშვილს სუმბატიშვილებს მირიანასა და ძმათა შენსა, ჩუენს ჩილინგარს ფასინასა და ამირანასა“. იმავე საბუთის სპარსულ ანოტაციაში რატომღაც ეს პირები კი არ არიან დასახელებული, არამედ ნათქვამია, რომ სიგელი გაიცა „ოსტატ ფარსადან ჩილინგარისადმი“*[6]. ფარსადანი, როგორც 1659 წ. შაჰნავაზის მიერ გაცემული წყალობის წიგნიდან ჩანს, ქამალაშვილების ძმა იყო. მირიანი ვაჭრობდა და სამეფოში საკმაოდ ავტორიტეტითაც სარგებლობდა. მისი ძმები ჩილინგრები იყვნენ. მეფე ქამალაშვილების „სახლს“ დიდად წყალობდა: *„ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი. – ბრძანებს იგი – და ასრე გათარხნეთ და*

---

[1] *ქართული სამართლის ძეგლები, VIII, გვ. 553.*

[2] *ხეც, Hd, №14434.*

[3] *სამსონაძე მ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX საუკუნის პირველ მესამედში, თბ., 1980, გვ. 286.*

[4] *ხეც, Hd, №1558.*

[5] *სულხან-საბას განმარტებით ჩილინგარი იგივე ზეინკალი, აბჯრის მკეთებელი.*

[6] *ქართულ-სპარსული საბუთები, გვ. 282, №122.*

გათავისუფლეთ, რომე, საჩუენო სათხოვარი და გამოსაღები არა გეთხოებოდეს არა, რასაც მქონებელნი თქვენ იყუნეთ: არა ხარჯი, არა ბაშმალი, არა ულაყი, არა ტიკი და ტომარა, არა საბალახე, არა სამეჯინიბო და საბაზიერო არა სეფობა, არა ჯურუმი და სხვა სათხოვარი, ერთის ჩუენის კარის სამსახურისა და სათათროს საურისაგან კიდე"[1]. აღნიშნული სპეციალობის ხელოსნები დიდად საჭირონი იყვნენ და შესაფერისი პატივითაც სარგებლობდნენ. 1710 წლის საბუთში დასახელებული ფარსადანა საკმაო შეძლებისა იყო. მან ორი დუქანი თაყინაშვილებს მიჰყიდა[2].

1794 წლის ნასყიდობის წიგნში დასახელებულია ***ხურო*** ოსია წატურაშვილის[3], 1705 წლის ყმების ნასყიდობის წიგნში – ***ოქრო-მჭედელი*** სუხინას ძმა მანუჩარ ენდრონიკაშვილი[4]. დემეტრე ამილახვრიშვილისა და მისი სახლისკაცების გაყრის საქმეზე 1766 წ. შედგენილ განჩინებაში დასახელებულნი არიან: ***ნალბანდი*** გაბრიელა ქაცახასშვილი, ***დალაქი*** ზურაბა და ბახუა ***მეჯინიბე*** „უმამულო"[5].

გორელების 1789 წ. საჩივარში ნახსენებია „***მესანთლები***", ე.ი. სანთლის ჩამომსხმელები. იმავე დოკუმენტში დასახელებულია *„ბამბის დართვა, ფეიქრების ნართის შეყრა და მუქთათ მოქსოვა და შეწითლების მუქთათ შეღება*"[6].

ზემოთ მოყვანილი სხვადასხვა წყაროები ნაწილობრივი მაინც გვარწმუნებენ ავთ. თუმანიშვილის ნათქვამში, რომ გორში აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილებს, ოქრო-ვერცხლის სამკაულებს, სპილენძის და რკინის საგნებს და იარაღებს ამზადებდნენ[7].

რა თქმა უნდა, საინტერესოა, არსებობდა თუ არა გორში ხელოსანთა რაიმე ორგანიზაცია. ამ საკითხის შესწავლას ართულებს სათანადო კონკრეტული მასალების უქონლობა.

ხელოსნური ორგანიზაციები, ამქრები, საქართველოს ქალაქებში X–XI სს. გაჩდნენ[8]. რაც შეეხება გორს, აქ ***ამქარი*** მხოლოდ XVII-

---

[1] *იქვე, გვ. 284, №122.*

[2] *დოკუმენტები, II, გვ. 211, №339.*

[3] *დოკუმენტები, I, გვ. 126, №174.*

[4] *იქვე, გვ. 378, №531.*

[5] *ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 521.*

[6] *საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 174.*

[7] *Туманов А. Б., Описание грузинского города Гори, с. 34.*

[8] *მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, გვ. 521.*

XVIII საუკუნეებში ჩანს[1]. გვიანფეოდალურ ხანაში ერთი და იმავე საქმიანობის ადამიანთა გაერთიანებას ***„თაბუნი“*** ან ***„ასნაფი“*** ეწოდებოდა. „ასნაფი“ არაბული წარმოშობის სიტყვაა და არა მხოლოდ ხელოსანთა და ვაჭართა გაერთიანებებს აღნიშნავს, არამედ გაერთიანების ცალკეულ წევრსაც[2].

„ასანაფები“ ნახსენებია გორელების 1787 წ. საჩივარში. ამილახვრისა და მისი კაცებით შევწიროებული გორელები მეფეს მოახსენებენ, რომ „მაგათი ში“შით ბაზარში ასნაფებიც ვეღარ დამდაგარან“- ო. გორელი ასნაფები დასახელებულნი არიან, აგრეთვე, იმავე პერიოდის კიდევ ერთ საბუთში[3].

ამქრის წესდება ერთი სპეციალობის ადამიანთა საქმიანობის მრავალ მხარეს მოიცავდა. მაგრამ ჩვენი მიზანია მხოლოდ გორის ამქრებთან დაკავშირებული მომენტების დაზუსტება. ამქრის მთავარი ეკონომიკური მიზანი ყოველგვარი შესაძლებელი კონკურენციის თავიდან აცილება იყო. ამიტომ იგი თავის რიგებში იღებდა თავისი დარგის ყველა ხელოსანს, განურჩევლად მისი ეროვნულ-რელიგიური კუთვნილებისა. XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს ქალაქების ხელოსანთა და წვრილ ვაჭართა მთავარ კონკურენტს სოფლებიდან მოსული ყმები შეადგენდნენ, რომლებიც თავიანთი საოჯახი ხელოსნური ნაწარმითა და სურსათ-სანოვაგით ვაჭრობდნენ. ადგილობრივი ბაზრის სიმცირის პირობებში, სოფლელი ხელოსნები სერიოზულ კონკურენტებად გადაიქცეოდნენ. სოფლიდან დროებით თუ მუდმივად გადმოსახლებულ ყმა-ხელოსნებს ქალაქის ხელოსან-ვაჭრები აიძულებდნენ გაერთიანებულიყვნენ ამქრებში და საერთო რეგლამენტაციას დამორჩილებოდნენ[4].

გორის ამქრების შესახებ საინტერესო ცნობები შეკრიბა და გამოაქვეყნა ნ. დერჟავინმა[5]. მან აღწერა მჭედელთა, მექვებეთა, ჭონების, თერძების, ხარაზების, მექალამნეთა, ხუროების და დალაქების ამქრები, სულ 8 ამქარი.

---

[1] კუცია კ., ამქრები XVII-XVIII ს.ს. საქართველოს ქალაქებში, თბ., 1984, გვ. 8.

[2] მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, გვ. 521.

[3] მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, გვ.521.

[4] იქვე, გვ. 530.

[5] Державин Н. Н., Следы древнегрузинских цеховых организаций поданным современной этнографии. Язык и литература, ч. 1, вып. 1-2, 1926.

ყოველი ამქრის სათავეში იდგა ***უსტაბაში ანუ მამასახლისი***, რომელსაც ამქრის წევრებიდან – ოსტატებიდან ირჩევდნენ. შეგირდი ამქრის წევრად არ ითვლებოდა.

შეგირდის ოსტატად კურთხევა ხდებოდა შემდეგნაირად: აღდგომის კვირის ორშაბათიდან ამაღლებამდე, ორშაბათობით ამქრები არ მუშაობდნენ, რადგან ეს დღე წვიმის ღმერთის დღედ ითვლებოდა. ამ დღეებში სისტემატურად ეწყობოდა ამქრის საზეიმო „სამხთო“ სადილები. ასეთი სადილის დროს ხდებოდა შეგირდის ოსტატად კურთხევა. უსტაბაში, ოსტატობის თითოეულ კანდიდატს შემოაკრავდა აბრეშუმის სარტყელს და მასში ჩაუწყობდა იმ ხელოსნების ინსტრუმენტებს, რა ხელობისაც იყო ამქარი. უსტაბაში ოსტატებს მიმართავდა: *„შეგირდები პირველად ბაგით დაილოცებიან, ხოლო შემდეგ ჩვენი; მათ ღმერთს და ამქრებს უნდა სცენ პატივი!“*. ამის შემდეგ მიუბრუნდება შეგირდს და ეტყვის: *„იყავ ყველაფერში პატიოსანი!“* და ამ სიტყვებთან ერთად სამჯერ შემოჰკრავს სილას ლოყაში.

შეგირდის კურთხევის შემდეგ ყველა ოსტატი სუფრას მიუჯდება. როცა სადილი მორჩება, ამქარი თავის დროშებითა და მუსიკით ჯერ ბაზარში ისეირნებს, შემდეგ ქალაქს შემოივლის. ამქარი ამ პროცესიით ოფიციალურად აცნობებს მოქალაქეებს შეგირდების მიღებას ამქარში[1].

ამა თუ იმ სპეციალობის დაუფლებისათვის სწავლის ვადა სხვადასხვა იყო. სწავლის ვადას ამქარი ადგენდა. გორის ხარაზების, დალაქებისა და ჭონების სწავლა გრძელდებოდა 3-3 წელიწადს, მექვაბეებისა – 4, მჭედლებისა – 5[2]. საინტერესოა, რომ ერთი და იმავე ხელობის დაუფლებას სხვადასხვა ქალაქში, სხვადასხვა დრო სჭირდებოდა.

გორში სოფლის მოსახლეობისათვის პროდუქციის შემქმნელ ამქრებში სოფლიდან გადმოსახლებული ხელოსნებიც ერთიანდებოდნენ. ქალაქში დროებით გადმოსახლებული ყმა-ხელოსანი სოფელში დაბრუნების შემთხვევაში კვლავ ამქრის წევრად ითვლებოდა. ნ. დერჟავინი თავის ამ მოსაზრებას გორის ***მექალამნეთა*** ამქრის საქმიანობაზე საუბრით ამაგრებს. გორის მექალამნეთა ამქარი სოფლიდან ჩამოსულ ხელოსნებს აიძულებდა, რომ სოფელში დაბრუ-

---

[1] *Тамже, с. 285-286.*

[2] *Тамже, с. 285, 289, 290, 294, 300.*

ნების შემთხვევაშიც ამქრის წევრად დარჩენილიყვნენ და ამქრის წესებს დამორჩილებოდნენ[1].

ამქრული წყობისათვის დამახასიათებელი იყო მფარველი კულტი და ხელოსანთა ემბლემა. გორელი ***მჭედლების*** ემბლემა, ნ. დერჟავინის მიხედვით, „ოფელთ-ფოფელი“ იყო[2]. შ. მესხიას აზრით, „ოფელთ-ფოფელი“ დამახინჯებული „ობელ-თობელია“ და ბიბლიაში დასახელებულ თუბალთა, თაბალთა ტომებს უნდა ნიშნავდეს.

„ასე, რომ ქართველ მჭედელთა და მექვაბეთა (სპილენძის ჭურჭლის მკეთებლებს) ამქრებს თავიანთი ხელობის მფარველად ქართველ ტომთა წინაპრები, უძველეს დროში რკინისა და სპილენძის დამუშავებაში დახელოვნებული თუბალები მიუჩნევიათ“[3].

გადმოცემის მიხედვით, ოფელთ-ფოფელი წმინდანი იყო. იგი შიშველი ხელით იღებდა გავარვარებულ რკინას, ჩაქუჩის მაგიერ მუშტს ხმარობდა, გრდემლი კი მისი შიშველი მუხლი იყო[4].

მექვაბეებს ემბლემად გრდემლი ჰქონდათ, მფარველად კი დავით მარქარს თვლიდნენ[5].

ჭონების (მექუდეთა) მფარველი ენუქ მარქარი იყო[6], ***თერძებისა*** ადამი და ევა[7].

ხარაზების ემბლემა იყო კალაპოტი, მფარველი კი – ილია, რომელიც ადგილობრივი გადმოცემით თვითონაც ხარაზი იყო.

---

[1] *Тамже, с. 296.*

[2] *Тамже, с. 296; მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, გვ. 530;*

[3] *მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, გვ. 561.*

[4] იმავე გადმოცემის მიხედვით, ოფელთ-ფოფელთან ბიჭის სახის უწმინდური სული მივიდა და უთხრა: ამიყვანე მოსწავლედ რათა შენთან ვიყო ყველგან, ქორწილში, დასაფლავებაზე; წახვალ სახლში, მეც შენთან ვიქნები. ერთხელ ოფელთ-ფოფელი სადღაც წავიდა და თავისი პირობა დაავიწყდა, შეგირდი თან არ წაიყვანა. განაწყენებულმა შეგირდ-ეშმაკმა გააკეთა მარწუხი, ჩაქუჩი და ზინდანი (გრდემლი) და ყველაფერი ეს საბერველის უკან დამალა. დაბრუნდა ოსტატი და მუშაობა დაიწყო. როცა მან გავარვარებულ რკინას ხელი მოჰკიდა, დაეწვა. ამ დროს მან იარაღები დაინახა და მიხვდა, რომ მათი გამოყენება შეიძლებოდა. ლეგენდის მიხედვით ყველა ეს იარაღი გახდა მჭედელთა ემბლემა.

[5] შ. მესხია დარჟავინის ცნობებზე დამყარებით, რატომღაც მექვაბეთა მფარველად ოფელთ-ფოფელს თვლიდა.

[6] *Тамже, с.с290.*

[7] *Тамже, с. 293*

მექალამნეთა ემბლემას დაზგა წარმოადგენდა, მათ ერთი რომელიმე მფარველი არ ჰაყავდათ.

დალაქების მფარველი მამა აბრამი იყო[1].

ვაჭრობა

თავისი კარგი მდებარეობის გამო გორი ადრევე მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტად გადაიქცა. იგი სავაჭრო ურთიერთობებში ანტიკურ ხანაში რომ იყო ჩაბმული, ამაზე მეტყველებს გორის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არტეფაქტები, მაგრამ შემდგომი პერიოდის, ვიდრე XII საუკუნემდე, რაიმე წერილობითი ან ნივთიერი წყარო არა გვაქვს. არსებობს მხოლოდ მათეოს ურჰაეცის არაპირდაპირი ცნობა დავით აღმაშენებლის მიერ გორში სომხების დასახლებაზე. ეს იმის დამადასტურებელი უნდა იყოს, რომ გორი მანამდეც ერთ-ერთი სავაჭრო ცენტრი იყო და ანისიდან გადმოსახლებულ სომეხ ვაჭრებს კიდევ უფრო უნდა გაეძლიერებინათ იგი. ქართველი და სომეხი ვაჭრები (ამ უკანასკნელებმა შემდეგში ასიმილაცია განიცადეს ადგილობრივი მოსახლეობასთან, მათი განმასხვავებელი ნიშანი მხოლოდ რელიგიაღა დარჩა), რომლებიც ფეოდალიზმის ხანაში გორელი ვაჭრების საერთო სახელით იყვნენ ცნობილნი, სერიოზულ ეკონომიკურ როლს თამაშობდნენ მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით.

გორის, როგორც სავაჭრო ქალაქის მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, ყველა პერიოდში ერთნაირი არ იყო. მისი ამაღლება და დაქვეითება ძირითადად ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობით იყო განპირობებული.

გორი აღმოსავლეთისაკენ მიმავალი გზით არა მხოლოდ თბილისს, არამედ აღმოსავლეთ ამიერკავკასიასა და ირანთან იყო დაკავშირებული. გორიდან დასავლეთ საქართველოში ორი გზა გადადოდა – ერთი, ცხინვალიდან კვაისის გავლით ჯერ ონში, შემდეგ ჩრდილო კავკასიაში გადადიოდა. მეორე – სურამის უღელტეხილით, კლდეკარის გადასასვლელითა და თეძმის ხეობით გორი დაკავშირებული იყო სამხრეთ საქართველოსთან. 1662 წ. 24 მაისს შაჰნავაზმა გასცა სიგელი, საიდანაც ჩანს, რომ გორს სავაჭრო კავშირი ჰქონდა თითქმის მთელ საქართველოსთან. გორში ასაღებდნენ თავიანთ

---

[1] *Тамже, с. 294.*

საქონელს თბილისიდან, სომხით-საბარათიანოდან, თრიალეთიდან, კახეთიდან, სამცხიდან იმერეთიდან მოსული ვაჭრები[1].

ნ. ბერძენიშვილი გორის ისტორიულ მიმოხვილვაში აღნიშნავდა: *„გორელი ვაჭრები განთქმული სოვდაგრები იყვნენ, მესტამბოლე-მობაღდადენი, ისინი გემქარავნებით გაბედულად სერავდნენ უშორეს ქვეყნების ზღვასა და ხმელეთს, გაჰქონდათ ქართული ნედლეული თუ ნაწარმი და შემოჰქონდათ: ინდური თვალმარგალიტი, ქაშმირის ქსოვილები, სპარსული ფარჩა, ფრანგული ატლასი, ერაყული ფოლადი, ხვარასნის რკინა, სალიანას თევზი, ზეითუნის ზეთი, არაბული ნელსაცხებელი და ათასი სხვ.“*[2]

როგორც ქვემოთ დავინახავთ, გორელი ვაჭრები მოგზაურობდნენ ირანში, ინდოეთში, ოსმალეთში, რუსეთში და მთელ კავკასიაში. იქიდან მოჰქონდათ ჭურჭელი, ქსოვილები, ძაფი და სხვ. გორელმა ვაჭრებმა ქართლში პირველად შემოიტანეს ჩაი და შაქარი[3].

ჟან შარდენი გორის აღწერისას განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას იმაზე, რომ გორის *„მცხოვრებლები ვაჭრობას მისდევდნენ და საკმაოდ შეძლებულნიც არიან. აქ ბლომად და იაფად შეიძლება იშოვო ყველაფერი, რაც არსებობისათვის არის აუცილებელი“*[4].

გორს განსაკუთრებული ადგილი ეკავა შიდა ქართლის ვაჭრობაში. ძირითადად მასთან იყვნენ დაკავშირებულნი საამილახვროს მცხოვრებნი. ისინი აქვე ყიდდნენ საოჯახო ხელოსნურ ნაწარმს და სურსათ-სანოვაგეს და აქვე იძენდნენ საჭირო საქონელს.

XVI-XVIII საუკუნეებში გორში, ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებში, სავაჭროდ მოდიოდნენ ჩრდილო კავკასიელები, კერძოდ, ვეინახები[5].

შიდა ქართლში მოჰყავდათ დიდი რაოდენობით ხორბალი. 1795 წ. რუსეთისათვის მისაყიდად შეწერილი ფქვილის ნუსხის მიხედვით, საამილახვროში დამზადებული 838 ხარვარი ფქვილიდან 400 ხარვარი

---

[1] *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, I, с. 20, №15.*

[2] *ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 290.*

[3] *ჭიჭინაძე ზ., ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობა, გვ. 21.*

[4] *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), გვ. 296.*

[5] *შავხელიშვილი ა., საქართველო-ჩეჩნეთ-ინგუშეთის ურთიერთობა XVI-XVII სს., თბ., 1980, გვ. 86.*

გორზე მოდიოდა[1]. გორი რომ მნიშვნელოვან ხორბლის ბაზარს წარმოადგენდა, კარგად ჩანს ერეკლე II-ის 1795 წ. იულონ ბატონიშვილისადმი გაგზავნილი წერილიდან. მეფის მოხელეებს 500 ხარვარი პური გორში უყიდიათ და 200 ცხინვალში[2]. თუმანიშვილებს საკმაოდ დიდი შემოსავალი ხორბლით ვაჭრობით ჰქონდათ. ისინი ყიდულობდნენ და მოგებით ჰყიდდნენ პურს[3].

გორელებს რომ ბევრი სასაქონლო სოფლის მეურნეობის პროდუქტები ჰქონდათ, ამის მაჩვენებელი უნდა იყოს მოქალაქეთა სწრაფვა მახლობელ სოფლებში მიწების შეძენისაკენ. გორელების მიერ მიწის შეძენის ფაქტები განსაკუთრებით მრავლად XVII საუკუნიდან ვიცით.

1634 წ. გორელმა მანდატურთუხუცესმა თაყა ანდრონიკაშვილმა იყიდა მარიხ ჯავახიშვილისაგან გარდატენს ვენახი – სახასო ზვარი, კოკოზაშვილის მამული და ურიცხს ამიშაშვილის მამული[4]. მაგრამ, როგორც ჩანს, ანდრონიკაშვილებს დასახელებულ მამულებში ნოდარ ციციშვილი ეცილებოდა. საბოლოოდ ანდრონიკაშვილებმა საწადელს მიაღწიეს და 20 წლის დავის შემდეგ დაიმტკიცეს[5].

1671 წ. გორელმა ამირადასშვილებმა მიწა იყიდეს ტინისხიდში პაპუნა ლალასშვილისაგან[6]; ზალინა მეფისაშვილმა 1681 წ. მიწა იყიდა ტოხელ გოგიბასშილისა და სამნია სიმენდასშვილისაგან[7]. იმავე წელს ზალინა მეფისაშვილმა იყიდა სამნია გოგიბასშვილ-სიმენდასშვილისაგან სამკვიდრო მამული[8]. 1686 წ. გორელმა ნასყიდა ბერაძემ და მისმა შვილებმა მიწა იყიდეს ახალდაბელი გიორგი ხოსრუაშვილისაგან[9]. ტინისხიდელმა ზალი ალაშვილმა 1688 წ. თავის სამკვდრო მიწა მიჰყიდა გორელ მამულა ჭუკასშვილს[10]. გორელებს, ალბათ, პირუტყვის საძოვრად, სათიბად და ტყის საჭრელად

---

[1] *მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, III, გვ. 106-107.*

[2] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1448, საქ. 3014.*

[3] *გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 106-107.*

[4] *ხეც, Hd· №1558.*

[5] *იქვე, Hd, №7608-2.*

[6] *იქვე,Hd, №6270.*

[7] *იქვე, Hd, №9430.*

[8] *იქვე, Hd, №9436.*

[9] *იქვე, Hd, №971.*

[10] *იქვე, Hd, №6107.*

სჭირდებოდათ გიორგი XI–ის მიერ 1683 წ. ნაბოძები ზედაველას მთა, ვერის ხევი, სკრის მთა და ბურეთი[1].

წერილობით წყაროებში გორელ ვაჭრებს პირველად ვხედავთ XIV ს. უკანასკნელ მეოთხედში. 1380 წ. დავით მეფემ ოქონის ეკლესიას უბოძა „გორს ვაჭარნი ექვსნი მათითა სახლ-კარითა, ჭურმარნითა და ქულბაქითა“[2]. 1398 წ. ალექსანდრე I-მა მცხეთის სვეტიცხოველს განუახლა გორში მამულებისა და ვაჭრების შეწირულება[3].

არვითარი ცნობა არ გაგვაჩნია გორის ვაჭრების ან ვაჭრობის შესახებ XV საუკუნეში. მხოლოდ ორიოდე საბუთი გვაქვს XVI საუკუნიდან: 1532-1548 წლებით დათარიღებულ მცხეთის სიგელში დასახელებულია გორელი ვაჭარი[4], ხოლო სიმონ I-ის დროინდელ 1559 წ. სიგელში ლაპარაკია სვეტიცხოვლისათვის გორში მცხოვრები ვაჭრების შეწირულობის განახლებაზე[5].

XVII ს. გორში მრავალი ნოქარი იყო[6], იმავე საუკუნის პირველი მეოთხედის ერთ საბუთში დასახელებულია ორი ვაჭარი – მერაბა და უნანა[7]. მდიდარი და გავლენიანი ვაჭარი უნდა ყოფილიყო გორელი დიაკვნიშვილი, რომელმაც სვიმონ I-ის ნეშტი კონსტანტინოპოლიდან საქართველოში ჩამოასვენა. სვიმონის მემკვიდრემ, გიორგი X-ემ და დედოფალმა ნესტან-დარეჯანმა იგი დიაკუნისშვილი სახლეულით გააზატეს და შესწირეს ჯვარის მონასტერს[8].

---

[1] *იქვე, Hd, №1970.*

[2] *გსიემ, №7601/30, ფურც. 2.*

[3] *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, I, с. 2, №1.*

[4] *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, II, გვ. 376.*

[5] *ხეც, Ad, №1572.*

[6] *დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 53.* საინტერესოა, 1627 წ. კათოლიკე მისიონერების მიერ სტამბოლიდან რომში გაგზავნილი ერთი მოკლე ცნობა, რომ ქართველ ვაჭრებს ლიგორნში (ალბათ, ქ. ლივორნო) თავიანთი სავაჭრო სახლი გაუხსნიათ. მათი უფროსი იყო დავითი. მის ორ ამხანაგს მარკოზი და იოანე ერქვათ. *ხეც, თამარაშვილის პირადი არქივი, №1062, გვ. 3.* ეს იტალიური წყარო უფრო სარწმუნოს ხდის ქართველი ვაჭრების შორეულ კავშირებს XVII ს. პირველ ნახევარში.

[7] *მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, 1, გვ. 54.*

[8] *ქართლის ცხოვრება, II, გვ. 537.*

ფართო ვაჭრობას ეწეოდა ქამალაშვილების სახლი. ქამალაშვილი მირიანა მეფის ვაჭრად ითვლებოდა[1]. 1683 წლის სიგელში დასახელებულნი არიან გორელი ვაჭრები: როსტომაშვილები, ალიხანასშვილები, გოგინასშვილები, შიხინასშვილები, გივინასშვილები, ზირაქაშვილები, ჭურიკასშვილები, რომლებიც გიორგი XI-ემ უბოძა დავით ქსნის ერისთავს, მის ძმას რევაზს და ბიძაშვილებს – ლარგველსა და დათუნას[2].

1684 წ. გორის სომხური ეკლესიის მღვდლებმა ტერ-ყაზარამ და ტერ-სტეფანემ მოწყალების სათხოვნელად მოიარეს ასტრახანი, ყიზლარი, მოზდოკი და სოფ. სარაფანი. აღნიშნული ადგილებიდან მათ საკმაოდ დიდი თანხა და საეკლესიო ინვენტარი ჩამოიტანეს[3]. მართალია, ჩამოთვლილი პირები მღვდლები იყვნენ და არა ვაჭრები, მაგრამ მათი მოგზაურობა შემთხვევით ხასიათს კი არ ატარებდა, არამედ გორელი ვაჭრების მუდმივი მიმოსვლის პუნქტები იყო. იქ, ალბათ, კოლონიის მსგავსი ეკონომიურად ძლიერი დასახლებებიც იყო, რომლებსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა გორთან. გარკვეული იმედის გარეშე მღვდლები იმ დროისათვის ასეთ შორეულ, ხიფათიან მგზავრობას არ განიზრახავდნენ.

1697 წ. ერთ სასამართლო საბუთში დასახელებულია გიორგი თუმანიშვილის ყმა წატურაშვილი, რომელიც ბატონს ინდოეთს გაეპარა. სავარაუდოა, რომ ის ვაჭარი იყო. ვაჭარი უნდა ყოფილიყო, აგრეთვე, განჯას მყოფი კაჭკაჭიშვილი, რომელიც წატურაშვილის წყალობით უსიამოვნებას გადაეყარა[34]. წატურაშვილის ინდოეთს გაპარვის ფაქტი მეტყველებს, რომ გორელი ვაჭრებისათვის ინდოეთი უცნობ ქვეყნად არ ითვლებოდა და ინტენსიური მიმოსვლა ჰქონდათ.

შედარებით მეტი წყაროები გაგვაჩნია XVIII ს. გორის ვაჭრობასა და ვაჭრებზე.

გორელი ვაჭარი გაბრიელ ბაიდურაშვილი 1708 წ. განჯაში იმყოფება თავის აზნაურებთან ერთად. მას განჯაში დახვდა ავთანდილ ასტურაშვილი, რომლის სადაურობა არ ჩანს, მაგრამ უნდა დავუშვათ, ისიც გორელი იყო. გაბრიელს ავთანდილის 20 თუმანი და 1 მინალთუნი ვალი ჰქონდა, რომელიც განჯაში გადაუხადა[5].

---

[1] ქართულ-სპარსული საბუთები, გვ. 284, №122.

[2] საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1449, დავთ. 24, საბ. 155.

[3] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, III, გვ. 206, №153.

[4] დოკუმენტები, I, გვ. 101, №141.

[5] ხეც, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №11122, 19.

*

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ სახელგანთქმული გორელი ვაჭრების – ***ჯულაბაშვილების*** კომერციულ საქმიანობაზე.

ჯულაბაშვილების ფართო სავაჭრო საქმიანობაზე უძვირფასესი ცნობები გვაქვს, ე.წ. „ჯულაბაშვილების დავთრის“ წაყლობით. ჩანაწერები იწყება 1722 წლით და ეკუთვნის პაპუნა ჯულაბაშვილს. იქიდან ირკვევა გორელი ვაჭრების მოქმედების ასპარეზი: ისფაჰანი, თავრიზი, გილანი, მაშათი (მეშჰედი) და რეშთი – ირანში; შემახა, დარუბანდი, ყიზლარი – კავკასიაში, სტამბოლი – ოსმალეთში და ასტრახანი – რუსეთში.

დავთრიდან ირკვევა, რომ ჯულაბაშვილები ირანში დაკავშირებულნი იყვნენ არა მხოლოდ ადგილობრივ ვაჭრებთან, არამედ იქ მოსაქმე უცხოელებთანაც. ამ მხრივ გამოკვეთილად ჩანს ვინმე მილთონი, რომელიც, როგორც ვარაუდობენ ფართლეულობით მოვაჭრე ან ფაბრიკანტი იყო[1]. მილთონთან დაკავშირებული იყო ჯულაბაშვილი პაპუნას მამა გოდერძი.

ირკვევა, რომ პაპუნა დაკავშირებული იყო არა უშუალო მწარმოებლებთან, არამედ კომერციულ გაერთიანებებთან – „ფსონი“, „ამხანაკი“. ის თვითონაც ასეთი კორპორაციის წევრად გვევლინება. კორპორაციის წევრები ხშირად სავაჭრო ოპერაციებს ერთად ატარებდნენ. ზოგჯერ კომერციული გაერთიანების წევრების საქონელი პაპუნას მიჰქონდა გასასაღებლად[2].

დავთრის შინაარსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პაპუნას ჩანაწერების ძირითადი მიზანი მისი სავაჭრო საქმიანობის ჩვენება არ იყო. იგი ამ საქმიანობას სულ სხვა ამბებთან დაკავშირებით ეხება.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ „ჯულაბაშვილების დავთარი“ იწყება 1722 წელს პაპუნას ისპაანს წასვლით. სავარაუდოა, რომ პაპუნა ისპაანს პირველად სწორედ აღნიშნულ წელს გაემგზავრა, თავისი მამის, გოდერძის გარდაცვალების შემდეგ. ჩანს, მან არც კი იცოდა თავისი მამის დავალიანების შესახებ. ის ამას პირველად ისპაანში იგებს.

პაპუნას საქმიანობა, დავთრის მიხედვით, შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: 1722 წ. პაპუნა ისპაანში იმყოფება. იქ

---

[1] *ბერძენიშვილი მ., მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, დანართი, თბ., 1957.* XVIII ს. დასასრულს საქართველოში ცნობილი იყო მილთონის ჩითი და თბილისში მილთონის ქარვასლაც კი ყოფილა.

[2] *ჯულაბაშვილების დავთარი, გვ. 209.*

დათუნასაგან იგებს, რომ მილთონს მისი მამის 3 თუმნის ვალის ვექსილი აქვს, მაგრამ არ გამოისყიდა და თავრიზს გაემგზავრა, საიდანაც დათუნას მისწერა: ვექსილს *„თუ ცოტას რამით დაიხსნი მე ყაბული ვარ მეთქი“*[1]. ის თავრიზიდან კვლავ ისპაანს დაბრუნდა და თავისი „ფსონის“, დათუნას, ბინაზე გაჩერდა. პაპუნას მიერ გაგზავნილი საქონელი დათუნას მთლიანად გაესაღებინა და ანგარიში გაუსწორა. პაპუნა როცა მილთონის ვალით დაინტერესდა, დათუნამ აგრძნობინა, რომ მილთონი აღარაფერს არ ითხოვდა. პაპუნამ ეს ისე გაიგო, თითქოს ვალი მის მაგიერ დათუნამ დაფარა. პაპუნა, როცა თავის კომპანიონსა და მეგობარს სთხოვდა მისი კუთვნილი თანხიდან აეღო ის ფული, რაც მან მილთონს გადაუხადა, დათუნა უპასუხებდა: „თუ გიჟი ხარო მე არ მიმიციარა მილთონისათვის, ტყვილათ ხომ ვერა გთხოვო“[2].

დავთარში არ ჩანს როდის დაბრუნდა პაპუნა გორში. 1728 წ. ის გილანშია, ხოლო 1729 წ. თებერვალში გორიდან თბილისში ხოჯარბეგთ დათუასშვილს იარალის ორი თოფი მარმარი გასაყიდად გაუგზავნა. იარალი ცოლითურთ გორში ჩამოვიდა. აღმოჩნდა, მას პაპუნასათვის მისაცემი თანხა დახარჯოდა, მეოთხე დღეს თვითონაც გარდაიცვალა. ამგვარად, პაპუნამ რვა მინალთუნი იზარალა.

იმავე წელს, ასტრახანს მიმავალ პაპუნას ტატოანთ ოთარამ „ყალამი და ხუთი ჯეჯიმის პირი და სამი წავი“ გაატანა. პაპუნამ აღნიშნული საქონელი ასტრახანში გაყიდა და გილანს წავიდა. აქვე საინტერესოა, რომ ოთარა გორში კი არ იჯდა უსაქმოდ არამედ მეშჰედს წავიდა. პაპუნა გორში დაბრუნდა, შემდეგ რეშტს გაეშურა, ოთარას შეხვდა და მისი კუთვნილი ფული გადასცა. ფულის გადაცემა მოხდა რეშთში, სხვა გორელი ვაჭრების თანდასწრებით. ესენი იყვნენ: მირიანთ რამაზას-შვილი გივიბეგი (პაპუნა სხვაგან გივიბეგის მაგიერ გივინას ამბობს), ოთარის სიმამრის შვილი ელიზბარა, აბელის ძმა დავითი, საჰაკაანთ ფარსადანა, ინგოასშვილი ღვთისავარა და ყანდინა[3].

1735 წ. პაპუნა თავის „ამხანაკ“ მუშრიბის-შვილი ნასყიდას შვილ ოსეფასთან ერთად გილანს გემით გაემგზავრა, ხოლო 1737 წ. შემახიაში იმყოფებოდა, სადაც მან და მისმა კომპანიონმა ალავერდამ გაყიდული საქონლის ანგარიში გაასწორეს.

---

[1] *იქვე, გვ. 213.*
[2] *იქვე, გვ. 214.*
[3] *იქვე, გვ. 214-215.*

1752 წ. 24 მაისის ჩანაწერებიდან ვიგებთ, რომ პაპუნა და მისი ვაჟი დავითი რუსეთიდან გორს დაბრუნდნენ.

1754 წ. მამა-შვილი კვლავ რუსეთს გაემგზავრა გველეთის, სტეფანწმინდის და ყიზლარის გავლით. მათი მეგზური იყო ოსი თარეშა, ვისი წყალობითაც ისინი გაძარცვეს და მუხრან-ბატონისათვის შეძენილი სხვადასხვა საგნები წაიღეს.

ზემოაღნიშნულის გარდა, პაპუნას 1723 წლიდან 1735 წლამდე პერიოდში თავრიზში და შემახაში უმოგზაურია[1].

1754 წ. შემდეგ პაპუნა, ალბათ ასაკის გამო, შორეულ მოგზაურობას ერიდებოდა. მისი საქმე დავითმა გააგრძელა. 1754-1758 წლებს შორის პერიოდში დავითმა მარტომ მოიარა ყიზლარი. 1758 წ. გორში მოვიდა გრიგოლ ბერი და მეფეებთან – თეიმურაზთან და ერეკლესთან იჩივლა: „ჯულაბაშვილს დავითასო, ერთი გირვანქა ვერცხლის ძაფი მივეციო, ამანათათო, წაიღებს ქალაქს გაყიდისო და თეთრი გამომიგზავნოსო“. თეიმურაზმა და ერეკლემ ამირინდო ამილახვარს უბრძანეს ბერი დაეკმაყოფილებინა. დავითს ფული გამოართვეს და ბერს მისცეს.

ჯულაბაშვილებს კავშირი ჰქონდათ თბილისთან და ცხინვალთან.

თბილისთან ვაჭრობით მხოლოდ გორელი ვაჭრები არ იყვნენ დაინტერესებულნი. ზოგიერთი წყაროს მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ გორში ვაჭრობის ბაჟისაგან გათავისუფლება თბილისელი ვაჭრებისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი სამეფო წყალობა იყო. 1649 წ. როსტომ მეფემ გორში სავაჭრო ბაჟისაგან გაათარხნა ხუდადა აშანმაშანაშვილი[2], ხოლო მარიამ დედოფალმა „გორში ბაჟისაგან“ ერთდროულად გაათავისუფლა ტატუნაშვილები, ამირანაშვილები, ბეგლიკაშვილები, სარუხანა ნოდარაშვილი[3].

პაპუნა ჯულაბაშვილი განსაკუთრებით ისპაანთან იყო დაკავშირებული. 1722 წ. ჩანაწერში ნათქვამია: „მას უკან ათჯერც წავედი ისპანს“-ო[4]. ისპაანში პირადად წასვლის გარდა, პაპუნა ხშირად ამანათებს აგზავნიდა თავის კომპანიონ ხოჯაბეგთან და მოგების გარკვეულ ნაწილსაც აძლევდა. პაპუნა ფულს მუდმივად ამოძრავებს. ისპაანში მიღებულ თანხას ის იქვე საქონლად აქცევს და საქარ-

---

[1] *იქვე, გვ. 217-218.*

[2] *ხეც, Hd, №5306.*

[3] *იქვე, Hd, №765.*

[4] *ჯულაბაშვილების დავთარი, გვ. 214.*

თველოში მოაქვს ან აგზავნის. ასევე იქცევა პაპუნა ასტრახანსა და სხვა ქალაქებში.

ერთი გარემოებაც იქცევს ყურადღებას. ჯულაბაშვილები, როგოროც ჩანს, სავაჭრო საქმეში დასაბანდებელ ფულად რესურსებს საკმაო რაოდენობით არ ფლობდნენ. ისინი იძულებულნი იყვნენ არა მხოლოდ თავიანთი თანხების მობილეზაცია მოეხდინათ, არამედ ვალებიც აეღოთ. უცხოეთში მიმავალი ჯულაბაშვილები იმდენსაც ვერ ახერხებდნენ, რომ ოჯახისათვის საარსებო აუცილებელი ფული დაეტოვებინათ. ოჯახი ვალებს იღებდა იმ იმედით, რომ სარფიანი სავაჭრო მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ ოჯახის თავი გადაიხდიდა.

ფულს ზოგჯერ იმ ქვეყნებში მოსიარულე ვაჭრებისაგან სესხულობდნენ, სადაც ოჯახის მეთაური დაიარებოდა. ასე, რომ ვალის გადახდა ხშირად უცხოეთში ხდებოდა. ჯულაბაშვილების ჩანაწერებში ვკითხულობთ:

„ქ. ჯაშინას-შვილს ბეჟანს მივე, მამაჩემის ბარათი მამიტანა თავრიზს.

ქ. კიდევ მამულას-შვილმა მანუჩარმა ბარათი მამიტანა თავრიზს, მივე ჭ ხუთი მინალთუნი. რომანგს ქორწილის მივე თეთრი ე˜ (5 თუმანი)*[1].

ქ. კიდევ მამულას-შვილმა მანუჩარამ ბარათი მამიტანა თავრიზს, მივე ჭ 5 (მინალთუნი).

ქ. კიდევ რამაზამ ბარათი მამიტანა თავრიზს, მივე ა (1).

ქ. კიდევ შამახიას ბარათი მამიტანა ტულუკას (?) შვილმა, მივე ჭ (5 მინალთუნი)“.

პაპუნა, უმეტესწილად, გორში დაბრუნების შემდეგ იხდიდა ვალს.

„ქ. ურუმობას მოვედი გორს. გივიანთ გოდერძისაგან აეღოთ, მე პაპუნამ მივეცი ბ˜ (2 თუმანი).

ქ. კიდევ მამაჩემიოსაგან აეღოთ თამასუქით მივეცი ა˜ (1 თუმანი).

ქ. დოლმაზასაგან აეღო მამაჩემს თამასუქით ვალი, მე პაპუნამ მივეცი გ˜ (3 თუმანი).

ქ. კიდევ მენაღრის შვილის ცოლისაგან აეღოთ ვალი, მივეცი ა“ძ (13 მინალთუნი)

ქ. კიდევ გულიშაბართ მოლოზნისაგან აეღოთ გორს, მივეცი ა˜ (1 თუმანი).

---

[1] რიცხვებზე გადაყვანა ჩემია.

ქ. ალელს ბადურ-ბეგის თამასუქის ვალი მივეცი დ˜ (4 თუმანი).

ქ. კიდევ ალელი ხუციშვილის საჰამარასაგან აეღოთ მივეცი ა˜ (1 თუმანი).

ქ. კიდევ ჯაშინას-შვილის ვალი როსტომასი მივეცი ხ (6 მინალთუნი).

ქ. კიდევ ჯაშინას-შვილის როსტომასაგან აეღოთ ვალი, მივეცი ფქ (10 შაური და 3 აბაზი).

ქ. კიდევ ოთარს ვალი მივეცი ა˜ძ (13 მინალთუნი).

ქ. კიდევ თუმანიშვილის ალხაზას ვალი მივეცით ბ˜ჭ (15 მინალთუნი).

ქ. კიდევ გორს პატრი უფროსისაგან აეღოთ ვალი, მივეცით ა˜ (1 თუმანი). თასი გირაოთ ქონდა გამოვართვი.

ქ. კიდევ მამაჩემს აეღო ღვთისავარას ცოლისაგან ა˜ (1 თუმანი)“[1].

ასეთსავე მდგომარეობაში იქნებოდნენ სხვა გორელი ვაჭრებიც, რომელთა საქმიანობაზე ცოტა რამ ან საერთოდ არაფერი არ ვიცით, ან ზოგიერთი მათგანის მხოლოდ სახელია ცნობილი. „ჯულაბაშვილების დავთარში“ დასახელებულია: „ჯულაბაშვილი გოდერძას, პაპუნას და დავითის გარდა – ხოჯა-ბეგთ დათუნა, ტატოანთ ოთარა, ელისბარა, მირიანთ რამაზას-შვილი გივიბეგი, აბელის ძმა დავით, საჰაკაანთ ფარსადანა, ინგოას-შვილი ღვთისავარა, ყანდინა, მუშრიბის-შვილი ნასყიდას შვილი ოსეფა, მაგუ ამირაღათ ალავერდა, ჯაშინას-შვილი ბეჟან, მამულას-შვილი მანუჩარა, რამაზ, ტულუკას შვილი. ისინი საერთაშორისო ვაჭრობაში იყვნენ ჩაბმულნი და აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც საქონლის შეძენაში, ისე მის რეალიზაციაში.

* * *

გორის ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ***თუმანიშვილები*** ასრულებდნენ. ისინი ცნობილნი იყვნენ საზღვარგარეთ მოვაჭრეებად. უცხოეთიდან შემოტანილი საქონელი მათ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში გაჰქონდათ. იმის გამო, რომ ფეოდალური ქვეყნისათვის დამახასიათებელი ბაჟები ვაჭრობას აფერხებდა, ვაჭრები ამ დაბრკოლების გადალახვას მეფის შეწევნით ცდილობდნენ. 1649 წ. როსტომ მეფემ თუმანიშვილების თხოვნა დააკმაყოფილა, ვაჭრობაში დასაქმებული მათი ყმები ბაჟის გადახდი-

[1] *ჯულაბაშვილების დავთარი, გვ. 217-218.*

საგან ნაწილობრივ გაათავისუფლა: „ესე წყალობისა წიგნი გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერდგულთა ყმათა თუმანიანთ მამუკაშვილთა და მამავალთა სახლისა თქუენისათა, მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა თქუენის სათავნოსა და თქუენის ყმის აშანმაშანაშვილის ხუდადასა, ყაზარასა და პაპიას სათარხნეს დაგუიაჯენით, ჩუენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, ასრე გათარხნეთ, რომე სამოცის თუმნისა, რაგინდა რა სავაჭრო მოქალაქემ თქუენმა ყმებმან ამგზავროს ჩუენს საბატონოში, არა ქალაქს, არა გორს და არა სხუაგან ბაჟი არ ეთხოვებოდეს ამ საქმითა, რომე სხუის კაცის საქონელი არ იმისნოს ამ სამოცს თუმანს გარდაისად და არც ამისგან ნამეტნავი არონინოს“[1].

სიგელში დასახელებული აშამნაშანაშვილი ხუდადა და პაპია მამუკა თუმანიშვილის სავაჭრო აგენტები უნდა ყოფილიყვნენ. ისინი არა მხოლოდ მამუკას უცხოურ საქონელს ასაღებდნენ, არამედ ქართულ ხელოსნურ ნაწარმს და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებსაც ყიდულობდნენ, ერთ ნაწილს საზღვარგარეთ გასატანად ამზადებდნენ, ხოლო მეორე ნაწილს ადგილობრივ ბაზარზე ყიდდნენ.

თუმანიშივლების დუქნებში, 1796 წ. მონაცემებით, 459 სახის საქონელს მოითვლიდნენ[2].

გორში საფეიქრო ნაწარმით ვაჭრობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მანუჩარ თუმანიშვილი. მანუჩარის ხელით შედგენილი 1788 წ. 10 აპრილის ორი საბუთიდან ვიგებთ ზოგიერთი საქონლის სახეობას, რომლებიც თუმანიშვილების დუქნებში იყიდებოდა: „ყალამქარი“, „გუჯრათის ბოხჩა“, „წითელი შალი“, „მწვანე მუნგის ხელსახოცი“, „წითელი მუნგი ხელსახოცი“[3].

XVIII ს. დასასრულს (მხოლოდ ამ პერიოდის დოკუმენტები გვაქვს) თუმანიშვილები საკმაოდ დიდ კაპიტალს ფლობდნენ. მანუჩარ მდივნის და მისი სიმამრის აღა-სტეფანას ანგარიშის წიგნიდან, რომელიც 1795 წ. ნოემბრით იწყება, ჩანს, რომ სიძე-სიმამრს კარგად ორგანიზებული ვაჭრობა ჰქონდათ გაჩაღებული. სიმამრი სხვადასხვა სახის საქონელს უგზავნიდა მანუჩარს, რომელიც გორში და შიდა ქართლში ასაღებდა. მანუჩარისა და მისი სიმამრის საამხანაგო თანხა 835 თუმანს შეადგენდა. მანუჩარს სხვა ამხანაგებიც ჰყავდა:

---

[1] *საქართველოს სიძველენი, III, 546, №568.*

[2] *გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 207.*

[3] *მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის III, გვ. 228, 231, №№165, 166.*

ბაზაზა ჰაიროსეფაშვილი, აში მელიქოვი, არაქელა ტერ-ასატურაშვილი, აკოფა აზიზაშვილი და სხვ[1].

თუმანიშვილებს, როგორც საქართველოს ქალაქებში, ისე მის ფარგლებს გარეთ თავიანთი ვაჭრები ჰყავდათ, რომლებიც ქართულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებსა და ხელოსნურ ნაწარმს ყიდდნენ, ხოლო ადგილზე შეძენილ საქონელს გორში უგზავნიდნენ თუმანიშვილებს და აქ ასაღებდნენ. მანუჩარ თუმანიშვილისა და მისი ამხანაგების აბი მელიტოვისა და აღა სტეფანას ანგარიშებით 1794 წ. ასტრახანში იყო „ორასი თუმანი რუსის შავი ფული“[2].

მდივანი სულხან თუმანიშვილი ერეკლე II-ს ნდობით სარგებლობდა. ის მეფის მიერ მიცემულ თანხებს აბრუნებდა და, ალბათ, გარკვეულ სარგებლესაც იღებდა. 1796 წ. შედგენილ სულხან თუმანიშვილის საწინააღმდეგო საჩივარში უკმაყოფილო მომჩივანი მეფეს მიმართავს: „ოთხასი თუმანი ერთი აქვს თქვენი, რვაასი თუმნის ოქრო მოზდოგს მოუვიდა და ორასი თუმანი თქვენ დაგტყუათ. სანატრელის ბატონიშვილის ლევანის ანგარიშია იმათთან და იმდენი მიბლაყი გასყიდული მორიგე... ასეთს რას მოგართმევენ, რომ თქვენი სარქისა არ იყო?“[3]

თუმანიშვილების ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა პურს[4].

* * *

გორელი კათოლიკური სარწმუნოების ვაჭრების ვინაობა და საქმიანობა სპეციალურად შეისწავლა ზ. ჭიჭინაძემ და ქვეთავად მოგვეცა თავის ნაშრომში. რადგან აღნიშნულ საკითხს ვერაფერს დავუმატებ, ამიტომ ზ. ჭიჭინაძის ნაშრომის ერთი პარაგრაფი – „გორის ქართველ კათოლიკეთ ვაჭრები XVIII საუკ. ბოლომდე“ – მომაქვს უცვლელად.

„ზუბალაშვილები, ანდრია, ივანე, გიორგი, მერაბი და სხვანიც მრავალნი. ამათ ვაჭრობა აქვნდათ ძველთაგან როგორც გორის მკვიდრთ. სცხოვრობდნენ და ვაჭრობდნენ.

ხოსროაშვილები, დღეს ხოსროევნი, ძველნი ვაჭარნი.

---

[1] *მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის III, გვ. 261-262; გვირიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 109.*

[2] *გვირიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 108.*

[3] *საქართველოს სიძველენი, III, გვ. 334, №347.*

[4] *გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 108.*

ყანდინაშვილები, ზოგნი გააზნაურებულნიც, ცნობილნი ვაჭარნი, დღეს ყანდინოვი.

დავრიშაშვილები, ცნობილნი ვაჭარნი ძველის ძველთაგანვე. ამათი შთამომავალნი დღესაც სცხოვრობენ გორს.

მებურნეთესშვილები. შემდეგ დაწინაურებულან. ვინაიდგან ახალი გაფრანგებულნი იყვნენ და პატრები ეხმარებოდნენ.

ალპაპაშვილი. გამოჩენილი გვარი ვაჭრობის მხრით ძველადგანვე.

ამირაღაშვილები. დღეს ამირაღოვი, კათოლიკობას ძველადგანვე დაკავშირებულნი. ვაჭრობით განთქმულ იყვნენ მთელს ქართლში და უცხო ქვეყნებშიც მგზავრობდენ.

შიხინაშვილები. მოხსენიებულნი არიან როგორც წარჩინებულნი ვაჭარნი გორში და მის მიდამოებში[1].

სააკაშვილები. ცნობილნი იყვნენ მეფე ერეკლეს წინაშე და კარგის ვაჭრობის გამო მრავალნაირად პატივცემულნიც და სხვაფრივადაც დაწინაურებულნი. ეს გვარი გორში ძველთაგანვე იქნა სახელდებული: ზოგნი ტერ-სააკოვათაც იტყვიან სააკაშვილებს, ზოგნი – სააკაძეთ, სააკოვათაც, რადგან ერთ იმათგანს სააკა რქმევია სახელად.

ყორხმაზისშვილები. ცნობილი ვაჭარი და მასთან შეგნებულიც.

ანტონაშვილი. ანტონოვი დღეს, იყვნენ ცნობილნი ვაჭრები. კათოლიკებს გარდა სომხებიც არიან ანტონოვებში. ზურაბ ანტონოვი სომხის სჯულის იყო.

---

1 ბეჟან შიხინაშვილის კომერციული საქმიანობისა და დაღუპვის შესახებ ვიგებთ ერეკლე II-ის მიერ ს. დ. ბურნაშევთან გაგზავნილი წერილიდან (1784 წ. 24 მაისი).

ბეჟან შიხინაშვილი ანდრეეკვაში წავიდა. თავისი საქონლის გაყიდვის შემდეგ, მან ადგილობრივი ბეგისაგან ენდროს საღებავის იჯარა აიღო იმ პირობით, რომ ვაჭარი თუ ზარალს განიცდიდა, ბეგი აანაზღაურებდა. ბეჟანმა ეს ხელშეკრულება ყიზლარში გადააგზავნა. გარკვეული დროის შემდეგ ბეჟანი ლეკებმა მოკლეს. მთელი მისი ქონება კი ანდრეევკაში დარჩა. ერეკლემ ს. დ. ბურნაშევს სთხოვა დახმარებოდა ბეჟან შიხინაშვილის მემკვიდრეებს, რათა ბეგმა შეასრულოს თავისი წერილობითი პირობა, მათ გარდაცვლილის ქონება დაუბრუნოს და ზარალიც აუნაზღაუროს. *Межкавказскией политические и торговые связи Восточной Грузии (конец 60-х начало 90-х годов XVIII в.). Документы и материалы, I вып. // Материалы подобрал и подготовил к печати В. Н. Гамрекели, Тб., 1980, ‹. 171.*

მისდურაშვილები. იყვნენ დიდი პურისა და ხორაგეულის პატრონ ვაჭრები ძველად.

ხუდადელი. ანუ ხუდადოვი დღეს, ზოგნი სომეხნიც არიან მხოლოდ სჯულით.

ამირაანი. ძველადგანვე ვაჭრები, ცნობილი კათოლიკენი. ზოგი სომეხია ამათ გვარში.

დიარაშვილები. ზოგნი კათოლიკენი არიან და ზოგნი სომეხნი, ვაჭრობას მისდევდნენ ძველათგანვე.

მამუჩარაშვილები. ძველნი ცნობილნი ვაჭარნი ჩითეულობით და ბაზაზობით.

ჩარჩიშვილი. დღეს ჩარჩიევათ წოდებულნი, ამათ შთამომავალნი ძველადგანვე ცნობილნი გორში ბაზაზობით და წვრილმან ვაჭრობით, ცნობილნი მეფე ერეკლეს წინაშეც.

ალიბეგაშვილები. მესხეთიდან მოსულნი გორს და წინ წასულნი ვაჭრობით. ცნობილნი მეფე ერეკლეს წინაშეც.

სტეფანიშვილები. ცნობილნი შეძლებულნი ზარაფნი გორში და მის მიდამოებშიც. იყო მეფის წინაშე ცნობილი 1775 წლიდამ.

მურადაშვილები. განთქმულნი ვაჭარნი გორში სხვადასხვა სანოვაგით. დღეს მურადოვები, მესხეთიდგან მოსულნი გორს ძველადგანვე.

თავლიდარაშვილები. წვრილმან საქონელთა ვაჭარნი და შეძლებულნი თავის დროის კვალად მავალნი სპარსეთსა და ოსმალეთსაც საიდანაც საქონელიც შემოჰქონდათ.

ქურქიშვილები. ცნობილნი ძველთგანვე გორში ქურქჩის ხელობით და მერე თფილისსაც გადმოსულნი ამათ სახლი კაცები.

ფირუმაშვილები. დღეს ფირუმოვები. ძველთაგანვე დაკავშირებულნი კათოლიკობასთან. ცნობილნი ვაჭრობით მთელ საქართველოში. ფირუმოვები სომეხნიც არიან.

ჭარაშვილები. დღეს ჭარუოვი, ძველთაგან ვაჭრობით ისე წავიდნენ წინ, რომ მეფეთაგან მათ ამის გამო აზნაურისშვილობაც ებოძათ.

გვარამდივნიშვილები. ძველის ძველნი ვაჭარნი, განთქმული აღებმიცემით და სპარსეთიდან ქაღალდის შემომტანი.

ბაქრაძე. XVII საუკ. გაფრანგებულნი და ცნობილნი ვაჭარნი XVIII საუკ. გორში.

ბერბუკაშვილები. ძველნი ვაჭარნი და ცნობილნი როგორც უცხო სახელმწიფოებში მავალნი. კარგი აღებ-მიცემის მქონნი“[1].

გორში მრავლად იქნებოდნენ მეწვრილმანე ვაჭრები, რომელთა საქმიანობა შიდა ქართლის სოფლებით შემოიფარგლებოდა.

გორში მოდიოდნენ და მუდმივად სახლდებოდნენ ვაჭრები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან. ცნობილია ასეთი გადმოსახლების შემთხვევები თბილისიდან[2], ახალციხიდან. ასევე ცნობილია გორელი ვაჭრების საკუთარი სურვილით დროებით ან მუდმივად გადასახლება თბილისში, ქუთაისში. XVIII საუკუნეში გორიდან ქუთაისში გადასახლდნენ იაკობ ზუბალაშვილი, იოსებ ანდრონიკაშვილი, ოზურგეთში – თუმანიშვილები[3].

* * *

სავაჭრო საქმეს საკმაოდ მაღალი დონის მაჩვენებელია ისიც, რომ XVIII საუკუნეში გორის კათოლიკთა შორის, როგორც ზ. ჭიჭინაძე წერს, ცნობილია ორი შეძლებული ზარაფი[4]. ისინი კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში გავრცელებული მონეტების მიმოქცევას უწყობდნენ ხელს. ზ. ჭიჭინაძე ასახელებს ორივე ზარაფის გვარს. ესენი იყვნენ სტეფანეს შვილი და ზარაფიშვილი. ზ. ჭიჭინაძე სავსებით სწორად ვარაუდობდა, რომ სხვა სარწმუნოების ზარაფებიც იქნებოდნენ გორში. ამაზე შარდენიც მიუთითებს. ის 1673 წ. იანვარში სპეციალურად დარჩენილა გორში, რათა ოქრო გადაეცვალა ადგილობრივ ფულზე[5]. საგულისხმოა ზარაფების არსებობა გორში XV საუკუნეშიც. ამას გვაფიქრებინებს 1935 წ. გორში შემთხვევით აღმოჩენილი დიდი რაოდენობით (დაახლოებით 10 000 ცალი) ვერცხლის წვრილი ფული მოჭრილი XV საუკუნეში. ფული ჩამარხული უნდა იყოს 1485-1505 წლებს შორის[6].

---

[1] ჭიჭინაძე ზ., ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობა, ტფ., 1905, გვ. 23-25.

[2] ხელნაწერთა ეროვნული ფონდი, დ, №1499; ზ. ჭიჭინაძე, ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობა, გვ. 24, 28.

[3] ჭიჭინაძე ზ., ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობა, გვ. 36, 40, 49, 89.

[4] იქვე, გვ. 21.

[5] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 288.

[6] ვრცლად იხ. კაპანაძე დ., XV ს. ქართული ფულის გორის განძი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1940, ტ. X- , გვ. 279-304.

ამგვარად ჩვენამდე მოღწეული პირდაპირი თუ არაპირდაპირი მასალა უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ რომ გორში როგორც სავაჭრო ქალაქში, გვიანდელ შუა საუკუნეებში, ყოველთვის იყვნენ ზარაფები.

ფეოდალურ საქართველოში, ისევე, როგორც სხვაგან, ვაჭრობის წარმოებას და განვითარებას მრავალი ხელშემშლელი პირობა ჰქონდა. ვაჭრები იხდიდნენ სხვადასხვა გადასახადს: დუქნის ფლობისათვის თვეში 1 შაური ***მახტა*** – სპეციალური კომლობრივი გადასახადი, რომელსაც ქალაქის დანარჩენ მოსახლეობასთან ერთად მოქალაქე ვაჭრებიც იხდიდნენ; ***მალი*** – იგივე სულადობრივი გადასახადი, რომელსაც იხდიდნენ თბილისისა და გორის მცხოვრებნი, თითო სრულწლოვან სულზე 6 აბაზი. დასტურლამალის მიხედვით, მალის გადახდის დროს შეღავათით სარგებლობდნენ ახალმოსულები, ახალდაქორწინებულნი და ის ხანდაზმული, რომელსაც *„მოგება აღარ შეეძლოს“;* მძიმე გადასახადს წარმოადგენდა, აგრეთვე, ***საბაჟო*** გადასახადი.

ჩამოთვლილი მუდმივი გადასახადების გარდა, ქალაქის ვაჭარ-ხელოსნები სხვა მრავალ არაპირდაპირ გადასახადს იხდიდნენ: ჯარის ***სურსათი***თ მომარაგების, ***სალაშქრო***, ***ნოქრის*** (დაქირავებული მოლაშქრე) დაქირავების, ხელმწიფის ***სამასპინძლო*** და სხვ.

ფეოდალთა გაბატონებული კლასის წარმომადგენლები ხშირად ვაჭრების პირდაპირ ძარცვასაც არ ერიდებოდნენ.

მევახშეობა

ჩვენამდე მოღწეული მასალებიდან ჩანს, რომ გორში მევახშეობა საკმაოდ განვითარებული იყო. ვალის ამღებ-მსესხებელთა შორის ვხედავთ ფეოდალური საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლებს: გლეხებს, ხელოსნებს, ვაჭრებს, თავად-აზნაურებს, სამეფო კარის წარმომადგენლებს, მეფის ოჯახის წევრებს და თვით მეფეს.

რადგან ამჯერად გვაინტერესებს გორის მოსახლეობის მონაწილეობა ამ საქმიანობაში, ამიტომ ყურადღებას გავამახვილებ ამ ურთიერთობის ამსახველ მასალებზე.

საბუთებიდან ირკვევა, რომ მევახშეობას ძირითადად ვაჭრები ეწეოდნენ, მაგრამ ხშირად მევახშეებად გვევლინებიან თავადაზნაურთა წარმომადგენლები და ეკლესია, იშვიათად – გლეხები და ხელოსნები.

ვალის აღება შეიძლებოდა როგორც ნატურით, ისე ფულით. ვახტანგ მეექვსის „სამართალი“ გვაუწყებს, რომ ვალის აღება შეიძლებოდა პურის, ღვინის და „თეთრის“, ე.ი. ფულით. „სამართალი“ ვერ არეგულირებს დავალიანებულის მიერ გადასახდელი ვალის სარგებელს. 116-ე, 117-ე, 118-ე მუხლების მიხედვით, *„ქართლში ამ ახლო ხანებში თუმანი თვეში ხუთ აბაზადაც მისცემია, ოთხ აბაზადაც, სამ აბაზადაც, ათ შაურადაც... პური ერთი ორადაც გაცემულა, ერთი სამადაც, ათი თხუთმეტადაც: და ამაების სარგებელიც აღებულა... ღვინო ერთი სამადაც აღებულა, ერთი ოთხადაც და ერთნახევრადაც, ათი თხუთმეტადაც; ამისი სარგებლის სარგებელიც ბევრი აულიათ“*. ვახტანგ VI მორალურ პასუხისმგებლობას აკისრებს კრედიტორს და „სამართლის“ 125-ე მუხლში ამბობს: *„თეთრი რომ გასცეს კაცმან, თუ ძალა ქნა და სული სძულს, თუმანი თვეში ხუთშაურად; თუ სული ცოტა უყვარს – აბაზად; თუ უკეთ უყვარს – სამშაურად; და თუ მართლა უყვარს – ორ შაუარად. სულ უკეთესი ეს არის, რომ სარგებელი სულ არ აიღოს“*[1]

„სამართლის“ მიხედვით, როგორც დავინახეთ, სესხის პროცენტის მინიმუმი 2 შაური იყო, მაქსიმუმი – 5 შაური. გამსესხებელი და ვალის ამღები აფორმებდნენ თამასუქს, ე.ი. ხელწერილს, რომლითაც სესხის ამღები პირობას დებდა, რომ ვალს გარკვეულ ვადაში გადაიხდიდა. თამასუქს ადგენდნენ ერთ ეგზემპლარად, იშვიათად განსაკუთრებულ შემთხვევაში ხდებოდა თამასუქის პირის გადაღება. თამასუქზე დაარტყამდნენ ბეჭედს, ხელს მოაწერდნენ მსესხებელი და მოწმეები, ბოლის აღინიშნებოდა თამასუქის დამწერის სახელი. გამსესხებელი თამასუქს, როგორც წესი, გასესხებული თანხისა და სარგებლის გადახდამდე ინახავდა. ამ მნიშვნელოვან საბუთს, როგორც ჩანს, უსაფრთხოების მიზნით, გორის ციხის მინბაშს მიაბარებდნენ ხოლმე[2]. იმ შემთხვევაში, თუ რაღაც მიზეზით კრედიტორს თავნისა და სარგებლის ამოღებისას თამასუქის უკან დაბრუნება არ შეეძლო, მაშინ კრედიტორი სპეციალურ ხელწერილს წერდა, რომ მას არავითარი პრეტენზია აღარ ჰქონოდა დებიტორის მიმართ.

სესხი გაიცემოდა როგორც ფულით, ისე ნატურით. ხშირად გაცემული თანხისა და სარგებლის დაბრუნება ნატურით ხდებოდა, უმეტესად პურეულით და ღვინით.

---

[1] *სამართალი ვახტანგ მეექვსისა, გვ. 217-218.*

[2] *მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, II, გვ. 71, №110.*

დოკუმენტები მხოლოდ XVIII ს. მევახშეობაზე გვაძლევს ცნობებს. რა თქმა უნდა, გორის ეკონომიკური ცხოვრების ეს მხარე წინა პერიოდშიც არსებობდა, მაგრამ მისი ამსახველი საბუთები არ შემოგვრჩა, ნაწილობრივ იმის გამო, რომ ქალაქი ხშირად განიცდიდა აკლებასა და ნგრევას, ალბათ იმის გამოც, რომ ადრეულ პერიოდში, სესხის აღება-გაცემა წერილობით იშვიათად ფორმდებოდა.

ადრეც რომ საკმაოდ მაღალ დონეზე იყო მევახშეობა, ამის ნათელსაყოფად გამოგვადგება 1609 წლის ერთი საბუთი. დიდმა თავადმა შანშე ჯავახიშვილმა ცალქალამანიძეს მი-ყი-და სკრაში თავის ყმები თბილისსა და გორში აღებული ვალების დასაფარავდ[1].

იმის გასარკვევად, როგორ იყო გავრცელებული ფულის სესხად გაცემა XVIII ს. I ნახევარში, გამოგვადგება „ჯულაბაშვილების დავთარი“. დავთარში მრავალი პიროვნებაა დასახელებული, ვისგანაც ჯულაბაშვილებმა სხვადასხვა წლებში ისესხეს ფული, მაგრამ არსად არ არის მითითებული რამდენს შეადგენდა გასესხებული თანხის სარგებელი. პაპუნამ ვალი გადაუხადა მუნჯის-შვილს მირაქას, ჯაშინასშვილს ბეჟანს, მამულას-შვილს მანუჩარას, რამაზს, ტულუკას-შვილს, გივიანთ გოდერძას, დოლმაზას, მენაღრის შვილის ცოლს, ბაადურ-ბეგს, ჯაშინას-შვილს როსტომას, თუმანისშვილს ალხაზას და სხვ[2].

იმავე საუკუნის შუა ხანებში საკმაოდ მსხვილი კაპიტალის პატრონი იყო გორელი გიორგი ბაინდურაშვილი. მან 50-60-იან წლებში გორის ქეთხუდებს ოცი თუმანი ასესხა. ცნობილი მევახშე იყო გორელი მენაღარი (ნაღარის მკვრელი) ესტატეს ქვრივი მარეხა. მისი გარდაცვალების შემდეგ ვალი დარჩათ: ჯულაბას-შვილს ქაიხოსროს, მექინასშვილს, ნაზარას, ნაზარას და მის დედას, ჭოკა გიორგის, როსტომ მამასახლისს, თუთასშვილს ბაღდასარას ღამბარანთ ბერიას[3].

გორში, ისევე როგორც თბილისში, გავრცელებული იყო სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა და მამულის დაგირავება. თუმანიშვილების ერთი ნუსხიდან ჩანს, მათ მამუკაშვილს აღებულ ვალში დუქანი დაუგირავეს[4].

---

[1] *ქართული სამართლის ძეგლები, VII, გვ. 833-834, №842.*

[2] *ჯულაბაშვილების დავთარი, გვ. 217-219.*

[3] *მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, II, გვ. 42, №67.*

[4] *იქვე, III, გვ. 172, №135.*

თუმანიშვილები თვითონ იყვნენ მსხვილი მევახშენი. მანუჩარ თუმანიშვილის ასაღები ვალების საკმაოდ ვრცელ ნუსხაში, რომელიც შედგენილია 1770-იან წლებში, დასახელებულნი არიან გორელები: ჩარჩოს-შვილი შაქარა, ხითარიშვილი სოლომონა. პირველს ემართა 11 თუმანი და 2 მინალთუნი, მეორეს – 12 თუმანი[1].

მანუჩარ თუმანიშვილის მიერ დავით თუმანიშვილისადმი გორში გაგზავნილი თამასუქების ნუსხაში არის ერთი საინტერესო ადგილი, საიდანაც ჩანს როგორი მაღალი პროცენტით გაიცემოდა სესხი. *„გორელის ტერ-აკოფასი გაბრიელ ლელუას-შვილს მართებს თამასუქით და (4 თუმ) ამდენი. ამგრამ თავნი ყოფილა გ (3 თუმ.) ამდენი. სხვა სარგებელია ზედ შესმული. თუ თავნს დაგჯერდეს, მიეცით გ (3 თუმ.) ამდენი, ხომ მამულიცა სჭერია და უჭამია“*[2].

1798 წ. სესხის ნუსხის მიხედვით, რომელიც მანუჩარ და სულხან თუმანიშვილების სავახშო საქმიანობას ასახავს, მათ გორში მაფერაშვილ ბეჟანას და ჯულაბაშვილ ბაღდასარას ასესხეს 12 თუმანი თვეში თუმანზე აბაზის სარგებლით, ხოლო ხითარიშვილ გოგიას იგივე რაოდენობის თანხა თუმანზე 2 შაურით[3].

იმავე მანუჩარ თუმანიშვილმა 1801 წ. 17 მარტს ჯულაბაანთ დავითას შვილს ბაღდასარას ასესხა *„ორი თუმანი ახალი ქალაქის თეთრი“* თვეში თუმანზე აბაზის სარგებლით[4].

1776 წ. პირობის წიგნით თუმანიშვილმა გოგიამ პეტრეს-შვილ ზეინალას ლეკთა ტყვეობიდან დასახსნელ 30 თუმანში დაუგირავა *„ფახირასშვილის სახლები თავის მარნით და ბაღით გორს“*[5].

ერთ-ერთი მსხვილი მევახშე და თუმანიშვილების კრედიტორი იყო ტერ-მოსესაშვილი ზურაბი. თუმანიშვილის ნიკოლოზის მიერ ტერ-მოსესაშვილი ზურაბასათვის 1790 წ. მიცემულ თამასუქში ვკითხულობთ: *„გირაოთ მოგეცი ჩემის ბიძაშვილის ზურაბის წილი გორს ბერაძე გიორგის დანდრის სახლები: ერთი გვერდი როსტომაშვილის სტეფანას სახლების მიდგმამდინ, მეორე გვერდი ხითარიშვილის ტერ რასტაკისას სახლს მიდგმამდინ, თავს დაქცეულის საყდრის შარა-*

---

[1] *იქვე, გვ. 52, №82.*
[2] *იქვე, გვ. 72, №112.*
[3] *იქვე, გვ. 133, №188.*
[4] *იქვე, გვ. 166, №235.*
[5] *იქვე, გვ. 49, №77.*

მდინ, წინ ბაზრის შარამდინ. ამ თარიღიდამ რაც ხანს ჩემს ხელთ დაყოს, თუმნის თავს ორი შაური სარგებელი გაძლიო...“[4].

ტერ-მოსესაშვილმა ზურაბამ 1793 წ. სულხან თუმანიშვილს ასესხა „ჩვიდმეტი თუმანი ზარაფხანის აბაზი“ სამი თვის ვადით, იმ პირობით, რომ თუ ვადას გადააცდენდა თუმანზე ორ შაურს სარგებელს მისცემდა[2].

დავითაშვილის ხარჯისა და ვალის ნუსხიდან ირკვევა, რომ ის ერთ-ერთ გორელს 3 თუმანში წელიწადში სარგებლად აძლევდა 18 კოდ პურს[3]. მაშასადამე დავითაშვილი ერთ თუმანში სარგებლის სახით გასცემდა ექვს კოდ ხორბალს.

წყაროების უმეტესობაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ XVIII ს. დასასრულს გორში ვალის სარგებელი თუმანზე სამი შაური იყო. ზაალ დავითაშვილის ვალების სიაში ვკითხულობთ: *„ქ. გორელი შიხინაშვილისაგან ავიღე ხუთი თუმანი, თუმანი თვეში სამ შაურათ.*

ქ. კიდევ გორელის ტერტერადამ ავიღე სამი თუმანი, თვეში თუმანი სამ შაურათ“[4].

სავახშო საქმიანობაში გარკვეულ როლს თამაშობდა სამღვდელოება, განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს კათოლიკე პატრებმა. ისინი თავიანთი თანხისა და სარგებლის ამოღების გარანტიას გირაოში ხედავდნენ. გირაოთ იღებდნენ მოძრავ და უძრავ ქონებას. პაპუნა ჯულაბაშვილი დავთრის ერთ მინაწერში ამბობს: „კიდევ გორს პატრი უფროსისაგან აეღო ვალი, მივეცით ა. თასი გირაოთ ქონდა გამოვართვი“[5].

საინტერესოა პატარკაც თუმანიშვილის თამასუქი, მიცემული 1737 წ. კათოლიკეთა საყდრის წინამძღოლისათვის: „ავიღე მე, მდივანი დავითს შვილმან პატარკაცმან, თქვენ, ფრანგის საყდრის უფროსი ფრანჩისკოსისაგან, ცხრამეტი თუმანი ახალი თეთრი. ამის ბეუშართათ მოგეცი ჩემი ყმის გოლხითარანთ სახლები და წინა ორი დუქანი თავისი სიგლებით. და ექვსი თვე ვადა. თუ ვადას გაცილდეს, სახლები თქვენი არის“[6].

---

[1] *იქვე, გვ. 88, №130.*

[2] *იქვე, გვ. 102, №153.*

[3] *საქართველოს სიძველენი, II, გვ. 500, №473.*

[4] *უჩანეიშვილი დ., დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის (XVII-XIX ს.ს.), გვ. 131.*

[5] *ჯულაბაშვილების დავთარი, გვ. 218.*

[6] *მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, II, გვ. 27, №35.*

როგორც XVIII ს. მასალებმა გვიჩვენა, სესხის გაცემა სხვადასხვა ოდენობის სარგებლით ხდებოდა. სესხი იფარებოდა წვრილი მწარმოებლის ან ვაჭრის მცირე შემოსავლით საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ხშირად ვალს ფარავდნენ ნატურით. გამსესხებელი თამასუქთან ერთად გირაოსაც ითხოვდა; გირაოდ გამოიყენებოდა როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება: ყმები, ცოლ-შვილი, საკუთარი თავი, სახლ-კარი, საოჯახო ინვენტარი და ა.შ.

ზოგჯერ ვალის დაფარვა ჭიანურდებოდა. არცთუ იშვიათად, თვით კრედიტორი აღმოჩნდებოდა გაჭირვებულ მდგომარეობაში, მაგრამ მას არ შეეძლო აეძულებინა დებიტორი სწრაფად დაეფარა ვალი. შედარებით ძლიერი მევახშე სარგებლობდა ასეთი მდგომარეობით და ვალს დაუფარავდა სხვის დებიტორს, მაგრამ ისე, რომ თვითონ მოგებული დარჩენილიყო. მსხვილი მევახშე სხვის თამასუქს გამოისყიდდა შემდეგი პირობით: 1. არ გადაიხდიდა სხვის თამასუქით გათვალისწინებულ თანხას მთლიანად (მაგ.: ხუთი თუმნის თამასუქში იხდის სამ თუმანს[1]); 2. გადაიხდიდა თამასუქით გათვალისწინებულ თანხას სარგებლის გარეშე (მაგ.: გორელის ტერაკოფასი გაბრიელ ლელუას-შვილს მართებს თამასუქით ოთხი თუმანი, თავნი იყო სამი თუმანი, მაგრამ, რადგან ტერ-აკოფას ლელუას-შვილს მამული *„გირაოთი სჭერია და უჭამია“*, ამიტომ თავნს – 3 თუმანს უნდა დასაჯერდეს[2]); 3. კრედიტორი სარგებელს მომატებით იღებდა. ამიტომ თამასუქი უნდა დაიბრუნოს მასში გათვალისწინებულ თანხაზე დაკლებით.

ვის ხელშიც გადავიდოდა თამასუქი, დებიტორიც მის წინაშე იყო ვალდებული. შეიძლება ითქვას, გვიან შუა საუკუნეებში თამასუქის ასეთნაირად გამოსყიდვა კაპიტალის და-ბანდების თავისებური ფორმა იყო.

რაც შეეხება ვალში ჩავარდნილ ფეოდალთა კლასის წარმომადგენლებს, მათი ინტერესების დამცველად მეფე გამოდიოდა. მეფე ჩვეულებრივ ადმინისტრირებას მიმართავდა. ასეთი შემთხვევები არცთუ იშვიათი იყო. ვალებში ჩაფლული ზაალ ყაფლანიშვილი ერეკლე II-ს სწერდა: „ილაჯი არა მაქვს თუნიერ თქუენის მოწყალებისა. სხვისთვინაც ბევრის-თვის გიქნიათ ეს მოწყალება, მეც ამ მოწყალებას ვითხოვ, რომ ერთი ოქმი მიბოძოთ“. ყაფლანიშვილს სხვადასხვა პირთაგან, მათ შორის გორელი დავრიშაშვილისაგანაც

[1] *იქვე, გვ. 72, №112.*
[2] *იქვე.*

აღებული ჰქონდა ვალები, საერთო რაოდენობით – 68 თუმანი. ის მეფეს სთხოვდა, რომ კრედიტორებს სარგებელი არ გადაეხდევინებინათ, თავნის დაბრუნებაზე თანახმა იყო. მეფემ ბრძანა დაეკმაყოფილებინათ ყაფლანიშვილის თხონა „თორემ თუ ასე არ იქმონენ, თავნის მიცემაც ვეღარ შეიძლოს და სულაც დაეწოსთ და რა სარგებელი იქნება მაგათი?“[1]. ეს უფრო ბრძანება იყო, ვიდრე გაფრთხილება და მევახშენი მეფის ბრძანებას უნდა დამორჩილებოდნენ.

[1] *იქვე, გვ. 90-91, №133; ქართული სამართლის ძეგლები, VIII, გვ. 105-106.*

მართვა-გამგეობა

გორში, სამეფო ქალაქში მართვა-გამგეობა მეფის მიერ დანიშნული მოხელეების ხელში იყო. მაგრამ ეს სრულებით არ გამორიცხავდა ქალაქის მმართველობაში მეფისა და ფეოდალური არისტოკრატიის ჩარევას. მეფე, ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის გორში იმყოფებოდა, ქალაქის მართვაში უშუალოდ ერეოდა და ზოგჯერ პირადად არჩევდა სასამართლო საქმეებსაც კი. მეფის ასეთი საქმიანობის ამსახველი წყაროები განსაკუთრებით მრავლად ერეკლე II-ის დროიდან გვაქვს.

ქალაქის სამოხელეო აპარატი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო, მისი შენახვა მთლიანად მოსახლეობას აწვა კისერზე.

მოხელეთა დანიშვნის წესი საქართველოშიც ისეთივე იყო, როგორც სხვა ფეოდალურ ქვეყნებში, ე.ი. უმთავრესი იყო სოციალური წარმოშობა და არა ნიჭი და უნარი. დიდშემოსავლიანი თანამდებობები მემკვიდრეობითი იყო. ეს კი სახელმწიფოს ან ცალკე აღებული ქალაქის მართვაში მრავალ ბოროტებას წარმოშობდა, რაც მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

მოურავი

ადგილობრივი მმართველობის უმაღლესი მოხელე მოურავი იყო. ის მეფისაგან ინიშნებოდა და ასრულებდა სამეურნეო, ადმინისტრაციულ და სასამართლო ფუნქციებს. მოურავად ინიშნებოდნენ თავადები და აზნაურები. თუ რომელი რანგის ფეოდალი დაინიშნებოდა ამა თუ იმ მხარის, დიდი ან მცირე ქალაქის, სოფლის მოურავად, დამოკიდებული იყო თვით იმ ადგილის მნიშვნელობაზე.

მოურავის ფუნქციების მოხელე საქართველოში სხვადასხვა დროს სხვადასხვა ტერმინით აღინიშნებოდა. მკვლევართა აზრით, ყველაზე ძველი უნდა იყოს ამირა, მაგრამ XIV საუკუნიდან საბოლოოდ დამკვიდრდა მოურავი[1]. XVI ს. 50-იანი წლებიდან ჩნდება ტარუღა, როგორც მოურავის შესა-ტყვისი[2].

ყველაზე ადრინდელი საბუთი, სადაც გორის გამგებლად მოიხსენიება მოურავი და არა ამირა, არის 1348 წ. „წყალობის სიგელი

---

[1] *მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, გვ. 396; კოპალიანი ჯ., მოურავის სახელი ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1982, გვ. 24*

[2] *კოპალიანი ჯ., მოურავის სახელო ფეოდალურ საქართველოში, გვ. 24.*

ანდრონიკე[1] მეფისა წითლოსან ქვენიფევნელისადმი“. მასში ვკითხულობთ: „აწ ვინცა ჰნახონ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი: შემდგომადა ჩუენსა მამავალათა მეფეთა და დე-დოფალთა, კარის ჩუენის ვაზირთა და მოურავთა, ერისთავთა-ერისთავთა და ქართლის ერისთავთა, გორის და ჩვენთა ციხისთავთა და მეციხოვნეთა და გორის მოურავთა, მერემეთა, მეჯინიბეთა, ბაზიართა, მონადირეთა, ხვარბლის მკრეფელთა მესაბანჯრეთა, მეკულუხეთა და ყოველთავე კართ ჩუენთ სასაქმოს წარგზავნილია დიდთა და მცირეთა...“[2].

მეფის მიერ გაცემული საბუთიდან ჩანს, გორის მოურავი თავისი რანგით ჯერ კიდევ მაღალი მოხელე არ არის. ის პიროვნება, რომელსაც აღნიშნული თანამდებობა ეკავა, მაღალი წარმოშობის არ უნდა ყოფილიყო. ამაზე პირველ რიგში ის ადგილი მიგვანიშნებს, რომელიც მას ჩამოთვლილ მოხელეთა შორის ეკავა.

იმავე საუკუნის სხვა საბუთში (1398 წ.) გორის გამგებელი უკვე ამირთამირად იხსენიება[3]. „ამირთამირასა და ამირას შორის რაიმე პრინციპული განსხვავება არ იყო, არ არსებობ-და მათ შორის იერარქიული ქვემდებარეობა... ჩვეულებრივად, ამირთამირა, ამირასთან შედარებით აღმატებული პატივის მა-ჩვენებელი იყო“[4].

1413 წლის საბუთში ნახსენებია „გორისა და ატენის მოურავობა“[5].

მაშასადამე, გორის მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამგებლის ტიტული იმ ტრადიციული თანამიმდევრობას (ამირა-მოურავი-ტარუდა) არ ემთხვევა, რომელიც საქართველოს სხვა სამოურავოებისათვის არის მიღებული. გორში, როგორც დავინახეთ, ჯერ იყო მოურავი, შემდეგ ამირა, შემდეგ ისევ მოურავი. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ტერმინები XIV საუკუნეში პარალელურად ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარებოდა. XV საუკუნიდან კი ყოველთვის მოურავს ვხედავთ.

---

1 ე. თაყაიშვილის ვარაუდით, ანდრონიკე დავით VII-ის მეორე სახელია.

2 საქართველოს სიძველენი, II, გვ. 12; ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 99.

3 ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, II, გვ. 225.

4 დასტურლამალი, გამომცემლის შენიშვნა, გვ. 807.

5 ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, II, გვ. 220.

XV ს. I მეოთხედიდან გორის მოურავი იყო ავთანდილ ზედგინიძე, მეფე ალექსანდრე დიდის მიერ 1425 წ. გაცემულ სიგელში ნათქვამია: „მოვიდეს წინაშე ჩუენსა ჩუენნი დიდად ერთგულნი და თავდადებით ნამსახურნი ზერდგინისძენი, გორის მოურავი და ეზოს ჩუხჩარეხი ავთანდილ, ზერდგინ და თაყა, გუეაჯნეს, რათამცა სიგლითა ამით შეგუეწყალნეს“. გორის მოურავად ჩანს იგივე თაყა ზედგინისძე იმავე მეფის 1429 წლის წყალობის სიგელში[1].

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ალექსანდრე მეფის 1430 წლის წყალობის სიგელი, მიცემული იმავე ავთანდილ ზედგინიძისადმი.

საინტერესოა, რომ ამ სიგელის დასაწყისში, ზემოდასახელებული 1425 და 1429 წლების სიგელებისაგან განსხვავებით, ავთანდილი ძველებურად გორის მოურავად და ეზოს ჩუხჩარეხად კი აღარ იწოდება, არამედ მხოლოდ ეზოს ჩუხჩარეხად. მეფე აღნიშნავს, რომ ახლა, როცა „მოვიდეს წინაშე ჩუენსა ჩუენნი დიდად ძუელითა გუარით გამო და ვიდრე მოაქამომდის ერთგულნი და თავდადებით ნამსახურენი ზევდგინისძენი: ეზოს ჩუხჩარეხი ავთანდილ და მათნი ძმისწულნი, ჩუენთა თანაშეზრდილ-გაზრდილი და ჩუენისა მორჭუმისა და ამოდყოფისათუის დღივ და ღამე თავდადებით მექმე და მეცდე-დამჭირნე კაცი... მოლარეთ-უხუცესი თაყა და ბიძისწული ზევდგინ და გუეაჯნეს, რათამცა ისდენთა ვალთა და სამსახურთა სანაცლოდ სიგელთა ამით შეგუეწყალნეს და გორის მოურაობა მიგუებოძა“[2].

ზემოდამოწმებულ სხვადასხვა დროის ორი საბუთის მიხედვით, როგორც ვნახეთ, ავთანდილ ზედგინიძე გორის მოურავი იყო. მაშ რა აუცილებლობამ მიიყვანა ზედგინიძეები მეფესთან, რათა გორის მოურაობა ეთხოვათ. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ზედგინიძეები, უკანასკნელი საბუთის მიხედვით, ერთი რომელიმე კონკრეტული ზედგინიძისათვის კი არ ითხოვენ გორის მოურაობას, არამედ ზედგინიძეთა გვარისათვის.

უნდა ვიფიქროთ, რომ 1429-1430 წლებში მეფემ ავთანდილს რაღაც ვასალური პირობის დარღვევის გამო გორის მოურაობა ჩამოართვა და ამიტომაა საბუთის დასაწყისში რომ მთხოვნელი ავთანდილი მოურავად აღარ მოიხსენიება, ის ამ თანამდებობის მაძიებელია.

---

[1] *ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 118-120.*

[2] *იქვე, გვ. 121-122.*

მართალია საბუთში მთელი გვარი გამოდის მოურავობის მაძიებლად, მაგრამ იგულისხმება, რომ თუ მეფე მოწყალებას გაიღებს, მაშინ მოურავობა ავთანდილმა, ალბათ გვარში მთავარმა (შეიძლება ასაკითა და დამსახურებით) უნდა მიიღოს. ამიტომაა საბუთში ავთანდილი პირველად დასახალებული, ის ხომ ამ დროს ეზოს ჩუხჩარეხიც (მეფის დაცვის უფროსი) იყო.

ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ ავთანდილს, და მისი სახით მთელ გვარს, გორის მოურაობა საკარგავის სახით ჰქონდა, რაც მათ არ აკმაყოფილებდა. ამიტომ მეფეს სთხოვეს, ზედგინიძეებს მემკვიდრეობით მფლობელობაში გადასცემოდა მათთვის საინტერესო გორის გამგებლობა. თუ ამ უკანასკნელ ვარაუდს მივიღებთ, მაშინ შეიძლება ისიც დავუშვათ, რომ ავთანდილს, მართალია, უკვე ხელთ ჰქონდა გორის მოურაობა, მაგრამ იმის გამო, რომ სახელოს მემკვიდრეობითად გადაქცევა სურდა, ფეოდალური ეთიკის შესაბამისად, სენიორის წინაშე წარმდგარ ვასალს თავისი თხოვნისათვის ისეთი სახე უნდა მიეცა, რომ მეფის მიერ გაცემული მოწყალება მკვეთრად გამოხატულიყო. შინაარსობრივად მართლაც მნიშვნელოვანი სიახლეა: მეფე ზედგინიძეს აძლევს ისეთ რამეს, – გორის მოურავის სახელოს „სამკუიდროდ“, რაც მას წინათ არ გააჩნდა. ამიტომ საბუთში აღარ არის ნახსენები ის, რომ ზედგინიძეებს, კერძოდ ავთანდილს, ადრე უკვე ეკავა საძიებელი თანამდებობა, მაგრამ საკარგავის სახით.

მეფე აცხადებს: „და არასა ჟამისა შემოსრულობისა და გამოცვალებისათუის, არასა ჟამსა შიგან არა მოგეშალოს“ გორის მოურავობაო. მეფე თავის მემკვიდრეებს უბრძანებს: „დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშალავთ მტკიცედ და სამკუიდროდ ბოძებულსა ამას ჩუენსა“. საბუთის ბოლოს არის სხვადასხვა მეფეთა ხელმოწერა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ზედგინიძეები დიდად უფრთხილდებოდნენ ალექსანდრე მეფის მიერ მათთვის მინიჭებულ სახელოს. შემდგომი დროის მეფეები იმის დასტურად, რომ აღიარებდნენ ზედგინიძეების, იმავე ამილახვრების[1] პრივილეგიის საბუთს, ხელახლა კი აღარ შეად-

[1] XV ს. 40-იანი წლებიდან ზედგენიძეთა გვარმა ამილახვრობა დაიმკვიდრა. *ს. კაკაბაძე, საბუთი ზემო ქართლის სასარდლოს შესახებ // საისტორიო მოამბე, წ. I, ტბ., გვ. 255-260; გაბიჩვაძე ა., გორის ციხე ერეკლე II დროს, გვ. 258.* ამილახორი, ამირახორი, ამილახვარი (არაბულად – საჯინიბოს უფროსი) ერთიანი საქართველოს ამირსპასალარის მოადგილე, ცხენოსანი ჯარის უფროსი.

გენდნენ ხოლმე, არამედ ძველზე, ალექსანდრეს შედგენილზე აწერდნენ ხელს[1]. სიგელში ნათქვამი იყო: ზედგინიძეები თუ დაარღვევდნენ ვასალური ერთგულების ფიცს, ამით ისინი გორის მოურავობის ჩამორთმევას დაიმსახურებდნენ, მაგრამ მეფე პირობას სდებდა, რომ „თუ რამე ასეთი რამე საქმე შეგუცოდოსთ, რომე მოურავობის წაღება გუმართებდეს, სხვითა სამამულოთ გარდაგახდევინოთ და მოურაობა არცა მაშინ წაგიღოთ“[2].

ცნობილია, ზედგინიძეებმა გორის მოურავობა მხოლოდ ორჯერ დაკარგეს, პირველად იმავე ავთანდილის სიცოცხლეში, მაგრამ მცირე ხნით. ეს მოხდა გიორგი VIII-სა და ბაგრატის ურთიერთბრძოლის დროს. ავთანდილი გიორგის განუდგა და ბაგრატს მიემხრო.

1453 წლის 11 ნოემბრის წყალობის სიგელში გორის მოურავობა კვლავ ზედგინიძეების ხელშია. ასე რომ განხეთქილება მეფე გიორგისა და ავთანდილს შორის მოხდა ნოემბრის შემდეგ. სამწუხაროდ, არ გვაქვს ის საბუთი, რომლითაც მეფე გორის მოურავობას გაბრიელ ჯავახიშვილს უმტკიცებს, მაგრამ მოღწეულია 1454 წ. ერთი საბუთი, რომელშიც გაბრიელ ჯავახიშვილი მოხსენიებულია გორის მოურავად, მაშინ როცა გიორგი VIII ახალ მამულებს უბოძებს: „გქონდეს თქვენ, დიდათ ერთგულსა და თავდადებით მრავალფერად სამსახურისა ჩუენისა მორჭუმისა და ამა ყოფისათვის დღეს და ღამე მეცილე-მომჭირნესა, გორის მოურავსა, ჯავახიშვილს გაბრიელს და შვილთა თქვენთა ზაქარიას, კახას და ზაზას...“[3].

ავთანდილ ზედგინიძემ გორის მოურავობა საკმაოდ დიდი ქრთამის გაღებით დაიბრუნა. ავთანდილი ერთგან აცხადებს: „თუ იმას იტყვიან, თუ: ბაგრატ მეფემან მოგცა მამულიო, სადამდისი იმავე, ჩემგან ნაშოების მამულიდაღმა – წიწამურიდაღმა ასი კოკა ღუინო არ მივეცით, მანამდის გორის მოურავობა არ გუიბოძა“[4]. მოურავის სახელოს მაძიებლის მიერ მეფისათვის ქრთამის მიცემა ჩვეულებრივი მოვლენა იყო[5].

---

[1] *ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 121-122.*

[2] *ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 122; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 812.*

[3] *საქართველოს სიძველენი, II, გვ. 38.*

[4] *მასალაები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, I, გვ. 43;*

[5] *აბესაძე ნ., სამეფო დომენის სამოხელეო აპარატი იმერეთში XVIII ს. II ნახევარში // მასალები ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისა, თბ., 1971, გვ. 48.*

ამავე პერიოდში უნდა იყოს შედგენილი გამრეკელ ჯავახიშვილის საჩივრის წიგნი. გამრეკელ ჯავახიშვილი თავის ცოლს, გულსურაბს უჩივის (სავარაუდოა, გულსურაბი მომჩივანის მეორე ცოლია. ფაქტია, რომ მას ჰყავს შვილები სხვა ქალისგან). განხეთქილების ერთ-ერთი, ერთი თუ არა, იყო გორის ციხის ფლობა. გულსურაბს უნდა, რომ გამრეკელი მეფე ბაგრატის ხელით მოიშოროს. ამიტომ თავის ნათესავ რუამს წერული გაუგზავნა, რომელშიც სთხოვს: „ამირეჯიბის მაგიერათ ესე წიგნი დაწერე შენ ვითა: „გამრეკელ, [...] ძუღან შენ ასრე დამპირდი, ვითა გორის ციხესა მოგცემო. ან ჟამი და დრო ესეა. რაჟამც კაცნი გამოვგზავნნე ციხე ფიცხლა უმიზეზოდ მათ დააბარე და, და რასაც მე შენ დაგპირებივარ, ბაგრატს მეფესა შენთვის გავათავებინებ. შენ ამირეჯიბის შნაყმა ხარ და შენსა ჭელსა მეფე და ყუელა ვინმე იცნობს. დაწერე და ესე წიგნი მე გამომიგზავნე, რომე გამრეკელი და მისნი შვილნი ამა წიგნითა მეფესა შევაბეზღნე და დავჭოცნეო“[1].

გამრეკელ ჯავახიშვილი მეფე გიორგი VIII-ის ერთგული იყო აჯანყებული იმერეთის ერისთავის, ბაგრატის წინააღმდეგ ბრძოლის დროს 1453-1454 წლებში. ცილისმწამებლური წერილის თუ მას რუამი დაწერდა მიზანი გიორგი მეფის გამრეკელის ღალატში და ბაგრატისადმი მომხრეობაში დარწმუნება იყო. მაგრამ რუამმა გულსურაბის თხოვნა არ შეისმინა[2] და ყველაფერი გამრეკელს აცნობა. ეს გახდა ამ უკანასკნელის მიერ საჩივრის დაწერის მიზეზი.

ზედგინიძე-ამილახვრებმა გორის მოურავობა მეორედ დაკარგეს 1633 წელს, როდესაც თეიმურაზ I-ის მომხრე იოთამ ამილახვრის მაგიერ როსტომ მეფემ ეს სახელო ირანიდან მოყვანილ ბეჟანს მისცა. ბეჟანი გორის მოურავად იყო რამდენიმე წლის განმავლობაში[3], მაგრამ რამდენ წელს ამისი ზუსტად თქმა არ ხერხდება. როსტომმა რომ ამილახვრის საწინააღმდეგო ღონისძიება გაატარა, ფეოდალური საქართველოს ისტორიაში იშვიათ შემთხვევათა რიგს განეკუთვნება. კანონმდებლობით და ტრადიციითაც, როცა მეფემ იოთამ ამილახვარს გორის მოურავობა ჩამოართვა, ზედგინიძე-ამილა-

---

[1] *ქართულ ისტორიული საბუთების კორპუსი, III. ქართული ისტორიული საბუთები. XV საუკუნის მეორე ნახევარი. შეადგინეს თინათინ ენუქიძემ, დარეჯან კლდიაშვილმა, მზია სურგულაძემ. გამოსაცემად მოამზადა მზია სურგულაძემ, თბ., 2014, გვ. 78.*

[2] *იქვე, გვ. 78-79.*

[3] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 240, 245.*

ხვართა გვარის რომელიმე წარმომადგენლისათვის უნდა გადაეცა. სავსებით სწორად შენიშნავს ჯ. კოპალიანი, რომ „მეფის სამფლობელოში მოურავებად ერთი და იგივე გვარის წარმომადგენლები ინიშნებოდნენ. მოურავის თანამდებობა მამიდან შვილზე არ გადადიოდა, მაგრამ ერთი გვარის შიგნით რჩებოდა... მოურავად, არსებული წესის მიხედვით, ერთი და იგივე გვარის წარმომადგენელი ინიშნებოდა“[1]. მაგრამ როსტომმა ამ წესის დარღვევა იმიტომ გაბედა, რომ იგი ქართლში უცხო, ყიზილბაშთა ძალაზე დაყრდნობით გამეფდა და ადგილებზე ერთგული მოხელეები ჭირდებოდა.

მას შემდეგ რაც როსტომ მეფემ ქართლში მდგომარეობა განიმტკიცა და ამილახვრებმაც ერთგულება დაუმტკიცეს, მხოლოდ ამის შემდეგ დაუბრუნა მათ გორის მოურავობა. როსტომ მეფე 1656 წ. ანდუყაფარ ამილახვრის სახელზე შედგენილ სიგელში აცხადებს: *„გაგიახლეთ სიგელი სამოთხეშიგან მსხდომარისა მამა-პაპა-ძმანათესავთა ჩუენისა ნაბოძები, გიბოძეთ და დაგიმტკიცეთ მოვრაობა გორისა“*[2]. სიგელში, მართალია, მითითებული არ არის, მაგრამ იგულისხმება ანდუყაფარის სიკვდილის შემდეგ ვისზე შეიძლება გადავიდეს მოურავის სახელო. ესენი არიან შვილები – იოთამი და ავთანდილი, ძმები – გივი, დემეტრე, ბარძიმი და პაატა, „შვილთა და შვილიშვილთა მამავალთა სახლისა თქუენისათვინ“. სიგელს აქვს საინტერესო მინაწერი, საიდანაც ირკვევა, რომ *„სანამდის (სიგელს –ე. მ.) გათავების ბეჭედი სიმტკიცისას დავსუემდით, სულკურთხეული ანდუყაფარ ამიერ სოფლით მიიცვალა... ამგვარად დავბეჭდეთ სიგელი საბოლოოდ გასათვებელი ესე, რომე უფროსად ამილახორად, დროშისა მქონებლად და ჯარის გამძღოლად გივი გვიბრძანებია“*[3]. იგულისხმება, რომ გორის მოურავიც გივი უნდა ყოფილიყო.

1692 წ. ერეკლე I-მა ნაზარალიხანმა იმის გამო, რომ *„ამილახორი გივი და მისი ძმები და ძმისწულები მათის შვილებით ბედნიარს ყაენს უკუუდგნენ და გიორგი მეფეს მიუვიდნენ და ბედნიარს ყაენზედან დიდად ორგულად და დამნაშავედ დარჩნენ“*, ამილახვრობა გივეს ჩამოართვა და თავის მომხრე და ერთგულ, იმავე გვარის წარმომადგენელს, 1656 წ. გარდაცვლილი ანდუყაფარის ვაჟს – იოთამს გადასცა. *„აწე ამისად სანუქფოდ და საპასუხოთ ჩვენც ეს*

---

[1] *კოპალიანი ჯ., მოურავის სახელი ფეოდალურ საქართველოში, გვ. 27-27.*

[2] *ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 221-222.*

[3] *ქართულ-სპარსული საბუთები, გვ. 356.*

წყალობა გიყავით, რომე გვიბოძებია იოთამისათვის ამილახრობა, ზემო ქართლის სარდრობა და გორის მოურაობა“[1].

1742 წ. გივი ამილახვარი ირანს აუჯანყდა. ქართლის ხანმა გივის მაგიერ გორის მოურავობა რევაზ ამილახვარს ჩააბარა[19]. მაგრამ, როცა რევაზი გივის მიემხრო, ახლა უკვე თეიმურაზ II-მ მოურავობა ამირინდო ამილახვარს გადასცა[2].

მოურავი გორში არ ცხოვრობდა. ამილახვრებს თავიანთი საგვარეულო მამულები ჰქონდათ, მათ რეზიდენციად ჭალა ითვლებოდა. *„რამდენი ამილახვარი ყოფილა, მაგრამ არა ამილახვარი გორში არ მჯდარაო“* – სწერდნენ გორელები ერეკლე II-ს. გორელები იმ გარემოებაზეც ამახვილებდნენ ყურადღებას, რომ რევაზ ამილახვარი ლეკიანობის გამო მცირე ხნით გორში ყოფილა ხიზნათ, რაც მათი აზრით, განსაკუთრებულ შემთხვევათა რიგს უნდა განეკუთვნოს, ისინი არამც და არამც არ შეეგუებიან ამილახვრის გორში მუდმივად ყოფნას და კატეგორიულად მოითხოვენ აღიკვეთოს კანონის დარღვევა. გორის მოსახლეობა ვალდებული იყო მოურავი მხოლოდ რამდენიმე დღეს შეენახა[3].

მოურავის უფლება-მოვალეობანი ქალაქის მნიშვნელობით განისაზღვრებოდა. დიდი ქალაქების მოურავები მეტი უფლებებით სარგებლობდნენ. გვიანფეოდალურ საქართველოში გორი თბილისის შემდეგ მეორე ქალაქად ითვლებოდა. ამიტომ გორის მოურავი თავისი უფლებებით მხოლოდ თბილისის მოურავს ჩამორჩებოდა.

1657 წ. როსტომ მეფე ანდუყაფარ ამილახვრისათვის მიცემულ სადროშოს სარდლობის წიგნში ადგენს: *„გიბოძეთ და დაგიმტკიცეთ მოურაობა გორისა. და სამართალი მათი არა იკითხებოდეს უთქვენოდ: ვერცვის გაჰყრიდეს თქუენად შეუკითხავად მამასახლისი და ვერცვის შეჰყრიდეს; ვერცვის მამულს მისცემდეს და ვერცავის გამოართუმდეს; არც ჰქონდეს მამასახლისს ქალის გათხოვების საჩექმესთან ჭელი და არცა თევზის ბაჟთანა – სათქუენოდ იყოს, როგორცა ძუელსა სიგელში გეწერის*“. იმავე სიგელიდან ჩანს, თუ როგორ იხვეწებოდა და ფართოვდებოდა მოურავის ფუნქციები და მისი შემოსავალი. „აგრეთვე ზემო ქართლის თქუენის დროშის სარდლობა: ლაშქრობა, ნადირობა, კაცის დაყენება, სამართალი და

---

[1] *პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, გვ. 54.*

[2] *საქართველო სიძველენი, III, გვ. 458.*

[3] *საქართველოს ისტორიის ქრონიკები, 174-175; მესხია შ., საისტორიო ძიებანი, III, გვ. 277.*

ან გარიგება ძველის სიგელით გაგვერიგებინოს, იმა წესით დაგვიმკვიდრებია და დაგვიმტკიცებია“. შემდეგ, დამატების სახით, ჩამოთვლილია ის სიახლენი, რომლებიც მანამდე მოურავის იურისდიქციაში არ შედიოდა. *„აგრეთვე, თქუენად უკითხავად ვერც დადგან კოკა, ვერც ლიტრა და ვერც ადლი. ვერცავინ მებაჟე დააყენონ უთქვენოდ. და სომხის ყმებმა რომ დააშაოს რამე, იმის ჯურიმიც*[1] *თქუენ გამოართვით*“[2].

მოურავი თავისი უფლებების გაფართოებას ცდილობდა, რასაც გორის მოსახლეობის ექსპლოატაციის გადიდებისათვის იყენებდა. სამეფო ხელისუფლება, როგორც ჩვენამდე მოღწეული მასალებიდან ირკვევა, ყოველთვის ვერ ახერხებდა მოხელეების საქმიანობაზე ჯეროვანი კონტროლის განხორციელებას. ამიტომ გორის მოსახლეობა იძულებული იყო თვითონ მიემართა უმაღლესი ხელისუფლებისათვის, რათა აელაგმა თავგასული მოხელე, მკაცრად განესაზღვრა მისი უფლება-მოვალეობანი. ჯერ კიდევ ერეკლე პირველის დროს (1688-1703) გორელებმა მოითხოვეს მეფეს საზღვარი დაედო მოურავის თვითნებობისათვის და მიზანსაც მიაღწიეს. ერეკლემ გააუქმა ძველი „დებულებანი“ და „ახალი განჩინება“ მისცა. გორელებისათვის იმდენად ხელსაყრელი იყო ერეკლე I-ის განჩინება, რომ ისინი XVIII ს. 80-90-იან წლებში მის განახლებას მოითხოვდნენ.

როგორი იყო ქალაქის მოურავის ფუნქციები? ეს საკითხი მით უფრო საინტერესოა, რომ ჩვენთვის ცნობილი წყაროები ყოველთვის არ იძლევა საშუალებას ნათლად წარმოვიდგინოთ ქალაქის ფეოდალური სამოხელეო აპარატის წარმომადგენელთა ფუნქციები. იმის გამო, რომ მათი უფლება-მოვალეობანი გამოკვეთილი არ იყო, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მოხელეები ერთმანეთის უფლებებში იჭრებოდნენ. ერთი რამ ცხადია, რომ ის, რაც საკუთრივ ქალაქსა და ქალაქში მეფის ბრძანებების გატარებას შეეხებოდა, მოურავის დუკითხავად ძალა არ ჰქონდა. თბილისის მოურავის სარგოს წიგნში ნათქვამია, რომ მეფეს მოურავთან შეთანხმების გარეშე თბილისის მოსახლეობისაგან რაიმეს მოთხოვნა არ შეეძლო[3]. ასეთივე უნდა ყოფილიყო გორის მოურავის უფლება.

---

[1] *ჯარიმა, გადასახდელი.*

[2] *ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 221-222.*

[3] *საქართველოს სიძველენი, II, გვ. 528.*

ქალაქის მოხელეებს სამეფო ხელისუფლება ჯამაგირს კი არ უხდიდა, არამედ მოქალაქენი აძლევდნენ თავიანთი შემოსავლის გარკვეულ ნაწილს.

მოურავის მოვალეობანი საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. მათგან უპირველესს „ჭეშმარიტი სამართლის“ წარმოება შეადგენდა[1]. მას თვალყური უნდა ედევნებინა, აგრეთვე ქალაქის ეკონომიკური ცხოვრებისათვის. საზომ-საწყაოთა სისწორის, საერთო წესრიგისა და წესიერების დაცვისათვის, მისი უფლება იყო ქალაქის მოსახლეობის გაყრისა და შეყრის, მამულების, სახლებისა და დუქნების გაყიდვის წიგნების დამტკიცება, უცხოელი სტუმრების მიღება, თუ მეფე ქალაქში იმყოფებოდა, ყოველ დილით მოეხსენებინა მისთვის ქალაქში არსებული მდგომარეობის შესახებ, ხოლო თუ მეფე გორში არ იყო, მაშინ თვეში ერთხელ მაინც წერილობით ან სიტყვიერად ეცნობებინა. მოურავი ვალდებული იყო ქალაქის ყოველწლიური ფინანსური მდგომარეობის შესახებ სათანადო ანგარიში სამეფოს სახლთუხუცესისათვის წარედგინა.

ასეთი მრავალფეროვანი მოვალეობის აღსრულებისათვის მოურავს სხვადასხვა შემოსავლის წყარო ჰქონდა. ქალაქის მოსახლეობაზე გაწერილი იყო სპეციალური სამოურავო გამოსაღები.

გორის მოურავის სარგოზე (შემოსავალზე) თითქმის სრულ წარმოდგენას გვიქმნის ოთარ ამილახვრის მოხსენება, რომელშიც დაწვრილებით არის ჩამოთვლილი ის უფლებები და შემოსავალი, რაც მოურავს ჰქონდა XVIII ს. დასასრულისათვის და, უნდა ვიფიქროთ, იგი მეტ-ნაკლებად ასახავს თუნდაც XVIII საუკუნეში გორის მოურავის მდგომარეობას. ოთარ ამილახვარი ამბობს:

„ზ – მქონდა გორის მოურაობა, გორში სამეფო ნაზვრევი არის, ნაბაღვარი და ურწყავები, აქამდე, რაც შემოსავალი იქნებოდა, ათის თავი ჩემი იყო და აქედამ მქონდა სარგებლობა.

ჱ – გორის მალიდამ[2] მქონდა, რაც შემოვიდოდა სამეფოთ, იმის ათის თავი (ამაში მქონდა სარგებლობა).

ი – გორის დამოუნა, ესე იგი იჯარა სამეფო, აქედამ მქონდა განწესებული, ზოგიდამ ათის თავი, ზოგიდამ ოცისა და თხუთმეტისა, რო წელიწადში ჩემი სარგებლობა იყო თხუთმეტს თუმნამდინ.

ია – რაც გორში ჯარიმა ადგებოდა მეფეს საქმე არ ჰქონდა, ის ჯარიმა ჩემი იყო და ამაში მქონდა სარგებლობა.

---

[1] *საქართველოს სიძველენი, III, გვ. 12.*

[2] მიწაზე დაწესებული გადასახადი.

იბ – იმერეთიდამ საპალნით ღვინო რომ შემოვიდოდა და ან სხვა გნით ურმითა, ურემზედ ორი თუნგი ღვინო ჩემთვის აიღებოდა და აგრეთვე საპანლეზედ ნახევარი თუნგი, ამაში მქონდა სარგებლობა.

იგ – ხმელი თევზი რომ შემოვიდოდა, ურემზედ სამი წყვილი თევზი ჩემი იყო და ახალი თევზი საპალნეზედ ერთი ლიტრა ჩემი იყო და ამაში მქონდა სარგებლობა.

იდ – ზეთის ხილი, ჭანჭური, ნიგოზი, ვაშლი, წაბლი და ხურმა, ამებისა რაც შემოვიდოდა, საპალნეზედ ერთი ლიტრა ჩემი იყო და ამაში მქონდა სარგებლობა.

იე – გორში მოსახლეს კაცზედ ექვსი შაური სამოურაო დებულება ჩემი იყო და ამაში მქონდა სარგებლობა.

ივ – გორში მოსახლეთ წელიწადში ორი ძღვენი დებულება აძესთ, თითო ძღვენი ხუთ მინალთუნათ ეღირებოდა, ამაში მქონდა სარგებლობა.

იზ – ახალწელიწადს კომლზე თითო შაქარი აძევსთ რომ მომიტანდნენ და ზოგნი ბატკანს მომგვრიდნენ, ამაში მქონდა სარგებლობა.

იᲗ – გორში რამდენიც მესამთლის დუქანი არის, დუქანზედ ნახევარი ლიტრა ქონის სამთელი ჩემი იყო, ამაში მქონდა სარგებლობა.

ით – ახალი წელიწადი რომ დადგებოდა და იჯარა გამოიცვლება, პირველის დღიდამ ათი დღე ჩემი არის, – რაც საბაჟო შემოვა, იმისი ბაჟი ჩემია, ამაში მქონდა სარგებლობა.

კ – გორელნი თუ სხვანი ვაჭარნი, როდესაც სხვა ქვეყნიდამ მოვიდოდნენ, ჩემს საფარს ფეშქაშს მომართმევდნენ და ამაში მქონდა სარგებლობა.

კა – რაც გორში მამული გაისყიდებოდა ან იყიდდა ვინმე, ან გაიცემოდა, იმისი სიგელი ჩემგანაც უნდა დაბეჭდილიყო და ამაში მქონდა სარგებელი.

კბ – გორელი კაცი ქალს რომ გაათხოვებდა, საჩექმე დებულება ერთი ოქრო ჩემი იყო, ამაში მქონდა სარგებელი.

კგ – ქალაქის ჩელიექის[1] იჯარიდამ განწესებული მქონდა წელიწადში სამთუმანნახევარი. ამაში სარგებლობა მქონდა. ამაების

[1] სპარს. მეორმოცედი.

შემოსავალში წელიწადში შემოსავალი მქონდა ხუთასი თუმანამდინ, ხან მეტი და ხან ნაკლები“[1].

როგორც დავინახეთ, გორის მოურავი დიდ შემოსავალს იღებდა ქალაქიდან და ამიტომ ამილახვრები თავგამოდებით ცდილობდნენ ამ სახელოს შენარჩუნებას. მოურავის წლიური შემოსავალი მიღებული გორიდან 500 თუმანი იყო. საინტერესოა, რომ თბილისის მოურავის შემოსავალი ბევრად ნაკლებს, 263 თუმანს შეადგენდა[2].

იმავე საბუთიდან ჩანს, რომ მოურავი საქალაქო ცხოვრების ყველა სფეროში ერეოდა და გარკვეულ შემოსავალსაც იღებდა. რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნული უფლებები მოურავმა მოურავის ინსტიტუტის გაჩენასთან ერთად არ შეიძინა. ისინი თანდათან ყალიბდებოდა და საბოლოოდ, XVIII ს. დასასრულისათვის ისეთი სახე მიიღო, როგორიც ოთარ ამილახვრის მოხსენებაშია. ოთარ ამილახვარი აღნიშნავს მხოლოდ იმას, რაც მას კანონით ეკუთვნოდა, მაგრამ სხვა-დასხვა საბუთებიდან ხომ ვიცით, რომ მოურავები „სარგოს“ ზევითაც, კანონის დარღვევით გამოსძალავდნენ გორელებს.

მოურავის „სარგოში“ ყველაზე ძველი და მნიშვნელოვანი საბაჟო გადასახადი იყო. 1430 წ. ალექსანდრე დიდი ავთანდილ ზედგინიძეს გორის მოურავობას უმტკიცებს და იქვე ამბობს: *„რათაცა წესითა ძველითაგან გორის მოურავთა გორის ბაჟი ჰქონებია და ანუ გორსა და გორისა გარეშემოთა შიგან უსაქმებია, მითავე წესითა ბაჟი თქუენ გქონდეს და მითავე წესითა გორს და გორის გარეშემოთა შიგან თქუენ საქმობდით*“[3].

ოთარ ამილახვრის სარგოს ნუსხის გარდა მოურავის მიერ ბაჟიდან მიღებული შემოსავლის შესახებ სხვა წყაროებიც არსებობს.

„დასტურლამალის“ მიხედვით, ახალნაქორწილევს ერთ წლამდე სამი აბაზი უნდა გადაეხადა, ერთი წლის შემდეგ კი ექვსი აბაზი. ამ თანხიდან 5 აბაზი მეფეს ეკუთვნოდა ხოლო ორი შაური ამილახვარს; გორის ყასაბხანიდან ამოღებული თანხის *(„ხან ერთი თუმანი, ხან ორი თუმანი და ხან სამი თუმანი“) „ათისთავი ამილახორისა არის“.* აგრეთვე, *„გორიდამ ამილახორის ჯარიმა, საკომლო, თავისგასამტეხელო ან სხვა რაც დებულება არის, იმისი გარიგება წიგნში*

---

[1] *მესხია შ., მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, იხ. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1948, ნაკვ. 1, გვ. 86-87.*

[2] *მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, გვ. 414.*

[3] *ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 414.*

უწერია“. მნიშვნელოვანი იყო ახალი წლის პირველი სამი დღის განმავლობაში გორის ბაჟის დათმობა ამილახვრისათვის[1]. მაგრამ 1768 წ. ერეკლე II-ემ გორის მოურავს „ნავროზის“ დღეები ათ დღემდე გაუდიდა იმ პირობით, რომ შემოსავლის ნახევარში მამასახლისსაც ჰქონდა წილი[2]. XVIII ს. დასასრულისათვის, როგორც ოთარ ამილახვრის სარგოს ნუსხიდან ჩანს, ახალი წლის პირველი ათი დღის შემოსავალს მთლიანად ის დაეუფლა. ამილახვარს ბაჟი ერგებოდა ხმელ თევზზე, ახალ თევზზე, ზეთის ხილზე, ნიგოზზე და სხვადასხვა ხილზე.

ოთარ ამილახვრის განცხადებით გორში მოსახლე თითოეულ მამაკაცს, სამოურაო დებულების მიხედვით, უნდა გადაეხადა 6 შაური. ამას გარდა მათ წელიწადში ორჯერ, ძღვენის გარდა, უნდა მიერთმიათ კომლზე თითო შაქარი ან ბატკანი. დუქნის პატრონი მესანთლენი ვალდებულნი იყვნენ *„დუქანზე ნახევარი ლიტრა ქონის სანთელი“* მიერთმიათ.

მოურავს საკმაო შემოსავალს აძლევდა შინ დაბრუნებული, საქართველოს სხვა კუთხიდან მოსული ან უცხოელი ვაჭრის მიერ მირთმეული ძღვენი. ძღვენს ზოგჯერ გადასახადის სახე ჰქონდა, ვიდრე ნებაყოფლობით მირთმეული საჩუქრისა. ვენეციელი დიპლომატი-ვაჭარი ამბროჯო კონტარინი დიდ გულისწყრომას გამოთქვამდა იმის გამო, რომ, 1479 წ. 17 ივლისს როცა გორში მოვიდა, მოურავმა მას 27 დუკატი გადაახდევინა[3].

გორის მოურავს შემოსავალი ჰქონდა გორში შემოტანილ ცალკეული საქონლიდან.

ერთი შეხედვით გაუგებარია, რატომ იღებდა გორის მოურავი წელიწადში სამთუმანნახევარს თბილისის ბაჟიდან, რატომ სარგებლობდა იგი ასეთი პრივილეგიით?

ამის მიზეზი, ალბათ, ის იყო, რომ გორის მოურავი იმავე დროს სადროშოს სარდალიც იყო. ამიტომ გორის მოურავი ქართლის (შემდეგ ქართლ-კახეთის) სამეფოს სხვა ქალაქების მოურავებისაგან თავისი მდგომარეობით განსხვავდებოდა, მაღლა იდგა. გორის მოურავი რაც უფრო აღზევებული იყო, მისი უღელი გორელებს მით უფრო უმძიმდათ

---

[1] *დასტურლამალი, გვ. 552-552.*

[2] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 227, №758.*

[3] *Ramusio G. M., Seconda volume delle Navigationi et Viaggi, v. II, p. 115v.*

გორელების ურთიერთობა მოურავთან განსაკუთრებით დაიძაბა მას შემდეგ, რაც ოთარ ამილახვარმა სამუდამო გორში დაიდო ბინა. ზემოდასახელებულ საჩივრებში გორელების უპირველესი მოთხოვნა ამილახვრის გორიდან წასვლა იყო. მათი აზრით, მოქალაქეთა მთელი უბედურება ამილახვრის გორში დასახლებასთან იყო დაკავშირებული[1].

ციხისთავი

საქალაქო მმართველობაში მნიშვნელოვანი ადგილი ციხისთავს ეკავა. გვიან შუა საუკუნეებში ის მინბაშად იწოდებოდა. ციხისთავის უპირველეს მოვალეობას ციხეზე ზრუნვა შეადგენდა: გუშაგების დაყენება, მათი საკვებითა და სათბობით უზრუნველყოფა, შემსვლელ-გამსვლელზე კონტროლის განხორციელება და სხვ.

გორის ციხისთავი პირველად გვხვდება 1348 წ. წყალობის წიგნში[2]. საინტერესოა, რომ ციხისთავი, მეფის მოხელეთა რიგში დასახელებულია გორის მოურავზე წინ, რაც მაჩვენებელი უნდა იყოს იმისა, რომ XIV საუკუნეში ციხისთავი დიდი უფლებით სარგებლობდა. შემდეგში იგი მოურავს დაემორჩილა. ზემოთგაცნობილი საბუთის მიხედვით, ციხისთავის უფლება-მოვალეობის გარკვევა გაგვიძნელდება. ციხისთავ-მინბაშის სახელოზე წარმოდგენას გვიქმნის გვიანი პერიოდის საბუთები.

სვიმონ I-ის 1594 წ. ქართულ-სპარსულენოვანი სითარხნის წიგნში ციხისთავი დაყენებულია მამასახლისზე წინ. ციხისთავს სხვა მოხელეებთან (ტარუღა, ამილახორი, მამასახლისი და „სხუანი ჴელოსანნი“) ერთად სისრულეში უნდა მოეყვანა მეფის მიერ გორის სომეხი სამღვდელოებისათვის ბოძებული შეღავათები[3]. მაშასადამე, იმ დროს ციხისთავს როგორც სამოქალაქო, ისე საეკლესიო საქმეებში ჩარევის უფლება ჰქონდა.

ციხისთავს ნიშნავდა მეფე ფეოდალთა რიგებიდან. ავიტაბილეს გადმოცემით, XVII ს. 30-იანი წლების დასასრულს, ციხისთავი

---

[1] გორის მოურავების ბიოგრაფიული ცნობები და მათი ქრონოლოგიური თანმიმდევრობა იხ. *გორის ისტორიის II წიგნი – „გამოჩენილი გორელები და გორის მოამაგენი“.*

[2] *საქართველოს სიძველენი, II, გვ. 12, №7; ქართული სამართლის ძეგ ლები, II, გვ. 99, №190.*

[3] *ქართულ-სპარსული საბუთები, გვ. 458-469; №190.*

გამაჰმადიანებული ქართველი თავადი იყო[1]. ასევე ფეოდალები იყვნენ დიასამიძეები, რომლებსაც ციხისთავებად ვხედავთ XVIII ს. უკანასკნელ მეოთხედში.

უნდა არსებულიყო ციხისთავის განაწესი, რომლის მიხედვითაც, ეს მოხელე თავის სახელოს განაგებდა. 1785 წ. ერეკლე ბრძანებს: *„ჩვენი ბრძანება არის დიასამიძევ ტეტიავ! მერმე როგორც შენს ძმას იოვანეს გორის ციხის მინბაშობა ჰქონდა და ეჭირა, ახლა იმ გზით გორის მინბაშობა შენთვის გვიბოძებია“*[2]. როგორ ეჭირა ტეტია დიასამიძის ძმას იოვანეს გორის მინბაშობა, საკმაოდ დაწვრილებით ვიგებთ ერეკლეს 1786 წ. იანვრის ბრძანებიდან. ეს ბრძანება მინბაშის უფლება-მოვალეობის გამომხატველი უნდა ყოფილიყო და არა გამონაკლისი. გორის ციხისთავად დანიშნული პიროვნების ყმები თარხნდებოდნენ, რათა ისინი ციხისთავს ციხის დაცვაზე გამოეყენებინა. როცა ტეტია დიასამიძემ დაიკავა ეს თანამდებობა, მისი ყმები, ადრეც თარხნები, კვლავ თარხნებად დარჩნენ. *„ჩვენი ბრძანება არის, – ამბობს ერეკლე, – მერმე გორის მინბაშობა დიასამიძეს იოვანეს რომ მივეცით, თავისი ყმანი გაუთარხნეთ, რომ ციხეში თავისი კაცნი უნდა დაეყენებინა... ახლა ტეტიას უბოძეთ მინბაშობა. როგორც თარხანი ჰყოლიათ თავეთი ყმანი, ახლაც ისევ თარხანი უნდა ჰყვანდეს, რომ კიდევ ციხეში კაცნი დააყენოს და ციხე კარგად შეინახოს“*[3].

როგორც XVIII ს. ბოლო პერიოდის საბუთებიდან ჩანს, გორის ციხისთავობა დიასამიძეთა გვარის სახელოდ გადაიქცა. ამ დროს ციხისთავებად ვხედავთ დიასამიძეთა გვარის შემდეგ წარმომადგენლებს: ტეტიას, იოვანეს, დიმიტრის. 1790 წელს მეფე ერეკლე დიმიტრი დიასამიძეს უბრძანებს: *„როგორითაც შენს ძმას იოანეს ებარა ეგ ციხე, ისე შენ გაბარია, ნურც მეტად დაიჭერ და ნურც ნაკლებადა“.* ეს საბუთი იმითაც არის საინტერესო, რომ მასში თბილისისა და გორის ციხისთავები სხვა ციხისთავებთან შედარებით ამაღლებულნი ჩანან.

ციხისთავი ციხესთან დაკავშირებული საქმეების შესრულებისას სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდა. *„ჩვენი ბრძანება არის, დიასამიძე მინბაშო დიმიტრი, – წერს ერეკლე II, – მერე გორის ციხის მინბაში შენა ხარ, იმისი ყოველი საქმე შენ გაძევს თავსა და*

---

[1] დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 63.

[2] გაბიჩვაძე ა., გორის ციხე ერეკლე II დროს, გვ. 13, №5.

[3] იქვე, გვ. 18, №18.

შენ გეკითხება, კაცსაც შენ უნდა დააყენებდე და სხვას იმ ციხის საქმესაც შენ უნდა არიგებდე“. მაგრამ ციხისთავს ციხის ნორმალური ფუნქციონირებისათვის თუ რამე დასჭირდებოდა, მაშინ ამილახვარისათვის უნდა მიემართა. საჭიროების შემთხვევაში მისთვის ჯეროვანი დახმარება და მხარდაჭერა უნდა გაეწიათ გორელებსაც. ერეკლე დიმიტრი დიასამიძეს უბრძანებს: *„შენა ხარ გორის ციხის მინბაში და თუ დაგჭირდებოდეს რამე ციხისათვინ, ან კაცის დაყენება, ან სხვა რამე, ამილახვარს შეატყობინებდე, გაარიგებინებდე და გამოართმევდე... როგორითაც დაგჭირდებოდეს და შეატყობინებდე, ამილახორმაცა და გორელებმაც ჴელი უნდა მოგიმართონ იმ გვარად“*[1]. ერეკლეს იმავე ბრძანებაში ხაზგასმულია, რომ ციხისთავი *„მუდამ განუშორებლად“* ციხეში უნდა იმყოფებოდეს.

საინტერესოა როგორი დამოკიდებულება არსებობდა გორის მოურავსა და ციხისთავს შორის. ზოგადად, მოურავი, როგორც სამოქალაქო მოხელე, თავის ხელისუფლებას ვერ გაავრცელებდა ციხისთავზე – სამხედრო მოხელეზე, მაგრამ გორში სპეციფიკური ვითარება იყო. იმის გამო, რომ გორის მოურავი, ამილახვარი, იმავე დროს ზემო ქართლის სადროშოს სარდალიც იყო, ამიტომ ციხისთავს ურთიერთობა უხდებოდა ორი სხვადასხვა თანმდებობის მქონე ერთ პიროვნებასთან და ციხისთავი ემორჩილებოდა ამილახვარს, როგორც სარდალს და არა როგორც მოურავს[2].

ციხისთავს თავისი რაზმი ჰყავდა, რომელიც იმავე დროს ციხის დაცვასაც წარმოადგენდა. ამ რაზმის რაოდენობა მშვიდობიან პერიოდში დიდი არ უნდა ყოფილიყო. როცა ქვეყანას საშიშროება დაემუქრებოდა, ციხისთავი თავის რაზმთან ერთად ზემო ქართლის სადროშოს სარდლის განკარგულებაში გადადიოდა. *„გოგია მიმბაშმაც თავისი თაბუნი უკლებლად უნდა შემოიყაროს და თქვენთან იმყოფებოდეს“* – წერს ერეკლე II 1772 წ. 29 თებერვალს რევაზ ამილახვარს[3].

გორის ციხისთავის საქმიანობაზე საინტერესო ცნობები დაგვიტოვა დ. ბაქრაძემ. მისი განმარტებით, ციხისთავის არაქართული სახელწოდება „მინბაში“, თითქოს ერეკლე II-ის დროს შემოვიდა[4]. მის

---

[1] *იქვე, გვ. 20, №20.*

[2] განსხვავებული მოსაზრება, იხ. *მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, გვ. 455.*

[3] *გაბიჩვაძე ა., გორის ციხე ერეკლე II დროს, გვ. 9, №1.*

[4] *«Кавказ», 1855, №49.* როგორც ჩანს, ქართულ ლექსიკაში *„მინბაში“* დიდი ხნის წინათ შემოვიდა. მას უკვე ვხვდებით 1689 წ. ერთ საბუთში.

განკარგულებაში იყო ციხეში წმ. გიორგის ეკლესიის მახლობლად მდებარე დენთის საწყობი და ორი ქვემეხი, რომელთაგან ერთი საკმაოდ დიდი ზომისა იყო. მის შესახებ ადრე უკვე აღინიშნა.

გორის ციხის საჭურველი, საჭიროების მიხედვით, მეფის ბრძანებით, სხვა ადგილებში მიჰქონდათ. ციხისთავი პასუხს აგებდა საჭურველის როგორც გაცემაზე, ისე მის უკან დაბრუნებაზე. ციხისთავის ეს საქმიანობა გადმოცემულია 1689 წლის ერთ ხელწერილში: *„რადგანაც ჩვენ, თანახმად ქართლის მაღალადგილოვანი ვალის (მეფის) ბრძანებისა, მდივანს გივი თუმანიშვილს გადავეცით ერთი ზარბაზანი, 15 ბათმანი დენთი და 24 ცალი ზარბაზნის ტყვია, ისინი სრულიად და უკლებლივ გადმოგვეცა და ჩაგვებარა ხსენებულის ხელიდან“*[1].

ციხის ჭიშკარს მინბაში ჰკეტავდა და გასაღებს თვითონ ინახავდა. მას ემორჩილებოდა 14 მცველი. მათგან 12 მოსახლეობის წარგზავნილი იყო, 2 მინბაშისა. ისინი მკაცრად იცავდნენ დისციპლინას. ჭიშკრის დაკეტვის შემდეგ დაგვიანებულებს ციხეში აღარ უშვებდნენ. ერთხელ მეფე ერეკლესაც კი რამდენიმე საათი ალოდინეს. წესრიგის დამრღვევ გუშაგს მკაცრად სჯიდნენ – ციხის დიდ ორმოში აგდებდნენ[2].

ციხისთავი ქალაქში გარკვეულ პოლიციურ ფუნქციასაც ასრულებდა. ამის ორიოდე მაგალითს ავიტაბილეს რელაციონში ვპოულობთ[3].

ციხისთავი მეფის კორესპონდენტიც იყო შიდა ქართლში. იგი მეფეს პერიოდულად აწვდიდა მისთვის საჭირო ინფორმაციას[4].

საინტერესოა, რომ ციხისთავი ციხის აღდგენით სამუშაოებში არ მონაწილეობდა. ყოველ შემთხვევაში ცნობილ წყაროებში ციხისთავის ასეთი საქმიანობა არ ასახულა.

ციხისთავის ხელფასი XVIII ს. 80-იანი წლების დასაწყისში 6 თუმანი იყო[5], იმავე საუკუნის დასასრულს 9 თუმნამდე გაიზარდა.

სამეფო კარი ციხისთავის ხელფასს, როგორც ჩანს, ქალაქის სხვადასხვა შემოსავლიდან ფარავდა. ის ფულადი ანაზღაურების

---

[1] *ქართულ-სპარსული საბუთები, გვ. 340, №49.*

[2] *«Кавказ», 1855, №49.*

[3] *დონ პეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 30, 63.*

[4] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, 243; გაბიჩვაძე ა., გორის ციხე ერეკლე II დროს, გვ. 16, №12.*

[5] *«Кавказ», 1855, №49.*

გარდა იღებდა საკვებს, შეშას და სხვა ყველაფერს. რაც ციხისთავს და მეციხოვნეებს ერგებოდათ განსაზღვრული იყო *„გორის ციხის განწესებით“.* ერეკლე II-ის ოქმში ნათქვამია: *„მერე, როგორც რომ გორის ციხისთავის განწესება არის სალბაშისა და შეშის მოცემისა, ყველამ უკლებლად უნდა მისცენ, რომელიც განწესებული აქვს გორის ციხის მინბაშსა და ციხის მცველთ ვერ მოუშლი. თუ კი არ მისცემენ, მას უკან იასაულით გამოერთმევა, იცოდნენ*“[1]. მეციხოვნეები და მეტეხელები *„სალბაშს“* იღებდნენ. *„სალბაში“* გორში შემოზიდულ ტივზე ერთი ხის გადასახადი იყო.

ციხისთავისა და მეციხოვნეთა საკვებით მომარაგება მოურავს, მამასახლისს და გორელებს ევალებოდათ. ზოგიერთი საბუთიდან ჩანს, რამდენ და რა სახის პროდუქტს აწვდიდნენ ციხისთავსა და გუშაგებს[2].

ციხისთავი ციხის სრული ბატონ-პატრონი იყო და მეფური პატივისცემით სარგებლობდა. ის ცხოვრობდა ხაზინის ხარჯებით აშენებულ ორსართულიან სახლში. მას შეეძლო გუშაგი გაეთავისუფლებინა და მისგან აეღო 2 მან. ვერცხლი. მას თავის კაცები ჰყავდა დაყენებული მტკვრის პირას და ქალაქის ჭიშკრებთან, რომლებიც *„სამინბაშო ბაჟს“* იღებდნენ. ბაჟი იკრიბებოდა ყველაფერზე, რასაც ვაჭრები გაატარებდნენ: ურემ ღვინოზე ერთი ტიკი, ურემ ნახშირზე – ერთი კალათი. 1800 წ. შედგენილ სამეფოს შემოსავლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მინბაშის იჯარით, რომელიც დაწესებული იყო საპალნეზე, ხაზინას ყოველწლიურად 400 მან. შემოსავალი ჰქონდა[3]. თუ ვინმეს პირუტყვი შემთხვევით გადავიდოდა სხვის ყანაში, პირუტყვის პატრონს მინბაშის სასარგებლოდ დააჯარიმებდნენ[4].

ერეკლეს მეფობის დასასრულს (1794-1795 წ. დასაწყისი), უცნობი მიზეზით, დიმიტრი დიასამიძე თავის მოვალეობას აღარ ასრულებდა. სავარაუდოა ის გორელებმა, ამილახვრის მხარდაჭერით, ციხიდან გააძევეს. გორელებსა და ციხისთავს შორის წინააღმდეგობის ერთი მომენტი მაშინ იყო, როცა მათ შეშის მიცემა შეუწყვიტეს. გორელების ასეთი განწყობილებით, ალბათ, ისარგებლა ამილახვარმა, ციხისთავი გააძევა და გორის ციხეში მის სახლკარს დაეპატრონა.

---

[1] *გაბიჩვაძე ა., გორის ციხე ერეკლე II დროს, გვ. 21, №22.*

[2] *იქვე, გვ. 18-21, №17-21.*

[3] *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, I. с. 197, №160.*

[4] *«Кавказ», 1855, №49.*

ერეკლე 1795 წ. 29 იანვარს დიმიტრი დიასამიძეს უბრძანებდა: *„მერე შენ ახლავ უნდა წახვიდე და გორსა და, როგორც რომ გორის ციხეში მინბაშათ მდგარხარ, ისევ ისე უნდა იმიმბაშო და გორის ციხე ისე უნდა შეინახო და შენს მდგომარეობში უნდა იყო, როგორც დღევანდლამდე ყოფილა, ისევ ისე უნდა იმყოფებოდე. არც უწინ გამოგვიყვანიხარ მაგ ციხიდამა და ახლაც ასე გვიბრძანებია, მიდი ციხეში დადეგ და ციხე შეინახე“.* იმავე ბრძანებაში ოთარ ამილახვრისადმი ნათქვამია, რომ მან მინბაშს ციხეში დაბრუნებისა და თავის მოვალეობის შესრულების საშუალება მისცეს[1].

მაგრამ, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, ამილახვარმა ამ დროიდან ციხეში დაიდო ბინა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ერეკლეს ბრძანება არ შესრულდა. ისიც საყურადღებოა, ამის შემდეგ მინბაში წყაროებში აღარსად გვხვდება.

ციხისთავი – მინბაში მრავალ წყაროშია ნახსენები, მაგრამ უმეტესად სახელისა და გვარის გარეშე. მხოლოდ რამდენიმე მინბაშის სახელმა მოაღწია ჩვენამდე.

1689 – მამად ბაღირ-ბეგი
1772-1774 – გოგია
1781 – დიასამიძე იოანე
1785 – დიასამიძე ტეტია
1786 – დიასამიძე იოვანე
1788 – ბეჟანი
1790-1795 – დიასამიძე დიმიტრი

მამასახლისი

ქალაქის მართვა-გამგეობაში უმნიშვნელოვანესი მოხელე მამასახლისი იყო. იგი მრავალფეროვან საქმიანობას ეწეოდა: ახორციელებდა ადმინისტრაციულ ფუნქციებს, მონაწილეობდა სასამართლო საქმეების გარჩევაში, სხვა მოხელეებთან ერთად განაგებდა ბაზრისა და სავაჭრო საქმეებს, მონაწილეობდა სხვადასხვა საბუთების (ნასყიდობის წიგნები, ანდერძები, არზები) შედგენაში. ამგვარად, ქალაქის მართვაში მოურავის შემდეგ უპირველეს მოხელედ მამასახლისი ითვლებოდა. იგი მოურავს ემორჩილებოდა, თუმცა მეფე ნიშნავდა.

---

[1] *გაბიჩვაძე ა., გორის ციხე ერეკლე II დროს, გვ. 21, №23.*

გორის მამასახლისი მოიხსენიება სვიმონ I-ის 1594 წ. იანვრის *„სითარხნის წყალობის წიგნში“*[1], მაგრამ მამასახლისის როლი და მნიშვნელობა ქალაქის მართვაში ბუნდოვანია. გაკვირვებას იწვევს და ძნელად ასახსნელია ის, რომ საბუთში დასახელებულია არა ერთი, არამედ რამდენიმე მამასახლისი *(„მამასახლისნი“).* ასევე მრავლობით რიცხვშია *„ტარუდა“,* რომელიც მოურავს შეესიტყვება. აღნიშნულ საბუთში მამასახლისები დასახელებულნი არიან ტარუდების, ამილახორის და ციხისთავის შემდეგ. ჩანს, რომ მამასახლისი მაღალი რანგის მოხელე იყო. ის იმ მოხელეებს შორის არის, რომლებსაც მეფე ზოგადად მოხელეებს უწოდებს: *„აწე გიბრძანებთ, კარისა ჩუენისა ვაქილ-ვაზირნო და გორის ტარუდანო, ამილახორო, ციხისთაო, მამასახლისნო და სხუანო ჭელოსანნო“.*

მამასახლისი რომ ნამდვილად მოურავს ემორჩილებოდა და მასთან ერთად განაგებდა საქალაქო საქმეებს, ამაზე მიუთითებს როსტომ მეფის 1656 წ. *„სადროშოს სარდლობის წაყლობის წიგნი“,* მეფე ბრძანებს: *„და სამართალი მათი (გორელების – ე. მ.) არა იკითხებოდა უთქვენოდ (უმოურავოდ – ე. მ.): ვერცვის გაჰყრიდეს თქუენად შეუკითხავად მამასახლისი და ვერცვის მამულს მისცემდეს და ვერცვის გამოართუემდეს“*[2]. როგორც მოყვანილი ამონარიდიდან ჩანს, მამასახლისს აღნიშნული ქმედების უფლება მოურავთან შეთანხმების შემდეგ ჰქონდა.

მამასახლისი რომ მეფის ბრძანების აღმასრულებელი მოხელე იყო ადგილზე, კარგად ჩანს ლუარსაბ მეფის 1610 წლის წყალობის წიგნიდან. მეფე მიმართავს თავის მოხელეებს: *„აწე გიბრძანებთ, კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო, მდივანნო და სხვანო მოსაქმენნო... გორისა მოურაო და მამასახლისო, თქვენცა ასრე გაუთავეთ, რა რიგადაც ამა ჩუენგან ნაწყალობევს ფარნავანში ეწეროს, ნურცა რას თქვენ შეუშლით და შეეცილებით“.* 1661 წ. მამულის წყალობის წიგნში გარკვევით წერია: *„უზედაესთა მოგახსენებთ და უქუედაესთა გიბრძანებთ, კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო, გორის მოურავო და მამასახლოსო, თქვენცა ასე გაუთავეთ და ნურას შეუშლით, თუნიერ თანადგომისა და შეწევნისაგან კიდევ“*[3]. 1664 წ. სიგელში გადმოცემულია მარიამ დედოფლის სურვილი, გორის მამასახლისმა იცოდეს

---

[1] *ქართულ-სპარსული საბუთები, გვ. 291.*

[2] *ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 221.*

[3] *ქართულ-სპარსული საბუთები, გვ. 291.*

დედოფლის მიერ წერეთელაშვილის მამულისა და სახლ-კარის ეკლესიისათვის შეწირვის შესახებ[1].

ამგვარად, სხვადასხვა დროის საბუთებიდან ჩანს, რომ მამასახლისი გორის მართვისას მეფის მითითებით მოქმედებდა და ემორჩილებოდა მოურავს. გორის მამასახლისის უფ-ლება ალბათ იმითაც იზღუდებოდა, რომ გორის მოურავი, ქართლის სამეფოს ერთ-ერთი დიდი ფეოდალი და იმავე დროს, სადროშოს სარდალიც იყო. ამ უკანასკნელ მომენტს გარკვეული მნიშვნელობა ექნებოდა გორის სამოხელეო აპარატის წარმომადგენელთა გავლენაზე და საქმიანობაზე. ისიც გასათვალისწინებელია, მოურავი თუ ფეოდალთა კლასს ეკუთვნოდა, მამასახლისი ვაჭარ-ხელოსანთა რიგებიდან იყო გამოსული. ამ მხრივ საინტერესოა 1699 წლის ერთი სიგელი, რომელშიც აისახა გორელებისა და ფარსადან ციციშვილის დავა ტყით სარგებლობის გამო. გორის მოურავი ამირან ამილახვარი, გორელების ინტერესებს კი არ იცავს, არამედ მოწმედ გამოდის სხვა ფეოდალებთან ერთად. მამასახლისი ზურაბა კი თანამოქალაქეების გვერდით არის, როგორც ჩივილის დროს, ისე სადავო საკითხის მოგვარებისას[2].

XVIII ს. 30-იანი წლებიდან 80-იანი წლების დასაწყისამდე გორში მამასახლისის მაგიერ ზოგჯერ მელიქს ვხედავთ. მელიქის თანამდებობა გორზე ადრე თბილისში გაჩნდა. დავით ბატონიშვილის მიხედვით, საქართველოში მელიქები სომხური მოსახლეობისათვის ინიშნებოდნენ. შ. მესხიას მიაჩნდა, რომ მელიქის სამოხელეო თანამდებობა, ერთის მხრივ თბილისში სომხური მოსახლეობის გამრავლებით და, მეორე მხრივ, მაჰმადიანური აღმოსავლეთის გავლენის შედეგი იყო[3].

გორში მელიქის გაჩენა სომხური მოსახლეობის მომრავლების შედეგი არ უნდა ყოფილიყო. სომხები გორში XVIII ს. 30-იან წლებზე ადრეც ცხოვრობდნენ. შ. მესხიამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ გორის მელიქი პირველად *„ყიზილბაშობის“* დროისათვის გაჩნდა და ყიზილბაშთა ბატონობის თანდათანობით გაქრობასთან ერთად გაქრა. წერილობითი წყაროები სრულ საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ მელიქი გორში ეთნიკური ცვლილებების შედეგად წარმოშო-

---

[1] *გსიემ, №7601/37.*

[2] *ქართული სამართლის ძეგლები, VIII, გვ. 864-865.*

[3] *მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, გვ. 428.*

ბილი ახალი თანამდებობა კი არ იყო, არამედ ქართული მამასახლისი აღმოსავლური ტერმინით, მელიქით, შეიცვალა.

მელიქი პირველად *„ჯულაბაშვილების დავთარში“* 1728 წ. მოიხსენება[1], უკანასკნელად კი 1781 წ.[2].

აღნიშნულ პერიოდში (1728-1781 წწ.) მელიქი არ ცვლის მამასახლისს. დროის ამ მონაკვეთში ზოგჯერ მამასახლისს ვხედავთ, რაც მაფიქრებინებს, რომ გორში ამ უცხო სამოხელეო ტერმინს ვერ შეეგუენ. ის ხან იხმარებოდა, ხან არა. შეიძლება მელიქს იმ მამასახლისს უწოდებდნენ, რომელიც სომხური წარმოშობის ან სარწმუნოების იყო. ამას იმიტომ ვამბობ, რომ არ შემხვედრია არც ერთი საბუთი, სადაც გორში ერთსა და იმავე დროს დასახელებული იქნებოდა მამასახლისი და მელიქი[3]. ზემოაღნიშნული პერიოდის საბუთებში ერთი, მამასახლისის ფუნქციის შემსრულებელი მოხელე თუ მელიქად იწოდება, მისი შემცვლელი სხვა პიროვნება კი მამასახლისად.

გორის პირველი მელიქი, თაყინაშვილი ფარსადანი, ამ თანამდებობაზე იყო საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში – 1728-1747 წწ.[4] მელიქები, სახელების გარეშე მოიხსენიებიან, აგრეთვე, 1775, 1776, 1781 წლების საბუთებში[5].

მამასახლისის მოვალეობას შეადგენდა ნასყიდობის წიგნების დამტკიცება. მამასახლისს სათანადო დავთარი ჰქონდა, რომელსაც *„დაჰნიმის დავთარი“* ეწოდებოდა. მასში ტარდებოდა ნასყიდობის ყველა წიგნი, რაც, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელს ხდიდა აღედგინათ დაკარგული საბუთი[6].

1636 წ. მამასახლისი ალიბეგი ადასტურებს სახლის ნასყიდობის საბუთს[7]. იგივე ალიბეგი 1650 წ. ამოწმებს ხარატაშვილის მიერ

---

[1] *ჯულაბაშვილებს დავთარი, გვ. 214.*

[2] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 398; საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 148.*

[3] *განსხვავებული შეხედულება იხ. მესხია შ., საისტორიო ძიებანი, გვ. 428.*

[4] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1449, დავთ. 49, საბ. 33; დავთ 49; საბ. 103; საქართველოს სიძველენი, III, გვ. 460, №499; ჯულაბაშვილების დავთარი, გვ. 214.*

[5] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1449, დავთ. 46, საბ. 95, დავთ. 47, საბ. 116; თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 398, საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 148;*

[6] *მესხია შ., საისტორიო ძიებანი, გვ. 435.*

[7] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1449, დავთ. 52, საბ. 113.*

ენდრონიკაშვილისათვის მიცემულ მიწის ნასყიდობის წიგნს[1]. მამასახლისი გოდერძი გიორგი შატბერაშვილის მიერ თაყა თუმანიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნის მოწმეა[2]. მამასახლისი დავითი 1665 წ. მოწმეა ესტატეს მიერ თავის განაყოფ ფარსადანისათვის მიცემული ვენახის გაცვლის წიგნისა[3]; მამასახლისი დავით ენდრონიკაშვილი მოწმე და დამწერია პაპუნა შატბერაშვილის მიერ ზურაბ თუმანიშვილისათვის მიცემული ნასყიდობის წიგნისა 1678 წ.[4] და სხვ.

მამასახლის ვალდებული იყო მეფე, დედოფალი, ბატონიშვილები და კარის მაღალი რანგის მოხელენი მოემარაგებინა სხვადასხვა სახის საქონლით და პროდუქტებით. ერეკლე II 1791 წ. 7 ივნისს მამასახლის ზურაბას უბრძანებდა: *„გორის მამასახლისო! დღეისათვის სალდათებსა და თოფჩებს სამოცდათოთხმეტს კაცს, ოცდა ექვის ლიტრა ნახევარი ფქვილი მოეც“*[5]. გორის მამასახლისს ანლოგიური ხასიათის ბრძანებას აძლევდა სახლთუხუცესი იოანე – *„ამად ხანისა და მამად ასან ხანისა და ასკარ ხანის კაცებს ა დღისა – ამათ პური ჩარექი ცხრა. ამათ ქათამი ორი, ამათ ბრინჯი ლიტრა ერთი თავისი ერბოთი, ამათ თაფლი ნახევარი ლიტრა, ამათ მარილი ნახევარი ჩარექი, ამათ ქონის სანთელი ერთის შაურისა, გორის მამასახლისო, ამ სიით ეს შენ მოეც“*[6].

მამასახლისს ციხეში მდგომი ჯარის საკვებით მომარაგება ევალებოდა: *„გორის მამასახლისო! ციხეში მდგომთ ჯარისკაცთ ერთი თვის ულუფათ ორას ოცი ლიტრა ფქვილი მისცემია თქვენგან. თქვენს სურსათში გეანგარიშებათ“* – სწერს ერეკლე 1789 წ. 31 აგვისტოს[7]. იმავე წლის 20 ოქტომბერს ერეკლე გორის მამასახლისს კვლავ უბრძანებს მეციხოვნენი შეშითა და ულუფით მოამარაგოს: *„გორის მამასახლისო და გორელებო! ციხეს მყოფთ კახთ კაცთ ხუთი ლიტრა ყველი მოეც... დღეში ორი საპალნე შეშაც აძლიეთ“*[8].

---

[1] *ხეც, Hd, №6441.*
[2] *იქვე, Hd, №13051.*
[3] *იქვე, Qd, №195.*
[4] *იქვე, Hd, №10203.*
[5] *გაბიჩვაძე ა., გორის ციხე ერეკლე II დროს, გვ. 20.*
[6] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1448, №1537.*
[7] *გაბიჩვაძე ა., გორის ციხე ერეკლე II დროს, გვ. 18.*
[8] *იქვე, გვ. 19.*

მოურავთან ერთად მამასახლისს ციხის სამუშაოების ორგანიზაცია და ამ მიზნით საჭირო თანხების გამონახვაც ევალებოდა. ამას გვიჩვენებს 1774 წ. 18 მარტის ოქმი[1].

მამასახლისი განაგებდა *„ხარჯის დავთარს“*, რომელშიც თითოეული მოქალაქის სოციალური მდგომარეობა, ვალდებულებანი და გადასახადები აღინიშნებოდა. *„ხარჯის დავთარი“* ის უმნიშვნელო დოკუმენტი იყო, რომელსაც ანგარიშს უწევდნენ სასამართლოში[2].

მამასახლისი მონაწილეობდა მეფის მიერ დანიშნული არასისხლის დანაშაულის საქმეების გარჩევაში. სასამართლოს მოურავი მეთაურობდა. გორის მოურავი ავთანდილ ამილახვარი 1711 წ. 15 დეკემბრის განჩინებაში წერდა: *„ჩვენ მოურავმან ამილახვარ ბატონმა ავთანდილ დავისწარით მდივანი დავით, გორის ქეთხუდები და გორელნი... და ამათ (გარსევანიშვილების – ე. მ.) სარჩელი და საჩივარი გავიგონეთ“*[3]. რევაზ ამილახვარი 1763 წ. განჩინებაში პირდაპირ აცხადებს: *„ახლა ჩვენ, ამილახორმა რევაზ გვერდით ვიახლეთ გორის მამასახლისი გიორგი, გორის ქეთხუდები. ამათი (მოდავეების –ე. მ.) სამართალი გავსინჯეთ“*[4]. ერეკლე 1791 წ. 10 აპრილს ოთარ ამილახვარს უბრძანებს: *„ბატონო ამილახვარო ოთარ, ამ არზის პატრონს თავისი რძალი რომ გაყრაზედ უჩივის, გორის მამასახლისი, ორი სამღვდელო კაცი, ოთხი ქეთხუდა შენთან დაისწარ, რაც წიგნები ჰქონდეს, ორთავე მიატანინე, კარგად გამოიძიე და ღმერთის წინაშე სამართალიანათ მოარიგე“*[5].

საყურადღებოა, რომ ზოგიერთი საბუთის მიხედვით, სასამართლო ვერ შედგებოდა, თუ მეფის სპეციალური ბრძანება არ იქნებოდა. გორელმა იოსებ ამირადაშვილმა 1801 წ. 24 აპრილს საქართველოს მმართებელ დავითს მიმართა: *„გორის მოხელეებზედ და მოსამართლეებზედ ერთი ოქმი მიბოძოთ“*, რათა ჩემი საჩივარი ძმასთან ჩემი გაყრის შესახებ გაარკვიონო. დავითმა გორის მამასახლის ისაის და გორის ქეთხუდებს უბრძანა: *„როგორც რიგი იყოს, ესენი ალაპარაკეთ და სამართლით გაჰყარეთო“*[6].

---

[1] *იქვე, გვ. 12-13.*
[2] *ქართული სამართლის ძეგლები, VII, გვ. 578, №454.*
[3] *იქვე, IV, გვ. 234, №160.*
[4] *იქვე, გვ. 489, №392;*
[5] *იქვე, VIII, გვ. 100, №88;*
[6] *იქვე, VIII, გვ. 728, №762.*

მამასახლისს, როგორც ქალაქის ერთ-ერთ გამგებელს, ევალებოდა ოფიციალური სასამართლო სხდომის გარეშეც დაეცვა სამართლიანობა[1].

მამასახლისს ევალებოდა უმემკვიდრეოდ ამოვარდნილის (ბეითალმანი) სახლკარის გადაცემა იმ პირისათვის, ვინც მეფეს მიმართავდა სათანადო თხოვნით და თანხმობას მიიღებდა. ერეკლე II ჩვეულებრივ ბეითალმანის მაძიებლის არზას წააწერდა: *„ჩვენი ბრძანება არის გორის მამასახლისო... მერე ამ არზის პატრონს ერთი ბეითალმანი სახლის ადგილი უშოვნე და მიეც“*[2].

ქალაქის მოსახლეობასა და სამეფო კარს შორის ურთიერთობაში შუამავლად ხშირად მამასახლისი გამოიდოდა და, საჭიროებისდა მიხედვით, ხან ერთი მხარის ინტერესებს იცავდა, ხან მეორისა. მარიამ დედოფალი 1664 წ. გორის მამასახლისს უთვლის, რომ ვინმე წერეთელას მიერ ამირაღაშვილის ყმასთან დაგირავებული სახლი გამოისყიდა და ეკლესიას შესწირა. მამასახლისს თვალყური უნდა ედევნებინა წერეთელა იმ სახლის გირაოდან დახსნას თუ მოისურვებდა, მაშინ დედოფალს ორ თუმანს დაუბრუნებდა და საქმეც მოგვარდებოდა[3].

ზემოჩამოთვლილი უფლება-მოვალეობების გარდა, მამასახლისს ზოგიერთი სხვა უფლებაც ჰქონდა.

საინტერესოა, როგორ ნაზღაურდებოდა მამასახლისის შრომა? ამ საკითხის გასარკვევად, მართალია, მასალა ცოტა გვაქვს, მაგრამ მცირე რამის თქმა მაინც შეიძლება.

„დასტურლამალის“ შემდგენლებს განუზრახავთ განსაკუთრებით გაემახვილებინათ ყურადღება გორის მამასახლისის სარგოზე და მე-20-ე კარში ცალკეა გამოყოფილი ადგილი *„გორის მამასახლისის სარგოსათვის“*. მაგრამ, სამწუხაროდ, გაუგებარი მიზეზით, აღარ დაუწერიათ[4]. მამასახლისი, თავისი მოვალეობის შესრულებისათვის, ჯამაგირს კი არ იღებდა, როგორც მეფის მოხელე, არამედ მისი შენახვა მთლიანად ქალაქის მოსახლეობას ეკისრებოდა. ის ქალაქის სხვადასხვა შემოსავლიდან იღებდა განსაზღვრულ ნაწილს, ე.ი. თავის სარგოს.

---

[1] *იქვე, VIII, გვ. 306, №292.*
[2] *იქვე, VII, გვ. 442, №444.*
[3] *გსიემ, №7601/37.*
[4] *დასტურლამალი, გვ. 553.*

მამასახლისს წილი ჰქონდა სახელმწიფო გამოსაღების – მალის ერთი ნაწილიდან – 1 შაური; ახალი წლის პირველი სამი დღის განმავლობაში აღებულ ბაჟს ამილახვარი და მამასახლისი თანაბრად ინაწილებდნენ; მასვე ეკუთვნოდა გორში შემოტანილი *„თევზის საპალნეზედ – ერთი შაური“*[1].

კანონიერი შემოსავლის გარდა, მამასახლისს უკანონოც ჰქონდა. ეს განსაკუთრებით ითქმის XVIII ს. 80-90-იან წლებზე. ჩვენამდე მოღწეული ორი საჩივრიდან, პირველში უკმაყოფილო მოქალაქეთა მეთაურად მამასახლისი ჩანს, მაგრამ 90-იან წლებში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. გორელები მამასახლისის მოქმედებით ისევე უკმაყოფილონი არიან, როგორც მოურავისა. უნდა ვიფიქროთ, რომ მოურავი იძულებული გახდა გორელების უკანონოდ ძარცვაში მონოპოლიაზე უარი ეთქვა და ნაძარცვში წილის დადებით მამასახლისი თავის მხარეზე გადაებირებინა. გორელების განცხადებით, *„ამ ქვეყნის ასე გაბეგვრაზედ რომელი მამასახლისი შეჰყრია მოურავს ამხანაკათა“*, მოურავი *„თავს დაგვჯდომია. მამასახლისი კი ბოლოსო“*, *„მაგათი შიშით ბაზარში ასნაფებიც*[2] *ვეღარ დამდგარან“*.

ისტორიულ წყაროებში გორის შემდეგი მამასახლისები ჩანან:

1636-1651 – ალიბეგი[3];

1657 – გოდერძი[4]

1660 – ზურაბა[5]

1664 – გოდერძი[6]

1665 – დავითი[7]

1670-1675 – ზალია[8]

---

[1] *იქვე, გვ. 550-551.*

[2] *ხელოსანთა და ვაჭართა ამქრის წევრები.*

[3] *ხეც, Hd, №644; საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1449, დავთ. 52, საბ. 113.*

[4] *ხეც, Hd, №13051.*

[5] *ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 531, №123.*

[6] *იქვე, IV, გვ. 122, №61.*

[7] *ხეც, Hd, №195.*

[8] *საქართველოს ცენტრალური არქივი, ფ. 1449, დავთ. 52, საბ. 104; საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული მუზეუმი, Sd №33.*

1678-1686 – ანდრონიკაშვილი დავითი[1]
XVII ს. 80-90-იანი წლების მიჯნაზე – გაბრიელა[2]
1690-1699 – ზურაბ ხითარიშვილი[3].
1704-1706 – ანდრონიკაშვილი მერაბი[4].
1711 – ზურაბა[5].
1711-1713 – ანდრონიკაშვილი მერაბის შვილი გიორგი[6].
1720-1734 – ანდრონიკაშვილი როსტომი ხანგამოშვებით[7].
1725 – ზალი[8].
1732 – ავთანდილისშვილი ზალია[9].
1759-1761 – ბაბალასშვილი გიორგი[10]
1778 – ზორაბაბელ[11].
1779 – ზურაბ[12].
1785 – ავთანდილა[13].
1787-1791 – ზურაბ ამირაღაშვილი[14]

---

[1] *ხეც,* Hd №1020; სეა, ფ. 1449, დავთ. 25, საბ. 38; სეა, ფ. 449, დავთ. 45, საბ. 132; იქვე დავთ. 49, საბ. 106; სიძველენი, II, გვ. 181, №50; მასალები საქართველოს გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I, გვ. 60.

[2] *[10] ქართული სამართლის ძეგლები, VIII, გვ. 864, №899.*

[3] *ხეც, Sd, №552. ხეც, 1351. ამავე საბუთში მოიხსენიება „ძველი მამასახლისი გაბრიელი“. ეს უნდა იყოს იმავე საუკუნის 80-იანი წლების დასასრულის მამასახლისი გაბრიელა.*

[4] *საქართველოს სიძველენი, II, №400; დოკუმენტები, I, გვ. 379, №531.*

[5] *ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 234, №160.*

[6] *ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 234, №160.*

[7] *მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, გვ. 425.*

[8] *უჩანეიშვილი დ., დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის (XVII-XIX ს.ს.), გვ. 33.*

[9] *მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, გვ. 436.*

[10] *მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, II. გვ. 43; საქართველოს სიძველენი, III. გვ. 432, №460.* ალბათ ეს არის ის ბაბალაშვილი გიორგი, რომელიც 1773 წ. ამბობდა: *„რაც მე მამასახლისათ გხლებივარ, სიდამონიძე, გორელობით არ გამიგონიაო“. იხ. ქართული სამართლის ძეგლები, VII, გვ. 233, №235.*

[11] *უჩანეიშვილი დ., დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიის ათვის (XVII-XIX ს.ს.), გვ. 72, №63.*

[12] *ქართული სამართლის ძეგლები, VII, გვ. 422, №444.*

[13] *მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, გვ. 436.*

[14] *ქართული სამართლის ძეგლები, VII, გვ. 721-722; საქართველოს სიძველენი, III, გვ. 524, №542; დოკუმენტები, II, გვ. 153, №244; საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1449, დავთ. 46, საბ. 184; ქართული სამართლის ძეგლები, VIII, გვ. 94, №83.*

1794 – კაჭკაჭიშვილი მიქელ[1]
1796 – ბაბუა[2]
1799-1801 – ოჰანჯანაშვილი ისაია[3].

მელიქი

1728-1746 –თაყინაშვილი ფარსადანი[14]
1773-1775 – ზურაბა[25].

ნაცვალი

საქალაქო მმართველობაში მნიშვნელოვან როლს ნაცვალი ასრულებდა. ნაცვალს მეფე ნიშნავდა უმთავრესად მართლმადიდებელი სარწმუნოების აზნაურებიდან. ნაცვალი ქალაქის მოურავს ექვემდებარებოდა, მაგრამ მის საქმიანობას მამასახლისიც აკონტროლებდა[6].

გვიანფეოდალურ გორში ნაცვალის თანამდებობა მემკვიდრეობითად გადაიქცა. დიდი ხნის განმავლობაში ნაცვლის თანამდებობა ქარუმიძეთა გვარს ეკავა. ჩვენთვის ცნობილ ორი საბუთში (1681 და 1781 წ.წ.) სხვა მოხელეებთან ერთად, გორის ნაცვლებად ქარუმიძეები არიან დასახელებულნი[7].

ყველაზე ადრინდელი საბუთი, რომელშიც გორის ნაცვალს ვხვდებით, არის შაჰნავაზის 1659 წ. სითარხნის წიგნი. შაჰნავაზი მო-

---

[1] *ქართული სამართლის ძეგლები, VIII, გვ. 307, №292.*

[2] *იქვე, გვ. 359, №338.*

[3] *მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, III, გვ. 280; უჩანეიშვილი დ., დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის (XVII-XIX ს.ს.), გვ. 122, №130; ქართული სამართლის ძეგლები, VIII, გვ. 728, №762; დოკუმენტები, II. გვ. 120, №190.*

[4] *დოკუმენტები, I, გვ. 269. №384; იქვე, გვ. 449, №319; ქართული სამართლის ძეგლები, IV, გვ. 341-342, №№ 255-256.*

[5] *გაბიჩვაძე ა., გორის ციხე ერეკლე II დროს, გვ. 12, №6; იქვე, გვ. 12, №7; ქართული სამართლის ძეგლები, VII, გვ. 304, №314.*

[6] *ქართული სამართლის ძეგლები, VII, გვ. 304, №314.*

[7] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1449, დავთ. 45, საბ. 132; საქართველოს ეროვნული არქივი, დავთ. 25, საბ. 48; მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, გვ. 444.*

ურავთან და მამასახლისთან ერთად ნაცვალს უბრძანებს: ქამალაშვილებს *„თქვენც ასრე გაუთავეთ და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შეეცილებით“*[1].

ნაკლებმნიშვნელოვანი სასამართლო საქმეების გარჩევაში ნაცვალი მამასახლისთან ერთად მონაწილეობდა. ის ამოწმებდა სხვადასხვა ხასიათის საბუთებს, მაგრამ გასამრჯელოს გარეშე. ნაცვალს თვალყური უნდა ედევნებინა ქალაქში მყოფი უცხოელებისათვის და ყოველდღე მოურავისათვის მოეხსენებინა მათი საქმიანობის შესახებ, მუდმივი კონტროლი უნდა დაეწესებინა პოლიტიკურად საეჭვო პირებზე, სასამართლო პასუხისგებაში მიცემულებზე, დავალიანებულებზე და მათს თავდებებზე, რათა ამ კატეგორიის ადამიანები ქალაქიდან არ გასულიყვნენ. იმ შემთხვევაში თუ ისინი შემჩნეულნი იქნებოდნენ საეჭვო საქმიანობაში, მაშინვე მოურავისათვის უნდა ეცნობებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში თვით ნაცვალი აგებდა პასუხს[2].

ერთი საინტერესო წერილი, გაგზავნილი დიმიტრი ორბელიანის მიერ ამილახვარ იოსებისადმი 1796 წ. 23 ივლისს, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ნაცვალზე, ქალაქში წესრიგის დამცველზე და იმ მეთოდებზე, რომელსაც ის იყენებდა. ბატონიშვილი იულონის მეუღლე ნაცვალს უბრძანებს, რომ ქურდი *„სოფიას სახლში ჰყავს, დაჩხრიკეთ და გამოიყვანეთ. ნაცვალს შეეყარა ორმოცამდი კაცი და ისე მიხდომოდა შუადამისას რას ყიჟინით, რას ყოფით, რას ამბვით და რას ლანძღვით! ეს მთლად გორმა იცის... ვიღა დაურჩათ გორში გაულანძღავი და გაულახავი!“*[3].

საპოლიციო სამსახურისათვის ნაცვალს გარკვეული სარგო ჰქონდა ქალაქის სხვადასხვა ჯარიმებიდან და შემოსავლიდან. მაგრამ ნაცვლის შემოსავალი ძირითადად მაინც ის იყო რაც სულხან მდივნის *„დასტურლამალის“* ხელნაწერში იქ სადაც „გორის ნაცვლის სარგოზეა“ ნათქვამი, რომ *„ამილახორის ათისთავი აქვს სხვა არაფერიო“*, ე.ი. ამილახვრის შემოსავლის 1/10[4].

---

[1] *ქართულ-სპარსული საბუთები, გვ. 284, №122.*

[2] *მეხეია შ., საისტორიო ძიებანი, II, გვ. 448.*

[3] *საქართველოს სიძველენი, III, გვ 374.*

[4] *დასტურლამალი, გვ. 553.*

ქედხუდა

როგორც გვიანფეოდალური საქართველოს, ისე გორის საქალაქო მმართველობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქედხუდები. ქედხუდებს ქალაქის მოსახლეობა თავისი რიგებიდან ირჩევდა საქალაქო და საზოგადო საქმეებში მონაწილეობისათვის. ქედხუდათ რამდენიმე პირს ირჩევდნენ. შ. მესხიას ვარაუდით, ქედხუდათა არჩევა ქალაქის უბნების მიხედვით ხდებოდა მოსახლეობის ზედა ფენის, მსხვილი ვაჭრების რიგებიდან[1].

ქედხუდები, ისევე როგორც ფეოდალური ქალაქის დაბალი მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი, იურიდიულად ყმური წარმოშობისანი იყვნენ. შედარებითი მატერიალური სიმძლავრე მათ არ ათავისუფლებდა ყმური მდგომარეობიდან. თუმანიშვილები 1788 წ. დარეჯან დედოფლისათვის მირთმეულ არზაში აცხადებდნენ: *„იქავ გორის მემკუიდრე ქეთხუდა ყმები გვყოლია და გვყავსო“*[2].

ყველაზე ადრინდელი ცნობილი საბუთი, სადაც გორის ქედხუდები არიან ნახსენები, ვახტანგ V შაჰნავაზის მიერ 1661 წ. გაცემული მამულის წყალობის წიგნია. საბუთი ქართულ და სპარსულ ენაზე შედგენილი. ამ გარემოებაზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ქართულ ტექსტში ქედხუდები ნახსენები არ არიან. სპარსულ ტექსტში კი ვკითხულობთ: *„ხსენებული ქალაქის (გორი –ე. მ.) ტარუღამ (მოურავი – ე. მ.), მამასახლისმა და სხვა ქეთხუდებმა დაწერილის თანახმად დადგენილად იცნონ ეს“*[3]. ძნელია იმის თქმა, მეფემ რატომ მიიჩნია აუცილებლად სპარსულ ტექსტში აღენიშნა ქედხუდების შესახებ, მაშინ, როცა სპარსული ტექსტი ქართულად შედგენილი საბუთის ვრცელი ანოტაციაა.

არ ვიცით გორელები რამდენ ქედხუდას ირჩევდნენ. გვიან პერიოდის ერთ საბუთში (1791 წ.), მართალია, დასახელებულია გორის ოთხი ქედხუდა[4], მაგრამ, სავარაუდოა, რომ მათი რაოდენობა მეტი იყო. ასეთი ვარაუდის უფლებას თვით საბუთი იძლევა: *„ბატონო ამილახვარო ოთარ! – უბრძანებს დარეჯან დედოფალი, – ამ არზის პატრონს უჩივის თავისი რძალი რომ გაყრაზე უჩივის, გორის მამასახლისი, ორი სამღვდელო კაცი, ოთხი ქეთხუდა შენთან*

---

[1] *მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, გვ. 476, 477, 480.*

[2] *ქართული სამართლის ძეგლები, VII, გვ. 765, №806.*

[3] *ქართულ-სპარსული საბუთები, გვ. 291, №124.*

[4] *ქართული სამართლის ძეგლები, VIII, გვ. 100, №88.*

დაისწარ, და ღმერთის წინაშე სამართალი მოარიგე“. საბუთის მიხედვით, ოთარ ამილახვარს საქმის გასარჩევად უნდა დაებარებინა მამასახლისი, ორი (და არა ყველა) ეკლესიის მსახური (მაშინ გორში, ორზე მეტი სამღვდელო პირი იყო) და ქედხუდების მხოლოდ ერთი ნაწილი, ე.ი. ოთხი ქედხუდა.

ასევე ოთხი ქედხუდის დასწრებაზეა ნათქვამი 1793 წ. საქმის გარჩევის საბუთში[1]. მაშასადამე, ამილახვრის მიერ საქმის გარჩევის დროს 4 ქედხუდის დასწრება აუცილებელი იყო, თუმცა შემდგომი წლის, ერეკლე II-ის მიერ პეტრე ავალიშვილის არზაზეა მიწერილი ოქმით, სასამართლოზე *„სამი-ოთხი გორელი ქედხუდის“* დასწრება აუცილებელი იყო.

იმ მრავალრიცხოვან საბუთში, რომლებშიც საქმის გარჩევის დროს ქედხუდთა რაოდენობა არ არის მითითებული და მხოლოდ ნაბრძანებია ამილახვარმა ქედხუდები მიიყვანოსო, ასეთ შემთხვევაშიც, 3-4 ქედხუდა უნდა ვიგულისხმოთ.

ქედხუდთა რაოდენობა რომ მრავალი იყო და ამ წოდებას ვაჭართა ზედა ფენის ყველა წარმომადგენელი ატარებდა, ამაზე მიუთითებს 1746 წლის ის საბუთი, რომელშიც ავღანელთა ჯარის ჩაყენებაზეა ლაპარაკი. გორის მელიქი ფარსადანა თეიმურაზ II-ს სწერს: *„ამათი სამყოფი სახლი გორს არ არის, ოთხი-ხუთი კომლი რიიათი ქეთხუდები თითო სახლში დამიყენებია, სხვა ამათ (ავღანელებს – ე.მ.) მივეცი“*[2]. მელიქმა თუ თითო სახლში ქედხუდათა ოთხი-ხუთი ოჯახი შეასახლა, გამოდის, რომ მათი რაოდენობა საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო.

ქედხუდების, როგორც სავაჭრო საქმეებში გარკვეული ადამიანების მოვალეობას შეადგენდა ქალაქში გასაყიდ საქონელზე ნიხრის დაწესება: გორში *„ამილახორის ნიხრთან საქ-მე არა აქვს, ქედხუდების არის“* – აცხადებდნენ გორელი ქედხუდები ერეკლე II-სადმი მირთმეულ საჩივარში. გორელი ქედხუდები ამ პრივილეგიით განსხვავდებოდნენ საქართველოს სხვა ქალაქების ქედხუდებისაგან. თბილისში ნიხრის დამდგენი მოურავი იყო, თელავში – ნაცვალი.

ქედხუდები ამოწმებდნენ ნასყიდობის წიგნებს, სავაჭრო გარიგებებს, მოქალაქეთა გაყრილობის წიგნებს და სხვ. ქედხუდათა საქმიანობის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

---

[1] *იქვე, გვ. 222, №205.*

[2] *საქართველოს სიძველენი, III, გვ. 560, №499.*

1711 წ. 15 დეკემბერს ძმების გარსევანიშვილების გაყრის საქმეში მეფის მოხელეთა გარდა მონაწილეობდნენ *„გორის ქედხუდები და გორელნი, ვისაც ეკითხებოდა“*[1].

ქედხუდები გორელთა ინტერესების დამცველად გამოვიდნენ 1749 წ. გორელ გიორგი ბაინდურაშვილთან დავაში. საქმე მდივანბეგმა გაარჩია[2].

1763 წ. 14 აპრილს რევაზ ამილახვარი, მამულის გაყოფის საქმის გარჩევისას აცხადებს: *„ახლა ჩვენ, ამილახორმა რევაზ გვერთ ვიახლეთ გორის მამასახლისი გიორგი, გორის ქეთხუდები“*[3].

მამასახლისთან ერთად ქეთხუდები გორის ინტერესების დამცველად გამოდიან მეფის სასამართლოში ეპისკოპოს ბესარიონის ყმა გოგილა ალადაშვილის საქმის გარჩევის დროს[4], საბატონიშვილო ყმების მღებრიშვილების საქმეზე[5]. ეპისკოპოსი ბესარიონი გორელებს უჩივის, რომ გორის მამასახლისი და ქეთხუდები მის ყმა გოგილა ალადაშვილს საერო მებატონეთა ყმების მსგავსად ყოველგვარ გადასახადებებისა და ვალდებულებების შესრულებას სთხოვდნენ, მაგრამ, როგორც გაირკვა, გორის მოქალაქეებს თავიანთი პრეტენზიების გასამართლებელი რაიმე საბუთი არ ჰქონდათ. სასამართლოსა და მეფე ერეკლე II-ის მხარდაჭრით ბესარიონის საეკლესიო ყმა განთავისუფლდა არასაეკლესიო ხარჯებისა და მოვალეობებისგან[6].

ქედხუდები მოწმედ იყვნენ (1778 წ.) მამის მიერ შვილის გაყიდვისას[7].

ზემომოყვანილი საბუთებიდან ჩანს რომ ქედხუდები გორში, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებში, მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ საქალაქო ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, განსაკუთრებით სამართლის წარმოებაში.

---

[1] *ქართული სამართლის ძეგლები, IV, გვ. 234, №160, იხ. აგრეთვე, ქართული სამართლის ძეგლები, VIII, გვ. 100, №88.*

[2] *ქართული სამართლის ძეგლები, IV, გვ. 728, №762.*

[3] *იქვე, გვ. 489, №392.*

[4] *იქვე, გვ. 578, №454.*

[5] *იქვე, გვ. 613-614, №442.*

[6] *იქვე, გვ. 578, №454.*

[7] *იქვე, გვ. VII, გვ. 421, №442.*

მებაჟე

გვიანფეოდალურ გორში, როგორც საქართველოს დიდ და მცირე ქალაქებში, არსებობდა საბაჟოები. მებაჟეთა უპირველესი მოვალეობა ქალაქში სავაჭროდ შემოტანილი-გატანილ საქონელზე ბაჟის აკრეფა იყო. საბაჟო სისტემის არსებობა საგრძნობლად აფერხებდა თავისუფალი ვაჭრობის განვითარებას.

წყაროებიდან ირკვევა, რომ ქალაქში ერთი რაიმე გარკვეული ადგილი – *„საბაჟო“*, სადაც მებაჟე დაჯდებოდა და კონტროლს გაუწევდა გამვლელ-გამომვლელ ვაჭრებს, არ არსებობდა. მებაჟე, ჩვეულებრივ, დადიოდა და ისე ასრულებდა თავის მოვალეობას. ის ფხიზლად ადევნებდა თვალს მგზავრებს, რათა ვინმეს თავი არ აერიდებინა ბაჟის გადახდისათვის. გორის მებაჟის ასეთ საქმიანობაზე *„დასტურლამალი“* გვამცნობს: *„ქალაქს გაცილებულს, გორს ჩამოცილებულს, გალმით თუ გამოღმით, მთაზე თუ საითაც საპალნეს გაატარებენ, ამას გორის მებაჟე არ დაიკლებს“*[1].

1662 წ. ვახტანგ V-მ გორის ბაჟის მესამედი სვეტიცხოველს შესწირა. ამ დროიდან სვეტიცხოვლის წილ ბაჟს კათალიკოსის მიერ დანიშნული მებაჟე კრეფდა. ამგვარად, 1662 წლიდან ორი მებაჟე იყო: მეფისა და კათალიკოსისა. გორის მებაჟის უფლებები კანონითა და ტრადიციით იყო დადგენილი და *„ძველითგან ხელმწიფეთაგან ამ რიგად შესწიროდა: რაც ქალაქიდამე, გინდა სომხით-საბარათიანოდამე, ანუ თრიალეთიდამე და ან კახეთიდამე, ქართლით გალმაგამოღმა მგზავრმან შეიაროს და ანუ მზოვრეთსა და მას ქუეშეთ თრიალეთიდამე ჩამოიაროს, რაც გორის მებაჟემ ბაჟი აიღოს, მესამედს ბატონის კათალიკოზის მებაჟეს ნუ დააკლებს; მებაჟენი გორისა და ბატონის კათალიკოზისა ერთად უნდა იარონ“*[2]. მაგრამ იმავე შეწირულობის წიგნიდან ირკვევა, რომ კათალიკოსის მებაჟეს საქართველოს ყველა მხრიდან შემოტანილ საქონელზე ხელი არ მიუწვდებოდა. ასეთ გამონაკლისს წარმოადგენდა ის *„ვინც ან სამცხიდამე და იმერეთიდამე მგზავრი ჩამოვიდეს და გორს მოვიდეს და გორს ივაჭრის, იქიდამე გაბრუნდეს, იმასთან კათალიკოზის მებაჟეს ჭელი არა აქუს“*[3]. მაგრამ, იმ შემთხვევაში თუ მესხი ან იმერელი ვაჭარი

---

[1] *დასტურლამალი, გვ. 552.*

[2] *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссие, I, с. №15; ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 224, №80.*

[3] *ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 225, №81.*

უკან არ გაბრუნდებოდა და თბილისისკენ ან სხვა მიმართულებით გააგრძელებდა გზას, გორს გასცილდებოდა თუ არა, მაშინვე ჩვეულებრივ ბაჟს გადაახდევინებდნენ.

მეფე, თავის შეხედილებისამებრ, გორის ბაჟის გადახდისაგან ათავისუფლებდა ქართული, სომხური და კათოლიკური ეკლესიის მიმდევრებს, ათავისუფლებდა ზოგიერთ გორელ ვაჭარს და ა.შ.

„დასტურალამალით“, რომელიც ძველად მიღებულ კანონებს და ტრადიციებს ასახავდა, დადგენილი იყო გორის საბაჟო ნიხრი: *„გორის ბაჟი არის: თავრიზის საპალნე რომ მოიტანონ მძიმე ფარჩა თუ მსუბუქი, გაუხსნელად, იმაზე გამოერთმევის საპალნეზედ მინალთუნი (1 მან.) სამი, ორდაბუდის*[1] *საპალნეზედ მინალთუნი ორი, ენდროზედ – აბაზი, ბანბაზედ – ორი აბაზი, მარილის საპალნეზედ ორი ბისტი*[2]*, ბრინჯზედ ხუთი შაური, თევზზედ, ხიზილალაზედ, ქონზედ, ერბოზედ, მატყლზედ, ღაზლზედ, ბანალზედ და ტყავზედ, ამების სა-პალნეზედ თვითო აბაზი გამოერთმევის*“[3].

წყაროებში გორის მებაჟე პირველად გვხვდება როსტომ მეფის მიერ 1649 წ. თუმანიანთ მამუკაშვილისადმი მიცემულ სითარხნის წიგნში. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ სამეფო ხელისუფლება გორში მანამდე ბაჟს არ იღებდა. გორი, როგორც სავაჭრო-სახელოსნო ქალაქი ფეოდალიზმის ეპოქაში, ყოველთვის მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდა ხაზინას, ეკლესიას და სამოხელეო აპარატის ერთ ნაწილს.

თუმანიანთ მამუკაშვილისადმი გაცემული საბაჟო გადასახადის სითარხნის წიგნი ერთ საინტერესო მომენტსაც შეიცავს. მეფე ვაჭართა ჯგუფს, კერძოდ, თუმანიანთ მამუკაშვილების ყმა-ვაჭრებს უფლებას აძლევს სამოცი თუმნის საქონელზე, განურჩევლად სახეობისა *„არა ქალაქს, არა გორს და არა სხუაგან ბაჟი არ ეთხოვებოდეს“*. მაგრამ იმ პირობით, რომ მათ ბოროტად არ უნდა გამოიყენონ მეფის წყალობა და *„სხუის კაცის საქონელი არ იმისნოს ამ სამოცს თუმანს გარდაისად და არც ამისაგან ნამეტნავი არონინოს“*. ხოლო იმ თანხიდან, რაც სამოც თუმანზე მეტი იქნება, ბაჟს არსებული წესით გადაიხდიდნენ.

---

[1] *ორდაბუდი ქალაქია ნახჭევანში, იგი ცნობილი იყო მეაბრაშუმეობით.*

[2] *სეფიანთა ირანში XVI ს. ბოლოს შემოღებული უმცირესი მონეტა, ბისტი=2 კაპ.*

[3] *დასტურლამალი, გვ. 552.*

ეკლესია გორის ბაჟს ჩვეულებრივი იჯარით გასცემდა. 1706 წელს კათალიკოსმა დომენტიმ თბილისის, გორის, ცხინვალის და ალის და *„ყოვლისა სამეფოისა“* საბაჟოები ერთი წლით 23 თუმნათ, იჯარით გასცა. ამასთან ერთად იჯარის ამღებებმა იკისრეს კათოლიკოსისათვის *„მიერთმიათ: ზურგიელი სამი ერთ აბაზად, დოში შვიდ ფულად (3 ნახ. კ.), გვერდი ნახევარ შაურად, ხიზილალა შაურ ორ-ორ ბისტად (2 კაპ.) ლიტრა, თეთრი ბრინჯი ლიტრა ოთხ ბისტად, გელაქნური შვიდ შაურად, ზუთხი მუცლიანი აბაზად, ტარაღანა ორ შაურად“*[1].

არა გვაქვს ცნობები გორის მებაჟის შემოსავალზე. საგულისხმოა, რომ მას თავისი მოვალეობის შესრულებისათვის, როგორც მეფის მოხელეს, გარკვეული სარგო ჰქონდა აკრეფილი ბაჟიდან. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მოხელეთა თვითნებობისა და გამომძალველობას, მებაჟე უკმაყოფილო არ უნდა ყოფილიყო თავისი შემოსავლით.

ქალაქის მწერალი

გორის მოხელეთა შორის მოიხსენიება *„ქალაქის მწერალი“* ანუ *„მუშრიბი“*. გორის მუშრიბი, გორის მებაჟესთან ერთად დასახელებულია როსტომ მეფის 1649 წ. ბრძანებაში[2]. მწერლის თანამდებობა ჩანს ფეოდალური საქართველოს მხოლოდ ორ ქალაქში – გორსა და თბილისში[3].

მწერლის მოვალეობა ქალაქის მოსახლეობის აღწერა და მათი სოციალური მდგომარეობის აღნიშვნით სახელმწიფო დავთარში შეტანა იყო. მათვე უნდა აეწერათ ქალაქის სახლები და ბაღები, ქალაქის საბაჟოში შესული საქონელი და სხვ.[4]. მწერალი, ქალაქის საბაჟოსთან საქმიანობის გამო, საბუთებში ხშირად მებაჟესთან ერთად მოიხსენიება, ორივენი კი მოურავს ემორჩილებოდნენ.

მწერალი ვალდებული იყო მებაჟესთან ერთად აესრულებინა მეფის ყოველი განკარგულება, იმ ცვლილებების გატარება, რასაც ხელისუფლება ამა თუ იმ შემთხვევაში მიზანშეწონილად ჩათვლიდა. როსტომ მეფე ამიტომ ბრძანებდა: *„გიბრძანებთ... გორისა თუ ჩუენის*

---

[1] *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, I, с. 54.*

[2] *ქართულ-სპარსული საბუთები, გვ. 211, №93.*

[3] *მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, გვ. 467.*

[4] *იქვე, გვ. 468.*

საბატონოს მოურავნო, მუშრიბნო და მებაჟენო, თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ (თუმანიანთ მამუკაშვილს ბაჟიდან განთავისუფლება –ე. მ.) და ნურას შეეცილებით და მოუშლით თუინიერ თანადგომისა და შეწევნისაგან კიდე"[1].

მწერლის საქმიანობის ერთი მნიშვნელოვანი მხარის, კერძოდ საბაჟოში შესული საქონლის აღწერის შესახებ, საინტერესო მასალას იძლევა ზემოთ მოყვანილი ვახტანგ V-ის 1662 წ. შეწირულობის წიგნი. მეფე, გორის მებაჟესთან ერთად, მუშრიბსაც აფრთხილებდა *„გორის ბაჟიდან კათალიკოსს არაფერი დააკლოთო*"[2].

მწერალი მონაწილეობდა ზოგიერთი მსუბუქი სასამართლო საქმეების გარჩევაში[3].

მწერლის შემოსავალი, როგორც *„დასტურლამალიდან"* ჩანს, ძირითადად საბაჟო გადასახადის ერთი სახეობა *„სამუშრიბო"* ანუ *„მუშრიბანა"* იყო: *„ბანბის საპალნე, აქლემს ჰკიდია თუ ცხენსა, საპალნეზედ ორი აბაზი არის თუ ღარიბი კაცი მოიტანს, ერთი შაური მუშრიბანა არის"*; *„ზეთის საპალნეზედ ერთი აბაზი არის და ნახევარი შაური მუშრიბანა"*; *„ჩვენის მოქალაქის აბრეშუმისა და ფარჩის საპალნეზედ სამ-სამი აბაზი მუშრიბანა აიღების, რამდენიც საპალნე იქნების*"[4].

მწერლის პირდაპირი შემოსავლის შესახებ სხვა ცნობა არა გვაქვს, მაგრამ წყაროებიდან ჩანს, რომ მწერალს ხელისუფლებისაგან მინიჭებული პრივილეგირებული მდგომარეობა საშუალებას აძლევდა სხვადასხვა გზით გაედიდებინა თავისი ქონება და შემოსავალი. 1778 წ. ამილბარ სახლთუხუცესი უჩივის პაპა მწერალს, რომელსაც მისი ნაყიდი ყმის წართმევა განუზრახავს[5].

მწერლის თვითნებობა, მოსახლეობის შევიწროება, ნაჩვენებია გორელების 1781 წლის საჩივარში. გორის მწერალმა პაპა ალაპაპაშვილმა გორელებს წაართვა საძოვარი *„კარალეთის ბოლოდან... გორის წისქვილებამდინ... ზოგს თითონა ხნავს და ზოგს სხუათ ახუნევინებს და ღალას თითონ იღებს*"[6].

---

[1] *ქართულ-სპარსული საბუთები, გვ. 211, №93.*

[2] *ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 224-225.*

[3] *იქვე, VIII, გვ. 94, №83.*

[4] *დასტურლამალი, გვ. 541-543.*

[5] *ქართული სამართლის ძეგლები, VII, გვ. 421, №442.*

[6] *იქვე, გვ. 514, №542.*

მდივანბეგი

სასამართლო საქმეების გარჩევაში მნიშვნელოვან როლს მდივანბეგი ასრულდებდა. მდივანბეგები სამეფოს უმაღლესი მსაჯულები იყვნენ. მათი ერთი ნაწილი საგანგებოდ ქალაქებში მოსამართელობდა, რის გამო ისინი *„ქალაქის მდივანბეგებად“* იწოდებოდნენ. ერეკლე II-ის მეფობის დროს, ქართლ-კახეთის სამეფოში 13-ზე მეტი მდივანბეგი იყო და უფლება ჰქონდათ თბილისში, გორში, თელავში და სიღნაღში ყოფილიყვნენ. მდივანბეგები, როგორც უმაღლესი სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელნი, როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო საქმეებს არჩევდნენ[1]. მდივანბეგებად მხოლოდ მსხვილი ფეოდალური საგვარეულოების წარმომადგენლები ინიშნებოდნენ.

„დასტურლამალი“ მდივანბეგის სასამართლო ფუნქციებს ამგვარად განსაზღვრავს: *„აგრეთვე გორელი კაცი – გარეშე კაცს და გარეშე კაცი გორელს კაცს უჩიოდეს, სამეფოსა თუ სადედოფლოს უჩიოდეს, მდივანბეგთან იჩივლონ და გაურიგოს. თუ გორელი კაცი ერთმანეთს უჩიოდეს და თავისი ნებით მდივანბეგს შემოსჩივლონ, სამართალი მდივანბეგმან უყოს“*[2]. მაშასადამე, თუ გორელი და არაგორელი ერთმანეთს ედავებოდნენ, საქმის გასარჩევად მდივანბეგისათვის უნდა მიემართათ. მაგრამ, იმ შემთხვევაში თუ გორელები დაობდნენ, მდივანბეგი მხოლოდ მაშინ გაასამართლებდა მათ, როცა მოდავენი თვითონ მოისურვებდნენ მათი საქმე მდივანბეგს გაერჩია.

მდივანბეგს შეეძლო საქმის გარჩევა მამასახლისისა და ქედხუდებისათვის დაევალებინა. 1781 წ. მდივანბეგმა იესე ამილახვარმა გორის მამასახლის ზურაბს, ნაცვალს გარსევანს და ქედხუდებს უბრძანა ძმები ზამსაშვილების გაყრა[3]. აქ, ალბათ, ისეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც მოდავეებმა მდივანბეგის სასამართლოს მიმართეს, მაგრამ მდივანბეგს გადაუდებელი საქმის ან გორში არყოფნის გამო ამ საქმის გარჩევა არ შეეძლო.

სამართლის წარმოებისათვის არსებობდა სპეციალური სარგო, რომელსაც *„სამდივანბეგო“* ეწოდებოდა. *„სამდივანბეგოს“* იღებდა

---

[1] *სურგულაძე ივ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, გვ. 320.*

[2] *დასტურლამალი, გვ. 637; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, III, გვ. 14.*

[3] *Грузинские крестьянские грамоты, с. 37.*

მოურავი, მდივანბეგი, ე.ი. ყველა ისინი ვინც სასამართლო პროცესს უძღვებოდნენ.

„დასტურლამალში“ მტკიცედაა დადგენილი მდივანბეგის *„სამდივანბეგო“.* როცა უცხო კაცთან დავაში გორელი გამტყუნდებოდა, *„სამდივანბეგოს“* მდივანბეგი და *„მეფის მდივნები“* გაიყოფდნენ. თუ პირიქით მოხდებოდა, მაშინ *„ნახევარი სამდივანბეგო-მდივანბეგისა, ნახევარი სამდივანბეგო-ამილახორსა“.* მდივანბეგი იღებდა ერთ აბაზს გასამყრელოს, 1/10-ს მეფის სასარგებლო ჯარიმიდან. იმ შემთხვევაში თუ მდივანბეგი ადგილზე არყოფნის გამო სასამართლოს ვერ დაესწრებოდა და დედოფლის სახლთუხუცესი გაუძღვებოდა სასამართლოს, მდივანბეგი თავის სარგოს მაინც მიიღებდა[1].

[1] *დასტურლამალი, გვ. 637-639.*

გორი – ზემო ქართლის სადროშოს ცენტრი

შედარებით სრული წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში გორის ადგილზე, მოკლედ მაინც უნდა შევეხოთ ზემო ქართლის სადროშოს საკითხს. სადროშოს ცენტრი გორი იყო.

XV საუკუნეში ერთიანი საქართველოს დაშლის შედეგად ქართლის, კახეთის და იმერეთის სამეფოების და ხუთი სამთავროს ჩამოყალიბებას თან ახლდა სადროშოების წარმოშობა.

ქართლის სამეფოში ჩამოყალიბდა 4 სადროშო, ისინი სამხედრო ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდნენ. ჩვენამდე მოღწეული წყაროები ძირითადად XVI-XVIII საუკუნეთა სინამდვილეს ასახავს, ამიტომ, ძირითადად, ამ პერიოდზე ვილაპარაკებ.

ქართლის მეწინავე სადროშოს სომხით-საორბელოს სათავადოები შეადგენდნენ. მას ჯერ ბარათაშვილი სარდლობდა, შემდეგ ორბელიანი; მემარჯვენე სადროშოში ზემო ქართლის სათავადოები შედიოდნენ. ზემო ქართლის სათავადოებსა და სადროშოსაც ამილახვრები სარდლობდნენ; მემარცხენე სადროშოში შედიოდა სამუხრანბატონო, ქსნისა და არაგვის საერისთავოები და მათ მუხრან-ბატონი სარდლობდა[1]. მეუკანავე სადროშოს მეფის სადროშო წარმოადგენდა. მასში შედიოდა საკათალიკოსო ლაშქარი. მის სარდალს მეფე ნიშნავდა.

თითოეულ სადროშოს თავისი დროშა ჰქონდა. მაგრამ სადროშოთა დროშების არსებობაზე არავითარი ცნობა არა გვაქვს 1745 წლამდე. ვიცით, რომ, აღნიშნულ წელს, თეიმურაზ II-მ *„ბრძანა დროშათა გაკეთება, გააკეთეს ვითაც ძველად რიგი ყოფილიყო“.* მაშასადამე სადროშოებს ძველადაც ჰქონდათ დროშები, მაგრამ, დროის განმავლობაში მოისპო და მათი აღდგენა-განახლება აუცილებელი შეიქმნა. დაამზადეს ოთხი დროშა, ქართლის სადროშოთა რაოდენობის მიხედვით. თითოეულ მათგანზე გამოსახული იყო ოთხ-ოთხი ჯვარი, ალბათ, ისევ სადროშოთა რაოდენობის აღსანიშნავად. მეფემ *„ერთი უბოძა ორბელიანს ქაიხოსროს, მეორე – მუხრან-ბატონს*

---

[1] პაპუნა ორბელიანის გადმოცემით, თეიმურაზ II-მ *„უბრძანა ორსავ ერისთავის ჯარს მუხრან-ბატონის დროშაზე მისვლა, ვითაც ძველთაგან ორი ერისთავის მამული მუხრან-ბატონის სასარდლო ყოფილიყო“. პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, გვ. 102.*

კონსტანტინეს, მესამე – ამილახორს დიმიტრის და მეოთხე ბატონს კერძო ვლიდა“.

პაპუნა ორბელიანი არ ამბობს, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ყოველ დროშას, ზემოაღნიშნული ჯვრების გარდა, სხვა რაიმე ნიშანიც ჰქონდა, რომლითაც ისინი ერთმანეთისაგან განირჩეოდნენ. ამაზე მიგვანიშნებს იმავე ავტორის შემდეგი ფრაზა: *„ვინ ვისა დროშაზე ჯარი ყოფილიყო, ისევ ძველსა რიგზე განაწესეს და შემოეხვივნეს თვის თვისი ჯარი დროშათა“*[1].

ცნობილია მეორე სადროშოს დროშაზე წარწერის ტექსტი: *„ჩვენს კეთილმსახურმან მეფემან, თეიმურაზ მიუბოძე დროშა ესე დიდად ჩინებულსა და ერთგულად ნამსახურსა ბატონსა მეფესათა მუხრანის ბატონს კონსტანტინეს ორისავე საერისთოს საძღვნად, ოდეს ცხებულ ვიქმენით საცხებელთა მეფეთთა ნებითა ღ˜თისითა, თთვესა ოკტონ-ბერსა პირველსა დღესა, დღესასწაულისა სვეტისა ცხოველისა ქრის-ტეს აქეთ ჩღმე ქკს ულგ“*[2].

რა თქმა უნდა, სხვა სადროშოთა დროშებზე სხვა შინაარსის წარწერები იქნებოდა.

ე. თაყაიშვილის მიერ აღწერილ დროშას ჩვენამდე არ მოუღწევია. ცნობილია მისი მრგვალი ზედა მხარე, რომლის შუაში ამოტვი-ფრული ამხედრებული წმ. გიორგი შუბით განგმირავს გველეშაპს. წმ. გიორგის ზემოთ და ქვემოთ არის დროშის დამზადების თარიღი (1745 წ.), ხოლო წრიული წარწერა გვამცნობს: *„წინა საძღვნად დეს ცხებულ ვქმენით, საცხებელითა მეფეთთა ნებითა ღთისთა თთვესა ოკდონბერსა პირველსა დღეს დღესასწაულსა სვეტის ცხოვე-ლისასა“*[3].

სარდლის თანამდებობაზე დამტკიცება ხდებოდა საზეიმო ცერე-მონიალის დროს მეფის მიერ დროშისა და ხმლის გადაცემით. სარდალს ემორჩილებოდნენ სადროშოს ტერიტორიაზე მცხოვრები საერო და სასულიერო ფეოდალები, მოურავები და სხვა მოხელეები. სარდალს ევალებოდა ომის დროს ჯარის გამოყვანა, მშვიდობი-

---

[1] *პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, გვ. 102.*

[2] *Такаишвили Э., Серебряное знамя Мухранского владетеля Константина 1745 г. // Известия Кавк. отделения им. Московского Арх. общества, вып. I, 1907, с. 117.*

[3] *ვადბოლსკი მ., საქართველოს ჰერალდიკური სიმბოლიკა, თბ., 1980, გვ. 36, ნახ. 230.*

ანობის დროს კი ჯარის წვრთნა და მომზადება[1]. მას ევალებოდა, აგრეთვე, სადროშოს ტერიტორიაზე არსებული ციხეების მოვლა-პატრონობა.

ზემო ქართლის სადროშოს ცენტრი იყო გორი, სადროშოს სარდალი კი ამილახორი ზედგინიძეთა გვარიდან. ამ გვარის ერთი წარმომადგენელი ამილახორი (მეჯინიბეთუხუცესი) ალექსანდრე დიდის შვილის ვახტანგ მეფის ქვისლი იყო. ამ გვარის მეორე წარმომადგენელი თაყა იმავე ალექსანდრეს მოლარეთუხუცესი იყო. ამავე გვარს ეკუთვნოდა აგრეთვე გორის მოურაობა[2].

* * *

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ზემო ქართლის სადროშოს საზღვრები *„ამისი არს: აღმოსავლეთ... ხაზი კასპიდამ წარსული ჩრდილოს, გამჭრელი წლევისა, შავტყისა და მისრული კსნის კიდემდე. და ბოლადმდე; სამჭრით მდინარე მტკუარი; ჩრდილოთ, რომელი აღვსწერნეთ კსნის მამულის საზღვარი, და მერმე კავკასი; დასავლით ძირულას იქით მთა კოლბეურისა, მცირე, რომელი მიჰყვება ჩრდილოთ კერძ პერანგამდე, მუნიდამ ერწო-კუდარამდე და ესევ მთა კოლბეურისა, ჴევინისჴევსა და ამაშუკეთს შუა, მიჰყვების სამჭრით ვერტყვილამდე, ვერტყვილიდამ ხაზი ჩხერიმელის დაბის ქუაბამდე, და მუნიდამ მახვილოს მთის გამჭრელი დვირამდე და ბაკურიანის მთამდე. ხოლო მუხრანის თხოთის მთიდამ მოსდევს მთა, დასავლეთად, მტკურის კიდესა, გორის ქალაქამდე, და ეწოდების მთა წლევისა, მერე კუერნაქი“*[3].

ვახუშტის მიერ შემოხაზულ ზემო ქართლის სადროშოს საზღვრებში თავსდება დღევანდელი რაიონები: კასპის (ნაწილობრივ), ახალგორის (ნაწილობრივ), გორის (ნაწილობრივ), ცხინვალის, ჯავის, ზნაურის, ქარელის (ნაწილობრივ), ხაშურის (ნაწილობრივ), ხარაგაულის (ნაწილობრივ), ბორჯომის და ახალციხის (ნაწილობრივ)[4].

---

[1] *ჯამბურია გ., ადგილობრივი მმართველობა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 239.*

[2] *კაკაბაძე ს., საბუთი ზემო ქართლის სასარდლოს შესახებ, საისტორიო მოამბე, წ. I, ტფ., 1925, გვ. 254.*

[3] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 364.*

[4] *გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 77; მისივე, ფეოდალურ საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 288*

XVII ს. პირველი მესამედის ერთი საბუთიდან ჩანს რომელი სათავადოები და სხვა ერთეულები შედიოდნენ ზემო ქართლის სადროშოში. *„აქ არის ბატონის ამილახორის დროშაზედა: ბატონიშვილი გიორგი, ერთობილნი ზევდგინიანი, ფავლენიანი, მაჩაბლიანი, თუმანიანი, ბატონი მრუელი, ავალიშვილი ქაიხოსრო, ბატონი ურბნელი, ფალავანდიანი, ბატონი მთავარეფისკოპოზი, რაც გორს ზეით ან სადედოფლო არის, ან სუეტის ცხოველისა და იელუსარემისა, ერთობილნი ამირეჯიბიანი, დიასამიძე ელიზბარ; როსტომ ქავთარაძე, შალვა თუხარელი, ამუნ თაქთაქიძე, თაქთაქ ტატიანი და წერეთლის მამული, აბაშიძის მამულები, იტრიის წინამძღვარი, აბაზაძე, დამღაწაშვილი, ავალიშვილი გულბათ, ფაფინა ოხუზიშვილი“*[1].

როგორც ვხედავთ, სადროშოს საზღვრები მყარი არ იყო. იგი პერიოდულად იზრდებოდა ან მცირედებოდა, რაც ხშირი პოლიტიკური ვითარების ცვლით იყო გამოწვეული. ზემომოყვანილი საბუთისაგან საგრძნობად განსხვავდება ალ. ამილახვრის მიერ შემოთავაზებული საზღვრები. XVIII ს. II ნახევარში ზემო ქართლის სადროშოში შედიოდა შემდეგი სათავადოები: ამილახვრების, აბაშიძეების, ფალავანდიშვილების, ხერხეულიძეების, დავითაშვილების, ამირეჯიბების, თაქთაქიშვილების, ავალიშვილების, ხიდირბეგიშვილების, მხეიძეების, დიასამიძეების, სიამარდაშვილების, შალიკაშვილების, მაჩაბლების, სულ 15 სათავადო. ამას ემატებოდა მემკვიდრე ბატონიშვილის საბატონოდან გამოყვანილი ჯარი, რომელიც იმავე სადროშოშოს სარდალს, ე.ი. ამილახვარს ემორჩილებოდა[2].

ზემომოყვანილი ორი წყაროს ერთმანეთთან შედარებით ირკვევა, რომ XVII ს. II ნახევრისათვის ზემო ქართლის სადროშოს შემადგენლობაში აღარ შედიოდა მთელი რიგი სათავადოები და სამფლობელოები.

ზემო ქართლის სადროშოში აღარ შედიოდნენ: ზევდგენიძეები, თუმანიშვილები, ბატონი მრუელი, ბატონი ურბნელი, ბატონი მთავარეპისკოპოსი, თვალდამწვრიანები, ქავთარაძეები, თუხარელები, *„თაქთაქ ტატიანი“*, წერეთლის მამული, იტრიის წინამძღვარი, აბაშიძეები, დამღაწაშვილები, ოხუზიშვილები. როგორც ვხედავთ, სადროშოს დანაკლისი განსაკუთრებით დასავლეთის მხარეს განუცდია.

---

[1] *ხეც, Hd, №2124.*

[2] *ალექსანდრე ამილახვარი, გეორგიანული ისტორია, თარგმანი გ. ქიქოძისა, „მნათობი“, 1939, №8, გვ. 128.*

სადროშოს შემადგენლობაში ვეღარ ვხედავთ საეკლესიო მამულებს. თეიმურაზ I-ის *„მცხეთის სასარდლოს განაწესების წიგნიდან“* (1749) გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი XVII საუკუნეში ზემო ქართლის სადროშოს შემადგენლობაში იყვნენ შესულნი ჩვენთვის უცნობი გარემოების გამო. სავარაუდოა, რომ სამეფო ხელისუფლების დასუსტების გამო თავისი სადროშოს საზღვრებში გაფანტული საეპისკოპოსო და სვეტიცხოვლის მამულები სარდალმა მიითვისა. *„ლაშქრობის გარიგების წიგნებით“*, რომლებიც *„ძველთ ხელმწიფეთ“* შეუდგენიათ და მათზე დაყრდნობით ვახტანგ VI-საც დაუდგენია, თეიმურაზ II-მ განაახლა: *„ზემო ქართლის, თუ ქვემო ქართლის, საციციანოს მხარეს, მუხრანს, სომხეთს, საბარათიანოს, თრიალეთს, ქალაქს, თუ გორს, ცხინვალს მთასა და ბარს, რასაც ალაგს სვეტის-ცხოველის ყმა იყოს და ესახლოს, არას სხვა სარდლებს ჴელი არა აქვსთ, თავისი დარბაისელი, აზნაურიშვილი, მსახური და გლეხნი, დიდნი და მცირენი... კათალიკოზს იახლებოდნენ და შემოეყრებოდნენ, ლაშქრობასა და ნადირობაში*[1] *ჩვენს დროშაზე იქნებოდნენ“*[2]. სამაგიეროდ, XVII ს. II ნახევარში, სადროშოს შემადგენლობაში ვხედავთ ხერხეულიძეებს, დავითაშვილებს, ხიდირბეგიშვილებს, მხეიძეებს, სიამარდაშვილებს, შალიკაშვილებს და მაჩაბლებს.

„ზემო ქართლის სადროშო, – წერდა დ. გვრიტიშვილი, – სამ მთავარ მაგისტრალს მეთვალყურეობდა: 1. სამხრეთ-დასავლეთიდან ბორჯომის ხეობით მიმდინარე მაგისტრალს; 2. ლიხთიმერეთიდან მომავალ გზებს და 3. დიდი ლიახვით მომდინარე გზებს. თუ კაცი დაუკვირდება, შეამჩნევს, რომ ვარძია, თმოგვი, ხერთვისი, ასპინძა, ახალციხე, აწყური, ბორჯომი, ახალდაბა, სურამი, გორი და სხვილო – ერთ მთლიან მაგისტრალს ქმნიდნენ ფეოდალურ საქართველოში“[3].

ამილახვრის უფლება-მოვალეობებზე, მის შემოსავლზე გვაქვს ერთი საინტერესო საბუთი გაცემული როსტომ მეფისა და მარიამ დედოფლის მიერ:

„ნებითა და შეწევნითა ღ˜თისა ჩვენ ღ˜თივ აღმართებულმან ღ˜თივ დამყარებულმან და ღ˜თივგვირგვინოსანმან ორისავე საბატო-

---

[1] *გ. ჯამბურიას „ლაშქარ-ნადირობა“ გაგებული აქვს როგორც ჯარის გაწვრთნა და მომზადება.*

[2] *ხეც, Hd, №2124.*

[3] *გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, 81; მისივე, ფეოდალურ საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 291.*

ნოს მპყრობელმან მეფეთ მეფემან პატრონმან როსტომ და თანა მეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან მარიამ ესე ამიერით უკუნისამდის ჟამთა და ხანთა გასათავებელი ... წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ჩვენთა ერთგულთა იმედთა და მისანდოთა და მრავალგუარად თავდადებით ერთგულად ნამსახურთა ყმათ ამილახორ ანდუყაფარს, ძმასა თქვენსა გივსა და დემეტრეს და შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისა ყოველთავე. მას ჟამსა ოდეს ამილოხორნი სულკურთხეულნი მამაბიძანი თქვენი წესისაებრ ამიერ სოფლით გარდაჴდეს თქვენ ჩვენგან და მამაპაპათა ნათესავთა ჩვენთაგან ნაბოძები დროშა და ჴმალი მოგუართვი და აზნაურიშვილები მოგვისხით, ჩვენ შეგიწყალეთ და გიბოძეთ მკვიდრი ნათესავთა თქვენთა ნაქონი დროშა ამილახრობისა საამილახროს მამულიან აზნაურიშვილიან გლეხიანად და შემოგარტყით ჴმალი მებრძოლთა ჩვენთა დასაჩაგრავათ და გაგიახლეთ სიგელი სამოთხეშიგან მსხდომარისა მამა პაპ ძმა ნათესავთა ჩვენისა ნაბოძები. გიბოძეთ და დაგიმტკიცეთ მოურაობა გორისა და სამართალი მათი არა იკითხოდეს უთქვენოდ, ვერც ვის გაჰყრიდეს თქვენად შეუკითხავად მამასახლისი და ვერცა ვის გაჰყრიდეს, ვერცა ვის მამულს მისცემდეს და ვერცავის გამოართმევდეს, არც ჰქონდეს მამასახლის ქალის გათხოვების საჩქმოსთან ჴელი და არც თევზის ბაჟთანა, სათქვენოდ იყოს როგორაცა ძველს სიგელში გეწეროს, ჯურუმისაცა და ყოვლისა ფერის იქაურის მოსავლის ათისთავის სათაო და რაც სამოვრაო წესი ყოფილიყოს, უკლებლად გვიბოძებია, აგრეთვე ზემოქართლის თქვენის დროშის სარდრობა, ლაშქრობა, ნადირობა, კაცის დაყენება, სამართალი და ან გარიგება ძველის სიგლით გაგვერიგებინოს. იმავე წესით დაგვიმკვიდრებია და დაგვიმტკიცებია თქვენ ანდუყაფარ ამილახორისათვინ, შვილისა თქვენისა იოთამისა და ავთანდილისათვინ, ძმისა თქვენისა გივისა, დემეტრესა, ბარძიმისა და პაატასთვინ, შვილთა და შვილიშვილთა მომავალთა სახლისა თქვენისათვინ. გქონდეს და გიბედნიეროს ღ"თნ ორგულთა და მებრძოლთა ჩვენთა ჩვენსა ფეხთა ქვეშე მოსაქცევრად და ჩვენთა ერდგულებასა და სამსახურსა შიგან არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომად სხვათა მეფეთა და მეპატრონეთაგან. აგრევე თქვენად უკითხავად ვერც დადგან კოკა, ვერა ლიტრა და ვერც ადლი... ვერცავინ მებეჟე დააყენოს უთქვენოდ და სომხის ყმებმა რომ დააშავოს რამე, იმისი ჯარუმიც თქვენ გამოართვით.

სანამდის გივის უფროსი ძმა, ანდუყაფარ, მიიცვალებოდა, ესე სიგელი მანამდის გვებოძებინა მისთვის, ანდუყაფარ უფროსად თავათ დავსწერეთ და სანამდის გათავების ბეჭედს სიმტკიცისას დავ-სვემდით, სულკურთხეული ანდუყაფარ ამიერ სოფლით მიიცვალა და ამგვარად დავბეჭდეთ სიგელი საბოლოოდ გასათავებელი. ესე რომე უფროსად ამილახორად დროშისა მქონებელად და ჯარის გამძღოლად (გივი – ე. მ.) გვიბძანებია და გაუთაოს ღ˜თ ჩვენსა ერდგულებასა და სამსახურშიგან“[1].

ციტირებული საბუთი სრულ წარმოდგენას გვიქმნის ამილახორის, როგორც სადროშოს სარდლის მეფისაგან დადგენასა და მისთვის უფლებების მინიჭების შესახებ.

როგორც ჩანს, ამილახვრებს XV ს. 40-იანი წლებიდან ეპყრათ სახელო და ამისი დამადასტურებელი საბუთები მათ გააჩნდათ. საბუთების განახლება ხდებოდა ახალი მეფის მიერ, როდესაც ამის თაობაზე ამილახორი და მისი ოჯახის წევრები მეფეს მიართმევდნენ ფორმალურად უბრუნებს როსტომ მეფეს მისი წინაპრების მიერ ამილახვარისათვის ნაბოძებ ხელისუფლების აღმნიშვნელ ინსიგნიებს – დროშას და ხმალს. ამილახვარი, ამ შემთხვევაში, ტრადიციულად ანდუყაფარი მეფეს ეახლება თავისი აზნაურებით. ისინი შეადგენდნენ სადროშოს მთავარ ძალას. მეფემ და დედოფალმა ანდუყაფარს ხელახლა გადასცეს დროშა და ხმალი და დაუმტკიცეს აზნაურები გლეხებიანად. ამასთან ერთად დაუმტკიცეს გორის მოურაობა. ამილახვარს ექვემდებარებოდა მამასახლისი არასისხლის სამართლის საქმეების გარჩევის დროს: განქორწინება, მამულის გადაცემა ან ჩამორთმევა. ამილახვრისა იყო ზოგიერთი გადასახდი. ამილახვრის კომპეტენციაში იყო საზომ-საწყაო ინვენტარზე კონტროლი და ა. შ.

როსტომ მეფის ბრძანებით დაწერილი სიგელის დამტკიცებას ანდუყაფარი ვერ მოესწრო, გარდაიცვალა. სიგელში შესწორება არ შეიტანეს, იგი ამირინდოს სახელზე დარჩა, მაგრამ სიგელის ბილოს მინაწერია, რომ მეფემ და დედოფალმა ამილახვრობა ანდუყაფარის მომდევნო ძმას, გივის დაუმტკიცეს.

იმავე გივის დროს შეიქმნა ერთი საყურადღებო საბუთი საამილახვროს ჯარის რაოდენობისა და მისი შეიარაღების შესახებ. ამილახვრის განკარგულებაში იყო: 230 შუბოსანი, 162 მშვილდოსანი, 228 თოფოსანი, უიარაღოთ 97, სულ: 717 სხვადასხვა შეიარაღებითა

[1] *კაკაბაძე ს., საბუთი ზემო-ქართლის სასარდლოს შესახებ, გვ. 258-259.*

და უიარაღოთ[1]. გორში მცხოვრები ამილახვრის ყმების 20 კომლიდან სარდლის მოწოდებისთანავე 30 მებრძოლი გადიოდა, მაგრამ არ ჩანს რომელი საბრძოლო იარაღით იყვნენ აღჭურვილნი[2]

სამხედრო ფუნქციის გარდა, სადროშო ადმინისტრაციულ ფუნქციასაც ასრულებდა. სახელმწიფოში აღწერები ტარდებოდა სადროშოების მიხედვით. სარდალს აღწერა 7 წელიწადში ერთხელ უნდა ჩაეტარებინა. აღწერა ორ მიზანს ემსახურებოდა: მოლაშქრეთა რაოდენობის დადგენა და სახელმწიფო გადასახადების აღება. ორივეზე პასუხიმსგებელი სადროშოს სარდალი იყო[3].

სარდლის სარგოზე საყურადღებო ცნობებია როსტომ მეფის მიერ 1656 წ. გივი ამილახვრისადმი გაცემულ სიგელში: *„...სიგლითა პირველითაცა განგიახლეთ ამილახრობისა დროშა, შემოგარტყით ხმალი მოსურად მებრძოლთა და ორგულთა ჩვენთა. კუალაცა პირველიდგან სასარდროს საქმე გარი-გებული ქონოდათ, აწცა გაგირიგეთ და დაგიმკვიდრეთ სარგო სარდრობისა, ასრე რომე, როდესაცა თემი აიწერებოდეს, ერთის კარის ჩვენის მდივნითა თქვენს სასარდროს თქვენ ასწერდეთ, რაც თქვენი დროშის კაცი საშოარს იქმოდეს და ჩვენი მეფანჯიაქენი ფანჯიაქს აიღებდეს, რაც ათის თავი ერგებოდეს, მისი ნახევარი თქვენი უნდა იყოს და ნახევარი მეფანჯიექეთ გაიყონ. თქვენი დროშის კაცს სასამართლო საქმე ჰქონდეს, ჩვენს კარზე მოვიდოდნენ, თქვენც დახუდებოდეთ და რასაც თქვენის და რასაც თქვენის სასარდროს კაცს ლაშქრობის ბარობაზედ მამულს წავართუემდით, იმასაც შემოგეკითხებოდეთ და თუ უბოძებდეთ, თქვენისავ შემოკითხულობით წყალობას უზემდეთ. ესე ჩვენგან წყალობა არაოდეს არ მოგეშალოს და რა რიგათად თქვენგან თქვენის დროშის კაცი აიწერებოდეს, ლაშქარსაც იმ ანაწერზედ შემოგუყრიდეთ“*[4].

ზემო ქართლის სადროშოს სარდლის უფლება-მოვალეობაზე გვაქვს ზოგიერთი წყარო. 1644 წ. როსტომ მეფემ ბეჟან ამილახვარს მისცა წიგნი, რომლითაც მას *„იმავე რიგითა და წესითა“* დაუმტკიცა სარდლობა, როგორითაც მის წინაპრებს ჰქონდათ. ამილახვარს

---

[1] *კაკაბაძე ს., საამილახვროს დავთარი მე-17 ს-ნის მეორე ნახევრისა, ტფ., 1925, I-VI, გვ. 1-28.*

[2] *იქვე, გვ. 24-25*

[3] *კლიმიაშვილი აკ., მასალები XV-XVIII ს.ს. ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის // XIV-XVIII ს.ს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964, გვ. 127.*

[4] *გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 82-83.*

ევალებოდა მეფის ბრძანებისთანავე შეეყარა ჯარი და დანიშნულ ადგილზე მიეყვანა. ვინც მეფის ბრძანებას არ დაემორჩილებოდა, სარდალს უნდა დაესაჯა და რაც განსაზღვრული იყო ასეთი დანაშაულისათვის, გადაეხდევინებინა.

სარდლის ფუნქციებზე უფრო მეტ ცნობებს შეიცავს სადროშოს სარდლობის წყალობის წიგნი როსტომ მეფისა და ანდუყაფარ ამილახვრისადმი (1656 წ.). როსტომ მეფე პირდაპირ ჩამოთვლის ანდუყაფარის მოვალეობას: *„აგრეთვე ზემო ქართლის თქუენის დროშის სარდლობა: ლაშქრობა, ნადირობა, კაცის დაყენება, სამართალი და ან გარიგება ძველის სიგელით გაგვერიგებინოს, იმავე წესით დაგვიმკვიდრებია და დაგვიმტკიცებია“*[1].

XVIII ს. 50-იან წლებში, თეიმურაზ მეორის მიერ მორიგი ჯარის შემოღების შედეგად სადროშოს სამხედრო მნიშვნელობა დროებით შეიზღუდა. მორიგი ჯარის საერთო მეთაური ბატონიშვილი იყო, ხოლო ცალკეული ერთეულების მეთაურებს მეფე ნიშნავდა. 1756 წ. შედგენილი ზემო ქართლის მორიგე ლაშქრის ნუსხის მიხედვით, ყოველ ორ თვეში ერთხელ უნდა გაეწვიათ 172 მეომარი, მათ შორის 91 ცხენოსანი, და 80 ქვეითი. საინტერესოა, რომ გორიდან უნდა გასულიყო 4 ცხენოსანი და 2 ქვეითი[2].

მრავალფეროვანი იყო სარდლის საქმიანობა სადროშოში. 1772 წ. 10 ივნისს ერეკლე II რევაზ ამილახვარს ავალებს: *„მერმე ამ ხანად ჩვენი შვილი გიორგი გამოვგზავნეთ მანდედკენ და თქვენ უნდა იახლოთ, იმათთვისაც მოგვიწერია და მაგ ქვეყნის ბინა-სიმაგრე, ჯარისა და მდევრობის გარიგება, ციხეებისა და სიღნაღების გარიგება და გამაგრება, როგორც სამჯობინო იყოს ისე უნდა გაარიგოთ და ისე მოიქცეთ მაგრად და ფთხილად და მტერს არა დაანებოთ რა ღვთით“*[3].

ზემო ქართლის სადროშოს სარდლის საქმიანობის ამსახველ სხვა საბუთებს აღარ მოვიყვან გარდა ერთისა, რომელიც შედარებით სრულ წარმოდგენას გვიქმნის სარდლის ფუნქციებზე და ერეკლე II-ზე, როგორც სამხედრო ორგანიზატორზე. დოკუმენტი დათარიღებულია 1772 წ. 28 აგვისტოთი[4].

---

[1] *ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 222, №78.*

[2] *იქვე, გვ. 404-407, №109.*

[3] *საქართველოს ეროვნული არქივი, ძგს, პ. კარბელაშვილის ფონდი, რვეული, 12, №53, 58, 79, 88, 93, 94, 100; რვეული 10, №22; ფონდი 1448, №249, 380, 387, 390, 462, 1375, 1988, 4590; ხეც, Qd, №6883, Ad, №1350.*

[4] დოკუმენტი პირველად გამოაქვეყნა დ. გვრიტიშვილმა. მასვე ეკუთვნის დოკუმენტის მუხლობრივი ნუმერაცია. იხ. *მისი გორის ისტორია, გვ. 87-89.*

„1. როდესაც, რომ მუხრანიდამ ყარაული მოვიდეს, ცხენიანი ჯარი წავიდაო, ყველანი გაფრთხილდენ, თუ მჴურვალეთში შევიდეს ლეკის ჯარი, როგორც გაჩენილი არის, მდევარი შეიყაროს, თავი და ბოლო მოუჩრიკონ, ყარაულები გაგზავნონ, თავს დააყენონ, მდევარს დაძახონ, მეჯვრისჴევს შეიყარნენ.

თუ თავს დასხმა ამჯობინონ, თავს დაესხან, თუ გზის შეკვრა ამჯობინონ, გზა შეუკრან, თუ წინ დახვედრა ამჯობინონ, წინ დაუხვდნენ; რომელიც ამჯობინონ იმ გზით ეცადნენ, მტრის პასუხის გაცემასა და გაყრისა.

2. თუ ცხენიანი ლეკის ჯარი იყოს, ერთმანეთს ნუ მოუცდიან, ყველანი სირბილით გამოიქცნენ. თუ ქვეითი ჯარი იყოს, სოფელი და სოფელი ერთად შეიყარნენ, დამრგვალდენ და ისე მივიდნენ, სადაც სარქარდებმა დაუძახონ.

3. ბელოთიდამ მოკიდებული, – საცხენისი, დიდი ვანათი, არბო, ქორდი, დიდი და პატარა ლიახვს გადმოღმართი. გვერდის ძირი და ვაკე გორით, ბერშოეთამდის, – რაც ამათ შუა სოფლებია, ესენი ერთს სამდევროდ უნდა იყვნენ შეპირებულნი.

4. თუ რომ დიდის ჯარის ამბავი მოვიდეს, სარქარდებმა დაუძახონ; ორისავ მჴრის მდევარი უნდა საჩქაროდ სირბილით წამოვიდნენ: ცხენოსანი სულ ჭენებით გამოიქცნენ და ქვეითნი სოფელი და სოფელი შეიყარნენ, დამრგვალდნენ და სადაც სარქარდებმა ამჯობინონ და დაუძახონ, იქ მიცვივდნენ.

5. თუ სამაჩაბლოსკენ გაჩნდეს ლეკის ჯარი, ან დიდის ლიახვის გაღმა სადმე, ამ დიდის ლიახვის მდევარი და პატარა ლიახვის გაღმართი მდევარი, რომელიც მეორე მდევრად მიგვაჩნია, საჩქაროდ გაცვივდნენ და როგორც სარქარდებმა ამჯობინონ, ისე შეებნენ.

თუ რომ კიდევ მოუნდესთ მდევარი და სარქარდებმა დაუძახონ, გამოღმა მჴრის მდევარის წავიდეს და ღმრთით პასუხი გასცენ.

6. თუ ქარელიდამ მდევარი დაიძახონ, მაშინვე ქცხილვანის ქვეითი კაცი, დიდის ლიახვისა, პატარის ლიახვისა გაღმართი კაცი, და დირბის წყლის სოფლები ყველანი შეიყარნენ და გაცვივდნენ. ცხენიანი და ქვეითი ნურავინ დააკლებდა.

7. ვინც დააკლდეს მდევარს ასე გარდაჴდესთ: თუ თავადიშვილი დააკლდეს, საჭაკოდ წაართვან შემძლებელს ხუთი მინალთუნი, ღარიბს სამი მინალთუნი.

8. თუ აზნაურიშვილი დააკლდეს საჭაკოდ წაართვან ერთი საკლავი, ერთი კოკა ღვინო და ოცი ჯოხი დაჴკრან ბეჭებში.

9. თუ შემძლებელი გლეხი კაცი დააკლდეს, ამავ აზნაურიშვილისავით გარდაჰხდეს. და თუ ღარიბი იყოს, ერთი კოკა ღვინო წაართვან და ორმოცი ჯოხი დაჰკრან.

10. თუ ამილახორი და ერისთავი ზემო ქართლში იყვნენ, იმათ უნდა შეიყარონ მდევარი და ისე იმდევრონ.

11. თუ ესენი არ იყვნენ, ყულარადასმა გიორგიმ და მდივანბეგმა იასემ ქმნან.

12. თუ არც ესენი იყვნენ, აღაბაბამ და ან შალვამ, ბეჟან და ან ომანმა ქმნან და იმდევრონ.

13. რომელიც ერისთვისშვილი და ამილახორისშვილი დაესწრას, მდევრობა გვიბოძებია: ამათ შემოეყარნენ და როგორც ამჯობინონ, ისე მიიყვანონ. დიდად ბეჯითად იყვნენ ერისთვისშვილები და ამილახორისშვილები მდევრობისა, რომ ეს მდევრობა ამათ აქვთ.

14. ეს მდევრობა, რეჭულას წყლიდამ მოკიდებული ალის წყალმდის და გორიდამ სანამდისაც მიჰყვებოდნენ და ქარელიდამ, სადამდისაც მიჰყვებოდნენ, უნდა იმდევრონ.

15. გაღმა მჭრის გარიგებულობა, ოქმი გვიბოძებია და კარგად მდევრობენ, მადრიელიც ვართ და წყალობასაც დავმართებთ.

16. ეს იცოდეთ: თავადიშვილებმაც, აზნაურიშვილებმაც, გლეხმა კაცმაც, ამის უკეთესს ვერცა-რაც ღმერთს აამებთ, ვერცა-რას ჩვენ გვაამებთ და ვერცა-რას ქვეყანას შეემატებით, რომ ქრისტეს მტრენი თქვენის ცოლისა და შვილის დასატყვევებლად დარბიან, ამათ პასუხი მისცეთ. და ღმრთის მოწყალებით დაჰჭოცოთ და სირცხვილეულნი დააბრუნოთ.

მარიამობისათვის კჭ, ქრონიკონს უჭ.

ეს იცოდეთ: რომელიც ჩვენგან საქმნელი საქმეა პატრონყმობისა, მოვლისა, გარჯისა, წყალობისა და ჩემის ქვეყნისათვის თავის დიდებისა ღმრთით არ დავზოგავთ.

თქვენ ასე ეცადენით და ჩვენ კიდევ უფრო ძლიერსა და მტკიცეს საქართველოს შეწევნას ვცდილობთ"[1].

დოკუმენტი მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ზემო ქართლის სადროშოში ლეკების წინააღმდეგ ბრძოლის ხერხებსა და მეთოდებზე, ჯარის მობილიზაციასა და დეზერტირების დასჯაზე.

ჩანს, რომ სადროშო დაყოფილი იყო *„სამდევროებად"*, რომელთა მოქმედების ორგანიზაციას ამილახვარი და ერისთავი ხელმძღვა-

---

[1] *ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 426-428.*

ნელობდნენ. თუ ესენი ადგილზე არ იქნებოდნენ, მაშინ ყულარაღასი და მდივანბეგი ან სხვა მოხელე ჩაუდგებოდნენ მდევარს სათავეში. მაგრამ თუ არც ეს უკანასკნელნი არ აღმოჩნდებოდნენ ადგილზე, მაშინ ერისთავის ან ამილახვრის შვილებს უნდა ემეთაურათ.

სადროშოს სარდლობა ამილახვარს საკმაოდ დიდ სარგებელს აძლევდა. როსტომ მეფე 1656 წლის საბუთში პირდაპირ ჩამოთვლის ანდუყაფარ ამილახვრის სარგებელს: *„თქუენად უკითხავად ვერც დადგან კოკა, ვერცა ლიტრა და ვერც ადლი. ვერცავინ მებაჟე დაა-ყენონ უთქუენოდა. და სომხის ყმებმა რომ დააშაოს რაიმე, იმის ჯურუმიც თქუენ გამოართვით*“[1].

სარდლის სარგოზე შემდგომი პერიოდის სხვა საბუთებშიც ვხვ-დებით, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ოთარ ამილახვრის 1803 წლის მოხსენება პავლე ციციანოვისადმი. სარდალს დიდ შემო-სავალს აძლევდა მისი ჯარის მიერ მტრის ქვეყნიდან მოტანილი ნადავლი, საიდანაც მეფისათვის აღებული წილიდან მეხუთედი მას ეკუთვნოდა; ქვეყნის აღწერის დროს სადროშოს თითო კომლზე აბაზი ამილახვრისა იყო; სასარდლოში თავადის ან აზნაურის გაყრისას მდივანი რომ ყმასა და მამულს აღწერდა, კომლზე აღე-ბული 14 შაურიდან ნახევარი ამილახვრისა იყო; გლეხები რომ ერთმანეთს წაეჩხუბებოდნენ და ერთი მეორეს თავს გაუტეხდა, დამ-ნაშავეს *„ხარი და მარჩილი“* უნდა გადაეხადა ამილახვრის სასარ-გებლოდ; როცა ვინმე იდეზერტირებდა, მისი ქონების 1/5 სარდალს რჩებოდა; ამილახვარს გარკვეულ შემოსავალს აძლევდა, აგრეთვე, მისი სადროშოდან მეფის სასამართლოში მისული მომჩივნის გადასა-ხადიდან მიღებული წილი[2].

ამილახვრის შემოსავალი მხოლოდ ამით არ ამოიწურებოდა. ის საკმაოდ დიდ შემოსავალს იღებდა თავის საგვარეულო მამულიდან.

რაც შეეხება გორის მოურავის სარგოს, ამაზე უკვე ვილა-პარაკეთ.

---

[1] *იქვე, გვ. 222, №78.*

[2] *მესხია შ., მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, ნაკვ. 1, გვ. 85-86.*

გორში არსებული კონფესიები და მათი ეკლესიები

გორი გამოირჩეოდა ეკლესიები სიმრავლით. ერთ-ერთი თეატინელი პატრის მიხედვით, XVII ს. 60-იან წლებში გორში 12 ეკლესია იყო[1]. ვახუშტი ბატონიშვილის დროისათვის მათი რაოდენობა რვამდე შემცირებულა[2]. რვა ეკლესია ყოფილა 1825 წელსაც[3]. XX საუკუნის დასაწყისშიც კი, როდესაც გორი შედარებით პატარა ქალაქს წარმოდგენდა, გორში ეკლესიების ისეთი სიმრავლე იყო, რომ მნახველთა გაოცებას იწვევდა. ცნობილი რუსი არქეოლიოგის პ. უვაროვას თქმით, *„ქალაქში რვამდე მართლმადიდებლური, სომხური და კათოლიკური ეკლესიაა, თუ არ ჩავთვლით უმეტესწილად გაევრანებულ და ქალაქის სხვადასხვა მხარეს განლაგებულ მრავალ მცირე ეკლესიას“*[4]. 1783 წ. ერთი საბუთის მიხედვით, გორში სხვა ეკლესიების მშენებლობაც იყო განზრახული და საძირკვლებიც კი ამოუყვანიათ, მაგრამ მათი დასრულება ვერ მოხერხდა. საბუთში ვკითხულობთ: *„გორს ორი-სამი ეკლესია არის, რომ საძირკვლები ჩაყრილია და ისე ხარაბათ არის“*[5]. მარტო ქალაქის სასაფლაოზე პ. უვაროვას თერთმეტი მცირე ეკლესია დაუთვლია. ი. კლაპროთის ნათქვამი: *„გორში სამი ქვიშაქვისაგან აგებული ეკლესიაა, ამათგან ორი ქართველებს ეკუთვნით, ხოლო ერთი სომხებს“,* ისე უნდა გავიგოთ, რომ მან სხვა ეკლესიებიდან გამოყო განსაკუთრებით გამოსაჩენი ეკლესიები[6]. სამწუხაროდ, დღეისათვის არც ერთი XIX საუკუნემდე აგებული ეკლესია აღარ არის.

გვაქვს XVIII საუკუნის პირველი მესამედის *„ოსმალობის“* პერიოდის მნიშვნელოვანი დოკუმენტი – *„1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“.* მასში საინტერესო ცნობებს ვნახულობთ გორის რაბათში არსებულ, საქალაქო ცხოვრების აუცილებელ ატრიბუტებზე და მათ შორის მუსლიმურ სალოცავებზე.

---

[1] *ხეც, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №1074, გვ. 42.*

[2] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 367.*

[3] *Статистическое изображение городов, ც. 18; Кавказ. Рача. Горийский уезд. Гори. Осетия. Пшавия, Хевсуретия и Сванетия. Путевые заметки графинии Уваровой, ч. III, ც. 76.*

[4] *Тамже.*

[5] *საქართველოს სიძველენი, III, გვ. 515-516, №532.*

[6] *Klaproth J. von, Reise in den Kaukasus und nach Georgian unternommen in den Jahren 1808, p. 328.*

სავარაუდოა, რომ როდესაც მუსლიმანები გორს დაეუფლებოდნენ ხოლმე მართლმადიდებლურ ეკლესიებს კეტავდნენ ან მეჩეთებად იყენებდნენ. ასეთი ორიოდე ცნობა გაგვაჩნია: დონ პიეტრო ავიტაბილეს 1633 წლის რელაციიდან ვიგებთ, რომ როდესაც როსტომ ხანი გორს დაეუფლა თეატინელებისა და ავგუსტინელების ეკლესიების გარდა *„სხვა მრავალი საყდრიდან არც ერთი არ იყო ღია. ქართველების ეკლესიები, რომელიც სიმაგრეში იყო მოთავსებული, მაჰმადიანების მეჩეთებად იყო გადაკეთებული, უფრო უარესი – სომხების ეკლესია ცხენების თავლად იყო გამოყენებული“*[1]. მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა მას შემდეგ, როდესაც მეფე როსტომი ლევან II დადიანის დაზე, მარიამზე დაქორწინდა.

საეჭვოა, ოსმალების ბატონობის დროს, გორში, ქრისტიანული ეკლესიების ფუნქციონირება. ამას მაფიქრებინებს დავთარში აღნიშვნა იმისა, რომ: *„წინანდელ ეკლესიაში ვაკუფია“*[2]. ან კიდევ არის ჩემთვის ბუნდოვანი ფრაზა: *„ეკლესიის გუმბათის ოდენობა“* და არაფერია ნათქვამი თვით ეკლესიების შესახებ[3]. თუმცა უნდა აღინიშნოს მღვდლის ყოფნა ქალაქში. ეს იყო *„თუმან მღვდელი“*. იგი იმიტომ აღნიშნეს დავთარში, რომ მის ხელში იყო სამთვლიანი წისქვილი[4].

ჭირს იმის თქმა, გატარდა თუ არა *„ოსმალობის“* პერიოდის გორში რაიმე მართლმადიდებლობის ანტიეკლესიური ღონიძიება, მაგრამ რაღაც სერიოზული კი მოხდა ისეთი, რომლის გასწორებას საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ, 1757 წელს მეფე თავისი განჩინებით ცდილობდა. საკმაოდ ვრცელ სამეფო განჩინებაში კერძოდ ნათქვამია: *„ესეც ასე გვიბრძანებია, თუ ჩვენს სახასო კაცს გორში კათალიკოზის ყმის მიწა და ვენახი ეყიდნოს, რა ოსმალო ქართლში მოსულიყოს, მას აქეთ „ოსმალობას“ თუ „ყიზილბაშობას“, დღეს აქამდის იმისი მიწის ღალა და ვენახის კულუხი[5] კათალიკოზს უნდა მისცენ და თუ სახასო კაცისაგან კათალიკოზის კაცს და ყმას უყიდნია მიწა, თუ ვენახი, იმისი მიწის ღალა და ვენახის კულუხი საჩვენოთ უნდა გამოერთვას და მისცემოდნენ“*[6].

---

[1] *დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 57.*

[2] *1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, გვ. 447.*

[3] *იქვე, გვ. 448*

[4] *იქვე, გვ. 446.*

[5] კულუხი – ღვინის საბატონო გადასახადი.

[6] *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. 227, საქ. №904.*

ამ ღონისძიებით მეფეს, როგორც ჩანს, საბატონო და საეკლესიო ყმების ექსპლოატაციის ნორმის გათანაბრება სურდა, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ „ოსმალობის“ დროს, როგორც ჩანს, ეკლესიის (საეკლესიო ყმების) ქონებრივ მდგომარეობაში ცვლილება მოხდა გაუარესების მიმართულებით. სავარაუდოა, საეკლესიო ყმები და მათ მფლობელობაში არსებული საეკლესიო მიწები ჩამოართვეს და ისინი დაუმორჩილეს ამილახვრის ნაჰიეს ანუ ოსმალურ საგადასახადო სისტემას.

„ოსმალობამდე“ და არც მის შემდგომ პერიოდში არასოდეს დაფიქსირებულა გორში რაიმე მუსლიმური სალოცავი. დავთარში აღნიშნულია, რომ გორის ციხეში „ორი პატიოსანი ჯამეა“[1]. მაშასადამე, გასაგებია, რომ ***ჯამეების*** გარდა გორსა და მის რაბათში სხვა, მუდმივ მოქმედი მუსლიმური სალოცავებიც იყო. ასევე საყურადღებოა და გარკვევას მოითხოვს დავთრის შემდეგი ადგილი: „ვაკუფი ჯამი შერიფისა გორის ციხეში, აშენებული წარჩინებულთა და უდიდებულესთა იუსუფ ბეგის დიდებული ვეზირის ისჰაკ ფაშას მიერ“[2]. მგონია, ოსმალო მოხელეების მიერ შედგენილ ამ დავთრში ლაპარაკია სულთნის ვეზირის, ახალციხისა და ამიერკავკასიის ვილაიეთების ფაშას, ისჰააკის მიერ აგებული მთავარი მეჩეთის შესახებ.

გორის 1802 წლის გეგმაზე ეკლესიები აღნიშნულია შემდეგი თანმიმდევრობით: **დ** – გიორგი ძლევამოსილის სახელობის ქართული ეკლესია, **ფ** – ღვთისმშობლის ხარების ეკლესია, **გ** – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების, **ჰ** – გორის ღვთისმშობლის, **ი** – იოანე ნათლისმცემლის, **კ** – დედოფლისად წოდებული, **ლ** – უსახელო ეკლესია ამილახვრების სახლში, **მ** – ღვთისმშობლის ტაძარი, **ნ** – ღვთისმშობლის მიძინების, **ო** – წმ. სტეფანეს, **პ** – ქრისტეს აღდგომის, **ქ** – კათოლიკთა სამლოცველო სახლი[3].

არსებული წერილობითი ცნობების მიხედვით ვცადე ზემოხსენებულ გეგმაზე აღნიშნული ეკლესიების მიახლოებითი ლოკალიზაცია და ისტორიის ზოგიერთი ფრაგმენტის აღდგენა.

---

[1] ჯამე – საკრებულო მეჩეთი, რომელშიც საპარასკევო და სადღესასწაულო ლოცვა იმართებოდა. უბნების მცირე მეჩეთების მრევლი პარასკევობით ჯამეში იყრიდა თავს და იქ ლოცულობდა. *ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, II, გვ. 174.*

[2] *1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, გვ. 449.*

[3] *Центральный государственный военно-истортческий архив, фонд ВУА, №20548;*

გორის მართლმადიდებლური ქართული ეკლესია

გორის მართლმადიდებელი ქართული ეკლესიის ადგილი საეკლესიო იერარქიაში ბუნდოვანია. ძნელია ყოველი პერიოდისათვის გარკვევა, ვინ და როდის მეთაურობდა გორის ქართულ ეკლესიებს. საკითხის გარკვევას ის ართულებს, რომ გორში თავისი ყმები ჰყავდა სხვადასხვა ეკლესიას. ისინი კი სხვადასხვა რანგის სასულიერო პირებს ემორჩილებოდნენ და მაშინდელი საბუთები მათი საქმიანობის ერთ რომელიმე მხარეს აღნიშნავენ. ქვემოთ გავეცნობით მხოლოდ იმ საბუთებს, რომლებიც გორთან დაკავშირებული ეპისკოპოსების მხოლოდ ამ ქალაქში საქმიანობას და გორის ისტორიის ამა თუ იმ მომენტს ასახავენ.

არსებობს დოკუმენტები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ქართლის მთავარეპისკოპოსთა ქრონოლოგიურ რიგი XII-XIII საუკუნეებიდან მაინც დავიწყოთ. მათი ძალისა და გავლენის მაჩვენებელია ის, რომ საქვეყნო მნიშვნელობის საეკლესიო სიგელებს კათალიკოსის შემდეგ ამტკიცებს და ხელს აწერს ქართლის მთავარეპისკოპოსი, ხოლო შემდეგ სხვა ეპისკოპოსები. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქართლის მთავარეპისკოპოსი მღვდელმთავართა შორის უპირატესია.

ქართლის მთავარეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი XII–XIII საუკუნეებში დაახლოებით ასე გამოიყურება:

გიორგი – 1189–1204 წწ. (XII ს. ბოლო – XIII ს. დასაწყისი).

იოანე – 1212/1222 წ. – 1230-იანი წლების I ნახ.

გიორგი – XIII ს. 30-იანი წლების II ნახ. (შემდეგ, მცირე დროით, კათალიკოსი გიორგი IV, XIII ს. 30-იანი წწ. ბოლო).

საბა – XIII ს. 40-იანი წწ.

გიორგი – 1245/47–1260 წწ. (XIII ს. 40-50-იანი წწ.)[1].

მელქისედეკ – 1344 წ. (დაახლოებით XIV ს. 30-40-იანი წწ.)

გიორგი – 1401 წ. (დაახლოებით XIV ს. ბოლო - XV ს. დასაწყისი)

მიქაელ – დაახლოებით XV ს. 10-იანი წწ. - 1419 წლამდე (მიქაელ VI კათალიკოსი 1419-1426 წწ.)

იოანე – 1472 წლის ახლოს (XV ს. 70-იანი წწ.)

---

[1] *შაორშაძე მ., ქართლის მთავარეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი XII-XIII საუკუნეებში (ხელნაწერი).*

[გრიგოლი] – 1520-25 წწ. (დაახლოებით XVI ს. 10-20-იანი წლები, მეფე დავით X-ის დროს, 1505-1525 წწ.)

თეოდოსი – დაახლოებით XVI ს. 20-იანი წლების ბოლო - 1527/28 წლის ახლოს.

მალაქია – დაახლოებით 1511-1532 წლები (ხანგამოშვებით-?) (კათალიკოსი მალაქია დაახლ. 1532-1534 წწ.).

გიორგი – დაახლოებით XVI ს. 40-50-იანი წწ. (მეფე ლუარსაბ I-ის დროს, 1527-1556 წლებს შორის)

ანტონი – დაახლოებით XVI ს. 60-70-იანი წწ. (ნიკოლოზ VII კათალიკოსის დროს, 1561-1584 წლებს შორის).

თეოდორე – დაახლოებით XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის 20-იან წლებში[1].

XVII ს. 20-იან წლებში მოხსენიებულია *„გორის ეპისკოპოსი“*, მისი სახელისა და ვინაობის გარეშე გვამცნობს გორის კათოლიკური მისიის ხელმძღვანელი დონ პიეტრო ავიტაბილე[2].

იოანე ავალიშვილი – 1630 წ.

დომენტი მუხრან-ბატონიშვილი – 1651-1658[3].

ნიკოლოზ ჩხეიძე – 1661-1671[4]. გ. ჯანდიერს ამ მღვდელმთავრის მოღვაწეობის ამსახველი რამდენიმე დოკუმენტი აქვს დამოწმებული. შეიძლება დავუმატოთ კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც გორს შეეხება.

1669 წ. სიგელში გვხვდება მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზა. *„ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისითა ესე წიგნი მოგართვი შენ, ოქონის ხატსა, ასრე რომე სათემო გზაში მე კედელი ჩავდგი სათემოს გზა შენს მამულში შეიქნა ახლა ამ გზის გულისათვის წელიწადში ყოველ დიდმარხვას რომე მარხვა დადგეს წელიწადში თვითო ლიტრა ძეთი მოართვას ოქონის ხატსა ოცის სტილითა ჩვენ ელიზ-*

---

[1] *შაორშაძე მ., XIV-XVI საუკუნეების ქართლის მთავარეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი // ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IX, თბ., 2015, გვ. 191.*

[2] *ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. 99-100.*

[3] *ჯანდიერი გ., XVII საუკუნის აღმსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის (ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი) // მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, I, თბ., 1971, გვ. 333.*

[4] *იქვე, 333-334.*

ბარმან და ჩემა შვილმან გიორგიმან, მომავალმან სახლისა ჩემისამან. აწე, ჩვენ, ბატონი მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზა და მამასახლისი გოდერძი მოვედით და ჩვენ ასრე გავარიგეთ რომე პირ მარხვის ორშაბათს დეკანოზ მარკოზს მიაბარებდეს...“ ქრონიკონი ტნზ. „მამასახლისი გოდერძა“. ხვეულად *„მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ“*[1].

რატიშვილი. XVII ს. დასასრულს იესე გარსევანიშვილზე ნაწყენ მთავარეპისკოპოს რატიშვილს გორის ოქონის ტაძრის სამწყსო ორ სახუცოდ გაუყვია.

ქრისტეფორე. წინამორბედის გადაწყვეტილება შეცვალა და იესე და გიორგი გარსევანიშვილებს სამწყმსო ისევ გაუერთიანა ქართლის ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ. მის სიგელში გადამწყვეტი არგუმენტი არის ის, რომ მას შემდეგ რაც თამარ მეფემ ოქონის საყდარი ააშენა იგი მას აქეთ გარსევანიშვილებისაა. *„ეხლა ჩვენც ასე დაგიმკვიდრეთ რომე თუ კერძო დიაკონი თქვენს ნათესავში იყოს ვერა ეფისკოპოსმა ის სახელო ვერ მოგიშალოს და ვერც ორი სახელო გამოგართვას, ამად რომე არ ყოფილა და დიაღ დიდი ხნის მკვიდრნი ხართო“*[2]. როგორც შემდეგში განხილული საბუთებიდან გამოჩნდება გარსევანიშვილებს გორისა და ოქონის სამწყსოში განსაკუთრებული მონდომებით ანანიაშვილები ეცილებოდნენ. მოხმობილ დოკუმენტში არ ჩანს ქრისტეფორეს წინამორბედმა სახუცოდ ვის, რომელი გვარის წარმომადგენლებს მიაკუთვნა გარსევანიშვილების სამწყსოს მეორე ნაწილი, შეიძლება ესენიც ანანიაშვილები იყვნენ.

ამის შემდეგ, რამდენიმე ხნის განმავლობაში არავითარი ცნობა არ არის გორის ეპისკოპოსის შესახებ. ყველა საბუთში, რომელიც გაცემულია გორის ეპისკოპოსის მიერ, XVIII საუკუნეში ისინი მოიხსენებიან მთავარ ეპისკოპოსებად ან მიტროპოლიტებად. ზოგჯერ მათ ქართლის მთავარეპისკოპოსის თანამდებობა ეკავათ.

არსენი. 1732 წლის 20 დეკემბერს გორის მთავარეპისკოპოსი არსენი გასცემს სიგელს, რომელშიც ვკითხულობთ: *„ჩვენ, მღთისა მიერ კურთხეულმან ქართლისა მთავარეპისკოპოზმან ულირსმან და ცოდვილმან არსენ, ესე წიგნი გიბოძეთ შენ, გორელს ქოსაშვილს ბერს და ძმასა შენსა ხოსიასა, ასე რომე გორისა მღვთისმშობლის წინა და სამხრეთისაკენ მიწები ლესტანდარეჯან დედოფალს იმ საყდრისათვის შეეწირა და გორელთ ქართველებთ სათემოთ მოეკნ-*

---

[1] *გსიემ, №152.*

[2] *ხეც, ფონდი Qd, საბ. №600.*

ათ. და რომელიც მოხნევდა ამის ქირასა და ღალასა ოქონის ხატს სანთელ-საკმლად მიართმოდენ და აწ ჟამთა ვითარებაში ერთს სომეხს ვისმე ხელი დაედო და იმ ოქონის ხატის ბეგარას აღარ იძ-ლევოდა...“[1]

აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ბესარიონი (1724-1737) წყალობის სიგელს უმტკიცებს იმავე მთავარეპისკოპოს არსენს: *„ქ. ჩუენო დიდად და ღ“თის წყალობად საგულვებელო. მთავარეპისკოპოზო ბატონო. მერმე ამ გორის საქმეზედ და გარსე-ვანიშვილებზედ აქაც მოგახსენე და ვერ გაასწორეთ საქმე რასაც ანანიაშვილები მოგახსენებენ, მაგათ აყოლიხართ. დიაღ დიდის ხნის ამბავი არის. გორი ამათი სამწყსო ყოფილა და შენთვის სახუცო უძლევია. სხვა საქმე არა ქონიათ რა რადგან ამისთანა დრო შეიქნა, ქვეყნის აშლილობისაგან გარეშემო კაცნი სოფლებიდამ აქ შემო-სულან. ვისაც თავისი ხუცესი მოყუეს, იმან იხუცოს, ვისაც ხუცესი არ მოსდევდეს გარეულსაც, აქ მოსულს, და აქაურსაც ამ იესემ გარსევანიშვილმან უხუცოს. შენ სახუცო მოგცეს. სხვა საქმე არავის აქვს. შენც ასრე დაუმტკიცე რადგან კარის საყდრების არის ვერცავინ საყდრებს ეცილება ამასა“.* ხვეულად: კათალიკოზი ბესარიონ[2].

რომანოზ. ქართლის მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტი რომა-ნოზ ერისთავი იყო შვილი გიორგი არაგვის ერისთავისა. იგი გარეჯის უდაბნოში ბერად იმყოფებოდა 1710-1722 წლებში, ორჯერ ცხოვრობდა მოსკოვში, ჯერ 1722-1728 წლებში დონის მონასტერში მოღვაწეობდა, 1728 წ. დაბრუნდა თბილისში და 1739 წელს ისევ მოსკოვში გაემგზავრა.

რომანოზ ერისთავი თბილელის ხარისხში აიყვანა ბესარიონ კათალიკოსმა. ის კირილე II-ს დროს (1737-1739), იკავებს ქართლის მთავარეპისკოპოსისა და სამთავროსა და გორის მიტროპოლიტის კათედრას.

რომანოზის სახელთან დაკავშირებულია ორი სიგელი. მან 1739 წლის 26 აგვისტოს გარსევანიშვილებს მისცა სიმტკიცის სიგელი ოქონის დეკანოზობასა და მის შემოსავალზე[3]. იმავე წელს კათალი-კოსმა კირილე II-მ დაამტკიცა *„მამულის ნაყიდობის წიგნი*

---

[1] *გსიემ, №188.*

[2] *იქვე, №7601/11.*

[3] *იქვე, № 164*

სოლოღაშვილი იესეს მიერ (1737-1739) მთავარეპისკოპოს რომანოზი-სადმი“[1].

არსენი. 1748 წ. საეკლესიო კრების გადაწყვეტილებებს, სხვებთან ერთად, ხელი მოაწერა *„არსენი, უღირსმან მთავარეპისკოპოსმან სამთავროსა და გორისა მიტროპოლიტოსმან განვსაზღურენ და წარვსწერენ. არსენი*“[2].

არსენი (საყვარელიძე) ქართლის მთავარეპისკოპოსის კათედრაზე XVIII საუკუნის 30-40-იან და 60-იან წლებში მოღვაწეობდა. როგორც ჩანს, დროდადრო იგი იცვლიდა ეპარქიებს, რადგან, როგორც მ. შაორშაძე შენიშნავს, დოკუმენტების შედარებებმა აჩვენა, რომ ამავე პერიოდში ქართლის მთავარეპისკოპოსის კათედრას განაგებს ჯერ კირილე ციციშვილი, მცირე დროით რომანოზ ერისთავი, ხოლო შემდეგ კვლავ არსენ საყვარელიძე. როგორც ცნობილია, კათალიკოსი დომენტი IV არ იმყოფებოდა საქართველოში (1725-1739 წწ.). მის მოვალეობას 1737-1739 წლებში ასრულებდა კირილე ციციშვილი, შესაბამისად, ამავე წლებში, ქართლის მთავარეპისკოპოსი იყო რომანოზ ერისთავი. რომანოზის რუსეთში გაემგზავრა. გამოთქმულია ვარაუდი, რომ, მისი ადგილი უნდა დაეკავებინა არსენს[3].

ტიმოთე. ანტონ პირველის მიერ 1752 წ. დასრულებულ თხზულებაში – *„მზამეტყველებაჲ“*, მოხსენიებულია *„**ტიმოთე,** ყოვლად სამღვდელოჲ მიტროპოლიტი სამთავროსა და გორისა*“[4].

კირილე. მთავარეპისკოპოსი კირილე, რომელსაც თეიმურაზ II-მ 1755 წ. კათოლიკებისათვის ჩამორთმეული ეკლესია და სახლი გადასცა (იხ. ქვემოთ).

1766. IX. 26. ქართლის მთავარეპისკოპოსი კირილე დეკანოზობის წყალობის განახლების წიგნს აძლევს მღვდელ პეტრე გარსევანიშვილს[1].

---

[1] *შაორშაძე მ., კათოლიკოს პატრიარქი კირილე II (ციციშვილი) და მისი მოღვაწეობა // ისტორიულ ეთნოლოგიური ძიებანი, XII, თბ., 2010.* იქვე იხ. არსენის შესახებ ყველა ინფორმაცია.

[2] *ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 803, №280.*

[3] *შაორშაძე მ., ქართლის მთავარეპისკოპოსი არსენ (საყვარელიძე) და მისი მოღვაწეობა // გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი. შრომათა კრებული, №9, თბ., 2015, გვ. 260.*

[4] *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, III, გვ. 223.*

ბესარიონი. ზემოთ ითქვა, 1769 წელს როგორ დაუპირისპირდნენ გორის მამასახლისი და ქეთხუდები ეპისკოპოს ბესარიონს ყმის, გოგილა ალადაშვილის საქმის გარჩევის დროს[2], საბატონიშვილო ყმების – მღებრიშვილების საქმეზე[3].

როდესაც ანტონ კათალიკოსი მეორედ რუსეთს მიემგზავრებოდა სამი ეპისკოპოსი თავის მოადგილედ განაწესა. 1771 წ. 18 დეკემბრის *„სამწყსოს საქმეთა განწესება კათოლიკოს ანტონ I-ის მიერ“*, გვამცნობს, რომ მან თავის მაგივრად ეკლესიის ზედამხედველად განაწესა სამი მიტროპოლიტი: *„ყოვლად სამღვდელო მიტროპოლიტი სამთვროჲსა და გორისა ბესარიონ, ყოვლად სამღვდელო მიტროპოლიტი ტფილისისა მიხაილ, ყოვლად სამღვდელო ნინოწმინდელი მიტროპოლიტი“*[4], *„ყოვლად სამღვდელო მიტროპოლიტი სამთვროჲსა და გორისა ბესარიონი“* 60-იანი წლების ბოლოდან 80-იანი წლების დასაწყისამდე მოღვაწეობდა. მისი ზეობის წლებია 1768-1785[5].

1796 წელს არის დაწერილი *„სიგელი დიმიტრი მგალობელისა თამარ მეფის მიერ მიცემული და ბესარიონ მთავარეპისკოპოსის მიერ უკანონოდ წართმეული გორის სამწყმსოს დაბრუნებაზე“*

„ხელმწიფის ჭირი მისცეს მათს მიწას მგალობელს დიმიტრის.

თამარ მეფეს აქეთ რა გორში დაუსახლებივართ გორის ეკლესიები უბოძებია და სამწყსო ჩემი ოჯახისათვის. მას აქეთ არავის გამოურთმევია ჩემთვის მრავალი გუჯრები მაქვს ბესარიონ მთავარეპისკოპოსმა წაგვართვა და გორის სამწყსო შუა გაგვიყო და სპირიდონს მისცა თუ თავის საყდარს მისცა. კარის საყდარს სამწყსო რომელსა აქვს თვითონ უნდა თაჯსის ხუცისათვის გაეძლებინა ჩვენ რას გვემართლებოდა. თუ სფირიდონს მისცა, ანანიასშვილს გორს სამწყსო რათ ეყოლებოდა“. სიგელს აქვს მინაწერები გორის სამწყმსოს გარსევანიშვილი დიმიტრი მგალობლისათვის დაბრუნების თაობაზე[6].

---

[1] *გსიემ, №160.*

[2] *ქართული სამართლის ძეგლები, IV, გვ. 578, №454.*

[3] *იქვე გვ. 613-614, №442.*

[4] *იქვე, გვ. 892, №349.*

[5] *შაორშაძე მ., საისტორიო მასალები ქართლის მთავარეპისკოპოსის, სამთავროსა და გორის მიტროპოლიტ ბესარიონის მოღვაწეობის შესახებ // გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი. შრომათა კრებული №6, თბ., 2014, გვ. 178.*

[6] *გსიემ, გვ. 166.*

როგორც მოყვანილი მასალიდან ჩანს, თანამედროვე გორისა და ატენის ეპარქია გაერთიანებული იყო სამთავროსთან და სათავეში ედგა მთავარეპისკოპოსი, რომელიც მიტროპოლიტის წოდებასაც ატარებდა. იგივე საეკლესიო ფეოდალი გორის ეპისკოპოსიც იყო. ასეთი მდგომარეობა კარგად ჩანს 1768 წ. განჩინებაში, რომელშიც ნათქვამია: *„მთავარეპისკოპოსი ბესარიონ გორში მსახლობელთ ქართველთ ეპისკოპოსი არის, და ამის სამწყსონი არიან, ამის ყმაც ამის ეკლესიას უნდა ემსახუროს“*[1].

პაისიოსი. მთავარეპისკოპოსი ბესარიონის მსგავსად გორის სამწყმსოს მიმართ პრეტენზიები ჰქონდა მთავარეპისკოპოს პაისიოსს. 1801 წ. გარსევანიშვილებისადმი გაცემულ სიგელში იგი წერდა: *„პირველად ესე რომ მე გორის ეკლესიის და სამწყსოსი ეპისკოპოსი ვარ“*[2].

ზემოთ ციტირებული საბუთები და უცხოელების (შარდენი, გიულდენშტედტი) ცნობები გვიჩვენებს, რომ ეპისკოპოსის რეზიდენცია იყო გორში[3], მაგრამ არ ჩანს დროებითი თუ მუდმივი. უნდა ვივარაუდოთ, რომ დროებითი რეზიდენცია იყო. ზემოთ უკვე რამდენჯერმე ითქვა, გორში კათალიკოსის დროებითი რეზიდენციაც იყო. ამაში არაფერია გასაკვირი თუ გავიხსენებთ, რომ გორი ხშირად ქართლის პოლიტიკური ცენტრი იყო. კათოლიკეთა ეპისკოპოსებიც ხან თბილისში და ხან გორში ცხოვრობდნენ[4].

იოანე, „მდაბალი მიტროპოლიტი სამთავროსა და გორისა და წილკანისა“ (1802 წლიდან), უნდა ყოფილიყო უკანასკნელი მღვდელმთავარი, რომლის სამწყმსო იყო გორიც. იგი პირველია იმ მღვდელმთავრებს შორის, რომლებმაც აღნიშნულ წელს პეტიცია გაუგზავნეს იმპერატორ ალექსანდრე პირველს პეტერბურგში. ის პირველი ადასტურებს წერილს, რაც მაშინდელი აღმოსავლეთ საქართველოს იერარქებს შორის მის გამორჩეულ მდგომარეობაზე მიანიშნებს.

რუსეთის იმპერიის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს ანექსიის შემდეგ გაუქმდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია და 1811 წელს დაარსდა საქართველოს საეგზარქოსო, რომელსაც რუსეთის სინოდის მიერ დანიშნული ეგზარქოსი მართავდა. თავდაპირველად მას მინი-

---

[1] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1449, საბ. №2144.*

[2] *გსიემ, №165. პაისიოსის შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ.*

[3] *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 245.*

[4] *ჭიჭინაძე ზ., კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში, თბ., 1903, გვ. 58.*

ჭებული ჰქონდა ქართლისა და კახეთის მიტროპოლიტის წოდება, შემდეგში კი – არქიეპისკოპოსისა. იგი რუსეთის სინოდის წევრი და დიკასტერიის უფროსი იყო. დიკასტერია ქართლ-კახეთის სამეფოს საკათალიკოსოსთან არსებული უმაღლესი ადმინისტრაციული-სასამართლო ორგანო, რომელიც დაარსა ანტონ I-მა კათალიკოსმა. დიკასტერია განაგებდა საერთოდ საეკლესიო ხასიათის ყველა საკითხს. 1814 წელს ეს ორგანოც გააუქმეს და მის მაგიერ დაარსეს „საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა“ და ეგზარქოსი იწოდებოდა „ქართლისა და იმერეთის ეგზარქოსად“.

მანამდე არსებული ქართლის 8 ეპარქიიდან შეიქმნა ერთი – მცხეთის ეპარქია.

საქართველოს პირველი ეგზარქოსი იყო ვარლამ ერისთავი (1811-1817). მისი გაწვევის შემდეგ ინიშნებოდნენ რუსეთიდან გამოგზავნილი რუსი არქიელები[3].

მართლმადიდებლური ტაძრები

გიორგი ძლევამოსილის სახელობის ქართული ეკლესია იყო გორის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეზე. მისი ფრაგმენტი შემორჩენილია დღემდე. ის აგებული იყო ნათალი ქვით[1] და ისე ეხამებოდა ციხეს, რომ სიმაგრის ანსამბლს არ არღვევდა. მის კოლოფისებურ კამარაზე აღმართული იყო კოშკები და სათოფურები. ეკლესიას აღმოსავლეთ კედელში ჰქონდა სამალავი და ვრცელი კარიბჭე, რომელიც ნაწილობრივ ისე იყო დამალული, რომ უკავშირდებოდა მიწისქვეშა შემოსასვლელებს. იქ ძვირფასი ნივთების შენახვა შეიძლებოდა[2]. XIX ს. შუა ხანებში ეკლესიის კედელზე შიგნიდან ჯერ კიდევ ჩანდა ფრესკული მხატვრობა[3]. ი. კლაპროთის გორში ყოფნის დროს ეს ეკლესია მოქმედებდა. ალ. გარსევა-

---

[3] *Епископ Кирион, Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тиф., 1901.*

[1] *Бакрадзе Дм., Горис-цихе. Исторический очерк, «Кавказ», 1855, №48-49; Кавказ. Рача. Горийский уезд. Гори. Осетия. Пшавия, Хевсуретия и Сванетия. Путевые заметки графинии Уваровой, ч. III, с. 77.*

[2] *Кавказ. Рача. Горийский уезд. Гори. Осетия. Пшавия, Хевсуретия и Сванетия. Путевые заметки графинии Уваровой, ч. III, с. 77.*

[3] *Бакрадзе Дм., Горис-цихе.*

ნიშვილის თქმით, ეს ეკლესია თავდაპირველად ოქონის ღვთისმშობლისა იყო და მის აშენებას თამარ მეფეს მიაწერს[1].

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების, იგივე მთავარანგელოზის ეკლესია მდებარეობდა დღევანდელი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის ტაძრის პირდაპირ სკვერში (ძველად სასწვრის მოედანი რომ ერქვა). ეს ეკლესია მარიამ დედოფალს აუშენებია. როგორც მისი 1664 წლის სიგელიდან ჩანს, *„ქ. ნებითა და შეწეუნითა ღ˜თისთა ჩუენ დადიანის ასულმა დედოფალმა მარიამ ესე საბოლოოდ გასათავებელი მტკიცე და მოუშლელი შეწირულობისა წიგნი და სიგელი დაგიდევი და მოგართვი შენ, გორს ჩუენგან აშენებულს თავარანგელოზის საყდარსა მას ჟამსა ოდეს მეფემ როსტომ ქართლის დედოფლად მოგვიყვანა თან ძე გურიელისა ჩუენი თვალის სინათლე შვილი ოტია და იმიზგან მოვძულდით ღ˜თსა და მიიცვალა ქვეყანასა ამასა ქართლისასა სანახებსა გორისასა მისა საწოლსა ზედან ეკლესია აღვაშენეთ, დავახატვინეთ და შევამკევით და შევსწირეთ აქავე გორსა ელჩიბეგაშვილი დათინა და მისი ძმისწული ბაინდურა“*[2]. იმავე წლის სხვა სიგელიდან ვიგებთ, *„როგორ სამღებროსაგან სანთელი ლიტრა ერთი ოცის სტილის ლიტრითა საკმელი ჩარექი ერთი ყოველს წელიწადს უნდა მისცემდნენ... იქვე წერეთელაშვილი წერეთელა მისის კერძის მამულითა, სახლკარითა და რისაც მამული მქონებელი იყო შევსწირეთ და დავსდევით აღაპი ორი კოკა ღვინო თორმეტიანთ, ორი კოდი პური ათიანით, ათის შაურის ცხვარი, ორი ზურგიელი, ორი ქათამი, ორი ტრედის ხუნდი, ერთი ჩარექი სანთელი მისის პატრუქითა, ერთი სტილი საკმელი, ერთი ლიტრა ბრინჯი... აგრეთვე შევსწირეთ ალს ვენაჯი ერთი და დავზდევით ბეგარა ზეთი ლიტრა სამი ოცის სტილით ლიტრითა... ეს ასრე გარიგებული საყდარი და ხატები მივაბარეთ ჩუენს სახასოს ყმასა და ჩუენგანვე დაზრდილს გარსევანიშვილებს ოქონის ხატის დეკანოზს დავითს, გარსევანს და თამაზს“*[3]. არ მაქვს რაიმე ცნობა, როდიდან აღარ არსებობდა დასახელებული ეკლესია. ამ ადგილას XIX საუკუნეში ბაზარი იყო.

ღვთისმშობლის ხარების ეკლესია მდებარეობდა დღევანდელი ი. სტალინის სახელობის მოედნის ტერიტორიაზე, სადაც ძველად

---

[1] *Klaproth J. von, Reise in den Kaukasus und nach Georgian unternommen in den Jahren 1808, p. 327.*

[2] *გსიემ, №184.*

[3] *იქვე, №4640, 147, 185.*

სასაფლაო იყო. ღვთისმშობლის ხარების ეკლესია იხსენიება XVIII ს. უკანასკნელი მესამედის რამდენიმე საბუთში.

მთავარეპისკოპოსი ბესარიონი 1772 წ. 15 მაისს აწესებს გორის მკვიდრი მოქალაქეებისა და მტკვარგაღმელი მოქალაქეებისათვის სამარხ ადგილს და მიცვალებულებისათვის გაპატიოსნების წესს. *„ჩვენ ყოვლად სამღვდელოს მთავარეპისკოპოზს ბესარიონს ამ ჩვენის წმინდის ხარების ეკლესიისა და რომელნიც ჩვენი მჭვდელნი მუდამ ამ ეკლესიაში განგვიწესებია და ამას მსახურობენ, ამათი საქმე ასე განვაწესეთ: რაც მტკვარ გაღმაველია კაცი გორში იმყოფებოდეს და ან მოვიდეს ამ ჩვენს ეკლესიაში უნდა დაეხმარებოდეს და ჩვენი მღვდელნი უნდა მსახურებდენ ახსარებითა, ზიარებითა და დამარხვითა. ჩვენმა მღვდლებმა უნდა უხუცოს და სხვა რაც ხიზანია და მემკვიდრე ოქონის მღვდლებმა უნდა უხუცონ და ამ განწესებას ნუ გარდახდებიან. და ვინც გარდახდება ჩვენს კანონში იქნება. საფლავიც ასე განვაწესეთ ვისაც ენებებოსდეთ: აზნაურთა და გლეხთა შიგნით ეკლესიაში დაესაფლებოდნენ და როგორც ძალა ედვათ საფლავის ფასსა და წასახურავსა ეკლესიას და ჩვენ მოგვართმევდენ. და ვისაც ენებებოდეს ეკლესიის გარეთ ეზოში დასაფლავდეს და კიდევ იმათაც როგორც ძალა ედვათ ისე საფლავის ფას და წასახურავს ჩვენ მოგვართმევდენ და ჩვენი მღვდელნი და ოქონის მღვდელნი ამ ჩვენ განწესებულებას ნუ გარდახდებიან და ერთმანეთს ნუ შეეცილებიან. აღიწერა მაის იე. ქორონიკონს უ*“[1].

ხარების საყდარი ნახსენებია მანუჩარ თუმანიშვილისა და ახალციხელი ღუგაზის ანგარიშში, რომელიც შედგენილია 1787 წ. ახლო ხანებში[2]. იმავე თუმანიშვილის (მდივნის) 1788 წ. ორ ანგარიშში კვლავ ფიგურირებს ხარების საყდარი[3].

1801 წ. 7 თებერვალს სიგელიდან, რომელიც მთავარეპისკოპოსმა პაისიოსმა მისცა გარსევანიშვილებს გორის ოქონის ეკლესიის დეკანოზობაზე, ვიგებთ, რომ ხარების საყდარი შედარებით ნაკლები მნიშვნელობისა იყო, თუნდაც იმიტომ, რომ იგი სასახლის საყდრად ითვლებოდა და სამწყმსოდ მხოლოდ 20 კომლი გლეხი ჰყავდა[4].

---

[1] *გსიემ, №184.*

[2] *მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, II, გვ. 77.*

[3] *იქვე, გვ. 80, 83.*

[4] *გსიემ, №165.*

სომხური ეკლესიები

საუკუნეთა განმავლობაში გორის სომხური ეკლესიების სამღვდელოება პრივილეგიებითა და თავისუფლებით სარგებლობდა. მართალია, ამის დამადასტურებელ მრავალ საბუთს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ის, რაც ამჟამად ხელთ გვაქვს, ზოგიერთი მომენტის აღდგენის საშუალებას გვაძლევს.

სვიმონ I-მა 1594 წ. იანვარში გორის სომეხ მღვდლებს სითარხნის ორენოვანი (ქართულ-სპარსული) წიგნი მისცა, საიდანაც ვიგებთ, რომ ისინი წინათაც თავისუფალნი იყვნენ. მეფე აცხადებს: *„პირველთაგან ბედნიერთა პაპა და მამა ჩუენთაგან სიგელი და გუჯარნი გქონდეს და თარხნად და ჴელშეუვალად ყოფილიყუენით. აწე ჩუენცა შეგიწ-ყალეთ, გათარხნეთ და განთავისუფლეთ ყოვლისა სათხოვარისა და გამოსაღებისაგან“.* სომეხი მღვდლები სამუდამოდ გათავისუფლდნენ ბაშმალის (სულზე გადასახადი), ღალის, კულუხის (გადასახადი ღვინით), ფურის ერბოს, ტიკის, ტომარის და ულაყის გადასახადისაგან. მაგრამ ისინი ვალდებულნი იყვნენ გადაეხადათ *„სათათროს საური“.* სვიმონ მეფე ვაქილ-ვაზირებს, გორის ტარუდას, ამილახვარს, ციხისთავს, მამასახლისებს და სხვა მოხელეებს ავალებს შეასრულონ მისი ბრძანება[1].

როგორც აღინიშნა, სითარხნის წიგნი შედგენილია ქართულ და სპარსულ ენებზე. მაგრამ მათ შორის შინაარსობრივი განსხვავებაა. სპარსულ ტექსტში სვიმონ მეფე ამბობს: *„ხსენებუ-ლი მღვდლები სრულებით ვითარხნეთ და საგადასახადო სიებიდან ამორიცხული გავხადეთ... რათა არავინ მოსთხოვოს... მალუჯათის[2] გამოსაღებებისა და სადივანო მცირე ბაჰრასი[3], თარჰის, დასთანდაზის, ბეგრის, ნადირობის, ულაღის[4], ულამის და სხვა სახელმწიფო (სადივნო) გადასახადის, გარდა სასახლის საურის[5] და სავეზიროს (ვეზირახე)[6] მოსათხოვნად“[7].*

---

[1] *ქართულ-სპარსული საბუთები, გვ. 458-359.*

[2] ძირითადი გადასახადი მიწაზე მოსავლის გარკვეული წილის ოდენობით.

[3] ძირითადი გადასახადი მიწაზე მოსავლის კვალობაზე.

[4] სატრანსპორტო საშუალებების წარმოდგენა ბატონის საჭიროებისათვის.

[5] საქართველოში საური იკრიბებოდა შაჰისათვის ფეშქაშის მისართმევად.

[6] მეფის ვეზირის სასარგებლოდ ასაღები გადასახადი.

[7] *ქართულ-სპარსული საბუთები, გვ. 460*

ამგვარად, ქართულ-სპარსულ ტექსტებს შორის განსხვავება ნათელია. მთავარი მაინც ისაა, რომ ეს განსხვავება არის იქაც, სადაც მოცემულია სომეხი მღვდლების ვალდებულება. ქართულ ტექსტში მხოლოდ *„სათათრო საურია“*, სპარსულში – *„სასახლის საური“* (ალბათ შაჰის სასახლისათვის გადასახადი იგულისხმება) და სავეზირო გადასახადია.

ზემომოყვანილი სითარხნის წიგნი ჯერ თეიმურაზ I-მა 1630 წ. განუახლა *„გორელ ტერტერებს“*[3], შემდეგ კი როსტომ მეფემ 1633 წ. დეკემბერში მცირე ცვლილებით გაიმეორა სვიმონ I-ის მიერ შედგენილი ტექსტი[4], როსტომი, თავის მხრივ, სომეხ მღვდლებს ათავისუფლებს *„საბალახე“* გადასახადისაგან, რომელიც საქონლის პატრონისაგან საძოვრად დაცული ადგილებით სარგებლობისათვის გადასახადის გადახდას გულისხმობდა[1]. ასე რომ, ამ გადასახადისაგან გათავისუფლება კიდევ დამატებითი შედავათი იყო.

სვიმონ I-სა და როსტომ მეფის მიერ შედგენილ სპარსულ ტექსტებს შორისაც მნიშვნელოვანი განსხვავებაა, კერძოდ, ახლა როსტომი *„სავეზიროს“* ნაცვლად *„ლაშქრობის“* გადასახადს მოითხოვს.

სიგელზე არსებული მინაწერიდან ჩანს, რომ იგი მეფე თეიმურაზსაც განუახლებია. ცნობილია, თეიმურაზ I-მა გორელ ტერტერებს სითარხნის წიგნი მისცა[2].

როგორც დავინახეთ, სომხური ეკლესია, ქართული ეკლესიის მსგავსად, მნიშვნელოვანი პრივილეგიებით სარგებლობდა. იგი სერიოზულ ეკონომიკურ ძალას წარმოადგენდა ქართლ-კახეთის სამეფოებში.

სომხური ეკლესიები ძლიერ დაზარალდა სვიმონ I-სა და როსტომის დროს, ადრე უკვე ვთქვით, რომ XVI საუკუნის 70-იანი წლების დასასრულიდან იმავე საუკუნის ბოლომდე გორი ოსმალების ხელში იყო. სვიმონი შეუპოვრად იბრძოდა ქალაქის გასათავისუფლებლად, რასაც, ბუნებრივია, თან ახლდა ნგრევა. როგორც ვიცით, სიმონმა გორის გათავისუფლების შემდეგ, დამარცხებულ მტერს ციხე დაანგრევინა. როცა როსტომი ყიზილბაშთა ჯარით გორში შევიდა, ყიზილბაშების მიერ *„სომხების ეკლესია ცხენების თავლად*

---

[1] ქოიავა ნ., ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, თბ., 1963, გვ. 131-132.

[2] მასალები საქართველოს ის. გეოგრაფიისა და ტოპონ. I, გვ. 59

იყო გამოყენებული“ – წერს დონ პიეტრო ავიტაბილე[1]. ავიტაბილეს ცნობას თუ სარწმუნოდ ჩავთვლით (სხვა ცნობა ჯერჯერობით არ მოგვეპოვება), გამოდის, რომ XVII ს. 30-იან წლებში გორის სოხმურ მოსახლეობას ერთი ეკლესია ჰქონდა.

1802 წ. გეგმაზე აღნიშნულია ოთხი სომხური ეკლესია: ***ღვთისმშობლის ტაძარი*** – ყოფილი კათოლიკეთა ეკლესიის ცოტა აღმოსავლეთით; ***ღვთისმშობლის მიძინების*** – ქალაქის გალავნიდან საკმაოდ მოშორებით, დაახლოებით იმ ადგილას ამჟამად რომ №1 საბავშვო ბაღი (ჯორჯიაშვილის ქ. №1); წმ. ***სტეფანესი*** – წერეთლის ქუჩაზე №3,5,7 სახლების ადგილას; ***ქრისტეს აღდგომის*** – გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მახლობლად.

დოკუმენტურ წყაროებსა და ხელნაწერთა ანდერძებში მოიხსენიება ორი სომხური ეკლესია – წმ. ღვთისმშობლისა და წმ. სტეფანესი. ორივე, ისევე როგორც ქართლის სხვა სომხური ეკლესიები, ახპატის ეპარქიას ეკუთვნოდა და როგორც პ. მურადიანი ვარაუდობს, ღვთისმშობლის ეკლესია ახპატის გორძაკლის რეზიდენცია იყო. როსტომ მეფის 1640 წლის სიგელში ჩანს, რომ ამ ეკლესიაში ძმობაც არსებობდა. იმავე პ. მურადიანის აზრით, ღვთისმშობლის ეკლესია ის ეკლესია უნდა ყოფილიყო, კასტელის ნახატზე ციხის სამხრეთ ფერდობზე რომ ჩანს ჯვრის ფორმის, გუმბათიანი ეკლესია[2].

მართალია კასტელის ნახატზე გამოსახულ ეკლესიას *„სომხური ეკლესია“* აწერია, მაგრამ მინაწერის სისწორე საეჭვო ხდება სხვადასხვა წყაროს მონაცემებით. ჯერ ერთი, ფ. გორგიჯანიძის მონათხრობის მიხედვით, იმ ადგილას ჩახრუხაძის ეკლესია უნდა ყოფლიყო; მეორეც, შეიძლება ადრე იქ მართლა იდგა სომხური ეკლესია, რომელიც შემდეგში მოისპო, მაგრამ ის ღვთისმშობლისა არ უნდა ყოფილიყო. ღვთისმშობლის ეკლესია, 1802 წ. გეგმის მიხედვით, დღევანდელი ღვთისმშობლის შობის ტაძრის ცოტა აღმოსავლეთით ბ. ჯუღაშვილისა და აკ. წერეთლის ქუჩების გადაკვეთასთან იდგა.

არ არის ცნობილი, როდის აშენდა ღვთისმშობლის ეკლესია. მოღწეულია ამ ეკლესიის 1661 წ. წარწერის ფრაგმენტის პირი. 1920 წლამდე წარწერა ინახებოდა წმ. სტეფანეს ეკლესიაში, ვიდრე მას მიწისძვრა გაანადგურებდა. ჯერ კიდევ XV საუკუნეში ღვთისმშობ-

---

[1] *ავიტაბილე, გვ. 57.*

[2] *Мурадян П.М., Армянская эпиграфика Грузии. Картли и Кахети,, с.88.*

ლის ეკლესიაში მიმდინარეობდა წიგნების გადაწერა[1]. 1469 წ. სომხურ ხელნაწერის ანდერძში გორელი გადამწერი გრიგორი ღვთისმშობლის ეკლესიას უწოდებს *„თუმანენცს“*, ე.ი. თუმანიანთს (თუმანიშვილების), საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ მისი ამშენებლები თუმანიანთა გვარის წარმომადგენლები იყვნენ[2].

თუმანიანთ (თუმანიშვილების) ყოვლადწმინდის ეკლესია დასახელებულია 1684 წლის საბუთში, საიდანაც ჩანს, რომ ახალი საყდის დეკანოზის ტერ ყაზარას მიერ ასტრახანიდან (ჰაშტარხანი) ჩამოტანილი საეკლესიო მოსახმარი საგნები შუაზე გაყვეს და ნახევარი თუმანიანთ ეკლესიას მისცეს[3].

XVIII ს. დამლევის ერთი საბუთიდან ვიგებთ, ვის რა შეუწირავს ან გაუკეთებია თუმანიანთ *„პატარა ყოვლაწმინდის ეკლესიისათვის“:* ამირაღაშვილს გაბრიელს ქვიტკირის გალავანი შემოუვლია და ერთი დუქანი შეუწირავს; მამაჯანას-შვილს ზაქარიას სამრეკლო აუშენებია და ერთი დუქანი შეუწირავს; თაყინაშვილს ზაალს საყდრისათვის ერთი ოთახი აუშენებია; თაყინაანთ მელიქ-ფარსადანას ეკლესიისათვის ჟამუტანი (?) ხით დაუხურავს და ერთი დუქანი შეუწირავს; ამირაღანთ დოლამაზას შეუწირავს ორი დუქანი; ამირაღანთ ამირას შვილს ზურაბას ეკლესიისათვის ხორანი (?) განუახლებია; ჩამოთვლილი დუქნების გარდა ეკლესიას სხვა ცხრა დუქანიც ჰქონდა. შეწირულობიდან ჩანს ეკლესია დიდი ავტორიტეტითა და გავლენით სარგებლობდა. იმავე საბუთიდან ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ყოვლადწმინდის ეკლესიას ხის ნაშენობაც ჰქონებია.

თუმანიშვილებსა და ვინმე ზაალ თაყინაშვილს შორის დავა ჩამოვარდა *„ყოვლად წმიდის ეკლესიის საქმეზედ“,* მაგრამ კონკრეტულად რაზე დაობდნენ ცნობილი არ არის. თუმანიშვილების 1783 წ. არზიდან ჩანსა, რომ მათ ერეკლე II-ს მიმართეს სადავო საკითხის მოსაგვარებლად, მაგრამ თაყინაშვილმა მეფის სასამართლოს არ დაუცადა, გორში მივიდა და ტერ-სააკას დაუკავშირდა, რომელიც სომხური ახალი საყდრის დეკანოზი იყო და რომლის შესახებ სომეხმა მღვდლებმა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, საჩივრით მიმართეს ერეკლე II-ს.

ტერ-სააკამ *„გორელები შემოჰყარა და ასე გამოუცხადა: რადგანაც თუმანიანი ამ თავიანთ საყდარზე გველაპარაკებიანო, ჩვენ იმათის შურით სხვა ეკლესია ავაშენოთო და ის თავიანთი ეკლესია*

---

[1] *სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები... გვ. 55, 83;*

[2] *Мурадян П.М., Армянская эпиграфика Грузии. Картли и Кахети,, с.88.*

[3] *მასალები, III, გვ. 18-19;*

გაუქმდესო“. იმავე კრებაზე გადაწყვიტეს, რომ ყველა გამოიღებდა ფულს ახალი ეკლესიის ასაშენებლად. ახალი ეკლესიის აშენება განიზრახეს ყოვლადწმინდის ეკლესიის მახლობლად. ამის გამო შეშფოთებული თუმანიშვილები მეფეს შესჩიოდნენ: *„როდესაც იქ ეკლესია აშენდება ჩვენის შურით, ჩვენს ეკკლესიაში გორელები ხომ აღარავინ შემოვა და სოფლებიდამ მლოცვავიც აღარავინ მოვა და ის ეკლესია გაუქმებული და გახარაბებული შეიქმნება“*[1].

თავდაპირველად, იმის გამო, რომ თუმანიშვილების მოწინააღმდეგეებს ეკლესიის ასაშენებლი ადგილი არ ჰქონდათ, ერეკლე თავს იკავებდა ნებართვის მიცემაზე. მაგრამ სააკაშვილმა (იგივე ტერ-სააკა), რომლის გვარის წარმომადგენლები ტრადიციულად სომხური ეკლესიის წინამძღოლები იყვნენ, თავისი სახლის წინ არსებული ბაღი ეკლესიას შესწირა და მეფისაგან მშენებლობის უფლება და ზოგიერთი საეკლესიო თანამდებობა მიიღო. მეფემ მას ქართლის გორძაკლობა და სომხური ეკლესიის დეკანოზობა უბოზა[2].

როგორც თუმანიშვილების მიერ 1788 წ. 20 ივნისს დარეჯან დედოფლისათვის მირთმეული არზიდან ჩანს, კონფლიქტმა ისეთი სახე მიიღო, რომ მთელი ორი წლის განმავლობაში ტერ-სააკას ყოვლადწმინდის ეკლესიაში *„არც უწირვინებია და არც ულოცვინებია“.* იმავე დროს ტერ-სააკა და მისი მომხრეები ახალ ეკლესიას აშენებდნენ და თუმანიშვილების განცხადებით მისი *„საწადელი და ნდომა ეს არის, რომ ის ეკკლესია ყოვლის თავისი სამწყოსით, სამრევლოთი და სამკაულით შემუსროს და დააქციოს თავისის შურისძიებით მოგონებული ეკლესია აღაშენოს და გააპატიოსნოს“.* თუმანიშვილები შეწევნას თხოვდნენ დედოფალ დარეჯანს, რადგან ეს სადაო საქმე დროულად არ მოგვარდებოდა, გამორიცხული არ იყო ხელისუფლებისათვის უსიამოვნო ამბები. თუმანიშვილები კატეგორიულად მოითხოვდნენ: *„მერმე ის ეკლესია შეამუსვრინონ, თორემ ამისთანასა გაუკითხავათ უსამართლოს შურს დიდი შფოთი და განსაცდელი სდევს“*[3].

დარეჯან დედოფალმა გამოძიება დანიშნა და სამართლიანობის აღდგენა ბრძანა, მაგრამ, როგორც ირკვევა, თუმანიშვილებმა ვერაფერი გააწყვეს. ტერ-სააკამ და მისმა მომხრეებმა მიზანს მიაღწიეს. მათ

---

[1] *ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd, №154; საქართველის სიძველენი, III, გვ. 515, №532.*

[2] *გ სიემ, №5803.*

[3] *ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd, №13080; საქართველის სამართლის ძეგლები, VII, გვ. 765-766, №806.*

ახალი ეკლესია თუმანიშვილების ეკლესიასთან ისე ახლოს ააშენეს, რომ ყოვლაწმინდის ხის ნაშენობა მოანგრიეს, ხუთი ადლი მიიტაცეს და საკმაოდ შემოსავლიანი დუქნებიც ჩადგეს[1]. ტერ-სააკა აღარ ჩანს ახალსაყდრის დეკანოზად. მისი ადგილი ტერ-ყაზარას უკავია[2].

ტერ-სააკას პიროვნების დამახასიათებელი ერთი საინტერესო საბუთიც არსებობს.

1792 წ, 16 ივნისს ზემო ქართლის სომხურმა სამღვდელოებამ არზა მიართვა ერეკლე II-ს ახპატის გორძაკლის უღირსი საქციელის გამო. არზას ხელს აწერდნენ: გორის ახალი საყდრის დეკანოზი ტერ-ყაზარა, ახალი საყდრის კრებულის სახელით გორელი ხითარიშვილი ტერ-არსტაკესა, გორელი ტერ-გრიქორა, მუხრანის დეკანოზი ტერ-არუთანა, კარალელი ტერ-ბარსეღა. ჩამოთვლილი პირები უჩიოდნენ ყოფილ გორძაკალ ტერ-სააკას. მას ძლიერ შეუვიწროებია დასახელებული პუნქტების არა მხოლოდ მრევლი, არამედ სამღვდელოებაც. *„არას დროს ხუცისაგან ხუცის ხეზე მიკურუა და გალახვა არ გაგონილა“*-ო, წერენ სამღვდელონი ერეკლე II-ს. მიუხედავად იმისა, რომ სომხური ეკლესიის წინამძღოლს ტერ-სააკას გორძაკლობა ჩამოერთვა, მაინც შეუპოვრად იბრძოდა აღნიშნული თანამდებობის კვლავ ხელში ჩასაგდებად. მომჩივანნი სწორედ ამიტომ მიმართავდნენ მეფეს, რომ მას არ დაეშვა ტერ-სააკას მიზნის მიღწევა. ერეკლემ კანონიერად ჩათვალა სომხური სამღვდელოების საჩივარი და წინამძღოლის მოქმედება ტერ-სააკას გადაყენების შესახებ[3].

მაგრამ, როგორც ჩანს, ტერ-ს

ეკლესიას. იმასაც ვიგებთ, რომ წმინდა სტეფანეს ეკლესიასთან ხელნაწერთა ასაკინძი სახელოსნო და სკოლა იყო[1].

წმ. სტეფანეს ეკლესია დაინგრა XIX ს. I მეოთხედში. 1824 წ. გორის გეგმაზე ის აღნიშნული აღარ არის.

კათოლიკობა და კათოლიკური ეკლესია გორში

XIII ს. 20-იანი წლებიდან XVI ს. დასასრულამდე, საქართველოში ფრანცისკანელები და დომინიკანელები მოღვაწეობდნენ. შემდგომი საუკუნის 20-60-იან წლებში უმთავრესად თეატინელები ჩამოდიან, ხოლო 1660-იანი წლებიდან კაპუჩინელებს ვხედავთ. გორში დომინიკანელთა და კაპუჩინელთა საქმიანობაზე რაიმე პირდაპირი ცნობა არ გაგვაჩნია. მაგრამ მათი ყოფნა რომ სავარაუდოა, მიგვანიშნებს შემდეგი: რუსეთის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი, წარმოშობით ბელგიელი, როტიე ვატიკანის პროპაგანდის კონგრეგაციისადმი წარდგენილ მოხსენებაში (1819 წ.) – *„ქრისტიანული რელიგიის შესახებ საქართველოში“,* იძლევა უაღრესად საინტერესო ცნობას, რომ მას გორში უნახავს კათოლიკე მისიონერთა მიერ XV საუკუნეში სახლების ნასყიდობის საბუთები[2]. როტიე ამბობს, რომ გორის ერთ-ერთ ქუჩას, რომელსაც მის დროს თბილისის ქუჩა ერქვა, წინათ, საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, ფრანგთა ქუჩა ერქვაო[3]. გორში ფრანგთა ქუჩის არსებობა დასტურდება XVIII საუკუნის დასასრულის ერთი საბუთით – ნასყიდობათა ნუსხა ეგნატე და პაპუა თუმანიშვილებისა *(„ფრანგთა ქუჩაში, რომ სასახლეა, დაფასდა ოთხმოც თუმნათ“)*[4]. იგი ემთხვეოდა დღევანდელი წერეთლის ქუჩის საწყის მონაკვეთს.

როტიე შემდეგ განაგრძობს: *„იქ (გორში – ე. მ.) დღესაც ვხედავთ ერთის წისქვილის ახლოს ნანგრევებსა, რომელთა შორის მოიპოვება ერთი დიდი ქვა, რაზედაც იქაური მცხოვრებნი სანთლებს ანთებენ და ლოცულობენ, როდესაც მათ აცივ-აცხელებსთ. ამბობენ რომ იმ*

---

[1] *Мурадян П.М., Армянская эпиграфика Грузии. Картли и Кахети, с. 85.*

[2] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 70, 602. მ. თამარაშვილმა საბუთები ეძება, მაგრამ ვერ მიაკვლია.*

[3] *მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, III, გვ. 324, №217. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 70, 602.*

[4] სავარაუდოა, XIX ს. პირველ მეოთხედში თბილისის ქუჩა ერქვა ამჟამინდელ გოგებაშვილი ქუჩას მდინარე მეჯუდის მარცხენა სანაპიროზე, სადაც განლაგებული იყო წისქვილები.

ადგილს აშენებული იყო კათოლიკების ეკლესიაო, რომელშიაც იყვნენ გენუელი (ჯენველი) პატრები და, რომელიც ოსმალებმა მთლათ გაანადგურესო“[1].

ვიდრე თეატინელთა საქმიანობაზე საუბარს შევუდგებოდეთ, მანამდე მოკლედ უნდა შევეხოთ ავგუსტინელთა მოსვლას საქართველოში. ისინი განსაკუთრებულმა შემთხვევამ მოიყვანა გორში.

როგორც ცნობილია, 1624 წ. 22 სექტემბერს შაჰ აბასის ბრძანებით, შირაზში წამებით მოკლეს ქეთევან დედოფალი.

ქეთევან დედოფლის წამება. 1624 წლის 22 სექტემბერი[2]. სურათი ლისაბონის და გრასას ყოფილი მონასტრიდან. თარიღდება XVIII ს. პირველი მეოთხედით[3].

---

1 თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 70, 602.

[2] ქეთევან წამებულთან დაკავშირებული ფოტო სურათები გადმომცა პროფ. გიორგი სოსიაშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

[3] ქეთევან დედოფალის წამებისა და მისიონერების მიერ მისი ნაწილების გორში მოტანის სურათები პირველად გამოაქვეყნა რობერტო გულბეკიანმა.

ირანში დედოფალს დაუახლოვდნენ ავგუსტინელი ბერები, რომლებიც შემდეგში ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ქეთევან დედოფალმა სიკვდილის წინ კათოლიკობა მიიღო და კათოლიკედ გარდაიცვალა.

ქეთევან დედოფლის საფლავს, რომელიც ერთ ღრმა ორმოს წარმოადგენდა, მიაგნო პორტუგალიელმა ბერმა ამბროსიო დუშ-ანჟუსმა, ნეშტი ამოიღო და თავიანთ ეკლესიაში გადაიტანა. ავგუსტინელ მისიონერთა პრეფექტმა ამბროსიოს ურჩია ნეშტი საქართველოში თეიმურაზ I-თან წაეღო. მისი აზრით, თუ ამ მომენტს მოხერხებულად გამოიყენებდნენ, შეძლებდნენ ავგუსტინელთა მისიონის დაარსებას საქართველოში. ავგუსტინელ მისიონერთა ვიკარუსმა აღმოსავლეთში ქეთევანის ნეშტის წასვენება დაავალა ამბროსიოს და მეორე პორტუგალიელ მისიონერს, სებასტიანს. პატრებმა ორჯერ სცადეს საქართველოში ჩასვლა, მაგრამ სებასტიანის ავადმყოფობის მიზეზით ვერ განახორციელეს. ბოლოს, როგორც ამბროსიოს მიერ გორიდან 1628 წ. 20 ივნისს გაგზავნილი წერილიდან ჩანს, ამბროსიო და მორჩილი ძმა პედრო დუშ სანტოში 1628 წ. 11 მაისს, ხუთშაბათს, გორში მივიდნენ და ქეთევან დედოფლის ნეშტის ერთი ნაწილი მიიტანეს[1].

თეიმურაზმა დიდი პატივით მიიღო პატრები. მან ამბროსიო თავის სასახლეში დააყენა. პატრებმა მაშინვე არ მოახსენეს მეფეს თავიანთი ჩამოსვლის მიზეზი. მაგრამ თეიმურაზისათვის ისედაც ცნობილი იყო, რომ მისი დედის ნეშტი კათოლიკე მისიონერების ხელში იყო. ამის თაობაზე მას თვითონვე უთქვამს პარტებისათვის. მან როცა შეიტყო, რომ პატრებმა თან მოიტანეს მისი დედის ნაწილები, დიდად გაიხარა.

მას ისინი აღმოაჩინა ზემოთდასახელებულ ლისაბონის და გრასას ყოფილ მონასტერში, რომელიც გადაქცეული იყო სამხედრო ყაზარმად. ამ მონასტრის ერთ-ერთ დარბაზში რ. გულბენკიანმა უცნობი ავტორის პანო, რომელიც თარიღდება XVIII საუკუნით. *Gulbenkian R., L'Ambassade en Perse de Luis Periera de Lacrda et des* Pères *Portugais de l'Ordre de Saint-Augustin, Belchior dos Anjos et Guilherme de Santo Agostinho, 1604-1605, Lisbon, 1972, p. 56-57.*

[1] *ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, გვ. 134.*

მესამე დღეს, სპეციალური წირვის შემდეგ, რომელსაც მეფე და დედოფალი ესწრებოდნენ, ამბროსიომ მეფეს გადასცა ქეთევან დედოფლის ნეშტის ნაწილი[1].

სურ. 8. მამა ამბროზიო დოს ანჟოსი გადასცემს ქეთევან დედოფლის რელიკვიებს მის შვილს – მეფე თეიმურაზ I-ს გორში 1628 წლის ივნისში.

თეიმურაზის კითხვაზე თუ რას ისურვებდნენ პატრები, მათ მოითხოვეს გორში ადგილის გამოყოფა, სადაც ეკლესიას და საცხოვრებელ სახლს აიშენებდნენ. მეფემ პატრებს ის ადგილი უბოძა, რომელიც თვითონ აირჩიეს. მათ მიიღეს, აგრეთვე, რამდენიმე სოფელი და ყმა. პატრებმა მონასტერი და სახლი ააგეს გორში, რომელიც

[1] ზ. ჭიჭინაძის მიხედვით, პატრებმა ქეთევან დედოფლის ნეშტის ნაწილები თეიმურაზს კახეთში მიუტანეს. *ჭიჭინაძე ზ., კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში, გვ. 55-56.* სინამდვილეში, აღწერილი ამბავი გორში მოხდა.

ერთ-ერთი საუკეთესო ნაგებობა იყო მთელ საქართველოში. აღწერილი ამბის მომსწრე და მონაწილე დონ ქრისტოფორო დე კასტელის მიხედვით: მისიონერებმა *„თავიანთთვის იმოდენა სახლი ააშენეს, რომ შიგ მოხერხებულად ცხოვრება შესძლებოდათ. ასევე ააგეს მოციქულთა თავადისადმი მიძღვნილი ეკლესიაც“*[1].

1629 წელს თეიმურაზ I პაპ ურბან VIII-ს აცნობებდა: *„ერთი წელიწადია, რაც ისპაჰანიდგან წმინდა აგვისტინეს წესის ყოვლად პატივცემულმა მამა ამბროზიომ მოგვიტანა მისი (ქეთეცან დედოფლის – ე.მ.) გვამის ნაწილები. ამ სიკეთისათვის ჩვენც უხვად დავასაჩუქრეთ მამა იგი: მივეცით მამული, რათა საცხოვრებლად საკმაო შემოსავალი ჰქონდეს, ეგრეთვე ვუბოძეთ ადგილი, რათა შესაფერი ეკლესია აიშენოს და როგორც სასუფევლის სავანეში მუდამ ილოცოს ჩვენთვის“*[2].

საყურადღებოა ის ცნობა, რომლის მიხედვით, *„მისიონერებისადმი კეთილგანწყობილმა თეიმურაზ მეფემ, წმიდა მამა ამბროსიოს და მორჩილ ძმა პედროს საშუალება მისცა გორში, მდ. მტკვრის პირას აეგოთ სახლი და ეკლესია“*[3]. ამონარიდიდან ეჭვს იწვევს პატრების მიერ აშენებული ეკლესიისა და სახლის აშენების ადგილი – მტკვრის ნაპირი. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ გალავანში მოქცეული ქალაქი გორი მთელი მისი არსებობის განმავლობაში მდ. მტკვრისაგან რამდენიმე ასეული მეტრით იყო დაშორებული. მართალია ქალაქსა და მდინარეს შორის მანძილი დიდი არ იყო, მაგრამ დაშორების შეგრძნებას აძლიერებდა ქალაქის დამცველი კედელი, რომლის გარეთ მონასტრისა და მით უმეტეს საცხოვრებელი სახლის

---

[1] *დონ ქრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 60.* კასტელის ნახატებზე ჩანს როგორი იყო მისიონერთა საცხოვრებელი სახლები ყველგან, სადაც მათ მოუხდათ ყოფნა. მათ საცხოვრებელ ადგილსამყოფელს, როგორც წესი, ღობე აქვს შემოვლებული, რომლის კართან დაბმულია ძაღლი. ეზოში არის სხვადასხვა დანიშნულების ხისგანნაშენები ნაგებობა: ორსართულიანი აივნიანი სახლი, ეკლესია, ღარიბთა თავშესაფარი, დასასვენებელი სახლი სტუმრებისა და პატრებისათვის და სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა.

[2] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 108-109.*

[3] *Metzler J., Fondation of the Congregation de Propaganda Fide by Gregorio XV, `sakrae Congregationis de Propaganda Fide, Memoria rerum 1622-1972~, vol. 1/1, Rom, Freiburg, Wien, 1972, p. 79-111.* ციტირებულია: *ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. 87.*

აშენება სერიოზულ ხიფათთან იყო დაკავშირებული. ისიც უნდა ითქვას, რომ გვიანშუასაუკუნეების ევროპულ რუკებზე გორი დატანილი იყო მტკვართან, სხვა მდინარეები კი არ აღინიშნებოდა. მოსალოდნელია, გაუგებრობა ამ გარემოებას გამოეწვია. მდ. ლიახვიც თავისი არამდგრადი კალაპოტით, მართალია ციხესა და ქალაქის გალავანს დასავლეთის მხრიდან ძლიერ ახლოს ჩაუდიოდა, მაგრამ გალავნის გარეთ ლიახვის მხარეს რაიმეს აშენება შეუძლებელი იყო. შეიძლება ჯ. მეტცლერი შეცდომაში შეეყვანა იმ წერილობით ცნობას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ გორი მდებარეობდა მდინარის პირას, მაგრამ არ იყო აღნიშნული მისი სახელი. ჩემი აზრით, ყველაზე მეტად მისაღებია, რომ მშენებლობა ჩატარდა მდ. მეჯუდის სიახლოვეს მეორე საჯარო სკოლის, ღვთისმშობლის ტაძრის და იმ სკვერის ტერიტორიაზე, სადაც მთავარანგელოზების ეკლესია აშენდა. ზოგადად, ისიც უნდა ითქვას, რომ გორის ციხის ბორცვის სამხრეთ აღმოსავლეთი მხარე გამოირჩეოდა ტაძრების სიმრავლით.

შემდეგში ავგუსტინელებს ბაღიც ჰქონდათ გორში[1], მაგრამ არ ვიცით შეიძინეს თუ საჩუქრად მიიღეს.

თითქმის არაფერი ვიცით ავგუსტინელების გორში საქმიანობაზე. მათ მცირე ხანს იმოღვაწეს. 1632 წ. გორში შავი ჭირის ეპიდემია გავრცელდა. სენი ავგუსტინელთა სახლსაც მოედო და ყველა იმსხვერპლა, ვინც იქ იმყოფებოდა: პატრი წინამძღვარი, მღვდელი, ერთი მორჩილი ძმა და ხუთი მსახური[2].

ავიტაბილეს მონათხრობით ცნობილია, რომ 1633 წელს გორსა და თბილისში ჟამი გავრცელდა და მრავალი ადამიანი იმსხვერპლა. გორის მოსახლეობის დიდი ნაწილი მთებში გაიხიზნა. გორში მცხოვრები პატრი კარლო პეშელისათვისაც უთხოვიათ გახიზნულიყო, მაგრამ პატრმა თავი არ მიანება უპატრონო ავადმყოფებს და თვითონაც დაავადდა. კარლო ამჯერად გადარჩა, და უფრო გულმოდგინედ განაგრძო ხალხის მკურნალობა. კარლოს მსახური, გაკათოლიკებული გორელი ახალგაზრდა, ფრანჩისკეც დაავადდა. კარლოს ცდა არ დაუკლია, მაგრამ ახალგაზრდა მაინც დაიღუპა. ბოლოს კარლოც დაავადდა და გარდაიცვალა. საინტერესოა, რომ ამ დროს თეატინელები გორში ეკლესიის გარეშე იყვნენ. პიეტრო ავიტაბილე წერს: *„რადგან ჩვენ რომ ეკლესია გვქონდა, გასული ომების დროს დაინ-*

---

[1] *ხეც, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №1075, გვ. 22.*

[2] *დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 60.*

გრა, მისი (კარლოს – ე. მ.) კურთხეული ნეშტი დავასვენეთ ეკლესიის ეზოში“-ო[1]. უფრო მეტიც კარლოს გარდაცვალების შემდეგ მისიონს პატრიც აღარ ჰყავდა. ჟამმა იმსხვერპლა, აგრეთვე, მრავალი გორელი კათოლიკე. ამგვარად, თბილისსა და გორში მისიონის ამოწყვეტის საშიშროება შეიქმნა. თბილისიდან გაგზავნილ ერთ წერილში ნათქვამია: *„ამიტომ დიდათ გევედრები, მალე უშველოთ, რომ ეს მისიონი არ მოისპოს, რაც საშიშია, რადგან უკანასკნელ მდგომარეობაში ვართ“*[2].

ამ დროს პრიორი ამბროსიო დუშ ანჟუსი ნახჭევანის ეპისკოპოსთან იმყოფებოდა. მან თავისი მონასტრის მეთვალყურედ ორი დომინიკანელი სომეხი ბერი გამოგზავნა, ერთი მღვდელი იყო, ხოლო მეორე ნოვიციანტი (მორჩილი ძმა)[3].

როგორც ჩანს, ამბროსიო დუშ სანტუში კვლავ გორში დაბრუნდა. ის რომ 1637 წლის მარტში ჯერ ისევ ნახჭევანში იმყოფებოდა, ამის შესახებ გადმოგვცემს ცნობილი გერმანელი მოგზაური ადამ ოლეარიუსი იმავე წლის 7 მარტს.

ადამ ოლეარიუსის გადმოცემით, ამბროსიომ გერმანელ ელჩებს დახმარება შესთავაზა, რადგან ის ამ მხარეში იმყოფებოდა უკვე 27 წლის განმავლობაში და ბევრი რამ იცოდა ადგილობრივი ხალხებისა და მათი წეს-ჩვეულებების შესახებ. მას სცოდნია რამდენიმე ენა: პორტუგალიური, ლათინური, ქართული, თურქული, სპარსული. ოლეარიუსის ყურადღება განსაკუთრებით იმან მიიპყრო, რომ პატრს შემუშავებული ჰქონდა ენების შესწავლის თავისებური მეთოდი[4].

1637 წ. 15 ოქტომბერს წავიდა ავგუსტინელი პატრების იღუმენი, რომელიც მანამდე მარტო ცხოვრობდა გორში. ის მისივე ორდენის პატრებმა გაიწვიეს ისპაანში. მან იცოდა რომ პატრები გორში აღარ დაბრუნდებოდნენ, ამიტომ მონასტრიდან წაიღო ყველაფერი, რისი

---

[1] *იქვე, გვ. 28.*

[2] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 259-260.*

[3] *დონ პეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 31.*

[4] *Подробнее описание путешествия голштинского посольства в Московию и Персию составленое секретарем посольства Адамом Оларием // Чтения в Обществе Истории и Древностей Российских при Московском Университете, №1, Москва, 1869, с. 549.*

წაღებაც შეიძლებოდა[1]. მან წასვლის წინ ეკლესია თეატინელებს ჩააბარა[2].

კათოლიკური აგიტაცია ინტენსიური გახდა XVII ს. I მეოთხედის ბოლოდან, როცა საქართველოში, მოვიდნენ თეატინელები. ადრე მოპოვებული ინფორმაცია საფუძველს აძლევდა რომის პაპს შორს მიმავალი მიზნები დაესახა. საქართველოში თეატინელთა მისიონის შექმნაში განსაკუთრებული როლი ითამაშა ცნობილმა იტალიელმა პოეტმა, ისტორიკოსმა და მოგზაურმა პიეტრო დელა ვალემ[3].

პაპ ურბან VIII-ის ბრძანებით, 1626 წ. სჯულის პროპაგანდის კონგრეგაციამ გადაწყვიტა საქართველოში გამოეგზავნა ხუთი პატრი. შემდეგში მათი რიცხვი სამამდე შემცირდა, რადგან ოსმალთა სამფლობელოებზე ხუთი პატრის მოგზაურობა სახიფათოდ ჩათვალეს. შეირჩა სამი პატრი: პიეტრო ავიტაბილე (მასვე დაევალა წინამძღოლობა), ფრანჩესკო დ'აპრილე და ჯაკომო დი სტეფანო. ისინი იმავე წლის 23 ივლისს საქართველოსკენ გამოეშურნენ. მგზავრობას მრავალი ხიფათი ახლდა და მისიონერებმა მხოლოდ 1628 წ. 14 დეკემბერს მოაღწიეს გორს[4], სადაც ეგულებოდათ მეფე თეიმურაზ I. მეფე გორიდან ერთი დღის სავალზე საფურცლეში იმყოფებოდა. თეატინელები თვენახევრის განმავლობაში ავგუსტინელთა სახლში ცხოვრობდნენ[5].

პატრებმა მეფეს ჯერ საჩუქრები მიართვეს, წერილი გორში მცხოვრებმა ბერძენმა მღვდელ-მონაზვნებმა ბერძნულად თარგმნეს და ერთ-ერთმა მათგანმა მეფეს ქართულად წაუკითხა. თეიმურაზი და პატრიარქი პატრებს ყოველგვარ დახმარებას დაპირდნენ, ნება მისცეს ეკლესია აეგოთ[6]. თეიმურაზმა და პატრიარქმა ზაქარიამ პატრებს წირვისა და ქადაგების სრული თავისუფლება მიანიჭეს[7].

თეიმურაზ მეფე 1629 წელს პატრებთან დაკავშირებით პაპს სწერდა: *„აი უკვე ერთი წელია, რაც დედა ჩვენის მშრალი ძვალი,*

---

[1] *დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 60.*

[2] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 132.*

[3] *ხეც, მ. თამარაშვლის პირადი არქივი, №1075, გვ. 22.*

[4] *ვრცლად: თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 88-100.*

[5] *ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. 87.*

[6] *იქვე, გვ. 88*

[7] *იქვე.*

ე.ი. ჩვენი დედის სხეული, ანუ მისი ნაწილი, ღირსეულმა მამა ამბროსიო ავგუსტინელმა ქალაქ ისფაჰანიდან, სპარსეთის სამეფოს კარიდან, ჩვენს ქვეყანაში ჩამოიტანა. ამისათვის მადლობის ნიშნად მე იგი ავიყვანი ჩემი მფარველობის ქვეშ და აღმოვუჩინე მოწყალება, მივეცი რა მას კერა და მიწა იმრიგად, რომ მან შეძლოს იცხოვროს და ააშენოს სახლი და ეკლესია...“[1] ამბროზიომ თავდაპირველად დროებითი პატარა სახლი და ეკლესია ააშენა. შემდგომ ინდოეთში გაგზავნა მორჩილი ძმა პეტრე, რომელმაც საჭირო ფული ჩამოიტანა. აგებული იქნა ეკლესია, რომელიც, როგორც მიქელ თამარაშვილი შენიშნავს, *„საქართველოში საუკეთესო ეკლესიად ითვლებოდა“*[2]..

გორში დაბინავებისთანავე პატრებმა ქართული ენის შესწავლა დაიწყეს, რათა ადგილობრივი მოსახლეობის მშობლიურ ენაზე ექადაგათ. ყველაზე პირველად ქართულს დაეუფლა დონ ჯაკომო დი სტეფანო[3]. ალბათ, ამ გარემოებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი მისი თეიმურაზთან დაახლოებაში. ამავე დროს პატრებმა, რომელთაც გარკვეული სამედიცინო მომზადებაც ჰქონდათ, ხალხის მკურნალობა დაიწყეს. მოკლე ხანში მათ იმდენად გაითქვეს სახელი, რომ მათთან შორეული ადგილებიდანაც ჩამოჰყავდათ სნეულები. მათვე განკურნეს თეიმურაზის მეუღლე დედოფალი დარეჯანი, რომლის მორჩენა ვერ შესძლეს ირანიდან ჩამოყვანილმა ექიმებმა[4]. დიდძალი ხალხი აწყდებოდა მათ ეკლესიას, სადაც პაპისა და კათოლიკური ეკლესიისადმი სიყვარულსა და მორჩილებას უნერგავდნენ.

პატრების ასეთი პოპულარობა მოსვენებას უკარგავდა გორში მოღვაწე ბერძენ და ქართველ მართლმადიდებელ ბერ-მონაზვნებს. ისინი კათოლიციზმის საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ბერძენი ბერები, რომლებიც სამეფო კართან დაახლოებულნი იყვნენ და ყოველ ხერხს მიმართავდნენ პატრების სახელის გასატეხად[5]. ბერძნების მხრივ წინააღმდეგობა შეწყდა მას შემდეგ, რაც გორში მოვიდა ბერძენი მიტროპოლიტი, რომელიც საქართველოში მოგზაურობდა ყოველწლიური შესაწირავის ასაკრეფად.

---

[1] *იქვე, 93*

[2] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 103.*

[3] *დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 60.*

[4] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 103-104.*

[5] *ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. 99-100.*

უცნობია რა საშუალებით, მაგრამ როგორც ჯუსტო პრატო ამბობს: *„შევძელით ჩვენს მხარეზე გადმოგვეყვანა ბერძენი მიტროპოლიტი, რომელიც წარსულში ბევრს ლაპარაკობდა ჩვენს საწინააღმდეგოს...“* გორში ყოფნის დროს ბერძენი მიტროპოლიტი რამდენიმე დღე პატრების სახლში იყო სტუმრად. კეთილად იყო განწყობილი პატრებისადმი აგრეთვე *„გორის ეპისკოპოსი“*, რომელმაც მიწის ნაკვეთიც კი შესთავაზა მათ, მაგრამ, გაუგებარი მიზეზით, პატრებმა უარი თქვეს ეპისკოპოსის წყალობაზე[1].

უფრო თბილი ურთიერთობა დამყარდა მეფესა და პატრებს შორის, როცა ევროპაში მოგზაურობიდან დაბრუნდა თეიმურაზ მეფის ელჩი ნიკიფორე ირბახი (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი)[2] და მოუთხრო იმ უზომო პატივისცემასა და დახმარებაზე, რომელიც მას თეატინელმა მღვდლებმა ევროპაში გაუწიეს. თეიმურაზმა მაშინვე ბრძანა, ამას იქით პატრებისათვის ულუფა ეძლიათ და ფულითაც დაეხმარა. მისიონერებმა ფული გორში თავიანთი ეკლესიის შემკობას მოახმარეს[3].

მორწმუნეთა მატების გამო, ავიტაბილემ სხვა მისიონერებიც მოიწვია რომიდან. 1630 წ. 18 ოქტომბერს რომიდან გამოგზავნეს ორი მისიონერი – დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი და არქანჯელო ლამბერტი[4].

თეიმურაზს შექმნილი ვითარება აიძულებდა სიფრთხილე გამოეჩინა. მას კარგად ესმოდა, რომ მისი კათოლიციზმისადმი შემწყნარებლობა შეიძლებოდა მოხერხებულად გამოეყენებინათ მოწინააღ-

---

[1] *იქვე, გვ. 250-251.*

[2] 1628 წ. იტალიურად შედგენილ ერთ-ერთ მოხსენებაში ვკითხულობთ: *„ხსენებულმა თეიმურაზ I – ე.მ.) ორი თუ სამი წლის წინათ კათოლიკე მეფესთან და ჩვენ სინიორთან გაგზავნა ელჩი, სახელად ნიჩეფორო (ნიკოლოზ – ე.მ.), წმ. ბაზილიკის ბერი, უზარმაზარი ტანის და შავი წვერით: ხსენებული ნიჩეფორო გავიცანით“. ხეც, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №1074, გვ. 26.* ნიკიფორე ირბახის პიროვნების, საეკლესიო და დიპლომატიური მოღვაწეობის შესახებ იხ. *მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, გვ. 197-280.* ირბახის თეატინელებთან ურთიერთობაზე, *იქვე, გვ. 278-281.*

[3] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 105.* ნ. ირბახის გორში დაბრუნებისა და მისი შემდგომი მოღვაწეობის შესახებ იხ. *ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, 109-111; მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, გვ. 278-312.*

[4] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 111.*

მდეგებსა და მისი ისედაც არამყარი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესებულიყო. მაგრამ მეფეს არც რომთან ურთიერთობის გაფუჭება სურდა. ამიტომ მან 1630 წ. ავიტაბილე რომში გაგზავნა და თან გაატანა თავისი და ზაქარია კათალიკოსის წერილები. თეიმურაზის წერილში, ამჯერად, ჩვენთვის საინტერესოა ერთი ადგილი: *„რაც შეეხება ჩვენის სამეფოს აწმყო მდგომარეობას, ძლიერ სამწუხაროა. თვით ეს თიათინელი მამებიც თვალით ხედავენ თუ ხისა და თუ ქვის შენობათა ნანგრევებსა. ამის შესახებ ყველაფერს თვითვე მოახსენებენ თქვენს უწმინდესობას. მაგრამ ყველაზე უფრო სატირელ მდგომარეობაშია ჩვენი ეკლესიები, რადგან მტრებმა არა მარტო წაიღეს ძვირფასი წმიდა ჭურჭლები, არამედ ყველა შესამოსლები, სამკაულები და თვით ხატებიც კი წაიღეს და ასე ერთიან გაძარცვეს. ამის გამო დიდად ვევედრებით თქვენს უნეტარესობას, ხსენებულ მამებს უშოვნოთ ყველა ის, რაც ეჭირებათ თავიანთი ეკლესიის საჭიროებისათვის და შესამკობლად, რათა უმეტესის სიადვილით გაეხსნათ გზა სანატრელის შეერთებისათვის (ქართული და კათოლიკური ეკლესიებისა –ე. მ.)“*[1]. თეიმურაზს ავიტაბილესათვის დაუბარებია, იტალიიდან ექიმები და მხატვრები წამოეყვანა, რათა მკურნალთ ხალხისთვის ემკურნალათ, მხატვრებს კი დანგრეული ეკლესიები აღედგინათ[2]. პიეტრო დელა ვალე რომში მოითხოვდა: *„მოემარაგებინათ გორში ეკლესიის მსახურნი (რა თქმა უნდა კათოლიკენი – ე. მ.) საჭირო სამოსელით, ასევე შავი ქსოვილებით... გაიგზავნოს შლიაპები, მღვდლის ქუდები და სხვა საგნები, რომლებიც... შეუძლებელია კაცმა იმ მხარეში იშოვოს და არც ვინმე მოიპოვება იქ, ვინც მათ გააკეთებს“*[3].

ავიტაბილემ რომში გარკვეული ნივთიერი შემწეობა მიიღო. განსაკუთრებული მნიშვნელობა იმას ჰქონდა, რომ მისიონერებს უფლება მისცეს საქართველოში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე შეესრულებინათ.

1631 წ. 12 მაისს გორში მოვიდნენ დონ ჯუდიჩე მილანელი და არქანჯელო ლამბერტი. მათ ორი დღის შემდეგ თეიმურაზი ინახულეს, რომელიც გორიდან ერთი დღის სავალზე იმყოფებოდა. მისიონერებმა მეფეს საჩუქრები, წერილები გადასცეს და გორში გამობრუ-

---

[1] *იქვე, გვ. 109.*
[2] *იქვე, გვ. 121.*
[3] *იქვე, გვ. 102.*

ნდნენ[1]. მისიონერებმა, ამავე დროს, მეფის მიერ ნაბოძები ეკლესიის შეკეთება დაასრულეს და წმინდა პეტრეს სახელი უწოდეს[2]. დონ კრისტოფორო დე კასტელის თქმით, თეატინელებმა *„ააგეს მოციქულთა თავადისადმი მიძღვნილი ეკლესია“*[3]. იგულისხმება გორში აგებული წმ. პეტრეს სახელობის ეკლესია. რომში დიდად კმაყოფილნი დარჩნენ გორში კათოლიკური ეკლესიის აგება რომ შეიტყვეს. პაპი ზაქარია კათოლიკოსისადმი გამოგზავნილ საპასუხო წერილში წერდა: *„ჩვენი საყვარელი შვილი პეტრე ავიტაბილე თეათინელი მღვდელი, დიდის სიხარულით და მოციქულებრივის სიყვარულით მივიღეთ და მოვუსმინეთ... დიდათ განიხარეს კარდინალთა კრებამ, გვირგვინოსანმა მეფეთა და კათოლიკე ეკლესიის ყველა რჩეულთა, როდესაც შეიტყეს, რომ საქართველოში თქვენის მეთაურობით ეკლესია დაარსდა ჩვენი მღვდლებისა. ეგ ეკლესია იქნება სამკვიდრებელი არა მარტო ზეციერთა სათნოებათა, რომელნიც ქვეყანას ბედნიერებას მიანიჭებენ...“*[4].

ქადაგება ეკლესიაში თურქულ ენაზე მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, იმდენად ბევრი ხალხი დადიოდა, რომ ვეღარ ეტეოდა. შეიძლება გაზვიადებული იყოს, მაგრამ მაინც ყურადღების ღირსია 1632 წ. გორიდან გაგზავნილი წერილი, რომელიც მ. თამარაშვილის ვარაუდით, დაწერილი უნდა იყოს არქანჯელო ლამბერტის მიერ: *„ქართველები, რომლებსაც ჩვეულებად არა აქვსთ ეკლესიაში ხშირად სიარული, როდესაც კი მოდიან, ძლიერ უხამსად იქცევიან, ჩვენის მამების ქადაგებით, სულ მთლად გამოიცვალნენ. მისიონერებმა ჩააგონეს, თუ რაოდენის მოკრძალებით და პატივით უნდა იყვნენ ხოლმე ღვთის სახლში. ამიტომ ახლა ხშირად მოდიან ჩვენთან და მოკრძალებით ესწრებიან ყველაფერს; წირვაზე და სხვა ღვთის მსახურებაზე დიდის მოწიწებით და კრძალვით დადიან... ის აღარ არიან, რაც უწინ იყვნენ რაიცა ცხადად მოწმობს, თუ რაოდენად იმოქმედა მათზე ღვთის ძლიერებამ და მადლმა... ქართველები რა ხედვენ მეფე-დედოფალი და პატრიარქი ესდენ დიდი პატივსა, გულკეთილობასა და სიყვარულს უცხადებენ ჩვენს მისიონერებს, ამნაირის მაგალითით წაქეზებულნი, ცდილობენ მათ მიჰბაძონ და მათსავით*

---

[1] *იქვე, გვ. 111-112.*

[2] *იქვე, გვ. 116.*

[3] *დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 60.*

[4] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 120.*

მოეპყრან პატრებს. ეს ხალხი ჩვენდამი პატივისცემისა და მორჩილების გამოცხადებით ცდილობენ მეფესა, დედოფალსა და პატრიარქს აამონ და მათი გული მოიგონ"[1].

ავიტაბილემ მოათავა რა თავისი საქმეები რომში, იტალიის თეატინელთა მონასტრებში შეკრიბა მისიონერთ აჯგუფი და საქართველოში წამოიყვანა. ეს მისიონერები იყვნენ: ვინჩენცო კარიფა, დონ კრისტოფორე დე კასტელი, ანტონიო ჯარდანა, ჯუსტო პრატო, გაეტანო კორლიტო, მატეო ფლორინო, სერაფინო ფილენჯიერი და იერონიმე კარაფა. 1632 წ. 10 ივლისს ისინი გორში მოვიდნენ[2]. გორში იმდენად ბევრმა მისიონერმა მოიყარა თავი (15 თეატინელი და 2 ავგუსტინელი), რომ რომში განიზრახეს შეექმნათ მისიონერთა კონვენტი, რომელსაც მორიგეობით უხელმძღვანელებდნენ თეატინელი დონ პიეტრო ავიტაბილე და ავგუსტინელი ამბროზიო დუშ ანჟუში[3].

ხალხში ხმა გავრცელდა, პატრებმა ევროპიდან დიდძალი ფული ჩამოიტანესო. ავიტაბილე როცა მეფე თეიმურაზთან მივიდა, მეფემ ათი ათასი სკუდი სთხოვა სესხად. მართალია, პატრებმა შემდეგში დაარწმუნეს იგი, რომ გავრცელებული ხმები სიმართლეს არ შეეფერებოდა[4], მაგრამ ამ შემთხვევამ მაინც არასასურველი გავლენა მოახდინა თეიმურაზის პატრებთან ურთიერთობაზე. მისიონერთა საწინააღმდეგო განწყობილებას ბერძნებიც აღვივებდნენ. ბერძენთა პატრიარქი თეიმურაზს ხან თხოვნით, ხან მუქარით ურჩევდა გაედევნა კათოლიკე მისიონერები. მაშინდელ ქართლსა და კახეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარებაც უარყოფით გავლენას ახდენდა მისიონერთა მოღვაწეობაზე გორში. თეიმურაზის მდგომარეობა კრიტიკული შეიქმნა 1633 წელს, როდესაც როსტომ ხანი ყიზილბაშთა უზარმაზარი ჯარით ქართლში შემოვიდა. თეიმურაზი იმერეთს გაიხიზნა.

---

[1] *იქვე, გვ. 116.*

[2] *იქვე, გვ. 117.*

[3] *ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. 181.*

[4] 1632 წლის ერთი იტალიური წერილიდან ჩანს როგორ უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ აღმოსავლეთში წამოსული მისიონერები, რომში მთელი სამი თვის განმავლობაში დაობდნენ გაეგზავნათ თუ არა 140 დუკატი საქართველოში მოღვაწე პატრებისათვის. იქვე ხაზგასმულია, რომ განსაკუთრებით მცირე დახმარებას იღებდა გორის მისიონი. *ხეც, ქ. თამარაშვილის პირადი არქიცი, №1075, გვ. 38-39.*

ყიზილბაშთა ჯარმა მრავალი ადგილი გაძარცვა და გადაწვა. გადარჩა მხოლოდ გორი.

როსტომ მეფემ იცოდა გორში პატრების ყოფნის შესახებ და მათ შეუთვალა არ წასულიყვნენ ტყეებში გახიზნულ ხალხთან, თუ ვინმე უკვე წასული იყო მოეძებნათ და თავიანთ სახლებში დაებრუნებინათ[1].

პატრებმა შუადამისას შეიტყვეს თეიმურაზის გაქცევის და როსტომის მოსვლის შესახებ. ავიტაბილემ მიზანშეწონილად ჩათვალა ახალ მეფესთან შესახვედრად გაეგზავნა დონ ჯაკომო და დონ არქანჯელო ავგუსტინელ პატრებთან ერთად. მათ გორის მახლობლად შეხვდათ როსტომის მხედარი, რომელმაც უთხრა: *„ჩვენმა მეფემ დიდი კმაყოფილებით გაიგო, რომ მის სამეფოში იმყოფებიან ფრანკები და რადგან ეგონა, რომ თქვენ შეიძლება სადმე მთებში ხართ გაქცეულები, გატყობინებთ და უსაფრთხოების გარანტიასაც გაძლევთ, მასთან მიხვიდეთ. იგი თქვენ კარგი თვალით გიცქერით და ყოველგვარ შესაძლებელ წყალობასაც არ დაიშურებსო“*[2].

გორში შესვლისთანავე გამოჩნდა როსტომის კეთილგანწყობა კათოლიკე პატრებისადმი. ყიზილბაშებმა თეატინელთა და ავგუსტინელების ეკლესიების გარდა, ყველა სხვა ეკლესია დაკეტეს. ქართველთა ის ეკლესიები, რომელიც სიმაგრეში იყო, მეჩეთებად, ხოლო სომხების ეკლესია ცხენების თავლად გადააქციეს[3]. ქართული და სომხური ეკლესიები დაკეტილი იყო ოთხი თვის განმავლობაში[4].

პატრებმა როსტომს მცირე საჩუქარი (იტალიიდან ჩამოტანილი მოოქრულ ჩარჩოში ჩასმული ერთი სარკე, მწვანე მინის ლარნაკი, ბუდე მაკრატლით და მოოქრული პატარა დანები) მიართვეს და კეთილი მოსვლა უსურვეს[5]. როსტომმა დიდი პატივით მიიღო ისინი, თეიმურაზის მიერ მინიჭებული ყველა პრივილეგია დაუმტკიცა და თავის მფარველობასაც დაპირდა[6]. მან ბრძანა არავის შეეწუხებინა

---

[1] *დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 26-27.*

[2] *იქვე, გვ. 51.*

[3] *იქვე, გვ. 57.*

[4] *ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. 251.*

[5] *დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 52.*

[6] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 125.*

პატრები და მონასტრების, ეკლესიების და სხვა ნაგებობათა აშენების სურვილიც გამოთქვა[1].

მეფის ასეთი განწყობილების მიუხედავად, ხალხმა იმდენად შეავიწროვა მისიონერები (ორჯერ ცეცხლიც კი წაუკიდეს მათ სახლს), რომ სპეციალურად დაყენებულმა ჯარისკაცებმაც ვერ უზრუნველყვეს მათი უსაფრთხოება და პატრები იძულებული გახდნენ დროებით გორიდან გასულიყვნენ[2]. ავიტაბილე სხვაგანაც აღნიშნავს, რომ მდაბიო ხალხი კეთილი თვალით არ უყურებდა პატრებს, *„წარჩინებულები“* კი დიდ პატივისცემას ამჟღავნებდნენ[3]. 1633 წ. ზაფხულში ქალაქსა და მახლობელ სოფლებში დაბანაკებული ყიზილბაშთა თითქმის მთელი ჯარი დასაქმებული იყო ციხის აღდგენით. ავიტაბილე მწუხარებით აღნიშნავს: *„ბევრი ავი რამ გადაგვხდა აგვისტოს თვემდე, სანამ ამ ქალაქში ციხეს ააშენებდნენ“*-ო[4].

გორში მისვლის უმალ როსტომ მეფემ მოციქულები გაუგზავნა დადიანს და დის, სიმონ გურიელის ქვრივის, მარიამის ხელი სთხოვა. დადიანმაც, თავის მხრივ, გორში როსტომთან მოციქულები გაგზავნა, რომელთა შორის იყო ნიკიფორე ირბახი (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი). სამეგრელოს მოციქულებმა გორში როცა მისიონერები იხილეს, მათთან მოლაპარაკება გამართეს ზოგიერთი პატრის სამეგრელოში გადასვლის შესახებ. ვინც სამეგრელოში გადავიდოდა, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი დახმარებას პირდებოდა. მაგრამ იმჯერად არავინ არ გამოსთქვა ასეთი სურვილი. მ. თამარაშვილს მიაჩნდა, რომ ოდიშის მოციქულებს თან გაჰყვნენ ლამბერტი და ჯუდიჩე[5]. მაგრამ ავიტაბილეს რელაციიდან ჩანს, რომ დასახელებილი პატრები, გვიან, მარიამ დედოფლის მოყვანის დროისათვის კვლავ გორში იმყოფებოდნენ. როცა დედოფალი თეატინელთა მცირე სამლოცველოს ეწვია, ორივემ, ლამბერტმა და ჯუდიჩემ, მისი დიდი მოწონება დაიმსახურეს[6].

მარიამს მრავალი დიდებული ახლდა ოდიშიდან და გურიიდან. ამ უკანასკნელებმაც სთხოვეს ავიტაბილეს მისიონერები გაეგზავნა

---

[1] *დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 52.*
[2] *იქვე, გვ. 27.*
[3] *იქვე, გვ. 53.*
[4] *იქვე, გვ. 27.*
[5] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 125.*
[6] *დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 28.*

გურიაში. ასე აღმოჩნდნენ გურიაში 1634 წ. კრისტოფორო კასტელი, ანდრია ჯარდინა და მორჩილი ძმა კლაუდიო.

მარიამ დედოფალი გორში მოვიდა, დიდი ***ზეიმით მოინახულა ავგუსტინელთა ეკლესია და თეატინელთა მცირე სამლოცველო.*** როგორც ითქვა, მარიამზე განსაკუთრებილი შთაბეჭდილება მოახდინეს ჯუდიჩემ და ლამბერტმა. პატრებიც კმაყოფილნი დარჩნენ[1], ალბათ, იმით, რომ დედოფალმა მათ მატერიალური დახმარება აღმოუჩინა.

გორში პატრებთან მოვიდა ერთი პოლონელი, რომელიც მანამდე, დიდი ხნის განმავლობაში, საქართველოს სხვადასხვა ეპისკოპოსსა და მღვდელს ემსახურებოდა. მან ახლა სურვილი გამოთქვა პატრებთან ემსახურა ყოველგვარი საზღაურის გარეშე[2].

1635 წ. სექტემბერში გორში მოვიდა დომინიკელთა მორჩილი ძმა ჯოვანი და ლუკა, კაფას მისიონერი. მან მოიტანა წერილები და მცირეოდენი მოწყალება ვალებში ჩაფლული თეატინელი პატრებისათვის. ჯოვანი და ლუკას მოლაპარაკება ჰქონდა მისიონერ ანგოლისთან[3], მაგრამ არ ვიცით რა იყო მოლაპარაკების საგანი.

ანტიკათოლიკური გამოსვლა მოხდა გორში 1634 წელს, როდესაც პატრებმა ერთ-ერთი მართლმადიდებელი ნასყიდა ლოპომანის (?) გაკათოლიკება მოინდომეს. გორელებმა დამნაშავის დასჯა განიზრახეს და კათოლიკეთა ტაძარიც დაანგრიეს[4]. მოსახლეობამ საჩივრით მიმართა როსტომ მეფეს, მარიამ დედოფალს და პატრიარქს ევდემოზ I დიასამიძეს (1532-1642). გორის ციხისთავმა ნასყიდა თბილისში გააგზავნა. ავიტაბილე მას დამცველად გაჰყვა. პატრიარქმა ის თავისთან დაიბარა და განრისხებულმა უსაყვედურა, როგორ გაბედე და ჩემი ქართველები ფრანკების წესზე მოაქციეო[5].

გაიმართა სასამართლო, რომელსაც ესწრებოდნენ მეფე, კათალიკოსი და ეპისკოპოსები. ნასყიდას დასაცავად სიტყვა წარმოსთქვა ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა, რომლის გამოსვლა ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს იგი ხალხის წინაშე, ნასყიდასთან ერთად, თავის თავსაც იცავდა[6]. მართალია, ნიკიფორეს მგზნებარე სიტყვამ მსმენელთა ერთი ნაწილის გული მოიგო, მაგრამ სხვები უკმაყოფილონი

---

[1] *იქვე, გვ. 29.*
[2] *იქვე, გვ. 31-32.*
[3] *იქვე, გვ. 37.*
[4] *იქვე, გვ. 63.*
[5] *იქვე, გვ. 64.*
[6] *იქვე, გვ. 66.*

დარჩნენ. განსაკუთრებით ცხარობდა პატრიარქი, რომელიც პირდაპირ აცხადებდა: ნასყიდა *„ნაკუწ-ნაკუწად უნდა ვაქციო, ამას არ ვიზამდი ფრანკი, რომ არ გამხდარიყო“*[1].

ნასყიდა კათოლიკედ დარჩა, მაგრამ უკმაყოფილო ხალხი კიდევ დიდი ხნის განმავლობაში პატრებს მოსვენებას არ აძლევდა. ნასყიდას საქმის შემდეგ პატრიარქი, ყველას, ვინც პატრებთან საქმეს დაიჭერდა, ეჭვის თვალით უცქეროდა[2], რაც პატრების საქმიანობას ძლიერ აფერხებდა. როცა როსტომი ქართლში გამეფდა, ბრძანება გამოსცა: ვინც ისლამის გარდა სხვა სარწმუნოებას მიიღებდა, სიკვდილით დაისჯებოდა[3]. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ მისიონერების ყოფნა ქართლში იმდენად გაუსაძლისი გახდა, რომ 30-იანი წლების ბოლოს ისინი გურიაში გადავიდნენ, მაგრამ ფეხი ვერც იქ მოიკიდეს და სამეგრელოში გადაბარგდნენ.

რაც დრო გადიოდა, თეატინელი მისიონერების რიცხვი გორში მცირდებოდა. როგორც ზემოთ ითქვა, ისინი გურიასა და სამეგრელოში გადავიდნენ: გურიაში – პატრი კრისტოფორო კასტელი, პატრი ჯარდინა და მორჩილი ძმა კლაუდიო, სამეგრელოში – პატრი ჯუდიჩე და პატრი ლამბერტი. ავიტაბილეს 1635 წლის ერთი რელაციიდან ვიგებთ, რომ ზოგიერთი პატრი და მორჩილი ძმა გორში გარდაიცვალა. ასე თანდათან გორის მისიონი საკმაოდ შემცირდა და ავიტაბილე იძულებული შეიქმნა იტალიიდან ახალი მისიონერები დაებარებინა. 1637 წ. გორში მოვიდა ორი მისიონერი: ფრანჩესკო მაჯო და კლემენტე გალანო. მაგრამ არც ეს უკანასკნელი დარჩა დიდხანს გორში, ჯერ სამეგრელოში გადავიდა, შემდეგ კონსტანტინოპოლში წავიდა, სადაც სომხების სკოლა დაარსდა[4]. საბოლოოდ გორში ორი მღვდელი და ერთი მორჩილი ძმა დარჩა. შემდეგ ისინიც სამეგრელოში გადავიდნენ. ასე, რომ 1636 წლიდან გორში თეატინელები აღარ იყვნენ.

თეატინელების მოღვაწეობა კიდევ რამდენიმე ხანს გაგრძელდა იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში. მაგრამ, იმავე საუკუნის 60-იან წლებში მათი რიცხობრივად შემცირებისა და რომიდან ახალი მისიონერების გამოუგზავნელობის გამო, თეატინელები გადაშენდნენ.

---

[1] *იქვე, გვ. 67.*

[2] *იქვე, გვ. 68.*

[3] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 131.*

[4] *იქვე, გვ. 130.*

XVII ს. 60-იანი წლების დასაწყისიდან რომიდან საქართველოში გამოგზავნეს კაპუცინთა ორდენის ბერები. მათ დიდი გაჭირვებისა და მსხვერპლით თბილისამდე მოაღწიეს. რამდენიმე წლის შემდეგ კიდევ ოთხი მისიონერი მოვიდა, მაგრამ უფულობის გამო მძიმე მდგომარეობაში იყვნენ. მისიონერთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა ჯუსტინო ლივორნოელი, რომელმაც გორში დაარსა კაპუცინელთა მისიონი. მან ქართული ენის კარგად ცოდნის გამო დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა. ჯუსტინომ 1667 წელს გორში დაარსა კაპუცინთა მისიონი, რომელსაც 7 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. თბილისის მისიონის პრეფექტის სერაფინო და მელიკოკას გარდაცვალების შემდეგ, 1675 წელს, თბილისის მისიონის პრეფექტი.

საქართველოში თავისი მოღვწეობის შეფასებისას, რომელსაც ის წერილობით აგზავნის რომში (1686 წლის 22 დეკემბერი), რათა თავი დაიცვას მასთან ერთად გორსა და თბილისში მყოფი ზოგიერთი მისიონერისაგან, როგორც ის წერს, ცილისწამებისაგან, აღნიშნავს შემდეგს: *„ამიერიდან თითოეულს, როგორც მოესურვება, შეუძლია საქართველოში ჩირქი მომცხოს და თქვენი მოწყალების წმინდა სამსჯავროს წინაშე ჩემი საქციელი უკუღმართად წარმოადგინოს. თუმცა ვიცი, რომ თქვენი ანგელოზური სახისა და სამართლიანი მსჯელობის წინაშე ჭეშმარიტების შუქი არ დაიხშობა; არ ვცდილობ საკუთარი თავის გამამართლებელი საბუთების მოტანას; გარდა ამისა, ვგრძნობ როგორ ხარობს ჩემი გული, როცა თქვენს მოწყალებას ყველა ჩემს კეთილისმყოფელთა ყურადღებით მოსმენას ვთხოვ, თუკი ეს მისიას სასარგებლო სამსახურს გაუწევს. მხოლოდ საჭირო არაა ჩემი სრულიად პირშავად გამოყვანა; ყოველ შემთხვევაში, გორის მისია ჩემი დამსახურებაა. მე იგი დავაფუძნე, მწყობრში მოვიყვანე და შევინახე, ვმართავდი 7 წელზე მეტხანს; ამის შესახებ ღირსეულ მამებს სტეფანო დ, ამ (არ იკითხება), მამა რაფაელე პარმელს და ძმა ანჯელო ვიტერბოელს შეუძლიათ მოგითხრონ. მათ იციან, თუ როგორ ვხელმძღვანელობდი [გორის მისიას] და როგორ მოვაქციე [კათოლიკურ] რწმენაზე 150 კაცი, რამაც ჩვენს ეკლესიას დიდებული საჩუქარი შესძინა; დაე, ჰკითხონ მამა ფრანჩესკო მარია ტორინოელს, მამა ბერნარდო მარია ნეაპოლელს და ძმა პოლიკარპო ნეაპოლელს, რადგან მათ მოწმობებს ვენდობი. იმ მისიის ხელმძღვანელობიდან გათავისუფლება მე მოვითხოვე; შემდეგ არა ერთხელ ვიხვეწებოდი,*

რაზეც დამემოწმება მამა ბერნარდო მარია, რომელსაც ვენდობი, რათა [გორის მისიას] წინანდელი დიდება არ დაეკარგა“[1].

ახალმოსულ პატრებს შორის იყო საქართველოდან რომში შემწეობის სათხოვნელად ჩასული პატრმა კარლო, რომელმაც პროპაგანდა ფიდეში წარადგინა წინასწარ დასმულ კითხვებზე აგებული მოხსენება, რომელიც საკმაოდ ნათელ სურათს იძლევა კათოლიციზმის გავრცელებასა და მისიების მდგომარეობაზე საქართველოში. 1668 წ. 28 ნოემბრის მოხსენებიდან გავეცნოთ მხოლოდ იმ ადგილებს, რომლებიც გორს ეხება:

„პასუხები კითხვებზე საქართველოს მისიების მდგომარეობის შესახებ.

5. (საქართველო – ე. მ.) ვაჭრობის ქვეყანაა, განსაკუთრებით კი ორი ქალაქი, თბილისი და გორი გამოირჩევა. ვაჭრობა საქართველოს სხვა მხარეებში ამ ორი ქალაქიდან ვრცელდება...

9. ამჟამად საქართველოში, თბილისში ეკლესია არ არის (იგულისხმება კათოლიკური ეკლესია – ე.მ.). მისიონი გვქონდა გორსა და ქუთაისში, მაგრამ ისინი მიატოვეს მღვდელებისა და თანხების ნაკლებობის გამო. თბილისი და გორი ეკუთვნიან ქართლის მეფეს, ქუთაისი კი იმერეთის მეფეს. თბილისი დაშორებულია გორიდან 2 დღის სავალზე, ხოლო გორი ქუთაისისაგან 4 დღის სავალზე...

11. ქართლის მეფე ზოგჯერ თბილისში ზის, ზოგჯერ გორში. იმერეთისა ზის ქალაქ ქუთაისში, კახეთის მთავარი და გურიელი, რადგან ქალაქები არა აქვთ, ხან ერთ სოფელში არიან, ხან მეორეში...

13. თბილისში კათოლიკეთა ოჯახები რვამდე იქნება. იმათ გარდა, ჩვენთან აღსარებას ამბობენ მრავალნი: მამაკაცები, ქალები და, განსაკუთრებით მრავლად, ბავშვები. გორში, ქალაქის მთავარგამგებელი, მრავალი სოფლის პატრონი მთელი თავისი ოჯახით ჭეშმარიტი კათოლიკეა. ქუთაისში კათოლიკეთა ერთი ოჯახია.

14. თბილისში ექვსამდე (კათოლიკე –ე. მ.) სომეხი ვაჭარია, რომლებთანაც თავისუფლად შეგვიძლია ყველა ჩვენი წესი შევასრულოთ. მაგრამ გორში რომ (დიდებულია – ე. მ.) ის ყველას სჯობნის. მას სხვა მიზანი არა აქვს, გარდა ჩვენი დახმარებისა, როცა

---

[1] *პაპაშვილი მ., ჯუსტინო ლივორნოელის ერთი დღემდე უცნობი რელაცია // გორის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომები, 10, თბ., 2015, გვ. 232-233*

გორში მივალთ, შემოგვიერთდება ხოლმე სულიერო საზრდოს შექმნისას, ყოველთვის მის სახლში ვჩერდებით...

იქ (საქართველოში – ე.მ.) მრავალი ეკლესიაა. მარტო თბილისში იქნება 15-მდე, ნაწილი ქართველებისა, ნაწილი სომხებისა, კათოლიკებისა კი არც ერთი. ვლოცულობთ ერთ პატარა ოთახში. გორშიც თორმეტამდე ეკლესია იქნება. მათ შორის არის ერთი ლამაზი ეკლესია, რომელიც 20 წლის წინათ ავგუსტინელ პატრებს ეკუთვნოდათ. იქვე ჰქონდათ მშვენიერი მონასტერი, დღეს ეკლესია დედოფალს ეკუთვნის და ქართველი სამღვდელონი მსახურობენ. გორში არის აგრეთვე ერთი პატარა ეკლესია, რომელიც 20 წლის წინათ თეატინელ პატრებს ეკუთვნოდათ. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, მთავარმა ბრძანა ჩვენთვის მოეცათ, მაგრამ ამჟამადაც მათ ხელშია. მისიონერთა არყოფნისა და უსახსრობის გამო ვერ შევინარჩუნეთ...

რაც შეეხება ავგუსტინელი პატრების ეკლესიას, მონასტერსა და ბაღს გორში, შეიძლება დავიბრუნოთ, თუ ჩვენ იქ დავსახლდებით და დედოფალს ექიმობით მოვემსახურებით ან რაიმე საჩუქარს მივართმევთ, ან მოწყალებას მოიღებს.

დაახლოებით 20 ან 30 წლის წინათ გორსა და ქუთაისში ცხოვრობდნენ ავგუსტინელები და თეატინელები. მრავალი ამბობს, რომ ეხლაც იხსენებენ იმ სიკეთეს რასაც ისინი ჩადიოდნენ და მრავალი კათოლიკენიც იყვნენ. დიდ სურვილს გამოსთქვამენ, რომ იმ ქალაქებში დავსახლდეთ“[4].

მე-13-ე მუხლში ნახსენები *„ქალაქის მთავარგამგებელი“*, რა თქმა უნდა, ქალაქის მოურავი გივი I ამილახვარი (1656-1696) უნდა იყოს. დიდად საეჭვოა, რომ გივი ამილახვარი თავისი ოჯახით დაუფარავად აღიარებდა კათოლიკობას. მისი პატრებისადმი კეთილგანწყობა ქართლის მეფე ვახტანგ V შაჰნავაზის მიერ გატარებული პოლიტიკით იყო ნაკარნახევი. მეფისა და გორის მოურავის ამგვარი დამოკიდებულებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ როგორც პატრი კარლო ფიქრობდა, მაშინ გორში კაპუცინთა მოღვაწეობისათვის ნაყოფიერი ნიადაგი არსებობდა. ამ პოლიტიკით უნდა ავხსნათ

---

[1] *ხეც, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №1074, ფ. 38-42.* მცირეოდენი განსხვავებით იხ. *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 234-235.*

„გორელების“ სურვილი კაპუცინებს თავიანთი მისიონი მათ ქალაქში დაეარსებინათ.

პატრმა კარლომ საკმაო შემწეობა მიიღო რომში, მაგრამ, საფიქრებელია, იგი ავადმყოფობის გამო საქართველოში აღარ დაბრუნდა. 1669 წ. რომიდან კიდევ სხვა შვიდი კაპუცინი პატრი გამოგზავნეს; იოსებ ანტონიო რომაელი, ფრანჩისკე მონტეკატინელი, სტეფანე ამელიელი, რაფაელ პარმელი, ჯუსტინო ლივორნელი, ფრანჩისკე პიემონტელი და ძმა ბართლომე სანჯულიანელი.

თბილისში მოსვლის მესამე დღეს, პატრი ჯუსტინო ლივორნელმა, პატრი ფრანჩისკე პიემონტელმა და ადრე, ჯერ კიდევ 1662 წ. თბილისში მისულმა ძმა ანდრიამ გორში მისიონი დაარსეს. სომხებმა ახალი ძალით დაიწყეს მათი დევნა. მართალია, ქართველები უფრო კაპუცინებს უჭერდნენ მხარს, რადგან, ამ შემთხვევაში, კათოლიკე პატრები სომეხ სამღვდელოებას უპირსპირდებოდნენ მართლმა-დიდებელ ქართველებზე გავლენის მოპოვებისათვის. სომხური ეკლესიის რეაქცია კათოლიკე პატრებისადმი სავსებით გასაგები ხდება, როცა პატრების მოხსენებაში ვკითხულობთ, რომ მათ ხუთი თვის განმავლობაში 300-ზე მეტი ბავშვი მოუნათლავთ გორში[1], რაც ფრიად გაზვიადებული უნდა იყოს.

პროპაგანდა ფიდეს ერთ-ერთი აქტის მიხედვით, რომელიც დათარიღებულია 1671 წლით, მისიონერები იმ ქონების დაბრუნების იმედს არ კარგავდნენ, რაც თეატინელებსა და ავგუსტინელებს გორში ჰქონდათ პაპის, ურბან VIII-ის დროს. ამ დროს ის ქონება სომეხი მღვდლების ხელში იყო. გორში ცხოვრების ორი წლის განმავლობაში პატრი აგოსტინო ლივორნოელი ხალხს ნათლავდა სიკვდილით დასჯის მუქარის მიუხედავად[2].

მისიონერების ავტორიტეტი და მათდამი ნდობა საგრძნობლად გაიზარდა. წარმატების საწინდარი, ძირითადად, მედიცინაში მათი განსწავლულობა იყო. ისინი უფასოდ მკურნალობდნენ. ამით შედიოდნენ კონტაქტში მაღალი თუ დაბალი წარმოშობის ადამიანებთან. ამითვე აღწევდნენ წარმატებას მეფისა და კათოლიკოსის კარზე. 1672 წ. თბილისიდან რომში გაგზავნილ წერილში ნათქვამია: *„ამ დროს ჩვენი ყოველი შრომა ძლიერ კარგად წავიდა; ას კაცამდე თუ ტფილისს და თუ გორში მოვიდა ჩვენთან და აღსარება სთქვა; სხვა*

---

[1] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 235-236.*

[2] *ხეც, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №1101, ფ. 64.*

ბევრმა ჩვენი სარწმუნოება აღიარა და დაიწყო საიდუმლოს ხშირად მიღება, თუმცა კი ფარულად, შიშის გამო... ეხლა გვაქვს ორი სახლი და ორი ეკლესია, ერთი ტფილისსა და ერთი გორში. ისიც არაა ფარულად, არამედ ცხადად და ყველას წინაშე, რაც იშვიათად ხდება აღმოსავლეთში“[1].

იმავე წერილიდან ვიგებთ, რომ გორში პატრებთან მივიდა და კათოლიკობის მიღების სურვილი გამოთქვა იმ დროისათვის ფრიად ცნობილმა პიროვნებამ, არდაშელმა, რომელიც დაახლოებული იყო ვახტანგ V შაჰნავაზთან. მისი მამა ეპისკოპოსი იყო. არდაშელი გორიდან თბილისში წავიდა და საბოლოოდ მიატოვა მართლმადიდებლობა. არდაშელის მსგავსი ადამიანების მიერ კათოლიკობის აღიარება დიდ წარმატებას უქადდა მისიონერებს, რადგან ისინი სხვებისათვის მისაბაძნი ხდებოდნენ. *„ამის (არდაშელი – ე.მ.) საშუალებით დიდი იმედი გვაქვს, რომ კათოლიკე სარწმუნოება ძრიელ გავრცელდეს“* – წერდნენ გახარებული პატრები რომში.

არდაშელმა აქტიურად დაუჭირა მხარი კაპუცინებს, კერძოდ ის მათ აქეზებდა კვლავ ხელთ ეგდოთ ადრე ხსენებული სკვითი (ალბათ, სოფ. სკრა) და ტინისხიდი და სხვა მამულები, რომლებსაც მსხვილი თავადები დაეპატრონენ. ტინისხიდი ლევან ბატონიშვილს ეკუთვნოდა, სკვითი – პაპუნა ფალავანდიშვილს.

პატრები ფიქრობდნენ, რომ სამისიონერო საქმიანობის წარმატების ერთ-ერთი პირობა მათი საგანმანათლებლო საქმიანობა უნდა ყოფლიყო. ახალგაზრდობის დასავლეთევროპულ (იტალიურ) კულტურასთან ზიარება მათ კათოლიციზმის ერთგულების საწინდრად მიაჩნდათ. *„ამ სენის საწინააღმდეგოდა, – წერდნენ პატრები რომში, – რადგან კარგა ხანია სურდათ ლათინურის და იტალიურის სწავლა, დავაწყებინეთ გრამატიკის სწავლება ამ ენებზე, გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ როდესაც მათ იტალიური იციან, მაშინ ვერც თავიანთი ამხანაგების დაცინვა და ვერც თავიანთი მშობლების სიმკაცრე მათ ვერ აშორებს ჩვენგან და სარწმუნოებისაგან“*[2].

მ. თამარაშვილს თავის თხზულებაში მოყვანილი აქვს ერთი უთარიღო წერილი[3], *„რომელსაც პატრებს სწერს, ვგონებ სპარსეთიდან,*

---

[1] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 240, 676.*

[2] *იქვე, გვ. 240-242, 250.*

[3] მ. თამარაშვილი ვარაუდობდა, რომ წერილი უნდა შეედგინათ 1675 წლამდე.

ალექსი გიორგინიანი (ჰიორგჰინიანი), ძმა ფარსადან ბეგისა, რომელსაც ჰქონია სოფლები გორის ახლოს“. წერილიდან ირკვევა, რომ ალექსანდრეს ვაჟი ესტატე *„წიგნსა და ენას“* პატრებთან სწავლობდა.

ვინ იყო ფარსადან ბეგი და მისი ძმა ალექსანდრე?

ვფიქრობ, წერილი დაწერილია წარმოშობით გორელი ისტორიკოსის, ფარსადან გორგიჯანიძის მიერ. ფარსადანსაც ჰყავდა სამი ძმა: ალექსი, მირიჯანი და მექინი. ისინი გორელები იყვნენ, მაგრამ ირანში მოღვაწეობდნენ[1].

ალექსანდრე პირველ ზარაფად ითვლებოდა შაჰის კარზე: სავარაუდოა, რომ მას ცოლ-შვილი დატოვებული ჰყავდა გორში. მის ვაჟს, ესტატეს, პატრები წვრთნიდნენ.

კაპუცინელთა წარმატებები დროებითი იყო. ამაზე მეტყველებს იმ ხანად საქართველოში ნამყოფი ჟან შარდენის მონათხრობი თბილისსა და გორში მოღვაწე კაპუცინებზე.

დიპლომატიური მისიით ირანს მიმავალი ჟან შარდენი 1672 წ. 15 დეკემბერს ღამით ეწვია გორს. ის თავისი სარეკომენდაციო ბარათებით მაშინვე კაპუცინების სახლში მივიდა. ირანს მიმავალ შარდენს თან მიჰქონდა შაჰისათვის გადასაცემი ნივთები, მაგრამ ხიფათის გამო, თავის თანამგზავრი სამეგრელოში დატოვა და ნივთებიც მას ჩააბარა. შარდენი გორში იმ იმედით მოვიდა, რომ პატრები დაეხმარებოდნენ. პატრებმა მზადყოფნა გამოთქვეს, მაგრამ, თუ თბილისიდან თავიანთი პრეფექტის ნებართვა არ ექნებოდათ, ვერაფერს იღონებდნენ. შარდენი თბილისში წავიდა. მას თან გააყოლეს მორჩილი ძმა ანჟ დე ვიტერბი, რომელიც დახელოვნებული მკურნალი და დასტაქარი იყო და დიდი პატივისცემით სარგებლობდა. მან კარგად იცოდა ქართული და შემოვლილი ჰქონდა მთელი ქართლი. ის გამოირჩეოდა ამტანობით, ლმობიერებითა და კეთილ-გონიერებით.

შარდენი 16 დეკემბერს თბილისისკენ გაემგზავრა[2], 21-ში გორში დაბრუნდა და 22-ში იმერეთის გზას დაადგა. შარდენს ერთი გორელი კაპუცინი დაეწია და აცნობა, რომ მის მიერ გაძევებული მსახური თბილისიდან გორში მივიდა და შურისძიებით იმუქრებოდა.

---

[1] *ვრცლად. იხ. კიკნაძე რ., ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორია აზმანი შარავანდედთანი“, გვ. 9-17; ნაკაშიძე რ., ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. ბიოგრაფიისათვის // „ლიტერატურული ძიებანი“, თბ., 1983, გვ. 192-202.*

[2] *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 274-275.*

შარდენი გორში დაბრუნდა 1673 წ. 22 იანვარს ღამით და 25-მდე დარჩა, შემდეგ ერთ-ერთ გორელ კაპუცინთან ერთად ისევ თბილისისაკენ გაეშურა[1].

მისიონერებს იმდენად შეუმცირდათ მრევლი და, შესაბამისად, შემოსავალიც, რომ მათ კახეთსა და კავკასიის სხვა ადგილში გადასახლება განუზრახავთ[2].

გამიძნელდება ვთქვა, კაპუცინები გორიდან დროებით წავიდნენ თუ არა. მაგრამ ერთი ცხადია, საკმაო ხნის განმავლობაში არავითარი ცნობა არა გვაქვს მათს საქმიანობაზე ამ ქალაქში.

1686 წ. წერილიდან ჩანს, რომ გორში პატრები კვლავ არ იყვნენ, მაგრამ ამ ქალაქში დაბრუნების იმედს არ ჰკარგავდნენ. 1689 წელს ისინი მოითხოვდნენ 64 პიასტრს, რათა სომხების ხელიდან გამოეხსნათ და აღედგინათ მონასტერი. სავარაუდოა, პატრებმა ერთი პირობა ეკლესიის აღდგენა შესძლეს, მაგრამ სომხებმა წაართვეს, ან სომხები მათს ნაეკლესიარ ადგილს დაეპატრონენ. წერილში აღნიშნულია, აგრეთვე, რომ თუ თეატინელებს ეკლესია არ ექნებათ, მაშინ კათოლიკე მღვდლის გორში გაგზავნა შეუძლებელიაო[3].

როგორც ჩანს, გორში ეკლესიის აღდგენა მისიონერებმა მოკლე ხანში შეძლეს. პატრები განუწყვეტლივ წერდნენ რომში თავიანთ ხელმოკლეობაზე. ისინი დაუყონებლივ შეკეთებას მოითხოვდნენ თბილისის ეკლესისა და მონასტერის, გორში კი მხოლოდ მონასტრისას. ამ უკანასკნელის შეკეთებისათვის პატრები 86 სკუდს მოითხოვდნენ. სულ, თბილისისა და გორის ეკლესია-მონასტრებისათვის 346 სკუდი ჭირდებოდათ[4].

1691 წლის წერილიდან ვიგებთ, რომ კაპუცინებს გორში სახლიც დაუკარგავთ. ისიც სომეხ მღვდლებს მიუთვისებიათ[5].

გვაქვს ერთი საინტერესო საბუთი, შედგენილი პროპაგანდა ფიდეში 1698 წ. რომელსაც საფუძვლად დაედო კაპუცინთა პრიორის მიერ 1697 წ. 8 ივლისს კონგრეგაციაში წარდგენილი მოხსენება. მასში აღნიშნული იყო გორის მისიონის მდგომარეობა. პრიორი კონგრეგაციის ყურადღებას მიაპყრობდა ომის შედეგად გორში კაპუცინელთა დანგრეული ეკლესიის აღდგენის აუცილებლობას. მას

---

[1] იქვე, გვ. 278-280, 288-289.

[2] იქვე, გვ. 325.

[3] ხეც, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №1101, ფ. 71.

[4] იქვე, ფ. 10.

[5] თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 285.

შესაძლებლად მიაჩნდა შამახიის მისიონის მიერ 1696-1697 წლებში დაზოგილი თანხიდან 150 სკუდის გამოყენება გორის მონასტრის მოდიფიკაციისათვის.

მოხსენების საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

„1. რათა შენარჩუნებულ იქნეს თბილისის მისიონი, სადაც მოკლე ხანში ზედიზედ გარდაიცვალა რამდენიმე მონაზონი შავი ჭირით, რომელიც ხშირად მუსრს ავლებდა ქვეყანას, სულ დაცარიელდება თუ იქ გორის მისიონიდან სასწრაფოდ არ გაიგზავნა მონაზონი გარდაცვლილის შემცვლელად.

2. ფეხზე დამდგარი გორის მისონის მარტო ეკლესია არარაობა იქნება, თუ არ აღსდგა მონასტერი.

3. რადგან გორის მოსახლეობა კეთილგანწყობილია მიიღოს წმინდა სარწმუნოება, იმედოვნებენ მათს შვილებს კაპუცინი პატრები გაწვრთნიან“[1].

გადაწყდა გორის მისიონისათვის გამოეყოთ 150 სკუდი.

ერთი უთარიღო მოხსენებიდან (იგი შეიძლება დათარიღდეს 1698 და 1699 წლით), რომელიც შედგენილია კაპუცინთა მქადაგებლის ფრა ფელიჩე მარია და სელინოს მიერ, ჩანს, რომ ქართლში მხოლოდ თბილისის მისიონი მოქმედებდა. რაც შეეხება გორს, ავტორის თქმით, იგი ორი თუ სამი წლის წინათ სპარსელების და ქართველების ომის დროს დაინგრა[2]. ფელიჩე მარიასთვის ცნობილი იყო წმ. კონგრეგაციის დადგენილება გორში მისიონის აღდგენისათვის თავდაპირველად 150 სკუდის გამოყოფის შესახებ. შემდეგში ეს თანხა 180 სკუდამდე გაზარდეს[3].

მოყვანილი ცნობებიდან ირკვევა, რომ კაპუცინებმა კვლავ აღიდგინეს თავიანთი უფლება გორის ეკლესიასა, მონასტერსა და სახლზე. მაგრამ არაფერია ნათქვამი, როგორ შეძლეს ამ ნაგებობათა გამოხსნა სომეხი მღვდლების ხელიდან, არც ის ჩანს, დაბრუნდნენ თუ არა მისიონერები გორში XVII საუკუნის დასასრულს.

მისიონერთა ყოფნა გორში სავარაუდოა 1713 წ. ამ დროს გორში იმყოფებოდა სულხან-საბა ორბელიანი და შედარებით ხელსაყრელი პირობები უნდა შექმნილიყო მისიონერთა მოღვაწეობისათვის. გორ-

---

[1] *ხეც, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №1101, ფ. 30.*

[2] მისიონერი უნდა გულისხმობდეს გიორგი XI-სა და ერეკლე I-ს შორის ბრძოლას. ერეკლე ხომ ყიზილბაშთა ჯარს ემყარებოდა.

[3] *ხეც, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №1077, ფ. 12.*

თან არის დაკავშირებული სულხან-საბას ევროპაში მოგზაურობის მომზადება და დაწყება[1].

1745 წ. რომიდან საქართველოში მოვიდა ორი ეპისკოპოსი, რომლებსაც, როგორც ჩანს, აინტერესებდათ პატრების მდგომარეობა, საქმიანობა და კათოლიკობის გავრცელების დონე და შესაძლებლობანი. ეპისკოპოსნი გორშიც მოვიდნენ და მცირე ხანს დარჩნენ. მათ უმასპინძლა ქართველ კათოლიკე ზუბალაშვილების ოჯახმა[2].

XIX საუკუნის მიწურულში, გორის კათოლიკური ეკლესიის პატრს, დონ გაბრიელ ასალინიშვილს გორის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის ერთ ძველ ლათინურ-ქართულ ტიბიკონში უნახავს ლათინური ჩანაწერი, რომელიც შეიცავდა ცნობას ზემოდასახელებული ორი ეპისკოპოსიდან ერთ-ერთის შესახებ. *„1745 მაისის 11, რომელიც იყო დღე კვირიაკე, გორის კათოლიკეთა ახალ აღმშენებლად წმინდა სილიბისტროსი და წმ. გიორგისა, მე ფილიპე ეპისკოპოზმა მირონი ვსცხე კატარინე შვილ გიორგისა, მარიამს, ანნას, თინათინს, თამარს და სხვა*“[3].

იმავე დღეს, იმავე ეკლესიაში, კათოლიკეთა მრავალრიცხოვანი მრევლი შეიკრიბა და ფილიპე ეპისკოპოსმა მირონი სცხო.

ვინმე ძმა სერაფინე მალთელი 1751 წ. 4 აგვისტოში გორში ამოწმებს იმერეთ-აფხაზეთის კათალიკოსის, როსტომ რაჭის ერისთავის მიერ კათოლიკობის აღიარებას: *„მე, ქვემორედ ხელის მომწერი, ქართულ ენაში გამოცდილი, ვმოწმობ, რომ აქ მოყვანილი ქართულად ნათარგმნი სარწმუნოების აღსარება, სრულად ეთანხმება ამ დაბეჭდილ დედანს, რომელიც რომში ნეტარ ხსენებულ ურბანო მერვის ბრძანებით გამოიცა პროპაგანდის სტამბით. გორი 4 აგვისტოს, 1751 წ. მე ძმა სტეფანე მალთელი, უფროსის მოადგილე, საკუთარი ხელით*“[4]. როგორც შემდგომი მოვლენებიდან ჩანს, 1751 წ. გორში სხვა პატრებიც იყვნენ.

1754 წ. გორისა და თბილისის სომხებმა ერთობლივად მიმართეს ერეკლე II-ს და პატრების განდევნა მოითხოვეს, რადგან ისინი ხალხს აფრანგებენო, ერეკლემ პატრების განდევნაზე უარი განაცხადა,

---

[1] ვრცლად იხ. *მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა დიპლომატია, III. (მზადდება გამოსაქვეყნებლად).*

[2] *ჭიჭინაძე ზ., კათოლიკთა ეკლესია საქართველოში, 59, გვ. 154.*

[3] *გაბრიელ ასლანიშვილი, ახალი ცნობა ქართველ კათოლიკეთ რომის ტიბიკონის შესახებ, „ცნობის ფურცელი“, 1899, №843.*

[4] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 367.*

მაგრამ საქმეში დედოფლის ჩარევის შემდეგ ბრძანა: *„რომელი გაკათოლიკდეს, თავის საკუთარ სახლიდან განძევებულ იქნას და ჩამოერთვას ყველაფერიო“*[1]. მართალია, მეფემ კათოლიკობაზე გადასვლა აკრძალა, მაგრამ სარწმუნოებაშეცვლილნი მაინც ბევრნი იყვნენ. პროპაგანდა ფიდეში წარდგენილ მოხსენებაში 1756 წელს კაპუცინი პატრი იოსებ მოდენელი აღნიშნავდა: *„ამჟამად გორში მყოფი კათოლიკები არიან 100, გარნა სხვა კიდევ რამდენიმე გაფანტული არიან აქა-იქ სოფლებში, როდესაც გზაში უშიშრობაა და რომელსამე ქარავანს გავლა შეუძლია, მისიონერები მიდიან მათ სანახავად, წვრთნიან და საიდუმლოებას უსრულებენ. თითქმის ყველა ეს კათოლიკები, გორში თუ მის გარეთ მყოფნი, არიან ქართული ტიბიკონისა და მის თანახმად სცხოვრობენ“*[2].

გორში კათოლიკეთა შევიწროვების საქმეში თეიმურაზ II უფრო შორს წავიდა. მისი ბრძანებით 1755 წ. გორის კათოლიკეთა ეკლესია და სახლი მორწმუნეებს ჩამოერთვათ. სახლი არქიეპისკოპოსის განკარგულებაში გადავიდა. არქიეპისკოპოსი როცა გორში მივიდოდა, იმ სახლში უნდა გაჩერებულიყო, ღვთისმსახურება კი ყოფილ კათოლიკეთა ეკლესიაში აღესრულებინა[3]. იმავე სიგელის შინაარსზე დაყრდნობით სულ სხვანაირად (ჩემი აზრით, არასწორად) აქვს გაგებული თეიმურაზის ღონისძიება დონ გაბრიელ ასლანიშვილს. მისი თქმით ერეკლემ ეპისკოპოსი (ასლანიშვილი ეპისკოპოსად იხსენიებს კირილეს) სამუდამოდ გადაიყვანა გორში, *„რომლის მღვდელთ მთავრად ითვლებოდა, ეწირა ამ მისიონერების ეკლესიაში და საცხოვრებლად მისა ყოფილიყო მისივე მონასტერი“.* არქიეპისკოპოსი კირილე მეფემ, რომ სამუდამოდ არ გადმოიყვანა გორში, ამის საბუთად გამოდგება თეიმურაზ II-ის ბრძანება, რომელშიც ვკითხულობთ: *„ქ. ჩვენი ბრძანება არის, გორს პატრების საყდარი და სასახლე მთავარეფისკოპოზის, ბატონის წმინდას კირილესათვის გვიბოძებია და წყალობა გვიქნია, თავის ტახტათ და სადგომათ,* ***როცა გორს მიბრძანდებოდეს,*** *ამ საყდარსა და საყდრის სახლებში დადგებოდეს,* ***რადგან გორი <ჭ> {და} ქართველი კაცი, ამის სამწყსო იყო, ეს პატრების ნაქონი ეკლესია ამისთვის გვიბოძებია.*** *ქრისტეშობის კა, ქ(ორო-*

---

[1] *იქვე, გვ. 370.*

[2] *იქვე, გვ. 370.*

[3] *Грузинские церковные гуджары, ც. 51. დ. ფურცელაძეს ამ საინტერესო სიგელის მხოლოდ შინაარსი მოაქვს.*

ნი)კ(ონ)ს უმგ“. აქვს ბეჭდის ადგილი ლეგენდით: ...მ(ე)ფ(ე)... თეიმურაზის დამტკიცებული (10). (ხაზგასმა – მ. შ.)[1].

ეკლესია XIX ს. დასასრულსაც მდგარა, სახლი დანგრეულა და მის ადგილას სამრევლო სკოლა აუშენებიათ[2].

კათოლიკეთა მფარველად კათალიკოსი ანტონ I გამოდიოდა. ეს გარკვეულად უმსუბუქებდა მდგომარეობას პატრებს. მაგრამ მართლმადიდებელი ეკლესია ვერ ითმენდა კათოლიციზმის წარმატებას. ანტიკათოლიკური მოძრაობის მეთაურად გამოვიდა თეიმურაზ II-ის კარის მოძღვარი ზაქარია გაბაშვილი, პოეტ ბესიკ გაბაშვილის მამა. ზაქარიამ, თეიმურაზის მხარდაჭერით, ანტონის კათალიკოსობიდან გადაყანებას მიაღწია. ანტონმა საჯაროდ აღიარა თავისი ცდომა და ამის შემდეგ რუსეთში წასვლის ნება დართეს. ანტონის კათალიკოსობაში მხილებამ მართლმადიდებლების, განსაკუთრებით სომხებისა და ბერძნების მკაცრი რეაქცია გამოიწვია.

1756 წ. აპრილში რუსეთს მიმავალი ანტონ I გორს ეწვია და აღდგომა დღეს გორის ეკლესიაში წირვის უფლება მისცეს[3]. ის გორში კათოლიკების ეკლესიასთან ბერების სახლში გაჩერდა. მისმა ასეთმა მოქმედებამ ძლიერ ააღელვა ქალაქის სამღვდელოება. ანტონმა თავი იმით იმართლა, ნაავადმყოფარი ვარ და, რადგან ამაზე უკეთესი სახლი არ არის, აქ გავჩერდიო[4]. ანტონით უკმაყოფილო გორელებმა მეფესთან იჩივლეს[5].

საინტერესოა, რატომ ითხოვა ანტონ კათალიკოსმა გორში ეწირა აღდგომა დღეს? სავარაუდოა, ანტონს სურდა გამომშვიდებოდა თავის ყოფილ თანამოაზრეებს – გორელ კათოლიკებს. პატრი ანტონ ტრენტოელის მოხსენებიდან ირკვევა, რომ ანტონს კათოლიკობა გორში მიუღია: *„ამ კათალიკოზმა (ანტონმა –ე.მ.), ღვთის მადლით აღძრულმა, ბოლოს მიიღო რომის წმიდა სარწმუნოება და ჩვენის მისიონერის გორის უფროსი პატრი იერონიმე ნორჩელის წინაშე აღიარა კათოლიკე სარწმუნოება“*[6].

---

[1] *შაორშაძე მ., კათოლიკოს-პატრიარქი კირილე II (ციციშვილი) და მისი მოღვაწეობა. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძებანი, XII, თბ., გვ. 2010.*

[2] *„ცნობის ფურცელი“, 1899, №843.*

[3] *საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 109.*

[4] *ჭიჭინაძე ზ., კათოლიკთა ეკლესია საქართველოში, გვ. 57.*

[5] *ჭიჭინაძე ზ., პატრი ნიკოლა როგორც ექიმი და მისი დროის ქართველი კათოლიკენი საქართველოში, ტფ., 1896, გვ. 24.*

[6] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 373.*

პატრებმა დიდი პატივი მიაგეს ანტონს, რაც მათთვის საბედისწერო გახდა. არა მხოლოდ გორის პატრებს და სხვა კათოლიკებს, არამედ თბილისისასაც ჩამოართვეს ეკლესია და სხვა ქონება, პატრები განდევნეს. *„ხოლო ქართველებმა თავიანთი ჯავრი ამოიყარეს იმ სამ კათოლიკე სასულიერო პირზე, რომელნიც პატრიარქს ახლდნენ. სამი დღე ქალაქის მთელ ქუჩებსა და მეიდნებში ატარეს ყოველნაირი შეურაცხყოფით და გაუპატიურებულნი“.* იმათ კი ვინც კათოლიკობას აღიარებდნენ, სხვადასხვა ვნება მიაყენეს. რბევისაკენ მოუწოდებდნენ ზაქარია გაბაშვილი და მღვდელი ლარაძე. მიუხედავად იმისა, რომ მათ კათოლიკებისაგან ქრთამი აიღეს, როგორც პატრები წერდნენ, მაინც არ დაინდეს ისინი. ამ დროს განადგურდა გორში კათოლიკეთა საავადმყოფო, წამალხანა და სასწალებელი[1]. გორის კათოლიკური ეკლესია მეფეს *„იქაური არქიეპისკოპოსისათვის“* გადაუცია[2].

რომში დიდი შეშფოთება გამოიწვია თბილისსა და გორში კათოლიკეთა რბევამ. რომმა პატრების დაცვა სთხოვა ავსტრიას, საფრანგეთს და კონსტანტინეპოლის პატრიარქს. საფრანგეთის ელჩმა კონსტანტინეპოლში მიიღო ბრძანება ყურადღება მიექცია საქართველოდან განდევნილი კაპუცინებისათვის. მან მართლაც შეძლო რაღაც შეღავათები მოეპოვებინა ახალციხეში თავშეფარებული კაპუცინებისათვის, მაგრამ *„სხვა ყოველი ცდა, რომ მათ დაუბრუნდეთ ყველა ადგილები, საიდანაც განიდევნენ, სრულებით ამაოა, და შეიძლება მავნებელიც იყოს“*[3].

1755-1773 წლებში გორელ კათოლიკებს ეკლესია აღარ ჰქონდათ. ისინი ზუბალაშვილების სახლში იკრიბებოდნენ და წესს იქ ასრულებდნენ[4].

1757 წ. კათოლიკე ბერებს გორში დაბრუნების ნება მისცეს. ერეკლე II-მ, როცა ბატონიშვილი ვახტანგის მკურნალად პატრი ლეონარდო მიიწვია, მან ჯერ გორისა და ხელთუბნის კათოლიკებს წმინდა საიდუმლოება მიაღებინა და მერე თბილისს გაემგზავრა. ლეონარდო მეორედაც მოვიდა ახალციხიდან ერეკლეს მეუღლის ავადმყოფობასთან დაკავშირებით. გორიდან ლეონარდოსთან ორი ბერძნული

---

[1] *ჭიჭინაძე ზ., კათოლიკთა ეკლესია საქართველოში, გვ. 57.*

[2] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 375.*

[3] *იქვე, გვ. 376.*

[4] *ჭიჭინაძე ზ., კათოლიკთა ეკლესია საქართველოში, გვ. 58.*

ტიპიკონის ქართველი მღვდელი მისულა და კათოლიკობა მიუღიათ[1]. რაც შეეხება კაპუცინ პატრებს, ისინი, როგორც ჩანს, ქართლში დაბრუნების და დამკვიდრების დიდ ენთუზიაზმს არ ამჟღავნებდნენ. ერეკლეს მოთხოვნით, ახალციხის უფროსმა პატრმა ალოიზიმ გორში გაგზავნა პატრი გიორგი თაურინელი. გიორგი 1767 წ. 14 მარტს ჩავიდა გორში[2]. მას მისცეს სახლი, რომელშიც ტრაპეზე აღმართეს და კათოლიკები ეკლესიის მაგიერ იყენებდნენ[3]. ჩამორთმეული ეკლესიის მაგიერ, როგორც 1893 წელს *„ცნობის ფურცელი“* იტყობინებოდა, მეფემ მისიონერებს ეკლესიის ასაშენებელი ადგილი უბოძა. მალე მშენებლობაც დაიწყო[4]. *„ცნობის ფურცელის“* ცნობა, რომ სიმართლეს არ შეეფერება, ამის შესახებ ვრცლად ითქმევა ქვემოთ.

ერეკლემ თანდათანობით შეცვალა თავისი პოლიტიკა კათოლიკეთა მიმართ. მან გორის მამასახლისსა და ციხისთავს ორი ბარათი გაუგზავნა და პატრებისადმი ყურადღება დაავალა. პატრი ალოიზი 1768 წ. რომში სწერდა, რომ მიზანშეწონილია მისიონერების გორში დაბრუნებაო. ვიცით რომ 1770 წელს გორში ორი პატრი იყო. ამას ვიგებთ თავ. მოურავოვის მიერ გრაფ პანინისათვის გაგზავნილი წერილიდან[5]. ესენი უნდა იყვნენ ის პატრები, რომლებიც, გიულდენშტედტის თქმით, ონიდან გადმოვიდნენ. ერთი მათგანი გორში იყო 1772 წელსაც, ხოლო მეორე კი წინა წელს ოსებს გაუძარცვავთ და მოუკლავთ გორის გზაზე[6].

იმავე დროს, რომიდან გორში დაბრუნდა კაპუცინებთან მონოზნად შესული გორელი მორჩილი ძმა ანტონა ქართველი, რომელმაც სამისიონერო საქმიანობა თბილისში დაიწყო. მან შემდეგში კიდევ რამდენჯერმე იმოგზაურა რომში. ერთხელ, 1779 წელს, მან რომიდან ჩამოიტანა პაპის მიერ იმერეთის მეფისათვის გაგზვნილი წერილი და საათი. სხვა ცნობის მიხედვით, ანტონა რომის მონასტერში კაპუცინების სამოსლით შეიმოსა 1781 წელს. ის იყო საუკეთესო ექიმი, რის გამო თითქმის გამუდმებით ერეკლეს კარზე იმყოფებოდა. მ. თამარა-

---

[1] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 377, 380.*

[2] *„ცნობის ფურცელი“, 1899, №843.*

[3] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 386.*

[4] *„ცნობის ფურცელი“, 1899, №843.*

[5] *Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, 1, с. 217.*

[6] *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 109.*

შვილის ვარაუდით, ანტონა გარდაიცვალა 1787 წლის პირველ ნახევარში[1]

სომეხ სამღვდელოებას აწუხებდა საქართველოში მცხოვრები სომხების ერთი ნაწილის გადასვლა კათოლიკობაზე. მეფეს მათ მთელი რიგი კანონები გამოაცემინეს, რომლებიც სასტიკად კრძალავდნენ სომხების გაკათოლიკებას[2].

კათოლიკეთა დევნა ჯერ თბილისში დაიწყო. 1781 წ. 27 დეკემბერს ახალციხიდან გორში წამოსული უფროსი პატრი ანდრია მხილველი იყო კათოლიკეთა დარბევისა[3]. მეფე ერეკლე პირადად მოვიდა გორში და კათოლიკეთა დევნას ხელმძღვანელობდა. *„რადგან ქვეყნის საქმეები ასე თხოულობსო, გარნა შედეგი კარგი იქნება, თუ პატრებისა და თუ მათი ერისთვისო“* – ამბობდა მეფე[4]. პატრებმა კარგი შედეგი ცოტა მოგვიანებით მოიმკეს. 1781 წ. 20 ნოემბრის ბრძანებით თბილისისა და გორის პატრები და მათი ყმები გათავისუფლდნენ ყოველგვარი ხარჯისა და გამოსაღებისაგან, ბრძანებაში ნათქვამი იყო: *„ესე წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქვენ პატრი უფროსს ანდრიასა და ერთობლივ პატრებსა. ასე, რომ ვინცავინ თქვენი ყმანი, ან აქ ქალაქში და ან გორში იმყოფებიან. ბეგარა არა ეთხოვებოდეს რა. და არცა რა გამოერთვასთ. სალეკოსა და მორიგის მეტი. რაც შეიძლება ჰქონდესთ თავიანთის შეძლებით არა ეთხოებოდესთ რა, ვერცა არავინ რამ გამოართვასთ და ვერც არავინ შეაწუხოს. და რომელნიც აქ ქალაქში ან გორში მებაჟეები იმყოფებოდეთ, თქვენთვისაც ასე გვიბრძანებია: რაც ბაჟი ეჩმიაძინის ყმებსა და თუ სხვა ეკლესიების ყმებს ერთმეოდესთ ამათს ყმებსაც ის ბაჟი უნდა გამოართვათ. თუ მეტი გამოართვით რაიმე, ჩვენგან დიად საწყენო იქნება და კიდევაც გარდაგახდევინებთ. ქალაქისა და გორის მოურავნო და მელიქო და ან ვინცა ვინ ჩვენი მოხელენი და ჩვენგან გამოგზავ ნილნი იასაულნი იქნებოდეთ, თქვენც ასე იცოდეთ...“*[5].

---

[1] *თამარაშვილ მ., იტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 386, 397, 405.*

[2] *იქვე, გვ. 388-391.*

[3] *საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 280. ახალციხური ქრონიკები, გვ. 159.*

[4] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 390-391.*

[5] *საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 148; ახალციხური ქრონიკები, გვ. 397-398.*

კათოლიკებისადმი მეფის კეთილგანწყობის მიუხედავად, გორელი სომხები ხელს არ იღებდნენ მათ შევიწროვებაზე. 1782 წ. იანვარში დევნამ ისეთი მკაცრი ხასიათი მიიღო, რომ სისხლისღვრაც მოხდა. კაპუცინების ეკლესიას ქვა დაუშინეს. კათოლიკეთა ერთი ნაწილი იძულებული გახდა გახიზნულიყო. ზოგი თბილისში წავიდა და მეფეს მოახსენა შექმნილი ვითარების შესახებ. მეფემ კათოლიკების დასაცავად ბრძანება გამოსცა[1].

პატრებისადმი კეთილად იყო განწყობილი დედოფალი დარეჯანი. მან პატრებს გორში აჩუქა სასახლკარე ადგილი, სადაც გლახაკთა თავშესაფარი სახლები ააშენეს[2].

ამის შემდეგ, ვიდრე საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, ცნობები გორის მისიონზე აღარ მოგვეპოვება. XIX ს. დამდეგიდან კათოლიკე მისიონერთა როლი და მნიშვნელობა ძირფესვიანად შეიცვალა. მისიონერები თავდაპირველად რუსულ მმართველობაზე ამყარებდნენ დიდ იმედებს. მაგრამ მთავარმმართებელმა კნორინგმა უფროს პატრს პირდაპირ განუცხადა: *„ამას იქეთ აღარ შეიძლება ევროპიდან მისიონერების შემოსვლაო“*[3]. კაპუცინთა ორდენის პატრებმა რუსეთის ქვეშევრდომობა არ ისურვეს და ამის გამო საქართველოდან გააასახლეს. პატრს გორი დაუტოვია 1807 წლის ახლო ხანებში[4]. კაპუცინების ადგილი პოლონელმა პატრებმა დაიკავეს, რომლებმაც ქართული არ იცოდნენ. ამან კი გამოიწვია სომეხი უნიტორების გაძლიერება[5].

მართალია, საქართველოში კვლავაც მოდიოდნენ კათოლიკები და ერთი შეხედვით, თითქოს მათ საქმიანობაში არაფერი შეიცვალა, მაგრამ სინამდვილეში ისინი წინა საუკუნეების მსგავსად ვეღარ ასრულდებდნენ რაიმე ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ როლს.

დასახელებული კათოლიკე ბერები გორში თავიანთ საქმიანობას მხოლოდ ამ ქალაქით არ შემოფარგლავდნენ. ისინი მახლობელი დასახლებული პუნქტების ხშირი სტუმრები იყვნენ, რათა კათოლიკობა გაევრცელებინათ. პატრები, როგორც 1771 წლის ერთი წერი-

---

[1] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 400.*

[2] *იქვე, გვ. 405.*

[3] *იქვე, გვ. 493.*

[4] *Klaproth J. von, Reise in den Kaukasus und nach Georgian unternommen in den Jahren 1808, S. 328.*

[5] *დობკევიჩი ი., კათოლიკობა საქართველოში, „ივერია“, 1898, №125.*

ლიდან ირკვევა, განსაკუთრებულ ყურადღებას ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების მოსახლეობის გაკათოლიკებას უთმობდნენ[1].

XVIII ს. ცხინვალში 20 კომლამდე კათოლიკეთა ოჯახი იყო და საკუთარი სამლოცველოც ჰქონდათ. მათი მოძღვარნი გორის პატრები იყვნენ. პატრებს მთებშიც გაუქრისტიანებიათ ასამდე ოსი, რომელთა დიდი ნაწილი ცხინვალში გადასახლებულა[2]. შემდეგში ცხინვალის კათოლიკეთა რიცხვი შემცირდა და საბოლოოდ სრულიად გაქრა[3].

*

დავასრულეთ რა კათოლიკური მისიების მოღვაწეობაზე საუბარი, მოკლედ მაინც უნდა ითქვას წინააღმდეგობათა იმ მიზეზების შესახებ, რომელიც საუკუნეთა მანძილზე თან ახლდა ამ არაქართული მოვლენის დანერგვის ცდებს.

როგორც ვნახეთ, წყაროები მისიონერთა საქმიანობაზე საკმაოდ უხვადაა. მაგრამ ისინი გვიჩვენებენ მათი მოღვაწეობის მხოლოდ ერთ მხარეს – რელიგიურს. წერილობითმა ძეგლებმა (ისინი ძირითადად თვით მისიონერების მიერ არის შედგენილი), მართალია ძუნწად, მაგრამ მაინც შემოგვინახა ზოგიერთი ცნობა მათი საქმიანობის იმ მხარეთა შესახებ, რაც მეტ-ნაკლებად, თითქმის ყოველთვის ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობას იწვევდა. კათოლიკობის წინააღმდეგ ადგილობრივი სომხური ეკლესიის ბრძოლას ის აადვილებდა, რომ მისიონერები სისტემატურად იმპორტული საქონლით ვაჭრობდნენ, ეწეოდნენ ხელოსნობას, განსაკუთრებით მხატვრული ხელოსნობის დარგში. მისიონერთა კომერციული და სახელოსნო საქმიანობა თბილისელი და გორელი სომეხი ვაჭარ-ხელოსნებისათვის მიუღებელი იყო. ასეთ ვითარებაში სომხური ეკლესია ადვილად ახერხებდა კათოლიკეთა წინააღმდეგ მოსახლეობის ამ ფენის დარაზმვას.

* * *

იცოდნენ რა რომის პეტერბურგთან მოლაპარაკების შესახებ, მისიონერებს თავიანთი ეკლესიებისა და სხვა ნაგებობების დაბრუნების იმედი ჩაესახათ. იმედი კიდევ უფრო გაუძლიერდათ მეფე გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც ცნობილი იყო

---

[1] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 238.*

[2] *ჭიჭინაძე ზ., პატრი ნიკოლა როგორც ექიმი, გვ. 10.*

[3] *ჭიჭინაძე ზ., კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში, გვ. 73.*

თავისი ანტიკათოლიკური განწყობილებით. 1800 წლის 14 თებერვალს უფროსმა პატრმა ფრანჩესკე პადუელმა გორიდან რომში გაგზავნა წერილი, რომელშიც ქართლ-კახეთის სამეფოში მომხდარ პოლიტიკურ სიახლეებთან ერთად აღნიშნული იყო: „ხმა გავრცელდა, რომ რუსეთი შეიქმნა პატრონი ქართლ-კახეთის სამეფოსი... *ეს კაი დრო*ა, *რომ სცადოთ,* ***იქმნება რუსეთის საშუალებით დავიბრუნოთ ჩვენი ეკლესიები და სახლები ტფილისსა და გორში...*** თორემ იძულებული ვართ გთხოვოთ, სხვა ჩვენს მოსაცემ შემწეობას მიუმატოთ წლიურად ასი პიასტრი, რომელსაც ვიხდით ჩვენს სადგომ სახლსა და ეკლესიაში“[1].

იმავე დროით დათარიღებული მეორე წერილიდან ირკვევა, რომ რომის პაპის წარმომადგენელმა რუსეთის მთავრობას გადასცა ნოტა, რომელშიც იყო მოთხოვნა საქართველოში მცხოვრები კათოლიკებისათვის იმ საეკლესიო ქონების დაბრუნების შესახებ, რომლებსაც ოდესღაც ისინი ფლობდნენ. რომის პაპის მოთხოვნის საპასუხოდ იმპერატორმა ბრძანა, რომ კურაკინს კნორინგისათვის დაევალებინა გამოეძია თუ რა მიზეზით და რა ვითარებაში ჩამოართვეს მათ ეკლესიები, დაედგინა კათოლიკების რაოდენობა საქართველოში და მათთვისი ქონება დაებრუნებინათ[2].

გაირკვა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში იყო ორი კათოლიკური ეკლესია – ერთი თბილისში, ერთი გორში, რომლებიც ადრე, 1735 წელს, კათოლიკების კუთვნილ მიწაზე აუშენებიათ პატრებს – ნიკოლოზსა და პერესლანს (?). იმავე მოხსენებაში ნათქვამი იყო, აგრეთვე, რომ „პატრების გამოანგარიშებით ***საქართველოში 500 კათოლიკე იყო – 300 თბილისში, 200 გორში***[3].

1802 წლის 5 ივლისს რომში გაგზავნილ წერილით უფროსი პატრი ითხოვდა ***ევროპაში მოკრეფილი მოწყალებიდან იმდენი ფული გაეგზავნათ, რომ თბილისსა და გორში ახალი ეკლესიები აეშენებინათ***[4].

მთავარმმართებელმა პავლე ციციანოვმა (ციციშვილი) მნიშვნელოვანი ცნობები შეაგროვა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის იერარქებსაც ესაუბრა. იერარქებმა თავიანთი მოსაზრებანი იმპერატორს წერილობით აცნობეს. *„...ვ(ითარმე)დ უთხოვიეს ლათინთა ტფილისსა და გორსა შ(ინ)ა ეკკლესიანი, ინებოს ყოვლად მოწ-*

---

[1] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 483.*

[2] *Акты собранные Кавказскою Археологичекою коммиссиею, I, ц. 550, №690.*

[3] *Тамже, с. 550-551, №691.*

[4] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 486.*

ყალემან ჴელმწიფემან ჩვენმან არა ბოძებად მათდა იგინი, ჳნადგან ***მიუღო იგინი ცხებულმან მეფემან თეიმურაზ და მეფემან ირაკლი თანა კრებით, დიდისა ბრალისა და შეცოდებისათჳს საზოგადოობისა, განიდევნნეს ლათინნი და მიეღოთ ეკკლესიანი,*** *რომელიცა ესე პატიჟი მცირე იყო მათისა ყოვლადისა ბრალეულებისა და* ***მიერ დღითგან იქმნნეს ეკკლესიად მართლმამდიდებელთა, ინებოს ყ(ოვ-ლა)დ მოწყალემან ჴელმწიფემან ჩვენმან, არღარა უკუნქცევად მათდა,*** *რომელთა შორის მრავალნი სამღუდელონი და საერონი კეთილ-შობილნი კნიაზნი მარხიან, რომელიცა ჰშობს ჩვენ შორის დიდსა მწუხარებასა და ურვასა ყოვლისადმი საზოგადოობასა. წელსა 1802, აპრილს 29, ტფილისს“.* წერილს ხელს აწერს 12 მღვდელმთავარი[1]

პავლე ციციანოვმა იმპერატორ ალექსანდრე I-ს საკმაოდ ვრცელი წერილი მისწერა, რომელშიც თავის მხრივაც ასაბუთებდა, რომ შეუძლებელი იყო კათოლიკების ეკლესიები, რომლებიც უკვე დიდი ხანია მართლმადიდებლებს ეკუთვნოდათ, დაუბრუნედეთ ადრინდელ მფლობელებს[2].

პ. ციციანოვის მიერ ჩარტორისკისათვის გაგზავნილ წერილში (1804 წლის 29 მაისი, №294) აღნიშნულია, რომ მან თავის განკარგულებაში არსებული განსაკუთრებული ხარჯებისათვის განკუთვნილი ასი ათასი რუბლიდან 6 ათასი კათოლიკური სამღვდელოების პრიორს ფრანჩესკო ანტონიოს გადასცა თბილისში კათოლიკური ეკლესიის ასაშენებლად[3]. ამავე დოკუმენტზე დაყრდნობით ქ. პავლიაშვილი ამტკიცებს, რომ *„... საიმპერიო ხელისუფლება ევროპის სუვერენტთა თვალის ახვევის მიზნით ერთგვარ შემწეობასაც კი უწევდა (მისიონერებს – ე.მ.). აღნიშნულის დასტური 1806 წელს კაპუცინი მისიონერებისათვის* ***გორსა და თბილისში ჩამორთმეული ეკლესიების დაბრუნება*** *რუსეთის მთავრობის მიერ, რისთვისაც მათ* ***ხელისუ-***

---

[1] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1448. საქმე 9200.* ციტირებულ დოკუმენტი პირველად და სრულად გამოაქვეყნა: *შაორშაძე მ., XIX საუკუნის დასაწყისის ქართველი სასულიერო მოღვაწეები მართლმადიდებელი ეკლესიის დასაცავად. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები, 5, თბ., 2012, გვ. 208-220.*

[2] *Акты собранные Кавказскою Археологичекою коммиссиею, II, Тифлис, 1868, с. 280-281, №549.*

[3] *Тамже, II, с. 282, #552.*

ფლებამ 6.000 ათასი მან. გამოუყო“[1]. მოყვანილ ციტატაში არის რამდენიმე უზუსტობა: 1. რუსეთის ხელისუფლებას ლათინური აღმსარებლობის კათოლიკებისათვის არ ჩამოურთმევია ეკლესია. როგორც თავის ადგილას აღინიშნა, კათოლიკებს ეკლესია ჩამოართვა მეფე ერეკლე II-მ; 2. კათოლიკებს რუსეთის ხელისუფლებამ არ დაუბრუნა ეკლესიები; 3. რუსეთის მთავრობამ პ. ციციანოვის სახით, დასახელებული თანხა მხოლოდ თბილისელ კათოლიკებს გამოუყო.

მშენებლობა თბილისში დაიწყეს 25 მაისს. ციციანოვმა ამის შესახებ იმპერატორსაც აცნობა.

სამწუხაროდ მხოლოდ ფრაგმენტულია ცნობები გორში კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის დაწყების, მისი დაფინანსებისა და მშენებლობის მსვლელობის შესახებ.

გორში კათოლიკეთა ეკლესიის მშენებლობა დაუწყიათ, სავარაუდოდ, XIX ს. 10-იანი წლების პირველ ნახევარში. ეკლესიის ასაშენებელი ადგილი მასზე არსებული სახლებით პატრი დამიანეს 6 თუმნად (ვერცხლით) უყიდია იაკოფ ფარემუზის შვილისაგან. ვიდრე მიწის ნაკვეთს გაყიდდა იაკოფი იქ ცხოვრობდა. მიჭირს იმის თქმა რატომ გაფორმდა გაყიდული მიწისა და სახლების ნასყიდობის ხელშეკრულება ასე გვიან, 1841 წლის 27 იანვარს. ნასყიდობის საბუთი დაამოწმეს ანდრია ზუბალოვმა და იოსებ სააკოვმა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კათოლიკური ეკლესიის შენების ინიციატორები თანდათანობით უხდიდნენ ვალს იაკობ ფარემუზას შვილს და აღნიშნულ წელს როდესაც სრულად მიიღო თანხა მიწის გამყიდველმა, მაშინ გააფორმეს ნასყიდობის ხელშეკრულება: *„ჩყმა-ს წელსა იანვრის კზ-ს დღესა, ესე წერილი მოგეცი მე ქვემო ამისმა ხელის მომწერელმა იაკოფმა ფარემუზის შვილმა შენ გორის კათოლიკე ეკლესსის უფროს პატრი დამიანეს ამისათვის, რომ რომელთაცა ეკლესიის ალაგზე სახლები მქონდა აღშენებული და შიგ ვიდექი. მე იმ ჩემი სახლების შენობის მასალა, ჩემი კეთილის ნებით შენ მოგყიდე სრულობით და ალაგი და-უტევე ისევ ეკლესიასა, და მივიღე შენგან ფასი სრულობით ექვსი თუმანი ვერცხლის ფული რომ შენზე აღარ არის რა დარჩენილი ამისთვის ჩემს საკუთარ ხელს ვაწერ – მე იაკობ ფარემუზოვი. ამ წერილის მოწმობას ვაწერ იაკოფა*

[1] *პავლიაშვილი ქ., ფრაგმენტები გორის კათოლიკური ეკლესიის ისტორიიდან (XV-XIX სს.), გვ. 87.*

ფარემუზის შვილის თხოვნითა ანდრია ზუბალოვი. ამ წერილის მოწამე ვარ იაკობ ფარემუზოვის თხოვნით მე იოსებ სააკოვი“[1].

მშენებლობა რომ უფულობის გამო ჭიანურდებოდა, ამას აღნიშნავდა რუსეთის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი, წარმოშობით ბელგიელი როტიე. მისგან იმასაც ვიგებთ, რომ გორში ეკლესიისა და მონასტრის აშენების ინიციატორი და ხელმძღვანელიც იყო უფროსი პატრის თანაშემწე, პატრი ონოფრიო, რომელიც თბილელადაც მოიხსენიებოდა. როტიეს მიხედვით, ონოფრიო *„ქართველია ჩამომავლობით და ეკუთვნის პოლონელთა ერთ მონასტერს. ის მო-ნაზონი ძლიერ გამოადგა მისიონს*“[2].

ვინ და რა საშუალებებით აშენებდნენ ტაძარს, ამის შესახებ გვაქვს პატრი ფილიპე ფორანელის 1817 წლის 10 ოქტომბრის წერილი, რომელშიც ავტორი ამბობს: *„ჩემის შემწეობის მიცემით, იქაური კათოლიკების დახმარებით და ეგრეთვე ქართველი ბატონების შეწევნით, რომლებიც ჩვენი კარგი მოკეთენი არიან, მშვენიერი ეკლესია შენდება, კიდევაც ნახევრად დასრულდა. მონასტერიც აქაურ ტფილისის სახლის პლანზეს არის; კიდეც დახურეს და ახლა პატრი მარიო სდგას შიგ თავისი ამხანაგით და მოსამსახურებით*“[3].

ზემოხსენებული უფროსი პატრი ფილიპე ფორანოელს ეკუთვნის, სავარაუდოდ, 1814 წელს რომში პროპაგანდისათვის გაგზავნილი წერილი, რომელშიც, სხვათა შორის, აღნიშნულია: *„გორში არიან პატრი მარიო კოლონიელი და დომინიკიანი პატრი ონოფრიო ტფილელი. იქ 30 მოსახლე კათოლიკეა. ეკლესიის მაგიერად აქვსთ კარგად მოწყობილი სახლი, რომელზედაც მიკრულია რამდენიმე ოთახი, სადაც დღევანდლამდე პატრები სცხოვრობენ. ახლა პატრი მარიამ და პატრი ონოფრიომ თითქმის დაასრულეს ახალი სახლი და ახალი ეკლესიის კედლებიც მიწას ამოაცილეს ერთი კაცის სიმაღლეზე. მე არ მინახავს მაგრამ ბევრი აქებს როგორც სახლს ისე ეკლესიის გარეგნობას. გორშიც არის ერთი და იგივე ძმობა, რომელიც ბევრს შეეწია ეკლესიის აშენებას, და ამ ძმობასავით რავდენიმე დუქანი აქვს*“[4].

---

[1] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 529.* განსხვავებული ვერსია კათოლიკების მიერ ეკლესიის ასაშენებელი ად-გილის მოპოვების და მასთან დაკავშირებული დავის შესახებ იხ. *პავლიაშვილი ქ., ფრაგმენტები გორის კათოლიკური ეკლესიის ისტორიიდან (XV-XIX სს.), გვ. 88-90.*

[2] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 508*

[3] *იქვე.*

[4] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 503.*

ძმობის გამორჩეული წევრი იყო იოსებ ზუბალოვი (ზუბალაშვილი). *„გორის მშვენიერი (კათოლიკური – ე.მ.) ეკლესია მათის ხარჯით აშენებული და შემკულიაო“.* წერდა უკანასკნელი ევროპელი პატრი დამიანე ვიარეჯიოელი 1843 წელს[1].

წმინდა ოჯახის სახელობის გორის კათოლიკური ეკლესია, ამჟამინდელი მართლმადიდებლური ღვთისმშობლის შობის ეკლესია

[1] *იქვე, გვ. 520.*

როდესაც ეკლესია გადახურეს და ჩათვალეს, რომ იგი ძირითადად დამთავრებული იყო, 1822 წლის სექტემბერში აკურთხეს და წირვა-ლოცვის შესრულება დაიწყეს. ეკლესიის მშენებლობა დაასრულა პატრმა მარიუსმა, რომელიც გორში გარდაიცვალა 1823 წ. 79 წლის ასაკში და დაკრძალეს მის მიერ აშენებული საკურთხევლის წინ[1]. 1930-იან წლებში ეკლესიის იატაკის შეცვლის შედეგად საფლავის კვალი მოიშალა.

როგორც უფროსი პატრი ფილიპე 1830 წელს წერდა, *„ეს ეკლესია, როდესაც კი მთლად დასრულდება, მეტად მშვენიერი რამ იქნება... გორის მონასტერიც ახალი აშენებულია, აქვს ერთი ბაღი და ორი დუქანი, რომელსაც წელიწადში 20 მანეთი შემოაქვს“*[2].

მ. თამარაშვილმა კაპუცინების არქივში მიაკვლია გორის კათოლიკურ ეკლესიის შემოსავლების მოკლე ნუსხას, რომელიც შეიცავს 1788-1836 წლების ცნობებს გორის კათოლიკური ეკლესიის ქონებასა და მევახშეობის შესახებ[3].

1845 წლის იანვარში აღმოსავლეთ საქართველოს პატრებს (დამიანე, ფილიპე, ქერუბინე და ემიდიო) გორში მოუყარეს თავი, შემდეგ ქუთაისში ჩაიყვანეს და ყველა ერთად გაასახლეს ტრაპიზონში. ასე დასრულდა კაპუცინების და, საერთოდ, ევროპელი კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობა საქართველოში.

ზუბალაშვილების მიერ პერიოდულად გორის კათოლიკური ეკლესისათვის გაცემული შესაწირავები საკმარისი არ იყო. მაგალითად, 1901 წელს როდესაც ცნობილი მრეწველი კონსტანტინე ზუბალაშვილი გარდაიცვალა, მისმა შვილებმა მშობლების სულის მოსახსენებლად საქართველოში არსებულ კათოლიკულ ეკლესიებს სამ-სამი ათასი მანეთი შესწრეს[4]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე წლის 5 დეკემბერს პატრ გაბრიელ ასლანიშვილისა და სტეფანე ზუბალაშვილის დახმარებით გორში ქართველი კათოლიკენი გადმოასახლეს ადიგენის რაიონის სოფ. უდედან[5].

---

[1] *„ცნობის ფურცელი“, 1899, №843.*

[2] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 514.*

[3] *იხ. იქვე, გვ. 516-518.*

[4] *ფეიქრიშვილი ჟ., ზუბალაშვილები ეროვნული მრეწველობისა და მეცენატობის სათავეებთან, თბ., 2011, გვ. 99.*

[5] *„ივერია“, 1901, 11 დეკემბერი, №268, გვ. 9.*

„სახალხო ფურცელი“ 1914 წელს აღნიშნავდა: *„საკალალო სანახაობას წარმოადგენდა ქართველ კათოლიკეთა ეკლესია. გაძარცული იყო შიგნიდან, გარედან, ღარიბულად მოწყობილი, ხოლო მღვდლის საცხოვრებელი ბინა, ეგრეთწოდებული მონასტერი ისე დანგრეულ-გადატაკებული, რომ ჩვენს სოფელშიც ვერსად ჰნახავდით მღვდლის ბინას ამაზე უარესს. მაგრამ რამდენიმე პირის და თვით მრევლის მეცადინეობით ცნობილმა ძმებმა ზუბალაშვილებმა თავს იდვეს ამ ეკლესიის გამშვენიერება საკუთარ ხარჯით და საქმესაც შეუდგნენ 1913 წლის გაზაფხულზე. როგორც თვით ზუბალაშვილების სურვილი იყო, ხარჯი არ უნდა დაენანათ, ოღონდ ეკლესია გაემშვენიერებინათ, როგორც კი შეიძლებოდა...“*[1] ასეთი ძალისხმევის შედეგად *„გორის ეკლესია გამოვიდა ისეთ მდიდარ ეკლესიად, რომ თბილისს კიდეც შეშურდება გორისა“*[2].

1920 წლის მიწისძვრისგან ეკლესია ძალზე დაზიანდა, „თაღები შეინძრა. მარჯვენა კედელი გადაიწია და გუმბეთი გარეშემო დასკდა“.

„1924 წელს, თებერვალს, დაიწყო მიწისძვრისგან დაზარალებული გორის კათოლიკე ეკლესიის შეკეთება. შეკეთება მოხდა წყალობით.

„1) გორის ადგილობრივი ხელისუფლებისა, რომელიც იმ თუობით გვიშევებდა ეკლესიაში თუ რომ შევაკეთებდით მას.

2) თბილისის კათოლიკე ეპისკოპოზისა... რომელმაც დიდი დახმარება გაგვიწია ფულით რომის სახელით.

3) კავკასიის კათოლიკებისა რომელთაც აგრეთვე შემოწირულობით დაგვეხმარნენ.

4) გორის კათოლიკებისა რომელნიც უსასყიდლოდ მუშაობდნენ.

შეკეთება დაჯდა სულ: 1500 მანეთი ჩერვონეცი.

პ. კ. საფარაშვილი“[2].

გორში კათოლიკური ეკლესია ფუნქციონირებდა 1937 წლამდე, შემდეგ კი დახურეს და შენობას ჯერ საწყობად იყენებდნენ, შემდეგ სპორტულ დარბაზად. 80-იანი წლების ბოლოს ეკლესია მართლმადიდებელი ქართული ეკლესიის იურისდიქციაში გადავიდა[3].

---

[1] *სახალხო ფურცელი, 1914, 13 დეკემბერი, №162, გვ. 3.* დამოწმებულია: *ფეიქრიშვილი ჟ., ზუბალაშვილები ეროვნული მრეწველობისა და მეცენატობის სათავეებთან, გვ. 257.*

[2] *იქვე.*

[2] *ეკლესიის მრევლის გარდაცვალების წიგნი (გორის კათოლიკეთა ეკლესიის), გსიემ, 4623, გვ. 1.*

[3] ამ ფაქტმა კათოლიკე მორწმუნეთა უკმაყოფილება გამოიწვია, რაც დღემდე გრძელდება. იხ. *პაპუაშვილი ნ., სიმართლისა და სამართლისათვის. გორის კათოლიკურ ეკლესიაზე, თბ., 2013.*

გორის კათოლიკური ეკლესიის ისტორიის ქრონოლოგია

გორში კათოლკური ეკლესიის არსებობაზე შეიძლება ვილაპარაკოთ ყოველთვის, როდესაც ამ აღმსარებლობის ადამიანები ამ ქალაქში იმყოფებიან, მიუხედავად იმისა ფლობდნენ ისინი თუ არა სპეციალურ ნაგებობას – ეკლესიას. თუ მათ ასეთი ნაგებობა არ გააჩნდათ ისინი თავიანთ რელიგიურ რიტუალს ასრულებდნენ საცხოვრებელ სახლში. ასე, რომ გორის კათოლიკური ეკლესიის შესახებ არსებულ XVII-XIX საუკუნეთა ცნობებს თავი რომ ერთად მოვუყაროთ, მივიღებთ შემდეგ სურათს:

1. 1628 წელს თეიმურაზ I-მა ავგუსტინელ მისიონერებს გამოუყო მიწის ნაკვეთი, სადაც *„თავიანთთვის იმოდენა სახლი ააშენეს, რომ შიგ მოხერხებულად ცხოვრება შესძლებოდათ. ასევე ააგეს მოციქულთა თავადისადმი მიძღვნილი ეკლესიაც“*[1].

2. 1628 წ. გორში მოვიდნენ თეატინელი მისიონერები[2]. 1631 წელს მეფის მიერ ნაბოძები ეკლესიის შეკეთება დაასრულეს გორში და წმინდა პეტრეს სახელი უწოდეს[3]. მეფემ და პატრიარქმა ნება მისცეს მათ ეკლესია აეგოთ და წირვისა და ქადაგების სრული თავისუფლება მიანიჭეს[4]. ეს ტაძარი დაინგრა 1634 წელს ანტიკათოლიკური გამოსვლის დროს[5].

3. პატრ კარლოს მიერ 1668 წ. 28 ნოემბერს რომში წარდგენილი მოხსენებიდან ჩანს, რომ დიდი ხნის განმავლობაში გორში არც პატრები იყვნენ და არც კათოლიკური ეკლესია არსებობდა[6].

4. 1662 წლიდან კაპუცინები გორში იმყოფებოდნენ, მაგრამ არ ჩანს მათი ეკლესია. ისინი 1671 წელს ცდილობდნენ ავგუსტინელე-

---

[1] *დონ ქრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 60.*

[2] *ვრცლად: თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 88-100.*

[3] *იქვე, გვ. 116.*

[4] *ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. 88.*

[5] *დონ პეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 63.*

[6] *ხეც, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №1074, ფ. 38-42.* მცირეოდენი განსხვავებით იხ. *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 234-235.*

ბისა და თეატინელების ქონების დაბრუნებას. უკვე აქვთ ეკლესია 1672 წელს[1].

5. 1686 წ. წერილიდან ჩანს, რომ გორში პატრები კვლავ არ იყვნენ, მაგრამ ამ ქალაქში დაბრუნების იმედს არ ჰკარგავდნენ. 1689 წელს ისინი პროპაგანდა ფიდეს თხოვდნენ 64 პიასტრს, რათა სომხების ხელიდან გამოეხსნათ და აღედგინათ მონასტერი. ეკლესიის აღდგენა მისიონერებმა მოკლე ხანში შეძლეს.

6. 1691 წლის წერილიდან ვიგებთ, რომ კაპუცინებს გორში სახლიც დაუკარგავთ. ისიც სომეხ მღვდლებს მიუთვისებიათ[2].

7. კაპუცინთა პრიორის მიერ 1697 წ. 8 ივლისს კონგრეგაციაში წარდგენილი მოხსენებიდან ვიგებთ, ომის შედეგად გორში კაპუცინელთა დანგრეული ეკლესიისა და მონასტერის აღდგენის აუცილებლობაზე, რაც განახორციელეს კიდეც.

8. მეფის ბრძანებით, 1755 წ. გორის კათოლიკეთა ეკლესია და სახლი მორწმუნეებს ჩამოერთვა და მთავარეპისკოპოს კირილეს გადაეცა[3].

9. მეფის ბრძანებით, 1767 წ. კაპუცინებს მისცეს სახლი, რომელშიც ტრაპეზი აღმართეს და ეკლესიის მაგიერ იყენებდნენ[4].

10. საეჭვოა *„ცნობის ფურცელის“* ინფორმაცია, თითქოს ჩამორთმეული ეკლესიის მაგიერ, 1793 წელს მეფემ მისიონერებს ეკლესიის ასაშენებელი ადგილი უბოძა და მალე მშენებლობაც დაიწყო[5]. XIX ს. პირველი ათწლედის დოკუმენტებიდან ჩანს, რომ კათოლიკებს გორში ეკლესია არ ჰქონდათ და ღვთისმსახურებას კერძო სახლში ასრულებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკების ჩამორთმეული ეკლესიის დაბრუნების საკითხის გარკვევით დაინტერესებული იყო რომი, ვენა და პეტერბურგი, ეკლესია მაინც მართლმადიდებლებს დარჩათ.

11. 1810-იანი წლების დასაწყისში დაიწყეს ეკლესიის მშენებლობა, აკურთხეს 1822 წლის სექტემბერში.

12. ეკლესია საკმაოდ დაზიანდა 1920 წლის მიწისძვრის შედეგად.

---

[1] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 240, 676.*

[2] *იქვე გვ. 285.*

[3] *შაორშაძე მ., კათოლიკოს-პატრიარქი კირილე II (ციციშვილი) და მისი მოღვაწეობა. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძებანი, XII, თბ., 2010.*

[4] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 386.*

[5] *„ცნობის ფურცელი“, 1899, №843.*

13. 1923 წლის 4 აპრილს ეკლესია დახურა საბჭოთა ხელისუფლებამ.

14. 1924 წ. 13 აპრილს ეკლესია ისევ გაიხსნა „და პირველად იწირა წირვა ბზობა დღეს დიდძალი ხალხის თანდასწრებით“[1]

15. 1924 წლის 19 თებერვალს კათოლიკეთა საზოგადოებას დაუბრუნეს ეკლესია და ჩამორთმეული საეკლესიო ნივთები.

16. 1924 წლის თებერვალში დაიწყო მიწისძვრისგან დაზარალებული გორის კათოლიკე ეკკლესიის შეკეთება.

17. 1937 წ. ეკლესია ისევ დაიხურა. იგი ამ მდგომარობაში იყო 80-იანი წლების დასასრულამდე, ვიდრე მართლმადიდებელი ქართული ეკლესიის იურისდიქციაში გადავიდოდა.

18. დღეისათვის კათოლიკური მრევლი ღვთისმსახურებას კერძო სახლში აღასრულებს.

[1] *ეკლესიის მრევლის გარდაცვალების წიგნი (გორის კათოლიკეთა ეკლესიის), გსიემ, 4623, გვ. 1.*

ოქონის ხატები და გარსევანიშვილების გვარი გორის სასულიერო და კულტურულ ცხოვრებაში

მკვლევრები დიდი ხანია დაინტერესდნენ გორის ოქონის ხატების და მისი ეკლესიის ისტორიის შესწავლით. განსაკუთრებით გაცხოველდა ინტერესი XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში. ცნობილია მრავალი მკვლევრის მტკიცებულება, მოსაზრება და ვარაუდი (მ. ბროსე, დ. ბაქრძე, ალ. გარსევანიშვილი, მ. ჯანაშვილი, გ. საძაგელოვ-ივერიელი)[1], მაგრამ ჯერ კიდევ არ შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ: რომელი იყო ოქონის ტაძრის ის ოქონის ხატები, რომლებიც ბაგრატ IV-ის მეუღლემ, დედოფალმა ელენემ მზითევში მოიტანა საქართველოში? რატომ იყო ისინი ცნობილი ამ სახელწოდებით? რა იყო მათზე გამოსახული? რატომ ესვენა ეს ხატები ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში? რატომ იყო ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია ოქონას სახელობისა? როგორი იყო ეკლესიის ინტერიერი?... შეიძლება უსასრულოთ გავაგრძელოთ ის კითხვები, რომლებიც მკვლევარს გაუჩნდება ამ საინტერესო საკითხზე მუშაობისას.

XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე მართლმადიდებელი გორელების გამორჩევით სათაყვანებელმა ოქონის ხატმა და გარსევანიშვილების გვარის ცალკეულმა წარმომადგენლებმა კვლავ მიიპყრეს მკვლევრების ყურადღება და მნიშვნელოვანი სამეცნიერო სტატიები და მონოგ-

---

[1] *Муравьев А. Н., Грузия и Армения, ч. III, СПб., 1848, с. 93-94; Brosset M., Rapports sur un vouage archeologique dans la Georgie et dans l'Armenie, exsecute en 1847-1848. SPB, 1851, VI. p. 49-52; Бакрадзе Д., Кавказ в древных памятниках христянства, т. I, Тифл., 1875, с. 118; Садзагелов-Ивериели Г., Исторический очерк Оконской чудотворной иконы Божией Матери, находящейся в Горийской Оконской Богородиной Церкви // Пастир, 15. 07. 1890 г., № 12-13, с. 20-22. Джанашвили М., Гори и его окрестности // Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, Тифл., 1904, вып. 34, с. 167; თაყაიშვილი ექვ., ოქონის ხატი // ივერია, 1900, №231; Кавказ. Рача. Горийский уезд. Гори. Осетия. Пшавия, Хевсуретия и Сванетия. Путевые заметки графинии Уваровой, ч. III, М., 1904, с. 89, 173; გარსევანიშვილი ალ., ქალაქი გორი და სასწაულთ-მოქმედი ოქონის ღვთისმშობლის ხატი // ცისკარი, 1868, №2; ჟორდანია თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წ. III, (1700წლიდან XIX ს-ის 60-იან წლებამდე) / გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანამ და შოთა ხანთაძემ, თბ., 1967, გვ. 25-28.*

რაფიები დაიწერა[1]. ოქონის ხატით მისი სახელობის ეკლესიითა და გარსევანიშვილებით პირველად დავინტერესდი გორის ისტორიაზე მუშაობისას. მაგრამ მაშინ, გარკვეული მიზეზების გამო, მთელი რიგი საკითხებისა დამრჩა ყურადღების მიღმა. არც ეხლა მაქვს პრეტენზია, რომ ყველა დასმულ კითხვას ამომწურავი პასუხი გავეცი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გარსევანიშვილების საგვარეულო ნუსხა და მისთვის დაწერილი *„სხოლიონი“* შეიცავს მოკლე, მაგრამ ძვირფას ცნობებს ქ. გორის, ოქონის ხატისა და ეკლესიის, ზოგადად კი, ქართული კულტურის ისტორიისათვის. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი უცნობია ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

---

[1] ბოლო ხანებში გორის ოქონის ეკლესიასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა სხვადადსხვა მკვლევარის საინტერესო ნაშრომი, რომლებიც სტატიების სახით შევიდა კრებულში, რომლის საერთო სახელწოდებაა – *ოქონა. სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სამეცნიერო სესიების მასალები, გორი, 2012. მასში შესულია: გოგოლაძე თ., ბელენკო-გოდერძიშვილი ნ., ოქონის ხატისა და ჯვარცმის ისტორიისათვის (წერილი I), გვ. 32-50; ბელენკო-გოდერძიშვილი ნ., სამუზეუმო ექსპედიციის საეკლესიო მონაპოვარი, გვ. 51-56; ალიმბარაშვილი ი., გორის ოქონის ღვთისმშობლის ეკლესია და მასში დაცული სიწმინდეები, 57-82; გოგოლაძე თ., ოქონის ხატისა და ჯვარცმის ისტორიისათვის (წერილი II), გვ. 83-92; გოგოლაძე თ., ცნობები ბერძნებსა და ოქონის ხატზე გარსევანიშვილების საგვარეულო გრაგნილში, გვ. 93-98; მესხი თ., „ოქონას“ ეტიმოლოგიისა და ოქონის ხატის რაობისათვის, გვ. 99-119; გოგოლაძე თ., სოსანიძე თ., ცნობები ოქონის ხატსა და ტაძარზე გარსევანიშვილების საგვარეულო გრაგნილისა და ალექსანდრე გარსევანიშვილის ერთი წერილის მიხედვით, გვ. 120-124; ბაკურაძე თ., ოქონის სამნაწილიანი ხატის რესტავრაცია და ვიზუალური კვლევა, გვ. 125-130; ხუსკივაძე ლ., ბიზანტიური სპილოს ძვლის ტრიპტიქონი საქართველოდან, გვ. 132-137;* მონოგრაფიები: *ალიმბარაშვილი ი., ოქონის ხატ[ებ]ისა და ტაძრ[ებ]ის ისტორიიდან, თბ., 2012, გვ. 3-150; მესხი თ., ოქონის ხატის რაობისა და ისტორიისათვის, თბ., 2015, გვ. 3-170.*

გარსევანიშვილების საგვარეულო ნუსხის „სხოლიონი“ როგორც ისტორიული წყარო

გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია საინტერესო დოკუმენტი – გარსევანიშვილების საგვარეულო ნუსხა, რომელშიც მოცემულია გორის ამ ღვაწლმოსილი გვარის, ოქონის საკათედრო ტაძრის წინამძღვრების და, ზოგადად, ამ გვარის მამაკაცების შესახებ უაღრესად ლაკონური ცნობები, კერძოდ ვინ ვისი შთამომავალი იყო.

ნუსხა წარმოადგენს ერთმანეთზე გადაბმული (მიწებებული) დიდი ფორმატის ათი კეფისაგან შემდგარ გრაგნილს (3,25x0,43სმ). იგი დაწერილია შავი მელნით და ერთი ხელით[1]. არ ჩანს როდის არის დაწყებული ამ საკმაოდ რთული დოკუმენტის შედგენა. მის თავსა და ბოლოში აღნიშნულია, რომ იგი დაიწერა 1862 წელს და მითითებულია მისი შემქმნელის სახელი და გვარი *(„ქმნილი... ივნისისა ორსა ჩყიბ წელსა. ავტორი, აზნაური ალექსანდრე სვიმონის ძე გარსევანოვი“)*. ალექსანდრემ და მისმა ხელმძღვანელმა, ბიძამ იესე გარსევანიშვილმა ნუსხა ერთობლივად მიიყვანეს1862 წლამდე [2]. *„სხოლიონთა“* დასასრულს, კიდევ ერთხელ მხოლოდ ბოლოში იმავე ხელით, მაგრამ განსხვავებული ლურჯი მელნით, იქ სადაც სრულდება

---

[1] გრაგნილი მუზეუმს გადასცა ანასტასია გარსევანიშვილის ვაჟმა, ივანე რობაქიძემ 1937 წელს.

გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, როგორც მისი დირექტორი სერგო ნადიმაშვილი 1962 წერდა, გარსევანიშვილების ოჯახიდან დაცულია: სიგელ-გუჯარი – 127, ხელნაწერი წიგნი 62, ეთნოგრაფიული ხასიათის ნივთი 250-ზე მეტი, გარსევანიშვილების გვარის მოღვაწეთა პირადი და საოჯახო არქივი 2500-მდე საბუთით, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ლიტერატურის, ხელოვნების, შიდა ქართლისა და, საერთოდ საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის გაშუქებისა და ისტორიისათვის. იხ. *ს. ნადიმაშილის მოხსენებითი ბარათი, გვ. 3.* ს. ნადიმაშილის მოხსენებითი ბარათის ასლი გადმომცა გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი თანამშრომელმა ნატალია ბელენკო-გოდერძიშვილმა რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

[2] 1862 წელი არ არის ნუსხის შედგენის დასაწყისი, როგორც ფიქრობს პროფ. თამარ გოგოლაძე. იხ. *მისი, ცნობები ბერძნებსა და ოქონის ხატზე გარსევანიშვილების საგვარეულო გრაგნილში // ოქონა. სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სამეცნიერო სესიების მასალები, გორი, 2012, გვ. 93.*

თხრობა ნუსხის ავტორის, ალექსანდრეს შესახებ, კიდევ ერთხელ მიწერილია იგივე თარიღი, რომელიც ჩემი ვარაუდით ალექსანდრეს არ უნდა ეკუთვნოდეს. ის გადამწერმა გააკეთა, რომელმაც ამით აღნიშნა სადამდე იყო ალექსანდრეს და იესეს ერთობლივი ნახელავი. ***ეს არის ნუსხის შედგენის თავდაპირველი თარიღი და არა მისი მთლიანად დასრულებისა.*** სავარაუდოა, ნუსხის *„დასრულების“* წელის აღნიშვნა განპირობებული იყო იმით, რომ ალექსანდრე გარსევანიშვილს სურდა ხაზი გაესვა თავისი ბიძის, იესე გარსევანიშვილის განსაკუთრებული დამსახურებისათვის, რომელიც ხელმძღვანელობდა ამ რთული სამუშაოს. და ის, რაც ალ. გარსევანიშვილმა შემდეგში ნუსხას შემატა, ადრე შექმნილი და გვიანდელიც, ამ თარიღის (1862 წ.) ქვეშ მოაქცია ჯერ თვითონ და მისი გარდაცვალების შემდეგ კი გრაგნილის საბოლოოდ გადამწერმა.

გენიალოგიის ნუსხის შევსებას ალექსანდრე აგრძელებდა გარდაცვალებამდე. მის შემდეგაც, XX ს. 30-ანი წლების დასასრულამდე, როგორც ჩანს იყო ან იყვნენ დაინტერესებული ადამიანები, რომლებიც ცდილობდნენ ნუსხის შევსებას. ის ვინც ნუსხაში უკანასკნელია, არის ცნობილი პედაგოგი და მოღვაწე, ნუსხის ავტორის ალექსანდრე სვიმონის ძის შვილი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე. ალექსანდრე სვიმონის ძეს ალექსანდრემდე სხვა სამი ვაჟიც ჰყავდა (ნიკოლოზი, ვასილი და მიხეილი), *„ჩვილი გარდაცვალებულნი“.* ალექსანდრეს შესახებ ნუსხაში გაკეთებულია შემდეგი მინაწერი: *„ამან სადიდებლად ღვთისა და ჩვენის გვარისა, პირველმა დაასრულა უმაღლესი სასწავლებელი – მოსკოვის უნივერსიტეტი“.* იქვე აღნიშნულია მისი დაბადების წელი – ჩყდდ (1864 წ.). ალექსანდრე სვიმონის ძე გარდაიცვალა 1913 წელს, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე კი – 1936 წ. ეუკანასკნელი წელი ნუსხაში ჩამატებულია შავი ფანქრით[1].

ნუსხაში აღრიცხულია 176 გარსევანიშვილი. აქედან პირველი 66 ნესტორ მედროშემდე (†1211) ფანქრით ფაქიზად, მცირე, ძლივს შესამჩნევი არაბული ციფრებითაა დანომრილი, დანარჩენი 110 კი დაუნომრავია.

როგორ ჩანს, გარსევანიშვილებს თავიანთი საგვარეულო ნუსხა პერიოდილად სხვადასხვა მიზნით სჭირდებოდათ, განსაკუთრებით კი, ახალი პერიოდის მონაკვეთი, რომელიც საკმაოდ განსხვავდებოდა

---

[1] ალექსანდრე ალექსანდრეს ძე გარსევანიშვილის შესახებ იხ. *ვარლამიშვილი ივ., მუდამ თანამედროვე (პედაგოგი და ლიტერატურის მკვლევარი ალექსანდრე გარსევანიშვილი), ქუთაისი, 1991, გვ. 11-47.*

მისი საბოლოო ვარიანტისგან. არსებობს 1865 წლის 31 მაისს გორის სამაზრო სასამართლოს მიერ დამტკიცებული *„გარსევანიშვილების სქიმა“*, რომელზეც *„ნამდვილად ხელი უწერიათ აზნაურთ იოანე დიმიტრის ძეს და თეოდოსი დიმიტრის ძეს გარსევანოვთა“*[1]. სქიმა დაწერილია იესე გარსევანიშვილის გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე. ამას გვიჩვენებს ის, რომ მასში იესე ისევ ცოცხალი ჩანს. დანამდვილებით ცნობილია, რომ ის გარდაიცვალა 1864 წლის 23 ნოემბერს. დოკუმენტში არ არის აღნიშნული სასამართლომ რატომ დაამტკიცა სქიმა.

აღინიშნა, რომ 1865 წელს დამტკიცებულ დოკუმენტში მხოლოდ სქიმის ბოლო მონაკვეთია მოცემული. იგი იწყება იმ მარკოზით, რომელიც მეფე სვიმონ II-ის (1613-1631) დეკანოზი იყო. მასში შეყვანილია მხოლოდ 27 პიროვნება, მათგან ბოლო შვიდი ცოცხალია – ნიკოლოზი, იოსები, სოლომონი, სვიმონი, დიმიტრი, გიორგი და სოზონი[2]. გასათვალისწინებელია, რომ იმავე დოკუმენტის საბოლოო ვარიანტის აღნიშნულ მონაკვეთში 44 გარსევანიშვილია.

სქიმის იგივე მონაკვეთის ასლი, რომელსაც, როგორც უკვე ითქვა ქართულად აწერდნენ ხელს იოანე დიმიტრის ძე და თეოდოსი დიმიტრის ძე გარსევანიშვილები და მის სისწორეს ადასტურებდა ასლამაზოვი, რუსულად უთარგმნია ალ. გარსევანიშვილს. ამ უკანასკნელს ასლის ნამდვილობის დადასტურება ჭირდებოდა ხელმძღვანელობასთან წარსადგენად, მაგრამ არ არის აღნიშნული, კონკრეტულად სად, ვისთან ან რატომ. ასლის სისწორე დამტკიცებულია 1879 წლის 6 სექტემბერს[3]. დაინტერესებული მკითხველი თუ ერთმანეთს შეადარებს სქიმის სრულ ვარიანტს და ზემოთ განხილულ მის მონაკვეთს, დარწმუნდება, რომ იგი ალექსანდრეს სვიმონის ძის გარდაცვალების შემდეგ ივსებოდა და იხვეწებოდა ამ გვარის სხვა წარმომადგენლის/წარმომადგენლების მიერ.

გვიან, ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ, ფანქრით ჩაამატეს 7 გარსევანიშვილი, მათ შორის ორი ქალი – ქეთინო (†1919 წ.) და ელისაბედი (†1921 წ.). ამ გვარის სხვა ქალები ნუსხაში არ არიან.

---

[1] *„გვარშთამოების სქიმა, გორის უეზდის აზნაურთ გარსევანოვთა №256, 31 Мая 1865 года“.* დოკუმენტი შედგენილია რუსულად. *გსიემ, №7602/593.*

[2] *იქვე.*

[3] *„გარსევანიშვილთა საგვარეულო შტოს გვარშთამოების პირის პირი, №174“. რუსულად თარგმნილი ალ. ალ. გარსევანიშვილის მიერ. გსიემ, №7602/436.*

მთლიანად, ფანქრით თუ მელნით ნაწერი და ისიც, რაც ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგაა ნუსხაში ჩამატებული, შესრულებულია ერთი ხელით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ***ნუსხა გადაწერილია და შევსებული უცნობი კალიგრაფის მიერ.*** იგი რომ სხვა ხელს ეკუთვნის ამაში გვარწმუნებს ის ხელნაწერები, რომლებიც უეჭველია, რომ ალექსანდრეს მიერ არის შესრულებული.

ფრიად საინტერესოა ნუსხისათვის დართული *„სხოლიონი“* – შენიშვნები, სულ 11, ავტორის დანომვრით კი 10. პირველი და მეორე შენიშვნა აღნიშნულია ერთი და იგივე ასორიცხვით – **„ა“**.

მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ, ჩემი აზრით, განსაკუთრებით საინტერესო იმ ფაქტებსა და პიროვნებებზე, რომლებიც ნაკლებადაა ცნობილი.

ოქონის ხატების საქართველოში გადმოსვენების წინა პირობები

1023 წელს საქართველოსა და ბიზანტიას შორის დადებული ზავის მძიმე პირობების თანახმად, გიორგი II-მ სამი წლის უფლისწული ბაგრატი მძევლად გაგზავნა კონსტანტინოპოლში, სადაც მან მხოლოდ ორი წელი დაჰყო, რადგან იმპერატორმა ბასილმა ფაქტიურად მიიღო ყველაფერი რასაც ის საქართველოს ხელისუფლებისგან მოითხოვდა[1]. ბასილის გარდაცვალების შემდეგ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა კვლავ დაიძაბა: გაირკვა, რომ ახალი იმპერატორის, კონსტანტინე VIII-ის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში გიორგი მეფე ისევე მონაწილეობდა, როგორც ბასილის დროს. იმპერატორს ბაგრატის კონსტანტინოპოლში დაბრუნება სურდა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია[2]. ამასობაში გიორგი მეფე გარდაიცვალა და ტახტი ახალგაზრდა ბაგრატ IV-მ დაიკავა (1027-1072).

ბიზანტიის ხელისუფლებამ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთში ფეხის მტკიცედ მოკიდება გადაწყვიტა და დაიწყო ხელახალი აგრესია, მაგრამ სერიოზულ წარმატებას ვერ მიაღწია. როდესაც კონსტანტინე გარდაიცვალა. ახალმა იმპერატორმა რომანოზმა, ხედავდა რა საქართველოსთან ომის წარმოების სირთულეს, ყურადღება ედე-

---

[1] ზავის პირობების შესახებ იხ. *ქართლის ცხოვრება. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955, გვ. 288-289.*

[2] *იქვე, გვ. 292.*

სისა და სიცილიისაკენ გადაიტანა. შეიქმნა ბიზანტიასთან ურთიერთობის მოგვარების პირობები. 1031 წელს ბგრატ IV-მ დიდი ელჩობა გაგზავნა კონსტანტინოპოლს თავისი დედის მარიამ დედოფლის[1] მეთაურობით.

დედოფალ მარიამის კონსტანტინეპოლში ელჩობის შესახებ გვაქვს ქართული და ბიზანტიური წყაროები. სუმბატ დავითის ძე გვამცნობს, რომ ბიზანტიის კეისრის რომანოზის გამეფების *„შემდგომად წელსა მესამესა სანატრელმან დედოფალმან მარიამ, დედამან ბაგრატ მეფისამან, შეიმოსა სიმხნე და ახოვნება... და წარვიდა კონსტანტინეპოლედ წინაშე რომანოზ მეფისა, ვედრებად მისა, რათა მშჯდობა ყოს... და რათა არღარა იყოს ბრძოლა ბერძენთა და ქართველთა... და რათა მიუთხრეს პატივი ძესა თჳსსა ბაგრატს მეფესა წესისაებრ სახელისა“*[2]. ამგვარად, სუმბატ დავითის ძის თანახმად, მარიამ დედოფალი კონსტანტინეპოლს ჩავიდა, რომანოზ კეისართან პირადად ჰქონდა მოლაპარაკება და წარმატებასაც მიაღწია. ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი კედრენე კი გადმოგვცემს, რომ მარიამი კი არ ეწვია კონსტანტინოპოლს, არამედ მან ელჩები გაგზავნა და მათ მოიპოვეს ის წარმატება, რაზეც მოგვითხრობს სუმბატ დავითის ძე. აი რას წერს კედრენე: *„...ამასობაში ავადმყოფობისაგან გარდაიცვალა აფხაზეთის მთავარი გიორგი, ხოლო მისმა მეუღლემ მეფესთან ელჩები გამოგზავნა საჩუქრებით და სთხოვდა საზავო ხელშეკრულებას და თავის ვაჟისათვის, ბაგრატისათვის საცოლე. მეფემ მისი თხოვნა შეიწყნარა, ზავი განუმტკიცა და თავისი ძმის ბასილის ქალიშვილი აფხაზეთში გაგზავნა სარძლოდ, ხოლო სასიძო ბაგრატი კუროპალატის წოდებაში აღაზევა“*[3].

---

[1] ვახუშტი ბატონიშვილთან – ელენე. გასარკვევია, ვახუშტი ბატონიშვილი სცოდავს თუ უნებური შეცდომაა, თითქოს ბაგრატ IV-ის დედას ელენე ერქვა. სავარაუდოა, რომ ისტორიკოსის შეცდომაა. ამის თქმის საფუძველს იძლევა მისი თხზულების ის ადგილი, სადაც იგი ბაგრატის მეუღლის ელენეს გარდაცვალებაზე გვამცნობს. ვახუშტი მკითხველს აფრთხილებს, რომ იგი მეფის მეუღლის გარდაცვალებაზე ლაპარაკობს და არა მისი დედის. *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 144.*

[2] *ქართლის ცხოვრება, I, გვ. 386.*

[3] *გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. V / ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და კომენტარები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1963, გვ. 56.* ზავის თარიღისა და მისი პირობების შესახებ იხ. *ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად,*

საინტერესოა, რომ ქართველი მემატიანეები – სუმბატ დავითის ძე და *„მატიანე ქართლისა“*-ს ავტორი მარიამ დედოფლის ელჩობის წევრებს არ ასახელებენ. მხოლოდ გარსევანიშვილების საგვარეულო ნუსხის „ა“ კომენტარში ნათქვამია: *„ამან რომანოზ კეისარმან, თხოვითა დედოფლისა მარიამისათა, და შუამდგომლობითა ღირსისა მამისა გიორგი ქართველისა მთაწმინდელისა – რომელიც თანა-ჰყვა მარიამს კონსტანტინეპოლეს...“* არ ჩანს რომელ წყაროს ემყარება ალ. გარსევანიშვილი, მაგრამ თუ მოვიხმობთ სხვა ცნობებს მარიამ დედოფლისა და გიორგი მთაწმინდელის თანამშრომლობის შესახებ, მაშინ შეიძლება საგვარეულო ნუსხის ეს ცნობაც სინამდვილედ ჩაითვალოს.

როგორც ვთქვი, გიორგი მთაწმინდელი არა მხოლოდ კონსტანტინოპოლში ყოფილა მარიამ დედოფალთან ერთად, არამედ მას იმდენად დიდი ავტორიტეტი ჰქონდა საიმპერატორო კარზე, რომ შეეძლო თავისი დედოფლისათვის შუამდგომლობაც კი გაეწია იმპერატორის წინაშე. ეს მხოლოდ ვარაუდია, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ გიორგი მთაწმინდელმა სხვა დროს, მარიამ დედოფლის დავალებით ორჯერ იმოგზაურა იერუსალიმში და ძვირფასი შესაწირავები ჩაიტანა[1]. საეკლესიო და კულტურის ამ დიდი მოღვაწის მარიამ დედოფალთან თანამშრომლობის ცნობას მისსავე *„ცხოვრებაში“* ვანახულობთ: მარიამ დედოფალს განუზრახავს *„წარსვლაჲ წმიდად ქალაქად იერუსალემად ლოცვად და თაყვანისცემად წმიდათა მათ და განმაცხოველებელთა ადგილთა“*. ანტიოქიის პატრიარქმა და მთავარმა, გიორგი მთაწმინდელის თანხმობით, გადაწყვიტეს დედოფალი არ გაეშვათ წმინდა ადგილებში მომლოცვე-

---

II, თბ., 1983, გვ., 139; კოპალიანი ვ., საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, თბ., 1969, გვ. 122-130; ლორთქიფანიძე მ., საქართველოს შიდაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე // საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979, გვ. 178; პაპასქირი ზ., ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1990; სილაგაძე ბ., არაბთა ბატონობა საქართველოში, თბ., 1991, გვ. 210; ბუაჩიძე გ., ერთი ეპიზოდი საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობიდან იაპია ანტიოქიელის „ისტორიაში“ // ქართული დიპლომატია, წელიწდეული, №3, თბ., 1996.

[1] *Цагарели А. А., Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае / Православный Палестинский Сборник, Санкт-Петербург, 1888, с. 43-44.*

ლობისათვის, რადგან მუსლიმანთა ქვეყანაზე გავლა სახიფათო იყო. მათ დედოფალს განზრახვაზე ხელი ააღებინეს. მარიამმა გიორგის დაავალა, რომ *„საფასე იგი, რომელი საგზლად აღეკაზმა, წარიღოს იგი იერუსალემდ და გლახაკთა მას და დავრდომილთა განუყოს წმიდისა ქალაქისათა და მონასტერთა მათ წმიდათა, რომელნი შენ არიან გარემოჲსა მისა*“[1]. გიორგიმ *„წმიდად ქალაქად მშვიდობით და უვნებლად მიიწია“* და დედოფლის დავალება შეასრულა. ის კვლავ შავ მთაზე დაბრუნდა.

მოხმობილი მაგალითები საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ შეიძლებოდა გიორგი მთაწმინდელი, ეს ჭკვიან საეკლესიო მოღვაწე (გავიხსენოთ როგორ დაიცვა მან ქართული ეკლესიის ავტონომიურობა ანტიოქიის პატრიარქთან პაექრობის დროს), შეიძლებოდა მარიამ დედოფალს გაჰყოლოდა კონსტანტინოპოლში, როგორც დიპლომატი.

ნ. ბერძენიშვილის მიხედვით, კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეკი (1010-1033) და მარიამ დედოფალი ერთად აწაროებდნენ სამშვიდობო მოლაპარაკებას კონსტანტინეპოლში[2]. ეს მოსაზრება დამყარებულია *„ქართლის ცხოვრების“* იმ ჩანართზე, რომელშიც აღნიშნულია: *„წარვიდა კათალიკოზ-პატრიაქი მელქისედეკ წინაშე რომანოზ ბერძენთა მეფისა კოსტანტინეპოლედ. შეიწყნარა და მოსცა შესამკობელნი ეკლესიათანი, ხატნი და ჯუარნი, სამღვდელმთავრო და სამღვდელო სამკაული, და წარმოვიდა ქვეყანასა და სამწყსოსავე თჳსსა*“[3]. ანდერძში *(„დაწერილი მელქიზედეკ კათალიკოსისა სვეტიცხოვლისადმი“.* 1029-1031 წ.) მელქისედეკი აღნიშნავს, რომ მას ურთიერთობა ჰქონდა მისი თანამედროვე ბიზანტიის სამ იმპერატორთან: ბასილ II-სთან (976-1025), კონსტანტინე VIII-სთან (1025-1028) და რომანოზ III-სთან. იმპერატორმა ბასილმა განსაკუთრებული გულუხვობა გამოიჩინა მელქისედეკისადმი, როდესაც ის კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა. მან კათალიკოს-პატრიარქს უბოძა *„ხატი ესე წმიდისა*

---

[1] *ქართული მწერლობა, II, თბ., 1987, გვ. 97.*

[2] *ბერძენიშვილი ნ., დონდუა ვ., დუმბაძე მ., მელიქიშვილოი გ., მესხია ს., რატიანი პ., საქართველოს ისტორია, I (უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე). დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 143; ლორთქიფანიძე მ., საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე // საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III. საქართველო XI-XV საუკუნეებში, თბ., 1979, გვ. 181-182.*

[3] *ქართლის ცხოვრება, II, გვ. 294.*

ღმრთის-მშობლისა შემკობილი ოქროდთა, თუალითა და მარგალიტითა ხატი მაცხოვრისაჲ ვერცხლისაჲ, ოქროდთა თუალითა და მარგალიტითა;... და ხატი ნათლისმცემლსაჲ ᲐᲐ-ი... და თევდორესი ᲐᲐ-ი, და საროთითა შექმნილნი, ოქროდთა და ვერცხლითა შეჭედილნი; და სხუა ხატები, საროთითა და ოქტოფორგლითა დაწერილნი და ჩემნივე დასუენებულნი რიცხვით ᲜᲔ..."[1] *„ესე დიდი მაცხოვრისა საროთითა და გარშემო თუალით შემკობილი. და სხუა ხატი მაცხოვრისა ვერცხლისა, ოქროდთა ცურებული"* და სხვა ხატები და ოქროსი თვალმარგალიტით შემკობილი სარიტუალო ჭურჭელი. ბასილმა პატრიარქს უბოძა, აგრეთვე *„მონასტერი დიდი, რომლისა სახელი არს კესტორი, რომელსა სოფელი აქუს* ᲠᲔ *(105)"*[2]; კონსტანტინემ – *„ხატი ოქროდსა"*; რომანოზმა კი – *„სამოსელი ოქროქსოვილი* Ა*; და მაზარაჲ ოქროქსოდლი* Ა*; სანაწილე ოქსინოჲ* Ბ*; და ზეასაპყრობელი ხატოვანი ოქროდთა* Ა*; სადაგნი სანაწილენი* Ბ"[3].

მართალია კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეკს ბიზანტიის სამ იმპერატორთან ჰქონებია ვიზიტი, მაგრამ არ ჩანს რამდენჯერ იყო კონსტანტინოპოლში. არც ვიცით მისი მოგზაურობის მიზნებიც. საფიქეებელია, რომ კათალიკოს პატრიარქი მხოლოდ იმ საეკლესიო ნივთებისათვის არ დაიარებოდა ბიზანტიის სატახტოში, რომელთა შესახებ ზემოთ აღინიშნა. არც კეისრები იყვნენ ისეთი გულუბრყვილონი, რომ მათ უანგაროდ გაეღოთ ის საეკლესიო ქონება, რომელზეც ზემოთ ითქვა. სავარაუდოა, კათალიკოს-პატრიარქი, ფორმალურად, საპატრიარქოს საქმეების მოგვარებასთან დაკავშირებით ეწვეოდა ხოლმე ბიზანტიის დედაქალაქს და კეისრებსაც სტუმრობდა

---

[1] *ბერძენიშვილი ნ., მცხეთის საბუთი XI საუკუნისა (ამონაბეჭდი), ტფ., 1931, გვ. 288; დოკუმენტი რამდენჯერმეა გამოქვეყნებული: ქართული ქრისტომათია / დაბეჭდილი დავით ჩუბინოვისა, სანკტ პეტერბურგი, 1863; ჟორდანია თ. ქრონიკები, I, გვ. 31-36; ქართული სამართლის ძეგლები, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.) / ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 19-20,*

[2] *ბერძენიშვილი ნ., მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, გვ. 290; ქართული სამართლის ძეგლები, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), გვ. 22.*

[3] *ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 21. იხ. აგრეთვე, ჟორდანია თ., ქრონიკები, I, ტფ., 1892, გვ. 181-188.*

და მათგან ძვირფას საჩუქრებსაც იღებდა. იმასაც თუ გავითვალის-წინებთ, როგორი ცვალებადი იყო საქართველო-ბიზანტიის პოლი-ტიკური ურთიერთობა მელქისედეკის ზეობის პაერიოდში, სავარაუდოა, ის აქტიური პოლიტიკოსი იყო და მონაწილეობდა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის მოწესრიგებაში. მაგრამ ქართული წყაროების მიხედვით შეუძლებელია იმის თქმა, რომელი მოგზაურობის დროს, ან საერთოდ ის როდისმე თუ ახლდა მარიამ დედოფალს კონსტანტინოპოლში.

პატრიარქი მელქისედეკი მარიამ დედოფალს რომ ნამდვილად ახლდა კონსტანტინოპოლში იმპერატორთან დიპლომატიური მოლაპა-რაკების დროს, ამის შესახებ გადმოგვცემს არაბი ისტორიკოსი იაჰია ანტიოქიელი. რომანოზ III არგიროსმა გადაწყვიტა საქართველოს მეფესთან ურთიერთობაში ბოლომდე მიეყვანა საქმე: *„რადგან ისინი (აფხაზები) არიან ქრისტიანები, მტკიცედ დგანან ერთგულებაზე და (ქრისტიანულ) რწმენაზე. ეს მოითხოვს მათთან მეგობრობის აუცი-ლებლობას და ერთმანეთში მტრობის აღმოფხვრას“. და განამტკიცა (რომანოზმა) მდგომარეობა მათთან იმით, რომ მიათხოვა თავისი ძმის ბასილ არგიროსის (არჯირუბულაუს) ასული ბაგრატ აფხაზთა მე-ფეს. და მოვიდნენ ქალაქ კონსტანტინოპოლს დედამისი – სანახი-რაბის ასული, კათალიკოსი, ე.ი. ჯასალიკი, რომელიც მათი ქვეყნის სამღვდელოების მეთაურია და ჯგუფი მათი მთავრებისა... დადეს ეს (ხელშეკრულება), წაიყვანეს სარძლო მის მეუღლესთან ბაგრატთან და მოწესრიგდა ვითარება ბიზანტიელებსა და აბხაზებს შორის“*[1].

ამგვარად, იაჰია ანტიოქიელის მიერ დადასტურდა ქართველი მკვლევარების ვარაუდი, რომ კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეკი დედოფალ მარიამთან ერთად კონსტანტინოპოლში დიპლომატიური ვიზიტით იმყოფებოდა.

რაც შეეხება იმპერიის დედაქალაქში კათალიკოს-პატრიარქ მე-ლქისედეკისათვის ბიზანტიის იმპერატორების მიერ ხატების, სამ-ღდლო სამოსელისა და საეკლესიო-სარიტუალო ჭურჭელის მირ-თმევას, რა თქმა უნდა, ეს არ იყო ერთჯერადი შემთხვევა. ქრისტია-ნული ქვეყნების ურთიერთობაში ამგვარი საჩუქრების გაცვლა ჩვეულებრივ, ტრადიციულ ნორმებში თავსდებოდა. ასე, რომ ბიზან-ტიიდან საქართველოში გამოთხოვილი ელენესათვის მზითევში სხვა საჩუქრებთან ერთად ხატების გამოტანებაც იმავე ქრისტიანული ტრა-დიციაში თავსდებოდა.

---

[1] *ბუაჩიძე გ., ერთი ეპიზოდი საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობიდან იაჰია ანტიოქიელის „ისტორიაში“, გვ. 104.*

გორის ოქონის ხატები

ქართული საისტორიო ტრადიციით, ოქონის ხატები საქართველოში ჩამოასვენეს 1032 წელს, როდესაც საქართველოს მეფე ბაგრატ IV-ის (1027-1072) მეუღლეს, ელენეს ის სხვა საჩუქრებთან ერთად მზითევში გამოატანეს და თან გამოაყოლეს თავისივე დეკანოზი, რომელიც გახდა საქართველოში გარსევანიშვილების გვარის დამაარსებელი.

გორის ოქონის ხატების რაობის გასარკვევად ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს ვახტანგ VI-ის გუჯარი, რომელშიც გადმოცემულია ელენე დედოფლის მიერ ორი ხატის – ოქონისა და ღვთისმშობლის ხატების ბიზანტიიდან საქართველოში გადმოსვენების შესახებ.

გენეალოგიის ნუსხის შემდგენლებმა **„ა1“** სქოლიოში, რომელიც მთლიანად ვახტანგ VI-ის სიგელს წარმოადგენს, იგი დაათარიღეს 1722 წლით, რაც, ვფიქრობ, არ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს, რადგან: **1**. გუჯარი გაცემულია ვახტანგ მეფის ყაზვინში ყოფნის პერიოდში, მაშასადამე ის უნდა დაწერილიყო 1716-1718 წლებში; **2**. ვფიქრობ, თარიღის კიდევ უფრო დაზუსტება შეიძლება. ვახტანგმა 1716 წლის 1 ივლისს ისლამი აღიარა და გამუსლიმანდა. სავარაუდოა, როგორც სხვა დროს და სხვა ქვეყანაში (მაგ., რუსეთში), მეფე ვახტანგს ყაზვინში თან ახლდნენ ოქონის ხატის დეკნოზი, მტვირთველი და მისი ახლობლები გარსევანიშვილთა გვარიდან. არ ჩანს ის პიროვნება ან პიროვნებები ვისი თხოვნითაც მეფემ გამოიძია და დაამტკიცა ის ყველაფერი რაზეც გუჯარშია ლაპარაკი. ისინი უეჭველია ყაზვინში იმყოფებოდნენ, როცა მეფე ვახტანგი გამუსლიმანდა. ამის შემდეგ გარსევანიშვილების და ოქონის ხატის ირანის სატახტოში ყოფნა უკვე არასასურველი იქნებოდა და ისინი სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყვნენ. მათი ხატთან ერთად საქართველოში დაბრუნებას სიმბოლურად ვახტანგის მიერ ქრისტიანობასთან კავშირის გაწყვეტა უნდა აღენიშნა და ასე უნდა აღექვა ირანის ხელისუფლებასა და მუსლიმან მოსახლეობას. ამის შემდეგ, გარსევანიშვილების მეფესთან გამოთხოვების წინ, ალბათ, მათივე თხოვნისა და მონათხრობის მიხედვით, მეფემ *„გამოიძია და დაუმტკიცა“* მათ ყველაფერი ის რასაც გუჯარი გვამცნობს. აღნიშნულიდან გამო-

მდინარე, ***სიგელი დაწერილი უნდა იყოს 1716 წლის 1 ივლისის შემდეგ ახლო ხანებში.***

გავეცნოთ სიგელის ზოგიერთ ცნობას.

ვახტანგ მეფის გუჯარში მოთხრობილია იმპერატორმა რომანოზ არგირიასმა თავისი ასული ელენე ბაგრატ IV-ს რომ მიათხოვა 1032 წელს და სხვადასხვა ძვირფას საჩუქრებთან ერთად ოქონის ხატი უბოძა თავისი დეკანოზით. ხატი იყო „***უმრავალ-ნაწილადესი და მსგავსად ზღვის ქვიშისა სასწაულთ-აღურიცხველი***“. დეკანოზს მუდმივად თან ჰქონდა იმავე სახელობის (ოქონის) სხვა ხატი ***ოქონის ღვთისმშობლისა***. ანატოლიის დაბაში, რომლისგანაც ხატმა სახელწოდება მიიღო, არსებობდა ბევრი პატიოსანი განძი, მრავალი განდეგილი იმყოფებოდა. ქართველი მეფეებისაგან თაყვანცემული ღვთისმშობლის ხატისათვის მისი სახელობის, ეკლესია აუშენებიათ და მისი დეკანოზიც იქვე დაუსახლებიათ. და სოფელი, რომელსაც ოქონა ეწოდა, დეკანოზს უბოძეს. ასე გრძელდებოდა მანამ, ვიდრე მეფე თამარი თავის საყვარელი ნაჭარმაგევის მშვენიერ და ნადირით სავსე ჭალას ესტუმრებოდა. იმ დროს სოფ. გარეჯვრის ქვემოთ მტკვრის ნაპირამდე მოსახლეობა არ ყოფილა გარდა ერთი განდეგილისა, სახელად ათანასიოსა. მის სანახავად მისულმა თამარ მეფემ იხილა კლდის ბორცვი ტონთიოდ სახელდებული, მოეწონა მისი მდებარეობა და ბუნება, გააკაფინა მაღალი კლდის ბორცვის შემოგარენი და ააშენებინა ოქონის ღვთისმსობლის ეკლესია. ამის შემდეგ მეფემ საბერძნეთიდან მოაყვანინა გარსევანიშვილების ნათესავი და აქ, შემდგომი დროის ქ. გორში დაასახლა[1].

სიგელში ოქონის ხატის საქართველოში ჩამობრძანების და სოფელ ოქონაში მისი სახელობის საყდრის დაარსების ლეგენდაა გადმოცემული. ბუნებრივია, იმავე სოფელში დაასახლეს მისი დეკანოზი გაბრიელი. ბიზანტოლოგი თ. მესხი კი ფიქრობს, რომ ოქონის ხატის დეკანოზი სატახტო ქ. ქუთაისიდან სოფელში გაასახლეს ელენე დედოფლის გარდაცვალების შემდეგ[2]. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ შუა საუკუნეებში ეკლესიების მშენებლობის ტემპებს, დასაშვებია, რომ მშენებლობის დასრულებას ელენე დედოფალი ვერ მოესწრო. როგორც ცნობილია, ის საქართველოში ჩამოსვლიდან მცირე ხანში გარდაიცვალა. ასე, რომ იმის თქმა, თითქოს ელენეს გარდაცვალების შემდეგ, *„რაკი ქუთაისის სასახლეში დეკანოზის ფუნქცია ამოიწურა,*

---

[1] *გსიემ, №7636/10.*

[2] *მესხი თ., ოქონის ხატის რაობისა და ისტორიისათვის, გვ. 44.*

ბაგრატ მეფემ ის, სათანადო პატივით სოფელში დაასახლა“, დაზუსტებას მოითხოვს.

რა შეიძლება ითქვას ელენეს მზითევში დასახელებულ ორ ხატზე (სავსებით მოსალოდნელია, რომ იმ ხატების გარდა კონსტანტინოპოლიდან სხვებიც გამოეტანებინათ)? უეჭველია, რომ ვახტანგ VI-ის გუჯარში, რომელიც, როგორც ითქვა, მთლიანად შეტანილია გარსევანიშვილების საგვარეულო ნუსხისათვის დართულ „ა“ სქოლიოში, ლაპარაკია ორ ხატზე, რაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სხვა დოკუმენტებითაც დასტურდება: ***ერთია ოქონის ხატი, რომელზეც, არ არის ცნობილი, რა იყო გამოსახული.*** რაც შეეხება ***მეორე, ასევე ოქონური წარმოშობის ღვთისმშობლის ხატს***, თითქოს ყველაფერი გარკვეულია. არსებობს სხვა *„ოქონის“* ხატებიც, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ხერხდება იდენტიფიკაცია, რომლები იყო ელენეს ნამზითევი. უფრო მეტიც, მათ შორის არც ერთი არ არის ღვთისმშობლისა[1].

სიგელის მიხედვით დაბა ოქონია, სადაც ხატები დაიწერა, სახელგანთქმული იყო თავისი სიძველეებით. იმ ადგილსაც, სადაც კონსტანტინოპოლიდან ჩამობრძანებული ხატები პირველად დაასვენეს და დეკანოზსაც ბინა მიუჩინეს, ხატების წარმომავლობის მიხედვით ეწოდა ოქონა. ეს არის ფრონეს ხეობის სოფელი ოქონა, სადაც ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, *„ავლევს ზეით, ფცის წყლის აღმოსავლეთ, არს ოქონას მონასტერი, დიდი, გუმბათიანი, არამედ უცხო არს, რამეთუ ძვრისაგან წახრით მდგომარეობს ჩრდილოთკენ და არა დაირღუევის, ადგილსა შუენიერს, წყაროიანსა“*[2].

პირველი ხატის სახელის ეტიმოლოგიაზე საინტერესო ჰიპოთეზა წამოაყენა ქალბატონმა თამარ მესხმა თავის ახლახან გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში, რომელშიც გონებამახვილურად ერთმანეთთან დააკავშირა მთავარ ანგელოზ მიქაელის მიერ იკონიის მახლობლად კოლასეში მოხდენილი სასწაული და თამარ მეფის დროს ხატების გორში გადმოსვენების ლეგენდა. იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სახელწოდება *„ოქონა“* მოდის მთავარ ანგელოზ მიქაელის ბერძნული სახელწოდებიდან[3].

---

[1] *იქვე, გვ. 82.*

[2] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 375-376.*

[3] *მესხი თ., ოქონის ხატის რაობისა და ისტორიისათვის, თბ., 2012, გვ. 22-26*

მიქაელ მთავარანგელოზის თაყვანისცემა მართლმადიდებელ ეკლესიაში მოდის უძველესი დროიდან[1]. *მისი ხსოვნა აღინიშნება* 8 *ნოემბერს*[2] *და* 6 *სექტემბერს. ამჯერად განსაკუთრებით საინტერესოა* 6 *სექტემბრის „ხს[ენება] საკვირველებისა, ქმნილისა მთავარანგელოზისა მიქაელის მიერ კოლასეს შინა, რომელ არს ხონა“. „იოანე მახარებელი ჰიეროპოლისში წავიდა. ილოცა და იწინასწარმრტყუველა, რომ მიქაელ მთავარანგელოზი განსაკუთრებული მადლით აღავსებდა და სასწაულს მოახდენდა. მართლაც გარკვეული ხნის შემდეგ იოანე მახარებლის წინასიტყვაობა აღსრულდა. ჰიეროპოლისის მახლობლად აიაზმის წყალი აღმოცენდა. ვინც კი ამ წყალს რწმენით დაეწაფებოდა, მაშინვე ყოველგვარი დაავადებისაგან იკურნებოდა. ამიტომ იმ ადგილზე მიქაელ მთავარაანგელოზის სახელზე ააგეს ტაძარი*[3]*, რომელშიც იღვწოდა ახალგაზრდა სასულიერო პირი, სახელად არქიპო. ქრისტიანთა მტრებმა ჯერ არქიპოს მოკვლა განიზრახეს, შემდეგ კი – აიზმის წყლის გაქრობა. მიზნის მისაღწევად სხვადასხვაგვარ მავნე ხერხს მიმართეს. მდინარეს, რომელიც საკურთხევლის მახლობლად მიედინებოდა, კალაპოტი შეუცვალეს, რათა აიზმის წყალი შერთვოდა, ძალა დაეკარგა და ხალხი ვეღარ განეკურნა. მაგრამ მდინარე საწინააღმდეგო მიმართულებით წავიდა. მიუხედავად პირველი წარუმატებლობისა, ქრისტიანობის მტრებს ბოროტი განზრახვისათვის თავი არ დაუნებებიათ. ამის შემდეგ მათ ორ სხვა მდინარეს შეუცვალეს კალაპოტი და ზედ ტაძარზე მიაგდეს, რათა აიზმის წყალთან ერთად, ტაძარიც შეემუსრათ. წყალი ტბორავდა მიდამოს და ტაძარს წასალეკად ემუქრებოდა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა მიქაელ მთავარანგელოზი, ხელის აპყრობით ჯვარი გამოსახა და მდინარეს დგომა უბრძანა. შემდეგ კი, იმავე გზით, ჯვარი კლდეზე დაბეჭდა. იქაურობა შეძრა ჭექა-ქუხილმა, რასაც დიდი მიწისძვრა მოჰყვა და კლდე ორად განიპო. მთავარ ანგელოზმა ბრძანა:* **„ამას დანახეთქსა შინა**

---

[1] მიქაელ მთავარანგელოზი სამჯერ მოიხსენიება ძველსა და ახალ აღთქმაში: დანიელ წინასწარმეტყველთან და იოანე ღმთისმეტყველის გამოცხადებაში.

[2] *„კრება წმიდისა მთავარანგელოზისა მიქაელისა და სხვათა უხორცოთა ზეცისა ძალთა: გაბრიელისა, რაფაელისა, ურიელისა, სელაფიელისა, ეგუდიელისა, ვარახიელისა და იერომიელისა“.*

[3] ტაძრის აგების შემდეგ ხონე საეკლესიო ცენტრად გადაიქცა. *იქვე, გვ. 28.*

დაინთქენ ამიერითგან მდინარენი! *და ესრეთ საკვირველებით ბრძანებული იგი საქმე იქმნა“*[1].

რაც შეეხება ხატის სახელს (ოქონა), თ. მესხის თანახმად, მიღებულია ართრონისა (ო) და სიტყვა ხონიატე–ს შერწყმის შედეგად. მკვლევარი დაასკვნის: *„ამრიგად,* ***ელენე დედოფლის მზითევში ნახსენები „ხატი ოქონისა“ არის ხატი ხონეს სასწაულისა (ე.ი. მიქაელ მთავარანგელოზის გამოსახულება) და არა სპილოს ძვლის ტრიპტიქონი.*** *რადგან ტრიპტიქონის ტიპის ხატებს თავისი სახელწოდება აქვს –* ***„დეისუსი“****, ანუ* ***„ვედრება“***[2]*.* ვიზიარებ თ. მესხის მოსაზრებას[3] და საფიქრებელია, რომ სპილოს ძვლის ტრიპტიქონს და ზოგიერთ სხვა ხატსაც ოქონისა ეწოდა მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი ამ სახელწოდების ეკლესიაში იყვნენ დასვენებული.

როცა XVIII საუკუნემდელ დოკუმენტებში ლაპარაკია ოქონის ხატზე (მისდამი მიმართვა, თხოვნა, შეწირვა...), ჩემი დაკვირვებით, ***იგულისხმება ოქონის ეკლესია, ამავე სახელობის ხატით მაგრამ არა ღვთისმშობლისა.*** ამ მოსაზრებაში დასარწმუნებლად გავეცნოთ ერთი დოკუმენტის ფრაგმენტს, რომელშიც ღვთისმშობლისა და ოქონის ეკლესიები სხვადასხვა ეკლესიებად არის წარმოდგენილი: *„იესე (გარსევანშვილი – ე.მ.) დეკანოზი გარსევან დეკანოზის ძე იყო მოძღვარი მეფის ვახტანგის მეექვსისა ლეონის ძისა, ჰსჯულისმდებელისა...; ამან იესემან... განაახლა დაქცეული* ***ეკკლესია გორის ღვთისმშობლისა*** *აღშენებული თამარ დედოფლისაგან, ჩრპ*[სა] *წელსა...* ***გაუკეთებინა ოქონის ეკკლესიასა კანკელი, ახლად აღუშენა სამრეკლო პირველი მისსა აღშენებული,*** *1603 წ. დეკანოზისა მარკოზისაგან და ოდეს გარდაიცვალა,* ***დაეფლა პირის პირ ხატისა ოქონიისა, მისვე (ოქონის – ე.მ) ეკკლესიასა*** *შინა, რომელსა აქვს ზედაწარწერილი ქვაცა წითელის კლდისა...* ***ამისვე იესე დეკანოზისა მამაპაპათა მეფეთა უბოძეს მეფეთა: სჯმონ პირველმან და როსტომ***

---

[1] *თხრობაჲ ზოგებითი სასწაულისა მის ქმნილისაჲ ყოვლად დიდებულისა მიერ მიქაელ მთავარანგელოზისა ხონელთა შორის //ძველი მეტაფრასული კრებულები (სექტემბრის საკითხავი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და საძიებელი დაურთო ნ. გოგუაძემ, თბ., 1986, გვ. 84-89.* ვისარგებლე თ. მესხის დასახელებული ნაშრომით, *გვ. 24-25.* ხაზგასმა თ. მესხისა.

[2] *მესხი თ., ოქონის ხატის რაობისა და ისტორიისათვის, გვ. 33, 36.* ხაზგასმა ქ-ნ თამარ მესხისა.

[3] *იქვე, გვ. 37.*

პირველმან... ოქონის ეკლესია, აღშენებული ჟამსა თამარ დედოფლისა, უმემკვიდროდ გარდაცვალებულის აზნაურის დონაშვილისაგან, რომლისაცა დროსა იქმნა ოქონის ხატი გარდმოსვენებული, ამ აწინდელს ეკკლესიაში, ციხის ღვთისმშობლის (ოქონის ხატის სახელსა ზედა) აღშენებულის ეკკლესიიდამ. რომელიცა მას დროსა შინა, შემთხვევით, ჟამთა ვითარებისა გამოსვენებულა, გორის ღვთისმშობლის ეკლესიაში და იქიდამ აღდგომის მესამეს დღესა, გადმოუსვენებიათ ოქონაში, *ვითარცა გადმოგვცეს ზეპირად წინაპართა ჩვენთა“*[1].

ამგვარად, როგორც ალ. გარსევანიშვილს თავისი წინაპრებისგან ზეპირი გადმოცემით მოუსმენია, XVIII ს. პირველი ნაახევრის მოღვაწე იესე გარსევანიშვილს, ოქონის ეკლესიისთვის კანკელი და დეკანოზ მარკოზის მიერ 1603 წელს აშენებული სამრეკლო აღუდგენია. ოქონის ეკლესიისადმი იესეს ყურადღება და ზრუნვა იმით იყო განპირობებული, რომ ქართლის მეფეებმა მის წინაპრებს უბოძეს თამარის მეფობის დროს უმემკვიდრეოდ გარდაცვლილი აზნაურ პეტრე დონაშვილის მიერ აშენებული ოქონის ეკლესია. დონაშვილის დროს მოხდა ოქონის ხატის გადმოსვენება *„აწინდელ“* ეკლესიაში. რადგან, ალ. გარსევანიშვილი იგივეს მოგვითხრობს 1868 წელს *„ცისკარში“* გამოქვეყნებულ თავის წერილში, მაშასადამე *„აწინდელში“* ის გულისხმობს იმ პატარა ძველ ეკლესიას, რომელიც აგრეთვე ოქონის ეკლესიად იწოდებოდა. ჩემი აზრით ის არის აღბეჭდილი დ. ერმაკოვის მიერ გადაღებულ (XIX ს. 80-იანი წლები) ფოტოზე, განახლებული ოქონის ეკლესიის მახლობლად მარცხნივ (იხ. ფოტო)

თამარ მეფის დროსვე, 1189 წელს, დაწესებულა ოქონის ეკლესიის ხატის დღესასწაული აღდგომის მეორე დღეს, ხოლო ღვთისმშობლისა მესამე დღეს.

იმავე დროს მეფემ, დეკანოზ გარსევანს, უბოძა ***ოქონის „აწინდელი“ ხატი და გორის ღვთისმშობლის, ოქონის ხატისა და ციხის ეკლესიების მცველობა***[2]. ალ. გარსევანიშვილი სიამაყით აღნიშნავდა ამ ფაქტს (დასახელებული ეკლესიების მცველების პრივილეგია რომ ჰქონდათ მინიჭებულ გარსევანიშვილებს) და მიუთითებდა მეფეთა სიგელებსა და *„ქართლის ცხოვრებაზე“ იმათ* ვისაც შეიძლებოდა ეჭვი გასჩენოდათ მისი ნათქვამის ჭეშმარიტებაში. მაგრამ *„ქართლის*

---

[1] *გსიემ, №162. ყველა ხაზგასმა ჩემია.*

[2] *გარსევნიშვილი ალ., ქალაქი გორი და სასწაულ-მოქმედი ოქონის ღვთისმშობლის ხატი, ჟურნ. „ცისკარი“, 1868, №2.*

ცხოვრებაში“ ვერავითარ ცნობას ვერ ვნახულობთ, ზოგადად, გარსევანიშვილების შესახებ. რაც შეეხება სიგელების ცნობებს, ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი: როგორც 1582 წლის სიგელიდან ირკვევა, გარსევანიშვილების გვარს დიდი ხნის წინათ უკვე ჰქონებია გორის, ციხისა და ოქონის ხატის დეკანოზობა, მეფე სვიმონ I-მა და მისმა ძმა ვახტანგმა ამ სიგელით განუახლეს და დაუმტკიცეს ის, რაც მათ წინაპრებს ჰქონდათ. სიგელში ვკითხულობთ: *„ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ და ვჰქენით მოკითხული და სიგელიც გინახეთ და კურთხეულთ პაპათა და მამათა ჩუენთაგანც მკუიდრად ოქონის ხატის დეკანოზობა და სადეკანოზო თქუენ გქონებოდა და აწე ჩუენცა შეგიწყალეთ და სიგლითა ამით განგიახლეთ და* ***დაგიმკუიდრეთ კარისა ჩუენისა და ოქონის ხატის დეკანოზობა*** *შენ, კარის დეკანოზს ფილიმონს და მომავალთა სახლისა შენისათა ყოველთავე ასრე... ესე ჩუენგან ნაბოძვარი არა მოგეშალოს არა ჩუენგან და არცა ჩუენთა ნათესავთაგან...* ***გორის, ციხისა და ოქონის ხატის დეკანოზობა*** *და სადეკანოზო,* ***რაც ძველთაგან ყოფილიყოს*** *შენ ფილიონს და მომავალთა შენთა...“*[1]

1725 წლის 20 ნოემბერს ვახტანგ VI-მ, მისმა მეუღლემ, დედოფალმა რუსუდანმა და უფლისწულებმა – ბაქარმა და გიორგიმ კარისა და ოქონის დეკანოზს გიორგი გარსევანიშვილს, მის ძმებსა და შვილებს განუახლეს წინაპართა მიერ მინიჭებული მთელი რიგი პრივილეგიები და მასთან ერთად უფლება-მოვალეობანი. სიგელის გამცემნი გარსევანიშვილებს მიმართავენ: *„ჩვენის კარისა თუ საიდუმლოს შინათ სადარი თქუენ უნდა გებაროსთ და უფროსნ დეკანოზნით თქუენ იყუნეთ, კლიტეც თქუენ გებაროსთ და თქუენს უნებური იმ საყდარში არ იქნებოდეს“*[2].

კარის, გორისა და ოქონის ხატის დეკანოზს *„კურთხევის წიგნი“* (უთარიღო, სავარაუდოდ 1727-1728 წწ.) უბოძა *„ქართლისა, კახეთისა და სამცხე-საათაბაგოს“* კათალიკოს-პატრიარქმა დომენტი IV-მ[3].

„მაშ ამათი მამული სხვისა რათ იქნებოდა, რადგან ასე იყო და კუალად ხატიც თან გვახლდა და დეკანოზნიც ჩვენი ჯვარისმტვირთველნი არც ამ ჩვენს სასოებას ხატს ეკადრებოდა და ვერც მისნი დეკანოზნი რჩებოდნენ...“[4] აცხადებს მეფე ვახტანგ VI. რამ-

---

[1] *გსიემ, №190ა*

[2] *გსიემ, №191.*

[3] *გსიემ, №173.*

[4] *იქვე, №169.*

დენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც გარსევანიშვილი ოქონის ხატის დეკანოზი და ჯვარისმტვირთველიც არის.

იგივე მეფე ბრძანებს, რომ გარსევანიშვილს *„არავინ შეეცილოს და მოუშალოს. შეგვიწირე შენ მრავალნაწილო ოქონის ხატო, ჯვარო ცხოველმყოფელო...“*

1745 წელს კახეთის მეფე თეიმურაზ II-მ გიორგი გარსევანიშვილს განუახლა *„უცვალებელი სიგელი... კარის და ოქონის ხატის და ჯვარისმტვირთველს დეკანოზს გარსევანისშვილს გიორგის და შვილსა შენსა გრიგოლს და ანდრიას და შვილსა და მომავალთა სახლისა შენისა...“*[1]

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას *„კარის“* ეკლესის შესახებ, რომელზეც დოკუმენტებშია აღნიშნული. 1791 წ. შედგენილი *„განწესებანი საქართველოს მეფის ირაკლისნი ძეთა თჳსთადმი სამეფოისათჳს საქართველოჲსა“*, არსებული ჩვეულებიდან გამომდინარე, აკანონებს, რომ კარის ეკლესიები იყო თბილისში, თელავსა და გორის ციხეში, *„რომ ეს ეკლესიანი ყველა ძმებისა საერთო არის და, რომელიც მამისა და პაპის ჯვარნი, ხატნი და სიწმინდის იარაღნი აქვნდეს ყველა, რომელიც რომელსაც ეკლესიაში ყოფილიყოს, იქავ უნდა იყოს“*[2]. მაშასადამე, ერეკლე II კარის ეკლესიაში გულისხმობს გიორგი ძლევამოსილის, ანუ ადრინდელ ოქონის ეკლესიას.

მოღწეულია გორის ოქონის ხატის ძალიან მწირი აღწერილობები, რომლებიც სხვადასხვა მკვლევარს ან მოგზაურს ეკუთვნის. XIX საუკუნემდე არ არსებობს ქართული წყარო, რომელშიც რა-იმე არის ნათქვამი გორის ოქონის ხატის სიუჟეტის შესახებ. რადგან ზუსტად არ ვიცით გარეგნულად როგორი იყო ოქონის ხატი ამან წარმოშვა სხვადასხვა, ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები და ვარაუდები.

1846 წლის სექტემბრიდან 1847 წლის ივლისამდე, საქართველოსა და სომხეთში იმოგზაურა ცნობილმა საეკლესიო მოღვაწემ და ისტორიკოსმა, მომლოცველმა და მოგზაურმა, საიმპერატორო აკადემიის საპატიო წევრმა ალექსანდრე ნიკოლოზის ძე მურავიოვმა. ა.

---

[1] *გსიემ, 156.*

[2] *ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 511.*

მურავიოვი, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ არსებული ქართული სიძველეების კარგი მცოდნე იყო[1].

მან საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ოქონის ეკლესიისა და იქ დავანებული ოქონის ხატის შესახებ: *„გორის რვა სხვადასხვა აღმსარებლობის ეკლესიებს შორის ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია თავისი იმ ძვირფასი სიწმინდით, იმან რომელშიც მეექვსე საუკუნიდანაა დაცული, როცა საქართველო ბერძენ იმპერატორებს ემორჩილებოდა. ქრისტიანობის გავრცელებისათვის ბევრის მზრუნველმა დიდმა იუსტინიანემ ივერიის მბრძანებელ სტეფანოზს, რომელიც (ბიზანტიის – ე.მ.) კარის მაღალ წოდებაში აამაღლა, გამოუგზავნა* ***დასაკეცი, ტილოზე დახატული დეისუსი, ე.ი. მხსნელი, რომლის აქეთ-იქით არიან ღვთისმშობელი და წინასწარმეტყველი****. ის აქამომდე ინახება მიძინების ეკლესიაში საოცრად დაუზიანებელი, თუმცა ნაწილობრივ საღებავი აცვივდა. მხატვრობა გამოირჩევა ეგრეთ წოდებული ბიზანტიური, X საუკუნის, ნათელი კოლორიტით და უფრო სასიმოვნო ნაკვთებით. არ ვიცი ქართველები ხატს რატომ უწოდებენ „ოკონიოს“-ს, რომელიც [შეიძლება წარმოსდგება] ბერძნული სიტყვა „იკონა“-დან?“*[2]

გრაფინია პრასკოვია უვაროვა როცა სოფ. ოქონას ეწვია, მას იქ დახვდა ძველი ეკლესიის ნანგრევები. ახალ ეკლესიაში კი დაცული იყო ორი ხატი: ღვთისმშობლის ჭედური, მოოქროვილი, მაგრამ უხეში ნამუშევარი, რომელიც მკვლევარის აზრით, ქართული ნახელავი უნდა ყოფილიყო. ხატს ჰქონდა მხედრული წარწერა. იქვე იყო ტრიპტიქი, მის უკანა მხარეს ყოფილა ხუცური წარწერა, რომლის ამოკითხვა ვერ მოხერხდა.

გორის ოქონის ეკლესიაში დაცული მხატვრული ტრიპტიქი, როგორც პ. უვაროვასთვის უთქვამთ, გადმოუტანიათ ოქონის ძველი ეკლესიიდან და მასზე გამოხატული იყო დეისუსი – სამი ხატი: მაცხოვარი, ღმრთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი. ეს ხატი, უვაროვას ვარაუდით, შეიძლება მართლაც ბიზანტიური წარმოშობისა, მაგრამ შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი და არც ძალიან ძველი იყო[3].

---

[1] იხ. მისი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წიგნი: *Муравьев А. Н., История святого града Иерусалима, ч. 1-2, СПб., 1844.*

[2] *Муравьев А. Н., Грузия и Армения, ч. III, с. 93-94.*

[3] *Кавказ. Рача. Горийский уезд. Гори. Осетия. Пшавия, Хевсуретия и Сванетия. Путевые заметки графинии Уваровой, с. 88-90.*

ა. მურავიოვმა და პ. უვაროვამ, როგორც ჩანს ტაძარში დაცულ ორი სხვადასხვა ტრიპტიქი ნახეს. პ. უვაროვამ არ იცოდა, რომ 1850-იანი წლებისათვის ხატი იმდენად დაძველებულა, რომ გამოსახულებები აღარ ჩანდა. 1856 წ. მეფისნაცვალ ნ. ნ. მურავიოვის ნებართვითა და პეტერბურგის მიტროპოლიტის ისიდორეს ბრძანებით ხატი თავად გოლიცინს სპეციალური სითხით გაუწმენდია. 1863 წ. მღვდელმა იესე იაკობის ძე გარსევანოვმა XIX ს. 50-60 წლების მიჯნაზე მოინდომა ოქონის ხატის ვერცხლით მოჭედვა და ოქროს წყლით დაფარვა[1]. დოკუმენტებში არ ჩანს შეძლო თუ არა იესემ განზრახვის შესრულება, მაგრამ ალ. გარსევანიშვილი გვამცნობს, რომ იესემ მიზანს მიაღწია იმავე წელს: *„ხატსა ზედა ოქონისას, მეტის სიძველისგან სახენი აღარ სჩანდნენ. მისთვის წელსა 1856, ნებით ყოვლის მთავარ-მართებლის აწინდელი პეტერბურგის მიტროპოლიტის ისიდორესითა, მოაცხოვლა სახენი ხატისანი წამლით, თვით მან მხატვარმან რომელმანც განაახლა ძველი, ქართული მხატვრობაჲ ტფილისის სიონის სობოროსა შინა, თავადმა გალიცინმა[2]. ხატი ოქონიისა, წელსა 1863, ვერცხლით შეაჭედინა და ოქროს წყლით დააფერვინა, თავისის ხარჯით, აწ გარდაცვალებულმა ქართულის ენის ღრმად მეცნიერმან, მღვდელმან იესე იაკობის ძემან გარსევანოვმა....“*[3]

---

[1] ქვემოთ იხ. იესე გარსევანიშვილის რუსულად დაწერილი მიმართვა (1863 წლის 8 ივლისსა და იმავე წლის 20 აგვისტოს) ქართლისა და კახეთის ეგზარქოს ევსეისადმი ოქონის ხატის ვერცხლით შემკობისა და შემდეგ მოოქროვის შესახებ.

[2] ალ. გარსევანიშვილი სცოდავს. ის ვინც სიონის ტაძარი მოხატა იყო ცნობილი რუსი მხატვარი გრიგორი გაგარინი (1810-1893). მან 1832 და 1837 წლებში იმოგზაურა აღმოსავლეთის ქვეყნებში. გატაცებული იყო ხატწერის ბიზანტიური სტილით. გ. გაგარინი 1848-1854 წლებში ცხოვრობდა თბილისში ოჯახთან ერთად. მისი მეუღლე იყო სოფია დაშკოვა. 1850-იანი წლების დასაწყისში მან მოხატა თბილისის სიონის ტაძარი, სადაც დღემდეა შემონახული მისი ნახელავი ფრესკები. მან მოხატა თბილისის ძველი საოპერო თეატრი, რომელიც ხანძარმა გაანადგურა. მან მხატვრულად გააფორმა გიორგი ერისთავის ორი სპექტაკლი, დახატა გენერალ-ლეიტენანტ დავით ჭავჭავაძის (1818-1884), ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟის, გენერალ-მაიორ მამუკა ორბელიანის (1800-1871) და მართა სოლოდაშვილის პორტრეტები.

[3] *გარსევანიშვილი ალ., ქალაქი გორი და სასწაულმოქმედი ოქონის ღვთისმშობლის ხატი // ცისკარი, 1868, №2.* თ. მესხი ფიქრობს, რომ ოქონის

ალ. გარსევანიშვილის აღწერით, ოქონის ხატი იყო ხის სამკარიანი, ერთიმეორეზე რკინის ანჯამებით გადაბმული. შუაში მაცხოვარი, მარჯვნივ ღმრთისმშობელი, მარცხნივ იოანე ნათლისმცემელი. მისივე თქმით, *„ნამდვილი ხატი ღვთის-მშობლის, იკონიის ქალაქიდამ მოსვენებული, არის აწინდელი გორის ოქონის ღვთის-მშობელი, რომლის ტაძარი არის გორის მიძინების პრიხოდის ეკლესია – ოქონა“*[1].

მაშასადამე ალ. გარსევანიშვილი და პრასკოვია უვაროვა ერთსა და იმავე ხატს აღწერენ. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ადრეულ პერიოდში ორ სხვადასხვა ხატზე – ოქონისა და ღვთის-მშობლისას არსებობაზე იყო აღნიშნული, გამოდის, რომ ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, ოქონის ის ხატი, რომელზეც გამოსახული იყო მთავარანგელოზი მიქაელი და რომელსაც გვთავაზობს თ. მესხი, დაიკარგა ან განადგურდა, ჯერ კიდევ მანამდე ვიდრე მას სვიმონ მეფე იმერეთში წაიმძღვარებდა. იმერეთში მან სხვა ხატი – ოქონის ჯვარცმის ოქროს ხატი წასვენა, რომელიც გორში დააბრუნა და კვლავ გარსევანიშვილებს ჩააბარა შაჰნავაზმა. თ. მესხის აზრით, ის საბუთები, რომელებიც ოქონის ხატის შესახებ შეიცავენ ცნობებს, ძირითადად XVII-XIX საუკუნეებს განეკუთვნება. იმ დროისათვის ნამდვილი ოქონის ხატის რაობა დავიწყებული იყო. ამასთან, იმავე საბუთებში, ერთი მხრივ, ვედრების ხატია აღწერილი, მეორე მხრივ კი, ნამდვილ ოქონის ხატად ღმრთისმშობლის ხატი სახელდება. მკვლევარის თანახმად, სწორედ ამის გამო დამკვიდრდა თვალსაზრისი, რომ თამარ მეფემ გორაკ ტონთიოზე ეკლესია ღმრთისმშობლის სახელზე ააგო[2].

ვფიქრობ, ***ის ხატი, რომელიც ელენეს მზითევში მოჰყვა და თ. მესხის თანახმად მასზე გამოსახული იყო მეფეთა მფარველი მთავარანგელოზი მიქაელი, ქვეყნის ძნელბედობისას დაიკარგა. იგი XIV საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ აღარ ჩანს და მხოლოდ დაახლოებით ორი საუკუნის შემდეგ, XVI საუკუნის მეორე***

ხატი ვერცხლით მოაჭედინა თავადმა გრიგორი სერგეის ძე გოლიცინმა, რაც სიმართლეს არ შეეფერება. *მესხი თ., ოქონის ხატის რაობისა და ისტორიისათვის, გვ. 94.* სიმართლეა ის, რომ იესე გარსევანიშვილმა დიდი წვალების შემდეგ შეძლო თავისი ოცნების ასრულება. ვრცლად ქვემოთ.

[1] *„ცისკარი“, 1867, №2, გვ. 3.*

[2] *მესხი თ., ოქონის ხატის რაობისა და ისტორიისათვის, გვ. 56.*

ნახევრის დოკუმენტებში ჩნდება სვიმონ I-ს დროს. შეიძლება გავიხსენოთ რამდენი უბედურება გადაიტანა გორმა დროის ამ მონაკვეთში. არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ძვირფასი ხატი დაკარგულიყო. ***ამის შემდეგ მოხდა მისი სხვა, იმავე სახელწოდების, ძვირფასი ხატით ჩანაცვლება. მასაც საკმაოდ რთული თავგადასავალი ჰქონდა: დაახლოებით 70 წლის განმავლობაში „დატყვევებული“ იყო დასავლეთ საქართველოში. იგი შაჰნავაზმა დაიხსნა, შემდეგ კი მისმა შვილიშვილმა მეფე ვახტანგ VI-მ რუსეთში წაიღო და მისი საქართველოში დაბრუნება მოხდა მხოლოდ XIX ს. ბოლოს.***

ცნობილი არ არის როდის აიგო გორის ოქონის ღვთისმშობლის ეკლესია, ან ხატი როდის გადმოიტანეს გორში. როგორც ითქვა, დ. ბაქრაძეს, პ. უვაროვას და მ. ჯანაშვილს მიაჩნდათ, რომ გორის ოქონის ეკლესია XVII ს. უნდა აეშენებინათ. მათ შეიძლება ის ეკლესია ჰქონდათ მხედველობაში, რომელიც გორში იდგა XIX საუკუნის 80-იან წლებამდე, ე.ი. ძველი, პატარა ოქონის ეკლესია. მაგრამ ერთი რამ ცხადია: შაჰნავაზმა ტყვეობიდან დახსნილი ხატი თავის სასახლეში დაასვენა და არა ტაძარში, რაც მაფიქრებინებს, რომ ოქონის წინასასვენი ხატი წინათიც მეფის სასახლეში ესვენა. ვახტანგ VI-ის 1708 წლის ოქონის გუჯარში ვკითხულობთ: *„ოდეს სულით გაბრწყინებული მეფე სვიმონ ოფისკეჭს შებმული იყო და მარცხდებოდა მეფის ალექსანდრეს მიერ... წინა სასვენ ოქონის ხატი იქ დარჩომოდათ და იყო ვიდრე შაჰნავაზ მეფემდე... მეფეს პატრონს შაჰნავაზს იმერეთ-ოდიში და გურია დაეპყრა და დაემონა* ***თავისი სამკვიდრო და ქართველთ საფიცარი და საესავი წინასასვენი ოქონის ხატი კვალად ეშოვნა გარდმოესვენებინა დიდის სურვილით და სასოებით თავის სახლში დაესვენებინა***“[1]. ამ გუჯარში დასახელებული *„წინასასვენი ოქონის ხატი“*, ოქონის წინსასვენი ჯვარცმა იყო რომელსაც თავისი ეკლესია ჰქონდა და რომელსაც საჭიროებისდა მიხედვით ხან სასახლეში მიუჩენდნენ ადგილს ხან ბრძოლის ველზე და ა. შ. ასე იყო მანამდე ვიდრე მეფე ვახტანგი ამ ხატს რუსეთში წაიმძღვარებდა 1724 წელს. ის ქართული ნახელავი იყო და ამიტომ მასზე ბერძნულის კვალი არ ჩანს. არის მხოლოდ ქართული ასომთავრული და მხედრული წარწერები. ეს ხატი შეისწავლა ექ. თაყაიშვილმა. მის შესახებ ვრცლად ვიტყვი ქვემოთ.

---

[1] *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, III, გვ. 26.*

ციტატაში მოყვანილ ცნობებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ 1590 წ. სვიმონ I-მა სცადა იმერეთის სამეფოს დაპყრობა, მაგრამ ოფშკვითთან (ახლანდელ წყალტუბოს რაიონში) დამარცხდა და უკან გამობრუნდა[1]. ისიც უნდა ითქვას, რომ მაშინ იმერეთის მეფე იყო არა ალექსანდრე, არამედ როსტომი (1590-1605). გუჯარის მიხედვით, ოქონის ხატი 1590 წლიდან შაჰნავაზის მიერ იმერეთის დაპყრობამდე (1661 წ.) იქ ყოფილა, ამის შემდეგ, როგორც ვარაუდობდნენ, ხატი გორში უნდა გადმოეტანათ და მისი სახელობის ეკლესია აეშენებინათ. გუჯარის ინფორმაცია, და ბუნებრივია, მასზე დამყარებული მოსაზრებაც არასწორია. ასეთი დასკვნის უფლებას გვაძლევენ სხვა წყაროები. არის 1382 წლის 30 ივნისის საბუთი, რომლიდანაც ჩანს, რომ ოქონის ეკლესია გორში დიდი ხნის წინათ, თამარ მეფის დროიდან არსებობდა. *„ჴელმწიფემან მეფეთ მეფემან დავით*[2] *და ძეთა*

---

[1] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 418.*

[2] ამ დავითს ვხვდებით 1365 წელსაც, როცა ის ეზოს ჩურქჩარს პაპიას უბოძებს ქისიყისეულ მამულს გორში. *ხეც, Hd, №2193.* როგორც აღინიშნა სიგელის თარიღია 1382 წელი ამიტომ უნდა დადგინდეს რომელ მეფე დავითს ეკუთვნის სიგელი. ცნობილია, რომ დასახელებული წელი ჯდება მეფე ბაგრატ V-ის მეფობის წლებში (1360-1393). მაშ ვინ იყო *„მეფეთ მეფე“* დავითი რომელმაც უხვად უბოძა მამულები და ყმები ოქონის ეკლესიას, რომელიც თავს განიდიდებდა მრავლის მთქმელი ტიტულატურით: დავითი იესიან–დავითიან–სოლომონიან–პანკრატიანი, აფხაზთა, რანთა, კახთა, შაჰანშა და შირვანშა, საქართველოს მპყრობელი ხელმწიფე, მეფეთ-მეფე. მისი ბებიის ბებია იყო თამარ დედოფალი, შვილები – გიორგი და ალექსანდრე. მის მიერ გაცემული სიგელით თუ ვიმსჯელებთ, მისი მოქმედება ძირითადად შიდა ქართლით შემოიფარგლება. *პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით / გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბ., 1991, გვ. 267.*

მეფეთა მეფე დავითის ვინაობის, მისი მართველობის პერიოდისა და მისი სამფლობელოების შესახებ გამოთქმულია მრავალი მოსაზრება, მაგრამ საკითხი საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი. *იხ. კაკაბაძე ს., გენიალოგია დიდის ალექსანდრე მეფისა, ტფ., 1913, გვ. 28; კაკაბაძე ს., დავით უცნობი XIV ს. მეფე // წერილები და მასალები საქართველოს ისტორიიდან, წ. I, თბ., 1914, გვ. 140; ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი, ტ. III, თბ., 1979, გვ. 180. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVII სს.). / ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961, გვ. 28; ოდიშელი ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV-XVII სს.) // XIV-XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული*

ჩვენთა გიორგი და ალექსანდრე ვიგულეთ ვიგულისმოდგინეთ მას ჟამსა ოდეს საყდარი ოქონისა ბებიის ბებიასა ჩვენსა თამარ დედოფალს აღეშენა ქალაქსა გორისასა სანახებსა დაეხატა და შეემკო და შეეწირა სოფელი ხიდისთავი..."[1]. ეკლესიის არსებობაზე გვამცნობს, აგრეთვე ის სიგელიც, რომლის მიხედვით. გორის ოქონის ხატის დეკანოზს წყალობის სიგელი მისცა სვიმონ I-მა 1582 წ. 13 მარტს[2].

ოქონის ხატის[3] 1590-1661 წლებში იმერეთში ტყვეობას საეჭვოს ხდის ფ. გორგიჯანიძე როცა ამბობს, რომ 1599 წ. გორის ციხეში დატყვევებულმა მესხებმა ოქონის ხატზე დაიფიცეს და სვიმონსაც მოსთხოვეს ხატზე დაფიცება, იმ პირობით, რომ დანებებულებს ქართლის მეფე უვნებლად გაუშვებდა[4]. მეფემ შეასრულა მესხების მოთხოვნა. ამგვარად, დამატებითი ცნობების აღმოჩენამდე შეუძლებელია იმის თქმა რომელი წყარო ასახავს სინამდვილეს და სად იმყოფებოდა ხატი დასახელებულ პერიოდში.

დოკუმენტი, თბ., 1964, გვ. 78; კიკნაძე ვ., საქართველო XIV საუკუნეში, თბ., 1989, გვ. 38; ნინიძე დ., პროვინციის მეფეები XIV-XV სს. საქართველოში (ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიისათვის), თბ., 1995, გვ. 59, 60, 73; ალიმბარაშვილი ი., კიდევ ერთი დავით „მეფეთ-მეფის" რი-გითობისა და ვინაობის საკითხისათვის // გორის უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული, №1, თბ., 2011, გვ. 12-23.

[1] *გ სიემ, №7601/30.*

[2] *გ სიემ, №192ა.*

[3] თ. გოგოლაძე და ნ. ბელენკო-გოდერძიშვილი ვარაუდობენ, რომ იმერეთში სვიმონ მეფეს შეიძლება თან ახლდა ოქონის სპილოს ძვლის ტრიპტიქონი და მეფეთა წინასასვენი ჯვარცმა, რაც ჩემი აზრით საეჭვოა. წინასასვენი ჯვარცმის ხატის მთელი ოდისეა დასავლეთ საქართველოში აისახა მასზე წარწერებში, მაშინ, როდესაც ტრიპტიქზე, მხოლოდ ერთი, ევდემონ კათალიკოზის (1630-1643) წარწერაა: *„ოქონის ხატო, შეიწყალე კათალიკოზი ევდემონ უღირსი, ამინ".* ამ ორ ხატს ფუნქციურად სრულიად განსხვავებული დატვირთვა ჰქონდა. წინასასვენი ხატი ომში და სხვა ღონისძიებების დროს მეფეს ყოველთვის თან ახლდა. წინასასვენი ხატის დანიშნულებაზე ვრცლად ვილაპარაკებ შემდგომში.

[4] *გ სიემ, №165, 169, 220-221.*

ხატი „ოქონის ღვთისმშობლის“ სამკარედიანი, მარცხნივ გამოსახულია ღვთისმშობელი, შუაში იესო, მარჯვნივ იოანე ნათლისმცემელი[1].

უცილობელი ფაქტია, რომ სვიმონ I-მა იმერეთში დაკარგა ოქონის ჯვარცმის წინსატარებელი ხატი, რაზეც მეტყველებს თვით ხატზე გაკეთებული წარწერები. ხატი დასავლეთ საქართველოში დარჩა 1661 წლამდე, ვიდრე მას გორში დააბრუნებდა ვახტანგ V შაჰნავაზი. მაშ რომელ ხატზე დაიფიცეს მესხებმა და სვიმონ მეფემ?

ამასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება გამოსთქვა იოსებ ალიმბარაშვილმა: ხატი რომელზეც მოხდა დაფიცება, უნდა ყოფილიყო ოქონის ეკლესიის სხვა რომელიმე ხატი[2], რომელიც ასევე ოქონის ხატად მოიხსენიებოდა. ერთ-ერთი ოქონის სამკარედიანი ხატი, *„ვედრების ჩინი“*, რომელიც სპეციალისტებს XVI საუკუნისად მიაჩნიათ, ამჟამად დაცულია გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში[3].

---

[1] გსიემ 3665.

[2] *ალიმბარაშვილი ი., ოქონის ხატებისა და ტაძრების ისტორიიდან, გვ. 16-17.*

[3] *ბაკურაძე თ., ოქონის სამნაწილიანი ხატის რესტავრაცია და ვიზუალური კვლევა, გვ. 125-130. მუზეუმში დაზული, აგრეთვე ოქონის ეკლესიის სახვა ხატებიც:* გსიემ 5875 – ხატი „ღვთისმშობელი ყრმა იესოთი“, რუსული; გსიემ 5881 – ხატი „ამაღლება ქრისტესი“ შესრულებულია ბრონზით; გსიემ 5873 – ხატი “გარდამოხსნა იესო ქრისტესი” შესრულებულია ხეზე; გსიემ 5872 – ხატი “ჯვართამაღლებისა”. გსიემ 5891 – ხატი “ყაზანის ღვთისმშობლისა” მარცხნივ რუსული წარწერით; გსიემ 5892 – ხატი “წმინდა გიორგი სასწაულმოქმედი”; გსიემ 5864/2 – ხატი “წმინდა ნინოსი” თავზე რუსული წარწერით. გსიემ 5871 – ხატი

ისიც საინტერესოა, რომ ყველა წყაროში, რომელსაც გავეცანით, გორში ოქონის ეკლესიის აგება თამარ მეფეს მიეწერება. მთავარ-ეპისკოპოს პაისიოს მიერ გარსევანიშვილებისათვის ოქონის ეკლ-ესიის დეკანოზობაზე მიცემული სიგელის მიხედვით, თამარ მეფეს გორის ციხის საყდარი აუშენებია და *„თავისი სასოება ოქონის ხატი დაესვენებინა“*[1]. ზემონათქვამიდან გამომდინარე, ვერც ზ. ჭიჭინაძის მოსაზრებას გავიზიარებ, თითქოს 1755 წ. მართლმადიდებლების მიერ კათოლიკეთათვის წართმეულ ეკლესიას ეწოდა ოქონის ღვთისმშობ-ლისა[2].

ვფიქრობ ყველა კითხვას პასუხი გაეცემა, როდესაც ოქონის ჯვარცმის ხატზე ვისაუბრებთ.

*

რომანოზ კეისრის მიერ ძმისშვილის მეუღლის, მეფე ბაგრატ IV-ისათვის ოქონის ხატის გამოგზავნას დიდი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა იმ გაგებით, რომ რადგან მიქაელ მთავარანგელოზი იმპერატორსა და მის ჯარს მფარველობდა, ასევე უნდა ყოფილიყო იგი ბაგრატისა და მისი ჯარის მფარველი[3]. სინამდვილეშიც ასე მოხდა. მეფეთა მფარველმა მთავარანგელოზმა რომ თავისი ფუნქცია პირდაპირი გაგებით ნამდვილად შეასრულა, ამის მაგალითი შემო-გვინახა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა, მეფე დავითის თავს გადახდენილ ხიფათთა შესახებ მოთხრობისას. *„კვალად ციხესა რომელსამე ბრძოდეს ქართლს, და მეფე კარსა კარვისა თჳსისასა დგა, პერანგითა მოსილი ოდენ, შუა-დღე, და ციხით ვინმე შემოს-ტყორცნა ისარი, და ჰკრა ხატსა მთავარანგელოზისასა, რომელ ეკი-და ყელსა, ოქროსა მცირე, და ძალმან საღმრთომან განარინა მშვი-დობით“*[4].

“მირქმა იესო ქრისტესი”.შესრულებულია ხეზე; 9) გსიემ 5883 – ხატი “მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი”; გსიემ 5887 – ხატი “ვლადიმირის ღვთისმშობლისა”; გსიემ 5847 – ხატი „მაცხოვრისა“ ხეზე შესრულებუ-ლი ლითონის პერანგით; გსიემ 5877 – ხატი „ნიკოლოზ სასწაულმოქმე-დი“; გსიემ 5898 – ხატი „იოანე ნათლისმცემელი მდინარის სანაპირო-ზე“, აქვს რუსული წარწერა; გსიემ 5862 – ხატი “ქრისტეს შობა”, ფერა-დი საღებავებით შესრულებული.

[1] *გსიემ, №165, 169.*

[2] *ჭიჭინაძე ზ., კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში, გვ. 57.*

[3] *მესხი თ., ოქონის ხატის რაობისა და ისტორიისათვის, გვ. 41.*

[4] *ქართლის ცხოვრება, I, გვ. 361-362.*

არსებული წყაროების მონაცემთა მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რა თქმა უნდა, შეუძლებელია დავით აღმაშენებლის გულსაკიდ მთავარანგელოზ მიქაელის ხატისა და ოქონის ხატის გაიგივება[1]. არ არსებობს ცნობა, რომ ოქონის ხატი როდისმე რომელიმე მეფეს გულზე ჰკიდებოდეს. ცნობილი ლეგენდებისა და დოკუმენტების მიხედვით, ოქონის ხატის საქართველოში ჩამოსვენების შემდეგ, დასვენებული იყო ისნის სასახლის ეკლესიაში, მისთვის აგებულ სოფ. ოქონის ეკლესიაში, გორის ციხის ეკლესიაში, ქალაქის ტერიტორიაზე ოქონის ეკლესიაში.

რაც შეეხება მთავარანგელოზის იმ ხატს, რომელიც დავით აღმაშენებელს ყელზე ეკიდა, არავითარი საფუძველი არ არის იმისათვის, რომ მის არსებობაში ეჭვი შევიტანოთ. საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა დანიშნულების ხატთან. ერთი იყო წინსასვენებელი მთვარანგელოზის გამოსახულებით, მეორე კი *„ოქროსა მცირე“* ასევე მთავარანგელოზის გამოსახულებით.

ელენე დედოფლის ნამზითევ ხატს ყოველთვის დეკანოზი დაატარებდა მეფისა და მისი ამალის, მისი ოჯახის წევრებისა და მისი ჯარის წინ, ან მეფისა და დედოფლის, ან უფლისწულის საძინებელში ესვენა.

ქართულ წერილობით წყაროებში არ არის ცნობები ხატის მოცულობის ან მისი სიუჟეტის შესახებ. მაგრამ, ჩემი წარმოდგენით, ის უნდა ყოფილიყო იმდენად დიდი, რომ მისი ტანსაცმლის შიგნით ტარება შეუძლებელი იქნებოდა. მისი ყელზე ჩამოკიდება და დაბლა ნაწილის ხელებით დაჭერა ან წელზე მიმაგრება, ხატის გათვალსაჩინოებისათვის, საუკეთესო მდგომარეობა იქნებოდა. იგი მტერმოყვარეს უნდა დაენახა. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ მეფის გულსაკიდად გათვალისწინებულ ხატისათვის საჭირო არ იქნებოდა მტვირთველი და დეკანოზი და, მითუმეტეს ეკლესია.

რა თქმა უნდა, ქრისტიანულ საქართველოში, დედოფალ ელენეს მიერ ჩამოსვენებულ ხატებამდე უკვე არსებობდა სხვადასხვა დანიშნულების ხატები, მათ შორის გულსაკიდი, მედალიონის ტიპის, მიქაელ მთავარანგელოზის ძვირფასი ლითონებისგან დამზადებული ჭედური ან ჩამოსხმული ხატები. მხოლოდ ასეთ ხატი ეკიდებოდა გულზე მეფე დავითს და იმან გადაარჩინა.

---

[1] *მესხი თ., ოქონის ხატის რაობისა და ისტორიისათვის, გვ. 46-48.*

გასათვალისწინებელია, რომ ქრისტიანული ეკლესიის მიერ მიქაელ მთავარანგელოზის მიმართ თაყვანისცემა იწყება ადრეული ქრისტიანობის დროიდან და ქართული ეკლესიაც ხომ ქრისტიანული სამყაროს ნაწილი იყო. ასე, რომ სრულებით ნორმალურია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ოქონის (= მთავარ ანგელოზი მიქაელის) რამდენიმე ეკლესიის და ამავე სახელობის ხატების არსებობა.

ქართველ მეფეთა „წინამძღოლი“ ოქონის ხატიჯვარცმა. (საქართველოს ხელოვნების მუზეუმი). ზედა ნაწილის ცენტრში ჯვარცმული ქრისტე, ქვემოთ, ასევე ცენტრში მთავარანგელოზი. კარედებზე – ვახტანგ V-ის წარწერა;

ამგვარად, დღეისათვის არსებული დოკუმენტური და ნარატიული წყაროები არ იძლევა საშუალებას ზუსტად გავარკვიოთ რას წარმოადგენდა გორის ოქონის ის ხატი, რომელიც დედოფალმა ელენემ ჩამოიტანა, რა იყო მასზე გამოსახული, რა მასალისაგან იყო ნაკეთები. რა თქმა უნდა, ოქონის ხატი საუკუნეების განმავლობაში განიცდიდა აღდგენა-შეკეთებას, რის გამოც მას ეცვლებოდა პირვანდელი სახე. ვფიქრობ, ყველაზე მეტად ის ხატი უნდა მივიჩნიოთ გორის ოქონის ხატად, რომელიც ორი, ზედა და ქვედა ნაწილებისგან შედგება. ზედა ნაწილის ცენტრს წარმოად-

გენს ჯვარცმული ქრისტე, ქვემოთ კი მთავარი პერსონაჟი არის მთავარანგელოზი. ეს ის ხატია, რომელიც ამჟამად დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. მისი ჩემეული აღწერა-შეფასებისაგან თავს შევიკავებ. ეს მაღალ პროფესიულ დონეზე გააკეთა ექვთიმე თაყაიშვილმა. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ის ხატი არ შეიძლება ბიზანტიიდან იყოს ჩამოტანილი თუნდაც ერთი მარტივი მიზეზის გამო: ხატზე არ არის რაიმე მინიშნება, არც ერთი ბერძნული წარწერა მისი ბიზანტიური წარმოშობის შესახებ, მაშინ როდესაც არის ქართული წარწერები.

ექვთიმე თაყაიშვილს არ შეეძლო გადაწყვეტით ეთქვა, რომ ის ხატი ნამდვილად ელენე დედოფალს ბიზანტიიდან მოჰყვა, მაგრამ ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ის ნამდვილად ის იყო, რომელზეც ლაპარაკობდა ვახტანგ VI თავის სიგელში. მასში არის ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი მინიშნება: ხატს ჰქონდა სანაწილე. მეფე ვახტანგი ხატს მიმართავს: *„მოვიდრეკთ მუჴლთა გულისა გულისა ჩვენისათა და დავარდები იატაკთა კარისა შენისათა* ***ოქონის ხატო მრავალნაწილო...“.***

ოქონის ხატებიდან წმინდანების სანაწილე აქვს მხოლოდ ზემოთ წარმოდგენილ ტრიპტიხქს, რომელიც, როგორც ითქვა, დღეისათვის დაცულია საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში. ხატს ზურგზე აქვს სანაწილე, რომელიც შედგება 80 უჯრისგან და თითოეული მათგანი განკუთვნილია ამა თუ იმ წმინდანის ნაწილისათვის. მათ შორის იყო *„სამსჭვალიც უფლისა პატარა ოქროს მილანქრიანი სვეტის მსგავსს ბუდეში ჩასმული“.* ნაწილების მეორე გვერდზე არის ვერცხლის ფიცარი ასომთავრული წარწერებით, რომლითაც აღნიშნულია რომელი ნაწილი რომელ წმინდანს ეკუთვნის. მხოლოდ მარცხნივ დარჩენილია 11 უჯრა წარწერის გარეშე, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მაშინ, როდესაც წარწერები კეთდებოდა, ისინი ცარიელი იყო. შემდეგში მათშიც მოათავსეს ნაწილები, მაგრამ დარჩნენ წარწერების გარეშე.

ცენტრში – ხატის მთავარი „სიწმინდე“ - წმინდანთა ნაწილები – ასომთავრული წარწერებით; ლევან II დადიანის, გიორგი XI-ის და იმერეთის მეფე გიორგი II-ის წარწერები.

„ნაწილების წინაპირს დაფარებული აქვს მინა და მინას ზემოდ ხატი ჯვარცმისა ოქროსი, ამობერვით ნაჭედი, სიგძით ექვსი გოჯი, სიგანით ოთხი. ხატი თავისის შინაარსით განიყოფება ორ ნაწილად. ზემო ნაწილზე ჯვარცმაა წარმოდგენილი სრული ჩვეულებრივი „ატრიმუტებით“, შუაში ჯვარცმული, თავში ორივე მხრით ანგელოზები, აქეთ იქით შუა ჯვარის ნაწილისა მზე და მთვარე, მარჯვნივ და მარცხნივ ჯვარცმულისა იოანე და ღვთისმშობელი, ქვემოთ ადამის თავი[1] და სხვა. ქვემო ნაწილზედ ხატისა შუაში მთავარ ანგელოზია გამოხატული, მარჯვნივ წმიდა დიმიტრი და მარცხნივ წმიდა გიორგი. წმიდა დიმიტრი და წმიდა გიორგი შეიარაღებულათ არიან წარმოდგენილნი უცხენოთ. სურათების მაჩვენებელი წარწერები ასომთავრულებია. ხატი მდიდრათ არის შემოსილი სხვადასხვა ქვებით, მარგალიტებით, ზურმუხტებით, ფირუზებით, ლალებით და სხვა, სულ 65 ძვირფასი ქვა უზის, ხელოვნურად ჩაწყობილი.

[1] ადამის თავი სიმბოლურად აღნიშნავს გოლგოთას.

მედალიონის მსგავსი სიმრგვალე შუაში მარცხნივ კედრით ძვირფასი ქვებით შემკობილი ფრიად ლამაზია. საზოგადოდ მთელი ხატი მშვენიერი ნახელავია და ეკუთვნის საუკეთესო დროს ხელოვნებისას. ეს ჯვარცმის ხატი თავის ნაწილებითურთ ჩასვენებულია მოზრდილ ოქროთ დაფერილ ვერცხლის კუბოში, რომლის წინაპირზე გამოხატულია ჯვარი. შუაში კუბო იხსნება თანასწორი კარებით ხატის ჩასასვენებლად. ზემოთ კუბოზედ მობმულია გრძელი და მომსხო ვერცხლის ძეწკვი, რომლითაც ხატს ჯვარის მტვირთველი ჩამოიკიდებდა ყელზედ და ძეწკვს შემოიხოვდა წელზედ სარტყლის მსგავსად. ხატი თავის კუბოთი და საბმულით საკმაოდ მძიმეა"[1].

საფრანგეთიდან საქართველოში დააბრუნებულ ოქონის ხატს, შ. ამირანაშვილის გადმოცემით *„აკლია მხოლოდ ერთი ობოლი მარგალიტი"*[2], რომელიც ექ. თაყაიშვილის აღწერილობაში არ არის აღნიშნული, ალბათ იმიტომ, რომ საზღვარგარეთ წაღების დროს არ აკლდა.

ექ. თაყაიშვილს ხატის უძველეს ნაწილად მიაჩნდა წმინდანების ნაწილები თავისი საერთო უჯრით და ვარაუდობდა, რომ შეიძლებოდა ელენე დედოფალს ისინი მოჰყოლოდა სამშობლოდან. ***რაც შეეხებოდა თვით ხატს მკვლევარს ის უეჭველად ქართულ ნახელავად მიაჩნდა, მაგრამ არ გამორიცხავდა, რომ წინათ ნაწილებს სხვა, ბიზანტიური ხელოვნების ხატი ფარებოდა, რომელიც მტრების მიერ გაიძარცვა და ჩვენამდე ვერ მოაღწია.***

ექ. თაყაიშვილმა გაშიფრა ყველა ის წარწერა, რომლებიც ოქონის ხატსა და მის ბუდეს[3] ამკობდნენ. წარწერები გაკეთებულია სხვადასხვა დროს და სხვადსხვა ცნობილი პიროვნების – იმერეთის მეფე გიორგი II-ის (1565-1585), ლევან II დადიანის, ვახტანგ V-ის (ორი

---

[1] *თაყაიშვილი ექ., ოქონის ხატი // ივერია, 1900, №231.*

[2] *ამირანაშვილი ს., საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მის დაბრუნება, თბ., 1968, გვ. 40.*

[3] საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ მუშაკის ქალბატონ ელენე კავლელიშვილის დაკვირვებით, ბუდე შექმნილი უნდა იყოს XIV საუკუნეში უცნობი ქართველი ოსტატის მიერ. *იხ. გოგოლაძე თ., ბელენკო-გოდერძიშვილი ნ., ოქონის ხატისა და ჯვარცმის ისტორიისათვის (წერილი I) // ოქონა, გვ. 39.*

წარწერა) და გიორგი XI-ის მიერ[1]. წარწერები შეიცავს ძვირფას ისტორიულ ცნობებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გიორგი II-ის წარწერა, რომელშიც არის ვედრება ოქონის ხატისადმი: *„ქრისტე ადიდე მეფეთა მეფე გიორგი, დედოფალთ დედოფალი რუსუდან, ძე მათი ბაგრატ“.* ექ. თაყაიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ რადგან რუსუდან დედოფალი და უფლისწული ბაგრატი წარწერის მიხედვით ცოცხლები არიან (ისინი გარდაიცვალნენ 1578 წ.), გამოდის, რომ წარწერა ვერ გაკეთდებოდა გიორგი მეფის მიერ იმერეთის სამეფოს გაერთიანებული ლაშქრით ქართლის დარბევის დროს. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: *„კუალად გიორგი იმერთა მეფე სიტყუთა ფაშისათა მოუჴდა ზემო ქართლს, მოჰყვნენ დადიანი და გურიელი, ვერ ჰპოვეს ხიზანნი, მოწუეს გალმართი და გამოღმართი და წარვიდნენ“*[2]. იმერეთის მეფის მიერ ქართლის დალაშქვრა, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, მოხდა 1581 წელს.

გიორგი II-ის წარწერამ ექვთიმე თაყაიშვილს აფიქრებინა, რომ ხატი დაახლოებით 1565-1578 წლებში, გიორგის გამეფებიდან დეოფალი რუსუდანისა და უფლისწულ ბაგრატის გარდაცვალებამდე პერიოდში იმყოფებოდა იმერეთში. გიორგის მეფობის სხვა პერიოდში ეს არ მოხდებოდა. შეიძლება შევთანხმდეთ, რომ წარწერა ფაქტია და მისი უარყოფა არ მოხერხდება. მაგრამ მაინც დგება კითხვა: როდის და რა ვითარებაში მოხდა ხატის დაბრუნება გორში? ამ კითხვაზე პასუხი ჯერჯერობით არ არსებობს. მხოლოდ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხატი დააბრუნეს გორში 1578-1590 წლებს შორის.

1590 წელს ქართლის მეფე სვიმონ I-მა დასავლეთ საქართველოში ლაშქრობის დროს იწინამძღვრა გორის ოქონის ხატი, მაგრამ დამარცხდა, მტვირთველი დაიღუპა და ხატი იქ დარჩა. სვიმონ მეფის წინააღმდეგ გამოვიდნენ იმერეთის მეფე როსტომი და ოდიშის მთავარი მანუჩარ I დადიანი. სავარაუდოა, ხატი დაინარჩუნა ამ უკანასკნელმა. ამაზე მიგვითითებს, შემდეგში მანუჩარის შვილის ლევან II დადიანის მიერ ოქონის ხატის ბუდის მეორე მხარეს გაკეთებული წარწერა: *„ეჰა ძვირუხსენებელო, გონება მიუწვდომელო, ცისა და ქვეყნის შემქმნელო, ყოვლისფერისა დამბადებელო ღმერთო ძეო მაცხოვარო ქრისტე მეუფეო, ჯვარცმაო ოქონისა, რომელმან მოვაჭე-*

---

[1] *ამირანაშვილი ს., საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება, გვ. 40.*

[2] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 413.*

დინეთ კუბო ესე ვერცხლითა ჩუენ დადიანმან პატრონმა ლევან მის კურთხეულისა ჩუენისა ამა სოფლისა თვალის სანთლისა დეოფლისა პატრონისა ნესტან დარეჯანისა სულისა სახსრად და საოხად...“ რადგან ნესტან დარეჯანი 1640 წელს გარდაიცვალა, ლევან II კი 1657 წელს, ექ. თაყაიშვილის მიხედვით, წარწერა შესრულებული უნდა იყოს დასახელებულ წლებს შორის.

ბუნებრივია, დიდ ინტერესს იწვევს ვახტანგ V შაჰნავაზის ორი წარწერა. პირველი, ხატის კუბოს კარებზე შიგნიდან გაკეთებული მხედრული წარწერა უნდა იყოს ის, რომელშიც შაჰნავაზი ამბობს: *„...მინდობილმან და მოსავმან წმინდისა სახელისა შენისამან ჴელმწიფემან მეფემ პატრონმან შანავაზ მოვაჭედინეთ კუბო ესე ოქროსა მას ჟამსა ოდეს ჟამთა ვითარებისაგან დატყვევებული იყო და ოდიშს ჩამოეტანათ როდეს ჩვენ იმერეთი და ოდიში დავიპყარით, საქართველოს სამკვიდრო იყო და საფიცარი, წამოვასვენეთ და თავისა სამკვიდრებელსა ტაძარში დავასვენეთ. მის დღეში მეფეთ წინ საძღომი და სასოება და მოვსჭედეთ ჩვენ სადღეგრძელოდა მეფობისა ჩვენისა სახსრად და საოხად დღესა მას საუკუნოსა სასჯელისა ამინ ქ(ა)ს ტნბ(ა) და მივაბარეთ დეკანოზს გარსევანს როგორც ძველათგან ყოფილ იყო“*[1]. ვახტანგ მეფის წარწერა შესრულებულია 1670 წელს.

ციტირებული წარწერა, რომელიც მეფე ვახტანგ V-მ მთლიანად თავის დამსახურებას მიუძღვნა, ალბათ, გარკვეულ უხერხულობას იწვევდა მისი შვილების წინაშე, რადგან ოქონის ხატი მფარველი იყო არა მხოლოდ მეფისა, არამედ მისი ვაჟებისაც. პირველ წარწერაში კი არაფერია მათ შესახებ. მეფემ უხერხულობა იმით გამოასწორა, რომ მეორე ასომთავრულ წარწერაში ის შვილებთან ერთად არის მოხსენიებული: *„ჩვენ ღვთივ გვირგვინოსანმან და შენ მიერვე ძლევა მოცემულმან მეფემან შანავაზ მეორედ შევამკე ოქონის სახის კუბო ესე ოქროთა ჩვენად სადღგრძელოდ და მეფობისა ჩვენისა წარსმრთებლად და ძეთა ჩვენთა აღორძინებად, რათა მეოხ და მფარველ გვეყოს ჩვენ. ამენ“.* ეს უკანასკნელი წარწერაც, როგორც ექ. თაყაიშვილი ვარაუდობდა, უნდა გაეკეთებინათ 1670 წელს.

არ არის ცნობილი ვინ დააგირავა სამცხეში ოქონის ხატი, რის შესახებაც მოგვითხრობს ვახუშტი ბატონიშვილი[2]. დაზუსტებას მოითხოვს იოსებ ალიმბარაშვილის ვარაუდი იმის თაობაზე, რომ რად-

---

[1] *თაყაიშვილი ე., ოქონის ხატი // ივერია, 1900, №231.*

[2] *ქართლის ცხოვრება IV, გვ. 482.*

გან ხატი გიორგი XI-მ გამოისყიდა, იგი მასვე უნდა დაეგირავებინაო[1]. გიორგი მეფე მაშინ, როდესაც ის ხატს გამოისყიდის ირანის შაჰის სამსახურშია და მას უკვე იმდენი ფინანსური შესაძლებლობა აქვს, რომ 2 ათასი თუმნით დაეხმაროს იერუსალიმის წმინდა ადგილებს – გოლგოთასა და ჯვრის მონასტერს და გამოისყიდოს ოქონის ხატიც, რომლის დასახსნელად დიდძალი თანხა გადაიხადა. მეფემ ხატი გაუგზავნა ქართლის ჯანიშინ (გამგებელ) ვახტანგს (შემდეგში ვახტანგ VI). მოვუსმინოთ ვახუშტი ბატონიშვილს: *„კუალად წარმოგზავნა ხატი ოქონისა და ნაწილნი და ჯუარნი, რომელი წინდად ეყო სამცხეს და მესხმან მან მუნ მიულო ყოველნი და მეფემან მას მიანიჭნა უზომონი ნიჭნი. ხოლო ვახტანგს რა მოუთუალნა ნაწილნი და ხატი ოქონისა, თთუესა ივლისსა ლ˜ განუწესა დღესასწაული“*[2]. მოყვანილ ციტატაში რომ უეჭველად გორის ოქონის ხატზეა საუბარი, ამაზე მიგვანიშნებს ის, რომ ხატი თავის ნაწილებიანად ყოფილა დაგირავებული. იგი თავისი ნაწილებით უკლებლივ დაუბრუნებია გიორგი მეფეს.

ოქონის ხატის დახსნაზე უნდა მოგვითხრობდეს გიორგი XI-ის ასომთავრული წარწერა[3], რომელიც განთავსებულია ბუდის სისქეზე: *„წ. ღვთისა სიტყვაო, ხატისა შენისა ჴსნისათვის, კაცთათჳს, მიმღებელო ხატისა ამისა ამის შენისა, ტრფიალებათა მათ მიერ მამკობელი, მეფეთ მეფე გიორგი, ნუმცა ვიქცევი შენგან სირცხჳლეული“.*

1677 წლიდან *„გამუსლიმანებული“* გიორგი XI-ისთვის რომ ჩვეულებრივი იყო ქართული სიწმინდეების დაცვა და პატრონობა, ამაზე საინტერესო ცნობები დაგვიტოვა იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოს II-მ ვახტანგ VI-სათვის გაგზავნილ ეპისტოლეებში[4]. განსაკუთრებით საინტერესოა გიორგი მეფის 1681 წლის *„წიგნი ეს მართალი და ჭეშმარიტი, ჩუენგან მირთმეული“* დოსითეოსისათვის. მასში ჩამო-

---

[1] *ალიმბარაშვილი ი., ოქონის ხატებისა და ტაძრების ისტორიიდან, გვ. 38-39, 44.*

[2] *ქართლის ცხოვრება IV, გვ. 482-483.*

[3] მოგვიანებით ე. თაყაიშვილმა შეიცვალა აზრი და ფიქრობდა, რომ წარწერა ეკუთვნოდა გიორგი V ბრწყინვალეს. *Такаишвили Е., Оконский образ Распятия // Материали пл археологии Кавказа, т. XII, Москва, 1909, с. 117-131, რასაც ეწინააღმდეგება ვახუშტის თხზულებიდან ციტირებული ადგილი და თვით ხატის წარწერის შინაარსი.*

[4] *მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.), თბ., 2008. გვ. 207, 225, 226.*

თვლილია ის თანხები და საქონელი, რომელიც იერუსალიმის პატრიარქისათვის უნდა გადაეცათ იერუსალიმის ქართული მონასტრების ვალების დასაფარად[1]. გიორგი მეფეს არც შემდეგში დაუკლია ყურადღება იერუსალიმის ქართული სიწმინდეებისათვის. მან 1684 წ. *„წარგზავნა იერუსალიმს ორი ათასი თუმანი გოლგოთისა და ჯუარისა მონასტრისა და სხუანი მრავალნი შესამკონი მათნი“*[2]. დოსითეოსი კმაყოფილი უნდა ყოფილიყო გიორგი მეფის მიერ 1699 (?) წლის ახლო ხანებში მისი ძმიწულის, დომენტის (შემდგომში კათალიკოსი დომენტი IV) ხელით *„მოვალეებისაგან დატყვევებული ჯვრის მონასტრის დასახსნელი შესაწირავის“* გაგზავნით[3]. ასე რომ მეფე გიორგი XI-ისათვის ჩვეულებრივი იყო ქართულ სიწმინდეებზე ზრუნვა. მან უყურადღებოდ არ დატოვა ქართული კულტურის გენიალური ძეგლი. მისი ბრძანებით 1680 წელს, ბეგთაბეგ თანიშვილმა გადაწერა და ლამაზად გააფორმა *„ვეფხისტყაოსანი“*[4].

გიორგი XI-ის წარწერის ბოლო ფრაზა, რომლითაც იგი ოქონის ხატს შესთხოვს: *„ნუმცა ვიქცევი შენგან სირცხჳლეული“*, არ ნიშნავს იმას, რომ მას სცხვენია იმის გამო, რომ ოდესღაც ხატი დააგირავა[5]. მას აწუხებდა ის, რომ პოლიტიკური მოსაზრებით გამუსლიმანდა.

ვფიქრობ, წარწერის ზუსტი დათარიღებაც შეიძლება.

შაჰ სულეიმანმა, როგორც ითქვა, 1677 წელს გიორგი მეფე გაამუსლიმანა, შაჰნავაზ-ხანი უწოდა და ქართლის მეფედ დანიშნა. ამის შემდეგ გააკეთა ყველა ის საქრისტიანო საქმე გიორგი მეფემ, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალე. როდესაც შაჰმა ჰუსეინმა გიორგის სპასალარობა და ყანდაარის ბეგლარბეგობა უბოძა და ავღანელების წინააღმდეგ ბრძოლის მეთაურობა დაავალა, გიორგიმ თავის ძმისშვილის, ვახტანგ ლევანის ძის ქართლის ჯანიშინად დანიშვნა მოითხოვა. მეფის თხოვნა შეიწყნარეს და ვახტანგი ქართლში გამოგზავნეს 1703 წელს. თვითონ გიორგი კი ამის შემდეგ მალე ავღანეთში მოვალეობის შესრულებას შეუდგა. ამ წელს მეფე გიორგიმ

---

[1] *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, I, Тифлис, 1866, с. 26-27; მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 200-201.*

[2] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ 282.*

[3] *საქართველოს ისტორიის ქრონიკები. XVII-XIX სს., თბ., 1980, გვ. 45.*

[4] *ამირანაშვილი შ, საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მის დაბრუნება, გვ. 14, 16.*

[5] *ალიმბარაშვილი ი., ოქონის ხატებისა და ტაძრების ისტორიიდან, გვ. 38-39.*

ჯანიშინ ვახტანგს *„მოუთუალნა ნაწილნი და ხატი ოქონისა“.* მაშასადამე, ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, ***გიორგი მეფემ ვახტანგს ირანიდან კი არ გამოუგზავნა, არამედ პირადად 1703 წელს ირანში „მიუთვალნა“ (მიაკუთვნა) ხატი და, ბუნებრივია, წარწერაც, იმავე დროს იქვე გაუკეთეს.***

ოქონის საწინამძღვრო ჯვარცმის ხატის შემდგომი თავგადასავალი ასეთი იყო: 1724 წელს ვახტანგ VI-მ რუსეთში წაასვენა. მისი გარდაცვალების შემდეგ ხატი დარჩა ბატონიშვილ გიორგის, შემდეგ მემკვდრეობით გადავიდა ბაქარ ვახტანგის ძის შთამომავალ გრაფინია ტოლსტოიზე, რომელმაც თავის მხრივ საქართველოში გადასცა ცნობილ სასულიერო მოღვაწეს, საბაწმინდის დედათა სავანის[1] იღუმენია ნინა ამილახვარს (1815-1904), რომელიც 39 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ მონასტერს. გარდაცვალების წინ მან ხატი უანდერძა თავის ნათესავს ნ. ალექსი-მესხიშვილს. როგორც ვარაუდობენ ხატი 1904-1921 წლებში საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების საკუთრება უნდა ყოფილიყო[2], საიდანაც 1921 წელს სხვა ქართულ განძთან ერთად წაიღეს საფრანგეთში. 1945 წელს განძეულის საქართველოში დაბრუნების შემდეგ გორის ოქონის ხატი, შ. ამირანაშვილის მიხედვით, გამოიყურებოდა შემდეგნაირად: *„ოქროს ხატი (კარედი), ოქონის მაცხოვარი“ ჯვარცმის, იოანე ნათლისმცემლის, წმ. გიორგისა და წმ. დიმიტრის გამოსახულებებით. შემკულია ძვირფასი თვლებითა და მარგალიტებით, აკლია მხოლოდ ერთი ობოლი მარგალიტი. ხატი დასვენებულია ოქროსკარებიან კუბოში. შიგნით მოთავსებულია წმიდანთა ნაწილები, მინაქრისა და ოქროს ცალკეული შემკულობებით“*[3]

ოქონის წინსაძღოლმა ჯვარცმის ხატმა სამუდამო ბინა დაიდო თბილისის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში[4].

---

[1] საბაწმინდა, სოფელი ცხინვალის ჩრდილო-აღმოსავლეთი 4 კმ დაშორებით, ძალიან ახლოს სოფ. ხეითთან. დღეისათვის მონასტერი მთლიანად დანგრეულია. *მეგრელიძე ი., სიძველეები ლიახვის ხეობაში, თბ., 1984, გვ. 58-71.*

[2] მეტრეველი რ., საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ., 1964.

[3] ამირანაშვილი ს., საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება, *გვ. 40.*

[4] *ვრცლად იხ. ალიმბარაშვილი ი., ოქონის ხატებისა და ტაძრების ისტორიიდან, გვ. 45-48.*

ოქონის ეკლესიის ლოკალიზაციისათვის

ოქონის ხატის დავანების ეკლესია აღინიშნებოდა ორგვარად: 1. XVIII საუკუნის 20-ან წლებამდე – გორის ოქონის ეკლესია, ან მეფის სასახლე, ერთსა და იმავე დროს; 2. იმავე საუკუნის 20-იანი წლებიდან გორის ოქონის ღვთისმშობლის ან ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიები. დიდ სირთულესთან გვაქვს საქმე დასახელებული ეკლესიების ადგილმდებარეობს დადგენის თვალსაზრისითაც.

1802 წლის გორის გეგმაზე არასწორად არის აღნიშნული ღვთისმშობლის ეკლესია. ისე გამოდის, თითქოს იგი მდებარეობდა ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე, ციხის ქვედა გალავნის კართან, იქ სადაც დღეს შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები. XIX საუკუნის დასაწყისში შედგენილი *„План г. Гори с окрестностями“*[1] მიხედვით, ხანდაზმული გორელების თქმით და სხვა ზუსტი მონაცემებით, ის მდებარეობდა დაახლოებით იმ ადგილას სადაც ამჟამად ახალი ოქონის ტაძარი შენდება.

დადგენილი არ არის ძველი ოქონის ეკლესიის დაარსების წელი. დ. ბაქრაძეს, პ. უვაროვას და მ. ჯანაშვილს მიაჩნდათ, რომ ოქონის ღვთისმშობლის ეკლესია აშენდა XVII საუკუნეში. მაგრამ რაზეა დამყარებული ეს მოსაზრება, ქვემოთ ვიტყვი. იმისათვის, რათა გასაგები გახდეს ამ ეკლესიის აგების მიზეზი, მოვიყვან ოქონის ხატთან დაკავშირებულ თქმულებას, რომელიც საკმაოდ სრულად არის გადმოცემული ვახტანგ VI-ის მიერ გარსევანიშვილებისათვის მიცემულ ორ გუჯარში: ერთი 1708 წლისაა, რომელიც რუსულად გამოაქვეყნა დ. ფურცელაძემ[2]. იგი შესულია *„ქრონიკების“* III ტომში. მეორე გუჯარი უთარიღოა და დაცულია გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტებიდან, პირველი, რომელშიც აღნიშნულია გორის ოქონის ეკლესიის დაარსების შესახებ, არის *„იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოვან აფხაზთა რანთა კახთა შაა და შირვან და საქართველოს“* მპყრობელი და ხელმწიფე, მეფეთ მეფე დავითის და მისი ძენის – გიორგი და ალექსანდრეს – სიგელი. მეფისა და მისი ოჯახის სიგელიდან ვიგებთ, რომ მათ გორის ოქონის საყდარს შესწირეს ყმები და მათი ქონება, რომ *„საყდარი ოქო-*

---

[1] *გსიემ, №162.*

[2] *Дворянские грамоты, ც. 13-14.*

ნის ბებიის ბებიასა ჩვენსა თამარ დედოფალს აღეშენა ქალაქსა გორისასა სანახებსა დაეხატნა და შეემკო“.

ყმები და მამულები, რომლებიც მეფე დავითმა და მისმა ვაჟებმა ოქონის საყდარს დაუმტკიცეს (1382. 30. 06), სინამდვილეში მათი წინაპრების მიერ იყო შეწირული. ამგვარად, დავითი და მის ვაჟები შეწირულობის საბუთის მხოლოდ განმაახლებლები არიან. საინტერესოა, რომ სიგელში არ ჩანს საყდრისა და ხატის დეკანოზი, ე.ი. კონკრეტული პიროვნება ვისაც გადაეცა სიგელი. მხოლოდ ნათქვამია, რომ „*დამამტკიცებელნი ამისნი ღ(მერ)თ(მა)ნ აკურთხოს და წმიდამან ღ(ვ)თისმშობელმან და ხატმან ოქონისამან ა(მი)ნ*“[1].

ციტირებული სიგელის მიხედვით, XIV საუკუნეში გორში ისევ არსებობს თამარ მეფის მიერ ოქონის ხატისათვის აგებული, დახატული და შემკული ეკლესია. მაგრამ არ არის მითითებული კონკრეტულად ქალაქის რომელ ადგილზე მდებარეობდა.

ზუსტად ორი საუკუნის შემდეგ, ქართლის მეფე სვიმონ I-მა, ოქონის ხატის დეკანოზობა განუახლა და დაუმკვიდრა თავისი კარის დეკანოზს ფილიმონსა და მის შთამომავალთ. „*რა რიგადაც ამას წინათ ან ხატისათვის გემსახუროს და ან ჩუენთვის აწეცა ისრევე ერდგულათ ჩუენ გვამსახუროთ ესე ჩუენგან ნაბოძვარი არა მოგეშალოს... გქონდეს... გორის ციხისა და ოქონის ხატის დეკანოზობა და სადეკანოზობა*“-ო წერს სვიმონ მეფე[2].

ოქონის ტაძრის ლოკალიზაციისათვის XVIII ს. დასაწყისში მნიშვნელოვანია პატრიარქ დომენტი IV-ის სიგელი, რომელიც თარიღდება თვით პატრიაქის ზეობის წლებით (1705-1741). „*ქ. ყოვლისა საქართველოს პატრიარქის ბატონიშვილის დომენტის კეთილად სახსენებელო და არაოდეს არ დასავიწყარო ვინც გორელნი ქრისტიანენი იყუნეთ მრავალი მოკითხვა და ჩუენ მიერი ლოცვა-კურთხევა მოგვიხსენებია. მერე, ეს ხომ თქვენც იცით და ჩვენც კარგად მოგვეხსენების,* ***რა გორს სულ ბრწყინვალეს, მეფე თამარ გორაზე საყდარი აუშენებია თავისის სასოების ოქონის ხატისა, უწინ მანდ სოფელი არა ყოფილა. ესე გარსევანიშვილები დაუსახლებია. მას აქეთ რა აშენებულა ეგ ქვეყანა ამათი სახელო ყოფილა არცა ვინ სცილებია. არას ჭელმწიფესსა და ეფისკოპოზს არ მოუშლია. ქონებია და აქვს ახლა.*** *ვინც უამისოდ და ამის უნებურად მანდა ან სწიროს, ან მკვდარი დამარხოს, ან იმოძღროს ჩუენგან შეჩვენებული*

[1] *გსიემ, №7601/30, გვ.1-3.*

[2] *გსიემ, № 190ა.*

იყოს. ჩვენ ამას სხვას კაცს ვერ შევაცილებთ როგორც მტკიცედ ქონიათ ჩვენც აგრევე დაგვიმტკიცებია“[1].

პატრიარქი დომენტი IV-ის სიგელი გორელებისადმი იმის მაჩვენებელია, რომ: 1. ოქონის ეკლესია XVIII ს. დასაწყისში ჯერ კიდევ ციტადელშია; 2. სიგელის პათოსი მაფიქრებინებს, რომ იგი პატრიარქმა ქალაქში შექმნილი ვითარების გამო გარსევანიშვილების მოთხოვნით შეადგინა. ამ მეორე მომენტის შესახებ შეიძლება ის ითქვას, რომ გარსევანიშვილებს ოქონის ეკლესიასა და მის ქონებაში სხვა გვარის პიროვნება ან პიროვნებათა ჯგუფი ეცილება. ასეთი დაპირისპირების ამსახვალი საბუთები საკმაოდ გვაქვს XVIII ს. მეორე და XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან, რომლებსაც ქვემოთ გავეცნობით.

კათალიკოს-პატრიარქ დომენტის სხვა სიგელში, რომელიც განეკუთვნება 1727-1728 წლებს, ერთ-ერთი გარსევანიშვილი *„კარისა გორისა და ოქონის ხატის“* დეკნოზია და მას უმტკიცებს ყველაფერს რაც *„კარისა თუ, გორის, თუ ოქონის სამკვიდროდ“* ჰქონდა.

ამგვარად, ვახტანგ VI-ის გუჯარში ლაპარაკია ელენე დედოფლის მიერ მზითევში მოტანილ ორ ხატზე: ერთია ოქონის სახელით ცნობილი, რომელზეც, თ. მესხის აზრით, გამოსახული უნდა ყოფილიყო მთავარანგელოზი მიქაელი, რის დამადასტურებელი არავითარი საბუთი არ გაგავაჩნია. რაც შეეხება მეორე, ასევე ოქონური წარმოშობის ხატს, ყველაფერი გარკვეულია, ის იკონიაში იყო დამზადებული, მაგრამ ის არის ღვთისმშობლის სახელობის.

ალ. გარსევანიშვილის მიხედვით, ოქონის ხატი ბაგრატ IV-დან თამარ მეფემდე დიდი პატივით ესვენა თბილისში, ისნის სასახლის ეკლესიაში. მეფე თამარმა გორში გადმოსვენებული ოქონის ხატი თავდაპირველად გორის ციხეში ღვთისმშობლის ეკლესაიში დაასვენა, შემდეგში, როდესაც ამ ხატისათვის ააშენეს ეკლესია, *„აღდგომის მესამე დღესა“* გადმოუსვენებიათ ოქონაში.

საინტერესოა, რომ არც ერთ დოკუმენტსა და ნარატიულ წყაროში არ არის აღნიშნული ვინ ან რა იყო გამოსახული გორის ოქონის ხატზე, რომელიც ამ ზოგადი სახელით იყო ცნობილი. მხოლოდ ეს ორი ხატი, რომელთა წარმომავლობა საყოველთაოდ იყო ცნობილი, ზოგჯერ ერთ ეკლესიაში იყო დასვენებული და ეკლესიაც ორივე ხატის სახელით მოიხსენიებოდა – ოქონის-ღვთისმშობლის. პირველში იგულისხმებოდა საკუთრივ ოქონის (დავუშვათ, მიქელ

[1] *გსიემ, №146.*

მთავარანგელოზის, როგორც გვთავაზობს თ. მესხი) სახელობის ხატი და მეორეში კი, ოქონური წარმოშობის ღვთისმშობლის ხატი.

როცა დოკუმენტებში ლაპარაკია ოქონის ხატზე, ჩემი დაკვირვებით, იგულისხმება ოქონის ეკლესია, ამავე სახელობის ხატით და არა ის ხატი, რომელიც სხვა რომელიმე წმინდანის ტაძარშია დასვენებული. სხვანაირად, როგორ გავიგოთ, რომ მეფე თამარმა დეკანოზ გარსევანს უბოძა ოქონის ხატი და გორის ღვთისმშობლის, ოქონის ხატისა და ციხის ეკლესიების მცველობა[1].

ქართული საისტორიო ტრადიცია თამარ მეფეს მიაწერს ოქონის ხატის ტაძრის აშენებას გორის ცენტრში აღმართულ კლდეზე, ე. წ. ტონთიოზე.

XIV საუკუნის უკანასკნელ მეხუთედში, როგორც დოკუმენტიდან ჩანს, გორში ჯერ კიდევ არსებობს თამარ მეფის მიერ ოქონის ხატისათვის აგებული, დახატული და შემკული ეკლესია, მაგრამ არ არის მითითებული კონკრეტულად სად მდებარეობდა იგი.

სვიმონ I-ის სიგელში ნათლად ჩანს, რომ ოქონის ეკლესია გორის ციხეშია. 1582 წელს მეფე სვიმონი მიმართავს გარსევანიშვილებს: *„დაგიმკვიდრეთ კარისა ჩვენისა და ოქონის ხატის დეკანოზობა... გორის, ციხისა და ოქონის ხატის დეკანოზობა“.*

მთავარეპისკოპოს ნიკოლაოზის 1669 წლის გუჯარი გვიჩვენებს: მიუხედავად იმისა, რომ ოქონის ხატის მამული ქალაქის ტერიტორიაზეა, ტაძარი კვლავ ციტადელში მდებარეობდა

პატრიარქ დომენტი IV-ის დროსაც, XVIII ს. პირველ ნახევარში, ოქონის ტაძარი ციტადელში მდებარეობდა.

ოქონის ეკლესია ფასადი და ინტერიერი

(მიახლოებითი აღწერა)

თამარ დედოფალმა ააშენა გორში პირველი ტაძარი ოქონისა, რომელიც მოახატვინა და შეამკო კიდეც[2].

1603 წ. ოქონის დეკანოზმა მარკოზმა ტაძარს აუშენა სამრეკლო[3].

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის საეკლესიო მოღვაწემ იესე გარსევანიშვილმა ოქონის ეკლესიას გაუკეთა კანკელი, აღადგინა

---

[1] მოვუსმინოთ ექვთიმე თაყაიშვილს: *„საზოგადოდ მიღებულია აზრი, რომ ძველი ხატი ოქონის მონასტრისა, ელენე დედოფალს მოყოლილი საბერძნეთით, დაცულია ქალაქ გორის პატარა ეკლესიაში“. თაყაიშვილი ე., ოქონის ხატი // ივერია, 1900, №231.*

[2] *გსიემ, №7601/30, გვ. 1-3.*

[3] *გსიემ, №167.*

მარკოზის მიერ აშენებული სამრეკლო. „*და ოდეს (იესე –ე.მ.) გარდა-იცვალა,* ***დაეფლა პირის პირ ხატისა ოქონიისა, მისვე ეკკლესიასა*** *შინა*“[1].

რამდენადაც XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან უკვე ძნელია ოქონისა და ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიების ერთმანეთისგან განცალკევება და ხშირად ისინი სხვადასხვა კონტექსტში ერთი ეკლესიის სახით წარმოჩინდება, ამიტომ ის ცნობები, რომლებშიც მხოლოდ ღვთისმშობლის მიძინების ეკლასიაზეა ლაპარაკი უნდა ეხებოდეს ოქონასაც. აღნიშნულიდან გამომდიმარე ასე უნდა გავიგოთ იესე გარსევანიშვილის ეგზარქოს ევსევისათვის მირთმეულ თხოვნაში (1861 წ. 10 მარტი) ჩამოთვლილი ის სიკეთე, რაც მას დასახელებული ეკლესიისათვის გაუკეთებია: იესემ თავისი მცდელობითა და ფულით ეკლესიას შემოავლო ქვის კედელი, ძველ ეკლესიას მიუშენა ქვის სტოა, რომელშიც თავსდებოდა 200-მდე ადამიანი; სტოას წინ და უკან გაუკეთა კარები და გათლილი ქვის კიბეები; სტოასა და ეკლესიაში დააგო გამომწვარი აგური; გადახურა სტოა.

იესემ თავისივე ფულით იყიდა ვერცხლის საკმეველი 75 მანეთად ღირებული, 3 ჯვარი, ერთი სპილენძის საკმეველი, 2 სპილენძის ემბაზი, ვერცხლის თასი, რომელშიც გადაიხადა 50 მან., ორი წყვილი შესამოსელი ძვირფასი ქსოვილის და მრავალი სხვა ძვირფასი ნივთები. მან ასევე თავისი ფულით ვერცხლით შეამკობინა სახარება და შესწირა ეკლესიას; თავისი ხარჯით შეაკეთა კანკელი და დააგო გათლილი ქვა. მანვე შესწირა ეკლესია 40 ვერცხლის მანეთად ღირებული ზარი და სხვ.[2]

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იესეს მიერ გაკეთებულ ისეთი მნიშვნელოვანი საქმე როგორიც იყო მისი ხარჯით ოქონის ხატის მოოქროული ვერცხლით მოჭედვა. იესეს ამ კეთილშობილური სასულიერო საქმის სისრულეში მოყვანისათვის მოუწია ეგზარქატის ბიუროკრატიული აპარატის მიერ შექმნილი დაბრკოლებების გადალახვა.

იესე 1863 წლის 8 ივნისს ქართლისა და კახეთის არქიეპისკოპოსის, საქართველოს ეგზარქოსის ევსევისადმი მიმართვაში ოქონის ხატის ვერცხლით შემკობისა და შემდეგ მოოქროვის შესახებ, აღნიშნავს, რომ ის დიდი ხნის განმავლობაში ფიქრობდა ოქონის ხატის მოჭედვას თავისი ხარჯით, რის შესახებაც 1858 წლის 12 მარტს მოხსენებითი ბარათი წარუდგინა საქართველოს ყოფილ ეგზარ-

---

[1] *იქვე.*

[2] *იქვე, №7602/1003.*

ქოზს მიტროპოლიტ ისიდორეს, რასაც მოჰყვა მისი 31 მარტის რეზოლუცია, რომ იესეს მზად ჰქონებოდა საჭირო თანხა ჩანაფიქრის განსახორციელებლად. მიუხედავად ამისა ის ყოველთვის აწყდებოდა წინააღმდეგობას. გულგატეხილი იესე წერს: *„მთელი სულით მინდოდა აღმესრულებინა მეუფე ისიდორესთვის მიცემული აღთქმა და გამზადებულიც მქონდა 100 მანეთი ვერცხლით. უმდაბლესად გთხოვთ უბრძანოთ ვისაც გნებავთ სასწაულმოქმედი ოქონის ხატი მოჭედოს ვერცხლით და მოაქროვოს“*[1].

იმავე საკითხის გამო იესე 1863 წლის 20 აგვისტოს მიმართავდა მღვდელ ბესარიონ თავდგირიძეს. იესე დახმარებას ითხოვდა ოქონის ხატისათვის ვერცხლის დამზადების საქმეში[2]. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ იესემ მართალია განზრახვა სისრულეში მოიყვანა, მაგრამ იმავე წელს ის ეკლესიიდან გააძევეს და ღვდელმსახურება აუკრძალეს.

ოქონის ხატთან დაკავშირებით იესეს სხვა ჩანაფიქრიც ჰქონდა. მისი სურვილი იყო შეჭედილ *ოქონის ხატის ზურგზე გაკეთებულიყო შემდეგი წარწერა:*

სიჩოით ჩემით, ჩემო მფარავ დამცავო,
ესთა მტერთაცა, აროდესღა ვეშიშვი,
შენ მაცხოვრისაგან, ჩემის ნუგეშეულო,
უბიწვოს მეშვის, შენის ოხით მძლევანი,
ნათლისმცემელისაც, ესთავე ჴვაიშნობით.
შესაწირავი, ესე და კნინი,
შევიწირენღა უხუებრ დამჯილდოებმან.
სულით და ჴორცით, უშურვ და ურულოდცა
განსაცდის შორსვე, ჩემგცან უკუნმცეველო,
მყოვარ განაგრძობდე წყალობას შენსა ჩემდამი“[3].

ლექსი დაწერილი უნდა იყოს 1860-იანი წლების დასაწყისში, როდესაც იესე ხატის შეჭედვას ცდილობდა. ამაზე მიუთითებს ლექსის თავზე წარწერა: *„ზურგზე დაიწეროს შეჭედვის შემდგომო“*. მაგრამ იესეს მიძღვნა ოქონის ხატებად ცნობილ არც ერთზე არ არის. სავარაუდოა იესემ ვეღარ მოასწრო განზრახვის ასრულება რადგან

---

[1] *გსიემ, №7602/99.*

[2] *იქვე, №7602/304.*

[3] ლექსი პირველად გამოაქვეყნა ალ. გარსევანიშვილმა თავის ცნობილ სტატიაში მრავალი შეცდომით. სხვა მკვლევრებმა მისგან გადაიღეს და, ბუნებრივია შეცდომებიც გადავიდა. საშუალება მქონდა გავცნობოდი იესეს ხელნაწერს (*გსიემ, №7602/728)* და პუბლიცირებულ ტექსტში შეცდომები გამესწორებინა.

მას მღვდელმსახურება აუკრძალეს და ხატზე მიწვდომა აღარ ჰქონდა. იესეს წარწერა რომ გაეკეთებინა, დღეს საძიებელი აღარ იქნებოდა, რომელი ხატი იყო მიჩნეული ოქონისად, თუნდაც XIX საუკუნეში მაინც.

ოქონის სამკარედიანი ხატის – დეისუსის აღწერა შემოგვინახა გიორგი საძაგლიშვილმა, საქართველოს მომავალმა კათალიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მ, რომელიც კარგად იცნობდა გორის სიწმინდეებს. ის ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, შემდეგ ამავე სასწავლებლის პედაგოგი და 1900-1902 წლებში კი გორის ეპისკოპოსი იყო. მისი გადმოცემით *„დეისუსი, მაცხოვრისა და*

ღვთისმშობლის გამოსახულებით, წმინდა ნაწილებით, ჩასმულია ვერცხლის ბუდეში. ღვთისმშობელი გამოსახულია დახრილი თავით, წელს ზევით. ხატი დახატულია ფიცარზე, სიგანით $4^{2/8}$ ვერშოკია, ხოლო სიგრძით $5^{2/8}$.[1] ეს რესტავრირებული ხატი, როგორც ითქვა, დაცულია გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

[1] *Садзагелов-Ивериели Г., Исторический очерк Оконской чудотворной иконы Божией Матери, находящейся в Горийской Оконской Богородиной Церкви // Пастир, 30. 08. 1890 г., № 14-15, с. 12-13; ალიმბარაშვილი ი., ოქონის ხატებისა და ტაძრების ისტორიიდან, გვ. 27.*



ტაძრის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია დაიწყო 1882 წლიდან და გაგრძელდა საკმაოდ დიდ ხანს. ოქონის ტაძართან დაკავშირებით გვაქვს ერთმანეთისგან განსხვავებული ინფორმაცია. გიორგი საძაგლიშვილის მიხედვით იგი დაანგრიეს და მის ადგილას ახალი ტაძარი ააშენეს[1]. 1895 წელს კი გაზეთი *„კვალი“* იუწყებოდა: *„ქ. გორში არის ერთი ძველი ოქონის ხატის ეკლესია, აშენებული ნეტარ-ხსენებულ საქართველოს დედოფლის თამარის დროს. ეს ეკლესია აშენდა ყოვლად წმინდა ღვთის მშობლის მიძინების სახელზე. აქ ასვენია ძალიან ძველი ოქონის ხატი – სამკარიანი: შუაში გამო-*

[1] *იქვე, 15. 07. 1890 г., № 12-13, с. 20-22.*

სახულია იესო ქრისტე, რომლის ერთი მხრით ღვთის მშობელია, მეორეთი კი იოანე ნათლისმცემელი... ეს ეკლესია იყო პატარა და მეტად დაძველებული ჟამთა ვითარებისაგან. 1882 წელს ხელმეორედ შეაკეთეს და გააძლიერეს იგი...“[1]



როგორც ჩანს, ეკლესიის სარემონტო სამუშაოები საკმაოდ დიდ ხანს გაგრძელდა, 1895 წლისათვის ტაძარში ჯერ კიდევ არ იყო გამართული ქვის იატაკი, არ იყო მოხატული და სხვაც ბევრი რამ აკლდა. იმავე ანონიმი კორესპონდენტის მიხედვით, ამ საქმეში განსა-

[1] *გაზ. „ივერია“, 20. 08. 1895, №86.*

კუთრებულად იღვაწა და მდგომარეობა გამოასწორა კიდეც 1892 წელს ოქონის დეკანოზად დანიშნულმა გრიგოლ ღამბარაშვილმა. 1898 წლისთვის ტაძარი უკვე დასრულებული იყო[1].

1898 წელს ჩამოყალიბებული ოქონის ეკლესიის რუსული გუნდი

*

გორელების უმთავრესი დღესასწაული ოქონობა იყო, რომელიც XII ს. 80-იან წლებიდან იღებდა სათავეს. ალ. გარსევანიშვილი მოგვითხრობს: *„გარსევან დეკანოზმა წელსა 1189 დააწესა დღესასწაულნი გორის ღვთის-მშობლისა, მესამეს, ხოლო ოქონიის ეკკლესიის ხატისა, მეორე დღეს, შემდგომ ბრწყინვალე ქრისტეს აღდგომისა, იმის მიზეზისათ, რომელ იმ ეკკლესიებში ხატნი დაუსვენებიათ ამ დღეებში, თუმც დღესასწაულნი ღვთისმშობლის შობისა და მიძინების მოდიან: პირველი, რვას ენკენისთვეს და მეორე, ათ ხუთმეტ მარიამობისთვეში. იმ დღიდამ დაწესებულნი დღეობანი ორთა მათ ეკლესიას დღესაც აღესრულებიან, აღდგომის მეორე დღეს, ორშაბათს*

[1] *გაზ. „კვალი“, 25. 04. 1898. იხ. აგრეთვე, ალიმბარაშვილი ი., ოქონის ხატებისა და ტაძრების ისტორიიდან, გვ. 79-81*

ოქონიის ხატში და მესამე დღეს გორის ღვთისმშობელში, სადაც შეიკრიბებიან მრავლის მხრიდამ და ნამეტნავად გორიდამ ხალხნი სხვა და სხვა სარწმუნოებისანი, თაყვანის საცემელად, რომელნიმე იმათგანი აღსრულებენ ვირგილიასაც (დამისთევას) და უკეთუ სნეული ვინმე შევალს და სარწმუნოებით შეევედრების, მსწრაფლად განიკურნების ფრიად სასწაულ-მოქმედთა ოქონიის ხატის და გორის ღვთისმშობლის ხატისაგან"[1]. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით *„ოქონობის"* დღესასწაულად გორში 30 ივლისი დაუწესებია მეფე გიორგი XI-ს. *„ოქონობის"* ზეიმი შეწყდა კომუნისტური რეჟიმის დროს. მხოლოდ 2003 წელს მიტროპოლიტი ანდრიას (გვაზავა) ძალისხმევით დღესასწაულად დადგინდა და აღდგომის მესამე დღეს აღინიშნება.

ოქონის ეკლესიის ქონება და მისი დეკანოზის უფლება-მოვალეობები

ოქონის ეკლესია საუკუნეების განმავლობაში საკმაოდ დიდი მამულების, ყმებისა და სხვა ქონების მფლობელი იყო. დღეისათვის ცნობილი პირველი სიგელი, რომელშიც ჩამოთვლილია ოქონის ეკლესიის მამულები და ყმები, არის დავით მეფის[2] მიერ გაცემული 1382 წ. გუჯარი. ოქონის ეკლესიას ეკუთვნოდა: *„სოფელი ხიდისთავი გაღმა გამოღმა სამძღვრითა. ამით ფარის ჯვარის წვერი რამ ხევამდის მას დამართებით ზემოთ წითელი კლდე მას დაპირისპირ ქათამაურის ბოლომდინ, კიმკიმაურის პირპისპირ დიდს რუსხმულამდინ რუსხმულის დაპირისპირებით კოდათ ხევამდინ. ამისითა რუთა, წყლითა, მიწითა და ჭალითა. მოგვიხსენებია და შეგვიწირავს ხატისა ოქონისათვის ზემო რეხას ათი საკომლო, მისითა რუთა, მამულითა, მიწითა, საწისქვილოთა, სასაფლაოთა და სამძღვრითა და სამნებითა ყოვლის კაცისგან მოუდევარი და შემოუცილებელი. აგრევე გარეჯვარს ლომსათ უბანი მისითა წყლითა, რუთა და სამძღვრითა და სამნებითა... ამით ზეით თამარ დედოფლის რუმდინ ქვემოთ რეხის ფშანამდინ... რუის უმეკასშვილი მისითა მამულითა რუთა, მიწითა, ეკლესიის კარითა და ორისათავე ვენახები სახასო თქვენ კარზედა ისინივე შეიმუშავებდნენ. ატენს მამული ერთი ჩაუჩიყაძისა გამოიღებდეს ლიტრასა ზეთსა და ოთხსა ძღვენსა და სამსახური. აგრევე*

---

[1] *გსიემ, №162; „ცისკარი", 1867, №2, გვ. 10.*

[2] *გსიემ, №7601/30.*

გორს ვაჭარნი ექვსნი მათითა სახლ-კარითა, ჭურმარნითა და ქულ-ბაქითა. დიღუამს თავისი თეთრაძენი გიუნა, მამისიმედი ზოსიმე და ხუცესი იოანე მათითა მამულითა სახნავითა, რუთა, მთითა, ბარითა, სასაფლაოთა ყიდულითა და უსყიდელითა მოგვირთმევია და შემოგ-ვიწირავს ხატისა ოქონისათვის და პირისა ღთისათვის...“[1]

სიგელი წარმოადგენს წინამორბედ მეფეთა მიერ ოქონის ხა-ტისათვის მინიჭებული პრივილეგიებისა და დასახელებული მამულე-ბის შეწირულობის განახლების დოკუმენტს. რადგან უფრო ადრინ-დელი სხვა საბუთი არ გაგვაჩნია, ძნელია დადგინდეს სიგელში ჩამო-თვლილი პრივილეგიები ზუსტად მეორდება თუ დავით მეფემ რაიმე ცვლილება შეიტანა მასში. ჩამოთვლილია ოქონის ხატის დეკანოზის ულება-მოვალეობები, კერძოდ: 1) დავით მეფე პირობას დებს, რომ თვითონაც და მის შემდგომი მეფეებიც და ქვეყნის პატრონებიც უნდა ემსახურებოდნენ ოქონის ხატს; 2) არ უნდა ეთხოვებოდეს ოქონის ეკ-ლესიას სამეფო და სადედოფლო გადასახადები; 3) მეფის ვერც ერთი მოხელე ვერ შევიდეს ტაძარში რაიმე მოთხოვნით. დასასრულს, მეფეს მხოლოდ ერთი თხოვნა აქვს: *„აწე თვინიერ ამის ჩვენის გარიგებულსა საყდარსა ზ(ედ)ა იყვენით ყოველთა დიდმარხვათა და სულის მარხვათა სულისა ჩვენისათვის ჟამსა სწირევდენ მეფეთათვის ილოცვიდით...“*[2]

მარიამ დედოფლის 1655 წლის ე. წ. *„სადეკანოზო წიგნი“* – სიგელი არ აღნიშნავს რომელი გვარის წარმომადგენელია ის პიროვ-ნება, რომელსაც სიგელი გადაეცემა. სიგელში მხოლოდ მისი სახელი – მამუკა წერია. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ოქონის ხატის დეკანოზს დედოფალი გორის მოურაობასაც უმტკიცებს. იგი წერს: *„ქ. ჩუენ, დედოფალთა დედოფალმა პატრონმა მარიამ, ასულმა დადიანისმა ესე სადეკანოზო წიგნი გაგისინჯეთ შენ ოქონის ხატის დეკანოზის შვილს მამუკას და შენთა ასრე რომე ძველითგან სამკვიდრო თქუენი ყოფილიყო* ***ოქონის ხატის დეკანოზობა შეგიწყა-ლეთ და ჩუენცა გიბოძეთ ყოვლის კაცის უცილებლად გორის მოურაობა*** *... და ერთობილნო გორელნო თქუენცა ასე დაუმკვიდრეთ რარიგაცა ამ ძველს სიგელში ეწეროს წყეულ, კრულ და შეჩვენე-ბულმცა არს დაუსაბამო და ღ˜თისაგან ... ოქონის ხატის დეკანო-*

---

[1] *გსიემ, №7601/30.*

[2] *იქვე.*

ზობა მოუშალოს და ან ჩუენის საყდრიდამე ის ხატი სხვაგან სადმე წაიღოს და სხვაგან დაასვენოს ქ(რონი)კ(ონ)სა ტმგ“[1].

სპეციალურად შევისწავლე გორის მოურავის სახელო და, შემიძლია ვთქვა, რომ ამილახვრებს უწყვეტლივ ეკავათ ეს შემოსავლიანი სახელო XVI-XVIII საუკუნეებში. არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე ამილახვარი, ოქონის დეკანოზი და იმავე დროს გორის მოურავი ყოფილიყოს. სიგელის დაწერის დროს გორის მოურავი იყო ანდუყაფარ (II) ამილახვარი (1649-1656).

მამუკა გარდაცვლილი მამის თანამდებობას, დეკანოზობას იკავებს. მას გორის მოურავობა არ ჰქონდა. დედოფალმა მამუკას, ალბათ გარკვეული დამსახურების გამო მოურავობაც უბოძა. საყურადღებოა, რომ მამუკა არ ფიგურირებს არც გარსევანიშვილების საგვარეულო ნუსხაში, რაც კიდევ უფრო საგულისხმოს ხდის, რომ ის ამ გვარის წარმომადგენელი არ იყო.

ვფიქრობ, გორის მოურავობაში მხოლოდ გორის ეკლესიების და მათი ყმებისა და მამულების მოურავობა იგულისხმება. მამუკა, ანგარიშვალდებული იქნებოდა დედოფლის წინაშე, რაც კიდევ მეტ კითხვის ნიშანს აჩენს, კერძოდ კი, რატომ უნდა დაენიშნა დედოფალ მარიამს გორის ეკლესიების მოურავი (თუ ეს უკანასკნელი მართლა ამ თანამდებობას აღნიშნავდა) კათალიკოს-პატრიარქის ან სამთავროსა და გორის ეპარქიის მეთაურის გვერდის ავლით? ამ კითხვაზე პასუხი ვერ მოხერხდება, ვიდრე დამატებითი საკონტროლო მასალა არ იქნება.

რამდენიმე წლის შემდეგ (1669 წ.) მთავარეპისკოპოსი ნიკოლაოზი თავის სიგელში აღნიშნავს, რომ გორელმა მოქალაქეებმა ელიზბარმა და მისმა შვილმა გიორგიმ *„სათემო გზაში“* კედელი ჩადგეს, რის გამოც გზამ ოქონის ხატის მამულში გადაინაცვლა. რადგან საქმე ეხებოდა საეკლესიო ქონების ხელყოფას, საქმის გარჩევა მოხდა მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზისა და მამასახლისი გოდერძას მონაწილეობით. დავა კომპრომისით დასრულდა: ელიზბარსა და მის შვილს კედელი არ დაანგრევინეს, სამაგიეროდ, მათ ვალდებულება იკისრეს: *„რომე მარხვა დადგეს წელიწადში თვითო ლიტრა ზეთი მოართვას ოქონის ხატსა ოცის სტილითა*“[2]. გამოდის, რომ ზეთი უნდა მიებარებინათ ოქონის ხატის დეკანოზ მარკოზისათვის, რომელიც გარსევანიშვილების გენიალოგიის ხეში დეკანოზად მოიხსენიება 1611-1631

[1] *გსიემ, №190ბ.*

[2] *გსიემ, №152.*

წლებში, რაც სიმართლეს არ უნდა შეეფერებოდეს. დოკუმენტის მიხედვით ის XVII ს. მეორე ნახევარში უნდა ყოფილიყო ოქონის ხატის დეკანოზად.

როგორც დოკუმენტიდან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ოქონის ხატის მამული ქალაქის ტერიტორიაზეა, თვით ტაძარი კვლავ ციტადელშია.

1382 წლის სიგელში ჩამოთვლილი მამულები დაუმტკიცა ოქონის ეკლესიას ვახტანგ VI-მ 1725 წელს[1].

გორში რამდენიმე მართლმადიდებლური ეკლესია იყო, მაგრამ მთავარეპისკოპოსმა ბესარიონმა ოქონის ეკლესიის მღვდლებს 1722 წ. დიდი უპირატესობა მიანიჭა და ბრძანა: გორში *„რაც ხიზანია და მემკვიდრე ოქონის მღვდლებმა უნდა უხუცონ“*-ო[2].

ოქონის ეკლესიას მიწები ჰქონდა ქ. გორშიც[3].

ოქონის ეკლესია დიდი პრივილეგიებით სარგებლობდა. 1382 წ. გუჯარი ოქონის ეკლესიას ათავისუფლებს ყოველგვარი გადასახადისა და სამსახურისგან[4]. შემდგომი პერიოდის მრავალ სიგელ-გუჯარში ვხვდებით ოქონის ეკლესიის დეკანოზების – გარსევანიშვილებისათვის მინიჭებულ პრივილეგიებს.

გარსევანიშვილების გვარის წარმომადგენელთა დამსახურებამ სამეფო კარისა და მეფის ოჯახის წინაშე, გარკვეული როლი ითამაშა ოქონის ეკლესიის გაძლიერებაში.

გარსევანიშვილები განსაკუთრებით დაწინაურდნენ XVIII ს. პირველ მესამედში. 1664 წლის ერთ სიგელში ისინი თუ სახასო ყმებად იხსენიებიან[5], 1725 წ. უკვე სახასო აზნაურებად ვხედავთ. აქვე უნდა ითქვას, რომ ოქონის ხატის დანიშნულებაზე განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება მეფე ვახტანგ VI-მ. 1725 წლის 13 იანვრის სიგელში, რომელიც მან გარსევანიშვილებს უბოძა, ვკითხულობთ: *„მოვიდრეკთ მუჴლთა გულისა გულისა ჩვენისათა და დავარდები იატაკთა კარისა შენისათა ოქონის ხატო მრავალნაწილო და უქონის[6] ხატო და ვითხოვთ შენდობასა და წყალობასა მე... ოდეს კეისარს რომანოზს ქართველთ მეფისათვის წინ საძღვნად ვითარცა კეისარს*

---

[1] *იქვე, №169.*
[2] *იქვე, №152.*
[3] *იქვე, №188.*
[4] *იქვე, №7601/30.*
[5] *იქვე, №4640.*
[6] ასეა ტექსტში.

კონსტანტინეს ჯვარი ცხოველი და არს სახლსა მეფეთასა სასვენად“[4].

ვახტანგ VI ორგზის, 1708 და 1725 წლის 20 ნოემბრის სიგელებში, დეკანოზს შეახსენებს ოქონის ხატის დანიშნულებას: *„ოდეს ქართველი მეფე ლაშქარსა და ნადირობას წაბრძანდეს, ოქონის ხატი წინ უნდა უძღოდეს; დროსა დადგომისასა ან მეფისა და ან უფლისწულის სადგომს უნდა დაუსვენონ; და რაჟამს შინ მობრძანდებოდეს მეფის და დედოფლის საწოლში უნდა დაუსვენებდე“*[2]. *„ქართლის მეფე როცა ლაშქარსა თუ ნადირობასა სადაც წაბძანდეს ოქონის ხატი თუ ჯვარი უნდა გეტვირთოს და წინ უძღვებოდე ჭირსა თუ ლხინსა შიგან“; „დეკანოზს სარჩოთ უბოძეთ ამად რომ ლაშქარ-ნადირობას, ჭირსა თუ ლხინში ხატი ყელს ეკიდოსთ და წესისაებრ მოუკლებლად გვმსახურობდენ და საცა რომ ვიყვნეთ ხატი იქ უნდა დაგვისვენდეს...“*[3].

ვახტანგ მეფის 1725 წლის გუჯარიდან ირკვევა, რომ ოქონის ღვთისმშობლის ხატისთვის ცალკე ეკლესია აუშენებიათ სოფ. ოქონაში. ეს ეკლესია, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოხსენიებული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს[4]. იმავე გუჯარიდან ისიც ირკვევა, რომ ოქონის ხატი თამარ მეფეს გორში გადმოუსვენებია და მისი სახელობის ეკლესიაც აუგია. აქვე შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე ცნობა ალ. გარსევანიშვილის წერილიდან. ოქონის ხატი ბაგრატ IV-დან თამარ მეფემდე დიდი პატივით ესვენა თბილისში, ისანის მეფის სასახლის ეკლესიაში. იქვე ცხოვრობდა დეკანოზი ფილიმონი და მისი შთამომავალნი. ერთხელ, როცა თამარი ნაჭარმაგევის ჭალაში ნადირობდა (ავტორი წელსაც კი ასახელებს – 1187), ხიდისთავის პირდაპირ მტკვრის გადაღმა წააწყდა დაყუდებული ბერის ათანასეს სადგომს, რომლის მახლობლად გუბდებოდა მდინარეები – მტკვარი, ლიახვი და მეჯუდა და გორს მის მიდამოებითურთ ტბორავდა ხურვალეთამდე. თამარმა წყალს გზა გაუხსნა, ბორცვზე ციხე და ოქონის ღვთისმშობლის ეკლესია ააგო. მეფემ იმავე წელს გორი გააშენა და ციხის ეკლესიის პირდაპირ მტკვრის მახლობლად ააგო მეორე ეკლესია და უწოდა გორის ღვთისმშობლის ეკლესია, ე.ი. გორის მცველისა და მფარველის ეკლესია. ამ ეკლესიიდან მცირე მოშო-

---

[1] გსიემ, № 160, ასლი, გვ. 3.

[2] ჟორდანია თ., ქრონიკები, III, გვ. 26.

[3] გსიემ, №191, ასლი, გვ. 3, 5.

[4] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 375-376.

რებით აზნაურ პეტრე დონაშვილს აუშენებია ღვთისმშობლის მიძინების მცირე ეკლესია. თამარ მეფემ ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, დონაშვილის გარდაცვალების შემდეგ (1189 წ.) ფილიმონის შთამომავალს დეკანოზ გარსევანს უბოძა და ხატის ამ ეკლესიაში გადმოსვენება ბრძანა. ეკლესიას ოქონის ხატის საყდარი, ანუ ოქონა ეწოდა. ეკლესიის შესავალ კარზე იყო წარწერა:

ძველადგან მეფეთა მიერ განდიდებულო;
„ოქონის ხატო პატივცემულო,
შენ მეოხად, თაყვანის-ცემულო,
სასწაულთაგან ფრიად გაბრწყინებულო,
ვინ შეუძლოს ქებად შენდა;
ღუთივ-მიმადლებულო“[1].

გავეცნოთ ვახტანგ VI-ის 1725 წლის 13 იანვრის ვრცელი სიგელის იმ ფრაგმენტებს, რომლებიც მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავენ როგორც ოქონის ხატის, მისი ქონების და გარსევანიშვილების გვარის დამსახურებაზე. ვახტანგ VI ბრძანებს: *„მეფე ვახტანგ ბაქარითურთ, მეუღლით და ძით ჩემით გიორგით მოვიდრეკთ მუჭლთა გულისა გულისა ჩვენისათა და დავარდები იატაკთა კარისა შენისათა, ოქონის ხატო მრავალნაწილო და უქონის ხატო და ვითხოვთ შენდობასა და წყალობასა მე, ცოდვითა დამძიმებული და დამაშვრალი უშჯულოებითა შემიწყალე ნუ ჭუებულ გვყოფ ძალისა შენისაგან, რომელ იგი არს მოწყალე, რომელმან არა ღირსი წუალობისა შეიწყალოს ოდეს ამაღლებულსა და ყოველთა ჭელმწიფეთა უზეშთაეს მყოფთა კეისარს რომანოზს ქართუელთ მეფისათჳს ასული მოუთხუებია. მას ჟამთა სხუათა ურიცხვთა საბოძვართაგან კიდე მრავალნაწილი სასწაულთმოქმედი ოქონის ხატი დეკანოზითურთ უბოძებია და მიერითგან განკუთვნილა ქართველთ მეფისათჳს წინ საძღვნად, ვითარცა კეისარს კოსტანტინეს ჯვარი ცხოველი და არს სახლისა სახლთა მეფეთასა სასვენად. შემდგომად სულბრწყინვალეს, თჳთმპყრობელს მეფე თამარს გორს გორაზე რომელსა ეწოდების ტონთიო სახელსა ზედან ოქონის ხატისასა ეკლესია აღეშენებინა, დაეხატა და შეემკო და თვით დეკანოზი შენი გარსეუან იქ დაესახლებინა და მამულები შეეწირა გორს ორი კომლი სომეხი ალადაშვილები და ზოგიერთი მამული და ადგილები სარწყავი თუ ურწყავი აგრეუე ჭიდისთავი და სარბევი ბერბუქი და რეჯას საკუამლოები, პატარა გარეჯვარი და რუის უმეკაშვილები. ესეები დეკანოზისათჳს*

[1] *„ცისკარი“, 1867, №2, 4, გვ. 7-8.*

სარჩოდ ებოძებინა და ჟმთა ვითარებით და ქართლის აშლილობით მთავარეპისკოპოზს ჴელი დაედვა და ცუდუბრალოდ დაეჭირა ოქონის ხატი და მისი დეკანოზნი დაჩაგრულიყვნენ... ყოვლითურთ უძლეუელსა რუსეთისა და ჩრდილოეთის მეფეთმეფის პეტრე ალექსიშვილთან მოვედით, ოქონის ხატი და მათი დეკანოზნი იქ გვახლდენ: გარსეუანის შვილი გიორგი, მისი შვილი გრიგოლ, მისი ძმისწული გარსეუან და ონისიმე, მისი ბიძაშვილი დეკანოზი სვიმონ მოგვიდგენ კარსა დარბაზისა ჩვენისასა და ამ ხატის მამულს და სიგლის გაახლებას დაგვეაჯნენ. ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება ამათი და გულსმოდგინედ გამოვიძიეთ და რაც ქართლს ეპისკოპოზნი იყვნენ და თთ მთავარეფისკოპოზი ქრისტეფორეც აქ გვახლდა, შემოვეყარენით ეფიკოპოზნი კრება უყავით, მოკითხული ვქენით, ჭეშმარიტი შევიტყევით რომ არას კაცს არც ეფისკოპოზს და არც წინამძღვარს ჴელი არ ქონებოდა და სადეკანოზოც ყოფილიყო, ხატიც ჩემი წინსაძღოლი იყო და მისნი დეკანოზიც ჩვენი სახასო აზნაურიშვილნი და შინაყმანი იყუნენ. მაშ ამათი მამული სხვისა რათ იქნებოდა, რადგან ასე იყო და კუალად ხატიც თან გვახლდა და დეკანოზნიც ჩვენი ჯვარისმტვირთველნი არც ამ ჩვენს სასოებას ხატს ეკადრებოდა და ვერც მისნი დეკანოზნი რჩებოდნენ ამისთს კუალად გაუახლეთ და მივართვით ოქონის ხატს ისეუ თავისი მკვიდრი მამული და მათ დეკანოზს სარჩოთ უბოძეთ ამად, რომ ლაშქარნადირობას, ჭირსა თუ ლხინში ხატი ყელს ეკიდოსთ და წესისაებრ მოუკლებლად გვმსახურებდნენ და საცა რომ ვიყუნთ ხატი იქ უნდა დაგვისვენდეს. ამისთჳს მოვახსენეთ ჩვენს სასოებას ოქონის ხატს ეს მამულები და დეკანოზს სარჩოდ წყალობა უყავით, როგორც რომ თამარ მეფის სიგელში გიწერია იმ სამძვრით და იმ წესით გორს ალადათაშვილები ადგილი თუ მიწა შენი თუ უშენი, სარწყავი თუ ურწყავი საწყლისპირო, რომ სხვას არავის ჰქონია აგრეუე ჴიდისთავი და ჴიდისთავი გამოდმა სარბეუითა იმავ წესითა და რიგითა, აგრეუე ბერბუქი, რომელიც ძველათ ქონია იმ სამძღვრით, აგრეუე რეჴას რომელიც საკუამლოები ჰქონია ჭალითა იმავ ძველის სამძღვრითა, აგრეუე პატარა გარეჯვარი ისეუე ძველის სიგლითა რომელიც ჰქონებოდის, რუის უმეკაშვილები იმავ ძველის წესითა, აგრეუე საცა რომ მამული ჰქონდეს მისარჩელითა და მიუსარჩელითა თქუენთჳს შემოგვიწირავს და თქუენის დეკანოზისათჳს წყალობა გვიქნია, რომ დიდად ნამსახურნი და ვალდებულნი იყუნენ ჩვენს სახლზედა ვერც არავინ შეე-

ცილოს და მოუშალოს. შეგვიწირე შენ მრავალნაწილო ოქონის ხატო, ჯვარო ცხოველმყოფელო...

ეს ძველთაგან ჭელმწიფეთ წყალობა ჩვენც ასე გაგვირიგებია და წყალობა გვიქნია თქუენ გარსევანიშვილებისათს ესესა, გიორგისა, სვიმონისა, მარკოზისა, საბასა და ნიკოლოზისათვის, შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათუს ასე რომე რამდენიც მღდელი თქუენს სახლში იყოს ჩვეთუს წირვას და მოხსენებას ნუ დააკლებენ ოქონის ხატის დღეობას"[1].

გავეცანით ვახტანგ VI-ის მიერ 1725 წლის 13 იანვარს გარსევანიშვილებისათვის მიცემულ სიგელს, რომელსაც, ერთი შეხედვით, თითქოს სრულად უნდა დაეკმაყოფილებინა დასახელებული ოჯახისა და, ზოგადად, გვარის მოთხოვნა-ინტერესები. მაგრამ ამ სიგელს თუ შევადარებთ ადრე (1708 წ. 6 იანვარი) გაცემულ ანალოგიური შინაარსის სხვა სიგელს, აღმოჩნდება, რომ 1725 წლის 13 იანვრის სიგელი ძალზე ზოგადია, მაშინ, როდესაც მისი წინამორბედი დაწვრილებით გვაცნობს გარსევანიშვილების ოქონის ხატთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობებს. საგულისხმოა, ისინი უკმაყოფილონი დარჩნენ აღნიშნულის გამო და გარკვეული პრეტენზიები წამოაყენეს. მეფე იძულებული გახდა მათი მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა. ამიტომ იმავე წლის 20 ნოემბერს ვახტანგ მეფემ გარსევანიშვილებს მისცა ახალი სიგელი, განუახლა *„ჟამთა ვითარებისა და ურჯულოს ძალის დატანების გამო"* მოშლილი დეკანოზობის რიგისა და სამსახურის განაჩენი. მეფემ თავისი შვილების გამზრდელსა და მის წინაშე დიდი დამსახურების მქონე მეფის კარის დეკანოზ გიორგის და მის ნათესავებს – მის ძმას დეკანოზ იესეს, მის ძმისწულებს – ნიკოლოზსა და გარსეუანს, მის შვილებს – გრიგოლსა და ანდრიას განუახლა ყველა ის პრივილეგია და მოვალეობა რაც მათ ძველად უკვე ჰქონდათ:

1. ისინი უნდა განაგებდნენ მეფის კარის ეკლესიას და იყვნენ დეკანოზები, ეკლესიის კლიტე მათ უნდა ებაროთ და მათი სურვილის წინააღმდეგ იქ ვერავინ იმოქმედებს.

2. როდესაც ქართლის მეფე ლაშქარსა და ნადირობაში წაბრძანდებოდა ზემოთ დასახელებულ პირები ოქონის ხატითა და ჯვარით წინ უნდა გასძღოლოდნენ. ასევე უნდა ემოქმედათ ჭირსა თუ ლხინში.

---

[1] *იქვე, №169, გვ. 3-7.*

3. მათი მოვალეობა იყო საჭიროების დროს მეფე, მისი ახლობლები და კარისკაცები ოქონის ხატზე დაეფიცებინათ.

4. მათი ვალდებულება იყო მეფის, უფლისწულის, მეფის ასულის, უფლისწულის ასულის შეუღლების დროს გვირგვინის კურთხება.

5. მათ ევალებოდათ კათალიკოსის ნებართვით სამღვდელოების შეკრება კრებისათვის, სადაც განიხილებოდა სასჯულო, ეპისკოპოსისა და საეკლესიო საკითხები.

6. მათ უნდა ეხელმძღვანელათ მონასტრისა და ეკლესიის მშენებლობისა და შემკობისათვის, თუკი მეფეს ასეთი სურვილი ექნებოდა.

7. თუ ვინმეს მეფე ეპისკოპოსობას უბოძებდა, დეკნოზი გარსევანიშვივილი მას გაჰყვებოდა და საყდარსა და მამულს მიაბარებდა.

8. თუ მონასტრის მამულზე ან სხვა რამეზე საჩივარი იქნებოდა დეკანოზს უნდა შეეგროვებინა ცნობები და მეფისათვის მოეხსენებინა.

9. როცა ეპიკოპოსი გარდაიცვლებოდა მას უნდა შეესწავლა საეკლესიო ქონების მეტნაკლებობის მდგომარეობა და მეფისათვის მოეხსენებინა.

10. თუ სამეფოში უცხო ეპისკოპოსი ან სამღვდელონი მოვიდოდნენ, *„იმათი ზედამდგეობა და გამრიგეობა“* დეკანოზს ევალებოდა.

11. თუ სტუმარს სხვა ეპსკოპოსთან ან სამღვდელოსთან კაცის გაგზავნა მოუნდებოდა, ესეც დეკანოზის რიგი იყო.

12. სასჯულო საკითხებზე ხელმწიფესთან კაცის გაგზავნა მას ევალებოდა.

13. თუ მეფე რომელიმე ეპისკოპოსს ან მღვდელს გაუწყრებოდა, ოქონის დეკანოზს უბრძანებდა დამნაშავისათვის ამის შესახებ ეცნობებინა. ამგვარ საქმეში ერისკაცი ვერ ჩაერეოდა.

14. *„თუ არ სასუკუდინოთ მეფემ მონასტერს თუ უდაბნოს, თუ საგანშორებულოს, თუ ღარიბს“* საწირავი თუ სამლოცველო უბოძოს, ეს საკითხებიც მას უნდა მოეგვარებინა.

15. მასვე ევალებოდა მეფის მიერ ბოძებული (შესაწირავისა და წასაბურავის) წყალობის სამღვდელოსთან წაღება.

16. დეკანოზ გარსევანიშვილის გარდა მეფის სახლში სხვა მღვდელი მოძღვარი ვერ იქნებოდა.

ყველაფერი ზემოჩამოთვლილის სანაცვლოდ მეფე დეკანოზ გიორგის პირდება: *„რაც ჩვენგან რომელიც წყალობა გჭირვებოდეს ჯამაგირი თუ ულუფა საგარეოთ თუ საშინაო, არ მოგეშალოს ეს*

წყალობა“. 1698 წელს გარსევანიშვილებისათვის (იესე, გიორგი) ვახტანგ მეფის მიერ ბოძებულ და 1725 წელს განახლებულ სიგელში საკმაოდ დაწვრილებითაა ჩამოთვლილი ყველა ის, რა წყალობასაც ისინი მეფისგან იღებდნენ თვეში 7 სტილ (ლიტრა) სანთელს, 2 საკმელს, წელიწადში სამი ფარჩა, ერთი დარაია ბაფთიერთი ყუთნი, ერთი დარაია, ერთი ხელი ტანისამოსი, *„თავით ფერხამდინ“, „კვირასა და ბედნიერის დ საწინავი აბაზი ერთი, ულუფა სამი და ორიოს ცხენისა კაცისა“.* ამასგარდა, მეფემ მათ უბოძა ყმები და მამულები: *„ბოლნის ჭონა შვილები ზალუა და არუთინა, რუის ნონია შვილები შერმაზან და მისი ძმანი, იქავ მეზრის შვილი გიორგი და იასაღჩი შვილნი და ამოვარდნილის გივიას შვილის ზუბიტას მამული მისის ობოლის ძმისწულითა და ურბნისის გზის პირს ჩვენი სახასო მიწა; ესენი მათი მამულით, წყლითა, წისქვილითა, მთითა, ბარითა, ველითა ვენახითა, ნასყიდითა უსყიდითა და ყოვლის მისის სამართლიანის სამძღვრით, დღეს რასაც მქონებელ იყვნენ მით, თქვენთვის გვიბოძებია და ასრე გვითარხნებია...“*[1] *„ასე გვიქნია და დაგვიმტკიცებია რომ არა ჩვენმა ნათესავთა და მეფეთ არ მოგიშალონ ეს რიგები“,* მიმართავს გარსევანიშვილებს მეფე ვახტანგი[2].

როგორც ითქვა, ოქონის ხატის დეკანოზი გარსევანიშვილი გიორგი და მისი ძმა დეკანოზი იესე ვახტანგ VI-ის შვილების ვახუშტის, ბაქარისა და გიორგის აღმზრდელები იყვნენ. გიორგი და იესე გარსევანიშვილებისადმი მადლიერებას ვახუშტი ბატონიშვილი მათთვის მიცემულ სიგელში შემდეგნაირად გამოხატავდა: *„ქ. ნებითა და შეწევნითა მღთისათა ესე წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ, ბატონიშვილმა ვახუშტიმ, ძემან ჩვენმა იოვანემ თქვენ, ჩვენთა ერთგულთა, წესისაებრ თავდადებით მრავალგვარად ნამსახურსა კარისა და ოქონის ხატის დეკანოზს გარსევანიშვილს იესეს და ძმასა შენსა სიჩჩოთავე ჩვნთა გამზრდელთა და, რაც ძალი ედვა, სამღთო საერომდე მასწავლელს გიორგის, შვილთა თქვენთა ნიკოლოზს, გრიგოლს, გარსევანს და ანდრიას, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა; ოდეს მრავალგვარათ თავდადებით ჩვენს დაჭირების დღეებში გვემსახურენით და ჩვენს გაზრდაში დიდი ჭირი და გაზრდილობა მიგიძღოდა ჩვენზე, ამისდა სანუქფოდ წყალობას დაგეაჯე[ნით, ჩვენც] შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენის სამართლის გზითა და ალალის საქონლით ნასყიდი მცირე სოფელი ჯავახის-*

---

[1] *ურდანია თ., ქრონიკები, გვ. 26-27*

[2] *გსიემ, №191.*

შვილებისაგან მოსყიდული ნადარბაზევი მისი სამართლიანის სამზღვრითა, წყლითა, წისქვილითა, მთითა, ბარითა მის გარშემო საყდრით [და ნ]ასაყდრალითა და სახნავითა, სათიბითა და უთიბითა, როგორც იმათგან მეყიდნოს, იმ გზითა და იმ საზღვრითა, გქონდეს გაგიბედნიეროს ღ"თნ ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა, ოცს ნათლისღებას, რაც სამღდელო კაცი თქვენს სახლში იქნებოდეთ, ჩვენად სადღეგრძელოდ და გასამარჯვებლად და სასულიეროთ ჟამსა გვიწირევდეთ. არ მოგეშალოს არცა ჩვენგან არცა ჩამამავალთა ჩვენთაგან. აწე, გეუედრებით შემდგომნო ჩვენნო მეპატრონენო, ვინც ვინ ბრძანდებოდეთ, მცირესა ამას ჩვენგან ნაწყალობევს ალალის თეთრით ჯავახისშვილებისაგან მოსყიდულს ნადარბაზევს ნუ მოუშლით ჩვენზე მრავალგზით და მრავლის მოუგონობელის ჭირით თავგანწირვით ნამსახურს გარსევანიშვილებს, თქვენის მღთის გულისათვის, რათა ცათა და ქვეყანათა შემოქმედმა დამტკიცოს განგებული თქვენი. აწე, ვინცა და რამანცა კაცმა ამისად შლად ხელყოს, რისხვასმცა ღმერთი დაუსრულებელი და ჩვენისა ცოდვისათვის იგიმცა განიკითხვის მეუფისა წინაშე... დაიწერა ბრძანება ესე კათათვის, ი, ქკს უია..."[1]

შესაბამისი წერილობითი ცნობები არ გაგვაჩნია, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გარსევანიშვილები, მნიშვნელოვნად მონაწილეობდნენ ვახტანგ VI-ის დროინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში. სხვა როგორ უნდა აიხსნას ის რასაც 1725 წლის სიგელში ვკითხულობთ: როცა *„დიდის რუსეთისა და ჩრდილოეთის მეფეთმეფის პეტრე ალექსიშვილთან მოვედით ოქონის ხატი*[2] *და მათი დეკანოზნი, იქ გვახლდენ: გარსეუანის შვილი გიორგი, მისი შვილი გრიგოლ, მისი ძმისწული გარსეუან და ონისიმე, მისი ბიძაშვილი დეკანოზი სვიმონ"*[3]. როგორც ჩანს, გიორგი გარსევანიშვილი მალე მობრუნდა სამშობლოში. ვახტანგ VI-ის ძმამ კათალიკოს-პატრიარქმა დომენტიმ გიორგის *„კურთხევის წიგნი"* უბოძა, რადგან *„ჩემი ძმისწულების გამზრდელი იყავი, რუსეთს ბევრს ემსახურენით, მერმე დასტური მოეცათ, კიდეც დაბერებულიყავი*[4] *და გამოესტუმრებინე. ახლა, ჩვენც ეს წყალობა გიყავით შენის ნამსახურობისა და გარჯისათვის*

---

[1] *ბერძენიშვილი ნ., ვახუშტის ბიოგრაფიისათვის. საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1967, გვ. 291-292.*

[2] ალ. გარსევანიშვილის მიხედვით, იმ დროს რუსეთში წაუსვენებიათ ოქონის ხატის პირი, რომელიც შემდეგში მოსკოვში ყოფილა დაცული.

[3] *გსიემ, №169..*

[4] ალაბათ, დაბარებული.

რომელიც შენი საჭელო იყოს და ან ყოფილიყოს კარისა თუ გორისა თუ ოქონის ხატისა სამკვიდროდ გქონებია არ მოგეშალოს ვინც მოგიშალოს ჩვენგან შეუნდობელი იყოს“. ხვეულად კათალიკოზ=პატრიარქი დომენტი[1]. ჩემი ვარაუდის სისწორეს, რომ *„დაბერებულის“* ნაცვლად უნდა იყოს *„დაბარებული“*, ადასტურებს ზემოთ ციტირებული დოკუმენტები. ისიც ირკვევა, რომ გიორგის რაღაც მნიშვნელოვანი საქმის გამო საქართველოში დაბრუნება უნდოდა. მისი თხოვნა ვახტანგ VI-მ შეიწყნარა და გამოუშვა, მაგრამ იმას ვერ ვიტყვი მცირე თუ დიდი ხნით. გიორგი გარსევანიშვილი რუსეთში დაბრუნდა, თუმცა არ ჩანს როდის. 1736-1745 წლებში ის იყო არჩილ II-ის ქალიშვილის დარეჯანის მიერ ვსესვიატსკოეში აგებული ყველა წმინდანის სახელობის ტაძრის წინამძღვარი. გიორგი 1745 წელს გარდაიცვალა და მისსავე ტაძარში დაკრძალეს. მისი საფლავის ქვა მხედრული წარწერით ნახა ნ. ბერძენიშვილმა და ეპიტაპიაც გადმოიწერა. ეპიტაფიაში იკითხებოდა: აქ განისვენებს „პროტოპოპი გარსევანისძე გიორგი, მეფის ვახტანგის აღზრდილი და მეფის ბაქარის გამზრდელი“[2]. სასაფლაო, სადაც დაკრძალული იყო მრავალი წარჩინებული ქართველი, განადგურებული იქნა 1982 წელს[3].

ერთი შეხედვით, თითქოს გაუგებრობას იწვევს 1745 წლის ერთი სიგელი, რომელიც კახეთის მეფე თეიმურაზ II-მ გიორგი გარსევანიშვილს განუახლა: *„კახეთის მეფემ მეფის ერეკლეს შვილმან მეფემ თეიმურაზ და თანამეცხედრემან ჩვენმან ქართველთ მეფის ასულმან დედოფალმან თამარ და სასურველმან ძემან ჩვენმან ბატონისშვილმან ერეკლემ ესე ამიერ უკუნისამდე ჟამთა... უცვალებელი სიგელი გიბოძეთ თქვენ ჩვენ ერთობის კარის და ოქონის ხატის და ჯვარისმტვირთველს დეკანოზს გარსევანისშვილს გიორგის და შვილსა შენსა გრიგოლს და ანდრიას და შვილსა და მომავალთა სახლისა შენისა ასე რომენ ერთობაში ოდეს ამაღლებულს დიდს ჭელმწიფეს კეისარს ქართველთ მეფისათვის ქალი მოეთხოებინა მაშინ ზითვით მრავალი ნაწილი სასწაულმოქმედი ოქონის ხატი ზითვათ მოყოლოდა და თქვენი სახლისკაცი დეკანოზათ და მუნითგან ჯვარისმტვირთველი და დეკანოზი ყოფილიყავით და იყვენით ამისთვის ყოვლის ჩვენის ნათესავისგან ჯამაგირი და ულუფა გქონდათ წელიწადში სამი*

---

[1] *იქვე, №173.*

[2] *ბერძენიშვილი ნ., ვახუშტის ბიოგრაფიისათვის. გვ. 292.*

[3] *Судариков В. А., Чапкин С., Православная Москва. Справочник, Москва, Братство Святителя Тихона, 1993, с. 54—55.*

თუმანი და ერთი ჰელი ტანისამოსი... ჩვენც განგიახლეთ და გიბოძეთ... ქრონიკონს უკგ, ქრისტეს აქათს ჩღდე...“[1]

უცილობელია, რომ გიორგი გარსევანიშვილი 1745 გარდაიცვალა მოსკოვში. ვფიქრობ, გორში მცხოვრებმა გიორგის შვილებმა, ჩვეულების თანახმად, ახალ ხელდასხმულ მეფეს, თეიმურაზ II-ს მიმართეს ზემოაღნიშნული სიგელის განახლების თაობაზე, რათა თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი გაუგებრობები. მათ სამწყსოზე მოცილენი ჰყავდათ.

გარსევანიშვილებს სხვადასხვა გზით შეძენილი მრავალი მამული ჰქონდათ, რაც აღნიშნულია ნასყიდობის საბუთებში. თეიმურაზ II-მ 1745 წ. განუახლა წყალობა გიორგი გარსევანიშვილს, რომელიც *„ყოვლის ჩვენის ნათესავისაგან ჯამაგირი და ულუფა გქონოდათ წელიწადში სამი თუმანი და ერთი ჰელი ტანისამოსი... ჩვენც განგიახლეთ და გიბოძეთ“* – ბრძანებს თეიმურაზი[2]. 1736 წ. 26 ივლისს მთავარეპისკოპოსმა გარსევანიშვილებს სიმტკიცის სიგელი მისცა ოქონის დეკანოზობაზე, მის შემოსავალზე[3].

ცნობილ საბუთებში XVIII ს. დასასრულამდე მოხსენიებული არიან გორელი გარსევანიშვილების შემდეგი წარმომადგენლები:

1582 წ. 13 მარტს მეფე სვიმონ I-მა ფილიმონს დაუმტკიცა გორის ციხისა და ოქონის ხატის დეკანოზობა[4].

1664 წ. მარიამ დედოფლის წყალობის სიგელში მოხსენიებულნი არიან ოქონის ხატის დეკანოზი დავითი, გარსევანი და თამაზი[5].

1655 წ. მარიამ დედოფალმა მამუკას კვლავ დაუმტკიცა ოქონის ხატის დეკანოზობა[6].

1669. IV/15. თავნასყიდობის წიგნში – გარსევანიშვილი დეკანოზი მამულა[7].

1672 წ. ნასყიდობის ბარათში – გორისა და ოქონის ხატის დეკანოზი მარკოზი[8].

---

[1] *გსიემ, 156.*

[2] *იქვე, №156..*

[3] *იქვე, №164.*

[4] *იქვე, №190ა.*

[5] *იქვე, №4040, №147, №185.*

[6] *იქვე, №190 ბ.*

[7] *სამართლის ძეგლები, VIII, გვ. 847, №856.*

[8] *გსიემ, №7601/19.*

1680 წ. ნასყიდობის ხელწერილში – დავითი, გარსევანი და თამაზი[1].

1681 წ. საბუთში მოხსენიებულნი არიან გორისა და ოქონის ხატის დეკანოზის შვილები დავით, გარსევან და თამაზ[2].

1791 წ. XI, I. ერეკლე I ულუფას უნიშნავს იასეს[3].

1725 წ. 13. ვახტანგ VI-ის წყალობის წიგნში – გიორგი, მისი შვილი გრიგოლ, მისი ძმისწული გარსეუან და ონისიმე, მისი ბიძაშვილები დეკანოზი სვიმონ, იესე, მარკოზი, საბა და ნიკოლოზი[4].

1725. XI. 20. ვახტანგ VI-ის წყალობის წიგნში – დეკანოზი გიორგი, მისი ძე იესე, ძმისწული ნიკოლოზი, მისი შვილები – გრიგოლ და ანდრია[5].

1738 წ. XI. I. ნასყიდობის სიგელში – ნიკოლოზ გარსევანიშვილი[6].

1745 წ. თეიმურაზ II ჯამაგირსა და ულუფას უნიშნავს ერთობით კარის და ოქონის ხატის ჯვარისმტვირთველს დეკანოზს გარსევანიშვილ გიორგის და მის შვილებს, გრიგოლს და ანდრიას[7].

ფრიად საინტერესოა ქართლის მთავარეპისკოპოსის კირილეს მიერ 1766 წლის 26 სექტემბერს მღვდელი პეტრე (შემდეგში მთავარეპისკოპოსი პაისიოსი) გარსევანიშვილისათვის მიცემული დეკანოზობის წყალობის განახლების წიგნში ჩამოთვლილი პრივილეგიები, რომლებსაც შემდგომში გავეცნობით.

1793. VII. I. სიგელში – გარსევანიშვილი იაკობ მღვდელი[8].

როგორც წესი, ოქონის ეკლესიის წინამძღვრები და დეკანოზები გარსევანიშვილების გვარის წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც ზოგჯერ, გაურკვეველი მიზეზების გამო, დეკანოზებად სხვა გვარის მღვდლები ინიშნებოდნენ. 1655 წელს, როსტომ მეფემ, ოქონის ტაძრის დეკანოზი არაგარსევანიშვილი ქრისტეფორე ურბნელი ზაქარია ბარათაშვილით შეცვალა[9]. დოკუმენტებიდან

---

[1] იქვე, №7610/59.
[2] ხეც, შდ, №546.
[3] გსიემ, №155.
[4] იქვე, №169.
[5] იქვე, №169.
[6] იქვე, №177.
[7] იქვე, №156.
[8] იქვე, №149.
[9] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. AD, საბ. 602.

არ ჩანს ის მიზეზები, რის გამოც კარგავდნენ გარსევანიშვილები სოციალურად და ეკონომიკურად დიდად მნიშვნელოვან ოქონის დეკანოზობას. მაგრამ არის მინიშნება, რომ ზოგჯერ დეკანოზებად მათ მიერ შერჩეული სხვა რომელიმე გვარის წარმომადგენელი საიმედო მღვდელი ინიშნებოდა. აი რას ვკითხულობთ ქართლის მთავარეპისკოპოს კირილეს მიერ გაცემულ 1766 წლის 26 სექტემბრის სიგელში, როდესაც ის მიმართავს გარსევანიშვილებს – პეტრეს, დემეტრეს და იაკობს: *„ცოტას ხანს თქვენს სახლში პატიოსანნი მღვდელნი მიცვალებულიყვნენ და სამღვდელო არვინ ყოფილ იყვნენ და თქვენის ნებით სხვა მღდელი დაგეყენებინათ“*[1].

1861 წლის 22 თებერვალს მღვდელ იესე გარსევანიშვილს მამა-პაპეული ეკლესიები, მამულები და სხვა საკუთრება ჩამოართვეს და მღვდელმოქმედებაც აუკრძალეს. ასე დაასრულა იესემ 44 წლიანი ეკლესიური მოღვაწეობა. ამის შემდეგ დეკანოზი გარსევანიშვილი აღარ ყოფილა.

გარსევანშვილების ნებით უნდა დანიშნულიყო იმავე თანამდებობაზე 1892 წელს ოქონის ეკლესიის დეკანოზად გრიგოლ ღამბარაშვილი, რომელიც მრევლის საყოველთაო სიყვარულით სარგებლობდა[2]. საყურადღებოა, რომ იმ დროს ოქონის ხატის ეკლესიის მზრუნველობის თავმჯდომარე იყო საერო პირი ალექსანდრე სვიმონის ძე გარსევანიშვილი[3], რომელიც იაქტიურებდა მათი საგვარეულო ეკლესიის მართვაში.

---

[1] *გსიემ, №160.*

[2] *გაზ. „კვალი“, 25. 04. 1898.*

[3] *იქვე, 20. 08. 1895.*

საამაყო გარსევანიშვილები და მათთან დაკავშირებული მოვლენები

თავდაპირველად შევჩერდეთ გარსევანიშვილების იმ რამდენიმე წარმომადგენელზე, რომელთა მოღვაწეობაზეა გამახვილებული ყურადღება საგვარეულო ნუსხაში.

იესე გარსევანის ძე

„დ“ სქოლიო (იხ. დანართი) მთლიანად დათმობილი აქვს XVIII ს. პირველ ნახევრის მოღვაწეს, იესეს, რომელსაც უდიდესი დამსახურება ჰქონდა გვარის გაძლიერება-გამდიდრების, ოქონის ეკლესიის მოვლა-პატრონობის საქმეში.

დეკანოზი იესე მეფე ვახტანგ VI-სთან დაახლოებული, მისი მოძღვარი და მრჩეველი იყო. ქართულის კარგად ცოდნასთან ერთად ფლობდა სპარსულ, ბერძნულ და თურქულ ენებს, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სახელმწიფოს კულტურულ ცხოვრებაში. მან აღწერა და მოაწესრიგა საეკლესიო და საერო წიგნები, განაახლა გორის ღვთისმშობლის ის ეკლესია, რომლის დაარსებას თამარ მეფეს მიაწერდნენ. მასვე აუშენა კანკელი და სამრეკლო.

მისი ორი ვაჟი – ონისიმე და გარსევანი, ვახტანგ VI-ს გაჰყვნენ რუსეთში 1724 წელს და სამუდამოდ იქ დასახლდნენ. იესეს შთამომავლები ცხოვრობდნენ მოსკოვსა და იაროსლავში. მათ თავი გამოიჩინეს რუსეთის იმპერიის სამხედრო სამსახურში[1].

იესემ დიდად იზრუნა და წინაპართა ქონებას შემატა მამულები სომხითში, თბილისში, ატენის ხეობაში, საციციანოში, საჯავახიანოში, ქრცხინვალში, გორისა და გორის მაზრის სოფლებში, ამასთან ერთად ყმათა რაოდენობას ორას სამოცდათხუთმეტისათვის მიუღწევია. იესე იყო დიდად განათლებული პიროვნება, მან საუკეთესოდ იცოდა ქართული, სპარსული, ბერძნული და თურქული, იყო მეფის მრჩეველი და მასთან დაახლოებული და საყვარელი ადამიანი. ყოველივე აღნიშნული დასტურდება უკვე ციტირებული და ქვემოთ განხილული მეფე ვახტანგ VI-ისა და დედოფლის მიერ იესესა და მისი ახლობლებისათვის ნაბოძები სიგელებით.

იესე დაკრძალეს ოქონის ეკლესიაში ოქონის ხატის წინ.

---

[1] *იქვე.*

დიმიტრი გიორგის ძე

იესე და გიორგი გარსევანიშვილების მიერ სხვადასხვა დროს შეძენილი ქონება გაუნიავებია დიმიტრის, დეკანოზ გიორგის ძეს, რომლის უარყოფოთი დახასიათება მოცემულია საგვარეულო ნუსხაში. დიმიტრი, როგორც ირკვევა, კოლორიტული პიროვნება, იყო ანტონ ქათალიკოზის მგალობელი, მასწავლებელი ერეკლე მეორის ძეთა, მაგრამ არ ვიცით კონკრეტულად რომელი ძეების; გამოირჩეოდა ხასიათით, ცნობილი იყო, როგორც თავის ნათქვამი, მხარჯველი, განცხრომისა და შვების მოყვარული კაცი. ცხოვრების ასეთი წესის გამო მან გაჰყიდა ან გააჩუქა და ამგვარად გაანიავა წინაპრებისგან მემკვიდრეობით მიღებული დეკანოზების – იესესა და გიორგის დატოვებული ყმებისა და მამულების დიდი ნაწილი. *„ამას მდაბიურად უწოდებდენ ტეტიასო“,* გვამცნობს ალექსანდრე სვიმონის ძე გარსევანიშვილი.

დიმიტრის მემკვიდრეობით მიუდია: რუისის გზის ზევით მდებარე მამულის ერთი ნაწილი; ხოდაბუნის ერთი ნაწილი კვერცხეულში სოფელ ახალდაბაში გზის პირას ხევამდე; ბაღის ადგილი და ვენახი სახელწოდებით „პატარა“; თევდორწმინდაში (თედოწმინდა) მამული სახელწოდებით „ნაბეგვარი“. ამ ადგილას შეიძლებოდა სამთვლიანი წისქვილის აშენება; დიმიტრის ერგო, აგრეთვე, წისქვილის ზემოთ „ნაყანარევი“. შემდეგში ეს მიწა შეუცვალეს და ნაყანარევის ნაცვლად მისცეს ერთი საქცევი მიწა – „ნაბაგვარი“.

გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია დიმიტრის მიერ გაყიდული მამულების საბუთი, რომელიც ასახავს იაკობ გარსევანიშვილის გარდაცვალების შემდგომ მდგომარეობას. საბუთი დაწერილია იესე გარსევანიშვილის მიერ[1].

მთავარეპოსკოპოსი პაისიოსი

XVIII ს. მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოღვაწე იყო გარსევანიშვილების გვარის ცნობილი წარმომადგენელი, ქართლის მთავარეპოსკოპოსი პაისიოსი[2].

---

[1] *იქვე, №7636/11.*

[2] მღვდელმთავარ პაისოსის შესახებ ვრცლად იქნება ჩემ საქართველოს საგარეო პოლიტიკასა და დიპლომატიის III ტომში.

იესე იაკობის ძე

გარსევანიშვილების საგვარეულო ნუსხისათვის დართული ვრცელი „თ“ *„სქოლიო“* მთლიანად დათმობილი აქვს XIX ს. პირველი ნახევრის გარსევანიშვილების ერთ-ერთ ნაკლებად ცნობილ წარმომადგენელს, იესე იაკობის ძეს. როგორც კვლევამ მიჩვენა ის ძლიერ საინტერესო პიროვნება და მოღვაწე დიდი ხნის განმავლობაში გორის საკათედრო ტაძრის, ოქონის ღვთისმშობლის ეკლესიის მღვდელი იყო. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, თუ **„თ“** შენიშვნაში გადმოცემულ ინფორმაციას არ ჩავთვლით, მცირე რამაა ცნობილი.

იესე გარსევანიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა შეიძლება განვიხილოთ რამდენიმე ასპექტში:

1. იესე იაკობის ძე გარსევანიშვილი დაიბადა 1792 წელს ქ. გორში. მისი მამა – იაკობი, იყო გორის ოქონის ეკლესიის დეკანოზი. არაა ცნობილი სად მიიღო იესემ დაწყებითი განათლება. ის კი ცნობილია, რომ მან დაასრულა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი[1], სადაც დაეუფლა ქართულ გალობას, ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებას. იესეს მიერ სასწავლებლის დამთავრების ორი თარიღი გვაქვს – 1814 და 1817. უპირატესობა უნდა მივანიჭოთ პირველს, რადგან, როგორც ქვემოთ დამოწმებული დოკუმენტებიდან ირკვევა, იესე 1814 წლიდან, სემინარიის დამთავრების შემდეგ, იმერეთში, თავად ზურაბ წერეთლის ოჯახში[2] იყო ბავშვების აღმზრდე-

---

[1] *1860-იანი წლების რეფორმების შემდეგ სასწავლებელს ეწოდებოდა თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზია.*

[2] ზურაბ ქაიხოსროს ძე წერეთელი (1747-1823), იმერეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, იმერეთის მეფეების სოლომონ I-სა და სოლომონ II-ის სახლთუხუცესი, პირველი ვეზირი. 1784 წელს იმერეთის მეფე დავით II-მ იგი სხვებთან ერთად პეტერბურგს ელჩად გაგზავნა. მან დიდი როლი შეასრულა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების რუსეთთან შეერთების საქმეში. იგი აქტირად მონაწილეობდა 1810 წლის იმერეთის აჯაყების ჩაქრობაში, სოლომონ II-ის განდევნაში... ზურაბ წერეთლის, როგორც დადებით პიროვნების მოკლე დახასითება დაგვიტოვა ნიკო დადიანმა: *„ეგრეთვე წელს ქრისტესით 1823, იანვრის 28 გარდაიცვალა ღენერალ მაიორი და კავალერი, იმერეთის სახლთუხუცესი, თავადი ზურაბ ქაიხოსროს ძე წერეთელი, სიმამრი დადიანისა ლეონისა, რომელი იყო სრულიად იმერეთსა შინა ჭკუით და კარგკაცობითა წარმოჩენილი და სახლთა შინა დიდებული“.* დადიანი ნ.„ ქართველთ ცხოვრება /

ლად და იმავე დროს მღვდლობისათვის ემზადებოდა. მაშასადამე, მას უკვე დასრულებული ჰქონდა კეთილშობილთა სასწავლებელი. თავად გრიგოლ წერეთლის მიერ 1818 წლის 8 სექტემბერს დაწერილ მოწმობაში აღნიშნულია, რომ იესე მის ოჯახში ცხოვრობდა *„ოთხ წელიწადს და ნახევარს“*[1]. ამგვარად, კეთილშობილთა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1814-1818 წლებში, იესე ჭავჭავაძეების ოჯახში პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა. კეთილშობილთა სასწავლებელში სწავლის პარალელურად იესე, რომელსაც საეკლესიო სამსახურის ეწადა, ისეთ საგნებში იწაფებოდა, რომლებიც განზრახვის განხორციელებაში დაეხმარებოდა. მისი მასწავლებელი იყო არქიმანდრიტი ზაქარია, რომლის მიერ 1816 წელს დაწერილ მოწმობაში აღნიშნულია: *„წელსა ჩყ<u>�а</u> მაისის დ<u>іса</u>, ოდეს ვმართ(ავდი) მე საღვთოთა წერ(ვილთა) საბეჭდავსა სრულადითა, მიიღო სწავლა ამან გარსევანოვმან აზნაურთაგანმან დეკანოსის იაკობის ძემან და დაისწავა ჩემგან რიტორიკა მიხითარისა სევასტიულისა და სიმეონ ჯულფელისა დიალექტიკოსობაი და თანად საღვთოს წერვილთა მეტყველთა განმარტებაი და წესიერი წერაი, თვით წერა ხუცურ და სამღვდელონი საეკლესიონი ტკბილნი“*[2].

მოღწეულია დახასიათება (1818. IX.) გორის ქალაქის სამღვდელოთა, სამთავროს ეპარქიის ბლაღოჩინებისა და გორის სობოროს დეკანოზ ქრისტეფორე ანანიევისა, ამავე სობოროს მღვდლის ანდრიასი, ოქონის ღვთისმშობლის ეკლესიის მღვდლის ეფრემის და გორიჯვრის ეკლესიის მღვდელთა იოსებ და ანდრიასი, მიცემული გორის ოქონის ღვთისმშობლის ეკლესიის გარდაცვალებული დეკანოზის იაკობის ძის იესე გარსევანოვისადმი მათი აზნაურული წარმოშობის, ოქონის ღვთისმშობლის ეკლესიისადმი მათი სამღვდელოებით სამსახურისა, აგრეთვე თვით იესე გარსევანიშვილის დახასიათება: *„... ერთხმობით ვაძლევთ მოწმობას ამას გორის ოქონის მღვთისმშობლის ეკლესიის გარდაცვალებული დეკანოზის იაკობის სჯულიერის ძეს იესე გარსევანოვს აზნაურთაგანს: მასზედა, რომ წინაპარნი ამ იესე გარსევანოვისანი ყოფილან ძველნი საქართველოს აზნაურნი და სამღვდელოებით უმსახურნიათ ხსენებული ოქონის*

ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1962, გვ. 212.

[1] *გსიემ, №7602/735.*

[2] *გსიემ, №475/2. აბუაშვილი ლ., ქართველი მწიგნობარი იესე გარსევანიშვილი // ჟურნ., „ლიახვი“, 1963, გვ. 144.*

ღმრთისმშობლის ეკკლესიისა მას, ვითარცა მსახურებდა ვიდრე აღსრულებამდე თჳსად ხსენებული მამა ამისი დეკანოზი იაკობ, რომელსა ზრდიდა ძესაცა ამასა თჳსსა იესეს სამღვდელოდ და ასწავლიდა ყოველს საჭირო სამსახურე ეკკლესიისა და წერილი ქართული და რუსული. ხსენებული იესე არს ყოველთა... მშვიდისა და კეთილწესიერისა; ბიწიერთა და საიჭვლთა საქმეთა... არა... არს ცნობილი, რომელსაცა დასარწმუნებლად ხელს ვაწერთ"[1].

2. იმერეთიდან გორში დაბრუნებულმა იესემ 1818 წლის 3 სექტემბერს მიმართა თხოვნით საქართველოს ეგზარქოს არქიეპიკოპოს ფეოფილაკტეს[2] თავის მამის, იაკობის ადგილზე ოქონის ეკლესიაში ოქონის ხატის დეკანოზად დანიშვნის შესახებ[3].

1818 წლის 2 ოქტომბერს ეგზარქოსი არცთუ სიამოვნებით დათანხმდა იესეს ღვდლად კურთხევას იმ პირობით, რომ ის დაქორწინდებოდა და ამ აქტის დამამასტურებელ საბუთს წარუდგენდა[4]. იესემ

---

[1] *იქვე, 7601-65.*

[2] თეოფილაქტე რუსანოვმა (ქართლისა და კახეთის ეგზარქოსი 1817-1821 წლებში) საქართველოში ჩამოსვლისთანავე დაიწყო რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარება. მან ბრძანა. რომ ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს სიონის ტაძარში რუსი სამღვდელოება ეგზარქოსთან ერთად ჩაატარებდა წირვა-ლოცვას რუსულ ენაზე; საეკლესიო ქონების აღწერის მიზნით შეადგინა კომისია; მისი ბრძანებით სიგელ-გუჯრები უნდა ეთარგმნათ რუსულ ენაზე; თეოფილაქტეს ინიციატივით თბილისში, სიღნაღსა და გორში გაიხსნა სასულიერო სასწავლებლები, ხოლო თბილისში სასულიერო სემნარია. *Кирион, Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тифлис, 1901, с. 11, 20; ბუბულაშვილი ე., რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის ისტორიიდან (XIX ს-ის I ნახევარი) // ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I, თბ., 2007, გვ. 241.* მისივე განკარგულებით ქართველ სასულიერო პირთა ის გვარები, რომლებიც ბოლოვდებოდა „შვილზე" შეუცვალეს „ოვ"-ით და სხვა ამგვარ ღინისძიებებსაც ატარებდა. კერძოდ, მისი ინიციატივით იძარცვებოდა ქართული ეკლესია-მონასტრები. მსგავს და სხვა ეროვნული თავმოყვარეობის შემლახველ ქმედებებს შედეგად მოჰყვა 1819-1820 წლების აჯანყება დასავლეთ საქართველოში. ის შემდეგშიც მრავალ დანაშაულს ჩადიოდა. *ბუბულაშვილი ე., რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის ისტორიიდან (XIX ს-ის I ნახევარი), გვ. 243-247.*

[3] *გსიემ, №7602/361.*

[4] *იქვე, №, 7602/627.*

ყველა მოთხოვნა შეასრულა, მაგრამ ვიდრე ფეოფილაქტე ცოცხალი იყო, იესემ ვერ შეძლო მამის ადგილის დაკავება.

ძნელია იმის თქმა, იესეს ჰქონდა ქორწინების განზრახვა, თუ ის იძულებული იყო ეგზარქოსის მოთხოვნისათვის გაეწია ანგარიში. იმავე წლის ნოემბერში იესემ იქორწინა თავად მაღალაშვილის ქალზე. ჯვრისწერა ჩაატარა მღვდელმა ალალბერუაშვილმა და ამ აქტის დამადასტურებელი მოწმობაც გასცა იმავე თვეში, რომელშიც გაცემის დღე და რიცხვი არ არის აღნიშნული, თუმცა მითითებულია, რომ ჯვრისწერა მოხდა – 14 ნოემბერს[1].

მრავალ დოკუმენტში, რომლებშიც აისახა იესეს ცხოვრების სხვადასხვა მომენტი, არსად არ არის მოხსენიებული მისი მეუღლე. ძნელია თქმა, რა ბედი ეწია მაღალაშვილის ქალს ქორწინების შემდეგ, რადგან შემდგომი პერიოდის ჩემთვის ცნობილ ყველა საბუთში ხაზგასმულია იესეს უცოლობა. როდესაც მას მღვდელმსახურების უფლება ჩამოართვეს, ერთ-ერთი ბრალდებად უცოლობა წაუყენეს.

1818 წლის 12 დეკემბერს ეგზარქოსმა თეოფილაქტემ იესე მღვდლად აკურთხა. რუსულად დაწერილ მოწმობაში აღნიშნულია, რომ ის განწესებული იქნა მღვდლად გორის ღვთისმშობლის მიძინების საქალაქო სამრევლო ეკლესიაში თავისი გარდაცვლილი მამის, დეკანოზ იაკობის ადგილას და უკვე შეუდგა მოვალეობის შესრულებას[2].

მართალია იესე დაინიშნა დასახელებული ეკლესიის მღვდლად, მაგრამ პრობლემატური იყო ეკლესიაში მისი მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის აღსრულება. სავარაუდოა, იესეს ეკლესიის მართვას არ ანებებდა ქრისტოფორო ანანიაშვილი, რომელიც თავის მოგვარის, სფირიდონის საქმეს აგრძელებდა გარსევანიშვილებთან დაპირისპირების დროს. ქრისტოფორო ეგზარქოს თეოფილაქტესთან დაახლოებული და მისი ნების აღმსრულებელი იყო[3]. ის, გარკვეული გაგებით, მონაწილეობდა ეგზარქოსის მიერ განხორციელებულ ქართული ეკლესია-მონასტრების ძარცვაში. ქრისტოფორო რომ იესეს მისთვის გამოყოფილი ეკლესიის მართვას არ ანებებდა, ჩანს 1822 წელს ოქონის ეკლესიის მრევლის საეკლესიო ხელისუფლებისადმი მიმართვიდან, რომელსაც ხელს აწერს 20 გორელი მამაკაცი. ისინი მოითხო-

---

[1] იქვე, №7602/626.

[2] იქვე, №7602/630.

[3] ბუბულაშვილი ე., რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის ისტორიიდან (XIX ს-ის I ნახევარი), გვ. 245.

ვენ: გორის ოქონის ღვთისმშობლის ეკლესიის მოძღვრად და დეკანოზად ყოველთვის გარსევანიშვილები იყვნენ. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ როდესაც იაკობი, იესეს მამა ოქონის ეკლესიის მღვდელი იყო, მაგრამ სფირიდონ ანანოვმა (ანანიაშვილმა) ჩვენი თავი, ე.ი. მრევლი წაართვა და წლების განმავლობაში აღარ დაანებაო. დღევანდლამდე ვაცალეთ ეგებ იაკობს სადაო საქმე მოეგვარებინა და ჩვენთვის ეშველა, მაგრამ მან ვერაფერი მოახერხა. დღეს იმიტომ მოვედით, რომ იაკობის ძე იესე გვინდა მღვდლადო[1]. როგორც ჩანს, ეგზარქოსმა ფეოფილაქტემ ფორმალობა შეასრულა და იესე ტრადიციის მიხედვით თავისი მამის ადგილზე განამწესა, მაგრამ ფაქტიურად მას ბლაღოჩინი ქრისტეფორე ანანიაშვილი ეკლესიაში არ უშვებდა, ეგზარქოს ფეოფილაქტეს ჩუმი თანხმობით მღვდელმოქმედების აღსასრულების საშუალებას არ აძლევდა.

უსამართლობას ბოლო მოუღო ახალმა ეგზარქოსმა, არქიეპისკოპოსმა იონა ვასილევსკიმ (1821-1832), რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა თავისი წინამორბედისგან[2]. მან 1825 წლის 7 მარტს იესეს თბილისიდან გორში მისწერა, რომ ბლაღოჩინობიდან გადაყენა გორის საკრებულო ეკლესიის დეკანოზი ქრისტეფორე ანანიევი და მის ადგილას ეკლესიებისა და სამღვდელოების ბლაღოჩინად განამწესა იესე, ე.ი. მან უფრო მაღალი საეკლესიო თანამდებობა მიიღო.

იმავე წერილით ეგზარქოსმა იესეს დაავალა ქრისტოფოროსთვის ჩამოერთმია ყველა საქმე და შესაბამისი საბუთები, რომლებზეც აუცილებლად უნდა ყოფილიყო ბლაღოჩინის ხელმოწერა; იესეს უნდა შეედგინა საეკლესიო საგნების სია და სხვ.[3] სავარაუდოა, ქრისტოფორო ჯიუტობდა და იესეს მოთხოვნას არ ასრულებდა. იესე იძულებული გახდა ეკზარქოსი საქმის კურსში ჩაეყენებინა. 1825 წ. 20 მარტის მიმართვის პასუხად ეგზარქოსმა იმავე წლის 4 აპრილს იესეს აცნობა, რომ დეკანოზ ქრისტოფორო ანანიევს განმეორებით უბრძანა, იესე გარსევანიშვილს მოკლე დროში გადასცეს ყველა საქმე და ქაღალდები ბლაღოჩინის თანამდებობასთან ერთად[4].

---

[1] *გსიემ, №192.*

[2] ეგზარქოს იონას საქართველოში მოღვაწეობის დადებით და უარყოფით მხარეებზე იხ. *ბუბულაშვილი ე., რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის ისტორიიდან (XIX ს-ის I ნახევარი), გვ. 247-249.*

[3] *იქვე, №7602/519.*

[4] *გსიემ,7602/519.*

ამგვარად, როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, იესემ ბლაღოჩინის წოდება მიიღო რაც იმას ნიშნავდა, რომ ის გორის ერთ რომელიმე ეკლესიას კი არ განაგებდა, არამედ რამდენიმე სამრევლოს.

იესე ეგზარქოსის სხვადასხვა დავალებას ასრულებდა. 1824 წლის 15 მარტს ეგზარქოსმა იონამ გორის ქალაქის მიძინების ეკლესიის მღვდელს, იესე გარსევანიშვილს დაავალა კავკსიის განყოფილების კორპუსის მღვდელ დეკანოზ პეტრე ეგაძის ადგილი დაეკავებინა თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში[1]; 1825 წლის 8 აგვისტოს ეგზარქოსმა იესე ეკონომად დანიშნა[2] და სხვ.

იმავე წლის 6 ივლისს ეგზარქოსმა იონამ იესეს აცნობა მისი გორის მაზრის სასულიერო საქმეების მეორე დეპუტატად დანიშვნის შესახებ, რათა მას დახმარება გაეწია რუისის საკრებულო ეკლესიის ბლაღოჩინ დეკანოზ ზაქარია მამაცაშვილისთვის, რომელსაც ეპარქიის ხელმძღვანელობისგან სხვადასხვა დავალება ჰქონდა[3].

საინტერესოა, რომ ოფიციალურ საბუთებში იესე არ მოიხსენიება დეკანოზად, ის მღვდელია. მხოლოდ ორიოდე კერძო წერილში მოიხსენიება დეკანოზად. ესენია გრიგოლ წერეთლის 1827 წლის[4] და დავით დადიანის 1827 და 1833 წლების წერილები[5].

ალბათ აღნიშნული წერილები ჰქონდა მხედველობაში ქალბატონ ლეილა აბუაშვილს, როდესაც წერდა, რომ იესემ მოახერხა საძიებელი ხარისხის, ე.ი. დეკანოზობის მოპოვებაო[6]. ვიმეორებ: იესე არასოდეს ყოფილა დეკანოზი.

3. აღნიშვნის ღირსია ის განსაკუთრებით თბილი დამოკიდებულება, რასაც უცოლშვილო იესე ძმისშვილ ალექსანდრეს მიმართ იჩენდა. იესემ, როგორც შეიძლება ვიფიქროთ, დიდი როლი ითამაშა ალექსანდრეს აღზრდა-განათლების საქმეში, მისი დავალებით შექმნა გარსევანიშვილების საგვარეულო ნუსხა, მისივე ზედამხედველობით. იესემ შემდგომში იგი თავის თანამშრომლადაც გაიხადა. ძმის, სვიმონის გარდაცვალების შემდეგ იესემ თავის თავზე აიღო მის ოჯახზე მზრუნველობა. გარდაცვალებამდე სამიოდე თვით ადრე (1864

---

[1] *იქვე, №7602/517ბ.*

[2] *იქვე, №7602/518.*

[3] *გსიემ.* დოკუმენტი უნომროა.

[4] *იქვე, №7602/748.*

[5] *გსიემ, №7602/748, №7602/609.*

[6] *აბუაშვილი ლ., ქართველი მწიგნობარი იესე გარსევანიშვილი, გვ. 145.*

წლის 15 სექტემბერი) მან თავის ქონება ანდერძით დაუტოვა ალექსანდრეს[1].

მემკვიდრეობის მოწმობის პირი გაცემული (1864 წლის 7 აგვისტო) აზნაურ ალექსანდრე სიმონის ძე გარსევანიშვილის სახელზე, დამოწმებულია გორის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლის, შტაბსკაპიტან ერისთავის მიერ. მასში აღნიშნულია, რომ ალექსანდრე გაუყრელია მის ბიძა სიმონ იაკობისძესთან, რომელსაც არ ჰყავს მემკვიდრე გარდა ალექსანდრე გარსევანიშვილისა". იესეს მიერ ალექსანდრესთვის დატოვილ მემკვიდრეობის შესახებ აღინიშნება ქვემოთ.

4. უკვე ითქვა, რომ რუსეთის კარის მოთხოვნით გეორგიევსკის ტრაქტატის მეცხრე არტიკულს დაერთო ქართველ აზნაურთა სია, რომელშიც გარსევანიშვიებიც იყვნენ შეყვანილი. მან სპეციალურ კომისიას წარუდგინა 1825 წლის აპრილში გაცემული მოწმობა, რომლიდანაც ჩანდა, რომ გარსევანიშვილებს როსტომ მეფის დროიდან ჰქონდათ აზნაურის წოდება. ამას ისინი ამტკიცებდნენ, დოკუმენტით, რომელშიც არაა აღნიშნული მისი შემდგენელი. მოწმობა ადასტურებდა, რომ იესეს, მის ძმას და ბიძაშვილებს დიდი ხნის წინათ ქართველმა მეფეებმა უბოძეს აზნაურობა. იქვე აღნიშნულია იმ მეფეების სახელები და მათ მიერ ბოძებული სიგელები რომლებიდანაც ჩანს, რომ ისინი აზნაურები და ყმა-მამულის მფლობელობი იყვნენ. ამ საინტერესო დოკუმენტში ნათქვამია, რომ იგი *„მიეცა ესე გორის უეზდის ნამდვილთა აზნაურთა მღვდელს იესეს და ძმასა მისსა სჯმონს და ბიძაშვილთა მათთა იოანეს და თეოდოსს გარსევანოვთა მისთჳს რომელ იგინი ასწარმოებენ იმა სააზნაუროს გვარის გარსევანოვთაგან, რომელიც არის ჩაწერილ* ***სიასა***[2] *შინა ტრახტატისადმი ჩღგ წელსა, იანვრის კთ*[3] *წარდგენითა განსუენებულის მეფის ირაკლისაგან რუსეთისა საიმპერატოროს კარისადმი, და დამტკიცებული განსუენებულის რუსეთის იმპერატრიცაჲსა ეკატერინესგან და არისცა გვარი ესე აზნაურთაგანი, რომელიცა წინათა წელთა*

---

[1] *გსიემ, №7602/379.*

[2] კ. კოშუაშვილის წაკითხვით – *„სახლსა"*, რაც მნიშვნელოვნად ცვლის დოკუმენტის მნიშვნელობას გარსევანიშვილების სასარგებლოდ, თითქოს მათ სახლში დაიწერა ხელშეკრულების პროექტი, *კოშუაშვილი კ., გეორგიევსკის ტრაქტატი და გორი // გაზ. გამარჯვება, 01. 05. 1982.* სინამდვილეში დოკუმენტში არის ის, რაც ამონარიდში წერია – *„სიასა".*

[3] 1783 წლის 28 იანვარი

შინა წარედგენიეს გვარ------ბა[1] თჳსი და ღრამატანი მეფის როსტომისა ძმისწული სიმონ პირველისა და ძე დავითისა, დამოწმებული ეკკლესიასა ზედა, ქართულსა ქრონიკონსა ტლზ[2] და მეორე მეფის გიორგისა ვახტანგ მესამის[3] ძისა, ბოძებულთა ყმისა და მამულისა 1681 წელსა და მასთანავე წარმოდგენილი დოკუმენტი ბოძებული განსუენებულის მეფის ვახტანგისაგან პირველ შესავალ საზოგადოდ გარსევანოვთადმი, ძველთა წარმოებათა გვართა მათთა ქორონიკონსა ჩ თ[4], რომლითგანაცა-------"[5].

სპეციალურმა კომისიამ 1836 წელს დაიწუნა და ნაყალბევად გამოაცხადა მხოლოდ ვახტანგ მეფის მიერ გარსევანიშვილებისათვის მიცემული 1708 წლის გუჯარი[6]. მის ბოლოს რუსულად არის მიწერილი, რომ იგი კომისიას წარუდგინეს აზნაურობის მაძიებელმა დიმიტრი გარსევანოვის შვილებმა ივანემ და თეოდოსმა. გუჯარის განხილვა მოხდა 1836 წლის 24 სექტემბერს და იგი მიჩნეული იქნა ყალბად. კომისიამ გუჯარი უკან დაუბრუნა წარმდგენებს. ყოველივე ამის შესახებ კომისიამ აცნობა აზნაურთა კრებას 1837 წლის 4 აპრილს.

არ ვიცი კომისიამ რა მიზეზით ჩათვალა სიგელი ნაყალბევად. ალბათ, სადმე დაცულია ის ჟურნალი, რომელშიც აღნიშნული იყო კომისიის წევრების მიერ გამოთქმული ეჭვები და ჩამოყალიბებული იყო შესაბამისი დასკვნა. მაგრამ ერთი რამ მაინც განსაკუთრებით თვალში საცემია: ქართულად შედგენილ დოკუმენტში, რომელიც დათარიღებულია 1708 წლით, გარსევანიშვილები მოიხსენებიან გარ-

---

[1] არ იკითხება, სავარაუდოდ უნდა იყოს: გვაროვნულობა.

[2] 1649 წ.

[3] ლაპარაკია ვახტანგ V შაჰნავაზზე.

[4] შეცდომაა. უნდა იყოს 1708 წელი.

[5] *გსიემ, №7602/876.* ბოლო სამი ხაზი არ იკუთხება.

[6] *„Документ сей представленный Иваном и Теодозом (Фаддеем:) Дмитриевыми сыновьями Гарсевановыми на право отискиваемого (sic) ими дворянства журналом коммисии Высочайше учрежденной в Тифлисе для разсмотрения Грузинских и имеретинских царских документов 24 сентября 1836 года состоявшимся по изложенным в журнале причинам признан фальшивым.*

Журнал сей утвержден Г. Главноуправляющим в Грузии Бароном Розеном 1-м предписанием его, данным коммисии от 16 декабря 1836 года за №102; о чем с возвращением сего документа коммисия подробно уведомила Грузинское дворянское собрание от 4 Апреля 1837 года № 846". იქვე, გვ. 28. გსიემ, №7602/433.

სევანოვებად, რაც სერიოზულ ეჭვს ბადებს, რომ დოკუმენტი შედგენილია მითითებულ წელს.

სხვა საბუთებთან მიმართებაში, როგორც ჩანს, კომისიას არ ჰქონდა რაიმე პრეტენზია. მაგრამ საძიებელი წოდების მოპოვება იესეს საკმაოდ დიდი ხნით დაუგვიანდა.

სავარაუდოა, რომ იესემ მოგვიანებით კომისიას წარუდგინა დამატებითი სარწმუნო საბუთი და მიზანსაც მიაღწია: პირადად მას და მისი ძმის, სვიმონის ოჯახს აზნაურობა დაუმტკიცეს. მასთან ერთად აზნაურობი გახდნენ მისი ძმისშვილები: 15 წლის ალექსანდრე, მისი დები – 11 წლის სოფია და 7 წლის მელანია, მათი დედა – 30 წლის ელისაბედი. მოწმობაში აღნიშნულია, რომ იესე, ალექსანდრე და მისი ოჯახის წევრების გვარი ნამდვილად შეტანილია ერეკლე მეფის მიერ 1783 წელს ეკატერინე II-ისათვის წარდგენილ ქართველ აზნაურთა საერთო სიაში 498 ნომრით, რომელიც დამტკიცებულია 1847 წლის 26 ნოემბერს[1].

5. იესესთვის უცხო არ იყო ქველმოქმედება. არსებობს მოხსენებითი ბარათი იესეს და ალექსანდრესი, რომლითაც ისინი მიმართავენ კავკასიის მთავარმართებელს, რომ სურვილი აქვთ თავიანთი საგვარეულო მამულის ნაწილი ყირიმის ომში დაღუპულთა და დასახიჩრებულთა ობლების სასარგებლოდ შეწირონ[2].

---

[1] *„СВИДЕТЕЛЬСТВО. ВЫСОЧАЙШЕ учрежденная в городе Тифлисе Коммисия для приведения в известность лице, принадлежащих Грузинским княжеским и дворянским фамилиям, сем свидетельствует что Дворянин Священник Яесе Яковлев синь Гарсеванов garsevanasSvili 53 лет с племянником его Александром Свимоновым сыном 15 лет, сестрами сего: Софию 11 лет, Меланию 7 лет и материю их Елисаветою 30 лет и признан Коммисиею действительно принадлежащим к тому дворянинскому роду Гарсеванових, который показан Царем Ираклием в списке составленном в дополнение к 9-му артикулу заключенному им в 1783 году с ИМПЕРАТРИЦЕЮ Екатериною II Трактата и по протоколу состоявшемуся 26го Ноября 1847го года, он дворянин Яссе с семейством внесен под №498м в общий список Грузинских князей и дворян, представленный на ВЫСОЧАЙШЕЕ утверждение, на основании Именнаго ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА указа, даннаго Правителствующему Сенату в 30 день Марта 1846 года. В удостворение чего изготовлено, для выдачи ему Дворянину Яссе Гарсеванову, по утверждении, сие свидетельство, которое имеет заменять ему во всех случаях грамоту на сие достоинство. Тифлис Мая 2го дня 1849 года“ (ხელმოწერები).* gsiem,@#7602/433.

[2] *gსიემ, №7602/796.*

6. იესეს ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს მისი ურთიერთობა გრიგოლ წერეთელთან.

სემინარიის ახალკურსდამთავრებული იესე იმდენად განათლებული პედგოგისა და რუსულიდან ქართულად მთრგმნელის სახელით სარგებლობდა, რომ როგორც ქვემოთ დამოწმებული დოკუმენტებიდან ირკვევა, 1814 წლიდან იმერეთში ამბიციური ზურაბ წერეთლის შვილების აღზრდა-განათლებისათვის მიიწვიეს.

ჯერ კიდევ 1817 წელს, იმერეთში ყოფნის დროს, იესეს დაუწერია „პორფირიოსის ხუთი ხმა“. ამასთან დაკავშირებით იესე წერს: *„მისმან ღმერთშემოსილებამან დიაკონ-მონაზონმან გულუბადმან მღვდელ-მონაზნეობისა ხარისხსა მოწევნად, ნათესავთ ოდიშართა, დაბისაგან მცირედის გურიისა სახელწოდებით პეტრე, უდაბნოით იმერეთის ნათლისმცემის მონასტერს გამადლა წიგნი ასე, მეცნიერსა საქონებელი, პორფირიოსის ხუთი ხმა, დროსა იმერეთად ყოფსა ჩემისასა, ოდეს იგი ვასწავებდ ყმა-წულთა წერეთელ-სარდარხუცესის ზურაბისათა მოსრიულებრ და ქართულ ყოვლითურთ უცილობლად და გამუხუებლად პატივითა, ნათესავთ ქართველისა აზნაურთ ტომისაგანისა სახელით ძველისათ იესესთავე ნაწარმოებისა, მამისაგან იაკობისა, ქალაქისაგან გორად წოდებულისა ტფილისის ქალაქად სასწავოსა შ†ნა საკეთილშობილოსა, ქრისტეს აქათისა ჩყიზ წელსა, სარიცხვლისა, ნოემბერს ორსამობისა...“*[1]

როგორც ჩანს, ზურაბ წერეთელს ძლიერ მოეწონა ახალგაზრდა იესეს განსწავლულობა და მისი ნაშრომი. თუმცა რა გასაკვირია იესეს ასეთი წარმატება. მან ხომ სპეციალურად *„შესწვლა მონასტრებსა სრული ქართული გალობა, ფილოსოფია, ღვთისმეტყველება“*, აღნიშნულია „თ“ სქოლიოს დასასრულს.

განსაკუთრებული, მეგობრული და საქმიანი იყო გრიგოლ წერეთლისა და იესეს ურთიერთობა.

გრიგოლ ზურაბის ძე წერეთელი (1787-1843) იყო იმერეთის სახლთუხუცესის ზურაბ ქაიხოსროს ძე წერეთელის († 1823) და თამარ დადიანის († 1823 წ.) უფროსი შვილი. გრიგოლს ჰყავდა სამი ვაჟი: ალექსანდრე, დიმიტრი და სამსონი[2]. მას პოლკოვნიკის ჩინი ჰქონდა და არა გენერალ-მაიორისა, როგორც ალ. გარსევანიშვილი წერს.

---

[1] *გსიემ, №7602/731*

[2] *ბერძნიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983. გვ. 241.*

გრიგოლს, როდესაც იესე მისი შვილების მასწავლებელი იყო მაშინ მაიორის ჩინი ჰქონდა. იესემ გრიგოლის ოჯახში გაატარა ოთხ წელიწად ნახევარი და *„ღამე და დღისი არა დასცხრებოდა სწავლას მათსა, არამედ სხვათაც მრავალთ საჭიროთა საქმეთა წარგვიმართავდა ყოვლითა მორჩილებითა როგორაცა სამღვდელოს კაცს შვენის და რადგან ასე საჭირო საყვარელი და ერთგული იყო ჩვენი და სამღვდელოსა და სამოქალაქოსა სწავლასა შინა შემწე, ამისთვის ეძლეოდა ჩვენგან ერთი ხელი ტანისამოსი და თვრამეტი თუმანი ფული და სხვა პატივისცემა...“* ასე ახასიათებს გრიგოლ წერეთელი იესეს.[1]

იესეს, როგორც პედაგოგისა და აღმზრდელის საქმიანობაზე რაც აღინიშნა, ამის მეტი სხვა არაფერია ცნობილი. სამაგიეროდ საკმაო წარმოდგენა გვაქვს მისი და გრიგოლ წერეთლის ურთიერთობაზე.

გრიგოლი დიდ ინტერესს ამჟღავნებდა ანტიკური და ევროპული ლიტერატურისადმი. რადგან XIX საუკუნის პირველ ნახევარის საქართველოში ნაკლებად იყვნენ ბერძნულ-ლათინური და დასავლეთ ევროპის ენების მცოდნენი, ამიტომ დასახელებული ლიტერატურისადმი ინტერესს რუსულიდან ქართულად თარგმანებით იკმაყოფილებდნენ. სწორედ ეს უკანასკნელი მომენტი დაედო საფუძვლად გრიგოლისა და იესეს მეგობრულ და საქმიან ურთიერთობას.

გრიგოლი ბიბლიოფილი იყო. მან მრავალი ძველი ხელნაწერი მოაგროვა და თვითონაც უყვარდა ხელნაწერების გადაწერა. მისი ბიბლიოთეკის შვსებაში დიდი წვლილი ჰქონდა იესეს. მისი მდიდარ ბიბლიოთეკა მემკვიდრეობით უფროსი ვაჟის ალექსანდრეს მფლობელობაში გადავიდა. ამ უკანასკნელმა წიგნების მნიშვნელოვანი ნაწილი 1884 წელს *„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“* გადასცა[2].

დავუბრუნდეთ იესეს პედაგოგობას წერეთლების ოჯახში. ის ალექსანდრეს უმცროსი ძმების აღმზრდელად მიუწვევიათ.

გრიგოლ წერეთლისა და იესეს ურთიერთობა თავიდანვე კარგად დაიწყო. თავადი ყოველთვის ცდილობდა რაც შეიძლებოდა გულისხმიერი და ხელგაშლილი ყოფილიყო მის მიმართ. როგორც ჩანს მან კარგად იცოდა იესეს ფასი და დამყარებულ მეგობრობას უფრთხილდებოდა. ამგვარი პათოსითაა დაწერილი მისი 1817 წლის ნოემბერში

---

[1] ამ წერილის რუსული თარგმანი იხ. გსიემ, *№7602/431.*

[2] *ბერძნიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, გვ. 242.*

იესესათვის გაგზავნილი წერილი. გრიგოლი, როგორც წერილიდან ჩანს, იესეს ასაჩუქრებს დაახლოებით 75 თუმნად ღირებული პირუტ-ყვით, ქსოვილებით, ყმებით და სხვ.

„უფალს იესეს ვაძლევთ ამას ქვემოთ რაც დაიწერება მეგობრო-ბით თორემ, რომ ეს ნივთები გაიყიდოს სულ მეტ ფასად ღირს ღმერთმან იცის, და მე რადგან მეგობრობა მინდა მასთან ამას ასე მივართმევთ საკუთრად ჩუჩნს განთავისებულს ნივთებს:

ქ: ცამეტი მინალთუნი ფული:

ქ: ჩუჩნი საკუთარი ყმანი ორნი ძმანები, თვითო თვითო ექვს-ექვს თუმნად ღირებულნი მიგვიცია:

ქ. ათი თუმანი თეთრი:

ქ. თოთხმეტი თუმანი ოქროები ორ მანეთს ნაკლებ:

ქ. უღელ კამბეჩი შვიდ თუმნად:

ქ. ცალი ზაქიანი კამბეჩი ორთუმან ნახევრად:

ქ. ორი ჭბოიანი ძროხები ორ თუმნად.

ქ. უღელი ხარი ოთხ თუმნად:

ქ. ხავერდის ბეწვით გაწყობილი ქათიბი ოთხ თუმნად:

ქ. პური ოცი კოდი კოდი და სხვა წიგნები ორთუმნად:

ქ. დიდი ქვაბი ზარფოშით და მილით გაწყობილი ორ თუმნად:

ქ: ერთი მაუდი ორ თუმნად:

და სხვა რაც პატივი ჰქონია ამ ჩუჩნს ოჯახში და სიყვარული ის სხვა არის და შემდგომს დროებშიაც თუ მეგობარი იქნება, მეც მეგო-ბარივე ვიქნები:

თ“დი გრიგოლ წერეთელი“[1].

გრიგოლმა 1818 წლის 8 სექტემბერს დაწერა წერილი და მოწმო-ბა რომლის დანიშნულება და წარდგენის ადგილი გაუგებარია: *„ჩყიბ წელსა, სეკდემბრის 8 დღესა, ჩვენ ქვემო ამისსა ხელის მომწერელი იმერეთის თავადი მაიორი გრიგორი ზურაბის ძე წერეთელი ვაძლევთ მოწმობასა ამას გორელს აზნაურსდა სამღვდელოდ განმზადებულს მსგავსად წინაპართასა იესეს იაკობის ძეს გარსევანოვს, ასე რომ ის ხსენებული იესე ჩვენის ბრძანებით მოვუწოდეთ ჩვენს ოჯახში ჩვენის შვილებისათვის მასწავლელად და ჩვენის ბრძანებისაებრ გვახლა და გვახლდებოდა ოთხ წელიწადს და ნახევარს, ცხოვრებას ატარებდა, როგორც სამღვდელოს შვენის და ასწავებდაცა შეძლებისაებრ. და ჩვენგანაც ეს წყალობა სჭირდა, რომელ წელიწადში ერთს ხელს*

[1] *გსიემ, №?*

ტანის სამოსს და თვრამეტს თუმანს თეთრს ფულს მიიღებდა და სხვანიცა პატივისცემანიცა არავე მოაკლდებოდის ჩვენგან, რომლისთვისაცა ვამტკიცებთ წერილსა ამას და მოწმობასა: თ˜დი იმერეთისა გრიგოლ წერეთელი“[1].

გრიგოლ წერეთლის 1825 წლის აგვისტოს წერილიდან ჩანს, რომ იესეს უთხოვია ერთი მსახური ბიჭი რაზეც გრიგოლი პასუხობს, რომ *„თუმცა შემეძლო აგივე წიგნთან გამომეგზავნა, მაგრამ გვაქვს ამაზედ მკაცრი აღკრძალვა მთავრობისა და ხელმწიფებისგან რომელ იმერელთა გლეხთაგანი არდა მიეცესთ სამზღვარს გარეთ ყმა ქართველთა და როსთა. ამისთჳს მე ერთს ყმას შევაყვანინებ ოდიშთგან და* ***მოგცემ შენ მთავრისა დადიანის წერილს შენ*** *და დამტკიცებთ და იყავ ამაზე გულსავსე მოსვენებით...“*[2]

წერილიდან ირკვევა, რომ იესეს გრიგოლ წერეთლისათვის უთარგმნია პლუტარქეს თხზულების ერთი ნაწილი და იგი დამკვეთისათვის გადაუცია 1825 წლის აგვისტომდე[3], მეორე ნაწილიც მალე, იმავე წლის ბოლოს დაუსრულებია.

როგორც ითქვა, იესეს და გრიგოლ წერეთლის ურთიერთობა იყო თბილი და მეგობრული. ამის მაჩვენებელია გრიგოლის მიერ იესესთვის გაგზავნილი კიდევ ერთი წერილი საჩხერიდან 1827 წელს. გრიგოლი იესეს აუწყებს: *„ამას თანავე გიგზავნი ორთა წიგნთა პლუტარხ ჴ˜დ ბრძნისასა, როსიულით ენითა და ასოთა დაბეჭდილსა. იმედითა და ამით რომელ შენ შემძლებელი, სთარგმნი ქართულსა ზედა ენასა კარგად მსახურებისათვის მამულსა შენისა...“*[4] მაგრამ იესეს მიერ პლუტარქეს თხზულების თარგმნა ამით არ დამთავრებულა. ის გრძელდებოდა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში. ასე, რომ იგი დამთავრებული არ იყო 1834 წლის იანვარშიც კი.

7. დიდ ინტერესს იწვევს იესეს ურთიერთობა დავით დადიანთან

ზემოთ ციტირებული 1825 წლის წერილიდან ისე ჩანს, რომ გრიგოლ წერეთელმა ამ დროს დააკავშირა იესე თავის დისშვილთან, დავით დადიანთან, რაც უარყოფს იმ მოსაზრებას, თითქოს სამეგრელოს მთავარმა ლევან V დადიანს თავისი ვაჟისთვის, დავითისათვის ადრევე ჰყავდა მიწვეული იესე პედაგოგად. ეს მოსაზრება მოდიოდა გარსევანიშვილების საგვარეულო ნუსხის შენიშვნაში ნათ-

---

[1] *იქვე, №7602/732.*

[2] *იქვე, 7602/765.*

[3] *იქვე, №7602/765.*

[4] *იქვე, №7602/748*

ქვამიდან: *„ესე იყო მასწავლებელი მინგრელის მთავრისა დავით ლეონის ძისა საფილოსოფოსოთა და საღვთისმეტყველოთა ჰსწავლათა“.* მაგრამ ამის დამადასტურებელი რაიმე საბუთი არ შემხვედრია. არ შემიძლია იმის თქმა ზემოთ დასახელებული წლიდან (1825) დაიწყო თუ არა მთავარსა და იესეს შორის ურთიერთობა, რადგან მათ შორის მიწერ-მოწერის ამსახველი მასალები საკმაოდ გვიან პერიოდიდან არის.

ამდენად, არარეალურია სქოლიოს ის ცნობა, რომლის მიხედვითაც იესე ჯერ დავით დადიანის მასწავლებელი იყო, შემდეგ კი გახდა *„მასწავლებელი თავადის ღენერალ-მაიორის გრიგოლ ზურაბის ძის შვილებისა, გარდა აწინდელისა ძისა მისისა ალექსანდრესი“*[1].

დავით დადიანისა და იესეს ურთიერთობის ამსახველი პირველი წერილი განეკუთვნება 1833 წელს. სამეგრელოს მთავარის მემკვიდრისათვის იესეს უთარგმნია მილოტის ისტორიის ორი ტომი *„მითოლოდიითურთ“, „რომლისთვის უსაგრძნობიელესად გმადლობ,* – წერს დავით დადიანი, – *ბიჭს თქვენ მიერ თხოვნილი მსახურად, მიიღებთ“*[2]. როგორც ჩანს, იესეს დასახელებული წიგნებს თარგნისათვის გასამრჯელოდ დადიანისგან ყმა ბიჭი მოსამსახურედ მოუთხოვია. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ის ყმა არ არის, რომელიც იესემ გრიგოლ წერეთელს სთხოვა დაახლოებით რვა წლის წინათ. დავით დადიანი იესეს დამატებით სთხოვს იმავე ავტორის 3-6 ტომის თარგმანს. *„და აღგითქვამთ კვლავ მიიღებთ ჯილდოდ, არა თუ ბიჭს, ყოველთვის შენი მწყალობელი ვარ, ეცადე სულ მალე თარგმნო ეს ოთხი ტომი. საადგომოდ ეგებ მორჩე. შენი დავით დადიანი. გთხოვ მომწერდე ხშირად წიგნს“.*

---

[1] ზოგიერთი მკვლევარის აზრით, იესე გრიგოლ წერეთელის ოჯახში მიიწვიეს მისი შვილების ალექსანდრეს, ქეთევანის და დავით დადიანისათვის რუსული ენის მასწავლებლად, რაც სიმართლეს არ შეეფერება. არც ის არის სიმართლე, რომ იესე 1818 წელს მიიწვიეს წერეთლის ოჯახში და დავით დადიანის მასწავლებელი იყო. *აბუაშვილი ლ., ქართველი მწიგნობარი იესე გარსევანიშვილი, გვ. 144.* ეს მოსაზრება გაიზიარა ი. ალიმბარაშვილმა. იხ. მისი *ოქონის ხატებისა და ტაძრების ისტორიიდან, გვ. 58.* იესეს არც გრიგოლ წერეთლის შვილების - ალექსანდრეს და ქეთევანის აღზრდა-განათლებაში მიუღია მონაწილეობა.

[2] *იქვე, №7602/609.*

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდში არის აბატი მილოტის თხზულების რვა წიგნი (13 ტომი), ანუ ნაწილი. მეორე ტომის პირველ გვერდზე წარწერა გვამცნობს: *„მე პირველად ვათარგმნინე საფასითა ჩემითა ქართულსა ზედა ენასა ყოვლად საზოგადოჲ ესე ისტორია მეოცესა წელსა შინა შობითგან ჩემისა. სამეგრელოს სამთავროს მემკვიდრე დავით დადიანი პირველი. წელთა განხორციელებითგან უფლისა 1833 წ.“* მთარგმნელის წინასიტყვაობას ხელს აწერს: *„თქუ-ენნი ღ"თისად მვედრი ულირსი მღვდელი იესე გარსევანოვი“.* თავ-ფურცელზე ვკითხულობთ: *„თხზული აბბათ მილოთისა, თარგმნილი ფრანცუზთა ჴმათაგან რუსულად, და მიერ ქართულად: იასესე მიერ გარსევანოვისა მღვდლისა“*[1]. მესამე ნაწილის მინაწერი: *„ჶ“ დავით, მიიღენ ახალ-გამონაცემის ნათხზის ნათარგმანები ესე, ნიშად შენისა ჩემდა აღუხორცებელისა სამეგობროისა სახსოვრობისა... მე თქვენ მსახურყოფილი, და მყოფი, და ყოფადიდა: იესე მღვდელი გარსევანი-შვილი“*[2]. დაახლოებით იგივე შინაარსის წარწერებია სხვა წიგნე-ბზეც.

მეშვიდე ნაწილი იესე გარსევანიშვილს გორში უთარგმნია, რაც ჩანს მინაწერიდან: *„არა უღუაწად ნათარგმანები მ: იე: გარსევ: ქ. გ.“*[3] რაც იკითხება: *„მღვდელი იესე გარსევანოვი, ქალაქი გორი“.* საინტე-რესოა იმ წიგნებს სად თარგმნიდა იესე, რომლებზეც არ არის აღნი-შნული თარგმანის შესრულების ადგილი?

მეცხრე, მეთერთმეტე და მეცამეტე ნაწილებიც ნათარგმნია გორ-ში[4].

არსებობს ჰეროდოტეს *„ისტორიის“* ხელნაწერი, რომლის მინაწე-რი ეხმაურება **„თ“** შენიშვნას. მინაწერი გვამცნობს, რომ 1838 წლის 30 სექტემბერს დავით დადიანმა თავის ბიძა (დედის ძმა) გრიგოლ წერეთლს აჩუქა *„ღეროდოტის ისტორია“: „ჩელ*Ბ*-სა წელსა სეკდემ-ბრის* ***ლ****-სა მაჩუქა ჩ"ა დისწულმა დავით დადიანმა მე მის ბიძას გრი-გოლ წერეთელს ეს ღეროდოტის ისტორია“*. იგივე გრიგოლ წერე-თელი ზუსტად ერთი წლის შემდეგ წერს, რომ დასახელებული წიგ-ნის მეორე ნაწილიც მას ეკუთვნის: *„ისტორია ესე ეკუთვნის გრიგოლ ზურაბის ძეს წერეთელს,* ***ჩყლთ****-ის წლის სეკდემბრის ოცდაათიდაჶ“*[5].

---

[1] *ჟორდანია თ., ქრონიკები, გვ. 529.*

[2] *იქვე, გვ. 531.*

[3] *იქვე, გვ. 532.*

[4] *იქვე, გვ. 532-533.*

[5] *ჟორდანია თ., ქრონიკები, III, გვ. 541.*

მაშასადამე, გრიგოლ წერეთელს იესემ ილიადა უთარგმნა, ხოლო დავით დადიანმა იმავე გრიგოლს იესეს ნათარგმნი *„ღეროდოტის ისტორია“* აჩუქა[1].

უნდა აღინიშნოს, რომ სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი დავით ლევანის ძე დადიანი (1840-1853) გამოირჩეოდა ევროპული განათლებით, ერკვეოდა თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში და სამთავროს მართვის რეფორმაც გაატარა. დავითი მთარგმნელობაშიც ცდიდა კალამს და იესესთან თანამშრომლობდა. პლუტარქეს ნაშრომის თარგმანთან დაკავშირებით დავით დადიანი წერს: *„ვინაიდან განმეცადა მარგეობა და სიტკბო პლუტარხოსის დიდთა მამაცთა ცხოვრების აღწერისა აღვიძარ სურვილით გადმოცემად ჩვენსა ზედა ენასა, სარგოდ საყვარელისა ჩემისა მამულისა და მრავლის შრომით, ვათარგმნინე წიგნი ესე მღვდელს იასე გარსევანოვს, და მეცა გასწორებითა და სხოლიონთა დასმითა შემხვდა დიადი შრვმა (სიც), მალე მოყვანად სისრულეშიდ სურვილი იგი ჩემი. აწ წარმკითხველთა სიყვარულთა თანა მემამულეთა ვსთხოვ შენდობით მომხსენ მეყონ. და ვინცა დაიწუნოთ, ამას ხელს ნუ ახლებთ და უკეთესად სთარგმნეთ ფ“დ მოხარული ვიქნები: მემკვიდრე მენგრელიისა დავით“*[2]. საყურადღებოა, რომ სრულიად ახალგაზრდა დავით დადიანი იმდენად განსწავლული იყო ანტიკურ ისტორიასა და მწერლობაში, რომ იესეს ნათარგმნ წიგნებს თვითონ ურთავდა *„სხოლიოებს“.*

სამეგრელოს ისტორიის მკვლევარები ერთხმად აღნიშნავენ დავით დადიანის მოღვაწეობის დადებით მხარეებს, მის განათლებას[3], მაგრამ ისინი არაფერს ამბობენ იესე გარსევანიშვილის მიერ დავით დადიანის განათლებაში შეტანილი წვლილის შესახებ. მკვლევარები არაფერს ამბობენ, იმიტომ, რომ მათთვის უცნობი იყო გარსევანიშვილების *„გენიალოგიის შტო“,* რომელშიც, როგორც დგინდება

---

[1] *იქვე.*

[2] *ჟორდანია თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წიგნი მესამე (1700 წლიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე), გვ. 536.*

[3] *ბოროზდინი კ., სამეგრელო და სვანეთი. 18854-1861. ტფ., 1934; მეუნარგია ი., სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, თბ., 1939; მაკლათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 2006, გვ. 230-234; კალანდია გ., დავით დადიანი. საქართველოს ენციკოპედია, თბ., 2012, გვ. 286-287.*

ალექსანდრე გარსევანიშვილმა უსაფუძვლოდ მიაწერა იესეს დავით დადიანის აღზრდა-განათლებაში მონაწილეობა. როგორც ჩანს დავით დადიანს იმდენად კარგი განათლება ჰქონდა მიღებული, რომ გარკვეულ პრეტენზიებს უყენებდა იესეს, განსაკუთრებით უწუნებდა ქართულად თარგმნის სტილს, რომელიც არ შეესაბამებოდა სამეგრელოს მთავრის გემოვნებას.

რა პრეტენზიას უყენებდა სამეგრელოს მთავარი გორელ მღვდელს კარგად ჩანს მის მიერ იესესათვის გორში გაგზავნილი მცირე წერილიდან: *„გორს 29ს მაისს 1834სა წელსა ქალაქით ტიფლისით. დანაშაული ვარ მამაო იასე წიგნის პასუხი რომ ამდენს ხანს ვერ მოგწერეთ წინად მადლობისა ტაციტოსისათვის. რომელიც თუმცა კარგათ არის თარგმნილი მაგრამ* ***მეტად დაღვლაჭნილი არის რომ მეტი არ იქმნება. ასრე რომ იძულებული ვიყავი გამესწორებინა და მეორეთნუცა გამკაცრდები და უმეტესად განცხადდებით და მდაბიოთ გარდმოიღებ.*** *ამასთანა გიგზავნი ჩემის კონსტანტინეს ხელით ტელემახოსის წიგნს რომელსაც გთხოვ მამა შვილობას მალე* ***მითარგმნე მშვენიერ სიტყვაობით და ცხადათ*** *უიჭვოდ ამ ზაფხულში, რომლისთვისაც ვადას გაძლევ სამს თვეს, ესე იგი დამლევს აგვისტოს მზა იყოს...“*[1].

როგორც ჩანს, დავით დადიანისა და იესე გარსევანიშვილის თანამშრომლობაში შეფერხებები იყო. უკმაყოფილება იესესგან მოდიოდა. იგი თავს არიდებდა ოდიშის მთავრის დაკვეთების შესრულებას რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზეზის გამო: 1. იესე უკმაყოფილო იყო თავისი შრომის ანაზღაურებით; 2. იმ შენიშვნებით, რომელსაც მთავარი მის მიერ შესრულებული თარგმანის მიმართ გამოთქვამდა და 3. შეიძლება იმის გამოც, რომ მთავარი ყოველთვის აჩქარებდა იესეს დაკვეთის შესასრულებლად.

გავეცნოთ დავითის კიდევ ერთ წერილს: *„1836 წელსა იანვარსა 30ს ზუგდიდს. მამაო და ჩემო მეგობარო იესე გარსევანოვ. მსურს თქვენი მშვიდობა. მიკვირს რათ მიატოვეთ ჩემი წიგნების თარგმნა. ვიცი შესრულებული გექნება მაშ რათ არ მომიტანე შენის ხელით ანუ არ გამომიგზავნე. ბევრს მოგცემდი გაჩუქებდი წყალობით და გაგიშვებდი. გიგზავნი ამასთანავე ოთხ თუმცა პატარა წიგნებს მაგრა ჩინებულს. ესენი უნდა მითარგმნო ტკბილსა და ლამაზ ენაზედ ქართულათ. ეს წიგნები არის ილიადა*[2]*. აღდგომამდის უნდა*

[1] *გსიემ, №7602/1037.* ხაზგასმა ჩემია.

[2] ხაზგასმულია დავით დადიანის მიერ.

შემისრულო და გამომიგზავნო შენის ძმის ხელით ანუ თვითონ შენ მომომიტანე შენის ხელით. სულერთია. და სხვებიც რაც წიგნები გქონდეს თარგმნილი ერთათ გამომიგზავნე ჩემო იასე ანუ მომიტანე. უთუოთ ეს ასრე ქმენი. აღდგომა მოდის არ სთარგმნო არ იქნება. აღგითქვამ დიდს და საკადრისს ნიჭს. ანუ მიზდს. უთუოთ ან შენის ხელით ან შენის ძმის ხელით სააღდგომოთ უნდა მომივიდეს დანაშთენი მილოტის ისტორია თარგმნლი[1] *და ეს ოთხი წიგნი ილიადა. მაგრამე ილიადა ჩინებულათ სთარგმნე. სახელები არ გამოსცვალო... მემკვიდრე სამენგრელოსი დავით დადიანი*"[2].

კიდევ არის ერთი უთარიღო წერილი, რომელშიც დავით დადიანი იესეს სთხოვს გაუგზავნოს ის წიგნები, რომლებიც უკვე თარგმნილი აქვს. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ იესე არ პასუხობდა დადიანის წერილებზე. ამ უკანასკნელ უთარიღო წერილში დავითი საყვედურს გამოთქვამს იესეს ამგვარი მოქმედების გამო: *„ჩემმა კაცმა რომ გითხრა ჩემი შამოთვლილი რატომ არა გამეც პასუხი"* – წერს განაწყენებული სამეგრელოს მთავარი[3].

8. იესე გარსევანიშვილის მთარგმნელობითი მოღვაწეობა მხოლოდ გრიგოლ წერეთლის და დავით დადიანის დაკვეთების შესრულებით არ ამოიწურებოდა. ალ. გარსევანიშვილი განსაკუთრებით აღნიშნავს იესეს იმ ღვაწლს, რომელიც მან გასწია ისტორიული და წმინდა მამათა ცხოვრების ამსახველი ლიტერატურის თარგმნაში რუსულიდან ქართულად და მათ ასახელებს კიდეც. შთამბეჭდავია იესეს მიერ თარგმნილი ანტიკური მწერლებისა და პოლიტიკური მოღვაწეების თხზულებათა რაოდენობა. მან თარგმნა ზოგიერთი თანამედროვე რუსი მწერლის თხზულება.

იესეს შემოქმედება უცნობი იყო XIX-XX საუკუნეთა არა მხოლოდ ზოგადად ქართული წიგნიერი საზოგადოებისათვის, არამედ მთარგმნელებისა და მკვლევართათვისაც კი. მიზეზი ამისა იყო ის უსახსრობა, რასაც იესე განიცდიდა მთელი ცხოვრების მანძილზე. ჩვენამდე მოღწეული მასალებიდან ჩანს, რომ მას რაც შემოსავალი ჰქონდა მთლიანად ოქონის ეკლესიას ახმარდა. ზოგიერთ ამგვარ მაგალითს ზემოთ უკვე გავეცანით.

---

[1] როგორც ჩანს, 1833 წელს იესეს მილოტის თხზულების მესამედან მეექვსე ტომამდე თარგმანი ჯერ კიდევ დასრულებული არ ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში თარგმანი დადიანამდე არ იყო მისული.

[2] *გსიემ, №7602/752.*

[3] *იქვე, 7602/768.*

იესეს მიერ ნათარგმნი ხელნაწერი წიგნების უმეტესობა დადიანებისა და წერეთლების ბიბლიოთეკებიდან გადავიდა *„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“* ფონდში. ისინი თ. ჟორდანიამ აღრიცხა. წიგნების შესახებ ინფორმაცია შესულია მისი ქრონიკების III წიგნში[1]. შემდეგში *„საზოგადოების“* ფონდი გადავიდა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, სადაც დაცულია ამჟამადაც.

იესეს მიერ ნათარგმნი წიგნების ის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც მან თავის მემკვიდრე ალექსანდრეს დაუტოვა, დაცულია გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში[2]. რამდენად უცნობი იყო იესე გარსევანიშვილის შემოქმედება XIX საუკუნის ქართული საზოგადოებისათვის, ჩანს ქართული მწერლობის შესანიშნავი მცოდნის თედო ჟორდანიას შემდეგ შენიშვნაში: *„1834 წ. ვიღაც იესეს უთარგმნია ჩინებულის ქართულის ენით „მიმოსვლანი ტელემაქოსნი“, ქმნილი ფენელონესი... იმავ იესეს უთარგმნია „წელთა აღწერა“ კორნელიოს ტაციტისა... იპოება ნაწყვეტი პლუტარხოსის ცხოვრებისა და „ტრაგედია აღზიარისა და ზამრისა“ ანუ „ამერიკელნი“ მშვენიერად ნათარგმნი, და გეოგრაფია ჰიროდოტესი“*[3].

იესე გორის ეკლესიების ხელმძღვანელების დაკვეთითაც ახდენდა სხვადასხვა წიგნების თარგმნა-გადაწერას. 1829 წლის 7 თებერვალს გაცემული მოწმობიდან ვიგებთ, რომ გორის „საბლაღოჩინოს“ მღვდლებს იესესთვის გარკვეული თანხა გადაუხდიათ მათთვის საინტერესო ლიტერატურის თარგმანში, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ისინი განსაკუთრებით ხაზს უსვამენ იესეს კეთილსინდისიერებას: *„როგორც ჩვენი ბრძანება გვინახამს, და სახელდობ: კონდაკისათვის მოგვიცია ცამეტი აბაზი თეთრი ფული, რასდგან ცხენი და კაცი არა გყვანდა და გვთხოვე ორ ორი შაური შენის გამოგზავნულის კაცისათვის. დავითნისა თვის თერთმეტი შაური; სახარების თარგმნისათვის შვიდი აბაზი, რადგან მასზედ ექსარხის ბრძანება არ გქონდა; ღეოღრაფულის ლექსიკონისათვის, რომელიც ჩვენის ნებით ვიყიდეთ ზოგთა და არა ყველამა ექვსი აბაზი და უზალთუნი და სახარებისათვის თერთმეტი უზალთუნი და შაური, და არას წელს არაოდეს*

---

[1] *ჟორდანია, ქრონიკები, III, გვ. 529-541.*

[2] *აბუაშვილი ლ., ქართველი მწიგნობარი იესე გარსევანიშვილი, გვ. 145-147*

[3] *იქვე, გვ. 534.*

არცა ჩვენგან და არც ჩვენის პრიხოდისაგან არც ფულად და არც ნივთად, არა ათის თავი და არც საბლაღოჩინო არ აგიღია...“[1].

ასეთი იყო იესე გარსევანიშვილის სამწერლობო-მთარგმნელობითი შემოქმედება.

9. ალექსანდრე გარსევანიშვილი წუხილით აღნიშნავს, რომ იესე *„ბედშავი“* და სიმართლისთვის უსამართლოდ იყო დასჯილი. არსებობს იესეს ამგვარი მგომარეობის ამსახველი დოკუმენტები, რომლებიც XIX საუკუნის 50-60-იანი წლების მიჯნას განეკუთვნება. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის წერილები დაწერილი ქართულ და რუსულ ენებზე, რომლებშიც იესე თვითონ მოგვითხრობს იმ ტრაგედიაზე, რომელშიც ის აღმოჩნდა სიცოცხლის ბოლო წლებში.

ერთ-ერთ წერილში (1861 წლის 19 აპრილი), რომლის ადრესატია მოსკოვში მცხოვრები ვინმე მამა მიხაილ გურგენიძე, იესე აცნობებს იმ პროვოკაციების შესახებ, რომელსაც უწყობდა მის ეკლესიაში მომსახურე, მისი მოადგილე დიაკვანი ზაქარია კოპინოვი. კოპინოვს მღვდლის ადგილის დაკავება უნდოდა. მან რამდენჯერმე დაასმინა იესე, ვითომც ამ უკანასკნელს სმენა და მხედველობა ჰქონდა დაქვეითებული და ღრმა მოხუცებულობის გამო არ შეეძლო მრევლის გაძღოლა. გამოძიების შედეგად აღმოჩნდა, რომ კოპინოვმა ტყუილი მოიგონა. ამგვარი საქციელის გამო კოპინოვი შეარცხვინეს და სახალხოდ მუხლის *„ორმაგად“* მოყრით დასაჯეს. მაგრამ კოპინოვი მაინც არ ისვენებდა. მან ასეთ ხერხს მიმართა: საეკლესიო წიგნში მორწმუნენი ან სართოდ არ შეჰყავდა, ან სახელსა და გვარს არ უწერდა, ან უმახინჯებდა, რითაც მღვდლის ქმედითუნარიანობის დაკნინებას ცდილობდა. ამით მას უნდოდა საეკლესიო საქმეების წარმოებაში გაეჩინა ხარვეზები და იესეს არაკომპეტენტურობა გამოეაშკარავებინა და საეგზარხოსოს ყურადღება მიეპყრო.

ზაქარია კოპინოვმა 1859 წელს იესე ქართლისა და კახეთის ეგზარქოზ ევსევისთან დაასმინა, ვითომ მან გორში მცხოვრებ დავით სამსონაშვილის არასრულასაკოვან ქალს, თამარს ჯვარი დასწერა. მართალია არც ეს ბრალდება დადასტურდა (ჯვრისწერის დროს ქალი უკვე 13 წლის იყო), მაგრამ იესე მაინც დამნაშავედ ცნეს, რადგან მან საპატარძლოს დაბადების მოწმობა არ მოსთხოვა და არც აღსარების სიაში ჩაწერა. როდესაც იესეს წერილებს და ეგზა-

[1] *გსიემ, №7602/31.*

რქოსის ბრძანებების ამსახველ დოკუმენტებს ვეცნობით, ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ეგზარქოსი და მაღალი სამღვდელოება დაინტერესებულნი იყვნენ იესე ეკლესიისათვის ჩამოეშორებინათ. საეგზარქოსოში გადაწყვიტეს: იესეს, რომელმაც თითქოს არასრულწლოვან ქალს ჯვარი დასწერა *„ამისათვის პრიხოდი ჩამოერთვას და ნათესავებს ჩაბარდესო, რათა არჩინონო“*, განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი 1861 წლის 22 თებერვალს. იესეს პირადი და მამაპაპეული ეკლესიები, მამულები და სხვა საკუთრება ჩამოართვეს და მღვდელმოქმედებაც აუკრძალეს. ასე დაასრულა იესემ 44 წლიანი ეკლესიური მოღვაწეობა.

იესემ ცილისწამებლური და გამოუძიებელი განაჩენის გამო ბევრჯერ იჩივლა მაგრამ სამართალი ვერ ნახა. იესე მამა მიხაილ გურგენიძეს მიმართავს: *„დარწმუნებული ვარ მამაო! თქვენ მამაშვილურ სიყვარულზედა, ამისთვის ყოვლის მხრივათ შეწუხებული გთხოვთ მამაო, მოსკოვიდამ, თუ პეტერბურღს წასვლითა, სინოდის სეკრეტართან და პროკურორთან შემეწიოთ ამაზედ, რომ კანტორის განაჩენი მოშალონ, ვიდრე სინოდი საქმეს განიხილავდეს მანამდე მამცენ ისევ ჩემი ეკლესიები და ისევ ის პრიხოდი, რადგანაც გამოუძიებლად და უსამართლოდ, დაუმტკიცებლად ვარ დასჯილი, და სინოდმა, შემდეგ ეკლესიების მოცემისა დანიშნოს ზემოაღწერილს სამ პუნქტზედ გამოძიება, რომ თავი ვიმართლო. რაღა ვედრება გინდათ, რაც შეიძლებოდეს, ღვთის გულისათვის შემეწიე, რომ მე ამ უბედურებაში, ცოცხალი არ დავიმარხო. ამაზედ საჩქაროდ მაცნობეთ პასუხი... ნუ ათქმევინებ ჩემ მტრებსა, რომ ოხერი ყოფილა და უპატრონო, ამაზე ნამეტნავად აჩვენე ყველას ჩემი სიყვარული. მათ უგანათლებულესობას, მეფის ძეს ირაკლი გრიგორის ძესა*[1] *და იმათს განათლებულს სახლობასა და სხვათა ბატონის შვილებთა, და ვისაც იცნობდეთ დიდ კაცთა მოსკოვში, თუ პეტერბურღში, სულ ძალიან შემავედრეთ და შემახვეწეთ, რომ უთუოდ მიშველონ რამე. აგრეთვე კოლეჯსკი სოვეტნიკსა იესე დეკანოზის ძესა*[2] *ჩუბინოვსაც დავითსა*[3] *რომელიც*

---

[1] ბატონიშვილი ერეკლე, გიორგი XII-ის ძე.

[2] დავით იესეს ძე ჩუბინაშვილი (1780-1821) – გრამატიკოსი, მთარგმნელი. *აბესაძე ნ., მასალები ერთი ნაბეჭდი ქართული გრამატიკის ავტორის საკითხისათვის // მაცნე, 1967, №1, გვ. 234-241.*

[3] დავით იესეს ძე ჩუბინაშვილი (1814-1891) – ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი, ლიტერარატურთმცოდნე. *შარაძე გ,. დავით ჩუბინაშვილი – რუსთველოლოგი, თბ., 1982.*

ეხლა უფალს ბროსესთანაც[1] შემახვეწეთ, შემეწიოს, იმათს სახლში ვარ გაზრდილი და იმის მამის ბეჭდის შემცვლელიცა ვარ. სადაც შეიძლებოდეს და ვისთანაც მოხერხდებოდეს, ყველასთან შემეწიეთ, რომ ეკლესიები და ისევ ის გორის ოქონის ხატის პრიხოდი მამცენ, თქვენს შემწეობას ნუ დაზოგავთ ჩემზედ. ჩემა დისწულმა ლევან თულაევმა მდაბლად თავი დაგიკრათ და მოკითხვა მოგახსენათ და იმანაც ჩემი შემწეობა დიდის ვედრებით გთხოვათ...“[2]

მამა მიხაელს იესე იმასაც აცნობებს, როგორ დაუდგა მას გვერდში მრევლი. მათმა ნახევარმა დიდ მარხვაში უარი თქვა ზიარებასა და აღსარებაზე, რადგა ისინი სხვა მღვდელს მოძღვრად არ აღიარებდნენ. საინტერესოა, რომ ერთი მრევლთაგანი იესესადმი მხარდაჭერისა და პროტესტის გამო უზიარებელი მოკვდა. ასე გაუხადა უწყალო ეგზარქოსმა მრევლს საქმე და მეც სიბერეში გამაუბედურაო, წერს იესე[3]. ოქონის მრევლი რომ იესეს გარდა სხვა მღვდელს თავის მოძღვრად არ ცნობდა, იესე სრულ სიმართლეს ამბობდა, ამის დამადასტურებელი რუსულად დაწერილ საბუთს ეხლა გავეცნობით.

1861 წლის 26 თებერვალს, გორის მიძინების ეკლესიის მრევლმა ეგზარქოს ევსევის მიმართა თხოვნით: *„შევიტყეთ ჩვენთვის სრულიად სამწუხარო ამბავი, რომ ჩვენი მოძღვარი აზნაური მღვდელი იესე გარსევანოვი საქართველო-იმერეთის სინოდალური კონტორის გადაწყვეტილებით მცირე შეცდომისათვის გარიცხულია შტატიდან მოხუცებულობის გამო. სულიერად ვწუხვართ მისი უბედურების გამო. ვბედავთ მოგახსენოთ თქვენ წმინდა მეუფეო, რომ მღვდელი იესე გარსევანოვი მსახურობს თითქმის 44 წელიწადია თავის წინაპრების მაგალითის მიხედვით ამ მიძინების ეკლესიაში, რომელიც ეკუთვნის მათ გვარს. ის სწორად და სინდისიერად მოქცევით გვიჩვენებს გზას სიკეთისაკენ და ჩვენ მრევლისადმი მის სწორი და გულმოდგინე მსახურებით სრულიად კმაყოფილნი ვართ, მიუხედავად იმისა, რომ ის ასაკშია ყოველდღიური მსახურებისას მრევლისა და ეკლესიის მიმართ არის მხნედ, ვითარც ახალგაზრდა.*

---

[1] მარი ფელისიტე ბროსე (1802-1880) – ფრანგი ორიენტალისტი და ქართველოლოგი. *ხანთაძე შ., მარი ბროსე, თბ., 1966.*

[2] *გსიემ, №7602/1014.*

[3] *იქვე, გვ. 5.*

ამიტომ წმინდა მეუფევ, მისი ერთგული, ფრიად ძნელი და ხანგრძლივი სამსახურისათვის ჩვენი და წმინდა საკურთხეველისადმი, გთხოვთ მღვდელ გარსევანოვ იესეს გადასცეთ გორის მიძინების სამრევლო ეკლესია, რადგან ჩვენ სხვა მწყემსი მისი, გარსევანოვის გარდა არ გვსურს------[1] იყვეს ჩვენი სულიერი მამა ვიდრე ცოცხალია.

გორის მიძინების ეკლესიის მთელი სამწყმსო თქვენი მაღალი ყოვლად სამღვდელოებისაგან ელოდება მოწყალე რეზოლუციას დიდმარხვისათვის". თხოვნას ახლავს 70 ხელმოწერა[2].

იოლად მისახვედრია, როგორ მოუთმენლად ელოდა იესე მოსკოვიდან მამა მიხაილ გურგენიძის პასუხს. და აი, 1861 წლის მკათათვის (ივლისი) 24-ში მიიღო იმავე წლის 28 ივნისს გამოგზავნილი არავითარი იმედის მომცემი წერილი: *„უპატივცემულესო მამაო იესე! უკაცრაოთ გახლავარ აქამდის პასუხი თქვენის წიგნისა ვერ მოგართვი. დაჩაში გახლდით და იმის გამოისობით დაგიგვიანეთ. ბატონისშვილები ირაკლი და ოქროპირი[3] გარდაიცვალნენ. ბატონის რძალიც[4] იტალიაში არის თავისის შვილებით[5]. ილია ბატონის შვილის[6] მეუღლეც სოფელში არის, ამის გამოისობით თქვენს საქმეს*

---

[1] სამი სიტყვა არ იკითხება.

[2] *გსიემ, №7602/361.*

[3] ოქროპირ ბატონიშვილი, გიორგი XII-ისა და მარიამ ციციშვილის ვაჟი (1794-1857), 1803 წელს დედასა და და-ძმებთან ერთად გადაასახლეს რუსეთში. სამხედრო სამსახურიდან გადადგა პორუჩიკის ჩინით. ცოლად შეირთო სახელმწიფო საბჭოს წევრისა და სენატორის გრაფ პავლე ივანეს ძე კუტაისოვის (1780-1840) ასული ანა. 1829-1830 წლებში იმყოფებოდა თბილისში. 1832 წლის შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ, ოქროპირი, როგორც შეთქმულების სულისჩამდგმელი კოსტრომაში გადაასახლეს. 1850 წელს დროებით გამოუშვეს საქართველოში. იგი 1857 წელს გარდაიცვალა მოსკოვში. *ბარამიძე არ., ოქროპირ ბატონიშვილი / ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7, თბ., 1984, გვ. 611.* http://www.history-ryazan.ru/node/10319

[4] ოქროპირ ბატონიშვილის მეუღლე ანა გრაფ პავლე ივანეს ძე კუტაისოვის ქალი დიდხანს ცხოვრობდა საზღვარგარეთ, იყო განათლებული, სთხზავდა ლექსებს, რომანსებს. გარდაიცვალა 1868 წელს https://ka.wikipedia.org/wiki/; http://www.history-ryazan.ru/node/10319

[5] ოქროპირსა და ანას ჰყავდათ სამი შვილი: ანა, გიორგი და პავლე.

[6] ილია ბატონიშვილი, გიორგი XII-ის ძე (1790-1854) დედოფალ მარიამთან ერთად რუსეთში გადაასახლეს 1808 წელს, მონაწილეობდა 1812 წლის

ვერას შემწეობას მისცემენ, და არცა ვინა ჰყავთ სინოდში მცნობი და ნათესავები. მე მივაწერინე ჩემ მცნობს სინოდის ჩინოვნიკთან მაგრამ არამგონია რომ ისიც გახდეს რამე. მანდაური ეგზარქოს და კანტორის განკარგულებას აქ ვგონებ არ მოშლიან, ბერები თავისას აღასრულებენ. ძაღლი ძაღლის ძვალს არ გასტეხს. რა გაეწყობა თუმც დიდათ შესაწუხებელი საქმე არის. ხომ იცოდით რომ მაგისთანა ცუდი დიაკონი გყვანდათ. უნდა გაფრთხილებულიყავით.

ალექსანდრეს, თქვენ რძალს და ძმისწულებს მრავალ მოკითხვას მოვახსენებ.

თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე დეკანოზი მ. გურგენიძე.

ჩუ^ა წელსა ივნისის კ^ბ-დღესა, მოსკოვით"[1].

იესე გარსევანიშვილის ყველა ცდა მიეღწია რეაბილიტაციისათვის უშედეგო აღმოჩნდა.

იესე გარდაიცვალა 1864 წლის 23 ნოემბერს. მადლიერმა ძმისშვილმა, ალექსანდრემ იგი დაკრძალა მისსავე ნაამაგარ გორის ოქონის ეკლესიაში.

ალექსანდრე სვიმონის ძე

გარსევანიშვილების საგვარეულო ნუსხის თავდაპირველი ვარიანტი, როგორც აღინშნა, შეადგინა ცნობილმა გორელმა მწერალმა ალექსანდრე სვიმონის ძე გარსევანიშვილმა (1831-1913) და ამის შესახებ მკითხველს თვითონვე ამცნო საგვარეულო ნუსხის გრაგნილის სათაურსა და ბოლო *„სხოლიოში“.*

არ ვიცი სად და როდის მიიღო განათლება. ცნობილია, რომ პროფესიით ნოტარიუსი იყო. დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა თავისი სპეციალობით საქართველოს სხვადასხვა ქალაქში – ფოთში, ქუთაისსა და გორში.

ალექსანდრეც, ისევე, როგორც მისი გვარის სხვა წარმომადგენელნი, გამოირჩეოდა თავისი განათლებით. ალ. გარსევანიშვილი აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალებში. ავტორია რელი-

---

ომში, 1823 წ. პოლკოვნიკის წოდებით გადადგა სამხედრო სამსახურიდან და მოსკოვში დასახლდა. *აბრამიშვილი ა., ქართველი ბატონიშვილების საოჯახო იუმორიდან //სტალინირის სახელობმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 1959, ტ. 7; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6, თბ., 1980, გვ. 106. https://ka.wikipedia.org/wiki/ილია ბატონიშვილი.*

[1] *გსიემ, №7602/758*

გიის მოღვაწეთა ცხოვრებასა და ისტორიულ თემებზე გამოქვეყნებული წერილების და ორმოქმედებიანი კომედიის *(„ცოლები დავკარგეთ“)*. საყურადღებოა, ჩემ მიერ მრავალჯერ დამოწმებული მისი ნარკვევი – *„ქალაქი გორი და სასწაულ-მოქმედი ოქონიის ღვთისმშობლის ხატი“.*

ამ საინტერესო მოღვაწის შესახებ მხოლოდ ის არის ცნობილი რაც ზემოთ აღინიშნა. ხარვეზის ნაწილობრივ შევსება შეიძლება მისი ხელით დაწერილი გარსევანიშვილების საგვარეულო გენეალოგიის ნუსხისათვის (ავტორი მას *„ჩამომავლობის შტოს“* ან „ჩამომავლობის ხეს“ უწოდებს) დართულ შენიშვნებში, რომელსაც უკვე გავეცანით. ჩანს მისი მრავალმხრივი განვითარება და ზრუნვა ქართული საზოგადოების სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

ალექსანდრე სვიმონის ძე მნიშვნელოვანი უძრავი ქონების მფლობელი იყო. განსაკუთრებით საინტერესოა მისი უძრავი ქონება ქ. გორში. როგორც თვითონ წერდა მას ქონდა:

„1. ოთხ აუიანი[1] *ქვითკირის სახლი ოხონჯანაანთა და თუთაევისა იოსებ გარსევანიშვილს სახლებს შუა, ოთხი წმიდა ოთახი, საკუჭნაო (ხაფანგი), კუხნა, მარანი, საყინულე“* (ალექსანდრეს ეს ყველაფერი იესემ დაუტოვა).

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას ამ სახლის შესახებ. დღეისათვის ის აღარ არსებობს. გაშენებული იყო გორის ციხის ბორცვის ჩრდილო კალთაზე, 25 თებერვლის ქუჩაზე (ამჟამინდელი მეფე სიმონ I-ის ქუჩა არ ვიცი გასაბჭოებამდე რა ერქვა), № 27. ნაგებობა მნიშვნელოვანი იყო როგორც ხუროთმოძღვრების ძეგლი. იგი გადაურჩა 1920 წლის უძლიერეს მიწისძვრას და 1946 წლის იმ მეწყერსაც, რომელმაც გაანადგურა მის მეზობლად მდებარე სახლები.

გორის სახელმწიფო ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორის, სერგო ნადიმაშვილის დაკვირვებით 1962 წელს გარსევანიშვილების სახლის სარდაფი წარმოადგენდა მარანს, რომელიც სამლოცველოს დანიშნულებასაც ასრულებდა. როგორც მისთვის უთქვამთ, ამ სახლიდან საიდუმლო ასასვლელი ადიოდა გორის ციხის ზღუდემდე.

გარსევანიშვილებს ამ ადგილას რომ სახლი ჰქონდათ დიდი ხნის წინათ, ამაზე გვეუბნება სვიმონ I-ის მიერ მათთვის ბოძებული სიგელი. მეფე უწყალობებს მათი სახლის გვერდით მდებარე ადგილს

[1] ალბათ, უნდა იყოს რუსული სიტყვა – „ეტაჟიანი“.

ციხის ძირში. გარსევანიშვილების სახლს აღნიშნული პერიოდის არქიტექტურის კვალი XX ს. 60-იან წლებშიც კი შენარჩუნებული ჰქონდა. მისი ისტორიული მნიშვნელობის გამო იყო, რომ ანასტასია ალექსანდრეს ასულმა გარსევანიშვილ-რობაქიძისამ 1938 წელს თავისი ძმის, ცნობილი პედაგოგის, ალექსანდრე ალექსანდრესძე გარსევანიშვილის ანდერძის თანახმად, გორის მუზეუმს უსასყიდლოდ გადასცა თავისი სახლის უძველესი ნაწილის ორი ოთახი. მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო მუზეუმი, რომელიც სახლის ისტორიული მნიშვნელობის გამო მის მთლიანად გადაცემას მოითხოვდა, საბოლოოდ იქიდან აღარაფერი შერჩა.

დღეისათვის გარსევანიშვილების სახლის მხოლოდ უკანა ფასადის კედლის ფრაგმენტია შემორჩენილი.

„2. რუსუბანში მეორე სახლი დათაძისეული, ალიზისა და სახლი პეტრე კოხტაშვილისა და მაძლევს ქირასა – ორას მანეთსა წელიწადშია. ეს სახლი მე შევისყიდე იმისი დის ქეთავანასაგან აპრილის 18<u>სა</u> და მივეცი ათი თუმანი.

3. გულიშამბარაანთან გასაყოფი კვერნაქზედ მიწები ურწყავი რამდენიმე დღისა უფლის ციხის მიდგმამდინ იაკობა ზუბალოვის წისქვილის ასწვრივ“. (ეს ყველაფერი დაუტოვა იესემ).

4. ვენახი გორის ღვთისმშობლის ეკლესიის ახლო მდებარე ერთის დღის, თავის საწნახლითა და ოთახითა.

5. ძველს პოსელენიაში ორგან სახლები: ერთი ფოჩტის კანტორის გვერდზედა თავის ეზოთი შვიდ-----, თავისის საკუჭნაოთი (Чулан), ფეხის ადგილითა და საქათმითა და სამის ნერგითა და ჭითა.

6. ამ სახლებს უკან ხის სახლები ხუთ ოთახიანი თავისის ეზოთი, თავლითა და ფეხის ადგილითა. ამავე ეზოში ძველი სახლი ორ ოთახიანი პატარა დერეფნითა“

იესემ ალექსანდრეს დაუტოვა მამულები რუისში, თედოწმინდაში და სხვაგან[1].

---

[1] *იხ. იესეს ანდერძის რუსული თარგმანი შედგენილი 1854 წლის 15 სექტემბერს. გსიემ, №7602/379.*

ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრება და საქართველო სქოლიონის მიხედვით

ამ საკაცობრიო მნიშვნელობის საეკლესიო კრების მუშაობაში ქართველთა მონაწილეობა, რომლებმაც თავიანთი პოზიციით და შეუპოვრობით თანამედროვეთა ყურადღება დაიმსახურეს, ყოველთვის განსჯის საგანი იქნება. ალექსანდრეს მიერ შემოთავაზებული მოკლე ინფორმაცია განსხვავდება კრების მუშაობის შესახებ არსებული სხვა წყაროებისგან. რადგანაც ეს საკითხი ზოგადად ეკლესიის ისტორიასთან და მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიების ურთიერთობის ისტორიის ერთ საინტერესო მომენტს ასახავს, ამიტომ მასზე შედარებით ვრცლად უნდა ითქვას.

საქართველო-რომის ურთიერთობა საუკუნეების განმავლობაში ყოველთვის ერთგვაროვანი არ იყო. ინტერესთა სხვადასხვაობა განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა XV საუკუნიდან. საქართველოს სამეფო კარი მიისწრაფოდა რომის პაპის საშუალებით მოეპოებინა სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირე. მაგრამ ამ მიზნის განსახორციელების შემთხვევაში სურდა ხელუხლებლად შეენარჩუნებინა თავისი ეკლესიის დამოუკიდებლობა.

ქართული სახელმწიფოს დაშლის წინა პერიოდში ეკლესიისა და საერო ხელისუფალთა შეუდრეკელი ბრძოლა მართლმადიდებლური ეკლესიის დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის დაცვისათვის რელიეფურად პირველად გამოჩნდა ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე[1].

საქართველოს წარმომადგენელთა შესახებ უცხოურ ცნობებში უთანხმობაა: ერთის მიხედვით, ისინი ორნი იყვნენ – მიტროპოლიტი და ეპისკოპოსი, მეორეს მიხედვით, ერთი ეპისკოპოსი და მეორე თავადი – ერისკაცი. სხვა ცნობით ანდრონიკე იაგრინმა საქართველოდან წაიყვანა ორი ეპისკოპოსი, ერთი ელჩი და იბერიის მეფის განსაკუთრებული „სენატორები“[2].

---

[1] ფერარა-ფლრენციის საეკლესიო კრების მუშაობაში ქართველთა მონაწილეობის შესახებ ვრცლად იხ. *მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, III.*

[2] *Sirop S., Vera historia unionis non verae inter Graecos et Latinos. Hage-Comitis, 1660, p. 45. ჟუჟუნაძე ო., XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიისათვის // ქართული სამეფო-*

როდესაც სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენელთა პროლათინური პოზიციები გაირკვა, ქართველმა ეპისკოპოსმა სხდომები მიატოვა და დიდი გასაჭირით კონსტანტინოპოლში დაბრუნდა. მეორე ქართველი რომში წავიდა, რომელიც პაპმა თავისთან მიიწვია და ურჩია საქართველოს ეკლესიის რომის ეკლესიისადმი დამორჩილება, რაზეც ქართველმა ისეთი პასუხი გასცა, რომ პაპი გაოგნებული დარჩა.

საინტერესოა საქართველოს დელეგატების ვინაობის გარკვევა. ამაზე ევროპული წყაროები არაფერს ამბობენ. რუსული წყაროების მიხედვით კი მათი სახელები იყო იოანე და გრიგოლი. სხვადასხვა ცნობებით, ერთი მიტროპოლიტი იყო, მეორე კი – ეპისკოპოსი ან ერთი ეპისკოპოსი, მეორე – თავადი-ერისკაცი. ვარაუდობენ, რომ ესენი უნდა ყოფილიყვნენ მანგლელ-თბილელი ეპისკოპოსები იოანე და გრიგოლი[1].

ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების შესახებ, სრულიად განსხვავებულ ცნობებს ვნახულობთ იოანე ბატონიშვილის *„ხუმარსწავლაში“*. აქ განსაკუთრებით საინტერესოა ის, რაც კრების მონაწილე ქართველებს ეხება. იოანე ბატონიშვილის მიხედვით, საეკლესიო კრებას საქართველოდან სამი წარმომადგენელი ესწრებოდა. ორმა მათგანმა, ახტალის ეპისკოპოსმა დანიელმა და თავადმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა *(„აღმწერმან საგალობელთა და დასადებელთა ქართველთ წმინდათასა“)* ხელი არ მოაწერეს საეკლესიო კრების გადაწყვეტილებას, ხოლო მესამემ, იმერეთის ეპისკოპოსმა იაკობ *„შემოდგომელმა“* (ალბათ, შემოქმედელი) კი მოაწერა. *„ამას ზედა მოაწერეს ჭელი ბერძენთა და რუსთა, გარნა ანტიოხიისა პატრიარხმან არა მოაწერა ჭელი, არცა ქართველთ ეპისკოპოსმან ახტალისამან დანიელმან და თავადმა ჩერქეზისშვილმან ნიკოლაოზ... ხოლო იმერეთისა ეპისკოპოსმან იაკობ შემოდგომელმან მოაწერა ჭელი“*[2].

აღინიშნა, რომ თანამედროვეთა მიერ დატოვილი ცნობებით, კრებას ესწრებოდა ის ორი ქართველი, რომლებზეც ზემოთ ითქვა. საინტერესოა, რომ კრებაზე დამსწრე სხვათა შორის, ბატონიშვილი, იმას ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხელი არ მოაწერა ანტიოქიის პატრიარქმაცო. უნდა აღინიშნოს, რომ ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების მასალებში არ ჩანს ანტიოქიის პატრიარქის მონაწილეობა, მისი წარმომადგენელი კი ნამდვილად ესწრებოდა. ანტიოქიის

სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, თბილისი, 1970, გვ. 15.

[1] *იქვე, გვ. 26.*

[2] *ბატონიშვილი იოანე, ხუმარსწავლა (კალმასობა), გვ. 350.*

პატრიარქზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებ, რომ ფერარაშიც ქართველებმა ახსენეს მისი სახელი და პატრიარქის მიერ გაცემული სიგელიც წარადგინეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანტიოქიის საპატრიარქომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა XV ს. მეორე ნახევარში ერთიანი ქართული ეკლესიის გახლეჩვასა და ასევე ქვეყნის დაშლაში. ამის შესახებ სხვა დროს.

დავუბრუნდეთ ალ. გარსევანიშვილის მიერ დატოვილ ცნობებს ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაში ქართველი სასულიერო პირების მონაწილეობის საკითხს.

ალ. გარსევანიშვილმა საგვარეულო ნუსხის „ბ“ შენიშვნა მთლიანად დაუთმო თავისი გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელის, *„მეცნიერ ეპისკოპოს სოფრონის“* ფერარაში ყოფნის საკითხს.

ეპისკოპოსი (მეცნიერი) სოფრონი იყო მეფე კონსტანტინე I-ის დეკანოზის, მარკოზ გარსევანიშვილის ვაჟი, რომელიც საგვარეულო ნუსხაში ოთხმოცდამეჩვიდმეტეა.

ალ. გარსევანიშვილის მონათხრობს საეკლესიო კრების მუშაობაში ქართველების მონაწილეობის შესახებ ახლავს ზოგიერთი უზუსტობა: საეკლესიო კრება ფერარაში არ მიმდინარეობდა 1432-1433 წლებში (უნდა იყოს 1438-1439 წლები); კრების მუშაობის შესახებ არსებული არც ერთი წერილობითი წყარო არ იცნობს მასში მონაწილე ორი ქართველის ერთნაირ სახელს – სოფრონს. მაგრამ ის ინფორმაცია, რომელიც მოცემულია საგვარეულო ნუსხაში, საინტერესოა. სიმართლეს შეეფერება ქართული დელეგაცია რომ ფერარაში საქართველოს მეფე ალექსანდრე დიდმა გაგზავნა. ისიც სიმართლეა, რომ ქართველებმა უარი თქვეს კრების გადაწყვეტილებაზე ხელის მოწერაზე, საიდუმლოდ მიატოვეს ფერარა და სამშობლოში გამოემგზავრნენ.

მეტოქენი – გარსევანიშვილები და ანანიაშვილები

რაც დრო გადიოდა გარსევანიშვილები სულ უფრო იფართოებდნენ თავიანთ მონოპოლიურ უფლებებს გორის მართლმადიდებელი ეკლესიებისა და მრევლის ცხოვრების ყველა მხარეზე. მათმა ძალაუფლებამ, შეიძლება ითქვას, კულმინაციას მიაღწია XVIII ს. მეორე ნახევარში ქართლის მთავარეპისკოპოს კირილეს (ციციშვილი) დროს. მის მიერ 1766 წლის 26 სექტემბერს შედგენილ სიგელში ვკითხულობთ: *„ჩვენ ქართლის მთავარ ეპისკოპოსმან კირილემან...*

შენ გარსევანის შვილს მღვდელს პეტრეს, და დემეტრეს და ძმასა შენს... მეფეთ მეფეს თამარს გორაზე საყდარი აეშენებინა და თავის სასოება ოქონის ხატი იქ დაესვენებინა. და იმისი დეკანოზობა თქვენთვის ებოძებინა... აწ ჩვენ ასე დაგიმტკიცეთ და გიბოძეთ გორის დეკანოზობა... და ამ ეკლესიაზედ გაკურთხეთ და ***მოგეცით გორის დეკანოზობა და გორის სამწყმსოთ მკვიდრიცა და ეულიცა. ვინც გორში ქართველნი იყვნენ[1]. სხვა მღვდელს ხელი არ ჰქონდეს. თუ შენი ნება არ იყოს სხვა მღვდელმა გორში ვერცა ვინ მონათლოს, ვერც მკუდარი დამარხოს და ვერცა გვირგვინი უკურთხოს, ვერცავინ უწიროს და ვერცავინ აღსარება ათქმევინოს.*** *ამისთჳს რომ ამ საყდარზედ ნაკურთხი ხარ და მოძღვრობა შეგიძლია. თუ ვინმემ ამისი წინ აღდგომა იკადროს და ეს წიგნი შეურაცხ ჰყოს ის მღვდელი განკვეთილ იყოს...“*[2]

როგორ იცავდნენ გარსევანიშვილები საუკუნეების განმავლობაში მოპოვებულ დამსახურებას და პრივილეგიებს, კარგად ჩანს გორის სხვა ძლიერი გვარის – ანანიაშვილების მათთან დაპირისპირების დროს. XVIII-XIX ს. პირველ ნახევარში ანანიაშვილები გარსევანიშვილებს მრევლს, ქონებასა და ეკლესიებს ეცილებოდნენ. ანანიაშვილები პერიოდულად მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდნენ, რაც ნათლად აისახა შესაბამისი პერიოდის დოკუმენტებში.

XVIII ს. ბოლოს გარსევანიშვილებმა ანანიაშვილებთან ბრძოლაში მიაღწიეს იმას, რომ გორის სამწყმსო მთლიანად მათ დაექვემდებარა[3].

XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე გარსევანიშვილებმა სერიოზული წარმატება მოიპოვეს, რადგან ამ გვარის წარმომადგენელი, გორისა და სამთავროს ძლიერი მთავარეპისკოპოსი პაისიოსი დაინტერესებული იყო ორ გვარს შორის დავის გარსევანიშვილების სასარგებლოდ გადაწყვეტით. მან 1790 წლის 30 დეკემბერს გორში პროტოპოპად/დეკანოზად დანიშნა ენერგიული იაკობ გარსევანიშვილი, რომელმაც დიდი ძალისხმევა გამოამჟღავნა ანანიაშვილებთან დაპირისპირების დროს[4].

---

[1] იგულისხნებიან მართლმადიდებლები.

[2] *გსიემ, № 160.* ხაზგასმა ჩემია.

[3] *იქვე, №165.*

[4] იაკობის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც ოდესღაც დაცული იყო გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდებში დღეისათვის დაკარგულია. შემორჩენილია მხოლოდ მისი ანოტაცია.

1796 წელს არის დაწერილი *„სიგელი დიმიტრი მგალობელისა თამარ მეფის მიერ მიცემული და ბესარიონ მთავარეპისკოპოსის მიერ უკანონოდ წართმეული გორის სამწყმსოს დაბრუნებაზე“: „ხელმწიფის ჭირი მისცეს მათს მიწას მგალობელს დიმიტრის. თამარ მეფეს აქეთ რა გორში დაუსახლებივართ გორის ეკლესიები უბოძებია და სამწყსო ჩემი ოჯახისათვის. მას აქეთ არავის გამოურთმევია ჩემთვის. მრავალი გუჯრები მაქვს ბესარიონ მთავარეპისკოპოსმა წაგვართვა და გორის სამწყსო შუა გაგვიყო და სპირიდონს მისცა თუ თავის საყდარს მისცა. კარის საყდარს სამწყსო რომელსა აქვს თვითონ უნდა თაჯსის ხუცისათვის გაეძლებინა ჩვენ რას გვემართლებოდა. თუ სფირიდონს მისცა, ანანიასშვილს გორს სამწყსო რათ ეყოლებოდა“.* სიგელს აქვს მინაწერები წართმეული საწყმსოს დაბრუნების თაობაზე[1].

მეფე ერეკლე II-მ კათალიკოს პატრიარქ ანტონ II-ს (1788-1811) გადაუგზავნა დიმიტრი მგალობლის საჩივარი: *„...ბატონო ანტონი. მერე ამ არზის პატრონს რომ ასე მოუხსენებია ამის სიგლები და გუჯრები გაშინჯეთ და როგორც იმ სიგლებსა და გუჯრებში უცხადებდეს ისე დაუმტკიცეთ, რადგანა ძველადგან ამათის ოჯახისა ყოფილა. არც ამას ჩამოერთმევა“*[2].

კათალიკოს-პატრიარქმა, თავის მხრივ, 1796 წლის 19 თებერვალს საჩივარი რეზოლუციით გადაუგზავნა მთავარეპისკოპოს პაისიოს: *„ჴ̃დ სამღვდელოვ მთავარეპისკოპოსო პაისიოს ამის* (არზის – ე.მ.) *პატრონს რომ ასე მოუხსენებია იმის სიმაღლისათვის* (მეფე ერეკლესათვის – ე.მ.) *და იმის სიმაღლეს ჩვენთვის უბრძანებია ოქმით ამისი სამართალი. რადგან ამათი ეპისკოპოსი ბრძანდები შენთვის გვიბრძანებია, ამის სიგლები და გუჯრები გასინჯეთ მეფეთაგან, კათალიკოსთა და მთავარეპისკოპოსთაგან ბოძებული, და როგორც იმ სიგლებსა და გუჯრებში უცხადებდეს, თქვენც ისე დაამტკიცეთ. რადგანაც ძველთაგან ამათი ოჯახისა ყოფილა, ნურც ამას* (დიმიტრის – ე.მ.) *ჩამოართმევთ: ფებერვალს. ით. წელსა ჩღჟვ“*[3].

გარსევანიშვილების ანანიაშვილებზე მოპოვებული წარმატების ერთი ეპიზოდი აისახა 1800 წლის 18 აგვისტოს მღვდელ სფირიდონ ანანიაშვილის მიერ მთავარეპისკოპოს პაისიოსისათვის მირთმეულ პირობისა და აღთქმის სიგელში, რომელშიც ნაწილობრივ ნათქვამი

---

[1] *გსიემ, გვ. 166.*

[2] *გსიემ, №166.*

[3] *იქვე.*

იყო შემდეგი: *„ესე პირობისა და აღთქმის წერილი მოგართვი თქვენ ბატონს მთავარეპიკოპოზს პაისიოს მე თქვენმა უკანასკნელმა მონამ უღირსმა მღვდელმა სფირიდონმა ასე რომ მედა თქვენს ბატონს ყმობაში ეშმაკმა შური იძივა და ჩემმა მტრებმა ენა ამოქმედეს და თქვენის მოწყალე გული ჩემზედ განარისხეს. ხუთი წელიწადია ჩემის ცოდვით და უბედურობით აღარ იქნა თქვენის მოწყალე გულის ჩემზედ მოწყალებით მოხედვა და ნდობა და არც ჩემა მტრებმა მომცეს ადგილი შეწყალებისა, დავგლახაკავდი და მუდამ ტანჯვაში ვარ... ახლა გევედრები შემრისხე და ისევ შემიწყალეთ... ჩემო ხელმწიფევ მუხლად დგომით გევედრები“*[1].

1801 წელს მღვდელ იაკობ გარსევანიშვილს გვერდში დაუდგა მთელი მისი სამწყსო და შესაბამისი პეტიციაც შეადგინეს, რომელსაც ოცი კაცი აწერდა ხელს. მთავარეპისკოპოსმა პაისიოსმა, როგორც ჩანს, სიგელის საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება: *„ადრიდანვე ვართ მამა-პაპით ძუელთაგან სამწყსოსი გორში ოქონის ღმრთის მშობლისა ეკლესიაში და მოძღვრად და დეკანოზად ყოველთვის გარსევანაანი ყოფილან... აგრევე დღეს ჩუენცა გვსურს შენი ეკლესიისა და შენი მოძღვრობა და მღვდლობა როგორათაც გვაქვს ჩვენი მამებისაგან ანდერძი, ასე რომ არავინ გვინდოდეს თქვენს მეტი მამად სულიერად არც ჭირში, არც ლხინში, არც მოძღვრად და არც მღვდლად და თუ შენი ნება არ იყოს არც არავინ სხვა მღვდელი შევიყვანოთ ჩვენს ოჯახში და სადაც ჯერ იქნება კიდეც განვაცხადებთ სულიერსა მოსამართლეს მმართებელსა რომ სფირიდონ ანანიაშვილსა ჩვენთან საქმე არა აქვსო“*[2].

1801 წლის 7 თებერვალის გარსევანიშვილებისადმი გაცემულ სიგელში ქართლის მთავარეპისკოპოსი პაისიოსი სამართლიანობას აღადგენს მათ სასარგებლოდ.

მთავარეპისკოპოსმა პაისიოსმა პირადად გამოიძია და გამოაშკარავა გარსევანიშვილების მეტოქე სფირიდონ ანანიაშვილის უკანონო მოქმედება:

„ქ: ნებითა ღთისათა ეპისკოპოსმან ესე განჩენა დავსდეჯთ გორის სამწყსოსი. ასე რომ როდესაც სანატრელსა მეფე თამარს გორს ციხის საყდარი აღეშენებინა თაჯსი სასოება ოქონის ხატი დაეევნებინა და გარსევანა შვილები გორს დაესახლებინა, გორი სამწყსოდ ებოძებინა. მას აქეთ აქამომდე ***გორი გარსევანიშვილებისა სამწყსო იყო არავინ ეცილებოდა...*** *ნეტარად ხსენებულისა მეფის ერეკლეს*

[1] *იქვე, 7601/44.*

[2] *იქვე, №192.*

დროს სფრიდონ ანანიაშვილმა შემწედ სოლომონ მსაჯული დედიდა შჯლი იპოვნა და ამა შემწესა სიცრუით წმასნილი წერილნი შეაუღლნა და დიკასტირიის განაჩენი იშოვნა, ნახევარი გორის სამწყმსო დაიჭირა და ჰქმნა რამდენსამე ხანსა. ამავე მეფის დროსა გარსევანის შვილებმა უმაღლეს მეფესთან და უწმინდეს პატრიარხთან სფირიდონისაგან ეს უსამართლო იჩივლეს, ამათმან უწმინდესობამ ქართლისა და კახეთის ეპისკოპოსნი ვინც იმჟამად დაესწრნენ შეჰკრიბა და ანანიაშვილი და გარსევანისშვილები ალაპარაკა. ამა კრებამა ცხადადა დაინახეს რომ უსამართლოდ ეჭირა ანანიაშვილსა ***გორის სამწყსო ანანიაშვილს გამოართვეს და გარსევანის შვილებსა გორი მთლად უბოძეს.*** *რომელიცა სანატრელმა მეფე გიორგი ამათი მიცემული განაჩენი დაამტკიცა კვლავად იპოვნა ჟამი სფირიდონ შემწედვე სოლომან მსაჯული იშოვნა და სხვანიცა გარსევანის შჯლის მოპარვითა დავასტირიისაგან განაჩენი აიღო და ნახევარი გორი ისევ დაიჭირა. ამ ჟამზედ გარსევანისშვილმა იაკობ მღვდელმა სრულიად საქართველოს მემკვიდრეს და მბრძანებელსა არზა მიართუა, და სფირიდონისაგან უსამართლობა შესჩივლა და ჩემა ხელმწიფე დავით ამ სამართლის გასინჯვა მე მიბრძანა. სფირიდონის მოქმედება გავსინჯე, ყოველივე უსამართლოთ დავინახე. პირველად ესე რომ მე გორის ეკლესიისა და სამწყსოსი ეპისკოპოსი ვარ. ჩემ შეუტყობლად არა უნდა დივასტირიის განაჩენი აეღო. მე მქონდა ჭელმწიფება. მეორედ, გარსევანიშვილების მოპარვითა უსამართლო იყო განაჩენის აღება, მესამედ რადგან მამა პაპათა მემკვიდრეობის მიზეზითა ჩიოდა. მემკვიდრეს სახლის ალაგი ექნება, სამწყსოს მქონებელს ეკლესია ექნება, და ერის სასაფლაო. ესენი უნდა მოსამართლეთ ეპოვნათ... მაგრამ რადგან სანატრელს ცხებულს მეფეს გორის ხარების საყდარი სასახლის საყდრად უბოძებია, წირვა და ლოცვა არის იმ სასახლის ეკლესიისათვის ოცი კომლი გლეხი კაცი სამწყსოდ მიგვიცია ვინც მღვდელი დავაყენოთ იმან უხუცოს სხვა* ***ვინც არიან გორსა მემკვიდრე და ხიზანი გარსევანის შვილებისა არის და ვერცარავინ გამოართმევსთ****. თებერვლის ზ. ქრ. უპთ*“[1].

იესე გარსევანიშვილზე საუბრისას აღინიშნა, რომ XIX საუკუნის 10-20-იან წლებში მას სერიოზული მოწინააღმდეგე გამოუჩნდა ქრისტოფორო ანანიაშვილის სახით, მაგრამ ეგზარქოსმა იონამ სამართლიანობა დაიცვა და იესემ გაიმარჯვა. შემდგომ პერიოდში გარსევა-

[1] *გსიემ, №165.* ხაზგასმები ჩემია

ნიშვილებისა და ანანიაშვილების დაპირისპირების ამსხველი რაიმე საბუთი აღარ მინახავს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წერილობითი წყაროებიდან კარგად ჩანს, გარსევანიშვილების გვარს თავის მრევლში და, საერთოდ, გორის მოსახლეობაში, სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია და ისინი ყოველთვის მზად იყვნენ საჭიროების ჟამს მხარი დაეჭირათ თავიანთი სულიერი მოძღვართათვის. მრევლის დამოკიდებულება გარსევანიშვილებისადმი მკვეთრად გამოჩნდა იესე იაკობის ძისადმი მხარში დადგომის დროს 1822 წელს, როდესაც ისინი მოითხოვდნენ იაკობის ადგილას (დოკუმენტში არ ჩანს რატომ გახდა იაკობი ქმედითუუნარო) მისი შვილის იასეს დანიშვნას. მრევლის მიერ შედგენილ ხელისუფლებისადმი თხოვნაში აღნიშნულია გარსევანიშვილების ის დიდი ღვაწლი, რომლის გამო მათი სურვილია *„იაკობის ძე იესეს მღვდლის გარსევანაშვილის სულიერი მოძღვრობა როგორათაც ბრძანებულან თქუენი წინაპართ მამა პაპანი. ჩვენი სამკვიდრონი მოძღვარნი და უმღვდლიათ ჩვენთვის და ვყოფილვართ თქუენის ეკკლესიის ოქონის ხატის სამწყსონი“*. მიმართვას ხელს აწერს გორის 20 მოქალაქე[1].

გარსევანიშვილების საგვარეულო ნუსხა და „სხოლიონი“[2]

[გარსევანიშვილების საგვარეულო სქემა (სათაური)]

სქემა აზნაურთა გარსევანოვთა გვარისა და ჩამომავლობისა ქმნილი აზნაურის ალექსანდრე სვიმონის ძის გარსევანოვისაგან, ჴელთმძღვანელობითა მღვდლის იესე გარსევანოვითა, რომელი იყო ქართულისა ენისა მეცნიერი თავის დროჲსა, საფუძველსა ზედა მამაპაპათაგან დატევებულთა, უძველეს და უნამდვილესთა მოთხრობითა. ქალაქი გორი, ივნისისა ორსა ჩყდ წელსა. ავტორი, აზნაური ალექსანდრე სვიმონის ძე გარსევანოვი[3].

---

[1] *გსიემ, №192.*

[2] „სხოლიონი“ და მისი ქვესათაურები პირობითია მათი შინაარსიდან გამომდინარე.

[3] *გსიემ, №162.* სათაური დაწერილია გრაგნილის უკანა მხარეს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ნუსხისათვის სათაურის გაკეთება დამწერს/გადამწერს გვიან გაახსენდა და რადგან უკვე დაწერილი ნუსხის თავში ადგილი აღარ იყო, იძულებული გახდა სათაური გრაგნილის უკანა გვერდზე მოეთავსებინა.

[გარსევანიშვილების წინაპრების მოსვლა საქართველოში]

+ა[1]. ფილიმონ, ესე წინაპარი გარსევანოვთა გვარისა, იყო დიდი დეკანოზი და მოძღვარი საბერძნეთის კეისარის რომანოზ მესამისა – არგირისა[2], ძმისწულისა ელენასი, რომელიცა იყო ცოლი საქართველოსა და აფხაზეთის მეფის ბაგრატ მეოთხისა, ძისა მეფის გიორგი პირველისა. —— ფილიმონსა ამას გრამატასა შინა მეფე ვახტანგ მეექვსე გაბრიელად ახსენებს, გარნა სახელი ესე შეცთომით მოსვლია მწერალსა, ვინაჲთგან გაბრიელ ეპისკოპოსი შვილისშვილისშვილი იყო ფილიმონისა. საბერძნეთის კეისარმან (იმპერატორმან) რომანოზ მესამემან – არგირიოსმან, მეუღლემან დედოფლისა ზოიასამან, რომელიცა იყო მხოლოდშობილი ასული იმპერატორისა კონსტანტინე მერვისა, ძისა რომანოზ მეორისა, და სიძეობით მემკვიდრე ტახტისა მის კონსტანტინესი და ძმისა მისისა ვასილისა, რომელთაცა დაჲ თჳსი ანნა მიათხოვეს რუსეთის დიდსა მთავარსა ვლადიმირსა (ვასილსა), რომელმან მიიღო რა ნათლის მიღებაჲ, განანთლა რუსეთიცა ქრისტიანობითა; ამან რომანოზ კეისარმან, თხოვითა დედოფლისა მარიამისათა, და შუამდგომლობითა ღირსისა მამისა გიორგი ქართველისა მთაწმინდელისა – მთარგმნელისა, რომელიც თანა-ჰყვა მარიამს კონსტანტინეპოლეს[3], მოსცა ძესა მის მარიამისასა, საქართველოჲსა და აფხაზეთის მეფესა ბაგრატ მეოთხესა, მეფის გიორგი პირველის ძესა[4], ძმისწული თჳსი, დედოფალი ელენა, წელსა ჩკბ<u>სა</u> (1022 г)[5]. რომანოზ კეისარმან სხვისა თანამდიდრულისა სამეფოჲსა მზითვისა, მოსცა ბაგრატ მეფესა ოქონისა ხატი[6] (აწინდელი)[7] და

---

[1] ჯვარი და ასო აღნიშნავს სქოლიოს ნომერს. ასეა საგვარეულო ნუსხის დედანში.

[2] რომანოზ III არგირისა (1028-1034), ბიზანტიის კეისარი

[3] გიორგი მთაწმინდელის დედოფალ მარიამთან ერთად კონსტანტინოპოლში დიპლომატიური მისიით მოგზაურობის შესახებ იხ. აქვე გარსევანიშვილების საგვარეულო ნუსხის *„წინასიტყვაობა“*.

[4] გიორგი I, ერთიანი საქართველოს მეფე (1014-1027).

[5] 1022 გადასწორებულია 1032-ად, ასოებით აღნიშნული წელი (ჩკბ=1022) კი იგივე დარჩა

[6] იხ. აქვე, *„ოქონის ხატი“*.

[7] საინტერესოა რატომ არის ხაზგასმული, რომ ბაგრატ მეფის მიერ ელენესათვის მზითვში გამოტანებული ოქონის ხატი ის ხატია, რომელიც ამჟამადაც გორში არის დაბრძანებულიო. საფიქრებელია, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში და შემდგომ პერიოდშიც სადავო იყო საკითხი რომელი იყო ელენეს მიერ ჩამოტანილი ხატი. იხ. აქვე, *„ოქონის ხატი“*

ნაწილი ღვთისმშობლის სარტყლისა[1], ეგრეთვე დიდი ესე დეკანოზი და მოძღვარი კეისრისა და ელენასი ფილიმონ თუსისა ცოლშვილითა, რომელიცა იყო წარჩინებულთა კონსტანტინოპოლისა აზნაურთაგანი. ხოლო წინაპარნი დეკანოზის ფილიმონისანი არიან სტანბოლში გარდმოსულნი სამხრეთის აზიის, სამთავროსა ლუკაონიისა, დიდისა და მრავალეროვანის ქალაქით იკონით (იკონიუმ), რომელსა ბერძენნი, ძველსა დროსა შინა, უწოდებდენ „იკონია“[2]; საბერძნეთსა ამას, აწ უწოდებენ სამხრეთისა ანატოლიასა. მიზეზი წინაპართა ჩვენთა კონსტანტინეპოლის გარდმოსვლისა ესე არს: ჟამსა საბერძნეთის კეისარისა ირაკლისასა[3], ოდეს მემკვიდრეთა მაჰმადისათა ხალიფათა, წლებთა შორის ქკბ-ქმდა (с 622-640 г.), დაიპყრეს საბერძნეთისა ქვეყანანი: ეგვიპტე (მისრი), ასირია და ფინიკია, მაშინ შეშინებულნი, რათა არა მიაქციონ ბილწსა სჯულსა მათსა, წინაპარნი ჩვენნი, ბრძანებითა იმპერატორისა ირაკლისათა, მოვიდნენ და დაესახლნენ კონსტანტინეპოლეს (სტამბოლს). წინაპართა გარსევანოვთა აქვნდათა გრამატა საბერძნეთის კეისრისა დიდისა იუსტინიანე[4] პირველისა, რომელიცა იყო ძმისწული და მემკვიდრე იმპერატორისა იუსტინე პირველისა[5], გვარით დარდანელისა; გრამატითა მით კეისარსა იუსტინიანეს, წელსა ხუთას ოცსა, – ფკსა (520 г.), უშომებია ჩვენთა

---

[1] ალ. გარსევანიშვილი არ აღნიშნავს სად იყო დაცული ღვთისმშობლის სარტყელი. ცნობილია, რომ ღვთისმშობლის სარტყელის ერთი ნაწილი რომანოზ III-მ თავის ქალიშვილ ელენეს მზითვად გამოატანა საქართველოში (მეორე ნაწილი დაცული იყო ათონის მთის ვატოპედის მონასტერში). *კალანდია გ., ოდიშის საეპისკოპოსოები (ცაიში, ბედია, მოქვი, ხობი), თბ., 2004, გვ. 204-205.* ალბათ, ღვთისმშობლის სარტყელის ის ნაწილი, რომელიც დედოფალმა ელენემ საქართველოში მოიტანა ჯერ ვლაქერნის ღვთისმშობლის ბედიის მონასტერში დაუსვენებიათ, შემდეგ უშიშროების მიზნით მარტვილში გადაუტანიათ. *იქვე, გვ. 206.*

[2] კონია – ამჟამინდელი თურქეთის პროვინციის კონიის ცენტრი მდებარეობს ცენტრალურ ანატოლიაში. ის ერთ-ერთი უძველესი ქალაქთაგანია. ბერძნები მას იკონიონს ეძახდნენ. რომის იმპერიის დროს ეკუთვნოდა პროვინცია ლიკაიონს. XI საუკუნეში დაიპყრეს სელჩუკებმა და გადააქციეს თავიანთი სახელმწიფოს დედაქალაქად. თვით სახელმწიფო კი იწოდებოდა იკონიის სასულთნოდ.

[3] ბიზანტიის იმპერატორი ჰერაკლე (610-641).

[4] ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანე (527-565).

[5] 520 წელს იუსტინიანე ჯერ კიდევ იმპერატორი არ იყო, როგორც აღინიშნა ის მხოლოდ 527 წელს გამეფდა.

წინაპართა თვის ხატი ესე ოქონისა, (რომელსა სახელი ჰსწოდებია, მას ჟამსა შინა, დაბისაგან ოქონისა) და აზნაურიშვილობა ლიდიისა სამთავროჲსა და მამულნი მრავალნი მუნვე ლიდიასა და ლუკაონიასა შინა.....

ზემოხსენებული გრამატა იუსტინიანე კეისრისა, ვითარცა მოგვითხრეს წინაპართა, უსჯულოთა სპარსთა დაუწვამსთ, სახელდობრ ქარიმ ხანსა, მას ჟამსა შინა, ოდეს იგი ყაენი სპარსეთისა შაჰ აბაზ, წელსა ჩქდვ[1] (1616 г.), მოსრულ არს გორის ქალაქსა შინა, აღსაოხრებლად ქართლისა და უმეტესად შესაპყრობელად ლუარსაბ მეფისა (მოწამისა), მეორისა ძისა გიორგის მეათისა, რომელიცა იყო იმერეთს მეფესა თანა გიორგისა[2]. გვარი გარსევანოვთა უმეტეს ათოთხმეტისა საუკუნესა მყოფი, არის ჩკლბ<u>ის</u> (1022 г). (15) წლიდამ მოსული საბერძნეთიდამ საქართველოსა შინა, და მის ჟამიდამ

[1] პირველი ორიანი გადახაზულია და თავზე აწერია ბ, რის გამო მისი მნიშვნელობა არ შეიცვალა. გასაგებია, რომ ავტორს მისი ვ-დ, გადაკეთება სურდა რათა 1032 წელი მიეღო.

[2] ქარიმ-ხან – ქერიმ-ხან ზენდი, ზენდების დინასტიის დამაარსებელი (1760-1779). ალექსანდრე გარსევანიშვილი სერიოზულ შეცდომას უშვებს. ქერიმ-ხანს, რომელიც დაახლოებით საუკუნენახევრის შემდეგ იყო ირანის შაჰი, არ შეიძლებოდა რაიმე კავშირი ჰქონებოდა შაჰ აბას I-თან (1597-1629) და მას არც გორი აუხრებია როდისმე. არც შაჰ აბასს აუოხრებია გორი. ამ უკანასკნელის გორთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ 1614 წ. შაჰისგან დევნილი კახეთის მეფე თეიმურაზ I და ქართლის მეფე ლუარსაბ II მცირე ხანს გორში აფარებდნენ თავს, შემდეგ კი იმერეთში გადავიდნენ. გორი, ისევე, როგორც მთელი ქართლი, ყიზლბაშებმა დაიპყრეს და „გორის ზემოთ გამავალი გზა“ გადაკეტეს, რათა ანტიირანულად განწყობილი სხვა ქართველებიც იმერეთში არ გახიზნულიყვნენ2. ვახუშტი ბატონიშვილი შაჰის გორში მოსვლას 1615 წლით ათარიღებს. შაჰ აბასი გორში დაბანაკდა, ოსეთ-დვალეთს ჯარი გაუსია და ააკლებინა, მან გიორგი სააკაძეს დაკარგული ქონება დაუბრუნა და ხმას ავრცელებდა, რომ თუ ლუარსაბი ქართლში არ დაბრუნდებოდა, გიორგი სააკაძეს გაამეფებდა. შაჰმა იმერეთის მეფე გიორგი III-ს თეიმურაზი და ლუარსაბი მოსთხოვა. იმავე დროს შაჰმა გორიდანვე გამართა მიწერ-მოწერა ქართლისა და კახეთის დევნილ მეფეებთან და ჰპირდებოდა რომ, თუ ისინი თავის ნებით დაბრუნდებოდნენ, შეიწყალებდა. მაგრამ შაჰმა საწადელს ვერ მიაღწია. 1614 წ. ოქტომბერში გორში აბასს ლუარსაბი მოუვიდა. ამის შემდეგ შაჰმა დატოვა გორი, ლუარსაბი თან წაიყვანა, თბილისი გაიარა და ირანში დაბრუნდა. ლუარსაბმა ირანში ჰპოვა აღსასრული.

დღევანდლამდე, (ჩუდბ წელსა), არიან გარდასულნი წელნი რვაას ორმოც და ერთი“[1].

[ოქონის ხატის ჩამობრძანება საქართველოში]

+ა1. ხოლო თჳთმპყრობელი საქართველოს მეფე ვახტანგ (VI) ლეონის ძე თჳსსა გრამატასა შინა, ჩუენდა ბოძებულსა, ჩღკბ<u>სა</u> (1722 ⲗ.) წელსა, გარსევანოვთა ჩამომავლობისათვის და ოქონის ხატისათვის, ესრეთ დასწერს: ოდეს იგი ზესთა ამაღლებულსა და ყოველთავე დასაბამითგან სოფლისათ უზესთაესსა ჴელმწიფეთა უავღუსტესსა მემკვიდრეობით კეისარსა დიდებულსა და დიდსა რომანოზს არგირიასა დიდებულისა საქართველოს ბაგრატის მეოთხისა მეფისათჳს, წელსა ჩლბ<u>სა</u> თავისი ქალი ელენაჲ, მეუღლად მოეთხოვა მას ჟამსა, სხვა ურიცხვსა არმაღანსა და საბოძვარსაგან კიდე ოქონის ხატი[2] ებოძა თავისის დეკანოზით საბერძნეთითგან ძველივე მმსახუ-

---

[1] 1836 წ. 24 სექტემბერს აზნაურობის მაძიებელმა გარსევანიშვილებმა სპეციალურ კომისიას წარუდგინეს 1708 წ. გუჯარი, რომელიც იმავე კომისიამ ყალბად სცნო. *ჟორდანია თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წ. III, გვ. 25-27..*

კომისიის გადაწყვეტილება მიწერილია გუჯარზე. ამიტომ არ შეიძლებოდა დ. ფურცელაძეს არ სცოდნოდა ამის შესახებ, როდესაც მას რუსულ ენაზე აქვეყნებდა. *Фурцеладзе Д., Грузинские дворчнские Грамоты, Тифлис, 1881, с. 13-14.* რაც შეეხება მეორე გუჯარს, რადგან მას ხელს აწერს *„თვითმპყრობელი მეფე და ერანის სპარსალარი ვახტანგ“,* უნდა დავთარიღოთ 1716-1718 წლებით. 1716 წელს ვახტანგმა ქართლის მეფობა და ირანის სპასალარის თანამდებობა მიიღო და ამ რანგში იმყოფებოდა 1718 წლამდე. როგორც სეხნია ჩხეიძე გადმოგვცემს, 1718 წელს შაჰმა ვახტანგს ქართლი უწყალობა თუ არა, მან მაშინვე დასტოვა სპასალარობა1 და 1719 წლის 7 აგვისტოს ვახტანგ მეფე ყაზვინიდან სამშობლოში გამოეშურა. არ მგონია, რომ ქართლის მეფეს ამის შემდეგ ხელი მოეწერა დოკუმენტზე იმ სამხედრო წოდების აღნიშვნით, რომელიც მას უკვე აღარ გააჩნდა.

[2] „ა“, „ا“-ის და ალ. გარსევანიშვილის წერილის შედარებისას ჩანს მნიშვნელოვანი განსხვავება. „ა“-ში სწორად არის აღნიშნული, რომ ელენე რომანოზის ძმის ბასილის ასული იყო. იმპერატორმა ბაგრატ IV-ს კურაპალატობა უბოძა. ელენეს მზითევში გამოტანებულ სხვადასხვა საგნებს შორის იყო ქრისტეს ჯვრის ლურსმანი, ღვთისმშობლის სარ-

რებელი მღვდელ-მოქმედებით, და ხატიცა ესე უმრავალ-ნაწილადესი და მსგავსად ზღვის ქვიშისა სასწაულით-აღურიცხველი თან მოუშორებელად ჰქონოდა მუნვე სახელსა ზედა ოქონისა ღვთისმშობელისასა, რომელსაცა დაბასა, სადაცა მრავალი პატიოსანი უნჯი ესე ძველ სადმე ცოლ-ყოფილ იყო. ოქონ ჰსწოდებოდა, მეფეთაგან თაყვანისცემულსა მას დიდებით დიდებულსა; და აწცა ეკლესია აღეშენებინათ სახელსა ზედა ოქონისა ღვთისმშობელისასა, და მუნითვე მოყოლილი დეკანოზი მახლობელ მისსა დაესახლებინათ მდიდრად, მემკვიდრევე მუნებური გაბრიელ პატიოსანი და ღირსი სახელისა მღვდელი, და ებოძათ თვით სოფელი, იგი და სხვა მამულები და განემდიდრაყე, ვითარცა ჰშვენოდა პატივსა მას წმინდისა ხატისასა და ზითევსა, ხატი ესე განუშორებლად ჰქონდათ, და რამეთუ სახელსა ამის წმინდისასა ტაძარი და ეკკლესია შეუმკვეს დეკანოზსა სათნოებისასა, ღირსსა გაბრიელს, რათა აქაცა მოუკლებელად ჰხსენებასა ჰყოფდეს დეკანოზი, ვითარცა სამართალი არს, და ჟამად მრავლად რომლადმდე, ამას წესსა ესრეთ ჰყოფდიან შეუშლელად კეთილი-მსახურნი ქართველნი მეფენი; ვიდრე ჟამადმდე მეფაჲსა თამარისა და მიერითღა ოდეს სულბრწყინვალესა კეთილ-ხსენებულსა, ზესთა აღმატებულსა საქართუჱლოს ნათელსა და განმანათლებელსა, ზღუდესა მას შეუძვრელსა მართლმადიდებლობისასა, მტერთა მძლესა საკვირველსა, და თვით არა ოდეს ძლეულსა. იყავნ კურთხეულ ნეტარება მისი: მეფასა თამარს ნაჭარმაგევის ჭალა კეთილსახილველი და ნადირთა მიერ აღსავსე ყოფილიყო და დიდად ჰყვარებოდა. მას ჟამსა გარესჯვარს[1] ქვეითი სოფელი და შენობა არ ყოფილიყო, არც კაცი სახლობელიყო, თვინიერ ერთისა მის განშორებულისა ოდენ, რომელსა ეწოდა ათანასიოს, კიდესა ზედა მდინარისა მტკვრისასა. ამისდა სახილველად მივიდა თჳთ მეფაჲ ესე თამარ დიდებული და მასა ჟამსა იხილა ბორცვი ერთი, რომელი არს გორაკა კლდე, ტონთიოდ სახელდებული და შუა ლიახვსა და მეჯუდას შინა ბაღნაროვანი, ტყისაგან შეფარული, მოეწონა და განაკაფნა და აღაშენა ეკლესია სახელსა ზედა ოქონისა ღმრთიმშობლისასა, და თქვენი სახლიკაცი რომელი იყო დამწყებელი გარსევანიანთა სქესისა, მეორედ საბერძნეთიდამ მოეყვანა და აქ დაესახლებინა და შეეწირა მამულები, ვითარცა ცხა-

---

ტყლის ნაწილი და, რაც ამჯერად განსაკუთრებით საინტერესოა, ოქონის ხატი. იხ. „ა“, „ალ“ „სხოლიონი“ და *გარსევანიშვილი ალ., „ქალაქი გორი და სასწაულ-მოქმედი ოქონიის ღვთისმშობლის ხატი 1867, №2, გვ. 1-2.*

[1] ვახტანგ VI-ის გუჯარში გორიჯვარი. *გსიემ, №7636/10.*

დარს დიდსა დავთარსა შინა თქუენდა ბოძებულსა თჳთ მის მეფისა თამარისაგან. -----ნამდვილზე ხელი მოუწერია ესრეთ: „გამომეძიებელი ამისი და დამამტკიცებელი თვითმპყრობელი მეფე და ერანის სპათსალარი ვახტანგ“[1].

[ოქონის ეკლესიის დაარსება]

„ბ. ესე ბერი ათანასე იყო დაყუდებული ქვაბსა შინა ერთსა, კიდესა ზედა მტკვრისასა, პირისპირ აწინდელისა სოფლისა ხიდისთავისა; მახლობელ ბერისა ამის საყოფელისა შეტბორებულნი მდინარენი: მტკვარი, ლიახვი და მეჯუდა გარდადიოდნენ იწროდ ერთსა კლდესა ზედა და ამის გამო იყო მსგავსი ტბისა ადგილი ესე, სდაცა აწ არს ქალაქი გორი ჯდრე ხურვალეთამდე, ესრეთ რომელ სოფლის გარესჯვარს ქვეით სოფელი და შენობა არსად იყო. მას ჟამსა შინა საყვარელი სადგომი და სანადირო თამარ დედოფლისა იყო აწინდელი ნაჭარმაკევის ჭალა, სავსე მრავალგვარითა ნადირითა და მდიდარი ჰაერითა. იყო რა ნაჭარმაკევს, დედოფალი თამარ გიორგი მესამისა ბაგრატოვანისა ასული, წელსა ჩრპზ<u>სა</u> (1187 г), მიესმა დედოფალსა, ვითარმედ მახლობელად მის სადგომისა არს განშორებული ღირსი ბერი, სახელით ათანასე, ამის სახილველად წარვიდა თვით თამარ და იხილა რა იგი, მიიღო კურთხევაჲ ბერისაგან, და მასვე დროსა იხილა თამარმა პირისპირ ბერის საყოფელისა ტბაჲ ერთი და მას ტბასა შინა თავი გორაკისა და ტყეჲ მოეწონა ადგილი იგი, გარდაკაფნა კლდე იგი, სადაცა მდინარენი იწროდ გარდადიოდნენ, და აღაშენა გორასა მას ზედა ეკლესიაჲ სახელსა ზედა ოქონისა ღვთი მშობლისასა, ხოლო დააშენა რა მასვე ჩრპზ<u>სა</u> წელსა (1187 г). ქალაქი ესე გორი აღაშენა პირისპირ ამ ოქონის ეკკლესიისა მახლობლად მდინარისა მტკვრისა, სხვა მეორე ეკკლესია სახელსა ზედა გორისა ღვთისმშობლისასა, (ესე იგი ეკკლესია გორის ქალაქის მცველის ღვთისმშობლისა). ესე ორნივე ეკკლესიანი: მიძინებისა – ოქონისა – (ციხისა) და ყოვლადწმიდის შობისა – გორის ღვთისმშობლისა უბოძა გარსევანოვთა წინაპარსა დეკანოზსა გარსევანს (იოსებსა) და მასვე ჟამსა დაიწერა დეკანოზისაგან აწინდელნი დღეობანი (დეკანოზისაგან) მეორესა და მესამესა დღესა შემდგომად აღდგომისა. ხოლო ახალსა ამას ქალაქსა უწოდა თამარმან გორი.

[1] *გსიემ, №7636/10.* სიგელის პირი.

ესე იგი მცირე გორა. რადგანაც იუწყა დედოფალმან თამარ ბერისა მის ათანასესაგან, ვითარმედ გორასა ამას ეწოდების ტონთიო, რომელ არს ოქროს მთა, რომელიცა ძველ ოდესმე ყოფილარს ბერძენთა, და მერმე საბერძნეთის კეისრისა ირაკლისა და საქართველოს მეფეთა არჩილ და მირიანისა წინაპართა ხაზინაჲ, და ესეცა რომელ მოუშორებლად აქვნდათ წინაპართა გარსევანოვთა ხატი ესე ოქონისა, ამისთვის მოიყვანა საბერძნეთიდამ წინაპარი ჩუენი დეკანოზი გარსევან (იოსებ), ბიძაშვილი ამ ათანასე ბერისა, და დაასახლა გორს, (წელსა ჩრპზ 1187 г), უბოძა ეკკლესიანი ორნივე და მრავალი მამული სამკვიდროდ და სარჩოდ. ამ ჩრპზ წლიდამ ვსდგევართ გარსევანოვნი გორის ქალაქში და დღევანდლამდისინ არიან წელნი: ქოე – 675 წ. წინაპარნი ჩვენნი რომელნიმე კვალადვე წარვიდნენ საბერძნეთად და რომელნიმე სცხოვრობდნენ ქალაქსა ტფილის, უბანსა შინა ისანს (ავლაბარში), მახლობელ მეფეთა პალატისა (სადგომისა), აღშენებადმდე გორის ქალაქისა; რომლისაცა ციხის გალავანი და ქონგურები განაახლა რა მეფემან ირაკლი თეიმურაზის ძემან ჩღდთ (1769 г)[1]. და ეკკლესიაცა ციხისა წმიდის ნიკოლოზისა[2], უბოძა ესე ეკკლესიაჲ გარსევანოვთა, რადგანაც ძველადაც იმათი ნაბოძები იყო“.

[ორი ეპისკოპოსი – სოფრონი – ფლორენციის საეკლესიო კრებაზე]

„გ. რომის პაპამან ინოკენტი, ჟამსა საბერძნეთისა კეისრისა იოანნე პალეოლოღისა; წელსა ჩულბ (1432 г), ჰყო, შესაერთებლად აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ეკკლესიათა, კრებაჲ იტალიის ქალაქსა შინა ფლორენციასა და მოუწოდა ყოველთა სამეფოთაგან მღვდელმთავართა. რუსეთის მხრით იყვნენ მიტროპოლიტი ისიდორე და

[1] გორის ციხის აღდგენითი სამუშაოები დაიწყო 1774 წლის გაზაფხულზე. *გაბიჩვაძე ა., გორის ციხე ერეკლე II დროს, გვ. 9, №1.*

[2] დოკუმენტებსა და ნარატიულ წყაროებში არსად შევხვედრივარ ასეთი სახელწოდების ეკლესიის არსებობას გორში. ისიც საინტერესოა, რომ ეს ეკლესია გარსევანიშვილებისა ყოფილა ადრეც. ისე გამოდის, ერეკლე II-მ ეკლესია ძველ პატრონებს დაუბრუნა. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ოქონის ეკლესიაში იყო ნიკოლოზის ორი ვერცხლის დიდი და პატარა ხატი. *გორის რაიონული არქივი, 1923 წ., ფ. №3, აღწ. 2, საქ. 28, გვ 4; საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იანი წლები), გვ. 92.*

სხვანი; საბერძნეთიდამ მიტროპოლიტი მარკოზ – მოადგილე იერუსალიმისა და ანტიოქიისა პატრიარხთა და სხვანი, ხოლო საქართველოდამ მიტროპოლიტი სოფრონი კრებულითა და ესე მეცნიერი ეპისკოპოსი სოფრონი. ესე ღირსნი მამანი წარგზავნა ქართველთა მეფემან ალექსანდრე პირველმან კონსტანტინე მეფის ძემან. ოდესცა მოიწია ჟამი ჴელისმოწერისა ფლორენციისა კრებისა განჩინებასაზედა, წმიდანი ესე მამანი ქართველნი, თანახმად ბერძენთა მიტროპოლიტის მარკოზისა, არა ეთანხმნენ, არა, რომელსამე ჰაზრსა შინა ფლორენციისა (ფფრანგთა) კრებას, და ფარულად წამოვიდნენ ფლორენციით ქალაქსა ვენეციასა, ხოლო ვენეციით კონსტანტინოპოლს (სტამბოლსა) და იქიდან წელსა ჩულგ[სა], მოვიდნენ ქართლადვე. შემდგომად რაოდენისამე ჟამისა, აღიღო რა, წელსა ჩუნგ (1453 г), მაჰმად მეორემან კონსტანტინეპოლი, ჟამთა ბერძენთა იმპერატორისა კონსტანტინე მეთერთმეტისა პალეოლოდოსისა, ეკლესიანი რომისა (დასავლეთისა) და აღმოსავლეთისა დაჰშთენ დერვანდლამდე შეურთებლად“.

[გარსევანიშვილები – ეკლესიებისა და მამულების მფლობელნი]

„**დ.** იესე დეკანოზი გარსევან დეკანოზის ძე იყო მოძღვარი მეფის ვახტანგის მეექვსისა ლეონის ძისა, ჰსჯულისმდებელისა; ამან იესემან აღწერა მრავალნი საეკლესიონი და საერონი წიგნნი თჳსითა ჴელითა, განაახლა დაქცეული ეკკლესია გორისა ღვთისმშობლისა, აღშენებული თამარ დედოფლისაგან, ჩრპზ[სა] წელსა...; გაუკეთებინა ეკკლესიასა კანკელი, ახლათ აღუშენა სამრეკლო პირველი მისა აღშენებული, 1603 წ. დეკანოზის მარკოზისაგან და ოდეს გარდაიცვალა, დაეფლა პირისპირ ხატისა ოქონიისა, მისვე ეკკლესიასა შინა, რომელსა აქვს ზედაწარწერილი ქვაცა წითელის კლდისა; ამანვე წინაპართა მამულებსა შეუმატა მრავალნი მამულნი: სომხითს, ტფილისს, ატენის ხეობასა, საციციანოსა, საჯავახიანოსა, გორისა და გორის მაზრის სოფლებთა შინა და მოიპოვა ყმანი ორას სამოცდათხუთმეტნი, და იყო ამასთანავე მეცნიერი ქართულსა ენასა, სპარსულსა, ბერძნულსა და ოსმანურსა ენათა ზედა და მახლობელი მრჩეველი მეფისა და ფრიად საყვარელი მისი, ვითარცა აცხადებენ მეფისა მის და დედოფლის გრამატანი. ამასვე იესე დეკანოზისა მამაპაპათა უბოძეს მეფეთა: სჳმონ პირველმან და როსტომ პირველმან, მეთექვსმეტესა და მეთხუთმეტეს საუკუნეთა შინა, ოქონიისა ეკლესია,

აღშენებული ჟამსა თამარ დედოფლისა, უმემკვიდროდ გარდაცვალე-ბულის აზნაურის დონაშვილისაგან, რომლისაცა დროსა იქმნა ოქონის ხატი გარდმოსვენებული, ამ აწინდელს ეკკლესიაში, ციხის ღვთისმშობლის (ოქონის ხატის სახელსა ზედა) აღშენებულის ეკკლესიიდამ. რომელიცა მას დროს შინა, შემთხვეჳთ, ჟამთა ვითა-რებისა გამოსვენებული, გორის ღვთისმშობლის ეკკლესიაში და იქი-დამ აღდგომის მესამე დღესა, გადმოუსვენებიათ ოქონაში, ვითარცა გარდმოგვცეს ზეპირად წინაპართა ჩვენთა. (იხილე მეორე მუხლი ბ შენიშვნათა შინა ამ ჩამომავლობის შტოში)“.

[რუსეთს დასახლებული გარსევანიშვილები]

„+ე. ონისე და გარსევან ერთმანეთისა ძმანი იყვნენ, იესე დე-კანოზის ძენი, ხოლო გრიგოლ იყო გიორგი დეკანოზის ძე; ესენი სამნივე რუსეთს გადაჰყვნენ მეფესა ვახტანგ მეექვსესა ლეონის ძესა, წელსა ჩღკდსა (1724 г), ჟამსა რუსეთის იმპერატორისა, პეტრე პირვე-ლისა ალექსის ძისა და დღესაც იმათი ჩამომავალი ჰსცხოვრებს ქალაქსა მოსკოვს და ქ. იატოსლავში (ჩამატებულია – ე. მ.) და აწცა არიან რუსეთის მჴედრობისა სარდალნი (ღენერალნი). ონისე და გარსევან იყვნენ დაზრდილნი მეფეთა ვახტანგისა და ბაქარისაგან; ხოლო გრიგოლის მამა, დეკანოზი გიორგი იყო გამზრდელი და მას-წავლებელი, სამეცნიერო ჰსწავლათა ქართულსა და სპარსთა ენასა ზედა, მეფის ბაქარისა და ამის შვილებისა ვახუშტისა და გიორგისა“

[„დიმიტრი ერისკაცი“]

„+ვ. ეს იყო ძე გიორგი დეკანოზისა და ძმა რუსეთს წასულისა გიორგისა; იყო მგალობელი ანტონ დიდისა ქათალიკოზისა და მასწავლებელი მეფის ირაკლი მეორის ძეთა; იყო ფრიად თვით-რჯულა და თავის ნება კაცი და განმაბნეველი, განცხრომისა და შვების-მოყვარული. ამას უმრავლესნი ყმანი და მამულნი სხვათა და სხვათა ადგილებთა შინა, შეძენილნი წინაპართაგან და მამაბიძისა თვისისა იესესა და გიორგი დეკნოზთებაგან, განჰყიდა და გაჰსცა სხვათა გვართა ზედა, ამაოდ. ამას მდაბიურად უწოდებდენ ტეტიასა“.

[„მიტმასნილნი ნათესავად“]

„+ზ. ესე: სვიმონ და მისი საბა, ეგრეთვე იესე ერისკაცი და ძე მისი გაბრიელ არცაღათუ არიან ჩვენნი ნათესავნი, არცა ჰქონიათ, არცა აწ აქვთ იმათ ჩამამავალთა, ჩვენთანა მამულში წილი; ესენი სიცრუით არიან დეპუტატთა სობრანიაში შეტანილნი საბას შვილის-შვილის, გარდამდგარის მაიორის იოსებ გარსევანის ძისაგან და ჩვენს ნათესავად ჩამამავლობის ხეში (поколенной росписи) ნაჩვენებნი სახლის კაცად და მიტმასნებულნი, ვითომ ნათესავად, მაგრამ ძველს მეფეების დოკუმენტებში სრულებით ამათი სახელები და იმათის წინაპრისა არ სადა ჰსჩანს“.

ჩანს, რომ დასახელებული პირები, გვარით გარსევანიშვილები იყვნენ. მათ სამამულე დავა ჰქონდათ ალექსანდრესა და მის ნათესავებთან. ეს უკანასკნელი მათ პრეტენზიებს იმით უარყოფდა, რომ ისინი ამ სახელგანთქმული გვარის ნათესავები არ იყვნენ.

[მთავარეპისკოპოსი პაისიოსი]

„+Თ. „პაისიოს გორისა და სამთავროს მთავარეპისკოპოზი. ამან, ვითარცა თავის დროᲲსა მეცნიერმან, ბრძანებითა მეფისა ირაკ-ლისათა, აღწერა (შესთხზა) ტრახტატი, დადებული ჩᲦპგ[სა] წელსა (в 1783 г.), საქართველოს მეფის ირაკლი მეორისა თეიმურაზ მეორის ძისაგან რუსეთის იმპერატრიცა ეკატირინა მეორესათანა, ნებაყოფ-ლობით მიცემასა ზედა საქართველოსასა. ამას ეწოდებოდა მღვდელობაში პეტრე და ოდეს გარდაიცვალა ქალაქსა ტფილისს, მუნით მოსვენებული იესე მღვდლისაგან იაკობის ძისა, დასაფ-ლავებულ-იქნა ოქონის ეკლესიის დერეფანსა შინა (სტოვასა შინა), მუნ სადაცა აწ არს ფანჯარა ხისა, რომლიდამაცა მსყიდველნი მიიღებენ შინა ეკკლესიიდამ, მნათისაგან სანთელსა, მახლობლად ძმისა თჳსისა სვიმონისა და რძლისა მათისა, იაკობ დეკანოზისა და ძმისა მათისავე მეუღლის (ანნასი) ხანფერვანისა, რომელიც არს დასაფლავებული მარჯვნივ სვეტისა – დერეფანში, ალელპეტრუაანთ სახლისა კედლისა ახლორე; ხოლო ქმარი მისი დეკანოზი იაკობ, მამა იესე მღვდლისა და პაპა ალექსანდრესი არის დასაფლავებული გორისა ღვთისმშობელში, შუა ალაგს“.

[იესე გარსევანიშვილი]

„+თ. მღვდელი იესე იაკობისძე, ამან ზედმიწევნით იცოდა ენა ქართული და მცირე ბერძნულიცა, ეგრეთვე რუსული კარგად; იყო მეცნიერი ქართულსა ენასა ზედა თავის დროᲲსა. ამან ყოველივე ხარისხი სასულიერო წოდებასა შინა, გარდა დეკანოზობისა, უწინარეს ყოველთასა განვლო, და შემდგომ დროებათა შინა, სოფლისა უხანოებისა გამო, იქმნა ბედშავი. ესე იყო მასწავლებელი მინგრელის მთავრისა დავით ლეონის ძისა საფილოსოფოსოთა და საღვთისმეტყველოთა ჰსწავლათა და მთარგმნელი მისი რუსულით ქართულად და ქართულით რუსულად; ეგრეთვე მასწავლებელი თავადის ღენერალ-მაიორის გრიგოლ ზურაბის ძის შვილებისა, გარდა აწინდელისა ძისა მისისა ალექსანდრესი. ამან იესემან ჰსთარგმნა რუსულით ქართულად წიგნნი: ათოთხმეტი [14] ტომი მილოტის ისტორია, სამი ტომი ღეროდოტის ისტორია, ორი ტომი სტრაბონის ისტორია; პლუტარხოსის ისტორიანი სრულებით, ისტორია ფილიპე მაკედონელისა, ალექსანდრე დიდისა – მაკედონელის მამისა; პავლე მოციქულის ცხოვრება; იულიის კეისრისა რომაელთა კონსულისა (Თპატოსისა) ცხოვრება და საგრობანი (походы) მისნი: ღალიასა, ღერმანიასა და ბრეტანისა შინა, (აწინდელსა ანგლიასა); ითიკა ანუ ყოფაქცევის ფილოსოფია რომაელთა ორატორისა (ენამზისა) ციცერონისა; ოთხი წიგნი ალექსანდრე მაკედონელისა, თორმეტი ნაწილი (ტომი) მითოლოდია; ისტორია ტაციტოსისა; ციცერონის საუბარი სამეცნიერო; საფილოსოფიო სᲯა ფფრანციის მეფისა ლუდოვიკ მეთორმეტისა, ოთხი წიგნი ილიადა და საზოგადო გეოგრაფია, აღბეჭდილი ჩყიზსა (в 1817 г.), წელსა. ესე წიგნები უთარგმნა დადიანსა დავითს, რომელსაცა ბიბლიოტეკასა შინა იცვებიან წიგნნი ესე და ზოგნი მე მაქვს, შინა. ეგრეთვე უთარგმნა ძველი ბერძნული ოთხი წიგნი ილიადა გრიგოლ წერეთელსაცა; ასთარგმნა მრავალნი სამეცნიერნი და საეკლესიონი წერილნი, – ცხოვრებანი წმინდანთა მამათანი, რომელნიცა მე მაქვს; და თარგმანებითა ამით უკვდავჰყო სახელი თვისი ერთგულმან გამზდელმან და ბიძამა ჩემმან იესე. ასთარგმნა მრავალნი სამეცნიერნი და საეკლესიონი წერილნი, – ცხოვრებანი წმინდანთა მამათანი, რომელნიცა მე მაქვს; და თარგმანებითა ამით უკვდავჰყო სახელი თვისი ერთგულმან გამზდელმან და ბიძამა ჩემმან იესე... ამან დაასრულა 1817 წელსა კურსი საკეთილშობილო სასწავლებლისა, რომელსა ეხლა (1860-იან წლები – ე.მ.)

უწოდენენ ტფილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიასა და შესწვლა მონასტრებსა სრული ქართული გალობა, ფილოსოფია, ღვთისმეტ-ყველება“.

[ალექსანდრე გარსევანიშვილი]

„+ი. ამან ალექსანდრე სვიმონის ძემან ჰსთარგმნნა წიგნნი სამეცნიერო: პლანეტიკა ანუ პლანეტოსკოპია, რომელ არს ეფემერიდი (ანუ ჟამთა) გინა დღეთამეტყველებანი; ფიზიოლოღია ანუ სახისმეტყველება, ხირომანტია; ისტორია მწერთა (история насекомого). ჰსთარგმნა, შესავსებად ქართლის ისტორიისა, რუსულით, ქმნილი ალექ. გოლოვანოვისაგან, ჩყდ წელსა (в 1864 г.), მოკლე აღწერა საქართველოჲსა; აღწერა ხილების ქება ლექსად და წესნი მეფეთა დასმისა ანუ გვირგვინის კურთხევისა. ჰსთარგმნა: საეკლესიონიცა: მოხსენება მიცვალებულთა, ლოცვანი წირვისა ზედა სათქმელნი, მონაზონთა ქცევისა წიგნი ათანასე ალექსანდრიელისა, აღწერა ძველი პარაკლისის წიგნი; წიგნნი სოფლის მეოჯახეობისა – საქონლის მოვლისა და ექიმობის ცოდნა და შინაურის ფრინველის მოვლა და მომრავლების ცოდნა; შეჰსთხზა ისტორია ძველისა და ახლისა აღთქმისა და ითიკა, ქართული ანუ ყოფაქცევის ჰსწავლის წიგნი და მრავალნი სხვანი აღწერა და შესთხზა ქართული ენის განსამდიდრებლად.

ძველი ქართველი, აზნაური ალექსანდრე სვიმონის ძე გარსევანოვი, ავტორი ამ ჩამომავლობის შტოსი (родословной).

ივნისის ბ<u>სა</u>, ჩყბ წელსა. 2 июня 1862 года“.





Ѱ ოდოდიიი-ნი: + ა. ფილიმონ, ესე წინაპარი გარსევანოვთა გარეჩისა, იყო-დიდი დეკანოზი ნ მოძღვარი საბერძნეთის კელისაჩის
ნოზანოზ მესაჩისა-ინგილოისა, ძმისწულისა ელდარესი, ზოგიერი იყო ღონიერი ხელმწიფეთა ნ ანზაზეთის მეფის ხვარამზე მეფისა,
ესა, ძისა მეფის კიოზრეი ნინოელისა. — ფილიმონისა ამის გრამატიკისა შინა მეფე ვახტანგ მეექვსე გარბრიელოვად
ანზეწეს, ვინცა ხანგელი ესე შეკრთა-მით მოსელია მწერალისა, ვინაჲ თვან გარბიელ ეფისკოპოსი შეილის შეილისეი
ლი იყო ფილიმონისა. ს ა ს ტ ო ბ ა ნ ე ი ს კელისაჩმან (ივანიაფსარეან) ნოზანოზ ფესამეფან-აჩკიჩაზეან, ფალოვეან ფეფოლოფილა ზალისაბან,ჩა
ფერეა იყო ფალოფეშალი ესეი ინგილოფილისა კოზნტანტინე ტაბეისა, ძისა ნოზანოზ ტაბილისა, ნ ხაძალით ეფეკეიდ ტანტალა ბიზ კალნტანტი
ნესი ნ ძმისა ბიზისა ეკალიეისა; ნოზეფოთოფლა ალ თესი ანნა ბალისალეან ნოზესეთის ეიდეა ბოლოფალა ეკალიფალნესალა), ჩაფალან ბალიალ ბალა ნალეა, ე
ლეანაბ, ვინანალეა ნოზესეთიფა. ესენ ნოზანოზ კელისაჩმან, ოალალ ეფალეალ ეფალეალ ეფალე

+ ს. ხოლო თვეშმყრობელი საქართველოს მეფე ვახტანგ მეოთხე (VI) ერეკლის ძე, თავისა ერთგულებისა შინა, ჩვენი მამა ბეგლარისა, ჩვენ კერძ (1722ა) ბერისა, ერთგულებისა ჩამამცვალისთვის ნ ალბანელის ხელმწიფეთა, ყმისა ფარეშად: ოსეფიმ იგი ფერთა ... ერეკლეთა ნ ყარაფეტ ფალამიშოვან ხალვიანთა ეფენოთესა ჭალეფლეთა ეფესეფლესა ბოლოფალიანა კვიროანა ლიდოფალეანა ეს ... რომელნი ... ბატონიანა ... ბოლოფალია ხალვიანთა ... ...

+ ૮. როდამის ნაპაპამან ინა-კუნტმ, ეკმსა საბერძნეთისა კელისაისა ალანთ ბერეკალალიასა; წელსა ჩოკრ ბ (ანგ. 1432 ადგ),
ბეკა, ფესეგრიოვზეკა ესრა-სეკეთისა ნ ფალეკეთისა ეკეკლესიათა, კაბეზალ ალეკიანის ქალაქსა ზანს ფეკალეკა ყალეკეთა
სამეფოალან ზეფალეკეთა ალეკალეთა. ალეკალეთის ალეკალეკალი ალეკალეკალეკ

+ ᲙᲔ. ᲨᲐᲘᲠᲘᲡᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲡᲣᲚᲘᲡᲐᲜᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ (ᲐᲛᲘᲜᲓᲐ) ᲛᲘᲜᲐᲗᲐᲜ, ᲒᲘᲗᲐᲠᲘᲡᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲘᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲠᲜᲘᲠᲕᲘᲡ, ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲗᲐ ᲛᲔᲤᲔᲗᲐ ᲠᲘᲩᲐᲠᲓᲘ (ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲘ) ᲛᲔᲤᲔᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲠᲘᲩᲐᲠᲓᲘᲡ ᲬᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲗᲐ

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

საარქივო მასალები

სეა – საქართველოს ეროვნული არქივი

ფ.19, საქ. 51, ფურც. 5; ფ. 1449, დავთ. 51, საბ. 179; ფ. 1448, დავთ, I, ნაწ. 5, საბ. 1; ფ. 1449, საბ. №2144; ფ. 1451, №18; 1449, საბ. 226, 228, 238; ფ. 1448, №903; ფ. 1448, №9128; ფ. 1449, დავთ. 5, საბ.117; ფ. 449, დავთ. 16, საბ. 17; ფ. 449, $^{\text{დავთ. 8, საბ.}}$ 123; ფ. 1449, საბ. 2144; ფ. 227, საქ. №904; ფ. 227, საბ. 904; ფ. 1448, საბ. 378; ფ. 11449, დავთ. 51, საბ. 225; ფ. 1448, საბ. 2335; ფ. 19, საქ. 51, ფურც. 5; ფ. 1448, საქ. 3014; ფ. 227, №758; ფ. 1449, დავთ. 49, საბ. 33; დავთ 49; ფ. 1449, დავთ. 49, საბ. 103; ფ. 1449, დავთ. 46, საბ. 95; ფ. 1449, დავთ. 47, საბ. 116; ფ. 1449, დავთ. 52, საბ. 113; ფ. 1448, №1537; ფ.1449, დავთ. 52, საბ. 104; ფ. 1449, დავთ. 46, საბ. 184; ფ. 1449, დავთ. 45, საბ. 132; დავთ. 25, საბ. 48; ფ. 1449, დავთ. 24, საბ. 155; ფ. 1448, №249, 380, 387, 390, 462, 1375, 1988, 4590; ფ. 1448. საქმე 9200.

სეა – პ. კარბელაშვილის ფონდი, რვეული

12, №53, 58, 79, 88, 93, 94, 100, რვეული 10, №22

სემ – საქართველოს ეროვნული მუზეუმი

Sd, №317, Sd, №389, Sd, №494, Sd, №480

ხეც – კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Ad, №1350; Ad, №1572; Qd, №6883; Qd, №195; Sd, №480; Sd №33; Sd, №33; Sd, №546; Sd, №552; Sd, №1351; Sd, №546; Hd, №2124; Hd, №2122; Hd, №13726; Hd, №14630; Hd, №14990; Hd, 14630; Hd, №14633; Hd, №8712; Hd, №1572; Hd, №1374; Hd, №2342; Hd, №12648; Hd, №14734; Hd, №8148; Hd, №14434; Hd, №7608-2; Hd, №6270; Hd, №9430; Hd, №9436; Hd, №971; Hd, №6107; Hd, №1970; Hd; №5306; Hd, №765; Hd, №6441; Hd, №13051; Hd, №10203; Hd, №644; Hd, №2193; Hd, №154; Hd, №13080; Hd, №2128; Hd, №13026; Hd, №14665.

ხეც – მ. თამარაშვილის პირადი არქივი

№11122, №1962, №1075, №1074, №1101, №1077

გსიემ – გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.

№7601/57, №167, №169, №7601/30, №17636/5, №149, №7636/5, №184, №152, №7601/19, №7602/433, №7602/436, №117, №7602/593, №5803, №7486, №4640, №7601/37, №188, №7601/11, №7601-65, №146, №164, №160, №166, №165, №162, №156, №191, №173, №191, №190ა, №190ბ, №7602/1037, №7602/752, №4040, №147, №185, №7601/19, №7610/59, №155, №169, №174, №177, №192, №192ა, №7602/735, №475/2, №7636/10, №17636/5, №7602/1003, №7602/1004, №7602/99, №7602/304, №7602/728, №7602/361, №7602/627, №7602/626, №7602/630, №192, №7602/519, №7602/519, №7602/517ბ, №7602/518, №7602/748, №7602/748, №7602/609, №7602/379, №7602/876, №7602/433, №7602/433, №7602/796, №7602/ 731, №7602/431, №7602/732, №7602/765, №7602/765, №7602/748, №7602/609, №7602/768, №7602/31, №7602/1014, №7602/361, №7602/758, №7602/379, №160, №165, №166, №7601/44, №192, №165, №192, №7636/10.

გორის რაიონული არქივი

ფონდი №3, არქ. №54, აღწერა 1

Центральный государственный военно-истортческий архив

Центральный государственный военно-истортческий архив, фонд ВУА, №20548

Центральный государственный военно-истортческий архив, фонд ВУА, №21898

გამოქვეყნებული წყაროები და მეცნიერული გამოკვლევები

აბდალაძე ალ., ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში, თბ., 1988

აბესაძე ნ., მასალები ერთი ნაბეჭდი ქართული გრამატიკის ავტორის საკითხისათვის // მაცნე, 1967, №1

აბესაძე ნ., სამეფო დომენის სამოხელეო აპარატი იმერეთში XVIII ს. II ნახევარში // მასალები ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისა, თბ., 1971

აბრამიშვილი ა., ქართველი ბატონიშვილების საოჯახო იუმორიდან // სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 1959, ტ. 7

აბრაამ ერევანცი, ომების ისტორია / ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლინიძემ, თბ., 1976

აბრამშვილი ვ., გორიჯვრის ჯვარი, 2001

აბრამშვილი ვ., გორიჯვარი, გორი, 1994

აბრამშვილი ვ., გორიჯვარი, გორი, 2009

აბუაშვილი ლ., ქართველი მწიგნობარი იესე გარსევანიშვილი // ჟურნ., *„ლიახვი“,* 1963

აბულაძე ც., ოსმალობის ხანის სამი თურქული ფირმანი // აღმოსავლური ფილოლოგია, III, თბ., 1973

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I / ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევით და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად, ს. ჯიქიამ და პროფ. ნ. შენგელიამ, თბ., 2009

ალექსანდრე ამილახვარი, გეორგიანული ისტორია, თარგმანი, გერონტი ქიქოძისა // „მნათობი“, 1939, №8

ალიმბარაშვილი ი., კიდევ ერთი დავით „მეფეთ-მეფის“ რიგითობისა და ვინაობის საკითხისათვის // გორის უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული, №1, თბ., 2011

ალიმბარაშვილი ი., გორის ოქონის ღვთისმშობლის ეკლესია და მასში დაცული სიწმინდეები // სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სამეცნიერო სესიების მასალები, გორი, 2012

ალიმბარაშვილი ს., ოქონის ხატებისა და ტაძრების ისტორიიდან, თბ., 2012

ამილახვარი ალ., გეორგიანული ისტორია // მნათობი, 1939, №8

ამილახვარის გაქცევა ქ. ტფ.დგან ალ. ჯამბ.-ორბელიანისა // სარგის კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორი-ისათვის, წ. I, თბ., 1914

ამირანაშვილი ს., საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მის დაბრუნება, თბ., 1968

ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით / გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბ., 1991

არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქართველოს შესახებ / თარგმანი, შესავალი და კომენტარები, კარლო კუციასი, თბ., 1974

ასლანიშვილი გ., ახალი ცნობა ქართველ კათოლიკეთ რომის ტიბიკონის შესახებ, „ცნობის ფურცელი“, 1899, №843

აფაქიძე ა., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბილისი. 1963

აფრასიძე გ., საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქები, თბ., 1984

ბაკურაძე თ., ოქონის სამნაწილიანი ხატის რესტავრაცია და ვიზუალური კვლევა // სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სამეცნიერო სესიების მასალები, გორი, 2012, გვ. 125-130

ბარათაშვილი იასე ოსეს ძე, ცხოვრება-ანდერძი // ავთანდილ იოსელიანის გამოცემა. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 28, თბ., 1950

ბარამიძე არ., ოქროპირ ბატონიშვილი / ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7, თბ., 1984, გვ. 611.

http://www.history-ryazan.ru/node/10319

ბატონიშვილი იოანე, ხუმარსწავლა. კალმასობა, წ. II, თბილისი, 1991

ბელენკო-გოდერძიშვილი ნ., სამუზეუმო ექსპედიციის საეკლესიო მონაპოვარი // სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სამეცნიერო სესიების მასალები, გორი, 2012, გვ. 51-56

ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი-თორი, ჯავახეთი, თბ., 1985

ბერძენიშვილი ნ., მცხეთის საბუთი XI საუკუნისა (ამონაბეჭდი), ტფ., 1931

ბერძენიშვილი ნ., ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში. დოკუმენტები კრიტიკული წერილით // მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, თბ., 1937

ბერძენიშვილი ნ., მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, დანართი, თბ., 1957

ბერძენიშვილი ნ., დონდუა ვ., მელიქიშვილი გ., მესხია შ., რატიანი პ., საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958

ბერძენიშვილი ნ., გზები რუსთაველის ეპოქაში, თბ., 1966

ბერძენიშვილი ნ., XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან // საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965

ბერძენიშვილი ნ., ვახუშტის ბიოგრაფიისათვის // საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1967

ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964

ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966

ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1967

ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973

ბერძნიშვილი ი., გორის ციხე, თბ., 1960

ბერძნიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983

ბოროზდინი კ., სამეგრელო და სვანეთი. 18854-1861. ტფ., 1934.

ბოჭორაძე გ., ფურცელაანთეული ქრონიკა // საისტორიო მოამბე, წ. I, წელიწადი II, ტფ., 1925

ბუაჩიძე გ., ერთი ეპიზოდი საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობიდან იაჰია ანტიოქიელის „ისტორიაში“ // ქართული დიპლომატია, წელიწდეული, №3, თბ., 1996

ბურჯანაძე შ., სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი // თსუ შრომები, XII, 1950

გაბაშვილი. ვ., საქართველოს ქალაქების ისტორიიდან (არტანუჯი და უჯარმა) // საქართველოს ოსტორიის აღმოსავლური მასალები, ნაწ. I, თბ., 1973

გაბაშვილი ვ., ბაზარი შუა საუკუნეების საქართველოში // საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, I ნაწ., თბ. 1976

გაბიჩვაძე ა., გორის ციხე ერეკლე II დროს // საისტორიო მოამბე, I, თბ., 1945

გამრეკელი ვ., XIII-XIV სს. მიჯნის საქართველოს ისტორიიდან. ჟამთააღმწერელის ზოგიერთი ცნობის გაგებისათვის // „მრავალთავი“, V, თბ., 1975

გვასალია ჯ., ლიახვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები // საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, თბ., 1982

გაბაშვილი ვ., სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი // სულხან-საბა ორბელიანი. 1658-1958. საიუბილეო კრებული, თბ., 1959

გაბაშვილი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, თბ., 1958

გარსევანიშვილი ალ., ქალაქი გორი და სასწაულთ-მოქმედი ოქონის ღვთისმშობლის ხატი // ცისკარი, 1868, №2

გაჩეჩილაძე კ., ერთი ფურცელი სასულიერო ფეოდალიზმის ისტორიიდან // ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 11, თბ., 2004

გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. V / ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და კომენტარები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1963

გვრიტიშვილი დ., ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიიდან თურქ და სპარს დამპყრობლების წინააღმდეგ XVIII ს. პირველ ნახევარში (გივი ამილახვარის აჯანყება // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მიმომხილველი, ტ. III, თბ., 1953

გვრიტიშვილი დ., გორის წარსულიდან, თბ., 1951

გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, თბ., 1954

გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955

გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, II, თბ., 1965

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I / გერმანული ტექსტი ქართულ თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 1962

გოგოლაძე თ., ბელენკო-გოდერძიშვილი ნ., ოქონის ხატისა და ჯვარცმის ისტორიისათვის (წერილი I) // სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სამეცნიერო სესიების მასალები, გორი, 2012, გვ. 32-50

გოგოლაძე თ., ოქონის ხატისა და ჯვარცმის ისტორიისათვის (წერილი II) // სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სამეცნიერო სესიების მასალები, გორი, 2012, გვ. 83-92

გოგოლაძე თ., ცნობები ბერძნებსა და ოქონის ხატზე გარსევანიშვილების საგვარეულო გრაგნილში // სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სამეცნიერო სესიების მასალები, გორი, 2012, გვ. 93-98

გოგოლაძე თ., სოსანიძე თ., ცნობები ოქონის ხატსა და ტაძარზე გარსევანიშვილების საგვარეულო გრაგნილისა და ალექსანდრე გარსევანიშვილის ერთი წერილის მიხედვით // სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სამეცნიერო სესიების მასალები, გორი, 2012, გვ. 120-124

გორგაძე ნ., ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი ქსნისა და არაგვის ხეობაში „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ (1728 წ.) მიხედვით // „ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, №12, თბ., 2005

გურჯი ზადე. თბილისის დაპყრობის წიგნი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა ცისანა აბულაძემ. თბ., 1975

დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება / ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შოთა ბურჯანაძემ, თბ., 1962

დავით გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1964

დობკევიჩი ი., კათოლიკობა საქართველოში, „ივერია“, 1898, №125.

დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს), ნიკო ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940

დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ბატონყმური ურთიერობა (XV-XIX სს), ნიკო ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953

დონდუა გ., საქართველოში გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი მონეტები. „მაცნე“, ისტორიის სერია, თბ., 1973, №1.

დონდუა ვ., ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან. 1712-1745. „მიმომხილველი“, III, თბ., 1953

დონდუა ვ., საისტორიო ძიებანი, III, თბ., 1985

დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძისა, თბ., 1977

დონ ქრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ / ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1976

დუმბაძე მ., ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება // საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973

ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“ / თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ, ნაკვ., II, გამოკვლევა, კომენტარები, თბ., 1973

ვადბოლსკი მ., საქართველოს ჰერალდიკური სიმბოლიკა, თბ., 1980

ვარლამიშვილი ივ., მუდამ თანამედროვე (პედაგოგი და ლიტერატურის მკვლევარი ალექსანდრე გარსევანიშვილი), ქუთაისი, 1991

თავდიშვილი მ., გორში დაბეჭდილი პირველი წიგნი, „ლიახვი“, 1982

თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902

თაყაიშვილი ე., ოქონის ხატი // ივერია, 1900, №231

თაყაიშვილი ე., არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, წ. I, ტფ., 1907

თაყაიშვილი ე., გორიჯვრის კანკელის წინ დასადგმელი ჯვარი // თსუ შრომები, 34, თბ., 1948

თაყაიშვილი ე., ჩხარის ეკლესიის სიძველენი // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XV- , თბ., 1948, გვ. 165-179; ნ. XVI-B, თბ., 1950, გვ. 202-210.

თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში // დაბრუნება, II, თბ., 1991, გვ. 135-139

თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია / ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლელა მიქიაშვილმა, თბ., 1983

თვარაძე ალ., საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალების საფუძველზე, თბ., 2004

თოგოშვილი გ., ვახუშტი ბატონიშვილი ოსეთისა და ოსების შესახებ, თბ., 1977

თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები. 1577-1581 // იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ეელდარ მამისთვალიშვილმა, თბილისი, 1987

იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ / ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიამ, თბ., 1964

„ივერია“, №268, 1901,

„ივერია“, №137, 1903.

ილარიშვილი ე., ძველი აბანო // მუზეუმის მოამბე. ს. მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის გაზეთი, №1(7), 2016, I

იოანე ბაგრატიონი, სჯულდება, თბ., 1957

იოსელიანი ავთ., საქართველოს ისტორიის ქრონიკები. XVI-XIX სს. თბ., 1980

ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ, თბ., 1969

კაკაბაძე ს., გენიალოგია დიდის ალექსანდრე მეფისა, ტფ., 1913

კაკაბაძე ს., ისტორიული საბუთები, II, ტფ., 1913

კაკაბაძე ს., ისტორიული საბუთები, IV, ტფ., 1913

კაკაბაძე ს., დავით უცნობი XIV ს. მეფე // წერილები და მასალები საქართველოს ისტორიიდან, წ. I, თბ., 1914

კაკაბაძე ს., საამილახვროს დავთარი მე-17 საუკუნის მეორე ნახევრისა, ტფ., 1925, I-IV

კაკაბაძე ს., საბუთი ზემო-ქართლის სასარდლოს შესახებ // საისტორიო მოამბე, წ. I, ტფილისი, 1925

კაკაბაძე ს., საბუთი ზემო-ქართლის სასარდლოს შესახებ // საისტორიო მოამბე, წ. I, ტფილისი, 1925

კალანდია გ., ოდიშის საეპისკოპოსოები (ცაიში, ბედია, მოქვი, ხობი), თბ., 2004

კალანდია გ., დავით დადიანი. საქართველოს ენციკოპედია, თბ., 2012

კაპანაძე დ., XV ს. ქართული ფულის გორის განძი // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1940, ტ. X-

კარბელაშვილი პ., ამილახვართა საგვარეულო ისტორიული გუჯრები // ძველი საქართველო, II ტფ., 1913

კაციტაძე დ., საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, თბ., 1975

კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958

კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960

„კვალი“, 25. 04. 1898

„კვალი“, 20. 08. 1895

„კვალი“, 25. 04. 1898

კიკნაძე ვ., საქართველო XIV საუკუნეში, თბ., 1989

კიკნაძე რ., საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV ს. მეორე ნახევარში // ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, თბ., 1964

კიკნაძე რ., ჟამთააღმწერლის თხზულების ერთი ადგილის შევსებისათვის // „მაცნე“, ისტორიის სერია, 1971, №4

კიკნაძე რ., ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორია და აზმანი შარავანდედთანი“, თბ., 1975

კლიმიაშვილი აკ., მასალები XV-XVIII სს. ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის // XIV-XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964

კოპალიანი ვ., საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, თბ., 1969

კოპალიანი ჯ., მოურავის სახელო ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1982

კოშორიძე თ., ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი შიდა ქართლში // სადისერტაციო ნაშრომი ეთნოლოგიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, 2015

კოშუაშვილი კ., გეორგიევსკის ტრაქტატი და გორი // გაზ. გამარჯვება, 01. 05. 1982

კუცია კ., ამქრები XVII-XVIII სს. საქართველოს ქალაქებში, თბ., 1984

კუცია კ., გრიგორ დარანაღცის ცნობა სიმონ I-ის სტამბოლში ტყვეობის შესახებ // საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წიგნი I, თბ., 1976

კუცია კ., ნადირ-შაჰი და საქართველო // ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, III, თბ., 2002

ლეგენდა გორზე / შეადგინეს მარინე ჯალიაშვილმა და ელდარ მამისთვალიშვილმა, გორი, 1998

ლეონიძე გ., სულხან-საბა ორბელიანი. თხზულებანი, II / გამოსაცემად მოამზადეს ს. ყუბანეიშვილმა და რ. ბარამიძემ, თბ., 1959

ლიჩინი ა. პ., კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში / თარგმანი და სენიშვნები მურმან პაპაშვილისა, თბ. 2009

ლობჟანიძე გ., ევროპული რუკები და საისტორიო წყაროები საქართველოს შესახებ (XVI-XVIII სს.), თბ., 2010

ლომთათიძე გ., წინაპართა ნაკვალევი. საქართველოს არქეოლოგიის ნარკვევები, თბ., 1952

ლომსაძე შ., გვიან შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხური ქრონიკები, თბ., 1979

ლორთქფანიძე მ., საქართველოს შიდაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე // საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თ,., 1979

მაკალათია ს., გორში აღმოჩენილი ნეკროპოლის დათარიღებისათვის // ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, II, გორი, 1947

მაკალათია ს., ფრონეს ხეობა, თბ., 1963

მაკალათია ს., ლიახვის ხეობა, თბ., 1971

მაკლათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 2006

მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, II (1801-1921), გორი. 1999

მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.), თბ., 2008

მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I (XV-XVI სს.), თბ., 2009

მამისთვალიშვილი ე., პატრონობდა სამცხეს დედისიმედი // ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, IX, თბ., 2009

მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II (XVII ს. პირველი ნახევარი – თეიმურაზ I-ის ეპოქა), თბ., 2011

მამისთვალიშვილი ე., გორის მოსახლეობა „ოსმალობის“ პერიოდში (ოსმალური წყროების მიხედვით) // გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი – შავი ზღვის საერთაშრისო უნივერსიტეტი. სამეცნიერო კონფერენცია „ქართულ-თურქული ურთიერთობები“. 30 მარტი, თბ., 2012

მამისთვალიშვილი ე., სულხან-საბა ორბელიანის მიერ კათოლიკური სარწმუნოების აღიარებისათვის // გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი. შრომათა კრებული, №4, თბ., 2013

მამისთვალიშვილი ე., გორის გარეგნული სახე „ოსმალობის“ პერიოდის ოსმალურ წყაროებში // გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, №4, თბ., 2013

მამისთვალიშვილი ე., კათალიკოს დომენტი IV-ის პორტრეტისათვის // მაცნე, იაეხის, №2, 2017.

მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, წ. II. მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1953

მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, III, (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება) / მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1955

მასალები საქართველოს ისტორიული გეოგაფიისა და ტოპონიმიკისათვის. / გამოსაცემად მოამზადეს ზაზა ალექსიძემ და შოთა ბურჯანაძემ, ნაწ. I, თბ., 1964

მასალები საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, გამოცემული ექვ. თაყაიშვლის რედაქტორობით, ტფილისი, 1907

მაჭარაძე ვ., ასპინძის ბრძოლა, 1957

მეგრელაძე დ., მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის (ჯულაბაშვილების დავთარი) // მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 35, 1963.

მეგრელიძე ი., დიდი ლიახვის სიძველენი და მათი წარწერები. სტალინირის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, III, თბილისი--სტალინირი, 1957

მეგრელიძე ი., სიძველეები ლიახვის ხეობაში, თბ., 1984

XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ // იტალიურიდან თაგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდარ მამისთვალიშვილმა, თბ., 1981

მესხი თ., „ოქონას“ ეტიმოლოგიისა და ოქონის ხატის რაობისათვის // სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სამეცნიერო სესიების მასალები, გორი, 2012, გვ. 99-119

მესხი თ., ოქონის ხატის რაობისა და ისტორიისათვის, თბ., 2015

მესხია შ., მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის

// მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1948, ნაკვ. 1

მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, თბ., 1983

მესხია შ., საისტორიო ძიებანი, III, თბ., 1983

მეტრეველი რ., საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ., 1964

მეტრეველი რ., დავით IV აღმაშენებლი, თბ., 1986

მეუნარგია ი., სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, თბ., 1939

მოამბე, 1892, №11

მოამბე, 1903, №9

მუსხელიშვილი დ., ცქიტიშვილი გ., შიდა ქართლის 1955 წ. დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები // საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, თბ., 1960

მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები) // ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1968

მწყემსი, 1885, №1

ნაკაშიძე რ., ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. ბიოგრაფიისათვის // ლიტერატურული ძიებანი, თბ., 1983

ნატროშვილი გ., ისტორიულ-ლიტერატურული ძიებანი, ჟურნ. „მნათობი“ 1976 წ. № 1,

ნატროშვილი თ., თეიმურაზ პირველის აჯანყება და იმამ-ყულიხან უნდილაძე // ახლოაღმოსავლური კრებული, თბ., 1983

ნინიძე დ., პროვინციის მეფეები XIV-XV სს. საქართველოში (ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიისათვის), თბ., 1995

ოდიშელი ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV-XVII სს.) // XIV-XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964

ოქონა // სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სამეცნიერო სესიების მასალები, გორი, 2012.

პავლიაშვილი ქ., ფრაგმენტები გორის კათოლიკური ეკლესიის ისტორიიდან (XV-XIX სს.) // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები. საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები, XXI, თბ., 2005

პაპასქირი ზ., ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1990

პაპაშვილი მ., ჯუსტინო ლივორნოელის ერთი დღემდე უცნობი რელაცია // გორის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომები, 10, თბ., 2015

პაპუაშვილი ნ., სიმართლისა და სამართლისათვის. გორის კათოლიკურ ეკლესიაზე, თბ., 2013.

პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი / ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბ., 1981

პეისონელი, მოთხრობა ახლანდელ არეულობაზე სპარსეთსა და საქართველოში (ფრანგულიდან ნათარგმანი) / მთარგმნელი ს. ღოღობერიძე. „მოამბე“, №10, II განყოფილება, 1905, X,

პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით / გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბ., 1991

ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ) / ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975

ჟუჟუნაძე ო., XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიისათვის // ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, თბილისი, 1970

რაჰიმიზადე იბრაჰიმ ჩავუში, განჯის დაპყრობის წიგნი / ქართული თარგმანი, შესავალი და შენიშვნები გამოსაცემად მოამზადა მარინა ილურიძემ, თბ., 2012

რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ / ესპანურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდარ მამისთვალიშვილმა, თბ., 1992

საისტორიო კრებული, IV / სარგის კაკაბაძის რედაქციით, თბ., 1929

სამართალი ვახტანგ მეექვსისა. ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ., 1981

საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში, ისტანბული, 2012

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბილისი 1970

საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVI-XIX სს. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ავთ. იოსელიანმა, თბ., 1980

სახალხო საქმე, №41, 24. 02. 1920 წ.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1972

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979

საქართველოს სიძველენი, II / ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1909

საქართველოს სიძველენი, III / ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1915

საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩხეიძისა // ქართლის ცხოვრება, II, ჩუბინაშვილის გამოცემა, სანკტ-პეტერბურგი, 1854

სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, XVI-XVII სს., თბ., 1971

სამართალი ვახტანგ მეექვსისა. ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ., 1981

სამი ოსმალური წყარო თბილისის ისტორიისათვის (1730-1732). თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ, თბ., 2008

სამსონაძე მ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX საუკუნის პირველ მესამედში, თბ., 1980

სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.). ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევა და საძიებლები ქრისტინე შარაშიძისა, თბილისი, 1961

საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში, სტანბული, 2012

საქართველოს სიძველენი, II // ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1909

საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩხეიძისა. ქართლის ცხოვრება, II, ჩუბინაშვილის გამოცემა, სანკტ-პეტერბურგი, 1854

საქრისტიანო მოძღვრება საქართველოს მისიონებში სახმარებლად, გადმოთარგმნილი იტალიურიდან ქართულს მხედრულს ენაზე ქართველი ტულუკაანთ დავითისაგან. ამავე გვარის კათოლიკების საყოველთაო და სასულიერო სარგებლობისათვის, რომში, 1741 წ.

სახალხო ფურცელი, №162, 13. 12. 1914

სია გორის კათოლიკე ეკლესიის მრევლისა 18 წლიდან ზეით შედგენილი თანახმათ მთავრობის 22 სექტემბრის 1923 წ. ცირკულიარისა, რელიგიურ საზოგადოებათა შესახებ // გორის რაიონული არქივი, ფონდი №3, არქ. №54, აღწერა 1

სილაგაძე ბ., არაბთა ბატონობა საქართველოში, თბ., 1991

სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ // ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ, თბ., 1978

საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იანი წლები). დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გიორგი სოსიაშვილმა, თბ., 2013

სულხან-საბა ორბელიანი. თხზულებანი, II, გამოსაცემად მოამზადეს ს. ყუბანეიშვილმა და რ. ბარამიძემ, თბ., 1959

სურგულაძე ივ., სახელმწიფო გადასახადები ქართლის სამეფოში მე-18 ს. დასაწყისში. საქ. მეცნ. აკადემია, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, II, თბ., 1952

სურგულაძე ივ., ნარკვევები საქართველოს სახელმწიფო და სამართლის ისტორიიდან, თბ., 1963

ტაბატაძე კ., ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974, 124.

ტაბაღუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბ., 1972

ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, თბ., 1984

ტაბაღუა ი., კიდევ ერთი ცნობა ქეთევან დედოფლის შესახებ // გაზ. კომუნისტი, 20, X, 1985

ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, თბ., 1987

ტლაშაძე იესე, ბაქარიანი / გამოსაცემად მოამზადა სოლომონ ყუბანეიშვილმა, თბ., 1962

უჩანეიშვილი დ., დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის (XVII-XIX სს.), თბ., 1967

ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, სარგის კაკაბაძის გამოცემა // საისტორიო მოამბე, ნაკვ. II, 1925

ფეიქრიშვილი ჟ., ზუბალაშვილები ეროვნული მრეწველობისა და მეცენატობის სათავეებთან, თბ., 2011

ქავთარია მ., XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან (ანტონ ბაგრატიონის ეპისტოლარული მემკვიდრეობა), თბ., 1977

ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ / თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ, თბ., 1978

ქართლის ცხოვრება / ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955.

ქართლის ცხოვრება / ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959

ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა / ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, 367.

ქართულ ისტორიული საბუთების კორპუსი, III. ქართული ისტორიული საბუთები. XV საუკუნის მეორე ნახევარი. შეადგინეს თინათინ ენუქიძემ, დარეჯან კლდიაშვილმა, მზია სურგულაძემ. გამოსაცემად მოამზადა მზია სურგულაძემ, თბ., 2014

ქართული მწერლობა, 2, თბ., 1987

ქართული მწერლობა, 6, თბ., 1960

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 6, თბ., 1980

ქართული სამართლის ძეგლები, II / საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XI სს.) ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ თბ., 1965

ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.) / ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე. დოლიძემ, თბ., 1970

ქართული სამართლის ძეგლები. 1. ჭელმწიფის კარის გარიგება; 2. დასტურლამალი / ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ივანე სურგულაძემ, თბ., 1970

ქართული სამართლის ძეგლები, IV. სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.) / ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ., 1972

ქართული სამართლის ძეგლები, V. სასამართლო განჩინებანი (XVIIIს.) / ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ., 1974

ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII. სასამართლო არზა-ოქმები / ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1981

ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII. სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები / ტექსტი გამოსცა მოამზადა და შენიშვნები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ., 1985.

ქართულ-სპარსული საბუთები. ტექსტი დაადგინა და შენიშვნები დაურთო ვლადიმერ ფუთურიძემ, თბ., 1955

ქართული ქრისტომათია / დაბეჭდილი დავით ჩუბინოვისა, სანკტ - პეტებურგი, 1863

ქებულაძე რ., ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში, თბ., 1971

ქოიავა ნ., ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, თბ., 1963

ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ, 1213 წლიდან 1700 წლამდე, II, ტფილისი, 1897

ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. III (1700 წლიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე). გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ, თბ., 1967

ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები). ტექსტი გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1968

ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957

შაჰ თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან / სპარსული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კარლო ტაბატაძემ, თბ., 1976

შაჰნავაზიანი / გიორგი ლეონიძისა და სოლომონ იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1936

შენგელია ნ., ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით // თსუ შრომები, №91, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, II, თბ., 1960

შენგელია ნ., ოსმალო ისტორიკოსი ჩალებ-ზადე თბილისისა და გორის ციხეების დაპყრობის შესახებ // აღმოსავლური ფილოლოგია, III, თბ., 1973

შენგელია ნ., XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974

შავხელიშვილი ა., საქართველო-ჩეჩნეთ-ინგუშეთის ურთიერთობა XVI-XVII სს., თბ., 1980

შაორშაძე მ., კათოლიკოს პატრიარქი კირილე II (ციციშვილი) და მისი მოღვაწეობა // ისტორიულ ეთნოლოგიური ძიებანი, XII, თბ., 2010

შაორშაძემ მ., XIX საუკუნის დასაწყისის ქართველი სასულიერო მოღვაწეები მართლმადიდებელი ეკლესიის დასაცავად // ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები, 5, თბ., 2012

შაორშაძე მ., საისტორიო მასალები ქართლის მთავარეპისკოპოსის, სამთავროსა და გორის მიტროპოლიტ ბესარიონის მოღვაწეობის შესახებ // გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი. შრომათა კრებული №6, თბ., 2014

შაორშაძე მ., ქართლის მთავარეპისკოპოსი არსენ (საყვარელიძე) და მისი მოღვაწეობა // გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი. შრომათა კრებული, №9, თბ., 2015

შაორშაძე მ., XIV-XVI საუკუნეების ქართლის მთავარეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი // ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IX, თბ., 2015

შაორშაძე მ., ქართლის მთავარეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი XII-XIII საუკუნეებში (ხელნაწერი)

შენგელია ნ., ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით // თსუ შრომები, №91, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, II, თბ., 1960

ჩვენი საუნჯე, IV, თბ., 1960

ჩილდირის ვილაიეთის მოკლე (იჯმალ) დავთარი, თურქული ტექსტი, ქართული თარგმანით, შესავლით, შენიშვნებითა და ფაქსიმილეებით, გამოსაცემად მოამზადეს მირიან მახარაძემ და ნოდარ შენგელიამ, თბ., 2008

ცაგარეიშვილი ე., ანონიმი ისტორიკოსი (ფსევდო-შაპუჰი) და მისი „ისტორია“ // „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, V, თბ., 1975

ცინცაძე ი., ორი საბუთი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან 1768-1774 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში. ენიმკის მოამბე, 1940

ცისკარი, 1867, №2

ცისკარი, 1869, №1.

„ცნობის ფურცელი“, 1899, №843

„ცისკარი“, 1867, №2

„ცისკარი“, 1867, №4

ცისკარი“, 1869, №1.

ცნობის ფურცელი, 1899, №843

ცოტნიაშვილი მ., ცხინვალის ისტორია (ცხინვალი ფეოდალიზმის ხანაში), ცხინვალი, 1966

ცხოვრება გიორგი მეცამეტისა აღწერილი პლატონ ეგნატის ძის იოსელიანისაგან, თბ., 1978

ძეგლი ერისთავთა. ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე / ტექსტი გამოსცა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო შოთა მესხიამ // მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, თბ., 1954, ნაკვ. 30

ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1946

ჭილაშვილი ლ., ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, თბ., 1968

ჭიჭინაძე ზ., პატრი ნიკოლა როგორც ექიმი და მისი დროის ქართველი კათოლიკენი საქართველოში, ტფილისი, 1896

ჭიჭინაძე ზ., უმთავრესი მიზეზები საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა და გორელი პატრი ტულუკაანთ დავითა, ტფ., 1898

ჭიჭინაძე ზ., კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში, თბ., 1903

ჭიჭინაძე ზ., ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობა, ტფილისი, 1905

ხანთაძე შ., მარი ბროსე, თბ., 1966

ხახუტაიშვილი დ., იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, თბ., 1960

ხუსკივაძე ლ., ბიზანტიური სპილოს ძვლის ტრიპტიქონი საქართველოდან // სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-

ეთნოგრაფიული მუზეუმის სამეცნიერო სესიების მასალები, გორი, 2012

ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორია, I, ტფ., 1930

ჯავახიშვილი ივ., მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946

ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960

ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965

ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1967

ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, I, თბ., 1967

ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, II, თბ., 1974

ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, III, თბ., 1979

ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, II, თბ., 1983

ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, V, თბ., 1986

ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, IX, თბ., 1996

ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, IX, თბ., 1996

ჯამბურია გ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სომხით-საბარათიანოს სათავადოები), თბ., 1955

ჯამბურია გ., ადგილობრივი მმართველობა // საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე, თბ., 1973

ჯანაშვილი მ., თამარ მეფე, ტფილისი, 1917

ჯაოშვილი ვ., საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, თბ., 1984

ჯიქია ს., ეპიზოდი XVI საუკუნის ერთი ცნობის განმარტება (ნა'იმა-ს ერთი ცნობის განმარტება) // მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბ., 1954

ჯიქია ს., XVIII საუკუნის ორი თურქული დოკუმენტი // თსუ შრომები, ტ. 99. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, III, თბ., 1962

ჯაოშვილი ვ., საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, თბ., 1984

ჰასან-რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ / სპარსული ტექსტი თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვ. ფუთურიძემ. შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1966

Акты собранные Кавказскою Археграфическою Комиссиею, т. I, Тифлис, 1866

Акты собранные Кавказскою Археологичекою коммиссиею, II, Тифлис, 1868

Бакрадзе Дм., Горис-цихе. Исторический очерк // Кавказ, 1855, №48-49

Бакрадзе Д., Кавказ в древных памятниках христянства, т. I, Тифл., 1875

Берадзе Т., Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии. Автреферат, Тбилиси, 1986

Бурнашев С., Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского, Тифлис, 1896

Бутков П., Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 гг., ч. I, СПб., 1869

Ведомость Горийского комендатна майора Рейха состоящих в веренном мне городе разного звания люди с показанием порознь какого они звания (за 1804 год)

Вейденбаум Е. Г., Кавказские этюды, Тифлис, 1901

Гори древная столица Карталании // «Московский телеграф», 1833, №16, август

Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. 1, с 1768 по 1774 год. Под ред. А. А. Цагарели, СПб., 1891

Грузинские крксетьянские грамоты, крепостные и судебние акты, грамоты и письма грузинских и персидских царственных особ (Материалы для истории древней Грузии). Составитель Д. П. Пурцеладзе, Тифлис, 1882

Грузинские крксетьянские грамоты, (Материалы для пятого Археологического съезда). Составитель Д. П. Пурцеладзе, Тифлис, 1881

Державин Н. Н., Следы древнегрузинских цеховых организаций по данным современной этнографии // Язык и литература, ч.1, вып. 1-2, 1926.

Джанашвили М., Гори и его окрестности // Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, Тифл., 1904, вып. 34

Дубровин Н., История войны и владычества русских на кавказе, III, С.-Петербург, 1886

Епископ Кирион, Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тиф., 1901

Кавказ, 1855, №48

Кавказ, 1855, №49

Кавказ. Рача. Горийский уезд. Гори. Осетия. Пшавия, Хевсуретия и Сванетия. Путевые заметки графинии Уваровой, ч. III, М., 1904

узнецова Н. А.. Из истории социально-экономических отношений в Иране, М., 1952

Межкавказскией политические и торговые связи Восточной Грузии (конец 60-х начало 90-х годов XVIII в.). Документы и материалы, I вып. // Материалы подобрал и подготовил к печати В. Н. Гамрекели, Тб., 1980

Меликишвили Г., К истории древней Грузии, Тбилиси, 1960

Муравьев А. Н., История святого града Иерусалима, ч. 1-2, СПб., 1844

Муравьев А. Н., Грузия и Армения, ч. III, СПб., 1848

Мурадян П. М., Армянская эпиграфика Грузии. Картли и Кахети, Ереван, 1985

Переписка грузинских царей с российскими государями от 1639 г. по 1770 г. С. Петербург, 1861

Подробнее описание путешествия голштинского посольства в Московию и Персию составленое секретарем посольства Адамом Оларием // Чтения в Обществе Истории и Древностей Российских при Московском Университете, №1, Москва, 1869

Садзагелов-Ивериели Г., Исторический очерк Оконской чудотворной иконы Божией Матери, находящейся в Горийской Оконской Богородиной Церкви // Пастир, 15. 07. 1890 г., № 12-13

С. Петербургские ведомости, 26. XI, 1899, №424

Сехниа Чхеидзе, История Грузии («Жизнь царей») / Перевод выполнил, предисловием снабдил Н. Т. Накашидзе, Тб., 1976

Статистическое изображение городов и посадов Российской империи по 1825 год

Сударикoв В. А., Чапкин С., Православная Москва. Справочник, Москва, Братство Святителя Тихона, 1993

Такаишвили Э., Серебряное знамя Мухранского владетеля Константина 1745 г. // Известия Кавк. отделения им. Московского Арх. общества, вып. I, 1907

Такаишвили Е., Оконский образ Распятия // Материали по археологии Кавказа, т. XII, Москва, 1909

Туманов А. Б., Описание грузинского города Гори, СПБ., 1816

Фарзалиев А. М. оглы, Труды Мустафи Али-Эфенди как источник по истории Азербайджана конца XVI века. Диссертация на сойскании ученной степени кандидата ист. наук, Тбилиси, 1985

Цагарели А. А., Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае / Православный Палестинский Сборник, Санкт-Петербург, 1888

Berchet G., Relationi dei consoli veneti nella Asiria, Torino, 1866

Brosset M., Rapports sur un vouage archeologique dans la Georgie et dans I'Armenie, execute en 1847-1848, St.-Pb. 1850.

Della Crimea, del suo commercio e dei suoi dominatori dalla origini fi no al di nostri // Commentari storici, dell avvocato Michele Giusaeppe Canale, v. I, Genova, 1855.

Della Crimea, del suo commercio e dei suoi dominatori dalla origini fi no al di nostri. // Commentari storici, dell avvocato Michele Giusaeppe Canale, v. II, Genova, 1856.

Gulbenkian R., L'Ambassade en Perse de Luis Periera de Lacrda et des *Pères* Portugais de l'Ordre de Saint-Augustin, Belchior dos Anjos et Guilherme de Santo Agostinho, 1604-1605, Lisbon, 1972, p. 56-57.

Hammer I., Geschichte des osmanisches Reichs, IV, 1836

Klaproth, Julius von, Reise in den Kaukasus und nach Georgian unternommen in den Jahren 1808, Halle und Berlin, 1814

Klaproth J. von, Beschreibung der Rossischen Provizen zwischen den Kaspischen und Schwarzen Meere, Berlin, 1814

Malkolm I., The History of Persia From the Most Early Period to the present Time, v. II, London, 1815

Metzler J., Fondation of the Congregation de Propaganda Fide by Gregorio XV // `sakrae Congregationis de Propaganda Fide, Memoria rerum 1622-1972~, vol. 1/1, Rom, Freiburg, Wien, 1972, 79-111.

Minadoi T. Historia della guerra fra Turchi et Persiabi. Descritto in qvatro libro da Gio. Tomaso Minadoi: Caminciando dall`anno MDLXXVII, nel qvale furo li primi muomenti di lei, freqvendo per TuTTo l`anno MDLXXXV. Alla Santita di

N. S. Sisto V. Pontifi ce OTTimo Massimo. Cjn privilgio. In Roma. Nella Stamperia di Jacomo Tornerio, tt Bernardino Donangeli. MDLXXXVIII.

Ramusio G. M., Seconda volume delle Navigationi et Viaggi, v. II, Venetia, 1559.

Reinegs J., Allgemeine historisch-topographisch Beschreibung des Kaukasus, II, St-Petersburg, 1979

Sirop S., Vera historia unionis non verae inter Graecos et Latinos. Hage-Comitis, 1660

Tardy L., Le Roi Svimon Ier á la lumére des sources d' Europe Centrale contemporaines de son époque, I partie // `Bedi Kartlisa. Revue de Kartvélologie~, vol. XXXI, Paris, 1973

Tardy L. Rapports diplomatiques sur la Gèorgie entres les annèe 1550 et 1570. `Bedi Kartlisa~, v. 24, Paris, 1976

Witsen N., Noort Oster gedelte von Asia en Europa, Amsterdam, 1705.

Храм Всех Святых во Всехсвятском https://ru.wikipedia.org/wiki/%D0-%A5%D1%80%D0%B0%D0%BC_%D0%92%D1%81%D0%B5%D1%85_%D0%A1%D0%B2%D1%8F%D1%82%D1%8B%D1%85_%D0%B2%D0%BE_%D0%92%D1%81%D0%B5%D1%85%D1%81%D0%B2%D1%8F%D1%82%D1%81%D0%BA%D0%BE%D0%BC#.D0.9F.D1.80.D0.B5.D0.B4.D1.8B.D1.81.D1.82.D0.BE.D1.80.D0.B8.D1.8F

https://ka.wikipedia.org/wiki/; http://www.history-ryazan.ru/node/10319

https://ka.wikipedia.org/wiki/ილია ბატონიშვილი.

The History of Gori (up to 1801)

Summary

The aim of the monograph is to study the history of Gori from the ancient times to 1801, i.e. before the unification of Kartli – Kakheti Kingdom with Russia, when the active economic, political and cultural role of Gori got weakened, because of the loss of Georgia`s independence. Gori lost its most important function – defense of the country. Thus, from the beginning of the XIX century, a new stage begins in the history of Gori as well as throughout Georgia.

Gori was one of the most important towns of Georgia throughout the Middle Ages and was the strongest citadel due to the favorable strategic location. That`s why, according to the archaeological materials there was a settlement, and the fortress was erected in the antique period. Its founder is traditionally considered to be David IV the Builder, i.e. the foundation of the fortress belongs to the first quarter of the XII century.

However, I think, that the first written source is the Armenian narrative source – "History" by Pseudo Shapukh Bagratuni, in which the author gives the most valuable information about Gori, when telling the events of the X century.

Based on numerous narrative and documental sources, all the main moments of political history of Gori, its role in the Kartli – Kakheti Kingdom after the fall of the Unified Georgian Kingdom are studied in the monography. The residence of Kartli Kings was often located in Gori.

Gori was rebuilt and destroyed (often by the Georgians themselves for self-defense) for centuries. It was mostly invaded by the conquerors.

The sources that have come down to us give us the possibility to restore the town`s image of the feudal epoch, particularly, its fence, streets, squares, bazaar, taverns, houses, districts, baths and mills. There were gardens and vineyards in Gori as well as in other feudal towns. Much attention is paid to the restoration of the Gori Fortress interior architecture, water supply system etc.

The information about the church of St. Giorgi (Gori Jvari) is strongly interconnected with Gori, and is very important for Gori people; the history of its construction and reconstruction in different periods of its existence is briefly stated in the book. The surfs of the church made up a considerable part of Gori population.

Despite the absence of written sources, it can be argued that Gori had already been inhabited in the antique epoch. The information about Gori population of the feudal epoch is fragmentary, that`s why the presented dynamics of the town`s population in different periods of its development is approximate. Ethnic composition of Gori

population is also approximate. It is clear that from the beginning of the XII century together with Georgian, there was Armenian population as well, though small. Later, it continued to be small compared with the indigenous population.

We can say that the medieval Gori, like other towns of Georgia, became a reliable shelter for the Armenians, forced to leave their homeland.

The Armenians had the opportunity to continue their national and cultural life unhampered and unhindered and participate in the political, economic and cultural life of our country.

For a long time, the part of the Armenians separated from their homeland and accustomed to local culture, language and customs was losing their characteristic national features, and differed only in religion. There were also reverse processes - the armenianization of Georgians, only from religious point of view, but other than that, they were Georgians.

Many Gori people were leaving the town and they were settling in other towns of Georgia for different reasons. It is known that the people who moved from Gori were mostly merchants. Besides the frequent raids of enemies the causes for resettlement were confessional and the existing tax system. But the main reason was the serfdom and related oppression.

The main part of the population of feudal Gori was merchants and artisans, who were serfs. The aggravated servile relations in the village forced the merchants and artisans to find shelter in the town. The serfs were also moving from the village to the town, and got under more "enduring" whip. Having moved from any kingdom of Georgia, the peasant continued to be the property of his lord, who could dispose of at his own discretion. There were cases when the lord did not know the location of his serf, and the latter was unattainable to him. However, the existing situation in the town forced merchants and artisans to look for their defender, who was the local lord. Thus, in fact, there were no legally free manufacturers both in Gori and other feudal towns. Everyone whether he wished it or not, should have had his own lord.

The King, Queen, Princes and Nobles had serfs in Gori. There were also many ecclesiastical serfs in Gori. One part of the serfs had the serfs themselves and formed the wealthy city people. The representatives of the ruling class had a certain influence on the feudal life of Gori. They did not live in the town permanently, but together with the serfs, they had palaces, taverns, gardens etc. and they could not remain inactive of the events in the town, and naturally, they tried to intervene. The influence of the feudal aristocracy on the city life was insignificant, as Gori was the royal town, and the people could directly contact the central power. The King governed the town through the representatives of feudal lords; it is true that yet their power was limited.

The social strata of Gori population: merchants, artisans and peasants were imposed various taxes. The legislation of those days divided the taxes into two main parts: social (state and lordly) and ecclesiastical.

The whole town, as a rule, was imposed by the state tax, and then, the town chief distributed it among the town people, taking into consideration their social and property status. Class and interclass conflicts are clearly seen in feudal Gori. The population of the town was fighting for their rights. It often had conflicts with the town governor (Mouravi).

The Mouravi had permanently been from the Amilakhvari Family since XIV century.

When speaking about the anti-feudal struggle in Gori, we should take into consideration the fact, that it was directed not against the feudalism as a whole, but against the separate feudal lords or the representatives of the authorities, and participating in it were mainly merchants and artisans. The struggle of the privileged strata of the town`s population was comparatively organized. They were not satisfied with their rights. The most common type of struggle against the feudal lord was an appeal to the King with a complaint. There are cases with the escape and armed resistance.

Craft work was significantly developed in Gori throughout its existence.

Based on archeological materials, in the antique period the preference was given to the pottery: manufacturing roof tiles, bricks, waterspouts etc.

The craft work achieved high level in the feudal epoch in Gori. However, it should be noted, that Gori throughout its existence, before unification of Georgia with Russia, was more of a trade center than the center of craft.

Due to its favorable geographical position, Gori became a significant trade center. The materials, found on the Gori territory, speak about the trade relations of Gori in the antique period. The importance of the town, as a trade center was not the same in different periods. Its rise and fall were stipulated by either internal or foreign situation of the country. The Gori merchants played an important economic role in the whole of Georgia during the feudal epoch. They were involved in the international trade. The merchants traded and had their trading houses in Russia, Iran, North and East Transcaucasia. As it turns out, the Gori merchants reached India as well.

Usury was also developed in Gori. Representatives of all layers of feudal society lent and borrowed money: peasants, artisans, merchants, princes, members of the royal family and the King himself. Mostly the merchants, representatives of feudal nobles and the church were busy with the usury; peasants and artisans were seldom engaged in it.

Both the money and different things were given as a loan. The loan was often paid in kind with cereals and wine.

Gori was a royal town and it was governed by the officials appointed by the King. But, it did not prevent the King and feudal aristocracy to interfere in the process of town governing. Being in the town, the King would not miss the chance of interfering in the governing process, and he personally studied the legal cases. The similar activities of the King are well reflected in the writing sources from the times of King Irakli II.

The town`s bureaucratic apparatus was rather numerous and was mainly funded by the population. The governor of the town (Mouravi) was the senior official of the local government. He was appointed by the King and managed economic, administrative and legal cases. The governor of the town did not live in Gori.

The commandant, governor, monitor etc. occupied an important place in the process of governing the town.

Gori occupied a significant place in the political life of feudal Georgia; it was a center of voivodship (Sadrosho).

Gori was distinguished by the abundancy of churches: Georgian Orthodox, Armenian and Catholic. The sources give the possibility to restore the outer and inner look of some of them and localize them on the territory of the current town, define the estates, the income of some churches and to know what churches had what kind of privileges.

The situation of Georgian Orthodox churches in church hierarchy is extremely vague. It is difficult to determine who governed the Gori Georgian churches. The situation is getting worse with the fact that different churches had their serfs in Gori. They were also subjects to ecclesiastical figures of different ranks. The studied sources give the opportunity to state that the Gori Diocese was united into "Samtavro", and it was in charge of Archbishop, who had the same title of Gori Bishop.

There were the following Gori Orthodox churches: the Church of St. George the Victorious, the Church of the Assumption of the Blessed Virgin Mary, the Church of the Archangel, the Church of the Annunciation of the Virgin, Virgin Mary Cathedral in Gori, the Church of St. John the Baptist and also the Church of St. Queen Tamar.

Throughout many centuries the clergy of Armenian churches in Gori had privileges and freedom. They had an important economic power in the Kartli-Kakheti Kingdom. Based on the preserved information, there were the following Armenian churches in Gori: Virgin Mary Cathedral, the Church of the Assumption of the Blessed Virgin Mary, St. Stephen Church and the Church of the Resurrection of Christ.

The work of catholic missionaries in Gori is thoroughly studied in the monography, their relations with different classes and social layers of the feudal society, official church etc.

ГОРИ (ДО 1801 г.)
Резюме

Монография ставит целью изучение истории г. Гори с древнейших времен до 1801 года, т. е. до воссоединения картлийско-кахетинского царства с Россией, когда в связи с утратой независимости Грузии ослабла активная роль Гори в экономическом, политическом и культурном плане. Гори утратил важнейшую функцию – защиты страны. Таким образом, с начала XIX столетия в истории Гори, как и всей Грузии вообще, начинается новый этап.

На протяжении всего средневековья Гори был одним из важнейших городов Грузии и в связи с благоприятным стратегическим положением является сильным городом-крепостью. Поэтому, как свидетельствуют археологические материалы поселение здесь с древнейших времен, и крепость была воздвигнута еще в античную пору, хотя ее основателем считается традиционно Давид IV Строитель, т.е. основание крепости приписывают к первой четверти XII столетия.

Однако я считаю, что первым письменным источником является армянский нарративный источник – «История» псевдо Шапуха Багратуни, где автор, повествуя о событиях X столетия, дает ценнейшие сведения о Гори.

В монографии, опираясь на многочисленные нарративные и документальные источники, исследованы все основные моменты политической истории Гори, ее роль в картлийско-кахетинском царстве после распада единого грузинского царства. Резиденция картлийских царей часто была в Гори.

Гори отстраивался и разрушался (нередко в интересах самообороны самими грузинами) в течение веков. В основном же он подвергался нападению со стороны захватчиков.

Дошедшие до нас источники позволяют восстановить облик города феодальной эпохи, в частности, с ее оградой, улицами, площадью, базаром, дуканами, домами, кварталами, баней, мельницами. В Гори, так же, как в других феодальных городах, имелись сады и виноградники. В книге уделено много внимания восстановлению внутренней архитектуры Горийской крепости, системе водоснабжения и т.д.

Коротко говорится о кровно взаимосвязанной с городом Гори и важнейшей для горийцев церкви св. Георгия (Гориджвари), об истории ее построения и реконструкции в разные периоды ее существования. Крепостные этой церкви составляли значительную часть населения Гори.

Несмотря на отсутствие письменных источников, можно утверждать, что Гори был заселен уже в античную эпоху. Сведения о населении города Гори феодальной эпохи фрагментарны, поэтому представленная нами динамика населения города в разные периоды его развития носит приблизительный характер. Приблизителен и этнический состав населения Гори. Видно, что с начала XII века, наряду с грузинским, здесь имелось и армянское население, хотя и немногочисленное. Оно и впоследствии составляло небольшую часть по сравнению с коренным населением.

Можно сказать, что средневековый Гори, подобно другим городам Грузии, стал надежным убежищем для гонимых со своей родины армян.

Армяне имели возможность беспрепятственно продолжить свою национально-культурную деятельность и участвовать в политической, экономической и культурной жизни нашей страны.

В течение долгого времени, часть оторванных от своей родины армян, приобщившись к местной культуре, языку, обычаям, постепенно теряла характерные ей национальные черты и часто отличалась от Грузии лишь вероисповеданием. Имели место и обратные процессы – армянизация Грузии, однако, лишь с религиозной точки зрения, в остальном они оставались грузинами.

Множество горийцев по разным причинам покидали город и селились в других городах Грузии. Известно, что переселившиеся из Гори были в большинстве своем купцами. Причинами переселения, кроме частых набегов врага, были конфессиональная, а также существующая налоговая система. Но главной причиной оставался крепостной гнет.

Основную часть населения феодального Гори составляли купцы и ремесленники, находившиеся в крепостной зависимости. Обострившиеся в деревне крепостные взаимоотношения вынуждали купцов и ремесленников искать убежище в городе. Из села в город устремились также крепостные крестьяне. Поселившиеся в городе попадали под более «выносимый» кнут. Переселившийся из любового грузинского царства

крестьянин продолжал оставаться собственностью своего барина, который мог распорядится его судьбой по своему усмотрению. Были случаи, когда барину не было известно местонахождение своего крепостного, и тогда тот был для него недосягаем. Однако, создавшаяся в городах ситуация вынуждала купца и ремесленника самому искать защитника в лице местного барина. Итак, в Гори, также, как и в других феодальных городах, юридически и реально свободных производителей не существовало. Каждый по желанию и вопреки ему должен был иметь своего господина.

В Гори крепостными владели царь, царица, князья, дворяне. В Гори было также множество церковных крепостных. Часть крепостных сама обладала крепостными и составляла имущую часть горожан. На жизнь феодального Гори определенное влияние имели представители господствующего класса. Они жили в городе непостоянно, но, имея своих крепостных, обладали дворцами, дуканами, садами и т. д., не могли оставаться безучастными к событиям, происходящим в городе, и, естественно, старались вмешаться. Влияние феодальной аристократии на городскую жизнь было незначительно, так как Гори был царским городом, и граждане могли непосредственно связаться с центральной властью. Царь управлял городом через некоторых представителей феодалов, правда, власть феодала-чиновника была все же ограничена.

Социальное положение населения Гори: купцы, ремесленники, крестьяне облагались различными повинностями. Тогдашнее законодательство разделяло повинности на две основные части: светские (государственные и барские) и церковные.

Государственным налогом облагался, как правило, оптом весь город, а затем городской староста распределял его на горожан, учитывая их социальное и имущественное положение. В феодальном Гори хорошо видна классовая и внутриклассовая борьба. Население города боролась за защиту своих прав. Оно имело частые конфликты с правителем города (моуравом).

С XIV столетия моуравы почти неизменно были из рода Амилахвари.

Говоря об антифеодальной борьбе в Гори, нужно иметь в виду, что она была направлена не против феодализма вообще, а против отдельных феодалов, или представителей власти, и вней участвовали, в основном,

купцы и ремесленники. Сравнительно организованной была борьба привилегированных слоев городского населения, которая не довольствовалась своей правдой. Распространенной формой борьбы против феодала или феодала-чиновника было обращение к царю с жалобой. Встречаются случаи побега и вооруженного сопротивления.

На протяжении всего существования в Гори в значителной степени было развито ремесло.

В античную пору, исходя из археологических материалов, предпочтение оказывалось гончарному делу: изготовлению черепицы, кирпича, водосточных труб и т. д.

Ремесленное дело поднялось на более высокий уровень в эпоху феодального Гори. Однако, надо подчеркнуть, что Гори на протяжении своего существования, во всяком случае, до воссоединения Грузии с Россией, был более торговым центром, нежели ремесленным.

Благодаря своему благоприятному географическому положению, Гори с самого начала превратился в значительный торговый центр. О торговых взаимоотношениях Гори в античную эпоху свидетельствуют найденные на территории города материалы. Значение города как торгового центра, конечно, в разные периоды было неодинаковым. Его возвышение или упадок были обусловлены внутренним или внешним положением страны. Горийские купцы в эпоху феодализма играли серьёзную экономическую роль во всей Грузии. Они были вовлечены в международную торговлю. Купцы торговали и имели свои торговые дома в России, Иране, в северном и восточном Закавказье. Как выясняется, горийские купцы достигали и Индии.

В Гори было развито и ростовщичество. Отдавали и брали в долг представители всех слоев феодального общества: крестьяне, ремесленники, купцы, князья, члены царской семьи и сам царь. Ростовщичеством занимались в основном купцы, а также представители феодальной знати и церковь, реже крестьяне и ремесленники. В долг давали как деньгами, так и натурой. Часто возвращение долга с процентом производилось натурой: зерновыми и вином.

Гори был царским городом и управлялся назначенными царем чиновниками. Однако, это не исключало вмешательство царя и феодальной аристократии в управление городом. Находясь в городе, царь не упускал случая вмешаться в городское управление и даже лично разбирал суде-

бные дела. Подобная деятельность царя особенно хорошо отражена в письменных источниках со времен царя Ираклия II.

Городской чиновничий аппарат был довольно многочисленен и содержался в основном за счет населения.

Высшим чиновником местного управления был правитель города (моурави). Он назначался царем и ведал хозяйственными, административными и судебными делами. Правитель города не жил в Гори.

В городском правлении значительное место занимали комендант, городничий, староста и др.

Гори занимал значительное место в политической жизни феодальной Грузии, будучи ценром воеводства (Садрошо).

Гори отличался обилием церквей: грузинских православных, армянских и католических. Источники дают возможность восстановить внешний и внутренний вид некоторых из них, локализовать их расположение на территории нынешнего города, установить поместья и доходы некоторых церквей, а также установить какие церкви какими привилегиями обладали.

Положение грузинских православных церквей в церковной иерархии крайне неопределенно. Трудно установить, кто управлял горийскими грузинскими церквями. Положение осложняется и тем, что в Гори имели своих крепостных различные церкви. Они же подчинялись духовным лицам разных рангов. Изученные нами источники дают возможность утверждать, что горийская епархия была объединена в «Самтавро» и во главе ее стоял архиепископ, который носил также титул горийского епископа.

Горийскими православными церквями были: Георгия Победоносца, Успения Пресвятой Богородицы, Архангела, Благовещения Богородицы, Горийской Богородицы, Иоанна Крестителя, а также церковь Царицы.

В течение многих веков духовенство горийских армянских церквей обладало привилегиями и свободой.

Они представляли серьезную экономическую силу в картлийско-кахетинском царстве. Исходя из сохранившихся материалов, в Гори были следующие армянские церкви: Богородицы, Успения Богородицы, святого Стефана и Воскресения Христа.

В монографии подробно изучена деятельность католических миссионеров в Гори, их взаимоотношения с различными классами и социальными слоями феодального общества, с официальной церковью и т.д.

საძიებელი

პირთა სახელები

ა
აბაშისშვილი გორჯასპ 102
აბაშისშვილისი ქეთევანი 102
აბაშიძე ზურაბ 116
აბდალაძე ა. 35
აბდულა ბეგი 134, 139
აბელიანი მ. 35
აბესაძე ნ. 339, 533, 570
აბიბოსი 32-33
აბოვაი, ნარიკას შვილი 259
აბრამიშვილი ა. 535, 570
აბრამიშვილი ვ. 238
აბუაშვილი ლეილა 513, 517, 525, 530, 570
აბულაშვილი სულხანა 268
აგუსტინო ლივორნოელი 424
ადამი, თერძების მფარველი 312
ადამ ოლეარიუსი 410
ადუასშვილი ბართლომე 267
ავალიშვილი გულბათ 376
ავალიშვილი იოანე 389
ავალიშვილი პეტრე 365
ავალიშვილი ქაიხოსრო 376
ამბროსიო, ავგუსტინელი ბერი 412
ავეტიკა 258, 263
ავიტაბილე, მისიონერი 96, 98-99, 103, 190, 216, 257, 272, 281, 348, 351, 385, 389, 400, 409, 411, 413-420
ავთანდილა, მეწისქვილე 203
ავთანდილაშვილი ზალია 269, 361
ავთანდილაშვილი ფარსადანა 269
ავნია ბარას ძე 254
ავრანაშვილი, გორელი 260
აზატ ხანი 144
აზიზაშვილი აკოფა 324
ათანასე ალექსანდრიელი 557, 567
ათანასე ბერი 499, 551, 552, 559, 565,
ათანასიოსი 459, 550
აკოფა, სომეხი 260
აკოფა იზა 265
აკოფაშვილი გ. 430
აკოფა ფარემუზის შვილი 440
ალადათაშვილი ოთარა 269
ალადათაშვილი მურადა 269
ალადათაშვილი პაპა 269
ალადაშვილი გოგილა 366, 393
ალაზნელი ი. 209
ალადაშვილები 500
ალავერდაშვილი ქ. 214, 218
ალაპაშვილი პაპა 370
ალაშვილი ზალი 315
ალ-ეფენდი 76
ალექსი 254
ალექსანდრე ბატონიშვილი 158, 163, 287
ალექსანდრე I დიდი, ერთიანი საქართველოს მეფე 54, 71, 110, 171, 209, 265, 316, 337, 346, 438, 540, 553, 566
ალექსანდრე 14, 94, 96, 119, 186, 245, 567
ალექსანდრე გოლოვინი 557
ალექსანდრე მაკედონელი 20, 556
ალექსანდრე II, იმერეთის მეფე 63, 84, 238
ალექსანდრე IV, იმერეთის მეფე 109, 110, 196
ალექსანდრე I, რუსეთის იმპერატორი 394
ალექსი-მესხიშვილი ნ. 483
ალექსიშვილი იაკობი 300
ალექსიშვილი პეტრე 501, 505
ალექსიძე მარინა 11

ალიბეგი 78
ალიმბარაშვილი იოსებ 89, 469, 472, 480
ალიოზი, პატრი 433
ალი ფაშა 78
ალიხანა 270
ალიხანაშვილი გოდერძა 268
ამბროსიო დუშ ანჟუსი 95, 406-408, 410, 416
ამბროჯიო კონტარინი 8, 13, 16
ამილახვრები 35, 266, 267, 290, 345, 363, 497
ამილახვარი ავთანდილ 113, 358, 378
ამილახვარი აკ. 386
ამილახვარი ალექსანდრე 375, 376, 409, 410
ამილახვარი ამირანი 395
ამილახვარი ამირანდო 137, 143, 189, 297, 320, 342, 379
ამილახვარი ანდუყაფარ 111, 341, 378, 379, 381, 384, 497
ამილახვარი ბარძიმ 245, 378
ამილახვარი ბეჟანი 380
ამილახვარი გივი 37, 114, 124-127, 134-135, 137-141, 184, 193, 196, 342, 378, 380, 423
ამილახვარი გიორგი 168, 246
ამილახვარი დემეტრე 267, 309
ამილახვარი დიმიტრი 374, 378, 431, 434
ამილახვარი ზაალ 105
ამილახვარი თაყა 54
ამილახვარი იესე 290-292, 298, 371
ამილახვარი იოთამი 96, 105-107, 112-114, 233, 340, 341, 378
ამილახვალი იოსებ 363
ამილახვარი ნ. 435
ამილახვარი ნინა 483
ამილახვარი ოთარ 163, 165-168, 189, 198, 237, 238, 258, 260, 281, 284, 291, 293, 295, 344, 346-348, 353, 358, 364, 384
ამილახვარი პაატა 378
ამილახვარი რევაზ, გორის მოურავი 137, 139, 154-157, 162, 179, 180, 183, 223, 224, 225, 233, 291-292, 300, 342, 350, 358, 366, 381
ამირანაშვილი იოსებ 478, 484
ამირან სადის ძე 254
ამირაღაანთ ამირა 401
ამირაღაშვილი გაბრიელი 401
ამირაღაშვილი დოლმაზა 269
ამირაღაშვილი ზურაბი 294, 361, 401
ამირაღაშვილი თამაზა 269
ამირაღაშვილი იოსებ 358
ამირაღაშვილი ოჰაჯანა 269
ამირბარაშვილი ელიზბარა 260
გივია ამოვარდნილი 504
ზუბიტა ამოვარდნილი 504
ანთელავა ი. 372
ანანიაშვილები 540, 541, 544
ანანიაშვილი სფირიდონი 515-516, 543, 544
ანანიევი ქრისტეფორე 513, 515, 516, 544
ანასტასი ბერი 559
ანა ხანუმი 146-147, 197
ანგოლი, მისიონერი 419
ანდრია, მღვდელი 513
ანდრია, პატრი 434
ანდრონიკაშვილები 259
ანდრონიკაშვილი გიორგი 361
ანდრონიკაშვილი დავითი 361
ანდრონიკაშვილი თამაზ 134
ანდრონიკაშვილი თაყა 315
ანდრონიკაშვილი იოსებ 327
ანდრონიკაშვილი მერაბი 361

ანდრონიკაშვილი როსტომი 361
ანდრონიკე იაგრინი 538
ანიკიანი ნ. 35
ანნა, რუსეთის დედოფალი 564
ანუ დე ვიტერბი 426
არისტარხოს ბერი 559
ანტონ I, აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 145-146, 148, 195, 225, 392-393, 395, 431-432, 554, 566
ანტონ II, კათალიკოს-პატრიარქი 542
ანტონა ქართველი 433, 434
ანტონიო ძატა 11
ანტონიო ჯარდანა 416
ანტონიუსი 20
ანტონოვი ზურაბი 325
ანტონ ტრენტოელი, პატრი 431
ანჯერლო ვიტერბოელი 421
არაქელას შვილი ზურა 262
არაქელ ბაინდურას ძე 254
არაქელ მინასის ძე 254
არდაშელი 425
არსა ელ მუნიფ ხანი ოდა ბაში 254
არუთენა 270
არქანჯელო ლამბერტი 413-415, 417-419
არქიპო 461
არჩილ მეფე, 109, 234 296, 552, 565
არჩილ ვახტანგის ძე 28-30
არჩილ II 109, 110, 506
ასან ფაშა 117, 133
ასათიანი ლ 200, 430
ასატურაშვილი პაპინა 270
ასლანიშვილი გაბრიელ 430, 442
ასლამაზ-ხანი 135
ასტურაშვილი ავთანდილ 317
აღა მაჰმად ხანი 156-160, 258, 261
აღა მუსტაფა 222
აღა-სტეფანა 323-324
აშარმაშანაშვილი პაპია 323
აშარმაშანაშვილი ხაზარა 323
აშარმაშანაშვილი ხუდადა 320, 323
აჭარიანი ჰ. 35
ახობაძე მ. 315, 320, 321
აჯახანი 139
აჰმედ III 37, 125
აჰმედ აღა 221
აჰმედ ფაშა 71
აჰმუდ აბდალლაჰის ძე 254

ბ

ბაადურ ბეგი 330
ბაბალაშვილი ავთანდილი 261
ბაბალასშვილი გიორგი 361
ბაბა ხანი 161
ბაგრატ VI 339-340
ბაგრატი (გიორგიის ძე) 479
ბაგრატ IV 447, 452-453, 457-460, 473, 486, 499, 546, 549, 564-565
ბაგრატიონი თეიმურაზ 149,154
ბაგრატიონი იოანე 37, 44
ბაინდურაშვილი გაბრიელი 317
ბაინდურაშვილი გიორგი 330, 366
ბანო ბერას ძე 254
ბარამ დოლმაზის ძე 254
ბარათაშვილი ზაქარია 508
ბარათაშვილი თამაზ 111
ბარათაშვილი ქაიხოსრო 94, 234
ბარათაშვილი შადიმანი 93
ბარამის ძე 254
ბარამაშვილი გიორგი 269
ბარბაროს ჯოსაფატი 12, 58
ბართლომე სანჯულიანელი 424
ბარძიმ ერისთავი 134, 296
ბასილ არგიროსი 457
ბასილი II ბულგართმმუსვრელი 452, 455, 456

ბასტამაშვილი დათინა 269
ბაქარ მეფე 299, 554, 566
ბაქარი (ვახტანგის ძე) 464, 483
ბაქარ ბატონიშვილი 117, 118, 120, 121, 125, 128, 237, 504
ბაქრაძე დ. 169, 197, 226, 228, 232, 350, 469, 484
ბაღდად ზურაბის ძე 254
ბაღდასარი 254
ბაყათარი 44, 49
ბებურიშვილი გივი 133
ბეგისშვილი ჰუსეინ 106
ბენედიქტე 307
ბენო გორგიჩას ძე 254
ბეჟუას შვილი გოგია 299
ბეჟუას შვილი გოდერძა 299
ბერაძე გიორგი 331
ბერაძე დათუნა 262
ბერაძე ნასყიდა 315
ბერი ეგნატაშვილი 53, 66, 88, 107
ბერინაშვილი ხიზანა 267
ბერნარდო მარია ნეაპოლელი 421-422
ბერქა ყაენი 44
ბერუაშვილი ოთარა 269
ბერძენიშვილი ი. 48
ბერძენიშვილი მ. 438
ბერძენიშვილი ნიკო 16, 23, 31, 40, 304-305, 314, 383, 384, 391, 392, 455, 485, 506
ბესარიონ მთავარეპისკოპოსი 498, 542
ბეჟანი 139
ბიტაშვილი კაცია 268
ბოიაძეს შვილი ივანე 267
ბონი რობერტ 11
ბროსე მ. 223, 237
ბურთიკაშვილი ა. 450
ბურნაშევი ს. 174, 181, 223,
ბურჭულაძე ე. 105, 376, 378
ბუხნიკაშვილი გ. 109, 223, 225, 228, 231, 233, 234, 238, 242, 261, 278, 301, 335, 337, 341, 347, 349, 350, 358
ბუხუნაშვილი დათუნა 269

გ

გაბაშვილი ბესიკ 431
გაბაშვილი ეკატერინე 453
გაბაშვილი ვ. 253
გაბაშვილი ზაქარია 431-432
გაბაშვილი ტ. 391
გაბრიელ არცალიათუ 566
გაბრიელ გიორგის ძე 254
გაბრიელ დეკანოზი 459, 550, 565
გაბრიელ ეპისკოპოსი 564
გაბრიელ ისთაფანის ძე 254
გაბრიელ რუბენის ძე 254
გაბრიჩიძე მ. 363
გაბუნია ნატო 450
გაგარინი 77
გაეტანო კორლიტო 416
გარსევან დეკანოზი 487, 494, 500, 507-508, 551, 565, 566
გარსევანიშვილები 203, 447-449, 454, 458-460, 464-465, 473, 484-486, 498, 500, 502-503, 505, 519, 536-537, 540-542, 544, 565
გარსევანიშვილი ალექსანდრე 38, 228, 395, 450, 451, 454, 463, 467, 468, 486, 494, 499, 516-517, 520-522, 528-531, 535-538, 555, 563
გარსევანიშვილი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე 450, 537, 563
გარსევანიშვილი ალექსანდრე სვიმონის ძე 450, 509, 511, 518, 535-538, 545, 557, 567
გარსევანიშვილი ანდრია 465, 502, 508, 563
გარსევანიშვილი ანტონი 558

გარსევანიშვილი აპოლნარი 561
გარსევანიშვილი არკადი 560
გარსევანიშვილი ბართლომე 558
გარსევანიშვილი ბესარინ 560
გარსევანიშვილი გაბრიელ 558, 563
გარსევანიშვილი გარსევან 297, 502, 505, 510, 553, 554, 559, 561, 562, 563
გარსევანიშვილი გიორგი 563
გარსევანიშვილი გიორგი 390, 464-465, 501-509, 511, 554, 559, 563, 566
გარსევანიშვილი გოგია 563
გარსევანიშვილი გრიგოლი 465, 501, 505, 558, 560, 563
გარსევანიშვილი გრიგოლ გიორგის ძე 554, 558
გარსევანიშვილი გრიგორი 262
გარსევანიშვილი დავით 507, 508563
გარსევანიშვილი დავითა 297, 560, 562, 563
გარსევანიშვილი დემეტრე 509, 519, 541, 559, 560
გარსევანიშვილი დიმიტრი 563
გარსევანიშვილი დიმიტრი გიორგის ძე 511, 560, 563
გარსევანიშვილი ევსტათი 262
გარსევანიშვილი ელზა 434
გარსევანიშვილი ელისაბედი 451
გარსევანიშვილი ეპიფანე 262
გარსევანიშვილი ერასტი 558
გარსევანიშვილი ვასილი 563
გარსევანიშვილი ზაქარია 559, 561, 563
გარსევანიშვილი ზენონ 561
გარსევანიშვილი თამაზ 507, 508563
გარსევანიშვილი თეოდოსი დიმიტრის ძე 450, 560
გარსევანიშვილი თეოდორე 558, 559, 563
გარსევანიშვილი თეოდოსი 519, 563
გარსევანიშვილი თეოფანე 558, 559, 562
გარსევანიშვილი თეოფილე 262
გარსევანიშვილი თეოფილაქტე 560
გარსევანიშვილი თომა 560, 563
გარსევანიშვილი იაკობი 188, 508-509, 511-512, 514-530, 541, 543-544
გარსევანიშვილი იასე იაკობის ძე 467, 512-530, 531-535, 537, 543, 544, 554, , 556, 567
გარსევანიშვილი იესე 269, 390, 449-451, 462-463, 487-489, 502, 503, 508, 509, 511, 553, 561, 262
გარსევანიშვილი იესე გარსევანის ძე 510-511, 563
გარსევანიშვილი ივანე 519, 563
გარსევანიშვილი ილარიონ 561
გარსევანიშვილი ილია 563
გარსევანიშვილი იოანე დემეტრეს ძე 450, 561
გარსევანიშვილი იოანნე 558
გარსევანიშვილი იოსებ 561, 563
გარსევანიშვილი იოსებ გარსევანის ძე 555, 558
გარსევანიშვილი კირილე 558
გარსევანიშვილი კონსტანტინე 559
გარსევანიშვილი კონსტანტონე 561
გარსევანიშვილი ლავრენტი 560
გარსევანიშვილი ლეონ 558
გარსევანიშვილი მაკარი 559
გარსევანიშვილი მაკარი 560
გარსევანიშვილი მალხაზი 563
გარსევანიშვილი მამუკა 507, 563
გარსევანიშვილი მარკოზ 561, 562

გარსევანიშვილი მარკოზ 502, 540, 560, 561
გარსევანიშვილი მატათია 559
გარსევანიშვილი მელანია 520
გარსევანიშვილი მიხაილ 561, 563
გარსევანიშვილი ნესტორ 450, 558, 560
გარსევანიშვილი ნიკიფორე 558
გარსევანიშვილი ნიკოლაოზ 558, 563
გარსევანიშვილი ნიკოლოზი 502, 508
გარსევანიშვილი ოთარ 563
გარსევანიშვილი ონისე 554
გარსევანიშვილი ონოსიმე 505, 510, 563
გარსევანიშვილი პავლე 558, 562
გარსევანიშვილი პანტელეიმონ 560
გარსევანიშვილი პეტრე 392, 509, 541, 559, 563
გარსევანიშვილი პლატონ 558, 563
გარსევანიშვილი-რობაქიძე ანასტასია 537
გარსევანიშვილი პროკოფი 561
გარსევანიშვილი როინ 562
გარსევანიშვილი საბა 502, 563
გარსევანიშვილი სამსონ 562
გარსევანიშვილი სეხნია 563
გარსევანიშვილი სვიმონ 269, 501, 502, 517, 558, 561, 563
გარსევანიშვილი სოზონ 563
გარსევანიშვილი სოლომონ 558, 563
გარსევანიშვილი სოფია 520
გარსევანიშვილი სოფრონი 558, 561
გარსევანიშვილი სტეფანე 558, 562
გარსევანიშვილი ტარასი 561
გარსევანიშვილი ტეტია 189, 297
გარსევანიშვილი ტიმოთე 560
გარსევანიშვილი ფილიმონ 545-546, 558
გარსევანიშვილი ფილიპე 558
გარსევანიშვილი ფოტი 558, 559
გარსევანიშვილი ქეთინო 451
გარსევანიშვილი ნიკანორ, მხედრი 559
გასპარ გაბრიელის ძე 254
გასტალდი ჯაკომო 10
გაჩეჩილაძე თ. 463
გენება იოჰანის ძე 278
გვაზავა ანდრია 495
გვასალია ჯ. 32-33
გვრიტიშვილი დავითი 23, 30, 31, 33, 41, 48, 66, 96, 97, 136, 140, 165, 168, 171, 193, 211, 241, 246, 268, 294, 296, 308, 311, 333, 346, 347, 350, 353, 354, 357, 377, 384, 395, 396, 399, 407, 410, 413
გივი, წისქვილის პატრონი 203
გივინაშვილი გოდერძა 268-269
გივი რამაზის ძე 254, 278
გილაშვილი გრიგოლ 266
გილაშვილი სეხნია 266
გიორგი 161, 166-167, 188, 237, 497
გიორგი I 546, 564
გიორგი II, იმერეთის მეფე 71, 452, 477-479
გიორგი III, ერთიანი საქართველოს მეფე 40, 92, 258-259, 551
გიორგი IV ლაშა 42
გიორგი V ბრწყინვალე 50, 177, 212
გიორგი VI, იმერეთის მეფე 116-117
გიორგი VII, ერთიანი საქართველოს მეფე 52, 54,
გიორგი VIII, ჯერ ქართლის მეფე, შემდეგ კახეთისა 55-56, 62, 339

გიორგი IX, ქართლის მეფე 65-66
გიორგი X, ქართლის მეფე 91, 316, 548
გიორგი XI, ქართლის მეფე 17, 109-133, 115, 173, 268, 316, 317, 481, 482, 495
გიორგი XII, ქართლ-კახეთის მეფე 110, 161-162, 165, 181, 293, 301, 307, 436
გიორგი ბატონიშვილი 69, 156, 376, 483, 500, 504, 566
გიორგი განმგებელი 559
გიორგი ერისთავი 391, 400
გიორგი ერისკაცი 559
გიორგი ვახტანგის ძე 464
გიორგი იმერთა მეფე 548
გიორგი კედერნე 453
გიორგი მთაწმინდელი 161
გიორგი რუსი 38, 40-41
გიორგი ქართველი 454-455, 546
გიორგიშვილი როსტომი 308
გიულდენშტედტი ი.ა. 174, 223, 433
გლურჯიძე ლუარსაბ 133
გოგებაშვილი იაკობ 434
გოგიბასშვილი სიმონ 267
გოგიბასშვილი ტოხელ 315
გოგოლაძე დ. 282, 284, 291, 334
გოგოლაძე თ. 228
გოდერძი 188
გოდერძი ჯურჯი 254
გოზალიშვილი გ. 491, 438
გოლიცინი 467
გორგასალი ვახტანგ 28,
გორგოჩა ავთანდილა 278
გორგიჯანაშვილი 178
გორგიჯანიძე ალექსი 426
გორგიჯანიძე გიორგი 104
გორგიჯანიძე ესტატე 426
გორგიჯანიძე მექინი 426
გორგიჯანიძე მირიჯანი 426
გორგიჯანიძე ფარსადან 14, 45, 66, 68, 72, 96-97, 101, 105, 107-108, 111, 182, 187, 191, 194, 196, 199, 215, 232, 395, 396, 400, 401, 402, 426, 456,457, 471, 472
გოჩა, სპასპეტი 89
გოჩაშვილი გიორგი 107, 234
გოჩიძე ბერიკა 262
გოცირიძე ბ. 134, 223, 244, 277, 490
გრაფინია ტოლსტოი 483
გრიგოლ ეპისკოპოსი 539
გრიგოლ ზურაბის ძე 556, 567
გრიშაშვილი ი. 153, 255
გუგუშვილი ჰ. 194, 284
გუგუშვილი პ. 244, 306, 307, 314, 323, 430
გულიშამბარაშვილი გაბრიელა 269
გურამიშვილი დავით 14. 122-123
გურგენი 34
გურგენიძე მიხაილ 531, 535
გურიელი სვიმონ 102, 186, 418

დ

დადიანი დავით 517, 524-530, 556, 564, 576
დადიანი ვამიყ 109
დადიანი ლევან II 95, 96, 98, 102, 103, 251, 386, 418, 477-480, 496, 512, 517
დადიანი ლევან V 524
დადიანი თამარი 521
დადიანი მანუჩარ I 479
დადიანი ნ. 116
დავიდი ი. 62
დავით არჩილის ძე 159
დავით ბატონიშვილი 56, 197, 280, 306, 355
დავითაშვილი დავით 258-259

დავით ბატონიშვილი 56, 197
დავით გიორგის ძე 159
დავით დიმიტრის ძე 46-47
დავით ლეონის ძე 556
დავით ფარსადანის ძე 254
დავითი, გიორგი XII-ის შვილი 165-168, 192, 200, 233
დავით II, იმერეთის მეფე 158-159
დავით IV აღმაშენებელი 28, 31, 35, 39, 42, 170, 256, 302, 313, 474
დავით VII ანდრონიკე 336
დავით VII ულუ, ერთიანი საქართველოს მეფე 42, 44-45
დავით VIII, ერთიანი საქართველოს მეფე 49
დავით X, ქართლის მეფე 63, 65, 265
დავით დეკანოზის შვილი 559
დავით მარქარი 312
დავითიშვილი ზაალ 294, 332
დავითიშვილი შ. 332, 334, 335, 338
დავით ქსნის ერისთავი 268
დავრეშაშვილი პეტრე 189, 297-298
დავრეშაშვილი ფარსადანა 269
დავრიშ ბეგი 133
დავრიჟეცი არაქელ 87, 93, 214
დათუაშვილი ხოჯართბეგ 319
დალაქი ზურაბა 268
დამიანე, ბერობაში ქართლის მეფე დავით X 66
დამიანე, პატრი 439, 442
დამიანე ვიარენჯიელი, პატრი 441
დარეჯან დედოფალი 160-161, 203, 234, 259, 263-264, 284, 305-307, 363, 402, 412, 435, 506
დანიელ ეპოსკოპოსი 539
დარდანელი 564
დაუდ ხანი 69, 71, 73, 74, 96-97
დეკანოზიშვილი ვ. 331, 332
დერჟავინი ნ. 151, 152, 310-312,
დიაკვნიშვილი ფარსადანა 266, 269
დიაკვნიშვილი ფირბუდახა 266
დიაკვნიშვილი შერმაზანა 266
კლაპიტონ, დიაკონი 559
ევდემოზ I დიასამიძე, აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 419
დიასამიძე დიმიტრი 231, 295, 349-350, 352-353
დიასამიძე ელიზბარ 376
დიასამიძე იოანე 349, 353
დიასამიძე ტეტია 349, 353
დიმიტრი ეშიკაღაბაში 144
დიმიტრი არხიმანდრიტი 559
დიმიტრი ერისკაცი 554, 566
დიმიტრი (დემეტრე) II თავდადებული, საქართბელოს მეფე 46
დიოკლეტიანე, რომის იმპერატორი 242
დოლმაზა 320, 330
დოლმაზ რამაზის ძე 254
დომენტი III, აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 261, 265-266
დომენტი IV, აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 117-118, 392, 464, 482, 485-487, 505-506
დონაშვილი პეტრე 463, 500
დონდორაშვილი ფარსადანა 266
დონ გაბრიელ ასლანიშვილი, პატრი 429
დონ პიეტრო ავიტაბილე 8, 96-101, 103, 189, 190, 216, 218, 257, 272, 282, 316, 348, 349, 351, 386, 389, 400, 409-411, 413-420, 444, 575
დონ პიეტრო დელა ვალე 411, 414

დონ ჯაკომო დი სტეფანო 412
დოროთეოს II, აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 265
დოსითეოს II, იერუსალიმის პატრიარქი 481
დრენიაკინი 17, 228
დუმბაძე მ. 169, 455, 575
დუსტირაშვილი ოსეფა 269

ე

ეგაძე პეტრე 517
ევა, თერძების მფარველი 312
ევსტათი ეპისკოპოსი 559
ევსევი ეგზარქოსი 488, 531, 533
ეკატერინე II, რუსეთის იმპერატორი 518, 520, 555
ელენე დედოფალი 76, 91, 109, 159, 196, 209, 447, 458-460, 462, 474, 476, 478, 486, 549, 564, 565
ელიზბარი 159, 188, 497
ელიზბარ ერისთავი 106
ელჩიბეგაშვილი ბაინდურა 396
ელჩიბეგაშვილი დათინა 396
ემიდიო, პატრი 442
ემინ აღა 71
ენგულაშვილი ღვთისავარა 269
ენდრონიკაშვილი დავითი 357
ენდრონიკაშვილი მანუჩარი 262, 309
ენდრონიკაშვილი მერაბი 262
ენდრონიკაშვილი სუხინა 309
ენუქ მარქანი, ჭონების მფარველი 312
ერეკლე ბატონიშვილი იხ. ერეკლე II
ეპიფანე ერისკაცი 559
ერმოლოვი ა. პ., რუსეთის ჯარების მთავარსარდალი საქართველოში 19
ერეკლე I 109-111, 113-115, 195, 267, 289-290, 341, 343, 508
ერეკლე II 37, 110, 139, 140-141, 143-147151, 153, 155, 157-161, 165, 179, 180-181, 183, 186, 197, 198, 203, 205, 223, 224, 226, 228-233, 237, 255, 259, 279, 281, 283-284, 289-290, 295, 297, 300-301, 315, 320, 324-326, 333, 347-352, 357, 359, 365, 366, 371, 381, 401, 403, 429, 432-434, 438, 439, 465, 511, 520, 542, 543, 552, 565
ერთიერაშვილი სოლაღა 260
ერისთავი გ. 195, 467,
ერმაკოვი დ. 463
ესტატე ბადოს ძე 254
ეფრემი, მღვდელი 513

ვ

ვალადემურიშვილი ფეროზი 62
ვარამაშვილი ნოდარ 26
ვართანას შვილი გიორგი 262
ვარლამ ერისთავი 395
ვარძელაშვილი შ. 239
ვასილი (ვლადიმირი) 546, 564
ვასილიევსკი იონა 516-517
ვასილი მესანიეოსი, „ყოვლისა ხელობის მცოდნე“ 559
ვახტანგ II, აღმოსავლეთ საქართველოს მეფე 46-47
ვახტანგ III, საქართველოს მეფე 519
ვახტანგ IV, ერთიანი საქართველოს მეფე 54-55
ვახტანგ V შაჰნავაზი, ქართლის მეფე 109, 193, 196, 234, 237, 308, 364, 367, 370, 423, 425, 472, 480
ვახტანგ VI, ქართლის მეფე 29, 115-122, 126, 128, 173, 196, 236,

246, 305, 329, 375, 377, 409, 458-460, 462, 464, 469, 476, 481-484, 486, 498, 500, 502, 504-506, 508, 510, 546, 549, 551, 553-554, 565-566
ვახუშტი ბატონიშვილი 8, 15, 29-31, 41, 43, 45, 48, 53, 57, 59, 73, 83, 85-88, 97, 111, 117, 119, 120, 124, 134, 170, 172, 174, 185, 196, 204, 215, 229, 236, 246, 257, 375, 383, 385, 459, 460, 479, 480, 495, 499, 504
ვახტანგ ბატონიშვილი, ერეკლე II-ის ძე 165, 432
ვესან ხანი 254
ვეფხუაშვილი ხეჩატურა 265
ვინჩენცო კარიფა 416
ვირშელი 51
ვიტსენი ნ. 173
ვიქტორ მიხეილის ძე 50
ვონგონდი ჟილ რობერტ დე 11
ვორონოვი ნ. 94

ზ

ზაალ ერისთავი 107-108
ზალიშვილი თაყა 269
ზაქარაშვილი გიგუა 268
ზაქარია არქინმანდრიტი 513
ზაქარია, აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კათალიკოს 414
ზაქარია მწიგნობარი 559
ზედგენიძე ზევდგინი 54
ზედგენიძე ავთანდილ 55-56, 61, 171, 337-339, 346
ზედგინიძე თაყა 337
ზედგინიძე იოთამ 435
ზილ ჰიჯე 221
ზოია დედოფალი 546,564
ზუბალაშვილები 259, 429, 442
ზუბალაშვილი ანდრია 324
ზუბიაშვილი გაბრიელა 269
ზუბალაშვილი გიორგი 324
ზუბალაშვილი დავითი 52
ზუბალაშვილი ესტატე 262
ზუბალაშვილი იაკობი 327
ზუბალაშვილი ივანე 324
ზუბალაშვილი კონსტანტინე 442
ზუბალაშვილი ლევანი 324
ზუბალაშვილი მერაბი 324
ზუბალაშვილი სტეფანე 442
ზუბალოვი ანდრია 439, 440
ზუბალოვი იოსებ 441
ზურაბ, გორის მამასახლისი 158, 224
ერისთავი ზურაბ 95
ზურაბ ესტატეს ძე 254

თ

თავდგირიძე ბესარიონ 489
თავზიშვილი გ. 453
თავზიშვილი მ. 195
თათრიშვილი ბერუა 268
თამაზ გორჩიას ძე 254
თამაზ ხანი 127
თამარ მეფე 18, 29, 38, 235, 390, 393, 396, 459, 460, 463, 468, 470, 473, 485, 499, 487, 500-501, 510, 541, 543, 550, 551, 553-554, 565, 566
თამარაშვილი მიქელ 95, 98, 99, 101, 105, 119, 157, 172, 188, 196, 216, 283, 316, 317, 356, 385, 404, 405, 408-412, 415, 418, 420, 423-425, 427-420, 432-437, 440, 442, 444, 445, 464, 481-484, 569, 575
თარეშა 320
თარხნიშვილი ნოდარ 26
თაურინელი გიორგი, პატრი 433
თაქთაქიძე ამუნ 376

თაყა, მოლარეთუხუცესი171,
თაყა თუმანიშვილი 203,
თაყაიშვილი ექვთიმე 55, 238, 245, 246, 252, 336, 374, 447, 469, 476, 478, 479, 480, 487, 575
თაყინაშვილი ბეგთაბეგ 482
თაყინაშვილი გაბრიელა 269
თაყინაშვილი ზაალი 401
თაყინაშვილი მელიქ ფარსადანა 294, 401
თაყინაშვილი ფარსადან 269, 356, 362
თაყინაშვილი ფეშანგი 269
თეთრაძე გიუნა 496
თეიმურაზ ბაგრატიონი 414
თეიმურაზ ბატონიშვილი 165
თეიმურაზ I, ქართლის მეფე 92. 94-95-105. 107. 139. 182. 187. 196. 234, 260, 265, 340, 377, 399, 406-408, 411-414, 416, 417, 444
თეიმურაზ II, ქართლის მეფე 134, 137-144, 146-147, 174, 199, 205, 209, 262, 282, 297, 320, 342, 365, 373, 377, 381, 392, 430, 431, 438, 465, 506, 507, 555, 567
თემურაშვილი გაბრიელა 269
თემურლენგი 52, 61, 172, 212, 214
თვარაძე ალ. 9, 575
თეოდოს III, აფხაზთა მრფე 36
თეოფილაქტე არქიეპისკოპოსი 514, 516
თოგოშვილი გ. 48-51, 575
თოროზაშვილი რეზო 98
თუთაევი ა. 72 536
თუთარა 254
თუთასშვილი ბაღდასარა 330
თულაევი ლევანი 433
თუმან მჭედელი 278
თუმანიშვილები 194, 201, 202, 259, 270, 271, 275, 296, 297, 315, 322-324, 327, 331, 364, 376, 401-404
თუმანიშვილი ავთანდილი 179
თუმანიშვილი ალ. 175
თუმანიშვილი ალხაზა 322, 330
თუმანიშვილი გივი 202, 249, 252, 351
თუმანიშვილი გიორგი 317
თუმანიშვილი გოგია 331
თუმანიშვილი დავითი 331
თუმანიშვილი ეგნატე 188, 200-201, 404
თუმანიშვილი ზურაბი 357
თუმანიშვილი თაყა 357
თუმანიშვილი მამუკა 323
თუმანიშვილი მანუჩარ 202. 293. 296. 308. 323-324. 331. 397
თუმანიშვილი ნიკოლოზი 331
თუმანიშვილი პაპუნა 187, 200-201, 404
თუმანიშვილი პატარკა 332
თუმანიშვილი სულხანი 197, 324, 331-332
თუმანიშვილი ჯიმშიტა 202
თურმანიძე სულხან 86
თუხარელი შალვა 376

ი

იაზიკოვი ნიკოლაი 152, 174
იაკობ დეკანოზი 555
იაკობ მდივანი 559
იაკობისძე სვიმონ 518
იაკობი, „შემოდგომელი“ 539
იაკოფ ფარემუზი 439
იასაღჩი შვილნი 504
იასე, ვახტანგ VI-ის ძმა 122-123
იასე ქსნის ერისთავი 105-106
იაჰია ბეგი 223
იაჰია ანტიოქიელი 457

იბრაჰიმი, ბაქარ ვახტანგVI-ის ძე 125
იბრაჰიმ ფეჩევი 72, 76, 77, 79, 576
იერონიმე კარაფა 416
იერონიმე ნორჩელი, პატრი 431
იესე ალიყული ხანი 117-118
იესე დეკანოზის ძე 532
იესე ერისკაცი 555, 566
იესე მდივანბეგი 383
იესე მთარგმნელი 559
იესე, მღვდელი 555, 567
იესე ქსნის ერისთავი 268
იესო ქრისტე 209
ივანე 155
ილარიშვილი ე. 60, 90
ილია ბატონიშვილი 534
ილია ზედამხედველი 559
ილჰაჯ აჰმედ 221
ილჰაჯ იბრაჰიმი 222
იმამყული ხანი 138
იმნაიშვილი რ. 463
ინგოას შვილი ღვთისავარა 319, 322
ინდუას შვილი გოგია 267
ინდუას შვილი შიო 267
ინოკენტი, პაპი 552, 566
იოანე ბატონიშვილი 160, 181, 539
იოანე ეპისკოპოსი 539
იოანე მახარებელი 461, 483, 493
იოანე ნათლისმცემელი 466
იოანე პალეოლოგოსი 552, 566
იოანე ხუცესი 496
იონა ეგზარქოსი 544
იორდანაშვილი ბასილა 268
იოსებ II 157
იოსებ ანტონიო რომაელი 424
იოსებ რუსთველი 148,
იოსელიანი პლატონ 77, 161, 163, 486, 488
ირაკლი ბატონიშვილი 534
ირაკლი კეისარი 547, 552, 564, 565
ირბახი ნიკიფორე 102
ისაია მგალობელი 559
ისაყ-ფაშა 123
ისიდორე მიტროპოლიტი 467, 489, 552, 566
ისმაილ I, ირანის შაჰი 64, 66, 88
ისქანდერ მუნში 67, 68, 92, 93, 101, 215 217, 576
ისჰაკ ფაშა 133, 201, 217, 219, 221, 387
იუზბაში აბდალლაჰ 278
იულიუს კეისარი 556, 567
იულონ ბატონიშვილი 159-162, 165, 168, 315, 363
იულონი 166-167
იუსტინიანე დიდი 466
იუსტინიანე I, ბიზანტიის იმპერატორი 547, 548, 564
იუსუფ ბეგი 201, 219, 387
იუსუფ-ფაშა 123

კ

კაკაბაძე ს. 66, 267, 338, 375, 379, 380, 395, 410, 470, 571
კალანდაძე ა. 246
კანალე ჯუზეპე 12
კაპანაძე თეიმურაზი 24
კარბელაშვილი ა. 126
კარბელაშვილი პ. 381, 393, 396, 397, 400, 402, 403, 405, 568, 576
კარლო, პატრი 422-444
კასრაძე დ. 26
კასტელი, ქრისტოფორო დე 100-101, 169, 180, 191, 195-196, 208-210, 215, 216, 226, 400, 408, 412, 415, 419, 416, 420, 444, 575, 578

კაჭახიძე ბ. 470
კაჭკაჭიშვილი მანუჩარა 268-269
კაჭკაჭიშვილი მიქელ 362
კეზელი დავით ივანეს ძე 242
კეკელიძე კ. 486
კეკელიძე მ. 146, 170, 176, 179, 180, 185, 189, 191, 226, 577
კენთელაძე ივანე 262
კეცხოველი ნ. 305
კიკნაძე ვ. 430
კიკნაძე რ. 45, 46, 61, 426,, 577 456
კირიონ II, საქართველოას კათალიკოს-პატრიარქი 490
კირილე II, აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 391, 586
კირილე მთავარეპისკოპოსი 429, 445, 508-509
კლაპროთი ი. 174-175, 179, 191-192, 194, 196, 198-199, 226-227, 385, 395
კლაუდიო, მორჩილი ძმა 420
კლემენტე გალანო 420
კლეოპატრე 20
კლიმიაშვილი აკ. 386
კნორინგი, მთავარსარდალი საქართველოში, გენერალი 17, 162-163, 166, 168, 306
კრიჟანგიშვილი ყაზარა 269
კოვალენსკი, სოვეტნიკი 162
კონსტანტი, აფხაზთა მეფე 35
კონსტანტინე 57, 59, 528
კონსტანტინე II, ქართლის მეფე 36,54-55 61-63, 120-123, 125, 128, 265
კონსტანტინე VIII, ბიზანტიის იმპერატორი 452, 455, 546, 564
კონსტანტინე XI პალეოლოგოსი, ბიზანტიის იმპერატორი 553, 566
კონტარინი ამბროჯიო 8, 13, 16, 17, 172, 213, 347
კოპალიანი ჯ. 341
კოპინოვი ზაქარია, დიაკვანი 531
კოტოშაძე თანდილა 262
კოშუაშვილი კ. 361, 363
კოხტაშვილი პეტრე 537

ლ

ლაზარევი პ. 110, 162-163, 167-168, 198
ლაზარესშვილი ბარნაბე 267
ლალასშვილი პაპუნა 315
ლამბერტი, პატრი 420
ლარაძე, მღვდელი 432
ლევან ბატონიშვილი 324, 425
ლევანი, თეიმურაზ I-ს ძე 94, 225
ლევან კახთა მეფე 68, 265
ლელუას შვილი გაბრიელი 333
ლელუკაშვილი ოთია 266
ლეონი 162
ლეონიძე გ. 485, 486
ლეონარდო პატრი 432
ლეონ მეფე 553
ლიკლიკაშვილი ჩერქეზა 269
ლობჟანიძე მამუკა 260
ლომასშვილი გლახა 267
ლომასშვილი გოგია 267
ლომსაძე შ. 482
ლომოური ნ. 247, 467
ლოპომანი ნასყიდა 419
ლორთქიფანიძე ბ. 13
ლუარსაბ I, ქართლის მეფე 66-68
ლუარსაბ II, ქართლის მეფე 92-93, 106-107, 157, 162. 260. 354. 548
ლუდოვიკო XII, საფრანგეთის მეფე 556
ლუკა 419

მ

მაგუ ამირადათ ალავერდა 322
მათე, მღვდელი 559
მაკალათია სერგი 7, 8, 21, 39, 60, 90, 199, 201, 256
მალაჩი 141
მამა აბრამი 313
მამასახლისი გოდერძა 497
მამაცაშვილი ზაქარია 517
მამაჯანაშვილი გივი 269
მამაჯანაშვილი ზაქარია 401
მამია გურიელი 117
მამისთვალისშვილი ე. 57, 65, 71, 82, 102, 128, 131, 251, 291, 413, 429, 482, 538, 578, 579
მამისიმედი ზოსიმე 496
მამნიაშვილები 267
მამუკა 127
მამუკა დეკანოზი 496, 497, 507
მამულას შვილი ბერუა 262
მამულას შვილი ბეჟუა 262
მამულას შვილი მანუჩარა 320, 322
მამულაშვილები 267
მანუჩარ II, სამცხის ათაბაგი 64-65, 71,75, 82
მანუჩარ ბანუას ძე 254
მარკვარტი ი. 35
მარიამ დედოფალი 102, 103, 106, 108-109, 186, 234, 264, 305, 306, 320, 354, 359, 377, 396, 418, 419, 453-455, 457, 507, 546
მარია ჯოვანი 58
მარიო კორონელი, პატრი 440
მარიუსი პატრი 442
მარკოზი დეკანოზი 463, 487, 497, 507
მარკოზი მიტროპოლიტი 553, 566
მასმალაშვილი მურადხანი 263
მატეო ფლორინო 416
მაფერაშვილი ბეჟანა 331
მაღალაშვილი 515
მაჩაბელი ს. 312
მაჩაბელი ფარსადან 158
მაჭარაძე გოგია 272
მახარაშვილი ბერუა 267
მახარაშვილი გოგია 267
მახარაშვილი თევდორე 267
მაჰმუდ ხანი 82
მგალობელი დიმიტრი 393, 542
მგალობლიშვილი ს. 22, 70, 71, 101, 131, 167, 195, 209, 214, 236, 242, 245, 305, 306, 317, 325, 327, 330, 331, 334, 336, 436, 468
მგელიაშვილი გიორგი 269
ზურაბი, მდივანი 140
სულხანი, მდივანი 363
მდივნისშვილი დათა 269
მეგრელიძე ი. 236
მეზვრის შვილი გიორგი 504
მელაძე ლ. 428
მელიქოვი აში 324
მელიქსეთბეგი ლეონ 248
მელქისედეკ, კათალიკოს-პატრიარქი 455-457
მერაბაშვილი ზურაბა 269
მესხი თამარი 29, 448, 455, 459, 460, 462, 467, 468, 473, 474, 483, 486, 487, 579
მესხია შოთა 30, 151, 448, 180, 190, 213, 214, 231, 260, 290, 309, 310, 312, 335, 342, 346, 350, 355, 356, 361-364, 367, 369, 384, 387, 389, 417
მეტრეველი ე. 390-392
მეფისაშვილი ზალინა 315
მეღვინეთუხუცესოვი დიმ. 221, 468
მეწუღიშვილი გოდერძა 269
მეჰმედ ფაშა 72, 74, 75, 126

მეჰმედ III, ოსმალეთის სულ-
თანი 90
მეჰმედ ყული ხანი 121,124
მილთონი 318-319
მილოტი, აბატი 525-526, 556, 567
მინდიაშვილი გოგი 26
მირიანაშვილი გივინა 269
მირიანაშვილი გიორგი 269
მირიანაშვილი თამაზა 269
მირიანი 161
მირიან მეფე 552, 565
მიქაელ მთავარანგელოზი 460,
461, 473-475, 486
მიქელაძე პიეტრო 78
მიხაილ მწერალი 559
მოგვრეის შვილი დემეტრე 267
ნათანზი მოინ ადდინ 52
მორდენი რობერტ 10
მროველი ლეონტი 15, 32, 33
მროველი ნიკოლოზ 251-252
მუანე ჟან-პიერ 10
მუმეიზი? 136
მუნდარაშვილი დავითა 260
მუნჯის შვილი მირაქა 330
მურად III, ოსმალეთის სულ-
თანი 84
მურადიანი პ. 256, 400
მურავიოვი ანტონ 8, 150-151,
174, 255
მურავიოვი ალექსანდრე ნიკო-
ლოზის ძე 465-468
მურავიოვი ნ.მ. 465, 466
მურავო ფრა. 9
მურალიშვილი თამაზა 270
მურვანიშვილი ქაიხოსრო 157
მუსტაფა ფაშა 124
მუშრიბის შვილი ნასყიდა 319, 322
მუშრიბის შვილი ოსეფა 319, 322
მუჭაშვილი დავითა 269
მუხრანბატონი 268
მუხრანბატონი ვახტანგ 107
მუხრან-ბატონიშვილი 159
მუხრანბატონი იოანე 283, 296
მუხრან-ბატონიშვილი დომენტი
389
მუხრან-ბატონიშვილი
კონსტანტინე 374
მუჰამედ მოციქული 219
მუჰამედ ხუდაბანდა 69
მუსტაფა ლალა ფაშა 70-71, 76, 214
მღებრიშვილი ა. 246, 247

ნ

ნადიმაშვილი სერგო 536
ნადირ შაჰი 133-135, 137, 141, 143,
222-223
ნაზარ ბადას ძე 254
ნაკაშიძე რ. 456, 457
ნასყიდა მოქერის ძე 254
ნეზამ ად-დინ შამი 53, 212
ნესტან-დარეჯანი 91, 316, 390
ნესტან-დარეჯანი (ლევან II ის
მეუღლე) 480
ნეტარი ავგუსტინე 210
ნიკოლოზი პატრი 437
ნიკიფორე ირბახი 413
ნიკოლოზი, მთავარეპისკიპოსი
188
ნოდარაშვილი სარუხანა 320
ნოზაძე ბეგლარი 479
ნონიაშვილი შერმაზან 504
ნურალა, ახალციხიდან გადმო-
სახლებული 258

ო

ოდა ბაში 254
ოთარ დათუნას ძე 254
ოლჯაითუ ყაენი 49
ომანიშვილი გოგია 300
ომარაძე თამაზა 269
ომარ ხანი 158, 163
ონოფრიო ტფილელი, პატრი 440

ორბელიანი გრიგოლ 146, 407
ორბელიანი დათუნა 269
ორბელიანი დიმიტრი 363
ორბელიანი ზაალ 144, 148
ორბელიანი პაპუნა 136, 142, 146, 374, 412-414
ორბელიანი სულხა-საბა 428
ორბელიანი ქაიხოსრო 373
ოსინაშვილი ქაიხოსრო 269
ოსმან ფაშა 77-78, 126
ოტია, მარიამ დედოფლის ვაჟი 108, 139, 186
ოტიაშვილი ივანე 268
ოქრომჭედლიშვილი ალექსა 269
ოქროპირ ბატონიშვილი 534
ოქროპირიძე ნუნუ 362
ოხუზიშვილი ფაფინა 376
ოჰანჯანაშვილი ისაია 362

პ

პავლე, ოქროპირ ბატონიშვილის ვაჟი 167
პავლე მოციქული 556, 567
პავლიაშვილი დ. 308
პავლიაშვილი ქ. 438
პაისიოს მთავარეპისკოპოსი 394, 397, 473, 508, 511, 541-544, 555, 567
პანინი გრაფი 178, 433
პანინი ნ.ი. 150-151
პაპისიმედი ი. 36, 62, 68, 81, 98, 134, 141, 206, 218, 238, 240, 288, 302, 303, 359, 362
პაპუნა იარალის შვილი 262
პარკაძე გ. 346
პარმენ, მხატვარი 559
პატაშვილი ნასყიდა 268, 273
პედრო დუშ სანტოში 408
პერესლანი პატრი 437
პეტრე I, რუსეთის იმპერატორი 554, 567
პეტრე ბასოს ძე 254
პეტრეს შვილი ზეინალა 331
პეშელი კარლო 409
პიეტრო დუშ ანჟუსი 95, 410, 416
პირადოვი დ. 342, 343
პლუტარქე 524, 527, 556, 567
პოლიკარპო ნეაპოლელო 421
პრასკოვია უვაროვა 466-469, 484

ჟ

ჟამთააღმწერელი 42, 44-46, 48-50, 177, 573
ჟორდანია გ. 431, 434
ჟორდანია თ, 393, 395

რ

რაინენგსი ი. 174
რამაზას შვილი გივიბეგი 319, 322
რაფაელ პარმელი 421 ,424
რაჯაბა 156
რაჰიმიზადე იბრაჰიმ 80
რესან ხანი 254
რეჯებ ფაშა 123, 124
რიშარი ჟან 118-119
რომანოზ ერისთავი 391, 392
რომანოზი, ქართლის მთავარეპისკოპოსი 391, 392
რომანოზ II 546, 452, 453, 454, 456
რომანოზ III არგაროსი 457, 459, 464-465, 473, 500, 546, 547, 549, 550
როსტევანიშვილი ესტატე 269
როსტევანიშვილი ფირალა 269
როსტევანიშვილი ფრიდონა 269
როსტომაშვილი სტეფანა 331
როსტომ გაბრიელის ძე 254
როსტომი, ქართლის მეფე 96-97, 99-109, 172-173, 182, 185, 186, 196, 202, 209, 215, 218, 229,

233-234, 266, 286, 308, 320, 322, 340-342, 354, 369, 377, 379, 380, 384, 386, 896, 399-400, 416, 419, 518-519
როსტომ I, იმერთა მეფე 462, 470, 479, 553
როტიე 188, 404, 440
რუი გონსალეს დე კლავიხო 9, 581
რუსუდანი, ვახტანგ VI-ის მეუღლე, დედოფალი 116-118, 237, 464
რუსუდან დედოფალი (გიორგი II ის მეუღლე) 479

ს

საბა 555
სააკაძე ბეჟან 109, 111
სააკაძე გიორგი 92, 94, 97, 100, 259
სააკაძე ზურაბ 108, 234
სააკაძე როსტომ 216
სააკაშვილი მანუჩარა 267
სააკოვი იოსებ 439, 440
საკაშვილი ერეკლე 205
საკაძე იოსებ 92, 480
სამსონაშვილი დავითი 531
სანასარაშვილი ქიტესა 269
სანსონი ნიკოლა 10-11
საფარაშვილი პ.კ. 443
სარაჯი მღთისა 272
საფარ ფაშა 85, 105
საფარას შვილი მერაბი 262
საყვარელიძე არსენ 292
საძაგლიშვილი გიორგი 239, 490, 492
სევასტიუსი მიხითარი 513
სეიფ ად დოულე 12
სელიმ I, ოსმალეთის სულთანი 65
სერაფინე მალთელი 429
სერაფინო ფილენჯიერი 416
სერაფინო და მელიკოლა 421
სეფი ხანი 133-134
სიმენდასშვილი სამნია 315
სვიმონი, ვახტანგ VI-ის უმცროსი ძმა, ქართლის გამგებელი 116, 183, 555
სვიმონ I 67-70, 72-73, 75, 79-80, 83-85, 87, 89-90, 92, 97, 193, 214, 265, 316, 348, 398, 399, 462, 464, 468-472, 479, 485, 487, 507, 519, 536, 553
სვიმონ II ქართლის მეფე 451
სიმონ ხანი 94-95
სმედაშვილი ივანე 267
სოლომონ მსაჯული 544
სოლომონ
სოლომონ I. იმერეთის მეფე 17, 148-149, 152-153, 155-156, 159
სოლომონ II, იმერეთის მეფე 154, 159, 162167
სოლოდაშვილი იესე 292
სორსო (გიორგი VII) 9
სოსიაშვილი გ. 37, 428
სოფრონ ეპისკოპოსი 540
სოფრონ მიტროპოლიტი 553, 566
სტალინი ი.ბ. 180, 185, 195, 343
სტეფანე ამელიელი 424
სტეფანო 411
სტეფანოზი 28, 466
სტრაბონი 11, 25, 556, 567
სულიაშვილი დ. 213, 216
სულხან საბა ორბელიანი 118, 119, 190, 271, 287, 308, 410, 428
სულხანიშვილი ბარხუდარა 269
სულხანიშვილი ი. 73
სუმბატ დავითის ძე 453
სუმბატ მეფე 34
სუმბატ, სომეხთა მეფე 36
სუმბაძე ლ. 13, 195, 229
სუხოტინი 152
სფირიდონი, მღვდელი 543

ტ

ტათევაცი გრიგოლ 171
ტატიანი თაქთაქ 376
ტატოანთ ოთარა 322
ტელემახოსი 528
ტერ-აკოფა 333
ტერ-არუთინა 403
ტერ-ასატურაშვილი არაქელა 324
ტერ-ბარსეღა 403
ტერ-გრიქორა 403
ტერმინასა ხუცესი 269
ტერდავითაშვილი კარაპეტა 269
ტერ-მოვსენიანი მ. 35
ტერ-მოსესაშვილი ზურაბი 331-332
ტერ-სააკა 401-403
ტერ-სტეფანე 317
ტერტერა 92
ტერ-ყაზარა 317, 401, 403
ტიუჩევი 151
ტლაშაძე იესე 122, 123, 189
ტოტლებენი 149-152
ტულუკაშვილი დავითი 246, 481
ტუჩკოვი 167
ტყეშელაშვილი გოგია 260

უ

უვაროვა პ. 385, 467, 469, 484
უთურიშვილი ი. 315
უმეკასშვილი 495, 500-501
უზუნ ჰასანი 17, 55, 57, 60, 62, 171,
ურბან VIII 408, 411, 424, 429
ურჰაეცი მათეოს (ურჰაელი მათე), 35, 39,
170, 256, 313
უსუფ ფაშა 134, 140

ფ

ფავლენიშვილი კაცია 159
ფავლენიშვილი ნინია 283
ფათალი ხანი 138
ფალავანდიშვილი ელიზბარი 296
ფალავანდიშვილი ერასტი 123
ფალავანდიშვილი პაპუნა 425
ფარემუზი იაკობი 439-440
ფარნაოზ ბატონიშვილი 160, 164, 165, 167
ფარსადან 126, 203
ფარსადან ბაბუნის ძე 254
ფარსადან ბეგი 426
ფარსადან ბეჟანის ძე 254
ფარსადან ზაალის ძე 254
ფარსადანი მელიქი 282
ფარუჰან ბეგლარბეგი 103
ფეიქრიშვილი უ. 174, 443
ფერაშავგიშვილი ოთარ 487
ფერაშანგიშვილი სტეფანე 487
ფერჰად ფაშა 76, 78-80, 82, 218
ფიზდურასშვილი ობოლი 268
ფილიმონ დეკანოზი 485
ფილიპე ეპისკოპოსი 429
ფილიპე მაკედონელი 556, 567
ფილიპე ფორანელი 440
ფილიპე პატრი 442
ფოცხვერაშვილი ქიტუა 267
ფოცხვერაშვილი ღთისა 267
ფრანჩესკო ანტონიო 438
ფრანჩესკო დ'აპრილე 411
ფრანჩესკო მარია ტორინელი 421
ფრანჩესკო მაჯო 420
ფრანჩესკე პადუელი 437
ფრანჩისკე, გაკათოლიკებული გორელი 409
ფრანჩისკე მონტეკატინელი 424
ფრანჩისკე პიემონტელი 424
ფრა ფერიდე მარია და სელინო 428
ფრიდრიხ II 409
ფსევდო-შაპუჰი 34-37, 177, 212
ფუთურიძე გიორგი 129, 184
ფუთურიძე ვლ. 474
ფურცელაძე დ. 484

ქ

ქავთარაძე როსტომი 376
ქათიბ ჩელები 78
ქაიხოსრო 106, 112, 114, 116
ქაიხოსრო მანუჩარის ძე 254
ქალბალი ხანი 160
ქამალაშვილი ამირანი 308
ქამალაშვილი მირიან 193, 317
ქამალაშვილი ფასინა 308
ქაცხაშვილი გაბრიელა 268-269
ქაცხაშვილი ივანე 268
ქეთევან დედოფალი 94, 405-407
ქერდიყოშვილი ო. 280
ქერიმ ხანი 138
ქერუბიმე პატრი 442
ქეღათუ 46
ქეშიშ მინასი ნასყიდას ძე 254
ქირია ჯემალი 26
ქისაშვილი ბერი 390
ქისაშვილი ხოსია 390
ქიტესა 157
ქიქილასშვილი გოგინა 268
ქიქოძე თ. 10
ქობულაშვილი ხვაბულოვი 149
ქრისტეფორე
    მთავარეპისკოპოსი 501
ქრისტეფორე, მღვდელი 559
ქრისტეფორე ურბნელი 508
ქუდირჯიაშვილი გიორგი 272
ქუთათელი მაქსიმე 149

ღ

ღალაძე ამილბარი 263
ღამბარანთ ბერია 330
ღამბარაშვილი ამირანა 269
ღამბარაშვილი გრიგოლ 494, 509
ღამბაშიძე ნ. 214, 218

ყ

ყაზან ყაენი 49
ყარახანი 72-73
ყასუმა ბეგი 142
ყაუხჩიშვილი თ. 12, 25, 200, 585
ყაუხჩიშვილი სიმონ 8, 29, 30, 452, 584
ყაფლანიშვილი ზაალ 333
ყაჭია შემაზა 267
ყვარყვარე 9
ყვარყვარე II, სამცხის ათაბაგი 55-56, 60, 64
ყვარყვარე III, სამცხის ათაბაგი 64-65
ყვარყვარე IV, სამცხის ათაბაგი 74
ყორხმაზაშვილი გაბრიელა 269
ყოჯა ხანი 138
ყულარაღასი გიორგი 179, 383

შ

შაბურისძე ვამიყ 230
შანიძე ვ. 55
შანშე ერისთავი 49, 134, 135
შაორშაძე მ. 392
შარაფ ად-დინ 53, 134, 213
შარდენი ჟან 16, 172, 173, 178, 190-191, 194, 217, 314,327, 426, 427
შატბერაშვილი პაპუნა 357
შაჰ აბას I 85, 87, 92, 94, 95, 97, 211, 214, 405, 548
შაჰ თამაზი I 66-68
შაჰ თამაზ II 120, 123
შაჰნავაზი, ვახტანგ V 260, 308, 313, 362, 468, 470
შაჰ სეფი 97, 209, 215
შაჰ სულეიმანი 482
შენგელია ნ. 130, 253
ოქრუა, შიოშას შვილი 267
შველიძე ზ. 329
შიხინაშვილი სულხანა 268-269
შოშიაშვილი ბერუა 267
შოშიაშვილი გიორგი 267

ჩ

ჩაგვიაშვილი ივანე 270
იბრაჰიმი ჩავუში 81
ჩარტორისკი 438
ჩარჩიშვილი გოდერძა 269
ჩელები ზადე 120
ჩერქეზიშვილი ნიკოლაოზ 539
ჩერქეზიშვილი ქაიხოსრო 134
ჩეატურაშვილი ბაღდასარა 261
ჩიტია გ. 127
ჩოლოყაშვილი გივი 134
ჩოლოყაშვილი ნიკიფორე 419
ჩოლოყაშვილი ნიკოლოზ (ნიკიფორე ირბახი) 413, 418
ჩლოყაშვილი ქაიხოსრო 258, 263
ჩორნი იეჰუდა 61
ჩუბინა ნიკოს ძე 254
ჩუბინიშვილი დ. 420
ჩუბინოვი დავითი 532
ჩხეიძე ნიკოლოზ 389
ჩხეიძე სეხნია 127, 196, 222

ც

ცაგარეიშვილი ე. 35-36
ცაგარელი ა. 61, 70, 222
ცალქალამანიძე გიორგი 262
ცალქალამანიძე დავითი 262
ცალქალამანიძე ნიკოლოზ 262
ციცერონი 556, 567
ციციანოვი პ. 110, 410
ციციშვილი კირილე 392, 540
ციციშვილი ნოდარ 105-106, 315
ციციშვილი პავლე (ციციანოვი) 437-439
ციციშვილი ფარსადან 86, 101, 289, 355
ციციშვილი ქაიხოსრო 115
ციციშვილი ციცი 111
ცოტნიაშვილი მ. 76

წ

წატურაშვილი ოსია 309
წატურაშვილი პაპიჯანა 269
წატურაშვილი როსტომა 270
წერეთელი ალექსანდრე 521, 525
წერეთელი გრიგოლ 513, 517, 521-528
წერეთელი დიმიტრი 521
წერეთელი ზურაბი 512, 521, 525
წერეთელი სამსონი 521
წმ. გიორგი 229, 233, 235-238, 242-244, 246, 429, 477, 483
წმ. დიმიტრი 477, 483
წმ. პეტრე 415, 444
წმ. სილიბისტრო 429

ჭ

ჭავჭავაძე ი. 14, 35, 449
ჭარუა 270
ჭიჭინაძე ზ. 146, 247, 259, 324, 327, 473, 481-484
ჭონაშვილი არუთინა 504
ჭონაშვილი ზალუა 504
ჭუკასშვილი მამულა 315
ჭუჭუნაშვილი ვახტანგ 234

ხ

ხანფერვანი ანნა 555
ხარაზი გლახა 267
ხაჭაპურიძე გ. 130, 317, 344, 345, 351, 356, 372, 373, 375
ხერხეულიძე ომან 140, 161, 178
ხეჩატურაშვილი ბაღდასარა 258
ხიზანიშვილი ს. 164, 187
ხითარაშვილი ბაირამა 269
ხითარიშვილი გოგია 331
ხითარიშვილი დანიელა 268
ხითარიშვილი ზაზა 202
ხითარიშვილი ზურაბ 294, 361
ხითარიშვილი პაპუა 268
ხითარიშვილი ფეშანგ 109

ხითარიშვილი ტერ-რასტაკისა 331, 403
ხოსრო მირზა 98
ხოსრუაშვილი გიორგი 315
ხოშტარია ე. 101
ხოჯაბეგაშვილი დათუნა 269
ხოჯაბეგაშვილი ზურაბა 269
ხოჯაბეგაშვილი ნაზარა 269
ხოჯა-ბეგთ დათუნა 322
ხოჯაშვილი ხუდადა 185, 261, 265
ხუბუა მ. 200
ხუდადაშვილი ბაღდასარა 269
ხუნდაძე ტ. 168
ხუციშვილი ი. 344, 345, 350, 352
ხუციშვილი ოქრუა 267
ხუციშვილი მ. 29, 52, 104, 149, 465
ხუციშვილი საჰამარა 322
ხუციშვილი სოლომონ 233

ჯ

ჯავახი ელია 273
ჯავახი შალუტა 268, 273
ჯავახიშვილი გაბრიელი 55, 339
ჯავახიშვილი გამრეკელ 340
ჯავახიშვილი ზაზა 55
ჯავახიშვილი ზაქარია 55
ჯავახიშვილი თ. 50, 141
ჯავახიშვილი ივანე 33, 64, 77, 79, 98, 230, 249, 250, 417, 430, 473
ჯავახიშვილი კახა 55
ჯავახიშვილი მარიხ 315
ჯავახიშვილი შანშე 330
ჯავახოვი (ჯავახიშვილი) ა. 46, 57, 84, 94, 99, 132, 194, 274, 289, 299, 309
ჯაკომო პატრი 216
ჯანაშვილი მ. 68, 229, 469, 484
ჯანაშია სიმონი 23
ჯანდიერი გ. 389
ჯანელიძე დ. 216
ჯაოშვილი ვ. 251
ჯარდინა პატრი 420
კასალიკი 457
ჯაფერ ფაშა 85, 90
ჯაშინას შვილი ბეჟან 322
ჯაშინაშვილი როსტომა 269, 322, 330
ჯაყელი მანუჩარი 89
ჯაყელი სარგის 43
ჯებეჯი ბაში 221
ჯეჰან შაჰი 55
ჯაკომო დი სტეფანო 411, 412, 417
ჯოვანი 419
ჯოსაფატ ბარბარო 171
ჯუანშერი 28-30
ჯუდიჩე პატრი 420
ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი 413-414, 418-419
ჯულაბაშვილი ავთანდილა 269
ჯულაბაშვილი ბაღდასარა 331
ჯულაბაშვილი გოდერძა 269, 318
ჯულაბაშვილი დავით 199-200, 297, 320
ჯულაბაშვილი თამაზა 269
ჯულაბაშვილი პაპუნა 199-200, 285, 294, 297, 318-320, 332
ჯულაბაშვილი ლ. 209
ჯულფელი სიმეონ 513
ჯუმა ნამაზი 219-220
ჯუსტინო ლივორნოელი 421, 424
ჯუსტო პრატო 99, 100, 102, 105, 413, 416
ჯუღაშვილი ბ. 400

ჰ

ჰაზირ კუსურველის ძე 254
ჰაირაპეტა 261
ჰაიროსეფაშვილი ბაზაზა 324
ჰამერი ი. 122-123
ჰასან ეფენდი 82

ჰასან რუმლუ 65, 68
ჰასან ფაშა 78, 81
ჰაჯი-ჩალაბი 144
ჰეიდარ ფაშა 76, 82
ჰერაკლე 29-30
ჰეროდოტე 526, 556
ჰოჰანესი 171
ჰოსამ ას-სალთანე 12
ჰუსეინ ბეგი 71

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ა

ადიგენი 442
ავლაბარი 132, 306
ავსტრია 79, 432
ავღანეთი 482
ავჭალა 137, 145
აზერბაიჯანი 13, 70, 160
აზია 547
ალაზანი 158
ალაგირი 19
ალამუთის ციხე 88
ალეპო 105
ალი 16-17, 173,, 258, 273
ამერიკა 13
ამიერკავკასია 313
ანანური 143, 145, 223
ანატოლია 459
ანისი 39-40, 170, 256, 313
ანტიოქია 454, 553, 566
არაგვი 52, 107, 139, 141, 160, 223, 233
არადეთი 16, 95
არბო 199, 382, 428
არდაშენი 124
არზრუმი 14, 71-74, 79
არმაზი 14, 23
არმაზციხე 211
არმენია 52, 61
არტანი 156
არტანუჯი 14
არღუნი 42-43
არცევი 105
ასირია 547, 564
ასპინძა 126, 150, 377
ასტრახანი 317-319, 401
ატენი 17, 106, 145, 193,, 272, 302, 394, 495
ატენის ციხე 67, 106
ატენის ხეობა 16, 18, 67, 123, 156, 510, 553, 566
აფხაზეთი 23, 34, 116, 546
აჩაბეთი 139
აწყური 16, 151, 199, 377
აჭარა 14
ახალგორი 40, 106-107, 145, 375
ახალდაბა 16, 43, 85, 146, 182, 315, 377, 511
ახალქალაქი 74, 126
ახალციხე 14, 16, 110, 128, 133-135, 140, 150-151, 153-154, 156, 158, 217, 234, 258, 375, 377, 432, 434

ბ

ბაგინეთი 23
ბებნისი 135
ბელოთი 382
ბერბუკი 127, 182, 500-501
ბერშუეთი 382
ბიზანტია 29, 452, 456
ბირთვისის ციხე 94
ბიჯნისი 125
ბოლნისი 286, 504
ბორჯომი 43, 375, 377
ბორჯომის ხეობა 42, 128
ბრიტანეთი (ბრეტანია) 556, 567
ბურეთი 316

გ
გალია (ღალია) 556
განჯა 68, 80, 127-128, 133, 148, 317
გარდატენი 67, 315
გარეჯვარი 201, 459, 495, 500, 550, 551, 565
გენუა 13
გერი 428
გერმანია (ღერმანა) 363, 556, 567
გველეთი 297, 320
გილანი 49, 318-319
გოლგოთა 481
გომბორი 12
გორი 6, 7, 8, 9...
გორისა 248
გორის ციხე 21, 26-28, 74, 76-77, 79, 81-83, 86, 89, 100, 102, 112-113, 121-122, 125, 127, 132, 143, 144, 150, 161, 163, 167, 184, 201, 208, 210, 212-234, 302, 387, 465, 507, 536
გორიჯვარი 88-89, 170, 197, 199, 201, 235-238, 164, 247, 248
გურია 61, 103, 116, 209, 420
გურჯისტანი 173

დ
დამპალა 183
დარიალი 12, 149, 152
დარუბანდი 45, 318
დვაკეთი 14-15, 20, 92
დიდი ლიახვი 382
დირბი 135, 144, 307, 382
დმანისი 45, 76, 78, 84, 214
დოესი 92
დომინიკა 419
დონის მონასტერი 391
დუშეთი 14, 18, 120, 135, 150, 167

ე
ეგვიპტე 20-21, 547, 564
ეგრისი 36
ერევანი 17, 128, 133
ეჩმიაძინის ეკლესია 267

ვ
ვანათი 382
ვანი 79
ვარდისუბანი 185
ვარიანი 18, 96
ვარძია 377
ვატიკანი 404
ვენეცია 13, 16, 61, 78, 347, 553
ვერეს მთა 316
ვერეს ციხე 67
ვარშავა 409
ვილაეთი 76
ვსესვიატკოე 506

ზ
ზაგემი 10
ზედაველა 122, 123, 159
ზედაველას მთა 289, 316
ზემო რეხა 495
ზემო ქართლი 375, 377
ზერტი 199, 262
ზნაური 375, 381
ზოვრეთი 106
ზუგდიდი 528
ზღუდერი 291

თ
თავრიზი 87, 318-321, 368
თამარაშენი 158
თბილისი 10-11, 13, 16-19, 58-59, 68, 70, 72, 79, 81, 115, 119-120, 123, 127-128, 130, 131, 133, 135, 143, 151, 158, 162, 167, 173, 178, 182, 200, 203, 206, 214,

217, 221, 232, 255, 259-261, 265, 279, 287, 313, 330, 371, 391, 393, 409-410, 419, 421-423, 425, 483, 486, 499, 510, 552, 553, 555, 566, 567
თედოწმინდა 18, 122, 140, 178, 206,
თურქეთი 18-19, 181, 184,
თევდოწმინდა 511, 537
თელავი 158, 167, 371, 465
თეძმის ხეობა 313
თიანეთი 57
თმოგვი 377
თრიალეთი 16-17, 125, 128, 314, 377

ი

იაროსლავი 510, 554
იბერია 21, 25, 210,
იერუსალიმი 91, 95, 390, 391, 454, 482, 553, 566
ივერია 466
იკონია 547, 564
იკორთა 104, 126, 134
იკორთის ეკლესია 267
იმერეთი 10, 18-19, 45, 61, 80, 83, 89, 92, 95, 98, 102, 106, 109-110, 114, 119, 121, 141, 148-149, 154, 156, 158, 159, 163, 167, 181, 184, 196, 234, 258, 273, 314, 373, 395, 416, 420, 422, 468-469, 471, 479-480, 512, 514, 521, 548
ინდოეთი 299, 314, 317
ირანი 63-64, 66, 75, 77, 96-97, 100, 102, 115, 118, 127, 128, 135, 138, 141, 159-161, 216, 217, 237, 313, 314, 397, 412, 426
ისანი 552
ისნის სასახლე 486, 499
ისპაჰანი 17, 97-98, 108, 117, 134, 318, 408, 410, 412
იტალია 12-13, 102, 105, 416-417, 420, 552, 566

კ

კავთისხევი 145
კავკასია 10, 314, 318, 426
კარალეთი 122, 146, 370, 403
კარნისი 426, 427
კასპი 11-12, 27, 375
კასტელის ქუჩა 194
კაფა 419
კახეთი 10, 12, 28, 44, 57, 65, 68, 74, 104, 106, 108, 124-125, 128, 134, 139, 140-141, 147-148, 153-154, 156, 168, 306, 314, 373, 427
კვაისი 313
კვერნაქი 537
კიმკიმაური 495
კლდეკარი 313
კლდის უბანი 183
კოლბოური 16
კონსტანტინოპოლი 40, 316, 420, 432, 452-455, 457, 460, 539, 546, 564
კოხტა 148
კუერნაქი 170, 186

ლ

ლამისყანა 160
ლეხურა 27
ლიახვი 8, 16, 18-19, 27, 29, 30, 33, 36, 52, 86, 122, 140, 149, 154, 158, 170, 180, 185, 202, 207, 225, 227, 229,, 409, 481, 499, 551
ლიდია 547, 564
ლივა 131-132
ლიხის მთა 44
ლორე 17, 73, 78, 128, 133, 167, 214
ლუკაონია 547, 564

მ

მამისონი 19
მარაბდა 94
მარტყოფი 57
მარჯანიშვილის ქუჩა 194
მაშათი 318
მესხეთი 316
მეტეხი 107-108, 143,
მეშჰედი 319
მეჯვრისხევი 90, 126, 151, 302, 382
მეჯუდა 8, 18, 29, 33, 36, 180, 181, 225, 226, 409, 599, 550-551, 565
მთაწმინდა 267
მთიულეთი 199
მოზდოკი 317
მოსკოვი 209, 391, 507, 510, 531
მოხისი 16, 66
მტკვარი 8, 30, 36, 86, 92, 170, 206, 207, 214, 235, 408, 459, 499, 550-551, 565
მუხათგვერდი 69
მუხრანი 14, 18, 48, 52, 74, 104-105, 107-108, 110, 127, 151, 160, 181, 184, 223, 231, 377, 382, 403
მცხეთა 11, 14, 21, 25, 29-30, 66, 117, 137, 145, 160, 183, 212, 395

ნ

ნაწალკოტარი 185
ნაწრეტი 160
ნაჭარმაგევი 14, 41, 459, 599, 550, 565
ნახჩევანი 160, 163, 410

ო

ოდიში 418, 480
ოზურგეთი 259
ონი 313, 433
ოსეთი 15, 19, 115,
ოსიაური 44
ოსმალეთი 13, 37, 63, 64, 66, 72, 75, 80, 83, 84, 90, 94, 109-110, 119, 121, 125, 128, 148, 149, 157, 251, 314, 318, 326
ოფშკვითი 470
ოქონა 447, 459, 460, 463, 466, 474, 475, 499
ოქონის ეკლესია 316, 390, 397, 466, 473, 484, 486, 492-495, 498, 500, 507-508, 510, 514, 535, 553, 555, 566-567
ოღოზი 258, 273

პ

პართია 21
პატიზი 10
პატარა გარეჯვარი 501
პატარა ლიახვი 382
პეტერბურგი 161
პიზა 13
პროპაგანდა ფიდე 430, 445

ჟ

ჟინვანი 45, 160, 230,

რ

რამათი 126, 184
რაჭა 60
რეშთი 318, 319
რეხა 32-33, 273, 495, 500, 501
რინჯე 182
რომი 21, 101, 247, 414, 416, 421-422, 424, 433, 436, 437, 444, 539
როსთომი 185
რუისი 16, 122, 140, 170, 274, 495, 500, 501, 504, 511, 537
რუისის ეკლესია 299
რუსეთი 6, 17, 94, 98, 109-111, 120, 146, 149, 153, 154, 157, 160, 162,

170, 196, 302, 314, 318, 409, 431, 437, 505, 552, 554, 566

ს

საბარათასშვილო 305, 377
საბერძნეთი 548, 552, 553, 565, 566
საგურამო 57
საზანო 16
სათარხნო 306
სამაჩაბლო 382
სამეგრელო 61, 116, 216, 418, 420, 426, 525
სამთავისი 160
სამთავრო 392, 393
სამცხე 9, 16, 52, 55, 64, 75, 89, 107, 125, 133, 314, 480, 481
სამცხე-ჯავახეთი 149
სამწევრისი 16, 186
სამხრეთ ანატოლია 547, 564
სანიაჟორი 289
სარაფანი 317
სარდა 211
სარკინე 11
საფრანგეთი 119, 432, 478
საფურცლე 411
საქართველო 6, 8, 9, 10...
საციციანო 106, 126, 231, 377, 510, 553, 566,
საცხენისი 382
საჯავახიანო 510, 553, 566
სვენეთი 273
სვეტიცხოველი 265, 316, 367, 377
სირია 78
სიღნაღი 158, 162, 167, 255, 371
სკანდა 10, 12, 16
სკრა 16, 146, 330, 425
სკრის მთა 316
სომხეთი 13, 39, 57, 107, 211, 286, 377, 566, 553, 465, 510
სომხით საბარათიანო 314, 373
სორსანია 9
სოხუმი 14, 439
სპარსეთი 11-12, 70, 88, 98-99, 209, 211, 216, 326, 412, 548
სტამბოლი 85, 90-91, 318, 409, 547, 564
სტეფანწმინდა 320
სულუხი 183
სურამი 12, 14, 16, 43, 65, 103, 139, 140, 150, 151, 153, 155, 165, 167, 173, 233, 377
სურამის უღელტეხილი 313
სხვილო 138, 141, 377

ტ

ტანას ხეობა 16
ტაშისკარი 16,43
ტბეთი 125
ტიბი 19, 94
ტინისხიდი 16, 144, 206, 315, 425
ტრაპიზონი 442
ტონთიო 29, 30, 468, 487, 500, 552, 565
ტუნლუზალო 46
ტფილისი 42, 57
რყვიავი 73

უ

უდე 442
ურარტუ 212
ურბნისი 16, 27, 140, 504
ურიული 289
ურიცხი 315
უფლისციხე 18, 27, 28, 35-37, 39, 154, 199, 212,
უჯარმა 29

ფ

ფაზისი 12
ფარსადანის დასახლება 186
ფარცხისი 90

ფერარა 538-540
ფინიკია 547
ფლორენცია 538-540, 552-553, 566
ფოთი 14, 153, 535
ფონთხელა 160
ფრონეს ხეობა 460
ფშანი 202, 207
ფცა 44
ფხვენისი 125

ქ
ქათამაური 495
ქარელი 16, 375, 382, 383, 416, 420, 422, 428
ქართლი 12, 46-49, 64, 68-69, 83, 89, 104, 109, 114, 120, 124, 129, 133, 136, 138, 141, 147-148, 150, 156, 167-168, 195, 223, 251, 305, 314, 347, 373, 395, 402
ქართლ-კახეთი 6, 437
ქვათახევის მონასტერი 267
ქვემო ქართლი 377
ქვიშხეთი 99, 126
ქიზიყი 163
ქორდი 125, 382
ქრცხინვალი 142, 144,
ქსანი 49, 51, 74, 103, 106-107, 135, 139, 143, 145, 159, 174, 198, 223, 343
ქუთაისი 10, 14, 16, 55-56, 151, 209, 259, 422-423, 442, 459, 535

ღ
ღართისკარი 286
ღვთისმშობლის ეკლესია 566, 567
ღულევი 135

ყ
ყაბარდო 19
ყაზბეგი 14
ყაიყული 305
ყარაბაღი 96, 281
ყარაღაჯი 159
ყარსი 74, 79
ყელქცეული 135
ყიზლარი 297, 317, 318, 320
ყირიმი 376
ყოვლადწმინდას დასახლება 186
ყორნისი 426

შ
შავშვები 160
შემახა 318, 320
შიდა ქართლი 12, 19, 42, 132, 137, 151, 163, 164, 195, 217, 245, 314, 351, 376, 378
შინდარი 44
შირვანი 10, 70, 80, 103, 214,
შორაპანი 12, 149
შუა ლიახვი 550, 565

ჩ
ჩილდირი 261
ჩხარი 16, 156

ც
ცხინვალი 73, 76, 117, 120, 149-151, 158, 167, 282, 284, 306, 307, 313, 375, 377, 382, 436, 510, 566
ცხირეთი 107

ძ
ძამა 50
ძეგამი 10

წ
წალკა 34
წედისი 67
წილკანი 394
წრომი 16

ჭ
ჭადისჯვარი 145
ჭალა 160, 202, 342
ჭარბელაქანი 149

ხ
ხანდაკი 145, 230
ხარაგაული 375
ხაშური 375
ხელთუბანი 153, 432
ხერთვისი 377
ხერკი 57
ხვედურეთი 135
ხიდისთავი 283, 471, 495, 500, 501, 565
ხრევი 136
ხუილისხევი 182
ხუნძახი 145, 147-148
ხურვალეთი 499
ხცისი 16

ჯ
ჯავა 375
ჯავახეთი 16-17, 30, 117, 153, 155, 156
ჯაფა 19
ჯვრის მონასტერი 316, 481

ჰ
ჰიეროპოლისი 461